

ქართული ენის

ფეოცნულო
ლიალუქი

მარინა ბერიძე
ლია ბაკურაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ქართული ენის

ფონოლოგიური
ლალოტი

მარინა ბერიძე
ლია ბაკურაძე

თბილისი
2020

ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი
A Fereydani Dialect of the Georgian Language

მარინა ბერიძე, ლია ბაკურაძე
Marina Beridze, Lia Bakuradze



აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი N 217438). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

This Project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (grant N 217438). All the ideas expressed here with are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

რედაქტორები:
მანანა ბუკია
ციცილო კვანტალიანი

კონსულტანტები:
მანანა კობაიძე
ზაქარია ფურცხვანიძე

დამკაბადონებელი
შაკა ცომაია

გარეკანის შრიფტი შექმნილია ანა კალანდაძის ხელნაწერის მიხედვით

შრიფტის ავტორი
ალექსანდრე ჩარკვიანი

© მარინა ბერიძე, ლია ბაკურაძე
2020

გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-25-771-1

საინტერნეტო გამოცემა

სარჩევი

წინასიტყვაობა	7
-------------------------	---

თავი I

ისტორიული წყაროები ქართველთა მიგრაციისა და

დასახლებების შესახებ სპარსეთში	13
1. ქართველთა მიგრაციები სპარსეთში	13
2. ქართული ისტორიული წყაროები და მიგრაციები	16
3. შაჰ-აბას პირველისგან ქართველთა აყრისა და გადასახლების მიზეზების ხალხური ახსნა და გადმოცემები	21
4. მასობრივი იძულებითი გადასახლებები შაჰ-აბასის შემდეგ	23
5. შუა საუკუნეების უცხოური ისტორიული წყაროები ქართული მიგრაციებისა და დასახლებების შესახებ სპარსეთში	25
6. სხვა ცნობები ქართული კოლონიების შესახებ	32
6.1. ფარსის რეგიონი	32
6.2. ქალაქი ისპაჰანი	35
6.3. ქართველთა დასახლება ნეჯეფებადში და ამინაბადში	37
6.4. ფერეიდანი	37
6.5. მაზანდარანი	38
6.6. ხორასანი	39
6.7. ქურთისტანი	41
6.8. ხუზისტანი	41
6.9. ლურისტანი	41
6.10. ირანის აზერბაიჯანი	41
7. მიგრაციების დრო და მარშრუტი	41

თავი II

ცნობები ქართული კოლონიების შესახებ სპარსეთში	43
1. პირველი ცნობები ქართული დასახლებების შესახებ	43
2. სპარსეთში მიგრაციებისა და დასახლებების შესახებ XIX-XX საუკუნეების გასაყარზე ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წიგნები და ნარკვევები	48
3. ზეპირი წყაროები სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ (ქართული დიალექტური კორპუსის მასალების მიხედვით)	52
4. კვლავ ქართული პრესის ცნობები სპარსეთის ქართველების შესახებ	54
5. ფერეიდნელი ქართველები სხვა ქართული დასახლებების შესახებ ირანში	55

თავი III

ფერეიდანი და საქართველო	58
1. ქართული იდენტობის მქონე ეთნიკური ჯგუფები ირანში	58
2. ფერეიდანი	58
2.1. უძველესი ცნობები ფერეიდნის სახელწოდების შესახებ ქართულ წყაროებში	61
2.1.1. ფერია (პირველი ცნობები)	61
2.1.2. უძველესი ქართული ცნობა ქართველთა ფერეიასთან კავშირის შესახებ	62
2.2. ცნობები ქართული დასახლების შესახებ ფერეიდანში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება ევროპელ მოგზაურთა წიგნებში	64
2.3. როგორი სიტუაციაა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს საქართველოში? რა ტერმინი იყო გამოყენებული ქართულ პრესასა და პუბლიკაციაში?	69
2.4. როდიდან ჩნდება ქართულ საზოგადოებაში „ფერეიდანი“, როგორც მიგარიბებულ ქართველთა განსახლების რეგიონის აღმნიშვნელი ტოპონიმი?	71
3. ფერეიდნელი ქართველები	73
3.1. როდიდან ჩნდება წარმომავლობის სახელი „ფერეიდანელი // ფერეიდნელი“?.	79
3.2. ფერეიდნელ ქართველთა თვითწოდება	83
3.3. ფერეიდნელ ქართველთა რაოდენობა	86
4. პირველი კავშირები (XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე)	87
4.1. ათამ ონიკაშვილი საქართველოში	87
4.2. ევსევი ცაბაძის ცნობები ფერეიდნელი ქართველების შესახებ	89
4.3. ლადო აღნიამვილი ფერეიდანში	93
4.4. ფერეიდნელები საქართველოში	95
5. მე-20 საუკუნე ორმოციან წლებამდე – პრესა, საზოგადოება, პიროვნებები	105
5.1. ფერეიდნელ ქართველთა წერილები	105
5.2. იოსებ ჭეიშვილი და ფერეიდანი	106
5.3. პავლე ლორთქიფანიძე და ფერეიდანი	108
5.4. სეიფოლა იოსელიანი	109
5.4.1. საზოგადოება „შუქურა“	111
5.4.2. მეოცე საუკუნის ოციანი წლების ქართული პრესა სეიფოლა იოსელიანის ვიზიტის შესახებ	112
5.4.3. სეიფოლა იოსელიანი ფერეიდნელ ქართველთა მესხიერებაში	114
5.5. ამბაკო ჭელიძე და ფერეიდანი	118
5.5.1. ქართველ მუსლიმანთა კულტურული დახმარების საზოგადოება	121
5.5.2. ამბაკო ჭელიძე და სეიფოლა იოსელიანი	125
5.5.3. სეიფოლას წერილები ამბაკო ჭელიძისადმი	126
5.5.4. სკოლის გახსნის მცდელობა ზემო მარტყოფში	128
5.5.5. ამბაკო და სარა ჭელიძეები და ამირან პაპაშვილი – ფერეიდნელი ბიჭი	131
5.5.6. ამბაკო ჭელიძის წერილები ივანე ჯავახიშვილთან	134
5.5.7. ამბაკო ჭელიძე და ფერეიდნელი ქართველები	138
5.5.8. სარა ჭელიძე და ფერეიდანი	141

6. მე-20 საუკუნის ორმოციანი წლები – საბჭოთა პოლიტიკის ფერეიდნული კულისები	147
7. გზა შინისაკენ – მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლები	174
8. XX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან საქართველოს საპატრიარქო და ფერეიდნული ქართველები	186

თავი IV

ფერეიდნული თანამედროვე ირანის ენობრივ სურათში	187
1. ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი პოლიტიკის საკითხებისათვის ირანში	187
2. ქართული ენა ფერეიდანში	191
2.1. ქართულენოვანი თემი და მისი ენობრივი გარემოცვა ფერეიდანში	191
2.2. ქართული ენის მდგომარეობა ფერეიდანში	196
2.3. განათლება, იდენტობა და ენა	198
2.4. ქართული ენა – ხიდი ისტორიულ სამშობლოსთან	201

თავი V

ფერეიდნული ენობრივი კუნძული – კუნძულური დიალექტის უნიკალური მაგალითი	205
1. კუნძულური დიალექტოლოგიის სათავეებთან – თეორიული და კულტურული წანამდგრები	205
2. ფერეიდანი – ენობრივი კუნძული	215

თავი VI

ფერეიდნელთა ეთნიკური მობილიზაციის მთავარი ნიშნულები	220
ქართული – დედის ენა	220
ქართული ანბანი	227
ქართული კულტურული სიმბოლიკა	233
ქართული მუსიკალური კულტურის როლის გაზრდა	234
დაკარგული მეხსიერების ძიებაში	235
მშობლიური სამეტყველო კოდის თვითდასახელება	237
გვარი, სახელი, ტოპონიმები	238
საკუთარი ისტორიული ფესვების ძიებაში – ეთნიკური მობილიზაციის ახალი თაობა	239

თავი VII

ფერეიდნული დიალექტის ლინგვისტიკური კვლევის საყრდენი მონაცემები	247
1. პირველი დაკვირვებანი და მეცნიერული კვლევები	247
ლადო აღნიშვილიდან იური მარამდე	247
იური მარი – ფერეიდნულის მკვლევარი	249
შემდგომი კვლევები	262
2. შიდადიალექტური სხვაობა ფერეიდნულ დიალექტში	265

თავი VIII

ფერეიდნულის ფონეტიკური თავისებურებები 270

1. ბგერითი შედგენილობა: ხმოვნები, ნახევარხმოვნები. 270
 - 1.1. ა ფერეიდნულ დიალექტში. 270
 - 1.1.1. ა სეიფოლა იოსელიანისგან ჩაწერილ ტექსტებში 272
 - 1.1.2. ა ფერეიდნული დიალექტის გვიანი ჩანაწერების მიხედვით 278
 - 1.1.3. ა-ს პოზიციური გამოვლენის არე 284
 - 1.2. უმარცვლო უ ფერეიდნულში. 287
 - 1.3. გ – ნეიტრალური (ე.წ. „ირაციონალური“) ხმოვანი ფერეიდნულში 299
2. ბგერითი შედგენილობა: თანხმოვნები 299
 - 2.1. ვ ფერეიდნულში 299
 - 2.2. ფ ფერეიდნულში 304
 - 2.3. ც-ს საკითხისათვის ფერეიდნულში 307
3. ძირითადი ფონეტიკური პროცესები 319
 - 3.1. დიფთონგიზაცია 319
 - 3.2. ხმოვანთკომპლექსების ფონეტიკური ცვლილებები 319
 - 3.3. ვ- თანხმოვანთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებები 343
 - 3.4. ენკლიტიკა ფერეიდნულში. 354
 - 3.5. სხვა ფონეტიკური პროცესები 355
 - 3.5.3. ბგერების დაკარგვა 355
 - 3.5.4. სიტყვის დაბოლოების მოკვეცა 355
 - 3.5.5. გახმოვანება. 356
 - 3.5.6. ხმოვანთა სპეციფიკური შემართვა და დამართვა 356

თავი IX

სახელური მორფოლოგიის თავისებურებანი ფერეიდნულში. 357

1. სახელური ფორმაწარმოების თავისებურებები 357
 - 1.1. შესწავლის ისტორიიდან. 357
 - 1.2. სახელთა ბრუნება ფერეიდნულში 362
 - 1.2.1. ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება 362
 - 1.2.2. თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება. 380
 - 1.3. მავრცობი ხმოვანი ქართული ენის დიალექტებსა და ფერეიდნულში 393
 - 1.3.1. მავრცობი ხმოვანი ქართული ენის დიალექტებში 393
 - 1.3.2. მავრცობი ხმოვნის განაწილების სურათი ფერეიდნულში 397
2. ზედსართავი სახელები 403
 - 2.1. ზედსართავი სახელების ჯგუფები შინაარსის მიხედვით 403
 - 2.1.1. ზედსართავები, რომლებიც განსაზღვრავენ საგანს ვითარების, გემოს, ზომა-წონის მიხედვით 404
 - 2.1.2. ფერების აღმნიშვნელი სახელები 409
 - 2.2. ზედსართავ სახელთა სიტყვაწარმოების თავისებურებები – ხარისხის წარმოება 411
3. ნაცვალსახელები 418
 - 3.1. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები. 418
 - 3.1.1. მც(ა) ნაწილაკი პირის ნაცვალსახელებთან 422

3.2. უკუქცევითი ნაცვალსახელი თავი // თავის თავი	441
3.3. კუთვნილებითი ნაცვალსახელი:	442
3.4. კითხვითი ნაცვალსახელები	445
3.5. ურთიერთობითი ნაცვალსახელები	449
3.6. მიმართებითი ნაცვალსახელები	449
3.7. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები	451
3.9. უარყოფითი ნაცვალსახელები	457
4. რიცხვითი სახელები	458
5. სახელთა წარმოქმნა	461
5.1. კნინობითი სახელები	461
5.2. ქონების სახელები	462
5.3. უქონლობის სახელები	464
5.4. წარმომავლობის სახელები	465
5.5. დანიშნულების სახელები	467
5.6. ხელობის სახელები	469
5.7. აბსტრაქტული სახელები	471
5.8. წინა ვითარების სახელები	475
5.9. სახელზმნები	476
5.9.1. მასდარი (საწყისი)	476
5.9.2. მიმღობა	477
5.9.3. თხზვა	480

თავი X

ზმნური ფორმაწარმოების თავისებურებები ფერეიდნულში	485
1. პირის ნიშნები	486
2. ხოლმეობითის გამოხატვის თავისებურება	492
2.1. ხოლმეობითის მწკრივთა შესახებ ქართულში და სისტემის ასახვა ქღკ-ში	492
2.2. ხოლმეობითის მორფოლოგია და მრავალგ ზისობის ასახვა ფერეიდნულში	497
3. უღლების თავისებურებანი	506
3.1. გარდაუვალ ზმნათა ფორმაწარმოების თავისებურება ფერეიდნულში	507
3.2. მეშველი ზმნის გამოყენების თავისებურება ფერეიდნულში	509
3.3. -ავ და -ამ თემისნიშნისანი ზმნები ფერეიდნულში	515
3.5. ფუძემონაცვლე ზმნები ფერეიდნულში	535
3.6. ზმნის ანალიზური წარმოება ფერეიდნულში	557
3.7. მოდალობის გამოხატვის თავისებურებები ფერეიდნულში	558
4. ზმნისწინები	576

თავი XI

ფორმაუცვლელი სიტყვები ფერეიდნულში	580
1. ზმნი ზელები	580
1.1. ზმნი ზელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით	580
1.3. ზმნი ზელების ჯგუფები წარმოების მიხედვით	593
2. თანდებულები	601
2.1. სიტყვაზე დართული თანდებულები	601
2.2. ცალკე მდგომი თანდებულები	619

2.3. ზმნიზედები თანდებულის მნიშვნელობით	621
2.4. ნასესხები თანდებულები	624
2.5. -ყე ნაწილაკი თანდებულის მნიშვნელობით	624
3. ნაწილაკები	630
4. კავშირები	649
5. შორისდებულები	658

თავი XII

ფერეიდნულის ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი	674
1. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება	674
2. მოთხრობითობრუნვიანი ქვემდებარე გარდაუვალ ზმნასთან	676
3. ჰიპოტაქსის ზოგი თავისებურებისათვის	677
3.1. მწკრივთა თანმიმდევრობა დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადებაში	677
3.2. განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ფერეიდნულში	678
3.3. მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადების ზოგი თავისებურება ფერეიდნულში	679
3.4. ნახა ზმნის თავისებური გამოყენება ფერეიდნულში	681
3.5. პირდაპირი ობიექტის ბრუნვის აღრევა	681
3.6. უზმნო წინადადება	681

თავი XIII

ფერეიდნულის ლინგვოკულტურული სივრცის მოდელირება და წარმოდგენა ქართულ დიალექტურ კორპუსში (ქღკ)	683
---	-----

თავი XIV

ონომასტიკა	692
1. ტოპონიმები	692
1.1. ფერეიდნული ტოპონიმის შესწავლის ისტორიიდან	692
1.2. ტოპონიმები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში	694
1.3. ფერეიდნის რეგიონის მაკროტოპონიმები	696
1.4. მიკროტოპონიმია	720
1.4.1. გეოგრაფიული სახელების სახელების თავისებურებისათვის	720
1.4.2. ფერეიდნის ტოპონიმები წარმოებისა და შინაარსის თვალსაზრისით	725
1.5. მიგრაცია და ტოპონიმია	738
2. ანთროპონიმები	742
2.1. ფერეიდნული გვარები	742
2.1.1. შტო-გვარები ფერეიდნულში	747
2.1.2. მეტსახელები (ზოგადი)	749
2.1.3. მეტგვარები // საოჯახო მეტსახელები	750
2.1.4. მეტსახელები // კონკრეტული ადამიანებისათვის შერქმეული ზედმეტი სახელები	752

თავი XV	
ფერეიდნული ლექსიკის ზოგადი დახასიათება	757
თავი XVI	
ფერეიდნული მითები	766
„ფერეიდნის მიწას ვხნავ“	766
ასე იტყოდა ქართველი	769
ღმერთს ებარებოდეთ	773
საძიებლები	
პირთა საძიებელი	774
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	782
განალიზებულ ფორმათა საძიებელი	793
მოქმედები	852
ბიბლიოგრაფია და წყაროები	870

ქართველი ვარ, ქართველი ვაღმოსული,
თხას ზელია იხანჩივ მოსული.
შაჰ-ახასის გამორეული ვარ შე,
საქართველთათი დამწოთი ვარ შე.
ქართველები ამას გომორეულია,
ისმანსაყერ სოფელხინ თორეულია.
შაჰ-ახასიმც ყეინი არ შაქნულიყო,
თავის დელას ზაიტოქასამც შაჰკლმიყო.
დმერთთ, ზონ ქართველები შაინახეყე,
კახეთის მიწა-წყალზე დაინახეყე.

ყოლამონა სყციშვილი

წინასიტყვაობა

მონოგრაფია შეიქმნა შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – ქართული ენობრივი კუნძული ტრანს-ეთნიკურ არეალში (GLITEA) – ფერეიდნული დიალექტი ირანში – ფარგლებში, რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც გაგრძელება მრავალწლიანი პროექტისა „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“ და მიზნად ისახავდა ფერეიდნული დიალექტის დოკუმენტირებას, კვლევას, ამ კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და მასზე ხელმისაწვდომობის პირობების შექმნას.

ფერეიდნული დიალექტის მონოგრაფიული კვლევა პროექტის ერთ-ერთი ამოცანა იყო.

ფერეიდნული უცხოენოვან გარემოში მოქცეული დიალექტური კუნძულია, რომელიც ჩამოყალიბდა იმულებითი, მასობრივი მიგრაციის რამდენიმე ტალღის შედეგად და დაახლოებით 400 წელია არსებობს ისპაჰანის მახლობლად, ფერეიდნის პროვინციაში.

დიალექტის შესწავლას ჩვენ მიუვდექით კუნძულური დიალექტოლოგიის თეორიულ წინამძღვრებზე დაყრდნობით – იმის გათვალისწინებით, რომ ენობრივი კუნძულის კვლევა არ მოიცავს მხოლოდ ენობრივ საკითხებს და ის ეხება ამ კუნძულის შექმნის ადამიანური ერთობის (ჯგუფის, კოლექტივის) ყველა ცხოვრებისეულ გამოვლინებას [Hutterer 1982]. როგორც „კუნძულური“ კვლევების თეორეტიკოსები აღნიშნავენ, ენობრივი კუნძულის არსებობის არსი ასიმილაციის პროცესისადმი შეწინააღმდეგებაა, რასაც ის სხვადასხვა საშუალებით წარმართავს. სწორედ ამიტომ, დიალექტური მონაცემების ტრადიციული მონოგრაფიული კვლევებისაგან განსხვავებით, ჩვენს ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ფერეიდნული კუნძულის არსებობისა და განვითარების გარეენობრივ ფაქტორებსაც, რომლებმაც ხელი შეუწვევეს ამ კუნძულის არსებობას დღემდე და რომლებიც განაპირობებენ მის შემდგომ ბედს.

ხანგრძლივი იზოლაციის პირობებში ფერეიდნულმა კუნძულმა მე-19 საუკუნის ბოლომდე მოაღწია. ამ დროისათვის მისი მონოლითურობა თუმცა არ დარღვეულა, საკმაოდ შეირყა და ყველა ნიშანი იყო იმისათვის, რომ დაწყებულიყო დაშლის პროცესი და ფერეიდნულსაც გაეზიარებინა ირანის სხვადასხვა რეგიონში გავრცელებული და შემდგომ გამქრალი ქართული კუნძულების ბედი.

ეს ასე არ მოხდა. პირიქით, განვითარდა თანდათან მზარდი რეინტეგრაციული პროცესები, რომელთა წყალობითაც კუნძულმა კიდევ ერთ საუკუნეზე მეტხანს გაუძლო საკმაოდ ძლიერ ენობრივ და კულტურულ ზეწოლას და ასიმილაციურ პროცესებს.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის პოლიტიკურმა რეალობამ გააძლიერა ფერეიდნულთა ეთნიკური მობილიზაცია და ისტორიულ სამშობლოსთან კულტურული და

ენობრივი რეინტეგრაციის საინტერესო ახალი პროცესები წარმოშვა. ამან შეაფერხა ფერეიდნული კუნძულის დაშლა და, მართალია, კუნძულური იზოლაცია შეირყა, ეთნიკური ქართველობა მაინც განაგრძობს ძლიერი დიალექტური დიასპორის სახით არსებობას.

ყველაზე საგანგაშო მოვლენა ფერეიდნული დიალექტური კუნძულის ცხოვრებაში საერთო კულტურული და ისტორიული მეხსიერების რღვევა იყო. ამიტომაც ყველა კონტაქტი საქართველოდან ჩასულ ადამიანებთან კუნძულელთათვის იქცეოდა ხოლმე კოლექტიური მეხსიერების აღდგენის საშუალებად. ნაშრომში ვრცლად არის განხილული ეს კონტაქტები.

განსაკუთრებით საინტერესოა ფერეიდნული საკითხის „საბჭოთა კულისები“, რომლებიც დეტალურად არის აღწერილი მონოგრაფიაში ბევრი ახლად აღმოჩენილი დოკუმენტის მიხედვით.

ჩვენი სამეცნიერო პროექტის ირანული ექსპედიციები ახალი კონტაქტების ცხელ კვალზე მიმდინარეობდა. ჩვენ აღმოვჩინეთ არა მხოლოდ დოკუმენტალისტები, რომლებიც ძველი, წარმავალი ენობრივი ერთობის ფრაგმენტებს ვიწერდით და ვინახავდით – გადასარჩენად და წმინდა მეცნიერული კვლევისთვის გამოსაყენებლად, არამედ ისინიც, ვინც შევესწართ კულტურული და ენობრივი რეინტეგრაციის ამ საინტერესო პროცესს და მისი აქტიური მონაწილენიც ვაკვხდით.

მონოგრაფიაში თავი მოვუყარეთ ფაქტებს, რომლებიც ასახავენ ასიმილაციისა და რეინტეგრაციის ურთიერთსაპირისპიროდ მიმდინარე ძალიან საინტერესო პროცესებს. ეს ორი მოვლენა ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობს: ერთი მასობრივი, ნელი და ძნელად გასამკლავებელი, მეორე კი – ინდივიდუალური ან მცირე ჯგუფებში მიმდინარე, თუმცა აქტიური, მოტივირებული, თითქმის მყისიერი პროცესია. ასიმილაცია გარე ფაქტორების კომპლექსური ზეწოლისადმი ჯგუფის თანდათანობითი „დამორჩილების“ შედეგია, რეინტეგრაცია კი არის ასევე გარეფაქტორების გამოყენება საკუთარი იდენტობის კონტურების გასამტკიცებლად.

წიგნში წარმოდგენილი მდიდარი მასალა გვიჩვენებს, რომ ფერეიდნულმა დიალექტურმა კუნძულმა არსებობა შეინარჩუნა ეთნიკური მობილიზაციის ძლიერი პოტენციის წყალობით. ყველა შეხება „დიდი მიწიდან“ ჩასულ ადამიანებთან კუნძულელებში აძლიერებდა ამ პროცესს, იწვევდა ენობრივი და კულტურული რეინტეგრაციის ახალ ტალღას. საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურმა განწყობამ და იმ დროის ქართველ ხელისუფალთა დამოკიდებულებამ ფერეიდნული თემისადმი კიდევ უფრო გააძლიერა ფერეიდნელთა შორის ისტორიული სამშობლოს განცდა.

ნაშრომში წმინდა ლინგვისტური საკითხები განხილულია ტრადიციული დიალექტოლოგიისა და კორპუსული ლინგვისტიკის მიჯნაზე. კვლევას წინ უძღოდა ხანგრძლივი დიალექტოგრაფიული სამუშაო, რომელიც გულისხმობდა ძველი დიალექტური ტექსტებისა და ჩვენ მიერ სავსე სამუშაოს შედეგად მოპოვებული დიდძალი ტექსტური და ლექსიკოგრაფიული მასალის ფილოლოგიურ დამუშავებასა და გამოცემას. მონოგრაფიის ენობრივი ანალიზის ნაწილი მთლიანად ეყრდნობა ქართული დიალექტური კორპუსის პლატფორმაზე გამოქვეყნებულ ფერეიდნულ

ტექსტებს. ამჟამად ფერეიდნული ქვეკორპუსი 50601 უნიკალურ სიტყვაფორმას მოიცავს და ანოტირებულია მრავალფეროვანი მეტატექსტური და ლინგვისტური მანასიათებლებით. კორპუსის ბაზაზე შეიქმნა ფერეიდნული ონლაინ და ბეჭდური ლექსიკონები (5357 სალექსიკონო სტატია). ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი წარდგენილი იყო 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე [ბერიძე, ბაკურაძე, ნახუცრიშვილი 2018].

ფერეიდნულის სამეცნიერო კვლევა 100 წლის წინ დაიწყო, თუმცა ჩვენი ნაშრომი დიალექტის მონოგრაფიული აღწერის პირველი ცდაა. ენობრივი მასალის კორპუსულმა კვლევამ მანამდე შეუმჩნეველი ბევრი ახალი ფაქტი გამოავლინა, ბევრი უკვე აღწერილი შემთხვევა კი სრულიად განსხვავებული სახით დაგვანახა. კვლევამ წარმოაჩინა წინამორბედ მკვლევართა აღწერებში უზუსტობები, რომლებიც ქართული დიასისტემის კანონზომიერ თავისებურებათა განზოგადების შედეგი უნდა იყოს. ამგვარ შემთხვევებს ჩვენ „პარადიგმული სტერეოტიპი“ ვუწოდეთ.

ასეთი პარადიგმული სტერეოტიპების გადასამოწმებლად დიალექტური მასალის მოპოვებისას გათვალისწინებული იყო ქართული დიალექტოლოგიის გამოცდილება და ქართულ დიალექტებში გამოვლენილი სისტემური თავისებურებები. სავსე პირობებში მუშაობისას საჭირო ინფორმაციის მისაღებად გამოვიყენეთ ანკეტირების სხვადასხვა საშუალება, მათ შორის, როგორც არსებული, ისე ჩვენ მიერ შედგენილი თემატური კითხვარები, სხვადასხვა ტიპის ფოტოკოლაჟი და სიტუაციური ამოცანა, რომლებსაც რესპონდენტები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად წყვეტდნენ. ასეთი გზით ვცდილობდით თემატური სიტუაციის სიმულირებას და ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დაკვირვების დამატებით შესაძლებლობას ვქმნიდით.

წარმოდგენილ ნაშრომში შეძლებისდაგვარად აისახა ფერეიდნული დიალექტის ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური თავისებურებები; განხილულია დიალექტის შიდადიფერენციაციის ენობრივი მანასიათებლები, აგრეთვე ისტორიულ სამშობლოსთან ენობრივი და კულტურული რეინტეგრაციის პროცესში წარმოქმნილი საინტერესო მოვლენები (ინოვაციური და ფსევდოლიტერატურული ფორმები და სხვ.).

მონოგრაფია განკუთვნილია სპეციალისტების, სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის. მისი მიზანია არა მხოლოდ არსებული ფაქტების აღწერა და განზოგადება, არამედ მდიდარი საილუსტრაციო მასალის თავმოყრა და წარმოდგენა, რაც მას ახალი კვლევების სამეცნიერო რესურსადაც აქცევს.

მუშაობის პროცესში მკითხველად მოვიაზრებდით ჩვენს ფერეიდნულ თანამემამულეებს, რომლებიც განსაკუთრებული ინტერესით ელიან ამ წიგნს და შეიძლება ითქვას, მისი თანაავტორებიც არიან.

ნაშრომს ერთვის პირთა და გეოგრაფიული სახელებისა და გაანალიზებულ ფორმათა საძიებელი. წიგნის მკითხველს ნაშრომში წარმოდგენილ დებულებათა კრიტიკულ გააზრებაში დაეხმარება ქართული დიალექტური კორპუსის პლატფორმაზე განთავსებული ფერეიდნული დიალექტის ქვეკორპუსი (<http://corpora.co>) და ფერეიდნული ლექსიკონი (<http://corpora.co/#/dictionaries>).

მკითხველს საკითხზე კიდევ უფრო ფართო წარმოდგენას შეუქმნის პროექტის ფარგლებში მომზადებული სხვა პუბლიკაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე (იხ. ბიბლიოგრაფია).

პროექტის ფარგლებში კიდევ ორი წიგნი მომზადდა:

ნიკოლოზ ნახუცრიშვილის მონოგრაფია – „ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში“, რომელიც წინამდებარე ნაშრომთან ერთად გამოქვეყნდება და დიანა ანფიმიადის მხატვრულ-დოკუმენტური ნაშრომი „საკვანძო სიტყვა (ფერეიდნული ეტიუდები)“.

მადლიერებას გამოვსატავთ ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც დაგვეხმარნენ ამ დიდი სამუშაოს შესრულებაში. პირველ ყოვლისა, ეს მადლიერება ეკუთვნით: ჩვენი პროექტის მონაწილეებს – **ზაქარია ფურცხვანიძეს** (ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი), **ნიკოლოზ ნახუცრიშვილს** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი), **ელენე ნაპირელს**, **დიანა ანფიმიადის**, **მაია ბარიშაშვილს** (თსუ, არნ. ჩიქობას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი) – მათი თანადგომისა და თანამონაწილეობის შედეგად ეს პროექტი გუნდური სამეცნიერო მუშაობის სანიმუშო მაგალითად იქცა.

მადლობას ვუხდით რედაქტორებს – **ციცინო კვანტალიანსა** და **მანანა ბუკიას**, აგრეთვე ჩვენს მეგობარს, კოლეგასა და ამ წიგნის ერთ-ერთ კონსულტანტს, **მანანა კობაიძეს**, მთარგმნელს, **ნანა გოვიას**. მათი ერთგული და კრიტიკული შენიშვნების წყალობით არის ეს წიგნი ისეთი, როგორც არის.

პროექტის შედეგების ინტერნაციონალიზაციაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ჩვენმა უცხოელმა კოლეგებმა. დამყარდა და გაღრმავდა სამეცნიერო ურთიერთობები. პროექტის პრობლემატიკა საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმზე.

დიდი მადლობა ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორს, საერთაშორისო კონფერენციის „ენობრივი კუნძულები და ენობრივი კონტაქტები ირანში“ (ბერლინი, 2018, კონფერენციის მასალები <http://www.iseil.org/program.html>) ერთ-ერთ ორგანიზატორს, **სალომე ყოლაშის**. მისი ძალისხმევით კონფერენციაზე ცალკე სექცია დაეთმო კუნძულური დიალექტოლოგიისა და, სახელდობრ, ფერეიდნული დიალექტური კუნძულის საკითხებს, რამაც შესაძლებლობა მოგვცა კონფერენციაზე წარგვედგინა ფერეიდნული დიალექტის შესახებ რამდენიმე ვრცელი მოხსენება, ხოლო ჩვენი ერთ-ერთი სტატია „A Georgian Language Island in Iran: Fereydani Georgian“ გამოქვეყნებულიყო საერთაშორისო ჟურნალში „Iranian Studies“.

განსაკუთრებული მადლობა ირანის ენისა და ლიტერატურის აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ **ყოლაშაძის ჰადად-ადელს** და მის მოადგილეს, ბატონ **მოჰამად დაბირ-მოყადაშს**, რომელთა მხარდაჭერითაც 2017 წლის მაისში შესაძლებლობა მოგვცა, აკადემიის საგანგებო სხდომაზე 4 ვრცელი მოხსენებით წარგვედგინა ჩვენი მუშაობის შედეგები.

მადლობა საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილებასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს – მათი დახმარებით შესაძლებელი გახდა ჩვენი დაუბრკოლებელი გადაადგილება ფერეიდანში საველე მუშაობის დროს.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს ფერეიდნელ მეგობრებს – რესპონდენტებსა და კონსულტანტებს – ადამიანებს, რომელთა გარეშეც ეს წიგნი ვერ შეიქმნებოდა. მათი მაღალი ენობრივი პასუხისმგებლობის წყალობით შესაძლებელი გახდა ფერეიდნული დიალექტის საფუძვლიანი დოკუმენტირება. ესენი არიან: **მუხტარ დარჩიაშვილი (ასლანი), ალექსანდრე დავითაშვილი (ალი ჰოსეინ რაჰიმი), რეზო დავითაშვილი (ალი რეზა რაჰიმი), ალექსანდრე სეფიაშვილი (ესქანდერ სეფიანი), აზიზოლა სეფიაშვილი (სეფიანი), ყოდრათ თავაძე (თავაზოჰი), ნაზი დავითაშვილი (შაჰნაზ რაჰიმი), აბოლყასემ აჰმადი, ჰეიდარ დარჩიაშვილი (ასლანი), არია და შაჰინ ხოსროშვილები (ხოსროვიები), საიდ მულიანი, იოსებ და მოჯთაბა (ილია) ხუციშვილები (ხუციანები), ყოლამ რეზა ხუციშვილი (ხუციანი), სედიყე ყალანი, აბდორეზა დავითაშვილი (რაჰიმი)...**

მადლობა ყველა ფერეიდნელს – ქართული ენის გულთ ტარების, ამ სანუკვარი განძის შენახვისა და ჩვენამდე მოტანისათვის!

ირანის ისლამური რესპუბლიკა მდებარეობს აზიის სამხრეთ-დასავლეთით. ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს, დასავლეთით – ერაყს, აღმოსავლეთით – ავღანეთსა და პაკისტანს. აქ დღესაც ცხოვრობენ ეთნიკური ქართველები, რომელთა წინაპრებიც საუკუნეების წინ გადასახლდნენ ირანში. ეს პროცესი არ ყოფილა ერთგვარადი და ერთგვაროვანი. ისტორიული წყაროები გვაწვდიან ინფორმაციას იძულებითი მასობრივი გადასახლებების, ასევე ქართველთა ტყვედ შესყიდვისა თუ წარგ ზავნის შესახებ. გვხვდება ინფორმაცია ნებაყოფლობითი გადასახლების შესახებაც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გაცილებით დიდი იყო იძულებითი გადასახლებულთა რიცხვი. მეცნიერთა და მოგზაურთა ცნობებით, ქართული კოლონიები სპარსეთის სხვადასხვა რეგიონში შეიძლება შეგვეხვედროდა. ამავე ცნობებით ქართული ენა მეოცე საუკუნის 30-იან წლებამდე კერ კიდევ იყო შემორჩენილი სპარსეთის სხვადასხვა მხარეში ჩასახლებულ ქართველთა შორის. დღეისთვის ირანის უმრავლეს რეგიონში მცხოვრებ ქართველთა შთამომავლები ასიმილირებულნი არიან ადგილობრივ მოსახლეობასთან. ეთნიკური კუთვნილების შეგრძნება შემორჩენილი აქვთ ისპაჰანის პროვინციის – ფერეიდუნშაჰრისა და ფარიდანის (ფერეიდნის) რაიონის რამდენიმე დასახლებაში, ასევე ბოინ-მიანდშეთის ოლქში მცხოვრებ ქართველებს, ასევე მაზანდარანის რეგიონის რამდენიმე სოფლის მოსახლეობას, თუმცა ამ უკანასკნელთა ქართული ენა უკვე დავიწყებული აქვთ. ჩვენი კვლევის საგანია ირანის მკვიდრ იმ ქართველთა მეტყველების შესწავლა, რომლებიც ისპაჰანის პროვინციის ფერეიდუნშაჰრისა და ფარიდანის (ფერეიდნის) რაიონებში ცხოვრობენ. მათ, ტრადიციულად, სამეცნიერო და პოპულარულ ლიტერატურაში მოიხსენიებენ როგორც ფერეიდანელ // ფერეიდნელ ქართველებს.

ოთხასწლიანი იზოლაციის პირობებში ფერეიდნული ჩამოყალიბდა ტიპურ „ენობრივ კუნძულად“. ასეთი კუნძულური ერთობის შესწავლა სცილდება მხოლოდ ენობრივი მახასიათებლების აღწერას და მოიცავს ისტორიულ, სოციალურ, კულტურულ საკითხებსაც [ჟირმუნსკი 1929]. ჩვენი კვლევა სწორედ სისტემური „კუნძულური“ კვლევის მცდელობა და დასაწყისია. სწორედ ამიტომ ფერეიდნელთა მეტყველების კვლევის დროს აუცილებლობად მივიჩნით მათი გადასახლებისა და საქართველოდან ოთხსაუკუნოვანი იზოლირებული ცხოვრების გარკვეული ეტაპების შესწავლა: ვინ არიან ფერეიდნელი ქართველები? საქართველოს რომელი კუთხიდან (კუთხეებიდან) არიან გადასახლებულები? როგორი იყო მათი ცხოვრება? როგორი იყო კავშირები ისტორიულ სამშობლოსთან, სხვა ქართულ დასახლებებთან, როგორ მოხდა, რომ ამდენი საუკუნის განმავლობაში უცხოენოვან გარემოში ქართველთა მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანმა ნაწილმა ირანში შეძლო და შეინარჩუნა ქართული ენა?

ვფიქრობთ, ამ კითხვებზე პასუხები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფერეიდნული დიალექტის ენობრივი თავისებურებების შესწავლასა და ახსნას. ამასთან, ბევრ ტიპოლოგიურად საყურადღებო ცნობას მიაწვდის ზოგადად კუნძულური კვლევებით დაინტერესებულ მკითხველს.

1. ობერლინგის ცნობით მეოცე საუკუნის 50–60-იან წლებშიც საუბრობდნენ ქართულად ზოგიერთ კუთხეში. Oberling, P. (1963), Georgians and Circassians in Iran, Studia Caucasica (1): 127-143.

თავი I

ისტორიული წყაროები ქართველთა მიგრაციისა და დასახლებების შესახებ სპარსეთში

1. ქართველთა მიგრაციები სპარსეთში

ქართველთა მიგრაცია ირანში არ არის ერთგვაროვანი და არც მხოლოდ ერთ კონკრეტულ პერიოდს განეკუთვნება. ეს პროცესი დაწყებულია უძველესი დროიდან და როგორც გასაკვირიც უნდა იყოს, მეოცე საუკუნის დასაწყისისთვისაც საკმაოდ აქტიური ჩანს. განსხვავებული იყო მიგრაციის ფორმებიც: დიდი ნაწილი იძულებით გადასახლებული ხალხია, რომელიც აყარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და ირანის პროვინციებში ჩაასახლეს, ზოგი კომპაქტურად, ზოგიც დაფანტეს სხვადასხვა ადგილას, ირანში იპოვეს იძულებითი თავშესაფარი ტყვედ წაყვანილებმა და ხარკის სახით შაჰის კარზე წარგზავნილებმა. საუკუნეების განმავლობაში საქართველოდან სპარსეთში უამრავი იძულებითი გადასახლების შემთხვევები შემოუნახავს ისტორიას. ამის შესახებ ცნობებს შევხვდებით როგორც ქართველ ისტორიკოსთა შრომებში, ისე სპარსულ, სომხურ, ევროპულ საისტორიო წყაროებში, კათოლიკე მისიონერების, უცხოელი მოგზაურების წერილებსა და წიგნებში.

მასობრივი გადასახლებები (და არა ერთეული შემთხვევები) ირანში საუკუნეებს ითვლის. შესაძლებელია პირობითი ქრონოლოგიური საზღვრებიც შემოიხაზოს: ისტორიკოსები აღნიშნავენ ხაზართა სარდლის, შათეს, 628 წლის ლაშქრობის შედეგად თბილისიდან 15 წლამდე ბავშვების გადასახლების ამბავს [სონლულაშვილი 2005: 58]. ამას უამრავი და გაცილებით დიდი მასშტაბის გადასახლება მოჰყვა: 1403 წლის თემურ ლენგის შემოსევა და ქართველთა გადასახლება ირანში [კუციანი 1987: 48]. შემდეგ საუკუნეებში იყო მრავალი შემოსევა, რომლებიც ქართველთა დატყვევებითა და გადასახლებით დამთავრდა, მათ შორის ყველაზე მასშტაბურად შეიძლება ჩათვალოს შაჰ-თამაზ პირველის რამდენიმე ლაშქრობა [ჟორდანიას 1897: 396-398], შაჰ-აბას პირველის მიერ ქართველთა აყრა საცხოვრებელი ადგილიდან და გადასახლება, ნადირ შაჰის შემოსევა და ქართველთა დატყვევება, ალა მაჰმად ხანისაგან საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ტყვედ წაყვანა.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა ირანში მოხვედრის ერთი გზა ხარკის სახით მათი გაგზავნა იყო (აღარაფერს ვამბობთ ტაცებისა და ტყვედ განსყიდვის შემ-

თხვევებზე). ქართველი მეფეები ხარკის სახით აგზავნიდნენ ტყვეებს, ეს პროცესი ვახტანგ მეექვსის დროსაც გრძელდებოდა [სონლულაშვილი 2005: 77]. 1748 წელს ერეკლე მეორემ ხარკის სახით უკანასკნელად გაუგზავნა ირანის შაჰს ასამდე მეომარი ყულის ჯარისათვის ასან მირზას მეთაურობით [სონლულაშვილი, 2005: 79]. ეს უნდა ყოფილიყო ალბათ ყველას რწმენით დასასრული ასეთი მძიმე და უსამართლო სასჯელისა, თუმცა ისტორიული ბედისწერისათვის ქართველებს ხარკის გაღება მაინც მოუწიათ: 1795 წელს ალა მაჰმად ხანმა 30 000 ტყვე წაიყვანა თბილისიდან და მისი მიმდებარე სოფლებიდან. მათი ნაწილი განჯაში დატოვა, დანარჩენი კი სპარსეთის გზას გაუყენა. ერეკლე მეფემ შეძლო განჯაში დატოვებული ტყვეების გამოსყიდვა, დანარჩენების დაბრუნებასაც ცდილობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვეღარ მოახერხა.

ტყვეთა და იძულებით მასობრივად აყრილთა გვერდით გვხვდება ნებაყოფლობითი გადასახლების ფაქტებიც (ერთეული ან ჯგუფური) – სპარსეთი იყო თავშესაფარი ქვეყნიდან გაქცეული, უკეთესი ცხოვრების იმედით გადახვეწილი ხალხისთვისაც: „ამგვარი ხალხი აქ საზოგადოდ ბევრია, ვინც საიდან გამოიპარება, აქ მოიკიდებს ბინას. ესეც ისეთი თავისუფალი ქვეყანაა ამ მხრივ, რომ კაცი არ არის, ჰკითხოს მომსვლელს თუ წამსვლელს, ვინა ხარ, ანუ რისთვის მოსდიხარ და სცხოვრობენ თავისათვის არხეინად; ისე არიან, როგორც შინ, როგორც საკუთარ სახლში“ [აღნიშვილი 1896: 73].

ძალიან ძნელია ისტორიულ ჭრილში თვალი გაადევნო ნებაყოფლობითი გადასახლების სრულ სურათს, თუმცა ერთეული შემთხვევების დაფიქსირება მაინც შესაძლებელია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შუა საუკუნეების პერიოდი, როცა საქართველოში სპარსეთის არაერთი ლაშქრობის შედეგად მშობლიური ადგილებიდან იძულებით გადასახლებული მოსახლეობა საქართველოდან სპარსეთის დიდ ტერიტორიაზე გაიბნა. ისტორიული წყაროები და მეცნიერული კვლევები ადასტურებენ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აყრილი მოსახლეობის კვალი ირანის მთელ ტერიტორიაზე დღესაც შეიმჩნევა. ირანში ერთ-ერთი გავრცელებული გვარია გორჯი, ასე უწოდებდნენ სპარსელები ქართველებს. გორჯი დასტურდება ზოგიერთ ტოპონიმშიც: გორჯი მაჰალე, გორჯი ბაიან...

ყველაზე მასშტაბური შაჰ-თამაზისა და შაჰ-აბას პირველის მმართველობის პერიოდის მასობრივი გადასახლებებია. სწორედ შაჰ-აბას პირველის პერიოდს მიაკუთვნებს ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილი დღეს ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა წინაპრების აყრისა და გადასახლების ტრაგიკულ ამბავს.

ქართველთა კვალის ძებნას ირანში ისტორიკოსები ისტორიული წყაროების შესწავლით იწყებენ. ამ წყაროებზე დაყრდნობით ნათელი ხდება, რომ მიგრაციების პროცესი საქართველოდან სპარსეთს განსაკუთრებით გაძლიერებულა და მასშტაბური გამხდარა სეფიანთა დინასტიის პერიოდში, შაჰ-თამაზის დროიდან (1524-1576). ცნობილია, რომ მის შემოსევებს საქართველოში მოჰყვა ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილის იძულებითი აყრა და გადასახლება. ჰასან რუმელუს ცნობით,

ის რამდენჯერმე შემოსევია საქართველოს და უამრავი ტყვე გაუყვანია აქედან. შაჰ-თამაზის დროს დაწყებული პროექტი განუყოფელი ნაწილი გახდა შაჰ-აბას პირველის პოლიტიკისა, მან თავის წინამორბედს სისასტიკით გადააჭარბა, რამდენიმეჯერ დალაშქრა საქართველო და უამრავი ტყვე წაიყვანა ქვეყნიდან. აქედან წაყვანილი მოსახლეობა, რომლის განსხვავებული რიცხვი სახელდება სხვადასხვა წყაროში, დაუსახლება სხვადასხვა ადგილას. ნაწილი მეომრებად წაუყვანია, ნაწილი ვაჭრები იყვნენ და დიდი უმრავლესობა კი – მიწათმოქმედები. ამას მოჰყვება ნადირ შაჰისა (1735) და ალა მაჰმად ხანის (1795) შემოსევები და ქართველ მიგრანტთა რიცხვიც საგრძნობლად გაზრდილა სპარსეთში.

საქართველოდან სხვადასხვა პერიოდში ირანში, თურქეთსა და რუსეთში ტყვედ გაყვანილ ქართველთა შესახებ ცნობები გვხვდება მარინა კუტალაძის დისერტაციაში „ფერეიდანი და ფერეიდნელი ქართველები.“ ნაშრომი შესრულებულია 1991 წელს. ის დიდ ინფორმაციას შეიცავს, რომელიც, სამწუხაროდ, სამეცნიერო სივრცეში ნაკლებად არის ცნობილი და თითქმის არ გვხვდება. ჩვენ უცვლელად, ცხრილის სახით წარმოვადგენთ ამ ინფორმაციას:

საქართველოდან ირანში სხვადასხვა დროს გაყვანილ ტყვეთა რაოდენობა				
ირანში				
	15 000	ჯალალედინი	XIII საუკუნე	
	10 000	თემურ ლენგი	1386-1403 წწ.	
	25 000	შაჰ ისმაილი	1501-1524 წწ.	
	50 000	შაჰ თამაზი	1524-1576 წწ.	
	80 000 ან 100 000 ან 130 000	შაჰ აბას I	1587-1629 წწ.	/ უფრო სარწმუნოა 200 000 კაცი მ.კ ² /
	5000	უზუნ პასანი	–	გილანში დაასახლა და 1848 წლამდე ქართულად ლაპარაკობდნენ / ნაამბობი სპარსეთში მყოფ სულამბეგოვის მიერ /
	10 000	სელიმ ხანი	–	მრავალი ამთგანი დაბრუნა ხოსრო მირზამ
	3000	შაჰ ჰუსეინი	1694-1722	
	5000	ნადირ შაჰი	1736-1744	
	9000	ქერიმ ხანი	1760-1778	
	რაოდენობა უცნობია	მირევისი	–	
	12 000	ალა მაჰმად ხანი	1796-1797	

2. მარინა კუტალაძე.

თურქეთში				
			1580 წ.	დაიწყო გადასახლება ყარსის /კარის/, არტაანის / არდაგანის/, ოლითისა და სხვა ადგილების ქართველების.
	300 000		1600-1844 წწ.	გადასახლეს ქურთისტანში და ეგვიპტეში
	100 000			ოსმალის საქართველოდან. აქედან 50 000 მაჭახლიდან, 10 000 ქობულეთიდან, ამდენივე ზელა და ქველა აჭარიდან და სხვადასხვა ადგილებიდან, რომელთა რიცხვი სულ 100 000 სულზე მეტი იქნება.
რუსეთში				
10 ათას სულზე მეტი – 1640 წლიდან – 1820 წლამდე გადასახლებულნი არიან მოზდოკს, სტავროპოლს, ყიზლარსა და სხვაგან.				

[კუტალაძე 1990: 59-60].

2. ქართული ისტორიული წყაროები და მიგრაციები

ქართული ისტორიული წყაროები არ არის მდიდარი გადასახლებების შესახებ ცნობებით, გვხვდება მხოლოდ ზოგიერთ ფაქტზე მშრალი, მოკლე მინიშნება. თედო ჟორდანიას ქრონიკებში თავმოყრილია ის წყაროები, რომლებიც შაჰ-თამაზის ლაშქრობებს შეეხება საქართველოში:

იკორთის ძლისპირი:

1541 ქ ~კს : სკთ: იქა ყაენმან თფილის ქალაქი ამოსწყვიტა.

ჩხეიძის ქრონიკები:

ქ ~კს : სკთ: აქეთ ყაენმა თფილისი ქალაქი ამოსწყვიტა.

ყანჩეთის გულანი:

ქ ~კს: სკთ: აქა შაშთამაზ ყაენი მოვიდა და ქალაქი ამოსწყვიტა.

ჟამნი N3:

ქ ~კს: სკთ: ამა ქორონიკონსა შაშთამაზ ყაენი მოვიდა და ქალაქი ამოსწყვიტა.

ჟამნი N2:

1548ქ ~კს სლუ : აქა შაჰთამაზ გამოვიდა.

ვახუშტის ქრონიკა:

შირვანი დაიპყრა, მერმე მოვიდა ტფილისი აილო.

კახური კრონიკები:

1551 ქ ~კს: სლთ: შაჰ-თამაზმან შაოქის ციხე (შაქისციხე) დაიჭირა.

1553 ქ ~კს: სმა : შაჰთამაზ ქართლი შემოვლო, ათაბაგი ქაიხოსრო მიეგება, ვარძია, თმოგვი, ვანის ქვაბები, აწყვერი, ასპინძა და სრულიად სამცხის ციხენი აღილო.

ჟამნი N3:

1554 ქ^ეკ^ს: სმბ: (ამა ქორონიკონსა (შა)პთამაზ ყაე(ნი) ქართლსა მოვიდა (ღა) ამოსწევითა ქ^ეყა(ნად) ქართლისა; (მ)ეფე (იმე)რეთს (წა)ვიდა.

1556... შაპთამაზის ძემ ისმაილ ქართლს ჩავიდა, ალაოზრა... ციხენი აღილო.

წერა-კითხ, ხელნ. N204.

1557 (ანუ 1558) ქ^ეკ^ს: სმე: (ანუ სმკ) აქა შაპთამაზ ჩადგა ქართლს და სომხითს და ალაოზრა სრულად ვევთამდის [ქორდანი 1897: 385-398].

ამ ლაშქრობების დროს შაპ-თამაზმა უამრავი ტყვე გაიყვანა საქართველოდან: 1541 წელს აიღო თბილისი და ქართლის მეფის ადგილსამყოფელი გახდა გორი, 1546 წელს მეორედ შემოესია ქართლს, ჯავახეთიდან მივიდა სამცხეს, სამცხიდან გაუშვა ქართლს თარეშები, რომელთაც მოაოხრეს სოფლები და წაიყვანეს მრავალი ტყვე; 1551 წელს მოვიდა ჯავახეთს, მოაოხრა ქვეყანა, შემოადგა ვარძიას, აიღო ის, ტყვედ წაიყვანა თაყალები, მეომარნი, ბერები, შემდეგ გადავიდა სამცხეს და იქიდან გაილაშქრა შიდა ქართლზე; 1554 წელს აიღო თბილისი, ატენის ციხიდან გამოიყვანა ლუარსაბ მეფის დედა, წაასხა ქართლიდან 30 ათასი ტყვე [კაკაბაძე 1922: 11-14].

როგორც ვხედავთ, შაპ-თამაზის ლაშქრობებმა მძიმე დარტყმა მიაყენა სამცხე-ჯავახეთს, თბილისსა და შიდა ქართლს.

შაპ-თამაზის ლაშქრობებს მოჰყვა სხვა დაპყრობითი შემოსევები საქართველოში და 1606 წელს უკვე შაპ-აბას პირველი შემოდის ლორეში, იკავებს დმანისს, მდინარე ალგეთს გადმოდის და იღებს თბილისს. ამ დროისთვის და მანამდეც 1603 წელს ერევნის აღების დროს გაიყვანა მან ტყვეების ღიდი ნაწილი, მათ შორის სამცხიდან და თბილისიდან.

შაპ-აბასის შემოსევების დროს ქართველთა გასახლების შესახებაც, სამწუხაროდ, ქართული წყაროები საკმაოდ მწირ ინფორმაციას გვაწვდიან როგორც მათი თავდაპირველი საცხოვრისის, ისე მათი ჩასახლების ადგილის შესახებ.

ახალ „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც შეიქმნა XVIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, დაცულია ცნობა ბაგრატ მეფის დროს შაპ-აბასის მიერ კახეთის აოხრების შესახებ:

„...წარვიდა და ჩავლო კახეთი და ამოსწევტა. და წავიდა და მოაოზრა, და სხუანი აჰყარნა და თანა წაასხნა. და რომელნიმე ლეკთა ამოსწევტეს და დაატყუევეს და რომელნიმე მორჩეს თუშეთს, ფშავს და ვევსურეთს, და სხუანი ააოზრეს და ამოსწევტეს, და რაც-ოღენნი შეიპყრეს, ცოლშვილიანად აჰყარეს და წაასხეს რომელიმე ფერიასა, რომელნიმე ახლანან თანა აწცა წინამძღოლ-მეთოფედ და არიან დღეინდელად დღედმდე მეთოფედ, წინა უძლეუბიან ყაენსა“ [ყაუხჩიშვილი (ბერი იგნატაშვილი), 1959: 401].

გადასახლების შესახებ წერს ვახუშტი ბაგრატიონიც:

1616 ტდ – (თათრ. ჩკდ). თეიმურაზ კახეთი დაიჭირა. შააბაზ მოვიდა ტფილისს, დაუთხანის ძე ბაგრატ მეფედ დასვა, გაბრუნდა, კახეთი აჰყარა, წარიყვანა სრულიად, თეიმურაზ იმერეთს წარვიდა [ბატონიშვილი 1913: 375].

„შემდგომად დაუტევა ფეიქარხან სპითა კახეთს და თვთ წარვიდა და წარიყვან-
ნა აყრილნი კახნი ტყუედ და დასხნა რომელნიმე მახანდარას, ხუარასანს და ფერიას
(რომელნი უძლოდენ ძეთა მისთა ჯგაზაირჩად)“ [ბატონი შვილი 1973: 589].

ცნობას კახეთის აოხრების შესახებ გადმოგვცემს „წიგნი ქორონიკონნი“:

-ქკ ~ სა :ტბ: (1614 წ.) მოვიდა შაა-ბაზ ყეენი ასაოხრებლად. ბატონმა თეიმურაზ
თავისი დედა ქეთევან დედოფალი და ორი მისი შვილი ალექსანდრე და ლევან წინ
მიაგება... შააბაზ ყეენმა კახეთი წაახდინა და აჰყარა და ფერიას გადასახნა. მერმე
ქართლს მოვიდა ლუარსაბ მეფე იმერეთილამ, გადმოიყვანა და თან წაიყვანა.

1613 წელს „ქკ ~ ს ტ: აქა მოვიდა შაჰ-აბას ყაენი. ბატონი თეიმურაზ იმერეთს
მორჩა და ბატონი ლუარსაბ თან წაიტანა. კახეთი ამოავლო და ქართლი ბატონს ბავრატ
მეფეს უბოძა და ისე ქსნის ერისთავად დასო³ [ქუათახევის გულანი, ქ ~ კბი, II, 440].

ამას ჟამსა ოდენ შააბას ყაენმან კახეთი და ქართლი ალაოურა და ქართლის ბატონ-
ნები ორნივე ლიხთ მთას აქათ გადმოვიდნენ და ჩვენ ვიხიხნეთ...“ [სვეტი ცხოვე-
ლის საქადაგო ხატის 1615წ. ახ. დროის წარწერა. ქკ ~ II, 441].

1615 ქ ~ ს : ტგ: შაჰაბაზ განჯას მოვიდა, თეიმურაზ[მან] დედა და ძენი წარუვ-
ლინა და ალიყული ხანის გაქცევას უკან შემოვიდა კახეთს და ქართლს. ლუარსაბ
და თეიმურაზ იმერეთს წავიდნენ, მერმე ლუარსაბ მეფე წარიყვანა (კახ. ქრონ).

1616 ქ ~ სკსა: ტდ: აქა ბატონმა თეიმურაზ გაიმარჯვა ყიზილბაშზედა (ყანჩე-
თის გულანი).

თეიმურაზ კახეთი დაიჭირა. შაჰაბაზ მოვიდა ტფილისს, დაუთხანის ძე ბავრატ
მეფედ დასვა, გაბრუნდა, კახეთი აჰყარა, წარიყვანა სრულიად, თეიმურაზ იმერეთს
წარვიდა (კახ.ქრ).

–ყაენი მოვიდა, ალაოხრა კახეთი, აღილო ციხე თორვა, დასწვნა ხატნი და ჯვარ-
ნი და წმინდა გიორგი ალავერდისა (ჩხეიძის ქრ.).

[ქორღანია, ქრონიკები, 1897: 441].

„ამოწყვიტა“, „ამოავლო“, „ალაოურა“, „აჰყარა და თანა წაასხნა“...

უცნაურია, მაგრამ ამ ზოგად რიტორიკას არ სცილდება ქართული წყაროები, ქარ-
თლის ცხოვრება, თითქოს ამ ფრაზების იქით არ იყოს ერის ისტორიის ტკივილიანი
ფურცლები, თითქოს არაფერი იყო, უფრო სწორად, ჩვეული იყო ასეთი ხვედრის
მქონე ერისთვის მსგავსი განსაცდელი⁴.

3. ამ ცნობას ივანე ჯავახიშვილის შენიშვნა ერთვის: „სხვა წყაროებში ეს ამბავი 1614 წ. ქვეშე
იხსენიება.“

4. სწორედ ამის გამო არა გვაქვს არანაირი პირდაპირი ინფორმაცია გადასახლებულთა
თავდაპირველი საცხოვრისის, სოფლების სახელწოდებების, გადასახლებულთა რიცხვის
შესახებ. არსად არაა მოხსენიებული მათი გვარები. შედარებისათვის გერმანული კოლონიების
შესახებ, რომლებიც გვიანი შუა საუკუნეებიდან იქმნებოდა მსოფლიოს თითქმის ყველა
კონტინენტზე, უზუსტესი საეკლესიო და საკანცელარიო ჩანაწერები არსებობს. ამიტომ
ფერეიდნული ენობრივი კუნძულის შესწავლა გაცილებით რთულია და ფაქტების
არარსებობის გამო ბევრი მოვლენის მხოლოდ სავარაუდო რეკონსტრუქციას შესაძლებელი.

ზაქარია ჭიჭინაძე, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ქართლის ცხოვრების სწორედ ამ მწირ ინფორმაციას მიიჩნევს იმის მიზეზად, რომ ქართველებს გადაავიწყდათ სპარსეთში გადასახლებული თავიანთი მოძმენი:

„ესენი დაიკარგნენ თავიანთ ქვეყნისთვის და დაივიწყეს მათ საქართველო, ქართველი ხალხი და ხსოვნა, აგრეთვე ჩვენ მოგვივიდა და ჩვენც მიგვავიწყდნენ იგინი, მიგვავიწყდნენ მიტომ, რადგანაც მათ შესახებ ჩვენი ძველი ისტორია სულ მცირედ გარდმოგვცემს; მთელი „ქართლის ცხოვრება“ ცარიელია ამის შესახებ ცნობებით და თუ არის სადმე რამ მოხსენებული, ისიც ორი სამი სიტყვით ასე: „შაჰაბაზი მოვიდა, კახეთი აჰყარა და სპარსეთში გადასახლდა“. ეს არის, მორჩა, მოისვენა, ამით გათავდა საქმე“ [ჭიჭინაძე 1907:16].

საიდან აჰყარეს? როგორ? როდის? სად ჩაასახლეს? – პასუხები ამ კითხვებზე წყაროებში მწირია და არაერთგვაროვანი. აყრის ადგილად ძირითადად სახელდება კახეთი.

როდესაც კახეთიდან მოსახლეობის გადასახლებაზეა საუბარი, სამწუხაროდ, ბევრი წარმოიდგენს ხოლმე დღევანდელ ვითარებას, ერთმანეთში ირევა კახეთის რეგიონის თანამედროვე ადმინისტრაციული საზღვრები და შუა საუკუნეების კახეთის სამეფოში მოქცეული ტერიტორია, რომელიც გაცილებით დიდი იყო.

XVI საუკუნის მიწურულს კახეთის სამეფოში შედიოდა არაგვის საერისთავო, კახეთ-კუხეთი, გაღმა მხარი, კაკი და ელისენი. ამას გარდა კახეთის მეფეს ემორჩილებოდა დაღესტნის მოსაზღვრე ტომები, ანწუხელები და სხვ. კახეთის მეფის მუდმივი ადგილსამყოფელი იყო ქალაქი ზეგამი (შემდგომროინდელი ყარაღაჯი) [კაკაბაძე 1922: 2-3]. 1603 წელს კახეთის სამეფოს გამოეყო არაგვის საერისთავო და დაემორჩილა ქართლის სამეფოს [კაკაბაძე 1922: 46].

შესაბამისად, როცა ვსაუბრობთ კახეთის მოსახლეობის აყრაზე, ბუნებრივია, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ აქ საუბარია საქართველოს გაცილებით დიდ ტერიტორიაზე, ვიდრე დღევანდელი კახეთია.

ასეთი სურათი გვაქვს ქართლთან მიმართებითაც. ქართლის სამეფოს საზღვრები, ისევე როგორც კახეთისა, განსხვავდებოდა დღევანდელი ქართლის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრებისგან. მასში შედიოდა ქართლის უმეტესი ნაწილი, სომხითი, ლორე ბამბაკითურთ. ქართლის დასავლეთი ნაწილი თითქმის გორამდე ეკუთვნოდა იმერეთის მეფეს [კაკაბაძე 1922:2].

1614 წლიდან იწყება შაჰ-აბას პირველის მასშტაბური ლაშქრობები საქართველოზე. 30 ათასი ტყვე შეიპყრეს და გაუყენეს სპარსეთის გზას; 1616 წელს – დატყვევებულ იქნა 100 ათას სულზე მეტი, მარტო კაკ-ენისელიდან თავიანთი სურვილით გადასახლებული 2 ათასი სული. შიდა ქართლიდან აჰყარეს მარტო რუის-სურამის რაიონიდან 500 კაცი [კაკაბაძე 1920: 14].

ამას მოჰყვა შაჰ-აბას პირველის არანაკლებ მძიმე შემოსევები. „მრავალჯერ გამოსცადა საქართველომ აბას I-ის მრისხანების და ვერაგობის მთელი საშინელება, მაგრამ 1614, 1616 და 1623 წ.წ. იყო შემზარავი“ [ჯავახიშვილი 1953: 2].

ივანე ჯავახიშვილი წერს: „...მისი [შაჰ-აბასის] მრისხანება იმდენად ძლიერი იყო, რომ ის საქართველოს აონრებითა და ხოცვა-ჟლეტით არ კმაყოფილდებოდა. მან განადგურებული კახეთიდან 400 000 კომლი მცხოვრები აჰყარა და სპარსეთის სხვა-დასხვა ადგილას დაასახლა, რომელთა ერთი ნაწილი ფერეიდანში ეხლაც შერჩენილა და დედაენაც შენახული აქვთ“ [ჯავახიშვილი 1953: 2].

მისი აზრით, შაჰ-აბას I იმიტომ გადაემტერა საქართველოს, რომ ქართველებმა დახმარება რუსეთის სამეფოს სთხოვეს, თუმცა ამის გვერდით შინაური მტრების „მუხანათურ სისინსაც დიდს ყურადღებას აქცევდა ამბების მოყვარული შაჰი“ [ჯავახიშვილი 1953: 2].

საქართველოს საკითხი შაჰ-აბასის წინაშე ერთი უდიდესი ამოცანათაგანი იყო. ამ საკითხის გადაწყვეტისაგან იყო დამოკიდებული, თუ მომავალში როგორის წარმატებით დაიცავდა თავს ირანი დასავლეთიდან თუ აგრესორთაგან [ბერძენიშვილი 1973: 215].

შაჰ-აბასის მიერ განხორციელებული მასობრივი გადასახლებები გლობალურ მიზნებს ემსახურებოდა:

- სპარსეთის ეკონომიკის გაძლიერებასა და, შესაბამისად, ქართული ეკონომიკის დაუსუსტებას – ამ მიზნით მიჰყავდა მიწათმოქმედები, მეაბრეშუმეები (ცნობილია მის დროს თუთის ხეების ამოღებისა და წაღების ფაქტები ირანში, მაზანდარანში, სადაც საქართველოდან აყრილი ხალხი დაასახლა მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით) [ჟორდანი 1963: 142].
- ვაჭრობის აღორძინებას – გადასახლებულთა შორის იყვნენ ვაჭარ-ხელოსნებიც. ისპაჰანში, ჯურჯის, ანუ ქართველ ქრისტიანთა გარეუბან-ჰასენაბადში. აქ მხოლოდ მთლიანად ქართველი ქრისტიანი ვაჭრები ცხოვრობდნენ, ისინი ცნობილი იყვნენ მთელ მსოფლიოში [ჟორდანი 1962: 176].
- სამხედრო რეფორმის გატარებას – შაჰ-აბასი გადასახლებული მოსახლეობით ავსებდა სპარსულ ჯარს, შექმნა ლოლამთა // ყოლამთა ჯარი (შაჰის პირადი დაცვა, რომელიც ძირითადად შედგებოდა ქართველი ქრისტიანი ტყვეებისგან, დაახლ. 12 ათასი კაცი). ბევრი ყოლამი იმ ქართველთა შთამომავალი იყო, რომელიც შაჰ-თამაზმა გადაასახლა. ქართველები იყვნენ შაჰსევანთა ლაშქარშიც (გადასახლების ამ მიზეზზე თანხმდება ყველა წყარო). შესაბამისად, შაჰ-აბასი მხოლოდ თავისი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდა და რელიგიური და ეთნიკური ნიშნით არ ჰყოფდა ქართველებს დასახლების დროს.
- პოლიტიკური საზღვრების საიმედოდ დაცვა – მან საქართველოდან აჰყარა როგორც ქრისტიანი, ისე ებრაელი და მუსლიმი მოსახლეობა (რაღვან ეს უკანასკნელნი ოსმალთა გავლენის ქვეშ მყოფი შირვანიდან და ყარაბაღიდან იყვნენ გადმოსახლებულნი კახეთში. პოლიტიკური საზღვრების საიმედოდ დაცვა კი შაჰ-აბასის პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო), როგორც ქართველები, ისე სომხები და ქრისტიანი ჩერქეზები საქართველოდან. მისი აზრით, მოსახლეობის რელიგიური და ეთნიკური კუთვნილება მეორეხარისხოვანი ნიშანი იყო,

რომელიც დროთა განმავლობაში, მომდევნო თაობებში, სპარსეთის სწორი პოლიტიკის შედეგად თავისთავად გაქრებოდა. მართლაც, ისპაჰანელი ქრისტიანები სარგებლობდნენ კულტის სრული თავისუფლებით, ჰქონდათ საკუთარი საყდრები [ჟორდანი 1962: 178].

როგორც არაქელ დავრიჟეცი წერს, „შაჰის პოლიტიკამ გაამართლა: „ამგვარი საშუალებით მან მოიგო ქრისტიანთა გული და განაწყო ისინი, რათა დარჩენილიყვნენ სპარსეთში“ [კუცია 1974: 178].

დღეს მართლაც ცხოვრობენ ირანში გადასახლებული ქართველების შთამომავლები. ისინი მუსლიმები არიან, განუყოფელი ნაწილი სპარსული კულტურული სივრცისა, მათი უმრავლესობა მხოლოდ სპარსულენოვანია.

3. შაჰ-აბას პირველისგან ქართველთა აყრისა და გადასახლების მიზეზების ხალხური ახსნა და გადმოცემები

ფერეიდნულ ტექსტებში, რომლებიც ქართულ დიალექტურ კორპუსშია დაცული, არის საყურადღებო ცნობა ქართველთა აყრის მიზეზებზე. ჩვენ აქ მოგვყავს ამონარიდი ამ ტექსტიდან:

ერთ ყორი ყოფილა, დარჟანი, და შაჰ-აბასსა გოვგ ზავნია საქართველონი იმ ყორის ხასთეგარობაზეგა და არ მუუციყე და ექით ადგომილა, ყოშენი შოოყრია და წასულა საქართველონიგა, უშულლიან და რავდენ ქართველი დოოწყეტია და კახეთი გოოსწორებია და რავდენ ქართველიცა, გომოორეკია ირანნიგა და გოორეკია შომალსა. და რავდენიცა, ისპანს შოონახავ, აბას-აბადს, და აბას-აბადსა, რო ქართველები ყოფილან, ისპნელებთან, ჰაი, უშულლიანყე და შაჰ-აბასსა ქართველები მოოორეკია ნაჯაჰაბადს [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

ვინ არის **დარჟანი** და რატომ უკავშირდება მის სახელს ქართველთა გადასახლების ეს ტრაგიკული ამბავი? ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის (1643-1713) ცნობების თანახმად, შაჰ-აბასმა გიორგი სააკაძის წაქეზებით მეფე ლუარსაბს და სთხოვა ცოლად:

„ლუარსაბზე შურის საძიებლად მეჰრუმ უფრო საიმედო საშუალება გამონახა. იგი შეეცადა აბასისათვის ჩაეგონებინა ამ მთავრის დის, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ასულის სიყვარული, რომლის მშვენიერაც სპარსეთის ყველა პოეტის მიერ იყო შექმბული. დღესაც მღერიან სპარსეთში სიმღერებს, რომლებმაც მის სიტურფეს უფრო გაუთქვეს სახელი, ვიდრე რომელიმე მისი თანამედროვისა. ამ სიმღერებში ასახულია მშვენიერი რომანი ამ ქალისა და აბასისა. მისი ნათლობის სახელი დარეჯანი იყო, სპარსელი გადმოცემების მიხედვით კი მას ფარი ჰქვია“ [შარდენი 1975: 304].

ლუარსაბ მეფის დას ქართული წყაროებით ხორეშანი ჰქვია, თუმცა, რამდენიმე უცხოური წყარო მას დარეჯანს უწოდებს.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ძველ ქართულ პრესაში დაბეჭდილმა ნაშრომმა „მოთხრობა სპარსეთისა და საქართველოს არეულობის თაობაზე მ. დე პეისონელისა“ ის პირველად დაიბეჭდა ივერიის 1879 წლის ორ ნომერში (№07–08) მთარგმნელი ს. დ., ხოლო შემდეგ, პარიზში გამოძავალ გაზეთში „ქართული საქმე“ 1946 (N3), მთარგმნელი აკაკი მეუნარგია.

აქაც ავტორი შაჰ-აბასის რისხვის მიზეზად მიიჩნევს დარეჯანს (იგივე ხორეშანი), თეიმურაზის ცოლს. „ეს დარეჯანი ცნობილი იყო ფერი-ს ზედმეტ სახელწოდებით იმ სპარსულ სიმღერებიდან, რომელთაც მის საპატივსაცემოდ მასზე გაგიჟებით შეყვარებული შაჰ-აბაზი თხზავდა“ [მეუნარგია 1946: 5].

„როდესაც თეიმურაზი გამეფდა, შეირთო დარეჯანი, ქართლის მეფის, სიმონის ასული, სპარსულად ფიერად წოდებული და განთქმული შაირებში, რომელიც შაჰ-აბაზმა მის შესამკობად შექმნა. იმასზე დაქორწინებით თეიმურაზმა გაარისხა შაჰ-აბაზი, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა დარეჯანი... სახელ განთქმული დარეჯან ფერია იყო, როგორც ზემოთ ვსთქვით, ქართლის მეფის, სიმონ ხანის ასული და ლუარსაბის და“ [პეისონელი (1754) 1879: 176].

სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ ამ ყველაფრის უკან იდგა სპარსეთში გადახვეწილი გიორგი სააკაძე, რომელმაც ლუარსაბის შურიძიებით ჩააგონა შაჰს ლუარსაბის დის სილამაზე და მანაც სამჯერ გაუგზავნა მოციქულები ლუარსაბს დის ხელისათხოვნელად, თუმცა ლუარსაბმა ისინი უარით გაისტუმრა და სასწრაფოდ შერთო თავისი და მეფე თეიმურაზს.

ნაშრომს ახლავს მთარგმნელის კომენტარი:

„ეს ნაამბობი სრულებით არ ეთანხმება ქართლის ცხოვრებას, ლუარსაბის დას ხვარაში და არა დარეჯანი ერქვა და ის შეირთო თეიმურაზმა შაჰ აბაზის ბრძანებითო. მიზეზი შაჰ-აბაზის შემოსვლისა საქართველოში კონსტანტინეს მოკვლა იყოო. იხ. ქართ. ცხოვრება მერვე ნაწ. გვ.115 მთარგ.“ [პეისონელი (1754) 1879: 176].

მართლაც, ქართლის ცხოვრებაში საუბარია იმაზე, რომ შაჰ-აბასმა ახლად დაქვრივებულ თეიმურაზს მოსთხოვა ლუარსაბის დაზე დაქორწინება. ერთი და მას ჰყავდა ცოლად და სწორედ დანათესავება, დამოყვრება იყო შაჰის ბრძანების მიზანი. იმისთვის, რომ ეს ქორწინება შემდგარიყო, საჭირო გახდა ეკლესიისგან თანხმობა, რადგან ხორეშანი და თეიმურაზი ერთმანეთს ახლო ნათესავებად ერგებოდნენ.

შაჰ-აბასის ლუარსაბის დის მიმართ სიყვარულის ვერსია გვხვდება ცნობილი მოგზაურის პიეტრო დელლა ვალეს წერილშიც პაპ ურბანისადმი. ის შაჰ-აბასის საქართველოში შემოჭრის მიზეზად კახეთის მეფის თეიმურაზისაგან ქართლის მეფის ლუარსაბის დის, ხორეშანის, შერთვას მიიჩნევს:

„რამოდენიმე ხანი ეგრე იმოქმედა სპარსეთის ხელმწიფემ და შემდეგ, თუ არ ვსცდები, 1613 წელსა, უცებ წარემართა უმრავლესის ჯარითა საქართველოზედ. მიზეზად ის აიღო, რომ თეიმურაზმა წაიყვანა ცოლათო, მისი ნება დაურთველად, ლუარსაბის და, ხოროშანიო, რომელიც მას ჰყავდა წინად შეპირებული“ [დელ-ლავალე (1627) 1879: 43].

მთარგმნელი, კი როგორც ვთქვით, კომენტარში მიუთითებს, რომ თეიმურაზმა ხორეშანი შაჰ-აბასის ბრძანებით ითხოვა, შაჰის საქართველოში შემოჭრის მიზეზად კი, ქართლის ცხოვრებაზე დაყრდნობით, კონსტანტინეს მოკვლა მიაჩნია.

ქართლის ცხოვრებაში დადასტურებულ ვერსიას შაჰ-აბასისგან ქართლ-კახეთის აონხრების შესახებ უპირისპირდება სომეხი ისტორიკოსის, არაქელ დავრიჟეცის (თავრიზელის) ცნობაც. მისი თქმით, შაჰ-აბასმა არ აპატია მეფე თეიმურაზს ლუარსაბის დის შერთვა:

„...ლუარსაბმა თავისი და, რომელსაც შაჰი ითხოვდა, თეიმურაზს მისცა ცოლად, რადგანაც მისი პირველი ცოლი გარდაცვლილი იყო. იქვე გადაიხადეს თეიმურაზისა და ლუარსაბის დის ქორწილი, რომელსაც სახელად ფარი ერქვა... იგი [შაჰი] სულით და გულით ღრმად შეურაცხყოფილი დარჩა, რადგან თვითონ რამდენჯერმე ითხოვა ქალი და მისი გულისათვის მრავალრიცხოვანი ჯარით მივიდა, მაგრამ მას არ მისცეს [ლუარაბის და] და თეიმურაზს მიათხოვეს. შაჰმა მოუხმო მოურავს და უთხრა: „ასეთი ჯარით წამოგვიყვანე და აქამდე მოგვიყვანე, მაგრამ ასული, რომელზეც ამბობდი, აი, იხილე, მე არ მომცეს და მისცეს ჩემს მტერს, რომელიც ძნელად თუ გატოლდება ჩემს მსახურთა, სასაცილოდ და სამასხროდ გამხადეს მთელ ქვეყანაზე. თუ არ წამიყვან და არ შემიყვან ქართველთა ქვეყანაში და ჩემს ძალაუფლებას არ დაუშინებ მათ ქვეყანას, იცოდე, რომ ცოცხალი არ გადაშირჩები და ნაკუწ-ნაკუწ იქცევა შენი სხეული“ [კუცია 1974: 24].

ფაქტია, რომ მხოლოდ ქართლის ცხოვრება გვთავაზობს განსხვავებულ ვერსიას. იტალიელი მისიონერებისა და ევროპელი მოგზაურების, ასევე სომეხი ისტორიკოსის, არაქელ დავრიჟეცის ცნობები ყველა ერთგვარია, ისინი შაჰის მრისხანების მიზეზად თეიმურაზ მეფისაგან ლუარსაბის დის შერთვას ასახელებენ. როგორც ჩანს, ხალხშიც არსებობდა რაღაც ამბავი ხორეშან-დარეჯანის შესახებ, ეს ინფორმაცია შემოუნახავს ფერეიდნელ ქართველთა მეხსიერებას.

4. მასობრივი იძულებითი გადასახლებები შაჰ-აბასის შემდეგ

ქართველთა გადასახლებები არც შაჰ-აბასის მეფობის შემდეგ შეწყვეტილა.

1735 წელს ნადირ შაჰმა ქართლ-კახეთში ლაშქრობის შემდეგ ათასობით ტყვე გაიყვანა და დასახლა ხორასნის პროვინციაში [სონლუაშვილი 2005: 78].

ეს ის ნადირ შაჰია, რომლის სამსახურშიც იყვნენ ფერეიდნელი ქართველები. შაჰი მათ ძალიან სწყალობდა, გადასახადებისგანაც გაათავისუფლა ისინი.

ფერეიდნელ ქართველთა ტექსტებიდან:

„ნადერშაჰე აქშარის დოღრაზეგა შიდასი ქართველი, ნადერშაჰე აქშარისა ჰყოლია, თავის სეფაჰჩიგა და იმაშინა, რო აქყანებთან უშუღლია და აქყანები ირანსაყე გოორეკია, დოღჭერია ირანი და ყანდეჰარი და ესები და წასულა ჰენდუსტანი დოღჭერია და რო ანქითყე დაბრუნებულა, მოსულა, ერთ სეფაჰსალარი, რო ელემ ქართველებისა ყოფილა. ემასა ბასქი, რო დელავარი ყოფილა და მოშულარე, მუა და ნადერშაჰე აქშარი, თავის სარდარი რო ასხია, ემ ქართველს წაამასხამს და იტყის, რო შენ ლაიყი ხარ, რო ეს ჩემ სარდარი წამოგასხა, რო შენ ეგეთ დელავარი და ეგეთ მოშულარე კაცი ხარ და ქართველები ეგეთი მოშულარებია და ეგეთ ფორდელეებია და ეგეთ ჯანგჯუები. და ჯუბე გორჯი რო ხუნგს არი, დაიძახიან ჯუბე გორჯი. ამ მამულსა მიჰცემავს ელემ სარდარსა, სეფაჰსალარს, ემ ქართველს, და იტყის, რო ესეც შენ ენაამი იყოს და შენი ყოს ესეცაო და მიჰცემს ამასა, ემაზე დაარქმენ ჯუბე გორჯისა და ამ ქართველისა ყოფილა. ემ ნადერშაჰე აქშარის დოღრაზეგა“ [ქდკ, რეზა ხუციშვილი].

ამ უპირატესობით სარგებლობდნენ ისინი, სანამ ნადირ შაჰი არ მიიცივალა და მისი აღილი არ დაიჭირა ქერიმ ხანმა.

1795 წელს ალა მაჰმად ხანმა ააოხრა თბილისი და ტყვედ წაასხა თბილისისა და მისი შემოგარენის გადარჩენილი მოსახლეობა. 1885 წლის გაზეთ ივერიის N2 ნომერში დაიბეჭდა სტატია „თბილისის აღება ალა მაჰმად ხანისაგან“. სტატიას აქვს შენიშვნა: „ეს მოთხრობა გადმოთარგმნილია ქართულად შემოკლებით სომხურ ჟურნალიდამ „კრუნე ჰაიასტან“ (1863 წ. N XI) ვინმე მდივანოვისაგან და ეკუთვნის გალუსტ შერმაზანოვს. შერმაზანოვს გაუგონია ეს ამბავი ბებუთოვისაგან, რომელიც თავად შაჰის ჯარში ყოფილა და რამდენიმე ათასი კაციისაგან შემდგარი რაზმი ჰბარებია.“

თბილისის უმოწყალო აოხრების სურათი შემზარავია ალა მაჰმად ხანის რაზმის რიგითი მეომრის მოგონებაში:

„ავედით ბანებზედ და ვუყურებდით თბილისის მდგომარეობასა და შესაწყალველი სახილველი გამოგვეხატა თვალწინ, ეკლესიებისა და ნაშენი სახლებისაგან საშინელი გამოძავალი ალი ცეცხლისა, ბოლი და ჯარისაგან დატყვევებულის ტყვეების დაღადი ესოდენ სასტიკი იყო, რომ იტყოდი, მეორედ მოსვლა არისო“ [შერმაზანოვი (1863) 1885: 104].

არანაკლები უბედურება დაატყდა თავს თბილისის შემოგარენს. იმდენად მძიმე სანახავი იყო ეს ყველაფერი, რომ თავად შაჰის ჯარის მეზობლი გრძნობს უპატიებელ სინდისის ქენჯნას, სირცხვილს ამის გამო:

„საჭმელის ნაკლებობისათვის ვავედით თბილისიდან არა თუ ვითარცა მძლე-ველნი მხედრობანი, არამედ ვითარცა დედაკაცნი. არ იყო ბანაკი და იყო დედაკაცთ სამყოფი. იტყოდი რომ თუ ბანაკში უმეტესნი დედა-კაცნი და ყმაწვილნი იყვნენ, ვიდრე რომ მხედარნი და არა თუ მარტო თბილისი, არამედ მისი გარშემო (თემი) უბედურად გახადეს“ [შერმაზანოვი (1963) 1885: 105].

ამ ბრძოლის შემდეგ ერეკლე მეფემ მაინც შეძლო გამოეყვინა ტყვეთა ნაწილი, რომლებიც განჯაში დატოვა ალა მაჰმად ხანმა და აწარმოებდა მოლაპარაკებებს და-ნარჩენების დაბრუნების შესახებ, თუმცა უშედეგოდ [ბაგრატიონი 1891: 1].

ქართულ დიპლექტურ კორპუსში დაცულ ფერეიდნულ ტექსტებში გვაქვს საინ-ტერესო ინფორმაცია მათ შესახებ – ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვი-ლი) მიიჩნევს, რომ იმ დროს გამოყვანილი ქართველები ქალაქ მეშქედთან ახლოს დასახლეს, თუმცა ამ ცნობის წყაროს ვერ ასახელებს:

„მეშედშინაყე ქართველები მაჰმათ ხანის, ალა მაჰმათ ხანის დროს იყო, იქაც ბევრ ქართველი ჩამოიდა ირანში, დარჩა, მაგრამ ხო ქართველი აღარ იქნა, დაკარ-გულა“ [ქდკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)].

5. შუა საუკუნეების უცხოური ისტორიული წყაროები ქართული მიგრაციებისა და დასახლებების შესახებ სპარსეთში

საქართველოდან სპარსეთში იძულებით გადასახლებულთა შესახებ ინფორმაცია გვხვდება სპარსულ, სომხურ, ებრაულ წყაროებში. ქართული კოლონიები დაფიქ-სირებულია ირანის სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ფერეიდანში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთადერთი რეგიონია, სადაც ქართველთა ჩასახლების ფაქტის, მისი სავარაუდო დროის შესახებ არც ერთი ისტორიული დოკუმენტი არ მოგვეპო-ვება.

ამის შესახებ დუმს შაჰ-აბასის ისტორიკოსი, **ისქანდერ მუნშიც**, რომელიც თან ახლდა შაჰ-აბას I-ს საქართველოში რამდენიმე ლაშქრობის დროს. მისი თხზულება: „თარიხ-ე ალამ-არა-ჲე აბასი (ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია)“ მნიშ-ვნელოვანი წყაროა XVI საუკუნისა და XVII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. იგი აღწერს კახეთიდან, ერწო-თიანეთიდან, ქართლი-დან ქართველთა აყრისა და სპარსეთში გადასახლების ამბავს. კახეთიდან ქართლში გადასასვლელად სპარსულმა ჯარმა ბორბალოს მთამდე ააღწია, ივრისა და ალაზნის შესართავამდე. დაარბია თორღვას ციხე...

ისქანდერ მუნშიცის წიგნში პირდაპირ თავებადაა გამოყოფილი ქართველთა რბევი-სა და ტყვედ წაყვანის ფაქტები:

თხრობა ამირგუენე-ხანისა და ამირების ყარაჯა არდაჰანზე წასვლისა და იმ ველიეთის ქართველთა დარბევისა და გაძარცვის შესახებ: „ვიზილბაშთა ძლევაძლოსილი ლაშქარი ქართველთა ქვეყანაში შევიდა და იმ მხარეს ... რბევისა და ძარცვის ცეცხლი წაუკიდა.“ მრავალი ურწმუნო ქართველი ქალი და ბავშვი დაატყვევეს და ის ქვეყანა სრულიად ამოაგდეს“ [ფუთურიძე 1969: 73-74].

აქ საუბარია სამცხის, კერძოდ, ახალციხის რეგიონიდან ქართველთა აყრის შესახებ.

ისქანდერ მუნში საქართველოდან დიდი აყრის ამბებს უკავშირებს შაჰ-აბასის პირველ (1614) და მეორე (1616) შემოსევებს:

თხრობა ჯიქის წლის ამბებისა. რომელიც შეესატყვევებდა ათას ოცდასამ, ნაწილობრივ ათას ოცდაოთხ წელს (1614) და რომელიც არის ღვთის ჩრდილის, აბასის ტახტზე ასვლის ოცდამეორე წელი: „რათა დაესაჯა ერწოსა და თიანეთის, კახეთის ერთ-ერთი მხარის ხალხი... განრისხებულმა შაჰმა ნება მისცა ძლევაძოსილი ლაშქარს დაერბია, აეკლო და დაეტყვევნა ის ორი ოლქი. [ვიზილბაშებიც] ცალცალკე რაზმებად შევიდნენ ტყეებსა და ტევრებში და ოცდაათი ათასამდე ტყვე და ორმოცი ათასამდე ხარი, ძროხა და ცხვარი იშოვეს“ [ფუთურიძე 1969: 87-88].

ისტორიკოსი ამ ლაშქრობის დროს ქართლიდან მოსახლეობის აყრის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას:

„...ამ დროს დიდებული კარის მსახურთ (ე.ი. შაჰს მოახსენებს, რომ იმ მხარეში არის უს-ად⁶ (ოსერი?)⁶ წოდებული ერთი ვილაიეთი, რომლის მცხოვრებნი ქრისტეს – მშვიდობა მასზე! – რჯულის [მიმდევარი] ურწმუნონი არიან და თუშცა ბაში-აჩუკის⁷ ქვეშევრდომად ითვლებიან, მაგრამ გზების სიძნელის, იქაური ადგილების და იალბუზთან გადაბმული მთების [დიდი] სიმაღლის გამო [მთების], რომლის ჰაერში მხოლოდ ოცნების ფრთებით შეუძლია ფრენა წარმოსახვითს ფრინველს და თვალთახედვის მალუმსრბოლი ისარიც ვერ ძლებს გადაიაროს მისი დიდი სივრცე“ გაამაყებულნი და დაიმედებულნი [მეფესაც არ ემორჩლებოდნენო. შაჰმა გადაწყვიტა საღვთო ომი...

დაახლოებით 500 კაცი ტყვედ წაიყვანეს და ორი ათასამდე ძროხა და ხარი და ცხვარი ხელში ჩაიგდეს“ [ფუთურიძე 1969: 89-90].

ისქანდერ მუნში საქართველოდან არაქართული მოსახლეობის აყრის შესახებაც გვაძლევს ცნობებს:

„სხვა ამბებიდან [ალვნიშნავთ] იმას, რომ რადგანაც არეულობის დღეებში მრავალი შირვანელი და ყარაბაღელი ქვეშევრდომი გადავიდა კახეთში, იქ შეაფარა

5. სქოლიოში მითითებულია, რომ მარი ბროსე ამ სახელს კითხულობს რუისად.

6. წიგნში კითხვის ნიშნით არის მოცემული ეს ფორმა.

7. იგულისხმება იმერეთის სამეფო.

თავი და დასახლდა, იქაურმა მეფემ ალექსანდრე-ხანმაც ისინი შეინახა და უკანასკნელ დრომდე იმ ვილაიეთში იმყოფებოდნენ, – ამიტომ გამოვიდა უავგუსტოესი ბრძანებულება, რომ ვინაიდან ის ხალხი საქართველოს მკვიდრი ქვეშევრდომები არ არიან, ამიტომ ყველა მუსლიმანი, ებრაელი, სომეხი აიყაროს და სამთხისებურ მაზნდარანში წავიღეს; აგრეთვე ის შირვანელები, და ყარაბაღელები და იქაური ელები და თიმახები, რომელნიც ოსმალებს ემსახურებოდნენ ან მათ დაუკავშირდნენ და გაღუქები⁸ და თანამდებობები მიიღეს, აპყარონ და მაზნდარანში გადაასახლონ, რადგანაც სანდო არ არიან და მათი ამ საზღვარზე ყოფნა ძლევამოსილი სახელმწიფოსათვის (ირანისათვის) კარგი არ არის... 15 ათასამდე ოჯახი წავიდა ფარაჰბადში და ამ გადასახლებით ის ვილაიეთიც დასახლებული შეიქნა და მათაც სამაგიერო მიეზღათ ორგულობისათვის“ [ფუთურიძე 1969: 94].

ისქანდერ მუნში ქართველთა დარბევისა და საცხოვრებლიდან აყრის ამბავს გადმოგვცემს 1616 წლის ამბებში:

მისი უდიდებულესობის გალაშქრება საღვთო ომით საქართველოზე და იმ ურჯულოების დაცვა: „რადგანაც ღვთის განგებით გადაწყვეტილი იყო კახეთის ვილაიეთის დანგრევა, იქაურ ურწმუნოთა გაწყვეტა და ისლამის გამშენიერება, იმ ურჯულოთა ასი ათასზე მეტი ქალისა და ბავშვის გამოყვანა... ამიტომ შაჰმა მტკიცედ გადასწყვიტა საქართველოზე გალაშქრება და იქაურ ურჯულოთა დაქცევა“ [ფუთურიძე 1969: 102].

შაჰ-აბასის ლაშქარმა მიწასთან გაასწორა კახეთი, როგორც ისტორიკოსი წერს, რაც კახეთის ქრისტიანებს თავს დაატყდათ, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან აქამდე:

„მოკლულთა რიცხვი სამოც-სამოცდაათ ათასს სჭარბობდა. ზოლეიხას სილამაზის მქონე ლამაზი ქალწულები, უწვერული იოსების (მშვენიერის) ღაწვებიანი, ხალებით დამშენებული [ვაჟები] და სხვანი და ბავშვები, რომლებიც გატარებულ იქნენ მისი უავგუსტოესობის წინაშე, ასი ათასზე მეტი იქნა აღწერილი. მაგრამ ამ სტრიქონის დამწერის აზრით, ოცდაათი ათასი კიდევ სხვა კუთხესა და კიდეში იქნა ტყვედ დაჭერილი, რომლებიც დროის უქონლობის გამო არ ყოფილან აღრიცხული“ [ფუთურიძე 1969: 107].

„ეი ზილბაშთა ლაშქარი გადავიდა ქიზიყს, ააწიოკეს, დაატყვევეს გაწმინდეს ქიზიყის ვილაიეთი. ამ ლაშქრობის დროს 10 ათასამდე კარგი ვაჟკაცი, რჩეული ქარ-

8. გაღუქი ანუ გადიქი მიწით შეწყალების ერთ-ერთი სახე იყო. ეძლეოდა ციხე-სიმაგრეთა უფროსებს მათი სამსახურის სამუფქოდ [ფუთურიძე, ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, 1969, გვ.94.

თველი, რომელთაც პირველად თავი დაიცვეს და ტყვედ არ ჩაცვენილან, ახლა დიდი თოვლის გამო ტყვედ ჩაუვარდნენ მტერს... ქართული მოსახლეობიდან ამ მხარეში აღარვინ დარჩა“ [ფუთურიძე 1969: 109].

„შეებრძოლნენ ზეგამელი ქრისტიანებიც, მაგრამ ვერ გაუმკლავდნენ და მიწასთან გაასწორეს ზეგამი, ... კვალიც კი არ დატოვეს მოსახლეობის“ [ფუთურიძე 1969: 106].

„ენისელების ტომის ერთი ჯგუფი და გუნდი ქართველებისა, რომლებიც ზაგემსა და იმ სანახებში იმყოფებოდნენ, რიცხვით 2-3 ათასი ოჯახი, დახოცვისა და დატყვევება-დარბევის შიშით გადასახლებაზე დათანხმდა და „უვნებლობის სახელში“ – მაზნდარანში წასვლა განიზრახა, [შაჰის] გარდაუვალი ბრძანების თანახმად მათი შევიწროება შეწყვიტეს და ისინი იმ მხარეს წავიდნენ, მშვიდობით მიაღწიეს ფარაჰბადს და იქ დადგნენ“ [ფუთურიძე 1969: 110].

ნიშანდობლივია ისქანდერ მუნშის განწყობის გამომხატველი ფრაზა, რომელიც მან აყვავებული და მშვენიერი გრემის დანახვისას თქვა: „ქვეყანა საყრობილეთა მორწმუნეთათვის და სამოთხეთა ურწმუნოთათვის“ [ფუთურიძე 1969: 85]; სწორედ ეს მიწიერი სამოთხე ვერ აპატიეს ქართველებს ყიზილბაშებმა და მიწასთან გაასწორეს ქვეყანა.

გადასახლებულ ქართველებზე ცნობებს გვაწვდის არაქელ დავრიჟეცი, სომეხი ისტორიკოსი, შაჰის ლაშქრობებიდან დაახლოებით 30 წლის შემდეგ. მას საყურადღებო ინფორმაცია აქვს სპარსეთს ჩასახლებული ქართველთა შესახებ, მისი თქმით, შაჰმა ქართველები სომხებთან ერთად ჩაასახლა ისპაჰანის მახლობლად ცივ სოფლებში.

არაქელ დავრიჟეცი, იგივე არაქელ თავრიზელი (1595-1669), სომეხი ისტორიკოსი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს თავის „ისტორიათა წიგნში“ საქართველოში შაჰ-აბასის შემოსევების საკითხს. მისი ნაშრომი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა შუა საუკუნეების საქართველოსა და ქართული მოსახლეობის იძულებითი გადასახლების საკითხების შესწავლისას.

როგორც აღვნიშნეთ, არაქელ დავრიჟეცი საქართველოში შაჰ-აბასის შემოჭრას უკავშირებს ლუარსაბ მეფის დის, ხორეშანის სიყვარულს, რომელიც თეიმურაზ მეფეს მიათხოვეს, თუმცა გაცილებით ღრმად ანალიზებს შაჰის დამპყრობლურ პოლიტიკასა და მოსახლეობის კავკასიიდან სპარსეთში გადასახლების მიზეზებს. მისი აზრით, ტყვეების გაყვანა ამიერკავკასიიდან მიზნად ისახავდა სომხეთისა და საქართველოს ეკონომიურად დასუსტებას, ამ ქვეყნების სამხედრო პოტენციალის დაქვეითებას, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთრივ სპარსეთის სოფლის მეურნეობისა და ხელოვნობა-ვაჭრობის აღმავლობა-განვითარებას [კუცია 1974: 6].

მისი ცნობით, პირველი შემოსევისას, შაჰ-აბასი 50 დღე დარჩა თავის ჯართან ერთად და შემდეგ წავიდა აქედან და საშინელება შეამთხვია ქვეყანას:

„იქ ყოფნის დღეებში სპარსელთა ნამოქმედარს ვერც პირი იტყვის და ვერც ენა აღწერს. გონებით მოისაზრე და გაიგებ თუ რამდენი უტეხი ქრისტიანი მახვილით

დააშავეს, დაჭრეს და დახოცეს, უდანაშაულონი ტყვედ წაასხეს და შეურაცხვევს, ქონება და სიმდიდრე მიიტაცეს, ნაგებობანი ცეცხლს მისცეს და დაანგრის. ეკლესიები გაძარცვეს, საკურთხეველები და წმინდა ჯვრის გამოსახულებები დაამხეს. დატყვევებულებნი თავისთან ჰყავდათ ბანაკში და სხვადასხვა სატანჯველით აწამებდნენ, სიცივითა და სიშიშვლით, შიმშილით და წყურვილით და სხვა მრავალი ხერხით“ [კუცია 1974: 27].

არაქელ დავრიჟეცი აღნიშნავს, რომ შაჰმა თავისი ცბიერი პოლიტიკით მოატყუა კახეთის მოსახლეობა, ხელშეუხებლობას შეჰპირდა, თუ გახიზნულები დაბრუნდებოდნენ და შაჰსეყანებად ჩაეწერებოდნენ. ბევრი მომავლის შიშით, ბევრი ტყვეობის შიშით, ბევრი უნებისყოფობით მოტყუვდა და შაჰსეყანად ჩაეწერა. შაჰის ბრძანებით, დააბინავეს და აღწერეს ეს ოჯახები, თუმცა კახელებმა მალე დაინახეს როგორ მოტყუვდნენ:

„კახეთისა და გრემის მოსახლეობა მოისპო, ნაწილი მახვილით, ნაწილი წარტყვევებით და ვინც გადარჩა და შაჰსეყანად ჩაეწერა, მათ შესახებ შაჰმა ბრძანა, რომ ყველანი საზღვარზე გაეყვანათ და სპარსეთში გადაესახლებინათ. ამ საქმის აღმასრულებლად შაჰმა დანიშნა დიდებულები და ჯარი. წინანდელი საბუთებისა და ნუსხების საფუძველზე, ბრძანა, რომ ყველანი საზღვარზე გაეყვანათ და სპარსეთში გადაესახლებინათ... ყველა ისინი ოჯახებითა და ქონებით აყარეს მათი ადგილებიდან. ყველა, ვისაც აყრიდნენ, მოჰყავდათ და აგროვებდნენ მდინარე მტკვრის ნაპირას, ადგილზე, რომელსაც ეწოდება ლაზირინი, რადგან იქ აირჩიეს ბანაკის ადგილი. ასე იქცეოდნენ, სანამ ყველა შაჰსეყანად ჩაწერილი არ აყარეს“ [კუცია 1974: 34].

ასევე მოექცა შაჰ-აბასი ქართლის მოსახლეობას, მათაც მოუწოდა დაბრუნებულიყვნენ, ხელი მოეკიდათ მეურნეობისათვის, დააჯერა, რომ საფრთხე არ ემუქრებოდათ და დაჰპირდა, რომ ლუარსაბ მეფის დაბრუნების შემდეგ თვითონ სპარსეთში წავიდოდა. თუ ლუარსაბი არ დაბრუნდებოდა, მოურავს დაუტოვებდა ქართლს და ისე წავიდოდა.

ქართლებიც მოტყუვდნენ, დაბრუნდნენ სოფლებში და სპარსულ ჯარს სურსათ-სანოვავის პრობლემა აღარ ჰქონდა, თუმცა კახეთის მოსახლეობის ბედი გაიზიარეს ბოლოს:

„ჩვენ უკვე ვიამბეთ, თუ როგორ მოექცა შაჰი იმ ხალხს, ვინც შაჰსეყანად ჩაეწერა თეიმურაზის ქვეყანაში. ისევე მოექცა მათ, ვინც შაჰსეყენი გახდა ლუარსაბის ქვეყანაში. რადგან [შაჰმა] მათაც მიუჩინა ჯარი და სარდლები, რომლებმაც წინანდელი ჩანაწერებისა და ნუსხების საფუძველზე აყარეს ხალხი საცხოვრებლებიდან, წაასხეს და გადაასახლეს სპარსეთში“ [კუცია 1974: 36].

როგორც ვხედავთ, არაქელ დავრიჟეცი საუბრობს ქართველ მიგრანტთა ორ ნაკადზე, რომელთაგანაც ერთისთვის — კახეთიდან აყრილი მოსახლეობისათვის, ჯერ თავი

მოყვრიათ მდინარე მტკვრის სანაპიროსთან, შემდეგ წაუყვანიათ ყაზვინში, ხოლო იქიდან მაზანდარანის ქ. ფაჰრაბადში // ფერაჰაბადში. ამ ქალაქში დაუტოვებიათ აყრილი მოსახლეობა, ხოლო დიდი ნაწილი გაუფანტავთ ფაჰრაბადის ირგვლივ სოფლებში...

გადასახლებულები იყვნენ როგორც ქართველები, ისე სომხები, მაჰმადიანებიც და ებრაელებიც. მისი თქმით, ცუდი კლიმატური პირობების გამო ბევრი მათგანი მოკვდა და „ათიდან ერთი თუ გადარჩა ცოცხალი“ [კუცია 1974: 35].

ლტოლვილთა ეს მეორე ნაკადი – ქართლიდან აყრილები კი, მისივე ცნობით, გარეკეს სპარსეთისაკენ, მაგრამ ფაჰრაბადის (ფერაჰაბადის) ნაცვლად ქართლის მცხოვრებნი მიიყვანეს ისპაჰანს და საცხოვრებლად მისცეს ის მიდამოები, სადაც უკვე ცხოვრობდნენ სომხები:

„ეს ხალხი, რომელიც ქართლის ქვეყნიდან იყო, ფაჰრაბადში კი არ წაიყვანეს, არამედ ისფაჰანში წაიყვანეს და ისპაჰანის ზემოთა სოფლებში დაასახლეს, სადაც სომხებიც იყვნენ დასახლებულნი... იმ დროს, როცა ქართველები ახლად მოყვანილი იყვნენ ისფაჰანში, მათგან გამოყვეს ერთი ნაწილი, წაასხეს და წაიყვანეს შირაზის ოლქში და ქვეყანაში, რომელსაც ასუფას უწოდებენ, სადაც ისინი ასევე ამოწყდნენ სხვადასხვა მიზეზის გამო, გადარჩენილები კი ყველანი უკლებლივ ეზიარნენ მაჰმადის ურჯულო რჯულს“ [კუცია 1974: 36].

არაქელ დავრიჟეცი „ისტორიათა წიგნში“ არ იფარგლება მხოლოდ ფაქტების მშრალი აღწერით, მის ნაშრომში არის ემოციური შეფასებებიც და კომენტარებიც. კარგად ჩანს ის ტკივილი, რასაც განიცდის ტრაგიკული მოვლენების აღწერისას:

„ზოგიერთი აქებს შაჰს, რომ ქრისტიანების მოყვარე ქვეყნის აღმშენებელი და მშვიდობის მთესველი ხელმწიფე იყო, მაგრამ აი ესა მისი ქრისტიანების სიყვარული. ქრისტიანთა ყველა ქვეყანა, სომხეთი და საქართველო ააოხრა და ყველა ამოსწყვიტა მახვილით, შიმშილით და ტყვეობით. ცოცხლად დარჩენილები კი წაასხა და დაასახლა ფაჰრაბადსა და ისფაჰანში, სადაც დღითი-დღე სჭობდნენ მათ სხვადასხვა ხერხით, ვისაც მისი ქება სურს, ჯერ ნახოს და შეიტყოს მისი ნამოქმედარი საქმეები, რომელიც შეემთხვა ქრისტიანებს და შემდეგ აქოს იგი“ [კუცია 1974: 35].

ცნობილმა იაპონელმა ისტორიკოსმა **ჰიროტაკე მაედამ** კონკრეტული კვლევა უძღვნა კავკასიის მოსახლეობის მიგრაციებს სეფიანთა პერიოდში. მან ისქანდერ მუნშისა და ფაზლი ხუზანის წყაროებზე დაყრდნობით ქრონოლოგიურად წარმოადგინა კავკასიიდან მიგრაციის თითოეული ტალღის საწყისი და ბოლო პუნქტი. ქრონოლოგიურად გამოყო გადასახლების რამდენიმე ეტაპი, ასევე ამ მიგრაციასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ფაქტები:

1. 1022-1023 / 1613-1614 (27) – საქართველოს მოსახლეობა, შირვანელები და განჯელები გადასახლეს ფარაჰაბადს;

2. 1023-1024 / 1614-1615 (28) – შაკ-აბასმა დაიწყო ორ ქართულ სამეფოში დამსჯელი ექსპედიცია, რომლის შედეგადაც ჩერქეზები და ქართველები გადაიყვანეს ერავში და საბოლოოდ ფარსში.
3. 1025-1026 / 1616-1617 (30) – ამოხოცეს კახეთის მოსახლეობა, ქართველები, ანილები და ებრაელები გადაასახლეს მაზანდარანში.
4. 1026-1027 / 1617-1618 (31) – ხორნაბუჯის გარნიზონი ნაწილობრივ გადაიყვანეს მაზანდარანში.
5. 1030-1031 / 1621-1622 (35) – ფერეიდნის ქრისტიან მოსახლეობას იძულებით შეუცვალეს რჯული.
6. 1034-1035 / 1625-1626 (39) – ებრაელებს, ქართველებსა და სომხებს დაურიგეს სახელმწიფო მიწები [მაედა 2004: 260-261].

ისტორიული წყაროები შაკ-აბასის მიერ ქართველების გადასახლების სხვადასხვა დროს ასახელებენ:

ქართველთა აყრას შაკ-აბასის პირველ შემოსევას უკავშირებს **პიეტრო დელა ვალე**:

„რამოდენიმე ხანი ეგრე იმოქმედა სპარსეთის ხელმწიფემ და შემდეგ, თუ არ ვსცდები, 1613 წელსა, უცებ წარემართა უმძლავრესი ჯარითა საქართველოზედ ... მან მსწრაფლად მოაცილა მთელი ხალხი თავის სახლ-კარს და ძალით წაიყვანა თან. ადვილად წარმოსადგენია რა არეულობა იქმნებოდა მთელ ქვეყნის ხალხის გადასახლების დროს“ [დელლავალე⁹ (1627) 1879: 42-43, 47].

არაქელ დავრიჟეცი ქართველთა მასობრივ აყრას ასევე პირველ შემოსევას უკავშირებს:

„1613 წელს შაკ-აბას პირველი წავიდა, [დაიპყრო] საქართველო და ტყვეები წაიყვანა“ [კუცია 1974: 55].

ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბაგრატიონი 1616 წელს ასახელებენ დიდი გადასახლების პერიოდს. რაც შეეხება ისქანდერ მუნშს, მისი ცნობით, კახეთის მოხორებასა და დატყვევების ამბებს ადგილი ჰქონია შაკ-აბასის არა მარტო მეორე, არამედ მისი პირველი (1614 წ.) ლაშქრობის დროს [ჯორდანი 1963, N5:143-146].

1614-1616 წლებში საქართველოდან აყრილი ქართველები შაკ-აბასს დაუსახლებია სპარსეთის სხვადასხვა პროვინციაში: მაზანდარანში, ხორასანსა და სხვა ადგილებში. მრავალი ქართველი და პირველ ყოვლისა, ქართლის მკვიდრნი ჩაუსახლებიათ სპარსეთის დედაქალაქ ისპაანში და მის მიდამოებში [ჯორდანი 1963, N5:180].

9. დაცულია წყაროს დაწერილობა.

6. სხვა ცნობები ქართული კოლონიების შესახებ

ქართული კოლონიების შესახებ ინფორმაცია სპარსეთის ტერიტორიაზე გვხვდება ევროპელ მისიონერთა, მოგზაურთა თუ მეცნიერთა ნაშრომებშიც. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ავტორები უმრავლეს შემთხვევაში საუბრობენ მიგრანტების აღმსარებლობასა და ენაზე.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ფერეიდნის რეგიონის გარდა სხვა პროვინციებში მცხოვრებ ქართველებსაც ჰქონდათ შენარჩუნებული ქართული ენა, ისინი აღწერენ სპარსეთში გადასახლებული ქართველების ბედს სხვადასხვა პროვინციაში სხვადასხვა პერიოდში – დღიდან მათი გადასახლებისა და ფასდაუდებელ ინფორმაციებს გვაწვდიან მათ შესახებ. წარმოვადგენთ რამდენიმე მოკლედ:

6.1. ფარსის რეგიონი

პიეტრო დელა ვალე (1586 – 1652), იტალიელმა მოგზაურმა სპარსეთში 1621 წელს ნახა ქართველები ფარსის რეგიონში, ძირითადად, შირაზსა და ისფაჰანს შორის ასუპასში, ასევე **ასუპასის** დაბლობზე, სოფ. **ქოშქეზარში**.

მისი მოხსენება საქართველოს შესახებ გაგზავნილია რომის პაპ ურბანუს მერვესადმი 1627 წ. ამ წერილში ის პაპს დაწვრილებით აღუწერს საქართველოს გეოგრაფიულ მდგომარეობასა და მდგომარეობას. საინტერესო ფაქტები აქვს დამოწმებული სპარსეთში ჩასახლებული ქართველებისა და ჩერქეზების შესახებაც. მისი თქმით:

„...დღეს საკუთრად თქმული სპარსეთი, მაგალითად, კირმანი ან კარმანია, მაზანდერანი ყასბის ზღვის ნაპირზე და სპარსეთის სახელმწიფოს სხვა ადგილები სავსენი არიან ქართველებით და ჩერქეზებით... დღეს იგინი თავისუფლად ჰსცხოვრობენ სპარსეთის ქვეყნებში, როგორც სხვა ქვეშევრდომები სპარსეთისა. უმეტეს ნაწილად იგინი არიან ფარსისტანში და მაზანდერანში და უჭირავთ არამც თუ ქალაქები, მაზრები, არამედ მთელი ქვეყნებიც, რომელშიაც მათ გარდა ვერავის ვერ შეხვდებით [დელლავალლე (1627) 1879: 47-48].

პიეტრო დელა ვალე რომის პაპს წერილში აცნობს ქართველთა გადასახლების ამბავს და ემოციურად აღწერს მათ ტკივილიან გზას:

„რა მდგომარეობა მოჰყვა ამ გადასახლებას, რა წყვეტა-ჟლეტა, რამდენი სიკვდილი ნამდვილ გაჭირვებისაგან, რა გლეჯა, რა გახრწნა, რა ძალ-დატანება, რამდენი ჩვილი ყმაწვილები თავიანთ მამებმა დაახრვეს ან წყალში ჩააგდეს სასო-წარკვეთილებიდან! რამდენი სხვა მოჰკლეს სპარსელ ჯარის-კაცებმა იმიტომ რომ

სასიცოცხლო არ იყვნენ! რამდენი ძალად მოჰკვლიჯეს დედის ძუძს და დააგდეს შა-რაზე მხეცების საჭმელად ან მხედრობის ცხენებისა და აქლემების სასრესად! მხედრებს არა ერთხელ უკლიათ ლეშებზედ. რამდენჯერ მამა შვილს, ქმარი – ცოლს, ძმა – დას მოაშორეს და წაიყვანეს სხვა-და-სხვა შორ ქვეყნებში, ისე, რომ დაშორებულებს იმედიც არ შერჩენიათ როდისმე ერთმანეთის შეხვედრისა! ამ შემთხვევაში რამდენი ქალი და კაცი იყიდებოდა ყველაგან პირუტყვზედ უფრო იაფად! რამდენი ამისთანები სხვა მოხდა, ღირსი შებრალებისა, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის“ [დელლავალლე (1627) 1879: 50].

პიეტრო დელა ვალეს თქმით, შაჰ-აბასის მოხერხებული პოლიტიკის შედეგად, ბევრი ქართველი მსახურობდა მის ჯარში. 1627 წელს შაჰის არმიაში უკვე ოცდაათი ათასზე მეტი ქართველი ითვლებოდა:

„მათი რიცხვი თან-და-თან მატულობს შაჰაბასის მოხერხებულობით, რომელსაც ყოველთვის მიზნად ჰქონდა, რომ ამისთანა უცხოეთელ მომხრეების შემწეობით, რომელთაც იგი მონებს უწოდებდა, დაემდაბლებინა ამაყი ყიზილბაშები და აედვა ამათთვის ლავამი. ამგვარად დღეს ხელმწიფის მხედრობაში ოც-და-ათი-ათასზე მეტი ქართველია, რამდენიმე ჩერქეზი და ცოტაოდენი სომეხი. უკანასკნელებსაც თავისი რჯული მიტოვებული აქვს“ [დელლავალლე (1627) 1879: 48-49].

მისი თქმით, სპარსეთში იყვნენ ქართველებიც, რომლებიც მონებად ჩაუვარდნენ სპარსელებს:

„ამათი რიცხვი ისეთი დიდი იყო, რომ დღეს არ იპოვება არც ერთი სახლი მთელს სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ამისთანა ქართველებით, მამა-კაცებით და დედა-კაცებითაც. იქ არ არის იმისთანა დედაკაცი, რომელსაც არ სურდეს, რომ ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ რომ ისინიც მშვენიერები არიან. თვით ხელმწიფეს გავსებული აქვს სასახლე მათის კაცებით და ქალებით და სხვებს თითქმის არ იმსახურებს. მაგრამ ამ უბედურებმა, რომელნიც მონად არიან ჩაუვარდნილნი, ყველამ, – თუ სიყვარულის, თუ ძალადობის გამო, – მიატოვეს თავისი რჯული, ან და გარეგნად მაინც აჩვენებდნენ, ვითომ და მივატოვეთო. მე ბევრს ვიცნობდი იმისთანებს, რომელნიც მალვიდ ინახვიდნენ თავის სარწმუნოებას, ისინი მოტყუებულნი იყვნენ ამ ცრუ, მაგრამ ძლიერ გავრცელებული აზრით, რომ ღმერთის წინაშე ესეც კმარაო“ [დელლავალლე (1627) 1879: 49].

სომეხი ისტორიკოსი არაქელ ღავრიჟეცი წერს:

„იმ დროს, როცა ქართველები ახლად მიყვანილი იყვნენ ისპაჰანში, მათგან გამოყვეს ერთი ნაწილი, წაასხეს და წაიყვანეს შირაზის ოლქში და ქვეყანაში, რომლებსაც ასუფას უწოდებენ, სადაც ისინი ასევე ამოწყდნენ სხვადასხვა მიზეზის გა-

მო, გადარჩენილები კი ყველანი უკლებლივ ეზიარნენ მაჰმადის ურჯულო რჯულს [კუცია 1974: 36].

არაქელ დავრიჟეცის რწმუნების მიუხედავად, ინგლისელმა მოგზაურმა, თომას ჰერბერტმა ასუპასში, მოგვიანო პერიოდში ნახა ქრისტიანი ქართველები.

ჰაინრიხ ფონ პოსერს (1599-1661), გერმანელს მოგზაურს აღწერილი აქვს თავისი მოგზაურობა ინდოეთსა და სპარსეთში, 1624 წელს ადასტურებს ქართველებისა და ჩერქეზების დასახლებას სპარსეთში, ასუპასში. მისი თქმით, ეს სოფელი ეკუთვნოდა ალავერდი ხანს, ხოლო შემდეგ გადაეცა მის ვაჟს, დაუდ ხანს. ალავერდი ხანს აქ გაუშენებია ქარვასლები, ლამაზი ბალები [ჯავახია 2009: 78].

თომას ჰერბერტი, ინგლისელი დიპლომატი (1606-1682) შაჰ-აბას პირველის მმართველობის დროს 1627 წლიდან დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა სპარსეთში. ის არის ავტორი სპარსეთის შესახებ დაწერილი წიგნისა, რომელშიც არა ერთი ცნობა გვხვდება ამ ქვეყანაში მცხოვრები ქართველების შესახებ. ჰერბერტმა ისპაჰანსა და შირაზს შორის, ასუპასში, ნახა ქრისტიანი ქართველები და ჩერქეზები, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 40 ათასი იყო. იგი აღნიშნავს, რომ გადასახლებულთა მფარველი წმინდა გიორგი იყო და ხაზს უსვამს, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ იმ დროისთვის. იმდენად მძიმე ყოფილა მათი მდგომარეობა, რომ მოგზაური მათ „საბრალო სულებად“ მოიხსენიებს [Herbert 1677: 152].

„...შემდეგ ღამეს მივედით ასუპასში, ადგილზე, რომელიც მხოლოდ ერთ ძველ ციხეს წარმოადგენს. ძველად ზოგჯერ გარნიზონიც იყო. იქ და მის გარშემო ცხოვრობს (როგორც გვითხრეს) არანაკლებ ორმოცი ათასი ქართველი და ჩერქეზი, რომლებიც აღმასრებლობით ქრისტიანები არიან. მართალია, ტყვეებზე ცოტათი მეტი უფლების ძალით გადმოუსახლებულნი აქ. ეს არის ხალხი, რომელიც ეთაყვანება კაპადოკიელ ეპისკოპოსს, წმინდა გიორგის და თავის მფარველად თვლის მას. ისინი მუსლიმებისგან ჩვევებითა და ქმედებით არ გამოირჩევიან, მათგან განსხვავდებიან დიდი ნაცრისფერი თვალებით, რომელიც ადასტურებს მათ ცეცხლოვან ბუნებას და თეთრი რასისადმი მიკუთვნებულობას. საბრალო სულები! როცა გაიგეს, რომ ჩვენ ქრისტიანები ვიყავით, შემოგვეხვივნენ და შემოგვეტიროდნენ. ჩვენ მათი საცოდაობით ვიწვოდით, როცა ამ საბრალო ქრისტიანებს მონობასა და უძწეო მდგომარეობაში ვხედავდით“ [Herbert 1677: 152].

მასვე ეკუთვნის ინფორმაცია სოფელ ამინაბადის შესახებ (იხ. ქვემოთ, ისპაჰანის რეგიონი).

ჟან ბატისტ ტავერნიე (1605-1689), ფრანგი ვაჭარი და მოგზაური, 1665 წელს ასუპასის მოსახლეობას უკვე მუსლიმებად მოიხსენიებს [ჯავახია 2009: 78].

ჯონ ფრაიერი, ინგლისელი მოგზაური, ასევე ახსენებს ამ დასახლებას 1677 წელს და აღნიშნავს, რომ ბევრ მათგანს უკვე ჰქონდა მიღებული მაჰმადიანური სარწმუნოება:

„აქ ჩვენი თანამემამულე, როგორც იხსენებენ, იყო ციხე-სიმაგრის გუბერნატორი ენტონი შერლი (რომლის ნანგრევებიც ჯერ კიდევ შემონახულია) მეფე ჯეიმს პირველისა და შაჰ-აბასის მმართველობის წლებში.... ახლა აქ დასახლებულნი არიან ქართველი ქრისტიანები, მიწათმოქმედები და მევენახეები... ბევრმა მათგანმა მიიღო მაჰმადის რჯული [Fryer 1909: 243].

რობერტ კერ პორტერი (1777-1842), შოტლანდიელი მხატვარი, ავტორი, დიპლომატი და მოგზაური, 1818 წელს ასუქასში ველარ ხედავს ქართველების კვალს. ისინი უკვე ასიმილირებულნი იყვნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან და მხოლოდ ზოგიერთს ახსოვდა, რომ აქ ქართველები მოსახლეობდნენ [შარაშენიძე 1979: 56].

პიერ ობერლინგი (1929-2014), ისტორიკოსი, ეთნოლოგი და პოეტი, აღნიშნავს, რომ ასუქასში, დეზე ქურდის მახლობლად, გურჯები ქაშქაის ტომთან ასიმილირდნენ [შარაშენიძე 1979: 56].

ალი რაზმარა (1901-1951), ირანელი გენერალი, ირანის შეიარაღებული ძალების გეოგრაფიის სამმართველოს ხელმძღვანელი, გეოგრაფი. ასუქასში ადასტურებს რამდენიმე დასახლებას, რომელთა სახელწოდებაშიც შედის **გორჯი** – ყალექ ნოვას სამხრეთ-აღმოსავლეთით 13 კმ-ის დაშორებით; **გორჯი ქეილის** – ფოლე სეფიდის სამხრეთით 36 კილომეტრზე. **გორჯი სარას** – შაჰსავარის სამხ-აღმ-ით 26 კმ-ის დაშორებით; გორჯი ყალას – ქალაქ სარიდან 5 კმ-ის დაშორებით; **გორჯი მაჰალეს** და **ქუსანე გორჯის** – ბექშაჰის მახლობლად. ასევე ასახელებს ფერეიდნის რეგიონის ქართულ სოფლებსაც [Razmara 1954].

6.2. ქალაქი ისპაჰანი

ისპაჰანში ჩასახლებული ქართველების შესახებ ცნობები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ცნობილია, რომ გადასახლებულ ქართველთა ერთ ნაწილს სწორედ ისპაჰანიდან მოუწია მეორეული მიგრაცია ფერეიდანში (შესაძლებელია მიგრაციის მესამე ტალღაზე საუბარიც, რადგან ზეპირი გადმოცემებით, ისპაჰანიდან ჯერ ნაჯაფაბადში აიყვანეს ქართველები, შემდეგ კი – ფერეიდანში).

სომეხი ისტორიკოსის, **არაქელ დავრიჟეცის** (1595-1669) ცნობით, ქართველები ისპაჰანსა და მის ზემოთ ცივ სოფლებში დაასახლეს.

ადამ ოლეარიუსის (1599-1671), გერმანელი მწერლის, დიპლომატის, მთარგმნელისა და ელჩის ცნობები ისპაჰანის ქართველების შესახებ დიდ ყურადღებას იმსახურებს. მან, როგორც დიპლომატიური სამსახურის წარმომადგენელმა, წელიწად-ნახევარი გაატარა სპარსეთში. ადამ ოლეარიუსი 1637 წლის აგვისტოს დამდეგიდან ლეკემბრის მეორე ნახევრამდე იმყოფებოდა ისპაჰანში.

მისი ცნობით, ქართველებს სჭერიათ ისპაჰანის ექვსი გარეუბნიდან ერთ-ერთი ჰასენაბათი / ჰასენაბადი (Hassenabath), რომელიც წარმოადგენდა ქართველ ქრისტიანთა დასახლების, ჯურჯის გარეუბანს. ისინი იყვნენ წარჩინებული ვაჭრები,

რომლებიც საქართველოდან შაჰ-აბასის ლაშქრობების შედეგად იყვნენ გაყვანილნი [ქორდანია 1962: 176]. მისი ინფორმაციით, ქართველები დაუსახლებიათ ფერაბათშიც და ამ გადასახლებებს უკავშირებს შაჰ-აბასის მეორე ლაშქრობას [ჯავახია 2009: 73].

გივი ქორდანიას აზრით, ისინი [ჰასენაბათის ქართველები] იყვნენ არაქელ დავრიჟეცის აღწერის თანახმად ქართლიდან აყრილი ქართველები. ფერიაში (ფერეიდანში), მაზანდარანში, ხორასანსა და სხვა პროვინციებში უმეტესად მიწათმოქმედი გლეხები იყვნენ, ხოლო ქალაქებში ჩასახლებულნი და მათ შორის ჰასანაბადის მცხოვრებნი – ვაჭრები და ხელოსნები [ქორდანია 1962: 177].

იან იანსენ სტრეისი (1647-1673), ჰოლანდიელი მოგზაური, ასხენებს ისპაჰანის გარეუბანში ოთხ დასახლებას, რომლებსაც სპარსელები ეძახდნენ რაბათს (Rhabath). მისი ცნობით, პირველი ყოფილა ჯულფა, ქრისტიანი სომხებით დასახლებული უბანი, მეორე გარეუბანი ყოფილა თაბრიზაბადი (Tabrizabath), მდინარე ზანდერუდის ნაპირზე ან აბასაბადი, სადაც შაჰს დაუსახლებია თავრიზიდან გადმოსახლებული მოსახლეობა, მესამე გარეუბანი იყო ჰასანაბადი (Hassenebath), სადაც ცხოვრობდნენ ქართველი ქრისტიანები, რომლებსაც უწოდებდნენ ჯურჯის (Tzurtzi). მათ შორის გვხვდებიან საუკეთესო ვაჭრები, ისევე, როგორც სომხებში [Стрейс 1676: 315].

„მეფეს ისინი უყვარს და აფასებს თავიანთი მშვიდი ცხოვრების წესისა და დიდი მოგების გამო. სწორედ ამ მიზეზით მიეცათ უფლება ეცხოვრათ ისპაჰანში, მეჩეთ მეჰლის გვერდით გამოყოფილ ადგილას, რომელსაც უწოდებდნენ შეიხ შაბანეს (Scheich Scabane), მაგრამ ისინი ამჯობინებენ გარეუბანში ცხოვრებას, რადგან უყვართ ერთმანეთის სიახლოვეს ყოფნა“.

მეოთხე გარეუბანს უწოდებდნენ გებრაბადს (Kebrabath), აქ მოსახლეობდნენ გებრები, სპარსი წარმართები [Стрейс 1676: 315].

მისივე ცნობით, ქართველები მოსახლეობდნენ ისპაჰანსა და მის მახლობელ რეგიონებში, ნეჯფეხბადში. ის საუბრობს ასევე მაზანდარანში, კერძოდ, ფარაჰაბადში 1618 წელს ჩასახლებულ ქართველებზეც.

ენგელბერტ კემპფერი (1651-1716), გერმანელი მოგზაურის, ცნობით 1684-85 წლებში ისპაჰანში ცხოვრობდა 20000 გამაჰმადიანებული ქართველი [ჯავახია, 2009:77]. ადამ ოლეარიუსის დარად ისიც აღნიშნავს, რომ ჰასანაბადი იყო გურჯების გარეუბანი და იქ დასახლებული ქრისტიანი ქართველები ყოფილან წარჩინებული ვაჭრები.

გარსია დე სილვა ფიგერა (1550 – 1624), ესპანელი დიპლომატი, ერთ-ერთ წერილში ესპანელი ელჩი წერს, რომ იგი თავად გახდა ისფაჰანის მთავარ მოედანზე ქართველ ქრისტიან გოგონათა სახალხოდ დასჯის მოწმე [ლაბაძე 2014]. მისი ცნობებით, შაჰ-აბასს ქართველები კომპაქტურად ჩაუსახლებია არამარტო ისფაჰანის ახლოს, არამედ სხვა ადგილებშიც – შირაზში, მაზანდარანში, გილანსა და ჰერათში.

6.3. ქართველთა დასახლება ნეჯეფებადში და ამინაბადში

ქართველების უბანზე ნეჯეფებადში საუბრობს **სტრეისი** [Стреис 1676: 315].

თომას ჰერბერტი 1627 წელს გვაძლევს ინფორმაციას სოფელ ამინაბადის შესახებ:

„ესაა სოფელი დასახლებული ოცდაათი კომლით, რომლის უმრავლესობა რენეგატი ქართველებია. აქ მბრძანებლობს დაუდ-ხანი, შირაზის დუკის ძმა [ჯავახია 2009: 78].“

6.4. ფერეიდანი¹⁰

ფერეიდნის ქართველებზე ცნობებს გვაწვდის ისქანდერ მუნში (1621);

სერ ჯონ მაკლონალდ კინიერი აღწერს გამაჰმადიანებული ქართველების საცხოვრის ხონსარის მთის უკან და მას **ფერიდუნად** მოიხსენიებს (1810) [Kinnier 1813: 128];

სერ აუსტენ ჰენრი ლეიარდი (1840) აღწერს ქართულ ქრისტიანულ თემს ფერეიდანის // ფერიდუნის ოლქის მთავარ ქალაქში, რომელსაც, მისი თქმით, იგივე სახელი ჰქონდა და ეკუთვნოდა დიდ ბახტიართა მმართველს მეჰმედ თაქი ხანს [Layard 1907: 302];

ელიზე რეკლიუ, ფრანგი გეოგრაფი, სოციოლოგი, პოლიტიკური მოღვაწე (XIX საუკუნის ბოლო) ფერეიდანში, როგორც თვითონ უწოდებს, **ფერიდუნში** მაცხოვრებელ ქართულენოვან მოსახლეობას საქართველოდან გადასახლებული სომხების შთამომავლებად მიიჩნევს [Reclus 1882: 136];

ლადო აღნიაშვილი 1894 წელს იყო სპარსეთში და მოინახულა ფერეიდნის ქართველობა. ამის შემდეგ 1896 წელს მან გამოსცა წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები.“

შტალის, გერმანელი მეცნიერის, ცნობით (1900), რომელიც არის ავტორი წიგნისა „მოგზაურობა ცენტრალურ და დასავლეთ სპარსეთში“, ქართველები ლაპარაკობენ ქართულად და უკვე ენათესავებიან სპარსელებს [Stahl 1905: 4-12].

იური მარი, გვაწვდის 1927 წელს ჩაწერილ ინფორმაციას ფერეიდნელი ქართველების შესახებ [Mapp 1936].

ბასილ ნიკიტინი, იური მარის ინფორმაციაზე დაყრდნობით, საუბრობს ფერეიდნელი ქართველების შესახებ [Nikitin, 1937: 86].

ამბაკო ჭელიძემ 1927 წელს მოინახულა ფერეიდნელი ქართველები და 1935 წელს გამოსცა წიგნი „ფერეიდნელი ქართველები“.

ალი რაზმარა, ირანელი გენერალი, თავისი შრომების მე-10 ტომში აღწერს ის-

10. ფერეიდნის შესახებ ცნობები მომდევნო თავებშია დაწვრილებით მოცემული.

პაპანის პროვინციას და მათ შორის ასსენებს 11 ქართულ სოფელს: ახორა ფაინ, აფუსი, ბადეჯანე ახორა, ბუინი, ჯაყვჯაყი, ჩოლიურთი, დაჟგანი, სიბაკ, შემ ჯავანი [Razmara 1954].

გარდა სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე ცნობილი ფაქტებისა, მუშაობის პროცესში ჩვენ მოვიძიეთ მისის ბიშორისა და ჰონ ჯორჯ ნათანიელ კურსონის წიგნებში ინფორმაცია ფერეიდანში ქართული სოფლების შესახებ:

მისის ბიშორი (იზაბელა ბირდი) თავის წიგნში „მოგზაურობა სპარსეთსა და ქურთისტანში“ ასსენებს ქართულ სოფლებს ფერეიდანში [Bird 1891: 303].

ჰონ ჯორჯ ნათანიელ კურსონი წიგნში „სპარსეთი და სპარსული საკითხი“ ფერეიდანელ ქართველებზე საუბრობს [Curson 1892: 284].

6.5. მაზანდარანი

მიგრანტი ქართველებისა და სომხების დიდი ჯგუფი დაასახლეს სპარსეთში, მაზანდარანში, 1604 და 1615 წელს. შაჰ-აბას პირველის შემდგომი ლაშქრობების შედეგად მათი უმრავლესობა ცხოვრობდა კასპიისპირეთში შაჰის საყვარელი დასასვენებელი ადგილების, ფარაჰაბადისა და ამრაფის (ბეჰმარი) გარშემო [Oberling 2001: 496-497].

პიეტრო დელა ვალე (1618) წერს: „უმეტეს ნაწილად ივინი (ქართველები) არიან ფარსისტანში და მაზანდარანში და უჭირავთ არამც თუ ქალაქები, მაზრები, არამედ მთელი ქვეყნებიც, რომელშიაც მათ გარდა ვერავის ვერ შეხვდებით“. მას აქვს ცნობები ასევე **ფარაჰაბადსა** და **ამრაფში** ქართველთა ცხოვრების შესახებ. მისი თქმით, ფარაჰაბათიდან სამხრეთით, **სარის** გარშემო გაიჩეხა ტყეები ახალმოსახლე ქართველებისთვის [დელლავალე 1879 (1627): 48]. პიერ ობერლინგის ცნობით, პიეტრო დელა ვალეს იქ ყოფნის დროს მიგრანტები უკვე იწყებდნენ მიწის დამუშავებას [Oberling 2001: 496-497].

ისქანდერ მუნში (1560-1634), სპარსელი ისტორიკოსი, აღნიშნავს, რომ კაკენისელების ერთი ჯგუფი და გუნდი ქართველებისა, რომლებიც ზაგემსა და მის სანახებში იმყოფებოდნენ, რიცხვით ორი-სამი ათასი ოჯახი, დახოცვისა და დატყვევება-დარბევის შიშით დათანხმდა შაჰის წინადადებას მაზანდარანში ნებაყოფლობით გადასახლებაზე. შაჰ-აბასის ბრძანების თანახმად, მათი შევიწროება შეწყვიტეს და **ფარაჰაბადს** წაიყვანეს [ფუთურიძე 1969: 109-110].

არაქელ დავრიჟეცის ცნობით, კახელთა ერთი ჯგუფი **ფაჰრაბადს** დასახლეს: „ასეთი ხერხით ააოხრა [შაჰმა] ქართლის, კახეთისა და გრემის ქვეყანა, წაიყვანა [ხალხი] და აავსო ფაჰრაბადის ქვეყანა“ [კუცია 1974: 35].

გ. ნეიჰერი გვაწვდის ცნობებს **ფარაჰაბადსა** და **ამრაფში** ქართველთა ცხოვრების შესახებ [Oberling 2001: 496-497].

ფრაიერი, გარდა ასუპასელი ქართველებისა, გვაწვდის ცნობებს გამუსლიმებული **მაზანდარანელი** ქართველების შესახებ [Fryer 1909-15: 243].

ი. სტრეისი მაზანდარანში, კერძოდ, ფარაჰბადში ჩასახლებულ ქართველებზეც საუბრობს 1618 წელს [Стреис 1676: 315].

ქალაქ ფარაჰბადსა და ამრაფში დასახლდა ბევრი ქართველი. „ეს ქართველები თანდათან ასიმილირდნენ მაზანდარანის მოსახლეობასთან, დღეისათვის მათი კვალი დარჩა ისეთი სოფლების დასახელებებში, როგორებიცაა გორჯი მაჰალე და გორჯი კალა [Oberling 2001: 496-497].

ჟაკ დე მორგანი ასევე გვაწვდის ცნობებს მაზანდარელი ქართველების შესახებ (1899). მისი თქმით, მოხუცები ჯერ კიდევ საუბრობენ ქართულად, ახალგაზრდები თავს არ იწუხებენ:

„ამ ხალხმა დაკარგა თავისი ენა და რელიგია. ისინი ვახდნენ შიიტები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ინარჩუნებენ კავკასიელთათვის დამახასიათებელ ფიზიკურ შესახედაობას. ცოტა ხნის წინათ აქაური ქართველები, მხოლოდ მოხუცები, ჯერ კიდევ ლაპარაკობდნენ ქართულად. ახალი თაობა კი ნაკლებად იწუხებს თავს ამ ენის შენარჩუნებისათვის“ [შარაშენიძე 1979: 55].

როგორც ჩანს, მაზანდარანელი ქართველების დიდ ნაწილს მართლაც დიდხანს შეუნარჩუნებია მშობლიური ენა, რადგან რაბინო, რომელიც გვაწვდის ცნობებს ფარაჰბადსა და ამრაფში ქართველთა ცხოვრების შესახებ, 1928 წელს მაზანდარანში, ამრაფში, ადასტურებს ფაქტს, რომ ზოგ ადგილას მოხუცებს კიდევ შეეძლოთ ქართულად ლაპარაკი. 1931 წელს აქ გარდაიცვალა მოხუცი ქალი, უკანასკნელი მცოდნე ქართული ენისა. ამრაფში მეორე მსოფლიო ომის დროს ჯერ კიდევ შერჩენილი იყო ქართული სასაფლაო [სონდულაშვილი 2005: 83].

6.6. ხორასანი

ინგლისელმა მოგზაურმა ჯეიმს ფრეზერმა 1821-1822 წლებში იმომგზაურა ხორასანში, აბასბადში, შაჰრუდსა და საბზევარს შორის თბილისიდან გადასახლებული ქართველები ნახა:

„სოფელი აბასბადი წარმოადგენს საინტერესო ობიექტს მოგზაურთათვის. მისი წარმოშობა თავისთავადი და განსაკუთრებული შემთხვევაა და მაცხოვრებელთა ბედი კი განსაკუთრებით სამწუხარო. მაღალ ვზაზე, რომელიც აერთებს ორ დიდ ქალაქს, არსებობდა დიდი სივრცე უდაბნო და უნაყოფო, მოგზაურთათვის შეუძლებელი იყო იქ შესვლა ჩრდილოეთის მოძალადე თურქმანებისაგან თავდასხმის საფრთხის გამო, ასე რომ, კომუნიკაცია მათ შორის [იგულისხმება ორი ქალაქი] იყო ტოტალურად გაწყვეტილი. შაჰ-აბასმა აქ დაასახლა 100 ქართული ოჯახი“ [Fraser 1825: 369].

ამერიკელმა **ჯეიმს ბასეტმა** 1878 წელს აბასაბადში დაადასტურა ქართული მოსახლეობის არსებობა. 200-300 სულიანი დასახლების მცხოვრებნი ქართულ-სპარსულ შერეულ კოლზე მეტყველებდნენ:

„სახელი „აბასაბადი“ ნიშნავს აბასის სამყოფელს. ეს სახელი ჰქვია სოფელს, რომელშიც შაჰ-აბასმა დაასახლა ქართველი ტყვეები. კოლონიაში 70 ოჯახი და 200-300 ადამიანი შემორჩენილი, რომლებიც გალაგნით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ისინი თავად ჰყვებიან, რომ შაჰ-აბასმა თბილისიდან 60 ქართველი მამაკაცი და ქალი გადმოსახლა, დაასახლა ისინი ციხესიმაგრეში და აიძულებდა მცველებად მუშაობას. მათ უნდა დაეცვათ საზღვარი თურქმენთაგან. ეს ადამიანები იღებდნენ წლიურ საზღაურს 130 თუმანსა და 100 ხარვარ ხორბალს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საზღაურის გადახდა არ ხდებოდა ფირმანის მიხედვით. მიწის სარწყავი სისტემა იქნა შემუშავებული და მეფის მოთხოვნით, წყლისა და ხორბლის ნაწილი უნდა ყოფილიყო შინამეურნეობის საკუთრებაში.

კოლონიაში აკრძალული იყო ქართული ენის გამოყენება. აკრძალვების თანახმად, დაუშვებელი იყო ქართული საეკლესიო რიტუალების შესრულება. მუდმივი დევნისა და მუსულმანებთან ურთიერთობის დემორალიზებული ეფექტის შედეგად ტყვეების მესამე თაობა მუჰამედის მიმდევარი გახდა. კოლონიაზე ხშირად ხდებოდა თურქმენების თავდასხმა, მათი სოფელი ხშირად ექცეოდა მომთაბარეების ალყაში. ამ სიტუაციის გამო ბევრი ადამიანი ტყვედ ჩავარდა, ნაწილი კი შიმშილით დაიხოცა. თხუთმეტი ოჯახი გადაასახლეს სადრაბადში, მოშორებით, სადაც ისინი შიმშილით დაიხოცნენ.

წყლის ერთადერთი წყარო სოფლისათვის იყო სარწყავი სისტემა, რომელიც შაჰის დავალებით შეიქმნა. საქორწინო რიტუალის ჩვეულებად იქცა სიძისათვის ამ სარწყავი სისტემიდან წყლის მიწოდება. კოლონიაში ქართული ენა მიივიწყეს. ქართულის მაგივრად ისინი იყენებდნენ ქარგონებს, რომლებიც შექმნილი იყო ქართული და სპარსული სიტყვების კომბინაციით; ისინი თავისუფლად საუბრობდნენ სპარსულად.

ქრისტიანული ცივილიზაციის გადმოსახედიდან, ტყვეების მდგომარეობა სავალალოა. ბევრმა მათგანმა იმედი დაკარგა და თავი მუჰამედის მიმდევრებთან გააიგივა. ბატონებმა და მოკავშირეებმა არ მისცეს მათ ამისი უფლება, მაგრამ ეცადნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი წარმოშობა და მესამე თაობის ქართული სისხლი“ [Bassett 1886: 233, 244].

აბასაბადელი ქართველების შესახებ ცნობები აქვს **ფერიერს** [Ferrier 1860].

ვ. მინორსკის აბასაბადში 1934 წელს ერთი ადამიანიც აღარ უნახავს ქართულად მოსაუბრე. სხვა წყაროთი 1940 წელს აქ მხოლოდ ერთმა ქალმა იცოდა ქართული [სონლულაშვილი 2005: 82].

ხორასნის ტერიტორიაზე, გარდა აბასაბადისა, უნდა ყოფილიყო სოფლები: „გორჯაი“ მეშველის ჩრდილო-აღმოსავლეთით საში კილომეტრის დაშორებით; ქუსფის დასავლეთით 8 კმ-ის დაშორებით – სოფელი **გორჯანი** [მარაშენიძე 1979: 54].

6.7. ქურთისტანი

პიერ ობერლინგი – 1957 წელს ადასტურებს **ქურთისტანში, მალაიერის** მახლობლად ქართული სოფლის გორჯი ბაიანის არსებობას, სონქორის ჩრდ-ით (34 კმ-ზე), რომლის მოსახლეობასაც 1957–1960 წლებში ჯერ კიდევ არ დაეკარგა ქართული ენა. **გორჯაი** – მალაიერის სამხ-აღმ-ით 36-ე კილომეტრზე [შარაშენიძე 1979: 56-57].

6.8. ხუზისტანი

ჟაკ დე მორგანის ცნობით 1890-1891 წლებში, **ხუზისტანში, ღეზფულის** მახლობლად ყოფილა ქართული კოლონია, რომელსაც მე-19 საუკუნის ბოლოსთვის ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა ქართული ენა – აქ მოსახლეობდა მუსლიმი ქართულენოვანი მოსახლეობა [შარაშენიძე 1979: 57].

6.9. ლურისტანში, ალიგუდარზის დასავლეთით – 20 კმ-ის დაშორებით არის დასახლება **გორჯი**.

6.10. ირანის აზერბაიჯანში კი – დეჰ გურჯი – ოშნავეჰიდან 13 კმ-ის დაშორებით [შარაშენიძე 1979: 57].

რა ცნობები ჰქონდათ საქართველოში სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ? რა იცოდა ქართულმა საზოგადოებამ ქართული კოლონიების შესახებ?

7. მიგრაციების დრო და მარშრუტი

თუ დავიწყებთ შაჰ-თამაზის ლაშქრობებიდან ამ საკითხის შესწავლას, ქართულ წყაროებზე დაყრდნობითა და ჰასან რუმლუს ცნობების გათვალისწინებით¹¹ მიგრანტთა თავდაპირველი საცხოვრისად შეგვიძლია გამოვყოთ:

თბილისი (თ. ჟორდანიას ქრონიკები, გადასახლების წელი – 1541; 1548 ჰასან რუმლუ, გადასახლების წელი – 1540).

ახალქალაქი (ჰასან რუმლუ – 1547).

არტანუჯი, ვარძია (ჰასან რუმლუ -1551).

ვარძია, თმოგვი, ვანის ქვაბები, აწყვერი, ასპინძა და სრულიად სამცხის ციხენი (თ. ჟორდანიას -1553).

11. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია ჰასან რუმლუს ცნობებიც, რომლებშიც შაჰ-თამაზის ლაშქრობების შედეგად გაყვანილ ქართველებზეა ცნობები, რადგან, თუ მართლაც ისპაჰანიდან აიყვანეს ფერეიდანში ქართველები, ეს უკვე მეორეული მიგრაციაა და არ არის გამორიცხული, რომ იქ ისპაჰანში დაბინავებულ მიგრანტთა სხვადასხვა მიგრაციული ტალღის წარმომადგენლები მოხვედრილიყვნენ.

ქართლი (თ. ჟორდანია – 1554, 1556, 1557; ჰასან რუმლუ – 1553, 1554).

რადგან ფერეიდენლთა გადმოცემები, ისტორიული წყაროები, ევროპელი მოგზაურები შაჰ-აბასის პერიოდს მიუთითებენ ფერეიდანში მცხოვრები ქართველების გადასახლების დროდ, ვნახოთ, რა მიგრაციული მარშრუტები შეიძლება ვივარაუდოთ იმ პერიოდისთვის საქართველოდან.

შაჰ-აბასის რამდენიმე ლაშქრობას საქართველოს მოსახლეობის მასშტაბური გადასახლებები მოჰყვა სპარსეთში. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გამოვყავით ის ადგილები, საიდანაც ქართველები აყარეს:

კახეთი და ქიზიყი (კახეთიდან, ქიზიყიდან 100-მდე ტყვე) (ისქანდერ მუნში), სადაც ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობაც ბევრი იყო (არაქელ დავრიჟეცი). უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის სამეფო გაცილებით დიდი ტერიტორიას მოიცავდა მე-16 – მე-17 საუკუნეებში, ვიდრე დღევანდელი კახეთის რეგიონი, გარდა ამისა, კახეთის მოსახლეობა მრავალეთნიკური იყო.

ქართლი (გორს იქითაც მიაღწიეს ყიზილბაშებმა) – ძირითადად შაჰსევანები, 30 ათასი ტყვე – ისპაჰანის ზემოთა სოფლებში დაასახლეს, სადაც სომხები იყვნენ დასახლებული (არაქელ დავრიჟეცი).

ქართლიდან, კერძოდ, **თბილისიდან** ვაჭრები ირანში ისპაჰანის ერთ-ერთ გარეუბანში დაუსახლებიათ მსგავსად ჯუღაებისა (არაქელ დავრიჟეცი).

თიანეთი – მარტო ერწო-თიანეთიდან 30 ათასი ტყვე წაიყვანეს (ისქანდერ მუნში)

ისტორიული **ჰერეთის კაკ-ელისენის** ჯგუფი (საინგილო); უძველესი ქალაქი ზაგეში, რომლის მოსახლეობაც, ისტორიული წყაროების მიხედვით, ნებაყოფლობით დათანხმდა სპარსეთში გადასახლებაზე (ისინი მაზანდარანის პროვინციაში, ფარაჰაბადში დაასახლეს 1617) (არაქელ დავრიჟეცი).

მესხეთი – ერევნის ციხის აღების დროს შაჰ-აბასმა ჰასან ხანი გაგზავნა მესხეთში სათარეშოდ – სპარსელებმა ააოხრეს სამცხე და მრავალი ქალი და ბავშვი დატყვევებული მიჰგვარეს შაჰ-აბასს (ისქანდერ მუნში).

ეს უკანასკნელი ცნობა საგულისხმოა, რადგან მესხეთიდან ქართველთა ეს გადასახლება მოხდა ერევნის სახანოს აღებისთვის გამართული ბრძოლების დროს და, სავარაუდოდ, ქართველ მიგრანტთა ამ ტალღის გადასახლება სომეხთა გადასახლების პერიოდს ემთხვევა.

თავი II

ცნობები ქართული კოლონიების შესახებ სპარსეთში

1. პირველი ცნობები ქართული დასახლებების შესახებ

სამწუხაროდ, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცის დასაწყისში ქართულ საზოგადოებაში მწირი ინფორმაცია მოიპოვებოდა როგორც ფერეიდნის, ისე სხვა ქართული დასახლებების შესახებ.

მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართულ პრესაში ჩნდება სტატიები სპარსეთში სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ქართველების შესახებ. პირველი სტატია, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ დროების 1872 წლის მეცამეტე ნომერში, ფერეიდნელ ქართველებს ეხება. გაზეთ „დროების“ 1872 წლის №28 ნომერში კი გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში“, რომლის თანახმადაც სპარსეთში გადახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილს სამი სოფელი უწყალობეს. მან სოფელ ხოსროვაში ისურვა დარჩენა, აქ მასთან ერთად ორმოცდაათამდე ქართველი ცხოვრობდა. სტატიის ბოლოში მითითებულია ავტორის ინიციალი – „ვ“ [დროება 1872].

ლადო აღნიაშვილს თავის წიგნში, „სპარსეთი და იქაური ქართველები“, ფერეიდნის მცხოვრები ქართველების გარდა, ასევე აქვს ინფორმაცია სხვა ქართულ დასახლებებზე. იგი სინანულით ახსენებდა იმ ფაქტს, რომ სპარსეთში ყოფნის დროს გვიან იგებდა ხოლმე სხვა ქართული კოლონიების შესახებ:

„ქართველები დიდძალი ყოფილა სპარსეთში გადასახლებული. მაგრამ, საუბედუროდ, არსად, როგორც სჩანს, გარდა ფერეიდანისა, არ შეჰრჩენიათ მათ დღემდე ქართველობა. და მიზეზიც ამისი ის არის, რომ არსად ესე ჯგუფად როგორც აქ, არ დაუსახლებიათ... ნეჯეფებადში, ისპაანს ახლოს არის დღემდე ერთი უბანი, რომელსაც ქართველის უბანს ეძახიან (გიურჯი მაჰალა). შირაზსა და ქირმანშას ახლო ყოფილა აგრედვე თითო სოფელი, რომლების შესახებ რივიანად ვერა გავიგე-რა, მაგრამ ის კი დარწმუნებით მითხრეს, რომ ქართული არა იციან-რაო. ხორასანთან (მეშხედი) ყოფილა რამდენიმე ქართული სოფელი, სადაც ხალხი დღევანდლამდე წითელ გულისპირებს იკეთებენ, მაგრამ ქართული ერთი სიტყვა არა იციანო, მაგრამ ერთმა მეგობარმა სომეხმა მითხრა თეირანში, რომ, როდესაც მე ვიყავ ერთ იმათ სოფელში, „ჰარზანფუთში“, სადაც ასი კომლი ქართველი მოსახლეობს, ასე

მითხრეს, რომ დღევანდლამდე ქართული იციანო და ეხლა თუ დაივიწყეს, ეგეც არ ვიციო. ვილანში ყოფილა ერთი სოფელი „გიურჯი მაჭალა“ (ქართველის უბანი), სადაც 400 კომლი სულ ქართველი მცხოვრებლები არიანო“ [აღნიშავილი 1896: 219].

ლადო აღნიაშვილი, სპარსული ენის არმცოდნე, 1894 წელს სპარსეთში გაემგზავრა კონკრეტული მისიით, ენახა ფერეიდნელი ქართველები, თითქმის წელიწადნახევარი დაჰყო სპარსეთში, მაგრამ ფერეიდნამდე საკმაოდ გვიან მიაღწია უსახსროდ და მოგზაურობით დაავადებულმა. მხოლოდ 12 დღე შეძლო იქ გაჩერება. ის სინანულით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ირანში ამდენი ხნის ყოფნისას დაგვიანებით იგებდა სხვა რეგიონებში ქართული სოფლების არსებობის შესახებ, მაშინ როდესაც გამოცილებული იყო იმ ადგილებს.

ამას თავისი ახსნა ჰქონდა – მას სპარსულის უცოდინრობა უშლიდა ხელს და დამოკიდებული იყო თარჯიმანზე, დაქირავებულ პირზე, მოგზაურობის ბოლოს კი, როცა სპარსული კარგად შეისწავლა, უკვე არც მატერიალური და არც ფიზიკური მდგომარეობა ხელს არ უწყობდა ხელახლა გაველო ეს გზა [აღნიშავილი 1896: 220].

ფერეიდნელ ქართველთა შესახებ ისპაჰანშიც კი გაუძნელდა ინფორმაციის მოპოვება. გასაკვირია, მაგრამ ჯუღლაში, სომეხთა პატრიარქმა ისაიამაც, რომელიც, ავტორის თქმით, თბილისში დაბადებული და გაზრდილი იყო, არაფერი იცოდა ფერეიდანში ქართველების ყოფნის შესახებ, სანამ სხვასთან არ დააზუსტა ეს ამბავი [აღნიშავილი 1896: 113].

აღნიშავილის შენიშვნა ნათელს ხდის, რომ სპარსეთში ქართული დასახლებების იდენტიფიკაცია საკმაოდ ძნელი იყო. როცა ვეცნობით ევსევი ცაბადის, რაფაელ ნებიერიძისა¹² თუ სომხური ჟურნალებიდან გადმოთარგმნილ მცირე ინფორმაციას, ნათელი ხდება, რომ ცოდნა სპარსეთში ქართული კოლონიების შესახებ არ იყო გავრცელებული და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევების წყალობით ხდებოდა ხელმისაწვდომი მათ შესახებ ინფორმაცია.

1901 წლის გაზეთ ივერიაში (№239) დაიბეჭდა ზაქარია ჭიჭინაძის სტატია „ძვირფასი დოკუმენტები სპარსელ ქართველების შესახებ.“ ამ სტატიაში გადმოცემულია ლაზარისტების ძმობის კათოლიკე მღვდლის, ბართლომე (რაფაელ) ნებიერიძის ინფორმაცია, რომელიც წარმომოხმობთ ახალციხიდან იყო და განათლება რომში ჰქონდა მიღებული. მას ხელში ჩაგარდნია პერგამენტის ფურცელი, რომელიც ერთი შეხედვით ავგაროზს ჰგავდა, მაგრამ მასზე მხედრულით იყო დაწერილი წერილი, რომელსაც შვილები მამას სპარსეთში, ციხეში უგზავნიდნენ და გაძლიერებას სთხოვდნენ მოხუცს, რომელსაც ქრისტიანული რჯულის გულისთვის ტანჯავდნენ. მეორე წერილში კი მამის პასუხი იყო. იგი მორჩილად იღებდა რჯულის გამო ტანჯვას და შვილებს სთხოვდა თვითონაც მაგრად მდგარიყვნენ და არ მიეღოთ ისლამის რჯული. ეს წერილები შაჰ-აბასის პერიოდში უნდა ყოფილიყო დაწერილი, რადგან

12. იგივე პიროვნება იმდროინდელ ქართულ პრესაში ხან ბართლომე ნებიერიძის სახელით ვგხვდება.

მათში ჩანს იმედი, რომ მთავრობის წინააღმდეგ იბრძვის ხალხი და მათაც იმედი ეძლევათ შაჰ-აბასის დამხობისა. მსგავს წერილებს, თითქოსდა ავგაროზებს, ადვილად გზავნიდნენ ქართველები ციხიდან და პირიქით, როგორც ავგაროზებს, ისე ავგავნიდნენ ციხეში, რომ ეჭვი არავის აელო [ჭიჭინაძე 1901: 2, 3].

სამწუხაროდ, აქ არ არის დაკონკრეტებული, სპარსეთის რომელი კუთხის მცხოვრებლებზეა საუბარი, თუმცა იგივე ინფორმაცია მოკლედ გვხვდება ცნობის ფურცელში 1901 წელს (№1623). ამ ინფორმაციით ქართული წერილები და ავგაროზები აღმოჩენილია შირაზის მხრისკენ ქართველ მაჰმადიანებში ქართველი პატრის [ლა]-ზარისტების ძმობის წევრის, ბართლომე ნებიერიძის მიერ, რომელიც იქ მქადაგებლად არის გაგზავნილი [„ცნობის ფურცელი“¹³ 1901: 2].

1902 წლის გაზეთ ივერიის 28 აგვისტოს ნომერში (№183) დაბეჭდილია ე. ავაკიანის წერილი სპარსეთიდან, გამოღებული და გადმოთარგმნილი სომხურ ჟურნალ „მშაკიდან“. წერილის ავტორს მოუხდა მაზანდარანის ქართული სოფლების დავლა, ნახა სოფელი **გიურჯი მაჰალა**, სადაც 800 მოსახლე იყო, ერთ-ერთმა უთხრა: „ჩვენც თქვენებური ვყოფილვართ, ჩვენი მამა-პაპა შაჰ-აბასს გურჯისტანითგან (საქართველოდან) ტყვედ წაუსხამსო. მცხოვრებთ ძალიან ეტყობოდათ სრული მსგავსება ქართველებისა, ნამეტურ ქალებისა, რომელთაც შერჩენიათ ქართველ ქალის სილამაზე. ძველის ქრისტიანობისა ის დარჩენიათ დღეს, რომ მოდებდებულ პურის ცომზე ჯვრის ნიშანს აკეთებენ ხელითა.“

გაზეთ „ივერიის“ 1904 წლის 71-ე ნომერში პატრ რაფიელ ნებიერიძის „წერილი სპარსეთიდან“ ეხება სოფ. ხოსროვას, სადაც ალექსანდრე ბატონიშვილი ცხოვრობდა. გადმოცემულია ადგილობრივი მცხოვრების, 110 წლის ქალის, მარიამ ხანუმის მოგონება, როგორ უწყალობა შაჰმა ალექსანდრე ბატონიშვილს **ხოსროვა, სალმასა, არუვანი და გულისანი**. იხსენებს ქართველებს: **ვალიხანს (ალექსანდრე ბატონიშვილს), გარსევან ხანს, რაფაელ ხანს, ფარმას-ბეგს, ჟილო ხანს, შაქარ-ბეგს და ნუნეს (ნინოს)...**

საყურადღებოა **ყარამან კიკნაველიძის** ინფორმაციაც სპარსელი ქართველების შესახებ.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში სპარსეთში, კერძოდ, მაზანდარანის რეგიონში ხე-ტყის ბიზნესი ჰქონდათ აზნაურებს, ძმებს კიკნაველიძეებს.¹⁴

ყარამან კიკნაველიძემ იცოდა სპარსეთში არსებული ქართული დასახლებების შესახებ. ქართული სოფლების სია მას ზაქარია ჭიჭინაძისთვის გადაუცია. სამწუხაროდ, ეს სია ზაქარია ჭიჭინაძეს დაეკარგა დაპატიმრების დროს, 1913 წელს.

1917 წელს გაზეთ „სახალხო საქმის“ 27-ე ნომერში ყარამან კიკნაველიძე თავად აქვეყნებს სტატიას „ქართველები სპარსეთში“, რომელშიც საუბრობს სპარსეთის ქართულ დასახლებებზე:

13. როცა სტატია ავტორის გარეშეა, ვუთითებთ პერიოდულ გამოცემას.

14. ძმები ცნობილი ბიზნესმენები იყვნენ, რომლებმაც გარკვეული თანხა გაიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისათვის.

სპარსეთის ბარსა თუ მთა ადგილებში მრავლად ყოფილა ძველად ქართველთა სოფელი. დღეს კი მათ ქართველობის აღარაფერი შერჩენიათ. დაუკარგავთ ენა, ცხადად ეტყობათ მხოლოდ ქართული მოღვმა, რითაც ივინი სპარსელები საგან საკმარისად განიჩქვნიან. ის კი ახსოვთ, რომ ივინი ქართველის მოღვმისანი არიან და თავს ყველგან გურჯად, ქართველად აღიარებენ.

ამავე სტატიამი ის ახსენებს სოფელ აბას-აბატს, სადაც 800 კომლი ქართველი ცხოვრობს, რომელთაც ახსოვთ თავიანთი წარმომავლობა:

ხორასანის თემში, მეშედის მიმავალს გზაზედ, არის ქართველთა სპარსელების სოფელი აბას-აბატი. ეს სოფელი კარი გახლავთ მთელ სპარსეთისა. ამ კარში გავლას ვერც ერთი ქართველი სპარსელი ვერ ასცდება. სოფ. აბას-აბატში ქართველთა რიცხვი სცხოვრობს 800 კომლზედ მეტი. ეს ხალხი უმეტესად მისდევს ალბ-მიცემობას, ვაჭრობის გარდა მევენახეობასაც მისდევენ კარგათ... ამ სოფლის ქართველ სპარსელებმა უფრო ყველაზედ უკეთესად იციან ის გარემოება, თუ სპარსეთის ადგილებში სად რამდენი ქართველთა სოფელია დაშთენილი და მასში რამდენი მოსახლე ქართველნი სცხოვრობენ.

ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში ის ჩამოთვლის სპარსეთში ქართული დასახლებების სახელებს. ამ ჩამონათვალს სრულად წარმოვადგენთ:

„ჩვენ წავიკითხეთ წიგნები: „ქართველები სპარსეთში“ ზ. ჭიჭინაძისა მესამე გამოცემა 1908 წ. და ვ. აღნიაშვილის „მოგზაურობა სპარსეთში“, მაგრამ არც ერთ ამ წიგნებში ჩვენ ვერ ვნახეთ ამ სოფლების აღწერა, ამიტომ გაცნობებთ ამ სოფლების აღწერას.

კასპის ზღვის პირას, 7 ვერსის მანძილის სიშორით, სოფელ ზავადში სცხოვრობს 30 კომლი ქართველობა. ამ სოფლის ბევს ეწოდება აინალ ბეგი, ტომით ქართველია. ამ სოფლის იქით, ზღვის პირასვე, 100 ვერსზედ, ჩალუმის წყლის შეყოლება სოფ. ორანგში სცხოვრობს 200 კომლი ქართველი მაჰმადიანი. ამ ჩალუმის წყლის პირიდან გზა გადის თეირანისაკენ. ამ გზას ეწოდება შაჰაბაზის ძველი გზა. ამ გზაზედ მაღლა მთაზედ არიან სოფლები, სადაც სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები, 540 კომლი. ეს სოფლები ეკუთვნის სეფერტარს, რომელიც დღემდე სამხედრო მინისტრი იყო თეირანს. აქეთვე არის სოფლები დილირ და ანგრო, სადაც სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები. ამ სოფლების იქით, 40 ვერსზედ არაყის თემში არის სოფლები: შანაბარ, ახორ, ყოიძან და სხვა სოფლებიც მრავლად, სადაც სულ იქნება 5000 კომლი ქართველი მაჰმადიანები. ამ სოფლების ხანებაც ქართველები არიან ტომით.

კვალად კასპის ზღვის ნაპირებს, ჩალუმის წყლის შეყოლება, მაზანდარანისაკენ, სამოც ვერსზედ, სოფლებ ალაძლე და სოლოძლეში სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები, რიცხვი ვერ ავწერებთ. ამ სოფლების მოშორებით, 50 ვერსის მანძილზედ, ბაგრუმის სიახლოვეს, სოფ. ამოლში სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები, რიცხვი ვერ შევიტყვით. ბაგრიდან ქალაქ საამისაკენ გზაში დაშთენილია სხვა და სხვა სოფლები, სადაც ცოტ-ცოტა ქართველები სცხოვრობენ.

საამიდან 50 ვერსზედ, მთაში, სავდიკურის თემში სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები, რიცხვით 400 კომლი. ეს ხალხი გადასახლებულნი უნდა იყვნენ შაჰაბაზის დროს, რადგანაც მისგან ბოძებული ფირმანებიც აქეთ მაძულეების შესახებ მიღებული. სარაღამ მაზანდარანს, ზღვიდან შვიდ ვერსზედ არის სოფლები გურჯი მეჰელე ე.ი. ქართველების სოფელი, სადაც სცხოვრობს 800 კომლი. ამ სოფლიდან 9 ვერსის მოშორებით, ზღვის სიახლოვეს, ქალაქ აბრაგში, არის დიდი სასახლე შაჰაბაზისა და ციხე. ამ სასახლეს და ციხის ირგვლივ არის ქართველების სოფლები, სადაც ცხოვრობენ 250 კომლი ქართველი მაჰმადიანები. აქედან 70 ვერსზედ, აშტრაბადის თემში, ზღვიდან ხუთ ვერსზედ, არის სოფლები, სადაც სცხოვრობენ თურქმენები. ამ თურქმენებში არის ერთი სოფელი ბაშუსტა. ამ სოფელში სცხოვრობს 200 კომლი ქართველი მაჰმადიანი. ესენი აქ გადმოსახლებულან აშტრაფოდან, ამიტომ ეს ქართველი მაჰმადიანები თავიანთ თავს აშტრაფელად იწოდებენ“ [კიკნაველიძე 1917-2].

ამ ჩამონათვალიდან ბევრი სახელი დღეისათვის გამქრალია ან სახეცვლილია. სავარაუდოდ, ზოგი სახელი დამახინჯებულია, ამ ადგილების იდენტიფიკაცია მოცემულია ნიკოლოზ ნახუცრიშვილის წიგნში „ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში“, რომელიც მომზადდა და გამოიცა ამავე პროექტის ფარგლებში.

გაზეთ ივერიის 1907 წლის N19 ნომერში გამოქვეყნებულია ილია კურტანდის სტატია: „კიდევ ერთხელ სპარსელი ქართველების შესახებ“. ამ სტატიის ავტორი ორი წელი იყო სპარსეთში და ჰქონდა გარკვეული ინფორმაცია ქართული დასახლებების შესახებ. მისი თქმით, „უმრავლესობა ქართველებსა დასახლებულია თეჰრანისა და შაჰრუთის შუა ადგილებში, ისპაჰანისა და სემენის ოლქებში, რომლის მახლობლადაც არის სოფელი არადანი. მცირე ნაწილი ქართველობისა გაიყვანეს მეშედისაკენ, მეშედს იქით ავღანისტანისაკენ, თურბეთ-შეიხიჯამადის. ზოგიც დააქვეითეს სეისტანისაკენ (ინდოეთის მხარეს), სადაც არის ამ უამად სოფელი კახი და გაჰფანტეს აქა-იქ ფარსების სოფლებში. ბედმა ქართველებს ეს არ აკმარა და საკუთრად ხორასნის ქართველები მეტ უბედურებაში ჩავარდნენ. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც სპარსეთი უძღურდებოდა და შაჰ-აბასის, ნადირ-შაჰის და ალამაჰად¹⁵ ხანის სიკვდილის შემდეგ მეფეებოდნენ უნიჭო და ღვთის მოყვარე მეფენი, რომელნიც დროს ლოცვაში და ყურანის კითხვაში ატარებდნენ... ამ გარემოებით ყოველთვის სარგებლობდნენ თურქმენები, ტეკინელები და ავღანელები. ესენი სპარსეთს თავს ესხმოდნენ და მიჰქონდათ აუარებელი პური და ფული და მიჰყავდათ ქართველი ტყვეები. რადგანაც ეს ხალხები ხორასნის მოსაზღვრეები არიან, ამიტომ ეს უბედურები, უფრო ლამაზი და შნოიანი ხალხი, ბარბაროების მსხვერპლნი ხდებოდნენ. ქართველი ტყვეები გაჰყავდათ შუა აზიის ქვეყნებში: ტაშქანდში, სამარყანდში, მერვში და თითქმის ხივის და ბუხარის სახანოებშიც კი. აი, სწორედ ამ მიზეზით შემცირდა რიცხვი ხორასნელ ქართველებისა. დანარჩენი ნაწილი ფარსებს შეერია და დაივიწყა თავისი ჩამომავლობა“ [კურტანდიძე 1907: 2-3].

15. დაცულია წყაროს დაწერილობა.

ამის შემდეგ ავტორი ასახელებს სპარსეთში მცხოვრებ ქართველთა რიცხვს: „იგი არა თუ 40 ათასს, ასი ათასსაც აღემატება. ის ქართველები, რომლებიც დარჩნენ თეპერანისა, ისპაჰანისა, სემენისა და შაჰრუდიის ოლქებში, სოფელ აბას-აბადში, კუსეინ-აბადში, ყადრაბადში, რიონში, არადანში, სილნალში და მრავალ სხვაგან ამჟამად მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულს.“ ავტორი საუბრობს ქართველთა ჩაცმულობაზე, ჩვევაზე, ახასიათებს სოციალურ ფენებს [კურტანიძე 1907: 2-3].

2. სპარსეთში მიგრაციებისა და დასახლებების შესახებ XIX-XX საუკუნეების გასაყარზე ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ნიგნები და ნარკვევები

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის ქართულ პრესაში გააქტიურდა სტატიები ისტორიულ თემებზე, კერძოდ, შუა საუკუნეების ქართულ-სპარსულ ურთიერთობებზე. გაზეთ „დროებაში“ 1875 წელს (№6) გამოქვეყნდა ნიკოლოზ ყიფიანის სტატია ქრონიკის სვეტში, რომლის სათაურიცაა „საქართველოს ისტორიის სურათები“. ეს სტატია ეხება ახლად აღმოჩენილ წიგნს სათაურით: „შენიშვნები ახლანდელს არეულობაზედ, სპარსეთში და საქართველოში“. იგი დაწერილია 1753 წელს და დაბეჭდილია პარიზში 1754 წელს. ნ. ყიფიანი განიხილავს წინასიტყვაობას: ავტორი უძღვნის თავის წიგნს ინგლისელ ვაჭარ **ჰანვეის**, რომელსაც, როგორც ჩანს, ამავე საკითხებზე უნდა ჰქონდეს წიგნი დაწერილი და ავტორის სიტყვებით მისი ნაშრომი შვილობილად უნდა გაუხდეს მას [ყიფიანი 1875:3]. ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ყოვლად ღირსია ნდობისა, მეტადრე იმიტომ, რომ თავის წიგნში ყოვლად სვინდისიერად მოგვითხრობს ყოვლისფერს და ზოგჯერ, რაც ბეჯითად არ იცის, პირდაპირ ამბობს [ყიფიანი 1875: 3].

ნაშრომი „მოთხრობა სპარსეთისა და საქართველოს არეულობის თაობაზე მ. დე პეისონელისა“ იბეჭდება ივერიის 1879 წლის ორ ნომერში (№07–08). ამ ნაშრომის ავტორი ქართველთა უბედურებისა და რისხვის მიზეზად მიიჩნევს თეიმურაზ მეფის მიერ ლუარსაბის დის, დარეჯანის, ცოლად შერთვის გადაწყვეტილებას, ქალისა, რომელიც, ავტორის თქმით, ძალიან უყვარდა შაჰ-აბასს. ავტორის აზრით, ამ ყველაფრის უკან მოურავი, გიორგი სააკაძე იდგა. ის ლუარსაბისთვის სამაგიეროს გადახდას სპარსეთის შაჰის საშუალებით ცდილობდა: „იმდენი იმეცადინა, რომ მოახერხა ჩანერგვა შაჰ-აბასის გულში განუსაზღვრელის სიყვარულისა, რომელმაც აიძულა იგი დაემხო მტერი“ [პეისონელი (1754) 1879: 177, 178]

საქართველოს ისტორიის თემატიკას აგრძელებს ყურნალი „ივერია“. 1879 წლის მე-3 ნომერში იბეჭდება მასალა საქართველოს ისტორიისათვის – პიეტრო დელა ვალეს მოხსენება პაპი ურბანუს მერვესადმი, 1627 წ. 1, მთარგმნელი ა.ჭ-ა.

პიეტრო დელა ვალეს დაწერილებით აქვს აღწერილი შაჰ-აბასის პერიოდის საქართველოს პრობლემები, სპარსელების შემოსევის მიზეზების მიხედვით ვერსიები,

ქართველთა გადასახლება ირანში და ქეთევან დედოფლის წამების ამბავი შირაზში 1624 წელს. პიეტრო დელა ვალე შაჰ-აბასის საქართველოში შემოჭრის მიზეზად მიიჩნევს კახეთის მეფის თეიმურაზისაგან ქართლის მეფის, ლუარსაბის, დის – ხორეშანის შერთვას. საუბრობს მოსახლეობის გადასახლების შესახებ:

„მან [შაჰ-აბასმა] მსწრაფლად მოაცილა მთელი ხალხი თავის სახლ-კარს და ძალით წაიყვანა თან. ადვილი წარმოსადგენია, რა არეულობა იქნებოდა მთელი ქვეყნის ხალხის გადასახლების დროს. ამათ შორის იყვნენ მამა-კაცებიც და ღელა-კაცებიც, თავად-აზნაურებიც და გლეხებიც, ღიღები და პატარებიც, ყოველი წლოვანობისა, ყოველ წოდებისა და ყოველ მდგომარეობისა. ესენი თავისი ხიბაკით, რამოდენის წამოღებაც შეეძლოთ, დააყენეს ჯარის წინ და სიჩქარით წაიყვანეს სპარსეთისაკენ, სადაც მშვიდობით მიიყვანეს... დაასახლეს სხვადასხვა მხარეებში. დღეს იგინი თავისუფლად ჰსცხოვრობენ სპარსეთის ქვეყნებში, როგორც სხვა ქვეშევრდომები სპარსეთისა. უმეტეს ნაწილად იგინი არიან ფარსისტანში და მაზანდარანში და უჭირავთ არამცთუ ქალაქები და მაზრები, არამედ მთელი ქვეყნებიც, რომელშიაც მათ გარდა ვერავის ვერ შეხვდებით... უმეტესი ამ ხალხისა არიან ქრისტიანები და დარჩნენ ჩვენს დრომდე, მაგრამ აგერ ახლა ისინი არაფერს აღარ ემსახურებიან. ბევრი გამაჰმადიანდა, ზოგი გაჭირვების გამო.“

დელა ვალე ემოციურად აღწერს ქართველთა გადასახლების პროცესს და იმ გზას, რომელიც ტანჯვით გაიარეს:

„რა მდგომარეობა მოჰყვა ამ საზარელ გადასახლებას, რა წყევტა-ჟლეტა, რამდენი სიკვდილი ნამდვილ გაჭირვებისაგან, რა გლეჯა, რა გახრწნა, რა ძალ-დატანება, რამდენი ჩვილი ყმაწვილები თავიანთ მამებმა ან წყალში ჩააგდეს სასო-წარკვეთილებისაგან! რამდენი სხვა მოჰკლეს სპარსელ ჯარის-კაცებმა, იმიტომ რო სასიცოცხლო არ იყვნენ. რამდენი ძალად მოვლიჯეს დედის ძუძუს და დააგდეს შარაზე მხეცების საჭმელად ან მხედრობის ცხენებისა და აქლემების სასრესად! მხედრებს არაერთხელ უვლიათ ლეშებზე, რამდენჯერ მამა შვილს, ქმარი – ცოლს, ძმა – დას მოაშორეს და წაიყვანეს სხვა-და-სხვა შორ ქვეყნებში, ისე, რომ დაშორებულებს იმედიც არ შერჩენიათ როდესმე ერთმანეთის შეხვედრისა! ამ შემთხვევაში რამდენი ქალი და კაცი იყიდებოდა ყველგან პირუტყვზედ უფრო იაფად! რამდენი ამისთანები სხვა მოხდა, ღირსი შებრალებისა, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის“ [დელა ვალე 1879: 49-50].

მისივე ცნობით სპარსეთში ქართველთაგან შემდგარი იყო ცხენოსან მეომართა ჯგუფი, რომელთა რიცხვი 30 ათასამდე აღიოდა.

ჟურნალ „ივერიაში“ 1885 წელს (№7) სვეტში „მასალა ისტორიისათვის“ გამოქვეყნდა მდივანოვის მიერ სომხურიდან თარგმნილი ნაწყვეტი **არაქელ დავრიჟეცის** ისტორიისა.

სომეხი ისტორიკოსის არაქელ დავრიჟეცის ცნობები ფასდაუდებელია მეჩვიდ-

მეტე საუკუნის საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობების შესწავლის თვალსაზრისით. ისტორიკოსი საუბრობს შაჰ-აბას პირველის შემოსევის შესახებ, ასევე იძულებითი გადასახლების შესახებ საქართველოდან და მათი სპარსეთში დასახლების შესახებ იძლევა ინფორმაციას. კახეთიდან გასახლებულნი **ფარაბათს** ჩაასახლეს:

*„ამ სახით ააოხრეს ქვეყანა ქართველთა – კახეთისა და გრემისა და წაასხეს ელი ქვეყანასა ფარაბათს. ... აი ეს არის იმისი [შაჰის] ქრისტიანთ მოყვარეობა, რომ ყოველნი ქრისტიანთ ქვეყანა – სომეხთა და ქართველთა – ააოხრა და მრავალი მახვილით მოსწყვიტა, შიმშილი და ტყვეობით და დანაშთენი წაასხა **ფარაბათს** და **ისპაანს**, სადაც იგინიც დღე და დღე გაწყდნენ სხვა-და-სხვა სახით. ... ამ ქართველთაგან, რა ღროსაც ახლათ მოიყვანეს ისპაანში, მაშინვე გაყვეს და რაოდენიმე ნაწილი შირაზისაკენ წაასხეს. ამ ადგილს ეწოდება **ასუფას**, და ესენიც დაიხოცნენ სხვა-და-სხვა სახით და დანაშთენი ყოველნივე ერთობ მიიქცნენ სჯულსა ზედა მაჰმადიანისა“ [მდივანოვი 1885: 51-52].*

მისივე ცნობით, ქართლიდანაც დიდი გასახლება მომხდარა:

„ესევე უნდა გვიამბოთ ქართლელების შესახებაც – შაჰსევეანებად დაწერილებითა, რომელთა ზედა შაჰმა დააყენა მხედრობა და მხედართ-მთავარნი, რომელიც პირველის აღწერილობის ქალაქით აღწერეს და თავ-თავის ადგილიდამ და წაასხეს სპარსეთში, ვარნა ამ ერისაგან ქართლელებისაგანი არავინ წაიყვანეს ფარაბათს, არამედ ისპაანს წაასხეს და დაამკვიდრეს ისპაანის ცივ სოფლებში, სადაც სომხებიც იყვნენ დასახლებულნი“ [მდივანოვი 1885: 51].

არაქელ დავრიჟეცის ცნობების მიხედვით ისპაანის ცივ სოფლებში ჩასახლებული ქართველები ქართლიდან გადმოსახლებულნი უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო ფარაბათსა და ისპაანში ჩასახლებულები – კახეთიდან.

მეჩვიდმეტე საუკუნეს ეხება 1915 წლის „საქართველოს“ 76-ე ნომერში დაბეჭდილი წერილი „მეფე თეიმურაზ I-ის დამოკიდებულება რუსეთთან“ [ედილი 1915].

ისტორიულ საკითხებს ეხება **ვასილ პოტტოს** ნაშრომი „საქართველო და მისი ისტორიული წარსული“. ის მეორედ გამოსცეს 1887 წელს, ქართულად კი 1894 წელს გამოიცა თბილისში. რუსული არმიის გენერალს, სამხედრო ისტორიკოსს, რომელიც კავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელი იყო, ნაშრომში ფართოდაა აქვს მიმოხილული საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან, მათ შორის მეჩვიდმეტე საუკუნის მოვლენებიც, გიორგი სააკაძისა და ქართველი მეფეების ცხოვრება, საუბარია ქეთევან დედოფლის წამებაზე. ამ ნაშრომში ერთი გადმოცემაცაა ქართველი თავადის, **შიოსა** და მისი მეუღლის, **ზორეშანის**, შესახებ, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოდან სპარსეთის განდევნისათვის ბრძოლას. მის ნაშრომში ვხვდებით იმავე ინფორმაციას, რაც **ნიკო ცხვედაძესა** აქვს თავის ნაშრომში: „**ისპაანის ახლოს**

დღესაც არის რამდენიმე სოფელი ქართველებისა და სომხებისა, იქ მცხოვრებთ თუმცა სარწმუნოება დაუკარგავთ, მაგრამ თავიანთ მამა-პაპათა ენა კი შემოუნახავთ“ [პოტტო 1894: 31].

ნიკო ცხვედაძის სტატია ქრონოლოგიურად წინ უსწრებს პოტტოს ნაშრომს. როგორც ჩანს, პოტტო ეყრდნობა იმავე წყაროს, რასაც ნიკო ცხვედაძე.

1903 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ თბილისში გამოსცა მარი ბროსეს მიერ 1829 წელს პარიზში გამოცემული დედნიდან გადმობეჭდილი „პარიჟის ქრონიკა, ანუ ცხოვრება საქართველოდსა და დიდი მოურავის ამბები“. ამ ნაშრომის ავტორი უცნობია. თხრობა იწყება ამბებიდან ქორონიკონსა და, თურქების შემოსევიდან და მეფე გიორგის მკვლელობის ამბიდან. ქრონიკის ავტორი დეტალებში აღწერს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განვითარებულ მოვლენებს. ჩამოთვლის საქართველოს იმ კუთხეებს, რომელთა მოსახლეობასაც შაჰ-აბასის გაუგონარი მრისხანება დაატყდა თავს, განსაკუთრებით აღნიშნავს კახეთის სამეფოს უბედურებას: „...და აღზოცნა პირითა მახვილისათა ყოველნი ქვეყანანი მთისანი ერწო, თიანეთი, პირი არავისა ზემოთგან ვიდრე ავჭალამდე, მარტყოფი, უჯარმა, საგარეჯო, ჩერქეზნი დიდთგან მცირემდე და არავინ განერა ხელთაგან მათთა თვინიერ მცირე კაცი მარტყოფისა და შემდგომად მოუხდა ქართლსა...“ [ჭიჭინაძე 1903: 39].

ავტორი საუბრობს კახეთიდან აყრილ მოსახლეობაზეც:

„...და კახეთში რაც კაცი აყვარა, ზოგი ფერიას გაგ ზავნეს და ზოგი მაზანდარანს და ზოგი შირაზს დაასახლა, ზოგი სხვაგან დაფანტა [ჭიჭინაძე 1903: 42].

1895 წელს ზაქარია ჭიჭინაძე გამოსცემს წიგნს „ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი“, წიგნი შედგება 48 გვერდისაგან. მასში საუბარია საქართველოდან სპარსეთში ქართველთა გადასახლებაზე, ქართველთა დასახლებებზე ირანში, ასევე საქართველოში ჩამოსული ერთ-ერთი პირველი ფერეიდნელი ქართველის – ათამ ონიკაშვილის 1871 წელს სამშობლოში სტუმრობისა და მისი მცდელობის შესახებ მიეღო უფლება ხელისუფლებისაგან ფერეიდნელთა საქართველოში ჩამოსახლების თაობაზე. წიგნში ასევე მოყვანილია ცნობები ქართულ და სომხურ პრესაში დაბეჭდილი სტატიებიდან სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ. ჩამოთვლილია ქართველთა სოფლები სპარსეთში. ბუნებრივია, ზაქარია ჭიჭინაძე ძირითადად ეყრდნობოდა ათამ ონიკაშვილის ნაამბობს და რაიმე სხვა სარწმუნო და ახალი წყარო მას არ გამოუყენებია. ეს წიგნი დიდი ინტერესის გამო კიდევ ორჯერ გამოიცა 1901 და 1907 წლებში.

1894 წელს ლალო აღნიაშვილმა იმოგზაურა სპარსეთში, იყო ფერეიდნელ ქართველებთან და თავისი შთაბეჭდილებები გადმოსცა წერილებში „სპარსეთი და იქაური ქართველები (მეზავრის წერილები), რომლებიც იბეჭდებოდა „მოამბის“ 1896 წლის მე-2 – მე-8 ნომერებში. 1896 წელს კი ეს წერილები გამოსცა ერთ წიგნად „სპარსეთი და იქაური ქართველები“.

ლალო აღნიაშვილის წიგნი მნიშვნელოვანი წყაროა ნებისმიერი მკვლევრის-

თვის, რომელიც სწავლობს ფერეიდნელი ქართველების **ისტორიას, ყოფასა თუ მეტყველებას**.

1911 წელს **ანტონ ფურცელაძე** მეორედ აქვეყნებს შევსებულ გამოცემას წიგნისა „ბრძოლა საქართველოს მოსპობაზე და საქართველოს შესაერთებლად, გიორგი სააკაძე და მისი დრო“. ამ წიგნში ავტორი ანალიზებს მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოს პერიოდს, საუბრობს შაჰ-აბასის შემოსევებსა და გიორგი სააკაძის ფენომენზე. ქართველების აყრასა და სპარსეთს გადასახლებაზე, ლორედან, ხუნანის საერისთავოსა და ბერდუჯიდან ქართველების აყრასა და მათ ადგილას სპარსული ტომების ჩასახლებას: „აბაზმა აჰყარა ამ ადგილებიდან ქართველობა და მათს ალაგს დასახლა სპარსეთის ავაზაკი ელი ბორჩისა, რომლისაც გამო ძველს ბერდუჯს დაერქვა ბორჩალო“ [ფურცელაძე 1911:156].

3. ზეპირი წყაროები სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ (ქართული დიალექტური კორპუსის მასალების მიხედვით)

ქართული დიალექტური ტექსტები ინახავს საინტერესო ინფორმაციას სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ.

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ფერეიდნელი ქართველებიდან ჩაწერილი ტექსტები, რომლებშიც მრავალ საინტერესო ფაქტს ვხვდებით მათი ისტორიიდან, ხალხურ გადმოცემებს, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების სხვადასხვა ვერსიას. ჩვენ ამ საკითხებზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ამჯერად ყურადღებას გვაქმავთ დიალექტების ტექსტებზე, რომლებიც ჩვენთვის საყურადღებო ცნობებს შეიცავენ.

ქართულ დიალექტურ კორპუსში დაცულია იმერული ტექსტი ჩაწერილი ქეთევან ძოწენიძის მიერ ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხალანში. მთქმელი **ერისტო შველიძე** საუბრობს სპარსელ ქართველებზე, რომელთა დასახლებასაც გურჯისტანს უწოდებს და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის:

„მე მაშინ ვიყავი გურჯისტანში, იქ არი, ირანში. მზემ დააღამა იმ დროს, ეხვერწებოდენ ღმერთს, – დაგვიფარეო – და დიდი ამბავი ქონდათ. საცა რო სპარსელეფს ჩვენ ხალხი მოუყვანიათ, იმა ახლა უძახიან გურჯისტანს. ძიელ მიჩოული თ'ვარ ხარ, ვერ გეიგეფ. ქართულს კი ლაპარაკობენ, მარა კარქათ ვერ გეიგებდი. ღორის ხორცი ჭამეს ჩენთან იმ ქართველმა: კაცო, ჩვენ ქართველის ჯიში გვაქო. გურჯისტანში ყავარი ვხადეთ ორ თვეს. ვიყავი შარუთში და ასტრაბადში, ბერდენგეზში. ჩამოვდიოდი იქიდანი...“

არაბეთშიც ვიყავი მე იქიდანი. ცხენის გულისთვინ გაგვიყვანა უმფროსმა...

არაბეთშიც და სპარსეთშიც ჩადრები ქონდათ ქალეფს.

ირანში იყო ზეგნელი კიკნაველიძე. იმან აქ მობოჭა ხალხი და წეიყვანა იქა.

შვიდასი კვამლი ყმა ყავდა იქა. შაჰი რო ჩამოაგდეს, მაშინ ისიც ჩამოაგდო შაჰ-აბასმა. სპარსეთის ნეფე გეიქცა და ჩოუტოვა ეს ნიკოლოზ ხენწიფეს. სამი კონსოლი იყო იქა რუსის, ის კონსოლები ხელს ჩამოართმევდენ, კითხევდენ, როგორ ხარო.

იქ ვაკეთებდით ჩვენე ხე-ტყეს. მუხისა ყავარ ვხთილით. მერე გაგვიყვანეს სახერხზე, გვახერხებდენ ხელის ხერხით“ [ქღკ, ერისტო შველიძე].

ეს ტექსტი მნიშვნელოვანი წყაროა სპარსეთში არსებული ერთ-ერთი ქართული კოლონიის არსებობის გარკვეული ეტაპის შესასწავლად. როგორც ტექსტიდან ირკვევა, არისტო შველიძე მაზანდარანის ქართველებთან იმყოფებოდა, ყარამან კიკნაველიძისა და მისი ძმების მიერ დაწყებულ საქმიანობაში იღებდა მონაწილეობას. ეს მეოცე საუკუნის დასაწყისია, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ დროისთვის მაზანდარანელ ქართველებს ჯერ კიდევ ჰქონიათ შენარჩუნებული ქართული ენა, თუმცა ის ძალიან დაშორებული იყო სალიტერატურო ქართულს. როგორც არისტო შველიძე აღნიშნავს: „ქართულს კი ლაპარიკობენ, მარა კარქათ ვერ გეიგებდი“.

სპარსეთში გადასახლებული ქართველების შესახებ არის ინფორმაცია ინგილოურ ტექსტშიც, რომელიც ჩაწერილია მაია ბარინაშვილის მიერ 2005 წელს:

„—ჰა? და ემე ჰათარ ოტყვი [...] სპარსევე, მაგათთავ შაიპერეს წაიყონეს იქ, პლენად. ქართულა ჰათარა ამბოენა?... სამ მილიონია, რასა, არ ვიც, ქართველ წოვყონიყ, წაღან ჰერეთ უწოდევდენ ჩონ ტერიტორიაზე. ოვგე ლავოდენ ალაზან არისი, მდინარე ალაზანს ემიან წაღან აი ჩონ ქოთოქლუ ყარაშოღლას საზღვარიც ოვ შექი საზღვარ ქნილ და იმიან აზერბაიჯან ქნილ. აი ეს წაღან ჰერეთი ემე ეყო სამთავრო ეყო. ჰევე ხალხ ბუთუჟმ აი ჩონებურ ხალხ ინგილოურ ხალხ ბუთუჟმ აი ლავოდენშიაც ქნილ. ჰემათი წაღან სპარსევე დოვპრიაყ წოვყონიყ ტყვეოვაში იქ სამ მილიონ ქართველ გასპარსეულ აიხლა. იმათთან აიხლა ზოღობურა ენა, ენის რამოდენიმე სიტყვა შომორჩომილ.

—ფერეიდანშიდა, აბაღანშიდა, მილიანშიდა, მოსულიშიდა, ჰა ვიცი მე? ვიცოდი მაგათ ნაქნარ ადგილევ, კახეთში წამიკითხი მე, სოფლი ცხოვრევამ. რადიოში მა-მისმენი, მაგათავ წაიყონა იმ დროზე შაჰ-აბასმა ირანის სპარსეთის, ესე იგი, თავ ბოლოში გორდოვზე აქეთ-იქით ჩაასახლა, ქართოლოვ მაგარ მეომრებ ეყნონავ, ყოფილანავ, მაგათ მომთაბარე ხალხ ქნილ. სამშობლოთი ნუ გოუდენენ, ნუ მოუდენენავ მაგათ დასაცავად ემავ ჩოვსახლევიყ, აიხლაც არიან“ [ქღკ, იროდი გაჯიშვილი].

ეს ტექსტი ნათელს ხდის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის ინფორმირებისათვის პრესასა და რადიოგადაცემებს სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ და როგორი იყო სამთავრობო პროპაგანდა ამ საკითხთან დაკავშირებით.

4. კვლავ ქართული პრესის ცნობები სპარსეთის ქართველების შესახებ

ფერეიდნული თემა ინტერესს არ კარგავდა ქართველ მკითხველებში და პერიოდულად იბეჭდებდა ახალი ინფორმაციები. მეოცე საუკუნის სამოციან და სამოცდაათიან წლებშიც დაიბეჭდა რამდენიმე სტატია სპარსეთის სხვა რეგიონებში მცხოვრები ქართველების შესახებ.

ქალაქ ახალციხეში გამომავალ გაზეთ „წითელი დროის“ 1962 წლის 19 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილია პეტრე ვარდიძის მოგონება, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ქალაქ **არდებილიდან** შემთხვევით მოხვდა ქართულ სოფელში, სადაც ყველა ქართულად ლაპარაკობდა. ქალაქი არდებილი თავრიზის აღმოსავლეთით 300 კილომეტრზე მდებარეობს, ქართული დასახლება კი მისგან სამხრეთ-დასავლეთით მესამე სოფელი ყოფილა. სოფლის უფროსის თქმით, მათი წინაპრები მესხეთიდან ყოფილან, როცა სპარსელები საქართველოს შემოსევიან, ქართლიდან, კახეთიდან და მესხეთიდან მოსახლეობა აუყრიათ და სპარსეთში გადმოუსახლებიათ. **თაბრიზსა და არდაბილს (არდებილს)** შორის 67 ქართული სოფელი ყოფილა, რომელთა მცხოვრებნიც ქართულად ლაპარაკობდნენ. ამ სოფელს **უდე** რქმევიან, რადგან იქ მცხოვრები ქართველების წინაპრები უდედან ყოფილან გადასახლებულნი [გიქოშვილი 1962].

ეს მოგონება დასტურია იმისა, რომ გადასახლება მხოლოდ კახეთსა და ქართლს არ შეეხებია.

ქართული პრესა საინტერესო მასალას აწვდის მკითხველებს სხვა ქართული დასახლებების შესახებაც. 1971 წელს გაზეთ „კომუნიზმი“ დაიბეჭდა სტატია **„ირანის ქართულ სოფლებში (წერილი თეირანიდან)“**, რომლის ავტორსაც ცნობილ ქართველ აღმოსავლეთმცოდნე **მაგალი თოდუასთან** ერთად უმოგზაურია ქართველთა სავარაუდო დასახლების ადგილებში. პირველ ყოვლისა, ის ასახელებს ფერეიდნის რეგიონის სოფლებს, შემდეგ სამხრეთ ირანს – ქერმანის რაიონს, ჩრდილოეთ ირანს, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროს. ქართველების მოსაძებნად ისინი დაადგნენ ძველი მეჭხედის (მეშქედი) გზას ფირუზქუჰსა და შემდეგ სარისაკენ გაემართნენ. გზად მათ შემოხვდა ორი ყმაწვილი, რომლებიც გურჯები აღმოჩნდნენ სოფელ **შურ-აბიდან**. როგორც ბიჭებმა უთხრეს, ჩრდილოეთისკენ კიდევ იყო ერთი ქართული სოფელი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქართული იცოდნენ, თუმცა, როგორც მაგალი თოდუამ აღნიშნა, ისინი საუბრობდნენ სპარსული ენის ერთ-ერთ დიალექტზე [აჰმედ-ზიანოვი 1971].

ამავე წლის გაზეთ „თბილისის“ 19 მაისის ნომერში საუბარია **ყასემ-აბადის** რაიონის მაცხოვრებლებზე, რომლებიც წარმოშობით ქართველები იყვნენ და საკუთარ თავს გურჯებს (ქართველებს) უწოდებდნენ [გრიგოლია 1971].

მსგავსი პუბლიკაციების გამოჩენა პრესაში იმის დასტური იყო, რომ ეს ინტერესი არასდროს განელებულა ქართულ საზოგადოებაში, თუმცა, სამწუხაროდ, დღესაც საკმაოდ მწირი ინფორმაციაა ფერეიდნის გარდა სხვა ქართული დასახლებების შე-

სახეზე. ფერეიდანში ჩასულები ხშირად ვიგებთ მათგან, რომ გაუგიათ ირანის სხვადასხვა რეგიონში მოსახლე ქართველების შესახებ, სმენიათ რომ ზოგან თითქოს ქართულიც იციან, მაგრამ დაბეჯითებით მითითება, კონკრეტული პუნქტებისა და ფაქტების დასახელება უჭირთ.

5. ფერეიდნელი ქართველები სხვა ქართული დასახლებების შესახებ ირანში

ამ დაუზუსტებელი ცოდნისა და ვარაუდების გამო ფერეიდნელი ქართველები მონდომებით ეძებენ სხვა ქართულ დასახლებებს ირანში:

„ირანჩი სოფლებს დევეძებდით, რო იქ ქართველები ცოცხლობდეს და ნახშა რუკა’რი, ნახშაზე დევეძებდით, რო აბა, ირანის ტერიტორია – სარზამინზე, აბა, ქართული სოფელი სად არი? ოთხი სოფელი მოვნახეთ რუკაჩი, ერთი იყო ხორასანს, ერთი ქორდესტანს, ერთი ლორესტანს და ერთიც მაზანდარანს. აი იმ სოფელს, რო ხორასანს იყო, ჰქიან გორჯი და მაზანდარანს არი გორჯი მაჰალე.

წაველით ხორასანს, სადაც ის სოფელი იყო და ვნახეთ – ქართველი იქ არ არი. მისაც გამოძკითხეთ, რო რათი იმ სოფელს გორჯი ჰქიანო და არმინ არ იცოდა და ქართველებიც ხო არ იყნეს. და ქორდესტანს წაველით იმ სოფელჩი, რო გორჯი ერქო, იქაც ქორდები იყნეს, ქურდებს ქენ ეძახით. და იმათაც ძკითხეთ: აი ემ სოფელს გორჯი რაჰთი ჰქიანო, ქენი წინაბრები, დიდალები ქართველები ყოფილანო? და თქეს: არა, არა, ჩონ ქორდები ვართო და არ ვიცით – ექ რაათი ესე არიო. და კიდემ ლორესტანს, ხორამაბადის ახლო არი, იქაც წაველით, იქაც იგივე იყო [ქდე, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ირანჩი ბეჭერი სოფელი იქნების, რო ქართული სახელი ჰქიან – გორჯი. ად მე იმ სოფლებზე ვამბობ, რო რუკაჩი ყოფილა, ბეჭერი სოფელი არი, რო ნახშაჩი არ არი, ჩაწერილი არ არი. ჩონ ხო არ ვიცით, სად არი, სად არ არი. ჩონ მარტო რუკა გოქ, ჩონ სანადი რუკა’რი. ხორასანს არ იყნეს ქართველები, ქორდესტანს არ იყო, ხო არ იცოდენ და ლორესტანს. და მარტო დარჩა გორჯი მაჰალა, რო წელანა ძთქით, გორჯი მაჰალა და ხო ის, ბატონმა რე ზომლა რო გიამბოლა და რავაბეთი გავსხენით [= ურთიერთობა დავამყარეთ]. და თქეს, რო: გუნდა ქართული ვისწავლოთ. და ბაბა, წიგნი არა გოქო. და ვთქი: მე ნაჯაძაბადსა ქართულ ენას ვასწავლი, მადრესა – სკოლა გამძისხნია-მეთქი და იმანთ მე მთხოვეს, რო თუ შეგიძლიაო, მითუნიო [= შეგიძლიაო],¹⁶ მოდი ექაო და ერთი ქელასი გუგუსხენო, თუ გამოგივაო. და ძთქი: რა ვიცი, დრო უნდა, არა მცალია-მეთქი. მევერის, იმ სხო მევერის თქენ მოდით-მეთქი. წადდეთ-მოდდეთ, ერთმანერთი გადცნათ, ერთი-ორი წელია ჩონ მივ-

16. ქართულ-სპარსული ლექსიკური პარალელიზმი.

ღივართ, ისინი მოიღუნ, ად ოცი დაახლოებით. ოთხას წელს უკან ერთმანერთი ეხლს გავიცანით და მისლა-მოსლა ეხლს დავიწყეთ იქა. და იმანთ დაქპირებევართ, რო ერთ იგეთი რო ქართული ანბანილა იცოდესლა, წავგაზავნოთ იქა და იმანთ ასწავლოსყე ქართული ანბანი და ად ეხლს თუ ჩამოელით, დაქპირდით, რო ექით ქეთაბი, წიგნი ქართული წოლოდყე და დავიწყოთ იქა სწავლება ქართულ ანბანილა.

და ალბათ იმანთ იციან, რო ქართველებია, ძრიალაც ნარათებია და ჩონ იქ თაინთ ბიბანზე დავდიოდით.

ვთქით: აბა, რა გაყე ქართულიო. და წაველით, ერთი ვთქით: აბ' ემას რას დადძახით, ხო სუ ქარსული იყო. ერთი აღვილა იყო, წყალი ვომოდიოდა – წყარო. და ფთქი: ამას რას დადძახით-მეთქი?

თქო: ემას ვეძახით ყაროო“ [ქლკ, მუხტარ ასლანი (ღარჩიაშვილი)].

როგორც ვხედავთ, ფერეიდნელმა ქართველებმა თავად მოძებნეს მაზანღარანელი ქართველებისკენ მისასვლელი გზა და დაუმეგობრდნენ კიდევ. აი, როგორ გვიყვება ამ ამბავს ფერეიდნელი ქართველი ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი):

„იქავრობა საქართველოსავით არი. თავის ბუნება საქართველოსავით არი. თავით თა და გორა რი რო წახიდუ, ძნახო, როგორც რო საქართველოში იყო. იქ მივდლოდი, დავიარო და ერთგანა ვნახე, რო აწერია, რო გურჯი მაჰალლე. გურჯი ჰო ქართველია და გურჯი მაჰალლე, ფარსულად დაწერილი იყო გურჯი მაჰალლე და დთქი, რო ჩონ მამებმაცა და ჰაპებმა თქიანყე, რო მაზანღარანშიო ქართულები არიანო, ჩონ ნათესავებიაო, მაგრამ იმაშინაც ენა არ იყო, მანქანა და წასლა-მოსლა არ იყო და ვერ გუნახავო, ვერ წასულვართო, რო შორს არიო და ისენიც ვერ მოსულანო. ესები მამაგონდა და ესლა რო ვნახე, ვთქი: ჰა, ჩემ მამამ რო თქისყე-მეთქი, რო არიან ჩონ ქართველები იქ არიან, ღარჩომიან, შორს არი ჩენთან, ის მამაგონდა და ვთქი, რო ექ ავალ, ემ ქალაქში და ქალაქი ხო არ იყო სოფელი იყო, ბატარა სოფელი იყო და გამოიკითხავ იქა, რატომ გურჯი მაჰალლე.

ეგ მე მამაგონდა ჩემ მამის საუბარი და ჰაპებისა რო თქიანყე, თქი, რო ავალ ექ და შეიძლებოდა და ქართველები რო თქიანყე, ექ იყნენ. აველ ერ და თქი, რო აქ მინდა ერთ ღამეს ერთ სახლი დაიქირაო და დავდგე და მე ქართული ვარ და თუ რატომ ექაურობასა ექიან გურჯი მაჰალლე და ერთ მაღაზიაში რო მოელ და ესე ბევრ ლაპარაკიყე და რავდენ ხალღ მოიდეს და თავითან რო დეველაპარაკე, თქეს, რო ჩონ ქართულები ვართო, ქართულები ვართო და თავით მაღაზიების სახელებიცა რა? პარსულად დაწერილია, მაგრამა თქიანყე: მაღაზე გურჯიჰა, თა უბნი გურჯიჰა. ეს გურჯი ყველა მაღაზიასცა ექონდა. მეჩედი, რო ის ლოცულობდეს, მეჩედე გურჯიჰა, იან ანქ ქართულებისა და ვთქი, დავდგე და აბა ვნახო, რა იციოთა ქართული, რამე გავგონდებისყე? ერთ ათი სიტყვით მოუნახე... დედას დედას დადძახოდეს, ბრეწულის ვარდი, ყვავილს დადძახოდეს გუგუ. ლაჩინანთ გორა ექონდაყე. წყარო ექონდაყე, წყაროს ღაროს დადძახოდეს.

– ამბობდეს, რო ჩონ პაპებმაო ქართულად იცოდესო, თითოერთმაც რუსული იცოდაო. ასი წელის იყნენ, მოხუცი კაცები გყვანდაო და თქიანყე, რო ჩონ ქართველები ვართო, ეს ენაც ქართულია რო ჩონ ვამბოფთო, რუსულიც არიო და ეხლ ემ თავით პასპორტებჩინა, მე რო მქიან ალი ჰოსეინ იბრაჰიმი გურჯი, ყველას თავის პასპორტი ახიჩაღზე ბოლოს ეწერა რო გურჯი. იქ ნიშნავს, რო ჩონ ქართველები ვართო. ყველანთ პასპორტი რო ოგუღიაო, დოგუწერიაო, რო გურჯი. და ი, ოცი წელს რო წავედი და ემთთან დეველაპარაკე და ამხანავი შაიქენ, ე, ისე იმათა დავუპატიჟა უკვე ქორწილეფში ა, იმ ახალ წელჩი მოიდენ, ჩონ წავალთ იქა, ისენი ქორწილეფში დავუპატიჟვიანყე“ [ქდკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)].

თავი III

ფერეიდანი და საქართველო

1. ქართული იდენტობის მქონე ეთნიკური ჯგუფები ირანში

დღევანდელი მდგომარეობით შეიძლება ვისაუბროთ ირანში არსებულ რამდენიმე ქართულ კოლონიაზე, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ქართული იდენტობა. კომპაქტურად დასახლებული ქართველები ცხოვრობენ გილანსა და მაზანდარანში. მათ ქართული აღარ იციან, მაგრამ თავს ეთნიკურ ქართველებად მიიჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ ენა მაზანდარანელ ქართველებს ვერ შემოუნახავთ, მისი კვალი „იკითხება“ აქ მცხოვრებთა ლექსიკაში, ტოპონიმებში, ეთნოგრაფიაში [ჯაფარიძე და სხვ. 2017: 30-63]. მაზანდარანის გარდა ქართველთა საცხოვრისად გილანის პროვინციას ასახელებს ვახტანგ ონიკაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ ანზალი (ქალაქია გილანში) და მაზანდარანი ის ადგილებია, სადაც ტყვედ წაყვანილი ქართველები სახლობენ. მათ ქართული ენა არ იციან, მაგრამ იციან, რომ გორჯები ანუ ქართველები არიან [ონიკაშვილი 2004: 64].

ფერეიდანი ერთადერთი რეგიონია ირანში, ქართულად მოლაპარაკე ქართველებით დასახლებული. მათ ფერეიდნელ ქართველებს ვუწოდებთ. ფერეიდანი რჩება როგორც ერთგვარი ენობრივი კუნძული, რომლის არსებობის გახანგრძლივებასაც თავისი მიზეზები და საფუძველი აქვს და რომლის ლინგვისტურ თავისებურებათა აღწერასაც ეძღვნება ეს წიგნი. ვფიქრობთ, ყველაფრის მიუხედავად, როგორც ირანის დანარჩენ პროვინციებში, ფერეიდანშიც დადგებოდა ქართული ენის დაკარგვის საფრთხე, რომ არ დაწყებულიყო რეინტეგრაციის პროცესი, რამაც გაააქტიურა ფერეიდნელ ქართველთა იდენტობის მთავარი ნიშანი – ეთნიკური კუთვნილება (ქართველი) და ქართული ენა.

2. ფერეიდანი

ფერეიდნის ისპაჰანის სამხრეთ-დასავლეთით 150-160 კილომეტრის დაშორებით, ბახტიარის მთებში დღესაც ცხოვრობენ ეთნიკური ქართველები, რომელთა ერთ ნაწილს შენარჩუნებული აქვთ ქართული ენა. რეგიონს, სადაც ქართველები არიან

დასახლებული, **ფერეიდანს** უწოდებენ როგორც უცხოურ, ისე ქართულ სამეცნიერო და პუბლიცისტურ სივრცეში. პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს სახელწოდება **ფარიდანი**.

ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის ისტორიკოსი ისქანდერ მუნში თავის წიგნში ახსენებს ტოპონიმ **ფერეიდანს**: შაჰ-აბასი ისპაჰანში ძლიერი სიციხეების გამო ფერეიდანის იალალებზე ავიდა, შემდეგ, როცა აგრილდა, სამეფო ადგილსა და სამყოფელს დაუბრუნდა, იქიდან რამაზანის კურთხეული თვის ორს ხუთშაბათ ღღეს საღვთო ომისთვის საქართველოსკენ დაიძრა [ფუთურიძე (ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ) 1969: 81]. აქ, სავარაუდოდ, 1609 წლის გამოლაშქრებაზეა საუბარი.

ისქანდერ მუნში მეორედაც ახსენებს ფერეიდანს, როცა 1621 წელს შაჰის ბრძანებით ფერეიდანში მოსახლე სომხებისა და ქრისტიანების გამაჰმადიანება გადაწყვიტა შაჰ-აბასმა: „სომხები და ქრისტიანები [შაჰის] ბრძანების თანახმად ფერეიდანში და ბახტიარების მეზობლად სახლობენ...“ [ფუთურიძე 1969: 117].

ლადო აღნიაშვილი, რომელიც 1896 წელს იმყოფებოდა ფერეიდანში, ასე აღწერს მას:

„სიმაღლით ფერეიდანი ირანის ყველა სხვა დასახლებულ ადგილზე მაღალია (2500 მეტრის სიმაღლეზედ არის). ფერეიდანი შესდგება მთლად მთებისაგან და სადაც ეს მთები ცოტა შორი-შორს არიან ერთმანეთისაგან, იქ, შუაში სოფლებია დამართული. მთები თავის-თავად არ არის საიმიყო მაღალი, უფრო გორებსა ჰგავს, მაგრამ მთლად ადგილი იძოდონად მაღალია, რომ ამ პატარა გორაკებზედ გარდა ერთის თვისა, მუდამ თოვლი სძევს ხოლმე ადგილ-ადგილ ხევებში.

ჰაერი ძალიან წმინდაა და სალი; წყალი მშვენიერი. ყველა სოფელს აქეთ-იქით მხრიდან ჩამოუდის კამკამი მთიური წყაროები, რომელთაგანაც სდგება პატარ-პატარა ხევები. ეს მთები აძლევს წყალს თითქმის ერთ მესამედ ნაწილს სპარსეთის ქვეყნისას.

ზამთარი ძალიან ცივი იცის და ხანგრძლივი, ისეთი თოვლი მოდის, თურმე, ხშირად, რომ ბანიდან ბანზედ გადავდივართ, მეზობელთან მისვლა რო გვინდოდესო, მითხრეს აფუსელებმა.

მცენარეობა ბუნებითად არავითარია, როგორც მთელს ირანში; მთები გაშვლეს-პილესა და მინდვრად კი ხშირად შეჰხვდება კაცი ბალახს და ანუ მინდვრის ფერად-ფერად ყვავილებს. ცხოველები იგივეა, რაც დანარჩენ ირანში“ [აღნიაშვილი 1896: 188-189].

ამბაკო ჭელიძეც, რომელიც 1927 წელს სტუმრობდა ფერეიდანს, აღნიშნავს, რომ ქართული სოფლები მთებს შორისაა მოქცეული:

„ის უბანი, სადაც დასახლებული არიან ქართველები, დაშორებულია ქ. ისფაჰანზე ას ოთხმოცი კილომეტრით. თვით ქართველების უბანი, დაახლოებით, არის ორასი კვ. კილომეტრი. ისინი დასახლებული არიან მთების კალთებში. მარჯვნივ არის აფუსის მთა – ანუ წვერის მთა, ხოლო მარცხნივ – ლურის მთა. ისფაჰანიდან მისვალში, აღმოსავლეთით, წინ გვხვდება სომხებისა და თურქების სოფლები.

სამხრეთ დასავლეთის მხრით მდებარეობენ ლურები, ბახტიარები და ქურთები... ადგილ-მდებარეობა მაღალია, სააგარაკო, რომლითაც მომავალში უსათუოდ ისარგებლებს კულტურული საზოგადოება. აქ იცის შედარებით ხანგრძლივი ზამთარი. ზოგჯერ სახლები თოვლით დაიფარება, გზები შეიკვრება. ასე რომ, ამ მხრივ იგივეა, როგორც ჩვენი ზოგიერთი მთიანი ადგილები. მათ წვერის მთაზე, რომლის გარშემო სახლობენ ქართველების მეტი წილი, თოვლი არ დნება შუა ზაფხულამდე; მის ხეებზე და ღრადობებში მთელი ზაფხული ინახება ყინულის დიდი მარაგი, რომლითაც სარგებლობს მოსახლეობა გაჭირვების დროს. ეს მთა განირჩევა მშვენიერის წყაროს წყლებით და ჰაერით, რომლითაც ხშირად ამყოფენ და იშვიათად ვინმე დაგელაპარაკება, რომ თავიანთი „წყალია და ჰაერის სიმდიდრე არ ახსენოს. ხშირად მეკითხებოდნენ: „არის თუ არა საქართველოში ასეთი დიდი მთა და კარგი წყალი. ეს მთები, როგორც ყველა მთები სამხრეთ სპარსეთში, ერთი შეხედვით წარმოადგენენ ვეება ლიტონი ქვის ზოდს, რომელთა სხეულზე ვერ ნახავთ ხის ნატამალს; ისინი დაჩეხილი და დაჭრილია ნიაღვრებისაგან, ალავ ძირგათხრილი, გარეცხილი, დაღრეჯილი და პირქუშად გამომზირალი. ფერად რუხი, წარბებშეკრული, ცივის გამოძეტყველებით დაცქერიან ზევიდან გარშემო დაფენილ ამწვანებულ სოფლებს. მაგრამ ამ უსიცოცხლო მთებსაც თავისი სიცოცხლე ჰქონიათ. მათი შორეული და ხშირად მიუვალი წიალიდან გამოდის მრავალი ნადირი – გარეული ჯეირნები, თხები, ცხვრები, მგელი და ტურა, კაკბები, ქედნები. არის აგრეთვე ვეფხვები, რომლებზედაც ხშირად უხდებათ ნადირობა. ამ კუზიანი მთების თხემებზე დაფრიალებენ ქორები და არწივები, რომლებიც ეშვებიან ძირს, როგორც გადმოსროლილი ისარი რაიმე მძორის, ან წაქცეული ცხოველის დანახვაზე. ამიტომ ფერეიდნელი, რომელიც შეკედლებია ამ მთებს მთელ რიგ საუკუნეების განმავლობაში, და არც გაშორებია მას არასოდეს, ცხადია, უკეთესს ვერ წარმოიდგენს“ [ჭელიძე 1935: 64-65].

თავად ფერეიდნელი ქართველებიც აღნიშნავენ, რომ ეს რეგიონი მაღლა მდებარეობს და გამორჩეულია:

„ფერეიდანი, მარტყოფი ათას შიდასი მეტრი ზღუასაყე ზევით არი. და თელ ირანნი ეს ირანის გომია. გომი ხო იცი, რა არი? ზედ, ჭერი, მარტყოფი. ჰაერი სუფთა, ჰაერი ადგა, ხო გინახავ, თოვლი მოდის შით, წყაროები ბეჭრი, კაი წყალები ბეჭრი აქვს და კაი ადგილ აქვთ ქართველებს ანქათ“ [ქლკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

ამ რეგიონის ფერეიდნად მოხსენიების ტრადიცია საქართველოში სათავეს იღებს მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებიდან და დღესაც დამკვიდრებულია სამეცნიერო და საზოგადოებრივ სივრცეში. ირანის ისლამური რესპუბლიკის დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ამ რეგიონში ქართველებით დასახლებული ცხრა სოფელი ორ რაიონულ ცენტრშია თავმოყრილი. ფარიდნის (ზოგან ფერეიდა-

ნიც გვხვდება დასახელებად) რაიონში სამი ქართული დასახლება შედის: დაშქესანა, ახნა და აფუსი, აქედან უკანასკნელში დღეს აღარ საუბრობენ ქართულად.

ცალკეა ბოინ-მიანდაშთის ოლქი, რომელშიც შედის სოფლები თოლელი (მიანდაშთი) და ბოინი. ზოგიერთი წყაროთი ეს ოლქი ფარიდანის რაიონს განეკუთვნება. ფერეიდუნშაჰრის რაიონში კი ოთხი დასახლებაა: მარტყოფი (ქალაქი ფერეიდუნშაჰრი), სიბაქი, ჯაყჯაყი და ჩულრუთი.

ფერეიდელი სომეხი ავტორის, ლევონ მინასიანის, წიგნში ასევე ჩამოთვლილია ფერეიდნის, იმავე ფერეიას, ქართული სოფლები მოსახლეობის რაოდენობის მითითებით:

დარანის რაიონის სასოფლო თემი გორჯი (7 სოფელი):

- ქვემო ახორა – 1929;
- ახნა – 1010;
- აფუსი – 2368;
- ბოინი -1430;
- ტაშქეშანი – 540,
- მიანდაშთი (დომექამარი) -1255;
- შაჰპურდ- 906.

ახორას რაიონის ზანრუდის სასოფლო თემში:

ერთი სოფელი – ზედა ახორა – 4749;

მუგუის სასოფლო თემში:

- ჩუხურურთი – 885;
- ჯალჯალი – 117;
- სიბაქი – 1297.

ქართულ 11 სოფელში ერთად აღებული სულ ცხოვრობს 16489 ადამიანი, რომელთაგან 20% სხვა ეროვნებისაა. ასე რომ, ქართველების რაოდენობა იქნება 14 ათასი. ამ სოფლებიდან აფუსში და ქვემო ახორაში დაავიწყდათ ქართული. სხვა სოფლებში ენა შენახული აქვთ, მაგრამ წერა-კითხვა არ იციან [მინასიანი 2001: 219].

რა სახელდებები გვხვდება ძველ ისტორიულ წყაროებში ქართველებით დასახლებული რეგიონის აღსანიშნავად, როგორ, რა ფონეტიკური ვარიაციებითა თუ დერივაციული ელემენტებით გაფორმებული გვხვდებოდა ისინი სხვადასხვა პერიოდში?

ჩვენ შევეცადეთ ჩვენ ხელთ არსებულ წყაროებზე დაყრდნობით ქრონოლოგიური თვალსაზრისით მიგვედევნებინა თვალი ფერეიდნის რეგიონის სახელდებისათვის.

2.1. უძველესი ცნობები ფერეიდნის სახელწოდების შესახებ ქართულ წყაროებში

2.1.1. ფერია (პირველი ცნობები)

ფერია – ასე უწოდებს დღეს სომხური მოსახლეობა ამ რეგიონს. ადრე ეს ტოპონიმი ქართული სივრცეშიც რომ მიღებული ყოფილა, როგორც სახელდების სავა-

რაულოდ ერთადერთი ფორმა, ამაზე მეტყველებენ ქართული ისტორიული წყაროები. მეთვრამეტე საუკუნის ქართულ წყაროებში ადგილი, სადაც დღეს ქართველები მოსახლეობენ და რასაც ტრადიციულად ფერეიდანს ვუწოდებთ, **ფერიად** მოიხსენიება [პაპუნა ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე]. ბერი ეგნატაშვილის თხზულებებში მოიპოვება ცნობები **XVII საუკუნეში** იძულებით აყრილ ქართველთა **ფერიაში** ჩასახლების შესახებ.

„... და რაც ოდენი შეიპყრეს, ცოლშვილიანად აპყარეს და წაასხეს რომელნიმე **ფერიასა...**“ [ვახუშტიშვილი (ეგნატაშვილი) 1959: 401].

„...აყრილნი კახნი ტყუედ და დასხნა რომელნიმე მაზანდარას, ხუარასანს და **ფერიას**“ [ბატონიშვილი 1973: 589].

ფერია მოხსენიებულია თედო ჟორდანიას მიერ გამოცემულ ქრონიკებშიც:

„... შააბაზ ყეენმა კახეთი წახდინა და აპყარა და **ფერიას** გადაასახლა...“ (წიგნი ქორონიკონნი)“ [ჯორდანიას 1897: 441].

2.1.2. უძველესი ქართული ცნობა ქართველთა ფერიასთან კავშირის შესახებ

საყურადღებოა **პაპუნა ორბელიანის** შრომაში გადმოცემული საინტერესო ცნობა იესე მეფის შვილიშვილის, **მარიამ ბეგუმის**, გათხოვების შესახებ აზატ ხანზე. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით **XVIII საუკუნის** შუა წლებში. აზატ ხანი ნადირ შაჰის ერთგული დარჩა მისი სიკვდილის შემდეგაც. ეს ის ნადირ შაჰია, რომელიც განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა ფერეიდნელ ქართველებს და ხარკისგანაც ჰყავდა გათავისუფლებული. ისტორიული წყაროების თანახმად, აზატ ხანი ნადირ შაჰის შემდეგ არ დაემორჩილა მის შემდგომს, ქერიმ ხანს, ისევე როგორც, ფერეიდნელი ქართველები, რასაც, სამწუხაროდ, მოჰყვა ქერიმ ხანისგან ფერეიდნელი ქართველების დიდი ნაწილის განადგურება. პაპუნა ორბელიანის ცნობის თანახმად, ქართველმა დიდებულებმა სწორედ ფერიაში, „არაყის ფერიაში“ ჩაუყვანეს მარიამ ბეგუმი აზატ ხანს:

„ამზადეს ქალი მარიამ ბეგუმ და გაისტუმრეს. ამას თან გაატანეს ორბელიანი იოანე მდივან-ბეგი და ზაალ თოფანქჩი-ალასი. წავიდნენ, შეეყარნენ აზატ-ხანს **ქვეყანასა არაყისასა ფერიას**, სცა დიდი პატივი მდივან-ბეგს იოანეს და ზაალს, უბოძა ხალათი მძიმე და ინამად თეთრი, გამოუგზავნა კაცი თვისი, მახლობელი მეფეთა და შემოუთვალა მადლი ქალისა და დაპირდა ერთობასა და სიყვარულსა. თითონ წავიდა ქალაქსა ისპაანსა დასპყრობად და თანა წაიყვანა მდივან-ბეგი და ზაალ ორბელიანი. ამათ მიანიჭნა პატივი დიდი მისაცემელითა ფრიადითა და ლხინ-განცხრო-

მითა განუსვენა. ყოველდღე იყვნენ აზატ-ხანთან და სცემდა პატივსა უზომოსა“ [ორბელიანი 1913: 206].

„ამბავნი ქართლისანში“ გადმოცემული ეს ფაქტი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართულ-სპარსული ურთიერთობის თვალსაზრისით, არამედ იმის დასტურად, რომ აზატ ხანის საყრდენი ქერიმ ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში ფერიაში დასახლებული ქართული მოსახლეობაც ყოფილა. სამეცნიერო სივრცეში ამ დრომდე რატომღაც ეს ფაქტი არ განხილულა ფერეიდნის საკითხთან მიმართებით. ვფიქრობთ, ეს სიახლე გაამდიდრებს ფერეიდნულ თემას და საყურადღებო იქნება საკითხით დაინტერესებულ მკითხველისთვის. ჩვენ შეგვიძლია ეს ინფორმაცია ჩავთვალოთ მცირე, მაგრამ პირველ წყაროდ საქართველოს ფერეიდნთან კავშირის ისტორიის შესასწავლად.

ფერეითი

XVIII საუკუნეს ეკუთვნის იოანე ბატონიშვილის „კალმასობაც“, რომლის პერსონაჟი იონა ხელაშვილი, ლოცვაში მოიხსენიებს **ფერეითის** ქართველებს:

„ეძიე [აღონაი უფალო] სისხლნი ივერიისა,
დანთხეულნი მირიან მეფეთგან ვიდრე აქამომდე,
და გამოიყვანე ერი იგი [ქართველი] **ფერეითილგან** [შარაშენიძე, 1979: 61]¹⁷.

იმ ფაქტს, რომ ადრე ფერეიდანს ფერეიას უწოდებდნენ, ადასტურებს ლადო აღნიაშვილიც, პირველი ქართველი, რომელმაც იმოგზაურა სპარსეთში ფერეიდნელთა მონახულების მიზნით 1894 წელს: „მთელ ამ პროვინციას, სადაც მოსახლეობენ ქართველები, ეძახიან **ფერეიდანს და ზოგნი ფერეიასაც...**“ [აღნიაშვილი 1896: 188].

ლადო აღნიაშვილის განმარტებაც ნათელყოფს, რომ მე-18 საუკუნისთვის ცოცხალი ტოპონიმი **ფერეია** მე-19 საუკუნის ბოლოსთვის საქართველოში იკარგება და ადგილს უთმობს **ფერეიდანს**.

ლადო აღნიაშვილი ფერეიად მოიხსენიებს ქართველებით დასახლებულ ადგილს ისპაჰანიდან გამოგზავნილ წერილშიც:

„...ამ დღეებში მივიღე ვერეიას, იქ დავრჩები ერთ კვირამდე და მერე და მერე იქილგან პირდაპირ თეირანში წავალ...“ [ლიტერატურის მუზეუმი, N2692-ს/ 189].

ნათელია, რომ ფერეია და ფერეითი ერთი ძირის ტოპონიმები უნდა იყოს, ეს უკანასკნელი გაფორმებულია -ეთ გეოგრაფიული სახელის საწარმოები სუფიქსით.

17. ჩვენ შევეცადეთ მოგვეძებნა ეს ცნობა თავად „კალმასობის“ ყველა არსებულ გამოცემაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ერთში ვერ დავადასტურეთ ეს ლოცვა და, შესაბამისად, ტოპონიმი „ფერეითი“ ჩვენთვის უცნობია, შარაშენიძე რომელიმე გამოცემას ეყრდნობოდა ან რომელი ხელნაწერიდანაა ეს ამონარიდი.

2.2. ცნობები ქართული დასახლების შესახებ ფერეიდანში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება ევროპელ მოგზაურთა წიგნებში

უცხოური წყაროებიდან პირველი, რომელმაც ფერეიდანელი ქართველების შესახებ ინფორმაცია მოგვამოგვარა, მოგზაური და დიპლომატი სერ ჯონ მაკლონალდ კინიერი იყო. კინიერი სერ ჯონ მალკომის მისიასთან ერთად იყო სპარსეთში 1808-9 წლებში. ის ბევრს მოგზაურობდა. ეს წყარო ქართულ სამეცნიერო სივრცეში აქამდე არ იყო მიმოქცევაში, თუმცა უცხოურ სამეცნიერო სტატიებში მასზე აქტიურად მიუთითებენ.

სერ ჯონ მაკლონალდ კინიერი აღწერს გამაჰმადიანებული ქართველების საცხოვრის ხონსარის მთის უკან და მას **ფერიდუნად** მოიხსენიებს [Kinnier 1813: 128]. მისი აღწერით ჩრდილო-დასავლეთით ხონსარის მთების უკან მდებარეობს მცირე რეგიონი – **ფერედუნი**, რომლის მოსახლეობასაც შეადგენენ ქართველები და სომხები. ისინი შაჰ-აბას პირველის დროს იყვნენ გადმოსახლებულნი. ქართველები დაახლოებით ათასი ოჯახია, მაჰმადის რჯულის, მაგრამ არასდროს ენათესავებიან სპარსელებსა და სომხებს. ამ რაიონის მთავარი ქალაქი პუაშიშია:

„ხონსარის მთების ჩრდილო-დასავლეთის ქედის უკან მდებარეობს ფერეიდანის რაიონი, დასახლებული ქართველებითა და სომხებით, რომლებიც ჩამოიყვანა შაჰ-აბას დიდმა. აქ არის ათასი ოჯახი მაჰმადის რჯულისა, მაგრამ ისინი არასოდეს ენათესავებიან სპარსელებსა და სომხებს. ამ რაიონის მთავარი ქალაქია პუაშიში“ [Kinnier 1813: 128].

კინიერის ეს ინფორმაცია თითქმის უცვლელადაა შესული 1819 წელს ლონდონში გამოცემულ სამეცნიერო და ხელოვნების ენციკლოპედიაში:

„ფერედუნი – გეოგრაფიაში, პატარა რაიონი ირანისა, ხონსარის მთის ჩრდილო-დასავლეთ ქედის უკან, დასახლებული ქართველებითა და სომხებით, რომლებიც მოყვანილები არიან აქ აბას დიდის მიერ, 1000 ოჯახი მაჰმადის რჯულისა, რომლებიც არასოდეს ენათესავებოდნენ არც სპარსელებს და არც სომხებს. რაიონის მთავარი ქალაქი არის პუაშიში“ [The Ceclopaedia 1819].

30 წლის შემდეგ, 1840 წელს, ფერეიდანელთა შესახებ ცნობებს გვაწვდის ცნობილი ინგლისელი მოგზაური, არქეოლოგი, პოლიტიკოსი და დიპლომატი სერ **აუსტენ ჰენრი ლეიარდი**. იგი აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობდა, მოიარა ინდოეთი, თურქეთი და იქიდან გადავიდა სპარსეთში, მიემართებოდა ბახტიარებისკენ, ლურის-ტანის მთების ზოლის გასწვრივ. ჰამადანიდან წამოსული, დაწვრილებით აღწერს თავის მარშრუტს და ასახელებს იმ სოფლებს, რომლებიც გაიარა: **დეალეჰი, ბურუჯირდი, ხოსრაუნაბადი, მიურედუნი**, ამის შემდეგ შედის სომხურ სოფლებში – **ზარნოუსა და კირკში**, რომელიც მისი თქმით, გაყოფილი იყო მთით და მეორე მხარეს

ბახტიარები მოსახლეობდნენ; ის აღწევს ბახტიარების სოფელ **მაკიაბადამდე** და ავადმყოფობის გამო იძულებული ხდება შეცვალოს მარშრუტი – ისპაჰანისკენ წავიდეს. სწორედ მაშინ ხვდება **ფრეიდანის // ფერიდუნის** ოლქის მთავარ ქალაქში, რომელსაც, მისი თქმით, იგივე სახელი აქვს. აქ მისი აღწერით ცხოვრობდნენ ქრისტიანი ქართველები, დაახლოებით 150 ოჯახი, მისივე მტკიცებით, ისინი შაჰ-აბასის დროს იყვნენ გადასახლებულნი, მათ შენარჩუნებული ჰქონდათ ენა და თავიანთი რელიგია [Layard 1907: 302].

ლეიარდმა დამე გაათია ქრისტიანების სოფელში (ძნელი ამოსაცნობია ტექსტიდან იმავე სოფელზეა საუბარი თუ სხვაზე), რომლის მოსახლეობაც არცთუ ისე კეთილგანწყობილი აღმოჩნდა მის მიმართ. მას დაძინების საშუალებაც კი არ მისცეს ცნობისმოყვარეებმა, რომლებმაც აავსეს ეზო და ბანი (განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქალები) და სანამ მან არ მიიღო სათანადო ზომები და ჯოხის ბანზე ბრახუნი არ დაიწყო, არც აპირებდნენ დაშლას. ლეიარდი წერს, რომ ეს ამბავი მოულოდნელი არ იყო მისთვის და უცხოებისადმი ამ ხალხის არაკეთილგანწყობის შესახებ მას ადრეც ჰქონდა გაგონილი, თუმცა წყაროს არ ასახელებს.

საინტერესოდ ხსნის ამ ფაქტს თავად მოგზაური და მიიჩნევს, რომ ამ ხალხის განსაკუთრებული იზოლაცია და უნდობლობა ნაკარნახევია თვითმყოფადობის გადარჩენის ინსტინქტით¹⁸ [Layard 1907: 302]. მოგზაური ქართველ ქრისტიანთა სხვა თვისებებიდან გამოყოფს ღვთაებრივ სილამაზესა და დიდ შრომისმოყვარეობას. შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ლეიარდის მიერ ქართველთა შთაბეჭდავ აღწერას: ისინი იყვნენ შრომისმოყვარენი, მათ სოფლებს გარს ერტყა ბალები. ისინი გამოირჩეოდნენ გარეგნობით გარშემო მცხოვრებთაგან: ქალები თავშეუბურავები იყვნენ და ვინც ვნახე, ყველა გამოგნებლად ლამაზი იყო. წყლის ნაკადები მთებიდან მოედინებოდა წყალვარდნილებითა და მიწისქვეშა არხებით და ზეგანზე რწყავდა ბალჩეულ მცენარეებს და მოჰყავდათ საუკეთესო ხარისხის ხილი [Layard 1907: 300-301].

ძალზე საყურადღებოა ეს ფაქტი იმითაც, რომ მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებისათვის, 1840 წელს ფერიდანში ქართული ქრისტიანული თემის შესახებაა საუბარი. ეს უნიკალური ფაქტია, რადგან ყველა არსებული წყაროთი ფერიდნელ ქართველთა გამაჰმადიანების პროცესი სულ ცოტა 90 წლის წინ დამთავრებულად ივარაუდება.

მოგზაურთა ინფორმაციების შედარება ნათელს ხდის, რომ **კინიერი** და **ლეიარდი** ერთი რეგიონის, მაგრამ ერთმანეთისგან დაშორებულ სოფლებზე საუბრობენ. კინიერიც და ლეიარდიც ქართველების ფერიდანში ჩასახლებას შაჰ-აბასის პერიოდს უკავშირებენ.

18. In the east to Christians of all denominations were much less honest, hospitable and considerate to a traveler than the muslimans and much less respectful and dignified in their manners, This may arise as some mountain, from the inferior position which they hold, and from the ill treatment they have experienced for so many generations from their mohhamedanrulers – Layard, H. (1907) Early Adventures in Persia, Susuana, and Babilonia, London, p. 302.

კინიერი აღწერს ხონსარის მთების ქვეშ მოსახლე მუსლიმ ქართველებს. ეს დღევანდელი ფარიდანის შაჰრესტანს უნდა გულისხმობდეს (სავარაუდოდ, იმ არეალს, რომელიც მოიცავს სოფლებს: დაშქესანას, თორელს, ბონს ახას, აფუსს). კინიერი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რა ენაზე საუბრობდნენ მუსლიმი ქართველები.

ლეიარდი კი ლარისტანის მთების ზოლს მოუყვება და ისე მიიწევს ისპაჰანისკენ. მის მიერ აღწერილი პატარა ქრისტიანული დასახლება, სადაც ყველა ქართულად ლაპარაკობდა, საპირისპირო მხარეს უნდა იყოს. სავარაუდოდ, დღევანდელი ფერიდუნ-შაჰრის რაიონში, თუმცა დღეს ძალიან ძნელია ზუსტად დასახელება რომელ სოფელს შეიძლება გულისხმობდეს ლეიარდი, რადგან ადმინისტრაციული საზღვრებიცა და ტოპონიმებიც დროთა განმავლობაში შეიცვალა. რაც უნდა იყოს, ფაქტი ერთია, მან მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში დაადასტურა ფარიდანის // ფერიდუნის რეგიონში ქრისტიანი ქართველებით დასახლებული დაბა, რომელსაც იგივე სახელი ფერიდანი // ფერიდუნი ერქვა.

ცნობილი ფრანგი გეოგრაფი, სოციოლოგი, პოლიტიკური მოღვაწე ელიზე რეკლიუ (XIX საუკუნის ბოლო) ფერიდანში, როგორც თვითონ უწოდებს, ფერიდუნში მაცხოვრებელ ქართულენოვან მოსახლეობას საქართველოდან გადასახლებული სომხების შთამომავლებად მიიჩნევს. ამ ცნობას ჯერ კიდევ ლალო აღნიაშვილი განიხილავდა, მას თავის წიგნში ციტირებული აქვს ამ ცნობის რუსული ვერსია:

„Но на съверо-западѣ, въ долинѣ Феридунѣ, лежащей на высотѣ слишкомъ 2500 метров, на границѣ съ землей бахтаровѣ, многія деревни сплошь населены армянами. Въ нѣкоторыхъ общинахъ, всѣ гайканы, пришедшіе изъ Грузіи, обратились въ исламъ, но говорятъ еще грузинскимъ языкомъ...¹⁹ (გვ.219, ტ.IX)“ [აღნიაშვილი 1896: 222].

პარალელურად მოგვყავს იმავე ციტატის ინგლისური ვერსიაც:

„But the Feridun Valley, to the north west, several villages are exclusively occupied by Armenians, Some of these communities, originaly from Georgia, have embraces the Mohammedan religion, but continue to speak the Georgian language“²⁰ [Reclus 1882: 136].

19. „მაგრამ ფერიდანის ზეგანზე, ჩრდილო დასავლეთით, 2500 მეტრის სიმაღლეზე, ბახტიარების მიწის მეზობლად სომხებით დასახლებული ბევრი სოფელია. ზოგიერთ დასახლებაში საქართველოდან მოსული ყველა სომეხი (ჰაიკანები) მაჰმადიანი გახდა, მაგრამ ჯერ კიდევ ლაპარაკობენ ქართულად.“

20. რეკლიუ თავის მხრივ ეყრდნობა ბერლინში, ჟურნალ „გეოგრაფიულ საზოგადოებაში დაბეჭდილი ინფორმაციას. [Houtum Schindler, Zeitschrift der Gesellschaft der Erdkunde zu Berlin] – Reclus, E. The Universal Geography, IX: South-Western Asia.136, <https://archive.org/stream/universalgeograp09recl#page/n7/mode/2up>. <http://oldcancer.narod.ru/Geography/Reclus09.htm/>

ლადო აღნიაშვილი კატეგორიულად და სამართლიანად არ ეთანხმება ამგვარ განმარტებას:

„აი საკვირველებათა საკვირველება, თუ გნებავთ, ამას ჰქვიან! სომხობამ, რომელმაც ვერ შეინახა საქართველოში თავისი სამშობლო ენა, იმავე სომხობამ ესე ჩინებულად დაიცო სპარსეთში სხვისი, უცხო ქართული ენა სამასი წლის განმავლობაში?... დიდ არს, უფალო, სახელი შენი და საკვირველ არიან სასწაულთმოქმედებანი შენნი!“ [აღნიაშვილი 1896: 223].

თუ ინგლისურ ვერსიას დავეყრდნობით, შესაძლებელია ამ ციტატის ისე გაგებაც, რომ დიდწილად სომხებით დასახლებულ რეგიონში ქართულად მოლაპარაკე, საქართველოდან გადასახლებული მოსახლეობაც იყო.

ეს ინფორმაცია და ის წყარო, რომელსაც რეკლიუ ეყრდნობა, ბუნებრივად იწვევს ეჭვს. სომხური კოლონიები მთელ ირანში მართლაც საკმაოდაა და მათმა უმრავლესობამ მშვენივრად შეიმონახა სომხური ენა. ფერეიდანშიც ბევრი სომხური სოფელი იყო. ამ სოფლების მოსახლეობა ქრისტიანი იყო და ჰქონდა საშუალება მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა, განსხვავებით მუსლიმი ქართველებისაგან. სომხური მუსლიმი თემი ფერეიდანში არ დასტურდება და მით უფრო, მათ მშობლიურ ენად ქართულის მიჩნევა წარმოუდგენელია. დღეისათვის აქ დარჩენილია მხოლოდ მცირე რაოდენობა სომხური მოსახლეობისა, რადგან ისინი გადასახლეს სომხეთში მეოცე საუკუნის სამოციან წლებში.

ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოდანაც იყვნენ ეთნიკური სომხები გადასახლებული სპარსეთში, მაგრამ ამ შემთხვევაში ავტორს სომხები ერევა მუსლიმ ქართველებში. არანაირი საბუთი და არგუმენტი არ აქვს იმის მტკიცებას, რომ ფერეიდანში ცხოვრობენ ქართულენოვანი მუსლიმი სომხები.

რეკლიუს თუ მისი წყაროს შეცდომის მიზეზი უნდა იყოს ტერმინ „სომეხის“ ორგვარი – ეთნიკური და რელიგიური მნიშვნელობის აღრევა. **სომეხი** ფერეიდნელ ქართველთათვის ეროვნების აღმნიშვნელიც არის და ქრისტიანული აღმსარებლობისაც. ისინი აქაურ (საქართველოს) ქართველებსაც კი, როცა რელიგიაზე საუბრობენ, სომეხს უწოდებენ²¹. ინფორმაციის მომპოვებელს, როგორც ჩანს, უთხრეს, რომ ისინი საქართველოდან ჩამოსახლებული ქართველები არიან და მათი წინაპრები სომხები, ე.ი. ქრისტიანები იყვნენ. რეკლიუმ ისარგებლა იმ ინფორმაციით, რომელშიც ტერმინი „სომეხი“ ქრისტიანის მნიშვნელობით იყო გამოყენებული, მაგრამ სწორედ მისი ამ მეორე მნიშვნელობის არცოდნის გამო გაიგივდა ეთნიკური კუთვნილების აღმნიშვნელ ტერმინთან და გამოიწვია მოგზაურის ჩანაწერში ეს უზუსტობა.

21. სოფ. ახმაში მასპინძელმა გვითხრა, რომ მისმა შვილმა თბილისში სომხის ყორი მოიყვანა, როგორც მისმა მეორე შვილმა აგვისხნა, გოგონა ქართველი იყო, თბილისელი და მისი დედა რელიგიურ კუთვნილებას, ქრისტიანობას გულისხმობდა. „სომეხი“, ისევე აღნიშნავს ამ შემთხვევაში ქრისტიანს, როგორც „ფრანგი“ – კათოლიკეს, ან „სომეხი“ – გრიგორიანს და ა. შ.

1900 წელს გერმანელი მეცნიერი **შტალი**, რომელიც არის ავტორი წიგნისა „მოგზაურობა ცენტრალურ და დასავლეთ სპარსეთში“, აღნიშნავდა, რომ ქართველები ლაპარაკობენ ქართულად და უკვე ენათესავებიან სპარსელებს [Stahl 1905: 9].

ჩვენ პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო სივრცეში აქამდე უცნობი ფაქტები ფერეიდანში მცხოვრები ქართველებისა და მათი სოფლების შესახებ, რომლებიც დაგადასტურეთ მეცხრამეტე საუკუნის ინგლისელ მოგზაურთა ნაშრომებში. მათ მიერ ბახტიარების მხარეში მოგზაურობის აღწერისას ყურადღების არეალში მოხვედრილია ქართველების სოფლებიც.

ამ წყაროების ავტორები რეგიონს **ფარაიდანს** უწოდებენ.

ქართული და სომხური სოფლების შესახებ ინფორმაცია დაცულია ცნობილი ინგლისელი მოგზაურის, **მისის ბიშორის (იზაბელა ბირდის)**, წიგნში „**მოგზაურობა სპარსეთსა და ქურთისტანში**“, ორ ტომად. გამოცემულია ლონდონში, 1891 წელს:

„ჩოპანორის მაჰალები (სოფლები) სპარსეთში მჭიდროდ დაკავშირებულია. ზოგიერთ ადგილას დიდი სოფლებია, ბევრი მათგანი სომხური და ქართულია, გვხვდება გარკვეული ინტერვალებით. მათი უმრავლესობა უტყეოა, მაგრამ გარშემორტყმულია დამუშავებული მიწით. სომხურ სოფლებში ინახება ე.წ. რელიკვიები და ძველი ეგზემპლარი სახარებისა, რომელსაც მიაწერენ სასწაულებს“ [Bird 1891: 303].

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **ფარაიდანის** ზედა ნაწილში წყლის სათავეებია [Bird 1891: 288]. მართლაც ფერეიდანში, სოფ. აფუსის მახლობლად არის უხვი წყლოვანი ტერიტორია, ტბაც, წყაროებიც და მდინარე ზანდერუდის სათავე.

1892 წელს გამოიცა **პონ ჯორჯ ნათანიელ კურსონის** „**სპარსეთი და სპარსული საკითხი**“. ავტორი წერს:

*„ბურჯარადან ისპაჰანამდე გადაშლილია პლატო 200 მილის სიგრძის და 40-დან 50-მდე ფართობის, რომელშიც შედის ფარაიდანის რაიონი. აქ ბევრი ქართული და სომხური ოჯახია, ამჟამად მუსლიმები, ქრისტიანთა შთამომავლები, რომელთა წინაპრებიც, როგორც ამბობენ, გადმოსახლებულნი იყვნენ შაჰ-აბასის დროს 1614-15 წლებში. ისპაჰანის მხრიდან პლატოდან სამხრეთ-დასავლეთით, არის **ჩიჰალ მაჰალის** რაიონი ერთ-ერთი ოთხიდან, სადაც დასახლებულები არიან სომხები და მშვიდად ცხოვრობენ“ [Curson 1892: 284].*

ამავე წიგნში ავტორს წარმოდგენილ აქვს ბახტიარების რუკა, რომელზეც დატანილია სოფლები **აფუსი და ახორა ბალა**.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორიულ წყაროებში ისპაჰანის პროვინციის იმ რეგიონის (ან მისი კონკრეტული ნაწილის) სახელწოდებად, სადაც ქართული სოფლები იყო, გვხვდება:

- სპარსული წყარო (ისქანდერ მუნში) – **ფერეიდანი** (XVII საუკუნე);
- ქართული ისტორიული წყაროები – **ფერია** (XVIII საუკუნე);

- იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ – ფერეითი (XVIII საუკუნე);
- ევროპული წყაროები – ფერედუნი, ფერიდუნი, ფარიდანი, ფარაიდანი.

2.3. როგორი სიტუაციაა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს საქართველოში? რა ტერმინი იყო გამოყენებული ქართულ პრესასა და პუბლიკაციაში?

ქართულ პრესაში მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან აქტიურდება ფერეიდნელი ქართველების თემა. ამას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო 1871 წელს ფერეიდნიდან საქართველოში პირველი ფერეიდნელი ქართველის **ათამ ონიკაშვილის** ჩამოსვლამ.

იბეჭდებოდა მრავალი სტატია სპარსეთში მცხოვრები ქართველების ისტორიის, ეთნოგრაფიისა თუ კულტურული კუთვნილების შესახებ. ზოგადი დაკვირვებები ძირითადად ტოპონიმებს, ანთროპონიმებს შეეხებოდა, რაც უფრო ზედაპირულ აღწერად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე ანალიზად.

ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ პირველ პუბლიკაციებში არ ჩანს ამ რეგიონში ქართველთა დასახლებების გამაერთიანებელი ტერმინი. პრესაში, პირველ პუბლიცისტურ წერილებში, რომლებიც აქ მაცხოვრებელ ქართველებს ეხება, არსად არაა ნახსენები არც ფერია, არც ფერეიდანი, ფერიდუნი თუ ფერიდანი. ძირითადად გვხვდება სპარსეთში მცხოვრები ქართველების სოფლები, ან ისპაჰანის მახლობლად მდებარე ქართულ სოფლები...

1871 წლის ჟურნალ მნათობის მე-6 ნომერში დაიბეჭდა ნიკო ცხვედაძის სტატია „მისვლა მოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის“, რომელშიც, სხვათა შორის, ახსენებს ისპაჰანის მახლობლად მცხოვრებ ქართველებსა და სომხებს, თუმცა წყაროს არ ასახელებს: „სწერენ, რომ დღევანდლამდის ისპაჰანის ახლოს ბევრი სოფელია ქართველებისა და სომხებისა, რომელთაც თუმცა დაუკარგავთ ქრისტიანობითი სარწმუნოება, მაგრამ დაუცავთ თავიანთი წინაპრების ენა.“²² მართალია ავტორი არ ახსენებს კონკრეტულ სოფლებს, მაგრამ ვფიქრობთ, იგი ფერეიდნის რეგიონში მცხოვრები ქართველებისა და სომხების შესახებ უნდა საუბრობდეს. სტატიის ბოლოს არის თარიღი „**1868 წლის 28 ივნისი**, მოსკოვი“ [ცხვედაძე 1871]. ჩვენ შეგვიძლია ეს ცნობა მივიჩნიოთ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პრესაში პირველ ინფორმაციად სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ.

პირველი ცნობები, რომლებიც ფერეიდნის რეგიონის ქართული სოფლებია დასახელებული, 1872 წელს გამოჩნდა ქართულ პრესაში. ამ წელს გაზეთ დროების მე-13 ნომერში დაიბეჭდა **დიმიტრი ყიფიანის** ვაჟის, ცნობილი პუბლიცისტის, **ნიკოლოზ ყიფიანის** სტატია „ქართველების კოლონია სპარსეთში“. ამ სტატიაში ნიკოლოზ ყი-

22. ეს ინფორმაცია დასტურდება პოტტოს ნაშრომშიც „საქართველო და მისი ისტორიული წარსული“, თარგმანი ბაქრაძისა, დათარიღებულია 1894 წლით: ისპაჰანის ახლოს დღესაც არის რამდენიმე სოფელი ქართველებისა და სომხებისა, იქ მცხოვრებთ თუმცა სარწმუნოება დაუკარგავთ, მაგრამ თავიანთ მამა-პაპათა ენა კი შემოუნახავთ.“ პოტტო, 1894, გვ.31.

ფიანი მთლიანად ეყრდნობა ათამ ონიკაშვილის²³ ინფორმაციას. ის პირადად შეხვედრია ათამ ონიკაშვილს და, როგორც აღნიშნავს, იგი წმინდა ქართულით საუბრობს. მისი ინფორმაციით „ისპაჰანიდამ ჩრდლოეთ დასავლეთისაკენ ხუთი დღის სავალზედ, ყულევას წყლის პირას, მდებარეობს ექვსი სოფელი, რომელთა მცხოვრებნი ქართველთ ჩამომავლისანი არიან და თითონაც ქართველად იწოდებიან. სპარსელები კი ეძახიან მათ გურჯებს, რაიცა ნიშნავს სპარსულად ქართველებს.“... „კიდევ ესეც არის შესანიშნავი, რომ გურჯები არასოდეს არ მიათხოვებენ თავის ქალებს სპარსელებსა და სპარსელები გურჯებსა, ესე იგი, ქართველებს. ასახელებს ექვს სოფელს: ახჩას, ბოინს, ტაშქესანას, აფუსსა და თოლელს.“... „სულ სოფლებში სცხოვრობს სამიათასი მეტი კომლი, – თხუთმეტიათასი სული: – მარტყოფში: ათასი კომლი – 1000, აფუსში – შვიდასი კომლი – 700, ახჩაში – ორმოცი – 40, თოლელში და ბოინში ცხრაასი – 900 და ტაშქეშანაში – ხუთასი – 500.“ „ამ ქართველებმა იციან, რომ ორასის ან სამასის წლის წინათ არიან გადასახლებულნი საქართველოდამ სპარსეთში“. „თვითონ ონიკაშვილი იმისთვის გადმოვიდა იქილამ, რომ საქართველოში დასახლდეს სადმე და მოინათლოს“ [ყიფიანი 1872]. როგორც ხედავთ, არც აქ არ არის ნახსენები ტოპონიმი **ფერეიდანი**.

ასევე არ არის ნახსენები ფერეიდანი არც მომდევნო პერიოდის პუბლიკაციაში. 1876 წლის დროების 120-ე ნომერში დაიბეჭდა სტატია „ქართველები სპარსეთში, სპარსელი ქართველის ნაამბობი“ – არ არის მითითებული არც სტატიის ავტორი და არც ინფორმატორი, საუბარია ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებზე (თუმცა რეგიონის ეს სახელწოდება ნახსენები არ არის), ნათქვამია, რომ იქ ქართველთა 7 სოფელია, თუმცა ჩამოთვლილი არ არის ეს სოფლები. სპარსელები მათ გორჯის უწოდებენ, თავად კი საკუთარ თავს ქართველებად იხსენიებენ. გარშემო მათ მეზობლად ცხოვრობს სომეხი, თურქი, ქარსი და ბახტიარი. სპარსელ ქართველებს ხშირად უწევთ ბრძოლა ბახტიარებთან. ხშირად ქართველებს შორისაცაა ჩხუბი, რომელიც ქალების ჩარევით შერიგებით მთავრდება ხოლმე. მათ არ იციან „ბატონო და ქალბატონო.“ ყველა ერთმანეთში შინაურ სახელებს ეძახიან, უფროსის სახელი არის ამია და ბიძა, უფროსი ძმისა დადაშია, უმცროსისა ძამა და შვილო. როგორც არ იხსენება ბატონი, ასევე არ იხსენება ბიჭო. ყველას მხოლოდ კუთვნილ სახელს ეძახიან, რადგან ყველა თანასწორად სოვლიან ერთმანერთსა“ [დროება 1876: 2].

სავარაუდოდ, როგორც წინა, ისე ამ სტატიის ინფორმატორი უნდა იყოს ათამ ონიკაშვილი, პირველი ქართველი, რომელიც ჩამოვიდა სპარსეთიდან და მიაწოდა საქართველოს საზოგადოებას ინფორმაცია იქ კომპაქტურად დასახლებული ქართველების შესახებ. თითქოს უცნაური ჩანს, რომ საგაზეთო სტატიებში მხოლოდ ქართული სოფლების დასახელება გვხვდება და არა ამ რეგიონის ჩვენთვის ყველასთვის დღეს საკმაოდ ცნობილი და მიღებული ტოპონიმი **ფერეიდანი**. ეს ალბათ არცაა გასაკვირი, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღესაც იქაური ქართველებისათვის არ არის

23. პირველი ფერეიდნელი ქართველი, რომელიც 1871 წელს ჩამოვიდა სპარსეთიდან საქართველოში.

აქტიური ეს ტოპონიმი. მათთვის არ არის საჭიროება მისი გამოყენებისა, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში, ერთმანეთთან საუბრისას, მითითებისას მხოლოდ კონკრეტული სოფლის ან დაბის სახელს იყენებენ. ისევე როგორც კახელი, იმერელი. ქართლელი ან ნებისმიერი კუთხის წარმომადგენელი თავის ქალაქს ან სოფელს ახსენებს და არა რეგიონის სახელს.

2.4. როდიდან ჩნდება ქართულ საზოგადოებაში „ფერეიდანი“, როგორც მიგრირებულ ქართველთა განსახლების რეგიონის აღმნიშვნელი ტოპონიმი?

მე-19 საუკუნის ბოლოს ქართულ პრესაში აქტიურდება სპარსეთში მცხოვრები ქართველების თემა. იბეჭდება სომხური ჟურნალებიდან გადმოღებული ინფორმაცია მათ შესახებ.

1880 წლის დროების 177-ე ნომერში (22 აგვისტო) ახალ ამბებში გამოქვეყნებულია წინასწარი ცნობა, რომელიც იუწყება, რომ იგეგმება სპარსეთიდან მიღებული კორესპონდენციის თარგმნა და გადმობეჭდვა სომხურ ჟურნალ მშაკიდან, ინფორმაცია ეხება სპარსეთში დიდი ხნის წინ ჩასახლებულ ქართველებს.

1877 წლის დროების 186-ე ნომერში გადმობეჭდილია ინფორმაცია ენმიაძინის სომხურ ჟურნალ არარატიდან, სტატიაში ცნობებია გადასახლებული ქართველების შესახებ:

„სულ 2000 ოჯახი ქართველები ცხოვრობენ ფრეიდანის მაზრის სხვა-და-სხვა სოფლებში, ყველა ესენი თითქმის ნამდვილ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ; ხასიათითა და ჩვეულებით ქართველები არიან, მხოლოდ სარწმუნოება მაჰმადის მიუღიათ. ამათ სოფლებსა ჰქვიან სახელად: ატრუზი, დაშეკენტი, მიუნდეშტი, ანუ თელავი, შაჰიურთა, ახნა, ზემო და ქვემო ახორა ანუ მარტყობი და სხვ.“

ამავე სტატიაშია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თეირანში მიიყვანეს ამ ქართველების ჯარი, სულ 140 კაცი, რომლებსაც ძალიან გაუხარდათ ქართულად მოლაპარაკე ადამიანის ნახვა თეირანში. სტატიის ავტორის ცნობით, მან შეატყობინა ქართველი ჯარისკაცების მოსვლა რუსის ელჩთან მყოფ ქართველ მღვდელს²⁴, რომელიც იმ წამსვე წავიდა იმათთან და დიდხანს ლაპარაკობდნენ.

ყურადღებას იქცევს ამ სტატიაში ტოპონიმი ფრეიდანი (სრული განმოვანებით ფერეიდანი), რომელიც, სავარაუდოდ, პირველად ჩნდება ქართულ პრესაში და ამის შემდეგ თანდათან შემოდის მიმოქცევაში.

ზაქარია ჭიჭინაძე 1895 წელს აქვეყნებს ნაშრომს: „ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი“, რომელშიც ქართველებით დასახლებულ რეგიონს უწოდებს ფრეოდანს.

24. საუბარია ევსევი ცაბაძეზე.

ლადო აღნიაშვილიც თავის წიგნში ამ რეგიონს **ფერეიდანად** მოიხსენიებს, თუმცა სულ რამდენჯერმე იყენებს ამ ტოპონიმს.

როცა ზაქარია ჭიჭინაძე ლადო აღნიაშვილის მოგზაურობის შემდეგ ხელახლა გამოსცემს თავის ნაშრომს. ის უცვლელად ტოვებს ტოპონიმს **ფერეოდანი** და მხოლოდ ლადო აღნიაშვილის დამსახურებაზე საუბრისას იყენებს მის ფონეტიკურ ვარიანტს **ფერეიდანი**.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი საყურადღებო ფაქტი. ცნობილი ირანისტი იური მარი თავის მამას, ნიკო მარს, სწერდა, რომ ისპაჰანიდან აპირებდა ქართველების სოფლებში ასვლას. ის ამ რეგიონს უწოდებს **ფერილუნს // ფერეიდანს**: „У грузин в Феридуне, или как армяне говорят в Ферейдане буду [ვიქნები ქართველებთან ფერილუნში ან როგორც სომხები ამბობენ – ფერეიდანში“ [მარი 1962: 55].“ აქ იური მარმა გამოიჯნა ერთმანეთისგან ეს ორი ტოპონიმი იმის მიხედვით, თუ ვინ იყენებს მას: **ფერეიდანი**, როგორც სომხები უწოდებენ ამ მხარეს და **ფერილუნი**, რომელიც უფრო გაგრცელებული უნდა ყოფილიყო იმ დროისათვის.

სავარაუდოდ, ქართულ პრესაშიც სწორედ სომხურიდან თარგმნილი სტატიის შემდეგ დამკვიდრდა ტოპონიმი **ფერეიდანი**. სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაში ამ დროისთვის დაკარგულია ცოდნა **ფერიას** შესახებ და მის ადგილს **ფერეიდანი** ადვილად იკავებს.

გარდა **ფერეიდნისა**, ეს რეგიონი ქართულ სივრცეში სხვადასხვა სახელითაც მოიხსენიება:

საინტერესოა, რომ სეიფოლა იოსელიანი საქართველოში ყოფნისას ერთ-ერთ შეხვედრაზე სპარსეთში ქართველებით დასახლებულ რეგიონს **საქართველოს** უწოდებს:

*„იქ, სადაც ჩვენ დაგვასახლეს, სპარსელები იმ ადგილებს **საქართველოს** უწოდებენ, მაგრამ ჩვენ ვიცით, სად არის **საქართველო**...“ [ლომისი 1923].*

ამასვე იმეორებს ამბაკო ჭელიძე ივანე ჯავახიშვილისადმი მიწერილ წერილში: „...*კეუბნებოლით* (იგულისხმებიან ფერეიდანელი ქართველები), – აწ ეცადე, ცხოვრება წინ წასწიეთ, შორს არ ვართ, ერთი აეროპლანი რამდენიმე კაცს რამდენიმე საათში გადაგაფრენთ საქართველოში და იმ დღესვე უკან დაბრუნდებით-მეთქი. ჩვენც, ხშირად მოვალთ თქვენს საქართველოში (*ესენიც თავის სოფლებს „საქართველოს“ ეძახიან*)“ [ჭელიძე 1927].

მეოცე საუკუნის ათიან წლებშიც რომ მიღებული იყო ფერეიდნის ამგვარად მოხსენიება, მეტყველებს იაკობ გოგებაშვილის წერილი „პატარა საქართველო სპარსეთში“, რომელიც ფერეიდნელ ქართველებს ეხება: **ფერეიდანის საქართველო იპყრობს 40.000 ქართველსა**.

საქართველოშიც ხშირად **გურჯისტანს** უწოდებდნენ სპარსეთში მცხოვრები ქართველების საცხოვრისს. ტერმინი გურჯი და გურჯისტანი უცხო არ ყოფილა

არც აქაური ქართველებითვის. საქართველოს არქივებში დაცულ დოკუმენტებში გვხვდება საბუთები, რომლებშიც **გურჯისტანადა** მოხსენიებული ფერეიდნის რეგიონი.

[ხუციშვილს] თავის მიზნად დაუსახია გურჯისტანი (ფერეიდანი) ქართული სკოლების ქსელით დაეფარა.

„ისპაჰანის ადგილიდან – გურჯისტანიდან თბილისში ჩამოვიდნენ კოლა-მრეზი ხუციშვილი და კოლა-ჭუსეინ ონიკაშვილი“ [საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 95, აღწერა 1, საქმე 48, გვერდი 83].

3. ფერეიდნელი ქართველები

ფერეიდნელ ქართველებს უწოდებენ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, ისპაჰანის მხარეს, ფერეიდნის რეგიონში მცხოვრებ ქართველებს. ხშირად საქართველოში მათ მოიხსენიებენ, როგორც ფერეიდნელებს, იმის მიუხედავად, რომ ფერეიდანში ბევრი სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ცხოვრობს ქართველებთან ერთად.

პირველივე კითხვა, რაც ჩნდება ამ ეთნიკურ ჯგუფზე საუბრისას, მათი წარმომავლობაა, როგორ მოხვდნენ ამ რეგიონში და საქართველოს რომელი კუთხიდან არიან ისინი გადასახლებულები?

ამის პასუხად ფერეიდნელი ქართველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მათი წინაპრები შაჰ-აბას პირველის დროს არიან გადასახლებულები საქართველოდან.

ფერეიდნელი ქართველების უმრავლესობა კახეთს ასახელებს თავიანთ თავდაპირველ საცხოვრისად.

ყოფილა შემთხვევა, როცა ჩვენთან შეხვედრისას დასტურის მოლოდინით პირდაპირ უკითხავთ: „ხომ ვგავარ კახელს?“

შაჰ-აბასის პერიოდს უკავშირებენ ფერეიდნელთა ჩასახლებას ისტორიკოსები, ევროპელი მოგზაურები...

არნ. ჩიქობავა წერდა: *ისტორიულ ცნობათა მიხედვით ეს ქართველები შაჰ-აბაზის მიერ უნდა იყვნენ გადასახლებული მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოდან, უმთავრესად კახეთიდან და ქიზიყ-საინგილოდან. ქართველების აყრა და სპარსეთს გადასახლება მანამდისაც ხდებოდა და შემდეგაც. ამიტომ ცნობა ფერეიდნელი ქართველების შაჰ-აბაზის მიერ გადასახლების შესახებ შეუძლებელი არაა სადაოდ იქნეს გამოცხადებული [ჩიქობავა 2010 (1927): 180].*

ბუნებრივია, შაჰ-აბასის მიერ გადასახლებულ ქართველებს სპარსეთში უნდა დახვედროდა მიგრანტთა წინა ტალღა, რომელიც უკვე მეტ-ნაკლებად ადაპტირებული იყო სპარსულ გარემოში. მათი უმრავლესობა მეთოფედ მსახურობდა შაჰის რაზმში. საუბარია შაჰ-თამაზის პერიოდში გადასახლებულ ქართველებზე, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიული წყაროების მიმოხილვისას, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ იძულებით აყრილნი და მათი რაოდენობა არცთუ იხე ცოტა იყო.

ასევე ფართოა შაკ-აბასის ლაშქრობების გეოგრაფია საქართველოში. დღემდე ქართულ საზოგადოებაში გაბატონებულია აზრი (და ეს აზრი სამეცნიერო წრეებშიც გაზიარებულია), რომ ფერეიდნელთა გასახლების ძირითადი რეგიონი კახეთია. ეს აზრი, ვფიქრობთ, უკუგავლენით გაბატონდა ფერეიდნელთა შორისაც და მათი აბსოლუტური უმრავლესობა თავს კახელად მიიჩნევს. იქმნება ლექსები, სიმღერები ამ თემაზე.

კოლექტიური მეხსიერება არ მოიცავდა არც საქართველოს შიდა კუთხურ დანაწევრებაზე და არც კონკრეტულად კახეთზე რაიმე ინფორმაციას. ეს ცოდნა მათ შეიძინეს მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს გააქტიურებული კონტაქტების შედეგად და ისიც – ფრაგმენტულად.

კახეთის ფერეიდნელების გადასახლების საწყის პუნქტად მიჩნევა ჯერ ქართულ საზოგადოებაში იქცა უალტერნატივო ვერსიად და აქედან დამკვიდრდა მიგრანტთა შორისაც. ქართულ ისტორიულ წყაროებში მოცემული ძირითადი ცნობა: „აჰყარა კახეთიდან...“ განზოგადდა ყველა მიგრანტზე საქართველოდან. იგივე აზრი გაბატონდა სამეცნიერო სივრცეშიც და მიუხედავად იმისა, რომ საპირისპირო ვერსიებისთვის ბევრი არგუმენტი იყო, სტერეოტიპმა დღემდე მოაღწია.

ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც შეგვხვდა ფერეიდნულ ტექსტებში განსხვავებული ვერსია. ფერეიდნელი ქართველი ალიმერდუნა იოსელიანი თავისი წინაპრების გადმოსახლების ადგილად უთითებს თბილისს:

„ი რო პაპეფსაყე გუგუგია, იმაშინ, რო შააბასმა გამორეკაყე თბილისაყე, გამოდღეს, ნაჯაჰაბადსა წაყყანაყე. ანქა ნაჯაჰაბადღელებმა ამოდღესყე, ამოდღეს, ამორეკეს. აქ ბევრი ქართველი გაწყითეს და იმაშინ ამორეკეს ემ ჭერედანსა“ [ქლკ, ალიმერდუნა იოსელიანი].

გავიხსენოთ ისიც, რომ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ასე კატეგორიულად არ განიხილავდნენ მხოლოდ კახეთიდან გადმოსახლების თემას. მეტიც, პირველ საგაზეთო პუბლიკაციებში საერთოდ არ იყო ამ საკითხზე აქცენტი გაკეთებული.

ქართველთა გასახლების საწყის პუნქტს არც ზაქარია ჭიჭინაძე აკონკრეტებს [ჭიჭინაძე 1895].

ლადო აღნიაშვილი, რომელიც 1894 წელს წავიდა სპარსეთში და ნახა ფერეიდნელი ქართველები, თავის წიგნში არაფერს ამბობს ამაზე. ენასა და ცხოვრების წესზე დაკვირვების შედეგად გარკვეულ პარალელებს ავლებს საქართველოს კუთხეებთან, თუმცა ცოდნა საქართველოს კუთხეებისა და რომელიმე მათგანიდან წარმომავლობის შესახებ თავად ფერეიდნელებში ამ საკითხზე არ დაუდასტურებია. ის წერს:

„ჩვეულებანი, რომლითაც ივინი უნდა განსხვავდებოდნენ სპარსელთაგან, ძლიერ მცირელი რამ-ღა აქვთ შერჩენილი: სახლებს იშენებენ ისე, როგორც ქართლში იციან, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იმათი სახლი მიწის ზევითა სდგას...“ [აღნიაშვილი 1896: 196].

„ჩინებულად ლაპარაკობენ ნამეტნავ რამდენიმე სოფელში. როგორც წუნი არ დევდვის ჩვენ-მიერ ქართულ ლაპარაკს **ხევსურისას, ქიზიყელი** გლეხისას ანუ რომელიმე ტეტია სოფლელისას **ქართლ-კახეთის** კუთხე-კუნჭულებიდან, აგრედ-ვე წუნს ვერ დავდებთ იქაური ქართველების ლაპარაკს. აქცენტი მათ ლაპარაკში სწორედ ისეთივეა, როგორც ჩვენებური სოფლელი გლეხისა, ნამეტნავ **ქიზიყელისა და ხევსურისა (ფშავისა)**“ [აღნიშვილი 1896: 200].

„ბევრსა ხმარობენ ლაპარაკში ყე-სა და ვ-ს როგორც ეს დღეს იციან კახეთში საზოგადოდ და ნამეტნავ ქიზიყში [აღნიშვილი 1896: 210].

ის, რომ ლადო აღნიშვილმა ვერ მოიპოვა ინფორმაცია, ვერ დაადასტურა ცოდნა ფერეიდნელებში გადასახლების საწყისი პუნქტის შესახებ, ამ მსჯელობიდანაც კარგად ჩანს:

„მათი ლაპარაკი უახლოვდება უფრო **კახურს**, მის ძველებურის გამოთქმით, რომელიც უფრო უკედ არის დაცული დღეს **ქიზიყში** და ნამეტნავ **ფშავ-ხევსურეთში**. აქედან შეიძლება გამოგვეყვანა ის დასკვნაც, რომ იგინი კახეთიდან ყოფილიყვნენ გადასახლებულნი, მაგრამ საფიქრებელია ერთი სხვა გარემოებაც. ეს საქმე არის 300 წლის ამბავი. მწერლობას იმ დროისას თავისი საკუთარი სახე ჰქონდა შემუშავებული და ხალხის უბრალო, ცხოველ ენასთან თითქმის არავითარი კავშირი და დამოკიდებულობა არა ჰქონდა. სად ან როგორ ლაპარაკობდა იმ დროს უბრალო ხალხი, ჩვენ ამაზედ არსად არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. უკეთუ ჩვენ ისე, ჩვენად ვიფიქრებო-და, შესაძლებელია, რომ სწორედ ამ 300 წლის წინ, როდესაც იგინი აქედან აჰყარეს, ყველგანაც და ნამეტნავ ქართლ-კახეთის ყველა კუთხეში სწორედ ისეთი ლაპარაკი ყოფილიყოს, იმათ მაშინ, რასაკვირველია, იმ პირველ ჩვენ მოსაზრებასაც მოკლებული ექმნება ყოველი საფუძველი, თუმცა მომეტებული მათი გვარები და ზოგიერთი სოფლები, დღემდე ჰერ კიდევ წმინდად დაუცავთ (ზემო და ქვემო მარტყოფი, ძველი რუსთავი და რუისპირი და აგრეთვე (ქულუბანაქი) ნინოწმინდა, ამართლებს იმავე აზრს, რომ იგინი გარე-კახეთიდან ანუ ივრის ხეობიდან უნდა იყვნენ წაყვანილნი“ [აღნიშვილი 1896: 212].

საყურადღებოა ცნობა 1907 წელს საქართველოში ჩამოსული ფერეიდნელი ქართველების შესახებ. მის თანახმად სტუმრად ჩამოსულ ფერეიდნელებს თავის გადასახლების საწყის პუნქტად გორი, კერძოდ, სოფელი ხიდისთავი, მიაჩნდათ²⁵ [ტატიშვილი N267, N58]:

25. არ ჩანს, საიდან ჰქონდათ მათ ეს ინფორმაცია. სავარაუდოდ, ესეც ახალი კონტაქტების შედეგად გაჩენილი „ცოდნა“ უნდა იყოს და არა ისტორიული მეხსიერებით შენახული ფაქტი.

„1907 წელს მეფის მთავრობის ნებართვით საქართველოში ჩამოვიდნენ დიდი ხნით ტყვეთ საქართველოდან დატაცებული ქართველები ახლა გამახმადიანებული – ფელო ხუციშვილი და კოლია ონიკაშვილი. მათ დაიარეს ბევრი სოფლები და ქალაქები. ისინი ბევრგან მიიწვიეს, შესახვედრი საღამოები გაუმართეს, ყველგან პატივის ცემით მიიღეს, სამშობლოდან ტანჯვა-წამებით გატაცებულნი. მათ დაიარეს და ნახეს თავიანთი სოფელი გორის გვერძე²⁶, სოფელი **ხიღისთავი**, ნახეს მოკეთე-ნათესავები და სახლისკაცები, ნახეს, მაგრამ მათი დავალება და მიზანი სულ სხვა იყო“ [ტატიშვილი N267, N58:1].

1922 წელს გაზეთი „ტრიბუნა“ წერდა:

„ჩვენ ისტორიიდან ვიცით, რომ 1617 წ. საქართველოდან სპარსეთის შაჰაბაზმა ქართლ-კახეთიდან ქართველები აპყარა და სპარსეთში გადაასახლა. გადასახლებულთა რიცხვი ზოგის თქმით იყო 100 კომლი, ზოგის 130 ათასი და მეტიც. ეს ხალხი იქმნა აყრილი და გადასახლებული ბორჩალოს მაზრიდან და ზაქათალის თემიდან. ქართველების მავიერ იქ დაასახლეს სპარსელები და სომხები.

„ამის გარდა, იმავე შაჰაბაზმა ქართლიდანაც გადაასახლა ქართველობა სპარსეთში. ქართლიდან შაჰაბაზის მამამ თამაზ ხანმა გადაასახლა 800 კომლი, სავალისმ-ვილოდან გადაასახლა 5000 კომლი, საციციანოდან – 5000 კომლი, საერისთავოდან 5000 კომლი. სხვა ცნობები ჩვენ არ მოგვყავს აქ. ყველა ეს ქართველები დაასახლეს ფერეიდანს, ხვარასანს და ასეთს შორს ადგილებში, ინდოეთსა და სპარსეთს შუა“ [ტრიბუნა 1922-1].

ქართლი მიაჩნია ფერეიდნელი ქართველების მთავარ საცხოვრისად ისპაჰანში საბჭოთა საკონსულოს თანამშრომელს აშუროვს, რომელმაც 1944 წ. საბჭოთა ხელისუფლების დავალებით მოამზადა დიდი ნარკვევი ფერეიდნელი ქართველების შესახებ:

„Насильственному переселению были подвержены жители значительного числа районов Закавказья, Восточной Грузии, прежде всего города Гори и окружающих его селений, Борчалинского района...“ (იძულებით გადაასახლეს ამიერკავკასიის მოსახლეობის დიდი ნაწილი, აღმოსავლეთ საქართველოდან, პირველ ყოვლისა, ქალაქ გორიდან და მის გარშემო სოფლებიდან, ბორჩალოს რაიონიდან...) [Ашуров 1943].

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ საზღვრები შუა საუკუნეების ქართლისა და კახეთის სამეფოებისა არ ემთხვევა დღევანდელი კახეთისა და ქართლის რეგიონების

26. დაცულია წყაროს დაწერილობა.

ადმინისტრაციულ საზღვრებს²⁷. შესაბამისად, კახეთისა და ქართლის სამეფოებიდან აყრილნი არ არიან მხოლოდ კახელები და ქართლელები. ამ სამეფოების გარდა, როგორც ვნახეთ, სამცხე-ჯავახეთიდანაც გაიყვანეს უამრავი ტყვე... ეს ყველაფერი ხდებოდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას.

გარდა ამისა, ისიც ცნობილი ფაქტია, რომ ფერეიდანი გადასახლებული ქართველების მეორეული (შესაძლებელია მესამეც) მიგრაციის ადგილია და ისინი იქ ისპაჰანიდან აიყვანეს. სწორედ ისპაჰანში უნდა ვეძებოთ პასუხი ჩვენს კითხვაზე: ვინ იყვნენ ფერეიდანში ჩასახლებული ქართველები?

თვალი რომ გავადევნოთ ისტორიულ წყაროებს, ვნახავთ, რომ ისპაჰანში თავი მოიყარა ქართველ მიგრანტთა დიდმა რაოდენობამ.

როგორც სომხური და სპარსული წყაროების მიხედვით ვნახეთ, საქართველოდან გადასახლებულ მოსახლეობის ერთ ტალღას თავი ისპაჰანში მოუყარეს და შემდეგ გადანაწილეს სხვადასხვა მხარეს [კუცია 1974: 36]. საქართველოდან გადასახლებულნი, ბუნებრივია, პირობითად უნდა გაენაწილებინათ სხვადასხვა კუთხეში, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, შაჰ-აბასის პოლიტიკის მიხედვით, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილება მეორეხარისხოვანი ნიშანი იყო, რაც ასიმილაციის პროცესის შედეგად გარკვეული დროის შემდეგ უნდა გამქრალიყო მიგრანტთა შთამომავლებში [ქორდანი 1962: 178].

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრითაც, ფერეიდანი ქართველთა მიგრაციის მეორეული (ან მესამე) საფეხური უნდა იყოს. დიდი ჯგუფი ქართველებისა და სომხებისა გადასახლეს ფარიდანის რეგიონში ისპაჰანიდან დასავლეთით, სავარაუდოდ, 1603–1605 წლებში [Oberling 2001: 496].

სხვა ვერსიით აბასბადში, ისპაჰანის გარეუბანში, ჩასახლებული ქართველები ავიდნენ ნაჯაფბადში, იქიდან კი ფერეიდანში. ეს ვერსია ემყარება ფერეიდნელ ქართველებში შემორჩენილ ინფორმაციას, რომ ისინი ისპაჰანიდან – ნაჯაფბადში, ხოლო ნაჯაფბადიდან ფერეიდანში ავიდნენ. ამ მოსაზრების მიხედვით ქართველები უნდა ჩაესახლებინათ ნაჯაფბადში, მაგრამ ადგილობრივებთან კონფლიქტის გამო იძულებულნი გახდნენ გადასახლებულიყვნენ ფერეიდანში. თუ ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ქართველები ვერ მოხვდებოდნენ ფერეიდანში 1611 წლამდე, რადგან ნაჯაფბადი გაშენდა 1611 წელს. ფერეიდანში მათი გადასახლება ორი არგუმენტითაა გამყარებული: დასავლეთ რაიონების დაცვა და დახმარება სეფიანთა სახელმწიფოსთვის ხარკის შეკრებაში. – ამავე გადმოცემით, ქართველები იყვნენ პირველები, რომლებმაც აქ მუდმივი დასახლება შექმნეს [Rezvani 2008: 600].

საყურადღებო მოსაზრებას გეთავაზობს ვახტანგ ონიკაშვილი, ფერეიდნელი ქართველი, რომელიც დასახლდა საქართველოში და აქვე გამოცა წიგნი „ფერეიდანი“ 2004 წელს. როგორც ავტორი აღნიშნავს, შაჰ-აბასმა, ყაზვინიდან ისპაჰანში გადმონაცვლა და სატახტო ქალაქადაც ეს ქალაქი გამოაცხადა. მან თან წამოიყვანა შაჰ-

27. ამის შესახებ წინა თავებში გვქონდა საუბარი.

თამაზის დროს იქ ჩასახლებული ქართველები... შაკ-აბასმა ეს ქართველები შეაერთა მის მიერ გადასახლებულ ქართველებს და ისპაჰანის გარშემო დაასახლა [ონიკაშვილი, 2004: 12].

თუ ვახტანგ ონიკაშვილის ამ ინფორმაციას დავეყრდნობით, საფიქრებელია, რომ თუ შაკ-აბასმა „შეაერთა მის მიერ გადმოსახლებულ ქართველებს“ შაკ-თამაზის დროს გადმოსახლებული ქართველები, მაშინ შესაძლებელია, რომ ფერეიდანში ისპაჰანიდან გადაესახლებინათ არა მხოლოდ შაკ-აბასის, არამედ შაკ-თამაზის პერიოდში სპარსეთის სხვა კუთხეებიდან ჩამოსახლებული ქართველები და მათი შთამომავლები.

ვახტანგ ონიკაშვილის თქმით, ქრისტიანების დიდი რაოდენობით თავმოყრა სპარსეთის დედაქალაქის გარშემო საფრთხეს უქმნიდა სპარსულ სახელმწიფოს. მან მოგვაწოდა ფერეიდნელ ქართველებში გავრცელებული რამდენიმე ვერსია ისპაჰანიდან ფერეიდანში ასვლისა. იგი ეყრდნობა რეზო ონიკაშვილის ჩანაწერებს, რომლებშიც ძალიან მწირია ინფორმაცია ამის შესახებ. ერთი ვერსიით, სპარსელებს ჩამოურთმევიათ ქართველებისათვის თხის ჯოგი. ქართველებს კი ამის გამო რამდენიმე სპარსელი მოუკლავთ.

მეორე ვერსიით, შაკ-აბასის ერთ-ერთ სპასალარს მოსწონებია ქართველი გოგო და მოუთხოვია ქართველებსათვის მისი გამუსლიმება, რომ შემდეგ ცოლად მოეყვანა. ქართველებს შეუთვლიათ, რომ თვითონ გაქრისტიანებულიყო, თუ დამოყვრებას აპირებდა. ამას მოჰყვა ქართული და სპარსული ორიენტაციის მოხელეთა დაპირისპირება. ყველაფერმა ამან გამოიწვია დიდი შეტაკება შაკ-აბასის გვარდიასა და ქართველებს შორის. ეს რამდენიმე დღიანი ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ შაკ-აბასმა დედაქალაქიდან აჰყარა ქართველები და 200 კილომეტრის დაშორებით ფერეიდნის მხარეში ჩაასახლა. ამ ვერსიას ავტორი უფრო დამაჯერებლად მიიჩნევს [ონიკაშვილი 2004: 15-16].

ფერეიდნელ ქართველებთან ერთად ფერეიდნის მხარეში შაკ-აბასმა ჩაასახლა სომხებიც, რომლებიც 4 სოფელს შეადგენდნენ და რომლებსაც კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველებთან [ონიკაშვილი 2004: 18].

როგორც ჩანს, ეს ის ოთხი სოფელია, რომელთა მოსახლეობაც უპირობოდ დაუდგა გვერდით ქართულ სოფელ ახორას (მარტყოფს) ქერიმ ხანთან ბრძოლის დროს. ფერეიდნელი სომხური წარმოშობის ავტორის, ლევონ მინასიანის, წიგნში მართლაც გვხვდება ცნობა სხვა სომხური სოფლის წარმომადგენლისა იმის შესახებ, რომ ქერიმ ხანთან ბრძოლის დროს 4 სომხური სოფელი: **სანგიბარანი, ხუნგი, შაკველადი, მილაგერდი** ეხმარებოდა სოფელ ახორას (მარტყოფის) მოსახლეობას და მასთან ერთად გაიზიარა ის სისასტიკე, რაც ქერიმ ხანის გამარჯვებას მოჰყვა [მინასიანი 2001: 79].

იაპონელი ისტორიკოსი, ირანისტი მაედა ჰიროტაკე განიხილავს ისქანდერ მუნშის ისტორიის პარალელურად 2005 წელს აღმოჩენილ **ფაზლის** ისტორიას და ასკენის, რომ არ არსებობს არანაირი დოკუმენტური ცნობა ფერეიდანში ქართველთა ჩასახლების შესახებ და ამის მიზეზად ასახელებს იმას, რომ ისინი მიწათმოქმედები

იყვნენ და სახელმწიფოსთვის დიდ ინტერესს არ წარმოადგენდა ამ ფაქტების აღწერა [Maeda 2004: 257].

3.1. როდიდან ჩნდება წარმომავლობის სახელი „ფერეიდანელი // ფერეიდნელი“?

წარმომავლობის აღმნიშვნელი **ფერეიდანელი // ფერეიდნელი** გაცილებით გვიან დამკვიდრდა მიმოქცევაში. საქმე ის არის, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში სპარსეთში მცხოვრები ქართველები, მათ შორის, ფერეიდანში მცხოვრებნი, მოიხსენიებოდნენ როგორც **სპარსელი ქართველები²⁸, სპარსეთელი ქართველები²⁹, ქართველი სპარსელები³⁰, სპარსეთის ქართველები, ისპაჰანის ქართველები**. ზოგჯერ ერთი ავტორი თავის სტატიას ან ნაშრომში ერთდროულად უწოდებს ფერეიდნელ ქართველებს სპარსელ ქართველებს ან ქართველ სპარსელებს.

ასე მოიხსენიებდნენ გაზეთებსა და ჟურნალებში ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებს, მათ შორის, ზაქარია ჭიჭინაძე და ლალო აღნიაშვილი.

1907 წელს პრესაში გვხვდება **„ფერეიდანის ქართველობა“** [ისარი 1907], მოძრაობა სპარსეთში და ფერეიდანის ქართველობა“ [მწყემსი 1907].

ფერეიდანის ქართველობა გვხვდება ლალო აღნიაშვილის წიგნშიც ერთგან: „მე არ ვიცოდი, თუ შენ ფერეიდანის ქართველობაში აპირობდი წასვლას“ [აღნიაშვილი 1896: 169].

ლალო აღნიაშვილს ტერმინი **ფერეიდანელი** ერთადერთხელ აქვს ნახსენები და ისიც ფერეიდანში მცხოვრები არაქართველების აღსანიშნავად:

მეორე ჩვეულება არის სულთმოფენობა. ეს ისეთს დღეს მოდის, როდესაც მთელს სპარსეთში არავითარი დღესასწაული და სამხიარულო დღე არ არის. მაგრამ ესენი და ბევრი სხვა ფერეიდანელნიც იყრებიან იმ დღეს ქართველებთან ერთად... [აღნიაშვილი 1896: 198].

ამ პერიოდისთვის ვერსად შევხვდებით წარმომავლობის სახელს, **„ფერეიდანელ ქართველს“** მით უფრო **ფერეიდნელს**, რადგან შეკუმშული ფორმა კიდევ უფრო მოგვიანო პერიოდში გვხვდება, ისიც პარალელურად და არა ერთადერთ ვარიანტად.

სპარსეთში მოგზაურობისა და ფერეიდანის მონახულების შემდეგ პრესაში გაჩნდა სტატიები, რომლებსაც **ფერეიდანელი ქართველის** ფსევდონიმით წერდა ლალო აღნიაშვილი. ცნობილია მისი და თედო სახოკიას პოლემიკა რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ. „პასუხად **ფერეიდანელ ქართველს“** – ასე უწოდა თედო სახოკიამ ცნობის ფურცელში დაბეჭდილ სტატიას [სახოკია 1897: 3-4].

გფიქრობთ, **„ფერეიდანელი ქართველი“** პირველად ლალო აღნიაშვილის

28. ისარი, 1907, N218; ისარი, 1907, N158; დილა, 1907, N8 და სხვ.

29. დროება, 1876, N 120; დროება, 1874, N 427 და სხვ.

30. ისარი, 1907, N183; სახალხო საქმე, 1917, N 17 და სხვ.

ფსევდონიმად გვხვდება და არა სპარსეთში გადახვეწილ თანამემამულეთა წოდებად.

მეოცე საუკუნის ოციანი წლების ქართულ სამეცნიერო და პუბლიცისტურ სივრცეში კი უკვე აქტიურად მიმოიქცევა წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელი **ფერეიდანელი**. „ფერეიდანელი **ქართველები**“ სპარსეთში მცხოვრები ქართველების აღსანიშნად, ფაქტობრივად, უკვე დამკვიდრებულია.

ფერეიდანელს ქართველებს შეუთვსებიათ ერთი ახალი ჩვეულება, რომელიც ჩვენებური სოფლებსათვის სწორედ მისაბაძია [გოგებაშვილი 1982].

ჩვენს **ფერეიდანელს მოძმებს** შეუძლიათ ჩვენს წინაშე სამართლიანად დაიქაღონ წმინდა ქართველობა [გოგებაშვილი, 1982].

უნდა აღინიშნოს, რომ იაკობ გოგებაშვილი იქვე, იმავე სტატიის შიგნით ფორმას ვეთავაზობს:

ძისი ნაშრომი **ფერეიდანელ ქართველთა შესახებ**, სპარსეთი და იქაური ქართველები“ ჯერ უწინააღმდეგარა „მოამბეში“ დაიბეჭდა... [გოგებაშვილი 1982].

სამსონ ფირცხალავას სტატიის, გიორგის ლასხიშვილის მოგონებებში ფერეიდანის რეგიონში მცხოვრები ქართველები მოხსენიებული არიან ფერეიდანელ ქართველებად:

ფერეიდანელების ჩამოსვლამ დიდი სენსაცია გამოიწვია [ლასხიშვილი 1928: 151].

ფერეიდანელი ქართველების ცხოვრება მან აგვიწერა [ლასხიშვილი 1928: 151]. იქიდან მოსულ ცნობების თანახმად, **ფერეიდანელ** ქართველთა სოფლებს კვლავ თავს დასხმოდნენ ბახტიარები [ტრიბუნა 1922].

ბევრი ცრემლი დაღვარა მაშინ, როდესაც წავიკითხე ლადო აღნიაშვილის შედგენილ წიგნში **ფერეიდანელ** ქართველების ყოფა-მდგომარეობა [ჭინაძე 1923: 4].

პარასკევს, 4 მაისს, პირველ კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქუჩაზე) შესდგება სპარსეთიდან ჩამოსულ **ფერეიდანელი** ქართველის სეიფოლას იოსელიანის მოხსენება სპარსეთში მცხოვრებ ქართველების შესახებ [ტრიბუნა 1923-1: 3].

სეიფოლას ჰქონდა **ფერეიდანელ ქართველთაგან** დავალება – აღედრა საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა ფერეიდანელ ქართველთათვის დაენიშნათ საქართველოს წარმომადგენელი, რომელიც დაიცავდა მათ ინტერესებს სპარსეთის მთავრობასთან [მუშა 1925].

აქვე აღვნიშნავთ, რომ ასევე გვხვდება შეუკუმშველი ფორმა ტოპონიმისა **ფერეიდანი**:

23 მაისს ვაპირებდი ისპაანიდან გასვლას **ფერეიდანი საკენ** [აღნიაშვილი 1896: 120].

აქედან **ფერეიდანამდე** გასავლელი გვქონდა შემდეგი სადგურები [აღნიშვილი 1896: 170].

გარდა ზემოდ, **ფერეიდანის** აღწერაში ნათქვამისა... [აღნიშვილი, 1896:227].
ლადო აღნიშვილი საგანგებოდ გაემგზავრა **ფერეიდანის** დასათვალიერებლად [ლასხიშვილი 1928: 151].

ფერეიდანიდან ჩამოვიდნენ... [ფირცხალავა 1988 (1915)].

ოცდაათი წლის წინათ საქართველოში მოვიდა **ფერეიდანიდან** ერთი იქაური ქართველი – ათამა ონიკაშვილი [გოგებაშვილი, 1982].

შეუკუმშველი ფორმაა გამოყენებული **ფერეიდანელი** და **ფერეიდანის** 1922 წლის პრესაში: გაზეთებში: ტრიბუნა, ბახტრიონი, ლომისი. ვ. თოფურია ასევე იყენებს ტოპონიმის შეუკუმშველ ფორმას: „ნიმუშები **ფერეიდანის** ქართულის ენისა“ [თოფურია 1922].

რედუცირებული და არარედუცირებული ფორმა პარალელურად გვხვდება არნოლდ ჩიქობავას შრომებში:

ფერეიდანის ქართველებს მხოლოდ სპარსული სკოლები მოეპოვებთ [ჩიქობავა 2010 (1927): 206].

ფერეიდანის ამ ქართველთა თქმას ვუწოდებთ **ფერეიდანულს** [ჩიქობავა 2010 (1927): 181].

ქართული ენა ერთადერთი ძაფია, რომელიც **ფერეიდანის** ქართველობას აკავშირებს ქართულ სულიერ კულტურასთან [ჩიქობავა 2010 (1927): 181].

ასევე მის ნაშრომში გვხვდება ორი შემთხვევა ტოპონიმის შეკუმშული ფორმისა: შეიძლება, ბევრი რამ, რაც **ფერეიდანის** სხვადასხვა ქართულ სოფელთა თქმას ახასიათებს, ჩვენთვის უცნობი დარჩეს... [ჩიქობავა 2010 (1927): 182].

ფერეიდანის ქართველობას გარშემო აკრავს ისეთი ტომები, რომელთა ენების აღნაგობა ძირეულად განსხვავდება ქართველურ ენათა სტრუქტურისაგან [ჩიქობავა 2010 (1927):188].

„ჩვენ შეიძლება გვქონდა პროფ. ა. შანიძის დავალებით გავცნობოდი ფერეიდანულს – 1922 წლის შემოდგომაზე **ფერეიდანიდან** ჩამოსული ქართველის ბ. სეფოლ-ხან იოსელიანის საშუალებით“ [ჩიქობავა 2010 (1927): 5]. ამის პარალელურად მის შრომებში გვხვდება -ელ სუფიქსიანი წარმომავლობის სახელის შეკუმშული ფორმა – ფერეიდნელი:

ფერეიდნელ ქართველს სპარსულ ენის შესწავლა უხდება [ჩიქობავა 2010 (1927): 206].

ფერეიდნელ ქართველს არ ეჩოთირება ასეთი გამოთქმა [ჩიქობავა 2010 (1927): 207].

ფერეიდნელი ქართველების შაჰ-აბაზის მიერ გადასახლების შესახებ შეუძლებელი არაა სადაოდ იქნეს გამოცხადებული [ჩიქობავა 2010 (1927): 180].

„ამ წერილის მოთავსება განზრახული იყო ქართველ მაჰმადიანთა დამხმარე კომიტეტის კრებულში: „**ფერეიდანი და ფერეიდნელები**“. წერილს უნდა დაჰართოდნენ, იოსელიანის თქმით ჩაწერილი ტექსტები, არცთუ მცირე ოდენობისა“ [ჩიქობავა 2010 (1927): 180].

მსგავსად ამ მაგალითებისა, მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან თვალს თუ გავადევნებთ ამ ტოპონიმიისა და წარმომავლობის სახელის გამოყენების ისტორიას, ვნახავთ, რომ თანაბრად გამოიყენებენ მათ შეკუმშულ და შეუკუმშავ ფორმებს:

„შესდგა ქართველ მუსლიმანთა კულტურული საზოგადოების კომიტეტის სხდომა, სპარსეთში მყოფ **ფერეიდანელ ქართველები**სათვის კულტურული დახმარების აღმოჩენის საკითხების განსახილველათ“ [კომუნისტი 1926].

ფერეიდნელ ქართველების გადასახლების და თვით დღევანდელი ცხოვრების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ქ. ისპაჰანთან [ჭელიძე 1935: 31].

1894 წელს ლადო აღნიაშვილი გაემგზავრა ფერეიდანს. ამ მოგზაურობის შედეგად მან გამოაქვეყნა წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“, რომელშიაც აღწერა **ფერეიდნელი ქართველების** დუხჭირი ცხოვრება [ჯავახიშვილი 1951].

ფერეიდანის ქართველობა, ფერეიდანელი ქართველობა; ფერეიდანელი ქართველები [საყვარელიძე 1926].

ფერეიდანელი ქართველები [ჭელიძე 1927 N4090].

ფერეიდანელი ქართველი ბავშვები [კანდელაკი 1960].

ფერეიდანელი ქართველები [სიღამონიძე 1965].

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის კატალოგებში, ანოტაციებშიც გვხვდება ორივე ფორმა:

ფერეიდანელი ქართველების შესახებ [გიქომვილი 1962].

ფერეიდნელი ქართველების მოთხოვნა უღირს თანამემამულეთა მიმართ [კომუნისტი, 1977].

უკუმშველი ფორმა გვხვდება პოეზიაშიც:

„**ფერეიდანის** მიწას ვხნავ ავერ სამასი წელია...“ [სულაბერიძე 2013].

გრამატიკული ნორმების თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ტოპონიმი ფერეიდანი უკუმშველ სახელთა რიგში შედის, ის ისევე უნდა განვიხილოთ, როგორც ირანის სხვა ადგილის სახელები: ჰამადანი, ზაჰედანი, ისპაჰანი, თეირანი, რომელთა შეკუმშვაც არ ხდება.

არარეგულირებული ფორმის სასარგებლოდ მეტყველებს ასევე ფერიდუნის // ფერიდუნის ეტიმოლოგიაც: ფერიდუნი (იგივე ფრიდონი) – ანთროპონიმი. ფერიდუნი შაჰნამეს გმირია [ფირდოუსი 1916], რომელიც ბანჯიარის მთებში დაიბადა. სწორედ ამის გამო დაერქვა ახორე ბალასა და ახორე ფაინს (ქვემო და ზემო მარტყოფს) ფერიდუნშაჰრი.

ასე რომ, ნორმირების თვალსაზრისით უპირატესობა უკუმშველ ფორმას ეკუთვნის. უკუმშველი ფორმით გვხვდება ტოპონიმი **ფერეიდანიც** ქართულ პრესასა და პუბლიცისტიკაში მე-19 საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მეოცე საუკუნის 20-იან წლებამდე.

რაც შეეხება წარმომავლობის ადმინიშვნელ სახელს **ფერეიდანელი**, ის პირველად გვხვდება, სავარაუდოდ, 1897 წელს, აღნიაშვილის ფსევდონიმად. შემდეგ უკვე ფერეიდანში მცხოვრები ქართველების აღსანიშნავად გამოიყენებოდა.

დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები თანაბრად გამოიყენება. ამდენად, იმის მიუხედავად, რომ ნორმის თვალსაზრისით უკუმშველი ფორმა უპირატესი, ტრადიცია ორივე ფორმის გამოყენებისა საკმაოდ დიდია, ამიტომ მას უნდა გავუწიოთ ანგარიში და ისინი პარალელურად დასაშვებ ფორმებად უნდა განვიხილოთ.

3.2. ფერეიდნელ ქართველთა თვითწოდება

დღეს ტერმინი **ფერეიდნელი** საქართველოში (არა მარტო სამეცნიერო სივრცეში) – გაიგივებულია ირანში მოსახლე ქართველთან.

როგორ უწოდებენ თავს თვით ფერეიდნელები?

პირველი ცნობა ქართველთა თვითწოდების შესახებ ფერეიდანში გვხვდება ნიკო ყიფიანის სტატიაში „ქართული კოლონია ირანში“ 1872 წელს, როგორც აღვნიშნეთ, ეს, ფაქტობრივად პირველი სტატიაა ფერეიდნელთა შესახებ, თუ არ ჩავთვლით ცხვეადის მოკლე და ზოგად ინფორმაციას „ისპაღანის მახლობლად“ მცხოვრებ ქართველებზე.

ნიკო ყიფიანი ამ წერილში მათ თვითწოდებასაც ეხება:

„ისპაჰანდამ ჩრდილოეთ დასავლეთისაკენ ხუთი დღის სავალზედ, ყულევას წყლის პირას, მდებარეობს ექვსი სოფელი, რომელთა მცხოვრებნი ქართველთ ჩამომავლისანი არიან და თითონაც ქართველად იწოდებიან. სპარსელები კი ეძახიან მათ გურჯებს, რაიცა ნიშნავს სპარსულად ქართველებს. ... კიდევ ესეც არის შესანიშნავი, რომ გურჯები არასოდეს არ მიათხოვებენ თავის ქალებს სპარსელებსა და სპარსელები გურჯებსა, ესე იგი ქართველებს“ [ყიფიანი 1872].

1876 წელს „დროებაში“ დაბეჭდილ სტატიაშიც „ქართველები სპარსეთში (სპარსელი ქართველის ნაამბობი)“, რომელიც სავარაუდოდ ათამ ონიკაშვილის საუბარზე დაყრდნობითაა შექმნილი, ქართველთა წოდებასა და თვითწოდებაზეა საუბარი: „თითონ იწოდებიან ქართველებად, და სხვანი ეძახიან გორჯის.“

პირველი სისტემური დოკუმენტური მასალები ფერეიდნელთა ცხოვრების შესახებ მოაგროვა ლადო აღნიაშვილმა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს. მისი მასალების მიხედვით ჩანს, რომ ამ რეგიონში მცხოვრები ქართველები არ იცნობდნენ ეთნიკურ ტერმინს **ქართველი** და თავს გურჯებს უწოდებდნენ:

„არ ესმით სრულიად რას ჰქვიან **ქართველი, საქართველო** (გურჯი, გურჯის-ტანი)“ [აღნიშვილი 1896: 210].

ფერეიდნის მეოთხედ ნაწილსაც, რომელშიც ქართველები ცხოვრობდნენ, **გურჯი ნაჰაია** ერქვა: „ფერეიდანი დიდი მოზრდილი ადგილია, – განიყოფება ოთხ ნაწილად, თითო მათგანს ეწოდების სახელად ნაჰაია: 1. ნაჰაია გურჯი, 2. ნაჰაია თოჰმაჰლე, 3. ნაჰაია ვარზალ, 4. ნაჰაია ჩადეგუნ“ [აღნიშვილი 1896: 188].

ფაქტია, რომ ლაღო აღნიშვილმა 1894 წელს ფაქტობრივად უარყო 1872 და 1876 წელს სტატიებში არსებული ინფორმაცია, რომ ფერეიდნელები თვითწოდებად იყენებენ ტერმინს **ქართველი**.

ქართველთა თვითწოდება გურჯის კვალი დღეს ისეთ ტერიტორიებზეც ჩანს, სადაც ქართულად მოლაპარაკენი აღარ სახლობენ, მაგრამ ისტორიულად და ზეპირი გადმოცემით მათი იქ მოსახლეობა დადასტურებულია.

ფერეიდნის გარდა, ირანის სხვადასხვა პროვინციაში დღესაც არსებობს 11 სოფელი, რომელთა სახელები გორჯთან (ქართველთან) არის დაკავშირებული. ეს მიგვახსენებს, რომ ამ სოფლებში ერთ ღროს ქართველებს უცხოვრიათ. მარტო მაზანდარანის პროვინციაში 6 ასეთი სოფელია: **გორჯი, გორჯი ხეილი, გორჯი სარა, გორჯი ქალა, გორჯი მაჰალე, გორჯაი**. ქურთისტანში: **გორჯაი**. ლურისტანში: **გორჯი ბაიანი**; ხუზისტანში: **გორჯი**; ხორასანში: **გორჯანი, გორჯი** – მეშჰედის შაჰრესტანში [ჭიპაშვილი 1972: 90].

ჟურნალ „ბახტრიონში“ 1922 წელს გამოქვეყნდა ინტერვიუ სეიფოლა იოსელიანთან. კითხვაზე: **თქვენ ქართველებს ეძახით თქვენ თავს?** – მან ასე უპასუხა:

„ჩვენ ადვილს, იმ 14 სოფელს, საქართველოს ვეძახით. ის ჩვენი საქართველოა; სპარსელები კი **გურჯისტანს** ეძახიან; ჩვენს გვარებს, როდესაც საქმე გვაქვს ვინმესთან, ყოველთვის თან ურთავენ სიტყვას „გურჯი“ [ასლანიშვილი 1922: 2-3].

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან ქართულ გარემოსთან სიახლოვემ, რეინტეგრაციის პროცესებმა განსაზღვრა ტერმინ **გურჯის**, როგორც თვითწოდების ჩანაცვლება ტერმინით **ქართველი**. ამბაკო ჭელიძე, რომელიც მეოცე საუკუნის ოციანი წლების ბოლოს იმყოფებოდა ფერეიდანში, ქართველთა თვითწოდების აღმნიშვნელ ტერმინად თავის წიგნში „ფერეიდნელი ქართველები“ უგამონაკლისოდ მხოლოდ ქართველს ახსენებს. საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ამბაკო ჭელიძის არქივი, რომელშიც მოვიძიეთ წიგნის ხელნაწერი პირები. აქაც, ყველგან, გამოყენებული იყო ტერმინი ქართველი. როგორც ჩანს, ამ ტერმინის გამოყენება ავტორის გადაწყვეტილებად უნდა ჩავთვალოთ.

ამბაკო ჭელიძეს მაინც მოუწია ამ ტერმინის ხსენება, რომელიც, როგორც ჩანს, ერთადერთი იყო ირანში ქართველთა აღსანიშნავად: ისპაჰანელები, რომლებიც ხედავდნენ, რომ ეს ევროპულად ჩაცმული ადამიანი გლეხურად ჩაცმულ „ირანელებს“

უცხო ენაზე ელაპარაკებოდა, გაკვირვებას არ ძალავდნენ და ამბობდნენ, რომ **გურჯი**, როგორც ასეთი, იცოდნენ, მაგრამ თავის რეგიონში არც გურჯებისა და არც მათი ენის შესახებ არაფერი გაეგონათ [ჭელიძე 1935: 41].

არის ცნობა, რომ ფერეიდნიდან ირანის სხვა რეგიონში გასული ქართველები ზოგჯერ თავს ბახტიარებად წარადგენდნენ [ჭელიძე 1935: 72]. რაკი ირანელისთვის ტერმინი „გორჯი“ ამ რეგიონთან არ ასოცირდებოდა და ის მხოლოდ ზოგადად ქართული წარმომავლობის აღმნიშვნელი იყო, როგორც ჩანს, სწორი (საკმარისი) იდენტიფიკაციისათვის ფერეიდნელი ქართველი რეგიონს გარეთ „ირჩევდა“ რეგიონალური (ბახტიარის მთების მიმდებარე ტერიტორიიდან) წარმომავლობის ნიშანს.

დღესაც ისპაჰანსა და მის შემოგარენში, რომ არაფერი ვთქვათ დანარჩენ ირანზე, ქართველებს ეთნიკური ნიშნით ან არ, ან ნაკლებად გამოარჩევენ. ისპაჰანში ქართული საუბრის გაგონებისას საჭიროა ახსნა, ვინ არიან და სად ცხოვრობენ ამ ენაზე მოსაუბრე მათი თანამემამულეები.

ზოგი მეცნიერის აზრით, ფერეიდნელ ქართველებში დღესაც შეგვხვდება ორივე თვითწოდება: ქართველი და გორჯი: იყენებენ „ქართველს“ ზოგჯერ გორჯი // გურჯის. ისინი ქართულ ენაზე უწოდებენ ერთმანეთს – ჩემ ძოლს [Rezvani 2009: 594].

„იმის მიუხედავად, რომ არსებობს უმნიშვნელო დიალექტური განსხვავება სამხრეთ და დასავლეთ ფერეიდნის ქართულად მოსაუბრე მოსახლეობის ლექსიკურ მარაგს შორის, ყველა ფერეიდნელი ქართველი ერთმანეთს უწოდებს ჩემ-ძოლს (Chem-Dzowli = ჩემი ძვალი) და მათ იციან თავიანთი ნათესაური კავშირის შესახებ“ [Rezvani 2009: 599].

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **დღეს** ფერეიდნელი ქართველების თვითწოდებაა ტერმინი **ქართველი**. განსაკუთრებით აქტიურია იგი საქართველოს ქართველებთან ურთიერთობის დროს, ჩვენთან საუბარში არასდროს ახსენებენ „გორჯის“. ტერმინი „გორჯი“ გამოიყენებოდა და ახლაც გამოიყენება ქართველის მნიშვნელობით მხოლოდ ირანის სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართების დროს: როცა ქართველებს მოიხსენიებს დანარჩენი მოსახლეობა და როცა თავად ქართველები უხსნიან თავიანთ ეთნიკურ წარმომავლობას ირანის დანარჩენ ნაწილს.

როგორც ვთქვით, ტერმინი **ქართველი // გორჯი** აერთიანებს ყველას, ვინც ქართულად ელაპარაკობს და ქართული იდენტობა აქვს, მათ შორის მათ, ვისი წინაპრებიც არ არიან მიგრირებული საქართველოდან, სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებიც მოგვიანებით შეუერთდნენ ქართულ თემს.

რაც შეეხება სახელწოდებას **ფერეიდნელი ქართველი** – ის ფერეიდნის რეგიონში მცხოვრებ ქართველებს სჭირდებათ მხოლოდ საქართველოსთან ურთიერთობის დროს. ეს მათი თვითწოდებაა აქ, თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. ირანში კი, როგორც აღვნიშნეთ, ამ ტერმინის გამოყენების საჭიროება არ არის.

დღეს ფერეიდნის რეგიონში მცხოვრები ქართველების წოდებად **ფერეიდნელი**

ქართველი გამოიყენება როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო პუბლიცისტურ და სამეცნიერო სივრცეში.

3.3. ფერეიდნელ ქართველთა რაოდენობა

ნიკო ყიფიანი ათამ ონიკაშვილის ცნობებზე დაყრდნობით 1872 წელს წერს:

„ამ სოფლების სახელები არის: მარტყოფი, ახნა, ბონინი, ტაშკეშანა, აფუსი და თოლელი. სულ სოფლებში სცხოვრობს სამი ათასი მეტი კომლი, – თხუთმეტი ათასი სული: – მარტყოფში: ათასი კომლი – 1000, აფუსში – 700, ახნაში – ორმოცი – 40, თოლელში და ბონინში ცხრაასი – 900 და ტაშკეშანაში – ხუთასი 500; სულ სამიათას-ასი – 3.140 კომლი [დროება 1872: 1].

ათამ ონიკაშვილი, საქართველოში ჩამოსული პირველი ფერეიდნელი ქართველი, ასახელებს ფერეიდანში ქართველების რაოდენობას – დაახლოებით 20 000 სულს, 11 სოფელს [ჭიჭინაძე 1895: 24-25].

აღნიშნული ფერეიდანში მცხოვრები ქართველების რაოდენობად მიიჩნევს დაახლოებით 12 300 სულს. 14 სოფელს – 2460 კომლს [აღნიშნული 1896: 189].

საგულისხმოა მისი შენიშვნა:

„ძნელია, მართალია, სპარსეთის სოფელ-ქალაქების მცხოვრებთა აღნიშვნა, რადგან არავითარი სტატისტიკური ცნობები არა აქვთ. თვით მცხოვრებთაც რომ ჰკითხოს კაცმა, თავის დღეში ორს ერთმანეთის მაგვარ პასუხს არ მიიღებს, – ასეთია სპარსეთი. ზოგნი ამბობენ მარტყოფ ზედ, რომ იქ 1000 კომლიაო, ზოგნი – 500-იო, მაგრამ დაახლოვებითი ანგარიში ყოველთვის შეიძლება“ [აღნიშნული 1896: 191].

ონიკაშვილისა და ხუციშვილის ცნობით ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა იყო დაახლოებით 40 000 [ჯანაშვილი 1907 N8].

1922 წელს გაზეთი „ტრიბუნა“ წერდა:

„ფერეიდანის ხეობაში დღემდე თავი შეინახა ქართველმა ხალხმა 25 სოფელში, იქ ყველა ზედ დიდი სოფელი არის მარტყოფი, სადაც 1873 წ. იყო 1000 მოსახლე. ეხლა იქ არის თურმე 1500 კომლი“ [ტრიბუნა 1922-1].

სეიფოლა იოსელიანის თქმით სულ 14 ქართული სოფელი იყო, 30-32 ათასი სული [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ამბაკო ჭელიძე ასახელებს 15 ქართულ სოფელს ფერეიდანში და ქართველთა საერთო რაოდენობად კი მიიჩნევს 12 545 სულს [ჭელიძე 1935: 165].

ირანის მოსახლეობის სამი აღწერის საფუძველზე იქ მცხოვრები ქართველების რაოდენობა ასეთია:

წლები	ქართველების რაოდენობა ფერეიდანში
1956	10 ათასი
1966	10 ათასი
1976	15 ათასი

[კუტალაძე 1990:77].

ბოლო პერიოდის ინფორმაციით, ფერეიდანის რეგიონში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა სხვადასხვა ინფორმაციით 12-14 ათასს აღწევს [კუტალაძე 1990: 77], თუმცა გვხვდება სხვა მონაცემებიც: ფერეიდანში ქართველთა რაოდენობა 61 ათასი, მთლიანად ფერეიდანის რეგიონიდან სხვა ადგილებზე დასახლებულ ქართველებთან ერთად კი დაახლოებით – 100 000 [Rezvani 2008: 594-595].

ჯემშიდ გიუნაშვილი მოჰამედ სეფიანის წიგნზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ ქართული წარმომავლობის ფერეიდანულ კილოზე მოუბარ ირანელ მოქალაქეთა რიცხვი უნდა იყოს 60-65 ათასი [გიუნაშვილი 2007-1: 7].

ფაქტობრივად, ეთნიკური ქართველის რიცხვი იდენტურია ფერეიდანში ქართულ ენაზე მეტყვევებელ ქართველთა რიცხვისა, რადგან თუ **აფუსის** ქართველების თავისებურებას არ გავითვალისწინებთ (ენა დაკარგეს, მაგრამ ეთნიკური იდენტობა აქვთ შენარჩუნებული), ფერეიდანში ასიმილაციის შედეგად ენის დავიწყებასთან ერთად იდენტობაც იკარგება.

4. პირველი კავშირები (XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე)

4.1. ათამ ონიკაშვილი საქართველოში

ფერეიდანიდან ჩამოსული პირველი ქართველი, რომლის შესახებაც ინფორმაცია მოგვეპოვება, არის **ათამ ონიკაშვილი**. იგი 1871 წელს ჩამოვიდა საქართველოში და იქაური ქართველების ცხოვრება გააცნო საზოგადოებას. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ქართულ პრესაში ფერეიდანელ ქართველთა შესახებ სტატიების ბეჭდვა.

იგი დაბადებულა და გაზრდილა მარტყოფში, შემდეგ, მისივე თქმით, ოჯახი თეირანში გადასულა საცხოვრებლად, საქართველოს შესახებ ინფორმაცია მშობლებისგან ჰქონია, მათგანვე გადასცემია დიდი სიყვარული ისტორიული სამშობლოს მიმართ. თეირანიდან ბაქომდე გამოჰყვოლია ინჟინერს, ეროვნებით ინგლისელს, იქიდან კი თბილისამდე თავად გამოუგნია გზა.

საქართველოში მას დიდი სიხრულით შეხვდნენ. მის მონათხრობს სპარსელი ქართველების შესახებ უდიდესი ინტერესით უსმენდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწენი: **გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, დიმიტრი ბაქრაძე, პეტრე უმიკაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი**. ათამ ონიკაშვილმა კარგად შეისწავლა სემინარიელებისაგან ქართული წერა-კითხვა, მალე მას ქართული სახელი ალექსანდრე უწოდეს. ამ სახელით აქვეყნებს სტატიას გაზეთ „დროების“ 427-ე ნომერში სათაურით „სპარსეთელი ქართ[ვ]ელის წერილი“. პეტრე უმიკაშვილის კოლექციაში შემონახულია მისი ლექსებიც. ათამ ონიკაშვილის ლექსები პეტრე უმიკაშვილის კოლექციიდან გამოქვეყნებული აქვს მიხეილ ჩიქოვანს [ჩიქოვანი 1971: 240-241].

„დროების“ 1875 წლის 34-ე ნომერში გამოქვეყნდა ათამ ონიკაშვილის ზღაპარი, რომელსაც რედაქციის შენიშვნა უძღვის წინ: „ამ სპარსელი ქართველის გალექსულ ზღაპარს მხოლოდ იმის ნიმუშათ ვბეჭდავთ, რომ უჩვენოთ ჩვენ მკითხველებს – თუ როგორის ქართულის ენით ლაპარაკობენ ის ქართველები, რომელნიც დიდი ხნითგან არიან სპარსეთში დასახლებულნი“. მიუხედავად რედაქციის რწმენისა, რომ ფერეიდნული მეტყველების ნიმუშს აცნობს მოსახლეობას, ზღაპრის ენა ძალიან დაშორებულია ფერეიდნული დიალექტისგან და მას ატყვია რედაქტორის ხელი, თუ, რა თქმა უნდა, თავად ათამ ონიკაშვილი არ შეეცადა დაეწერა სალიტერატურო ქართულით, რომელსაც უკვე ოთხი წელი ეუფლებოდა საქართველოში. ზღაპარს, რომელსაც დასათაურება არ აქვს, ავტორად უწერია სპარსელი ალექსანდრე ონიკაშვილი.

ათამ ონიკაშვილის ამბავი ყველამ შეიტყო, „ბევრს დიდი გვარის კაცს მოუნდა ამ ძვირფასი სტუმრის ნახვა. მალე მიიხმეს თავისკენ. ნახეს ყველა ჩვენ საპატიო პირებმა: დიმიტრი ბაქრაძემ, იაკ. გოგებაშვილმა, აკაკიმ, გ. წერეთელმა, ს. მესხმა, დიმიტრი ყიფიანმა, გრიგოლ ორბელიანმა და პეტრე უმიკაშვილმა“ [ჭიჭინაძე 1907: 19]. ათამ ონიკაშვილი შიშობდა, რომ სპარსელი ქართველები, ისინი, ვინც ჯერ კიდევ მშობლიურ ენაზე საუბრობდა, „ვინც დარჩა და შეინახეს ის დღევანდლამდე, ისინიც დაჰკარგავენ ამ 100 წლის განმავლობაში, თუ ამ საბრალოებს არაფერი ეშველებათ...“ [ჭიჭინაძე 1907: 24]. მას დიდი სურვილი ჰქონდა ფერეიდნული ქართველების საქართველოში ჩამოსახლებისა და სჯეროდა, რომ ბევრი ქართველი დაეხმარებოდა ამ სურვილის განხორციელებაში. როგორც ზაქარია ჭიჭინაძე გადმოგვცემს, „ეს ამბები ვინც კი გაიგო, ყველას ესიამოვნა, ყველა აღტაცებული დარჩა. ხოლო ვისაც ამ საქმეში შეეძლო მონაწილეობის მიღება და ვისაც უხაროდა ამ კაცის ლაპარაკი, ეს გამოჩენილი ქართველი პოეტი გენერალ გრიგოლ ორბელიანი კი შორს დადგა და არსად ერთი სიტყვაც კი არა სთქვა, ვერაფერი წინამძღოლობა გაუწია ათამ ონიკაშვილს. ათამ ონიკაშვილი ვადაწყვეტით ასაბუთებდა, რომ დღეის შემდეგ ქართველნი სპარსეთში ვეღარ შეინახვენ თავსა, რადგან თმენას და ბრძოლას სპარსებთან მოზეზრებულნი არიანო“ [ჭიჭინაძე 1907: 21-22].

ათამ ონიკაშვილს მიუძმართავს კიდევ კავკასიის მთავარმართებლისათვის და უთხოვია ეშუამდგომლა ამ სპარსეთის მთავრობასთან ქართველთა რეპატრაციის

საქმეში. მან ასევე სთხოვა გრიგოლ ორბელიანს დახმარებოდა ამ საქმეში. გრიგოლ ორბელიანი დაჰპირებია მთავარმართებელთან მისვლას და დახმარებას, თუმცა რამდენიმე დღეში უარი უთქვამს: „*ძმაო! ჩვენში არაფერი საზოგადოება არსებობს; მე ვერ გავბედე მათი თხოვნა, მიტომ რომ არაფერი იქნება, ჩვენ თხოვნას არ შეიწყნარებენ, იქიდან აქ ხალხს არ გადმოსახლებენ. ან რა საჭიროა მათი აქ გადმოსახლება, იყვნენ იქ, იცხოვრონ მშვიდობით და ხანდისხან აქაც მოვიდნენ*“ [ჭიჭინაძე 1907: 32].

გრიგოლ ორბელიანის სიტყვები შეიძლება ძალიან არაპოპულარულად და საწყენად ჟღერდა ათამ ონიკაშვილისა და საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც გვერდით ედგა მას ამ საქმეში, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ როგორი მტკივნეულიც უნდა ყოფილიყო, ეს იყო მწარე სიმართლე, რუსეთის იმპერიის ინტერესებში არ შედიოდა ფერეიდნელთა გადმოსახლება საქართველოში, გრიგოლ ორბელიანის სიტყვები, სამწუხაროდ, ზუსტად გამოხატავდა ამ რეალობას.

ათამ ონიკაშვილს ძალიან ეწყინა ეს პასუხი და, როგორც ჩანს, არა მხოლოდ მას. ქართული საზოგადოების უკმაყოფილების გამომხატველი იყო გაზეთ „დროებაში“ (1872 N29) აკაკი წერეთლის მიერ დაბეჭდილი ნეკროლოგი „ახმედ ფაშა კახაბერი“, რომელშიც ყველა ამოიცივდა გრიგოლ ორბელიანს. ნეკროლოგს ბოლოს მოსდევს ლექსი „ფარშევანგი“ [წერეთელი 1872].

ათამ ონიკაშვილი საქართველოში დასახლდა, მალე საგარეჯოს დეპოში დაიწყო მუშაობა დახლიდარად, დაოჯახდა კიდევ, თუმცა 1880 წელს გაურკვეველი მიზეზებით თავი მოიკლა.

ასე დასრულდა ქართული საზოგადოების პირველი მცდელობა, დახმარებოდა ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებს.

ათამ ონიკაშვილის სტუმრობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა – მისი დახმარებით ქართულმა საზოგადოებამ პირველად მიიღო ამ მოცულობის ინფორმაცია ფერეიდნელი ქართველების შესახებ და აქტიურად დაიწყო საქართველოს ისტორიის ამ მივიწყებულ ფურცელზე ფიქრი.

4.2. ევსევი ცაბაძის ცნობები ფერეიდნელი ქართველების შესახებ

ამის შემდეგ ქართულ პრესაში ჩნდება მცირე საგაზეთო სტატიები ქართველების შესახებ სპარსეთში (როგორც აღვნიშნეთ, 1872 წლიდან ჩნდება პრესაში წერილები ფერეიდნელ ქართველებზე, ინფორმაციები ძირითადად იბეჭდებოდა გაზეთ „დროებაში“...), რომელთა შორისაც იყო როგორც სომხური გაზეთებიდან გადმობეჭდილი ინფორმაცია, ისე სპარსეთში მყოფი ქართველებისა თუ მოღვაწე ქართველი სასულიერო პირების ნაამბობი³¹.

31. ეს წერილები სრულად შესულია ფერეიდნულ ქრონიკებში.

სპარსელი ქართველების ჩამოსახლების საკითხი იმ დროისათვის ქართული პრესის ფურცლებზე აქტიურად განიხილებოდა. როგორც იმ პერიოდის საგაზეთო სტატიებიდან ჩანს, სპარსეთში მცხოვრებ გადასახლებულ ქართველთა შთამომავლებს ჰქონიათ სურვილი საქართველში მასობრივად დაბრუნებისა. ამას იუწყებოდა გაზეთი დროება 1880 წელს:

„ამ დღეებში ჩვენს ქალაქში დაბრუნდა თეირანიდან იქაური რუსის საელჩოსთან მყოფი ქართველი მღვდელი, რომელმაც სხვათა შორის, ილაპარაკა, რომ იმან ნახა სპარსეთში დასახლებული ქართველები; სულ ხუთი სოფელი არისო, ქართული თითქმის ყველამ კარგად იცისო, ბევრი ქრისტიანული და ქართული წესები და ჩვეულებები დღემდინ აქვსო დაცულიო. როცა მნახეს, ძალიან იამათო. ეგონათ თუ იმათ დასახსნელათ მიველიო.

ამ რამდენიმე წლის წინათ იმათ განზრახვა ჰქონდათ, ქალაქი მიეცათ სპარსეთის მთავრობისათვის ეთხოვნათ საქართველოში დაბრუნების ნებართვა. მაგრამ ვიღაცას დაეფრთხო, თუ ეგ ითხოვეთ, შაჰი ყველას თავს გაგავდებინებთო. და ამის გამო ეს განზრახვა მიეტოვებინათ“ [დროება 1880-2: 2].

1881 წელს გაზეთი „დროება“ აქვეყნებს მოსე ჯანაშვილის ინფორმაციას სპარსელი ქართველების შესახებ, რომელთაც დიდი სურვილი ჰქონიათ საქართველოში გადმოსახლებისა:

„თურმე იქაურ ქართველებს ჰსურვებიათ გადმოსახლება თავის მამა-პაპეულს ქვეყანაში (საქართველოში). ამით მოახსენეს თურმე რუსეთის ელჩს: ჩვენ მივიღებთ ქრისტიანობას, თუ იშუამდგომლობს, რომ მოგვეცეს ნება გადავსახლდეთ იქ, საიღამაც პირველად აპყარეს ჩვენი წინაპარნი მტრებმა.“ რასაკვირველია, ეს წინადადება ელჩს არ მიუღია და იქაური ქართველები იქვე დარჩომილან“ [ჯანაშვილი 1881: 1].

სპარსეთიდან ჩამოსახლების საკითხი განხილულია გაზეთ „შრომის“ 1882 წლის 45-ე ნომერშიც:

„...აქ გვაგონდება ჩვენ ერთი ამბავი, რომელიც იყო, თუ არ ვსცდებით, წარსულის წლის „დროების“ ერთს კორრესპონდენციაში. ამ კორრესპონდენციის სიტყვით, სპარსეთში რომ შაჰაბაზის დროს გადასახლებული ქართველებია, იგინი თხოულობენო რუსეთის ელჩისაგან შუამდგომლობას, რომ მათ მიეცესო ხელახლა საქართველოში გადასახლებისა და ქრისტიანობის მიღების ნება. ეს ამბავი თუ მართალია, რუსეთის პირ-და-პირს ვაღივებულელებს შეაღვენს, რომ მათი კანონიერი თხოვნა შეასრულოს და მისცეს მათ ზემოხსენებულს ცარიელს ადგილებში გადმოსახლების ნება, რუსეთისათვის ეს სასარგებლოც იქნება და სასახელოც“ [შრომა 1882].

ორივე წერილის წყარო უნდა იყოს **ევსევი ცაბაძისა** და ფერეიდნელი ქართველების შეხვედრის შესახებ ინფორმაცია, რომელიც 1877 წელს გადმოებეჭდილი იყო სომხურ ჟურნალ „არარატიდან“ გაზეთ „დროებაში“, კორესპონდენციის ავტორი საუბრობს ფერეიდანში ქართველებთან შეხვედრაზე, რის შემდგომ ისინი კვლავ ნახა თეირანში ჩამოსულ სპარსელ ჯარისკაცთა რიგებში და დააკავშირა ქართველ მღვდელთან:

„შემდეგ ამ ზაფხულს ფრეიდანის თემიდან სპარსების ჯარი მოვიდა, რომელშიც ას ორმოცი კაცი ქართველები იყვნენ და ამ კაცებმა რომ ქუჩაში მხახვს, მოვიდნენ ჩემთან და როცა ჩვენ ერთმანეთს ჩვენი ვინაობა გამოუცხადეთ, მათ მთხოვეს, რომ, გეთაყვა, იქნება ვინმე არის აქ ქართველიო და თუ შეიძლება გვაჩვენეთო, რომ ერთი ქართულათ ველაპარაკოთო. მე მიუგე, არა, ძმებო-მეთქი, საუბედუროთ, აქ ქართველები არავინ არიან გარდა რუსის დესპანისა და მასთან ერთი ღვდლის მეტი-მეთქი. ძალიან შესწუხდნენ ამაზე.

რამდენიმე დღის შემდეგ თეირანში რუსის დესპანის მღვდელი ჩამოვიდა საზაფხულო სოფლიდან და ესენი ნახა ღვდელმა და დიდი ხანი ჰქონდათ ლაპარაკი მათ და ჩემთან; ქართულ ლაპარაკისთვის დიდი მოხარულნი დარჩნენ.

სუყველას მტკიცეთ და შეურყეველათ შეუნახათ თავიანთ სამშობლო ენა და ქართული წესნი. დღესაც ისევ ისე იქცევიან, ისე იცომენ და იხურამენ, როგორც მათი მამა-პაპა ქართველები და მე ძალიან მიკვირს, რომ ამათ ასე მტკიცეთ შეუნახათ თავიანთი ხალხოსნური ჩვეულებანი“ [დროება 1877-2: 3].

წლების შემდეგ კი ევსევი ცაბაძემ თავად დაუდასტურა ეს ფაქტი იაკობ გოგებაშვილს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაში ვიზიტის დროს. მისი, როგორც პირველწყაროს, ნაამბობი ნათელს ხდის, რომ თავად ფერეიდნელ ქართველებს შეუკავებიათ თავი გადმოსახლების თხოვნის დაწერილსაგან დასჯის შიშით:

„...ბევრის ლაპარაკი და მასპინძლობის შემდეგ ივინი წავიდნენ თავიანთსას და წაიღეს გადმოსახლების ცნობები. მე ეს ამბავი დაწვრილებით ვუამბე რუსეთის ელჩწმან³² გადმომცა, რომ თუ საქართველოში გადმოსახლები³³ სურვილი აქვთო, დასწერონ საერთო თხოვნა, ეს თხოვნა მე მომიტანონ და მერმე ამ თხოვნის ძალით დავიწყებ შუამდგომლობას, რომ ივინი საქართველოში იქმნენ დაბრუნებულნიო.

მცირე ხნის შემდეგ ხსენებული ქართველნი ჩამოვიდნენ ჩემსას, მათ სხვებიც მოჰყვნენ თან. დავიწყეთ ლაპარაკი და მალე საქართველოში გადასახლებაზე გადავედით. მე მათ ვუამბე ელჩის რჩევა. მათ ტირილი მოუვიდათ. მერე პასუხი ვკითხე; მათ გადმომცეს დიდის მწუხარებით შემდეგი:

32. გაზეთში ტექსტში კორექტურული შეცდომაა.

33. გაზეთში ტექსტში კორექტურული შეცდომაა.

- ჩვენ ამას ვერ ვიზამთ. ასეთი თხოვნის ამბავს გაიგებენ თუ არა, სპარსნი მასინათვე შაჰის ბრძანებით თავებს დაგვჭრიან. ეს ძნელია ჩვენთვის, ღიღად გვეშინისო.

მეც ღიღად შევწუხდი. შემდეგ კიდევ გვქონდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ელჩი უსაფუძვლოდ საქმის დაწყებას არ შერებოდა და ბედშავ ქართველებს კიდევ საერთო თხოვნის დაწერა ვერ გავაბედვინე. ასე განვშორდით ერთმანერთს გულხელ დაკრეფილნი“ [ჭიჭინაძე 1898: 2].

ევსევი ცაბაძეს რამდენიმე საყურადღებო წერილი აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის ყურადსაღებია 1884 წელს გამოქვეყნებული კორესპონდენცია, რომელშიც საუბრობს ფერეიდნელ ქართველებზე. იგი წერს: „ღღესაც ის ჩვეულება, ურმები, ხვნა-თესვა, კალოობა და სხვ. ჰქონებიათ, რაც ჩვენში ქართველებს აქვსთ. როდესაც დავა ასტყდება რამეზე, სიმართლე და სიმტყუნე ჯვარზე და სახარებაზე დაფიცებით აიხსნება და გათავდება და მით გამოჩნდება სიმართლე და ჭეშმარიტებაო. რიცხვი ამ ქართველთა, როგორც შევიტყვევ, ცხრა ათას სულამდის ყოფილა. რომელი სოფლიდამაც წამოუყვანიათ ეს უბედურები საქართველოდამ, სადაც დაუბინავებიათ, თავიანთ სოფლების სახელები დაურქმევიათ იმ ალაგებისათვის. ამისთვის თურმე ხშირად შეხვდებით იმ ალაგებში **მარტყოფის, ნინო წმიდის, მეჯრუხევის, ნორიოს** და სხვა სოფლების სახელებს. მე რომელი კაციც ვნახე და ველაპარაკე, პირ-და-პირ ქიზიყურ კილოზე ლაპარაკობდა და საღმრთო წერილის სიტყვებსაც ხმარობდა ლაპარაკში. ამ ხალხის მახლობლად არის მონასტერი სომხებისა, სადაც სომხების ეპისკოპოსი გრიქური სცხოვრებს მრავალი ბერებით. მათ აქვსთ მშვენიერი ბაღები და ყველაფერი საქმე კარგად მიჰყავსთ [ცაბაძე 1884: 7].

ქართული საზოგადოების ერთი ნაწილისათვის, როგორც ჩანს, აღარ იყო საკმარისი ის, რა ინფორმაციაც ჰქონდათ იმ პერიოდისათვის სპარსელი ქართველების შესახებ, ნათელი გახდა, რომ საზოგადოება უკვე მეტს ელოდა, მისი ინტერესი იმდენად იყო გაზრდილი ამ საკითხის მიმართ, რომ გაჩნდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. აი, რას წერს ლადო აღნიაშვილიც თავისი წიგნის წინასიტყვაობაში:

„კაი ხანია ტრიალებდა ხმა ჩვენს საზოგადოებაში, რომ ვითომც საღდაც, იქ, შორი სპარსეთის სამფლობელოში არის ქართველთა მოსახლეობაო, ხოლო რა მოსდგამთ მათ ქართველისა და რის მიზეზით შეიძლება იწოდებოდნენ იგინი ღღემდე ქართველებად, ამისი საზოგადოებამ სინამდვილით არა იცოდა რა, საჭირო იყო მათი ადგილობრივი ნახვა, ადგილობრივი შემოწმება ყოველივე იმ ხმებისა, რომ ქართველობას ჰქონოდა ხელთ მათ შესახებ ნამდვილი და უტყუარი ცნობები და მის-და გვარად შესძლებოდა შესაბამი მოქმედება“ [აღნიაშვილი 1896: III].

4.3 ლაღო აღნიაშვილი ფერეიდანში

1894 წელს საქართველოდან ფერეიდანში იქაური ქართველებიც ცხოვრების გასაცნობად პირადი ინიციატივითა და საკუთარი ხარჯებით წავიდა ლაღო აღნიაშვილი, რომელმაც დიდი გზა გაიარა ფერეიდანში ჩასაღწევად. მან წელიწადი დაჰყო სპარსეთში და აქედან მხოლოდ 12 დღე ფერეიდანში.

როგორც იოსებ იმედაშვილი წერს: „ლაღო აღნიაშვილი იყო უკეთილშობილესი საზოგადო მოღვაწე, მაღალი იდეალებით გატაცებული, გარეგნობით ახოვანი, საამო შესახედავი, სულით მგზნებარე და მუდამ ფაქიზი... ლაღო აღნიაშვილი მოღვაწეობდა იმ ხანაში, როცა ჩვენში ჩამკვდარი იყო საზოგადოებრივი აზრი, როცა გონებრივი სიბნელე იყო გამეფებული იმდროინდელ საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში“ [იმედაშვილი 1929: 3]. ეს იყო ადამიანი, რომელმაც თავისი უზღვავე ენერჯის წყალობით შეძლო თავისი მრავალმხრივი ინტერესის რეალიზება: ლაღო აღნიაშვილმა დაიწყო ტფილისში პირველი საკოოპერაციო საქმე („შუამავალი“), არ იყო პროფესიით მუსიკოსი და შექმნა პირველი ქართული ეროვნული გუნდი, მისი შემწეობით დაიწყო ქართული სიმღერების ნოტებზე გადაღება, მან საფუძველი ჩაუყარა საყმაწვილო ჟურნალს „ნობათი“, შემდეგ „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობას“, რომელმაც უდიდესი სამსახური გაუწია ქართული მწიგნობრობის აღორძინებას ჩვენში“ [იმედაშვილი 1929: 4-5].

როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ლაღო აღნიაშვილმა დაიწყო პირველმა სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა ძიება, სპარსულის არმცოდნემ გაიარა იმდროისთვის წარმოუდგენელი, სირთულეებით სავსე გზა, რომ მიეღწია და საკუთარი თვალთ ენახა სამშობლოს მოცილებული და მივიწყებული ქართველობა. წელიწად-ნახევარი მიიწევდა წინ, ფერეიდანსაკენ. უამრავ განსაცდელს გაუძლო, ისპაჰანში, ჯულფაში დააზუსტა მათი ადგილსამყოფელი და ბოლოს ქარავანთან ერთად დაადგა ისპაჰანიდან ფერეიდანსკენ მიმავალ საშიშ და დაუცველ გზას. თავის წიგნში ემოციურად აქვს აღწერილი პირველი შეხვედრა სპარსელ ქართველებთან. სამწუხაროდ, მხოლოდ 12 დღე შეძლო იქ, ქართველთა სოფლებში დარჩენა. ავადმყოფობის გამო მალე მოუხდა უკან დაბრუნება.

ლაღო აღნიაშვილის „წერილები სპარსეთიდან“ იბეჭდებოდა „მოამბის“ 1896 წლის N2-8 ნომერებში. შემდეგ კი, 1896 წელს, გამოცა ცალკე წიგნად „სპარსეთი და იქაური ქართველები“.

ამ წიგნის მიმართ დღემდე არ დაკარგულა ინტერესი, მასში აღწერილია მე-19 საუკუნის სპარსეთი თავისი ყოფით, ინტერესით და ქართველებთვის უცხო სამყაროში ჩაკარგული პატარა სოფლებით, რომლებშიც საუკუნეების წინ გადასახლებული ქართველების შთამომავლები ცხოვრობენ და ჯერ კიდევ ქართულად ლაპარაკობენ.

ლაღო აღნიაშვილის შეფასებით ფერეიდნელებს სამი რამ ჰქონდათ დაცული ქართული: პირველი – ენა, მეორე – ქართველობა, მესამე – ტიპი და ზნე:

„პირველი მათგანი არის ენა. ჩინებულად ლაპარაკობენ ნემეტნავ რამდენიმე სოფელში... მეორე ელემენტი არის ის, რომ ყოველი მათგანი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მხცოვანი, აღიარებს თავის თავს წმინდა ქართველად. ვერავინ გაუბედავს მათ სხავფრივ მოხსენებას, თუ არ გურჯი... მესამე ელემენტი ეს არის ტიპი და ზნე: კეთილი და სათნოიანი, სტუმართ მოყვარე, პატიოსანი, თავ-მოყვარე, მამაცი, გამბედავი, შემბრალებელი (ლმობიერი) და პირში მთქმელი“ [აღნიშვილი 1896: 199-200].

საოცარი სიყვარულით შეხვდა ქართული მოსახლეობა ისტორიული სამშობლოდან ასულ ქართველს. ყველას ეგონა, რომ მათ წასაყვანად იყო მოსული. გრძნობით ისმენდნენ მის ყველა სიტყვას. ლაღო აღნიშვილს ფერეიდანში ყოფნისას უნდოდა, რაც შეიძლებოდა მეტი ეკითხა, გაეგო მათი ცხოვრების შესახებ, მეტი რამ ჩაეწერა მათგან, თუმცა ძალევე მიხვდა, რომ მათ უფრო მეტი რამ აინტერესებდათ თავიანთ სამშობლოზე. როგორც ლაღო აღნიშვილმა გაარკვია, მის ჩასვლამდე ვიღაც ზაქარო თუ ალექსი ჩასულა, ქართული წესიერად არ სცოდნია, ათასი სისულელე უთქვამს მათთვის:

„თქვენი სახლები, კარდიანი, გამოსცქერიან თქვენს ვზას; თქვენი გუთნები, თავაშვებულნი, ღვანან მინდვრებში და ელიან თავის ძველ პატრონებსო, თქვენი სოფლები, დაცარიელებულნი მგლოვიარესავით არიან მოწყენილნი და შეჰყურებენ თქვენს დაბრუნებასო. ერთის სიტყვით, თქვენი ქათმებიც კი ჯერ ისევ იქვე დაკრახკრახებენ მწუხარებითა და ძაღლები განუწყვეტლივ ღძუიან მოუსვენრადო“ [აღნიშვილი 1896: 217].

ამ ზაქაროს თუ ალექსის დაუიმედებია, დაჰპირებია წაყვანას და ახლა ლაღო სწორედ მათ წასაყვანად ჩამოსული ქართველი ეგონათ. ლაღო აღნიშვილმა დაარწმუნა ისინი, რომ ზაქარო ტყუოდა. აუხსნა:

„...სტუმრად თუ მოხვალთ, ძალიანაც გაგვიხარდება, თუნდა წლობით იცხოვრეთ იქა. აი ჩემი ადრესი და ძალიან კარგი იქმნება, თუ წამოხვალთ. აყრა და გადმოსასახლებლად წამოსვლა კი არ ევარგება. ეხლა რომ ესე წამოხვიდეთ, აბა რა გიყოთ, კისრებზედ ხომ არ შევისხავთ. ჯერ უნდა თქვენთვის ადგილი ვიფიქროთ, ყველაფერი მოვიმზადოთ და მერე ბატონი ბძანდებით-მეთქი“ [აღნიშვილი 1896: 217].

წიგნში შეგვხვდება ასევე ინფორმაცია იქაურ ქართველთა ყოფაზე, მეურნეობაზე, ცხოვრების წესზე, სოფლებზე, დაკვირვებები მათ მეტყველებაზე.

ლაღო აღნიშვილის მოგზაურობას გამოეხმაურა ქართული პრესა. გაზეთი „ივერია“ წერდა:

„ბ-ნი ვლადიმერ აღნიშვილი, რომელიც აგერ უკვე ერთი წელიწადია, რაც წასული იყო სპარსეთში სამოგზაუროდ, უკვე დაბრუნდა ამ დღეებში და ჩამოვი-

და ტფილისში, მან მრავალი საყურადღებო ცნობები ჩამოიტანა იქიდან, შაჰ-აბა-ხის პირველის დროს გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანთა შესახებ; იმედია მალე აუწყებს დაწვრილებით ბ-ნი აღნიაშვილი ჩვენს საზოგადოებას, ჩვენგან დიდი ხნით მოწყვეტილ მოძმეთა ხალხის მრავალგვარ საინტერესო და საყურადღებო ცნობებს. დაუვლია მრავალი სოფლები გამაჰმადიანებულ ქართველებით დასახლებული. რამდენიმე სოფელში წმინდა ქართულის კილოთი მოლაპარაკე ხალხი უნახავს. თან ჩამოუტანია აგრეთვე იქაური შესანიშნავი ადგილები და გამაჰმადიანებულ ქართველთა სურათები, თავისს საკუთარს ფოტოგრაფიით გადაღებული“ [ივერია 1895: 1].

დიდი იყო ქართული საზოგადოების ინტერესი. ლალო აღნიაშვილის მოგზაურობამ, ფაქტობრივად, გადო ხიდი აქაურ და იქაურ ქართველებს შორის. მისმა ნახვამ ფერეიდნელი ქართველების ინტერესი გააძლიერა ისტორიული სამშობლოს მიმართ. მისმა ჩატანილმა წიგნებმა დიდი გავლენა მოახდინეს ფერეიდნელ ქართველთა შემდგომ თაობებზე. 1922 წელს ფერეიდნიდან ჩამოსული **სეიფოლა იოსელიანი** ნახვას-მით აღნიშნავდა, რომ ქართული წერა-კითხვა ლალო აღნიაშვილის დატოვებული წიგნებით ისწავლა.

ამის შემდეგ გამოჩნდნენ „სპარსელი ქართველებიც“ საქართველოში.

4.4. ფერეიდნელები საქართველოში

სპარსეთიდან ქართველების ყოველი ჩამოსვლა ხელახლა წამოსწევდა, აცოცხლებდა ხოლმე ქართულ პრესაში სპარსეთში გადახვეწილი ქართველების საკითხს.

ნასრულა ხატიაშვილი. 1901 წელს საქართველოში ჩამოსულა **ნასრულა ხატიაშვილი** ფერეიდანის სოფელ მარტყოფიდან, რომელსაც დაუწყია მზადება თავის სამშობლოში საქმიანობისათვის [კუტალაძე 1999: 112].

მაჰმუდ მაყაშვილი და ნასრულა. 1907 წელს მაჰმუდ მაყაშვილი და მისი სიძე ნასრულა ჩამოვიდნენ საქართველოში. ამბაკო ჭელიძე თავის წიგნში „ფერეიდნელი ქართველები“ იგონებს მაჰმუდ მაყაშვილს, რომელიც მას თეირანში საბჭოთა ბანკში მსახურობის დროს³⁴ ხშირად აკითხავდა ხოლმე. მაჰმუდ მაყაშვილის თქმით, 20-25 წლის წინ ყოფილა საქართველოში, თბილისში, მაგრამ საქმე ვერ იშოვა და უკან დაბრუნებულა. მაჰმუდა მალე გარდაიცვალა და მისი ქვრივისგან ამბაკო ჭელიძემ გაიგო, რომ თბილისში მაჰმუდასთან ერთად ყოფილა მათი სიძეც, ნასრულა. ქალმა აჩვენა თბილისიდან ჩამოტანილი ბარათები. ის ყოფილა ქართულ კლუბშიც ბალ-მასკარადის დროს. უთარილო ბარათებზე ეწერა: „ნასრულა მიყვარხარ“, „ნასრულა გააკოცებ“.

34. ამბაკო ჭელიძე 1923 წლიდან მსახურობდა თეირანის საბჭოთა ბანკში, 1927 წელს კი გადავიდა ისპაჰანის ფილიალში.

თეიანში დაბრუნებულ ნასრულას გაუცვნია ქართველი მოჭიდავე, რომელსაც სახელი გაუთქვამს და საკმაო თანხაც უშოვია. შემდეგ ნასრულას თანხლებით ის წასულა ისფაჰანში, მაგრამ გზაზე ორივე მოუკლავთ ყაჩაღებს [ჭელიძე 1935: 25].

სავარაუდოდ, სწორედ ეს ნასრულა უნდა ყოფილიყო აკაკი წერეთლის იუბილეზე, ფერეიდნელი ქართველების სახელით რომ მიულოცა იუბილარს: 1908 წელს გაიმართა აკაკის იუბილე, იგი გაიხსნა 7 დეკემბერს. პოეტს ბევრმა მიულოცა იუბილე, მათ შორის იყვნენ ფერეიდნელი ქართველები. „ნოსტალგიით გამსჭვალული ფერეიდნელი ქართველების სახელით მგოსანს იუბილე მიულოცა სპარსელმა ქართველმა ნასროლა ხატიაშვილმა. მან განაცხადა:

„ნება მიბოძე, დიდებულო მგოსანო, მოგილოცო ფერეიდნელი ქართველების სახელით. სამშობლო დედის ძუძუს მოწყვეტილ ფერეიდნელ ქართველობასაც მისწვდა შენი სახელი და ისინიც აქაურთა დახმარებით შეუდგნენ ქართული წერა-კითხვის შესწავლას. იცოცხლეთ ქართველთა სანუგეშოდ!³⁵“.

როგორც ჩანს, ამ დროისათვის სხვა ფერეიდნელი ქართველებიც იყვნენ ჩამოსული საქართველოში. გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში დაცულია დოკუმენტები, რომლებითაც ჩანს, რომ აკაკი წერეთელს იუბილე მიულოცეს სხვა ქართველებმაც ფერეიდნიდან. ეს არის მოლოცვის ფურცლები. მათ არ აქვს ხელმოწერა, თუმცა შინაარსიდან ჩანს, რომ მათი ავტორები ფერეიდნელი ქართველები არიან, ეს წერილები სხვადასხვა ხელითაა ნაწერი:

ფურცლის ერთ მხარეს წერილი დაწერილია ქართულის კარგი მცოდნის მიერ:

„დიდებულო მგოსანო!

ბედნიერი არიან სპარსეთის ქართველებიც, რომ თქვენმა ნაწერებმა იმათ გულშიაც ჩააშუქა ბრწყინვალე სხივები. დედის ძუძუსაგან მოგლეჯილებს მწუნარება ეფანტებათ და სულს და გულს საყვარელის სამშობლოსაკენ იბრუნებენ. იმ თქვენ ძვირფას სარკეში იჭრეტენ და თანაც კითხულობენ. სამშობლოს მთვარე ვარსკვლავები თვალწინ ეხატებათ და დიდის ღაღადებით გაიძახიან გაუმარჯოს საქართველოსო. ნება მიბოძეთ სამშობლოდან მოწყვეტილ ფერეიდნელ ქართველების სახელით მეც მოგილოცო ეს ბრწყინვალე დღესასწაული“ [ლიტერატურის მუზეუმი 12852 –ბ, N108].

ფურცლის მეორე მხარეს კი გაუწაფავი ხელითაა დაწერილი, შეცდომებით და ადგილ-ადგილ გასწორებული, პუნქტუაცია არ არის დაცული:

„დიდებულ მგოსანო ბედნიერია სპარსეთის ქართველებიც რომ თქვენს მშობლიურ ენას კითხულობენ და იმ დედის ძუძუთგან მოგლეჯილების მწუნარებაც

35. <https://qartvelebi.wordpress.com/>

თქვენმა ნათელი ჭკუა-გონება გამხიარულა და თქვენმა მხურვალე პოეტურ ნიჭმა ისევ მაბრუნა თავიანთ საყვარელ სამშობლოსაყენ როსაც კი იმ თქვენ ძვირფას დაწერილ სარკეჩი იჭრეტენ და თანაც კითხულობენ იმ დროსვე თავიანთ ძვირფასი სამშობლო და მთვარე ვარსკვლავებით თავის თვალ წინ ეხატებათ და დიდის ღალადებით გაიძახიან ამ თქვენ სხვი მოფენის (სხვი მოფენილ) სამშობლო სამშობლოსა ნება მიბოძეთ სამშობლოდან მოწყვტილ ფერეიდანელ ქართველების სახელი მეც მოვილოცოთ ეს გვირგვინოსანი ლესსწავლი“ [ლიტერატურის მუზეუმი 5244/4 51 /8].

მესამე მილოცვა ფურცლის მეორე მხარესაა, ლამაზი ხელითაა შესრულებული, პუნქტუაციის წესები არაა დაცული, ფურცელი შუაზეა გახეული და, სამწუხაროდ, ამ წერილს ზედა ნაწილი აკლია: „... რომლებიც ეხლა სამას წელიწადია რაც მტერის ჯაფით სამუდამოდ მოწყვეტილან ტორფა სამშობლოსაგან და იწვიან თავიანთ სამშობლოს უნახველობით და მინატრიან თავიანთ მშობლიური ენას სწავლას და მამა პაპურ ჩოვლებას მაგრამ აქამდი არაფერი შველა არაფერი იყო იმ საცოდავესათვის ეხლაკი იმედია რომ ქართველი მწორელი სიხარულად იქცევა და ისევ ის ვარსკვლავები რომ ცას მაიშორებიან ისევ შავროვებიან თავიანთ მთვარეს გარს შემერტყმიან“ [ლიტერატურის მუზეუმი 5244/4 51 /8].

სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ, არც ერთ წერილს არ აქვს ხელმოწერა.

ეს წერილები მოწმობს, რომ საქართველოში ჩამოსულ ფერეიდნელთა რაოდენობა მეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი სახელები არ შემორჩა ისტორიას. განსაკუთრებული რეზონანსი ჰქონდა საქართველოში ფერეიდნელი ქართველების, **ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილისა** და **ყოლამ რეზა ხუციშვილის**, ჩამოსვლას.

ონიკაშვილისა და ხუციშვილის საქართველოში ჩამოსვლის დროის შესახებ სხვადასხვა ცნობას ვაწყდებით. ზოგიერთი ცნობით ისინი პირველად 1896 წელს ჩამოვიდნენ საქართველოში [ჭიკაშვილი 1963: 9; სონლულაშვილი 2005:110; ბართაია 2003: 88], 1901 წელს უთითებს **სამსონ ფირცხალავა** [ფირცხალავა 1988 (1915)]. ზოგი კი მხოლოდ 1907 წელს ასახელებს. ერთი ფაქტია – 1907 წელს ისინი საქართველოში იყვნენ.

გაზეთ „ისარში“ დაიბეჭდა სტატიები „სპარსეთიდან ჩამოსული ქართველების შესახებ“ [1907, №111-115], ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილის წერილი „ჩონი თავგადასავალი სპარსეთიდან საქართველოსაკენ მოგზაურობის დროს, რომელშიც აღწერილია სპარსეთში, თეირანში აქაურ ქართველებთან: **ალექსისთან, გაბოსთან, ლავრენტისა** და **მელიტონასთან** შეხვედრა, რომლებიც დაეხმარნენ საქართველოსკენ გზის გამოკვლევაში, ის სირთულეები, რაც გადალახეს საქართველოსკენ მომავალ გზაზე [ონიკაშვილი 1907].

ამ წერილის მიხედვით ჩანს, რომ მათ თეირანში მყოფმა აქაურმა ქართველებმა წერილი გამოატანეს საქართველოში სავარაუდო მასპინძელთან.

როგორც **გიორგი ლასხიშვილის** მემუარებიდან ირკვევა, ისინი გაზეთის რედაქ-

ციას მიადგინენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მემუარების ავტორი საუბრობს რედაქციაში სტუმრად მოსულ არა ორ, არამედ სამ ფერეიდნელ ქართველზე:

„ერთი უკვე ხანში შესული, ორი ახალგაზრდა... გაგვეცნენ – სპარსელი ქართველები ვართ ონიკაშვილი და ხუციშვილები... ონიკაშვილს ენახნა მაშინ ლადო აღნიაშვილი და მგონი იმის წაქეზებით გაებედნათ საქართველში წამოსვლა. საქართველოში ერთი წელი დარჩნენ, ისწავლეს ქართული წერა-კითხვა. ხვდებოდნენ ქართველებს სხვადასხვა კუთხეში“ [ლასხიშვილი 1934: 151].

ამის შემდეგ აღარავინ ახსენებს სამ ფერეიდნელს, ყველა წყაროში მხოლოდ ორ ფერეიდნელ ქართველზეა საუბარი, მესამე კი არ ჩანს აღარსად.

მათი ვიზიტი საქართველოში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სპარსეთში მცხოვრებ ქართველთა საქართველოსთან დაახლოების საქმეში.

ქართული პრესა აქტიურად ეხმიანებოდა ამ მოვლენებს და მკითხველს მოკლე ინფორმაციას აწვდიდა ამის შესახებ გაზეთები: „ისარი“, „სახალხო კალენდარი“, „დილა“ ...

ქართულმა საზოგადოებამ დიდი ყურადღება მიაქცია ფერეიდნელი ქართველებისთვის ქართული ენის სწავლების საკითხს, ასევე აცნობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, ქართულ მოსახლეობასთან შეხვედრები მნიშვნელოვანი იყო როგორც აქაური ქართველებისთვის, ისე ფერეიდნელი ქართველებისათვის.

ქართული სკოლის გახსნა ფერეიდანში – ეს საკითხი იდგა ყველაზე აქტუალურად ქართულ საზოგადოებაში. ის განიხილებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში, რომელმაც, ფაქტობრივად, აიღო მათი მასპინძლობის პასუხისმგებლობა. ფერეიდნელი ქართველები ცხოვრობდნენ **ლუარსაბ ბოცვაძის სახლში** და მათი პირველი მასწავლებელიც, როგორც წერილებიდან და პრესის ფურცლებიდან ჩანს, თავად ლუარსაბ ბოცვაძე იყო [განათლება 1908: 187-190].

გაზეთი „ისარი“, რომელიც სწორედ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ტრიბუნა იყო, აქტიურად აშუქებდა მათ ყოფნას საქართველოში. გაზეთი „დილა“ კი „ისარში“ დაბეჭდილ ინფორმაციაზე დაყრდნობით აქვეყნებდა საინფორმაციო სტატიებს:

„როგორც „ისარი“ გადმოგვცემს, სპარსელი ქართველები კიდევ ორს თვეს დარჩებიან ჩვენში და შემდეგ, ასე სექტემბრის პირველ რიცხვში, სპარსეთს დაბრუნდებიან. მათ სურთ მოიარონ საქართველოს უმთავრესი ნაწილები, ამასთან გადაწყვეტილი აქვთ, დაბა-ქალაქებში სალიტერატურო დილა თუ სადამოები გამართონ, რომ გააცნონ ყველას სპარსელ ქართველების ყოფა-ცხოვრება. ამ დღეებში გავლენ ქართლისაკენ და შემდეგ იმერეთში გადავლენ. 29 ივნისს სალიტერატურო დილა გაიმართება ქ. გორში; კვირას, 1 ივლისს, დაბა ჭიათურაში; 8 ივლისს ქუთაისში, შემდეგ ხონსა, ბათუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, სენაკსა და სხვაგან. ქართლ-იმერეთის მოვლის შემდეგ წავლენ კახეთისაკენ“ [დილა 1907: 1].

საზოგადოებისათვის სპარსელ ქართველთა ისტორიისა და ცხოვრების გაცნობის მიზნით იმართებოდა შეკრებები. ერთი ასეთი შეკრების შესახებ კვლავ გაზეთი „დილა“ იუწყებოდა:

„კვირას, 24 ამ თვეს, თფილისის საკრებულოს დარბაზში დილის 11 საათზე გაიმართება სალიტერატურო დილა სპარსეთის ქართველების შესახებ:

- 1) დავ. კარიჭაშვილი: ქართველების გადასახლება სპარსეთში შაჰ-აბაზის დროს.
- 2) იაკ. ცინცაძე: ლ. აღნიაშვილის მოგზაურობა სპარსეთში იქაურ ქართულ სოფლებში.
- 3) ყოლამ ჰოსეინ ონიკაშვილი: სპარსეთის ქართველების ყოფა-ცხოვრება.
- 4) ფასი 1 მან. 50 კაპ.-დან 20 კაპეიკამდის“ [დილა 1907: 1].

ფერეიდნელი ქართველების სტუმრობა ქართულ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა აღმოჩნდა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაუნიშნა მასწავლებელი და სულ მალე მათ გამართულად შეეძლოთ წერა-კითხვა.

ფერეიდანში ქართული ენის სწავლების საკითხს ასევე გამოეხმაურნენ ქართველი თავად-აზნაურები და მრეწველები. თავად-აზნაურთა კრებამ 600 მანეთი გადალო სპარსელ ქართველებში სკოლის გასახსნელად. ქუთაისის თავად-აზნაურთა კრებამ და ჭიათურის შავის ქვის სამრეწველო საბჭომ – 1500 მანეთი.

ფერეიდნელი ქართველებისთვის სკოლის გასახსნელად დაირაზმა ქართული საზოგადოება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. 1907 წლის გაზეთ „ისრის“ 132-ე ნომერში დაბეჭდილია ცნობა იმის შესახებ, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ მიიღო ალექსანდროპოლიდან იქაურ ქართველებს შორის შეგროვილი 30 მან. და 80 კაპ. ეს თანხა უნდა მოხმარებოდა ქართული სკოლის დაარსებას სპარსეთში. ცნობას თან ერთვის შემომწირველთა დიდი სია.

საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ფერეიდნელი ქართველების მიმართ. იაკობ გოგებაშვილი წერდა:

„წერა-კითხვის საზოგადოებამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ ძვირფასი სტუმრების ბედში. კერძოდ: გადალო საკმარისი ფული მათ შესანახად, დაუნიშნა მასწავლებლად საუკეთესო ქართველი პედაგოგი, რომელმაც სამიოდე თვის განმავლობაში საფუძვლიანად შეასწავლა ქართული წერა-კითხვა. გააცნო ზედმიწევნით ქართული ლიტერატურა, დაატარა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები და ჩინებულად მოამზადა სამოციქულოდ ჩვენსა და ფერეიდნელ ქართველებს შორის... საფუძვლიანი მომზადების შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოებამ სტუმრები გაისტუმრა უკან სპარსეთში და თან გაატანა ქართული სახელმძღვანელოები, ბევრი ქართული წიგნები და ფულიც ქართული სკოლოს დაარსებისათვის ფერეიდანში“ [კუტალაძე 1991: 112].

როგორც აღვნიშნეთ, ფერეიდნელი ქართველების მასპინძლობა იკისრეს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენლებმა, მათ სტუმრები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჰყავდათ, ხვდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ამ შეხვედრების შესახებ ინფორმაცია იბეჭდებოდა ქართულ პრესაში.

ყურადღებას იქცევს ის უცნაური ფაქტი, რომ მთელ ამ ფერეიდნულ კონტექსტში არსად არ ჩანს ილია ჭავჭავაძის აქტიურობა, გამომხაურება, მონაწილეობა. ჩვენ სპეციალურად ვიკვლიეთ საკითხი – „ილია და ფერეიდნელები“, თუმცა ვერანაირ კვალს დიდი საზოგადო მოღვაწისა და პოეტის ამ საკითხთან რაიმე სახით კავშირისას ვერ მივაკვლიეთ. ამ მხრივ საინტერესოა **სამსონ ფირცხალავას** ინფორმაცია, რომელიც აღწერს ილიას შემთხვევით შეხვედრას ფერეიდნელებთან მცხეთის რკინიგზის სადგურზე:

„ერთი ასეთი მოგზაურობის დროს მცხეთის სადგურზე მოულოდნელად შევეჩხეთ ილიას – ის ალბათ საგურამოდან თბილისში მოდიოდა. ილია ბუფეტიდან გამოდიოდა, ჩვენ ბუფეტში შევედიოთ. მივესალმე ილიას. იგი ყურადღებით ჩააქერდა ჩემს თანამგზავებს, მიხვდა, ვინც იყვნენ, შევატყვე, უნდოდა მათთან გამოლაპარაკება, მაგრამ მე რატომღაც უხერხულად მივიჩინე გაჩერება და მაშინვე ბუფეტში შევედი ჩემი თანამგზავებით. მალე ვიგრძენი ჩემი შეცდომა და საყვედური ვუთხარი ჩემს თავს. რატომ ვიყავი ასე ტლანქი, ვერ გამოვიჩინე უბრალო ზრდილობა და თავაზიანობა და არ მივეცი საშუალება მოხუცს, დამსახურებულს მოღვაწეს, დიდს პოეტსა და მამულიშვილს დამტკბარიყო ცოტა ხანს მაინც საქართველოს მოწყვეტილ ქართველებთან შეხვედრით და საუბრით? რატომ? იმიტომ, რომ ილია ვითომც «მემარჯვენე» იყო და მე ჩემი თავი „მემარცხენედ“ მიმაჩნდა?“ [ფირცხალავა 1988 (1915)].

ფერეიდნელთა სტუმრობამ დღის წესრიგში დააყენა საზოგადოების შექმნა, რომელიც დაეხმარებოდა მაჰმადიან ქართველებს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. **ს. ესაძის** პირად არქივში დაცული იყო საგაზეთო სტატია, რომელშიც ფერეიდანში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების შესახებ ცნობებია დაცული. ონიკაშვილისა და ხუციშვილის ნაამბობზე დაყრდნობით ის წერს, რომ სპარსეთში, ფერეიდანში 40 ათას ქართველამდე ცხოვრობს 14 სოფელში. ახსენებს აღნიაშვილს, რომელიც ჩავიდა სპარსეთში და პირადად გაიცნო ფერეიდნელი ქართველები. მას აუცილებლად მიაჩნდა საზოგადოების ან კომიტეტის შექმნა, რომლის მოვალეობაც იქნებოდა ადგილობრივი და საზღვარგარეთ მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების დახმარება... ავტორის თქმით, ეს საჩქარო იყო, რადგან ხუციშვილისა და ონიკაშვილის თქმით, რომლებიც იმჟამად თბილისში იმყოფებოდნენ, ქართულ საზოგადოებას შეეძლო მიეცა სპარსული მეჯლისისათვის 5 დეპუტატი. ამიტომ არა მხოლოდ ფერეიდნელი, არამედ აქაური ქართველებისათვისაც მნიშვნელოვანი იქნებოდა ღირსეული, განათლებული, თავის ხალხისა და ენის მოყვარული ადამიანების მოხ-

ვედრა იქ. სტატიას ხელს აწერს СОЧУСТВЮЩИЙ (თანამგრძნობი)“ [კუტალაძე 1991: 110-111]³⁶.

ფერეიდნელი ქართველების სტუმრობის ფაქტი მოხვდა გერმანულენოვანი გაზეთის „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზეც.

ფერეიდნელი ქართველები სტუმრად იყვნენ მიწვეულნი ცნობილი ქართველი ბიზნესმენისა და მეცენატის, დავით სარაჯიშვილის, ოჯახში. თბილისში გამოძავალ გერმანულენოვან გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ 1907 წლის 52-ე ნომერში დაბეჭდილია არტურ ლაისტის სტატია „იშვიათი ნადიმი“, რომელშიც გადმოცემულია დავით სარაჯიშვილის მიერ სპარსეთიდან ჩამოსული ქართველების, ონიკაშვილისა და ხუციშვილის, საპატივსაცემოდ მის სახლში (მაჩაბლის 13) გამართული ნადიმის ამბავი. ნადიმზე თავი მოიყარა ქართული საზოგადოების დიდმა ნაწილმა.

სწორედ აქ გაიცნო პირველად ფერეიდნელი სტუმრები ზაქარია ჭიჭინაძემ, რომელსაც აქამდე დაბეჭდილი ჰქონდა საგაზეთო ინფორმაციები ფერეიდნელი ქართველების შესახებ და ასევე **ორჯერ** ჰქონდა გამოცემული წიგნი „ათამ ონიკაშვილი და ფერეიდნელი ქართველები საქართველოში“. აი რას წერს ის ამ შეხვედრის შესახებ:

„1905 წელს სპარსეთის ფრეოდანის (ასეა!) ხეობიდან ჩამოვიდნენ ორი სპარსელ ქართველნი. ამათი მოსვლა ყველა ქართველთ ესიამოვნად, ამის შესახებ გაზეთებში წერილები დაიბეჭდა, მათი ამბის წიგნი: სპარსელ ქართველნი დავითმაც ისტუმრა, დიდი პატივი და ქომაგობა გაუწია, ნამეტურ დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის მეუღლე ეკატერინე ივანეს ასულმა. ამათ ნახვის შემდეგ მე ვნახე ეს ქართველ სპარსელნი, მქონდა მათთან ლაპარაკი და მათს მადლობას და პატივს საზღვარი არ აქვნდა. ივანი განცვიფრებულნი იყვნენ როგორც დავით ზაქარიას ძე ზედ, ისევე მათის მეუღლის ეკატერინე ივანეს ასულის შესახებ“ [ჭიჭინაძე 1911: 132].

მათი ჩამოსვლის წელი, ისევე, როგორც ბევრგან, აქაც არასწორადაა მითითებული. ონიკაშვილისა და ხუციშვილის საქართველოში სტუმრობას, გარდა ისტორიულ სამშობლოსთან ურთიერთობისა, სხვა მიზნებიც ჰქონდა. გიორგი ტატიშვილი თავის მოგონებებში ახსენებს ორ ფერეიდნელს: **კოლია ონიკაშვილსა და ფილო ხუციშვილს** და ასევე აზუსტებს მათი ჩამოსვლის ნამდვილ მიზანს:

„1907 წელს მეფის მთავრობის ნებართვით საქართველოში ჩამოვიდნენ დიდი ხნით ტყვეთ საქართველოდან დატაცებული ქართველები ახლა გამახმადიანებული – ფელო ხუციშვილი და კოლია ონიკაშვილი, მათ დაიარეს ბევრი სოფლები და ქალაქები, მათ ბევრგან მიიწვიეს, შესახვედრი საღამოები გაუმართეს, ყველგან პატივის ცემით მიიღეს, სამშობლოდან ტანჯვა-წამებით დატაცებულნი. მათ

36. კუტალაძე ეყრდნობა არქივის მასალას და უთითებს წყაროს: სცსია, ფ.1438 ა.1. N179 (გვ.110. სქოლიო). სამწუხაროდ, ჩვენ არქივში, ესაძის საქაღალდეში, ეს წერილი ვეღარ ვიპოვეთ.

დაიარეს და ნახეს თავიანთი სოფელი გორის გვერძე სოფელი ხიდისთავი, ნახეს მოკეთე-ნათესავები და სახლისკაცები, ნახეს, მაგრამ მათი დავალება და მიზანი სულ სხვა იყო.

იქ, როცა შახის ჩამოგდების რევოლუცია იწყებოდა, რევოლუციის მეთაურებმა, სათარხანმა და მეორემ, ბაგირხანმა, გამოეზავნეს საქართველოს რევოლუციონერ კომიტეტთან ხელშეკრულება დასდეს ამხ. იოსებ სტალინთან, სერგო ორჯონიკიძესთან, რომ აქედან იარაღით და წითელი რაზმელებით და ხელმძღვანელი რევოლუციონერები გაეგზავნათ და დახმარებოდნენ. ონიკაშვილის და ფელო ხუციშვილის ხელმძღვანელობით დიდის საილუმოებით იგზავნებოდა იარაღი რევოლუციონერი ხელმძღვანელები და წითელ რაზმელები პერსიაში იგზავნებოდნენ, განსაკუთრებით ის პირნი, რომლებსაც შავი რეაქციის გამარჯვების შედეგათ ციხე, ციმბირი ან სახრჩობელა ელოდათ. ეს ასეც მოხდა. ძალიან ბევრმა ტერორისტმა წითელ რაზმელებმა ძვირფასი სიცოცხლეც შეინარჩუნა და რევოლუციის უკვდავი ისტორიაშიც ჩაეწერა, გძირის სახელიც დაიმსახურა [ტატიშვილი N267: 1].

ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ გასაკვირი აღარ არის, როგორ მოხვდა გიგლა ბერბიჭაშვილი, ილიას მკვლელი, ფერეიდანში, როგორ იმალებოდა იქ რამდენიმე წელი, ვინ შეიძლებოდა დახმარებოდა მას. სასამართლოზე ბერბიჭაშვილის ჩვენებაში საყურადღებო ინფორმაციას ვხვდებით:

„1908 წელს ისევ დავბრუნდი თეირანში – დავრჩი იქ 1910 წლამდე. 1910 წელს ომი გაჩაღდა... თავი დავანებე ჯარს ავადმყოფობის გამო და გავედი ფერეიდანში, სადაც ქართველების სოფლებია. იქ დავრჩი 1917 წლამდე“ [სიმაშვილი, სოზაშვილი 2014: 251].³⁷

1907 წლის აგვისტოში ფერეიდანელმა ქართველებმა საქართველო დატოვეს. 1907 წლის გაზით „ისრის“ 15 აგვისტოს ნომერში (№ 178) იბეჭდება **ყოლამ ჰუსეინი ონიკაშვილისა და ყოლამრეზა ხუციშვილის** გამოსამშვიდობებელი სამადლობლო წერილი „ფარსეთის ქართველებზე“ ზრუნვისათვის.

„თითქმის ერთი წელიწადი დაჰყვეს სპარსელმა ქართველებმა საქართველოში და დაბრუნდნენ მასწავლებლის თანხლებით, მაგრამ ეს უკან დაბრუნება უბედური გამოდგა; საზღვარზე მათ თავს დაესხა ავაზაკთა ბრბო, გაძარცვეს, მასწავლებელი დასჭრეს და ის იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. რამდენიმე წლის შემდეგ ერთი მათგანი კვლავ ესტუმრა საქართველოს, მაგრამ ყოველი გეგმა კავშირის დაჭერისა და იქ ქართულ სკოლის დაარსებისა სრულ დავიწყებას მიეცა“ [ლასხიშვილი 1934: 151].

37. შსს არქივი, ფონდი 8. აღწერა 25. საქმე 683.

სამწუხაროდ, უკანა გზაზე, თეირანში გულის შეტევით გარდაიცვალა **ყოლამ რეზა ხუციშვილი**.³⁸ ლ. ბოცვაძე „ისარსა“³⁹ და „ნიშადურში“⁴⁰ აქვეყნებს საქართველოდან ფერეიდანში დაბრუნებისას თეირანში დაღუპული ყოლამრეზა ხუციშვილის ნეკროლოგს.

ფერეიდელმა ქართველებმა საქართველოდან წაიღეს წიგნები და ფერეიდანში დაიწყო ქართული წერა-კითხვის სწავლების პროცესი. ამის დასტურია ფერეიდელ ქართველთა მიერ გამოგზავნილი წერილი ლუარსაბ ბოცვაძისა და სხვა საზოგადო მოღვაწეთა მიმართ.

ვინ იყო ფილო ხუციშვილი? ხომ არ იყო ის მესამე ფერეიდელი ქართველი, ონიკაშვილთან და ხუციშვილთან ერთად რომ გამოცხადდა გამომცემლობაში⁴¹? გიორგი ლასხიშვილის მოგონებების მიხედვით ის სოციალისტ-ფედერალისტებთან ერთად იყო და რევოლუციონერებთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. 1910 წელს ფილო ისევ საქართველოშია. ფილო // ფილო ხუციშვილი – ასე ახსენებენ მას. სამწუხაროდ, სხვა ცნობა მის შემდგომ ბედზე არ მოგვეპოვება. შესაძლებელია სწორედ ფილო ხუციშვილს გულისხმობდეს მიხეილ ჯავახიშვილი ერთ საგულისხმო ჩანაწერში „უბის წიგნაკებიდან“: ფილოს საქმე საოლქო სამ-ში. 986“ [ჯავახიშვილი 2015 (1925): 99].

მიხეილ ჯავახიშვილი აგროვებდა მასალებს ფერეიდელთა შესახებ რომანის დასაწერად. ამიტომ მივაქცევთ ყურადღებას ამ დეტალს. იქნება აღმოჩნდეს მეტი ფაქტი იმის შესახებ, რა ინფორმაცია ჰქონდა მწერალს ხელთ ამ სამუშაოს დაწყებისას. ამჟამად ძნელია რამის მტკიცება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ფილო ხუციშვილი რევოლუციონერთა შორისაა, შესაძლებელია, რომ მიხეილ ჯავახიშვილს თავის ახალ რომანში ჩაფიქრებული ჰქონდა სიუჟეტური ხაზი, რომლითაც სწორედ ამ რევოლუციური იდეების, ილიას მკვლელობის საკითხისა და საქართველოში ჩამოსული ფერეიდელი ქართველების რევოლუციონერებთან კავშირს ავითარებდა. ისიც საგულისხმოა, რომ უბის წიგნაკის ჩანაწერში ფილოს შესახებ შენიშვნას მოსდევს ბერბიჭაშვილის შესახებ ჩანაწერი: „ბერბიჭაშვილი, ილიას მკვლეელი 1925 / XII აირჩიეს ც.საკ. კომ. წევრად“ [ჯავახიშვილი 2015 (1925): 99].

ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილი მეორედაც ჩამოსულა საქართველოში 1910 წელს.

გიორგი ლასხიშვილის მოგონებები ნათელს ხდის იმ ფაქტს, რომ მისი სტუმრობა ამჯერად ნამდვილად ქართველ რევოლუციონერებთან ურთიერთობას ისახავდა მიზნად:

38. ხუციშვილის თეირანში სიკვდილის შესახებ საინტერესო ინფორმაციაა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ქართველთა წერილში, მათი აზრით, ამ სიკვდილში ბევრი საეჭვო დეტალია, რაც მკვლელობაზე მიუთითებს. იხ. ფერეიდელი ქრონიკები 2020.

39. ისარი, 1907, №220.

40. ნიშადური, 1907, №9.

41. იხ. ზემოთ, ლასხიშვილის მოგონებები.

„... მეტეხის პატიმრებს მოემატნენ გერონტი ქიქოძე და სვ. მაჭავარიანი. მასთან ერთად დააპატიმრეს ფერეიდანელი ონიკაშვილი, რომელიც სპარსეთიდან მეორედ იყო ჩამოსული; ონიკაშვილიც, როგორც სოც. ფედერალისტი იყო დატუსაღებული, ძლივს-ძლივობით მოხერხდა მისი განთავისუფლება“ [ლასნიშვილი 1934: 169].

წლების შემდეგ პრესაში კიდევ გამოჩნდა ინფორმაცია ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილის შესახებ. გაზეთ „სიმართლის გზის“ 1917 წლის მე-2 ნომერში დაიბეჭდა მცირე ინფორმაცია ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილის ძმის სტუმრობის შესახებ საქართველოში:

„პატარა დღიური – ამჟამად თბილისში იმყოფება ფერეიდანიდან მოსული სპარსელი ქართველი, ძმა ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილისა, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინად იყო ჩვენში და ისევ გაბრუნდა თავის ახალ სამშობლოში. თავრიზში გზათ გავლის დროს იგი მიკედლებია იქ მოქმედ ქართველ სოციალ-დემოკრატებს და კვალის ასაბნევად შესულა მოსამსახურეთ იქ დაბანაკებულ რუსის ბატალიონის ბუფეტში, სადაც ერთ მოსამსახურეს გაუცია იგი, როგორც სოციალ-დემოკრატი. სამხედრო სასამართლოს ყოლამ ჰუსეინისათვის ჩამოღობა მიუსჯია, რაც აუსრულებიათ კიდევ მაშინვე. მისს ქვრივს განუზრახავს გათხოვება, მაგრამ მაზლს, ამ ჟამათ აქ-მყოფს, უთქვამს ამის ნებას არ მოგცემ, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ჩემი ძმის სიკვდილის ამბავი ნამდვილიაო“ [სიმართლის გზა 1917: 2].

ეს ინფორმაცია კიდევ ერთხელ აზუსტებს ტატიშვილის ცნობას იმის შესახებ, რომ ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილი რევოლუციონერი იყო. იგი სოციალ-ფედერალისტების შემდეგ მიჰკედლებია სოციალ-დემოკრატებს და სიცოცხლეს სახრჩობელაზე დაუმთავრებია.

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი, საქართველოდან დაბრუნებული ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილის მიმართ თეირანში მყოფ ქართველებს ეჭვი გაუჩნდათ. ეს ის ქართველები არიან, რომელთა დიდი მატერიალური თუ მორალური მხარდაჭერითაც ჩამოვიდა ის საქართველოში.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ერთი საინტერესო წერილი (N3016), რომლის ავტორებიც არიან თეირანში მყოფი ქართველები. წერილს ხელს აწერს ხუთი ადამიანი: გაბო ქართველიშვილი, ლავრენტი დავითიანი, ალექსი ხუხუა, მიხეილ იოსების ძე ჯუღაბიშვილი, მოსე ბეჟუჰის ძე თოიძე. ამ ხელმომწერთაგან რამდენიმე ის ადამიანია, რომლებიც დაეხმარნენ ონიკაშვილსა და ხუციშვილს საქართველოში წამოსვლაში. ამ წერილში მოთხრობილია საქართველოდან თეირანში დაბრუნებული ხუციშვილის სიკვდილის შესახებ თეირანის სასტუმროში, წერილის ადრესატები ეჭვობენ, რომ ის მოწამლეს. ამასთანავე ხაზგასმით მიუთითებენ ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილის საეჭვო ქმედებების შესახებ. ეს ხელნაწერი თარიღდება 1907 წლით. მისი მოკლე ანოტაცია ასეთია: „წერილი 5 ფერეიდნელი ქართველისა (ადრესატი უცნობია) ერთ-ერთი ფერეიდნე-

ლი ყულა რეზა ხუციშვილის მკვლევლობის შესახებ. მეღნით ნაწერი, ქართულ ენაზე ხელმოწერილი, ნაპოვნი კ. მარტვილელის მიერ აჭარაში და გადაცემული მუხეუმი-სათვის 1927 წელს. 1907 წელი, თეირანი.“

ეს წერილი აქამდე სამეცნიერო მიმოქცევაში არ მოხვედრილა. მისი მნიშვნელობის გამო ვაქვეყნებთ სრულ ტექსტს. ვფიქრობთ, ის როგორც სამეცნიერო წრეების, ისე ზოგადად, ფერეიდნული საკითხით დაინტერესებული მკითხველის დიდ დაინტერესებას გამოიწვევს.⁴² წერილის ავტორები აღწერენ ხუციშვილის სიკვდილის დეტალებს და ონიკაშვილის უცნაურ დამოკიდებულებას ამ ფაქტისა და, ზოგადად, საქართველოდან ჩასული ქართველების მიმართ.

ფერეიდნელი ქართველები ჩართული იყვნენ სპარსეთში მიმდინარე პროცესებში და სახალხო მღვდვარების გაძლიერებაში იღებდნენ მონაწილეობას. ამ დროს მათ საქართველოდან წასულ რევოლუციონერებთანაც ჰქონდათ კავშირი. ამის დასტურია ცნობილი რევოლუციონერის, ვლასა მგელაძის, მოგონებაც. 1910 წელს ვლასა მგელაძე ჩავიდა თეირანში და დაესწრო მეჯლისის გახსნას, შემდეგ კი ნახა შაჰ-აბასის მიერ გადმოსახლებული ფერეიდნელი ქართველები, რომლებიც განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობდნენ, შეკრიბა მათ შორის ცნობები და თბილისში ჩვენს მეცნიერებს წამოუღო. „ყველა წარმოიდგენს თავისუფალი თეირანი როგორ გამოაცილებდა ვლასა მგელაძეს. იგი მალე თბილისშია... მისით დაინტერესებულია ქართველი მეცნიერები: მოსე ჯანაშვილი, აღ. ყიფშიძე, დავ. კარიჭაშვილი და ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგე შიო-მღვიმელი“ [მგელაძე 1934: 75]⁴³.

5. მე-20 საუკუნე ორმოციან წლებამდე – პრესა, საზოგადოება, პიროვნებები

5.1. ფერეიდნელ ქართველთა წერილები

მეოცე საუკუნის ათიან წლებში ფერეიდნული თემატიკის თვალსაზრისით გააქტიურდა გაზეთი „ისარი“, რომელიც გაზეთ „მეგობრის“ დახურვის შემდეგ გამოდოდა 1907 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ მეოცე საუკუნის ცხრაასიან წლებში ქართული პრესის ყურდლების არეალში მოექცა რუსეთის რევოლუციის „ექსპორტი“ სპარსეთში, იქ დაწყებული მღვდვარება, რევოლუციური გამოსვლები, ფერეიდნელთა ყოფა ამ პერიოდში სწორედ რევოლუციური მღვდვარებისა და ბრძოლის ფონზე განიხილებოდა. „მოძრაობა სპარსეთში და ფერეიდანის

42. იხ. ფერეიდნული ქრონიკები.

43. სახელდობრ, რა ცნობები ჩამოუტანა ვლასა მგელაძემ ქართველ მეცნიერებს, მომავალი კვლევის საქმეა. იმედია, რომ არქივებში ან პირად კოლექციებში აღმოჩნდება ეს მასალები, რომლებიც ფერეიდნული თემის ბევრ საინტერესო ფაქტს დააზუსტებს.

ქართველობა“ [ისარი 1907-1]. ამ უკანასკნელში მოთხრობილია გუბერნატორისაგან ქართული სოფლების აწიოკების ამბავი და ქართველთა რევანში. წერილში გადმოცემული ინფორმაცია ეყრდნობოდა ფერეიდნის ოლქის მარტყოფის მცხოვრების მადუსენ ყოლაბეგიშვილის წერილს, რომელიც თბილისში მიიღეს ჩამოსულმა სპარსელმა ქართველებმა.

1908 წელს ჟურნალ „განათლების“ №5-6 ნომერში დაიბეჭდა წერილი „სპარსეთის ქართველებისაგან“, რომელთა ადრესატები არიან სამსონ ფირცხალავა და ლუარსაბ ბოცვაძე. წერილებს ხელს აწერენ ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილი, ჰაჯი შეიხოლ ისლამ მობინაშვილი, ალიყოლი ონიკაშვილი, მესედაშვილი, აბას ონიკაშვილი, სეიფოლი ასიაშვილი, მად ისმაილ გულიაშვილი. საინტერესოა, რომ ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილი სამსონ ფირცხალავას სწერს ფერეიდანში ქართულის სწავლების შესახებ და სთხოვს შემწევობას ელემენტარული პირობების შესაქმნელად.

ფერეიდნელების შესახებ ინფორმაციები ასევე იბეჭდებოდა გაზეთ „ამირანის“ ფურცლებზე 1907-1908 წლებში.

5.2 იოსებ ჭეიშვილი და ფერეიდანი

1907 წლის 29 სექტემბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე განიხილეს პარიზში მყოფი იოსებ ჭეიშვილის თხოვნა, რომ დაენიშნათ სპარსეთის ქართველობის მასწავლებლად და ამისთვის წინასწარ დახმარებოდნენ ფულით. გამგეობამ მას ყველანაირ დახმარებაზე უარი უთხრა.

იოსებ ჭეიშვილი 1909 წელსაც პარიზშია. ის მოხსენიებულია იმ ქართველთა შორის, რომლებიც ესწრებოდნენ 1909 წელს პარიზში, კაფე „ვოლტერში“ აკაკი წერეთლის პატივსაცემად გამართულ ბანკეტს.

იოსებ ჭეიშვილი წლების შემდეგ, 1919 წელს, მაინც ჩავიდა ფერეიდანში, 1922 წლისთვის ის ყოფილა თბილისის სახელმწიფო საისტორიო არქივის თანამშრომელი [მ. კუტალაძე 1999: 11], უფრო ზუსტად, ცენტრალური არქივის უფროსის ს. კაკაბაძის თანამემწე [ლეონიძე 2017].

ამ ფაქტის შესახებ საინტერესო ინფორმაცია შეგვიძლია ვნახოთ ქართულ დიპლექტურ კორპუსში. როგორც ამ ტექსტებიდან ჩანს, იოსებ ჭეიშვილს სეიფოლა ხან იოსელიანის დახმარებით მოუვლია ქართული სოფლები. იუსუბ ხანი, როგორც მას სეიფოლა იოსელიანი უწოდებს, 5 თვე დარჩენილა ფერეიდანში.

პი პი	განხილვის საგანი	განმინება
9	<p>ახლანა მისივე ზეგონი იყო ჩემი- რამა, სან სმოვირისაჲ წიხნი იყო მხარეთაჲთა სხლად ქიხი- რისაჲ კანთაჲთა ჩიხისაჲთა მან კანტაჲთა გყონა.</p>	<p>უკან / სხ აუკან-მან მხარე ს. მ.</p>
10	<p>ახლანა მისივე წიხნი ქიხი ს. მ. მხოლოდიაჲთა ჩიხისაჲთა ქიხისაჲთა.</p> <p>უკან: უკან მან 1820. 54 წ. სმოვირისა ქიხისაჲთა.</p>	<p>უკან 1820 წიხნი. სმოვირისა მხარე ს. მ.</p>

ნაწყვეტი სეიფოლა ხანის ნაამბობიდან:

„ერთ დღეს წაველ ბატონ გერგერის ხანთან. მითხრა, რო: ერთი ქართველიო თბილისსაყეო ჩამოსულაო, ექ არიო.

უთხარ: სად არი-მეთქი?

მითხრა, რო: ჯულფათი // ჯულფათივ არიო. ხჯალ სადილზეო მუა ჩემ სახ-
ლჩიგაო, შამოდი, ნახეო.

მეორე დღესა სადილზე წაველ კონსოლხანეჩი. იქ იყნეს დუსოვ ხანი და გერგე-
რის ხანი. წუგუყვანა, წაველით თავის სახნი სტუმრათ, ყონაღათ. იქ გავიცან.

მითხრა, რო: მინდა მოიდე თქენი საქართველოში.

უთხარ: კარგი. სამ-ოთხ დღეჩი ცოტა საქმე მაქ. შენც თუ გაქ საქმე, გააკეთე
და წავიდეო.

ხუთ-ექს დღეს უკან წაველით ძერედანსათი, აველით ძერედანნი. დუსოვ
ხანი შავინახე ხუთი თეს ჩემ სახნი. საქართველო, სოფლები წამუატარე და წა-
ვიყუანე ქურთებჩიგა ორ დღეს და მუველით გერივ მარტყოფჩი“ [ქღკ, სეიფოლა
ხანის ტექსტები].

1922 წელს გაზეთ ბახტრიონის N18-ში დაიბეჭდა სოსო ასლანიშვილის სტატია „ქართველები სპარსეთში“, რომელსაც ბოლოს დართული აქვს ფრაგმენტები იოსებ ჭეიშვილის ჩაწერილი მასალიდან. სამწუხაროდ, მხოლოდ ეს ფრაგმენტილა შემორჩა დღეისთვის. იოსებ ჭეიშვილის ჩაწერილი მასალა უცნობი მიზეზების გამო დაკარგულია.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში ნომრით 3615 (16/796) დაცულია ი. ჭეიშვილის ხელნაწერი ბროშურა სათაურით: „გამოკითხვის (კვლევა-ძიების) მოკლე სახელმძღვანელო.“ დასაწყისში ავტორის გვარია მოცემული ინიციალებით: „ი. ი. ჭეიშვილი“, ქვემოთ კი მიწერილია ტფ. 1924წ.

ვფიქრობთ, სწორედ ამ გზამკვლევით უნდა ესარგებლა მას ფერეიდანში მასალის ჩაწერის დროს.

იოსებ ჭეიშვილი რომ ავტორიტეტი იყო ირანთან და ფერეიდანთან დაკავშირებულ საკითხებში, ეს ჩანს მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ჩანაწერიდანაც. სპარსეთის ომის შესახებ ჩანაწერს მოსდევს შენიშვნა, სადაც ახსენებს ჭეიშვილს, როგორც საჭირო წყაროს კვალიფიციური კონსულტაციის მისაღებად:

„1. სპარსეთის ომები: გიორგი ბარნაბიშვილი ზუბენკო – იმან იცის. 2. კვი-ნიხიძე, მაჩაბელი, ბაგრატიონი და სხვ. – გარაყანიძე – გამოვკითხო ჭეიშვილს.“ [ჯავახიშვილი 2015: 63].

სამწუხაროდ, დიდი დანაკლისია ი. ჭეიშვილის მიერ ფერეიდანში ხუთი თვის განმავლობაში მოგროვებული მასალის დაკარგვა. ვერც ვერავინ ამბობს ზუსტად, რატომ ვერ ან არ გამოაქვეყნა და რა ბედი ეწია ამ მასალას.

5.3. პავლე ლორთქიფანიძე და ფერეიდან

ფერეიდანში შემთხვევით აღმოჩნდა პავლე ლორთქიფანიძე, შტაბს-კაპიტანი. 1916 წელს ირანში ქართული ესკადრონის მეთაური, ამავე წლის სახალხო ფურცლის 601-ე ნომერში გამოქვეყნებულია წერილი, რომელშიც ჩანს ავტორის ემოცია და შთაბეჭდილებები ფერეიდანელ ქართველებთან შეხვედრის გამო:

„აქ ქალაქ ისპაჰანის მოშორებით გაშენებულია პატარა სამაჰმადიანო საქართველო თორმეტი თუ ცამეტი სოფელი... არაფერი არ ვიცოდი... შეველ ერთ სოფელში, მოვზაურობის დროს და ირგვლივ ქართულად ლაპარაკობდნენ... თავბრუ დამესხა, ომი ახალი შეწყვეტილი გვქონდა და გონსაც არ მოვსულიყავი... ვიფიქრე ეს რა ამბავია, ნუ თუ საქართველოს რომელიმე კუთხეში ამოვყავი თავი მეთქი... მაგრამ სპარსული ტანისამოსი როგორღაც მეჩოთივებოდა... მეც ქართულად დავიწყე ლაპარაკი ქალი და კაცი შემომესია, რომ ტევა არ იყო... საიდანა ხარ ბა-

ტონო? გაიძახოდნენ. მხოლოდ მაშინ მომაგონდა შაჰაბაზის სიმხეცე და მისგან გადასახლებული ქართველები სპარსეთში. დედა-ენა ჩინებულადაა დაცული, დიდი და პატარა მხოლოდ ამით ამაყობს – ქართულად ვლაპარაკობთო... ჩვენი ქართველობა მხოლოდ დედაენით გამოიხატებაო... თხოულობენ „სკოლას“, ქართველ მასწავლებელს... ნუ თუო, ლაპარაკობენ: ჩვენი ქართველები ისე უგულო შეიქმნენ, რომ ჩვენზედ არ ფიქრობენო.

საჭიროა სკოლა, ქართული ჟურნალ-გაზეთები. ბევრი კარგად კითხულობს ქართულ ნაწერს... შევხვდი აკაკის თხოვლებებს, რომელიც გაზეპირებული აქვს ზოგიერთს... სთხოვენ ყოველ ქართველს შემწეობას ამ საქმეში... და იმედი აქვთ, რომ ამ მოკლე ხანში მიიღებენ ჟურნალ-გაზეთებს მაინც. მე ჩემდა თავად ვთხოვ „სახალხო ფურცლის“ რედაქციას მომავლინოს აქ ქალაქ ისპაჰანში (ისპაგანში) ჩვენი ქართული გაზეთები, რომელსაც მე მათ გადავცემ, თუ მე არ ვიქნები, აქ რუსის საკონსულოში მსახურებს გ. აბიაშვილი, რომელიც ყოველ ღონისძიებას იხმარს მათ შორის ჟურნალ-გაზეთების გავრცელები სათვის.“

პაკლე ლორთქიფანიძისგან ნახსენები გ. აბიაშვილი უნდა იყოს გიორგი ბიაშვილი, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ 1922 წლის 1 ივნისს მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ის მსახურობდა სპარსეთში, იყო ქ. ქერმანშაჰში არსებული რსფსრ საკონსულოს თანამშრომელი.

ეს დოკუმენტი, რომლის სათაურია „მცირე შენიშვნები სპარსეთის ქართველებზე“, არის პირველი ყველაზე ვრცელი ოფიციალური ცნობა ქართველთა მდგომარეობის შესახებ ირანში [კუტალაძე 1991: 118].

1923 წელს გიორგი ბიაშვილი გაზეთ „ტრიბუნაში“ ფერეიდნელი ქართველების შესახებ ბეჭდავს სტატიას სათაურით „ბაბილონის ტყვეობა“.

მეოცე საუკუნის ოციან წლებში ფერეიდნელთა დასახმარებლად ქართველი საზოგადო მოღვაწეების მოძრაობა უკვე მასშტაბურ ხასიათს იღებს და ყალიბდება კულტურული საზოგადოებები, რომელთა საქმიანობაც უშუალოდ იყო მიმართული ფერეიდანში ქართველთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად და კულტურული ცხოვრების ასამაღლებლად.

5.4. სეიფოლა იოსელიანი

საქართველოსა და სპარსეთის ქართველებს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი დადგა სეიფოლა იოსელიანის ჩამოსვლით საქართველოში. 1922 წლის გაზეთ „ბასტრიონის“ მეთვრამეტე ნომერში დაიბეჭდა სტატია „ქართველები სპარსეთში“, რომელშიც ქართულ საზოგადოებას აცნობენ სპარსეთიდან ჩამოსულ ქართველს, სეიფოლა იოსელიანს:

„უკანასკნელი ჩამოვიდა საქართველოში ქ. ისფაჰანში მცხოვრებ ქართველ მოქალაქის პარმენ მანჯგალადის დახმარებით, რომელსაც მოუვლია თვითონ სპარსეთის ის ერთი ნაწილი, სახელდობრ ფერეიდანის მიდამოებში მყოფი ქართველთა სოფლები, ვასცნობია მათ ცხოვრებას და სწორედ მის ახლო მონაწილეობის მიღებით სეიფოლას ხანთან ერთად გამომგზავრებულს ტფილისში. ერთი თვის განმავლობაში მოუხდათ მათ თურმე მგზავრობა ფერეიდანიდან. სამხრეთ სპარსეთიდან ისფაჰანით ქ. რეშტ ზე და იქიდან ბაქოზე. სეიფოლა-ხან იოსელიანია სათანადო თხოვნით, რომელზეც დასტური და სათანადო ბეჭდები აზის ფერეიდანის 14 სოფლის ქართველ მცხოვრებლების და მათი ხელმძღვანელობის (უკვე წარუდგა საქართველოს მთავრობას“ [ასლანიშვილი 1922: 2-3].

მას, როგორც თვითონვე აღნიშნავს, საქართველოში წამოსვლა გადაწყვეტიდა პ. მანჯგალადემ, რომელმაც, სამწუხაროდ, არაერთი პრობლემა შეუქმნა საქართველოსკენ მომავალ გზაზე. ამბაკო ჭელიძესთან საუბარში სეიფოლას გულახდილად უამბია საქართველოში გამომგზავრების სირთულეების შესახებ:

„1922 წელში ფერეიდანში მისულს ვინმე ქართველი, გვარად მან-ძე. ის ჯერ ვაცნობია სეიფოლას ოჯახს. მასთან უცხოვრია. შემდეგ წინადადება მიუცია საქართველოში წამოსვლის. სეიფოლა ოცნების კაცია. მას ცოდნია საქართველოს ისტორია და ამიტომ წინადადებაზე ადვილად დათანხმებულია. მაშინვე სამზადისს შედგომია. გაუყვია ცხენი, ფულზე ფული დაუმატებია და, როდესაც საჭირო თანხის რაოდენობა შეუგროვებია, ორივე გამომგზავრებულს საქართველოსკენ. თვით მ-ძეს არაფერი ჰქონია ჯიბეში გარდა იმ იმედისა, რომ საქართველოში მივალ და იქ ამ უცხო კაცის გამო, შესაძლებელია, რაიმე კომპინაცია გავაკეთო.

მან-ძეს, მოგზაურობის დროს, გზა და გზა ბანქოს თამაში დაუწყია. ჯერ თავისი მცირე თანხა წაუგია, შემდეგ სეიფოლასთვის გამოურთმევია ნაწილობრივ. ბაქოში რომ მოსულან, არც ერთს აღარაფერი ჰქონია. მას სეიფოლა დაუბინავებია სასტუმროში თითონ სადღაც გამქრალა. არც დღე მოსულა, არც ღამე. გასულა ორი დღეც. სასტუმროს პატრონს სეიფოლასთვის ფული მოუთხოვია. არც ფული მქონდა, არც ის ვიცოდი რას მელაპარაკებოდენ რუსულად, არც მე ვიცოდი რა მეთქვა. ვხედავდი სპარსული მათ არ ესმოდათ. ბოლოს გაჯავრდენ, ვატყობდი მლანძღავდენ, მაგრამ რას ვიზამდი. ბოლოს დაუძახეს მილიციონერს. ახლს მან დამიწყო რუსულად რაღაც ლაპარაკი. ისიც გამიჯავრდა. მე სპარსულად ბევრი რამ ვუთხარი, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე. ძალიან შევწუხდი, ჩემი თანამგზავრიც არ იქნა, არ გაჩნდა. როდესაც ილაჯი გამიწყდა, თავი ფიქრებს მივეცი. შემდეგ, რაღაც იღბლად, ჩემდა უნებურად წამოვიძახე: —რა ვქნა, ამ უღმერთომ რა მიყო ეს! მილიციონერი თურმე ქართველი იყო. ძალიან გაუკვირდა. მომვარდა. —კაცო ვინ ხარ? საიდან იცი ქართული ლაპარაკი?! —მე სპარსელი ქართველი ვარ, ვუთხარი მე. მომვარდა, გადამეხვია. ბევრი რამ გამომკითხა. სასტუმროს პატრონიც ვაკვირვებულე იყო. შემდეგ ჩემთვის ფული აღარავის მოუთხოვია. მილიციონერმა თითონ იკისრა ყველაფერი. მაშინვე წავიდა

ჩემი თანამგზავრი საძებნელად. მთელი დღე ეძებდა თურმე. შემდეგ ეპოვნა სადღაც დუქანში. მოიყვანა. ბევრი საყვედური უთხრა. მეც ბევრი ვუსაყვედურე, მაგრამ მეტი რა უნდა გვექნა. მას არ რცხვენოდა. მილიციონერმა ქართველებში ტფილისადმი საგზაო ფული შემიგროვა. გადმოძცა. წამოვედით. ეს კაციც თან წამომყვა. მისი ხარჯიც ჩემი ფულიდან გავისტუმრე. ტფილისშიც დიდხანს არ მშორდებოდა. ხშირად მთხოვდა ფულს, ვაძლევდი. მაგრამ მის მაგივრად მე მრცხვენოდა. სასტუმროში ვცხოვრობდი. მან-მეც მთავრობის კაცებთან მოელაპარაკა, დაერწმუნებია, რომ მე მდიდარი ვაჭარი ვარ, რომ ჩვენ შეგვიძლია ტფილისიდან საქონელი წავიღოთ სპარსეთში და იქიდან სხვა ჩამოვიტანოთ. როდესაც ეს მითხრეს, გამიკვირდა და უარი განუცხადე. მაშინ მან-მის მოქმედებაში ეჭვი შეიტანეს. დაიჭირეს. ორი დღე და ღამე იჯდა. შემდეგ თვით მე ვთხოვე უფროსებს და გაანთავისუფლეს. მან მაინც არ მოიშალა ჩემთან სიარული და ფულის თხოვნა. ერთხელ გავგზავრდი და დავემუქრე, მაგრამ მან ჩემი შვილი ფატულას ხანი დამაფიცა და ვაპატიე. ასე დააბოლოვა სეიფოლამ თავისი ამბავი“ [ჭელიძე 1935: 21-22].

გაზეთ „ბახტრიონში“ დაბეჭდილ სტატიაში სეიფოლა იოსელიანი თავისი ჩამოსვლის მიზეზზეც საუბრობს:

„ახლა ჩვენი სურვილია სპარსეთის მთავრობასთან, როგორც რომ სომხებს, ურიებს, რუსეთს ყავთ თავისი „პონსოლი“ (ასეა!), ჩვენც დავვინიშნონ ესეთი კაცი, რომელიც ჩვენს მაგიერათ ილაპარაკებს. ამასთანავე მასწავლებელი და ექიმი – ესეც ჩვენთვის აუცილებელია. მაშინ გვეცოდინება რომ ჩვენ ქართველებთან გვაქვს კავშირი. აი ამ მიზნით ჩამოვედით საქართველოში“ [ასლანიშვილი 1922:1-2].

სეიფოლა იოსელიანი, სანამ ბინას გამოეყოფდნენ, თბილისში პავლე ლორთქიფანიძის სახლში ცხოვრობდა. მისგან ჩაიწერა არნ. ჩიქობავამ პირველი ფერეიდნული ტექსტები, რომელთა საფუძველზეც შექმნა სამი კლასიკური ნაშრომი ფერეიდნულთა მეტყველების შესახებ.

5.4.1. საზოგადოება „შუქურა“

სეიფოლა იოსელიანის საქართველოში ჩამოსვლამ (1922 წ.) ქართულ საზოგადოებაში განაახლა დიდი ინტერესი ფერეიდნული ქართველების მიმართ. გაჩნდა სურვილი ქართული საზოგადოებისაგან შეძლებისდაგვარად დახმარებოდნენ ფერეიდნულ ქართველებს, რათა მათ დედასამშობლოსთან კავშირი არ დაეკარგათ.

ცნობილია, რომ სეიფოლა იოსელიანის საქართველოში ყოფნისას შეიქმნა საზოგადოება „შუქურა“, რომლის დამფუძნებელი წევრები იყვნენ ზაქარია ჭიჭინაძე, ვ. ჩლაიძე⁴⁴, იოსებ იმედაშვილი და თავად სეიფოლა იოსელიანი.

44. სამწუხაროდ, ამ პიროვნების სახელი ვერ დავაზუსტეთ.

„შუქურას“ მიზანი იყო საქართველოსა და მის გარეთ მცხოვრები ქართველების აღწერა, უნდა გადაეღოთ ფოტოები და დაეფიქსირებინათ მათი ყოფა კინემატოგრაფიულ ლენტზე, გადაეღოთ სოფლები, დაბები, ქალაქები, მეურნეობის სხვადასხვა დარგი, ხალხის საქმიანობა, ზნე-ჩვეულება, ტრადიციები. საზოგადოებას უნდა შეეგროვებინა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები: ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, ხალხური ლექსიკა და სხვ. ამ საზოგადოების საქმიანობის შესახებ უფრო დეტალური ცნობები არ მოიპოვება [კუტალაძე 1991: 120].

ცხადია, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იყო რომელიმე კულტურული საზოგადოების ფუნქციონირება ამ პერიოდში. სახელმწიფოს ინტერესი კარგად გამოიკვეთა 1923 წლის პრესაში. დაიბეჭდა სტატიები, რომლებშიც ფერეიდნელთა ცხოვრების აღწერის კვალდაკვალ ავტორები ახმოვანებენ საზოგადოების მოთხოვნას მიმართონ მთავრობას ფერეიდნელთა დახმარების მიზნით.

5.4.2. მეოცე საუკუნის ოცინანი წლების ქართული პრესა სეიფოლა იოსელიანის ვიზიტის შესახებ

ფერეიდნელთა თემას აქტიურად ეხმიანება გაზეთები: „ტრიბუნა“, „ბასტრონი“, „ლომისი“...

1922 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ იბეჭდება ასლანიშვილის წერილი ფერეიდნელთა ყოფისა და მდგომარეობის სიმძიმის შესახებ. ავტორი ამის მიზეზად მიიჩნევს იმას, რომ იქ არ ჰყავთ „ნასწავლი ხალხი“, შესაბამისად, „არ ჰყავთ ისეთი ვინმე, ვინც გამოეხარჩლება მათ და ხმას აღიმალლებს მათს სასარგებლოდ. ასეთი კაცის გაგზავნა კი საჭიროა საქართველოდან წარმომადგენლის თუ ელჩის სახით, ერთი სიტყვით, უნდა იქ აუცილებლად გაიგზავნოს ვინმე და ამას კი შეძლებს და უნდა შეძლოს საქართველოს მთავრობამ“ [ასლანიშვილი 1922].

1923 წლის 10 მაისს დაიბეჭდა გიორგი ბიაშვილის სტატია „ფერეიდნელი ქართველები“, როგორც ვთქვით ზემოთ, ის იყო სპარსეთის ქ. ქერმანშაჰში არსებულ რსფსრ-ის საკონსულოს თანამშრომელი. როგორც ჩანს, ეს სტატია იყო საგაზეთო ვერსია მისი მოხსენებისა ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა კულტურული ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ. ბიაშვილის სამსახურეობრივი სტატუსი და მისი მოხსენება ნათელს ხდის სახელმწიფოს დაინტერესებას ფერეიდნის ქართველების საკითხით.

ამ სტატიაში საუბარია ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებაზე სპარსეთში, აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ ფერეიდანში ქართველების მძიმე ყოფის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ არ აქვთ სკოლა და არც არავინ ჰყავთ, ვინც მათ ინტერესებს დაიცავს:

„ეხლა ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულებიც ვართ სწავლა განათლება შევიტანოთ იმათში და ამით ღირსეულ თანამემამულეებად ამოვიყენოთ გვერდში... ეს

უბედური ქართველობა კი ყველგან ყურ მიგდებულნი არიან და მით უფრო უნუგეშოა იმათი მდგომარეობა, რომ ჩვენს მეტი იმათთვის თავს არავინ არ აიტკივებს და თუ ჩვენ არ ვიკისრებთ იმათთვის ძმურად ხელის გაწველენას, იგრე გადაგვარდებიან სამუდამოდ, არა ერთი ქართველობა სპარსეთში.

ეხლა როგორც ისმის ფერეიდანელი ქართველები სათვის კულტურული დახმარების გაწევა თავს იღვა საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომლის განხორციელებას ამ მოკლე ხანში შეუდგება. აშენებული იქნება სკოლა და საავადმყოფო... ამისთვის კარგი იქნება, რომ ქართველ საზოგადოების მიერ ამორჩეული იქნეს კომისია, რომლებიც მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავებს საჭირო გეგმას და ამ სასიქადულო საქმეს ჩაუდგამს მტკიცე საძირკველს“ [ბიაშვილი 1923: 2].

ნათელია, რომ სტატიის ავტორი გამოკვეთს სახელმწიფოს დაინტერესებას ფერეიდანელი ქართველების ცხოვრებით და აანონსებს საზოგადოების როლსა და აქტივობას ამ საქმეში.

1923 წლის 17 ოქტომბერს გაზეთ „ტრიბუნაში“ გამოქვეყნდა ბუთლიაშვილის ინფორმაცია 13 ოქტომბერს ხელოვნების სასახლეში სეიფოლა იოსელიანთან გამოსამშვიდობებელი საღამოს შესახებ. საღამო გახსნა იოსებ გრიშაშვილმა. როგორც სტატიის ავტორი წერს, სეიფოლა იოსელიანის სიტყვამ დარბაზზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სეიფოლამ გულისტკივილით აღნიშნა, რომ ვერ შეძლო თავისი მისიის შესრულება:

„[სეიფოლა] შეეხო თავიანთ ზნე-ჩვეულებას, აწინდელ მდგომარეობას, თავის ჩამოსვლის მიზანს და სხვათა შორის გულის ტკივილით აღნიშნა თავისი მისიის შეუსრულებლობა, მაგრამ სთქვა, რომ ჩვენ მაინც გულს არ გავიტეხთ. იმედი მუდამ გვექნება, ჩვენ შორის კავშირი კვლავ აღსდგებოდ და დედა სამშობლო, საქართველო, მუდამ ყურადღებას მოგვაქცევს და ის თესლი, რომელიც ეხლა ჩავარდა უსათუოდ თავის ნაყოფს გამოიღებსო“ [ბუთლიაშვილი 1923].

ამის შემდეგ სეიფოლა იოსელიანმა დატოვა საქართველო და სპარსეთისკენ გაემგზავრა.

სეიფოლა იოსელიანის ჩამოსვლა საქართველოში ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი იყო, რადგან მეოცე საუკუნის ოციანი წლებისათვის, ფაქტობრივად, მოხდა ის, რაც ვერ მოხერხდა ათამ ონიკაშვილის ჩამოსვლის დროს – მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში და ვერც მეოცე საუკუნის დასაწყისში. ამ ეტაპზე გამოიკვეთა ქართული ხელისუფლების ინტერესი ფერეიდანელი ქართველების ბედით. ყველა დამხმარე კულტურული საზოგადოების მასაზრდოებელი, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ნება იყო. საბჭოთა სივრცეში ვერც ერთი კულტურული საზოგადოება ვერ იმოქმედებდა ხელსუფლებისგან დამოუკიდებლად. ფაქტია, კულტურული საზოგადოების, ყველა საზოგადო მოღვაწის მცდელობის, აქტიურობის უკან საბჭოთა ხე-

ლისუფლების თანხმობა და ინტერესი იკითხებოდა. არა აქვს მნიშვნელობა, რა შორს გათვლილი მიზნები ამოდრავებდა ხელისუფლებას, მთავარი იყო, რომ ფერეიდნელი ქართველების საკითხი სახელმწიფო ინტერესის სფეროში მოექცა.

თუმცა ამ ინტერესს რეალური ნაბიჯები არ ახლდა. მეტიც, მიუხედავად დანტერესებისა, საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად უარი უთხრა სეიფოლას ქართული სკოლის გახსნაზე ფერეიდანში, აგრეთვე თხოვნაზეც, დაეფინანსებინათ ოცი ბავშვის სწავლა-განათლება. რა იყო ამის მიზეზი, ცნობილი არაა. საქართველოს მთავრობა მოულოდნელად უცნაურად გააქტიურდა, თავად დააფინანსა სეიფოლა იოსელიანის გამგზავრება სპარსეთში და შეეცადა დაეჩქარებინა მისი წასვლა [კუტალაძე 1990: 121].

ეს ფაქტი ნათელს ხდის, რომ საქართველოსთან ფერეიდნელი ქართველების ურთიერთობის პროცესი, სამწუხაროდ, ვერ განიხილებოდა პოლიტიკური ფონის გარეშე. თავად სეიფოლა იოსელიანის საქართველოში ჩამოსვლის მიზეზებზეც არსებობს სხვა თვალსაზრისი.

ზოგიერთი ცნობით, სეიფოლა იოსელიანი აქ ჩამოვიდა სპარსეთის მთავრობის თხოვნით, დახმარებოდა საქართველოს მთავრობასთან სპარსეთის მოქალაქის, **მირზა ხანის**, გათავისუფლების საქმეში, რომელსაც ჯამშუმობის ბრალდება ჰქონდა წაყენებული.

5.4.3. სეიფოლა იოსელიანი ფერეიდნელ ქართველთა მესხიერებაში

ამ ვერსიას გარკვეული თვალსაზრისით იმეორებენ ფერეიდნელები. ფერეიდნულ ტექსტებში საინტერესო დეტალებს ვხვდებით:

„მაჰმუდე მირზე ქარსი – მირზე ქარსიცა აქაურ გაგ ზავნილი ყოფილა საქართველონი. გონია ზღაპარი, რამე ამბავი იქით უნდოდა გამაიტანოს, ნახოს, თუ როგორ არიან, როგორ ცხოვრობენ, ესეთი რამები. და მერე იქ ქართველები გაუგებენ, რო ვინ არი და გამოვ ზავნულია ირანიდან, მას დაიჭერენ. დაიჭერენ და მერე ემას უნდა რო ჩამოახწონ, ჩამაახწონ და, ჰა, ტყვივა უნდა ემე. ეს სეიფოლა ხანი იქ იქნება და ზღაპარი მაძღვება ყურშივა და გაიგეფს, რო [...] ანქა და ესე, ესეთი დაშავება არი, დამშავება აქს და საქმეები გაუკეთებია, რო უნა დაიჭირონ, როგორც ჯასუს [= ჯამშუმს] რო ეძახიან და უნდა თავი მაახწონ. სეიფოლა ხანი წავა და იქ ვინძლა ყოფილა, თავარი და უფროსი, იმას ეტყვის, რო: ჩვენ ირანში ძეცხოვროფთო. ესეცა ირანი, ირანიდან ჩამოსულიაო. ჰო, ესეთი საქმე ქენათო, ჩონ ჩონთისა საქართველო, ემე ერი, ქართველები, რო ფერეიდანიჩი ძეცხოვროფთო, საქმე გაფუჭდებაო და შეილებაო, რო ჩონზევა სხონაირად იფიქრონო და ... მეო ემას ვისხნი თქვენზევა და მე ვიცო, რო ეს იმ კაცეფსაყე არ ყოფილა და ესეთი საქმეები არ დაუშავებიაო და არაფერი არ გოოფუჭებიაო. და იქაც ხო ემ სეიფოლა ხანის, ხანისთვის ემ კაცსა აპატავებენ და გაუშვებენ. მოვა ანქა, აქ მოვა ის კაცი, მირზა ქარსი იმაში რეზა

შაპის დრო ყოფილა. რეზა შაპს წავა და ეტყვის, ეტყვის, რო: მე საქართველოში რო ვიყავიო, ესეთი საქმეები მომივლო და მე დამიჭირესო და უნდოდა, რო მომახჩონო. ერთი კაცი იყო, სეიფოლა ხანის ემახოდესო, ირანში ცხოვროფსო და ქართველიც არიო. იმან მოიდაო და მე მისხნაო. აღარ გოშოყეო, რო მე თავი მამახჩონო და ბევრი რეზა შაპსთანა ილაპარაკა ემ ემეზეგა, რო ეს ქართველები იყენ და ნეტა როგო არიან და ელეს ლაპარაკი რეზა შაპმა უთხრა, რო: ხო, აბა, ნახეთ ემ ქართველესო როგორ კაცები, როგორ ხალხებიო და რა უნდათო და აბა, რასა ვთხოენო ჩონაო. სეიფოლა ხანიც რო მოითხოვენ და წავა, იტყვიან, ხო: შენ იქ რო ეს საქმე დაიწყევ და იქ საქმე აქენო, დიდი მაღლობას გადავივლიან, რო არ გაუშვიო, რო ის კაცი მოახჩონო და იმაზეგა, ეხლა რაც რო შენ გინდოდესო, ჩვენ ემ საქმეს თქვენთი ვიტყითო. აბა, რა გინდათო? ისიცა სკოლას მადთხოვს და ექიმს, სეიფოლა ხანი. იტყის: ჩვენ ელ ეს გუნდაო, სკოლა გუნდა გავსხნათ ექა და სკოლა გქონდესო და ექიმიც გუნდა, რო როდესაც მინმე ავად გავდებო, ეს ექიმა გასინჯოსო და წამალი და ესეთ რაიმეები დაუწეროსო. ისენიც უყაბულებენ, ალბათა, თავრობა იყაბულებს და გუუწერავს ემეშიგა, ისპაანსა, რო საქართველო ემეჩიგა, ფერეიდანსო, ქართველები არიანო, იქ სკოლა გოუსხენითო და მასწავლებელიც გაუგ ზავნეთო. ალბათ სპარსულად, არა ქართულად. მოილენ აქ ერთი ემესა, სკოლას გაუსხნიან და მასწავლებელსაც გამოუგ ზავნიან, ერთი ექიმსაც გამოუგ ზავნიან, რო როდესაც მინმე ავად გავდებ, ის გასინჯოს, წამალი მისცეს. ესეთი რამეფს მადთხოვს ალბათ ემე, სეიფოლა ხანი და იმასაც უყაბულებენ“ [ქლკ, ჰოსეინ ყალანი, ჰეიდარ ასლანი (დარჩიამვილი), მუხტარ ასლანი (დარჩიამვილი)].

ამ ტექსტის მიხედვით სეიფოლა ხანმა იხსნა მირზა ხანი და ამის სანცვლოდ რეზა ხანმა უფლება მისცა სეიფოლა იოსელიანს, გაეხსნა სკოლა ფერეიდანში. თუმცა სკოლის ზარი ზოგიერთს ქრისტიანობიდან მომავალ საფრთხედ მოეჩვენა და სკოლაც მალე დაიხურა.

ამას გარდა კიდევ ბევრი რამ შემოუნახავს ფერეიდანელ ქართველთა მენსიერებას სეიფოლა იოსელიანის შესახებ:

სეიფოლა ხანი ხო ვაგივია, რო პირველა კაცი იყო [ქლკ, იოსებ ხუციშვილი].

მაგრამ **სეიფოლა ხანსავითა** კაცი და მაგარ კაცი და ძალიან გამოდიძებულ კაცი, ჩონ არა გუყოლია. ძრიულ მაგარ კაც, მაგარ კაცი ყოფილა [ქლკ, იოსებ ხუციშვილი].

სეიფოლა ხან ძალიან ჭკვიან კაცი იყო და ძალიან ხალლის თავის მოყორებული. ხალხსაც ძან უყორდა, ძანაც პატივსა დცემდა. ისი ძან ნიჭიერი კაცი იყო და საქმეს დამლაგებელი [ქლკ, კოლა ონიკაშვილი].

სეიფოლა ხანი ძალიან პატიჟსანი ადამიანი იყო: როდესაც რო ქართულებსა საქმეები ჰქონდაყე – ან მამული, ან მიწა, ან ოჯახის გაყოფა, ან შადარება – ესეთი ამბავები, სეიფოლა ხანი წაადის და ის საქმეები გოუჭკეთისყე [ქლკ, კოლა ონიკაშვილი].

მე ჰადათა ვარ, იოსელიანი, **სეიფოლას** ნავა (=შვილიშვილი) ვარ. მე კი ჩემ დიდალა არ მაგონდების, არა ვნახე მე და ჩემ დიდიდამ იიბნისყე, რო ეგეთ კაც იყო, დიდ კაც იყო და ხალლსაც უყორდა და ბეური ხალლიცა დჰყვანდა. იმას ძმა არა დჰყვანდა. მარტო ორი და დჰყვანდა. დებსაც ძრიალ უყორდაყ'ემის თავი და დიდ კაც იყო და სუყელას უყორდ იმის თავი. მისაც შუღლი ჰქონდა, მისაც რამე გასაყოფი ჰქონდა, მისაც ემე ჰქონდა, ის წაიყუანიან და იმით ჯარი გადადჰყვითის. ესე იგი დაადოსტიწყე [ქდკ, ჰაიათ იოსელიანი].

როგორ ხსნიან ფერეიდნელები სეიფოლას საქართველოში წამოსვლის მიზეზს

მაშინ რო უნდოდა, გამოდღეს საქართველოში, წაიდა მეფესთან, თქო, რო მე მივიღვიარ საქართველოშიო. შენაო რამეო არ გინდაო, დაბარებო, რამე საქმეო საქართველოში რამეო და თქო, რო ჩინაო ერთ იყოო, მეომარი ანქაო, ციხეშინაო, პარსელიო და თუ შენაო ანსი აიყვანო და გამოხიდეო, ე, ძალიან კარგიო. წაიდა და რო მოიდა ანქა, ანქაურ მეფესა, საქართველოს მეფეს უთხრა, რო ერთ ეგეთი ადამიანი, კაცი არი ექა ციხეში და ესე მინდა, რო მომცე, აიყანო და წაიდე და ანსი დაპატიჟადა და მისცადა და აიყვანა და დაბრუნა [ქდკ, იოსებ ხუციშვილი].

როგორც ამ ამონარიდიდან ჩანს, სეიფოლას სახელი და საქმიანობა მითოლოგიზებულია, ფაქტობრივად, როგორც ზღაპარს, ისე ჰყვებიან ფერეიდნელები ამბებს სეიფოლას შესახებ. საინტერესოა ამ ტექსტის გაგრძელებაც, რომელშიც სკოლის გახსნის შესახებაა საუბარი.

სეიფოლას წასვლა საქართველოში, უკან დაბრუნება და სკოლის გახსნა

და რო დაბრუნა, მოიდა თედრანში, ძალიან გოლხარდა და თქო, რო ხო ეხლა რა გინდაო შენაო ესეო, რო ეს კაციო, რო თავსუფალიო შაიქნაო საქართველოს ციხესაყენაო. თქო, რო მე არც რა არ მინდაო ჩონი მარტყოფჩინაო სკოლა არა გუაქო. მე მინდაო რო ე, მარტყოფჩი გაისხნას სკოლავო. – ჰო, ძალიან ეხლა და, ნება მისცაყე და ეეე, ბძანება რო აუცილებელადა ერთი სკოლა გაკეთდეს მარტყოფში ექსი კლასი [ქდკ, იოსებ ხუციშვილი].

იგივე ფაქტია გადმოცემული სხვა მთქმელის ტექსტში, რომელშიც კარგად ჩანს, რა მნიშვნელობას ანიჭებს ფერეიდნელი ქართველი სკოლის გახსნის ფაქტს:

ჩონ ეს ვიციოთ, რო ყოლა ხალლი ამბობდა, რო სეიფოლა ხანმა წაიდა საქართველოში და თეფლისსა. რამდენს ხანაც იქლა იყო, ის ჩონ არ ვიციოთ. მერე დაბრუნდა და გამოდღა... ერთი ფული და რაღაც ბადარკები, ბევრი რამეცა გამაძტანა და იქაც დევალაყე, რო წადი და ფერეიდანჩი სკოლა გახსენ და ქართველებმა ისწავლონ და ნასწავლებ იყენ. მოდდა და სკოლაც გახსნა და მოსწავლებელიც იყო და რამდენმა

იქ ისწავლა იმ დროს, რო ეხლა რამდენი ნასწავლი კაცი, სეიძოლა ხანის დროსა რო უსწავლიაყე, ეხლა არიან და თანაც თავრობის საქმეებშიგაც მუშაობენ და საქმებს აკეთებენ [ქღკ, კოლა ონიკაშვილი].

ფერეიდნელთა მესხიერებას შემორჩა ის, თუ როგორი შიშით და მიუღებლობით შეხვდა ზოგიერთი ქართველი სეიფოლა იოსელიანის მცდელობას, შეეტანა მეტი განათლება თავის ხალხში. მას ჯადოქარი უწოდეს:

ჩემ დიდალა რო სეიძოლა იყო, საქართველოში რო გადმოდა, იმამ გადმადტანა გელევაძური და ბევრიც ემე გადმადტანა, ჩონ პლასტინკას ანქ რას დავძახოდით? – საჭა, – და საჭა გადმადტანა ბეჭერი. და გელევაძურზე რო დაღვისყე, ხალღმა თქისყე, რო სეიძოლას, არ ვიცი რა'რი, მოუტანიო, რო არც ნაქასი აქო, არც კაცი ზისო, არც მინმე არიო. თა ის თითან ჰამ კითხოფსო და ჰამ ამბოფსო. და ბევრმა თქისყე, რო არაო, სეიძოლა ჯადუგარიო. ისი, ჯადუ'რი შიგაო. შიგ ჩადღებსყეო, რო ხალღმა ნახოსო, რო ესე მღერის, ისი, ჯადუ'რი შიგაო. შიგ ჩადღებსყეო, რო ხალღმა ნახოსო, როე ესე მღერის, თორო ეს არა ქნდებისო, რო იმამაო, რამესაო რო ნაქასი არა დქონდესო, იმამ იმღეროსო [ქღკ, ჰაიათ იოსელიანი].

სამწუნაროდ, ცრურწმენამ არც სკოლის იდეა დაინდო და აქაც შეუტიეს სეიფოლას. მას ქრისტიანობის გავრცელების მცდელობა დააბრალებს.

სკოლის დახურვა

ე, ხო და იმაშინ იყო რა? ეს რო ეკლესიაში ზანგი რას დაუძახებს? ჟანგი, ზანგი? რას დაუძახებთ? – ზარი? ჰა. ხო ესები ხო ემე შუქი და ესები ხო არ ყოფილა, რო დააჭირო და ემე ქნას. ანს ე დოუცხიაყე, რო ყმაწილეებმა შაიდენ კლასში ან გამოდენ გარეთა. ერთ ესები რო არ უნდოდაყე, რო ქართველებმა გამაილიძონ და დაისწავლონ და წაიდენ ემე. წერა დაისწავლონ, კითხვა დაისწავლონ, თქო, რო სეიფოლა ხანსაო წასულაო საქართველოსაყე, დაბრუნებულაო და კიდემ ეკლესია გოუსხნიაო ჩონთვინაო. ესეცა რო იოსელიანებსაყენაცა ეს დავარდნილა [ქღკ, იოსებ ხუციშვილი].

სეიფოლა იოსელიანის სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო ფერეიდნელი ქართველებისათვის. მათ „სხილკაცი“ და ქომაგი დაკარგეს.

სეიფოლას სიკვდილი

ჩემ ბაბო და სეიძოლა ხანი და-ძმანი იყნეს. ჩემ ბაბომა რო სურათი სეიძოლასი გამაილისყე, დაიწყისყე ტირილი, ძალიან იტირისყე. მეცა ვიტირისყე.

ვთქიყე: ბაბო, რასთი ჰტირი?

თქო, რო: მე იმისთი ვტირიო, რო ეს ჩემ ძმავო რო მოკდაო, სამში ლამისაო ქო-

თოლები შაკმაზეს ცხენები, თავის ცხენები, ყალიჩები დააგეს თავის საფლავზეგაო და ქურთებმაო, ყოლა ხალომა რო მოიდიანყეო, ნაჭერები გადააფარიანყე ემეზე-
დაო. ჯოხზე შაკმაზიანყე ალაძიო. შაკმაზიან და მოიდიანყე და იტირიანყე და ოც-
ცი, თხუთმეტი ცხორი დაკლეს და იმას წელი გოდოუჯადიანყე. სამში ღამესა იტი-
რეს, იქუხეს ძალიანა. მეოთხე დღეს დაასაფლავეს ისი. ყალიჩა, აბრაშუმის ყალიჩა
გადააფარეს დიდი [ქდკ, ირანა იოსელიანი].

ამ მცირე ამონარიდიდანაც კარგად ჩანს, როგორ აფასებს დღესაც ფერეიდნის ქარ-
თული მოსახლეობა სეიფოლა იოსელიანის ღვაწლს. როგორი ავტორიტეტი ჰქონდა
მას თავის ხალხში, როგორ ცდილობდა განათლების შეტანას ხალხში და როგორ ებ-
რძოდნენ მას...⁴⁵

სეიფოლა იოსელიანი მართლაც თავგანწირვით იბრძოდა სკოლის გასახსნელად
მარტყოფში. საქართველოდან სპარსეთში ჩასული სეიფოლა იოსელიანი თეირანში
დაუკავშირდა ამბაკო ჭელიძეს, რომელიც საბჭოთა ბანკში მუშაობდა და თავისი ოც-
ნების განხორციელებას ახლა ამბაკო ჭელიძესთან ერთად შეეცადა.

5.5. ამბაკო ჭელიძე და ფერეიდანი

ამბაკო ჭელიძე, ავტორი წიგნისა „ფერეიდნელი ქართველები“ (გამოცა სამჯერ
– 1935 წელს, 1951 წელსა და 2011 წელს), ადამიანი, რომელთან სტუმრობაც ძა-
ლიან უყვარდათ ფერეიდნელ ქართველებს თეირანსა და ისპაჰანში. „პატრონო, გააღე
კარი“ – ასე ეხმიანებოდნენ ხოლმე მას და თავიანთ მოსვლას აცნობდნენ. მართლაც
პატრონად მიიჩნევდნენ ფერეიდნელი ქართველები დიდი საქართველოდან მოსულ ამ-
ბაკოს.

ამბაკო ჭელიძის მიზანიც ამ ხალხის დახმარება და მათი პრობლემების შეძლების-
დაგვარად გადაჭრა იყო. ის ფაქტობრივად, განდა პატარა საქართველოს დიდ საქარ-
თველოსთან დამაკავშირებელი.

ლადო აღნიაშვილის ფერეიდანში ყოფნიდან დაახლოებით 30 წელი იყო გასული,
როცა ამბაკო ჭელიძე ჩავიდა სპარსეთში.

მართალია, ლადო აღნიაშვილისა და ამბაკო ჭელიძის ნაცნობობისა თუ ურთიერ-
თობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ მათი გზა, როგორც ჩანს, უნდა გადაკ-
ვეთილიყო. შესაძლებელია იცნობდნენ კიდეც ერთმანეთს. თავის ავტობიოგრაფიაში
ამბაკო ჭელიძე მიუთითებს, რომ 1895 წელს, როცა ახალი ჩამოსული იყო თბილისში,
15 წლის ასაკში დაიწყო მუშაობა ლადო აღნიაშვილის საშუამავლო ფირმაში. 1894
წელს აღნიაშვილი წავიდა სპარსეთში ფერეიდნელი ქართველების სანახავად და სა-
ზოგადოების გულისყურიც მიმართული იყო მისკენ. 1896 წლის ჟურნალ „მოამბის“
N 2-8 იბეჭდებოდა სპარსეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებები, – „მგზავრის წე-

45. ამ საკითხებზე უფრო დამატებით ქვევით იქნება საუბარი.

რილები“. ეს ჩანაწერები ქართული საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა და, ბუნებრივია, ლალო აღნიაშვილის ფირმაში მომუშავე ახალგაზრდა ყმაწვილისთვისაც ყურადღების მიღმა არ იქნებოდა დარჩენილი.

რას წარმოიდგენდა ამბაკო ჭელიძე 15 წლის ასაკში, რომ წლების შემდეგ მოუწევდა ფერეიდანში ჩასვლა, დაწერდა წიგნს და მის ცხოვრებაში დიდ ადგილს დაიჭერდა ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრებაზე ზრუნვა.

ლალო აღნიაშვილის მსგავსად ისიც ფერეიდნელების დიდი სიყვარულით სარგებლობდა. უხუცეს ფერეიდნელებს დღესაც ახსოვთ ამბაკო ჭელიძისა და მისი მეუღლის, სარა ჭელიძის, სტუმრობა (1927) ფერეიდანში; ახალგაზრდებმა კი გადმოცემით იციან მის შესახებ. ამბაკო და სარა ფერეიდნული კოლექტიური მენსიერების ისტორიულ პერსონაჟებად იქცნენ.

1923 წელს ამბაკო ჭელიძემ თავისი ახლობლის, სტალინის ცოლის ძმის, ალექსანდრე სვანიძის რეკომენდაციითა და დახმარებით თეირანის საბჭოთა ბანკში დაიწყო მუშაობა. თეირანში ყოფნის პერიოდში მას ესტუმრა ფერეიდნელი ქართველი, წარმოშობით ზემო მარტყოფიდან, ყოლამ ჰუსეინ მიქელაშვილი, რომელიც თურმე რამდენჯერმე დამდგარიყო ბანკის კარებთან ამბაკოს ნახვის სურვილით. ყოლამ ჰუსეინი ძალიან დაუახლოვდა ამბაკოს, ხშირად დადიოდა ამბაკოსა და სარასთან სახლში. ამის შემდეგ ყოლამ ჰუსეინს სხვა ქართველებიც გაუცვანია მისთვის, რომლებიც ასევე ფერეიდნიდან იყვნენ ჩამოსულები სამუშაოს პოვნის იმედით. ამბაკო ჭელიძის მეუღლე სარა ჭელიძე თავის დღიურებში იხსენებს ყოლა ჰუსეინს: *„ქალაქ თეირანში პირველად რომ ჩამოვედით, ყოლამ მუსეინა მიქელაშვილი დაგვიკავშირდა, რომელმაც სხვა ფერეიდნელებს დაგვიკავშირა, რომლების უმრავლესობა მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ, მათ ყველა ნაირათ დავეხმარეთ და რამდენიმე კაცი აკაკი მეთოღეს-ძე ხოშტარისთან მოვაწყეთ... რომლებსაც მეტად კარგ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება და თვით აკაკი მეთოღეს-ძეც მაღლობელი იყო მათით“* [ჭელიძე 25.811].

თეირანში ყოფნის დროს ამბაკოს ბევრი ქართველი სტუმრობდა, რომლებიც თავიანთი საქმიანობის გამო ჩამოდიოდნენ ფერეიდნიდან. ისინი ხშირად აკითხავდნენ ხოლმე ამბაკოსა და სარას საღამოობით.

სწორედ თეირანში გაიცნო სეიფოლა იოსელიანიც, რომელიც საქართველოდან დაბრუნების შემდეგ ესტუმრა მას. სეიფოლა თბილისიდან შუა აზიის გავლით წამოსულა, ემყაბადიდან (აშხაბადი) მეშჰედში ჩასულა. – „ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ მე, როგორც ქრისტიანთა ქვეყანაში ნამყოფს, ჩვენი ხალხი ცუდის თვალთ დამიწყებდა ცქერასო“ – ასე აუხსნია ამბაკოსთვის თავისი მოგზაურობის ეს უცნაური მარშრუტი [ჭელიძე 25. 806].

სეიფოლას ჩამოსვლამ უფრო გააადვილა ამბაკო ჭელიძის მიზანიც. 1927 წლისთვის ამბაკომ მოახერხა და გადავიდა საბჭოთა ბანკის ახლადგანსწილ ფილიალში ქალაქ ისპაჰანში, რათა უფრო დაახლოვებოდა ფერეიდნელ ქართველებს და შეემოკლებინა გზა ფერეიდნამდე.

1927 წლის ივლისის დასაწყისისთვის ამბაკო ჭელიძე თავისი მეუღლის, ბანკის

უფროსის მეუღლის, ელენე ფონშტეინისა და მისი ქალიშვილის თანხლებით გაემგზავრა ფერეიდანში, სადაც მისი მასპინძელი იყო სეიფოლა იოსელიანი. გარდა სეიფოლა იოსელიანისა, ამბაკო ჭელიძეს სხვა ხანებთანაც მოუწია ყოფნა და ურთიერთობა, ესტუმრა მარტყოლი ხან ონიკაშვილს, გაეცნო ქართულ მოსახლეობას.

სამწუხაროდ, მან მხოლოდ ოთხი დღე შეძლო ფერეიდანის რეგიონის ქართულ სოფლებში დარჩენა. ამის მიზეზზე საუბრობს ივანე ჯავახიშვილისადმი მიწერილ წერილებში.

ამბაკო ჭელიძემ დაწვრილებით აღწერა თავისი შთაბეჭდილებები. მისი წიგნი ბევრ საყურადღებო მასალას შეიცავს როგორც ქართული, ისე ფერეიდანში დასახლებული სხვა ეროვნების ხალხის შესახებ.

ამბაკო ჭელიძე ჩამოთვლის ქართულ სოფლებს ფერეიდანში: ქვემო მარტყოფი იგივე ახორე-ფაინ, – მისი თქმით, აქ ქართულს აღარავინ ლაპარაკობდა, „გარდა ორიოდე ღრმად მოხუცებულისა. დაახლოებით 1000 მცხოვრებია; ზემო მარტყოფი (ახორე ბალა) – ყველაზე დიდი სოფელია და ითვლება ქართველების სოფლების ცენტრად. ქართველების გარდა არიან ჩამოსახლებული ჩარჩი ირანელები – 190 და ებრაელები – 60 სულამდე. ყველამ ზედმიწევნით იცის ქართული ლაპარაკი. ქართველებისგან ზოგს მაინც ვერ გაარჩევთ. აქ ენა კარგად არის დაცული, განსაკუთრებით ქალებმა და ბავშვებმა მხოლოდ ქართული ენა იციან. დაახლოებით 3000 მცხოვრებია. ჩუღრეთი (ჩუღრუთი) – ოცდაათი წლის წინათ, ზილი სულთანმა მიჰყიდა ბახტიარის ხანს. ამ სოფლის ერთი მეხუთედი ეკუთვნის ქართველებს, დანარჩენი ბახტიარები არიან, მცხოვრებთა საერთო რიცხვი 650 სულია, მარტო ქართველების რიცხვი დაახლოებით უდრის 130 სულს. ვაშლოვანი (სიბაქი) – ქართული კარგად იციან – 1800 სული. ჯაყჯაყი – ქართული კარგად იციან. 750 სული. ნინოწმინდა (ქუდგუნაქი) – ქართულს ივიწყებენ, 400 სული. დაშქესანი – ქართული იციან ირანულის შერევით 400 სული. ბონი – ქართული კარგად იციან 1100 სული; თოლელი (თელავი, დომბე ქამარი) – ოცი წლის წინათ შეუსყიდა თურქს, ქართულს ივიწყებენ, 1200 სული. აფუსი (რუისპირი) – ქართულს ივიწყებენ, 1300 სული. ახჩა – შაჰს მიუყიდა ბახტიარისათვის. ამჟამად მესამედი ეკუთვნის ქართველებს, 2300 სული. შავსოფელი (შაურდი) – ქართულს ივიწყებენ, 600 სული. დარბენდი – ბახტიარების სოფელია. ქართველები 40 სული. სარდაბი – ბახტიარების სოფელია, ქართველები – 40 სული. ბადიგანი – ბახტიარების სოფელია. ქართველები – 25 სული.

ქართულად მოლაპარაკე, ამბაკო ჭელიძის აზრით, სულ ათი ათასი უნდა იყოს. ავტორი თავის მონაცემებს უდარებს ათამ ონიკაშვილის, ხუციშვილისა და აღნიაშვილის მონაცემებს. ამ შედარებამ გამოავლინა, რომ მხოლოდ აღნიაშვილის მონაცემები უახლოვდება მის მონაცემებს. მართალია, აღნიაშვილს მცხოვრებთა რიცხვი მეტი რაოდენობით აქვს მოხსენიებული, „მაგრამ უფრო იმიტომ, რომ მას არ გამოუკლია ის გადაგვარებული ქართველები და თვით ნამდვილი ირანელები, რომლებიც ქართველების სოფლებში ცხოვრობენ, მაგრამ გადაგვარებულთა რიცხვს ეკუთვნიან, ამასთანავე უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ხნის განმავლობაში, ე.ი. 1894 წლიდან აქამ-

დე ქართველების რიცხვი უსათუოდ შემცირდებოდა, რადგან ის უკვე შემდგარი ა გადაგვარების გზაზე“ [ჭელიძე 1935: 167].

„ქართველების ნაშთები არიან აგრეთვე ბახტიარებისა და ქურთების სოფლებში, მათ დედა ენა შეუნახიათ, მაგრამ ისინი ისე დაშორებულები არიან ქართველების უბანს, რომ მათთან ორგანული კავშირი აღარ აქვთ“ [ჭელიძე 1935: 164].

სწორედ ამიტომ, ამბაკო ჭელიძე მიიჩნევს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით ფერეიდნელების შესახებ. ამ საკითხების შესწავლა მომავლის საქმეა.

წიგნში შემონახულია ფერეიდნელი ქართველები საგან მოსმენილი გადმოცემები, ძველი ისტორიები, ქართველთა გადასახლებისა და გამაჰმადიანების ამბები, ქერიმ ხანის წინააღმდეგ ბრძოლა, ავღანელებზე გამარჯვება, მეზობლებთან – ბახტიარებთან და ქურთებთან დამოკიდებულება.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში სეიფოლა იოსელიანის ჩამოსვლის შემდეგ ქართული საზოგადოება გააქტიურდა. ფერეიდნელ ქართველთა დახმარების მიზნით შეიქმნა **ქართველ მუსლიმანთა კულტურული დახმარების საზოგადოება**. ამ შემთხვევაშიც სპარსეთში მყოფი ამბაკო ჭელიძე აღმოჩნდა დიდი ძალა და იმედი საქართველოში არსებული ქართველ მუსლიმანთა კულტურული დახმარების საზოგადოებისათვის ფერეიდნის საკითხების მოგვარების საქმეში.

5.5.1. ქართველ მუსლიმანთა კულტურული დახმარების საზოგადოება

მეოცე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში პრესაში გაჩნდა ინფორმაცია ქართველ მუსლიმთა კულტურული დახმარების საზოგადოების დაარსების შესახებ, ეს სიახლე სეიფოლა იოსელიანის გაცხადების მიზნით შეკრებილ საზოგადოებას ეცნობა. პავლე საყვარელიძის თქმით, საორგანიზაციო კომიტეტი 1923 წლის 4 მაისს შედგა, თუმცა საორგანიზაციო კომიტეტმა დაავიანა დამფუძნებელი კრების მოწვევა და წესდების დამტკიცება [ბუთლიაშვილი 1923].

გაზეთ „კომუნისტის“ 1926 წლის 16 იანვრის მე-12 ნომერში დაიბეჭდა მცირე ზომის წერილი სათაურით „ფერეიდნელ ქართველთა დახმარებლათ.“ წერილში აღნიშნულია, რომ 12 იანვარს, სამშაბათ დღეს დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით შედგა ქართველ მუსლიმანთა კულტურული დახმარების საზოგადოების კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილეს ფერეიდნის ქართველთა დახმარების საკითხი.

კომიტეტმა სპარსეთში ფერეიდნელ ქართველთა ყოფა-ცხოვრების გასაცნობად გაგზავნა სპეციალური პირი, რომელსაც დაავალა იმის გარკვევა, თუ რა ტიპის დახმარებას საჭიროებდნენ ისინი.

ამასთანავე გადაიდო გარკვეული თანხა წიგნის „ქართველები ფერეიდანში“ გამოსაცემად. წიგნს უნდა მოეცვა ისტორიული და სამეცნიერული ცნობები სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ. გადაწყდა საზოგადოების მუშაობის გასაძლიერებლად და პოპულარიზაციისათვის გამართულიყო საგანგებო სანახაობა-საღამო.

ამ საზოგადოების დაარსების მოთავეები იყვნენ დ. კანდელაკი, ბ. ბიბინიშვილი, დ. გაბაშვილი, ი. მენაბდე, ი. ლორთქიფანიძე, პ. საყვარელიძე. მათ შეადგინეს წესდება და წარუდგინეს მთავრობას 1923 წლის 23 იანვარს. 1924 წლის 2 თებერვალს ის დაამტკიცა შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომისარიატმა.

1924 წლის 9 მარტს კონსერვატორიის დარბაზში შედგა კრება, რომელმაც დაამტკიცა წესდება, ჩამოყალიბდა საზოგადოება და არჩეული იქნა გამგეობა 15 კაცისგან, პრეზიდენტი 5 პირისგან დავით კანდელაკის თავმჯდომარეობით.

ქართველ მუსლიმთა დახმარე საზოგადოება მიზნად ისახავდა მეცნიერულად შეესწავლა და ყოველმხრივ გამოეკვლია ქართველ მუსლიმთა ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობა, აგრეთვე აღმოეჩინა მათთვის კულტურული და ნივთიერი დახმარება როგორც საქართველოს საზღვრებში, ისე საზღვარგარეთ, სპარსეთსა და ოსმალეთში.

ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოებას უნდა გაეგზავნა ქართველ მუსლიმებში სამეცნიერო კომისიები მათი მდგომარეობის გამოსაკვლევად; უნდა გაეშუქებინა ფართო საზოგადოებაში მისი თანამედროვე მდგომარეობა და ისტორიული წარსული ყველა კანონიერი გზით: მწერლობით, კრებით, ლექციებით; დაეარსებინა სპეციალური ბეჭდვითი ორგანო მუსლიმ ქართველთა კულტურული საჭიროებისათვის; დაენიშნა პრემიები საუკეთესო თხზულებებისათვის ქართველ მუსლიმთა ისტორიული და თანამედროვე ცხოვრებიდან. ეზრუნა მათ შორის სწავლა-განათლებისა და საერთო სულიერი კულტურის განვითარებისათვის (სკოლა, წიგნთსაცავი, სამკითხველო, თეატრი); გაეწია ღარიბებისთვის ერთდროული და მუდმივი ნივთიერი დახმარება როგორც ფულის, ისე სხვა სახით; მოეწყო საექიმო და იურიდიული დახმარების ორგანიზება; ხელი შეეწყო ლტოლვილთა და აყრილთა დაბინავებისა და დასახლებისთვის; ეშუამდგომლა საქართველოს სოციალისტური ხელისუფლების და სხვა დაწესებულებათა წინაშე ამა თუ იმ საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ამ ეტაპისთვის საზოგადოების ძირითად ამოცანად დგას ფერეიდნელ ქართველთა დახმარება სწავლა-განათლების საკითხში.

უნდა ითქვას, რომ ამ საზოგადოებამ სპარსეთში მცხოვრები მუსლიმი ქართველების დასახმარებლად გარკვეული ღონისძიებები გაატარა. მან სპარსეთში წარგზავნა საზოგადოების წარმომადგენელი **ნიკო ყარანგოზიშვილი**, რომლის მოვალეობაც იყო ფერეიდნის ქართველების მდგომარეობის გაცნობა და საზოგადოებისთვის მოხსენება.

ამბაკო ჭელიძის არქივში დაცულია ამ საზოგადოების კომიტეტის სხდომის ოქმი N7, დათარიღებული 1925 წლის 27 იანვრით. სხდომაზე მოისმინეს სპარსეთში მივლინებული ყარანგოზიშვილის მოხსენება „ფერეიდნელ ქართველთა სულიერი განწყობილების და სულიერი საჭიროების შესახებ.“ მაძლობა გადაუხადეს ნიკო ყარანგოზიშვილს გაწეული შრომისათვის და ასევე ამბაკო ჭელიძეს კომიტეტისათვის ნაწერების გადმოგზავნისთვის. ასევე მიღებულია გადაწყვეტილება ეთხოვოს განათლების კომისარიატს დაუთმოს „ათას მანეთამდე ღირებული სახელმძღვანელოები და სიტყვა-კაზმული მწერლობა და გადაეგზავნოს მოქალაქე ჭელიძეს გასავრცელებლად, მოქალაქე ჭელიძის ნაწერები გადაეცეს პ. საყვარელიძეს და ეთხოვოს მას მიი-

ლოს ზომები მათ დასაბეჭდად.“ ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე საყვარელიძე და მდივანი ჟორჯოლიანი.

როგორც ამ საბუთებიდან ჩანს, ამ კომიტეტისთვის შეუცვლელი იყო ამბაკო ჭელიძის დახმარება, ფაქტობრივად, მათი წარგზავნილი პირიც მხოლოდ ამბაკო ჭელიძის იმედზე იყო.

ამავე ინფორმაციის შემცველია ამბაკო ჭელიძის პირად არქივში დაცული ქართველ მუსლიმთა კულტურული დახმარების საზოგადოების მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელშიც უდასტურებენ, რომ მოქ. ყარანგოზიშვილის ხელით მიიღეს მისგან გამოგზავნილი მასალა. ამბაკო ჭელიძესთან თეირანში გაგზავნილ წერილს ხელს აწერენ კომიტეტის თავმჯდომარე დ. კანდელაკი, კომიტეტის წევრი პ. საყვარელიძე და მდივანი ჟორჯოლიანი. ისინი მადლობას უხდებიან ნაწერების კომისიისათვის ძღვნად გადაცემისათვის და ჰპირდებიან, რომ შეძლებისდაგვარად დაბეჭდავენ მას საქართველოს სხვადასხვა გამოცემაში, მათ შორის წერილს „სპარსელ ქართველ მაჰმადიანთა შესახებ“ „მოათავსებდნენ ფერეიდანელ ქართველთა თაობაზე გამოსაცემად მომზადებულ მეცნიერულ-ისტორიულ წიგნში.“

წერილის დასასრულს აცნობებენ, რომ მის სახელზე აგზავნიან ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის გამოცემებს და სახელმძღვანელოებს და სთხოვენ რაციონალურად განაწილებას. ასევე ჰპირდებიან, რომ პერიოდულად გაუგზავნიან ყოველდღიურ გამოცემებს გასავრცელებლად.

კომიტეტი ასევე ჰპირდება, რომ შეეცდება ყოველდღიურ გამოცემათა პერიოდულ გადმოგზავნას, სთხოვს აღმოუჩინოს მის წარმომადგენელს სათანადო დახმარება: „ეთხოვთ იქონიოთ მასთან საქმიანი ურთი-ერთობა და ზოგი მისი დავალებათა შესრულება თავს იდგათ“.

წერილზე არ არის აღნიშნული თარიღი.

ამ წერილით ირკვევა ასევე, რომ კომიტეტი გარდა სეიფოლა იოსელიანისა, კარგად იცნობს ყ. მიქელაშვილსაც და მათ განსაკუთრებულ საღამს უძღვნის სხვა ქართველ მაჰმადიანთა მოკითხვისას.

თავის წიგნში „ფერეიდნელი ქართველები“ ამბაკო ჭელიძე ასხენებს ყარანგოზიშვილს, რომელმაც ჩამოიტანა მთელი ყუთი ქართული წიგნებით. მას ჰქონდა მანდატი, რომ ის იყო საგანგებოდ გამოგზავნილი განათლების კომისარიატის მიერ ფერეიდნელი ქართველების ცხოვრების შესასწავლად და აღსაწერად. მისგან მიიღო წესდებაც „ქართველ მუსლიმთა კულტურული დახმარების საზოგადოებისა“. საქართველოს განათლების კომისარიატმა ასევე გამოუგზავნა ორი წერილი, რომელშიც იყო დირექტივები, თუ როგორ მიღვმოქმედებდა ფერეიდნელ ქართველთა საკითხს მათი ცხოვრების აღწერის მიზნით.

ამბაკო ჭელიძემ წიგნების ის ნაწილი, რაც შესაფერისად მიიჩნია, გაგზავნა ფერეიდანში, დანარჩენი კი დაურიგა თეირანში მცხოვრებ ქართველებს.

ნ. ყარანგოზიშვილმა ვერ შეძლო ფერეიდანში წასვლა, რადგან ფული არ ჰქონდა და არც აკაკი ხოშტარიამ დააფინანსა. უარის მიზეზად კი, როგორც ამბაკო ჭელიძე აღნიშნავს, აკაკი ხოშტარიამ თავად ყარანგოზიშვილი დაასახელა.

ფერეიდნელთა წიგნებით მომარაგება გრძელდებოდა შემდგომ წლებშიც, რაზეც მეტყველებს ამბაკოსთვის 1928 წელს განათლების კომისარიატისგან გადავზავნილი დოკუმენტი, რომელშიც სთხოვენ დაუდასტუროს, რომ მიღებული აქვს მათგან გამოვზავნილი ჟურნალ „მნათობის“ 1927 წლის ნომრები, ასევე აცნობებენ, რომ მიმდინარე წელსაც გაევზავნება ორი ნომერი ფერეიდანში გადასავზავნად (ბოლო ორი სიტყვა ნაბეჭდ დოკუმენტში მიწერილია ხელით, წითელი კალმით. ბოლოში კანცელარიის უფროსის ხელმოწერა).

ქართველ მუსლიმანთა კულტურული დახმარების საზოგადოების მიერ დაანონსებული კრებული ფერეიდნელი ქართველების შესახებ, როგორც ჩანს, არ შედგა. შესაბამისად, ვერც ამბაკო ჭელიძის წერილმა „სპარსულ ქართველ მაჰმადიანთა შესახებ“ ნახა დღის სინათლე. სამაგიეროდ ამ სტატიის მასალა გამოყენებული აქვს ავტორს წიგნში „ფერეიდნელი ქართველები“. ეს სტატია დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში, ამბაკო ჭელიძის არქივში.

სწორედ ამ კრებულისთვის მოამზადა ცნობილმა ქართველმა ენათმეცნიერმა არნ. ჩიქობავამაც თავისი ნაშრომი „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“. როგორც თავად აღნიშნავს: „ამ წერილის მოთავსება განზრახული იყო ქართველ მაჰმადიანთა დამხმარე კომიტეტის კრებულში: „ფერეიდანი და ფერეიდნელები“. წერილს უნდა დაჰრთოდა ს. იოსელიანის თქმით ჩაწერილი ტექსტები, არცთუ მცირე ოდენობისა. წერილის გადაცემიდან 8 თვის შემდეგ გამოირკვა, რომ კრებულის გამოცემას დაავიანდებოდა გაურკვეველი ხნით... პოპულარობის ელემენტები წერილში (კერძოდ, ფერეიდნული ფორმების შედარება თანამედროვე სამწერლობო ქართული სათვის) აიხსნება მისი პირვანდელი დანიშნულებით“ [ჩიქობავა 2010:180].

სავარაუდოდ, ამავე კრებულში უნდა დაბეჭდილიყო ფილიპე მახარაძის ნაშრომი ფერეიდანსა და ფერეიდნელ ქართველებზე. ამის შესახებ სწერს სეიფოლა იოსელიანი ამბაკო ჭელიძეს:

„ძმავ, თქვენ წერილთან დღეს ტბილისიდანაც მივიღე წერილი მაგრამ პასულს არა ვწერავ იმიტომ რო წინ გამეგზავნა და არ მიჰქვამოდა ვანო ბუთლიაშვილსა მაინც წერს რო ამხანაგი ფილიპე მახარაძე წიგნის წერს ფერეიდანის ქართველების შესახებ და საზოგადოებაც დაიბეჭდავსო“ [ჭელიძე 25809/3].

წერილი დათარიღებულია 1922 წლის 22 ნოემბრით.

ამ საზოგადოებების მუშაობამ, როგორც ჩანს, გარკვეული შედეგები მოიტანა, სეიფოლა იოსელიანის ძალისხმევით, ამბაკო ჭელიძის დახმარებით მარტყოფში შესაძლებელი გახდა სკოლის გახსნა, რომელშიც სწავლა სპარსულ ენაზე მიმდინარეობდა. თუმცა ამ სკოლამ დიდხანს ვერ იარსება და მალე დაიხურა.

როგორც ჩანს, ამავე საზოგადოების მცდელობით მოხერხდა ამბაკო ჭელიძის ვიზიტის შემდეგ ქართველი მასწავლებლების ჩასვლა თბილისიდან ფერეიდანში. ისინი მხოლოდ რამდენიმე დღეს დარჩნენ იქ და, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი წვლილი ვერ შეიტანეს ფერეიდნელი ქართველების სწავლა-განათლების საქმეში.

მათი ვიზიტიდან ცოტა ხნის შემდეგ სეიფოლა იოსელიანი გარდაიცვალა, ზოგიერთი ცნობით, ის მოწამლეს.

ქართველ მუსლიმანთა კულტურული დახმარების საზოგადოების უკან, ბუნებრივია, სახელმწიფო სტრუქტურები იდგა, რომელთა მიზანიც მუსლიმი ქართველების, მათ შორის ფერეიდნელი ქართველების დახმარების გარდა პოლიტიკური გავლენის გაძლიერებაც იყო. გარკვეული მიზეზების გამო ამ საზოგადოებას საქმიანობა აღარ გაუგრძელებია, ყოველ შემთხვევაში, ამის დამადასტურებელი ფაქტები არ ჩანს.

სხვა აქტივობები ფერეიდნელთა საკითხთან დაკავშირებით, გარდა ამ კულტურული საზოგადოების ლობირებისა, საქართველოს ხელისუფლებას არ განუხორციელებია [კუტალაძე 1990: 121].

მოგვიანებით ამ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი პავლე საყვარელიძე აქვეყნებს წერილს, რომელშიც საუბრობს ქართველ მუსლიმთა კულტურული დახმარების საზოგადოების გაწეულ მუშაობაზე, მისი აზრით, მიუხედავად ბევრი აქტივობისა, ამ საზოგადოებამ ვერ შეძლო თავისი მისიის შესრულება ბოლომდე:

„სეიფოლა იოსელიანმა კულტურული მოქმედების მთელი პროგრამა გადაგვიშალა, მაგრამ დღევანდლამდე არა თუ არც ერთი მუხლი არ შეგვისრულებია, საფუძვლიანათ არც კი შევდგომივართ მის განხორციელებას.

დღეს ჩვენში არსებობს ქართველ მუსლიმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოება, რომელიც სწორეთ სეიფოლას აქ ყოფნის დროს დაარსდა და რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს სპარსეთის ქართველების კულტურული დახმარება შეადგენს. მაგრამ ამ საზოგადოებას სხვადასხვა მიზეზების გამო მოქმედება დღემდე არ გაუშლია. მართალია წიგნები გაეგზავნა ფერეიდნელ ქართველებს, კაციც გვყავს გაგზავნილი თეირანში მათი საჭიროების გასაგებათ და კავშირის გასაბმელათ. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ კმარა და აუცილებლათ საჭიროა დაუყონებლივ ნდობით აღჭურვილი კომისია გაიგზავნოს თვით ფერეიდანში ადგილობრივ მდგომარეობის შესასწავლათ და გამოსაკვლევათ.

ლაპარაკით აგერ ნახევარი საუკუნეა ვლაპარაკობთ. საკმარისია! ახლა უკვე ჩვენთვის საკვალდებულოა კულტურული დახმარების აღმოჩენას რეალური და ხელშესახები ფორმები მივსცეთ. და ამ ნაირათ, რაც შეიძლება დროით, მივეშველოთ და დავაკმაყოფილოთ ფერეიდანის ღარიბი, დაბეჩავებული ქართველი მოსახლეობის მოთხოვნილება“ [საყვარელიძე 1926: 99-100].

ამ ეტაპზე ფერეიდნელ ქართველთა რეპატრიაციის შესახებ საკითხი არ დასმულა არც პრესის ფურცლებზე და, მით უფრო, არც სახელმწიფოს დონეზე.

5.5.2. ამბაკო ჭელიძე და სეიფოლა იოსელიანი

საქართველოდან დაბრუნებული სეიფოლა იოსელიანი თეირანში ამბაკო ჭელიძეს ესტუმრა. როგორც ამბაკო ჭელიძე აღნიშნავს, სეიფოლა ხანს პირადად არ იცნობდა,

„მხოლოდ გაგონილი ჰქონდა მისი ტფილისში ყოფნა“ [ჭელიძე 2011: 23]. ამბაკო დაწვრილებით აღწერს სეიფოლა ხანის გარეგნობასა, ჩაცმულობას:

„მოვიდა ჩემთან საქართველოდან ახლად დაბრუნებული სეიფოლა იოსელიანი. ხაკისფერი ტუყურკა ეცვა, ბოხონი ეხურა, გალიფეს შალვარი, პალტო ეცვა. ერთი სიტყვით, ის სრულებით არ გავდა სპარსელ მოქალაქეს“ [ჭელიძე 1935: 18].

როგორც თვითონ აღნიშნავს, სეიფოლა ძალიან კმაყოფილი ყოფილა საქართველოში სტუმრობით. მისმა ჩამოსვლამ ამბაკო ჭელიძეს უფრო გაუძლიერა ფერეიდნელი ქართველების ნახვის სურვილი.

მართლაც, სწორედ სეიფოლა იოსელიანის მიპატიჟებით, მასთან შეთანხმებით ავიდა ამბაკო ჭელიძე ფერეიდანში.

სეიფოლა იოსელიანსა და ამბაკო ჭელიძეს შორის დამყარდა როგორც მეგობრული, ისე საქმიანი ურთიერთობა. ორივე ერთად იბრძოდა ფერეიდანში, კონკრეტულად, მარტყოფში სკოლის გახსნისათვის, რათა ქართველ ბავშვებს ელემენტარული განათლება მიეღოთ.

5.5.3. სეიფოლას წერილები ამბაკო ჭელიძისადმი

ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია სეიფოლა იოსელიანის წერილები ამბაკო ჭელიძისადმი, რომლებშიც კარგად ჩანს მათი თანამოაზრეობა და კეთილგანწყობა. სეიფოლა იოსელიანს, როგორც ყველა ფერეიდნელ ქართველს, ამბაკო ჭელიძე ძალიან დიდ იმედსა და ძალას აძლევდა. ის მათთვის საქართველოსთან დამაკავშირებელი ერთადერთი ხიდი იყო.

სეიფოლას პირველი წერილი თარიღდება 1925 წლით. გამოგზავნილია ისპაჰანდან, სადაც შვილის საქორწინო მზადების გამოა ჩასული და შიშობს, რომ დიდთოვლობის გამო შესაძლებელია გაუჭირდეს მარტყოფში დაბრუნება. წერილი იწყება ასე: „ბატყვემულო ამბაკო და ქალბატონო ძვირფასო სარა.“ ამ წერილში ჩანს, როგორ ელოდება ამბაკოსა და სარას ფერეიდანში ასვლას. სეიფოლა მოკითხვას უგზავნის სხვა ქართველებს და წერილში ახსენებს აკაკი ხოშტარიას, რომლისთვისაც გაუგზავნია წერილი, როგორც თავად წერს „ყონკორის ქალაქთან“ და არ იცის, მიიღო მან თუ არა, ეს წერილი.

1926 წელსაა სეიფოლას მიერ გაგზავნილი წერილი, რომელსაც წარმოვადგენთ უცვლელად:

„ძმაო, ძვირფასო ამბაკო გამარჯვება და კარგათ ყოფნა თქვენი და ყველა ამხანაგებისა. ეს მეორე წერილია თქვენგან მამსლია რო ძალიან გახარება შემეცემისყე მაგრამ პირველათ რო მივიღე დაგიწერე ქალაქი ეს ორი კვირია არ მივეცი ჩვენ ბიჭებსა რო ყაზალები არიან მოსაება და ნავრუზალა და ჰასანა ქვიანყე როგო არ

მოვტანიათ ბევრი ვიბარე საჩიქარო გიახლოს და თუ შაიძლება მალე ამიბძანდეთ იმიტომ რო მალე მე ვერ გეახლებოდი რო საქმები დემელაგა და გეახლებით მაგრამ ბლომად თოვლი მოვიდა მარტყოფის სოფლებში ძმავე თქვენ წერილთან დღეს ტფილისიდანაც მივიღე წერილი მაგრამ პასუღს არავწერავ იმიტომ რო წინ გემეგ ზავნა და არ მიჰწოდომა ვანო ბუთლიაშვილსა მაინც წერს რო ამხანაგი ფილიპე მახარაძე წიგნის წერს ფერეიდანის ქართველების შესაღებ და საზოგადობაც დაიბეჭდავსო. შენი ძმა სეიფოღა იოსელიანი, 22 ნოემბერი 1926 წელი.“

იმავე ფურცლის მეორე მხარეს ცალკეა სარასადმი მიწერილი წერილი: „პატივცემულო დაგ სარა გამარჯვებათ თქვენი და კარგად ყოფნა და გულგახარებლად ეს მეორე წერილია რო მოგახსენებ იმ დღეს შემდეგ რო თქვენგან წერილი მამსლია გული თქვენ თან მაქვს და გ ზას ვათორიალეგ მაგრამ თოვლმა თუარ ამოგუწყითა ძალიან გონატრება ჩემ ოჯახობით თქვენი ნახვა მაგრამ ემიდი გაქვს თქვენი ნახვასი ერთი წერილი პატივცემულ სტეფანე ამილახვარს ღეწერა არ ვიცი მანდ არი თუ წავიდა შირაზში კარგია თუმე ნახვა უთხარით და ყველას გამარჯვება და მშიდლობით თა ნახვამდი შენი ძმა სეიფოღა იოსელიანი 22 ნოემბერი 1926წ.“

შემდეგი წერილი დაწერილია ამბაკო ჭელიძის ისპაჰანში სამუშაოდ გადასვლის შემდეგ 1927 წლის ზამთარში. აქაც ერთი ფურცლის ორ გვერდზე სათითაოდ წერს წერილს ამბაკო ჭელიძესა და სარა ჭელიძეს. ამბაკოს წერილში სეიფოღა გამოხატავს დიდ სიხარულს ამბაკოს ისპაჰანში გადასვლის გამო და სთხოვს აცნობოს, როცა გადაწყვეტს ფერეიდანში ასვლას. სარასადმი მიწერილ წერილშიც დიდი სიხარულია გამოხატული, რომ „დამოკლავდა გ ზა და დამეტდა სიხარული“.

შემდეგ წერილს თარიღად უწერია 1927 წელი. ის გამოგ ზავნილია ფერეიდანდან. აქაც მათი ნახვის დიდი სურვილია გამოხატული და სატკივარი, რომ თავის ხალხს არ ესმის იმ საქმისა, რომელიც წამოიწყო და ამიტომ ხელს უშლიან: „ღმერთმა ან ნუ მისცეს კაცს საფიქრალი და აზრი, ან ხელი მოვმართოს. მეკი ძალიან წუხვარობაში ვარ ემ ჩონებულ ხალხნი არ ვიცი რა ვქნა“.

წერილის ბოლოს ხელმოწერა: „გიწერს თქვენი ერთ გულის ძმა სეიფოღა იოსელიანი მარტყოფელი ფერეიდანდან.“

1928 წელს მას კიდევ გამოუგ ზავნია ორი წერილი. ერთი წერილი დათარიღებულია 1928 წლის 10 მარტით. ამ წერილში სეიფოღა აცნობებს ამბაკოს, რომ მალე აპირებს ისპაჰანში ჩასვლას თავის უფროს ვაჟთან ერთად, რომელიც ექიმთან მიჰყავს და აუცილებლად ინახულებს მათ. მეორე წერილი გამოგ ზავნილია ქალაქ თეირანიდან, აბას აღას სასტუმროდან. ამ წერილით ირკვევა, რომ სეიფოღა იოსელიანი 5 დღით იყო დაპატიმრებული. მიზეზს ზუსტად არ წერს, თუმცა ჩანს, რომ ამბაკოსთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ეს საკითხი: ჩვენ კარგად ვართ ხუთ დღეს კი დადუსაღებული (ხემოდან აწერია ფორმა – დუტუსაღებული) ვიყავ და საკითხში იმას რო ემამაძალავი ვავამტყუვე და ბოლოს გამამიშვეს არავის არა ვთხოვე დახმარება და არ შევაწუხე ვინმე...“

ამავე წერილში ახსენებს თურქიას და კარგარეთელს, რომლებიც მოინახულა პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ.

სეიფოლას წერილები იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მათში კარგად ჩანს, რომ ფერეიდნელ ქართველს, სეიფოლა იოსელიანს, აქვს უშუალო კონტაქტი სპარსეთში მყოფ ქართველებთან. სეიფოლას წერილში ნახსენებია აკაკი ხოშტარია, ცნობილი მეწარმე, კარგარეთელი იგივე „გურჯი ხანი“ – სპარსეთში მცხოვრები ყოფილი ქართველი გენერალი, რომელიც რეზა ხანთან დაახლოებული პირი იყო და მისი მმართველობის პერიოდში შეადგინა სამხედრო სახელმძღვანელოები [ჭელიძე, 1964: 38], თურქია, აკაკი ხოშტარიას ცოლისძმა, ექიმი. ეს ხალხი მაქსიმალურად ცდილობდა ფერეიდნელი ქართველებისთვის გარკვეული დახმარების აღმოჩენას, მათ გამოყვანას იმ მძიმე ყოფიდან, რომელშიც სამწუხაროდ, ისინი იმყოფებოდნენ.

სეიფოლა იოსელიანი დიდი ძალა იყო ფერეიდნელი ქართველებისათვის. მათი ქომაგი და პატრონი, მათი განათლებისა და უკეთესი მომავლისთვის მზრუნველი. ის იყო, როგორც ფერეიდნელი ქართველები ამბობდნენ, მათი „სხილკაცი“, „დიდი“. იყო ქართველების საქციელისთვის პასუხისმგებელი მთავრობის წინაშეც. მაგალითად, როდესაც ფერეიდნის მარტყოფში 1928 წელს დაიწყო აჯანყება ახალი კანონის, ჯარში სავალდებულო სამსახურის შემოღების წინააღმდეგ, მაშინაც სეიფოლა გაიწვიეს თეირანში პასუხის საგებლად. აი, რას წერს ამბაკო ჭელიძე ამის შესახებ:

„1928 წელს, შემოდგომაზე, გამწარებულმა დედაკაცებმა მთავრობის კაცები ეზოში შეათრიეს, ჯოხებით სცემეს, თავ-პირი დაუმტვრიეს, ტანისამოსი შემოახიეს და რომ კაცებს გაეშვათ, მოკვლასაც აპირებდნენ. მთელი სოფლები აღელდნენ, ქალები კაცებს ლანძღავდნენ, ხელს ნუ გვიშლითო. ბოლოს საქმე დაამოშმინეს, მაგრამ ამის გამო რამდენიმე კაცი დაიჭირეს, თვით სეიფოლა იოსელიანი თეირანში გაიწვიეს პასუხის საგებლად“ [ჭელიძე 25,806:68].

სეიფოლა იოსელიანის საქმიანობა, სამწუხაროდ, თავად ფერეიდნელ ქართველებშიც ბევრისთვის მიუღებელი იყო. და შესაძლებელია მისი დაკავებაც სწორედაც მის ავტორიტეტს, მის საქმიანობას უკავშირდებოდეს.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ სეიფოლა იოსელიანი გარდაიცვალა. მეზობელ სომხურ სოფლებში შემორჩენილი ვერსიით ის მოწამლეს.

5.5.4. სკოლის გახსნის მცდელობა ზემო მარტყოფში

ამბაკო ჭელიძეს ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა დახმარებოდა სეიფოლა იოსელიანს მარტყოფში სკოლის გახსნის საქმეში, ძალიან წუხდა იმის გამო, რომ თითქმის ყველა ეროვნულ უმცირესობას შეეძლო სწავლა-განათლების მიღება, „სპარსეთის არც ძველ და არც ახალ მთავრობას არ დაუშლია მათთვის [სომხებისთვის] ოფიციალურად კულტურული მუშაობის წარმოება. სომხების ახალ ჯგულფაში და ებრაელების ჯუბარეში მუდამ ყოფილა საქველმოქმედო მიზნით დაარსებული

სკოლები. უკანასკნელად კი ფერეიდანში ქართველების მახლობლად სოფელ სან-გიბარანში (სომხების სოფელია) ფრანგმა მისიონერმა მღვდელმა გახსნა სომხური სკოლა სპარსეთის მთავრობის ნებართვით“ [ჭელიძე 25,806: 68]. ქართველები კი ამ საშუალებას მოკლებულები იყვნენ. საუბარი იყო სპარსული სკოლის გახსნაზე, რადგან კარგად ესმოდათ, რომ ამ ეტაპზე რეალობის გათვალისწინებით უნდა ემოქმედათ, თუმცა, მათ ქართულის მასწავლებლის ჩაყვანის ან ადგილზე მომზადების შესახებ ფიქრი არ შეუწყვეტიათ.

სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ სკოლის გახსნას თავად იქაურმა ქართველებმა შეუშალეს ხელი. ესენი იყვნენ მარტყოფის ხანები, ძმები *ონიკაშვილები*, „რომლებსაც ეგონათ, რომ სკოლა გარყვნილებას შეიტანდა მათში... და დაყინებით მოითხოვდნენ სეიფოლა იოსელიანს ხელი აელო ამ საქმისგან, რადგან არც ერთი ქართველი ბავშვი იქ სასწავლებლად არ მივიდოდა... რაზედაც სეიფოლა იოსელიანი მუდამ ერთსა და იმავეს დინჯათ და აუღელვებლათ უპასუხებდათ ხოლმე..., რომ იმ სკოლაში ქურთის ბავშვები მივლენ სასწავლებლათ ასე და ქართველები არა...“ [ჭელიძე სარა 25.811: 46].

ისპაჰანში სკოლის გახსნის შესახებ საუბრის დროს ზემო მარტყოფელ ვაჭარ აიადარას, რომელიც გაქართველებული იყო, უთქვამს სეიფოლას უმცროსი ვაჟის, ფათულა ხანისთვის: „ბიჭო, უყურე მამაშენს ბევრი ფულები ჰქონია, რო ასეთ რამისთვის თავს იტკივებსო. რაზედაც მან უპასუხა: მამაჩემს ფულები საიდან ექნება, ის ხომ ვაჭარი არ არის შენსავითო, რომ ჩვენ გვატყუებ და გამდიდრდით“ [ჭელიძე 25.811].

1928 წელს ზემო მარტყოფში, ახორე ბალაში გაიხსნა სკოლა, სადაც სპარსელი მოხელეები მხოლოდ სპარსულს ასწავლიდნენ. როგორც თავის ჩანაწერებში აღნიშნავს ამბაკო ჭელიძე: „როცა კითხვა მიდგა ქართული ენის სწავლებაზე, რადგან ბავშვებმა სრულებით სპარსული არ იციან, ასეთი პასუხი მიიღეს: თუ შეგიძლიათ, ასწავლეთ თქვენ თითონო, მაგრამ თურმე არ აღმოჩნდა არავინ, ვინც შეძლებდა მასწავლებლობას“ [ჭელიძე 25. 806]

როგორც ჩანს, ქართული სკოლა გახსნილა, მაგრამ ძალიან სწრაფად მოუწიათ მისი დახურვა. ამის შესახებ თვითონ ფერეიდნელები გვიამბობენ:

ერთ ფორცოლზე დეეწერა ფერეიდანის, როსაც, ის დროს, რო სეიფოლა ხანი გავა საქართველოს და გამუა, ეს ქარსულად დაწერილი ემეჩივა, მარტყოფნი ერთ ფორცოლზეც ძმა მუხტარამ მომცა მე, ჩემთან არი, მე თავის უკანლა პარსულათ, ქართულად დამიწერია, რო იმაში ეს გამაიტანს სკოლასა. გამაიტანს და დევრიშხანიანთ სახლჩი რო თალარს ეძახოდიანყე, იქ სკოლა გადსხნების, ჯერ სკოლა არ გეეკეთაყე, რო ფული რო უნდოდა, ექიმი და მომსწავლე გამაყოლია სეიფოლა ხანს, მოიდა და ფული რო სკოლას გაკეთებასათი უნდოდაყე, რე ზა შაჰმა ემესათი დადწერადა, ისპანსათი დადწერა და უთხრაყე, რო ფული გავ ზავნეთო ფერეიდანს, გააკეთონო სკოლაო. ბაღე, ანს ემე მომსწავლე და ემე,

მომსწავლე რო მოედა, დევრიშხანიანთას თალარჩივა ის სკოლა გასხნესო, რა ვიცი, ოზდაშიდი, ოზდარუა პირველად ბაჭუშები მოიღეს, რო ანსი ორი და სამი ქალები, გოგოები იყნეს სუ და ის სხუეები ბიჭები. იქ გადსხნეს სკოლა თა თითან სკოლა გააკეთეს, ფული მოიდა და გააკეთეს და მერეღა ხალღი წაიდისყე. მაგრამ სეიფოლა ხანმაც რო მოიდა, პირველად ქართულათ გასხნა და ბატონო ჰოსეინამ თქო, რო დაარაკუნინანყეო, ხალღმა იმიტო, რო არ გოღოშან ქართულად ემე, თქიან, რო ოი, კიდემ უნდა ეკლესია გასხნანო და ქრისტიანობა მაიტანოსო. იმნაირად ანს ქართულ ემე კიდემ დააკლუტინეს და მერეღა პარსულეები გადსხნა [ქღკ, ჰეიდარ დარჩიაშვილი].

ტექსტიდან ამ ამონარიდით კარგად ჩანს, რომ სკოლის ზარის გამო სეიფოლას ქრისტიანობა დააბრალეს და აუშხედრეს ფერეიდნის ქართული მოსახლეობის ნაწილი და აღმინისტრაცია.

რაც უფრო ძლიერდებოდა ქართველთა ინტეგრაცია სპარსულ სამყაროსთან, მით უფრო აუცილებელი ხდებოდა სპარსული ენის შესწავლა, ამას დაემატა ფერეიდანში გასხნილი სპარსულენოვანი სკოლის ფუნქციონირებაც. „1928 წელს ზემო მარტყოფში გაიხსნა პრიმიტიული საერო სკოლა, სადაც სწავლება სპარსულ ენაზე წარმოებდა.“ [ჭიპაშვილი 1963: 29].

მასწავლებლები იყვნენ სპარსელები, სწავლა სპარსულ ენაზე მიმდინარეობდა, ამან გაზარდა სპარსული ენის ცოდნის მოთხოვნილება:

„ექ ქართული არმინ არ იცოდა. არ იცოდა და ცოტაც ხალხს ეშინოდა მთავრობასაყე. იმიშინ ინქ მთავრობამ დააწუხისყე ქართუელები. აქა, ხო და ჩონც რო ქართულად ვილაპარაკითყე, დოგოწუხინანყე, სკოლაში ხო არ უნდა ქართული. აღბათა არ იყო ყრალი. იმიტომ რო პარსული არ ვიცოდით. მოღით ქართულად ნუ ვილაპარაკოთო, რო პარსული დავისწავლოთო, და!“ [ქღკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

ფერეიდნულ ტექსტებში შემონახულია მოგონებები იმის შესახებ, როგორ, რა ხერხებით „უშკლავდებოდნენ“ ქართულად საუბარს სკოლებში:

„ერთ ხელ სკოლაშივა ბატარა ვიყავ და ქართულად ვამბობდი და მამსწავლებელიც – ქართულად ნუ ლაპარაკოფთო, არ ვიცოდი, უკნიტყე [უკნიდან] მოდიოდა და ჩონ ექ ქართულად ვლაპარაკობდით ბატარები და ექაცა ეს ოთახებ იყო და წინ ხო ერთ ემე დქონდა, ეივანი, დარბაზი და და რა ჰქია ემას! და მერეცა [ფილ – დაუმთავრებელი დიალექტური ფორმა = ფილაქანი] კიბე იყო, რო ჩამოვიდელა მეედანში და ჩონ რო ექ ვიდექით და მოიდა, თქო: მაგე არ ვითხარ, რო ქართულად ნუ ლაპარაკობო და წიხლი ამომავლო ექითა.“ [ქღკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

მასწავლებლის ამ საქციელს იქვე გამართლებას უძებნის რესპონდენტი:

„სპარსელ იყო, ხო. ეგრე იყო და ეხლა ჩონ ვიტყვიტყე, რო ესენი არ უშებდენ, რო ქართულად ვილაპარაკოთო, ალბათ უნდოდაყე, რო ქარსული დავისწავლოთ. ქართულ ვიცოდით, პარსული დაისწავლოთ“ [ქლკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

5.5.5. ამბაკო და სარა ჭელიძეები და ამირან პაპაშვილი – ფერეიდნელი ბიჭი

დასაფასებელია ამბაკოსა და სარას დიდი სურვილი ფერეიდნელი ქართველებსათვის მოემზადებინათ ადგილობრივი კადრები ქართულის სწავლებისთვის. ამ მიზნით სოფელ ბოინიდან მათ წამოიყვანეს პატარა ბიჭი ემირი, რომელსაც ამირანი დაარქვეს. ამირანი მათთან ერთად ცხოვრობდა ისპაჰანში და შემდეგ მათთან ერთად წამოვიდა საქართველოში. სარა ჭელიძე ასე აღწერს ამირანის სიხარულს დიდი საქართველოს ნახვის მოლოდინში:

„ამირანმა რომ გაიგო, მივემგზავრებითო, მერცხალივით აჭიკჭიკდა, ფაციფუცით რაღაცას ძებნა დაუწყო. ყურადღება მაშინ მივაქციე ბავშვს, როცა მისი ხმა აღარ მესმოდა. იგი კუთხეში მიმჯდარიყო და დიდი ამბით რაღაცას წერდა. მივედი და ვკითხე, რას სწერ-მეთქი. ამირანმა დიდი ადამიანის სერიოზულობით შემომხედა და მითხრა: –წერილს ვწერ ბოინში.

მე გამეცინა. ფურცელი ავიღე და ხმაძაღვს წავიკითხე: –„მე უკვე მივდივარ საქართველოში, პატარა საქართველოში კი არა, დიდ საქართველოში. მერე მოვალ და თქვენ წავიყვანთ“. მივეფერე ბავშვს და ვუთხარი: –ჰო, გენაცვალე, დაწერე, დაწერე და გავაგზავნოთ! მან მაღლიერი თვალებით შემომხედა“ [ჭელიძე 1958: 96].

ამბაკო და სარა ჭელიძემ ამირანი თბილისში, ეგ. ნინოშვილის სახელობის სასწავლებელში შეიყვანეს, სადაც შვიდ წლამდე სწავლობდა. მეშვიდე კლასში იყო, როცა ორი თვით გაუშვეს ფერეიდანში მშობლებთან. სარას და ამბაკოს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ამირანი დაბრუნდებოდა, წამოიყვანდა კიდევ ორ ბავშვს და ისინიც ისწავლიდნენ ქართულ სკოლაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამირანმა ჩამოსვლა ვეღარ შეძლო, ორჯერ ჰქონდა მცდელობა ორ მოზარდთან ერთად საქართველოში ჩამოსვლის, მაგრამ ორივე უშედეგოდ დამთავრდა.

საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში ინახება ამირანის მშობლების წერილი ამირანისადმი და ასევე თავად ამირანის წერილი თეირანიდან, რომელშიც ის სწერს სარასა და ამბაკოს თავისი მგზავრობისა და იმ პრობლემების შესახებ, რაც შეექმნა თეირანში, სამწუხაროდ, უკანაც არ უშვებდნენ, არც ფერეიდნისკენ წასვლის ნებას აძლევდნენ, რადგან საბუთები არ ჰქონდა. წერილს ბოლოს მიწერილი აქვს თარიღი: 11.VII. 34 წელი და ხელმოწერა: ა. მირჯახაი, ქვემოთ კი მინაწერია: იგივე ამირან პაპაშვილი.

სარა ჭელიძე გულდაწყვეტით აღნიშნავს თავის წერილებში, რომ ვერ შეძლეს ამ დიდი მიზნის შესრულება:

„ამირანი ჩვენ იმ მიზნით ჩამოვიყვანეთ საქართველოში, რომ შემდეგ იგი უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი ისევ ფერეიდანისათვის დაგვებრუნებინა... ესე იგი სადაც იგი პირველი ქართული ენის მასწავლებელი შეიქნებოდა იმ სკოლაში, რომლის გახსნასაც ზემო მარტყოფში ჩვენ ჩაუყარეთ საფუძველი და ამ რიგად სხვა მრავალი მასწავლებლებიც გამოიზრდებოდნენ მისი წყალობით... დიახ, ასე უნდოდა ჩემს ამბაკოს და ასე მინდოდა მეც, რაც არ გაგვიძარტლა და საკმარისი მწუხარება გამოვიარეთ ამ ნიადაგზე.“

სარა ჭელიძე ახსენებს ამირანის კლასელსა და მეგობარს ალიოშა ბარათაშვილს, რომელმაც წლების შემდეგ მიაკითხა სარას და ამირანის ამბავი იკითხა:

„... სამი წლის წინათ, ჩემთან მოვიდა სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი კარგი აღნაგობის მქონე ჭაბუკი – რომელსაც ჩემი შემოკაპტიყება სახლში არ დასჭირვებია, ის შინაურულად მეწვია ბინაში და გულთბილად მომიკითხა, სინანული გამოთქვა ჩემი მეუღლის გარდაცვალების გამო – შემდეგ დაუმატა, რომ ამირანის ამხანაგი ალიოშა ბარათაშვილია... 1934 წელს მე და ამირანი საპირველმართო დემონსტრაციიდან სახლში ვბრუნდებით დიდად აღტაცებული, ამირანმა მითხრა: ბიძია ამბაკო ფერეიდანში ვამე ზავნის ზაფხულში, რომ იქიდან ერთი ორი ბიჭი წამოვიყვანო, რომლებიც შემდეგ ისევ ფერეიდანში წავლენ... მე კი აქ დავრჩები სიკვდილამდე და საქართველოს არ მოვშორდებიო. ახლა წარმოდგენილი მაქვს მისი მღვდმარეობა, სურვილი რომ ვერ შეისრულაო და კვლავ დაუმატა: ნუთუ არ შეიძლება ის ბიჭი აქ დავაბრუნოთ?“ [ჭელიძე სარა 25805: 3].

ამირანის საქართველოში გატარებულ დღეებს არ ჩაუვლია უკვალოდ, როგორც ჩანს, ის ფერეიდანში სეიფოლა იოსელიანის შემდეგ ერთ-ერთი ძლიერი დამცველი ყოფილა ქართული ეთნიკური ჯგუფისა. მან შეძლებისდაგვარად აასრულა ამბაკოსა და სარას ოცნება, ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას ფერეიდანელ ქართველებს. ამ ფაქტს ადასტურებს ლ. მინასიანიც, ფერეიდანში მცხოვრები სომეხი, რომელმაც შექმნა დიდი მონოგრაფია ფერეიდანელი სომხების შესახებ, ის ბუნებრივია ქართულ ეთნიკურ ჯგუფებსაც შეეხო. თავის წიგნში ის ახსენებს სეიფოლა იოსელიანს და ბოინელ ამირ ჯაზანეს, რომლებმაც თბილისიდან ჩამოიტანეს ლიტერატურა და ენის შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ, თუმცა მინასიანის აზრით, მათი მცდელობა მარცხით დამთავრდა, რადგან მისი თქმით, ქართული ენა და ეროვნული თვითშეგნება ვერ შეინარჩუნეს [მინასიანი 2001: 219].

მინასიანი ალბათ იმას გულისხმობდა, რომ ქართული თემის ერთი ნაწილი მაინც ივიწყებდა ენას და, შესაბამისად ქართველობას.

ამირანი მართლაც აღარასოდეს ჩამოსულა საქართველოში.

მის შესახებ ინფორმაცია დაცულია შსს არქივში. თეირანში საბჭოთა საელჩოს თანამშრომელი, ასლანიკაშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილ 1948 წლის 13 იანვრით დათარიღებულ მოხსენებით ბარათში ახსენებს ამირანსაც:

*„По имеющимся с Советском Консульстве в Исфагане сведениям, во всей исфаганской губернии силами реакции и начале 1947 года повсеместно были разгромлены клубы Народной партии Ирана. Это было проделано и в уездном центре Ферейдана – в Хунсаре (где нет грузинского населения). Когда грузинское население села Боини, где клубом Народной партии руководит Амирхан, окончивший в 1934 году семилетку в г. Тбилиси, * узнало о том, что реакционеры готовятся разгромить клуб Народной партии и в их селе, они поголовно вооружились вилами, лопатками, граблями и т. д. и через своего посланного предупредили погромщиков о том, что готовы к встрече с ними. Мужественный отпор, оказанный грузинами, напугал распоясавшихся громил, и они отказались от своего гнусного намерения, в результате чего клуб Народной партии существует в Боини и поныне“ [Асланикашвили 1948: 83-84].*

ამ ჩანაწერიდან ჩანს, როგორ დაიცვეს ბოინელმა ქართველებმა ბოინის სახალხო მისია, რომელსაც სათავეში ედგა ამირხანი, იგივე ამირან პაპაშვილი. ეს მაშინ, როცა შეძლეს ყველგან, მათ შორის, ხონსარშიც კი სახალხო მისიების გაუქმება.

გადის წლები და ქართულ პრესაში ისევ ჩნდება ინფორმაცია მის შესახებ.

2005 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ნოდარ კოჭლაშვილი აქვეყნებს სტატიას, რომელშიც ამირან პაპაშვილზეცაა საუბარი: 1965 წელს თეირანში საბჭოთა კავშირის სამრეწველო-სავაჭრო გამოფენის დროს საქართველოს პავილიონს სანახავად მოაწვდა ფერეიდანიდან თეირანში ჩასული ქართველობა, რომელთა შორისაც იყო ამირ მირზაჯაი, ამირან პაპაშვილი, ვაჟკაცური შესახედაობის, ინტელიგენტი. იგი ყოველდღე მიდიოდა გამოფენაზე და ისეთი სიამაყით უყვებოდა ირანელებს საქართველოს შესახებ, რომ ყველას საქართველოდან ეგონა. მამის გარდაცვალების შემდეგ ამირანი ისპაჰანში დასახლებულა და ტექნიკოსად მუშობდა სამშენებლო ფირმებში. ბოლო დღეს მას ნოდარ კოჭლაშვილისთვის წერილი გადაუცია, რომლის გამოქვეყნებაც, ბატონმა ნოდარმა, სამწუხაროდ, მხოლოდ 2005 წელს შეძლო:

„...რაც უნდა მტანჯონ, რაც უნდა მაწვალონ, მაინც არ გავხდები სპარსელი, მე ვარ ნამდვილი ქართველი. მე ჩემიერ და მთელი ფერეიდნელ ქართველების მიერ გადმოქცემთ სალამს და გამარჯობას ჩემო ძვირფასო ძმებო, დებო. მთელ ფერეიდნელ ქართველებ უნდათ საქართველოში წასვლა და თავიანთ ძმებისა და დების, ნათესავების ნახვა. ჩვენა დალოკულ ქართველობას არაფერი განვითარება სწავ-

ლა და შკოლა არ აქვს. ერთგულად გვინდა დედაენა ქართული წიგნები სხვადასხვა სოფლის იარაღები, რომ მტერმა არ დაგვკაროს თავზე მიწა და თქვენ მოხმარებით და მოშველებით ფეხზე დავდგეთ და ავშენდეთ. როცა მე თეპრანში ვნახე ბატონი ნოდარი კოჭლაშვილი ძალია გამიხარდა და იმას ვაკოცე, როგორც მთელ საქართველოს. ამ შეხვედრით ჩემი აზრი სიხარული დარეულია ბევრი რამის დაწერვა მედა მაგრამ არ შემიძლიან. ჩვენ ბედი ფერეიდნელ ქართველები არ დავკარგავთ ჩვენ დედა ენას და სუ დავრჩებით ქართველები. თქვენ რა შეგიძლიათ ჩვენ დაგვეხმარეთ. ჩვენ მამაძაღლ მტერს დავხვდებით ქართულად.

ვემშვიდობები მთელ საქართველოს და იმედი მაქვს მეორედ ვნახო ჩემი საყვარელი დიდი საქართველო და მოგვკვდე ჩემ საყვარელ საქართველოში.“

ამირ მირზაჯაი ამირან პაპიაშვილი“

წერილს პოსტ სკრიპტუმის სახით ებმის სამწუხარო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამირ მირზაჯაი სამიოდე წლის წინ დაღუპულა [კოჭლაშვილი 2005-3: 12].

სამწუხაროდ, ამბაკო ჭელიძის სურვილი, ამირან პაპიაშვილის სახით ფერეიდანში გაეგზავნა საქართველოში გაზრდილი ნასწავლი ახალგაზრდა, რომელიც შეძლებდა იქაურ ქართველებში განათლების შეტანას, მარცხით დამთავრდა.

ამბაკო ჭელიძემ სპარსეთში ყოფნისა და ბანკში მუშაობის პერიოდი მაქსიმალურად გამოიყენა ფერეიდნელი ქართველების დასახმარებლად. ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო ხიდი დიდ და პატარა საქართველოს შორის. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო თუ მუსლიმ ქართველთა კულტურული დახმარების საზოგადოება, – ამბაკო ჭელიძის დახმარებით ცდილობდა ფერეიდნელებთან კავშირის დამყარებას.

ამბაკო ჭელიძემ შეძლო და ივანე ჯავახიშვილთანაც დაამყარა სპარსეთიდან კავშირი. წერილებიდან ჩანს, ცნობილი მეცნიერი იღებდა ინფორმაციას ამბაკო ჭელიძისგან და მაქსიმალურად იყენებდა ყველა საშუალებას, რომ შეძლებისდაგვარად დახმარებოდა ფერეიდნელ ქართველებს.

5.5.6. ამბაკო ჭელიძის წერილები ივანე ჯავახიშვილთან

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ამბაკო ჭელიძის წერილები ივანე ჯავახიშვილისადმი. 1927 წელს პირველი წერილი გაუგზავნა ისპაჰანიდან ამბაკო ჭელიძემ ივანე ჯავახიშვილს. წერილებიდან ჩანს, რომ ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. შემდეგ კი, როგორც ჩანს, მათი ურთიერთობა გაღრმავებულა. ამბაკო ჭელიძე უნიკალურ მასალებს აწვდიდა ივანე ჯავახიშვილს ფერეიდნელი ქართველების ყოფა-ცხოვრების შესახებ. ამბაკო ჭელიძის წერილებიდან ჩანს, რომ 1927 წელს ივანე ჯავახიშვილი, უმძიმესი რეალობის მიუხედავად, საბჭოთა საქართველოს ოფიციალურ პირებთან ცდილობდა ფერეიდნელი ქართველების პრობლემებზე საუბარს და მათ მოგვარებას.

მიმოწერა საინტერესო მასალას შეიცავს ფერეიდნისა და იქაური ქართველების შესახებ. ამასთან ამბაკო ჭელიძე ივანე ჯავახიშვილს ფერეიდნელებისათვის სკოლის განხნის აუცილებლობაზე სწერს და ამ საქმეში დახმარებას სთხოვს:

„ფერეიდნში“ ათი-თორმეტი სოფელია ქართულ ენაზე მოლაპარაკე. იციან აგრეთვე სპარსულიც, მაგრამ მიუხედავად ამისა, სპარსული სკოლაც კი არ არის, არათუ ქართული. აქედან მიხვდებით, თუ რამდენით ჩამორჩენილნი არიან თვით სპარსულ ცხოვრებასაც კი.

სეიფოლა იოსელიანი ახლა ისპაჰანშია. მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ რამე ფერად ერთი პატარა სკოლა დავააროთ მთავრობის ნებართვით, რომ სპარსული წერა-კითხვა მაინც შეისწავლონ. ამის შესახებ მივსწერეთ სახალხო განათლების კომისარს დ. კანდელაკს. ვსთხოვთ დახმარებას, მაგრამ არ ვიცი ჩვენი წერილები მოაღწევს მანამდე თუ არა? ამიტომ ვთხოვთ გაისარჯოთ და მიხვიდეთ მასთან... ჩვენ ვთხოულობთ ათას მანეთის დახმარებას, თუმცა ეს ძალიან ცოტაა ამათი საჭიროებისათვის, მაგრამ პირველ დაწყებისას ესეც დიდი სიკეთე იქნება. მთელს სოფლებში ერთი ისეთი შენობა არ არის, რომ სკოლისათვის გამოდგეს“ [ჭელიძე 1927 (N4089)].

იმ მიზნით, რომ ახლოს გაეცნო ფერეიდნელი ქართველები, ამბაკომ თეირანიდან ისპაჰანში გადასვლა ითხოვა. როგორც იქნა, მისი თხოვნა დააკმაყოფილეს.

იმავე წელს, ამბაკო ჭელიძე მეორე წერილს უკვე ისპაჰანიდან აგზავნის. წერილში კვლავ აქტუალურია სკოლის განხნის საკითხი:

„...განზრახვა გვაქვს ერჯერობით ერთი ქართული სკოლა ავაგო მარტყოფში. ამოდონა სოფელში ერთი შენობა არ არის, რომ სასკოლოდ გამოდგეს. ამის ასაშენებლად ბევრი არ არის საჭირო, დაახლოებით 800 მანეთი უნდა“.

როგორც ამ წერილიდან ჩანს, ივანე ჯავახიშვილი შიშობდა, რომ ამ იდეას პოლიტიკური წინააღმდეგობა შეხვდებოდა სპარსეთის ხელისუფლებისაგან.

ამბაკო ჭელიძე ივანე ჯავახიშვილის სიფრთხილეს უსაფუძვლოდ მიიჩნევს და შეახსენებს, რომ სპარსეთში სხვადასხვა ეროვნული სკოლების არსებობა ჩვეულებრივი ამბავია. მაგალითად მოჰყავს ამერიკელების, ინგლისელების, ფრანგების, სომხების, ებრაელების სკოლები. აქვე დასძენს, რომ „ებრაელებს, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ხალხია, ვაჭრები არიან, სკოლის ფონდი საფრანგეთიდან მოსდით, სკოლაც იქიდან არის დაარსებული. მაგრამ არავინ არ ედავებათ“. როგორც ჩანს, სწორედ საქართველოდან დაფინანსებული სკოლის მოდელი წარმოედგინა მას ყველაზე მისაღებად თავისი იდეის განსახორციელებლად.

ამბაკო ასე აღწერს ადგილზე შექმნილ ვითარებას: *„ამ სოფლებს, რომელნიც ადრე გაყიდულან ბახტიარებზე ან სხვა არაქართველებზე, ენაც დაუვიწყებიათ თითქმის. ასეთია, მაგალითად, სოფელი აფუსი. იგი შეუძენია თუ არა ვინმე თურქს...“*

შემდეგ ქართული დაუვიწყრიათ თითქმის. მაგიერათ დიდ სოფლებში ენა დაცულია სათანადოთ. პირიქით, რომელი სპარსელიც რაიმე შემთხვევით მათში ჩასახლებულა ან რაიმე კავშირი აქვთ ყველამ კარგად იცის ქართული ენა. ზოგმა იმათგანმა ქართული ანბანი მოითხოვა, რომ შეიღებეს შეასწავლოს.

თვით სოფელ ჩუღურეთის მფლობელი ხანი თხოულობს ანბანს თავის შვილები-სათვის შესასწავლად, ასე, რომ ქართველობის და ქართული ენის ინტერესი არათუ გამქრალა ამ მივიწყებულ კუთხის ხალხში, პირიქით, საკვირველად სათანადოდ შენახულა, მაგრამ დღემდე არავინ ცდილა, რო მათში საზოგადო სწავლის სურვილი გაეღვიძებია.“

ამბაკო ჭელიძეს ესმის, რომ საქართველოში ნაკლებად შეიძლება ვინმემ მოიცალოს პატარა ფერეიდნის პრობლემები სათვის, რომ ძნელია ირანში გადახვეწილი თანამომძებების პრობლემების მთლიანად მოგვარება, მაგრამ მცირეოდენი დახმარების მიღების იმედს მაინც არ კარგავს:

„...ვიცი, რომ დიდ კაცებს დიდი საქმეები აქვთ, დიდი დრო უნდა მათთან მისვლას, დაახლოებას, ასეთ პატარა საქმისთვის მათი შეწუხება არც კი ღირს და შეიძლება ერთგვარი ცოდვის ჩადენაც იყოს, ამიტომ დიდკაცებს მაინცდამაინც ნუ შეაწუხებ. ამჟამად აქ ბევრის გაკეთება არ შეიძლება“ [ჭელიძე N4090].

ამავე წერილს ერთვის სეიფოლა იოსელიანის ბარათიც ივანე ჯავახიშვილთან:

„პატივცემულო ძმაო ივანე, გისურვებ გამარჯვებას და კარგად ყოფნას, ვითხარ, კაცო, ეს რამდენი ხანი იყო ველოდებოდი თქვენგან ფასოხი მივიღოთ. აბა ქაღალდები რომ გამოვგზავნეთ ჩემესწდომია მანდ თუ არა. ეს ხუთი დღე არი რომ თქვენი წერილი ბატონ ამბაკოსთან ვნახე და ძალიან გუგუხარდა რომ მაინც გზა გეება. რაცღა რო პატივცემულ ამბაკოს დოვწერია, უნდა ეცადო, რომ ეს შრომები არ დაგეკარგოს ყველანი ფერეიდანის ქართველების შესახებ. ივანე, თუ არ დაგეზარება, ყველა დები და ძმები და ნაცნობები სამშობლოს ხალხი ჩემი პირობით მომიკითხე და მახსენეთ, რომ არ დუღუვიწყონ ეს ბატარა ფერეიდნელ ქართველები მაინც თქვენი ნახლეჩნი ვართ თქო. იმედი არი რომ მალე მოგვწერო ფასოხი. იყავით კარგად და გამაჯვებულნი ყველა ქართველნი. გწერს შენი ძმა სეიფოლა იოსელიანი ფერეიდნელი მარტყოფელი 9 მაისს 1927 წ. ქ. ისპაჰანიდან.

წერილს კვლავ ამბაკო ჭელიძის მინაწერი აგრძელებს: „სახალხო განათლების კომისარმა ნება დართო სეიფოლას, ერთი სკოლა გააღოს დროებით შენობაში, იმ პირობით, რომ სასკოლო ავეჯი შეეკეთილი აქვთ. ამ ზაფხულში თვით განათლების კომისარი ინახულებს ფერეიდანს და მასწავლებელსაც გაგზავნის [კეკელია, მანია 2010: 22-28].

ამბაკოს წერილებიდან ჩანს, რომ ის არ ცდილობს ფერეიდნელებისთვის ყალბი იმედებისა და ილუზიების შექმნას:

„მე ამათ ვანუგეშებდი და არასდროს არ დავპირებდვარ, „სამოთხეს“ საქართველოში. პირიქით, ვეუბნებოდი, – ან ეცადეთ, ცხოვრება წინ წასწიეთ, შორს არ ვართ, ერთი აეროპლანი რამდენიმე კაცს რამდენიმე საათში გადაგაფრენთ საქართველოში და იმ დღესვე უკან დაბრუნდებით მეთქი. ჩვენც ხშირად მოვალთ თქვენს საქართველოში“ [ჭელიძე 1927 (4089)].

ამბაკო ჭელიძე ივანე ჯავახიშვილისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში კვლავ სკოლის თემას უბრუნდება და გულიწკვივლს გამოთქვამს, რომ ქართველებისთვის სკოლის დაარსების საკითხი პრობლემური გახდა, მაშინ, როცა ორი სომეხი ფერეიდნიდან რუსულ ბანკში მისული მაშინვე დააკმაყოფილეს: *„გაშალეს უშველებელი სია – ფერეიდანში სკოლა უნდა შეეკეთოთ, შეგვეწიეთო. რასაკვირველია, ხელცარიელები არ გასულან გარეთ. სხვისთვის შეიძლება, ჩვენთვის არა!“ მეთიც, წერილებიდან ირკვევა, რომ ფერეიდნელი ქართველების მიღება აუკრძალა კონსულმა ამბაკო ჭელიძეს. იგი წერს: „საზოგადოდ, „ფერეიდანის“ ხსენებას აქ ძალიან საეჭვოდ უყურებენ და რაღაც საშიშად მიაჩნიათ, თუმცა ამ სიტყვაში საშიში ნამდვილად არაფერია.“*

მომდევნო წერილებში ამბაკო ჭელიძე უამბობს ივანე ჯავახიშვილს, როგორ სირთულეებთან იყო დაკავშირებული მისი მოგზაურობა ფერეიდანში, ქართველთა სოფლებში, რის გამოც მხოლოდ ოთხი დღე ღარჩა იქ და ყველა სოფელში მისვლა ვერც მოახერხა.

საინტერესო ცნობებს შეიცავს ეს წერილები საქართველოდან გაგზავნილი მოხელის, ზემოთ უკვე ნახსენები ნ. ყარანგოზიშვილის, შესახებაც, რომელიც ქართველ მუსლიმთა საზოგადოების სახელით ჩასულა სპარსეთში, მაგრამ ვერც ფერეიდანში ავიდა და თბილისშიც დაავიწყდათ თითქოს მისი არსებობა:

„1925 წელში, შემოდგომაზე თეირანში ჩამოვიდა ნ. ყარანგოზიშვილი, როგორც წარმომადგენელი საქართველოდან ფერეიდანელ ქართველების ყოფაცხოვრების გამოსარკვევათ. ამით მე გავიგე, რომ საქართველოში დაარსებულიყო „მუსლიმან ქართველთა დამხმარე კულტურული საზოგადოება“. სწორე ვითხრა ასეთ რამეს სრულიად არ მოველოდი და რასაკვირველია, გამეხარა. ყარანგოზიშვილი დღე და დღე ეპირებოდა ფერეიდანში წასვლას, მაგრამ რაც უმთავრესი იყო სწორედ ის არ ჰქონდა ე.ი. ფული... ნ. ყარანგოზიშვილი წარმოსადექი კაცია. ცოცხალი ბუნების, საკმაოდ ლამაზი თვალტანადობის, ინტელიგენტი, წმინდა ევროპული თავაზიანობით. მე მას აქამდე არ ვიცნობდი. მაგრამ ვინც ის ნდობით და საბუთებით აღჭურვა ალბათ კარგად იცნობდა მას. იგი გამოჩნდა თუ არა თეირანის ქუჩებზე და საზოგადო ადგილებში მაშინვე მიიზიდა ყველას თვალი და ყური. დასაფიცავი არაფერი იყო. ყველამ იცოდა, რომ ის იყო წარმომადგენელი საქართველოდან ქართველ მუსლიმანთა მდგომარეობის გამოსარკვევათ და სხვ...“.

როგორც ჩანს, ყარანგოზიშვილის მისია მალე შეიცვალა. მას შეუწყდა ცენტრი-
დან დაფინანსება და მხარდაჭერა. ის უფუნქციოდ დარჩა თეირანში. ამის შესახებ
ამბაკო წერს:

*„ყარანგოზიშვილმა ისევ მეორეთ მოიარა თბილისი და კვლავ დაბრუნდა თეი-
რანში. აი ამის შემდეგ გაუწყრა ღმერთი შენს მტერს! ყარანგოზიშვილი იჯდა
თეირანში და ყოველ დღე ფულს მოელოდა, მაგრამ ვერსაიდან მიიღო. შეწუხდა,
დავალიანდა, ავადაც გახდა. მაინც კი არავინ მოიგონა მისი იქ ყოფნა. საგამოცნოთ
შეიქნა ყველაფერი. მუდამ იმის ფიქრში ვიყავი: რა იყო, რა ამბავია?.. ყველაფერი
ეს ტყუილი იყო თუ ამ კაცმა დააშავა რამე?! მას აქეთ კარგა ხანია და ახლაც არ
ვიცი რაშია საქმე. ვერავისგან გავიგე მიზეზი. თვით ყარანგოზიშვილი არას ამ-
ბობდა გარკვევით გარდა იმისა, რომ ის „წარმომადგენელი“ იყო და ფულს კი აღარ
უგ ზავნიდნენ. თითქო იმანაც არ იცოდა მიზეზი თავისი ასე უპასუხით დარჩენისა.
რად ბევრი შეგაწუხო, ასე მიჩუმიდა ყველაფერი. ყარანგოზიშვილი დღესაც თეი-
რანში ზის „წარმომადგენლის“ ტახტზე მუხლმოკეცილი. აღარ ვიცი ბოლოს და
ბოლოს რაიმე პასუხი გასცეს თუ არა, თუ წინათაც იცოდა და მე არ მიმხელდა?..“
[ჭელიძე 1927 (4089)].*

ამ წერილებიდან აშკარად ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ადრევე დაინტერე-
სებულა ფერეიდნული თემით და საგანგებო წარმომადგენლებიც ჰყავდა ირანში. რა
კონკრეტული დავალება ჰქონდა ყარანგოზიშვილს, როგორ შეასრულა მან ეს დავა-
ლება ან რა ბედი ეწია მას ირანული მისიის შემდეგ, ამის შესახებ ჯერჯერობით
არაფერია ცნობილი.

5.5.7. ამბაკო ჭელიძე და ფერეიდნული ქართველები

ამბაკო ჭელიძე იყო ფერეიდნელებისთვის დიდი იმედი, ისტორიული სამშობლო-
დან მოსული „სხილკაცი“, პატრონი, როგორც მას უწოდებდნენ ხოლმე.

ფერეიდნული ქართველები საოცარ სიყვარულსა და დიდ პატივისცემას გამოხა-
ტავდნენ „პატრონის“ მიმართ. ეს კარგად იგრძნობა ამბაკოსადმი მიწერილ მათ წე-
რილებში⁴⁶ :

*„დიდათ პატივცემულო ბატონო ამბაკო გავიმარჯვოს ღმერთმა ახლა მამიკითხე
ჩემი და სარა დიდი პატიოსნობითა.*

*იმისუკან ექ რო ბრძანდებოდით ქენ ამბავი არ გაგიგონია და მენატრება ქენი
ამბავის გაგება და იქნება ნამა ვერ დავხვდით და გავვიწყყერით და იმიტომ არ გოც-
ნობებ რავქნათ რომ ჩონ უსწავლელობა ეგეთია და უნდა გვაპატიოთ.*

46. სრულად ეს წერილები შეგიძლიათ ნახოთ „ფერეიდნულ ქრონიკებში“.

მეც ემ დღებში წამოსლა მინდ და გნახავთ ახლა შეიღობით
ნახვამლი გწეს (ასეა!)

ჰაჯიმაჰ მაღა თავაზიანი

ემ წერილს ვატან ჩონი ძმას ალი მაჰმადასა“ [ჭელიძე 25809/12].

ამ წერილებში ჩანს, როგორ შესწივიან „პატრონს“ – ამბაკოს ფერეიდნელები თავიანთ გასაჭირს:

„ჩემსალამი შენა

დიდა პატივეცემულო ბატონო ამბაკო

„გამარჯობა და კარგად ყოფნა შენადა ჩემს დას სარასა გამარჯობა და ქარგად ყოფნა ფათემა სალამს გიგ ზავნის ღურადა სეიფოლა და მორთეზა და გოლჩერა ბატონო დიდად დოგკოლნა მთავრობამ დღეს რო ოცი დღე შემოდ გომა არი მოუთხოვნია ყე ბოინჩი და მოლნებს მთავრობა და ფულსაც ითხვენ და არც გუშელიან ჩონი უფროსები

გწერს შენი უმცროსი

მე გი გამარჯო ბა ჰაჯი მაჰმადა თავაზ[ი]ანი

ვიც მაშ მუღლი იყო და წელი მეტი ჰქონ და თითო 5 თუძან ან 6 ან 10 ან 20 წართმევიანეს ყველასა გამშელებელი არიყო ბედ შავი ქარ თვე ლისა

ორი სამი წერილი მოვიგ ზავნე და არა ფერი პასუხი არ მამე“⁴⁷ [ლიტერატურის მუზეუმი, 25809/10].

ფერეიდნელი ქართველებს არ სჯეროდათ, რომ ამბაკო და მისი ცოლი ოდესმე წავილოდნენ საქართველოში და ვეღარასოდეს ნახავდნენ. როცა ამ ფაქტის წინაშე დადგნენ, ძალიან შეწუხდნენ. სარა ჭელიძე იგონებს:

„ფერეიდნელ ჯარი სკაცებს გაეგოთ ჩვენი გამგ ზავრების ამბავი და გულგახეთქილები მოცვივდნენ.

–მართალია, მართალია, პატრონო? ასე მალე მიდიხართ? – ერთმანეთს აღარ აცლიდნენ შეკითხვას.

ამბაკომ დაამშვიდა ისინი და უთხრა:

–მივდივართ, ჩემო ძმებო, მივდივართ. ჩვენც ცოლვა ვართ, განა არ იცით, რომ სამშობლოს მოცილებული ვართ რამდენიმე წელი? წავალთ და მერე ისევ დავბრუნდებით და გინახულებთ.

მე სუფრას ვაწყობდი, თან ღიმილით ყურს ვუგდებდი მათ ლაპარაკს. როცა ამბაკომ ეს სიტყვები უთხრა, ერთი მათგანი მე მომვარდა და მითხრა:

–მართალს ამბობს ამბაკო? მართლს კიდევ მობრუნდებით და გვინახულებთ?... მათმა მწუხარებამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ იძულებული ვავხდით გამოვპარვოდით, რადგან მათთვის აუტანელი იქნებოდა ჩვენთან გამოთხოვება“ [ჭელიძე 1958: 97].

47. სტილი დაცულია.

ამბაკო ჭელიძე თავის მეუღლესთან ერთად სპარსეთიდან საქართველოში დაბრუნდა 1929 წელს, თუმცა ფერეიდნელ ქართველებზე ზრუნვა და საქმიანობა არ შეუწყვეტია. როგორც აღვნიშნეთ, ქართულის უკეთ შესწავლისა და შემდგომში ფერეიდანში ქართული ენის სწავლების მიზნით მათ თბილისში ჩამოიყვანეს პატარა ბიჭი სოფელ ბონინდან ამირხანი, რომელსაც ამირანს უწოდებდნენ საქართველოში.

1930 წლის 23 ივნისს ამბაკო ჭელიძეს თბილისში, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში ჰქონდა მოხსენება „ფერეიდნელი ქართველები“. დაიბეჭდა აფიშაც, რომელზეც დიდი ასოებით იყო სათაური გამოტანილი „ფერეიდნელი ქართველები (მათი წარსული და აწმყო)“. აფიშა იუწყებოდა, რომ ნაჩვენები იქნებოდა ბუნდოვანი სურათები ფერეიდნელი ქართველების შესახებ. ამ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებდა ამირ-ალა ბონინელი. სალამოს გაუძღვებოდა იოსებ იმედაშვილი.

მოხსენება „ფერეიდნელი ქართველობა“ ამბაკო ჭელიძემ წაიკითხა ტფილისის განათლების მუშაკთა სახლშიც, ფურცელადის ქუჩის N3-ში 29 ოქტომბერს. აფიშა იუწყებოდა, რომ სალამოს უძღვებოდა ამხ. გალდავა. სამწუხაროდ, აფიშაზე წელი მითითებული არ არის.⁴⁸

ამბაკო ჭელიძეს წიგნი „ფერეიდნელი ქართველები“ დაიბეჭდა 1935 წელს, თუმცა ის ტირაჟი მთლიანად განადგურდა. იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცული ეგზემპლარი პოეტისათვის უჩუქებია ამბაკო ჭელიძის მეუღლეს, სარა ჭელიძეს 1954 წლის 28 დეკემბერს. წიგნს აქვს წარწერა სარას ხელით: „ქართველი ერის საამაყო შვილს, საამაყო შემოქმედს, იოსებ გრიშაშვილს ავტორის მეუღლის სარა ჭელიძისაგან.“ იმავე გვერდზე თავად გრიშაშვილის ხელით ფანქრითაა მინაწერი: „ეს წიგნი გასაყიდად არ გამოსულა (მთელი ტირაჟი უტელსირიოს გადასცეს). ერთ გადარჩენილ ეგზემპლარიდან, სარა ჭელიძის მეცადინეობით, დაიბეჭდა მეორედ, 1951 წელს შემოკლებულად, ეს წიგნი სრულია.“ ამას მოსდევს იოსებ გრიშაშვილის ხელმოწერა.

წიგნზე მითითებულია ხელმოწერის თარიღად დაბეჭდვისათვის 1935 წლის 20 თებერვალი.

როგორც ჩანს, მთელი ტირაჟის განადგურების მიზეზი გახდა ამბაკო ჭელიძის მოულოდნელი დაპატიმრება. 1935 წლის 22 ოქტომბერს ის დააპატიმრეს და ბრალად დასდეს მენშევიკურ ორგანიზაციაში მუშაობა და აგიტაცია. მან 4 თვე გაატარა ციხეში და იმავე წლის 30 დეკემბერს გაათავისუფლეს სტალინის პირადი მოთხოვნით⁴⁹. სწორედ ამ გაუგებრობას შეეწირა წიგნის მთელი ტირაჟი. 1940 წელს ამბაკო ჭელიძე გარდაიცვალა.

1951 წელს, უკვე ამბაკოს გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ, სარა ჭელიძემ, მოახერხა და ეს წიგნი მეორედ გამოსცა.

48. ვიორჯი ლეონიძის სახელობის თბილისის ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი.

49. სტალინთან ამბაკო ჭელიძეს პირადი ნაცნობობა აკავშირებდა. შსს არქივში დაცულია საკმაო ფაქტობრივი მასალა, რომელიც ამას ადასტურებს. ალბათ ამიტომაც გადაურჩა ის რეპრესიებს შედარებით ადვილად.

ამ გამოცემას, სავარაუდოდ, რუსული ვარიანტიც უნდა ჰქონოდა. როგორც სარა ჭელიძის წერილით ირკვევა, ერთი ვარიანტი დაიკარგა და მეორის დაბრუნებას ითხოვდა.

5.5.8. სარა ჭელიძე და ფერეიდანი

საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში, ამბაკო ჭელიძის არქივში ინახება სარა ჭელიძის მოგონებები ირანში ყოფნისა... მოგონებების დიდი ნაწილი, რომელიც მათ ფერეიდანში ყოფნას ეხება, შემოკლებული და რედაქტირებული ვერსიის სახით დაბეჭდილია ჟურნალ ცისკარში 1958 წელს.

როგორც ჩანს, თავდაპირველად სარას ნარკვევს სხვა სათაური ჰქონდა: „ნარკვევი ფერეიდანელ ქართველთა ყოფა-ცხოვრებიდან“. ამბაკო ჭელიძის არქივში შემონახულია სერგო კლდიაშვილისა და იოსებ გრიშაშვილის მცირე რეცენზიების ხელნაწერები:

„სარა ჭელიძის ნარკვევი ეხება ფერეიდანელ ქართველებს, სარა ჭელიძემ თავის ქმართან (ამბაკო ჭელიძესთან) ერთად ამ ორი ათეული წლის წინად იმეო ზაურა „ფერეიდან-საქართველოში. ამ იმეო ზაურის შესახებ ამბაკო ჭელიძემ წიგნიც გამოუშვა... სარა ჭელიძის ნარკვევი არ იმეორებს თავის ქმრის შთაბეჭდილებას, პირიქით, რაც ამბაკოს გამორჩენია, სარა (ასეა!) შეუვსია. (მაგ. ქალები უცხო მამაკაცებს არც ეჩვენებიან და არც ესაუბრებიან. ამგვარად სარას ჩანაწერებში ერთგვარ დამატებას წარმოადგენენ ამ ჟანრის ნარკვევისას. ასე და ამგვარად ეს მოგონებანი დამოუკიდებელი ნაწარმოებებია დაწერილია გულწრფელად, იკითხება ხალი სიანად. საქართველოს ისტორიული ამბების ერთ ნაწილს წარმოადგენს.

1954.12 დეკემბერი. იოსებ გრიშაშვილი“ [ჭელიძე 25872: 22].

„სარა ჭელიძე

ნარკვევები ფერეიდანელი ქართველების ყოფა-ცხოვრებიდან. ამხ. სარა ჭელიძე ირანელი პოეტების ცნობილ მთარგმნელის, განსვენებული ამბაკო ჭელიძის მეუღლე, თავის ნარკვევში ასახავს ირანში გადასახლებული ქართველების ყოფა-ცხოვრებას. რამდენიმე წელი გაატარა ირანში სარა ჭელიძემ. იმეო ზაურა და იცხოვრა იმ ადგილებში, სადაც ქართველები არიან გადასახლებული.

ავტორს, რომელიც კარგად იცნობს იქაურობას, საინტერესო მასალა შეუკრებიან.

ფერეიდანელი ქართველების შესახებ ჩვენ წავგიკითხავს არა ერთი ნაშრომი. ვრცლად აღწერა მათი ცხოვრება სარა ჭელიძის მეუღლემაც. პოეტმა-მთარგმნელმა ამბაკო ჭელიძემ, მაგრამ სარა ჭელიძე არსად არ იმეორებს თავისი მეუღლის ნაშრომებში მოყვანილ ცნობებს, ის თავისი კუთხიდან უკვირდება ფერეიდანელთა ყოფა-ცხოვრებას და ამასთანავე დიდი გულწრფელობით და საინტერესოდ გადმოვ-

ვცემს ყველაფერს, რაც თვალით უნახავს და გულით განუცდია – განსაკუთრებით საინტერესოა ნარკვევის ადგილები, სადაც ავტორი ფერეიდანელ ქართველ ქალებზე მოგვითხრობს.

ნარკვევი დამუშავებას და შესწორებას საჭიროებს და ამის შემდეგ მისი დაბეჭდვა სასარგებლო იქნება.

სერგო კლდიაშვილი 1954 წ. [ჭელიძე 25.872: 23].

ამის შემდეგ გადის ოთხი წელი და ჟურნალ ცისკარში იბეჭდება სარა ჭელიძის ნარკვევი სახელწოდებით „ფერეიდანში“. ეს მოვონებები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ სარა ჭელიძის თვალით დანახული ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებაა, ის ფაქტები და ემოციები, რომლებიც სარას ნაამბობშია, ბუნებრივია, ვერ მოხვდებოდა ამბაკო ჭელიძის თვალთახედავაში.

სარა ჭელიძე ფერეიდნელი ქართველების თვისებებიდან გამოკვეთს ძლიერი თავმოყვარეობის გრძნობას:

„ძალიან თავმოყვარენი არიან და მუდამ იმით ამყობენ, რომ ბახტიარებს მთელ სპარსეთში მხოლოდ მათი ეშინიათ და მათთან ვერა გამოსდით რა...“ [ჭელიძე 25 811: 11].

სარას გარშემო შემოიკრიბნენ ფერეიდნელი ქართველები, ცდილობდნენ არ მოშორებოდნენ, ის იყო მათთვის გაიდელალებული ისტორიული სამშობლოს სახე. სარა ჭელიძე, – ულამაზესი ქალი, სპარსეთის 1927 წლის სილამაზის კონკურსის დედოფალი, ცხენით მოჯირითე, კარგი მომღერალი, ლალი, თავისუფალი; სარა – ფერეიდნელებზე მზრუნველი, მეუღლესთან ერთად მებრძოლი ფერეიდნელთათვის ქართული სკოლის გასახსნელად, დასახმარებლად, – ძლიერი სარა – აი, ასეთი დარჩებოდა მათ მეხსიერებაში მათი საოცნებო ქვეყნიდან მოსული ქალი.

ასეთი იყო სარა. მისმა სილაღემ, სილამაზემ და თავისუფლების განცდამ მოაჯადოვა ფერეიდნელი ქალები.

ქალი მტრედით – ასე შეარქვეს მას, – მართლაც, სიმშვიდისა და რწმენის მომტანი გახდა იქაური ქართველებისათვის. სულ ოთხი დღე შეძლეს ამბაკომ და სარამ ფერეიდანში ყოფნა. ამბაკოს ამ დროის განმავლობაში თავისუფლად არც კი შეეძლო გადაადგილება, რადგან სეიფოლას მტრებმა არასწორი ინფორმაცია გაავრცელეს მის შესახებ, თითქოს გარკვეულ საფრთხეს მოიცავდა ამათი სტუმრობა ფერეიდნის ქართულ სოფლებში; დაუყენეს დაცვა...

აი, სარას კი მეტი თავისუფლება ჰქონდა, ცხენითაც იჯირითა. ფერეიდნელ ქართველ ქალებში სარას ეს უნარი და ნება თავისუფლების იდეალად იქნა აღქმული. სარა – სულ სხვაგვარი, ლალი, თავისუფალი და მოსიყვარულე. ამიტომაც ვეღარ შორდებოდნენ მას და ცრემლით აცილებდნენ. მათი თხოვნით იცეკვა, იმღერა მეუღლესთან ერთად, მოეფერა ობოლ გოგონას და შუამავლად დაუდგა სოფელთან, არ მიეთხოვებინათ გაცილებით უფროსისთვის; მიესიყვარულა თითოეულს...

არქივში დაცულ დღიურებში გაცილებით მეტი ინფორმაციაა, ძალზე საინტერესო ეპიზოდებია, რომლებიც არ მოხვედრილა ჟურნალ ცისკარში დაბეჭდილ სტატიებში:

„ქალაჯი მაჰმუდა თავაზიშვილისას ყოფნისას (რომელსაც მეტად კარგი ცოლ-შვილი ჰყავს), ლაპარაკში სხვათა შორის მან სთქვა, რომ ამ ერთი ბიჭის მეტი არა მყავს და ამასაც სამუდამოთ შეველევი თუ კი მეცოდინება, რომ იგი ჩემსავით უბედური არ იქნებაო.

მისმა პატარა ვაჟმა ამ დროს, რომელიც ოთხის წლის თუ იქნებოდა, ნაძალადევი ღიმილით ჯერ დედას შეხედა, შემდეგ მამას და მერე დედის კალთაში დამალა თავი და სლუკუნნი დაიწყო. როგორც თვით ჩვენი დედ-მამა ისე ჩვენცა ბევრი ვეცადეთ, მაგრამ დედის კალთიდან პატარას თავი ვეღარ ავალებინეთ“.

წლები გავიდა ამ ამბიდან. 2008 წელს ჩავედით ფერეიდანში მივლინებით და ჩვენი მასპინძელი აღმოჩნდა სწორედ ქალაჯი მაჰმუდა თავაზიშვილის შვილიშვილი ყორათ თავაზოპი, თავაძე (თავაზიშვილი) თავისი ოჯახით. ფერეიდანში ჩასული ძალიან ბევრ ადამიანის იმედი და მასპინძელი. გავიცანით მისი ძმები, და.

ვერც ქალაჯი მაჰმუდა თავაზიშვილი და ვერც მისი პატარა ატირებული ბიჭი, რომელსაც ძალიან შეეშინდა დედ-მამასთან დაშორებისა, ვერც კი წარმოიდგენდნენ მაშინ, რომ გავიდოდა წლები და მათი შთამომავლები აისრულებდნენ ამ ოცნებას, დაბრუნდებოდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში და აქ დამკვიდრდებოდნენ.

ძნელი აღმოჩნდა სარას გამომშვიდობება ფერეიდანთან:

„უკანასკნელათ ჩემი მარტყოფელებთან გამომშვიდობება ისეთ პირობებში მოხდა, რომ მისი აწერა მე არ შემიძლია, სადაც იმდენი ცრემლი დაიდგარა“.

სარა ჭელიძეს უდიდესი სიყვარული გამოჰყვა ფერეიდნიდან. მისი ყველაზე ბედნიერი წუთები ფერეიდანში ყოფნასთანაა დაკავშირებული. მოგონებებიდან ჩანს, როგორ უფრთხილდება მეხსიერებაში ყოველ წამს და იხსენებს ყოველ ეპიზოდს, რომელიც ფერეიდნელ ქართველებთანაა დაკავშირებული:

„რა ბედნიერები ვიყავით მე და ჩემი ამბაკო იმ დროს, როდესაც ჩვენ მათ ქართულ სიმღერებს უმღეროდით (ასეა!), რომელიც განსაკუთრებით უყვარდათ. სიმღერა: ქართველო ხელი ხმაღს იკარ“, და „ნეტავინ ჩიტი ვიყო“ [ჭელიძე 25 811].

გავიდა წლები და გაძლიერდა ნოსტალგია, მოგონებებში ხან ერთი ფერეიდნელი ქართველის სახე წამოტივტივდებოდა, ხან მეორის:

„ყველა ფერეიდნელების ნახვა ძალიან მინდა, მაგრამ, განსაკუთრებით ნახვის სურვილი მაქვს ფერეიდნელ ქალთა შორის: სულთანასი, ფატმასი, მობეიდასი, ბორშიდასი... ხოლო კაცთა შორის მუსტაფასი, ნოურუზასი, მუსაიდასი, ქალაჯი მაჰმუდასი იადულასი და ყოლლა მუსეინასი“ [ჭელიძე 25 811: 4].

განსაკუთრებით გაუსაძლისი გახდა მონატრება ფერეიდანში გატარებული დღეებისა მას შემდეგ, რაც ამბაკო ჭელიძე გარდაიცვალა და სარა მარტო დარჩა:

„ჩემო ამბაკო, ჩემო ძვირფასო, ჩემო ყველაზე... ხშირად მეზმანება: მე და შენ ფერეიდანში ვართ... რომ გაიგებდნენ ჩვენს მოსვლას და სიხარულით გასძახოდნენ ერთი მეორეს: სარა და ამბაკო მოსულანო და ძორბოდნენ ქოშინით ჩვენკე...“ [ჭელიძე 25. 811].

სიცოცხლის ბოლო წლებში სარა ჭელიძე დაკავებული იყო ამბაკო ჭელიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის მოვლით.

5.6. მიხეილ ჯავახიშვილი და ფერეიდანი

მიხეილ ჯავახიშვილის საარქივო მასალებში, რომლის ერთი ნაწილიც 2015 წელს გამოცემა გამოქვეყნდა „ინტელექტმა“ სათაურით „უბის წიგნაკებიდან“, გვხვდება ფერეიდანთან და ფერეიდნელ ქართველებთან დაკავშირებული საყურადღებო ჩანაწერები. ამ ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მწერალი აპირებდა წიგნის დაწერას ფერეიდნის თემაზე. ამ ნაწარმოების სათაური ერთი ვერსიით იყო „სისხლის ყივილი“, თუმცა ზოგან ავტორს რომანის სათაურად ნახსენები აქვს „სალმასი“. არ არის გამორიცხული, რომ ერთ თემატიკაზე ჩაფიქრებულ სხვადასხვა თხზულების შესახებ იყოს საუბარი:

„ფერეიდნელმა ქალმა ქართული სახელი დაირქვა“ („სალმასი“) – 1924 წელი.

„რომან „სალმასის“ გმირს ჩაეწნას ფრეიდის ფსიხო-ეროტიული იდეა“ – 1924 წელი.

„სალმასი“ – ავწერო ფატალისტი სპარსელი, მისტიკოსი, დოგმატიკოსი (იხ. გ. ქიქოძის წიგნი. გვ. 158-161) – 1924 წელი.

სალ-სი“ – ფერეიდნელი ქალი მუდმივ სცდილობს ჩადრი მოიხადოს. ამის გამო მისი მამა ხშირად იცვლის ადგილს. – 1924 წელი [ჯავახიშვილი 2015: 23,25,27]

იმავე, 1924 წლის ჩანაწერებში, წიგნის მეორე თავში სავარაუდოდ, მეორე უბის წიგნაკში უკვე სათაურად ვხვდებით „სისხლის ყივილს“, „სალმასი“ კი აღარ ჩანს.

„სისხლის ყივილი“ – ფერეიდ. ქალს ოდესღაც უნახავს სიზმარი. იგი განხორციელდა.“ – 1924 წელი.

„სისხლის ყივილი“. განვითარდეს: ქართველი ქალის სიყვარული. ორივენი ერთნი არიან – ქალიც და კაციც.“ – 1924 წელი [ჯავახიშვილი 2015: 58,64].

მსგავსი ჩანაწერები, რომლებსაც სათაურად „სისხლის ყივილი“ აქვს, საკმაოდ ბევრია მომდევნო წლებშიც. მათში კარგად ჩანს, როგორ აგროვებდა მწერალი ისტორიულ მასალას:

„სისხლის ყივ-ის“-თვის მცირე მასალა იხილე კოლოუბის წიგნში „ვანი“ – 1925 (გვ.25)

„სის. ყივილის“ მასალები გამოერთვას ზ. ჭიჭინაძეს. – 1925 (გვ.82).

„სის. ყივილისათვის“ იხ. Тифлис, Бакрадзе. გვ.55-60“ – 1925 (გვ. 83).

„სის. ყივილი“ მასალა საქ. ისტ. დიმიტარიშვილისა და უჩან-სა.“ – 1925 (გვ.87).

„სის. ყივილი“ ურმიას უძველესი ეკლესია აშენებულია წარმართული ტაძრის ქვებისგან...“ 1925 წელი (გვ.93).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნახსენები ტოპონიმები, როგორებიცაა „სალმასი“, „ურმია“, გვაფიქრებინებს, რომ რომანის სიუჟეტში მოქმედების გეოგრაფიული არეალი გაცილებით დიდია სპარსეთში, ვიდრე ფერეიდნის რეგიონია. ისტორიული ცნობების მიხედვით აქაც იყვნენ ქართველები გადასახლებულები და მათი შთამომავლები დღემდე ცხოვრობდნენ იქ. უცნობია, რა ბედი ეწია რომანს. ყველა შემთხვევაში ძალიან საინტერესო იქნებოდა, ამ იდეას ხორცი რომ შესხმოდა და ნაწარმოებს მზის სინათლე ენახა.

ყველასთვის ცნობილია, როგორი პასუხისმგებლობით წერდა მიხეილ ჯავახიშვილი ისტორიულ რომანებს. მარტო „არსენა მარაბდელზე“ მუშაობისას ხუთი წელი მხოლოდ ისტორიული დოკუმენტებისა და საარქივო მასალის მოგროვებასა და გაცნობას მონადომა⁵⁰.

ჩვენ ვეძებთ ხელნაწერი ლიტერატურის მუზეუმში, მაგრამ როგორც ცნობილია, მწერლის არქივი თითქმის მთლიანად ინახება მის სახლ-მუზეუმში, რომელსაც მისი ოჯახის წევრები უვლიან. სამწუხაროდ, ჩვენ არ დაგვიშვეს მწერლის არქივის შესასწავლად, თუმცა სატელეფონო მოლაპარაკებისას, მიხეილ ჯავახიშვილის ფონდის მცველმა, ქალბატონმა ლელა სეხნიაშვილმა გვითხრა, რომ არქივში ყოფილა საქალაქო წარწერით „ფერეიდან“, მაგრამ ამ საქალაქის შიგთავსი გამჭრალიაო. სავარაუდოდ, მასალა მწერლის დაპატიმრებისას დაიკარგა. ვიმედოვნებთ, რომ ოდესმე გამოჩნდება რომანის ჩანაწერები, ფრაგმენტები, რაც აუცილებლად გამოავლენს დამატებით ცნობებს ფერეიდნისა და ფერეიდნელების შესახებ, რადგან მწერლის ჩანაწერებიდან ისიც ირკვევა, რომ ის იყენებდა იოსებ ჭეიშვილის მასალებს. ეს მასალები, რომლებიც ასევე გამჭრალია (იმედია, არა განადგურებული), ფასდაუდებელია, რადგან ის მოპოვებულია პროფესიონალი ისტორიკოსის, ეთნოლოგის მიერ ხუთთვიანი მუშაობის შედეგად. ცნობისათვის, არცერთ მკვლევარს, რომელიც დღემდე იკვლევდა ფერეიდანს, ადგილზე ორ თვეზე მეტი მუშაობის საშუალება არ მისცემია.

სამწუხაროდ, ამ დრომდე მიხეილ ჯავახიშვილის მიერ ფერეიდნის თემით დაინტერესების ამსახველ სხვა მასალას ვერ მივაკვლიეთ.

50. „... ერთი წლის შემდეგ (1926) „არსენა მარაბდელის“ პირველი თავი დაგებულე „მნათობში“. დაგებულე და მაშინვე შევწყვიტე.... ამისთვის საჭირო იყო მრავალი დაბეჭდილი მასალის, წაკითხვის გარდა მუზეუმებისა და ხელნაწერების გაჩხრეკა. ზოგიერთ სოფელში მისვლა, კორეპოდენტების შოვნა და ზეპირგადმოცემათა მოგროვება. ამ საქმეს კიდევ ოთხიოდე წელიწადს მოუწიდა და ბოლოს 1930 წელს საკმაოზე მეტი მასალა დამიგროვდა და რომანის წერაც განვაგრძე [მის. ჯავახიშვილი, ტ.6:168-169].

მიხეილ ჯავახიშვილს რომანში „არსენა მარაბდელი“ ერთ-ერთი სიტყვა განმარტებული აქვს როგორც ფერეიდნული: „დელი ბოზი – დელი ბოზი, გიჟი ლამაზი. მცირე აზიაში „ბოზი“ საერთოდ ლამაზს ნიშნავს და ფერეიდნელი ქართველები დღესაც ამ აზრით ხმარობენ ამ სიტყვას⁵¹“ [ჯავახიშვილი 1955: 582].

როგორც ვხედავთ, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ფერეიდნული თემა იმდენად გამჭოლი ხდება, რომ ის თანაბრად აისახება საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ, სამეცნიერო, პუბლიცისტურ სფეროებში. თემის სოციალიზაციის მაღალი საფეხურის მაჩვენებელია ის, რომ მისი ლიტერატურული აქტუალიზაციაც გარდაუვალი იყო, თუმცა ამ საქმეს სხვა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა შეუშალა ხელი.

როცა ფერეიდნელი ქართველები წუხან და დარდობენ, რომ დედამშობლომ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია თავის დაკარგულ შვილებს და იმდენი ყურადღებაც კი არ გამოიჩინა მათ მიმართ, რამდენსაც კრუხი თავისი დაკარგული წიწილების მოსაძებნად იჩენს,⁵² იმასაც გულისხმობენ, რომ საქართველოში ფერეიდნულ თემაზე არ შექმნილა არც ლიტერატურული ნაწარმოები, არც ფილმი... რომელიც მათ ტრაგიკულ ბედს საერთო მეხსიერების ნაწილად, საერთო ტკივილად აქცევდა.

ჩვენ არ ვიცით მიხეილ ჯავახიშვილის რომანის ზოგადი ფაბულაც კი, მაგრამ, სავარაუდოდ, ის იქნებოდა ფერეიდნული თემის „დაბრუნებისა“ და ორმხრივი კულტურული, ენობრივი და სოციალური რეინტეგრაციის ორგანული და ლოგიკური პროდუქტი, „კოლექტიური“ მეხსიერების „გადატვირთვის“ მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ის, რომ მიხეილ ჯავახიშვილის რომანმა ვერ ნახა დღის სინათლე, მხოლოდ ლიტერატურული ცხოვრების დანაკლისი არ არის. ქვეყანა, რომელიც ვერ ახერხებს ამ მასშტაბის მოვლენების კოდიფიცირებას სულიერი კულტურის ნაწილად, ვერასოდეს ჩაითვლება შემდგარ და რეალიზებულ სახელმწიფოდ. ის, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა დაწერა წიგნი ფერეიდნელთა შესახებ, „ამთლიანებს“ ფერეიდნული ენობრივი კუნძულისა და ისტორიული სამშობლოს ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ცოცხალ ერთობას. ნაწარმოების „ამოგლეჯამ“ ამ კონტექსტიდან კიდევ უფრო გაახანგრძლივა და სხვადასხვა მრუდი ბილიკებით ატარა ერთმანეთისა და გამთლიანებისკენ მსწრაფი იდენტობა, დაახებრა და მოაღუნა ერთიანი კულტურული მეხსიერების აღდგენის ზოგადი კონტური.

51. შევეცადეთ, მოგვეძიებინა ეს სიტყვა ფერეიდნში მუშაობის დროს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ დავადასტურეთ.

52. ეს სევდიანი მეტაფორა თაობიდან თაობაში გადადის და საუკუნეზე მეტია, საქართველოდან ჩასულ ყველა სტუმარს ამ ტკივილიან კითხვას უსვამს სხვადასხვა თაობის ფერეიდნელი.

6. მე-20 საუკუნის ორმოციანი წლები – საბჭოთა პოლიტიკის ფერეიდნული კულისები

მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლები არ გამოირჩევა დიდი აქტიურობით პუბლიცისტიკასა და პერიოდულ პრესაში ფერეიდნელთა საკითხის წინ წამოწევით, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ინტერესმა იკლო ან ნაკლებ აქტუალური გახდა ფერეიდნული თემატიკა. შეიძლება ვთქვათ, რომ პირიქით, ამ საკითხის განხილვამ სამთავრობო დონეზე გადაინაცვლა და ორმოციანი წლებისთვის მაღალი რანგის სახელწიფო მოხელეების ინტერესის სფეროში მოექცა. საქმე ის არის, რომ პატარა ეთნიკური ჯგუფები საბჭოეთის საზღვრებს გარეთ, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, ყოველთვის ძლიერი იარაღი იყო პოლიტიკური პროცესების სათავესოდ წარმართვისათვის. კომპაქტურად დასახლებული ქართული ეთნიკური ჯგუფი სხვა ეთნიკურ უმცირესობებთან ერთად, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ ირანში, საბჭოეთისათვის გახდა მნიშვნელოვანი, როგორც მღელვარების გამოძევევი შესაძლო ინსტრუმენტი ირანის შიდა პოლიტიკაში.

ეთნიკური უმცირესობების „თვითგამორკვევის“ საკითხით მანიპულირება პოლიტიკაში ცნობილი ხერხია.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ირანის სურვილი, დაეკვა ნეიტრალიტეტი, ამოიგადა, 1941 წელს სპარსეთში შევიდნენ ინგლისისა და საბჭოთა ჯარები. ფერეიდნელთა გადმოცემით, საბჭოთა ჯარი ფერეიდნამდეც ასულა და პირველი სომხური სოფლიდან გაუყვანია მოსახლეობა. ფერეიდნელი ქართველების გულუბრყვილო რწმენით, ქართველების წაყვანა სდომებიათ, მაგრამ შეშლიათ და შეცდომით გაუყვანიათ სომხები.

საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეული ქართული და სომხური მიწებისა და სპარსეთისგან აღერბაიჯანის დაბრუნებისა და აზერბაიჯანისათვის შემოერთებისათვის, რასაც, თავის მხრივ, უნდა მოჰყოლოდა აზერბაიჯანისაგან საინგილოს გადაცემის პროცესი საქართველოსათვის. ამ ფონზე განიხილებოდა სომხური და ქართული მოსახლეობის დაბრუნების პროცესი სპარსეთიდან სომხეთსა და საქართველოში [მამულია 2005: 6].

ეს პროცესები ფარულად მართული უნდა ყოფილიყო, რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლების მიერ, მაგრამ ოფიციალურად ე.წ. ეთნიკურ უმცირესობათა თვითგამორკვევის სახელით უნდა წარმართულიყო.

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ სტრატეგიაზე მეტყველებს სტალინის რეპლიკა: კითხვაზე – რატომ არ უწვდიდა ხელს თურქეთის ლაზებს, სტალინმა უპასუხა, რომ მზად იყო დახმარებოდა თურქეთის ლაზებს, ოღონდ არა ახლა და არა თურქეთისა და ირანის საშინაო საქმეებში ჩარევის გზით. ასეთი საკითხები წყდება შინაგანი ბრძოლით თვითგამორკვევისა და ავტონომიისათვის, რასაც მათ შეუძლიათ მიაღწიონ [ჯავახიშვილი 2004: 291].

საბჭოთა ხელისუფლებას ხელს აძლევდა საზოგადოებისთვის რაც შეიძლება მძიმედ დაეხატა ეთნიკური ქართველების ყოფა, შეექმნა საზოგადოებრივი აზრი და წინასწარ შეემზადებინა ის მოსალოდნელი მღელვარების გასამართლებლად.

ამდენად, საბჭოთა საქართველოს მთავრობამ კვლავ წინ წამოსწია ფერეიდნული საკითხი.

1944 წელს ფერეიდანში გაიგზავნა გადამღები ჯგუფი, რომელსაც უნდა გადაეღო ფილმი ფერეიდნელი ქართველების შესახებ. აი, რას წერს ამ ფილმის რეჟისორი ირაკლი კანდელაკი:

„1944 წლის პირველ აპრილს თბილისიდან სპარსეთს გავემგზავრეთ. ჩვენი ექსპედიცია ოთხი კაცი საგან შედგებოდა: ექსპედიციის ხელმძღვანელი ამ წერილის ავტორი, კინოოპერატორი ა. სემიონოვი, ხმის ოპერატორი ო. ლაპინსკი და ავტომანქანის მძღოლი. ჩვენი მიზანი იყო, ჩავსულიყავით ფერეიდანში, გვენახა 336 წლის წინათ დასახლებული ქართველები. შეგვესწავლა და კინოფირზე გადაგვეღო მათი ყოფაცხოვრების ამსახველი სურათები“ [კანდელაკი 1961-1].

ირაკლი კანდელაკმა მონახულა ქართული სოფლები და შეძლო დოკუმენტური ფილმის გადაღებაც „ფერეიდნელი ქართველები“. ეს საკმაოდ მძიმე ფილმია, ასახავს ფერეიდანში მცხოვრები ქართველების ჩაგრულ ყოფას, თითქმის მონურ, ქანცაწყვეტილ შრომას ბატონების სასარგებლოდ.

ნ. კოჭლაშვილი იგონებს ი. კანდელაკის შესახებ: „სხვათა შორის ირაკლი კანდელაკმა ჩუმად მიამბო მათი ხასიათის შესახებ. ფილმში ამის თქმა არ შეიძლებოდა და ჩემთან იხებდა გულს – კაცო, ეს რა ვნახე, რა ვაჟკაცები არიანო! [კოჭლაშვილი 2006: 31]. ნ. კოჭლაშვილსაც რამდენიმე მაგალითი მოჰყავს მათი მეომრული სულის, დაუმორჩილებლობისა და ვაჟკაცობის მაგალითად.

ნათელია, რომ დაჩაგრული, დამონებული ეთნიკური უმცირესობის ხატის შექმნა მიზნობრივად მიმდინარეობდა მოსალოდნელი მღელვარების გასამართლებლად, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად.

საინტერესოა, რომ ამ ფილმის გამოძახილი დღეს მძიმეა თვით ფერეიდნელ ქართველებში. 2008 წელს ჩვენი სტუმრობისას ფერეიდანში, ერთ-ერთმა იქაურმა ქართველმა საუბარი ამ ფილმზე ჩამოავდო. ის წუხდა, რომ ფილმში ძალიან ბეჩავად და დუხჭირად გამოიყურება ფერეიდნელთა ცხოვრება. საქართველოში, ალბათ, ძალიან დარდობენ ამის გამო, წარმომიდგენია, როგორ სტკივით გული და ტირიან ჩვენ გამო, ამიტომ გადაეცით ქართველებს, რომ ჩვენ არაფერი გვიჭირს. ნუ იდარდებთ, ნუ იტირებთ ჩვენ გამო.

ირანში ყოფნიდან რამდენიმე წლის შემდეგ ირაკლი კანდელაკი აქვეყნებს სტატიებს ქართულ ჟურნალებსა და გაზეთებში ფერეიდანში თავისი მოგზაურობის შესახებ.

ფერეიდნელი ქართველები ამჯერადაც (ეს უკვე ფერეიდნელების მესამე თაობა იყო, რომელიც ლადო აღნიაშვილისა და ამბაკო ჭელიძის შემდეგ მათი ცხოვრებით დაინტერესებულ, მათთან საგანგებოდ ჩასულ ცოცხალ ქართველებს ეცნობოდა) საოცარი სიხარულით შეხვდნენ დიდი საქართველოდან მოსულებს:

„ჭუსეინმა ჩვენი თავი გააცნო გლეხობას. გაიცანით, ეს ჩვენი ძმებია დიდი საქართველოდან, სტუმრად ჩამოვიდნენო. ენა არ ასწერს, რა სიხარულით და სიყვარულით მიგვიღეს. ყველა ახლო მოიწვეს, ხელს გვართმევს, გვლოცავს, რაღაცას გვეკითხება, ზოგი ხელს გვისვამს ტანი სამოსზე, ყველა ერთხმად გაიძახის – აკი საქართველო აღარ არისო!“ [კანდელაკი 1958: 12].

ირაკლი კანდელაკი საუბრობს ფერეიდნელთა მძიმე ყოფაზე, წერილში გვხვდება რამდენიმე საინტერესო დეტალი:

„განათლების მხრივ ფერეიდნელები ძლიერ ჩამორჩენილები არიან. ორმა-სამმა კაცმა თუ იცის წერა-კითხვა. ყველაზე კარგად წერა იცის **მოლას პაპიაშვილმა**. ქართული სიმღერები უკვე დაკარგულია. მხოლოდ იავ-ნანაღა შემონახულია. ხშირად გაიგონებთ, დედა ნანას ეუბნება აკვანში მწოლიარე ბავშვს. ქართული ჭიდაობა ერთ-ერთი საყვარელი გართობაა აქ. დღესაც კარგად შემონახულია შუაკაური, გარე სარმა, მოგვერდი“ [კანდელაკი 1958: 12].

სამწუხაროდ, არც იავნანა და არც ჭიდაობის ილეთების სახელები არ გვხვდება არც ერთ ჩანაწერში. ვერც ჩვენ დავადასტურეთ ფერეიდანში ყოფნის დროს. კითხვაზე: რას უმღერით // უმღეროდით შვილს ძილის წინ, გვპასუხობდნენ: „ლალალა, გოლე ლალა...“

ირაკლი კანდელაკი რატომღაც თორელის ნაცვლად ყველგან ახსენებს ფორელს, ბონინის ნაცვლად – ბოლნისს. ასევე საინტერესოა, რომ წერს, თითქოს სტუმრად იმყოფებოდა სოფელ ავჭალაში, რომელშიც, მისი თქმით, მშვენივრად იყო დაცული ქართული ენაც და კერძებიც: „სოფ. ავჭალაში ვნახეთ ჩვეულებრივი ჩვენებური ქოთანის, რომელშიც ლობიოს ხარშავდნენ. საჭმელები თითქმის ქართულია. აკეთებენ მწვადს, ხაშს, ხინკალს, ყაურმას. წნილიც ხშირად შეგ ხვდებათ ქართველთა სუფრაზე. ქალები და ბავშვები ოჯახში ერთმანეთს ქართულად ელაპარაკებიან. ენა ყველგან ერთნაირად არ არის შენახული. მაგალითად, სოფელ ჩულურეთში ნახეთ ისეთ ქართველს, რომელსაც ძლიერ უჭირს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი“ [კანდელაკი 1958: 13]. დღეს სოფელ ავჭალას შესახებ ვერაფერს გეტყვიან ფერეიდნელი ქართველები, როგორც ჩანს, ირაკლი კანდელაკი უნდა გულისხმობდეს სოფელ შაჰ-ვურდს, რომელსაც ქართულად შავსოფელს უწოდებდნენ. სამწუხაროდ, დღეს ეს სოფელი აღარ შედის ქართული დასახლებების ჩამონათვალში.

საინტერესოა, რომ თითქმის იდენტური შინაარსის სტატიები ირაკლი კანდელაკმა დაბეჭდა 1961 წელსაც გაზეთ „მედიცინის მუშაკში“. ეს არ იყო შემთხვევითი. ამ სტატიების ხელახალი გამოქვეყნების მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება და გარკვეული სტერეოტიპული ხედვის შექმნა ფერეიდნელთა ცხოვრების მიმართ. ასევე ფერეიდნელ ქართველთა სურვილის ქართულ საზოგადოებამდე მიტანა. სწორედ ამიტომ გაზეთ „მედიცინის მუშაკში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ჩამატებულია პასაჟები, რომლებიც ფერეიდნელთა მდგომარეობასა და განწყობას ეხება:

„ერთმა მარტყოფელმა მოხუცმა 90 წლის ხუციშვილმა ასე მოგვმართა: – გადაცით დედა საქართველოს მცხოვრებლებს, რომ ჩვენ ცოტა ხნის სიცოცხლე დავგრძენია, თუ ჩვენ მოკლე ხანში არ გვიშველეს, მერე გვიანლა იქნება და ჩვენ დალუპვის გზაზე ვართ მისული“ [კანდელაკი 1961-2].

„...მართლა ასეთი ბედი მოეღოს ფერეიდნელ ქართველებს, თუ სპარსეთის ხელისუფლებამ მათ მიმართ არ შესცვალა დამოკიდებულება. დღესაც ძალაშია შაჰაბასის მიერ დატოვებული უღმობელი კანონები ფერეიდნელი ქართველები სადღემი...“ [კანდელაკი 1961-2].

ასე იქმნებოდა საზოგადოებრივი აზრი. ფერეიდნელების სწრაფვას რეინტეგრაციისაკენ ქართული საზოგადოებაც შემზადებული უნდა დახვედროდა, შემხვედრი მოლოდინითა და მონატრებით, კვლავ ერთად ყოფნის სურვილით. ის, რაც ქართული პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა, ფაქტობრივად, საბჭოთა სახელწიფოს ინტერესის განმძვანება იყო. შეიძლება ითქვას, რომ კუნძულებლთა სამშობლოსთან ხელახალი დაახლოების ისტორიული გარდაუვალობა და საბჭოთა ქვეყნის ინტერესები ერთმანეთს სასიკეთოდ დაემთხვა და გადაეჯაჭვა.

დავუბრუნდეთ ისევ გვიან 40-იან წლებს. ომი ახალი დამთავრებულია. „გამარჯვებული“ საბჭოეთის ყველა მიზანს ეს რეალობა წარმართავს.

საბჭოთა საქართველოს მთავრობა, მოსკოვის მოთხოვნის თანახმად, იწყებს ფერეიდნელ ქართველთა საკითხზე მუშაობას. მოვლენები იმავე თანმიმდევრობით ვითარდება, როგორც ეს 20-იან წლებში ვნახეთ: 1946 წელს კვლავ აქტუალური გახდა საზოგადოების შექმნის იდეა, ოღონოდ ამჯერად უფრო მასშტაბური, – ნაცვლად მაჰმადიან ქართველთა კულტურული დახმარების საზოგადოებისა, როგორც ეს მოხდა 20-იან წლებში, დაისვა საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შექმნის საკითხი. შსს არქივებში დაცულია საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, გ. კიკნაძის 1946 წლის 8 თებერვლით დათარიღებული წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან, კანდიდ ჩარკვიანთან, რომელშიც კიკნაძე უდასტურებს ჩარკვიანს, რომ მოლოტოვისგან მიღებულია თანხმობა საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შექმნის თაობაზე, ამდენად ითხოვს ამ საკითხის განხილვას საქართველოს ცენტრალური კომიტეტის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. ამ საზოგადოების ხელმძღვანელად ინიშნებოდა ვინმე მიქაეა [შსს არქივი, ფონდი 14, საქმე 453, აღწერა 20].

ამავე წლის 16 აპრილით დათარიღებულ წერილში გ. კიკნაძე კ. ჩარკვიანს აცნობებს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიეცა სასიამოვნო საშუალება, ირანში მოქმედი მისიის თანადგომით შეეგროვებინა მასალები ადგილზე ფერეიდნელ და ირანის სხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველთა მატერიალური და ყოფითი პირობების, მათი პოლიტიკური განწყობის და კულტურის შესახებ. ეს საშუალებას მისცემდა საბჭოთა ხელისუფლებას გადაეწყვიტა ქართველ ნაცუმიციურსობათა საკითხი ირანში.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნდა ამ მიზნით გაეგზავნა თეირანში ა. ასლანიკაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა პოლიტიკური განყოფილების რეფერენტი [შსს არქივი, ფონდი 14, საქმე 453, აღწერა 20: 4].

ეს გადაწყვეტილება ნიშნავდა, რომ საბჭოთა სახელმწიფო იწყებდა ფერეიდნელ ქართველთა საკითხის შესწავლას სახელმწიფო დონეზე და გადამწყვეტ ნაბიჯებს ღებდა.

ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ამისთვის გაცილებით ადრე ჰქონდა დაწყებული მზადება, კარგად ჩანს სამთავრობო დოკუმენტებითაც. ნიშანდობლივია, რომ იმავე საქალაქო და ცივილური საკონსულტაციო თანამშრომლის, აშუროვის, წერილი ფერეიდანზე დათარიღებული 1943 წლის 9 ივნისით და გამომხატურება გაზეთ კომუნისტში დაბეჭდილი ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის სტატიაზე „ქართული მიწები თურქეთში“, ეს კი თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ რამდენიმე წლის წინ დაწყებული პროცესი უკვე მასშტაბურ სახეს იღებდა, ახალ ფაზაში გადადიოდა მოძრაობა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობის გასამტკიცებლად.

ფერეიდანში იგზავნებოდა მხატვრული ლიტერატურა, გაზეთები. საქართველოს ცკ-ის კომუნისტური პარტიის მიმოწერაში ირანში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობასთან ჩამოთვლილია ის მხატვრული ლიტერატურა და პატეფონის ფირფიტები. რომლებიც უნდა გადაეცათ ფერეიდნელი ქართველებსათვის.

მხატვრული ლიტერატურის სია:

1. ი.ბ. სტალინი – თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი.ბ. სტალინის გამოსვლა რადიოთი
2. ი.ბ. სტალინი – ბრძანება თავდაცვის სახ. კომისრისა. 1942 წლის 23 თებერვლის N 55. ქ, მოსკოვი
3. ი.ბ. სტალინი – ბრძანება თავდაცვის სახ. კომისრისა. 1942 წლის 1-ლ მაისს. N 190. ქ, მოსკოვი
4. სტალინის ბიოგრაფია
5. შოთა რუსთაველი – ვეფხისტყაოსანი
6. ილია ჭავჭავაძე – კაცია ადამიანი
7. ილია ჭავჭავაძე – რჩეული ლექსები
8. ილია ჭავჭავაძე – განდევნილი
9. ილია ჭავჭავაძე – მგზავრის წერილები
10. ილია ჭავჭავაძე – გლახის ნაამბობი
11. ილია ჭავჭავაძე – აჩრდილი
12. ილია ჭავჭავაძე – ოთარანთ ქვრივი
13. ილია ჭავჭავაძე – წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე
14. ილია ჭავჭავაძე – ქართველის დედა
15. ილია ჭავჭავაძე – ქართველის დედა (დედა და შვილი)

16. აკაკი წერეთელი – ტომი მეორე
17. აკაკი წერეთელი – პატარა კახი
18. ვაჟა ფშაველა – ბახტრიონი
19. ვაჟა ფშაველა – გველის მჭამელი
20. ვაჟა ფშაველა – ღილა და კვირისა
21. ვაჟა ფშაველა – თხზულებათა I ტომი
22. ვაჟა ფშაველა – მოთხრობები ტ. I
23. ვაჟა ფშაველა – რჩეული ნაწერები
24. ეგ. ნინოშვილი – გოგია უიშვილი
25. ეგ. ნინოშვილი – მოთხრობები
26. ეგ. ნინოშვილი – მოსე მწერალი
27. ეგ. ნინოშვილი – პალიასტომის ტბა
28. ეგ. ნინოშვილი – ჯანყი გურიაში
29. ეგ. ნინოშვილი – თხზულებანი
30. ეგ. ნინოშვილი – ჩვენი ქვეყნის რაინდი
31. ეგ. ნინოშვილი – პარტახი
32. ი. გოგებაშვილი – იავნანამ რა ჰქმნა
33. ი. გოგებაშვილი – მოთხრობები
34. ი. გოგებაშვილი – თავდადებული ქართველი
35. გ. წერეთელი – გულქანა
36. გ.წერეთელი – ჩიკოლიკი, კიკოლიკი და კუდაბზიკა
37. გ.წერეთელი – პირველი ნაბიჯი
38. დ.ჭონქაძე – სურამის ციხე
39. ყაზბეგი – ელისო
40. ყაზბეგი – ხევისბერი გორა
41. გ.ქიქოძე – ერეკლე მეორე
42. ვ. ბარნოვი – გიორგი სააკაძე
43. ს. ქვარიანი – გიორგი სააკაძე
44. კრებული – სამამულო ომის თავდადებული მებრძოლნი
45. ვ. ხატიასვილი – დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ჩანჩიბაძე
46. პავლენკო – ქართველი ხალხის გმირი შვილი
47. გვეტაძე – თეო
48. მაშასვილი – ლექსები
49. ქუჩიშვილი – თხზულებანი, ტ. 2
50. ქუჩიშვილი – თხზულებანი, ტ. 3
51. ქუჩიშვილი – თხზულებანი, ტ. 4
52. მეტრეველი – ანდაზები
53. ბალახაშვილი – არსენას ცხოვრება
54. გომიაშვილი – დარიალი
55. ვოლცევი – ვეფხისტყაოსანი და მისი პოემა

56. ცეცხლაძე – რჩეული
57. ტაბიძე გალაქტიონი (ასეა!) – აკაკი წერეთელი
58. კაშმაძე – ციტრუსების მხარეში
59. მოსაშვილი – ბაზალეთი
60. შანშიაშვილი – არსენა
61. კლდიაშვილი ს. – რჩეული პროზა
62. კლდიაშვილი ს. – სვანური მოთხრობები
63. ლორთქიფანიძე – მზის ღიმილი
64. ჩიქოვანი – მამულს უთხრათ
65. ა. ფურცელაძე – მარაბდა
66. ბუნნიკაშვილი – გორი
67. ავალიანი – ლაპილ პირველი
68. კ. კალაძე – ენამწარე გოგონა
69. ა. საჯავია – ლექსები
70. ლ. არდაზიანი – სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი
71. ნახუცრიშვილი – მეგლკაცა
72. ორბელიანი – ლექსები
73. სულხან-საბა ორბელიანი – სიბრძნე სიცრუისა
74. შანიძე – ქართული ხალხური პოეზია
75. არაგვისპირელი – ორი მოთხრობა
76. არაგვისპირელი – მოთხრობები
77. მ. ჩიქოვანი – ქართული ფოლკლორი
78. მარიჯანი – ზურა ატმის ქალაქში
79. გამსახურდია – დავით აღმაშენებელი
80. ს. მგალობლიშვილი – დედა მათა
81. ს. მგალობლიშვილი – ღამის მეხრე
82. ს. მგალობლიშვილი – მოგონება
83. შიო მღვიმელი – ტყე
84. ყუბანეიშვილი – ვაჟა-ფშაველა
85. კასრაძე – იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია
86. ფურცელაძე – რჩეული თხზულებანი
87. ერისთავი-ხოშტარია – მოთხრობები
88. ნ. ლომაური – ბედი უბედურთა
89. ნ. ლომაური – ყოველის მხრიდან
90. ბესიკი – თხზულებათა კრებული
91. ა. ჭავჭავაძე – რჩეული ლექსები
92. მაკალათია – ფშავეთი, ხევსურეთი და თუშეთი
93. მაკალათია – ერეკლე მეორის გმირობა და თავდადება
94. მაკალათია – თუშური ლექსები
95. დ. კლდიაშვილი – სამანიშვილის დედინაცვალი

96. ი. ბალახაშვილი – ქართველი მხედრები
97. საბჭოთა კავშირის გმირი მ.ლ. გახოკიძე

პატეფონის ფირფიტები

1. ლაშქრული – ასრულებს გუნდი ს. კავსადის ხელმძღვანელობით
2. სიმღერა სამშობლოზე ,, – ,, – ,, –
3. ფერხული, ზამთარი ,, – ,, – ,, –
4. ჩონგურული, აღარ მწადიან ცხვარშიო ,, – ,, – ,, –
5. ცანგალა ,, – ,, – ,, –
6. ლაშქრული, არაგველი ,, – ,, – ,, –
7. ნეტავი გოგო, რკინის ლაშქარი ,, – ,, – ,, –
8. ურმული – ასრულებს კოლმეურნე სოლოღაშვილი
9. ჩობანი, დავური – ასრულებს ბეგიაშვილი
10. სიმღერა სტალინზე, ჰიმნი სამშობლოზე – ასრულებს გუნდი ხომტარიას ხელმძღვანელობით
11. იმერული სახუმარო – ,, – ,, – ,, –
12. მხედრული, ლაშქრული – ,, – ,, – ,, –
13. ლეკური, ციციანთელა – ,, – ,, – ,, –
14. გურული სახუმარო, სანადიმო – ასრულებს გუნდი ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით
15. სულიკო – ,, – ,, – ,, –
16. ღარიკო ,, – ,, – ,, –
17. დალიე, სატრფიალო – ასრულებს გუნდი შელეგიას ხელმძღვანელობით
18. ჩელა – ,, – ,, – ,, –
19. დიდ სტალინს – ,, – ,, – ,, –
20. ვახტანგური, იერიში – ასრულებს გუნდი სიმონიშვილის ხელმძღვანელობით
21. ნანიწავდა – ასრულებს გუნდი მეგრელიძის ხელმძღვანელობით
22. გურული საკოლმეურნეო, იმერეთში – ,, – ,, – ,, –
23. არირა – მეგრული ცეკვა
24. დელი-დელა – ასრულებს გუნდი კუხიანიძის ხელმძღვანელობით
25. მწყემსსა დელა აღვიძებდა – ასრულებს ზახარიანი და მეღვლეუკე ტრიო
26. იავ-ნანა – ასრულებს ვარდიაშვილი და მეღვლეუკეთა ტრიო
27. შუქურ-ვარსკვლავი, დაისი – ასრულებს სოხაძე
28. მესმის, მესმის; სევდა – ასრულებს ანდლეუაძე
29. დარეჯან ცბიერი; ცისანა – ასრულებს ნაკაშიძე
30. დაისი, თავო ჩემო – ასრულებენ ყვარელაშვილი, გერმესაშვილი
31. აბესალომ და ეთერი; ჩემი სევდა – გამრეკელი, სოხაძე
32. დედინაცვალი – სოხაძე

ჩონგური – 10 ცალი

ჩანდური – 5 ცალი

დოლი – 2 ცალი

დაირა – 5 ცალი [ფონდი 14, აღწერა 16, საქმე 201, ყუთი 25].

გ. კიკნაძე შარიასადმი მიწერილ წერილში ითხოვს დანართში ჩამოთვლილი წიგნების მოძიებას, აგრეთვე მითითებული პერიოდული გამოცემების სისტემატურ მიწოდებას ისპაჰანის პროვინციის ქართული სოფლებსათვის. აღნიშნავს, რომ ისპაჰანის საბჭოთა საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულოში იმყოფება სპეციალური თანამშრომელი ამხ. ვ. გრძელიძე, რომელიც ორგანიზებას გაუწევს ამ ლიტერატურის ფერეიდნული მოსახლეობისთვის გადაცემას. წერილს თან ერთვის ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების სია.

წიგნების და პერიოდული გამოცემების სია:

1. დედა-ენა – 500ც.
2. საქართველოს ისტორია – 10
3. „კომუნისტი“ – 20
4. „ასალგაზრდა კომუნისტი“ – 20
5. „ნორჩი ლენინელი“ – 20
6. „ლიტერატურა და ხელოვნება“ – 5
7. „მნათობი“ – 3
8. „პიონერი“ – 20
9. „ოქტომბრელი“ – 20
10. „ზარია ვოსტოკა“ – 1

წერილი დათარიღებულია 1946 წლის 3 დეკემბრით (03.12.1946) [ფონდი 14, აღწერა 20, საქმე 253 (465), გვ. 114].

შსს არქივში მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია 1946 წლის 30 დეკემბრით დათარიღებულმა წერილმა კანდიდ ჩარკვიანისადმი, რომელშიც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე დასმულია თურქეთსა და ირანში რადიოგადაცემების დაწყების საკითხი. წერილი შესრულებულია რუსულ ენაზე. წარმოვადგენთ მცირე ამონარიდის თარგმანს ამ წერილიდან: ...რაც შეეხება რადიოგადაცემებს ირანელი ქართველებისთვის, ამ მიზნით ამხ. ვ. გ. დეკანოზოვმა ნება დაგვრთო, შეგვეძინა რამდენიმე აკუმულატორიანი რადიომიმღები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხებით, რომლებსაც ვაჩუქებთ ქართულ სოფლებს ირანში, თუ თქვენ მისცემთ საქართველოს რადიოკომიტეტს მითითებას აღნიშნული რადიოგადაცემების ორგანიზაციის შესახებ.

გადაცემების თემატიკამ უნდა მოიცვას რიგი საკითხები, რომლებიც ეხება საქართველოს ისტორიას, რელიგიას და ა. შ. მაგრამ, პირველ ყოვლისა, ამ გადაცემებმა ფართოდ უნდა გააშუქონ საბჭოთა საქართველოს მიღწევები და სისტემატურად იყოს

ობიექტურად ორიენტირებული საერთაშორისო ცხოვრების მოვლენებზე. ასევე საჭიროა, რომ გადაიცეს ქართული მუსიკის კონცერტები.

რადიოკომიტეტის მიერ ტრანსლირებისათვის მომზადებული მასალა აუცილებლად უნდა გადიოდეს ცენზურას საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროში. რადიოკომიტეტმა ასევე უნდა აიღოს ვალდებულება, რომ ის წინასწარ შეათანხმებს გადაცემების პროგრამას საქართველოს საბჭოთა საგარეო სამინისტროსთან.

წერილს ბოლოს უზის თარიღი: 12.11.1946 (N234); ასევე – ცკ-ს ბეჭდის ნომერი და თარიღი: 3011.46/N 10739/ C. წერილი გადამისამართებულია ამხ. შარიასთან; 02. 12.46 – გ. ჯიბლაძესთან; 12.05. 1947 – ხელით მინაწერი – к делу Джибладзе [შსს არქივი, ფონდი 14. 20 საქმე10739/с.: 112].

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა გეოგრაფიული საზოგადოებისგან საჩუქრად გადმოცემული წიგნებიდან ერთ-ერთში ნახეს წერილი ფერეიდნელი ქართველებისადმი, რომელიც დათარიღებული იყო 1946 წლის 8 დეკემბრით. უცნობია, გაიგზავნა თუ არა ეს წერილი და მიაღწია თუ არა აღრესატამდე:

*„ფერეიდნეში მცხოვრებ ქართველებს
ძმებო ქართველებო!*

საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ შეიტყო, რომ თქვენ, ირანში მყოფ ქართველებს, არ დაგვიწყებიათ სამშობლო და გაინტერესებთ, თუ როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ თქვენი ძმები დედა საქართველოში. ჩვენ გვინდა, რომ საკუთარი ყურით გაიგონოთ დედა საქართველოს ქართველები სავანე ძმური სალამი, მოისმინოთ ამბები მათს ცხოვრებაზე, მოისმინოთ მშობლიური სიმღერები და მუსიკა. ამიტომ ჩვენ თხოვნივთ მივმართეთ საქართველოს რადიოკომიტეტს, რათა მათ მოაწიონ ხოლმე გადაცემანი თქვენთვის.

ამავე მიზნით გიგზავნივთ საჩუქრად რადიომიმღებებს, რომლებიც მოიტანენ თქვენამდე დედა საქართველოს ალერსიან ხმებს.

მოგვწერეთ წერილი, შეგვატყობინეთ თქვენი სურვილი იმის შესახებ, თუ რის მოსმენა უფრო გინდათ საქართველოდან, რა უფრო გაინტერესებთ გაიგოთ სამშობლოდან.

ჩვენ შევეცდებით ვიამბოთ ბევრი საინტერესო რამ ჩვენი სამშობლოსა და მისი ხალხის შესახებ. ჩვენი საუკეთესო მომღერლები გიმღერებენ თქვენ ძველსა და ახალ ქართულ სიმღერებს. მუსიკოსები შეასრულებენ მშობლიური მუსიკის საცეკვაო და სხვა მელოდიებს; პოეტები წაგვიკითხავენ ლექსებს, მეცნიერებები გაიამბობენ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრისა და ბუნების სილამაზის შესახებ.

ხშირად მოგვწერეთ წერილები, შეგვატყობინეთ – მოგეწონებათ თუ არა ის, რასაც მოისმენთ ჩვენგან; შეგვატყობინეთ თქვენი ცხოვრების ამბები, თქვენი ჯავრი და სიხარული. დაე, ეს ჩვენი საჩუქარი იყოს თავდები ჩვენი ძმური მეგობრობისა და ურთიერთკავშირისა“.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე
აკადემიკოსი
ალექსანდრე ჯავახიშვილი
საზოგადოების წევრები: დ. დონდუა, დ. წერეთელი...
თბილისი
8 დეკემბერი 1946 წ.

უნდა ითქვას, რომ რადიოგადაცემებმა დიდი როლი შეასრულა ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრებაში. ხმა ისტორიული სამშობლოდან მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მათზე. ფერეიდანში ყოფნის დროს რეზო დავითაშვილმა გვიამბო თავისი მამის შესახებ, როგორ გადიოდა რადიოს მოსასმენად ბაღში, როგორც თვითონ ამბობდა: „ჭერემ-ტყემლის დასაკრეფად“, რომ არავის მოესმინა და არავის დაესმინა:

„... ხო ჩონ მამანი და ესები ერთიანყე. რადიოს დაფიქრებინაყე, აბა საქართველო მონახონ, აბა სად ხმა მუა. ხო არ იყო ირანჩი მინმემ გაიგოს, რადიოები ცოტა იყო. ელა იმაზე ყმაწილები, ესები ღვეძებნიანყე, რო ვნახო, ექიდან ქართუელ ხმა გამოიღეს. ერთხელ ჩემ მამა დადევდა რადიოს, გადიოდა-გამოდიოდა. ქართული რამე ენახა. რო გააბრაზა, ემაშინ ეთქო, მინდა ჭერიმ-ტყემალი ჭკრიფოო. წაიდა, წაიდა და ბოლოდა რადიო დაიხურა, გაფუჭდა... გაბრაზდა და დადიოდა მინდორჩი, მონახოს საქართუელი ხო არ იყო და ეო, ეხლა ჩემ დედამ უთხრა: გოოში, კაცო, ეხლა ეგდენს რო ტინი არა მაქო, გოოშიო და მეორეთ წაიდა და თქო: ბიჭო, რას იქ აქაო? და: ჭერამ-ტყემალს ვკრეფო. დაიწოლა, რადიო დაიწოლა, არ ლაპარაკობდა, თქო: დაჯკრიფო?“ [ქლკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

საბჭოთა ხელისუფლების ინტერესს ახმოვანებდა საბჭოთა პრესა არა მხოლოდ საბჭოეთის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, იქ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ქართველი ემიგრანტები. ჩვენ მოვიძიეთ ფართო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი არაერთი სტატია, რომლებშიც აგიტაციის დონეზე იყო წარმოდგენილი საბჭოთა საქართველოს თანამედროვე ყოფა და მისი ახლებური დამოკიდებულება ქართველი ემიგრანტების მიმართ სხვადასხვა ქვეყანაში. საბჭოთა ხელისუფლების ახალი პოლიტიკა უცხოეთში მცხოვრები ქართველების მიმართ აისახა ჟურნალში „ქართული საქმე“. იგი გამოდიოდა 1946–1947 წლებში საფრანგეთში. რედაქტორი იყო აკაკი მეუნარგია. ამ ჟურნალის მისია იყო საბჭოთა სისტემის აგიტაცია ქართველ ემიგრანტებში, იბეჭდებოდა ქართული ყოფის ამსახველი მასალები. ჟურნალმა მკითხველებს აცნობა, რომ ქართველმა აკადემიკოსებმა ტფილისის პრესაში დასვეს საკითხი საზოგადოებრივი აზრის წინაშე ოსმალეთის მიერ დაკავებული ქართული ადგილ-მამულების შესახებ და მოითხოვეს ეს კუთხე, საქართველოს შემოუერთდეს [მეუნარგია, 1947].

ამავე გაზეთში დაიბეჭდა **ჰეისონელის** შრომის⁵³ ხელახალი თარგმანი (მთარგმნელი ა. მეუნარგია).⁵⁴ ამ ტიპის ისტორიული ნაშრომების პუბლიკაცია ემსახურებოდა ისტორიული მეხსიერების გაღვივებას, ისტორიული კავშირების აღდგენასა და სამშობლოდაკარგულ ქართველებში სამშობლოში დაბრუნების იმედის ჩანერგვას.

გაზეთის 1947 წლის მე-9 ნომერში მთელი სტატია ეძღვნება ფერეიდნელ ქართველებს. საუბარია სპარსეთში გადასახლებულ ქართველებზე და შემდეგ ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა ბედზე. სტატიის ავტორი ცდილობს თვალი გაადევნოს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ფერეიდნული თემის განვითარების ისტორიას:

„ჩვერ კიდეც 1919 წლის მიწურულში მათი წარმომადგენლები საქართველოს ეწვიენ და სამშობლო მიწა-წყალში დაბრუნება ითხოვეს. მეორე მხრივ, საქართველოს წარმომადგენლებიც (კერძო ინიციატივით) ფერეიდანის ქართველობას ესტუმრენ, მაგრამ იმ ხანებში ასეთი დიდი გეგმის განსახორციელებლად არც სახსარი მოგვეპოვებოდა და არც ხელსაყრელი დრო და პირობები.... დღეს, როცა საქართველოს საერთაშორისო წონა და ქონებრივი შესაძლებლობა იმ დროინდელზე გაცილებით დიდია, ეს საკითხი, როგორც გავიგეთ, ხელმეორედ დასმულა და უკანასკნელი ომის დროს, საქართველოს მთავრობას ფერეიდანში კომისიაც კი გაუგ ზავნია, მაგრამ როგორც გადმოგვცემენ, კომისიის სანიტარული ნაწილის ადგილობრივი კვლევა-ძიების მიერ აღმოჩენილ ზოგიერთ დაბრკოლებებს საკითხის საბოლოო მოგვარებაზე ზრუნვა შეუფერხებია“ [მეუნარგია 1947] ავტორი ჰიგიენურ მდგომარეობას ასახელებს მიზეზად, რომელიც, მისი თქმით, სახელწიფოებრივი თვალსაზრისით იმდენად სერიოზულია, რომ სკობს საშუალებას დაჟინებით მოითხოვოს ქვეყანამ მათი უკან დაბრუნება, თუმცა ზრუნვა მათზე არ უნდა შეწყდეს. ეს დახმარება, მისი აზრით, უნდა გამოიხატოს იქ უკვე წარგზავნილი სამასწავლებლო კადრის გაძლიერებასა და გამრავლებაში. გარდა ამისა, უნდა გაუმჯობესდეს მათი ეკონომიური პირობები, უნდა მოხერხდეს თანამედროვე სამეურნეო იარაღების იქ გადაგზავნა და რაც მთავარია „უნდა მოიპოვონ ეროვნული უმცირესობათა ყველა ის უფლებები და შეღავათები, რომლებიც არსებობენ ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში“ [მეუნარგია 1947].

ამასთან ერთად ავტორი გამოთქვამს წუხილს სპარსეთში გაბნეული ქართული საგანძურის ჩალის ფასად მიყიდვის შესახებ ამერიკელი ანტიკვარიატის მოყვარულებსთვის, რაც მისი აზრით, არანაკლებ საგანგაშოა.

53. ეს ნაშრომი „მოთხრობა სპარსეთისა და საქართველოს არეულობის თაობაზე მ. დე ჰეისონელისა პირველად დაიბეჭდა ივერიის 1879 წლის ორ ნომერში (№07–08).

54. აქაც შაჰ-აბასის რისხვის მიზეზად დარეჯანია (იგივე ხორეშანი) მიჩნეული, თეიმურაზის ცოლი. „ეს დარეჯანი ცნობილი იყო ფერი-ს ზედმეტ სახელწოდებით იმ სპარსული სიმღერებიდან, რომელთაც მის საპატივსაცემოდ მასზე გაგიჟებით შეყვარებული შაჰ-აბაზი თხზავდა [გვ.5].

ეს სტატია ნათელს ხდის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას უკვე გააჩნდა გარკვეული გეგმა სპარსეთის ქართველების დახმარებისა და მათზე ზრუნვის შესახებ.

ასევე საყურადღებოა სტატიაში ნახსენები ფრაზა: „იქ უკვე წარგზავნილი სამსწავლებლო კადრის გაძლიერება და გამრავლება“. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, იყვნენ თუ არა და თუ იყვნენ – სახელდობრ ვინ იყო ფერიდანში ქართულის მსწავლებლად წარგზავნილი.

ამავე გაზეთმა აცნობა ქართულ ემიგრაციას, რომ 1947 წლის 19 მაისს, საქართველოს მთავრობის სხდომაზე განიხილეს საქართველოში დაბრუნების მოსურნე ქართველთა საქართველოში მიღებისა და მოწყობის საკითხი [ქართული საქმე, 1947 N9:1].

შემდეგ ნომერში კი მოცემულია ინფორმაცია ქართველი ემიგრანტების დაბრუნების შესახებ საქართველოში:

„შაბათს, ამა წლის 7 სექტემბერს, მარსელის გზით სამშობლოში გაემგზავრა 78 ქართველი ემიგრანტი.... საქართველოს მთავრობის საზრუნავი საგანი დღეს ის არის, რომ ოსმალეთის მიერ მიტაცებული მშობლიური ადგილ-მამული სამშობლოს შეუერთოს და აგრეთვე, ისტორიულ მოვლენათა შედეგად, სპარსეთში, ოსმალეთში ან დას. ევროპაში დაბანდული (ასეა!) ქართველობა კვლავ სამშობლო კერას დაუბრუნოს. სრულიად საქართველოს ხელმეორედ შემოკრება დაწყებულია. ქართველ ერს ახალი ფორმის აღმშენებლური ხანა უდგება“ [კობახიძე 1947: 1].

მსგავსი აგიტაცია, ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების მიზნით მიმდინარეობდა ირანში მცხოვრებ ქართველებშიც. ირანში სპეციალურად გაიგზავნა საელჩოს თანამშრომელი, ასლანიკაშვილი, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა საქართველოში დაბრუნების მსურველ თანამემამულეთა საქმეების შესწავლა და მათი რეპატრიაციისათვის ღოკუმენტაციის მომზადება. ამ უფლებით უსარგებლია ქართველ ემიგრანტთა ერთ ნაწილს [გურული, ჯიქია 2012: 74-76].

ფერეიდნელთა ყოფისა და მდგომარეობის შესახებ შემონახულია საინტერესო საარქივო ღოკუმენტები, რომლებიც ნათელს ხდის საბჭოთა ხელისუფლების დიდ ინტერესს ფერეიდნელი ქართველების მიმართ.

2012 წელს ვახტანგ გურულმა და ლევან ჯიქიამ გამოსცეს წიგნი „ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი და ფერეიდანი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმებში 1944–1951“. ამ წიგნში წარმოდგენილია შსს არქივში დაცული ღოკუმენტები – მოხსენებები ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის, ასევე ფერეიდნისა და ფერეიდნელი ქართველების შესახებ, კარგად ჩანს საბჭოთა ხელისუფლების ინტერესი ტაო-კლარჯეთისა და ფერეიდნელი ქართველების მიმართ. ერთ-ერთი ავტორი ამ წიგნში წარმოდგენილი წერილებისა, არის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი **სიმონ ჯანაშია**. მისი სახელით კრებულში ერთ ღოკუმენტად ორი ნაშრომი შეტანილი. ეს არის ნარკვევები „ირანის ისპაჰანის პროვინციის ქართველების შესახებ“ და „თურ-

ქეთის შემადგენლობაში შესული ქართული ტერიტორიების შესახებ“ [გურული, ჯიქია 2012: 6-57].

სიმონ ჯანაშიას მეცნიერული ინტერესი თურქეთის შემადგენლობაში შესული ქართული ისტორიული ტერიტორიების მიმართ ცნობილია სამეცნიერო სივრცეში, თუმცა სპარსეთის ქართველების – უფრო ზუსტად, ფერეიდნელი ქართველებისა და, ზოგადად, ამ რეგიონის თემისადმი მკვლევრის ინტერესის შესახებ ამ კრებულით გამოქვეყნებამდე საზოგადოებისათვის უცნობი იყო. არც სიმონ ჯანაშიას ოჯახმა, არც მისი მეცნიერული მემკვიდრეობის მკვლევრებმა არ დაადასტურეს ინფორმაცია მისი ოდესმე ირანში კვლევითი მივლინებით ყოფნის შესახებ.

თავდაპირველად ჩავთვალებთ, რომ შესაძლოა ეს იყო გასაიდუმლოებული მისია, რომლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებაც არ იყო ნებადართული. იმის დაჯერება, რომ მკვლევარი ხანგრძლივი დროით ცხოვრობდა ფერეიდანში, მოაგროვებდა უზუსტესი მასალა ფერეიდნელ ქართველთა ქონებრივი და სოციალური მდგომარეობის შესახებ, აღწერა დეტალურად თითოეული სოფელი მოსახლეობის რაოდენობის, ინფრასტრუქტურის მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო და საგანმანათლებლო ინსტიტუტების არსებობის თვალსაზრისით (არის თუ არა: აბანო, სადალაქო, სკოლა...)... შეადგინა უზუსტესი ანგარიში ამ მივლინების შესახებ და არ დაინტერესდა, არ ჩაიწერა ლინგვისტური, ეთნოგრაფიული და ისტორიული თვალსაზრისით იმ დროისათვის ესოდენ უცხო და მიმზიდველი მასალა, სრულიად წარმოუდგენელი გახლდათ. აპრიორი ჩავთვალებთ, რომ ასეთი მასალა უსათუოდ იარსებებდა და დავიწყეთ მისი ძებნა მკვლევრის ოჯახსა და სხვადასხვა არქივებში. იმედი გვქონდა, რომ სადმე გადავაწყდებოდით დიდი მეცნიერის მიერ აღქმულ და აღწერილ „ფერეიდნულ სინამდვილეს“.

შსს არქივში მუშაობისას ყურადღებით შევისწავლეთ ამ საკითხთან დაკავშირებული საქაღალდეები. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული დოკუმენტის ორი ასლი დევს ორ სხვადასხვა საქაღალდეში. ანგარიში, რომელიც 1943 წელს არის შედგენილი, ასლის სახით ერთვის 1946 წელს შექმნილ სულ სხვა დოკუმენტაციას. ამ ორი საქაღალდის შედარებისას ირკვევა, რომ ნარკვევი არ ეკუთვნის სიმონ ჯანაშიას და მისი ავტორია ირანში საბჭოთა კავშირის ვიცე კონსული აშუროვი⁵⁵.

როგორც ვთქვით, ნარკვევი „ირანის ისპაჰანის პროვინციის ქართველების შესახებ 1944 წლის 26 მარტამდე“ შსს არქივის ორ სხვადასხვა საქაღალდეში იძებნება:

I. საქაღალდე 1946 წლითაა დათარიღებული – 18 თებერვლიდან – 10 დეკემბრამდე. ძირითადად მოიცავს საქართველოს საბჭოთა საგარეო სახალხო კომისარიატის დოკუმენტაციას. ამ საქაღალდის 43-ე გვერდზე არის გერბიანი წერილი საგარეო საქმეთა სამინისტროსი, დათარიღებულია 1946 წლის ნოემბრით, №250. დოკუმენტის ზედა არეზე მითითებულია წერილის გამგზავნისა და აღრესატის გვარები: **კიკნაძე – ჩარკვიანს**.

55. ამ პიროვნების სახელი ვერ მოვიძიეთ.

როგორც წერილიდან ჩანს, გ. კიკნაძე ფერეიდნის შესახებ მანამდე გაგზავნილ მასალებს ამატებს საბჭოთა კავშირის ვიცე კონსულის აშუროვის ცნობას, რომელიც შეუდგენია 1943 წელს და საფუძვლიანად განიხილავს ფერეიდნელ ქართველთა მდგომარეობას. ამავე წერილში ის ცკ-ს მდივანს მიმართავს თხოვნით, გამოიყოს გადასატანი კინოაპარატურა და 10 პატეფონი ფირფიტებით ფერეიდნელთათვის. ამ მიზნით მოთხოვნილია 45 ათასი მანეთი. ეს თხოვნა წერილში დასაბუთებულია: „მიმანია, რომ ეს საჩუქარი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობისა იქნება და ხელს შეუწყობს სიმპათიის განვითარებას საბჭოთა ქვეყნისადმი არა მარტო ქართველებს, არამედ სხვა მეზობელი ტომებისთვისაც, რომელთა შორისაც ინგლისელები რეაქციულ პროპაგანდას ეწევიან გაცხარებით... გაგზავრდით ახალგაზრდა ფერეიდნელები, რომ ვასწავლოთ კინო-აპარატთან, პროექციასთან მუშაობა, გაგავზავნოთ აქედან სპეციალისტები.“

სწორედ ამ წერილს მოსდევს საქალაქში (44-ე გვერდიდან 59-ე გვერდის ჩათვლით) ცნობა, რომელიც სიტყვა-სიტყვით იმეორებს ვ. გურულისა და ლ. ჯიქიას მიერ სიმონ ჯანაშიას ავტორობის მითითებით გამოქვეყნებულ ინფორმაციას. გ. კიკნაძის მიერ წარმოდგენილი ეს ნარკვევი დათარიღებულია 1943 წლის 9 ივნისით, აქვს გრიფი „საიდუმლო“, და როგორც გაფორმების ჩანაწერით ირკვევა, შენახულია ხუთ ეგზემპლარად. პირველის ადრე სატია ლეკანოზოვი, მეორის – ელჩი, მესამისა და მეოთხის – გენერალური სამდივნო და მეხუთე საქმეშია. წერილის ასლი დამოწმებულია ხელმოწერით. წერილს ხელს აწერს **აშუროვი**.

II. ამ წერილის ასლი ინახება ასევე შსს არქივში დაცულ საქალაქში, ფონდი 14, საქმე 229, აღწერა 25, ყუთი 39, რომელიც დათარიღებულია 1951 წლის 24 მარტით და მოიცავს 64 გვერდს.

საქალაქში თავმოყრილია ლოკუმენტები: კანდიდ ჩარკვიანის მიმოწერა სტალინთან ირანიდან იქ მყოფი საქართველოს ყოფილი მოქალაქეების გადმოსახლების თემაზე. ამ ლოკუმენტებთან ერთად ყოველგვარი მითითების გარეშე არის ჩაკრული სხვა ლოკუმენტებიც, მათ შორის **აშუროვის** ხსენებული წერილის ასლი, რომელსაც თავფურცელზე მიწერილი აქვს: ჩარკვიანი 26- III-44 (გვ.13-32). სტატია ზემოთ აღწერილი ტექსტის ზუსტი ასლია, ბოლო, 32-ე გვერდი ჩამოჭრილია, დატოვებულია მხოლოდ ტექსტის ბოლო წინადადება, ჩამოჭრილია მხოლოდ ავტორის ხელმოწერა და ასლის დამოწმების ინფორმაცია, რომელიც დედანს ახლავს. მას 33-ე გვერდიდან ყოველგვარი სათაურისა და წინა მითითების გარეშე ებმის სიმონ ჯანაშიას ნარკვევი ტაო-კლარჯეთისა და ლაზისტანის შესახებ. ნუმერაცია დარღვეული არ არის, ანუ ამ წერილს არა აქვს დამოუკიდებელი ნუმერაცია, მთავრდება საქალაქის 56-ე გვერდზე და ბოლოში ერთვის მეღნით შესრულებული ხელმოწერა – **სიმონ ჯანაშია**. ამავე საქალაქშია რუსეთ-სპარსეთის მეგობრობის ხელშეკრულება, რომლის რატიფიკაციაც წახალისებული იყო მეჯლისის სხდომაზე 1921 წლის 15 დეკემბერს.

ნათელია, რომ ეს მასალები მობილიზებულია გარკვეული გეოპოლიტიკური თემების აქტუალიზაციის მიზნით და ამ საკითხებში ერთ-ერთი შეიძლება იყოს სპარსეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა გადასახლების მომზადება.

როგორც ჩანს, ვახტანგ გურულმა და ლევან ჯიქიამ იხელმძღვანელეს სწორედ ამ საქაღალდით, და იმის გამო, რომ **აშუროვის** სტატია წარმოდგენილია დეფექტურად და ბოლო გვერდს სპეციალურად აქვს ჩამოჭრილი მისი ვინაობის აღმნიშვნელი ინფორმაცია, ბუნებრივია, რომ ორივე მასალს ავტორად სიმონ ჯანაშია მიიჩნის.

ეს აღმოჩენა ნათელს ჰფენს საკითხს და ადასტურებს, რომ სიმონ ჯანაშიას ეკუთვნის მხოლოდ თურქეთის ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია, **ხოლო ფერეიდნის შესახებ სტატიის ავტორია საბჭოთა კავშირის კონსული ისპაჰანში – აშუროვი.**

თავისთავად საყურადღებოა არქივში აღმოჩენილი ეს დოკუმენტი – **აშუროვის ნარკვევი „ირანის ისპაჰანის პროვინციის ქართველების შესახებ 1944 წლის 26 მარტამდე“**, რომელიც კანდიდ ჩარკვიანის დავალებით არის შესრულებული. ეს დოკუმენტი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა ისტორიისა და იმჟამინდელი ყოფის შესახებ.

აშუროვი ნარკვევს ისტორიული ექსკურსით იწყებს. მისი ცნობით, ფერეიდნელი ქართველები ამ რეგიონში უნდა მოხვედრილიყვნენ მე-17 საუკუნეში, უფრო კონკრეტულად, **1603–1608 წლებში**. მისი სიტყვებით, ეს იყო სომხებისა და ქართველების რიგით მერვე იძულებითი გადასახლება შაჰ-აბასის პერიოდისა. გადასახლება მომხდარა აღმოსავლეთ საქართველოდან, პირველ ყოვლისა, გორიდან და მისი მიმდებარე სოფლებიდან, ბორჩალოს რაიონიდან. ასევე გადაუსახლებიათ გასკები, რომლებიც სევანის ტბის დას. ნაწილში ცხოვრობდნენ, თანამედროვე ლენინაკანის რაიონის, ერევნის, ნახიჩევანის, ჯულფას და ა.შ....

აშუროვის თქმით, ქართველთა მესხიერებას შემორჩა ის ფაქტი, თუ როგორ აიძულეს მათ ზღვის გადაცურვა (იგულისხმება მდინარე არაქსი), უამრავი ადამიანი დაიღუპა ამ დროს⁵⁶.

მათ თავდაპირველად თავი მოიყარეს სპარსეთის ცენტრში, ძირითადად, ისპაჰანში და მის შემოგარენში 1607-1608 წლებში. ფერეიდანში დაასახლეს თითქმის ყველა ქართველი გლეხი, ნაწილი ჯარისა და ასევე ორი სოფელი ბორჩალოელი თათრებისა. ფერეიდნის მეზობელ მთის რაიონში ჩაპარ-მაჰალში (**Чаармагал**) გაუშვეს მხოლოდ სომხები. ცეცხლთაყვანისმცემლები კი განათავსეს ისპაჰანის შემოგარენში და თავად ქალაქშიც.

მოხსენებაში საინტერესო ინფორმაციებია თავმოყრილი ფერეიდნელ ქართველთა ძველი ცხოვრების, მათი იმჟამინდელი ყოფისა და ეკონომიკის შესახებ, აღწერილია თითოეული ქართული სოფელი დეტალურად. ჩანს, რომ ეს ინფორმაცია იქ ადგილობრივ არის მიღებული. ქართულ სოფლებზე საუბრის დროს ის მანძილს სომხურ სოფელ ზანგიბარანთან მიმართებით ანგარიშობს და მიუთითებს. მაგ.; „*ზემო ახორა მდებარეობს 9 კილომეტრის დაშორებით დასავლეთით სომხურ სოფელ ზან-*

56. ცნობა მდინარე არაქსის გადალახვის შესახებ არ გვხვდება არც მანამდელ ჩაწერილ ტექსტებში და ვერც ჩვენ დავადასტურეთ ამის შესახებ რაიმე გადმოცემა ფერეიდნელებთან. საინტერესოა, რა წყაროს ეყრდნობა აშუროვი. არ არის გამორიცხული, რომ მან აურია სომხებისა და ქართველების მიგრაციული მარშრუტი.

გიბარანიდან“. ჩამოთვლილია 11 ქართული სოფელი: **ზემო ახორა** (ყველა საუბრობს ქართულად), **ქვემო ახორა** (საუბრობენ სპარსულად), **დაშქესანი**, **ბუინი** (სოფელი ქართულად საუბრობს), **დომბექამარი** ანუ **მიანდაშთი** (სოფელი ქართულად საუბრობს), **ანჩა** (მთელი სოფელი ქართულად საუბრობს), **შავურთი** (აქ ქართულად აღარ საუბრობენ), **ჰაფუსი** (მხოლოდ მოხუცებს ახსოვთ), **ჩულურეთი** (ზოგჯერ ამბობენ **ჩულრეთი**, სოფელი ქართულად საუბრობს), **სიბაქი** (სოფელი ქართულად საუბრობს), **ჯაყჯაყი** (სოფელი ქართულად საუბრობს).

აშუროვი ყურადღებას ამახვილებს ქართველთა ხასიათზე, თავშეკავებულები არიან, არ ახასიათებთ ჟესტიკულაცია, რაც, ზოგადად, კავკასიისთვის არის დამახასიათებელი. მძიმე ყოფამ დალი დაასვა მათ ხასიათს. ისინი არიან ხელმომჭირნე, ეკონომიური და შეუპოვარი ხასიათის მქონენი, იშვიათად ილიმიან. სპარსელებისთვის დიდი პატივია ქართველებთან დამოყვრება, მაგრამ ქართველები იშვიათად ირთავენ სპარსელებს და უფრო იშვიათად ათხოვებენ ქალებს მათზე.

ცალკე თავი ეძღვნება ფერეიდნელ ქართველთა კულტურულ დონესა და პოლიტიკურ განწყობას. 11 სოფელში მხოლოდ ორი სკოლაა, სადაც ასწავლიან სპარსულ წერას და ყურანს, ქართული ენა არ არის შემონახული ყველა სოფელში. აშუროვის თქმით, ძნელია საუბარი მათ ქართულზე, ვერ შეაფასებ, რადგან სიტუაცია საშუალებას არ იძლევა, შემოწმდეს ფერეიდნელი ქართველის ენა თავად ქართველისგან⁵⁷.

აშუროვი ჩამოთვლის ზემო ახორის, ბოინის და სხვა სოფლის მცხოვრებლების გვარებს.

რაც შეეხება პოლიტიკურ განწყობას, აშუროვის თქმით, ძალიან ძნელია მასზე საუბარი, რადგან არც ისპაჰანში და არც ძველ ქართველებში არ მოუხმენიათ რამე ანტისახელწიფოებრივი გამოსვლის შესახებ მთლიანად ქართული კოლონიისა თუ ერთეული ჯგუფების მხრიდან. ქართულ სოფლებში ძალიან ცოტაა ისეთი, რომელსაც ექნებოდა თუნდაც მცირე წარმოდგენა ირანის შიდაპოლიტიკური მდგომარეობის, საერთაშორისო სიტუაციის, მიმდინარე ომის შესახებ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან არც ერთ ქართულ სოფელს არ მიეწოდება გაზეთები. ზოგიერთი დაინტერესებული ქართველი ფრაგმენტულად მაინც ეცნობა სომხურ სოფლებში იშვიათად მისულ ისპაჰანის, თეირანისა და ზოგჯერ ინგლისის გაზეთებსაც კი.

ფერეიდნელმა ქართველებმა იციან საბჭოთა საქართველოს ყოფის შესახებ სეიფოლა იოსელიანისაგან დარჩენილი ინფორმაციით, ასევე იშვიათად დროდადრო საქართველოდან ჩასული ქართველი კონტრაქტორებისაგან, რომლებიც დაკავებულები არიან რემონტითა და გზის სამუშაოებით⁵⁸.

აშუროვის ნარკვევი შეიცავს დიდ ინფორმაციას, რომელიც ალბათ გამიზნული

57. ეს შენიშვნაც საკმარისი იყო, რომ სიმონ ჯანაშიას ავტორობა ეჭვქვეშ დამდგარიყო, თუმცა თავდაპირველად ჩვენც არ გავგზინია ასეთი ეჭვი [ბაკურაძე, ბერიძე, ფერეიდნის საკითხი და საბჭოთა პოლიტიკის კულისები, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის 76-ე სამეცნიერო სესია, მასალები, 2017.

58. ნარკვევი სრულადაა შესული ფერეიდნულ ქრონიკებში.

იყო იმისათვის, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას სწორად გაეაზრებინა სამოქმედო გეგმა და სტრატეგია რეგიონში და განეხორციელებინა თავისი მიზნები ფერეიდანთან დაკავშირებით.

შსს არქივში ვნახეთ ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრ. კიკნაძის მოხსენებითი ბარათი მოლოტოვისადმი, დათარიღებული 1943 წლის 23 აგვისტოთი. გრ. კიკნაძე საუბრობს ირანში იძულებით გადასახლებული ქართველების შთამომავლებზე, მათ მძიმე მდგომარეობაზე. მისი აზრით, დახმარების გარეშე ქართული მოსახლეობა განწირულია დასალუპად, აუცილებელია საბჭოთა საქართველომ გაუწოდოს დახმარების ხელი და ირანელი ქართველების მდგომარეობის ადგილზე შესასწავლად გაიგზავნოს კომპლექსური ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან ცნობილი ექიმები, პედაგოგები, ისტორიკოსები, ენათმეცნიერები და სხვა მეცნიერები.

გ. კიკნაძე დაბეჯითებით მიუთითებდა, რომ ამ ექსპედიციის შედეგების ანალიზი საშუალებას მისცემდა ხელისუფლებას, დაეგეგმა შემდგომი ღონისძიებები ირანში მცხოვრები ქართველების დასახმარებლად ან დაესვა საკითხი მათი საქართველოში გადმოსახლების შესახებ, რისი სურვილიც ფერეიდანელ ქართველებში ძალიან ძლიერი იყო.

კიკნაძის აზრით, ინფორმაციის სისტემატური მიღებისთვის აუცილებელი იყო ისპაჰანის საკონსულოში ჰყოლოდათ კონსულის მოადგილის ან მდივნის თანამდებობაზე ქართველი, საქართველოს НКВД-ს თანამშრომელი, რადგან ისპაჰანში ბევრი ქართველი იყრიდა თავს.

ყურადღებას იქცევს თეირანის საკონსულოს თანამშრომლის ა. ასლანიკაშვილის მოხსენებითი ბარათი მინისტრ გ. კიკნაძისადმი. ეს დოკუმენტი დათარიღებულია 1948 წლის 13 იანვრით. ასლანიკაშვილს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, უნდა მოეგვარებინა საქართველოში დაბრუნების მსურველ ემიგრანტ ქართველთა საკითხი, ასევე უნდა შეესწავლა ფერეიდანელ ქართველთა საკითხი. მოსკოვიდან მოსული ბრძანებით მას აუკრძალეს ფერეიდანში გამგზავრება და არ მიეცა ადგილზე მუშაობის უფლება.

შესაბამისად, ასლანიკაშვილის ანგარიში ფერეიდანელი ქართველების შესახებ ეფუძნება 100 ფერეიდანელი ქართველის ნაამბობს, რომლებიც თეირანში სამუშაოდ იყვნენ ჩასულები. ასლანიკაშვილი ხუთ თვე-ნახევრის განმავლობაში ხვდებოდა მათ და შეძლო გარკვეული წარმოდგენის შექმნა ფერეიდანელთა ყოფაზე.

მისი თქმით, სპარსეთში მცხოვრები ქართველები მშრომელი ხალხია. ფერეიდანიდან დღიურ სამუშაოზე თეირანში წასულები მიზერული ანაზღაურების ფასად მუშაობდნენ მშენებლობებსა და გზებზე ასფალტის დასაგებად. მათ სპარსელები დიდ პატივს სცემენ. მათ სიტყვა **გორჯი** სილამაზის, პატიოსნების სინონიმად აქვთ გამოყენებული. სწორედ ამის გამო ხშირია შემთხვევები, როცა რომელიმე მაღალი თანამდებობის პირი, იმისთვის, რომ აიმაღლოს თავისი ავტორიტეტი, თავის ქართულ წარმოშობას უსვამს ხაზს.

ქართველებს აქვთ ნაციონალური სიამაყის გრძნობა. ისინი ამყობენ თავიანთი

წარმომავლობით. მათ იცინან, რომ სტალინი ქართველია და მასზე საუბრისას ყოველთვის ახსენებენ გიორგი სააკაძეს.⁵⁹ ჩანს ტენდენცია სოფლების სახელების ქართულ სოფლებთან გაიგივებისა. მაგალითად, მას ერთი ფერეიდნელი უმტკიცებდა რომ სიბაქი იგივეა, რაც სიღნაღი, ჩულრუთი – ჩულურეთი და ბოინი – ბოლნისი. ასლანიკაშვილის თქმით, ისინი კლასობრივ ბრძოლაშიც არიან ჩართულნი. იმ დროს, როცა ირანის მთელ ტერიტორიაზე გააუქმეს სახალხო მისიები, ეს ვერ გაბედეს ბოინში, სადაც მისიას სათავეში უდგა ამირხანი.⁶⁰

ფერეიდნელ ქართველს რეზა ონიკაშვილს ასლანიკაშვილისთვის უსაყვედურია: აღამიანი, რომელიც კარგავს წიწილას, გამოდის სახლიდან და ეძებს მას. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ საქართველო, რომელმაც დაკარგა ასეთი რაოდენობის ძმები, არ მოინდომებს მათ მოძებნას და დაბრუნებას?

ამავე რეზა ონიკაშვილმა უამბო მას, რომ სამხედრო სამსახურში იყო თეირანში, როცა სტალინი ჩამოვიდა. ონიკაშვილს გაუხდია სამხედრო სამოსი, ჩაუცვამს სამოქალაქო და რამდენჯერმე ცდილა სტალინთან შეხვედრას, რომ ეთხოვა ფერეიდნელი ქართველების დახმარება, მაგრამ, სამწუხაროდ, ის არ მიუშვეს სტალინამდე.

ფერეიდნელ ქართველებს ძალიან უნდოდათ მათ შვილებს მაინც შეძლებოდათ საქართველოში სასწავლებლად წამოსვლა. ყოფილა შემთხვევები, როცა სამშობლოში წამოსვლის ძლიერმა სურვილმა ზოგიერთ ქართველს გააბედვინა სომეხთა რეპატრიაციის კომიტეტში მისვლა და თავის სომეხად წარდგენა.

მათ უმრავლესობას მართლაც დიდ სურვილი ჰქონდა საქართველოში დაბრუნებისა. ამდენად, ამ საკითხზე მუშაობა ახლავე უნდა დაწყებულიყო, თუმცა ასლანიკაშვილს კარგად ესმის, რომ ქართველების რეპატრიაციას, განსხვავებით სომეხებისგან, დიდი წინააღმდეგობები შეხვდება, რადგან სომეხების დაბრუნება სამშობლოში მსოფლიო საზოგადოების მოთხოვნითა და ირანის ხელისუფლების თანხმობით ხდებოდა. ქართველების შემთხვევაში კი საქმე სხვაგვარად იყო. ქართველები ირანში ითვლებოდნენ ქართული წარმოშობის ირანელებად თავიანთი აღმსარებლობის გამო; გარდა ამისა, თავად ფერეიდნის სასულიერო პირები გაუწევდნენ ამას დიდ წინააღმდეგობას.

ასლანიკაშვილის რწმენით, ირანელ რეაქციონერთა მხრიდან მოსალოდნელი წინააღმდეგობების მიუხედავად, საკითხი მაინც დადებითად უნდა გადაწყვეტილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველების ბედის ანაბარა დატოვება მათი სპარსელებთან სრული ასიმილაციით დასრულდებოდა. ის არწმუნებდა მთავრობას, რომ მხატვრული ლიტერატურის დარიგება და რადიო-მიმღებების ჩატანა მხოლოდ გააძლიერებდა სპარსელების გაღიზიანებას, რაც ქართველების მიმართ აგრესიით შეიძლება გამოხატულიყო.

59. გიორგი სააკაძის შესახებ ფერეიდნელთა ცოდნა არც ძველი და არც გვიანი პერიოდის წყაროებით არ დასტურდება. ეს განცხადება უფრო საბჭოთა პროპაგანდის ნაწილი ჩანს.

60. ეს ის ამირან პაპიაშვილია, რომელიც ამბაკო ჭელიძემ და მისმა მეუღლემ წამოიყვანეს საქართველოში. მან შვიდწლედი თბილისში დაამთავრა 1934 წელს.

ირანიდან ეთნიკური ქართველების რეპატრიაციის აუცილებლობის დაჟინებით მტკიცებისას ასლანიკაშვილი დაურთავდა, რომ ამ პროცესს წინ უნდა უძღოდეს რიგი ღონისძიებებისა როგორც საქართველოში, ისე ირანში: საბჭოთა საქართველოსადმი პოლიტიკური სიმპატიების მქონე ოჯახების გამოვლენა და აღწერა; ფერეიდანში ქართული ენის აკრძალვისა და ადგილობრივი სასულიერო პირების მიერ ანტიქართული პროპაგანდისათვის ყველა შესაძლო საშუალებით წინააღმდეგობის გაწევა; ფერეიდანის სოფლების წინამძღოლ ქართველებთან კავშირი და მათთან მუდმივი მუშაობა; საფუძვლის მომზადება პროსაბჭოურად განწყობილ ირანელ მაღალჩინოსნებთან, რათა მათ უზრუნველყონ რეპატრიაციის საკითხის დაყენებისას ირანული ხელისუფლების კეთილგანწყობა; ორგანიზაცია გაეწიოს ფასდაკლებით წიგნების გაყიდვას თეირანის მაღაზიაში „საერთაშორისო წიგნი“ და ასევე ისპაჰანში; დაინიშნოს ისპაჰანისა და თეირანის საბჭოთა საკონსულოში თითო ქართველი თანამშრომელი.

საინტერესოა, რომ თავისი ჩინოვნიკური უფლებამოსილების ფარგლებში ასლანიკაშვილი ბედავდა და ძალიან კონკრეტული, საკმაოდ გაბედული და სარიცხო ნაბიჯის გადადგმასაც სთავაზობდა მთავრობას. სახელდობრ, ის ურჩევდა, ესარგებლათ შემთხვევით და სომხების, როგორც ჩანს, უკვე გადაწყვეტილი რეპატრიაციის დროს 10-20 ახალგაზრდა ფერეიდანელი ქართველიც გამოეყვანათ ირანიდან, რათა ესწავლებინათ ქართული და მოემზადებინათ ისინი შემდგომში თავიანთ თანამემამულეებთან სამუშაოდ. ასევე სთავაზობდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას (მაგ. ფოტოგამოფენის მოწყობას და სხვ.) ირანში მცხოვრებ ქართულ თემთან კავშირების გასაღრმავებლად.

ასლანიკაშვილის ეს საანგარიშო მოხსენება განმსჭვალულია დიდი სურვილით, დაარწმუნოს ხელმძღვანელობა ფერეიდანში ეთნიკური მობილიზაციისა და საბოლოოდ ფერეიდანელთა გადმოსახლების აუცილებლობაში.

შსს არქივში მოვიძიეთ კოტე ფრუიძისა და მოსე ნატროშვილის წერილები, რომლებიც მათი სამშობლოში რეპატრიაციის წინ არის შედგენილი და რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი ფერეიდანელთა ყოფა, ეს არის, ფაქტობრივად, მოხსენება მათი ფერეიდანში ცხოვრების პერიოდის ამსახველი ანგარიში.⁶¹

კოტე ფრუიძე და მოსე ნატროშვილი დღესაც კარგად ახსოვთ თორელში. ეს ორი ქართველი ახალგაზრდა ჯერ ირანში მოხვდა, შემდეგ კი გარკვეული ხნით თორელში მოუწიათ ცხოვრება. საერთო ჯამში მათ 13 წელზე მეტი დაჰყვეს ამ ქვეყანაში და ხანგრძლივად იცხოვრეს ქართველებთან ერთად.

როგორც ყველა სხვა სტუმარმა საქართველოდან, ამ ორმაც ღრმა კვალი დატოვა ადგილობრივთა მეხსიერებაში. ისინი იქცნენ თორელელთა მეხსიერების ნამდვილ ისტორიულ პერსონაჟებად.

ვინ იყვნენ ფრუიძე და ნატროშვილი? ამის შესახებ ფერეიდანში დაზუსტებით არავინ არაფერი იცის. თორელის მცხოვრებთ ახსოვთ ორი სტუმარი, რომლებმაც

61. იხ. ფერეიდანული ქრონიკები.

მრავალი წელი იცხოვრეს სოფელში. მათთან თანაცხოვრებამ, როგორც ჩანს, ახალი სული ჩაჰბერა ქართულ ენას, ქართულ იდენტობას... ადგილობრივებისთვის სხვა დეტალებს მნიშვნელობა არ ჰქონდა.

კოტესა და მოსეს პირადად მცნობი ადამიანები ჯერ კიდევ ცოცხლები არიან. მათ შვილებსა და შვილიშვილებს კი გაუგონიათ სოფელში მცხოვრები ქართველების შესახებ. რასაკვირველია, ეს მეხსიერება თანდათან მკრთალდება, მაგრამ ცალკეული ადამიანები, ოჯახები ინახავენ ამ ეპიზოდს, როგორც საკუთარი კოლექტიური ბიოგრაფიის ნაწილს და იქ ჩასული ქართველებისგან ცდილობენ, მეტი გაიგონ მოსესა და კოტეს შესახებ: ვინ იყვნენ, რატომ მოვიდნენ ან რატომ გაქრნენ ასე ილუმიანად ერთ მშვენიერ დილას.

ამ კითხვებზე პასუხს ისევ საარქივო მასალებში ვპოულობთ:

ფრუიძე კონსტანტინე გიორგის ძე, 1880. 1919 წლიდან მენშევიკური პარტიის წევრი ივანე რობიტაშვილთან და სხვებთან ერთად. აქვს ხარატ-მექანიკური სახელწოდებები თეირანში, დარვანსა და ყაზვინში.

ნატროშვილი მოსე სიკოს ძე, 1901. წითელწყაროს რაიონის სოფ. მაჩხაანის მკვიდრი. დაჭერილი იყო 27/IV – 30 V. სტატიით 58/17 УК ГССР. იყო გასამართლებული 10 წლით. გაიქცა 18/ XII – 31. ИТЛ УЗ ССР-დან და წავიდა ირანში. მისი ცოლი ცხოვრობს სოფ. ზემო მაჩხაანში (წითელ-წყაროს რაიონში) [შსს არქივი, ფონდი 14, საქმე 453, აღწერა 20:6].

ორივე გაქცეული იყო ირანში და 13 წლის განმავლობაში ცხოვრობდა იქ. მუშაობდნენ რკინიგზის მშენებლობაზე. იქ გაიცნეს ფერეიდნელი ქართველები და მათი მოწვევით წავიდნენ ფერეიდანში სამუშაოდ [სონლულაშვილი 2005:113; ფერეიდნული ქრონიკები 2020].

როგორც აღვნიშნეთ, ფერეიდანში, თორელში დღესაც ახსოვთ მოსე და კოტე და ახალგაზრდებსაც უყვებიან მათ შესახებ. მოსესა და კოტეს შესახებ საინტერესო ამბავი მოგვწერა თორელელმა აბოლყასემ აჰმადიმ. ეს ამბავი მან მოხუცი თანასოფელისგან ჩაიწერა. ჩვენ უცვლელად მოგვყავს ამონარიდები ამ წერილებიდან:

„თორელში ჯერ არიან ხო მოსე და კოტე ენახვოსყე. ბევრი სავბარი გამიგია.... ერთი მოხუცი ქალმა მითხრა მაშინ ხო მოსე და კოტე ჩვენსა მოილოდეს მე ბატარა გოგო ვიყავ მაკოცებდეს ჩემი დედა პირსა დამბანდა მოსე და კოტე შაწუხდებოდეს რატომ პირსა დაიბანსყე. ეს დედაკაცი არის ვინმე ხო მოსე და კოტე ემის მამას სახლში ყოფილან 10 წლის გოგო ყოფილა და ყველაფერი ახსოვს. ამ დედაკაცმა მითხრა მოსე ძაღალ კაც იყო თავის მეუღლეთა და კოტე დაბალი ჩადგმული კაცი იყო. მე გამოვკითხე როგორ ყოფილა ჩამოსულან ირანში და მიპასუხა: კოტეს დანიშნული ყვანია და სხვა კაცზე აშული შაქნულა კოტესა ანს კაცი მოკლავ დომეზიყე კოტე დაიჭირონ გამომტრევეულა ირანში. მოსე და თავის მეუღლე ჩამაჰყოლიან მითხრა მეგობრათ თუ ბიძაშვილი ყოფილან.

ჩვენნი ხალხი თავინთან მუშობდეს თაბრი ზში მოსე და კოტე დიდიები ყოფილან ვ ზს გაკეთებაში მერენ მოსულან ფერეიდანში... აი როგორც ვითხრა ხო გაიგოთ ზამთარ-

ში ხო საქმე არ ყოფილა ჩვენი ხალხი გაიდოდეს იმუშავონ გარეთ სხვა ქალაქებში აი ეს კაცები საქართველოსყენ ყოფილან ანქა გოგიაყე [=გაუგიათ] ესეიბიც ქართელი არიან დოსაქმებიყე ერთმანერთი ხო გოცნობყე, მერენ ჩამოსულან თორელში.

– იცი რა სავბარი ვავიგე მოსე და კოტეზე? მაშინ ხო რიკნისგ ზაზე მუშავობდეს ანჯილავანის გ ზაზე. თორელის ქართველები ბევრი მუშავობდა ამ დროსა ამებთან და ცუდი ავი მოსულა და ბევრი კაცი მამკდარა, ორი კაცი თორელსაყენა – ალი-ყოლი ხანჯანა და მოსაიება ანჯილავანის გ ზაზე მამკდარან და ელანქა დომარხაყე და ქართველებმა დაბრუნებულან ფერეიდანში. კი ალი მაჰამად ტურინას მოყვანია თორელში დასახლებულან მოლამარე ზას სახლში სამი წელსა.

– ანს მოხუცი ქალი ბატარა ყოფილა ხო მოსე და კოტე სამი წელსა თავინთას ცხოვრობდეს. თავის პაპა იყო მოლამარე ზა.

– მოსე და კოტესთანც ერთი ქალი ყოფილა რომელის მეუღლე არის.

...მე გამოიკითხე დედაკაცი მოსესი ყოფილა მოსე მაღალი კაცი იყო და კოტე ჩადგმული კაცი და ხანი ყოფილა ჩვენი ხალხთან რიკნისგ ზაზე (ასეა!) ყოფილან, სავე და ქალაქი ყუმის შუა, ანჯილავანში. მოსე და კოტეზე ხო, (ვიციით რომ) სამი წელი ყოფილან თორელში. კოტე ფრუიძე მარტო ყოფილა და მოსე ნატროშვილის ქალი ვინ ყოფილა? მოხუცი ქალმა მითხრა ხანომს ედახოლეს. მოხუცი ქალმა მითხრა დღესითა გაიდოდეს გარეთა მთელი მინდორებსა ეტარებოდეს და საღამოს დროს მოიდოდეს შინა და ერთგან პურსა ჭამიან და კოტესა ცალკე ოთახი ქონდა.

„თორელის ქართველები ყოფილან ერთგან მუშებაზე ხო ძალიან უყვარდაყე ჩვენი ხალხი, ერთი მოხუცი კაცმა მითხრა ეს სავბრები – ალიადა თენგელა. მითხრა ჩვენა ვიყავით ათორმეტი კაცი ანჯილავანში და ყველა თურქები მოსე და კოტე ჩვენი დიდები იყნეს გ ზას ვაკეთებაში მეტობა თურქები იყნეს რეთი დიად მაღალი კაცი იყო ყველას თავისყენ ეშინოდა ვერმინ ვერ შოდრახევის სუყელას ცემდის მე ბატონი მოსეს და კოტეს უთხარ მინდა ემ კაცთან ვიჭილო მოსემ მითხრა კაცო რას ამბობ ეს შენა პურის მაგარა შავჭამს მე უთხარ კაცო ნუ გეშინიან მე ემას დავცემ მიწაზე დაიკივლეს ყველა დაქუჩეს და დავიწყევით ჭიღვა თურქი კაცი ძალიან მაღალი მე თავისთან ნახევარი თურქსა დიდი სარტყელი ეკრა ქამარზე ერთხელხო თავის ფეხების შუა ვავძერ მე ორე ჯერზი ხელი წავყავ თავის სარტყელზე და დავიხარე ზურგის უკნიტყე გარდავისროლე ნახამ ვნახე ქართველებმა ჩაფული დოკრეს და თურქებმა შაწუნდეს და უნდოდა შუელი შაყენონ მოსემ და კოტემ წომოვარდესყე არვის ნება არ აქ ქართველებსა რამე უთხრასყე ამის უკან ჩვენი დღე იყო თურქებმა დაჯგეს თავინთ ადვილზე. ბევრი სავბარი იყო ემ კაცის გულში ნამდვილი ქართველი იყო ღმერთმა აცხონოს.“

მოგვიანებით აბოლყასემ აჰმადიმ თანასოფლელი მოხუცი ქალისგან კიდევ ერთხელ გამოიკითხა ქართველი „თანასოფლელების“ ამბავი და საინტერესო ვიდეომასალა გამოგვიგზავნა:⁶²

62. ეს მასალა აბოლყასემ აჰმადიმ გამოგვიგზავნა. ჩვენ უცვლელად, რედაქტირების გარეშე, წარმოვადგინთ მას.

„მოსეს დედაკაცი დევანდა, კოტოს არ დევანდა დედაკაცი. იმბობდაკე: მე დანიშნული მყვანდა. კოტო იმბოდა: მე დანიშნული მყვანდა. ერთმა მოიდა, ჩემ აშუღის დედაკაცი შაიქნა. ვიშუღლეთ, ანს მოვკალი. ანს მოვკალ თუ მოკლესო. და მოიდესდა, მეღა დამიჭირონ, მეღა გამოელო. მოსესთან გამუელითო. მოელითღა, თეირანში დავარდითო.... აღიმაჰმადამ მოიდა თეირანჩიგაო, შოჯაიმ. მოიდა თეირანჩიგაო, მოიდა, ჩენთან აშნა ქნაო. ჩონაც ავლექით, ემისთანღა გამოელითო. მუელით ექო. მუელით, ექ ერთ დიდ სახლის ფიქრი ვქენითო. მოელით ექა, ეს აბას ყოლამ ექ სახლი მოცკაო. ჩემ აშუამა, მოლა აბას ყოლამ... იმაშინღა ემ ემებმა მოიდესკე, ხორბალი და ქერი და ნუხუდო, ოსპი – სუ რამე იყიდეს ემ სახლჩი. თერიაქიც იყო. იმაშინ თერიაქსა ვვნიდით. მე ვთქი: დაშიები ხართ? – არა, აშუზადები! (=ბიძაშვილები)... თითან თარიფობდეს, არა ქე თარიფობდეს, ქე სხომ გაიგოს! მე სხოსი არ გაიგე. თითონა თარიფობდეს, აიდიანყე ვობზეგა“ [შაჰრბანუ აჰმადი მიანდაშთი].

როცა საბჭოთა მთავრობამ წამოიწყო ემიგრანტების უკან დაბრუნება, მოსემ და კოტემაც შეიტანეს თხოვნა საბჭოთა საელჩოში. იქ მათ, როგორც ჩანს, მოსთხოვეს აღეწერათ ფერეიდანში ყოფნის პერიოდი. თითოეულ მათგანს მოუწია სათითაოდ დაწერა მოხსენებითი ბარათი. მათი ჩანაწერები თარგმნილია რუსულ ენაზე. პირველ წერილს სათაურად აქვს: „საბჭოთა კავშირის გენერალურ კონსულს თეირანში“. მათი თქმით, ისპაჰანში უმუშევრობის გამო იძულებულნი გახდნენ ესარგებლათ ფერეიდნელი ქართველის ალი მამაედ შოჯაი გეორგეშვილის მიწვევით და ასულიყვნენ თორელში. ორივე სოფელში იყო გაზრდილი, მოსე მესაქონლეობაში ერკვეოდა, ასე რომ, არ გაუჭირდებოდათ სოფელში ცხოვრება. თორელში საშინელი სიღარიბე დახვდათ, როგორც აღნიშნავენ, შემოდგომასა და ზამთარში, სანამ იქ იყვნენ, მოწმენი გახდნენ ქართველების უსასობისა, მონობისა, ძალადობისა და ძარცვისა.

თორელის მოსახლეობამ ცრემლებით გამოაცილა ისინი და სთხოვა ეცნობებინათ საბჭოთა საკონსულოსთვის მათი მწარე ცხოვრების შესახებ. სთხოვეს, გადაეცათ კონსულისათვის, რომ ეშუამდგომლა სტალინთან მათი გათავისუფლებისათვის და გადაეცა დიდი და უფროსი ძმისთვის, სტალინისთვის როგორ ცხოვრობენ და ეწამებიან მონობაში „ღვთისგან დავიწყებულები და იძულებით მოგლეჯილები დედასამშობლოდან“. ფრუიძე და ნატროშვილი ითხოვენ ამ წერილის ასლი გაეგზავნოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. წერილი ხელმოწერილია ფრუიძისა და ნატროშვილის მიერ. მიწერილია: თეირანი. 1946 წლის 5 მაისი.

კოტესა და მოსეს ამ წერილის სტრიქონებს შორის აშკარად „იკითხება“ საგარეო საქმეთა კომისარიატის მოხელეთა ინტერესი, ყველა შესაძლო საშუალებით იქნეს ფერეიდნელთა დუხჭირი ცხოვრებისა და მათი უკან, სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული საკავშირო ხელისუფლებით. აშკარაა, რომ ამ საქაღალდეში მიზნობრივად იკრიბება ამ აუცილებლობის დასასაბუთებლად საჭირო მასალები.

კოტესა და მოსეს მეორე მოხსენება სათაურით „ფერეიდანი“ გაცილებით დიდი მოცულობისაა. აქაც თორელში მოხვედრის მიზეზებზეა საუბარი. ჩამოთვლილია ფე-

რეიდნის ქართული დასახლებები და მიწერილია მათი რაოდენობა: ზემო მარტყოფი – დაახლოებით ათასი სული; ბონი (უნდა იყოს ბოინი) –1200; ქვემო მარტყოფი (ახორა) –1500; აფუსი –2000; თორელი –1200; სიღნაღი (სიბაქი); ჯაყ-ჯაყი; ჩუ-ლურეთი; დარბანდი; ახნაი; დაშკეტანი (ასეა!).

მათი თქმით, არ არის სტატისტიკური მონაცემები რაოდენობის მიხედვით, თუმცა ქართველების რიცხვი 23 ათასი უნდა იყოს.

აქვე მიწერილია საინტერესო ინფორმაცია, რომელიც სხვაგან არსად არ შეგვეხვედრია: „**სოფელი ყანდაური გადასახლდა აქედან შირაზის რაიონში.**“

სოფელი თორელი ეკუთვნის ხანს, ეროვნებით სპარსს და მიწები მოსახლეობას იჯარით აქვს აღებული. ამ წერილშიც საუბარია ქართველთა მძიმე ყოფაზე.

ფერეიდნელები სიამოვნებით იხსენებდნენ ირაკლი კანდელაკის სტუმრობას ფერეიდანში. ასევე ამბობდნენ, რომ რომელიღაც სოფლიდან გლეხები რადიოთი ელაპარაკებოდნენ სტალინს.

ქართველების ნახვამ და ხმებმა სომხების გადასახლების შესახებ ისევ გააცოცხლა ქართველებში სურვილი, დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. 50-მდე კაცი აცილებდა მათ და სთხოვდა მიეწვდინათ მათი თხოვნა საკონსულომდე. ზოგმა პასპორტის ნომრებიც კი გამოატანა.

ამ წერილსაც იგივე ხელმოწერა და თარიღი აზის [ფონდი 14, აღწერა 20, საქმე 253:35-42].

თორელში დღემდე ყვებიან მათ სოფელში დიდი ხნის წინ სტუმრად მყოფ ქართველებზე:

აი ესები ჩამოსულან თორელში ხო ჩემი ხალხსა ახსოვს – მოსე და კოტე – ანთევანი – ბაბახანი – ლევანი – ამბაკო და სარა – რაფელა. ანთევანი შიძლება ასი წელი წინა ყოფილა ირანში თეჰრანსა დაიწყო ქარხანას გაკეთება კინას ხერხითა ქვა გაჭრას და ჩვენი ხალხიც თორელის ქართველები მუშავობდეს თავისთანა. ეხლაც არის მოხუცი კაცი, ხო თავის ფოტო ვაჩვენე იბნას ანთევანის საქმეობი. ანს აღამიანები ხო ანთევანის ქარხანაში მუშობდეს. არვინა ცოცხალი არარი. სადმე სურათი არარი. მხოლოდ მოხუცი ბერი კაცებსა აგონდები სყე [აბოლყასემ აჰმადი].

სამ-ოთხ წელი ელ ექ იყნეს, საქმო ხო არა ქონდაყე რა, წაილოდენ ასლანყე წისქილს უკან ემ ტინეებზელა და დაჯგვიან ემ ტინეებზელა და ეს ტინეები ახურდავიანყე და დასჭრიტდეს ემ ტინეებსა, დატეხიანყე და ემ ტინეებზე დაჯჭრეტესლა, უჭრეტდეს ემ ტინეებსა. ეხლა რა იყო ემ ტინეებჩი, რა უნდა ქნან და რა გამოდიოდეს შიგა, არ ვიცი, როგორ არი [ჰაჯი ყოლამ ჰასანე ყასემი].

ამ მონათხრობიდან ირკვევა, რომ სტუმრებს რაღაც განსაკუთრებული ინტერესები ჰქონდათ, რაც ადგილობრივებისთვის კითხვებს აჩენდა. მაგალითად, მათ დღემდე უკვირთ, რატომ აკვირდებოდა ის ორი ასე დაბეჯითებით კლდეებს (ტინეებს) ან რა

ჰქონდათ ამდენი განმარტობით სალაპარაკო, როცა გომზე ადიოდნენ და საათობით საუბრობდნენ ერთმანეთში.

საელჩოს დოკუმენტებით ირკვევა, რომ ფრუიძემ და ნატროშვილმა ისარგებლეს საბჭოთა სახელმწიფოს დადგენილებით ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების შესახებ. მათი გვარები საქართველოში დაბრუნებულთა სიაშია [გურული, ჯიქია 2012: 75].

საარქივო მასალების შესწავლამ ნათელყო, რომ გასული საუკუნის ორმოციანი წლებისთვისაც, როგორც წინა პერიოდში, ფერეიდნელი ქართველების საკითხი სახელმწიფო ყურადღების ცენტრში რჩება. სავარაუდოდ, არსებობდა ცენტრალური ხელისუფლების სურვილი, ეს თემა გამოეყენებინათ, როგორც სარეზერვო იარაღი, გარკვეულ სიტუაციებში. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების ეს ინტერესი რამდენადმე მინელდა.

განსხვავებულია ქართული საბჭოთა ხელისუფლების პათოსი. ქართველ ფუნქციონერებს არ უნდათ ხელიდან გაუშვან მიღწეული მდგომარეობა და ცდილობენ ფერეიდნული თემის კვლავ გააქტიურებას. მათ მიერ ცენტრალური ხელისუფლებიანთაგან შედგენილ დოკუმენტებში ნათლად ჩანს სურვილი, დააჯერონ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომ აუცილებელია ფერეიდნელთა გადმოსახლება. ყველა დოკუმენტში ქართველი ხელისუფლების მხრიდან იგრძნობა ფრთხილი მცდელობა, მოიპოვონ ამ საკითხის მოგვარებისთვის უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმის უფლება. სწორედ ასეთი ნაბიჯი იქნებოდა ისპაჰანის საბჭოთა საელჩოს თანამშრომლის, ზემოთ უკვე ნახსენები ასლანიკაშვილის მისია, სტუმრებოდა ფერეიდანს და დაახლოებოდა ფერეიდნელ ქართველებს.

საგულისხმოა, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ მას „გზაში დააწია“ ამ მისიის გაუქმების ბრძანება, და როგორც უკვე ვთქვით, მას აეკრძალა თეირანის დატოვება. ამიტომაც ასლანიკაშვილს ფერეიდნელ ქართველთა შესახებ ანგარიშის მომზადება თეირანში ორგანიზებული შეხვედრების საფუძველზე მოუხდა.

ბელადი და ფერეიდნელი ქართველები

სტალინის, როგორც ეთნიკური ქართველის სახელი და ცნობადობა ფერეიდნელ ქართველთათვის დიდი სიამაყის საგანი იყო. ფერეიდნელთა ეთნიკური მობილიზაციისა და კუნძულური თავისთავადობის მარგანიზებული სტალინის სულ უფრო და უფრო მზარდი ავტორიტეტიც იყო.

ირაკლი კანდელაკმა ჩამოიტანა საქართველოში ფერეიდნელი ქართველის წერილი. თუ იმ წლების პოლიტიკარის ზოგად რიტორიკას გავითვალისწინებთ, წერილი ფერეიდნული თემის გააქტიურების ერთ-ერთი ნაწილი იყო და მას უნდა გამოეწვია საზოგადოებრივი და სახელისუფლებო აზრის ფორმირებაში ერთ-ერთი მგრძნობიარე და პოპულისტური მტკიცებულების როლი. წერილში მოხსენიებული იყო „ჩვენი მამა, ბატონი სტალინი“ და გამოხატული იყო მტერზე გამარჯვების სურვილი. წერილი 1944 წლის აპრილის თვეშია დაწერილი.

გუგუნი ბოქარო ველებო
ის იცხლო დიღხანს
გუგუნი ბიბო ტარაღელ
ნაწილი უსაწილია
ბატონი სტალინი
სოფელი გონისი
მამული სახლი
ქაჯაუვილი
30-ე აქრელი
1994

ბუნებრივია, ფერეიდნელ ქართველებში ძალიან დიდი გამოძახილი ექნებოდა სტალინის თეირანში ჩასვლას. ბელადის სახელი საუკუნეების წინ იძულებით აყრილ და ირანში გადასახლებულ ქართველებს ეთნიკური სიამაყის გრძნობას უძლიერებდა და უმყარებდა.

დღეს ლეგენდად დადის ფერეიდანში, როგორ შეხვდა რეზა ონიკაშვილი სტალინს და სთხოვა ფერეიდნელ ქართველთა დახმარება.

წარმოვადგენთ ფერეიდნელი ქართველის, ყოფილი თავაზოპის (თავადის), მონაყოლს:

სტალინზე ფერეიდნელებმა იცოდნენ, რომ ის იყო ქართველი და ერთ ფერეიდნელი და, თაის გვარი არის ონიკაშვილი – ერთ ბიჭი იყო, სიმაღლე ჰქონდა ორ მეტრს. და ამით ეძახოდეს დათა ასადოლანი. დათი იყო და ეხლა ეს ასადოლაი არ ვიცო საიდან ყოფილა. დათა ასადოლაი სახელზე. ეს ბიჭ არი ჯარში. ეს ბიჭ არი ჯარშივა. მერე სტალინი ჩამოა ემეჩივა, თეირანში. ეს კონფერანცია რო იყო. და ემ ბიჭმა იცის, რო სტალინი არი ქართველი. ეხლა ეს საწყალი აღარ არი. ჩვენთან იყვნეს,

ონიკაშვილია, მარა მეორე სახელი ქონდა დათა ასდლოანი – ესები რო სუქანები, სხილები იყნეს. ამათა ერთი ძმა დეკანდა, ეს იყო ჯარში, რაც თითან მამიყვა, მე ჩაწერილიც მაქ ემე. კადრი გადაღებული მაქ მეც.

სტალინი რო ჩამოსულა თეირანშიც კონფერენციაში, ეს ყოფილა გუშაკი, და ეს სტალინი მოა, შავიდე სემეჩიგა. ემ ოპერაციაში შევიდე და ეს ეტყის: გამარჯობა! ეს ონიკაშვილი ეტყის: გამარჯობა! ალბათ ახლო არ ყოფილა, ცოტა განს ყოფილა, დოუკივლებს: გამარჯობა! სტალინი დაბრუნდების. და წავა და ჯელს ჩამართომს და ეს ბიჭი უმბობდა, რო, – ეხლა საწყალი, ერთი ოთხმოცდათორმეტ წელს იც ხოვრა და ეხლა აღარ არის – სტალინმა რაც მელაპარაკაო, მე ენა ჩამივარდაო, ვერაფერი ვერ უპასუხეო. ხო ქართულად მელაპარაკა, მინა ხარ, სადა ხარ, რა ხარო და... ვერაფერს პასუხი ვერ მივეო... იმ ბიჭმა. ერმიანი იყო, თავრობანი მუშაობდა და ემასა დეკანდა მეუღლე აფუსელი, ემ რე ზოსა [ყოღრათ თავაზოპი (თავადე)].

ბუნებრივია, არ სჭირდება დიდი ასხნა იმას, რომ უსაფრთხოების წესების წარმოუდგენელი გამკაცრების ფონზე შეუძლებელი იქნებოდა ოდნავ მაინც მიახლოება სამეულთან. როგორც ჩანს, ასეც მოხდა. რეზა ონიკაშვილის ნაამბობი უფრო ნაოცნებარი და არშემდგარი შეხვედრის შემდგომ საკუთარი თავისა და თანამემამულეების დასაიმედებლად გამოგონილი ამბავს ჰგავს. თუმცა... ვინ იცის?! ასეა თუ ისე, ეს ამბავი ერთ მთავარ მითად იქცა ფერეიდნელებსთვის: დიდი პატრონის შვილობის მითად. ამ მითმა კიდევ ერთხელ გააჩინა სამშობლოში დაბრუნების იმედი და კიდევ ერთხელ შეკრა კუნძულელთა შერყეული ეთნიკური ცნობიერება.

ამ ამბის ნამდვილობა სხვა არცერთი ცნობით არ დასტურდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელს, ასლანიკაშვილს თავის მოხსენებით ბარათში ნახსენები აქვს, რომ დიდი სურვილის მიუხედავად, რეზა ონიკაშვილმა სტალინთან შეხვედრა ვერ შეძლო.

კიდევ ერთი მითი სტალინისა და ფერეიდნელთა ურთიერთობაზე, რომელიც გახდა დასანანი შეცდომის შედეგი და რომელიც ბევრ სამეცნიერო ნაშრომში შეგვხვდა: – თითქოს სეიფოლა იოსელიანი შეხვდა სტალინს თეირანში და სთხოვა დახმარებოდა ფერეიდნელ ქართველებს სამშობლოში დაბრუნებაში. სტალინისგან მიიღო დაპირება, რომ მოგვიანებით დაუბრუნდებოდა ამ საკითხს, რადგან ახლა ამის დრო არ იყო.

სამწუხარო გაუგებრობას უნდა მივაწეროთ ის, რომ ერთგან დაშვებული ეს შეცდომა გამეორებულია სხვა მეცნიერთა შრომებში. საქმე ის არის, რომ ფერეიდნელ ქართველთა ქომაგი და მფარველი, სეიფოლა იოსელიანი ვერაფრით შეძლებდა სტალინთან შეხვედრას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გარდაიცვალა 1929 წელს, ფიქრობენ, რომ ის მოწამლეს.

ეს მითიც, როგორც ჩანს, ფერეიდნულ ზეპირსიტყვიერებაში გაჩნდა და იქიდან გადმოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში. მისი საფუძველი ადვილი ასახსნელია: სეიფოლა ხანის სახელი ფერეიდნელებსთვის დღესაც უკავშირდება იდენტობის გადარჩენის, სამშობლოსკენ სვლის, განათლების, გადარჩენის იდეას. სეიფოლა ფერეიდ-

ნელთა პატრონი და მხსნელი უნდა გამხდარიყო. მისი სახელი ფერეიდნელთა ცნობიერებაში შეუძლებელია ასცდნოდა დიდი საქართველოს დიდ წარმომადგენელს, მათი შეხედულებით ყველა ქართველის ასევე დიდ პატრონს – სტალინს.

ფერეიდნელები დღესაც გამოირჩევიან ისტორიული ფაქტების ქრონოლოგიური მიმდევრობისადმი იდეალიზებული დამოკიდებულებით. მათთვის „საერთო“ ისტორია პიროვნებები და ფაქტებია. განშორების 400 წელი მათთვის მოვლენათა მთლიან ქრონოლოგიურ ჯაჭვად ვერ აისახება. მათ „შემდრკალ“ თავდაჯერებას, რწმენას, რომ არსებობს გადარჩენის გზა და ამ გზას „სხილკაცები“ იპოვიან, გაბნეულ „წიწილებს“ მოაგროვებენ და დედასთან დაბრუნებენ, სჭირდებოდა გამყარება. ამიტომაც შეიქმნა ფერეიდნული „ისტორიის“ ეს მითოლოგიზებული პასაჟი: თითქმის 15 წლის წინ გარდაცვლილი სეიფოლა იოსელიანისა და თეირანში მსოფლიო ლიდერებთან შესახვედრად ჩასული საბჭოთა ლიდერის „შეხვედრა“ ქართველების ბედზე სასაუბროდ.

ასეთ მწარე სიმართლეზე ისტორიასაც არ ეციენება!

თუმცა მითი ხანდახან რეალობაზე უკეთ აკეთებს ხოლმე თავის საქმეს.

სეიფოლასა და სტალინის შეხვედრისა და ფერეიდნელთა გადარჩენის საერთო გეგმის შესახებ არსებულმა მითმა გააძლიერა იდენტობის შერყეული საყრდენები და „ფერეიდნული კუნძულის“ არსებობა კიდევ დიდი დროით უზრუნველყო.

ფერეიდნელები არ ცდებოდნენ, სტალინის გეგმებთან თავიანთი ბედის დაკავშირებას რომ ცდილობდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, სტალინი ნამდვილად გეგმავდა საბჭოთა კავშირისათვის ახალი ტერიტორიების შემომატებას და გლობალურ სასაზღვრო ცვლილებებს. ჩანს, რომ საბჭოეთის სამხრეთ საზღვრებთან ეს ცვლილებები უნდა შეხებოდა საინგილოსა და ტაო-კლარჯეთის მიწებს, ფერეიდნელი ქართველები კი ამ დიდი პოლიტიკური მოძრაობის შედეგად უნდა დაბრუნებოდნენ ისტორიულ სამშობლოს. შესაძლოა, რომელიმე შემოერთებულ მიწაზეც კი.

სტალინის გარდაცვალებამ სრულიად შეცვალა დიდი საბჭოეთის დამოკიდებულება ამ საკითხების მიმართ და „პატარა საქართველოს“ თემამაც უკანა პლანზე გადაიწია.

7. გზა შინისაკენ – მე- 20 საუკუნის 60-70-იანი წლები

როგორც ვნახეთ, ფერეიდნული საკითხი საკმაოდ ხანგრძლივად და მონდომებით შეისწავლებოდა საქართველოს მთავრობის მიერ ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების დავალებითა და მითითებებით.

საბჭოთა საქართველოს მხრიდან ამ საქმეში ჩართულ ფუნქციონერებს, როგორც ჩანს, არ უნდოდათ გაწეული შრომის წყალში ჩაყრა. ჩანს, რომ მათ ცენტრის გეგმების პარალელურად, საკითხის მიმართ ლოკალური ინტერესიც ჰქონდათ. ამიტომაც 60-იან წლებიდან ისევ იწყება ფერეიდნული თემის გააქტიურება.

1960 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ფერეიდნელი ქართველების წერილი:

„...გაცნობებთ, რომ ჩვენ ქართველები ცუდად ვცხოვრობთ. ჩვენ ვთხოვთ საქართველოს უმაღლეს საბჭოს აღმოგვიჩინოს მატერიალური და მორალური დახმარება. ვთხოვთ არ გამოიყენოთ ეს ცნობა ირანისათვის თქვენს რადიოგადაცემებში, რადგან ეს წერილი საიდუმლოდ არის დაწერილი და ჩვენ არ გვინდა, რომ ირანის ხელისუფლებამ გაიგოს ამის შესახებ. ირანის ხელისუფლება უპატივცემულოდ გვეპყრობა და არასდროს არ აქცევს ყურადღებას ჩვენს საჩივრებს. ეს არის მეორე მომართვა თქვენდამი. პირველზე... პასუხი არ მიგვიღია. ვთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად გაგვცეთ პასუხი. მეტად აღარ შეგაწუხებთ“ [სონლულაშვილი 2005: 116].

ეს წერილი იყო მოტივაცია იმისთვის, რომ ხელისუფლება მტვერმიყრილ „ფერეიდნულ საქალაქს“ მიბრუნებოდა.

შსს არქივებში დაცულია ალექსანდრე ასლანიკაშვილის 1963 წლის 18 თებერვლით დათარიღებული წერილი, რომელშიც, როგორ ჩანს, თეირანში მისი მივლინებიდან წლების შემდეგ საბჭოთა შესაბამისი უწყებების თხოვნით წერს მოხსენებას „ირანელი ქართველები (მოკლე ცნობები)“⁶³. შესრულებულია რუსულ ენაზე.⁶³

მოხსენებაში ასლანიკაშვილი გადმოსცემს 1947 წელს ირანში ყოფნისას მოპოვებულ ინფორმაციას. მიმოხილულია ფერეიდნელი ქართველების ჩასახლების ისტორია, ჩამოთვლილია 12 ქართული დასახლება. მოკლედ საუბრობს მათ შესახებ, ასევე ფერეიდნელი ქართველების ენის, რელიგიის, მათი ეთნიკური იდენტობის შესახებ; აღწერს მათ ეკონომიკურ და სამართლებრივ მდგომარეობას, კულტურულ და ყოფით ღონეს.

იწყება ორმოციანი წლების ინფორმაციის გაცოცხლება. ამ დოკუმენტის არსებობა ნიშნავს იმას, რომ სახელისუფლებო ღონეზე მიმდინარეობს ფერეიდნული საკითხის რეაბილიტაციის პროცესი.

1963 წლის თებერვალშივე საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვასილ მჟავანაძე აგზავნის წერილს საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ხრუშჩოვის სახელზე. ამ წერილში საუბარია იმაზე, რომ ირანში იძულებით გადასახლებული ქართველების შთამომავლების (დაახლოებით 15 ათასი) საბჭოთა კავშირში ჩამოსახლებისთვის მუშაობა დაწყებული იყო ჯერ კიდევ 1947 წელს, მაგრამ მაშინ თითქმის ბოლომდე მიყვანილი საქმე იმდროინდელი ხელისუფლების დაუინტერესებლობის გამო ჩაიშალა. მჟავანაძე ამ საკითხს ხელახლა სვამს. მისი აზრით, იმ ფონზე, რომ უკანასკნელ წლებში მოხერხდა საბჭოთა კავშირში ჩამოსახლება კახაკების, უკრაინელების, სომხების, არ უნდა გართულებულიყო ფერეიდნელი ქართველების სამშობლოში დაბრუნების პროცესი. მისი თქმით, ფერეიდნელების საბჭოთა საქართველოში დაბრუნების პროცესს ჰქონდა როგორც

63. იხ. ფერეიდნული ქრონიკები.

სამართლებრივი, ისე მორალური საფუძველი. – ეს მოსახლეობა იძულების წესით იყო ემიგრირებული და უცხო სახელმწიფოს ხანგრძლივ ტყვეობაში იმყოფებოდა. ირანის ხელისუფლებიდან არ უნდა ყოფილიყო წინააღმდეგობა, რადგან უკვე არსებობდა სომხების გადმოსახლების პრეცედენტი. განსხვავებით სომხებისგან, საუბარი იყო 12-15 ათასი ადამიანის ჩამოსახლებაზე, რაც საბჭოთა საქართველოს პირობებში სრულიად შესაძლებლად მიიჩნეოდა. წერილის ბოლოს მჟავანაძე სთხოვდა ხრუშოვს დაეკლებინა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის დიპლომატიური არხების საშუალებით ირანიდან ფერეიდნელთა რეპატრიაციის საკითხის მოგვარება [შსს არქივი, 14, 40, 280 გვ. 6-8].

სამთავრობო უწყებების კვალდაკვალ გააქტიურდა პრესაც. 60-იანი წლებიდან განახლდა ფერეიდნისა და ფერეიდნელი ქართველების თემის ამსახველი სტატიებისა და ნაშრომების დაბეჭდვა ჟურნალ-გაზეთებში. ირაკლი კანდელაკი კითხულობს ლექციას ფერეიდნის თემაზე, ისევე იბეჭდება მისი სტატიები ამ საკითხის გარშემო გაზეთ „მედიცინის მუშაკის“ 1961 წლის N30-33-ში, ასევე 1963 წელს გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“.

როგორ აქტიურდება საკითხი სახელმწიფო დონეზე? როგორც წესი, რაც მიღებული იყო საბჭოთა სივრცეში, ნებისმიერი საკითხის წამოწევა და პოპულარიზაცია უნდა მომხდარიყო ხალხის მოთხოვნით და აი 1965 წლის 23 იანვარს მჟავანაძის სახელზე იწერება წერილი, რომელსაც აქვს ხელმოწერა „ქართველნი“:

პატივცემულო ვასილ პავლეს ძევ!

უმორჩილესად გთხოვთ, ყველა ქართველის სახელით უშველეთ ირანში ჩასახლებულ ქართველებს, თქვენ ამით გააკეთებთ უაღრესად კეთილ საქმეს. ჩვენს დიად სამშობლოში სწავლობს სხვა ეროვნების ხალხი, ამათ ე.ი. ფერეიდნელ და იქ მყოფ ქართველებს კი ამის საშუალებაც არ აქვთ, რომ რაიმეთი მაინც აიმაღლონ თავისი კულტურული და მატერიალური დონე.

რა დააშავეს საწყლებმა, რომ 350 წელი უსამართლობის უღელი ადგიათ?! – არაფერი. ეს ხალხი გაწყვეტის გზას ადგას, უშველეთ.

პატივცემულო! გადმოსახლება თუ წარმოადგენს მეტად ძნელ საქმეს, შეიძლება რაიმე დახმარებით მაინც გავუწოდოთ ხელი?...

სხვა თუ არაფერში, სწავლა-განათლებაში მაინც...

მნიშვნელობა არ აქვს ვინ გწერთ ამას, მთავარია ეშველოს ამ ისტორიულ უსამართლობას, რაშიც დიდ იმედებს ვამყარებთ ჩვენს ყველა მოძმე ხალხებზე...

გვერწმუნეთ! თქვენ ამით საშვილიშვილო საქმეს გააკეთებთ თქვენი ხალხისათვის, ხოლო თქვენი სახელი კი წარუშლელი იქნება ქართველთა გულებში...

უმორჩილესად გთხოვთ: თქვენი ხალხი.

ქ. თბილისი 1965 წლის 29 იანვარი.

ქართველნი.

ამ წერილს აქვს მინაწერები სხვადასხვა კალმით. ყველა ხელისმომწერი საკმაოდ ცნობილი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეა, ფაქტობრივად, იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები. ამკარაა, რომ ეს წერილი საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისთვის არის დაწერილი და მისი შექმნისა და ასეთ მაღალ ინსტანციაში გაგზავნის იდეა სპონტანურად არ არის წარმოშობილი. აი ამ წერილის ხელისმომწერები: გ. ჯავახიშვილი, დ. სტურუა, ო. ჩერქეზია, შ. ჭანუყვაძე, გ. ჩოგოვაძე, გ. ძოწენიძე, ა. გეგეშიძე... (არის კიდევ რამდენიმე ხელმოწერა ქართულ და რუსულ ენაზე, რომელთა იდენტიფიცირებაც გაგვიჭირდა). გ. ძოწენიძის ხელმოწერის გარდა წარწერაც გაუკეთებია: „... მეტად მნიშვნელოვანია, მართლაც საჭიროა, მაგრამ როგორ? [ფონდი14, აღწერა 40, საქმე 218, გვ.175].

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით ვასილ მკავანაძე საგარეო საქმეთა მინისტრის, გრომიკოს, სახელზე აგზავნის წერილს, რომელშიც საუბრობს ფერეიდნელი ქართველების მიძიმე მდგომარეობაზე ირანში. წერილში აღნიშნულია, რომ საბჭოთა საქართველოში ინტერესი ფერეიდნელი ქართველების მიმართ წლიდან წლამდე იზრდება, საბჭოთა საქართველოს საზოგადოება ფრიალ შემოთებულია ფერეიდნელი ქართველების მდგომარეობით და დაბეჯითებით ითხოვს მათი რეპატრიაციის შესახებ საკითხის დაყენებას.

წერილის ბოლოს გამოხატულია საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პოზიცია, რომელსაც მიაჩნია, რომ ფერეიდნელი ქართველები, იძულებით გადასახლებულები თავიანთი მიწიდან უცხოელი დამპყრობლების მიერ, არ უნდა იყონ მიტოვებულები ბედის ანაბარა [შსს არქივი, 14,40, 280 გვ.18-20].

თავად ფერეიდნელ ქართველთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ მეტი განათლება და ცოდნა შეეტანათ ამ რეგიონში მცხოვრები ქართველების ცხოვრებაში. ერთ-ერთი მათგანი იყო მალექ-მოჰამედ რაჰიმი. მან 1965 წელს წერილი გაუგზავნა ნიუ-იორკის ქართველთა ასოციაციის თავმჯდომარეს, რომელშიც უხსნის ფერეიდანში ქართული ენის მდგომარეობას და დახმარებას სთხოვს დედაენის შესწავლის საქმეში:

„მოხარული ვიქნები, თუ მიიღებთ ჩემს მხურვალე სალამს. მე მქვია მალექ მოჰამედ რაჰიმი. 33 წლის ვარ. ვმუშაობ სახალხო განათლებაში, ვცხოვრობ ფერეიდუნშაჰრში. მე ჩემს ქართველ ძმებთან ერთად, რომელთა რიცხვი დაახლოებით 40000-ია, ისპაჰანის ფერეიდანში ვცხოვრობ. ფერეიდანის ქართველთა უმრავლესობა მისდევს სოფლის მეურნეობას, ბევრს აქვს საკუთარი სახლი და მიწა, მაგრამ მდიდრები არ არიან. ქართულ სოფლებში იხსნება დაწყებითი სკოლები. ეს საქმე წინ მიდის. სკოლებში ასწავლიან სპარსულ ენაზე, მაგრამ ხალხი ადგილობრივ ენაზე მეტყველებს, მაგრამ ქართველებს არ შეუძლიათ ქართული წიგნების წაკითხვა და არ ესმით ისინი. ამიტომ მე გადავწყვიტე ქართული წერა-კითხვის გავრცელება. სამწუხაროდ, ამის საჭირო პირობები არ არსებობს. ირანში არ იბეჭდება ქართული წიგნები. ამჟამად მე მჭირდება ქართულ-სპარსულ-

ლი, ან ფრანგული, ინგლისური ლექსიკონი. თუ თქვენ ამის საშუალება გაქვთ, გთხოვთ გამომიგზავნოთ.

გთხოვთ შემატყობინოთ, რა ფუნქციებს ასრულებს ნიუ-იორკის ქართველთა სახლი და რა სახის დახმარება შეუძლია გაუწიოს მან იმ ირანელ ქართველებს, რომლებსაც ექნებათ სურვილი ამერიკაში სწავლის. თქვენ შეგიძლიათ ქართველ ირანელს, რომელსაც ირანში 12 წელი უსწავლია და აქვს სურვილი სწავლის გაგრძელებისა, აღმოუჩნოთ დახმარება და უზრუნველვეყოთ მისი ნორმალური ცხოვრება? რასაკვირველია, თუ რაიმე ისეთი საქმე იქნება, რომელიც არ შეუშლის მას სწავლაში, იგი შეასრულებს ამ დავალებას. თვეში რა ჯდება ერთი სტუდენტის შენახვა ამერიკაში? იქნებ არის ისეთი პირი, ვინც გაიღებს გრძელვადიან სესხს? გამიხარდება თუ მიპასუხებთ ამ წერილზე.

თუ ბატონი ალექსიშვილი ნიუ-იორკშია, გადაეცით მას დიდი მოკითხვა⁶⁴

წერილში ჩართულია ქართული ტექსტი: პატივცემულ ბატონო. ქართველების – დიდი გადაეცი ჩემში ქართული ქართველებსა ქალაქ ნიორქში. ჩვენ ქართველები ირანში ცოტა ვართ 4000 ათასი. (სპარსულ ტექსტში მკაფიოდ არის 40000 – ვ.გ). არ ვიცი მიიღეთ თქვენ ირანის ენასა... მას უკან ვისცა უნდა ირანის ქართველის ნახვა უნდა მოიღეს ირანში მოჰამედ რაჰიმთან. პატივისცემით ძალექ მოჰამედრაჰიმი... [გურგენიძე, 1990: 15].

არ არის ცნობილი რა პასუხი მიიღო ფერეიდნელმა ქართველმა ამერიკის ქართული სათვისტომოდან, მაგრამ ფაქტი ერთია: ფერეიდნის ქართველობაში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც კარგად ესმოდათ განათლების ფასი, მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის ცოდნის მნიშვნელობა და იბრძოდნენ საკუთარი ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად ქართული საზოგადოების სურვილისა აქაც და ფერეიდანშიც და საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების მონდომებისა, ეს საკითხი ამ დროისთვის ვერ გადაწყდა. სამშობლოში მართლაც დაბრუნდნენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო ცხოვრობდნენ უცხოეთში, მათ შორის სპარსეთიდანაც, თუმცა ეს პროცესები არ შეეხო ფერეიდნელ ქართველებს და მათი გადმოსახლების საკითხი ისევ გადაიდო...

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კულტურულმა კონტაქტებმა დიდი კვალი დატოვა ფერეიდნელთა ყოფაზე, რადიოგადაცემებმა, საქართველოდან გაგზავნილმა წიგნებმა, გაზეთებმა, ფირფიტებზე ჩაწერილმა ქართულმა სიმღერებმა იქაური ქართველების იდენტობის შენარჩუნების პროცესს დიდად შეუწო ხელი.

ამასთან დაკავშირებით საინტერესო ამბავი გვიაპბო ამჟამად უკვე საქართველოში მცხოვრებმა ფერეიდნელმა ქართველმა შაჰნაზი რაჰიმში (ნაზი დავითაშვილმა). როცა ირანში მოხდა რევოლუცია და, ფაქტობრივად, სახლში უწევდათ ყოფნა, ნაზი დიდიდანი სალამოდდე უკრავდა ქართულ სიმღერებს, განსაკუთრებით უყვარდა მაყვა-

64. სპარსულიდან ტექსტი თარგმნა ჯემშიდ გიუნაშვილმა.

ლა და არჩილ ჩიხლაძეების სიმღერა და ხშირად უსმენდა მას. ნაზი ამბობს, რომ ეს მისი პირველი შეხება იყო სალიტერატურო ქართულთან. მის ქართულენოვან სივრცეში დარჩენას ქალაქური ყოფისა და განათლების პირობებში სწორედ ამ ფირფიტებმა შეუწყვეს ხელი. ამ პერიოდში ქალაქში მცხოვრებ ფერეიდნელთა ერთმა ნაწილმა ადვილად დაკარგა დედაენა.

საბჭოთა ხელისუფლების მცდელობა არ შეწყვეტილა. კვლავ იგზავნება გადაძლევი ჯგუფი ირანში იქაური ქართველების შესახებ დოკუმენტური ფილმის გადასაღებად.

1969 წელს კვლავ გაემგზავრა ფერეიდანში ქართული დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ: რეჟისორი გურამ პატარაია, კინოოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი, კონსულტანტი, აღმოსავლეთმცოდნე მაგალი თოდუა და ჟურნალისტი ლამარა ბოკერია. 1970 წელს გამოვიდა გურამ პატარაიას ფილმი „შორია გურჯისტანამდე.“

ეს ფილმი ქართულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენებდა ირანში მცხოვრები ქართველების შესახებ. კიდევ ერთხელ გულდასმით მზადდებოდა საზოგადოებრივი აზრი ფერეიდნელი ქართველების ჩამოსასახლებლად საქართველოში.

საქართველოდან ირანში ჩასულ ქართველებთან ურთიერთობა დიდი ძალა იყო ფერეიდნელი ქართველისათვის. თითოეული ქართველი, რომელიც ირანში მოხვდა და საცხოვრებლად იქაურობას შერჩა, ფერეიდნელთა ისტორიის ნაწილად და მნიშვნელოვან პერსონაჟად იქცა. ერთ-ერთი ასეთი პერსონაჟია **ესტატო // ისტადე // ესტატე**. ის დღესაც ახსოვთ ფერეიდანში და მხოლოდ ასე, სახელით მოიხსენიებენ.

ესტატე მუხიგული // მუხიგულიშვილი

შსს არქივში დაცულ დოკუმენტებში ესტატეს შესახებ დაცულია ცნობები: გაექცა საბჭოთა ხელისუფლებას, იყო „თეთრი გიორგის“ წევრი, ცხოვრობდა თეირანში. მისმა ძმისშვილმა შეძლო და უკვე ხანშიშესული ესტატე სამშობლოში ჩამოიყვანა. ფერეიდნელი ქართველები თეირანში ჩასულები ესტატეს სტუმრები იყვნენ ხოლმე. სამშობლოში დაბრუნებისასაც საზღვრამდე მუხტარ დარჩიაშვილმა, მისმა მეგობრებმა მიაცილეს. „იქიდან“ იქაურმა ახლობლებმა და მოკეთებებმა მოიყვანეს საზღვრამდე, საზღვარს აქეთ კი აქაური ნათესავები ელოდებოდნენ:

„ესტატომ წამოიდა ირანში, დაიხა იქ. ესე, იმაშინ რო იქაურობა დაიშალა, ეს გამაიქცა, იქ იტყის, არ მაედავეფსაყე მოსკოვი იმაშინ, გამოიდა და დავარდა ირანში. იყო, ვანო ჩამოიდიწყე, მანდ ესები რო ჩამოიდიან, ინჟინერები რო ჩამოიდიანყე საქართველოსაყე, იმაშინ ჩამოდიოდეს რუსები, ბევრ ქართველები და ბევრები იყვის და ბევრეფსაც ვიცნობდითყე, ბევრეფსაც ვიცნობდითყე და ერთ იმეეფსაყენაც იყო ესტატი და ზოგანზეგა ჩამოდიოდეს ინჟინერები და სხოგანაც ჩამოდიოდეს და ესტატე წაიყვანიანყე ნაჯარი იყო, დურგალი, მუშაობდა... ისტადე მუხიგულის შვილი: მე ვარ შუღლჩი გამოქცეული! რო ბოლო წლებში მე და ასადოლა ონიქაზიმ

ჩაიყვანეთ ასტარაჩი და თავის ძმას მივეციოთ და დაგბრუნდით“ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მსგავსი ურთიერთობები კიდევ უფრო აძლიერებდა ფერეიდნელთა კავშირებს ისტორიულ სამშობლოსთან და მისკენ მათ სწრაფვას.

კულტურული ურთიერთობის პროცესი გაგრძელდა 70-იან წლებშიც, რასაც მოჰყვა ფერეიდნელთა გარკვეული ნაწილის ჩამოსახლება საქართველოში. პირველი ოჯახი ჩამოვიდა 1972 წლის 15 მარტს და 1974 წლისთვის ჩამოსული იყო 20 ოჯახი, სულ 106 სული [ფრუიძე 1975: 175].

1972 წლის 15 მარტს ფერეიდნიდან ჩამოვიდა ჯავად ჰასანის ძე ბათუაშვილი მეუღლით და სამი შვილით და გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში დასახლდა. იმავე წლის 18 მაისს 4 ოჯახი: ყოლამრეზა და კოლია ონიკაშვილები ჩამოვიდნენ და სოფელ ვაზისუბანში დასახლდნენ; ფაზლოლა ბათუაშვილი – ვაზისუბანში და დარვიშალი ბათუაშვილი – ჩუმლაყში. 20 ივნისს სოფელ ჭანდარის მკვიდრნი გახდნენ ძმები ნემათოლა და ფარვიზ ბათუაშვილები და აბლოლჰოსეინ იოსელიანი.

ახაშენში ჩასახლდა სამი ძმა – ბათუაშვილები, ჯავად ალი და აჰმადყოლი. შაშიანში დასახლდა ნასრათოლა ონიკაშვილი და კოლია ბათუაშვილი.

1972 წლის აგვისტოში ჩამოვიდა მოჰამედ ბათუაშვილი ჩუმლაყში, ხოლო რეზა და ფარვან მიქელანები საგარეჯოში.

1973 წლის 5 ივნისს სოფელ შაშიანს შეემატა კიდევ ერთი კომლი ალი მარდინ იოსელიანი მეუღლით და ორი პატარა ვაჟით. სულ 18 ოჯახი და 99 სული, თუმცა რამდენიმე ოჯახი გარკვეული დროის შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა.

ბუნებრივია, რეპატრიანტ ქართველთა ინტეგრაციის პროცესი არ იყო ადვილი. ახალი გარემო, ახალი რეალობა ახალი გამოწვევების წინაშე აყენებდა მათ. საბჭოთა საქართველოს ალკა-ს შემუშავებული ჰქონდა „ფერეიდნელ ქართველთა მუშაობის გეგმა“, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილი იყო იმ რეგიონების კომკავშირის კომიტეტების სამუშაო გრაფიკი, რომლებშიც ცხოვრობდნენ ფერეიდნელი ახალგაზრდები. წარმოდგენილ ანგარიშებში ჩანს, რამდენად დიდი იყო მათ მიმართ ყურადღება [შსს არქივი, ფონდი 96, აღწერა 24, საქმე 147].

ფერეიდნელთა ჩამოსახლებამ ხელი შეუწყო სამეცნიერო ინტერესის გაძლიერებას ფერეიდნელ ქართველთა მიმართ. დაიწყო მათი ყოფისა და მეტყველების თავისებურებების შესწავლა.

აკადემიკოს გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით შედგა კომპლექსური ექსპედიცია, რომელმაც 1973 და 1974 წლებში საქართველოში ჩამოსახლებულ ფერეიდნელთაგან ჩაიწერა უნიკალური მასალა [ფრუიძე 1975: 175].

1973 წლის 25 მაისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს – მდივან ალექსანდრე ფრანგიშვილთან გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თენგიზ გორდელაძე. გადაწყდა, რომ ექსპედიციის წევრები სპეციალობათა მიხედვით ცალ-ცალკე შეუდგებოდნენ მუშაობას. პირველი

გასვლა იყო ეთნოგრაფების (1973 წლის 14 ივნისიდან 28 ივნისის ჩათვლით): მემინდვრეობა, საოჯახო ყოფა (ნ. ბრეგაძე), სახვნელი იარაღები (გ. ჩიტაია), მევენახეობა, მებაღეობა, შინახელოსნობა, გამოყენებითი ხელოვნება (ლ. ფრუიძე), მესაქონლეობა (თ. ცაგარეიშვილი), მუსიკალური ფოლკლორი, წეს-ჩვეულებანი (ნ. მაისურაძე) [ფრუიძე 1974: 88].

როგორც ჩანს, გ. ჩიტაია მანამდეც დაინტერესებული იყო ფერეიდნული თემით, მისი მითითებითა და პროგრამით, 1967-1972 წლებში ალექსანდრა ჯაშმა, რომელიც მეუღლესთან ერთად ისპაჰანში ცხოვრობდა და ფერეიდნულ ქართველებს ხვდებოდა, საგულისხმო ჩანაწერები გააკეთა [ფრუიძე 1974: 87].

სამწუხაროდ, იოსებ ჭეიშვილის მასალის მსგავსად, ალექსანდრა ჯაშის ჩანაწერების კვალს ვერ მივაგენით.

8. XX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან

1998 წელს ფერეიდანში ქართული მეტყველების შესასწავლად გაემგზავრნენ ქართველი მეცნიერები **დარეჯან ჩხუბიანიშვილი და თედო უთურგაიძე**, მათ შეუერთდა საქართველოს ელჩი ირანში **ჯემშიდ გიუნაშვილი**. მკვლევართა სამეულმა ჩაიწერა საინტერესო მასალა, რომლის საფუძველზეც გამოაქვეყნდა არაერთი სტატია, მომზადდა ტექსტური კოლექციის ნაწილიც.

1980 წლის 10 იანვარს შეიქმნა რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ასოციაცია „დაბრუნება“. საზოგადოებას ჰქონდა თავისი კონკრეტული ამოცანები:

- ხელი უნდა შეეწყო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველებისთვის დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში.
- მოემზადებინა ადგილობრივი მოსახლეობა სამშობლოში დაბრუნებულ ქართველებთან კულტურული თანამშრომლობისთვის.
- ხელი შეეწყო იმ ზნე-ჩვეულებათა, ეროვნულ ტრადიციათა, ხალხურ შემოქმედებათა აღდგენა-დაბრუნებისთვის, რომლებიც შემოინახეს საუკუნეების მანძილზე სამშობლოს გარეთ მცხოვრებმა ქართველებმა და რომლებიც დღევანდელ საქართველოში დაკარგულია.
- დახმარებოდა ქართული ენისგან დიდი ხნით მოწყვეტილ ქართველ მოსახლეობას ცოდნის აღდგენასა და მის შემდგომ გადრმავეებაში.
- შექმნილიყო წრეები საქართველოში ჩამოსახლებული ქართველებისათვის ქართული ლიტერატურისა და ისტორიის უკეთ გაცნობის მიზნით.
- დახმარებოდა ქართულ სათვისტომოებს ლიტერატურის მიწოდებით და დრო-დადრო ლექციების ჩატარებით.
- ხელი უნდა შეეწყო უსამართლოდ მივიწყებული ქართული ეროვნული სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღორძინებისთვის პირველ ყოვლისა, შინ დაბრუნებული ქართველი მოსახლეობის ბაზაზე.

როგორც სტატიის ავტორი, საზოგადოების საბჭოს წევრი ცისანა კუხიანიძე აღ-

ნიშნავს, ურთულესი პრობლემა, რასაც საზოგადოება შეეჭვიდა, ფერეიდნელი ქართველების ჩამოსახლების საკითხი იყო.

ირაკვევა, რომ საზოგადოებამ შეძლო ამ საკითხის მთავრობის ღონეზე განხილვა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეადგინა ფერეიდნელ ქართველთა ჩამოსახლების საკითხის პროექტი და გადაუგზავნა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს. გამოიყო 120 ჰექტარი ბოლნისის რაიონში ქართული სოფლების გარემოცვაში. მზადდებოდა პროექტი სოფლის ასაშენებლად, რომელშიც უნდა დასახლებულიყვნენ როგორც უკვე ჩამოსახლებული, ასევე მომავალში ჩამოსული ფერეიდნელები.

საბოლოო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს კომპეტენცია იყო და, სამწუხაროდ, მოსკოვში უნდა გადაწყვეტილიყო ფერეიდნელ ქართველთა ჩამოსახლების საკითხი [კუხიანიძე 1989].

1989 წლის 25 ოქტომბერს საზოგადოება „დაბრუნებას“ გამოეყო ასოციაცია „ფერეიდანი“ [ჭიპაშვილი 1990: 4], მის თავმჯდომარედ არჩეული იყო ცისანა კუხიანიძე.

ამ ასოციაციის მიზანი ყოფილა ირანში მოსახლე ჩვენი თანამემამულეების მშობლიურ მიწაზე დაბრუნებისათვის ზრუნვა და მათთვის ადაპტაციის, ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფა.

თავად ასოციაციის სახელწოდების შესახებ საინტერესო პოზიცია აქვს გამოქვეყნებული გ. ჭიპაშვილს, რომლის აზრითაც, სახელწოდება „ფერეიდანი“ არ უპასუხებს საზოგადოების მოთხოვნებს. ამის არგუმენტად მეცნიერს მოჰყავს ის ფაქტი, რომ ფერეიდანი ირანის გეოგრაფიული პუნქტია, „სპარსული ტოპონიმიკიდან ნასესხები სიტყვა“, სადაც ქართველები ცხოვრობენ სხვა ეთნიკური ჯგუფის ხალხთან ერთად, ამდენად, მისი თქმით, უპრიანი იქნებოდა სახელწოდება შეცვლილიყო და ასოციაციას დარქმეოდა ფერეიდნელი ქართველი ან უბრალოდ ფერეიდნელი [ჭიპაშვილი 1990: 4-5].

გ. ჭიპაშვილის მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული და ასოციაციას დარჩა სახელწოდება „ფერეიდანი“.

1990 წელს ახალგაზრდა კომუნისტის 11 იანვრის მეოთხე ნომერში (N4) დაიბეჭდა სტატია „ასოციაცია ფერეიდანი“, რომელშიც საუბარია მრგვალ მაგიდაზე, რომელიც ეხებოდა საქართველოში მცხოვრებ ფერეიდნელ ქართველთა საჭირობოლო საკითხების განხილვას. მრგვალი მაგიდის გარშემო თავი მოიყარეს როგორც ასოციაციის წევრებმა, ისე ფერეიდნელმა ქართველებმა. შეხვედრის და დიალოგის მიზანი იყო გულახდილად განეხილათ ის მწვავე საკითხები, რომლებიც დაგროვდა ამ კუთხით, ერთობლივად გაეანალიზებინათ ცხრა ქართული ოჯახის უკან, ირანში, დაბრუნების მიზეზები, გაეთვალისწინებინათ შეცდომები და დაესახათ სამოქმედო გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობდა ისტორიულ სამშობლოში ჩამოსახლებული ფერეიდნელების ადაპტაციას გარემოსთან.

საინტერესო იყო ახალგაზრდა ფერეიდნელების აზრიც. ქურომ მიქელაძემ განაცხადა, რომ საჭიროა ფერეიდნელთა დახმარება აქ დამკვიდრებასა და დაფუძნებაში, თუმცა, მისი აზრით, დაფუძნება არ ნიშნავს მხოლოდ ეკონომიურ და კულტურულ

სფეროში დახმარებას. პირველ ყოვლისა, ისინი არ უნდა მოსწყდნენ ფერეიდანს. უნდა ჰქონდეთ ფერეიდანთან თავისუფალი ურთიერთობის საშუალება: „ამ თვრამეტი წლის მანძილზე სულ სამჯერ ჩამოვიდა იქიდან ნათესავების სანახავად ფერეიდელი ქართველი, აქედან წასვლის ხომ არცერთი ფაქტი არ გვქონია, წასვლა-მოსვლა კი არა, ტელეფონითაც ვერ დავლაპარაკებულვართ ირანში ნათესავებს“.

ქუროში მიქელაძე ამის მიზეზად ასახელებს იმას, რომ საქართველო თავისუფალი არ არის და ყველაფერზე მოსკოვს უნდა სთხოვონ ნებართვა [ახალგაზრდა კომუნისტი, 1990: 4-5].

მრგვალ მაგიდასთან ბევრი მწვავე საკითხი განიხილეს, მათ შორის ის პრობლემები, რომლებიც სარეპატრიაციო კომისიის წინაშე დადგა.

ამ ტიპის შეხვედრები ნათელს ხდიდა, რომ ქართულ საზოგადოებას მტკიცედ ჰქონდა დასახული ყველანაირად შეეწყო ხელი ირანიდან ჩამოსახლებული ქართველების ინტეგრირებისათვის ქართულ საზოგადოებასთან.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში 1994 წლის 31 ოქტომბრიდან ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს საელჩომ. ფერეიდელ ქართველებთან მუშაობა მიჩნეული იყო მოღვაწეობის მნიშვნელოვან სფეროდ და ერთ-ერთ პრიორიტეტად [გიუნაშვილი 2004: B6].

საქართველოს საელჩოს ინიციატივით 1995 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა ირან-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეც იყო ირანის ისლამური რესპუბლიკის ფუძემდებლის, აიათოლა ხომეინის, სიძე პროფ. **მ. ბორუჯერი**, ცივილიზაციათა დიპლომატიის ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე; მდივანი – ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალისტი, ცნობილი კავკასიოლოგი, პროფესორი **ბაჰრამ ამირაჰმადიანი**. საზოგადოების გამგეობაში შეყვანილი იყო ფერეიდუნშაჰრის გამგებელი (ქართველი), ფერეიდნის გამგებელი, მათი მოადგილეები და რამდენიმე ფერეიდელი. საელჩო ამ არხსაც წარმატებით იყენებდა ფერეიდნელებთან მუშაობისას [გიუნაშვილი 2004: B6]. ირანში საქართველოს ელჩის, ჯემშიდ გიუნაშვილის, აზრით, იმ დროისთვის არსებული რეალობის გათვალისწინებით ფერეიდნელობის ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგებდა მინიბიბლიოთეკის შექმნა ოჯახებისათვის, მოკლევადიანი საზაფხულო კლასების ქსელის გაფართოება. ზაფხულობით რამდენიმე ქალაქში მუშაობდა „საზაფხულო კლასები“, სადაც ქართული ენაც ისწავლებოდა [გიუნაშვილი 2004: B6].

ფერეიდნელი ქართველებისთვის, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირანის ისლამური რესპუბლიკის საქართველოსთან, მათ ისტორიულ სამშობლოსთან კონტაქტებსა და სახელმწიფო დონეზე ურთიერთობების დარეგულირებას. ეს კარგად გამოჩნდა საქართველოს პრეზიდენტის, ელუარდ შევარდნაძის, ვიზიტის დროს ირანში. საქართველოს პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე ირანში მეგობრული ვიზიტის დროს შეხვდა და ესაუბრა ფერეიდნელ ქართველთა ჯგუფს. მათი სახელით პრეზიდენტს მუხტარ ასლანბა მიმართა და გააცნო იქაურ ქართველთა ცხოვრება და სურვილები. ამ ვიზიტის შედეგი იყო ის, რომ ნაჯაფბადსა და ფერეიდუნშაჰრში ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით, ოფიციალურად გაიხსნა ქართული ენის

შემსწავლელი საზაფხულო კურსები. ამ სკოლის მსგავსი პირველი სასწავლებელი ნაჯაფაბადში გახსნა ალიფაშა იოსელიანმა, ხოლო მოგვიანებით საიდ მულიანიმ ფერეიდუნშაჰრში [კოჭლაშვილი 2003: 5].

მსგავსი ურთიერთობები აძლიერებდა ფერეიდუნებში ეთნიკური სიამაყის განცდას და ეხმარებოდა ისტორიულ სამშობლოსთან დაახლოების პროცესს.

1997 წელს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მიერ ტაბახმელაში გამართულ კონგრესზე მონაწილეობა მიიღეს ფერეიდუნელმა ქართველებმა: **ალი რეზა რაჰიმიმ (დავითაშვილი), ალიფაშა იოსელიანმა, ასევე მუხტარ ასლანიმ (დარჩიაშვილი)**, რომელმაც თავის სიტყვაში თქვა: „*ჩონ ეგრე ვფიქრობთ, რომ ფერეიდუნის ქართველები უნდა ვიყნეთ, როგორც ხიდი ირანსა და საქართველოს შუვა, მეგობრობისა და ურთიერთობისათვის*“ [კოჭლაშვილი 2003: 5].

ეს ასეც მოხდა. ფერეიდუნელთა დიდი ნაწილი საკუთარი ბიოგრაფიის ნაწილად აღიქვამს ამ ადამიანების განცდილსა და ნანახს. „ტაბახმელა“ მათი წყალობით ასევე იქცა ფერეიდუნელთა ერთი თაობისთვის ისტორიულ ადგილად, მათი იდენტობისა და ეთნიკური მობილიზაციის კიდევ ერთ ნიშანსვეტად.

ფერეიდუნელი ქართველი ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი) ასე იხსენებს ტაბახმელაში გამართულ საზღვარგარეთ არსებული სათვისტომოების კონგრესზე წასვლის ამბავს:

„ჩონ ერთხელ დოქსტუმრეს საქართველოში, კონტერანცია იყო. ტაბახმელაზე ექა და ბეჟრ ქართველ, ბეჟრ ქვეყნების ქართველები იწვნიეს თუ იქ იყნეს, და ბიძა მუხტარასა უთხარით, რო იმამ დარეკა, რო გუნდა ჩაიდეთ საქართველოჩიო, ჩამოდიოთ და მოხალ, წაიდეთო? როგო არ მოალ-მეთქი?! აბა, რასათი და თქო: დოოსტუმრეო. თქო: რა არიო დოოსტუმრეო? – არ ვიციო. აღარა თქო, იმ დღესვე ჩონ გუნდოდა გადმოიდეთ. ჯემშიდა იყო, გიუნაშვილი, ოთხი ეგეთ ქალაღი მოქცკა, რო ესეო პარსულიაო. – ქენ ქართულადა თარგმანი ქნათ და იქაცა ანახეთ ქენ. რა არი-მეთქი. ისები რო ჩამოსულან დოქთორები, პროფესორები, ქურსდამთავრებულები იყნეს, ჩონც ხო უვიცი, უვიცი კაცები...“

1998 წელს ირანში საქართველოს ელჩის ჯემშიდ გიუნაშვილის ძალისხმევით ფერეიდუნში მივლინებით იმყოფებოდნენ ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები დარეჯან ჩხუბიანიშვილი და თედო უთურგაიძე.

ასეთივე ძლიერი ემოციური მუხტი იყო მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი ფერეიდუნში 2004 წელს. ფერეიდუნელები დღესაც დიდი სიამაყის განცდით იხსენებენ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის ეპიზოდებს:

„მარტო სააკაშვილის ჩამოსლაჩი ორ თეს წინ მე ჩაველ მარტყოფჩი. ვიცოდი, რო უნდა სააკაშვილმა ჩამოიდეს. მარტო საქართველოს პატივისცემა სთი ათას ხუთასი წითელი ვარდი ნოსრათ ოლა თავაზომ მაიტანა. ორი ველი მოქსოვილ ხალიჩა

ბიჭებმა ერთად ვიყიდე და მემთაბარების ჩუხა [ჩონხა] რო მე ჩავაცი სააკაშვილს... ჯარისკაცები გამოვიდეს, მოდიოდეს... რას ეძახით? – ზემი, ჰო, მიტინგი, ზემი იყო. ანქ ქართველ ახალგაზრდებს რო მივხედე, რო მოდიოდეს, აი, მე წელი მიყინ-წიალდებოდა თავი და მიხაროდა, რო ეს ის კაცები, ეს კაცები კაცებია-მეთქი [ქლდ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

2007 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში უნდა წახალისებულიყო ექსპედიციების მოწყობა ქართული დიასპორის განსახლების ადგილებში (საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებსა და ფერეიდანში). ექსპედიციის წევრებს შესაძლებლობა ექნებოდათ პირადად გაეცათ ჩვენი თანამემამულეებისათვის პროგრამით გათვალისწინებული დახმარებები წიგნებისა და თვალსაჩინოებების სახით [საზღვარგარეთ ქართული სკოლების დახმარების პროგრამა 2007].

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ფერეიდნელი ქართველები-სათვის 2011-2016 წლებში მოქმედებდა საზაფხულო სკოლა და ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ერთწლიანი უფასო სასწავლო კურსები.

2000 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სამეცნიერო მივილინებით ფერეიდანში გაემგზავრა სამეცნიერო ექსპედიცია ეთნოლოგ ოთარ მიმინოშვილის, მიხეილ როსტომშვილისა და ირანისტ ნომადი ბართაიას შემადგენლობით.

2010 წელს „საერთაშორისო ქართულ სკოლაში“ კომპანია „ბორჯომისა“ და „ბილანის“ მხარდაჭერით დაიწყო ეროვნული პროექტი – „ზაფხულის სკოლა ფერეიდნელი ახალგაზრდებისათვის“, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლოთ საქართველოში დროებით მცხოვრებ ფერეიდნელებს ან მას, ვინც უკვე გადაწყვიტა და მოისურვა ისტორიულ სამშობლოში სამუდამოდ დაბრუნება და სჭირდებოდა ფიზიკური და მორალური მხარდაჭერა, ახალ გარემოსთან ადაპტირება და საქართველოს ისტორიასა და მშობლიურ ენაში ცოდნის სრულყოფა [კვირის პალიტრა 2010].

საზოგადოება „ერი და სახელმწიფოს“ ინიციატივით 2017 წელს შეიქმნა პროექტი ქართული ენისა და სიმღერის შემსწავლელი კურსები ფერეიდნელ ქართველთათვის. ამ კურსებზე ფერეიდნელები სწავლობდნენ აგრეთვე ქართულ ცეკვებს, ფანდურზე დაკვრასა და ქართულ სამზარეულოს.

თანამედროვე ეპოქამ, ტექნოლოგიების განვითარებამ გააადვილა ფერეიდანსა და საქართველოს შორის ურთიერთკავშირი. ფერეიდანში მცხოვრები ქართველები ინტერნეტის საშუალებით სწრაფად ამყარებენ კავშირს საქართველოსთან. დღეისათვის საქართველოში ბევრი ფერეიდნელი ჩამოდის, ზოგი მუდმივ საცხოვრებლად, ზოგიც ისტორიული სამშობლოს მოსანახულებლად, ნათესავებთან, ახლობლებთან. ბევრ მათგანს ორმაგი მოქალაქეობა აქვს, ბევრსაც – „თანამემამულის“ სტატუსი.

გიორგი ალავერდაშვილმა შექმნა ვებგვერდი, რომელზეც თავმოყრილია ფერეიდანთან და ფერეიდნელებთან დაკავშირებული საკმაოდ სოლიდური ინფორმაცია [<http://fereidani.ge/>].

საქართველოს საპატრიარქო და ფერეიდნელი ქართველები

ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ხათამიმ, 2001 წელი ცივილიზაციათა დიალოგის წლად გამოაცხადა. ირანის მთავრობამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ირანში მიიწვია. ეს მიპატიჟება მიზნად ისახავდა ქრისტიანულ მართლმადიდებელ სამყაროსთან დიალოგის დაწყებას. დიალოგი შედგა. საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია ირანს ესტუმრა.

ირანში ვიზიტისას პატრიარქმა მოინახულა ფერეიდანი, შეხვდა იქაურ ქართველობას და გაამხნევა ისინი. პატრიარქის სტუმრობა კიდევ ერთი ტალღა იყო ფერეიდნელების ეთნიკური გრძნობების გასამყარებლად. პატრიარქის ფერეიდნიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს მოაშურა არაერთმა იქაურმა ქართველმა. სამშობლოში ჩამოსულ ფერეიდნელებს პატრონობდა და მასპინძლობას უწევდა მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია II.

2003 წლის 18 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა განიხილა ირანში იძულებით გადასახლებულთა მოწამებრივი ღვაწლი და დაადგინა წმინდანთა დასში შეირაცხოს XVII – XVIII საუკუნეებში სპარსეთში ქრისტიანული სარწმუნოებისათვის მუსლიმთაგან მოწყვეტილი ყოველი ქართველი და ეწოდოს მათ „წმიდა მოწამენი ქართველნი სპარსეთში მოწყვეტილნი.“ გადაწყდა, რომ მათ სახელზე დაიწეროს ხატი და შედგეს ტროპარ-კონდაკი ირანში ქრისტესთვის მოწყვეტილ ქართველთა ერთ-ერთი წამების ადგილის სახელწოდების მიხედვით. მათი ხსენების დღედ დადგინდა მაცხოვრის ამალეების დღესასწაული.

საპატრიარქო დღესაც ყურადღებით ადევნებს თვალს ფერეიდნელ ქართველთა ინტეგრირების პროცესს საქართველოში.

თავი IV

ფერაიდნული თანამედროვე ირანის ენობრივ სურათში

1. ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი პოლიტიკის საკითხებისათვის ირანში

მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე ეს ქვეყანა იწოდებოდა სპარსეთად. 1935 წელს ირანის შაჰის, რეზა ფეჰლევის, გადაწყვეტილებით სპარსეთის ნაცვლად ოფიციალურად გამოიყენეს სახელმწიფოს თვითდასახელება – „ირანი“. 1979 წლის პირველი აპრილიდან კი, ისლამური რევოლუციის შემდეგ, იგი ირანის ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადდა.

1979 წელს, მაისში, ირანში გამოქვეყნდა კანონპროექტი „ირანის ისლამური რესპუბლიკის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“, რომელიც ქვეყანაში მხოლოდ რელიგიურ უმცირესობებს აღიარებდა, ეთნიკურ მრავალფეროვნებას კი არ ცნობდა.

ირანის ისლამური რესპუბლიკა მრავალეთნიკური ქვეყანაა, რომელსაც აქვს ერთი ოფიციალური და სახელმწიფო ენა – სპარსული.

ირანული კულტურა და ცივილიზაცია ჩამოაყალიბა ირანის ყველა კულტურულმა ჯგუფმა, რომელთა მთავარი გამაერთიანებელი სპარსული ენა იყო.

ირანმა საუკუნეების განმავლობაში განიცადა რადიკალურად განხვავებული სერიოზული პოლიტიკური ცვლილებები, რის გამოც განსხვავებული იყო პოლიტიკა როგორც სპარსულ ენასთან, ისე უცხო ენებთან და რეგიონულ ენებთან მიმართებით. ენობრივი პოლიტიკის კურსს ძირითადად პოლიტიკურ ხელმძღვანელობის შეხედულებები განსაზღვრავდნენ. ბოლო წლებში გაჩნდა ენობრივი პოლიტიკისა და დაგეგმარების კიდევ ერთი თავისებურება: გლობალიზაციამ დაამცრო ენობრივი პოლიტიკის განსაზღვრაში პოლიტიკური აზრის როლი [Hayati, Mashhadi 2010:26].

სამეცნიერო ლიტერატურაში ირანის ისტორიას ენებთან და ენობრივ პოლიტიკასთან მიმართებით ყოფენ სამ ძირითად ეტაპად. ეს სამი პერიოდაა: წინაისლამური, ისლამური და თანამედროვე [Hayati, Mashhadi 2010: 28].

სპარსულ ენას ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სტატუსი ჰქონდა. სეფიანთა მმართველობის დასაწყისში სპარსეთში ძირითადად ეყრდნობოდნენ თურქულ ტომებს და ამდენად, სამეფო კარისა და არმიის ენად დაკანონებული იყო

ახერბაიჯანულ-თურქული, სპარსული კი სამოქალაქო ადმინისტრაციის ენა იყო. სპარსულად კეთდებოდა მინაწერები მონეტებზე.

მე-17 საუკუნის დასაწყისში სპარსეთის ახალ დედაქალაქ ისპაჰანში სპარსული ენა გამოდგენის თურქულს ოფიციალურ სფეროებში, თუმცა ამავე დროს სეფიანთა კარზე ძველებურად უგამონაკლისოდ თურქულად საუბრობენ.

ადამ ოლეარიუსის ცნობით, შაჰ-სეფი I-ის დროს სეფევიდების კარზე საუბრობდნენ თურქულად და სპარსული საუბარი შეიძლება მოგვესმინა იშვიათად, ამიტომ სპარსელების დიდი ნაწილი სწავლობდა დამატებით თურქულ ენას [Savory 2007: 213].

როგორც აღვნიშნეთ, ირანი მრავალენოვანი ქვეყანაა და დღეს მის ტერიტორიაზე დასტურდება ირანული, ინდური (ინდოარიული), სომხური, თურქული, სემიტური, ქართველური, დრავიდული ენები [Anonby Erik, Mortaza Taheri-Ardali, et al. (eds.). 2015-2020].

მრავალენოვანი ქვეყანაში ფარსი, ანუ სპარსული ენა წინარეგოლუციურ პერიოდში განიხილებოდა, როგორც ქვეყნის კონსოლიდაციის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი, თუმცა ფორმალურად მისი სტატუსი არ იყო დაფიქსირებული პირველ ირანულ კონსტიტუციაში (1905-1911 წწ.). ის იყო ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებდა ამ ქვეყანაში მცხოვრებ მსხვილ და უფრო მცირე ეთნოსებს, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ სხვადასხვა ენობრივ ჯგუფს. ფაქტობრივად, ის ასრულებდა ერთადერთი დეფაქტო სახელმწიფო ენის ფუნქციას მრავალენოვან სახელმწიფოში [Месамед 2007: 280].

ოფიციალური // სახელმწიფო ენის ერთ-ერთი ფუნქციაა იყოს განათლების ენა. განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება ირანში დაიწყო 1851 წელს, როცა მირზა თაყი ხანმა გახსნა პირველი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც უცხო ენებიც ისწავლებოდა [Hayati, Mashhadi] 2010: 29]. ფაჰლავის დინასტიის მმართველობის დროს (1926–1979) გაძლიერდა კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობები დასავლეთთან, განსაკუთრებით შეინიშნებოდა პოლიტიკოსების პოზიტიური დამოკიდებულება ინგლისურენოვანი ქვეყნების კულტურულ ფასეულობებთან [Hayati, Mashhadi 2019: 30]. ირანის მულტიკულტურულ საზოგადოებაში იქმნებოდა დასავლეთზე ორიენტირებული განათლების ერთიანი სისტემა. ამ პერიოდმა დიდი როლი ითამაშა ირანში ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში.

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან სპარსული განხდა გამაერთიანებელი ყველა იმ ირანელისათვის, რომლებიც სხვა ენებზე საუბრობდნენ.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა სპარსული ენის სტატუსი. 1979 წლის დეკემბერში მიღებული კონსტიტუციის თანახმად ის გამოცხადდა ირანის სახელმწიფო ენად [ჩუბინიძე 2005: 30-31].

ირანის ენობრივი პოლიტიკა ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულში ინარჩუნებს და ავითარებს იმ ტენდენციებს, რომლებიც ახასიათებდა ქვეყნის განვითარების წინა პერიოდს, ასევე წარმოაჩენს ახალ ტენდენციებს. პროცესები ძირითადად მიმართულია, პირველ ყოვლისა, სპარსული ენის, როგორც ირანული ნაციის მთავა-

რი ნიშნის, ძველი ირანული კულტურის სიმბოლოს და ასევე, ქვეყანაში მცხოვრები ხალხების ინტეგრაციის ინსტრუმენტის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისაკენ.

ამასთანავე იზრდება ყურადღება ეთნიკური უმცირესობების კულტურების მიმართ და, პირველ ყოვლისა, ეთნიკური უმცირესობების ენების მიმართ. იქმნება სახელწიფო პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ ეროვნებათშორისი ურთიერთობების განვითარებას [Каменева 2017: 114-118].

1979 წლის კონსტიტუციის მიხედვით ნებადართულია ადგილობრივი ენებისა და დიალექტების გამოყენება პრესაში, მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში, ასევე ეთნიკური უმცირესობების ლიტერატურის სწავლება სკოლებში.

2007 წელს მეშვიდეში სპარსული ენისა და ლიტერატურის გავრცელების საზოგადოების მეორე ყრილობაზე აქცენტი გაკეთებული იყო სპარსული ენის, ფარსის მნიშვნელობაზე ქვეყნის ნაციონალური ერთიანობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე [Месамед 2007: 281].

დღეს ოფიციალური ენა ირანში სპარსულია, რეგიონულ ენებად ითვლება: აზერბაიჯანული, ქურთული, ლურული, მაზანდარანული, გილანური, ბელუჯური და არაბული.

ახალი სპარსულით დღეს ბევრი ადამიანი საუბრობს არა მხოლოდ ირანში, არამედ ავღანეთში, ტაჯიკეთსა და ცენტრალური აზიის ზოგიერთ ქალაქში. თანამედროვე სპარსული ენა წარმოადგენს ოფიციალურ ენას ასევე ტაჯიკეთში. ის ერთია ორ ოფიციალურ ენათაგან ავღანეთში.

ირანის ისლამური რესპუბლიკის ენობრივი პოლიტიკა არის ირანის ხელისუფლების კულტურული პოლიტიკისა და იდეოლოგიური დოქტრინის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. ირანის კულტურული პოლიტიკის ყოველ ცვლილებას მოჰყვება ტრანსფორმაცია ენობრივ სფეროში.

ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, მთავრობა გააგრძელებს ნაციონალური უმცირესობების კულტურულ ფასეულობებზე ზრუნვას და შექმნის უფრო მეტ სამართლებრივ საფუძველს უმცირესობათა ენების მხარდაჭერისთვის და მათი როლისთვის განათლების სისტემაში. ეს მიმართულება მნიშვნელოვანია თანამედროვე ირანისთვის, რადგან მის ტერიტორიაზე ცხოვრობს 40 მსხვილი და მცირე ეროვნების ხალხი, ცალკეული თემები და ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც საუბრობენ ირანულ, თურქულ და სემიტურ ენებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ 1979 წლის რევოლუციის შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ნაციონალურ უმცირესობათა საკითხების გადაწყვეტისათვის კულტურულ-ენობრივ სფეროში. საუბარია ირანის აზერბაიჯანისა და ირანის ქურდისტანის შესახებ, სადაც განსაზღვრული თავისუფლება მიენიჭათ ქურთულ და აზერბაიჯანულ ენებს საშუალო და უმაღლესი განათლების სფეროში.

ეთნიკური ჯგუფების ერთ-ერთი სახასიათო შტრიხია ის, რომ ისინი საკუთარ ენაზე ლაპარაკობენ. არაა აუცილებელი, რომ ეს ენა ოფიციალური იყოს, ამასთან ერთად სხვადასხვა ენობრივი ნიუანსი შეიძლება მიგვანიშნებდეს ამ ჯგუფის წარმო-

შობაზე ან გეოგრაფიულ კუთვნილებაზე, თვით ერთი ეთნიკური ჯგუფის ფარგლებშიც კი [Кокайслова, Кокайсл 2012: 51].

ეთნიკური ურთიერთობების ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურულ-ენობრივი საკითხების განვითარებას ეთნო-კონფესიურ ურთიერთობებში, პირველ ყოვლისა, ირანის სომხებსა და ებრაელებზეა საუბარი. ისინი სარგებლობენ გარკვეული თავისუფლებით ირანულ საზოგადოებაში, მათ შორის, კულტურულ-ენობრივ სივრცეში.

ებრაულ თემს აქვს ებრაული სკოლები, სადაც სწავლობენ ივრითს. მარტო თეირანში 5 ებრაული სკოლაა. ივრითს ასწავლიან ასევე სინაგოგებში, რომლებიც ფუნქციონირებენ ირანის სხვადასხვა ქალაქში.

ირანელ ებრაელთა უმრავლესობა ორენოვანია. ისინი ფლობენ როგორც სპარსულს, ისე ებრაულ სპარსულს, რომელიც წარმოადგენს დიალექტებისა და თქმების ნაერთს, რომელზეც საუბრობენ ირანელი ებრაელები. მას საფუძვლად უდევს ებრაული საღვთო წიგნების ენა. ამასთან, ის არ არის სპარსული ენის რომელიმე ცნობილი დიალექტი და აგრეთვე განსხვავდება კლასიკური ივრითისგან. ის იყო ირანის ებრაელთა ლიტერატურული შემოქმედების ენა დიდი ხნის განმავლობაში, ანლა მათი ლიტერატურის ენა სპარსულია. აქვთ ბეჭდვითი ორგანო – ჟურნალი „ოფოგე ბინა“, რომელიც გამოდის ოთხ თვეში ერთხელ.

ებრაელთა უმრავლესობა ფლობს სპარსულს, რადგან ამაზეა დამოკიდებული მათი სოციალური მობილობა, ხოლო ებრაული სპარსული გამოიყენება მხოლოდ ებრაულ თემში საურთიერთოდ. ირანის ხელისუფლება, თავის მხრივ, არ უშლის ხელს ებრაულ თემს კულტურულ-ენობრივი იდენტობის შენარჩუნებაში.

რაც შეეხება სომხურ თემს, ის ყოველთვის იყო პრივილეგირებულ მდგომარეობაში სხვა ეთნოკონფესიურ და კონფენსიურ უმცირესობათა წარმომადგენელებთან შედარებით. ხელისუფლება ყოველთვის გამოხატავდა თავის კეთილგანწყობას მათ მიმართ. ეს კულტურულ-ენობრივ სფეროშიც აისახა. მათ აქვთ თავიანთი სკოლები, რომელთა რაოდენობა საგრძნობლად აჭარბებს ებრაული სკოლების რიცხვს. მხოლოდ თეირანში 26 სკოლაა. ისინი ფუნქციონირებენ სხვა ქალაქებშიც. თეირანში არის სომხურის სასწავლო კურსები სომხურის მასწავლებლებისათვის. თეირანის და ისპაჰანის ისლამურ უნივერსიტეტებში დღეს ასწავლიან სომხურ ენასა და ლიტერატურას. სპარსული ლიტერატურის დიდი ნაწილი თარგმნილია სომხურად. ამასთან ერთად ირანელი მკვლევრები ინტერესდებიან სომხური ისტორიული წყაროებით და თარგმნიან მათ. სომხურ ენაზე გამოდის პერიოდული გამოცემები: ყოველდღიური გაზეთი „ალიკ“ და ყოველკვირეული „არაქსი“, ასევე ჟურნალი „ლუიხი“. მათ არასდროს ჰქონიათ წინააღმდეგობა ხელისუფლების მხრიდან. ირანელი სომხები ფლობენ სპარსულ ენას და იყენებენ მას როგორც ეფექტურ ინსტრუმენტს გარესამყაროსთან ურთიერთობისას.

ასე რომ, ირანის ენობრივი პოლიტიკა მიმართულია, ერთი მხრივ, ირანის საზოგადოებაში სპარსული ენის მეთაური პოზიციის შენარჩუნებისკენ 1979 წლის კონსტიტუციით დეკლარირებული მისი იურიდიული სტატუსის გათვალისწინებით, ამასთან

ერთად შეინიშნება გარკვეული დადებითი ნაბიჯები ეთნიკური და ეთნოკონფესიური უმცირესობების კულტურულ-ენობრივი პრობლემების გადასაწყვეტად. სპარსული ენა განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი შიიტურ-სუნიტური დიალოგისა, ასევე ირანისა და დასავლეთის ურთიერთობების დისკურსში [Каменева 2017: 114-118]

ენობრივი პოლიტიკის რეალიზაციაში დიდი როლი ითამაშა ირანის ისტორიაში სპარსული ენისა და ლიტერატურის რიგით მესამე აკადემიამ, რომელიც შეიქმნა 1990 წელს კულტურული რევოლუციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემია აქტიურად მუშაობს ეთნიკური უმცირესობების ენებისა და დიალექტების შესწავლის კუთხით.

2. ქართული ენა ფერეიდანში

2.1. ქართულენოვანი თემი და მისი ენობრივი გარემოცვა ფერეიდანში

იმის მიუხედავად, რომ ქართველები მნიშვნელოვან როლს ითამაშებდნენ მეჩვიდმეტე საუკუნის სპარსეთის ისტორიაში, დღეს ქართულ თემს, ფაქტობრივად, არ იცნობენ არც ირანში და არც ირანისა და საქართველოს ფარგლებს გარეთ [Rezvani 2009: 593].

ქართულენოვანი თემი ირანში არ არის მრავალრიცხოვანი. ქართველები შიიტი მუსლიმები არიან, შესაბამისად, ისინი ეროვნული ერთობის რელიგიური კონცეფციის თანახმად, მუსლიმური თემის განუყოფელი ნაწილად ითვლებიან, არ ეკუთვნიან ეთნოკონფესიურ უმცირესობებს და ამდენად მათ არ გააჩნიათ ის უპირატესობები, რომლებიც სომხურ და ებრაულ თემს აქვს. ქართული ენა ირანის ისლამური რესპუბლიკის ტერიტორიაზე უმცირესობაშია. მას არა აქვს რეგიონული ენის სტატუსი.

ამ საკითხის შესახებ ცნობილი ირანისტი, საქართველოს ყოფილი ელჩი ირანში, ჯემშიდ გიუნაშვილი წერდა:

„ირანელის ცხოვრების ყველა სფერო რეგლამენტირებულია ისლამური ადათ-წესებით. სამოცდათექვსმეტმილიონიან მრავალეროვან რესპუბლიკაში, სადაც სპარსელები უმცირესობაში არიან, ეროვნული უმცირესობები დე იურე არ არსებობენ, აქ ცნობენ რელიგიურ უმცირესობებს (ცეცხლთაყვანილმცემლებს, იუდეველებსა და ქრისტიანებს), რომლებიც სრული მოცულობით სარგებლობენ კულტურული ავტონომიით (საბავშვო ბაღი, სკოლა, ეკლესია, კლუბები, ჟურნალ-გაზეთები, კვოტები პარლამენტში). არსებული კანონების რეალიზაციის შედეგი გახლავთ ის, რომ მაგალითად, თითქმის 20 მილიონიან მაჰმადიან შიიტ აზერბაიჯანულ თემს არ აქვს ეროვნული სკოლები, თეატრები და ა.შ., მაშინ, როცა 50-80 ათასიან რომელიმე

რელიგიურ უმცირესობას გააჩნია კულტურული ავტონომიის ყველა ატრიბუტი, ეს არ განხვავდება დისკრიმინაციას, ეს არის კონსტიტუციით გათვალისწინებული წესის ცალსახა დაცვა“ [გიუნაშვილი 2004: B6].

რამდენიმე წლის შემდეგ ის კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და ჟურნალისტიკის კითხვას, რატომ არ არის ფერეიდანში ქართულენოვანი სკოლები, თითქმის იმავეს პასუხობს [გიუნაშვილი 2007-2: 13].

როგორც ჯემშიდ გიუნაშვილი აღნიშნავს, „ამ პირობებში სამი რამ განსაზღვრავს ფერეიდანელთა შორის ქართული წერა-კითხვის ცოდნის სტაბილურობას: ოფიციალური თეირანის კეთილგანწყობა, ტოლერანტობა და თანადგომა.“ ამის ერთ-ერთ მაგალითად მას მოჰყავს ფერეიდანული მეტყველების შესწავლის მიზნით ერთიანი სამეცნიერო ექსპედიცია პროფესორ თედო უთურგაიძისა და დარეჯან ჩხუბიანიშვილის მონაწილეობით. ეს ექსპედიცია განხორციელდა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიწვევით, დაფინანსებითა და დახმარებით. 2. ბოლო პერიოდში „ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილი ლიტერატურა სპარსული, სპარსულ-ქართულ და ქართულ ენებზე, რამაც ხელი შეუწყო ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციას“. 3. „ენტუზიასტი წიგნიერი ფერეიდანელები საკუთარი ინიციატივით ბინაზე მართავენ ქართული წერა-კითხვის შემსწავლელთა მოკლევადიან კლასებს“ [გიუნაშვილი 2007-2: 13].

როგორც ვხედავთ, ოფიციალური სტატუსი ფერეიდანელებს, როგორც განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ხალხს, არ აქვთ ირანში. მათი თვითმყოფადობა, რომელიც ძირითადად ენობრივი „იმუნიტეტი“ არის შემოსაზღვრული, მხოლოდ კუნძულის „შიგნიდან“ მართული ძალებითაა დაცული. არავითარი სახელმწიფო აღიარება და კონსტიტუციური დაცვა ამ ჯგუფს და მის ენას ირანში არ გააჩნია.

ისინი თავს უწოდებენ **ქართველს**, გარშემომყოფნი მათ მოიხსენიებენ როგორც **გორჯს**. ერთმანეთზე ამბობენ „ჩემ ძოლი“. თავის ენას „დედის ენას“ უწოდებენ (ქართველი და ქართული ბოლო დროს „დაბრუნებული“ ტერმინებია) – ეს ყველაფერი ერთად არის ფერეიდანელი ქართველების ეთნიკური ერთობის ნიშანი.

ცალკე უნდა გამოიყოს ერთი უნიკალური საკითხი ქართულენოვან თემთან მიმართებით:

- საუკუნეების განმავლობაში ქართველთა ეთნიკურ ჯგუფს გამოეყო ნაწილი რელიგიური ნიშნით: ქრისტიანი ქართველები ასიმილირდნენ სომხურ თემთან.
- ქართულ ეთნიკურ ჯგუფთან ასიმილირდა არაქართული მოსახლეობაც.

ეთნიკურ ქართველთა სომხურ ჯგუფთან ასიმილირების შესახებ პირველად ლადო აღნიაშვილს აქვს გამოთქმული ვარაუდი. მისი აზრით, ფერეიდანში მცხოვრები სომხები ეთნიკური ქართველების შთამომავლები არიან, რომელთაც არ მიიღეს მაჰმადიანობა და ქრისტიანულ სომხურ თემს მიეკედნენ:

„რას ჰნიშნავს სომეხთა მიერ ქართულად პირველის წერა? ეს, რასაკვირველია, ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ის დღევანდელი სომეხნი ყოფილან წინადა მართმადიდებელნი ქართველნი და ზოგიერთი რამ თავისი ქართველობისა კიდევ არ დაუვიწყრით დღევანდლამდე“ [აღნიშვილი 1896: 231].

ქართულ ეთნიკურ ჯგუფთან ასიმილირდა არაქართული მოსახლეობაც: ამბაკო ჭელიძე 1927 წელს მარტყოფში ეთნიკური შედეგნილობის თვალსაზრისით ასეთ სიტუაციას აღწერს:

„ამ სოფელში ქართველების გარდა არიან ჩამოსახლებილი ჩარჩი სპარსელები 190 და გასპარსელებული ურები 60 სულამდე. ყველამ ზედმიწევნით იცის ქართული ლაპარაკი. ქართველებსგან ზოგს მაინც ვერ გაარჩევთ...“ [ჭელიძე 1935: 163-164].

ფერეიდელი ქართველები ამის შესახებ ხშირად საუბრობენ და გვიხსნიან, როგორ დაემატა ქართულ თემს ახალი გვარები:

„ეხლა ეს სპარსელებიდა რო ხომსრელები და ისანელები ამოსულან იქ და ქართულებიდა შაქნილან, ესენიც იტყვიანყე, რო ჩონც ქართულები ვართო [ქლკ, აღი ჰოსეინ რაჰიმი (აღექსანდრე დავითაშვილი)].

„და რა იფო საინტერესოა, ვინც ადრე სხვა სოფლებსაყენ და ხომსარსაყენ ჩამოსულა თორელში საქმესთი საც ხოვრებლად თავის ენა დოკარგავ და ქართული ენა უსწავლია, ზოგიც ორი სამი ენაზე ლაპარაკობს... ზოგი ხომსარისყენ ოჯახურად შემოიღეს ქართული სოფლებში ასი წელი წინა, როდისაც რაჯაბალიხანმა ხომსარი გახეტა. ესები თავინთ გვარი არის ჯადიდი, ებრაილებია – თორელში არიან და მარტყოფშიც არიან“ [აბოლყასემ აჰმადი].

„ჩონსავით ეგრე რო ფერეიდანჩი ამოიღეს და ქრისტეიანებიდა მუსულმანები შეიქნეს, ისენიცა ელა ისპანჩი ცოცხლობდეს, ცხოვრობდეს, და თავით საცხოვროსა დაჰუდას დადახოდა, დაჰუდას რჯულითი, ებრი. რო ამოიღეს ექა, ქართველებჩილა, მუსულმანებჩილა რო შამოიღეს, მაჰმადიანებჩი, იმათაც მაჰმადიანი შაიქნეს. სუნევენი რო ქართულათ ამბობდეს, იმათა ისპანელებსყენა, ელა ამოიღეს, რომ ქართველები არ იყნეს, ებრიებიც არ იყნეს, ელა მაჰმადიანები იყნეს, ხო ქართული დაისწავლეს და აღან ქართულათ ლაპარაკობენ თითან, თავით ბავშვები, ბევრნია... ექ სედეველები, სედეველები – ხომეინი შაჰრი, ექითყენ ამოსულან და ქართულათ ლაპარაკობენ, ისპანსაყე ამოსულან და ქართულათ ლაპარაკობენ. ჰა, შაქნილანყე, ქართველებიდა შაქნილანყე, ჰა, ბევრია.

გვარები რო შამეტებული იყოს? – ჰოსეინები არიან, ისპათავანისა, ვთქო, რო შაველათიები არიან ხომსარისა, ყადლეჯანეები არიან ქედელგუნია! ფამილი, გვარი ყადლეჯანიაყე და გოღნია, ესები საფარიები არიან, ფერეიდანი თურქებია. ეგრე ვთქო, რაფიები არიან, – ხომსრელებია, ქართველებია, ბალე, ყანიებია ხანი დეჰაქე-

ლებია. ბეჭენი შაქნილან ქართველები. ჯანიები არიან, ქართულად ლაპარაკობენ“ [ქლკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].

ფერეიდნელ ქართველთა თქმით, ვინც ქართულად საუბრობს, ყველა ქართველია:

რავდენი გვარები ერთმანერთი დარეულა – ბახშიანი ჯავანბახში ან ვარიები და რავდენი სხო ფამილები რო მოსულან სოფელჩი და სუთვენი; ჩონებურად ამბობენ და მე ვიძახი, მინც სადაური ჩონებურად რო ამბოფს, ქართველია [ქლკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

„შემომატებულ“ ქართველთა დიდ ნაწილს აღარ აქვს კავშირი ძველ წარმომავლობასთან და მათთან ამ თემაზე საუბარიც არ არის მიღებული, თუმცა ჩვენ შეგხვედრივართ ქართულენოვან, მთლიანად ქართული იდენტობის ფერეიდნელებს, რომლებიც ერთგვარ მერყეობაში არიან. თავისი ყოფით, კავშირებით, ცხოვრების წესით და იდენტობით და, რაც მთავარია, ენით, არ გამოეყოფიან ქართულ ჯგუფს, მაგრამ ხსოვნა ძველი იდენტობისა შერჩენილი აქვთ. ერთი ასეთი ადამიანი ჩვენი პირველი ექსპედიციის დროს შეგვხვდა სოფელ ბონში. ერთ ოჯახში მოიყარა თავი ჩვენს შესახვედრად მოსულმა მთელმა სოფელმა. დიდი ხნის საუბრის შემდგომ თითოეული გვთხოვდა გვეთქვა, საქართველოს რომელი კუთხის წარმომადგენელს ჰგავდა. ჩვენც ვეკითხებოდით, ახსოვდათ თუ არა გვარი, ვინ იყვნენ მათი წინაპრები... ერთ-ერთი შუა ხანს გადაცილებული კაცის რიგიც მოვიდა. ის შეიშმუშნა და ძალიან დიდი მორიდებითა და ტკივილით გვითხრა, თითქოს რაღაც დაეშავებინოს, ისე: მე ხო ქართველი არა ვარ!... და გაჩემდა. დარბაზიც გაირინდა უხერხულად. მერე მუხტარ დარჩიაშვილმა, ჩვენმა თანამგზავრმა დაარღვია ღუმელი: შენ რასთი ქართველი არა ხარ. ქართულად უბნობ. ქართველი ხარ, მა ვინ ხარ?!⁶⁵

1896 წელს ლადო აღნიშვილი წერდა: „აქ დაუცავთ დღევანდლამდე ენა მამა-პაპათა, ტიპი და სიძლიერე სულისა, აქ დღემდე ქართველი არ ივიწყებს, რომ ქართველია...“ [აღნიშვილი 1896: 2018].

ფერეიდნული „კუნძულის“ მონოლითურობა დღეს დარღვეულია. აქ ქართველები ცხოვრობენ მრავალენოვან გარემოში. დღეს ვეღარ ვსაუბრობთ მხოლოდ ქართველებით დასახლებულ სოფელსა თუ ქალაქზე, „სოფლებში, სადაც ფერეიდნელები ბინადრობდნენ, სხვადასხვა პროპორციით წარმოდგენილი არიან ლურები, ბახტიარები, სპარსელები, სომხები და ზოგი თურქულენოვანი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენ-

65. ეს ვითარება, როცა უმცირესობის იდენტობა იზიდავს სხვა ჯგუფების წარმომადგენლებს და მასთან ასიმილაცია ხდება პრესტიჟული, არ არის ტიპური და ბუნებრივი. ამიტომაც, ირანისტიკის პრობლემებზე გამართულ კონფერენციაზე (ბერლინი 2018) ამ საკითხმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია როგორც ირანელ, ისე ევროპელ ირანისტთა შორის.

ლები“ [გიუნაშვილი 2007: 7]. მათ მეზობლად განლაგებულია სომხების, თურქების, ლურების, ბახტიარებისა და ქურთების სოფლები.

„ისპაჰანიდან მისავალში, აღმოსავლეთით, წინ გვხვდება სომხებისა და თურქების სოფლები, სამხრეთ დასავლეთის მხრით მდებარეობენ ლურები, ბახტიარები და ქურთები“ [ჭელიძე 1935: 64].

დღეს უკვე ხშირია შერეული ქორწილები და ამდენად ნათესაობის შემთხვევები მეზობლებს შორის მომრავლდა.

ქართველთა მშვიდობიან თანაცხოვრებაზე მეტყველებს ფერეიდნელი ქართველის, ყოდრათ თავაზოჰისაგან (თავაძე) მოსმენილი საინტერესო ამბავი, როგორ დაარქვეს მაღაზიას **გოლთაფი**, სწორედ იმისთვის, ფერეიდნის მრავალეთნიკურობისა და აქ მცხოვრები მოსახლეობის ურთიერთპატივისცემისათვის გაესვათ ხაზი.

„ეროვნულად ფერეიდანში ცხოვრობს ხუთი. ხუთი არი: ქართველი, ლორი, თურქი, არმენი და ქარსი. გურჯი არი ქართველი, ლორი არი ლორი, როგორც არი და თურქებიც არი თურქ, არმენი – სომეხი და ქარსიც ხო – სპარსელი. ეს სამი ეროვნულად ცხოვრობს ფერეიდანში და დიდი ხანია და ერთმანეთთან აქვთ ურთიერთობა. ძალიან გაგებულნი არ გოქ, რო ჩხუბი ყოფილიყოს ქართველი და სომეხი, სომეხი და თურქი, თურქი და ფარსი – არ ყოფილა და ყველამ წყნარად ცხოვრობენ. ეხლა შემოკლავებით ამ ხუთი ეროვნების შემოკლავებით არი გოლთაფი. სიტყვა არი გოლთაფი.

გოლი, გე- სპარსულად არი გურჯი, მეორე არი ლე. ლე არი, ნიშნავს ლორს. მესამე თე'რი – მესამე თურქ და ალექ არის არმენი და ქარსი. ეს შემოკლებით. ეს ერთი ოცი, ოცდახუთი წლის წინ ეს ჩონ მაღაზიას ემე იყო სახელი. ეხლა მთავრობისა არ არი და ეხლა ვინ გამოიგონა? – მე სადღაც მახსოვს ვიჯექით, ერთი ბიჭი იყო გუბერნატორი, ამასთან მოილაპარაკეთ და ეს დავარქვით, ხო. სპარსულ ენაში რო გამოთქმა ექონდეს – გოლთაფი, რამე არი სპარსულად რო ყვავილით მოქსოვილია“ [ქდკ, ყოდრათ თავაზოჰი (თავაძე)].

ეს ფაქტი დასტურია იმისა, რომ დღეს ფერეიდნის რეგიონში მოსახლე სხვადასხვა ეროვნების ადამიანები სრული თანხმობითა და ურთიერთპატივისცემით ცხოვრობენ.

ფერეიდნელი ქართველები ირანის სრულყოფილებიანი და ღირსეული მოქალაქეები არიან, ქართული თემი განუყოფელი ნაწილია ირანული საზოგადოებისა. ქართველებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ქვეყნის განვითარებასა და გაძლიერებაში. ფერეიდანშიც ისევე, როგორც ირანის მთელ ტერიტორიაზე გზაზე ახალგაზრდა ბიჭების სურათები შემოგხვდებათ, რომლებიც დაილუპნენ ერაყთან ბრძოლის დროს გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში. ამ ომში ქართველებს განსაკუთრებული მისია ეკისრებოდათ, ისინი შეუცვლელნი იყვნენ როგორც რადიო გადამცემები და გამშიფრელები, რადგან არავის, თვით ირანშიც კი, არ ესმოდა ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი [Mateusz, Vostryakova].

2.2. ქართული ენის მდგომარეობა ფერეიდანში

ქართული ენის შესახებ ფერეიდანში მწირ ცნობებს ვაწყდებით მეცხრამეტე საუკუნის მოგზაურთა წიგნებში. მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან კინიერი (1810), ლეიარდი (1840), რეკლიუ (1882), სტაჰლი (1900). მათი ცნობებით ამ რეგიონში მცხოვრები ქართველები საუბრობდნენ ქართულად.⁶⁶

ქართული ენის გავრცელების შესახებ ინფორმაცია ქართულ საზოგადოებას მიაწოდა ათამ ონიკაშვილმა, ამას მოჰყვა ევსევი ცაბადისა და რაფაელ (ბართლომე) ნებერიძის ცნობები სპარსეთიდან ქართული ენის შესახებ.

პირველი წყარო, რომელიც ქართული ენის მდგომარეობასა და გავრცელებას ეხება, ლადო აღნიაშვილის წიგნია:

„ყველა სოფლებში ერთნაირად ვერ არის დაცული ქართული ენა. ასე მაგალითად ახჩაში და აფუსში უხეიროდ ლაპარაკობენ და ნახევარმა თითქმის კი აღარ იციან. შაანათში სპარსული ენაა, ქვემო მარტყოფში სპარსული და ლორული, შაიურდში – თათრული (თურქული) და დევსურსა და ქუდუბანაქში ანუ ნინოწმინდაში – ქურთული. დანარჩენ სოფლებში კარგად იციან და ზოგიერთში ხომ ჩინებულად ლაპარაკობენ“ [აღნიაშვილი 1896:192].

ამბაკო ჭელიძე 1927 წელს ქართული ენის ფლობის თვალსაზრისით სხვაგვარ სურათს აღწერს:

ზემო მარტყოფში ენა საუცხოოდაა დაცული... ჩუღურეთში – ამ სოფლის ერთი მეხუთედი ეკუთვნის ქართველებს, დანარჩენი ბახტიარებია... ვაშლოვანში (სიბაქი), ჯაყვჯაყში ქართული კარგად იციან, ნინოწმინდაში (ქუდგუნაგი) – ივიწყებენ. დაშქესანში ქართული იციან სპარსულის შერევით. ბოინში ქართული კარგად იციან, თორელში ივიწყებენ. აფუსში (რუისპირში) – ქართულს ივიწყებენ. ახჩაში მესამედი ეკუთვნის ქართველებს... შავსოფელში (შაურდი) ქართულს ივიწყებენ – 600 სული... [ჭელიძე 1935: 164].

დღეს აფუსში, შავსოფელში (შაჰურდი), ნინოწმინდაში (ქუდგუნაგი) აღარავინ საუბრობს ქართულად. დანარჩენ სოფლებში იციან ქართული, თუმცა არა ყველამ.

ცნობილი ფაქტია, რომ სხვა ქვეყანაში გადასახლებული ეთნიკური ჯგუფების წინაშე დგას ვალდებულება და აუცილებლობა შეისწავლონ იმ ქვეყანაში გავრცელებული ენა: სახელმწიფო // რეგიონული, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში (თუ, რა თქმა უნდა, მათი რიცხვი რეგიონში საგრძნობლად არ აღჭარბებს ქვეყნის ძირითად ეთნოსს). ასეთ შემთხვევაში მიგრანტები თანდათან, მესამე და მეოთხე თაობიდან გარდაუვლად კარგავენ მშობლიურ ენას.

სწორედ ეს ბედი ეწია ირანის სხვა რეგიონებში ქართველთა დასახლებებს. ფერეიდანის შემთხვევაში ასე არ მოხდა, ოთხასი წლის შემდეგაც ქართული თემის დიდ

66. დაწვრილებით იხილე ზემოთ.

ნაწილს ფერეიდანში შენარჩუნებული აქვს მშობლიური ენა და პარალელურად, რა თქმა უნდა, ფლობს სახელმწიფო ენასაც.

ქართველები ბილინგვები არიან, განათლებას იღებენ სპარსულ ენაზე, ოჯახის ენა ქართულია, ერთმანეთს შორის საუბრობენ სპარსულად ან ქართულად. დღეს უგამონაკლისოდ ყველამ იცის სპარსული ენა. ამასთან ბევრი ეთნიკურად ქართველი ფლობს იმ მეზობლების ენას, რომლებიც მათ სოფლებში ან გვერდით სოფლებში ცხოვრობენ. ბევრმა მათგანმა კარგად იცის ფერეიდნული დიალექტი და ცდილობს აითვისოს სალიტერატურო ქართული. ეს განსაკუთრებით ეხებათ ახალგაზრდებს, მათ, ვისაც საქართველოში წამოსვლა და მისი ნახვა უნდა. ამისათვის ისინი აქტიურად იყენებენ ინტერნეტს.

ასაკოვანი მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებს ქართულად საუბარს. სპარსული იციან კარგად, ქართული საურთიერთო ენაა ქართველებს შორის. ქალაქის მოსახლეობაში, განსაკუთრებით შერეულ ოჯახებში, ასაკოვან ადამიანებსაც აქვთ ქართული ენის ფლობის პრობლემა, თუმცა ამას დიდ ნაკლად აფასებენ და გული სწყდებათ, რომ თავისი თანამემამულეების მსგავსად ვერ შეინარჩუნეს „დედის ენა“ და, შესაბამისად, ვერც შვილებს ასწავლეს.⁶⁷

ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა კარგად იცის ქართული, ხოლო ის ნაწილი, რომელიც მშობლიურ ენას კარგად ვერ ფლობს, განიცდის ამას და მშობლებს საყვედურობს, რომ თავის დროზე ვერ მოახერხეს მათთვის ქართულის სწავლება.

ბავშვები უპირატესობას სპარსულს ანიჭებენ ერთმანეთთან საუბრის დროსაც.

როგორც ფერეიდნელები გვიამბობენ, ადრე ყველაზე სრულ ასაკობრივ ჯგუფს, რომელიც უგამონაკლისოდ მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა, ბავშვები და მოზარდები წარმოადგენდნენ. თითქმის არცერთმა არ იცოდა ქართულის გარდა რომელიმე სხვა ენა, ვიდრე სასკოლო ასაკისა გახდებოდა. ამის გამო ქართველ ბავშვებს ძალიან უჭირდათ დაწყებით კლასებში სწავლა. როგორც ადგილობრივები გვეუბნებიან, ირანის განათლების მესვეურთა მოთხოვნა იყო, რომ ბავშვებისთვის თავიდანვე ესწავლებინათ სპარსული. 10-12 წლის წინ, როცა პირველად ჩავედით ირანში, ეს ტენდენცია ჩანდა ძალიან მკვეთრად გამოკვეთილი ქართული ორიენტაციის ოჯახებშიც კი. საგულისხმოა, რომ ბოლო ვიზიტისას სურათი შეცვლილი დაგვხვდა. დრმა სოციოლინგვისტური კვლევის ჩატარების საშუალება ჩვენ არ გვქონია, მაგრამ ის ფაქტი, რომ ფერეიდნულ „კუნძულში“ კიდევ ერთი გარდატეხა მოხდა და ქართველ ბავშვებს ფორსირებულად აღარ ზრდიან „მონოლინგვებად“, ეს ტენდენცია კი შეინიშნება. რამდენად მდგრადი იქნება ეს ტენდენცია, უკვე მომავალზეა დამოკიდებული.

ქართული ენის პრესტიჟი მხოლოდ თემის შიგნით გამტკიცებული ტრადიციით

67. ასეთი მდგომარეობა, ძირითადად, განათლებულ ინტელიგენტთა და მოხელეთა ოჯახებში გვხვდება. ჩვენ შევხვდით უნივერსიტეტის მასწავლებელს, ექიმს, სხვა პროფესიის წარმომადგენლებსაც. მათ საკმაოდ კარგი პროფესიული და საზოგადოებრივი ავტორიტეტი აქვთ, ჰყავთ წარმატებული ოჯახის წევრები, თავს ქართველებად თვლიან, მაგრამ ქართული არ იციან. ამის გამო გამოთქვამენ დიდ სინანულს.

არის დაცული და დიდად არის დამოკიდებული ოჯახის წევრების განწყობაზე, ავტორიტეტზე, საზოგადოებაში მათ ადგილზე. ზოგჯერ ეს ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ არაქართველი ოჯახის წევრებიც ქართულენოვანი ხდებიან.

ჩვენ გავიცანით ქართველები, რომლებიც სპარსელზე გათხოვდნენ, თუმცა მათმა შვილებმა მშვენივრად იციან ქართული. მაგალითად, ავსანა რაჰიმის⁶⁸ (დავითაშვილი) ბიჭები საუბრობენ ქართულად, მღერიან ქართულად და ფანდურზეც უკრავენ, მისმა სპარსელმა მეუღლემ კი ქართული მშვენივრად ისწავლა, ქართველ ნათესავებს ქართულად ეკონტაქტება და ქართულ სიმღერებსაც თავის ბიჭებზე უკეთ მღერის.

დღეს, ადგილობრივების თქმით, სოფელ აფუსშიც კი, სადაც უკვე 100 წელზე მეტია დაიკარგა და აღარ იხმის ქართული ენა, გაჩნდა ისტორიული, მშობლიური ენის სწავლისა და ისტორიულ ძირებთან დაბრუნების ძლიერი სურვილი.

ამ ყველაფრის მიზეზია ახალი კონტაქტების ფონზე ისტორიული სამშობლოსადმი და ისტორიული დედა ენისადმი გაღვიძებული დიდი ინტერესი⁶⁹.

2.3. განათლება, იდენტობა და ენა

ფერეიდნელი ქართველები ადასტურებენ თავიანთ ქართულ იდენტობას. კუნძულურ იზოლაციაში მოქცეული თემის წევრები ბავშვობიდანვე ასწავლიან შვილებს თავიანთი განსხვავებული წარმომავლობის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით დიალექტურ კორპუსში ინტეგრირებულ ფერეიდნულ ტექსტებში საინტერესო ცნობებია დაცული:

– ჩემო ბატონო, ჩონ პატარები რო ვიყავით, დედაჩემი თქისყე, რო ჩონ საქართველოდან ვართო. და სამშობლო ჩვენა საქართველო არიო. იმ შაჰ-აბასმა გოდმო-გასახლა ექაო და [ქღკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

ენა და იდენტობის ცნება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული:

– დედა-მეთქი, იმ ხალხმა პარსული იცის, რატო მე არ ვიცი? და იმიტომ რომ ჩონ ქართველები ვართ. ხოდა ის ხალხი გონატრებაო და მაინც ბოლოს და ბოლოს ჩონ უნდა იქ წაიდეთო. ეხლა თუ მე არ ვიქნებიო, ჩონ მომავალი თაობა წავა ექაო. და რა ვიცი, ქენ თუ წახვალთ, კარგიაო. ძელებურ ხალხი რო მოსულა იქაო, უთქია, რო მუცლით ვიხობავთ და გავალთ საქართველოჩიგაო. ხოდა, მე მგონიაო, რო ქენ შაასრულეფთო, თუ ქენაც არაო, ქენ მომავალი თაობა შაასრულეფსო. დედაჩემი ენგეთ გადმოცემულია [ქღკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

68. ავსანა ცნობილი ფერეიდნელის, ქართული იდენტობის გაძლიერებისთვის ერთ-ერთი დაუღალავი მებრძოლის, აწ გარდაცვლილი ალექსანდრე დავითაშვილის ქალიშვილია.

69. ბოლო ხანს ამას დაერთო ისიც, რომ საქართველოში დღეს ბევრი ირანელი ეძებს ხელსაყრელ ბიზნესპარტნიორსა და, შესაძლოა, მუდმივ საცხოვრებელ ადგილსაც.

ქართველები განათლებას სპარსულ ენაზე იღებენ, ამიტომ, როგორც ზემოთაც ვთქვით, სწავლების პირველი წლები საკმაოდ უჭირთ მათ, ვინც ქართულის გარდა სხვა ენა არ იცის.

მეზობელი ეთნიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით, ქართულ სოფლებში სამასი წლის განმავლობაში სკოლა არ ყოფილა (არც ქართულ და არც სხვა ენაზე) და განათლების მიღების შესაძლებლობაც არ ჰქონიათ:

„ქართველ კაცს სამასი წლის განმავლობაში სწავლაზე არ უფიქრია. ამ მხრივ ის ჩამორჩენილა ყველა თავის მეზობელ ხალხს. 15 სოფელში ერთი სკოლა არ ქონდათ. მხოლოდ 1928 წელს დაარსდა ერთადერთი სკოლა ახალი პროგრამით, რომელსაც პირველს ხანებში უნდობლად უყურებდენ. აქამდე ბავშვებს წერა-კითხვას, ე. ი. ჩვენებურად რომ ვთქვათ, „ანა-ბანას“ ასწავლიდენ სასულიერო პირები – ახუნდები. ეს არაა სკოლა ნამდვილი მნიშვნელობით. მას არა აქვს არავითარი სისტემა. სწავლება დამოკიდებულია თვით მასწავლებლის ცოდნასა და ხასიათზე. ასეთ სკოლას სპარსეთში „მაქთაბს“ ეძახიან ე. ი. დაბალი ხარისხის სახალხო სკოლას“ [ჭელიძე 1935: 126].

როგორც ვხედავთ, 1928 წლიდან გაიხსნა ქართულ სოფელში სკოლა. ამ სკოლაში დადიოდნენ დაბალი ფენის წარმომადგენლები, ხანებისა და დიდებულების შვილები კი სახლში სწავლობდნენ წერა-კითხვას, თუ, რა თქმა უნდა, მამებმა იცოდნენ. ქალაქი შორს იყო და სხვა შემთხვევაში უსწავლელნი რჩებოდნენ.

სკოლის გახსნას მოჰყვა წინააღმდეგობები მოსახლეობაშიც:

„ამჟამად ზემო მარტყოფში, როგორც ზემოდ ვთქვით, ერთი სკოლაა ახალი წესით და პროგრამით. მაგიდები, სკამები, ყველაფერი არის, მაგრამ ის ჯერ სათანადოდ ვერ იზიდავს ხალხს. ერთმა მეზობელმა სეიფოლას უთხრა: „მაგ სკოლაში არავინაც არ მოვა სასწავლებლად“. სეიფოლამ გააჯავრებით უპასუხა: – „ქურთები მოვლენო“ და ამით გააჩუმა [ჭელიძე 1935: 129].

სწავლა მიმდინარეობდა სპარსულ ენაზე, რამაც ქართველებში უკმაყოფილება გამოიწვია, თუმცა, როგორც გაირკვა, არავინ აღმოჩნდა, ვინც შეძლებდა ქართულ ენაზე წაეყვანა სასწავლო პროცესი:

სწავლება წარმოებს ახალ წესზე, სპარსულად. ამან გამოიწვია ცოტაოდენი უკმაყოფილება. ბავშვებმა სპარსული სრულებით არ იციან. მასწავლებელი კი აიძულებდათ რომ სკოლაში მხოლოდ სპარსულად ელაპარაკათ. – „თუ ერთს დავკავიწყებთ და მეორეს გვასწავლით, ეს რაღა გამოვიდა?.. უთხრეს მასწავლებელს. მაგრამ მას თავისი პასუხი ჰქონდა: მე ქართული არ ვიციო. ამის შემდეგ, როგორც გამოირკვა, მთავრობა ქართულად სწავლების წინააღმდეგი არ იყო, ისევე, როგორც არ ეწინააღმდეგება სომხებს, ებრაელებს და ქურთებს. მაგრამ თვით ფერეინდელ

ქართველებში არავინ არის ქართული წერა-კითხვის მცოდნე, რომ მასწავლებლობა შეეძლოს. ხოლო იმ ქართველებიდან, რომლებიც აქედან არიან გასული და უსაქმოდ დაეხეტებიან თეპერანის ქუჩებზე, არავინ ისურვავ ფერეიდანში მასწავლებლად წასვლა [ჭელიძე 1935: 129].

აქვე ამბაკო ჭელიძე აღნიშნავს, რომ ფერეიდნელ ქართველებს ესმით სწავლის მნიშვნელობა:

ფერეიდნელ ქართველებში ზოგიერთებს მაინც აქვთ სწავლის მნიშვნელობის სათანადო შეგნება და სურვილი. ერთმა მათგანმა გულისტკივილით გვითხრა: – „წაიყონეთ ჩემი შვილი. თქვენი იყოს. ოღონდ ნუ იქნება ჩემსავით უბედური“ [ჭელიძე 1935: 129].

ჩაკეტილი, იზოლირებული ყოფიდან გამოსვლის შემდეგ ქვეყნის განვითარებისა და საზოგადოებასთან ინტეგრირების მოთხოვნამ ქართველების წინაშე დააყენა სპარსული ენის ცოდნის აუცილებლობა. ამას გრძნობდნენ ქართველები და ცდილობდნენ შვილებსთვის ესწავლებინათ ენა, რომ მათ მაინც მიეღოთ შეძლებისდაგვარად განათლება და დაეღწიათ თავი კარჩაკეტილობისგან. აი, რას იგონებს მალექ რაჰიმი (რამიშვილი):

პატარა რო ვყოფილვარ, საქართველოში⁷⁰ სპარსული არავინ არ იცოდა... სულ ჩვენებურად იყო. ერთხელ მაგონდება სპარსულ მეფის კაცებსა საქმე ჰქონდათ ჩემ მამასთან, ჩემ მამამ არ იცოდა, რო ამასთან სპარსულად იბნას... მოიღეს ჩონ სახლში, კარჩია და ჩემ მამა იქ არ იყო, ჩემ დედა იყო. ჩემ დედამ არ იცოდა, რას ამბობენ. სპარსული არ იცოდა, ამათაც ქართული არ იცოდენ. მთელი ხალხი იგრე ყოფილა... მე 5-6 წლისა რო შაიქენ... ჩემ მამა ჭკვიანი კაცი იყო, წარმე ზავნა მოლასთან, სპარსული ასწავლეთო“ [შაიშველაშვილი 2019].

სპარსული ენა განათლების ენა გახდა. ირანში სპარსულის სწავლის აუცილებლობა განაპირობებდა ქართული ენის მეორე, საოჯახო ენის ფუნქციით დარჩენას. ამდენად ქართველები ბილინგვებად ჩამოყალიბდნენ:

„ჩონც რო ქართულად ვილაპარაკითყე, დოგოწუხიანყე, სკოლაში ხო არ უნდა ქართული. აღბათა არ იყო ყრალი. იმიტომ რო პარსული არ ვიცოდით. მოდით ქართულად ნუ ვილაპარაკოთო, რო პარსული დავისწავლოთო, და!“ [ქდკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

70. აქ „ქართველობას“ გულისხმობს.

როგორც ვხედავთ, ისევე როგორც სხვა ეთნიკური ჯგუფები ირანში ქართველებიც იწყებდნენ ლაპარაკს თავიანთ მშობლიურ ენაზე და შემდეგ სწავლობდნენ სპარსულს.

ქართული არ არის განათლების ენა ირანში, ამდენად ფერეიდნელები ვერ ახერხებენ წერას და კითხვას მშობლიურ ენაზე, თუ თავად, საკუთარი ძალებითა და ინიციატივით, არ ისწავლეს ქართული ანბანი.

განათლების მიღების დროს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არის ენობრივი ბარიერი და აკადემიური წარმატებაც სწორედ ამაზეა დამოკიდებული. ვინც სახლში სპარსულად საუბრობს, მათთვის განათლების მიღება სულაც არ არის ძნელი, მაგრამ ვინც ორივე ენაზე საუბრობს, მათთვის პირველი წლები ძალიან რთულია.

2.4. ქართული ენა – ხიდი ისტორიულ სამშობლოსთან

მშობლიური ენის დაკარგვა ნიშნავს სამყაროს ჩამოყალიბებული სურათის რღვევას, ფაქტობრივად, თვითმყოფადობის დაკარგვას.

არნ. ჩიქობავა წერდა: „ქართული ენა ერთადერთი ძაფია, რომელიც ფერეიდნელ ქართველობას აკავშირებს ქართულ კულტურასთან. გადაგვარებას ვერ ასცდება იგი, თუ მას არ შეენახა ეს კავშირი... მალე დაეკარგება მას შეგნება იმისა, რომ „გურჯია“, როგორც კი გამოესაღებამ ამ შეგნების ბურჯს, ენას. ვერ უშველის ამ მხრივ ვერც მაღალი ქართული ურემი, ვერც ბანიანი სახლი, რომელიც მას დღემდე შერჩენია“ [ჩიქობავა 1927: 197].

ქართულად წერა-კითხვა მეოცე საუკუნის შუა წლებისათვის ძალიან ცოტამ იცოდა:

– ემ ჩემ ცოლის მამა ჯარისკაცად იყო იმ დროს. ჩემსავით ახალგაზდა იყო, ჯეე-ლი იყო. წერა-კითხვა იცოდა. ჯარისკაცად რო იყო, იმაშინ ქართულადლა წერილი დადსწერისყე თავის ამხანაგეფთანა, გავ ზავნიან-გამოვ ზავნიანყე. იმ დროსა ერთთაყე ოზ თა [...] ოთხმოცი წელის წინ შიდ-რუა-ათი კაცმა თხუთმეტ კაცმა მაღლა წერა-კითხვა არ იცოდიან. იმ ათ-თხუთმეტ კაცმა წერა-კითხვა იცოდიან, ჯარისკაც რო წაიდიანყე, იმათ წერილი ქართულად დოუწერიანყე თავით დედ-მამასა და იმ თავით მეგობარეფსა რო იცოდენ. დედამაც თუ მოსწერა, დედ-მამა აიღის, წაიდის იმ თავის მეგობარმა რო იცოდენ, წაიკითხოს, იმამ წოუკითხისყე. იქით მეღა შამიყორ-და და დავისწავლე [ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)].

ფერეიდნელების დიდ ნაწილს ესმოდა, რომ ასიმილაციის საფრთხე დიდი იყო, განსაკუთრებით მათთვის, ვინც დიდ ქალაქებში იყო გადასახლებული. ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ მომავალ თაობას ქართული ენა არ დაევიწყებოდა.

ნოდარ კოჭლაშვილი წერს:

„ქართული ენის შენახვას ძირითადად ხელს უწყობდა ის, რომ ქართველობა კომპაქტურად ცხოვრობდა, ოჯახებში კი ქალები დედის ენაზე უბნობდნენ. ქალაქში სამუშაოდ ჩამოსულ ფერეიდნელთათვის ეს გარემო, ბუნებრივია, იკარგებოდა. ენის შესწავლა ბავშვებისათვის, მომავლისათვის უკვე საფრთხის წინაშე იყო. ფერეიდნელმა ქართველებმა, რომელნიც ქალაქებში ჩამოსახლდნენ, ასეთი ხერხი იხმარეს, რათა დედის ენა „შამაენახათ“, – ბავშვებს ექვს წლამდე ეზოში და ქუჩაში არ უშვებდნენ! – ჯერ დედის ენა ისწავლონ ნამედ (კარგად) და მერე სპარსულიო!“ [კოჭლაშვილი 2005: 13-14].

2008 წელს სოფელ დაშქესანაში მასალა ჩავიწერეთ 90 წელს გადაცილებული ქართველი მოხუცისგან, რომლის სამეტყველო კოდიც იმდენად შერეული იყო, რომ ხანდახან ტექსტის გარჩევა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ეს პიროვნება, ძალიან ამაცობდა თავისი ქართულით. სწორედ მისგან მოვისმინეთ საქორწინო რიტუალის ერთი უძველესი წესის შესახებ: როდესაც სტუმრები დაიშლებოდნენ და ახალდაქორწინებულები მარტო დარჩებოდნენ, ვაჟს ცალკე ოთახში გაჰყავდა ქალი და ეუბნებოდა: მე წავალ, ვიმუშავე და მოვიტან პურს. შენ – დარჩები სახლში, გამიზრდი შვილებს და ასწავლი „დედის ენას“. როგორც ჩანს, გადასახლებულთა მიერ რიტუალურ ტექსტში შვილებისთვის დედაენის სწავლების აუცილებლობის შეტანა ერთგვარი დამატებითი პრევენციული აქცია იყო იდენტობის გადარჩენისთვის.

ოჯახებში ჰქონდათ ქართული წიგნებიც:

ერთი ძქონდა, ისიც იგრე დახეულიყო, დამძალიყო, არ შეენახვენ, იგრე იყო, მანდ ვინ გადასჯანსა, გადხიოს. ვერ გადასჯნეს, წყრან არ გოოშის, რო ჩონ გადასჯნათ, ჩემთი უნდა გადასჯნა, არ გადხიოთო, იგრე დამძალიყოლა... [ქლკ, ფარვინა მიქელაძე]. – ზღაპარები იყო. ის წიგნი ზღაპარებისა იყო [ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)].

სამწუხაროდ, ბევრი წიგნი განადგურდა, მათი დიდი ნაწილი რეპრესიების შიშით დაწვეს, გაანადგურეს:

... ბევრი წიგნი ჰქონდა და ისიც ბევრი ჰქონდა, ერთხელა, ალალ მე ბიძა მყავ, ამუა, ჩონ ამუას დავძახოდით, არ ვიცილა რალა გაიგო ვმა, რო ემამა ლამით მოიდა და ეს წიგნები და ეს საძა დაწო. ესე მოოდუა და დაწო, ბეურ. წიგნ იყო, ექაურ წიგნები, ბეურ. ეშინოდა, აღარ ვიცო რა იყო, რო ლამით მოიდა და ეს დაწო.

მეორე დღეს მილიციამა მოიღეს და ჩონ სახლი მაძარეს, აღარ ვიცო, მის ეთქო რო, თუ ან ქეთაბი გაქ და ეს საძა გაქ გურჯისტანისა, ესები დაწი და დაკარგე, რო იძებმა უნდა მოიღეს და მაძარონ.

და მეორე დღეს მოიღეს და ჩონ სახლი წამაძარეს. კიდობანი, სადაცლა რო რა

გოქონდა, ლოგინი, საბანი, სუ გადმოყარეს და ნახეს, რო აბაო, იქით გადმოტანილი, რო სეიქოლამ გადმაიტანაო, რო აბა ჩონა ვნახოთო, რო ის რა არიო [ქლკ, ჰაიათ იოსელიანი].

დღეს ფერეიდანში მცხოვრები ქართველების ერთი ნაწილი სწავლობს ქართულ წერა-კითხვას, თუმცა უპირატესობას ანიჭებს სპარსულ ენაზე კითხვას, რადგან ის მათი განათლების ენაა. სამაგიეროდ მათი უმრავლესობა უსმენს მუსიკას მშობლიურ ენაზე. რა თქმა უნდა, სპარსულადაც, რადგან ქართული ეთნიკური ჯგუფი არის განუყოფელი ნაწილი ირანული კულტურისა. ახალგაზრდები, ვინც უკეთ იცის ქართული, უსმენენ ქართულ სიმღერებს და ეს მათ დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ქმნიან საკუთარ სიმღერებს ქართულ ენაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ასაკის ქართულ მოსახლეობაში ერთ-ერთი ნიშანი იდენტობისა არის სიმღერების: „სულიკოსა“ და „შავლეგოს“ ცოდნა.

მშობლიურ, ისტორიულ სამშობლოსთან კავშირი, „ხმა სამშობლოდან“ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ქართველთათვის ფერეიდანში. მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ რადიოგადაცემებს, რომელთა საშუალებითაც იგებდნენ საქართველოს ამბებს. ეს ამბავი გაიხსენა ჩვენთან ფერეიდელმა ქართველმა ალი რეზა რაჰიმიმ (რეზო დავითაშვილმა):

ქართუელი ვარ! ხო ჩონ მამანი და ესები ერთიანყე. რადიოს დაფიქნიანყე, აბა საქართველო მონახონ, აბა სად ხმა მუა. ხო არ იყო ირანნი მინმემ გაიგოს, რადიოები ცოტა იყო.

დღეს ირანში შეინიშნება ინტერესი ქართული ეთნიკური ჯგუფის მიმართ, მზადდება გადაცემები მათი ეთნო-კულტურული თავისებურებების შესახებ და გადაიცემა ტელევიზიით. ფერეიდანში გახსნილია ქართული ენის კურსები. ქართულ ენას ასწავლიან ისპაჰანში, ენათა სწავლების კურსებზე საკმაოდ ბევრი მსურველია სალიტერატურო ქართულის შესწავლისა, რომელთა შორის არიან არა მხოლოდ ეთნიკური ქართველები, არამედ ირანელებიც. ქართული ენით დაინტერესებულ ირანელთა მოტივაცია საქართველოში მათი დროებითი ან მუდმივი საქმიანობა და ცხოვრებაა.

გაკვეთილებს უძღვება **ჰოსეინ მიქელანი (სოსო მიქელაძე)**. მანვე შექმნა ქართული ენის სახელმძღვანელო „ფესვები“. სოსო მიქელაძეს ქართული ენის კურსი დისტანციურადაც მიჰყავს და მსურველები აქაც საკმაოდ არიან.

ბოლო წლებში თეირანის უნივერსიტეტში დაიწყო ქართული ენის სწავლება. იქ **ანდრო ნაგელიანი** უძღვებოდა ქართული ენის დაწყებით კურსს.

ფერეიდუნშაჰრსა და ისპაჰანში ქართულ ენას ხანმოკლე დროის განმავლობაში ასწავლიდა ადგილობრივ ქართველებს **საიდ მულიანიც**, რომელიც საცხოვრებლად საქართველოში გადმოვიდა.

გაჩნდა დაინტერესება ქართული სადმი სამეცნიერო თვალსაზრისითაც. როგორც

ადგილობრივი ქართველები ამბობენ, ხშირად ჩამოდიან ისპაჰანიდან და თეირანიდან მეცნიერები, რომლებიც გარკვეულ დიალექტურ ან ეთნოლოგიურ კითხვარებს ავსებენ მათთან, იწერენ ტექსტებს.

სოფელ თორელში დასრულდა უძველესი ქართული სახლის აღდგენის პროცესი, სახლისა, რომელშიც, როგორც თორელელები ამბობენ, ძველი ქართველები, მიგრანტების პირველი თაობები ოჯახებით ცხოვრობდნენ. ამ დროისთვის სახლის რესტავრაცია უკვე დასრულებულია და იქ ეთნოგრაფიული მუზეუმის გახსნა იგეგმება.

თავი V

ფერეიდნული ენობრივი კუნძული – კუნძულური დიალექტის უნიკალური მაგალითი

1. კუნძულური დიალექტოლოგიის სათავეებთან – თეორიული და კულტურული წანამძღვრები

ზემოთ წარმოდგენილი ვრცელი ისტორიული მიმოხილვით გვინდოდა თავი მოგვეყარა ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციისთვის, რომელიც ფერეიდნული ენობრივი კუნძულის ჩამოყალიბებას განაპირობებდა და მის უჩვეულო და ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფდა.

ენობრივი კუნძული მხოლოდ ლინგვისტური ტერმინი არ არის. ის მოიცავს იზოლირებული ენობრივი კოლექტივის არსებობის ყველა კომპონენტს, რომლებიც მას არსებობის ბოლომდე შერჩება. ენობრივი კუნძულის შესწავლა სწორედ იმით განსხვავდება ჩვეულებრივი დიალექტური მონაცემის ლინგვისტური აღწერისაგან, რომ ის მულტიდისციპლინურ ცოდნათა საზღვარზე წარმოებს.

ჩვენი ნაშრომი ფერეიდნულის კუნძულური ასპექტით კვლევის მხოლოდ დასაწყისია. წინ ბევრი საინტერესო სამუშაო ელის ყველა დაინტერესებულ მკვლევარს. ბუნებრივია, ერთი პატარა ჯგუფის სამუშაო ვერ ამოწურავდა ყველა საკითხს.

ყველაფერი, რაც ამ წიგნში აქამდე ითქვა, და ისიც, რას ამას მოსდევს, გაერთიანებულია ფერეიდნულის კუნძულური პრობლემატიკის ერთიანობაში დანახვის სურვილით.

რა არის ენობრივი კუნძული?

როგორ ჩანს ფერეიდნული მსოფლიო ენათა კუნძულურ მოზაიკაში?

რა აქვს ფერეიდნულს საერთო სხვა ცნობილ ენობრივ კუნძულებთან და რა განსხვავებს მათგან?

ტერმინი დიალექტური კუნძული მე-19 საუკუნის შუა წლებში გამოიყენეს პირველად გერმანული კოლონიების მეტყველების აღსანიშნად [Rosenberg 2006; Mattheier 1996].

მოგვიანებით ამ მეტაფორულმა ტერმინმა ლინგვისტიკის სპეციფიკური მიმართულების – კუნძულური დიალექტოლოგიის ცნებით სისტემაში დაიღო ბინა.

ენობრივი კუნძული (Sprachinsel) ან კუნძულური დიალექტი (Inselmundart) ეწოდება ენის (დიალექტის) გავრცელების მარგინალურ უბანს, რომელიც გამოყოფ

ფილია თავისი ბირთვული არეალიდან სახელმწიფო (ტერიტორიულ-პოლიტიკური) საზღვრით და მოქცეულია სხვა, უცხოენოვანი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრებში [Домашнев 1990: 248; 1996: 24].

ენობრივი კუნძულის ცნება გერმანული დიალექტოლოგიის წიაღში გაჩნდა. იმის გამო, რომ გერმანული კოლონიები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რამდენიმე კონტინენტზე იყო მოფენილი, გერმანულ ენათმეცნიერებას საშუალება ჰქონდა დაკვირვებოდა იზოლირების განსხვავებულ პირობებში მოქცეული ენობრივი ერთობების განვითარებას. ლინგვისტური გეოგრაფიის მიმდევრები, ნეოგრამატიკოსებისა და მოგვიანებით სხვა ლინგვისტური და ეთნო-კულტურული მიმართულებების წარმომადგენლები ეყრდნობოდნენ გერმანული კოლონიზაციის მონაცემებს [Rosenberg 2006].

რა თქმა უნდა, ენობრივი კუნძული არ არის უნიკალური გერმანული მოვლენა და კოლონიზაციის სხვადასხვა ტალღის შედეგად უამრავი ენობრივი კუნძული იყო და არის მსოფლიოში. მაგალითად, პორტუგალიური კუნძული დასავლეთ აფრიკაში, ფრანგული – აღმოსავლეთ აფრიკაში, ჰოლანდიური – საფრანგეთში, კეჩუა – პერუს ესპანურენოვან ტერიტორიაზე და სხვა მრავალი [Rosenberg 2006].

გერმანისტიკაში დამკვიდრებული ცნება მოგვიანებით გავრცელდა სხვა იზოლირებულ ენობრივ კოლონიებზეც.

სამეცნიერო ლიტერატურაში „კუნძულური“ დიალექტების (ენობრივი კუნძულების) ორ ტიპს გამოყოფენ: 1. დიალექტის გავრცელების მარგინალური ტერიტორია, რომელიც კონტაქტურად არის განლაგებული ე.წ. ბირთვულ არეალთან (მაგ., სამხრეთ ტიროლი, ელზასი და ლოტარინგიის ნაწილი და სხვ.). ამათ ხან „განაპირა“ ენობრივ კუნძულებს უწოდებენ. 2. უცხოენოვან გარემოში მოქცეული, „ბირთვული არეალიდან“ დისტანციურად გავრცელებული ენობრივი კუნძულები [Домашнев 1990].

როგორც ითქვა, კუნძულელთა მეტყველების შესწავლა თავდაპირველად ტრადიციულ ლინგვისტიკურ დისციპლინათა ფარგლებში მიმდინარეობდა. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან გაჩნდა კვლევები, რომლებიც ჩაკეტილი (კუნძულური) ენობრივი ერთეულების მეტყველებას განიხილავენ განსაკუთრებული მეცნიერული ინტერესის ობიექტად და ერთგვარად მიჯნავდნენ კუნძულურ კვლევებს ტრადიციული დიალექტოლოგიისაგან.

მაინც რაში ხედავდნენ „ჩვეულებრივი“ და კუნძულური დიალექტის განსხვავებას? სხვადასხვა ავტორის მიერ ენობრივი კუნძულის მრავალფეროვან განმარტებებში ასახულია ამ განსხვავების სხვადასხვა ასპექტი. ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ განმარტება, რომელიც ენობრივ კუნძულს იზოლაციის თავისებურების მიხედვით განსაზღვრავს:

1. მოწყვეტილია საკუთარ ენობრივ და კულტურულ სივრცეს და გამიჯნულია მისგან პოლიტიკური საზღვრით;
2. იმყოფება უცხოენოვან გარემოცვაში და შემოსაზღვრულია პოლიტიკური საზღვრით.

ეს არის საყრდენი ჩონჩხი კუნძულის ცნების განმარტებისა, რომელსაც, როგორც ვთქვით, სხვადასხვა „კუნძულური“ ნიშნით აფართოებს სხვადასხვა ავტორი: „ენობრივი კუნძულები წარმოადგენს სივრცულად შემოსაზღვრული და შინაგანად სტრუქტურირებული ერთი ენობრივი უმცირესობის დასახლებას სხვა ენობრივი უმრავლესობის შიგნით“ (Hutterer 1982: 178). ამავე დროს, ხაზგასმულია, რომ ენობრივი კუნძულის ცნება არ გულისხმობს მხოლოდ ენობრივ მიდგომას და ის წარმოადგენს მოცემული კუნძულის ფარგლებში მოქცეული ადამიანური ერთობის (კოლექტივის) ყველა ცხოვრებისეულ გამოვლინებას, მათ შორის ენასაც [Домашнев 1996; Hutterer 1982].

„ენობრივი კუნძულები, წერტილობრივი ან არეალური, შედარებით მცირე ზომის დახურული ენობრივი ერთობებია სხვა, შედარებით დიდ ტერიტორიაზე“ (Wiesinger 1983: 901).

„ენობრივი კუნძული არის ისეთი ენობრივ-კულტურული მარგინალია, რომელიც სხვა ენობრივი და კულტურული გარემოთა გამოყოფილი საკუთარი ენობრივი ერთობიდან, ეწევა საინტერესო დამოუკიდებელ ცხოვრებას ენობრივი (და კულტურული) თვალსაზრისით და აქვს უმნიშვნელო კავშირები როგორც თავის მეტროპოლიასთან, ისე გარემომცველ სახელმწიფო წარმონაქმნთან“ [Protze 1969].

როგორც ვხედავთ, განმარტებებში შემოდის ენობრივი კუნძულის „ჩაკეტილობის“, სტრუქტურული მთლიანობის, მეტროპოლიასთან და ახალი ბინადრობის გარემოსთან სუსტი კავშირი და ა. შ.

ყველაზე გამოკვეთილად ენობრივი კუნძულის არსს გამოხატავს კლაუს მატაიერის განცხადება იმის შესახებ, რომ კუნძული არის ასიმილაციის წინააღმდეგ მიმართული მობილიზებული ერთობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა სხვა ტიპის ენობრივი კონტაქტისგან კუნძულური საზოგადოების კონტაქტები იმით გამოირჩევა, რომ ეს საზოგადოება ასიმილაციურ პროცესებთან გამუდმებულ ბრძოლაში იმყოფება.

სწორედ ამიტომ მოგვიანებით კლაუს მატაიერმა სოციოლინგვისტური კვლევების ამოცანათა შორის მიუჩინა ადგილი ენობრივი კუნძულის შესახებ კვლევებს და ამით კუნძულური ლინგვისტიკა (კუნძულური დიალექტოლოგია) წმინდა ლინგვისტიკური მიმართულებიდან, სახელდობრ, დიალექტოლოგიის სფეროდან განაცალკევა [Mattheier 1996: 812-819].

მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში გერმანულენოვანი კუნძულები მეოცე საუკუნის დასაწყისში მოექცა. თავდაპირველად, როგორც ვთქვით, ისინი ტრადიციული და იმ დროს პოპულარული მეთოდოლოგიით შეისწავლებოდნენ. მაგალითად, ცნობილმა ლინგვისტმა უნვერტმა (Unwerth) პირველი მსოფლიო ომის დროს სამხედრო ტყვეებისგან (კოლონიისტი გერმანელებისგან) ჩაიწერა მასალა და გამოსცა 1919 წელს. ეს იყო პირველი ცდა რუსეთში გერმანული კოლონიების მეტყველების იდენტიფიკაციის, კლასიფიკაციის, მეტროპოლიასთან წარმომავლობითი კავშირის დადგენის ცდის თვალსაზრისით [Unwerth 1918]. დაახლოებით

იმავე პერიოდში სარატოვის უნივერსიტეტის მასწავლებელმა ლოზინგერმა დაიწყო დიალექტური ატლასის შედგენა ცნობილი ვენკერის ორმოცწინადადებიანი კითხვარის მიხედვით. ამავე მეთოდს გერმანული დიალექტების აღსაწერად იყენებდა ჟირმუნსკი თავის კოლეგებთან ერთად [Жирмунский 1929: 185].

ენის (დიალექტის) კვლევის კუნძულური პარადიგმა თანდათანობით ჩამოყალიბდა იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც კვლევის პროცესში ჩნდებოდა მკვლევართა წინაშე. აშკარა იყო, რომ ტრადიციული დიალექტოლოგიისა და დიალექტოგრაფიის ფარგლებში ეს კვლევა ვერ ექცეოდა.

როგორც ვთქვით, თავდაპირველად ჟირმუნსკი იყენებდა გერმანულ დიალექტოგრაფიაში საკმაოდ ადაპტირებულ მეთოდს, ვენკერის ცნობილ ფრაზებს (Wenkers Sätze). ეს არის სალიტერატურო გერმანული ენის 40 ფრაზა, რომლებიც უნდა ეთარგმნათ კოლონისტებს საკუთარ დიალექტზე. ამ ტრადიციულ ტესტს ჟირმუნსკიმ დაუმატა კიდევ 200 სიტყვა. კვლევის მიზანი იყო კოლონისტების მეტყველების მიხედვით მათი მიგრაციის საწყისი რეგიონის განსაზღვრა. სულ მალე მისთვის და მისი მიმდევრებისათვის ნათელი გახდა, რომ კოლონისტთა მეტყველება საფუძვლიანად იყო დაშორებული საწყის დიალექტს, რაც სხვადასხვა დიალექტის შერევის შედეგი იყო. კვლევის ფოკუსი სწორედ დიალექტთა შერევის კანონზომიერებათა დადგენისკენ წარიმართა.

მკვლევართა ერთ-ერთი ამოცანა – დაეკავშირებინათ ამა თუ იმ კოლონიის მეტყველება გერმანიაში თავისი წარმომავლობის რეგიონთან, საკმაოდ მნიშვნელოვან წინააღმდეგობას აწყდებოდა და ხშირად თითქმის შეუძლებელიც ხდებოდა. მალე ნათელი გახდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელი იყო მიგრაციის მარშრუტის ძალიან მკაფიო და გამჭვირვალე ხაზის აღდგენა და მიგრაციის საწყისი პუნქტის განსაზღვრა (ამისთვის არსებობდა უამრავი დოკუმენტური მასალა, საეკლესიო წიგნებში ჩანაწერები და ა.შ.), ენობრივად კოლონისტთა მეტყველების იდენტიფიკაცია წარმომავლობის ადგილის დიალექტთან შეუძლებელი იყო მრავალი შუალედური მიგრაციული გადასაცვლებისა და მრავალფეროვანი კონტაქტების გამო.

აღმოჩნდა, რომ კოლონიების ენობრივი თავისებურებანი დამოკიდებული იყო მიგრაციის მარშრუტზე, მეორე და მესამე ადგილმონაცვლეობის დროს შიდადიალექტური კომბინაციების თავისებურებაზე (მაგალითად, რომელი დიალექტების წარმომადგენლები ქმნიდნენ ახალ კოლონიებს, როგორი იყო მათი რიცხობრივი შეფარდება, სოციალური ურთიერთმიმართება, ქონებრივი მდგომარეობა... რა დამოკიდებულება ჰქონდათ ახალ კოლონისტებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მეზობლებთან და ისტორიულ სამშობლოსთან ან პირველადი კოლონიზაციის ადგილთან, როგორც ჟირმუნსკი უწოდებს, მეტროპოლიასთან. ყველა ამ პარამეტრის მიხედვით კოლონიებში მიმდინარეობდა გამალებული ენობრივი „დუღილი“ და როგორც ჟირმუნსკი აღნიშნავდა, იქმნებოდა სრულიად ახალი დიალექტები. სწორედ ამ „დუღილზე“ ინტენსიური დაკვირვების შედეგი იყო მისი შეფასება, რომ გერმანელი კოლონისტების მეტყველებაზე დაკვირვება ფასდაუდებელი ექსპერიმენტი შეიძლება გამხდარიყო შედარებითი მეცნიერებისთვის. კერძოდ, „პრაენიდან“ დიალექტების წარმოშობის

პროცესის თვალნათლივ წარმოსადგენად. „გადასახლებულთა ენის“ თეორიის ფუძემდებელი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ეს მასალა განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებდა არა მხოლოდ ფაქტობრივი თვალსაზრისით, როგორც სრულიად უცნობი ენობრივი მონაცემების წყარო, არამედ პრინციპული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოიშვა საუკუნის მეტაფორა იმის შესახებ, რომ გერმანული კუნძულური კოლონიები ერთგვარ ექსპერიმენტულ ლაბორატორიას წარმოადგენენ, რომლებშიც შედარებით მცირე დროში, 100-150 წლის მონაკვეთში, დაკვირვებისათვის ხელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა ენობრივი პროცესები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მთელი ასეული წლები გრძელდება ხოლმე [Жирмунский 1929: 181].

ჟირმუნსკიმ აჩვენა, რომ მაგალითად, წარმომავლობით შვაბური დიალექტის მატარებელ კოლონიებში სხვადასხვა პირობებში სრულიად სხვადასხვა ახალი დიალექტი ჩამოყალიბდა [Жирмунский 1929: 190].

ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც ჟირმუნსკისა და მისი კოლეგების ფართომასშტაბიანმა კვლევებმა წარმოაჩინა მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე, ის იყო, რომ ამ კუნძულებში ჩვეულებრივი ენობრივი ვარიაციულობისგან (სალიტერატურო ენა და დიალექტები) განსხვავებული ფაქტორები მოქმედებს. ეს ფაქტორებია:

1. სალიტერატურო ენა, რომლის სალიტერატურო ნორმები უკვე ჩამოყალიბებულია და იგულისხმება, რომ გადასახლებულებს ნორმირებული ენის გარკვეული კომპეტენცია მიჰყვებათ თან (ამავე დროს ნორმირებული ენა მათზე გავლენას ახდენს სკოლის, ეკლესიის, ლიტერატურის, გაზეთების მეშვეობით) 2. სხვადასხვა დიალექტის თანაარსებობისას (იგულისხმება, რომ გადასახლებულები სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენელი იყვნენ) იწყება შიდადიალექტური „გაწონასწორების“ ერთგვარი პროცესი, მიმართული საერთო დიალექტის – კოინეს ჩამოსაყალიბებლად.

„ენობრივი კუნძულების“ კვლევამ აჩვენა, რომ მშობლიურ ენობრივ გარემოსგან მოწყვეტის შემდეგ მნიშვნელოვანი პერიოდის შემდეგაც დიალექტი ძირითადად ინახავს თავის სპეციფიკურ თავისებურებებს და ფლობს საკმაო რესურსს იმისთვის, რომ შეძლოს ახალი საგნებისა და მოვლენების ნომინაცია (წარმოქმნის მექანიზმი). ამის კვალდაკვალ კუნძულური დიალექტი ითვისებს დიდი რაოდენობით უცხო ლექსიკას და ისე „იშინაურებს“ მას, რომ ხშირად სესხების კვალი იშლება კიდევ (აღარ აღიქმება).

ვ. ჟირმუნსკიმ მრავალრიცხოვანი გერმანულენოვანი და სხვა კუნძულების კვლევის შედეგად შეძლო ეჩვენებინა კანონი, რომელიც გულისხმობს იზოლირებულ ენობრივ ერთეულებში „პირველად“, მკვეთრი თავისებურებების გაქრობას და „მეორეული“, უმნიშვნელო თავისებურებების შენახვას. ამ კანონის მოქმედება ვლინდება როგორც დიალექტების ერთმანეთთან ურთიერთობის, ისე დიალექტისა და სალიტერატურო ენის ურთიერთქმედების პროცესში. უკანასკნელ შემთხვევაში ცვლილების ფაქტორის განმსაზღვრელია სალიტერატურო ენა – პირველადი ნიშნები, რომლებიც მკვეთრად უპირისპირდებიან სალიტერატურო ენას, ნი-

ველირდება, მაშინ, როცა უფრო ნაკლებად „გაცნობიერებული“ თავისებურებები რჩება დიალექტში.

ჟირმუნსკი აღნიშნავდა, რომ პირველადი ნიშნები ან ხსოვნა მათ შესახებ გარკვეული ხნით შემორჩენილია უფროსი თაობის წარმომადგენლებში. ასეთი რესპონდენტები ხშირად ჰყვებიან იმაზე, რომ მათი მეტყველება ახალგაზრდობაში ძლიერ განსხვავდება ახლანდელისგან. ხშირად ხდება, რომ არქაული დიალექტური ფორმები „ამოტივტივდება“ მეხსიერებაში, თუმცა ისინი არ მიეკუთვნებიან აქტიურ ლექსიკას. ე.წ. „მეორეული“ ნიშნები გაცილებით მდგრადია და უცვლელად არის ხოლმე შენარჩუნებული კუნძულელთა მეტყველებაში [Жирмунский 1929: 190-191].

თავის ნაშრომებში ჟირმუნსკიმ აჩვენა, რომ გერმანული კუნძულების მცხოვრებნი ავტომატურად არ ინარჩუნებდნენ წარმომავლობის დიალექტს. სხვადასხვა დიალექტური წრის წარმომადგენელთა დასახლებებში ხდება „მეზობლების“ მეტყველების თავისებურებების გათანაბრება, ერთგვარი „კონინეზაცია“ და იქმნება სრულიად ახალი, „შერეული“ დიალექტი. ამგვარი შერევის დროს ახალი ენობრივი (დიალექტური) წარმონაქმნის საერთო გრამატიკულ საფუძველს ქმნიან საწყის დიალექტებს შორის არსებული საერთო ნიშნები, ხოლო განსხვავებული ფორმები, რომლებსაც აქამდე დიალექტური ვარიაციულობის მადიფერენცირებელი ფუნქცია ჰქონდათ, წარმოქმნიან ახალ (კონინეზებულ) დიალექტში ერთგვარ კონკურენტ ფორმებს, რომლებიც ერთხანს თანაარსებობენ, ხოლო ბოლოს ერთ-ერთი მათგანი განიდევენება. სხვადასხვა კოლონიაში ერთი და იმავე გერმანული დიალექტების თანაარსებობისას წარმოქმნილ ახალ დიალექტებში შესაძლოა სრულიად სხვადასხვა გზით წარიმართოს კონინეზაციის პროცესი: სხვადასხვა დიალექტი იქნეს „არჩეული“ კონინეს „ცენტრად“, სხვადასხვა კონკურენტი ფორმები იქნეს განდევნილი და ა. შ. [Жирмунский 1929: 196].

ამგვარად წარმოქმნილი შერეული დიალექტები უკვე დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულებს წარმოადგენენ და შეუძლებელია მათი მიმართება წარმომავლობის ადგილთან, მიგრაციის საწყის გეოგრაფიულ არეალთან მეტროპოლიის რუკაზე.

ჟირმუნსკის თეორიის ყველაზე მნიშვნელოვანი თეზისი იყო ის, რომ მან დაადგინა „დიალექტწარმოქმნის“ ამგვარი პროცესების კანონზომიერება: სხვადასხვა დიალექტური წარმონაქმნების შერევისას ნიველირდება პირველადი ნიშნები (ის ნიშნები, რომლებიც მნიშვნელოვან წინაღობას ქმნიან გადასახლებულების ურთიერთობაში), ხოლო მეორეული ნიშნები გაცილებით დიდხანს რჩება. ამ კანონზომიერების გამო ხდება შესაძლებელი კუნძულური მონოლითურობის შენარჩუნება საუკუნეების განმავლობაშიც კი.

თეორიამ პირველადი და მეორადი ნიშნების შესახებ დიდი გამოხმაურება ჰპოვა არა მხოლოდ რუსულ, არამედ გერმანულ სამეცნიერო წრეებში და დღემდე დარჩა აქტიური დისკუსიის საგნად.

რუსეთის გერმანულმა კუნძულებმა რთული და საინტერესო გზა განვლეს. პირველი კოლონისტების მიერ დაარსებული მეტროპოლიებიდან მათ რამდენჯერმე მოუხდათ ახალმოსახლეობა. თითოეულ ჯერზე ეს ხდებოდა სხვადასხვაგვარი შემადგენ-

ლობით: ერთად სახლდებოდნენ გერმანიის სხვადასხვა ეთნოგრაფიული კუთხიდან წამოსული კოლონისტები.

ჟირმუნსკი წერს, რომ ამგვარი კოლონიების მეტყველების შესწავლა განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. მას მაგალითად მოჰყავს გერმანული კუნძულების მკვლევრის შტრემის [Ström 1926-1927] კვლევის მაგალითი. ეს კვლევა ჩატარდა პეტერბურგთან (ლენინგრადი) ახლოს მდებარე, 1860 წელს დაარსებულ შედარებით ახალგაზრდა კოლონიაში. კოლონია შეიქმნა სამი სხვადასხვა, უფრო ძველი კოლონიიდან წამოსული ახალმოსახლეების მიერ. შესწავლის დროს (მე-20 ს. 20-30-იანი წლები) მდგომარეობა ასეთი იყო:

- სამივე მეტროპოლიის დიალექტური თავისებურებები შენარჩუნებული იყო.
- ამავე დროს, ახალგაზრდების მეტყველება უფრო ნაკლებად განსხვავდებოდა, ვიდრე მოხუცებისა, რომლებიც მყარად ინახავდნენ მეტროპოლიის ენობრივ ტრადიციას.
- შერევის (დაახლოების) საფუძველი ყოველთვის სალიტერატურო ენა არ იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ დიალექტურ თავისებურებათა ნიველირება ხდებოდა ხშირად არა სალიტერატურო ენის, არამედ ერთ-ერთი დიალექტის სასარგებლოდ.
- ყველანაირად თანაბარი პირობების არსებობისას, ბავშვები მისდევენ დედის დიალექტს⁷¹.
- ბავშვების მეტყველებაში რამდენიმე კოდის არსებობა შეინიშნება: დედასთან სახლში (განსაკუთრებით გოგონების), მამასთან (სამუშაოზე) და თანატოლებთან.
- ხანდახან გვხვდებიან ერთეული მოლაპარაკე სუბიექტები, როგორც გამქრალი დიალექტის რუდიმენტები.

ერთ-ერთ ასეთ კოლონიაში აღწერილია ოჯახი, რომლის უფროსი წევრებიც (ორი ასაკოვანი ქალი) საუბრობდა ზემო ჰესენურ დიალექტზე, დანარჩენები უკვე სრულიად განსხვავებულ დიალექტზე მეტყველებდნენ [Жирмунский 1929: 205-206].

ასე რომ, აქაც, ახალი კოლონიური დიალექტის (როგორც მოგვიანებით მოიხსენიებდა ჟირმუნსკი – კუნძულოვანი დიალექტის) წარმოქმნის დროსაც შეინიშნება არა სპონტანური, უწყვეტი განვითარება „პრაენიდან“⁷², არამედ ურთიერთგავლენისა და

71. ამასთან დაკავშირებით ჟირმუნსკი წერდა, რომ ეს კანონზომიერება გათვალისწინებული უნდა იყოს მთქმელების ბიოგრაფიული მონაცემების შეკრებისას, რადგან გენეალოგიურ ინფორმაციას ჩვენ ძირითადად მამის სახით ვაგროვებთ, ენობრივი თავისებურებების გადაცემისას კი, როგორც ჩანს, „მატრიარქატიო“ [Жирмунский 1929: 203].

72. ჟირმუნსკი ამ ტერმინს უფრო მეტაფორულად იყენებს ამ შემთხვევაში, თუმცა პრაენის დაშლისა და ახალი ენების წარმოქმნის მექანიზმის შესწავლისთვის მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ენობრივ კუნძულებზე დაკვირვებას, რადგან მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ენობრივი დივერგენციის ზუსტად ანალოგიურ პროცესებს შემჭიდროებულ დროსა და არეალში.

შერევის მოვლენათა რთული რიგი, რის შედეგადაც კოლონიებმა რაღაც 150 წლის განმავლობაში მოასწრეს სულ ცოტა სამჯერ არსებითად შეეცვალათ თავიანთი დიალექტი.

მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დიალექტის „სამშობლოს“ განსაზღვრა, მისი ლოკალიზაცია წარმომავლობის ქვეყნის გეოგრაფიულ რუკაზე ყოველთვის მარტივი არ არის. „საკითხი კოლონისტების ფაქტობრივი წარმომავლობის შესახებ იმანენტურ-ლინგვისტური კვლევებით ვერ გადაწყდება შესაბამისი ისტორიული ცნობების გარეშე“ და შეიძლება ასეთი ცდები მხოლოდ ილოზორული ლოკალიზაციით დამთავრდეს.

ჟირმუნსკის მიერ საფუძველჩაყრილი ახალი სამეცნიერო პარადიგმა ძალას იკრებდა. საბჭოთა კავშირში მეორე მსოფლიო ომის წინ გერმანელ კოლონისტთა 1000-ზე მეტი დასახლება იყო მილიონ-ნახევარზე მეტი მცხოვრებით [Домашнев 1996: 25]. სამწუხაროდ, დაწყებულ კვლევათა უმეტესობას დამთავრება არ ეწერა: ლინგვისტური ატლასი, რომელიც უკვე თითქმის მზად იყო, უკვალოდ გაქრა, მისი ავტორი, ა. შტრემი (Ström), რეპრესიებში მოყვა. მალე გერმანელი კოლონისტები აღმოსავლეთში გადაასახლეს და მიგრაციის კიდევ ერთმა ტალღამ ახალი კუნძულური რეალობა წარმოშვა. ჟირმუნსკი ჩამოსცილდა კუნძულური კვლევების პრობლემატიკას.

50-იანი წლებიდან უკვე ახალ რეალობაში მოქცეული, ძირითადად შუა აზიის რესპუბლიკების ტერიტორიაზე თავმოყრილი გერმანული კოლონიების შესწავლა განახლდა.

გარდა საბჭოთა კავშირის (რუსეთის) ტერიტორიისა, გერმანული კოლონიები მთელ მსოფლიოში იყო გაფანტული და მათზე დაკვირვებამ დიდძალი მასალა დააგროვა ტიპოლოგიური პრობლემატიკის კვლევისათვის.

განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება უნიკალური ენობრივი კუნძული პენსილვანიის შტატში, რომელიც უკვე სამი საუკუნეა სრულ ინგლისურენოვან გარემოცვაში არსებობს. მას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: Pennsylvania Dutch ან Penna German.

მოსახლეობა ერთ მილიონამდეა და რამდენიმე ოლქშია განსახლებული.

სოფლის მოსახლეობის უმეტესობისთვის პირველი ენა პენსილვანიური გერმანულია.

კოლონია 1681 წელს დაარსდა, მას თავი უნდა მოეყარა ყველა დევნილი და „თავისუფლებსიმოყვარე“ სხვადასხვა ეროვნების ადამიანისთვის. მოხდა ისე, რომ აქ დიდი ნაკადებით შემოვიდა და დასახლდა გერმანიიდან ემიგრირებული (სხვადასხვა მიზეზით და სხვადასხვა პროვინციიდან) მოსახლეობა.

ასე რომ, სხვადასხვა დიალექტური წარმონაქმნი – ალემანური, შვაბური, ბავარიული, რაინო-ფრანკული მოექცა ერთმანეთისა და ინგლისური ენის ერთდროული ურთიერთქმედების ქვეშ. სწორედ ეს უკანასკნელი იქცა პენსილვანიური გერმანულის საბაზო ელემენტად.

კოლონიზაციის პირველი 100-150 წელი ხასიათდება პენსილვანიური გერმანუ-

ლის შინაგანი განვითარებით, რაც გამოიხატება სალიტერატურო სტანდარტისა და მოყოლილი დიალექტების აქტიური ურთიერთქმედებით. ეს ურთიერთგავლენა, ჟიმუნსკის აზრით, ორი მიმართულებით ვითარდებოდა: მკვეთრი დიალექტური თავისებურებების დაკარგვა და უნიფორმაცია, ნაკლებად შესამჩნევი, მეორეული თავისებურებების შენარჩუნებით.

მიუხედავად იმისა, რომ XIX-XX ს. დიალექტურ თავისებურებათა ნიველირება დიდი აქტივობით ხდებოდა მთელ ამერიკაში, გასული საუკუნის შუა წლებისთვის ამერიკული ლექსიკური ერთეულები ამ ენის მთელი ლექსიკური მარაგის 5%-ს არ აღემატებოდა და 300 000 ათასი გერმანიისთვის პენსილვანიურ გერმანულზე საუბარი უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე ინგლისურად.

დღეს ამერიკელი მკვლევრები მიიჩნევენ, რომ პენსილვანიურ გერმანულ დიალექტს აქვს გერმანული გრამატიკა და წარმოთქმა ინგლისური ლექსიკის ბაზაზე.

ამერიკას ხშირად ადარებდნენ „საღნობ ლუმელს“ – რაც, პირველ ყოვლისა, გულისხმობდა იმიგრანტთა აკულტურირებას. ასიმილაციის, კონვერგენციის პროცესებმა მრავალი დიალექტის არსებობის კვალი საერთოდ წაშალა ამ მიწაზე.

ამის მიუხედავად, პენსილვანიელი გერმანელები არანაირად არ თავსდებიან ამერიკელ იმიგრანტთა ადაპტაციის კლასიკურ პარადიგმაში. ამ პარადიგმის თანახმად, იმიგრანტების პირველი თაობა ლაპარაკობს თავისი სამშობლოს ენაზე, ხოლო ინგლისურიდან ნასესხებ სიტყვებს წარმოთქვამს ძლიერი აქცენტით; მეორე თაობის იმიგრანტები ბილინგვები არიან; მესამე – მონოლინგვები, ასიმილირებულ ინგლისურზე მოლაპარაკენი.

მაგრამ ჯერ კიდევ 1751 წელს ბენჟამენ ფრანკლინი შემოთავაზებული წერდა: რატომ მოხდა, რომ ინგლისელების მიერ დაფუძნებული პენსილვანია გადაიქცა უცხოელთა კოლონიად, რომლებიც მცირე დროში ისე გამრავლდნენ, რომ შეუძლიათ ჩვენი „გერმანიზირება“ იმის ნაცვლად, რომ ჩვენ მოვახდინოთ მათი „ანგლიზირება“.

„ენობრივი კუნძულის“ ამ შედარებით მდგრადობას და უცხოენოვან გარემოსთან ადაპტაციის საკუთარი, განსხვავებული პარადიგმის შექმნის უნარს ხსნიან „ძველი სამყაროს ტრადიციებით, რომლებიც სათუთად იყო დაცული მკაცრი რელიგიური სექტების მიერ“ [Милеева 2008].

როგორც თავიდანვე ვთქვით, მსოფლიოში უამრავი კუნძულური ენობრივი კოლექტივი არსებობდა და მათი დიდი უმრავლესობა სხვადასხვა სახით დღესაც განგრძობს არსებობას.

კუნძულური ლინგვისტიკის მკაცრი საზომებით კუნძული წყვეტს არსებობას და გადაიქცევა ჩვეულებრივ ენობრივ უმცირესობად, როგორც კი მისი იზოლაცია ირღვევა. ეს არის კუნძულური ენობრივი წარმონაქმნის არსებობის დასასრულის დასაწყისი, თუმცა, კუნძულის მთავარი თვისება – ასიმილაციური პროცესებისათვის წინააღმდეგობა, დიდხანს არის ისევ აქტიური და ყველა ასეთ ერთეულში ახალ სასიცოცხლო შესაძლებლობებს წარმოაჩენს სხვადასხვა გარემო პირობების შესაბამისად.

„ენობრივი კუნძულის“ თანამედროვე თეორია, გარდა წმინდა ლინგვისტური

(დიალექტოლოგიური) საკითხებისა, მოიცავს სოციოლინგვისტური და კონტაქტური ლინგვისტიკის პრობლემატიკას, ეროვნული უმცირესობებისა და უცხოენოვანი გარემოს ურთიერთობის აგრეთვე ისტორიულ და ეთნოგრაფიულ თემატიკას.

ცნება „ენობრივი კუნძული“ გულისხმობს მშობლიური ენის თავისებურებების შენახვას ენობრივი უმრავლესობის გარემოცვის პირობებში. როგორც ვთქვით, ტერმინის განსაზღვრებისას კ. მათაიერი ამ ნიშანს პირველ პლანზე წამოსწევს, ხოლო ენობრივი კუნძულების კვლევისას მთავარ ამოცანად მიიჩნევს „ანტიასიმილაციურ ინოვაციებს“, რომლებიც ნაციონალური უმცირესობების მენტალიტეტის საფუძველს წარმოადგენს.

„ენობრივი კუნძული არის ენობრივი ერთობა, წარმოქმნილი შენელებული კულტურულ-ენობრივი ასიმილაციის შედეგად, რომელიც ენობრივი უმცირესობის სახით არის გამოყოფილი საკუთარ ძირითად მხარეს (კუთხეს) და მოქცეულია ენობრივად და ეთნიკურად განსხვავებულ გარემოში. ენობრივი კუნძული განსხვავდება კონტაქტური საზოგადოებისგან სოციოფსიქიკური დისპოზიციით, რაც განსაზღვრავს მის თავისებურებას“ (Matheier 1994:334).

მოსახლეობის ასეთი ჯგუფების ეთნიკური და ენობრივი იდენტობა უმეტესად და გამუდმებით საფრთხის ქვეშ იმყოფება და დამოკიდებულია იმაზე, ეთნიკური კულტურის შენახვისა და დაცვის რა გარანტიებს აძლევს მას შესაბამისი სახელმწიფო და გარემო პირობები. ენობრივი კუნძული საკმაოდ დიდხანს უძლებს უცხოენოვან გარემოს, მაგრამ თუ ასიმილაციური პროცესები გარემომცველ უმრავლესობასთან იზრდება და ამ კუნძულების ჩაკეტილობა ირღვევა, მაშინ ცნება კუნძული უკვე აღარ შეესაბამება სინამდვილეს [Москалюк 2002; 2014].

რუსეთის ტერიტორიაზე დღემდე არსებული გერმანულენოვანი კუნძულების იზოლაციის შესუსტების მიზეზი გახდა საზოგადოების გლობალური ურბანიზაცია და ტექნიზაცია და ინტენსიური მიგრაციული პროცესები: ემიგრაცია ისტორიულ (ეთნიკურ) სამშობლოში, გერმანული დიალექტების ცუდად მცოდნე გერმანელთა ნაკადი შუა აზიის რესპუბლიკებიდან [Домашнев, Копчук 2001: 119-120]. ამის გამო მკვეთრად შემცირდა გერმანელებით კომპაქტურად დასახლებული პუნქტების წილი, შესაბამისად კი, შეიცვალა კოლექტივი, რომელიც ადრე ენობრივ კუნძულს წარმოადგენდა. ურთიერთობები ენობრივი კუნძულის შიგნით თანდათან უთანაბრდება გარე ურთიერთობებს, ისე, რომ ენობრივი კუნძული კარგავს ენობრივ ეთნიკურ იდენტობას. ამასთან, ენობრივი კუნძულის ცნება კვლავ დიდხანს ინარჩუნებს ისტორიულ მნიშვნელობას [Москалюк 2014].

მიჩნეულია, რომ იზოლაციის დარღვევისა და ასიმილაციული დიგლოსიის წარმოქმნის შემდეგ ენობრივი კუნძულის ნელი დაშლა იწყება, რაც ლოგიკურად ამ კუნძულის საბოლოო გაქრობით მთავრდება, თუმცა გამუდმებით ასიმილაციურ პროცესებთან ბრძოლაში მყოფი კუნძული ენობრივი მონოლითურობის დარღვევის შემდეგ სწორედ ამ „ისტორიული“ მნიშვნელობის ძალით განაგრძობს ინერციულ არსებობას და ეძებს განახლების და გადარჩენის გზებს.

პენსილვანიურმა გერმანულმა, რომელმაც ინგლისური ენის ძალიან დიდი გავ-

ლენა განიცადა როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკული ინვენტარის თვალსაზრისით [Louden 2005], ამასთან თანდათან დათმო ფუნქციონირების სფეროები გერმანულის საზიანოდ, მაინც დღემდე შემოინახა კუნძულური მეხსიერება და უკვე ახალი დროის შესაბამისად ეძებს არსებობის გახანგრძლივების კულტურულ და პოლიტიკურ გზებს. ფიქრობენ, რომ ლიტერატურის შექმნა ამ „ენაზე“, მცირეტირაჟიანი გაზეთების გამოცემა, ვიკიმედიის ფონდის მიერ პენსილვანიურ დიალექტზე ვიკიპედიის განყოფილების შექმნა და სხვა მსგავსი ღონისძიებები დიალექტის ნორმალიზაციას შეუწყობს ხელს.

ასეთივე „პოსტკუნძულურ“ ვითარებაში არიან მოხვედრილი „რუსი გერმანელები“ – მასობრივი მიგრაციებისა და სხვა თანამდევი პროცესების გამო მათი ენობრივი და კულტურული იდენტობის საკითხი საფრთხის წინაშეა. სახელმწიფომ ამის გამო სპეციალური მიზნობრივი პროგრამაც კი შეიმუშავა 2007 წელს ამ ჯგუფის ეკონომიკურ-სოციალური და კულტურული რეაბილიტაციისათვის.

კუნძულური კვლევები, რომლებიც გერმანული ენობრივი კუნძულების შესწავლისთვის დაიწყო, შემდეგ ბევრი სხვა ანალოგიური ენობრივი მონაცემის შესასწავლად იქნა გამოყენებული. იმის გამო, რომ ჟირმუნსკისა და მისი მიმდევრების კვლევები ორმოცდაათიან წლებამდე ფაქტობრივად „დახურული“ იყო საბჭოთა კავშირში, კუნძულური მეთოდოლოგია **ენათა კონტაქტების** სხვადასხვა ასპექტით გადაიფარა, თუმცა „საბჭოთა გერმანელების“ შესახებ კვლევები გასული საუკუნის მეორე ნახევარში ისევ განახლდა და დღემდე აქტიურად გრძელდება რუსეთში. ევროპულ სამეცნიერო სივრცეშიც აქტიურად შეინიშნება კუნძულური თემისა და ტერმინოლოგიის „დაბრუნება“.

2. ფერეიდანი – ენობრივი კუნძული

ფერეიდანი, როგორც აღვნიშნეთ და როგორც წარმოდგენილი დიდძალი მასალითაც ჩანს, ტიპური „ენობრივი კუნძულია“. მისი მსგავსი კუნძულები, რაც ასევე აღვნიშნეთ ზემოთ, არსებობდნენ ირანის სხვადასხვა რეგიონში (მაზანდარანის, ფარსის, გილანისა და სხვა პროვინციებში), მაგრამ მათ გაიარეს ასეთი კუნძულებისთვის ტიპური გზა: იზოლაციის დარღვევის შემდეგ დაიწყო ასიმილაციის ნელი პროცესი, რომელიც ქართული ენის მთლიანი გაქრობით დასრულდა და ამ კუნძულების ბინადართა შთამომავლების კოლექტიურ მეხსიერებას მხოლოდ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულში აღბეჭდილი „ხსოვნაღა“ შემორჩა თავისი ეთნიკური წარმომავლობის ქართული ძირების დასასაბუთებლად.

როგორც ზემოთ მოყვანილ ვრცელ მიმოხილვაში ვაჩვენეთ, „დიალექტური კუნძულების“ არსებობას და ბედს მრავალი ფაქტორი განაპირობებს და როგორც აღვნიშნავენ, მნიშვნელოვანი თვისება „კუნძულებისთვის“ არის ის, რომ მათში განსაკუთრებითაა გაძლიერებული ასიმილაციისაგან თავდაცვის ინსტინქტი. „კუნძულის“ ცნება სწორედ ამას გულისხმობს – გარემომცველი უმრავლესობის ენის გავლენის-

გან მშობლიური ენის დაცვას. „კუნძულის“ ტრადიციულ განმარტებაში სწორედ ამ ნიშანს წამოსწევენ წინა პლანზე. მიჩნეულია, რომ ენობრივი კუნძული შენელებული კულტურულ-ენობრივი ასიმილაციის პროცესის შედეგადაა წარმოქმნილი და კუნძულური კულტურების კვლევის მთავარი ამოცანაა იმ ანტიასიმილაციური ინოვაციების შესწავლა, რომლებიც განსაზღვრავენ უმცირესობის მენტალიტეტის საფუძველს. აღნიშნულია, რომ ამ ტიპის კუნძულებში ორი ფაქტორი აქტიურდება: 1. სალიტერატურო ენა (იგულისხმება, რომ გადასახლებულებს ნორმირებული ენის გარკვეული კომპეტენცია მიჰყვებათ თან); 2. სხვადასხვა დიალექტის თანაარსებობისას იწყება დიალექტთა „გაწონასწორების“ ერთგვარი პროცესი, მიმართული საერთო დიალექტის – კოინეს ჩამოყალიბებისაკენ. ირანის ქართული კუნძულების შესწავლა საინტერესო მაგალითია მსგავსი მოვლენების ზოგადი ტიპოლოგიის კვლევისათვის. „კუნძულური“ თეორიის მიხედვით, დროთა განმავლობაში ასიმილაციისადმი კუნძულელთა წინააღმდეგობა სხვადასხვა ფაქტორის გამო სუსტდება და კუნძული ნელ-ნელა მიემართება დაშლისკენ. ეს გარდაუვალი პროცესი სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა ტემპით ვითარდება, თუმცა საბოლოო შედეგი ერთია: კულტურული მახასიათებლების სრული ასიმილაცია და იდენტობის წაშლა.

რა პერსპექტივა ჰქონდა მე-19 საუკუნის ბოლოსათვის უკვე საკმაოდ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ენობრივ კუნძულს გადარჩენისათვის?

რა ფაქტორებმა განაპირობა მისი შემდგომი ბედი?

თუ შევეცდებით, „წავშალოთ“ ასი წელი ჩვენი მეხსიერებიდან, დავივიწყოთ ბოლო ასი წლის ცოდნა კუნძულის შესახებ, და შევხედავთ მას 1900-იანი წლების გადასახედიდან, დავინახავთ, რომ კუნძულს, რომელშიც თითქმის მთლიანად წაშლილია ისტორიული და კულტურული მეხსიერება და რომლის მეტყველება უკვე ძლიერი ასიმილაციური პროცესების გავლენით საკმაოდ სახეცვლილია, არსებობის გაგრძელება შეუძლია მხოლოდ ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებით გამოწვეული იზოლაციის ხარჯზე და რომ ეს არ შეიძლება გაგრძელდეს დიდხანს. ამ გზაჯვარედინიდან უკვე იწყება გზა სრული ასიმილაციისაკენ, რისი მაგალითებიც უკვე გვაქვს მაზანდარანში და ირანის სხვა რეგიონებში.

მაშ, რა არის ფერეიდნული კუნძულის სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლო?

პენსილვანიისა და რუსეთის გერმანული „კუნძულებისაგან“ განსხვავებით ეს ჯგუფი აბსოლუტურად იყო მოკლებული ენობრივი ცვლილების პირველი ლინგვისტური ფაქტორის – სალიტერატურო ენასთან ურთიერთქმედების ფაქტორის მოქმედებას. აქ არ იყო ეკლესია და ღვთისმსახურება მშობლიურ ენაზე, როგორც ეს გერმანულ კუნძულებში ან თუნდაც ირანის სომხურ დასახლებებში იყო. ასევე შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ფერეიდანთან ქართული საზოგადოების ეპიზოდური კონტაქტი უფრო ცალმხრივი გაცნობის ხასიათს ატარებდა და არ წარმოადგენდა „ბირთვული არეალის“ და „დიალექტური კუნძულის“ ბუნებრივი ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების ფორმას, როგორც ეს აღწერილ კუნძულებში იყო, სადაც ღლიდან გადასახლებისა შეუფერხებლად იღებდნენ ყოველკვირულ პრესასაც კი.

მეორე ლინგვისტური ფაქტორი, – დიალექტთაშორის ურთიერთობა და „გაწონასწორების“ პროცესი ბუნებრივად საგულეებელია ფერეიდანში, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, გადასახლება რამდენიმე ეთნოგრაფიული კუთხიდან მოხდა. ამ პროცესების თვალის გადავლება დღეს, რასაკვირველია, ჭირს, მაგრამ გარკვეული შიდა-დიალექტური დიფერენციაცია ფერეიდნის სოფლებს შორის შემჩნეულია და ქვემოთ ამაზე უფრო დავწვრილებით იქნება საუბარი. დღეს შეიძლება ითქვას, რომ ჟირმუნსკისეული წესი „პირველადი“ თავისებურებების ნიველირებისა და „მეორადი“, უმნიშვნელო თავისებურებების მკვიდრად დაცვის შესახებ შიდადიალექტური „გაწონასწორების“ დროს წარმოდგენილია ფერეიდნულში და დღევანდელი დიალექტი წარმოადგენს სწორედ იმ ზედიადექტურ „კონინეს“, რომელიც ასეთი გაწონასწორების შედეგად მიიღება ხოლმე. ეს არის საფეხური დიალექტის ისტორიაში, როცა შემადგენელი დიალექტების საზღვრები მოშლილია, მაგრამ გარკვეული „ნიშნულები“ ენობრივი თვითიდენტიფიკაციისათვის შენარჩუნებულია.

ფერეიდნული შეიძლება ის უიშვიათესი გამონაკლისია ენობრივ კუნძულებს შორის, რომელმაც შეძლო მიგრაციის მრავალი თაობისთვის გადაეწვდინა ადაპტაციის მეორე საფეხურისთვის დამახასიათებელი ბილინგვური მდგომარეობა ისე, რომ „გაძლიანებოდა“, არ „აჰყოლოდა“ ინტერფერენციის მძლავრ ტალღას და არ გადაქცეულიყო პიჯინად. XX საუკუნის დასასრულს დიალექტი ამ მდგომარეობით შეხვდა. თუ სხვა უფრო „ახალგაზრდა“ კუნძულებს შეეადარებთ, მათ შორის პენსილვანიურ გერმანულს (სადაც 300 წლის შემდეგ უკვე წარმოთქმა და გრამატიკა იყო გერმანული, ლექსიკა კი მთლიანად ინგლისური), ფერეიდნულის მდგომარეობა შეიძლება ლინგვისტური „გმირობის“ ნიმუშად განვიხილოთ.

პენსილვანიური გერმანულის შენარჩუნების ფაქტორად რელიგიური და კულტურული ტრადიციების სიმტკიცეს ასახელებენ.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს დოკუმენტური ცნობები ფერეიდნელთა სულიერი და კულტურული ცხოვრების ისტორიის აღსადგენად, თუმცა, ბუნებრივია, რომ მიგრანტებს შორის იქნებოდნენ სასულიერო პირები და, შესაბამისად, უნდა ჰქონოდათ სასულიერო ლიტერატურაც. „დროების“ 1877 წლის 187-ე ნომერში დაიბეჭდა სომხურ გაზეთ „არარატიდან“ თარგმნილი სტატია, რომლის ავტორსაც ფერეიდანში შეხვდნენ იქაური ქართველები და ქართულად გამოელაპარაკნენ, მათგან გაიგო, რომ ფერეიდნის სომხურ ეკლესიაში დაცული იყო ძველი სახარება, რომელზეც ისინი ლოცულობდნენ:

„მითხრეს, რომ ჩვენც ქართველები ვართო და აქეთ ერთს სომხის სოფელში მივდივართო, სადაც ერთი ძველი ხელთნაწერი სახარება ძვესო ერთ ეკლესიაში და იქა ვლოცულობთო.

აღრე თათრებიც დადიოდნენ სალოცავათ იმ სახარებასთანო და ეხლა კი აღარ დადიანო და ჩვენ კი მუდამ დავიარებითო [დროება 1877-2].

როგორც ჩანს, მართლაც შემოინახა სომხურმა ეკლესიამ სპარსეთში წადებული ძველი ქართული სასულიერო ხელნაწერები. ვანქის მუზეუმის (ნორ-ჯოლფა-ისპა-

პანი) სომხური ხელნაწერების კოლექციებში აღმოჩნდა ქართულ ხელნაწერთა ჩანართი ფურცლები. ისინი ფერეიდნელი ქართველების ხელნაწერთა რელიკვიები [უტიე 2011: 243].

თავად ფერეიდნელ ქართველებშიც იყო შემორჩენილი ინფორმაცია ქართველი სასულიერო პირების შესახებ. ხუციშვილებმა იციან, რომ მათი წინაპარი იყო მღვდელი და აქედან წარმოდგა მათი გვარი. მღვდლის სახელი „მათია“ – მათე, საფუძვლად დასდებია მათიანთ (მათიაშვილის) გვარს. სოფელ შაიურდის მახლობლად არის ერთი ადგილი, რომელსაც ყარაქეშიშს (შავ მღვდელს) ეძახიან, ის სამშობლოში გამოქცევას ლამობდა, მაგრამ შაიურდის მახლობლად შეიპყრეს და ამიტომ დაერქვა ამ ადგილს ყარაქეშიში [შარაშენიძე 1979: 60]. საფიქრებელია, რომ გარკვეულ ხანს გადასახლებულებში შენარჩუნებული იყო სასულიერო მსახურების ელემენტები, რაც დიდ როლს ასრულებდა ენობრივი ტრადიციის შენარჩუნებაში.

დღეს ფერეიდანში ძველი სასულიერო რიტუალების კვალი მთლიანად დაკარგულია. ფერეიდნელებს ახსოვთ, რომ ქრისტიანები იყვნენ მათი წინაპრები, თუმცა სახარებისა თუ სხვა სასულიერო წიგნების შესახებ აღარაფერი იციან.

შეიძლება ითქვას, რომ ფერეიდნელთა კულტურული ყოფა მთლიანად ადაპტირებულია გარემომცველ უცხოენოვან გარემოსთან და ქართული ელემენტი მათ კულტურაში მხოლოდ მცირე ფრაგმენტების სახით შეიძლება გამოვლინდეს.

თუკი სხვა ენობრივ კუნძულებს და მათი ენობრივი ადაპტაციის კლასიკურ სურათს შევადარებთ, შეიძლება ითქვას, რომ ფერეიდნელმა „ყველა რეკორდი მოხსნა“ და მხოლოდ მეთორმეტე თაობას დაუდგა ის კრიტიკული ეტაპი, როცა მოსალოდნელია „მიმღები“ ენის ძლიერი გავლენის შედეგად ქართული ენის პოზიციების შერყევა. ეს ეტაპი ქართული მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას და სხვა თანამდევ სოციალურ მომენტებს უკავშირდება. ჩვენი მივლინებების დროს ვნახეთ არაერთი ოჯახი, რომლებშიც თაობებს შორის ენობრივი კავშირის გაწყვეტის რეალური საფრთხე არსებობს. ამას მწვავედ განიცდიან თვით ფერეიდნელები, თუმცა ენობრივი კომპეტენციის კლების უკუპროპორციულად იზრდება ფერეიდნელთა „ეთნიკური მობილიზაციის“ ნიშნული.

ეთნიკური მობილიზაცია თანამედროვე მრავალეროვანი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი და რთული მოვლენაა და დღეს მას ათასწლეულების გასაყარის განუყრელ ნიშნად მიიჩნევენ. ეთნიკურ მობილიზაციას აღორძინების ანუ რენესანსის ბადალ ტერმინად მიიჩნევენ და განმარტავენ მას, როგორც ყველა ძალის მობილიზებას თვითმყოფადი და სიცოცხლისუნარიანი კულტურის განვითარებისათვის. ეთნიკური მობილიზაცია მაღალ ნაციონალურ მუსტზე გაწონასწორებული მოვლენაა და არაკეთილმოსურნე ქვეყნები მას ხშირად პოლიტიკური მანიპულირების საშუალებად იყენებენ. ეთნიკურ მობილიზაციას სჭირდება ე.წ. „ლოკომოტივები“, რომელსაც ასევე ხშირად ხელოვნურად ქმნიან ხოლმე.

ფერეიდნის ისტორიის ბოლო რამდენიმე ათწლეული, რომელზე თვალის გადავხედვებაც ჩვენ შეგვიძლია, ეთნიკური მობილიზაციის ბუნებრივ, ჯგუფის შიგნით დაბადებულ და განვითარებულ მოვლენად შეიძლება განვიხილოთ. ის ადამიანები კი,

რომლებიც სტიქიურად, ყოველგვარი შიდა და გარე კოორდინაციის გარეშე ტვირთულობენ კულტურული თვითმყოფადობის აღდგენისა და დედაკულტურასთან რეინტეგრაციის მისიას, არიან სწორედ ეთნიკური მობილიზაციისთვის ესოდენ საჭირო ლოკომოტივები.

ფერეიდნული კუნძულის უნიკალურობა ის არის, რომ ის, არაერთხელ დაშლისა და სრული ასიმილაციის საფრთხის წინაშე მდგარი, პოულობდა ან ააქტიურებდა ეთნიკური მობილიზაციის რესურსს და ახალი საციცოხლო ენერგიით აგრძელებდა ცხოვრებას.

ის ისტორიული ფაქტები, რომლებიც ჩვენ აღვწვსებით და წარმოვადგინეთ წიგნის წინა ნაწილში, სწორედ ამ მუდმივადგანახლებადი სიცოცხლის ლაიტმოტივად შეიძლება ჩაითვალოს. ყოველი ეს ეპიზოდი, მიუხედავად იმისა, როგორი იყო მისი რეალური მიზანი, საბოლოო ჯამში წარმოქმნიდა ეთნიკური მობილიზაციის ახალ ტალღას და კუნძულელთა კიდევ ერთ თაობას აძლევდა საშუალებას შეენარჩუნებინა და მომავლისთვის გადაეხარებინა თავისი იდენტობა.

თავი VI

ფერეიდნელთა ეთნიკური მობილიზაციის მთავარი ნიშნულები

ქართული – დედის ენა

რაკი დედაენა ეთნიკური იდენტობის მთავარი ნიშანსვეტია, მისი ცოდნა-არ-ცოდნა კუნძულურ კოლექტივებში მკაცრი შეფასებითი კრიტერიუმია. გერმანელ კუნძულელებს რუსეთში ხშირად უხდებოდათ შიდაგადასახლებები და ზოგჯერ ერთ დასახლებაში თავს იყრიდა სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციის მოსახლეობა. აღნიშნულია, რომ ენობრივი კომპეტენციის გამო საყვედური ამ კოლექტივებისთვის დამახასიათებელია. ასეთი შეფასებითი დამოკიდებულება თურქეთის ქართველებშიც შეინიშნება. აი, რას ამბობს მუჰაჯირი მესხების შესახებ ინეგოლელი მუქქერემ ჩიბუქი (გოგითიძე): მესხებსა ჩუენა გურჯის ჯინგანი⁷³ იმითეინ დავარქვით, რუმ გურჯიჯა სულ აღარ იციან, გადაჯიშდენ.

დედის ენის ცოდნა ასეთივე მნიშვნელოვანი ღირებულებაა ფერეიდნელ კუნძულელთა შორის. ისინი მგრძნობიარედ ეკიდებიან მშობლიური დიალექტის – „დედას ენის“ თანდათანობითი დავიწყების პროცესს. ეს დამოკიდებულება ფერეიდნული „ხალხური რიტორიკის“ ამ შესანიშნავი ნიმუშიდანაც ჩანს, რომლის ავტორია ფერეიდუნშაჰრელი, ამჟამად თეირანში მცხოვრები ჰეიდარ დარჩიშვილი. ავტორი მიმართავს სოფელ აფუსის (რუისპირის) მცხოვრებთ, რომლებმაც დაივიწყეს ქართული და დაახლოებით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მათ სოფელში ქართული სიტყვა აღარ ისმის.

ეს მიმართვა საყვედურიანი თანაგრძნობითა და „დედას ენის“ წიაღში დაბრუნების მოწოდების პათოსით არის განმსჭვალული:

*აფუსელნო, დედის ენის უარმყოფელნო!
თქვენმა ცხვრებმა არ დაივიწყეს ბლავილი;
თქვენმა თხებმა – კიკინი;
თქვენმა ძროხებმა – ბლავილი;
თქვენმა მამლებმა – ყივილი;
თქვენმა ქათმებმა კრასკრასი;*

73. ჯინგანი – ბოშა, მოხეტიალე, მაწანწალა.

*თქვენმა ჩიტებმა – ჭიკჭიკი;
თქვენმა ბულბულებმა გალობა არ დაივიწყეს!
დედებო, სახლის ბოძებო!
აფუსელნო, დედას ენას უარმყოფელნო!
მე ხომ ვიცი, დედის ენაზე
საუბარს ნატრობთ.
იმიტომ, რომ ქართული
ღმერთის მოცემული ენაა.
რაც რომ ღმერთის მოცემული იყოს,
არ დაიკარგების!“*

ამგვარი სახალხო „დიდაქტიკის“ პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია ფერეიდნულ კუნძულში.

ფერეიდანში „დედას ენის“ შენარჩუნების მცდელობა ისტორიულ სამშობლოსთან კულტურული რეინტეგრაციის სურვილის გამოვლინებაა. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, რომელსაც ბუნებრივი პირობები ამისთვის არ აღმოაჩნდა, ცდილობს ყველა საშუალება მონახოს ქართულის შესასწავლად, ის, ვინც ამას ვერ ახერხებს, გულდაწყვეტას არ მალავს და გამოხატავს წუხილს ქართული ენის არასახარბიელო მდგომარეობის გამო.

გარდა ქართული ენის იმ მოქმედი სასწავლო კურსებისა, რომლებზეც უკვე გვქონდა საუბარი, ახალგაზრდები უკვე თვითგანათლებასაც მიმართავენ. სოფელ ჯაყჯაყში, რომელშიც ქართული მოსახლეობის გვერდით ქურთებიც ცხოვრობენ, ვნახეთ ახალგაზრდები, რომლებიც კარგად ლაპარაკობდნენ ქართულად და ინტონაციაც კი გამართული ჰქონდათ. ჩვენდა გასაკვირად, ისინი საქართველოში არასოდეს ყოფილან. აღმოჩნდა, რომ ქართულს სწავლობდნენ ინტერნეტის საშუალებით და ხშირად უსმენდნენ ქართულ სატელევიზიო არხებს. განსაკუთრებით, თანამედროვე სიმღერებს. ამავე სოფლის ახალგაზრდების თქმით, აქ ქურთებმაც იცოდნენ მეტ-ნაკლებად ქართული, რადგან მათთან ქართველები მხოლოდ ქართულად ურთიერთობდნენ.

საერთოდ, ჯაყჯაყის მეტყველება ყველაზე მეტად არის შერყეული სხვა სოფლებთან შედარებით და წინა ექსპედიციების დროს არაერთხელ მოგვისმენია იმის შესახებ ჩივილი, რომ ჯაყჯაყელები ნახევრად ქურთულს ურევენ საუბარში და ნელ-ნელა კარგავენ ენას. ჩვენც ადგილზე დავრწმუნდით, რომ სოფელში ქურთული ერთენოვნების დამკვიდრებისკენ კი არ მიდიოდა პროცესი, არამედ იქმნებოდა „პიჯინი“ ენა ორივე ენის შერევის საფუძველზე.

ბოლო სტუმრობის დროს კი გამოჩნდა ძალიან საინტერესო ტენდენცია, რომელიც მიმართულია ქართული ენის პრესტიჟის ამაღლებისა და ქართულ ენობრივ სივრცესთან დაახლოებისკენ. უჩვეულო ის არის, რომ მისი წარმმართველი ძალა ახალგაზრდა თაობაა. აქ უკვე ენის თაობათა შორის გადაცემის ტრადიციული სქემა კი არა გვაქვს, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ენათა კონტაქტების ტიპურ შემთხვევებში: მოხუცისგან – ახალგაზრდისკენ, არამედ ახალი თაობის გაცნობიერებული სწრაფვაა ქართულენოვანი სივრცის შექმნისკენ.

სხვა ქართულ სოფლებშიც გამოკვეთილია ეს ტენდენცია – რაც შეიძლება კარგად იცოდეს ქართული ენა ახალგაზრდა თაობამ. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მართალია, ირანში ქართული ენა შევიწროებულია სოციალინგვისტური თვალსაზრისით (დამცრობილია მისი სოციალური სტატუსი და სიტუაციური რეპერტუარი), მაგრამ, როგორც კულტურული ღირებულება და ისტორიულ სამშობლოსთან იდენტიფიკაციის საშუალება, ის უფრო და უფრო პრესტიჟული და სასურველი ხდება. ფაქტობრივად უგამონაკლისოდ, ყველა გამოკითხული მიიჩნევს, რომ სურს იცოდეს (უკეთ იცოდეს) ქართული და უნდა რომ მისმა შვილებმაც იცოდნენ.

ენობრივი რეინტეგრაცია ბირთვულ ენობრივ და, შესაბამისად, კულტურულ არეალთან დაახლოების გზაა. ენობრივი რეინტეგრაცია გააზრებული პროცესია და ის აუცილებლად ითხოვს პრიმიტიულ ენობრივ ანალიზს. დიალექტოლოგიური ექსპედიციები ამ პროცესის ერთგვარ ბიძგად იქცევა ხოლმე, თუმცა იმპულსი ასეთი ენობრივი ანალიზისთვის შესაძლოა ნებისმიერი ქართულენოვანი კონტაქტი გახდეს.

პირველადი „ენობრივი ანალიზი“ ასეთი კონტაქტების დროს ბიძგს აძლევს ერთგვარი „ენობრივი ამნეზიის“ ფაქტების გამოვლინებას. ფერეიდნულში გვაქვს ასეთი „ამნეზიის“ დაძლევის ძალიან საინტერესო შემთხვევები, როცა იქაურებმა „გაიხსენეს“ მნიშვნელობა სიტყვებისა: მარგალიტი, კარგი, შავი მიწა და ა. შ.

მარგალიტი:

სოფელ ახნაში გვიამბო ერთ-ერთმა რესპონდენტმა:

მე ერთხელ მაგონდების, არ ვიცი, რას ვაკეთებდი, ვწერევი, მე ჩემ დედამ მითხრა ქე, რა ეგრე ჩაფრეტო ემასო, აგონენ, მარგალიტს აცომო?... ვთქი: მარგალი რა არი, დედა? თქო, არ ვიცი და მე ავდექი ემ მოიტანე, წიგნი მოიტანე, ვნახე, ვნახე მარგალიტი და ეწერა: მორგარიდ... ემასაც გეევო, ემასაც თაის წინანდელეფსაყენ გეევო... მარგალიტი რა არი? თქო: არ ვიციო, ძივივო. თქო: ძივივო. თქო: ძივიო [ქღკ, ქერიმ ალა დარვიში].

როგორც ჩანს, სიტყვა მარგალიტი კარგა ხნის დავიწყებულია. ის მხოლოდ ფრაზეოლოგიზმს შემორჩა და როცა რაღაც საქმეს ნელა აკეთებენ, ჩასცქერიან (ჩაფრეტენ), მაშინ ეუბნებიან საყვედურით: მარგალიტებს ხომ არ აცვამო. ასეთი დაკარგული სიტყვების „აღმოჩენას“ დიდი სიხარული ახლავს. ის საყოველთაო გაზიარებისთვის განკუთვნილ სიუჟეტად იქცევა ხოლმე და ოჯახური თუ სხვა შეკრებების დროს მოსაყოლ ამბავთა რეპერტუარში ხვდება.

კარგი:

ფერეიდნულში ზედსართავ „კარგის“ მნიშვნელობით გვხვდება სიტყვა „ნამა“. მართალია, დღეს „კარგი“ ფერეიდნულში დამკვიდრდა რეინტეგრაციის შედეგად ზოგიერთი ფერეიდნელი ქართველის ლექსიკაში, მაგრამ მისი ამ მნიშვნელობით გამოყენება დიალექტისთვის მაინც უცხოა, თუმცა სიტყვა „კარგი“ მთლად არ გამ-

ქრალა ფერეიდნულიდან და შემორჩენილია გამოთქმაში: **კარგი იყო, ყოფილიყავ!** ამ სიტყვებით მიმართავენ სტუმარს გაცილებისას. მიმართვა არის თავაზიანობის გამომხატველი საკმაოდ ვრცელი, რიტუალური დამშვიდობების ნაწილი და „კარგი“ სიტყვის მნიშვნელობა მასში სრულიად გაუაზრებელი იყო ბოლო დრომდე.

მხოლოდ მშობლიურ ენობრივ სივრცესთან დაახლოების შემდეგ „გაისხენეს“ ფერეიდნელებმა ამ გამოთქმაში „გადანახული“ სიტყვის მნიშვნელობა.

შავი მიწა დაგაყარე – წყევლა:

შავი მიწა – ქართული წყევლაა: შავ მიწაში წადი, შავი მიწა დაგაყარე... ერთმა ფერეიდნელმა, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა და აქაური მიწა ნახა თქვა: როცა დედა დამწყევლიდა ხოლმე, სულ მიკვირდა, რატომ შავი მიწა? მიწა ხომ წითელია. ახლა მივხვდი, რომ მიწა შავი ყოფილა და ჩემმა წინაპარმა აქედან წაიღო ეს წყევლაცო.

ამის პარალელურად სიტყვები კუნძულებითა თვალწინ ქრებიან. ჩვენ ვნახეთ ფერეიდნელი ქართველი, რომელმაც გვითხრა, იცნობდა ადამიანს, ვინც საუბრისას იყენებდა სიტყვას **მღერა**. **დღეს რეინტეგრაციის პროცესების კვლადაკვალ ეს სიტყვა ისევ იმკვიდრებს ადგილს და ქართულ დიალექტურ კორპუსში დასტურდება როგორც ინოვაცია.**

იმავე რესპონდენტმა, რომელმაც მარგალიტის შესახებ გვიამბო, გვითხრა, ერთი კაცი იყო ჩვენს სოფელში, სიტყვა „თურემ“ მის მეტივსგან არავისგან გამიგიაო.

სხვებიც იხსენებენ ხოლმე ბავშვობაში გაგონილ და შემდეგ გამქრალ სიტყვებს ან ასახელებენ იმ პიროვნებებს, რომელთაგანაც გაუგონიათ უკვე ხმარებიდან გასული ფორმა:

*მოხუცი ქალმა ქართული წერა და კითხვა ხო არ იცის და ნახამ ავაბენ. ამბობდა **ზაფხულსა და ზამთრისა**. აი მე მივხდი ადრე ცოდნიაყე ზაფხული რა დრო იყო და მე მკონიან, ცოტა ცოტად აღარ იყენებენ მეტობა ხალხი [აბოლყასემ აჰმადი]⁷⁴.*

დღეს ფერეიდნელ ქართველთა ახალმა თაობამ აღარ იცის ბევრი სიტყვის მნიშვნელობა, რაც მათი მშობლებისა და უფრო ბებია-ბაბუისთვის ბუნებრივი იყო. მათ შორისაა **ხარმულობა**: 6-7 კაცი, ძროხის პატრონი, შეამხანაგდებოდა და რძეს ჯერით აგროვებდა. სოფელ ჩუღურეთში, თავსახლებში, კედლებზე გვაჩვენეს ხარმულობის ნიშნები დასმული, რის მიხედვითაც იგებდნენ, რამდენი დღე იყო გასული, რომ ჯერი არ გამორჩენოდათ. ეს ტრადიცია გავრცელებული იყო საქართველოში: სამცხე-ჯავახეთში, შიდა და ქვემო ქართლსა და გარე კახეთში ხანულობის სახელით. ფერეიდანშიც არსებობს გამოთქმა: ფური მოკდაო და გადააწყდა ხარმულობაო.

74. ეს მაგალითი აბოლყასემ აჰმადისთან მიმოწერიდანაა ამოღებული. ის ხშირად გვიზიარებს „აღმოჩენილ“ სიტყვებს ან მათ უკვე გამქრალ მნიშვნელობებს სოციალურ ქსელში.

მართლაც, გაქრა ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრებაში ხარმულობა და ახალგაზრდების დიდი ნაწილისთვის ეს სიტყვაც დაიკარგა.

ასეთივე ბედი ეწია სიტყვას „თეთრეული“, რომელიც რძის პროლექტს აღნიშნავდა [ცაგარეიშვილი 1979].

კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა მასალის ჩაწერის დროს, ისინი, ვის მეტყველებაშიც ძლიერად იყო სპარსული ლექსიკა შეჭრილი, საუბრის დროს ჩერდებოდნენ შემოწმების მიზნით, ჩაგვეკითხებოდნენ ხოლმე, გვესმოდა თუ არა რას ამბობდა, ვიცოდით თუ არა ესა თუ ის სიტყვა. მაგალითად, სოფელ დაშქესანაში ფერეიდნელი ქალბატონი გვიყვებოდა ამბებს სასულიერო წიგნებიდან, მისი საუბარი ჩვენთვის ძნელად გასაგები იყო, ისიც გრძნობდა, როგორც ჩანს, წყვეტდა საუბარს და ჩაგვეკითხებოდა: „სიზმარი იცი რა არის? პური იცი რა არის...?“ ის, ფაქტობრივად გამოყოფდა იმ ქართულ ლექსიკას, რომელიც უცხო იქნებოდა სპარსულენოვანი მსმენელისთვის.

ასეთი „კომპეტენციათა შეჯვება“ და „ლინგვისტური“ კომენტარი დამახასიათებელია ფერეიდნელთა საუბრისთვის: *საძულველი ხომ იცით რა არის? – საყორველის პირად არის საძულველი.*

„პრიმიტიულ ლინგვისტურ ანალიზზე“ დაკვირვების არაჩვეულებრივი შემთხვევა მოგვეცა ფერეიდნეში – ერთ-ერთმა ჩვენმა რესპონდენტმა მუხტარ დარჩიაშვილმა ჩვენი სტუმრობის შემდეგ დაიწყო ფერეიდნელის თავისი მეთოდით ლოკუმენტირება. მან შექმნა სქელტანიანი წიგნაკი, რომელშიც სხვადასხვა ტიპის ენობრივი მასალა შეიტანა. აქ არის ონომასტიკა (ადგილის სახელები, მეტსახელები, გვარები...), ლექსიკა – მეტწილად თემატურად დალაგებული და ერთგვარი პრინციპით წარმოდგენილი: მაგ., ახლა ცხორს რა აქ – და ჩამოთვლილია ცხვრის სხეულის ნაწილების დასახელებანი... ახლა ადამიანს რა აქ... და ა. შ.

კუნძულის წარმომადგენლისთვის ბირთვულ ენობრივ სისტემასთან დამოკიდებულება, როგორც ვთქვით, შეფასებითია. „ნაივური ლინგვისტიკა“ რამდენიმე მიმართულებით ვითარდება. საინტერესოა სინონიმური პარალელიზმები. „ჩვენ – თქვენ“ პოლარიზაცია ხშირად წარმოგვიდგება, როგორც ამ ენობრივი „დაკვირვებების“ შედეგი: ჩვენ კოჭობ ვიტყვით, თქვენ – ქოთანს (ფერეიდნელი)... ასეთი მაგალითები უამრავია და ისინი უდებენ საფუძველს ასეთი ენობრივი კოლექტივისთვის დამახასიათებელ სინონიმურ პარალელიზმს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ჩვენ“ – „თქვენ“ პოლარიზაციის დაძლევის გზაზე კუნძულელები ფრთხილად მოსინჯავენ თანამოსაუბრის ენობრივ კომპეტენციას – მათ უნდა შეამოწმონ, მათი ლექსიკური მარაგიდან რა არის ჩვენთვის გასაგები და რა – არა. ასე ყალიბდება ერთგვარი „პედაგოგიური სისტემა“, რომელიც მათ ბირთვული არეალის ენობრივ სისტემასთან ადაპტაციაშიც ეხმარება და ერთგვარ სასწავლო მეთოდადაც იქცევა ბავშვებისთვის ქართული ენის სასწავლებლად.

იმის გამო, რომ არ არსებობს ლედაენის ბუნებრივი მიმოქცევის და, შესაბამისად, შესწავლის ბუნებრივი გარემო, ამოქმედებულია სხვადასხვა პედაგოგიური ხერხი ბავშვებისთვის ქართული ლექსიკისა და რეალიების დასასწავლად.

ჩვენ გაგვაოცა რვა წლის ბიჭის ზუსტმა და ნათელმა განმარტებებმა ჩვენს შემთხვევით კითხვებზე: *ბარტყი იცი რა არის? – ჭუჭყულას ბაიტა! – სტუმარი? – ჩვენსა რო მოა! – მზე? – მალლა როა და ანათებს! – სიზმარი? – ძილჩი რო მოა! და ა. შ.*

მოგვიანებით მივხვდით, რომ მას სათანადო წვრთნა ჰქონდა მიღებული. ბოინში ვნახეთ ბებია, რომელიც კალთაში ჩასმულ შვილიშვილს ასწავლიდა და ცალ-ცალკე ასახელებინებდა გარემომცველი საგნების სახელებს:

- *კიცი რა არი? – ბაჩვი ასბ.*
- *წუწუნა რა არი? – ბაჩვი მუშ.*
- *მუტრუკი რა არი? – მუტრუკი, ბაჩვი გორახან.*
- *ბარტყი რა არი? – ბაჩვი მოაფ.*
- *ციცის კორტი რა არი? – ბაჩვი გორბე.*
- *ვაშლი რა არი? – სიბ.*
- *ზამთრული რა არი? – ჰანდული.*
- *ბერწეული რა არი? – ანურ.*
- *კაკალი რა არი? – გედრღუ [ბათუად მორთეზაი და ზოპრა მორთეზაი (ბოინი)]*

საინტერესოა ასევე ენობრივი ძიებანი – ლექსიკური კომპეტენციის შეფასების შემთხვევები ფერეიდნულში:

გულზე ეცხობის ხო იცი რა არის? *გულზე ეცხობის: ქენ ექა სხედხართ ჩონ საჯლჩინა და ეს ჩონ დაჯღღომა გულზე გეცხობისყე, გულს გიყუარსყე [ქლკ, მოჯთაბა სუციშვილი].*

თხეილი – თავის პირად სქეილი [აბოლყოსემ აჰმადი, თორელი].

ეს პროცესი დღემდე გრძელდება და ჩვენი ფერეიდნელი ნაცნობები სოციალური ქსელის საშუალებით აკეთებენ ამას: განცხვავება რა აქ სალესავს და სალასველს? [ომიდ გოგონანი, მარტყოფი].

ფაქტია, რომ ენობრივი რეინტეგრაცია ქართულ დიალექტურ დიასპორებში და განსაკუთრებით, ფერეიდანში, საკმაოდ აქტიური და მრავალმხრივი პროცესია. ქართული დიალექტური კორპუსის ტექსტურ და ლექსიკოგრაფიულ ბაზაში შევეცადეთ მაქსიმალურად დეტალურად აგვესახა ეს პროცესი და შეგვექმნა საყრდენი ინსტრუმენტი ამ საკითხის დეტალური შესწავლისათვის.

ენობრივი რეინტეგრაცია კულტურული რეინტეგრაციის პროცესის კვალდაკვალ ისახება. მასზე პირდაპირ მოქმედებს საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა, ქვეყანათა შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა, პოლიტიკური აკრძალვების ხარისხი და ა. შ.

სამეცნიერო-შემკრებლობითი ხასიათის სამუშაო განსაკუთრებულ როლს ასრულებს ასეთ კოლექტივში. ის მეთოდოლოგია, რომელსაც მკვლევარი იყენებს მასალის შესაკრებად – გაბმული ტექსტის მისაღებად ჩატარებული მოსამზადებელი საუბრები, სხვადასხვა ტიპის კითხვარები, სიტუაციური ამოცანები და ტესტები ერთგვარი

ბიძგი ხდება ენობრივი „ამნეზიის“ მდგომარეობაში მყოფი კოლექტივისთვის, მისი ცალკეული წევრებისთვის.

ფერეიდანში ჩასულმა ლალო აღნიაშვილმა ამის შესახებ დანაებით აღნიშნა, რომ რომ მისი მიზანი, რაც შეიძლება მეტი მასალა მოეპოვებინა ფერეიდნელთა შესახებ, ვერ განხორციელდა, რადგან დაინახა, რომ მისგან ელოდნენ სულ სხვა რამეს – სამშობლოს შესახებ რაც შეიძლება მეტის გაგებას. მათი კითხვები იყო:

- „იქაც“ მოდის ტყემალი?
- რა გქვია?
- გაქვთ „იქაც“ ჩვენისთანა წყლები?
- რა ჰქვიათ „იქ“ სახელად თქვენს ქალებს?
- მოგყავთ „იქ“ კაკალი?
- ცივა „იქ“ თუ ცხელა?
- არის თუ არა „იქ“ გვარები?
- გაქვთ თუ არა ურემი?
- თოვლი მოდის „იქ“ თუ არა?
- რუსებზე და სომხებზე ათხოვებთ თუ არა ქალებს?

აღნიაშვილი დანაებით აღნიშნავს: მე მინდოდა გამოძიებოდა მათთვის ბევრი რამ, შემეგროვებინა ყველა ცნობა, რაც მათ წარსულზე შემოუნახავთ, მაგრამ მათთან საუბარმა ხელი ამაღებინა ჩემს განზრახვაზე და ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი მეთქვა მათთვის სამშობლოზე [აღნიაშვილი 1896: 201-202], ისინი კი... „დიდად განილებულ თვალებს ჩემს გარეშემო ატრიალებდნენ და თითქოს გარედან უჩანდათ, როგორ უტოკდათ და უთამაშებდათ გული“ [აღნიაშვილი 1896: 123].

ამგვარი ენობრივი „გამოღვიძების“ ნიმუშია სწორედ მუხტარ დარჩიაშვილის, რეზო დავითაშვილის, აბოლყასემ აჰმადისა და სხვათა შემგროვებლური მცდელობები.

მუხტარ დარჩიაშვილი თან დაგვყვებოდა 2008 წლის მივლინების დროს, ჯერ აკვირდებოდა ჩვენს საქმიანობას, შემდეგ კი თავადაც ჩაერთო სამუშაო პროცესში, გვეხმარებოდა რესპონდენტებთან ურთიერთობის დროს. ჩვენი წამოსვლის შემდეგ თავად დაიწყო მასალის შეგროვება და 2009 წელს დაგვახვედრა დიდი ბლოკნოტი, რომელშიც დიდძალი ლექსიკური მასალა ჰქონდა თავმოყრილი [ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ: მუხტარ დარჩიაშვილი].

2017 წელს სოფელ აფუსს ვეწვიეთ. თეირანის ენისა და ლიტერატურის აკადემიის თანამშრომელიც გვახლდა თან. მეგზურად ტაქსის მძღოლი მოგვამაგრეს. შემოგვატარეს სოფლის არემარე. ტაქსის მძღოლი, რომელმაც ქართული არ იცოდა, თან დაგვყვებოდა და ყურადღებით გვაკვირდებოდა. გარკვეული ხნის შემდეგ მიხვდა, რასაც „ვეძებდით“ და დაიწყო ადგილის სახელების დასახელება. მერე მოწვევითა ბალახი, მოგვითანა: „ზიანა“ (რძიანა) – გვითხრა. ასე დაგვყვებოდა და „იხსენებდა“ ასი წლის წინ მისი სოფლიდან გამქრალი დედაენის ნაკვალევს საკუთარ თავში.

მოგვიახლოვდა ჩვენი თანამგზავრი, ქართული სოფლის, თორელის მკვიდრი, გულანთებული ქართველი, აბოლყასემ აჰმადი და დანაებით ჩაილაპარაკა: დავსილი! (= საბრალო).

– რატომაა დავსილი, აბო?

– მე ხომ ვიცი, ახლა ერთ-ორ თვეს ძილი აღარ ექნება მაგას. ღამე წამოხტება და იტყვის: ესეც ხო უნდა მეთქვა, ესეც ხო დამვარდა (ღამავიწყდა)... მე ხო ვიცი, ეგ რაც არის!

ვფიქრობთ, ამ საკითხს გარდა ემოციურისა, აქვს მეცნიერული მხარე და ენის ლოკუმენტირების სწორად წარმართული სამეცნიერო პროცესი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ ფასდაუდებელი მასალის გამო, რომელიც ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის მეტყველების ლოკუმენტურ სურათს ქმნის, არამედ სწორედ ენობრივი პასუხისმგებლობის, ენობრივი სიამაყის, ენობრივი მენსიერების გამოფხიზლებისა და მოტივირების გამო. ასეთი ტიპის სამუშაო ენობრივი და კულტურული რეინტეგრაციის ერთ-ერთი მძლავრი სტიმულია ქართულ დიალექტურ დიასპორებში.

რეინტეგრაციას ბიძგს ეროვნული სიამაყე და მასზე დაყრდნობილი „ეთნიკური მობილიზაცია“ აძლევს, ხოლო ნიადაგს, როგორც აღვნიშნეთ – პოლიტიკური „ამინდი“ უქმნის. დღეისათვის კულტურული და ენობრივი რეინტეგრაციისაკენ სწრაფვა ფერეიდანში უდავო ფაქტია. 400 წლის შემდეგ ახლა ამისთვის ყველაზე საუკეთესო პირობებია შექმნილი – როგორც ირანისა და საქართველოს ხელისუფლებათა ამ საკითხებისადმი პოლიტიკური დამოკიდებულების, ისე საერთაშორისო პოლიტიკური ორიენტირების გამო. განსაკუთრებულ მდგომარეობას ქმნის ამ პროცესების წარმატებით წარმართვისათვის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც სულ უფრო და უფრო ამცირებენ მანძილსა და დროს და სულ უფრო კონტაქტურს ხდიან მსოფლიოს.

შეიძლება ითქვას, რომ ენობრივი და კულტურული რეინტეგრაციის პროცესი არის ასიმილაციის საპირისპირო პროცესი. ამასთან, ასიმილაცია მასობრივი, ნელი, შეუმჩნეველი და გარდაუვალი პროცესია, თუ მას რამემ ხელი არ შეუშალა, რეინტეგრაცია კი ერთეულთა მისწრაფებაა, გამოიყენოს ბირთვულ-კულტურულ არეალთან ყოველგვარი კავშირი მასთან დასახლოებლად. ეს „ერთეულები“ ეთნიკური მობილიზაციის ე.წ. ლოკომოტივები ხდებიან და რეინტეგრაციის პროცესში სულ უფრო მეტ ადამიანს მიიზიდავენ. ენობრივი რეინტეგრაცია სწრაფი, არამასობრივი, არათანაბარი პროცესია, რომელიც ანელებს და ხელს უშლის ასიმილაციას.

ქართული ანბანი

ფერეიდნელთა გადასახლების შემდეგ მათგან რაიმე წერილობითი ლოკუმენტი არ მოგვეპოვება. მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ფერეიდნელი ქართველების ერთი ნაწილი ცნობდა ქართულ ანბანს და შეეძლო წერა-კითხვა.

მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ფერეიდანს შორის მიმოსვლა გააქტიურდა, იქ ქართული წიგნები და გაზეთებიც ხვდებოდა. ცნობილია, რომ ლადო აღნიაშვილმა ჩაიტანა მათთან წიგნები, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ასევე მოამარაგა ქართული გამოცემებით ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილი, რომელიც, თავის

მხრივ, ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას ფერეიდნელებს. ფერეიდნელმა ქართველებმა ქართულად მოსწერეს წერილები ლუარსაბ ბოცვაძესა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 1908 წელს. ქართული წერა-კითხვა იცოდა სეიფოლა იოსელიანმა და სხვა ქართველებმაც მეოცე საუკუნის ოციან წლებში, ამ დროს ფერეიდნის ქართულ მოსახლეობას წიგნებით ამარაგებდნენ ამბაკო ჭელიძის დახმარებით:

„მან [ყარანგოზი შვილმა] ჩამოიტანა ერთი ყუთი ქართული წიგნები, უმთავრესად სასწავლო სახელმძღვანელოები და ბელეტრისტული ნაწარმოებნი იმ მიზნით, რომ გავკვევრცელებია ფერეიდნელ ქართველებში. განათლების კომისარიატის სახელით, სხვათა შორის, მეც მივიღე ორიოდ წერილი, თუ როგორ უნდა მივდგომოდით ფერეიდნელ ქართველთა საკითხს მათი ცხოვრების აღწერის მხრივ. ნაწილი მიღებულ წიგნების, რომელნიც შესაფერისად მეჩვენა, გავავ ზავნე ფერეიდანში. ნაწილი – დაურიგე თეჰერანში მყოფ ქართველებს“ [ჭელიძე 1935: 23].

წიგნები, სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იგზავნებოდა ფერეიდანში მეოცე საუკუნის ორმოციან და სამოციან წლებშიც.

ფერეიდანში ყოფნის დროს ჩვენ გვქონდა სურვილი მიგვეკვლია თუნდაც ერთი წიგნისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ. თორეულემა აბოლყასემ აჰმადიმ გვაჩვენა ანდაზების წიგნი ამბაკო ჭელიძის დროს გავზავნილი. ასევე გავიგეთ, რომ ზღაპრების წიგნი იყო ერთ ოჯახში შემონახული, თუმცა ძველი და დაფურცლული, მაგრამ არ მოხერხდა მისი ნახვა.

მონარქიის დროს საბჭოთა კავშირიდან ჩატანილი წიგნი ირანში კომუნისტურ პროპაგანდად ითვლებოდა და კანონით ისჯებოდა [კოჭლაშვილი 2005-1: 6]. სამწუხაროდ, როგორც უკვე ითქვა, ბევრი წიგნი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით განადგურდა.

ამ ფონზე გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ფერეიდნელი ქართველების ერთმა ჯგუფმა არათუ არაფერი იცოდა ამ წიგნების შესახებ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ქართული ანბანი არსებობდა:

„ვთქით: რატომ სომხეფსაო ანბანი რატომ უნდა აქონდეთ, ქართველებს რატომ არა აქთ? საქართველო ხო არ ვიცოდით სად არი. რატო ჩონ არა გვაქს ანბანი, სომხეფს აქთ? მაიტათო და ანბანი გავაკეთოთო. ჩემ დას ეთქვა დახატვისთვისა, რო დახატოს, ეგდენი გაიდალა, კოჭლაშვილი ჩამოიდა, თქო: ანბანი საქართველოსი სამყაროჩი თავადიაო. იმდენ გოქო, რადენი რვეულები და ესები ჩამოგ ზავნა, ჩამოგვიტანა, მერე მიველი სკოლაჩი და წაველ კაშხალზედ ვიმუშავე. ერთი ქართველი იყო რუბიტაშვილი, იქიდან გამოსული, გამოპარული იყო როგორც, გამოსული იყო ექა და, ვანო რუბიტაშვილი – კაშხალზედ ფრანგელეფთანა მუშაობდა. იმამ დაბარა, რო: ქართველებო, ჩამოლით ანქ საქმე მოქცეთო, პატ-პატა ჩამოიღეს და საქმე დაიწყეს და მე იმასთან ძან ამხანაგად გავხდი და ვკითხე: საღომოს მოიდე

კარჩიგაო? რო: საქმეს დავაკმარებ და მოვალ სახლჩიგაო. – მიდი და მე ანბანს ვიწერ და გასწავლიო. მიველ იმასთან და ანბანი ვისწავლე. ვისწავლე და მერე წაილე მარტყოფნილა და: სუნ ელა ეგრე ქართულ ანბანია, ეს იცოდეთ, გოქ ქართული, ცოცხალია“ [ქდკ, ალი რეზა (რეზო დავითაშვილი)].

ნოდარ კოჭლაშვილი აღწერს ფერეიდნელებისათვის ქართულის სწავლების ამბავს:

„თეირანში სამუშაოდ ჩამოსულმა ფერეიდნელმა ახალგაზრდებმა, ძმებმა ასლანებმა – მუხთარმა, ჰაიდარმა, მანსურმა, ჰოსეინ ყალანმა, ეზათოლა გოგიჩანმა და სხვებმა გადაწყვიტეს შეექმნათ ქართული ანბანი (ეს მათ მიაძებეს 1965 წელს ირანში ყოფნისას) „სხვასა – ფარსებსა, ფრანგებსა, სომხებსა თავისი წერა აქვთ ყე, ჩონ კი არაო. დიდად უწვალათ ქართული ანბანის შესაქმნელად, მაგრამ „თავი ვერ მოვარგეთ ყეო“ [კოჭლაშვილი 2003 : 5].

„თხუთმეტმა ფერეიდნელმა ახალგაზრდამ, რომელნიც თეირანში სამუშაოდ იყვნენ ჩასული, საიდუმლოდ, არალეგალურად დაიწყეს „ჩონი წერა-კითხვის“ სწავლა იმ პირობით, რომ იქ, „მთაჩი“ თავისებს ასწავლიდნენ.“ ნოდარ კოჭლაშვილმა 1967-1973 წლებში ჩაუტანა მათ ანბანის სასწავლი წიგნები – ღელაენა. ფერეიდანში მცხოვრები ფერეიდნელები ყოველ პარასკევს სხვადასხვა რაიონში, სამ მეჩეთში იკრიბებოდნენ, საუბრობდნენ ღელაენაზე და ერთმანეთს სიახლეებს აცნობდნენ „დიდ გურჯისტანიდან“. ასევე ბანკში ჰქონდათ გახსნილი ანგარიში, რომლითაც ერთმანეთში ეხმარებოდნენ“ [კოჭლაშვილი 2003: 5].

ისპაჰანში მეტალურგიის ქარხანაში ფერეიდნელმა ქართველებმა იქ მომუშავე საქართველოდან ჩასული ქართველები გაიცნეს და დაუახლოვდნენ. ამან უფრო გაზარდა მათი ინტერესი ისტორიული სამშობლოს მიმართ.

ქართული ანბანის შესწავლის შემდეგ სწორედ მათ, ახალგაზრდებმა, აიღეს საკუთარ თავზე ქართველებისთვის ქართული ანბანის სწავლების მისია:

„ხიდები იყო და კუთხეები ძან კარგად ვაკეთებული იყო, კუთხეეფჩი ანბანები დაწერეთ. კარეებზევა, ბოძებზელა, იმაზე ვისწავლეთ, ეხლა ხო ნამა შაქნილა, ყველამ იცის და, კითხულობენ და უყორსყე და“ [ქდკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

ქართული ანბანი ქართული იდენტობის ერთ-ერთი სიმბოლო გახდა:

„მე მაიხე, მე ორმოცი წელი იმისყე წინა ქე დაში ემემა ჰაიდარამამ მე ერთ ლექსიკონი მამცა, მე, მე ორმოზდახუთმეტი წლისა ვარ, ორმოცი წელი იმისყე წინა ერთ ლექსიკონი მამცა, არ მეჯეროდა და ქართველს ასლან ემეა, ანბანია, წერა-კითხვა. მე არ, არ ვიცოდი, მე ეს წიგნი ელა სუ ხან ჯიბეჩი მაქ. მანქანაჩი ჩავ-

ჯექ, ამოიღე, დავწვეყე, ამოიღეყე დაქწვეყე ქე და ძალიანაც მიხაროდა, ძალიან, არ მეჯერებოდა“ [ქლკ, ქერიმ ალა დარვიში].

ქართულ ანბანს ფერეიდნელი ქართველები ერთმანეთის დახმარებით სწავლობდნენ:

პირველი ანბანი – რო ალეძბე იყოს, ფიცარით, რო თახტა იყოს, ველით დავაკეთეთ, მე – მუხტარა, ჰაიდარამ და მანსურ ასლანიმ და ჰოსენე ყალანიმ, რო ჰაიდარანთას არი, და ნაჭერზე ნემსით ამოკემსა სელიყამ, ჩემმა მეუღლემ. იმის უკან ანბანი მეორედ ფიცარზე ამოვჭერით ჩემ ძმა ჰაიდარამ და რეზო დავითაშვილმა და პურის სუფრაზე და მავიდას სუფრაზე ისპანს დააბეჭდინეს, რო ყმაწილებმა ისწავლონ და ეხლა იმ სუფრებს ნამა სყიდობენ“ [ქლკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ქართული წერა-კითხვის სწავლა ფერეიდნელ ახალგაზრდებში სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდა, როგორც იდენტობის ერთ-ერთი ნიშანი.

„ხო ჩონ მამებმა თქიანყე და ჩონ მამებმაცა რადიო იყო, იმაშინ ცოტა იყო, შეიძლება ერთ ხუთი საჯი ერთ რადიო იყოს და ემ აბრუნებდიანყე, რო საქართუელი მონახო, საქართველო დაიჭირიანყე და ქართულ ლაპარაკობდიანყე და ემათ უხაროდაყე – ჩონ მამეფსა და იმაზელა მევეჩვიე და ვაიგელა, რო ჰა ჩონ იქ საქართველოსაყე ვართ ხო ის და იმაშინ შამიყორდა. თექსმეტი წლისა ვიყავლა, რო წერა-კითხვა დაისწავლე, ანბანი დაისწავლე.“

„ემ ჩემ ცოლის მამა ჯარისკაცად იყო იმ დროს. ჩემსავით ახალგაზდა იყო, ჯეელი იყო. წერა-კითხვა იცოდა. ჯარისკაცად რო იყო, იმაშინ ქართულადალა წერილი დადსწერისყე თავის ამხანაგეფთანა, ვავ ზავნიან-ვამოვ ზავნიანყე. იმ დროსა ერთთაყე ოზ თა [...] ოთხმოცი წელის წინ შიდ-რუა-ათი კაცმა თხუთმეტ კაცმა მაღლა წერა-კითხვა არ იცოდიან. იმ ათ-თხუთმეტ კაცმა წერა-კითხვა იცოდიან, ჯარისკაც რო წაიდიანყე, იმათ წერილი ქართულად დოუწერიანყე თავით დედ-მამასა და იმ თავით მეგობარეფსა რო იცოდენ. დედამაც თუ მოსწერა, დედ-მამა აიღის, წაიდის იმ თავის მეგობარმა რო იცოდენ, წაიკითხოს, იმამ წოუკითხისყე. იქით მელა შამიყორდა და დავისწავლე“ [ალი ჰოსენი რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)].

იოსებ ხუციშვილიც ასევე ასახელებს ქართული წერა-კითხვის მცოდნე 10 კაცს:

„წერა-კითხვა ქართული ათი კაცმა მეტად არ იცოდა... ჩემთინა. მე ანბანი მაჩუქა ერთი წიგნი ანბანი ეწერა ქართულ-პარსული. დადსწავლე ანბანი და ანბანი რო დაისწავლე, წიგნებილა ვოქონდალა და რო მოენახელა და ხო წამოსლაც ადვილად შაიქნა.“

საინტერესო მოგონება აქვს ქერიმ ალა დარვიშს იმის შესახებ, როგორ მიხვდა მისთვის უცნობი ადამიანი, რომ ქართველი იყო:

„ანბანი ეწერა, ქართველ ანბანი ეწერა მიველ და უჭრიტე, ამაშინ, რო მე უჭრიტე, ყალბანიმ ამაზე გაიგო, რო მე ემე ვარ, ქართველი ვარ და სპარსული არა ვარ. ამაზე მითხრა ქე ემემ, დაფაზე აი ჩემ ემეფრიგა ვამბობდი ამ ანბანეფსა, ჰა, ამან მიხედა თქო: ქი არა, შენ ქართუელი ხარო. აი ელან მაშინ რო დაფას უჭრეტლიო“ [ქლკ, ქერიმ ალა დარვიში].

ძალიან საინტერესოა ჰოსეინ (სოსო) მიქელანის მოგონება სკოლაში სწავლის პერიოდის შესახებ:

„მაშინ სულ მეგონა, რომ სკოლაში ჩონებურად ვისწავლიდით და ვერ წარმოვიდგენდი, რომ სკოლაში სხვა ენაზე ვისწავლიდი. პირველ-ორ წელს ძალიან გამიჭირდა სწავლა სპარსულ ენაზე, მაგრამ ნელ-ნელა მივეჩვიე. მეოთხეკლასელი ვიყავი, როცა შემთხვევით მიხვდი, რომ ჩვენს ენას თავისი დამწერლობა გააჩნია. სკოლაში თანაკლასელები ერთმანეთს წერილს ქართულად, ოღონდ სპარსული ასოებით ვუწერდით. ერთხელ მასწავლებელმა, რომელიც ქართველი იყო, ჩემს ხელში შეამჩნია წერილი და წაიკითხა. შემდეგ ცალკე გამიყვანა და მითხრა, რომ ქართულ ენას, ან იგივე ჩონებურ ენას აქვს თავისი დამწერლობა. როცა გაიგო, რომ ძალიან დაინტერესებული ვიყავი ქართული ენით, მეორე დღეს ჯერ „დედა ენა“ და შემდეგ კი ჯემშიდ გიუნაშვილის ლექსიკონი მაჩუქა იმ პირობით, რომ არავისთვის გამემხილა, საიდან მქონდა წიგნები და მესწავლებინა სხვებისთვის. მას შემდეგ ჩემი ინტერესი ძალიან გაიზარდა. ახლა, დაახლოებით ნახევარი საუკუნეა, რაც ამ უნიკალურ დამწერლობას ვხმარობ“ [შაიშმელაშვილი 2019].

ქართული ანბანი დღეს ფერეიდნელი ქართველების სახლების, მანქანების, სამუშაო სივრცეების სამშენისია.

აფორიზმების, ცნობილ ავტორთა ნაწარმოებებიდან და რელიგიური ტექსტებიდან ციტატების ან სხვადასხვა მიძღვნილი ხასიათის წარწერები აბრებზე, კედლებზე, სახლის ავეჯზე, ხალიჩებზე და სხვ. ირანული კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხია. ქართულ ეთნიკურ თემში ეს ტრადიცია ფართოდ არის გამოყენებული ქართული ანბანის პოპულარიზაციისათვის.

კერძო მაღაზიებსა და მანქანებზე ქართულ-სპარსულ ან მხოლოდ ქართულ წარწერებს ვხვდებით: „მიყვარხარ საქართველო“, „ელა ღმერთი“, „უფალი უკეთესი შემნახველია“ და ა.შ. გვითხრეს, რომ მსგავსი წარწერები თანდათანობით მრავლდება მაზანდარანის ქართულ დასახლებებშიც.

ფერეიდნის, ისპაჰანის, თეირანის უგამონაკლისოდ ყველა ქართულ სახლში არის ქართული წარწერით, ძირითადად კლასიკოსების აფორიზმებით, დამშვენებული ხელით ნაქსოვი ხალიჩა ან ფოტო მაინც. მუხტარ დარჩიმაშვილის სახლში ინახება ნაქარგი პანო – ხე, რომელსაც ფოთლებად ქართული ანბანის ასოები ასხია. როგორც ბატონი მუხტარი ამბობს, მან სიზმარში ნახა ეს ხე, „აყოველუფი“. მეორე დღესვე დახატა და ცოლს ამოაქარვინა.

სპეციალურად პოპულარიზაციის მიზნით ცნობილმა ქართველებმა – რეზო დავითაშვილმა, ალექსანდრე რაჭიმომ (დავითაშვილმა) და ძმებმა ჰეიდარ და მუხტარ ასლანებმა (დარჩიაშვილებმა) წამოიწყეს ტრადიციული სპარსული სუფრების ქართული წარწერებით გაფორმება. ეს სუფრები ბოლო ათეული წლების განმავლობაში გამოდიოდა და მთელ ქართულ თემში ვრცელდებოდა სხვადასხვა წარწერით: ისმინე სწავლის მძებნელო, მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა... პირველ ასეთ სუფრებზე კი პირდაპირ იყო გადატანილი საბჭოთა საქართველოდან გაგზავნილი სასკოლო „დასაჭრელი ანბანი“...

სასაფლაოებზე ქართველთა, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში გარდაცვლილთა საფლავებზე ქართული წარწერებია. გაჩნდა ტენდენცია, რომ როცა ვიღაც გარდაიცვლება, ახლობლები ქართველი ნაცნობებისგან ითხოვენ რაიმე ცნობილ ტექსტს – ლექსს ან გამოთქმას საფლავზე წარსაწერად ან აგზავნიან საკუთარ ტექსტებს და ითხოვენ მათ ქართულად თარგმნას, გასწორებას, გამართვას. ასეთ პროცესში ჩვენც მიგვიღია მონაწილეობა.

ასევე ხშირად ითხოვენ ხოლმე ქართულ ენასთან ან ზოგადად საქართველოსთან დაკავშირებულ მოკლე ტექსტებს ხალიჩებზე ამოსაქარგად.

რასაკვირველია, მათ არ იციან ამ აფორიზმების ფართო კონტექსტი, ავტორი, ნაწარმოები, მათი შექმნის ეპოქა. ეს მოკლე ტექსტები, მათი ცოდნა, ყველა შესაძლებელი გზით აფიშირება და ვიზუალიზაცია კუნძულებებისათვის კოლექტიური მეხსიერების საუკუნოვანი ხარვეზის კომპენსაციაა.

დღეს ფერეიდნელი ქართველები აქტიურობენ სოციალურ ქსელებში – ფეისბუქსა და ტელეგრამში, წერენ ქართულად. ეს მდიდარი მასალა ენის თვალსაზრისით შესასწავლია და მომავალი კვლევების საგანია. განსაკუთრებით საინტერესოდ აისახება ამ მასალაში ფონეტიკური თავისებურებები – სპეციფიკურ ბგერათა ასახვა, ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურების გრაფიკული აღნიშვნა და სხვა.

ქართული ანბანისადმი დამოკიდებულება თითქმის მისტიკურობამდეა მისული.

მაგალითად, ერთი ფერეიდნელი ახალგაზრდა გვიამბობდა: თარჯიმნად ვახლდი ქართველ ბიზნესმენებს, რომლებმაც „ნაბელავი“ დალიეს და ბოთლი გადაადგესო. მე დამენანა ქართული წარწერა ბოთლზე, გადასავდებად ვერ გავიმეტე და სახლში წავიდე. საბოლოოდ ეს ბოთლი წყლის კონტეინერად გამოიყენეს და მაცივარში იღო თვეების განმავლობაში. ჩვენი ახალგაზრდა რესპონდენტის დედა მთელი ამ ხნის განმავლობაში დარწმუნებული იყო და ამტკიცებდა, რომ ქართულწარწერიანი ბოთლიდან დაღუული წყალი მაკურნებელი ძალისა იყო...

შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნეში ფერეიდნელთა ყოველი შემდგომი თაობა ჯიუტად იხსენებდა და ხელახლა სწავლობდა დავიწყებულ ქართულ ანბანს.

21-ე საუკუნეს კი ფერეიდნული კუნძულის თითოეული ოჯახი უკვე ხალიჩებზე ამოქარგული რუსთველისა და გურამიშვილის აფორიზმებით შეხვდა – დღეს ქართული წერა-კითხვა უმეტესობამ იცის და ვინც არ იცის, მონდომებით ცდილობს მის შესწავლას. ყველას აქვს სურვილი, თუნდაც სიმბოლურად – საკუთარი გვარ-სახელის ან რაიმე გამორჩეული ფრაზის დაწერა მაინც შეძლოს.

ქართული ანბანით შესრულებული სხვადასხვა შინაარსის კალიგრაფიული წარწერები, პლაკატები დღესაც საუკეთესო საჩუქარია, რომელსაც ფერეიდნელები ერთმანეთს უმზადებენ.

ასეთი პლაკატების ერთ-ერთი ოსტატი რეზო დავითაშვილია.

ისტორიას შემორჩა „ქართული ენის დღისათვის“ შექმნილი მისი თერთმეტმეტრიანი გრაფიკული – ქართული ანბანი.

ბოლო ხანებში ქართული წარწერები არა მარტო მაღაზიების ფასადებზე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ეტიკეტებზეც გამოჩნდა, რითიც ქართველები ძალიან ამაყობენ.

სოციალური ქსელებში ქართველთა უმეტესობა ქართული შრიფტით წერს. ესეც სამშობლოსთან ერთობის კიდევ ერთი გზაა მათთვის.

ყველაზე დიდი „უფსკრული“, რაც ჩვენ შორის დრომ და მანძილმა გააჩინა, ეს არის კულტურული მეხსიერების გაყოფა – ფერეიდნელ ქართველს აქვს სამშობლოსა და დედას ენის დიდი სიყვარული, მაგრამ არა აქვს კოლექტიურ მეხსიერებაში დავანებული საერთო კულტურული ინვენტარის საკმარისი „მარაგი“. კულტურული მეხსიერება კი ე.წ. „დიდი ტრადიციის“ მთავარი კომპონენტია. ფერეიდნულში კოლექტიური მეხსიერების „გააქტიურება“ და მისი საერთო ქართული კულტურული მეხსიერების კომპონენტად ქცევის დიდი მისწრაფება შეინიშნება. ეს მისწრაფება ქართულ კულტურასთან შეხებისა და გაცნობის კვალდაკვალ ისახება და ძლიერდება. დღეს შეიძლება ითქვას, რომ ფერეიდნელთა კულტურული ინტეგრაციის ერთ მთავარ მამოძრავებელ ფორმას წარმოადგენს მიბაძვა: ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მრავლად დაამკვიდრონ თავიანთ ყოველდღიურ ყოფასა და კულტურაში ქართული ელემენტი: ქართული სამზარეულო, ქართული ორნამენტი, ქართული ცეკვა-სიმღერა, სადღეგრძელო...

ქართული კულტურული სიმბოლიკა

ქართული თემატიკა ხალხურ რეწვაში. ენისა და ანბანის გამოყენებას ხალხურ რეწვაში ზევით უკვე შევეხეთ. ფერეიდანში ვხვდებით ნაქარგობებს ქართველი ისტორიული პირების, მაგალითად, თამარ მეფის, რუსთაველის, პატრიარქ ილია მეორის გამოსახულებით. ერთ-ერთი ფერეიდნელი გულმოდგინედ გვთხოვდა გვეპოვა საბინინის მიერ შესრულებული ხატის „საქართველოს დიდება“ კარგი – მაღალი რეზოლუციის ციფრული ფოტო, რომ მის საფუძველზე ძვირფასი ხალიჩა შეეკვეთა. ერთ-ერთმა ჩვენმა მეგობარმა სპეციალურად ჩავატანინა ქართული ორნამენტების ფოტოები და მეორე ჩასვლისას სიამაყით ავისილმა გვაჩვენა, როგორ ქსოვდა დედამისი ქართულ ორნამენტებიან ხალიჩას. რეინტეგრაციის პროცესი ფრაგმენტულად „აბრუნებს“ ფერეიდანში სხვადასხვა ყოფით დეტალებს: ეროვნული სიმბოლიკის სუვენირებს: ყანწს, ვაზს, ფიალას... ასევე კულინარიულ რეცეპტებს. ყველა ამ დეტალს საკუთარი ქართველობის ხაზგასმის, გახსენების, სხვისთვის შესხენების... ფუნქცია აქვს კუნძულურ თემში.

ოფიციალური ქართული ატრიბუტიკა განსაკუთრებულად პატივდებულია ფერეიდანში. აქაური ბავშვების რეპერტუარის განუყოფელი ნაწილია ქართული ეროვნული ჰიმნი, რომელსაც ისინი ძალიან შთაგონებით, გულზე ხელმძღვანელი ასრულებენ.

ქართული დროშა აქვს ბევრ ქართულ ოჯახს. ერთ ნაცნობ ფერეიდნელს თავის ვილაში საცურაო აუზის ფსკერზე აქვს საქართველოს დროშის უზარმაზარი მოზაიკა.

ქართული სამოსის გამოყენება. ფერეიდანში ქართული სამოსის (კაცებისთვის – ჩონა-ახალუხის, ქალებისათვის – წითელი კაბა და თეთრი თავშალი) გამოყენება ოფიციალურ ღონისძიებებსა და ხალხური ცეკვა-სიმღერის კონცერტებზე ჩვეულ მოვლენად იქცა. ასე შემოსილი დახვდა ფერეიდნელ ახალგაზრდა მომღერალთა გუნდი 2004 წელს ფერეიდანში ჩასულ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

ქართული ეროვნული სამოსის ტარება ახალი ტენდენციაა. 90 წლის წინ ფერეიდანში ამბაკო ჭელიძის ვიზიტისას გადაღებული ფოტოები თვალნათლივ აჩვენებენ, რომ ადგილობრივ მაცხოვრებლებს ჩვეულებრივი ირანული სოფლური ტანისამოსი აცვიათ. ლაღო აღნიაშვილიც, რომელიც 30 წლით ადრე იყო იქ, ზემდინდებით აღწერს ქართველთა სამოსელს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იქ ქართული ელემენტი არ მოიპოვება.

ტანსაცმელში ეროვნული ელემენტების წინ წამოწევა წახალისებულია ირანის ხელისუფლებისგანაც, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს ირანის კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენას.

ქართული მუსიკალური კულტურის როლის გაზრდა

ქართული სიმღერები „სულიკო“ და „შავლეგო“ თითქმის საქართველოს ჰიმნის თანაბარ ეროვნულ ატრიბუტად მიაჩნიათ. ძლიერია ქართული სიმღერებისა და ცეკვების სწავლის სურვილი: თუ ამას ადრე დამოუკიდებლად, ვიდეოკასეტების დახმარებით აკეთებდნენ, ახლა საქართველოდან ჩასული მასწავლებლის დახმარებით ბევრი ბავშვი ეუფლება ფერეიდანსა და ისპაჰანში ქართულ ხალხურ მუსიკასა და სიმღერას; ბოლო წლებში უკვე სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ატარებს საქართველოში ფერეიდნელი ახალგაზრდების ჯგუფებისათვის ხალხური ცეკვა-სიმღერისა და ფანდურზე დაკვრის კურსებს.

განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ პოლიფონიური მუსიკალური შესრულების კულტურის აღდგენას ფერეიდანში, რადგან პოლიფონიურობა მშობლიური კულტურის ერთ-ერთ ნიშნად აქვთ გაცნობიერებული. პირველი მცდელობები მრავალხმიანი სიმღერის შესრულებისა (დაახლოებით 15-20 წლის წინ) ფერეიდუნშაჰრის ახალგაზრდებისთვის ეროვნული თვითგამორკვევისა და გამოღვივების სიმბოლოდ იქცა [ბაკურაძე და სხვ. 2017].

დაკარგული მეხსიერების ძიებაში

ფერეიდნელი ქართველები განსაკუთრებული ემოციით ცდილობენ წამოიღვინონ, რა განცდა და ტკივილი შეიძლება გადაეტანათ მათ წინაპრებს გადმოსახლების დროს.

თითქმის თითოეული მათგანი გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებას იმის შესახებ, საქართველოსკენ მსუბუქი მანქანით პირველად მომავალნი როგორ ათვალიერებდნენ გზას, ხშირად აჩერებდნენ და წარმოსახვით ცდილობდნენ გადასახლებულ წინაპართა ტანჯვის წარმოდგენას. ეს წარმოდგენები იმდენად დეტალიზებული აქვთ, რომ ისინი ლაპარაკობენ ფენძიმე ქალებზე, რომელთაც შესაძლოა გზაში მოუწიათ მშობიარობა, შეყვარებულებზე, რომელთაც არ დასცალდათ სიყვარული, მოხუცებზე, რომლებიც გზაში გარდაიცვალნენ...

ისინი წუხან, რომ არც ფილმი, არც მხატვრული ნაწარმოები არ შექმნილა ამ ტრაგიკულ გადასახლებაზე. წამოსცდებათ ხოლმე საყვედური, რომ საქართველომ დაივიწყა თავისი შვილები და ისტორიის ეს ფურცელი ისე გადაშალა, რომ არ გამოეხმაურა მას რაიმე მემორიალური ნაწარმოებით. ჩვენც გვისაყვედურეს:

ერთი ერთ წიწილას დააკარგავს, შიდი ქუჩა კარს მოიღის, ერთ წიწილას მონახოს და ქენ ეხლა ოთხასი წელია ქართველები ექ არიან და ეხლა იკითხავ, აბა, – ქართველი ექ არიან?... ერთ წიწილაო, ერთი დააკარგავსო, წავა რუა კარს მოიღის და მონახოს ის ერთ წიწილაო და ქენ ეხლაო, სამასი-ოთხასი წელიაო ქართველები დაკარგული ექ, არ იცით რო აბა, ქართველები არიანო [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ძველ ქართულ პრესასა და საარქივო მასალებზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ ეს საყვედური მოუხმენიათ საქართველოში ჩასულ ქართველებს მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში: „Каждая хозяйка, потерявшая цыпленка выходит на улицу искать его, Грузия же, потерявшая такое количество людей, не может не искать их“ (ერთ წიწილას რომ კარგავს დიასახლისი, ქუჩაში გამოდის მის საძებნად, საქართველომ კი, რომელმაც ამდენი ხალხი დაკარგა, შეუძლებელია არ ეძებოს ისინი) [Асланикашвили 1963].

ფერეიდნელების ნაღველი დაკარგული მეხსიერების გამო იმდენად ძლიერია, რომ ამ დანაკარგს წარმოსახვით ივსებენ. ჩვენ შევესწართ რამდენიმე ფერეიდნულ ოჯახში როგორ იკრიბებოდნენ საგანგებოდ ოჯახის წევრები, ახლობელ-ნათესავები, რომ უკვე მერამდენედ ენახათ 1925 წელს ამერიკელთა მიერ (რიჩარდ ქარვერი Richard Carver და ტერი რამსეი Terry Ramsaye). გადაღებული დოკუმენტური ფილმი – **ბალახი: ხალხის ბრძოლა სიცოცხლისათვის** (Grass: A Nation's Battle for Life), რომელიც სპარსეთში ბახტიართა გადასახლების მძიმე დოკუმენტურ კადრებზეა აგებული. ეს ფილმი ჩვენც საგანგებოდ გვანახეს, მძიმე მოსასმენი იყო მათი ტკივილიანი კომენტარები ფილმის მსვლელობისას. თითოეული კადრი მათთვის იყო საკუთარი წინაპრების მიერ დოკუმენტირების გარეშე გავლილი გზის აღდგე-

ნის მცდელობა. ჩვენი ნაცნობი ფერეიდნელები იწერდნენ ამ ფილმს ინტერნეტიდან, ავრცელებდნენ, აწყობდნენ ჯგუფურ ვიდეოჩვენებას და ეს დღემდეც გრძელდება. ჩვენც გადაგვიწერეს მეზობელი ხალხის ეს ტრაგიკული ამბავი, რომელშიც საკუთარი ისტორიის ანარეკლის დანახვას ცდილობენ.

წინაპრების განცდების გაზიარების სურვილი მათში ძლიერია. 2010 წელს თბილისში ჩამოსული იყო მუხტარ დარჩიაშვილი თავისი სანათესაოს რამდენიმე წარმომადგენელთან ერთად. ყველაზე მეტად რაც უნდოდათ, ის სურვილი ავუსრულეთ და მარტყოფში წავიყვანეთ. როცა მარტყოფის ამაღლების ეკლესიის ეზოში შევედით, ერთმა ქალბატონმა დაიწყო ტაძრის კედლის გასწვრივ სიარული და კედლების ფერება. თან ტიროდა. ისეთი ემოციური სურათი იყო, ყველანი გავეცალეთ. კარგა ხნის შემდეგ, როცა ცრემლი შეიშრო, მოგვიანლოვდა და გვითხრა: ხომ უეჭველია, რომ ჩვენი მამა-პაპანი გასახლების წინ აქ შეიყარნენ, ეკლესიაში. აი, ასე ივლიდნენ მის გარშემო და სწორედ ასე დაკოცნიდნენ კედლებს წასვლის წინა დამეს. აქ რომ მოვდიოდი, მინდოდა სადმე შეემძინია მათი ნაფეხურები, მაგრამ ეს ვერ შევძელი. აქ კი ზუსტად ვიცი, რომ მათ ხელშენაკლებ ქვებს ვეხები და ბედნიერი ვარო.

წარსულისა და აწმყოს უცნაური თანაგანცდა ამ ჯგუფის დამახასიათებელი თვისებაა: „რა იქნებოდა, ისე რომ არ მომხდარიყო, როგორც მოხდა“ – ეს კითხვა მათში „წარსულში ოცნების“ მოტივაციას აჩენს: „შაჰ-აბასი, ყეინი არ შაქნილიყო, თავის დედას ბაიტობისამდე მაჰკლომიყო!“ [ყოლამრეზა ხუციშვილი].

მუხტარ დარჩიაშვილი გვიამბობდა: პირველად რომ საქართველოში ჩამოვედი, გელათში, მდინარის პირზე დიდი კედელი როა გატარებული და ზედ დიდი ჯვარი დგას, იქ დავჯექი. განიერ კედელზე. გული ამომიჯდა და ცრემლი წამომივიდა: რატომ იყავი ასეთი ლამაზი, დახატული-მეთქი, რომ ვინც ახლომახლო თუ შორეულ ქვეყნებში თავი წამოილო, ყველა შენ გმტრობდა. არ შეიძლებოდა, ასეთი ლამაზი არ ყოფილიყავი და ჩვენ არ გავეყვანეთ აქედან? შენი ბრალი იყო, შენი... შენ რომ ასეთი ლამაზი არ ყოფილიყავი, ჩვენც აქ ვეყრებოდით, ამ ქვეყანაში. შენი სილამაზის გამო წავგიყვანეს!

მუხტარის ძმა ჰეიდარ დარჩიაშვილი კი სამშობლოსთან შეხვედრის სურვილს ახალგაზრდობაში წერილებში წერდა, ამ წერილებს წერდა და ფერფლს ქარს ატანდა. დარწმუნებული იყო, მისი წერილის ნამწვი სამშობლომდე მიაღწევდა.

ყველა ფერეიდნელის ღია თუ დაფარული ოცნება აისრულეს და 2016 წელს წინაპართა გზა, ოლონდ ამჯერად ირანიდან საქართველოსკენ, ფეხით გამოიარეს დამქესნელმა ძმებმა არია და შაჰინ ხოსროვიებმა. 2019 წელს იგივე გაიმეორეს მარტყოფელმა შაჰრამ ონიკაძემ, ომიდ გოგონამა და ისმაილ რაჰიმიმ. 11 აგვისტოს ფერეიდნიდან გამოსულები, საქართველოს 19 სექტემბერს მოადგნენ აზერბაიჯანის მხრიდან.

ეს კი „მომავლის ოცნებათა“ სერიიდანაა:

ღმერთო, ჩონ ქართველები შაინახეყე,

კახეთის (საქართველოს) მიწაზე დაინახეყე.

მშობლიური სამეტყველო კოდის თვითდასახელება

როგორც უკვე აღვნიშნეთ ზევით, მე-19 საუკუნის ბოლოს ფერეიდნელებმა არ იცოდნენ სიტყვები „ქართველი“ და „საქართველო“. ავტორები წერენ, რომ ადგილობრივი ქართველები საკუთარ თავს მოიხსენიებდნენ, როგორც „გორჯი“. სეიფოლა იოსელიანის დროსვე გაჩენილა ტერმინი „ქართველი“. დღეს სიტყვა „გორჯი“ თითქმის მთლიანად განდევნილია მათი მეტყველებიდან და ეთნიკური თვითდასახელების ტერმინად აქვთ მხოლოდ „ქართველი“. სპარსელები და მეზობელი ტომები მათ დღესაც გორჯებს უწოდებენ. ქართველის სინონიმად ასევე გამოიყენებოდა ტერმინი „ჩემ ძოლი“ (ჩემი ძვალი).

ქართველები თავიანთი განსახლების ადგილს ფერეიდანს უწოდებენ, იმის მიუხედავად, რომ ეს ტოპონიმი ისტორიულად გაცილებით დიდი რეგიონის წოდებაა, სადაც ქართველების გარდა სხვა ეროვნების ხალხიც ცხოვრობს. წოდება „ფერეიდნელი ქართველი“ დამკვიდრებულია სამეცნიერო და ზოგადად, საზოგადოებრივ სივრცეში.

ჩვენ ფერეიდნულს ვუწოდებთ ფერეიდნის რეგიონში მდებარე ქართული სოფლებისა და ამ სოფლებიდან ირანის სხვადასხვა ქალაქში წასულ ქართველთა მეტყველებას – ფაქტობრივად კი, ირანელ ქართველთა მეტყველებას, რადგან სხვა რეგიონებში არსებულ ქართულ კოლონიებში ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით იდენტობა შერყეულია და ენაც დაკარგულია.

ფერეიდნული სამეცნიერო ტერმინია. ქართულის მნიშვნელობით ფერეიდანში გვხვდება ტერმინები: ჩვენებური (ჩვენი ენა) [ჭელიძე 1958: 86], ჩვენი ძველების ენა; არა გვაქვს გურჯული ენა (განსხვავებით თურქეთის ქართველებისგან); კულტურული და ენობრივი რეინტეგრაციის პირობებში (მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან) ტერმინები „ფერეიდანის“, „ფერეიდნელი“ და „ფერეიდნული“ უკუგავლენით უკვე მკვიდრდება ფერეიდნელთა მეტყველებაშიც – საკუთარი რეგიონალური წარმომავლობისა და მეტყველების ვარიანტის აღსანიშნავად.

როგორც ჩანს, **ჩვენ ენას, ძველ ენას ან ჩვენი ძველების ენას** უწოდებდნენ მშობლიურ ენას სხვა ქართული კოლონიების ქართველებიც. ა. ჭელიძის ცნობით, შირაზის ოლქში ლურების აჯანყებისას ფერეიდნელი ქართველი ჯარისკაცების ქართული ლაპარაკის გაგონებზე, იქაურ ერთ-ერთ ხანს უკითხავს: თქვენ საიდან იცით „ჩემი ძველი ენაო?“ [ჭელიძე 1935:16].

ფერეიდნელი ქართველი ჰუსეინ (სოსო) მიქელანი ასე წარმოადგენს ქართველთა წოდებისა და თვითწოდების, ასევე ქართული ენის აღნიშვნის სურათს ფერეიდანში და ფერეიდნელ ქართველებში:

„მაშინ, როცა 6-7 წლის ვიყავი, ჩვენს სოფელში ყველა ქართულად ლაპარაკობდა, ალბათ მაშინ ტერმინი „ქართული ან ქართველი“ ისე არ იხმარებოდა. სპარსელები გურჯებს გვებახდნენ, მაგრამ ჩვენ ჩვენს თავს „ჩონებურებს“ და ჩვენს ენას „ჩონებურ ენას“ ან „ჩონებურს“ ვებახდით“ [შაიშმელაშვილი 2019].

გვარი, სახელი, ტოპონიმები

ეთნიკური იდენტობის დეკლარირების ძლიერი სურვილი საქართველოსთან ინტენსიური ურთიერთობების შედეგად გვარების „გაქართულებაშიც“ გამოიხატა. ფერეიდანში მათ, ვისაც ზუსტად არ ახსოვს წინაპრების ქართული გვარი, ალაღბელზე ან ბგერთი მიმსგავსების საფუძველზე იღებს ქართულ გვარებს, მაგალითად, ყალანების ერთი ნაწილი ყაფლანიშვილს უწოდებს თავს, ნაწილი – ყავლაშვილს, ნაწილი – ყაველაშვილს, ზოგი კი კალაძესაც ირქმევს. რაჰიმი – რამიშვილი, თავაზოჰი – თავაზიშვილი, თავაძე და ა. შ.

გვარების დარქმევის ეს ტენდენცია შენიშნული აქვთ სხვადასხვა დროში ლადო აღნიაშვილს, ამბაკო ჭელიძეს და სხვებსაც. ამის გამოა, რომ 120 წლის მანძილზე სხვადასხვა მოგზაურის ან მკვლევართა მიერ შემოთავაზებულ ფერეიდანულ ქართულ გვართა სიები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. დღესაც ხშირია შემთხვევა, როცა საქართველოში მარტო ამიტომ ჩამოდიან ფერეიდნელები, რომ საკუთარი გვარის წარმომავლობა გამოიკვილონ, მიაგნონ თავის ფესვებს.

ხშირად ასეთ ძიებებს „ეხმარებიან“ საქართველოდან ჩასული სტუმრებიც, რომლებიც სთავაზობენ მასპინძლებს გვარის ან სახელის მიმსგავსებულ ვერსიებს. ამის შედეგად უმრავლესობას (თითქმის ყველას, ვისაც საქართველოსთან აქვს კონტაქტი) პარალელურად მეორე სახელიც აქვს დარქმეული: კახა, ბექა, გიორგი და ა.შ. ან საკუთარი სახელის მიმსგავსებით აქვს გადაკეთებული: „ალი“ ხდება „ალექსანდრე“, „ყოღრათოლა“ – „კონდრატი“, „ეხათოლა“ – „ზაზა“ და ა.შ.

სტუმრისთვის სახელის გადარქმევის შეთავაზება ჩვეულებრივი ამბავია ფერეიდანში. ამიტომ, როცა ვინაობას ეკითხები, ხშირად გაიგონებ პასუხად ქართულ სახელს, რომელსაც მოაყოლებენ ქართველი ნაცნობის სახელს: ამან და ამან დამარქვაო.

ფერეიდანში შემორჩენილია მდიდარი მიკროტოპონიმია, რომელიც, როგორც ჩანს, ასახავს მიგრანტთა თავდაპირველ საცხოვრისს. ფერეიდნელები დიდი სიფრთხილით და ზრუნვით ეკიდებიან მათ პოპულარიზაციას. ერთ-ერთმა ცნობილმა ქართველმა, ალექსანდრე დავითაშვილმა სიმღერაც კი შექმნა ამ თემაზე და ჩვენთან საუბარში განმარტა, რომ მიზნად ჰქონდა ახალგაზრდებისთვის ქართული ადგილის სახელების გაცნობა და დამახსოვრება.

ჰეიდარ დარჩიაშვილმა კი ასეთი რამ გვიამბო: ერთმა მოხუცმა ქალმა, საავადმყოფოში მის სანახავად მისულს, ლექსად გაწყობილი სოფლების დასახელებები ჩამაწერინა და მთხოვა: სადაც სამ ქართველს გაიგონებ, ეს უთხარი, რო არ დაავიწყდეთო: მზე, მზე, ამოდიო, წავალ ყუმჩიო, ოქრო დანას მოგიტანო, გაირჭი წელჩიო, გადი ბონსაო, გამო თორეღჩიგაო, აჭიჭყინე შენ ტოლეფსაო... გადი თორელს, გამო ბონს... წადი შიშკანსა, აფუსსა, ახჩაძჩი, ჩულურეთს, სიბაქს, ჯაყყაყს, ქოით მარტყოფს, ზეით მარტყოფს, მოდი დაშქესანას, აჭიჭყინე შენ ტოლეფს. ეს მონათხრობი ნათელი მაგალითია იმისა, როგორ ატარებს, ასრულებს და გადასცემს ესტაფეტასავით თითოეული „კუნძულები“ თავის წილ ენობრივ პასუხისმგებლობას, როგორც რაღაც, კონკრეტულად მისთვის მიბარებულ ცოდნას.

საინტერესო მოვლენამ იჩინა თავი მე-19 საუკუნის ბოლოსვე, როცა პირველი ქართველი მოგზაურები ჩავიდნენ ფერეიდანში. ადგილობრივი მოსახლეობა მათი დახმარებით ცდილობდა ქართული სახელების ეტიმოლოგიზებას ან მიმსგავსებულ სახელების მოძიებას ქართულ სინამდვილეში და ამის საფუძველზე სოფლების სახელების გადარქმევას. ამის გამოა, ალბათ რომ სხვადასხვა მოგზაურის ან ფერეიდნელების მიერ შედგენილი სიები ძალიან განსხვავებულია ერთმანეთისგან.

ეს პროცესი დღემდე გრძელდება და სოფლების დასახელებებიც, შესაბამისად, ვარიაციულია: თოლერი // თოლელი // თელავი, სიბაქი // სილნალი, ბონი // ბოლნისი, ჩულრეთი // ჩულურეთი და ა. შ.

სოფლების სპარსული სახელწოდებების გვერდით ოფიციალურ აბრევებზე ჩნდება ქართული სახელწოდებებიც: სიბაქი // ვაშლოვანი...⁷⁵

საკუთარი ისტორიული ფესვების ძიებაში – ეთნიკური მობილიზაციის ახალი თაობა

გაძლიერდა საკუთარი ფესვების ძიების სურვილი. სოფელ დაშქესანაში ძმებმა ხოსროვიებმა (ხოსროშვილები) შეადგინეს და დღეს მათ ოჯახში კედელზე გაკრულია მათი გვარის დიდი გენეალოგიური სქემა, რომელიც 400 წელს მოიცავს და რომელსაც სათავეს უდებს მათი საქართველოდან გადასახლებული წინაპარი.

სულ უფრო და უფრო მეტი წიგნი იქმნება სპარსულ ენაზე, რომლებშიც ფერეიდნელი ავტორები მშობლიური კუთხის შესახებ წერენ, აღწერენ წეს-ჩვეულებებს, ადგილის სახელებს, ენობრივ თავისებურებებს... მათ უმეტესობაში საქართველოს ისტორიაცაა მოთხრობილი.

2003 წელს, 14 აპრილს, ჰიჯრით 1382 წელს, 24 ფარვარდინის თვეში ფერეიდუნშაჰრში საზეიმოდ აღნიშნეს დედა ენის დღე. ორგანიზატორები იყვნენ ქალაქის გამგებელი ბაყერ მოყადასი (ზუბიტაშვილი), რაიონის იმამ ჯომე (საპარასკევოლოცვის წამყვანი, ასლანიშვილი), ქალაქის უნივერსიტეტის საბჭო და მარტყოფის საზოგადოებრიობა. ღონისძიებას ხელმძღვანელობდნენ საიდ მულიანი და ალი რაჰიმი (ონიკაშვილი). სიტყვით გამოვიდა მოჰამად სეფიანი და ისაუბრა ქართული ენის შესახებ. მუხტარ დარჩიაშვილმა წაიკითხა სპარსულად თარგმნილი „მერანი“ და „ვეფხვი და მოყმე“. ეს ღონისძიება მიმდინარეობდა ქართულ და სპარსულ ენებზე [კოჭლაშვილი 2003: 3].

2005 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ N57 დაიბეჭდა ნოდარ კოჭლაშვილის საინტერესო სტატია სათაურით „ფერეიდნელმა ქართველობამ ჟურნალი გამოსცა“. ამ სტატიაში საუბარია იმაზე, რომ ფერეიდნელ ქართველებს გახსნილი აქვთ ქართული ენის სწავლების კურსები: ფერეიდუნშაჰრში – საიდ მულიანის, ხოლო ნავჯონაბადში – ალი ფაშა იოსელიანს. ფერეიდნელებმა სპარსულად თარგმნეს

75. უფრო დაწვრილებით ამ საკითხებზე საუბარი იქნება ქვემოთ.

და გამოსცეს ინგლისელი ქართველოლოგის მარშალ ლანგის შრომა „ქართველები“. ფერეიდნელმა ქართველებმა ეს ნაშრომი ათარგმნინეს რაყიელ ბეჭზადეს და 1994 წელს გამოსცეს [კოჭლაშვილი 2005-2: 5].

2004 წელს კი ფერეიდნელთა ჯგუფმა გამოსცა ჟურნალი, რომლის სახელწოდებაც პირობითი იყო: „ირანელ ქართველთა პირველი ჟურნალი“. ჟურნალი ორენოვანია, მისი მიზანი იყო გაეცნო გარშემომყოფებისთვის ვინ იყვნენ გურჯები, როგორი იყო მათი ადამი და წესი. რა როლი ითამაშეს ირანელმა ქართველებმა ამ ქვეყნის აყვავებასა და განვითარებაში. ჟურნალის ძირითადი რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ საიდ მულიანი და მაჰამად იოსელიანი [კოჭლაშვილი 2005-1].

ასეთი ინტენსიური მუშაობა კუნძულური თემის შიგნით კულტურული და ენობრივი რეინტეგრაციის ისედაც ძალამოკრებილ პროცესს კიდევ უფრო აძლიერებს, ხელს უწყობს ეთნიკურ მობილიზაციას.

მოკლედ განვიხილავთ ზოგიერთი იმ ფერეიდნელი ავტორის შრომებს, რომელთაც საკუთარი კუთხის ისტორიისა და ყოფის მეცნიერული აღწერა სცადეს.

მალექ მოჰამად (მელიქსადე⁷⁶) რაჰიმი (რამიშვილი) – იყო ფერეიდნის მხარის განათლების განყოფილების გამგე, სპარსული ენის პირველი მასწავლებელი ფერეიდანში. იგი რამდენიმე წიგნის ავტორია. მათ შორისაა „ირანელი ქართველები“, „ირანისა და ქართველების ურთიერთობა“. მასალა მოძიებული და შეკრებილია ირანის არქივებსა და მუზეუმებში.

მალექ მოჰამად რაჰიმის საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის თავისი წინაპრის შესახებ:

„ქეთევანი რომ ჩამოვიდა, ირანის მეფე ნახოს, ლაშქარში სხირ (დიდი) ხალხები ჰყავდა მეფის ღედას, ჩონ პაპა იმათთან ყოფილა. ქეთევანთან ყოფილა ჩვენი პაპა... ქეთევანი რომ შირაზში წამებით მოკლეს, ფერეიდანში ქართველებთან წასულა და დასახლებულა. ამბობს, რომ დიდი პაპის სახელის მიხედვით, რამინაშვილები (რამიშვილები) არიან...“ [შაიშმელაშვილი 2019].

ავტორს მოძიებული აქვს დოკუმენტები ირანში ქართველების ცხოვრების შესახებ. ის საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის თავისი წინაპრების შესახებ.

მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები ირანში მცხოვრები ქართველების ისტორიის შესასწავლად და საშურია მათი თარგმნა ქართულ ენაზე. გარდა ისტორიული ნაშრომებისა, მას გამოცემული აქვს ლექსების კრებული, რომელთაგან ერთ-ერთი „ხოტბა ფერეიდნისა“ ქართულად ნათარგმნი აქვს ნომადი ბართაიას. სამწუხაროდ, 2019 წლის შემოდგომაზე **მალექ მოჰამად რაჰიმი** გარდაიცვალა.

1979 წელს სპარსულ ენაზე გამოვიდა მოჰამად სეფიანის წიგნი „ქართველი ირანში“. ამ წიგნის მიხედვით რეფერატი გამოქვეყნებული აქვთ გ. ჭიკაშვილსა და რ. მიქელაძეს.

76. ასე უწოდებს მას ვახტანგ ონიკაშვილი.

ჰოსეინ (სოსო) მიქელანი – უკვე 20 წელია ფერეიდნელ ქართველებს ქართულ ენას ასწავლის. მას 21-ე საუკუნის იაკობ გოგებაშვილი შეარქვეს ფერეიდანში. საკუთარი ხარჯებით, მან ირანში პირველად გამოცა ქართული ენის თვითმასწავლებელი სპარსულენოვანთათვის, სახელწოდებით – „ფესვები“. მომავალში ის აპირებს საქართველოს ისტორიის სპარსულ ენაზე თარგმნას. ჰოსეინ მიქელანი ასწავლის ქართულ ენას ისპაჰანში უცხო ენათა შემსწავლელ კურსებზე. 2019 წელს ის დაჯილდოვდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სპეციალური მედლით ქართული ენის სწავლებასა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი დიდი წვლილის გამო.

საიდ მულიანის ეკუთვნის ნაშრომი „ფერეიდნელი ქართველების როლი ირანის ისტორიასა, კულტურასა და ცივილიზაციაში (2001)“, „ქართულ-ირანული კალენდარი“.

2008 წელს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გამოსცა საიდ მულიანის მიერ შედგენილი „დედა-ენა“ სპარსულენოვანთათვის.

2007 წელს ისპაჰანში დაიბეჭდა ფერეიდნელი ქართველის, **ნოვრუზ (ნუგზარ) ლაჩინანის**, „ქართულ-სპარსული ლექსიკონი“. ჯ. გიუნაშვილის თქმით, „ნოვრუზ ლაჩინანიმ „ქართულ-სპარსული ლექსიკონის“ გამოცემით შეავსო ის თეთრი ლაქა, რომელიც დღემდე არსებობდა ფერეიდნელი ავტორებისა და სხვათა ძალისხმევით ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გამოცემულ თემატურად საქართველოს პრობლემატიკასთან დაკავშირებულ ლიტერატურაში [გიუნაშვილი 2008: 8].

2004 წელს თბილისში ქართულ ენაზე გამოიცა საქართველოში მცხოვრები ფერეიდნელის, **ვანტანგ ონიკაშვილის**, ნაშრომი „ფერეიდანი“. ეს ნაშრომი არის ფერეიდნელი ქართველების ირანში ოთხსაუკუნოვანი ცხოვრების მიმოხილვა. წიგნში ავტორი მსჯელობს არაერთი საყურადღებო ფაქტის შესახებ. მისი მნიშვნელობა მკითხველებისთვის იზრდება იმითაც, რომ გამოყენებული აქვს სპარსულენოვანი ლიტერატურა, რაც ქართველი მკითხველისთვის ნაკლებად არის ხელმისაწვდომი.

ყურადღებას იქცევს ფერეიდნელი ქართველის, **ჰოსეინ ქეივანფარის**, 1997-1998 სასწავლო წელს შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი „ქართული დიალექტის ფონოლოგია და მორფოლოგიური სტრუქტურის ანალიზი“ სპარსულ ენაზე. ეს არის ენობრივი ანალიზის მცდელობა, დაკვირვება ფერეიდნელთა მეტყველებაზე ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით.

2017 წელს ნიკოლოზ ნახუცრიშვილის წინასიტყვაობით გამოვიდა **რუჰოლა სეფიანის** (ლადო სეფიანშვილის) წიგნი „ირანის ქართველების მშობლიური მხარე“ (სპარსულ ენაზე), რომელშიც განხილულია ფერეიდნის ტოპონიმები.

თორელის მკვიდრს, აბოლყასემ აჰმადი-მიანდაშთის დაბეჭდილი აქვს სამეცნიერო ჟურნალებში სტატიები ფერეიდნელი ქართველების ცხოვრების, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ენის შესახებ (იხ. ბიბლიოგრაფია).

გარდა ჩამოთვლილისა, არის სხვადასხვა აღწერითი ხასიათის მცდელობებიც, რომელთა ავტორები თავს უყრიან საკუთარი კუთხის ან სოფლის წეს-ჩვეულებებს, ადგილის სახელებს, გადმოცემებს.

ეთნიკური მობილიზაციის პროცესი, რომელიც, როგორც ვნახეთ, ფერეიდანში ხან მინელდებოდა, ხან კი ხელახალი ძალით იღვიძებდა, სხვადასხვა შინაგანი თუ გარე ფაქტორით იყო წახალისებული, თუმცა მისი მამოძრავებელი ძალა, რასაკვირველია, ის ცალკეული ადამიანები იყვნენ, რომლებიც იდენტობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში თავის თავზე იღებდნენ გარკვეულ ფუნქციებს. ასეთ ადამიანებს ეთნიკური მობილიზაციის „ლოკომოტივებს“ უწოდებენ.

ასეთი „ლოკომოტივი“ იყო თავის დროზე სეიფოლა იოსელიანი.

ეს ფუნქცია საკუთარ თავზე აიღეს 60-იანი წლების ახალგაზრდებმა, მუხტარ დარჩიაშვილმა, რეზო დავითაშვილმა და მათმა მეგობრებმა, რომლებმაც ჯერ ანბანის გამოგონება დაიწყეს, შემდეგ კი, როცა საქართველოდან წარგზავნილი მოხელის, ნოდარ კოჭლაშვილისგან, გაიგეს, რომ ასეთი ანბანი არსებობდა, გულმოდგინედ შეისწავლეს და შეუდგნენ მის გავრცელებას მთელ ფერეიდანში.

ამ ორი ადამიანის ცხოვრება მაგალითად იქცა მათი მეგობრებისთვის, ახლობელებისთვის, ახალგაზრდა თაობისთვის.

მუხტარ დარჩიაშვილის შესახებ ნოდარ კოჭლაშვილი წერდა:

„მას ეკითხებიან და როცა ფერეიდნელი თეირანში ჩამოდის რჩევისათვის, მისი სახლის კარი ყოველთვის ღიაა. ამიტომ მის სახლს ფერეიდნელები სასტუმროს ეძახიან... როცა თეირანში საქართველოს საელჩო გაიხსნა, მიზეზთა გამო იგი სწორედ მუხტარის სახლის მეორე სართულზე მოთავსდა, მთელი ექვსი თვის განმავლობაში, ყოველგვარი ანგარიშისა თუ გადასახადის გარეშე.

როდესაც ირანში ჩავიდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სწორედ მუხტარ დარჩიაშვილი შეხვდა მას ფერეიდნელი ქართველების სახელით [კოჭლაშვილი 2003: 5].

„ბიძა მუხტარა“ ასე მოიხსენიებდნენ მას ფერეიდნელი ქართველები. მისი სახელი სიკვდილის შემდეგაც ღიდ მოწიწებას იწვევს მათში. ის არა მხოლოდ თვითონ იყო ქართული ენისა და ყველა ქართული საქმის გულშემატკივარი, არამედ მთელ ფერეიდანს უწევდა ორგანიზებას და აფხიზლებდა. 2008 წლის მივლინებისას ბიძა მუხტარი იყო ჩვენი მასპინძელი. ის თეირანში დაგვხვდა, შემდეგ კი ისპაჰანის გავლით წავვით ფერეიდანში და წუთით არ მოგვცილებია. იმ დროს ჩაწერილ მასალაში მუხტარი მუდმივი თანამოსაუბრე პირია ნებისმიერ რესპონდენტთან ერთად. ყველა საუბარში ერეოდა და ყველა კითხვას აზუსტებდა. სწორედ ამ მივლინების შემდეგ დავრწმუნდით, რამხელა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს საველე დიალექტოგრაფიულმა სამუშაომ ენობრივი კუნძულის თვითორგანიზებაზე. ამ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ჩვენი სამუშაო მეთოდოლოგია მრავალფეროვანი იყო: ვიწერდით გაბმულ ტექსტებს, ვაკსებდით ლექსიკის გამოსავლენ კითხვარებს, ვცდილობდით იდეოგრაფიული მეთოდით მასალის მოპოვებას, ვიყენებდით სხვადასხვა ხერხს ფრაზეოლოგიზმების, გრამატიკული პარადიგმებისა თუ ბგერითი სისტემის აღსაწერად. ბატონმა მუხტარმა მივლინების დასასრულს გვით-

ხრა: როცა ქალბატონი დარეჯანი და ბატონი თედო იყვნენ აქ, მე კარგად ვერ გავიგე, რა აინტერესებდათ, რაში იყო გამოსადეგი ის ამბები, რაზეც ჩვენ მათ ვუამბობდით. ახლა, როცა თქვენი მუშაობა ვნახე, მე გავიგე, რა გინდათ: თქვენ მძივივით აგროვებთ ჩვენი ენის დაფანტულ მარცვლებს და თავ-თავის ადგილზე აწყობთ... ასე ხატოვნად აღწერა აეროპორტში გამოცილებისას ჩვენი საქმიანობა, თან დააყოლა, ამის შემდეგ, ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. 2009 წელს კვლავ ჩავედით მივლინებით ირანში. ისევ იმავე მიზნით. ისევ ბატონი მუხტარი იყო ჩვენი პირველი მასპინძელი. სწორედ მაშინ ვნახეთ, როგორ აძლევს ბიძგს ასეთ ჩაკეტილ ენობრივ სივრცეში ჩატარებული სავსე სამუშაო „ნაივურ“, ხალხურ ლინგვისტიკას და როგორ ხდება ასიმილაციის პირობებში მიმდინარე „ენობრივი ამნეზიიდან“ პიროვნების (და შემდგომ უკვე კოლექტივის) გამოღვიძება: მუხტარსა და მის მეუღლეს აუღიათ ერთი „დავთარი“ და მასში იწერდნენ ყველაფერს, რაც ახსენდებოდით: ფერეიდნულ სიტყვებსა და გამოთქმებს, ზღაპრებს, ადგილის სახელებს, მეტსახელებს, თქმულებებს... თან ისე, რომ ეს შიდადარგობრივი დანაწილება არ დარღვეულიყო და თითოეულ ენობრივ მონაცემს სათანადო ადგილი ჰქონოდა განსაზღვრული. დავთარი მაგიდაზე იდო სასტუმრო ოთახში. როცა მარტოხელა ცოლ-ქმრიდან ერთ-ერთს რაღაც გაახსენდებოდა, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, მორბოდნენ და ამ ახლადამოტივტივებულ სიტყვას თუ ცნობას სათანადო ადგილს მიუჩენდნენ. ერთი შეხედვით, პუბლიცისტური სიუჟეტია და სამეცნიერო მონოგრაფიაში მისი ადგილი არ არის, მაგრამ ეს სიუჟეტი ფერეიდნული დიალექტური კუნძულის ისტორიის იმ გამოცანის ერთ-ერთი ამონახსნია, რომელმაც პასუხი უნდა მოგვცეს კითხვაზე, რა მექანიზმებით გადაურჩა ის ასიმილიციურ პროცესებს და საუკუნის წინ უკვე თითქმის გარდაუვალ დაშლას.

მუხტარ დარჩიამვილისგან ჩაწერილი მასალა, ამ რვეულის მასალასთან ერთად გაციფრებულია და მთლიანად შეტანილი კორპუსში⁷⁷, თუმცა ხელნაწერი, თავისი შეცდომებითა და სტრუქტურით, აგრეთვე სპეციფიკურ ბგერათა თავისებური გადმოცემით და სხვა ნიუანსებით, ცალკე შესწავლას იმსახურებს.⁷⁸ ასევე ცალკე შესწავლას მოელის მისი ქართულიდან სპარსულად ნათარგმნი „მერანი“ და „ვეფხისა და მოყმის ბალადა“. ჩვენ ჩაწერილი გვაქვს ეს ტექსტები მისივე „ორმაგი“ თარგმანით: ქართულ ტექსტს უკვე სპარსულიდან გადმოთარგმნილს რომ უკეთებს კომენტარებს. კუნძულური კოლექტივის წევრის ეს მისწრაფება, მოარიგოს საკუთარ თავში ორივე კულტურა და მერე საკუთარ გარემოზეც განაზოგადოს:

„მირბის მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი...“ – კითხულობს მუხტარი და იქვე სვამს კითხვას: მერანი ხო იცი, რა არის, როგორც რო რაში... აი, რუსტამს რომ რაში ჰყავდა, ის... და ამას მოსდევს უკვე სპარსული ტექსტი...

77. მისი ხელნაწერი გავაციფრეთ და 2010 წელს მისი მონაწილეობით გავასწორეთ, მუხტარისა და სელიყეს თბილისში, ჩვენთან სტუმრობისას.

78. ხელნაწერი მის ძმასთან, ჰეიდარ ასლანისთან უნდა ინახებოდა. ჩვენ მხოლოდ მისი ნაწილის ქსეროასლი შემოგვრჩა.

და მერე ისევ: იქით და აქეთ მყოფი მსმენელი სათვის „გარდათქვამს“ და „გარდმითქვამს“ საკუთარი იდენტობის ახლადაღმოჩენილ საგანძურს – ბარათაშვილის „მერანს“.

ეს პარალელური ტექსტი, რომელიც მოიცავს ქართულ ტექსტს, სპარსულ ტექსტს და ქართველი მკითხველისთვის განკუთვნილ კომენტარებს, არის ნიმუში იმისა, ორი კულტურის ნაკადში მდგარი „კუნძულები“ როგორ ცდილობს დაკარგული კულტურული მეხსიერების არა მხოლოდ აღდგენას, არამედ მის გარდაქმნას და თავის ძველ პროფილთან ორგანულად მორგებას.

რა აძლევს ძალას კუნძულურ კოლექტივს, გაუძლიანდეს კარსმომდგარ ასიმილაციას და გადარჩეს? – კუნძულურ თეორიაში ცნობილი სხვა გარემოებების გარდა, ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი ნამდვილად არის ეთნიკური მობილიზაციის „თვითნაბადი ლოკომოტივების“ არსებობა, ისეთი პიროვნებების, როგორც მუხტარ დარჩიაშვილი იყო.

მუხტარ დარჩიაშვილს უმაღლესი განათლება არ მიუღია. ახალგაზრდობაში შემღვლებლად მუშაობდა, ასაკში კი პატარა მაღაზიები ჰქონდა თეირანსა და ფერეიდანში და თავი იმით გაჰქონდა.

მისთვის ქართული ენის პატრონობა არავის დაუვალეზია, მაგრამ თავად ძალიან ბევრს დაადო ეს საპატიო ვალი.

რეზო დავითაშვილი, იგივე ალი რეზა რაჰიმი, მეტსახელად „კალატოზი“ მუხტარის უახლოესი მეგობარი იყო. ერთად ეწეოდნენ „დედის ენის“ მსახურებას. ქართული ანბანის გავრცელება, ქართული ენის პოპულარიზაცია მისი ცხოვრების მთავარ მოვალეობად იქცა. მან შემოიღო საჩუქრების საკუთარი ასორტიმენტი: ქართული ანბანი და ქართული ზღაპრების აუდიოფირები, რომლებსაც ის თავად ამზადებდა და ამრავლებდა.

ქართულ ასოებს გვერდით სპარსულს უწერდა, ხოლო იმ ასოებს, რომელთა შესაბამისი ბევრაც სპარსულს არ მოეპოვება, გვერდით სხვადასხვა სურათს უხატავდა, მაგალითად, ჰ-ს „ჰეჰელას“...

რეზო დავითაშვილი და მისი ოჯახი დღესაც ითვლება ქართული საქმის გულშემატკივრად. მია რეზოს მონატური პლაკატები და აფიშები დღეს საქართველოშიც ბევრ ოჯახს აქვს. 2017 წლის 14 აპრილს, სახელმწიფო ენის ზეიმზე მან ეს ძვირფასი საჩუქარი ბრიტანეთის ელჩსაც გადასცა.

ასეთი ადამიანები, რომლებმაც იტვირთეს წინაპრებისგან ფერეიდნელ ქართველთა ისტორიის, ენის, ეთნოგრაფიისა თუ კულტურის სხვადასხვა სფეროზე პასუხისმგებლობა ისე, რომ მათთვის ეს არავის დაუვალეზია, სხვებიც არიან:

ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი) – ქართული ენის ერთ-ერთი მოამავე, მან ფეხით შემოიარა ირანის ბევრი რეგიონი, რომ იქ ქართველთა კვალი აღმოეჩინა. შექმნა და ფერეიდნელთა ყველა თავყრილობაზე ასრულებდა სიმღერას, რომელშიც ფერეიდნის ადგილის სახელებია ჩამოთვლილი. ჩვენ ეს ასე განგვიმარტა: მეშინია, ახალგაზრდობამ არ დაივიწყოს, ვინ არის, საიდან არის და ამიტომ ვმღერო:

„მარტყოფო, რა ლამაზი ხარ, რა ლამაზი ხარ,
საქართველოთგან ნათესავი ხარ.
შენ დიდრუვი გაქ, ხუცის წყარო გაქს,
გუვის წყარო გაქ და ვარდის ყელიც გაქს,
შენ დიდრუვი გაქს, ხუცის წყარო გაქ,
გუვის წყარო გაქ და ვარდის ყელიც გაქს.
საქართველოთგან ნათესავი ხარ,
კახეთიდან ხარ, კახეთიდან ხარ!
ლამაზის გორა გაქვს, ქალების ქობი გაქ,
ხირხატები გაქვს, ხირხატები გაქვს,
ჩენ სიღნალი გაქს, გიორგის მახრა გაქ და
ვაშლოვანიც გაქ.
საქართველოთგან ნათესავი ხარ,
კახეთიდან ხარ, კახეთიდან ხარ.
ჩულურეთი გაქ, ციხეთ გორაც გაქ,
ჩულურეთი გაქს ციხეთ გორა გაქს,
ნაქერალიც გაქვს.
ჩემო სოფელო, ჩემო სოფელო, ფერეიდან-მარტყოფო.
იცი, იცი ეს სახელები სახსოვარია წინაპრებისა,
აბა, მიაბე წინაპრებისა, რა გინახავ შენ,
მადგონე შენა.
ჩემო ხალხებო, ჩემო კარგებო,
გულის ვარდებო, ნუო, ნუო, ნუ მამაგონეფთ,
წინაპრებისას, ნუ მამაგონებენ, გული ამტკივდება,
ამას ვამაყოფ, ემ დიდ ქვეყანას
თქენი კარგობა არი ყველაგან.
ჩემო ხალხებო, ჩემო კარგებო,
ნუ დაღვიწყეფთ თქენ დედას ენასა,
ემ ტკბილ ენასა, ემ ტკბილ ენასა.
თქენი წინაპრეფს აქა და კახეთში,
ეს გოოხარდების, ეს გოოხარდების.
თქენი წინაპრეფს აქა და კახეთში,
ეს გოოხარდების, ეს გოოხარდების.
არ დაივიწყოთ თქენ დედას ენა და
ეს ტკბილ ენა და“.

ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი) ნაჯაფაბადიდან – მან ფერეიდ-ნელთა გვარების შესწავლა დაიწყო, ამ გვარებთან დაკავშირებულ ლოკუმენტებს მლოყარა თავი;

ყოლამ რეზა ხუციშვილი – იმისთვის, რომ ახალგაზრდებს არ დაავიწყდეთო, ქე-რიმ-ხანის ბრძოლის ეპიზოდები გალექსა და მღერის. გვითხრა, რომ მანამდე არასოდეს დაუწერია ლექსები. ესენიც, რომელსაც მღერის, დაწერილი არსად არ არის. უნდა, ახალგაზრდებს სულ ახსოვდეთ თავიანთი წარმომავლობა:

მაგე, რა უქნიაყე ქართველებსა,
გამაჰკითხეთ თქენ ემ დლე და ღამესა.
როგო უღონებიაყე ქართველები,
თავის მიწა-წყალსაკენ გომორეკიანყე,
საფანიანთა და აფშარიანთა,
ზანდიანთა, ელ ემ ყანჯარიანთა.

მე ჩემთინ სისხლი იგრენ ამღუღებია,
ცრემლები ჩემ თოლებჩინ დამღუღებია [ქდკ, ყოლამრეზა (რეზო) ხუციშვილი].

მუხტარ დარჩიაშვილმა გაგვაცნო დაშქესანელი **არია ხოსროვი** და თორელები **აბოლყასემ აჰმადი**, რომლებიც თავდაპირველად გვეხმარებოდნენ ჩვენ და ჩვენს კოლეგებს, ახლა კი თავადაც დიდ საშემგროვებლო მუშაობას ეწევიან და უძვირფასეს ლინგვისტურ თუ სხვა სახის ინფორმაციას გვაწვდიან.

ყველას, რასაკვირველია, ვერ ჩამოვთვლით.

ასეთი ადამიანები ახალ ძალას აძლევენ კუნძულებლთა ცხოვრებას და ხელს უწყობენ მათ ენობრივ „სიფხიზლეს“.

თავი VII

ფერეიდნული დიალექტის ლინგვისტიკური კვლევის საყრდენი მონაცემები

1. პირველი დაკვირვებანი და მეცნიერული კვლევები

ლადო აღნიაშვილიდან იური მარამღე

პირველი დაკვირვებები ფერეიდნულ ქართველთა მეტყველებაზე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან იწყება, მეცნიერული შესწავლა კი მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ინფორმაცია ფერეიდნული ქართველების შესახებ ქართული საზოგადოებისათვის ქართული პრესიდან XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ხდება ცნობილი, თუმცა პირველი საგაზეთო სტატიები და პუბლიცისტური წერილები ძირითადად გაცნობით ხასიათს ატარებდა.⁷⁹

პირველი ქართველი, რომელიც ფერეიდნული ქართველების გაცნობის მიზნით 1894 წელს ჩავიდა ფერეიდანში და მონახულა ქართული სოფლები, იყო **ლადო აღნიაშვილი**. მისი წერილები იბეჭდებოდა „მომბეში“ 1896 წელს, შემდეგ კი იმავე წელს გამოსცა წიგნი: „სპარსეთი და იქაური ქართველები“. მას მრავალი სირთული გადატანა მოუხდა, სანამ ქართულ სოფლებს მიაღწევდა. საინტერესოა მისი მცირე დაკვირვება ფერეიდნულთა მეტყველებაზე. იგი გამოყოფს ძირითად ლექსიკურ თუ მორფოლოგიურ თავისებურებებს, არქაიზმებს, -ყე ნაწილაკის, ასევე ჯარის გამოყენების შემთხვევებს (აღნიაშვილი 1896: 210), რომელიც ასევე ქართული ენის რამდენიმე დიალექტშია შემორჩენილი, გამოყოფს ლაკუნარულ ლექსიკურ სივრცეს მათ მეტყველებაში, ჩამოთვლის ნასესხობებს (აღნიაშვილი, 1896: 211), აქვს დაკვირვება ფონეტიკურ პროცესებზეც.

ლადო აღნიაშვილი იყო პირველი, რომელმაც ყურადღება მიაქცია შიდადიალექტურ სხვაობას ფერეიდნულში და მიუთითა, რომ სხვადასხვა სოფელში განსხვა-

79. პირველი საგაზეთო სტატია ფერეიდნული ქართველების შესახებ 1872 წელს დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“. მისი ავტორი იყო ნიკოლოზ ყიფიანი. სტატია გაცნობითი ხასიათის იყო, ამის შემდეგ პრესაში აქტიურდება ფერეიდნის თემა და სხვადასხვა ჟურნალსა და გაზეთში იბეჭდება ინფორმაცია იქაური ქართველების შესახებ.

ვებული ლექსიკა გამოიყენებოდა ერთი და იმავე საგნის აღსანიშნად [აღნიშვილი 1896: 212]. იგი ფრთხილად გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ფერეიდნელთა მეტყველება შეიძლება უკავშირდებოდეს აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებს – კახურს, ფშაურს და ხევსურულს [აღნიშვილი 1896: 211–212].

ფასდაუდებელია ლადო აღნიშვილის დაკვირვებები და ის ლექსიკური მასალა, რომელიც მან ჩაიწერა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ირანში, თუმცა ფერეიდნელთა მეტყველების მეცნიერული შესწავლა გაცილებით გვიან დაიწყო. იგი მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან განდა სამეცნიერო კვლევის ობიექტი.

საყურადღებოა ვარლამ თოფურიას სტატია „ნიმუში ფერეიდანის ქართული ენისა“, რომელიც გაზეთ „ლომისის“ მე-16 ნომერში გამოქვეყნდა 1922 წელს. სტატიაში მოცემულია ფერეიდნული მეტყველების რამდენიმე ნიმუში. ტექსტი ჩაწერილია თბილისში ჩამოსული სეიფოლა იოსელიანისგან. როგორც ვარლამ თოფურია წერს, ფერეიდნელებს „დაუცავთ საქართველოში არსებული გეოგრაფიული ნომენკლატურა, გვარები, ზნე-ჩვეულება და ენა. ამ უკანასკნელზე კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სპარსულს საკმაო გავლენა მოუხდენია. ამ სტატიაში არ არის ტექსტების ენობრივი ანალიზი, რადგან ავტორის თქმით, „ფერეიდანის ენას სწავლობს ბ. ბენედიქტე ჩიქობავა, გამოკვლევა და ტექსტი დაიბეჭდება ცალკე“ [თოფურია 1922: 2]. წარმოდგენილ ტექსტებს დართული აქვს განმარტებული სიტყვების ჩამონათვალი.

შემდგომში ვარლამ თოფურია ფერეიდნულს უკავშირებს კახურს და აღნიშნავს, რომ „ფერეიდნული კილო (ირანში) და ინგილოური კილო (აზერბაიჯანში) კახური კილოს ნაყარია“. „...ფერეიდნულმა მშვენივრად დაიცვა მე-17 საუკუნის კახურ-ინგილოური კილო...“ [თოფურია 1963: 164].

არნ. ჩიქობავა იყო ფერეიდნულის ერთ-ერთი პირველმკვლევარი. მას ეკუთვნის სტატიები ფერეიდნულის შესახებ: „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“, „ვინის რეფლექსები ფერეიდნულში“, „-ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მის მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“. მან 1923 წელს ფერეიდნელების მეტყველება პირველად მოიხსენია ტერმინით ფერეიდნული და იგი დაუკავშირა კახურს. მისი აზრით, ქიზიყური, გარე (და შიგნი) კახური და მასთან კავშირში მყოფი მთიულური მეტყველება ყველაზე ახლოს დგანან ფერეიდნულთან, თუმცა მიიჩნევდა, რომ ვიდრე სხვა ქართული დიალექტები დეტალურად არ იქნებოდა გამოკვლეული, ნაადრევი იყო იმის მტკიცება, თუ კონკრეტულად რომელი მათგანის „მემკვიდრე“ იყო ფერეიდნული [ჩიქობავა 2010: 5].

არნ. ჩიქობავას თავის სტატიებში განხილული აქვს ბგერების შემადგენლობა და მათი ცვლილებანი ფერეიდნულში, მორფოლოგიური თავისებურებანი, შესიტყვების თავისებურებანი. მისი კვლევა ემყარებოდა კონკრეტული ტექსტების ანალიზს, რომლებიც ჩაწერილი იყო სეიფოლა იოსელიანისგან. როგორც ზემოთ ითქვა, სეიფოლა ხანი ახორე ბალას მკვიდრი იყო, როგორც მაშინ ერქვა ფერეიდნულშაჰრს ოფიციალურ დოკუმენტებში. ქართველები კი მას ორი სახელით იცნობდნენ – მკვიდრი მოსახლეობისთვის ეს იყო „სოფელი“, სხვა, მეზობელი სოფლების ქართველები კი მარტყოფს უწოდებდნენ.

ასე რომ, ფერეიდნული დიალექტის შესწავლა დაიწყო ოციოდე ხელნაწერი გვერდის მოცულობის ტექსტებით, რომლებიც მხოლოდ მარტყოფის (სოფლის) მეტყველებას ასახავდა. სხვა სოფლების მეტყველების ნიმუშებს იმ დროისთვის საქართველოში არ იცნობდნენ, ამდენად, ამ დროისთვის ფერეიდნელთა მეტყველებაში შიდა განსხვავებაც, ბუნებრივია, ვერ გამოიკვეთებოდა.

ფერეიდნულის საკითხებით დაინტერესებული იყო ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე იური მარი.

იური მარი – ფერეიდნულის მკვლევარი

იური მარი, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, სპარსეთში ყოფნისას დაინტერესებული ფერეიდნელ ქართველთა ყოფითა და მეტყველებით – ის 1925, 1927 და 1934 წლებში ყოფილა თეირანში. 1936 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა მისი ორი სტატია: „ფერეიდნელ ქართველთან საუბრიდან“ [Март 1936-1: 57-61] და „ქართული ფერეიდნის ხალხური სიტყვიერების ორი პატარა ნიმუში“ [Март 1936-2: 54-57].

ფერეიდნულის მეცნიერული კვლევის დასაწყისი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არნოლდ ჩიქობავას სახელს უკავშირდება. მან, როგორც თვითონ აღნიშნავს, აკაკი შანიძის დავალებით ჩაიწერა და მეცნიერულად აღწერა ფერეიდნული ტექსტები 1922 წ. ამ ტექსტებზე დაყრდნობით შეიქმნა მისი რამდენიმე სტატია. მოპოვებული ტექსტები გამოქვეყნდა მის ნაშრომთან ერთად – „ფერეიდნულის თავისებურებანი“ [ჩიქობავა 1927: 197]. უფრო ადრე, 1922 წელს ვარლამ თოფურია აქვეყნებს ფერეიდნულ ტექსტებს სათაურით: „ნიმუში ფერეიდანის ქართული ენისა“ [თოფურია 1922]. „ქართული დიალექტოლოგიის“ ტექსტებში გამოქვეყნებულია როგორც არნოლდ ჩიქობავას, ისე აკაკი შანიძისა და ვარლამ თოფურიას მიერ მიწოდებული ტექსტები. ყველა ეს ტექსტი ჩაწერილი იყო ერთი პირისგან – საქართველოში სტუმრად მყოფი სეიფოლა იოსელიანისგან.

როგორც ირკვევა, ფერეიდნული თემატიკა მოხვდა იური მარის ინტერესთა ველშიც.

1925 წელს ახალგაზრდა მკვლევარი, რომელიც 1922 წლიდან 1926 წლამდე მუშაობდა აღმოსავლეთის და დასავლეთის ენებისა და ლიტერატურის შედარებითი ისტორიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სამეცნიერო ხელმძღვანელის, ს. ფ. ოლდენბურგის, რეკომენდაციით საკავშირო მეცნიერებათა აკადემიამ ირანში სამუშაოდ მიაგვლინა. მისი სამივლინებო დავალება იყო კულტურული კავშირების დამყარება საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის, თუმცა პირად წერილებში იური მარი ხშირად აღნიშნავდა, რომ მისი მიზანი „ცოცხალი ენის“ შესწავლა იყო. ახალგაზრდა მკვლევარის ამ მოგზაურობას იმედით უყურებდნენ მისი მასაწავლებლები და მეგობრები. ყველა ფიქრობდა, რომ გარდა მოსალოდნელი სამეცნიერო შედეგებისა, ირანის მშრალი ჰავა წაადგებოდა იური მარის უკვე საკმაოდ შერყეულ ჯანმრთელობას [Мирзоян 1985: 192].

უმცროსი მარი 1925 წლის აგვისტოში თეირანიდან ისპაჰანში გადავიდა და როგორც მამისთვის მიწერილი წერილიდან ჩანს, აპირებდა ფერეიდნის მონახულებასაც. მოახერხა თუ არა ეს, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები და, შესაბამისად, ვერც მასალა, ჯერჯერ-

რობით ვერ მოვიძიეთ. ვიცით მხოლოდ, რომ მკვლევარი ისპაჰანშივე შეხვდა ფერეიდნელ ქართველ ჯარისკაცს, რომელსაც 3-4 საათი ესაუბრა და მასალაც ჩაიწერა.

1974 წელს გამოქვეყნდა ე. შვარცის წიგნი „ირანის ფოლკლორის შესწავლის ისტორიისათვის“, რომელშიც თითქმის უდავო ფაქტად ჩანს იური მარის მიერ ფერეიდნის მონახულება. ავტორი აღნიშნავს, რა სიძნელეებს აწყდებოდნენ ევროპელი აღმოსავლეთმცოდნეები ირანში ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის მოპოვებისას და როგორ გაუმართლა იური მარს ამ მხრივ. შვარცი აღნიშნავს, რომ „მკვლევარი ი. ნ. მარი ირანში ბევრად უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე პ. ა. გალუნოვი. მარის, წარმოშობით ქართველის, წინაშე სიხარულით იღებოდა იმ მუსლიმ ფერეიდნელი ქართველების კარი, რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული ენა და ქართული ადათ-წესები. მას გზა გაეხსნა ქართველი ირანელების ფოლკლორული საგანძურისკენ და მათი საშუალებით მკვიდრ ირანელებთან დაახლოების საშუალება მიეცა. სპარსული ენის უბადლო ცოდნა და აღმოსავლური გარეგნობა დაეხმარნენ მას გადაელახა ირანელთა მგრძობიარე დამოკიდებულება მათ მიერ საგანგებოდ დაცულ მხარეში შეღწევის ყველა მცდელობის მიმართ“ [Шварц 1974: 25] ე. შვარცის ამ სიტყვებიდან თითქოს უდავოა, რომ იური მარს არამცთუ შეუღწევია ფერეიდანში, არამედ საკმაოდ მნიშვნელოვანი მასალაც უნდა ჰქონდეს იქ ჩაწერილი, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, არანაირი სხვა ცნობა ან კვალი ამგვარი მასალის არსებობისა ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვხვებოდა.

ცნობა იმის შესახებ, რომ იური მარი ფერეიდნული პრობლემატიკით იყო დაინტერესებული და გარკვეული კვლევაც ჰქონდა ჩატარებული, ადრევე ჩანს სამეცნიერო ლიტერატურაში. 1936 წელს ვასილ ნიკიტინი მიუთითებს, რომ „იური მარი დაინტერესებული იყო ირანულ-ქართული კონტაქტებით და მას, ბუნებრივია, მხედველობიდან არ გამოორჩენია ქართული კუნძული ირანში – ფერეიდნის ოლქი ისპაჰანის პროვინციაში. ავტორი განიხილავს იური მარის მხოლოდ ერთადერთ წერილს, რომელიც მკვლევრის 1925 წლის ისპაჰანურ მივლინებაში ყოფნის დროს მოპოვებულ მასალას ეყრდნობა და არსად ერთი სიტყვითაც არ მიანიშნებს ფერეიდანში მისი მოგზაურობისა და იქ მოპოვებულ და რაიმე „მდიდარ ფოლკლორულ მასალაზე“, რომელზეც საუბრობს ე. შვარცი“ [Nikitin 1937: 284-285].

ასეთი მასალის შესახებ ინფორმაცია არ არის არც იური მარის არქივის მკვლევრის, თინათინ ჭავჭავაძის მიერ 1977 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც საგანგებოდ ეხება იური მარის ირანული მივლინებისას მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით შექმნილ ორ ნაშრომს [ჭავჭავაძე 1977: 153-158]. თუმცა თინათინ ჭავჭავაძე მარის მოგზაურობის თარიღებად 1923-1925 წლებს ასახელებს, იური მარის მიმოწერა და სხვა წყაროები (მირზოიანი, მეგრელიძე), აშკარად მოწმობენ, რომ ახალგაზრდა მარი მხოლოდ 1925 წელს ეწვია ირანს და წელიწად-ნახევარი დაჰყო იქ (უკვე მძიმედ დასნეულებული იური მარი 1934 წელსაც გაემგზავრა ირანში, ფირდოუსისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, მაგრამ ეს მოკლე ვიზიტი იყო და ფერეიდნის თემა უკვე აღარ გაუაქტიურებია. სამეცნიერო აქტივობა არ უკავშირდება არც მის ადრინდელ, პირველ, სამხედრო სტატუსით ვიზიტს ირანში – 1919 წ.).

ახალგაზრდა მარის 1925-1926 წლის ვიზიტი ირანში საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა ფერეიდნული დიალექტის შესწავლის თვალსაზრისით.

როგორც ნიკო მართან მიმოწერიდან ირკვევა, თეირანში ჩასულ იური მარს გადაწყვეტილი ჰქონდა ფერეიდნის მონახულებაც, ამასთან გარკვეული ინფორმაციის მოძიება ფერეიდნელთა ცხოვრებისა და მეტყველების შესახებ უკვე დაწყებული აქვს თეირანშივე. აი, რას სწერს 1925 წლის 4 მაისს მიწერილ წერილში მამას: „ძვირფასო მამა (Шер Папан), ცოცხლები და ჯანმრთელები ვართ, სიცხისა და უდროობის გამო და კიდევ იმის გამო, რომ ისპაჰანში შევძლებ აკურატულად შეგუდგე ენის შესწავლას, ერთ თვეში იქით გადავალ. ზაფხულში თეირანში ცხელა და აქ ბევრი არაფერი საქმე მექნება.

ფერელუნში ან როგორც მას სომხები უწოდებენ, ფერეიდანში ვიქნები (Буду). ქართული ენა აქ უფრო ქალებმა იციან. მამკაცები მაინცდამაინც კარგად ვერ საუბრობენ ქართულად. აქაური ქართველი, რომელიც აქ წისქვილს ამუშავებს, მიქელაშვილი, ქალებს უწოდებს ასე: ცოლი (ПОЛИ) და მხოლოდ გოგონებს, პატარა გოგონებს – ქალი (КАЛИ)“ [მარი 1962: 55].

ძნელი სათქმელია, იური მარი ამას მხოლოდ მეწისქვილე მიქელაშვილის ნათქვამზე დაყრდნობით დაასკვნის თუ სხვა წყაროც ჰყავს. ის კი თითქოს ამკარად ჩანს, რომ მისი ფრაზა: ფერელუნში ან როგორც მას სომხები უწოდებენ, ფერეიდანში ვიქნები (Буду) – თითქოს დადასტურებითი პასუხი უნდა იყოს მამის შეკითხვაზე – მონახულებდა თუ არა ის ირანში ყოფნისას იქაურ ქართველებს, თუმცა ამისი დაბეჯითებით მტკიცება, ვიდრე ამ მიმოწერის დამადასტურებელი საბუთები არ აღმოჩნდება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.


ირანული მივლინების პერიოდში მამა-შვილს შორის ფერეიდნულ თემაზე რომ უფრო აქტიური მიმოწერა იყო, იქიდანაც ირკვევა, რომ 1926 წლის 16 მარტს მიწერილ წერილში იური მარი მამას უამბობს, როგორ გაიცნო ერთი ლური, ბახტიარების თავდასხმების მონაწილე, და როგორ უამბო მას ფერეიდნელი ქართველისგან მოსმენილი ერთი თქმულების შესახებ. ეს თქმულება იური მარმა 1925 წლის აგვისტოში ჩაიწერა ისპაჰანში. როგორც ჩანს, ისპაჰანში მოპოვებული ქართული მასალის შესახებ შთაბეჭდილებაც მას ადრევე გაუზიარებია მამისთვის [მარი 1962: 58]

ფერეიდნული პრობლემით იური მარის დაინტერესება რომ ზერელე და ერთჯერადი არ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ მას მიმოწერა ჰქონია ირანში მყოფ ამბაკო ჭელიძესთან (1927 წ.) და კონსულტაციასაც უწევდა მას (სავარაუდოდ, ამ დროს იური მარი ლენინგრადში ცხოვრობდა, მხოლოდ 1928 წლიდან იწყებს ის საქართველოში, სსრკ აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში და თსუ-ში მუშაობას).

სწორედ იური მარის მითითებით შეახსენა მან ისპაჰანელ ისტორიკოსს სეიდალის ირანში მცხოვრებ ქართველთა შესახებ: „ამ პატივცემულ ისტორიკოსს (სეიდალის) შედეგინილი და დაბეჭდილი აქვს სხვათა შორის, მთლიანი სტატიისტიკა, თუ რამდენაირ, რა ენაზე ლაპარაკობენ ირანის ტერიტორიაზე მცხოვრები ერები. ხოლო მათ შორის არა აქვს მოხსენიებული ქართული ენა. როდესაც პროფესორ იური მა-

რის მითითებით ეს მოვაგონე, ისტორიკოსი გაკვირვებული დარჩა. მან უცებ ამოიღო უბის წიგნაკი, კალამი მოიმარჯვეა ჩასაწერად და თან გაიძახლა: – აჯაბ, აჯაბ! (საკვირველია, საკვირველია) – ხოლო იმ დროს არ ვიცდი, რა უფრო უკვირდა მას: ის, რომ ფერეიდანში ქართულს ენაზე ლაპარაკობენ თუ ის, რომ ეს ამბავი მან არ იცოდა აქამდე,“ – წერს ამბაკო ჭელიძე [ჭელიძე: 1935:9].

როგორც ჩანს, ამბაკო ჭელიძისა და იური მარის ურთიერთობა შემდეგაც გაგრძელდა. ამბაკო ჭელიძის არქივში დაცულ მასალაში არის ერთი ფურცელი, რომელზეც ჩამოწერილია თარიღები, სავარაუდოდ იმ წერილებისა, რომლებიც გამოუგზავნია იური მარს მისთვის, მიწერილია ქალაქის სახელიც, საიდანაც გამოუგზავნილია ეს წერილები: 10.02.1926; ტროიციდან – 22.07.1927; ლენინგრადიდან – 14.06.1927; სოხუმიდან – 30.12.1927; აბასთუმნიდან – 19.05.1932; აბასთუმნიდან – 31.07.1934:



იური მარის მიერ ფერეიდნული დიალექტის კვლევის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებდა პრესაც. პარიზში გამოშვებული ქართული გაზეთი „ახალი საქართველო“ იუწყებოდა ამის შესახებ:

„ფერეიდანში სამეცნიერო გამოკვლევებზე მუშაობს ამ ჟამად ნიკო მარის შვილი. ფერეიდანში არსებულ რუსეთ სპარსეთის ბანკის თანამშრომელმა მოქ. ჭელიძემ გამოგ ზავნა მდიდარი მასალები ფერეიდნელ ქართველთა შესახებ“ [ახალი საქართველო, 1926: 4].

მოგვიანებით იური მარმა დაწერა ორი სტატია ფერეიდნული პრობლემის შესახებ:

„ფერეიდნელ ქართველთან საუბრიდან“ [Mapp 1936: 57-61] და „ქართული ფერეიდნის ხალხური სიტყვიერების ორი პატარა ნიმუში“ [Mapp 1936: 54-57]. პირველი სტატია ეყრდნობა იური მარის მიერ ისპაჰანში, ქართველი ჯარისკაცთან, ვინმე მეთალიასთან საუბრის მასალებს. როგორც ჩანს, იური მარს ჯერ მოხსენება გაუკეთებია ამ თემაზე და სტატიის სახე გვიან მიუცია, თუმცა სტატია გამოქვეყნდა მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემდეგ, 1936 წელს, იოსებ მეგრელიძის მიერ შედგენილ კრებულში.

იური მარი სტატიის დასაწყისში აღნიშნავს, რომ არნოლდ ჩიქობავას წერილი „ფერეიდნელ ქართველთა ენის“ შესახებ მას მოხსენების გაკეთების შემდეგ საკმაოდ ადგიანებით მიუღია და ის „საფუძვლიანად გამოუყენებია“ სპარსულ-რუსულ ლექსიკონში [Mapp 1936-1: 57], განსახილველ სტატიაშიც ავტორი კეთილსინდისიერად მოიხმობს ჩიქობავას მასალას. ცხადია, რომ სტატიის სახე მოხსენებისთვის მას უკვე ჩიქობავას შრომის გამოქვეყნების შემდეგ მიუცია. სად ან როდის წაიკითხა იური მარმა მოხსენება ფერეიდნელ ქართველთან საუბრის შესახებ, ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ. სავარაუდოდ, ლენინგრადში, აღმოსავლური ენების ინსტიტუტში, საიდანაც ის მივლინებული იყო ირანში სამუშაოდ და სადაც ალბათ წარადგინა კიდეც მივლინების ანგარიში (ის ირანიდან ლენინგრადში დაბრუნდა 1926 წლის ბოლოს, ხოლო 1928 წლიდან უკვე თბილისში მუშაობს).

იური მარის ეს მცირე ზომის ნაშრომი 1936 წელს განხილული აქვს ვასილი ნიკიტინს და შეფასებული აქვს მისი მნიშვნელობა [Nikitin 1937: 284-285], 1977 წელს კი მას საკმაოდ დეტალურად განიხილავს თინათინ ჭავჭავაძე [ჭავჭავაძე 1977: 152-158]. ავტორი წინ წამოსწევს სტატიის უფრო სოციოლინგვისტურ აქცენტებს და მიიჩნევს, რომ მარი ფერეიდნულმა თემამ ენათა კონტაქტების თვალსაზრისით დაინტერესა და სტატიაში თითქოს ის ფერეიდნულს ენათა შერევის ნიმუშად მიიჩნევს.

უნდა ითქვას, რომ მარის სტატიის გაცნობა არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ის რაიმე განსაკუთრებული თეორიის დადასტურებას ისახავს მიზნად. არცერთი სიტყვით არ არის მსჯელობა ენათა შერევის შესახებ, მით უფრო, ფერეიდნული შერეულ ენად არ არის გამოცხადებული.

ეს მცირე ნაშრომი არის მაღალპროფესიული ლინგვისტური დესკრიფციის შესაშური მაგალითი. არანაირი წინასწარ აღებული თეორია აქ არ ილანდება. ერთი მთქმელის, ისიც შემთხვევითის, მონაცემების მიხედვით ავტორი ხაზავს ენობრივი კოლექტივის ლინგვისტური პროფილის ძალიან შთამბეჭდავ და დასამახსოვრებელ კონტურს. დასანანია, რომ ფერეიდნული დიალექტის მკვლევართა ნაშრომებში ეს მონაცემები არ მოხვდა თითქმის საუკუნის განმავლობაში.

ნიკიტინისა და ჭავჭავაძის ნაშრომებში მარის ნაშრომში განხილული ბევრი საკითხი დეტალურად არის აღწერილი, ბევრი კი საერთოდ არაა ნახსენები. ხშირად სადავოა ფაქტების ინტერპრეტაციაც. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ წარმოგვედინა სტატიის, როგორც ფერეიდნული დიალექტის შესწავლის მნიშვნელოვანი წყაროს ყველა არსებითი დეტალი.

ნაშრომი სულ ოთხ არასრულ გვერდს მოიცავს, თუმცა დიალექტის შესახებ თითქმის ყველა საკვანძო საკითხს ეხება.

დიალექტის შესწავლის ისტორია: იური მარი იცნობს ამბაკო ჭელიძისა და არნოლდ ჩიქობავას მიერ გაწეულ შრომას დიალექტის შესწავლის საქმეში. აღნიშნავს, რომ ახლანაირი ირანიდან დაბრუნებულმა ამბაკო ჭელიძემ უმდიდრესი მასალა ჩამოიტანა ფერეიდნულის შესახებ. არნოლდ ჩიქობავას ნაშრომიც უკვე ცნობილია მისთვის, მაგრამ მაინც საჭიროდ მიიჩნევს თავისი ჩანაწერების გამოქვეყნებას.

დიალექტის დასახელება: იური მარი ფერეიდნულ დიალექტს მოიხსენიებს, როგორც „ფერეიდნელ ქართველთა ენას“ (Язык ферейданских грузин).

ტერმინი „კუნძული“: სწორედ ასე მოიხსენიებს ავტორი ფერეიდნელთა მეტყველებას: „ქართული კუნძულაკი (ОСТРОВОК) სპარსეთში“.

ლექსიკური შედგენილობა:

1. მეთაღიას მეტყველებაში ბევრი სპარსული სიტყვაა.
2. ასზე მეტი რიცხვითი მნიშვნელობის რიცხვით სახელებს ასახელებს მხოლოდ სპარსულად: ბისტოზე ჰაზარი bistose hāzari – 23 000
3. ნაწილაკი „ელა“
4. მორახანსობა – შევებულება. სიტყვა ჩაწერილია ქართულად, არ ახლავს ტრანსკრიპცია, თუმცა ხ-ს თავზე ერთგვარი ნიშანი უზის. ხომ არ ნიშნავს, რომ ავტორი ვ-ს გულისხმობს? თუ სპარსული გამოთქმის თავისებურებაა აღწერილი?
5. აბონე
6. ბაიტა
7. ყურძენი (ვენახი არ იციან, რა არის)
8. კაკალი
9. გეზი (მანნი მანა)
10. წყარო და არა ჩაშმა
11. ღამე ზენი
12. გორჯი ფოშაშ
13. ხისა არის

14. თირ
15. ნაშა ხარ? (მისაღმების მნიშვნელობით. გამარჯობა // გაგიმარჯოს
16. შენის ღოვლათით
17. როგორა ხარ?
18. ადლი (здесьный метр)
19. ბოძი
20. ნაშა // ნაშაი – კარგი (ყველა შემთხვევაში): კარგი კაცი, კარგი სოფელი (ჩიქობავა ამ მნიშვნელობით ადასტურებს სიტყვას „ლაშაზი“. როგორც ჩანს, მეთაღიას მეტყველებაში ეს სიტყვა არ გამოვლენილა).
21. ჯარი
22. გაჰმა
23. მოჰნავენ
24. ჯებო
25. ცხორი // ცხჷორი
26. ფური
27. ფურის ძუძუ (ყურძნის ჯიშია)
28. ძუძუ
29. მაყრის კაცები
30. შირ ბაჰა
31. ყორის პატრონი = ქალის მამა (იური მარს კითხვის ნიშნით აქვს ეს ვარაუდი გამოთქმული, თუმცა, როგორც ჩანს, ეს მართლაც ასეა – ყორის პატრონი – ქალიშვილის მამა უნდა იყოს).
32. ნიკი = ნეკი
33. დიდ თითი
34. თითი (ყველა სხვა თითი)
35. სტირი და ნალარა
36. შაერი = პოეტი
37. ქეთაბი
38. ენა
39. ჩირდილი
40. ქოლლა
41. მოზობელი
42. ცხენი
43. ჯორი
44. მაღიანი
45. ფაიზს (= შემოდგომით, შემოდგომაზე)
46. ჰარ წელს
47. გამიკირდა
48. ქალი – გოგონა, ქალიშვილი
49. ღელაკაცი – ცოლი

50. ცოლ-ქმარი (ცალკე სიტყვა ცოლის მნიშვნელობა არ ესმის, მხოლოდ კომპოზიციის შემადგენლობაშია დარჩენილი)
51. ჯამბათი
52. აა // ალა
53. მასალა
54. ხიდმათი
55. ღირქი
56. ხეჯალათი არ გაეზიდე? – არ შეგრცხვა?
57. ჭონკა ნამაი

ბგერითი შედგენილობა: ბგერითი შედგენილობიდან გამოყოფს სრულიად გამონათქვამი ფ-ს, აგრეთვე კ (q*)-სა და უმლაუტიან, როგორც ავტორი უწოდებს „თითქოს დარბილებულ“ ა (a) – ä-ს სპარსულ სიტყვებში.

იური მარი ცალკე არ გამოყოფს ე.წ. ირაციონალურ ხმოვანს, თუმცა ერთ ფორმაში ადასტურებს მას: კვბო.

სპარსული მეტყველება:

- მთქმელის სპარსული მეტყველება გამოირჩევა ძლიერი ქართული აქცენტით, თუმცა სპარსული სიტყვებს, რომლებსაც ის ქართულ მეტყველებაში ურევს, უფრო სპარსულ ყაიდაზე წარმოთქვამს (на персидский лад).
- სპარსულ სიტყვებში ბოლოკიდური ა ხმოვანი ისმის როგორც ღია ა.

კალკები და პარალელიზმი: 1600 – თექსმეტ ხელად ასი – ათასი და ექსასი

„როცა მე გავიკვირევე ასეთი გამოთქმა, მან მითხრა, თქვენებურადაც შეიძლება ჩვენთან თქმა: ათასი და ექსასი, ჩაიწერეო“.

მე მოლლა არა ვარ (სპარს. სიტყვა-სიტყვით: მე წერა-კითხვა არ ვიცი).

ქართული სოფლების სახელები და მოსახლეობა:

1. ზელა ახორა, იგივე მარტყოფი, ცხოვრობს 1600 კომლი, 20 მეჩეთი და 7 აბანოა.
2. ქვედა ახორა
3. ჭულრუთი
4. ჯაყჯაყი
5. სიბაქი
6. ტაშქესანა (ჩიქობავასთან დაშქესანა)
7. ბოი*ნი // ბოინი
8. ღომბე ქამარი (ჩიქობავასთან ქი*ამარი) ამ სოფელზე ვკითხე, სპარსული ხომ არ არის-მეთქი? არა, ელა ქართულიაო, მიპასუხა მან.
9. აფ*უსი

10. ახრად (აქ თვითონვე სვამს კითხვის ნიშანს – შეეცდომა ხომ არაა და ჩიქობა-ვასთან რომ ახჩაია, იგივეაო?)
11. შაურდი
12. ხამის ლიანი
13. უზუნ ბულაყი

200 კომლზე ნაკლები მოსახლეობა არცერთ სოფელში არ არის – „ის რო ბაიტა არი, ორასი სახლია“.

გრამატიკული თავისებურებანი:

- ყე ნაწილაკი (ჩამოვლიან-ყე – თქვა მან დარწმუნებით!!! (Утвердительно) ამ ხაზგასმით თითქოს მარი ყე ნაწილაკის სწორედ იმ თვისებაზე მიუთითებს – რასაც ჩვენ მრავალგზისობის, მოქმედების ინტენსივობის ფუნქციის გამო-ხატვას ვუწოდებთ.

შიდადიალექტური დიფერენციაცია: იური მარი მიანიშნებს შიდადიალექტურ დიფერენციაციაზეც. მისი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ფერეიდანში ორი დიალექტია (ენა), ერთ დიალექტში ამბობენ: **ქოლლა**, მეორეში – **ჩირდილი**. თვითონ იმ დიალექტის წარმომადგენელია, რომელშიც **ჩირდილს** ამბობენ.

წეს-ჩვეულებები: აღწერილია საქორწინო რიტუალი: **მაყრის კაცი (ები)** მიდიან პატარძლის სახლში და იხდიან იქ შირ ბაჰა-ს – ასე ქვია ფულს, რომელსაც პატარძლის დედა იღებს სიძისგან. **ყორის პატრონი** იღებს სტუმრების გამასპინძლების ხარჯებს. შემდეგ მიჰყავთ სიძესთან და იქ იმართება ნადიმი. დადგებიან დიდ ოთახში ერთ კედელთან კაცები, მეორე კედელთან ქალები, ჩაჰკიდებენ ნეკებს ერთმანეთს (**ნიკი**) და რიგ-რიგობით მღერის ხან ერთი მხარე, ხან – მეორე.

მუსიკოსებად სომხებს უძახიან.

მუსიკალური ინსტრუმენტებიდან აქვთ **სტირი და ნალარა**. ჰყავთ პოეტები (შაერი) და განათლებული ადამიანები. მეთალიას თქმით, ფერეიდნელი მოლები ისპაჰანში „ჩამოვლიან ყე“, ისინი ქართულ ენაზე ქართული ასოებით წერენ, ასე რომ, სპარსელებს მათი არ ესმითო.

მათ ჰყავთ თავიანთი მსახიობები... რაღაც რიტუალებისთვის, თქვა, რომ გასულ წელს აშურის დღეს „ღამე ზენი-ს“ დროს ორი ადამიანი სასიკვდილოდ დაიჭრა.

თქმულება: მეთალიამ აგრეთვე უამბო მონადირეზე, რომელიც მთაში წავიდა სანადიროდ და გარეული თხა მოკლა. როცა მიუახლოვდა ნანადირევს, თხამ შეხედა, ჩაიცი-ნა და უთხრა: ხეჯალათი არ გაეზიდე? (არ შეგრცხვია?). მონადირემ გონება დაკარგა. თანასოფლელებმა, რომლებმაც წაიყვანეს სახლში მონადირე, მოკლული თხის ადგილას მხილოდ სისხლის გუბე ნახეს. მონადირე რაღაც დროის შემდეგ გარდაიცვალა.

მეთალიამ განმარტა, რომ ეს იყო **ჭონკა ნამაი**.

ქართული სოფლების მდებარეობა და მეურნეობა: „ისპაჰანიდან ფერეიდანამდე 25 ფარსახია, ანუ 5 მენხელი. მეთალიას შეგებულება – მორახანსობა აუღია და 2 დღეში გაუვლია ეს მანძილი.

მეურნეობა: ყურძენი, კაკალი, გეზი – ძალიან ბევრია.

ქართული სახლები სპარსული სახლებისგან განსხვავდება იმით, რომ სახურავის ორი ძელისგან იგება – (თირ) თითოეული მათგანი ბოძითაა გამაგრებული (ბოძი). ასეთ სახურავს ქართულს უძახიან: გორჯოფოშაშ.

მდიდარი სპარსელები ქართველებს სთხოვენ ასეთი სახურავის გაკეთებას.

როგორც ვხედავთ, ამ მცირე ზომის სტატიაში მკვლევარი იძლევა ფერეიდნული დიალექტის შესახებ უძვირფასეს ცნობებს.

- განსაკუთრებით ფასეულია ცნობები დიალექტის შიდადიფერენციაციის შესახებ, რამდენადაც იმ პერიოდში და შემდეგ ათწლეულებშიც სამეცნიერო წრეებში გაბატონებული იყო და დღესაც კი არსებობს აზრი დიალექტის ერთგვაროვნებისა და მისი მხოლოდ კახური დიალექტისგან წარმომავლობის შესახებ. ფერეიდნული ხანდახან დღესაც კი იხსენიება კახური დიალექტის კილოკავად.
- სტატიაში მოცემულია პირველი დაკვირვება ეთნიკური ქართველების სპარსული მეტყველების თავისებურებაზე, სახელდობრ, ქართული ენის გავლენაზე სპარსული ბგერების გამოთქმისას.
- მოცემულია ქართული სოფლების ჩამონათვალი, რომელიც შედარებული არან. ჩიქობავას მიერ წარმოდგენილ სიასთან.
- დამოწმებულია სამოცამდე ლექსიკური ერთეული და გამოთქმა, რომლებიც იმდროინდელი ფერეიდნულის, სახელდობრ, ბოინ-მიანდაშთის ზონის სოფლების მეტყველებას უნდა ეკუთვნოდეს.
- საყურადღებო ცნობებია დიალექტის ბგერით შედგენილობაზე და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, 1977 წელს თინათინ ჭავჭავაძე საგანგებოდ შეეხო იური მარის ამ დიალექტოლოგიურ ნაშრომს. ვფიქრობთ, ავტორი სრულიად გაუმართლებლად ცდილობს ისეთი აქცენტების დანახვას ტექსტში, რაც იქ ნამდვილად არ იკითხება. სადავოდ მიგვაჩნია მისი შეხედულება ზოგ საკითხზე, განსაკუთრებით ზოგი ლინგვისტური ფაქტის ინტერპრეტაციის დროს:

ავტორი მიიჩნევს, რომ იური მარის ეს შემთხვევითი საუბარი ფერეიდნულ მეთაღისთან მკვლევარმა საგანგებოდ ისე დაგვემა, რომ ენათა კონტაქტები შეესწავლა.

„... მარი, როგორც ირანისტი, ირანულ სამყაროში მოქცეული ქართული ენით დაინტერესდა ენობრივი კონტაქტების თვალსაზრისით და ამიტომ თავისი საუბარი ფერეიდნულ ჯარისკაცთან მან სწორედ ისე წარმართა, რომ რამდენადმე გაერკვია ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის სპარსულ ენასთან კონტაქტირების საკითხი“. ი. მარმა ფერეიდნულ ჯარისკაცს სთხოვა, ფერეიდნელთა საქორწინო ცერემონიალის ტრადიციების აღწერა და გამოარკვია, რომ ფერეიდნელთა საქორწინო ცერემონიალის ის ტრადიციები, რომლებიც ემთხვევა სპარსულ საქორწინო რიტუალს, სპარსულად იყო გააზრებული და სპარსული სახელწოდებით აღინიშნებოდა“ [ჭავჭავაძე 1977: 153].

უნდა აღინიშნოს, რომ მარის სტატიაში არ ჩანს, მკვლევრის მიერ დასმულ კითხვებს პასუხობს მეთაღია, თუ მისგან რაიმე გაბმული მეტყველებაა ჩაწერილი.

სავარაუდოა, რომ მარი იმუშავებდა წინასწარ შედგენილი კითხვარით. ეს მისი მუშაობის მეთოდი იყო. საილუსტრაციოდ გავისხენებთ იოსებ მეგრელიძის მოგონებას: КИАМ-ში მუშაობის დროს დავახლოვდით. იური მარი მუშაობდა ფერებისა და ელფერების საკითხებზე სპარსულ ენაში და დამავალა, ანალოგიური მასალა მომეძებნა ქართულშიო. სპეციალური კითხვარი შეადგინა ამ საქმისთვისო [მეგრელიძე 1980: 9].

ჩანს, რომ მარი სტატიის წერისას ისპაჰანში შედგენილ ჩანაწერს მიჰყვება. ზოგჯერ მას ეეჭვება კიდეც საკუთარი ინფორმაციის სისწორე, მაგალითად, ერთგან კითხვას სვამს – მე მიწერია „ახრაი“, ხომ არ უნდა იყოს აქ „ახნა“ – როგორც ეს ჩიქობავას აქვს ჩაწერილიო? მართლაც, მას შეცდომით აქვს ამ სოფლის სახელი ჩაწერილი.

მარის სტატიის მიხედვით ნაკლებად ჩანს, რომ ის მაინცდამაინც ენობრივი კონტაქტების კვალის გამოსავლენად სვამს კითხვებს. თუკი სტატიას მივყვებით და იური მარის სავარაუდო კითხვარის აღდგენას შევეცდებით, დავინახავთ, რომ ეს არის ენის პირველადი და ზედაპირული დოკუმენტირების ტრადიციული მეთოდი: ბგერითი შედგენილობის, ლექსიკური მარაგის, თვლის სისტემის, სოციოლინგვისტური ფაქტორების გამოსავლენად კითხვების დასმა ან თემატური ნარატივის (ქორწინება, დღესასწაულები, საყოფაცხოვრებო ისტორიები) პროვოცირება.

იური მარის სტატიაში ვერსად შეხვდებით მსჯელობას ფერეიდნულის „შერეულობის“ შესახებ. ის მასალა, რომელსაც მკვლევარი ეყრდნობა, არ იძლევა ასეთი შორსმიმავალი დასკვნის გაკეთების საშუალებას.

ენების შერევის წინასწარაღებული იდეა იმდენად იტაცებს თ. ჭავჭავაძეს, რომ იური მარის სულ რამდენიმესტრიქონიან შენიშვნას ბგერითი შედგენილობის თაობაზე ასეთი ინტერპრეტაციით გვაწვდის: მოიხმობს გ. ახვლედიანის დებულებას – „ორენოვნების პირობებში მშობლიური ენის ფონეტიკური სისტემის ცვლა უცხოური (ე.ი. მეორე მშობლიური) ენის გავლენის შედეგად ჩვეულებრივი მოვლენაა“ და დაასკვნის: „ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ფერეიდნულმა ქართულმა სპარსულ ენასთან მჭიდრო კონტაქტის შედეგად სწორედ გაამარტივა თავისი ფონეტიკური სისტემა, ანუ შეამცირა ამ ორი ენის სისტემებს შორის განსხვავება ზოგიერთი დათმობების საშუალებით“ [ჭავჭავაძე 1977: 155].

ამ „დათმობებში“ ავტორი გულისხმობს, რომ მართალია ვ, როგორც ქართული ფონეტიკური სისტემის სპეციფიკური ბგერა, შეინარჩუნა ფერეიდნულმა, სამაგიეროდ f გაჩნდა სპარსული ენის გავლენით – „ქართული ენის დიალექტმა, მე-17 საუკუნიდან მოწყვეტილმა თავის მშობლიურ არეალს, ერთი საკუთრივ ქართული ფონემა ვ – q*, რომელიც დღესაც იხმარება ზოგიერთ ქართულ დიალექტში, შეინარჩუნა, მეორე ასევე სპეციფიკური ბგერა კი, ბილაბიალური ყრუ ხმოვანი ფონემა „ფ“ შეცვალა რამდენადმე განსხვავებული არტიკულაციის სპარსული ფონემით, კერძოდ, ლაბიოდენტალური ყრუ სპირანთით f-თი [ჭავჭავაძე 1977: 155].

იური მარი ბგერით შედგენილობაზე ასე წერს: „წარმოთქმის თავისებურებათაგან მე აღვნიშნე სრულიათ მკაფიო φ, შემდეგ ვ და თითქოსდა შერბილებული ა – ა

სპარსულ სიტყვებში“ [Mapp 1936-1: 58]. არ ასახელებს მაგალითებს. არ აგრძელებს მსჯელობას.

სტატიაში სხვა ადგილას ის ასახელებს მხოლოდ ვ-ს შემცველ ოთხ სიტყვას, რაც შეეხება ჟ-ს შემცველ სიტყვებს, ასეთი ერთადერთია დამოწმებული – აჟუსი.

ჟ ბგერა ქართული დიალექტებისთვის ისევე დამახასიათებელია, როგორც ვ და ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით თითქმის ყველა დიალექტში გვხვდება. ამასთან, ზოგ მათგანში ის მართლაც ნასესხებ სიტყვებსაა შემოყოლილი, უმეტესობაში კი ვ-ს დაყრუებითაა მიღებული (ჟ-კლავ, ჟ-ჭრი....). ასე რომ ჟ-ს არსებობა ფერეიდნულში არ შეიძლება შეფასდეს როგორც სხვადასხვა ფონეტიკურ სისტემათა „ერთიერთგანმსჭვალვის“ ფაქტი, როგორც ამას თინათინ ჭავჭავაძე მიიჩნევს და ვერც იმის დასტურად გამოდგება, რომ ფერეიდნული ენათა შერევის მაგალითად უნდა განვიხილოთ ამის გამო.

აქვე უნდა დავამატოთ, რომ ფერეიდნულმა შეინარჩუნა არა მხოლოდ ვ, არამედ ყველა მკვეთრი ბგერა, რომელიც უცნაო სპარსულისთვის.

მკვლევარი ასევე განიხილავს ბაიტა, ვზო, აბონე ფორმებს, როგორც სპარსული წარმოთქმის გავლენის ნიშნებს. იური მარი ამ ფორმებს აფიქსირებს, მაგრამ არანაირი ვარაუდი არა აქვს გამოთქმული სპარსულის გავლენაზე.

ჩვენი აზრით, ბაიტა და ვზო წმინდა ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი ფორმებია და ისინი ფერეიდნული დიალექტის მონოლითურობის შესახებ, ბირთვულ ენობრივ არეალთან მჭიდრო და მტკიცე კავშირზე მიუთითებს და არამც და არამც მის „შერეულობაზე“ (შდრ.: „ბატარა“ მთის დიალექტებში, პაშტა < პაბტა ძვ. ქართ. „ვტ“; ხობო – აჭარულში...).

იური მარი ასევე სპარსული ენის გავლენით ხსნის ზოგიერთ სიტყვაში ხმოვნის გაჩენას (ბერინჯი, მოსხილი, ისტაფილი“ [ჭავჭავაძე 1977: 156].

ავტორის მოჰყავს აღნიაშვილის მიერ დამოწმებული ფორმა „სტაფილი“ [აღნიაშვილი 1896: 211], აგრეთვე ჩიქობავას ახსნა ბაიტა-ს წარმომავლობაზე (ჩიქობავა 2010: 218);

ის მსჯელობს სიტყვაში („ბატარა“) ბოლო მარცვლის აპოკოპირების შესახებ და მაგალითად მოჰყავს აღნიაშვილის წიგნში დამოწმებული ფორმა „ინა“ < ინანა (აღნიაშვილი, 1896: 208).

თ. ჭავჭავაძე სვამს კითხვას: „რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს სპარსული ელემენტების იმ ნაწილს ფერეიდნულ დიალექტში, რომელიც ი. მარმა გამოავლინა? ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის რა თავისებურების ხაზგასმა სურდა ი. მარს ფერეიდნულში სპარსული ენის ზემომოყვანილი ელემენტების კონსტატაციით? ვფიქრობთ, ი. მარის ეს დაკვირვებები არ უნდა ემსახურებოდეს ენაში სხვა ენიდან შესული ელემენტების იმ პროცენტის გამოვლინებას, ურომლისოდაც რიგ მეცნიერებს (როგორებიც იყვნენ მაგალითად, შუხარდტი, ნ. მარი, ბოლუენ დე კურტენე და სხვები) არ წარმოედგინათ არცერთი ბუნებრივი ენა. ჩვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ი. მარი ცდილობს გვიჩვენოს ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის სპარსულ ენასთან შერეულობა, თუმცა სიტყვა „შერეული“ ან „ნარევი“ მას თავის სტატიაში არც ერთხელ არ აქვს ნახმარი“ [ჭავჭავაძე 1977: 157]. ამ მსჯელო-

ბის შემდეგ თინათინ ჭავჭავაძე დაასკვნის, რომ თუ შერეულ ენად მივიჩნევთ ენას, რომლის მორფოლოგია ორი ენის მორფოლოგიური ურთიერთგანმსჭვალვის შედეგს წარმოადგენს, მაშინ ფერეიდნულის შერეულობაზე საუბარი არ შეიძლება, რადგან მას არამარტო ძირითადი მორფო-სინტაქსური თავისებურებები აქვს შენარჩუნებული ქართული ენისა (მისი კახური და ინგილოური დიალექტების), არამედ განვითარების ის ზოგადი ტენდენციაც, რომელიც ქართული ენის დიალექტებში მსგავს ენობრივ ცვლილებებს იწვევს. მაგრამ თუ შერეულ ენად მივიჩნევთ „ორენოვნების პროდუქტს, რომელშიც კომპლექსურად არის წარმოდგენილი უცხო ენის გავლენა როგორც ენის ფონეტიკაში, ისე მორფოლოგიაში და ისე ენის ლექსიკურ შემადგენლობაში... მაშინ ი. მარის მიერ მოპოვებული მასალა თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისითაც იძლევა საფუძველს, დაისვას საკითხი ფერეიდნული ქართულის შერეული ბუნების შესახებ“ [ჭავჭავაძე 1977: 157]. მარმა აღწუნსა დიალექტის ისეთი თავისებურებები, რომლებიც ენათა შერეულობის ელემენტებს წარმოადგენენო, ამბობს თ. ჭავჭავაძე და ჩამოთვლის ამ „ელემენტებს“:

1. ფონეტიკურ სისტემათა ურთიერთგანმსჭვალვა (ფ-ს არსებობა ფერეიდნულში და ბოლოკიდური ა-ს წარმოქმნა ფერეიდნულთა (ერთი პირის მეტყველებაში) სპარსულში – რამდენად შეიძლება ეს ფონეტიკურ „ურთიერთგანმსჭვალვად“ ჩაითვალოს?!).
2. სპარსულ სიტყვათა ქართული სუფიქსით გაფორმება (ერთადერთი მაგალითი – მორახსობა).
3. შესიტყვებებში ქართული და სპარსული სიტყვების ერთად ხმარება (ერთადერთი მაგალითი: ჰარ წელს).
4. გამოთქმათა ფსიქოლოგიური და სემანტიკური კალკირება (თითო მაგალითი: მე მოლლა არა ვარ და თექსმეტ ხელად ასი).
5. რიცხვითი სახელის სპარსული და ქართული წარმოება.

ამ ნიშნებს თ. ჭავჭავაძე სრულიად საკმარისად მიიჩნევს საკუთარი დებულების სამტკიცებლად. თუმცა, ამ ლოგიკით, ასევე თამამად შეიძლებოდა რუსულთან „შერეულ“ ენად გამოგვეცხადებინა 70-იანი წლების ქართული...

იური მარის ეს შრომა, როგორც ვთქვით, ფერეიდნული დიალექტის იმ შენაკადის შესწავლის ყველაზე ძველი ნიმუშია, რომელსაც პირობითად ბოინ-მიანდაშთის (ქვემოფერეიდნული ჩხუბ.) წრის მეტყველება შეიძლება ვუწოდოთ. არნოლდ ჩიქობავამ, რომელმაც სათავე დაუდო ფერეიდნულის მეცნიერულ დოკუმენტირებასა და კვლევას, ეს გააკეთა ე.წ. „მარტყოფული“ (ზემოფერეიდნული ჩხუბ.) მეტყველების ნიმუშებზე დაყრდნობით.

მართალია, იური მარს ტექსტები არ გამოუქვეყნებია, მაგრამ მოგვცა დიალექტის საკმაოდ მკაფიო ლინგვისტური სურათი. იური მარი ირანში „ცოცხალი“ სპარსული მეტყველების შესასწავლად იმყოფებოდა. მას ამისთვის საგანგებო მეთოდური და კონცეპტუალური მომზადება ჰქონდა გავლილი. ცოცხალი მეტყველების ნიუანსების დოკუმენტირება და კვლევა მისი და მისი გარემოცვის სამუშაო პრიორიტეტი იყო. აი რას სწერდა ერთ პირად წერილში უფროსი მარი იოსებ მეგრელიძეს: „ფაქტების შეგროვება ისე უნ-

და ჩატარდეს, რომ სამკვლევარო ხასიათი მიიღოს, თვით მასალის შეგროვება კვლევას წარმოადგენს, ეს არასდროს არ უნდა დავივიწყოთ. ენათმკვლევარის მუშაობა არც მიწის მოქმედის, არც სხვა რამ დარგის სამკვლევარო საქმეს მიემსგავსება, განსაკუთრებით, როცა ცოცხალი ენა იკვლევა. თუნდ მკვდარიც იყოს, ან წერილობითი, რომელსაც ისე უნდა მოეპყროთ, მოძრაობა შეამჩნიოთ და მის მიმდინარეობას ჩაუდგეთ კვალი და არა.... ლეშსავით უძრავ დასახულობას“ [Mapp 1980: 130]. იური მარის ოთხგვერდიანი გამოკვლევა, რომელიც ერთი მთქმელისგან ხანმოკლე დროის განმავლობაში შეკრებილ მასალას ეყრდნობა, სწორედ ამ კონცეპტუალური მიდგომით არის შესრულებული.

იური მარის მეორე სტატია „ქართული ფერეიდანის ხალხური სიტყვიერების ორი პატარა ნიმუში“ ეძღვნება ამბაკო ჭელიძის მიერ გაგზავნილი ორი ფოლკლორული ფრაგმენტის ანალიზს. ერთი სპარსული ლექსია, მეორე – ქართული. სპარსული ლექსისა და მისი რუსული და ქართული თარგმანების გვერდით იური მარი ქვეყნებს საკმაოდ ცნობილი ფერეიდნული ლექსის ვარიანტს:

გადი-გამოდინ ჩიტები,
მე შენ როგორ შეგეჭიდები,
გადი-გამოდინ კაკბები,
მე შენ გულში ჩაგეკოკბები,
შენ იჯექი რუის პირსა
ხალი გაჩნდა გულის პირსა.

ეს ქართული ლექსის პირველი პუბლიკაცია არ არის. 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“ გამოქვეყნდა იოსებ ჭეიშვილის გამოუქვეყნებელი არქივიდან რამდენიმე ფოლკლორული ნიმუში, მათ შორის, ერთი ამ ლექსის ვარიანტი იყო.

შემდგომი კვლევები

მართალია, ენის საკითხებს საგანგებოდ არ ეხება, მაგრამ დიალექტოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო ცნობებს შეიცავს **ამბაკო ჭელიძის** ზემოთ უკვე ნახსენები წიგნი „ფერეიდნული ქართვლები“. წიგნში გვხვდება სოფლების დასახელებები, ტოპონიმები, ანთროპონიმები, ნაშრომის ბოლოს დართულია მცირე ლექსიკონი, რომელშიც ფერეიდნული დიალექტის კუთვნილი არაერთი საყურადღებო ლექსიკური ერთეულია წარმოდგენილი.

მნიშვნელოვანია **მაგალი თოდუას** მიერ ფერეიდანსა და თეირანში 1969-1972 წლებში ჩაწერილი მეტყველების ნიმუშები. რომლებიც 1975 წელს გამოიცა. ამ ტექსტებს თან ერთვის **მაია მაჭავარიანისა** და **მაგალი თოდუას** მიმოხილვა, რომელშიც გაანალიზებულია ფერეიდნულთა მეტყველებაში დადასტურებული როგორც ფონეტიკური, ისე მორფოლოგიური პროცესები.

ფერეიდნულის თემაზე სხვადასხვა პერიოდში ბევრ მეცნიერს აქვს გამოქვეყნებული სტატიები: თ. ჭავჭავაძე, ი. ჭიპაშვილი, თ. ჩხეიძე, ლ. ფრუიძე, თ. ცაგარეიშვილი, ნ. ბართაია და სხვ.⁸⁰

80. იხ. ბიბლიოგრაფია.

ფერეიდნული მეტყველების კვლევას ხელი შეუწყო მეოცე საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში დაბრუნებული ფერეიდნელებისგან ჩაწერილი მასალის მეცნიერულმა ანალიზმა: 1973 წელს გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით შედგა კომპლექსური ექსპედიცია რეპატრიანტ ფერეიდნელთაგან ტექსტების ჩასაწერად. ისტორიკოსებთან, ეთნოგრაფებთან და მუსიკათმცოდნეებთან ერთად მასალას იწერდნენ ცნობილი ენათმეცნიერები **დარეჯან ჩხუბიანიშვილი** და **თელო უთურგაიძე**, ირანისტი **ჯემშიდ გიუნაშვილი**, რომლებმაც რამდენიმე საყურადღებო სტატია გამოაქვეყნეს. ერთ-ერთ ნაშრომში მათ ფერეიდნულს „კახური დიალექტის ფერეიდნული კილო“ უწოდეს, თუმცა 1998 წელს, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მივლინების შემდეგ, სხვადასხვა სოფლის მეტყველებაზე დაკვირვებამ მკვლევართათვის გასაგები გასადა, რომ „ფერეიდნული არ არის ერთგვაროვანი მისი გავრცელების მთელ ტერიტორიაზე“ [ჩხუბიანიშვილი 2012: 172]. ეს იყო ფერეიდნულის შიდადიფერენციაცაზე პირველი მეცნიერული მინიშნება. დარეჯან ჩხუბიანიშვილმა შემოიტანა ტერმინები „ზემოფერეიდნული“ და „ქვემოფერეიდნული“, რომელთაგან პირველი გულისხმობდა ფერეიდუნშაპრის, ჩულრუთის, სიბაქისა და ჯავჯავაყის მეტყველებას, მეორე კი – თორელის, ბოინის, ახჩასა და დაშქესანას მეტყველებას (ჩხუბიანიშვილი 2012: 172).⁸¹

როგორც ზემოთაც ვთქვით, ეს ექსპედიცია ფერეიდნული მეტყველების შესწავლის მიზნით ირანის ისლამურ რესპუბლიკაში დაიგეგმა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიწვევით, დაფინანსებითა და დახმარებით. მასალა ჩაიწერეს ფერეიდუნშაპრისა და დარან-მიანდაშთის რაიონების 12 სოფელში: 22 ნახევარსაათიანი, 58 თხუთმეტწუთიანი, 27 სამოც და ოთხმოცდაათწუთიანი ფირები [გიუნაშვილი 2007: 13].

ცალკეა აღსანიშნავი უცხოელ მეცნიერთა დაკვირვებები ფერეიდნულ მეტყველებაზე. 1964 წელს ამერიკელი მეცნიერი **დონალდ სტილო**⁸² იმყოფებოდა ფერეიდანში და იქ ჩაიწერა მასალა, რომლის საფუძველზეც აქვს საინტერესო დაკვირვებანი ფერეიდნულ მეტყველებაზე [Stilo 2018].

ბაბაკ რეზვანი 2008-2009 წლებში ფერეიდნული ქართველების შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებში განიხილავს ენობრივ საკითხებსაც. ის ეხება ფერეიდნელთა მეტყველების ზოგიერთ თავისებურებას და მათ საფუძველზე გამოთქვამს აზრს, რომ ფერეიდნული ქართველები საქართველოს ჩრდილოეთ ან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მთიანეთიდან არიან წამოსული.

მას წარმოდგენილი აქვს რამდენიმე არგუმენტი: 1. ფერეიდნული ქართველები მ-ს კარგავენ თანხმონების წინ – გელი – გელი; 2. ფერეიდნული დიალექტი იყენებს ლოკატიურ -ჩი ზმნისწინს ნაცვლად სტანდარტული ში-სა; 3. დ-ის გამოყენება,

81. ჩვენ ამ ნაშრომში უმეტესად ვიყენებთ ტერმინებს: მარტყოფის წრის სოფლები (ზემოფერეიდნულის ნაცვლად), ბოინ-მიანდაშთის (ქვემოფერეიდნულის ნაცვლად) წრის სოფლები.

82. ამჟამად დონალდ სტილო მუშაობს გერმანიაში, ლაიფციგის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ლინგვისტურ განყოფილებაში.

ასევე ვა კომპლექსის ოუ კომპლექსში გადასვლა; 4. გამოთქმები: რას იქმ? ღმერთს ებარებოდე, რაც, მისი თქმით, არ არის სალიტერატურო ქართულში და ბოლო 5. -ყე ნაწილაკის გამოყენება ზმნებთან, რაც ძველი ქართულისთვის იყო დამახასიათებელი და დღეს, მისი თქმით, შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილო მთის დიალექტებში. ამას გარდა, მკვლევარს მიაჩნია, რომ ფერეიდნულის არქაულობაზე მიუთითებს ფერეიდნელთა მეტყველებაში დადასტურებული ლექსიკური ერთეული „დილობა“, ნაცვლად „დილისა.“ მკვლევრის აზრით, ის ფაქტი, რომ ქართულ ენაში არსებობს სიტყვა სადილი, რომლის ძირშიც არის სიტყვა **დილა**. დამატებითი არგუმენტია იმისთვის, რომ „დილა“ უძველეს პერიოდში აღნიშნავდა დღის მოგვიანო მონაკვეთს, ხოლო „დილობა“ (დილის დადგომა) დღის ადრეულ სტადიას. ამდენად, მკვლევარი ასკვნის, რომ ფერეიდნულის კონსერვატიულობის მიზეზი უნდა იყოს პროტო-ფერეიდნულის არსებობა, სპარსეთში გადმონაცვლების შემდეგ მან განიცადა მეზობელი სპარსელების, ბახტიარების, სომხებისა და თურქების ენების საგრძნობი გავლენა. ფერეიდნული ასევე იყენებს მდინარის მნიშვნელობით სიტყვას „ვევი“, ბაბაკ რეზვანი იქვე იძლევა ქართულში „ხევის“ განმარტებას, ამასთანავე უთითებს, რომ გამოიყენება სხვა თანხმოვანი *q* (გულისხმობს ჯარს). მდინარის მნიშვნელობით ვევის გამოყენება, მისი თქმით, იმაზე მიუთითებს, რომ პროტო-ფერეიდნელების სამშობლო უნდა ვეძებოთ საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთში და არა სამხრეთში, ქართლსა და კახეთში, სადაც ჩამოედინება ისეთი დიდი მდინარეები, როგორებიცაა მტკვარი, ალაზანი და იორი. ამ არგუმენტების საფუძველზე ბაბაკ რეზვანი ვარაუდობს, რომ პროტო-ფერეიდნელები უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ვინც ლაპარაკობდა ჩრდილო ქართულ დიალექტებზე, რომლებიც მე-17 საუკუნისთვის საკმაოდ კონსერვატიული იყო [Rezvani 2008: 606-607].

ის მაგალითები, რომლებიც მეცნიერს მოჰყავს, ბუნებრივია, ვერ გამოდგება არგუმენტად ფერეიდნული დიალექტის ჩრდილოეთ ან ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოსთვის კუთვნილებისათვის, რადგან მის მიერ განხილული ენობრივი მოვლენები დამახასიათებელია არა მხოლოდ ჩრდილოეთის მთიანეთისთვის, არამედ ქართული ენის სხვა დიალექტებისთვისაც და ფერეიდნელთა წარმომავლობის შესახებ მათი ასე დაბეჯითებით დამოწმება არ არის გამართლებული. მაგალითად: α ქართული ენის ჩვიდმეტივე დიალექტში გვხვდება, μ - თანხმოვნის დაკარგვაც ასევე საერთო მოვლენაა: მგელი > გელი, მკლავი > კლავი...; -ყე ნაწილაკი აქტიურია კახურშიც – ის აღმოსავლეთის ბარის დიალექტია, იმერულშიც, რომელიც დასავლური დიალექტია.

2004 წლიდან ჩვენი ჯგუფი (ხელმ. მარინა ბერიძე) აქტიურად ჩაერთო ფერეიდნულის კვლევისა და დოკუმენტირების პროცესში. 2008-2018 წლებში რამდენჯერმე ვიყავით ფერეიდანში მივლინებით. ვრცელი ტექსტური და ლექსიკური მასალის გაანალიზებამ ცხადყო, რომ შიდაენობრივი დიფერენციაცია ფერეიდნულში საკმაოდ მკვეთრადაა გამოხატული და მის აღსაწერად და ასახსნელად საკმარისი არ არის მხოლოდ ლოკალური სივრცული მიმართების ამსახველი ტერმინები – ზემოფერეიდნული და ქვემოფერეიდნული.

ფერეიდნელთა მეტყველებაში ენობრივი განსხვავებანი ეწინააღმდეგება სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულ აზრს, რომ ფერეიდნული მეტყველება მხოლოდ კახური დიალექტიდანაა წარმომდგარი და ფერეიდნელი ქართველები მხოლოდ კახეთიდან გასახლებული მოსახლეობის შთამომავლები არიან.

2. შიდადიალექტური სხვაობა ფერეიდნულ დიალექტში

როგორც აღვნიშნეთ, ფერეიდნული მეტყველება არ არის ერთგვაროვანი.

ლალა აღნიაშვილი თავის წიგნში, „სპარსეთი და იქაური ქართველები“, საუბრობს შიდადიალექტურ სხვაობაზე ფერეიდნულში და წარმოადგენს განსხვავებულ ლექსიკას, რომელიც სხვადასხვა სოფელში გამოიყენებოდა ერთი და იმავე საგნის აღსანიშნად:

„შევნიშნე აგრედვე, რომ ზოგიერთ საგნებს სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა ნიარ სახელს უწოდებენ, მაგალითად: ქალს, ქალსავე ეძახიან და ზოგან კი ყორს-ს; ციბრუტს მარტყოფში - „თაუშტერას“ და თოლერში – შალოფისს; კაკალსა და ხერხს ასრევე ეძახიან ყველგან, მხოლოდ ახნაში და აჭუსში, პირველს, – „ხატრუკს“ ეტყვიან, მეორეს – ფხაჭიფხუჭას; ნიტრას ახნაში და აჭუსში ეძახიან – სურას“, თოლერში - „ყარყარასს და მარტყოფში ჭურჭელსს“ [აღნიაშვილი 1896: 212].

1922 წელს გაზეთ „ლომისის“ N16 ნომერში გამოქვეყნებული სტატია ვარლამ თოფურიასი „ნიმუში ფერეიდნის ქართული ენისა“ და არნ. ჩიქობავას კვლევები ეფუძნებოდა სეიფოლა იოსელიანისგან ჩაწერილ ტექსტებს, სეიფოლა იოსელიანი იყო ფერეიდნის მარტყოფიდან, შესაბამისად, ამ ფერეიდნელთა მეტყველებაში შიდა განსხვავებაც, ბუნებრივია, ვერ გამოიკვეთებოდა.

როგორც ითქვა, დიალექტის არაერთგვაროვნების შესახებ შენიშნა იური მარმაჯ. მან პირობითად გამოყო ფერეიდნელთა ორი სამეტყველო კოლექტივი: 1. ვინც იყენებს ჩრდილის მნიშვნელობით **ჩირდილს** 2. ვის ლექსიკაშიც ამ მნიშვნელობით გვხვდება **ქოლლა** [Mapp 1936-1: 60].

ირანში გავრცელებული ენების ატლასში (ALI) ქართული ენა წარმოდგენილია როგორც ფერეიდნული ქართული (Phereidnuli Georgian (Fereydan Georgian, Peria Georgian)). იგი ორ ჯგუფადაა დაყოფილი: ჩრდილოეთ ფერეიდნული, რომელიც გულისხმობს ბოინ-მიანდაშთის რეგიონს (Northern Phereidnuli Georgian (Buinmiāndasht Georgian)) და სამხრეთ ფერეიდნული ქართული, რომელიც ფერეიდუნშაჰრის რეგიონს მოიცავს (Southern Phereidnuli Georgian (Fereyduṣṣahr Georgian)) [Anonby, Erik, Mortaza Taheri-Ardali, et al. (eds.). 2015-2020].

ამ საკითხს, როგორც ვნახეთ, შეეხო დარეჯან ჩხუბიანიშვილიც, რომელმაც სცადა დიფერენციაციის დამადასტურებელი ზოგიერთი ენობრივი მოვლენის აღწერა.

მკვლევარი მიუთითებს, რომ სხვაობა შეინიშნება ლექსიკაშიც და მორფოლოგია-სინტაქსის სფეროებშიც:

მარტყოფში ამბობენ: თორნე, ბუდე, ყათული, ყრალი, ზოვი კირტი ქვეკერი, ღელურ... დაშქესანაში კი – თონდე, ბურდა, ყათული, გონჯი, ზუა, კურტი, ქვეროვი, ღელო...

S-ის მრ. რიცხვის III პირის -ეს სუფიქსი ძველი ქართულის მსგავსად ყველა ტიპის ზმნას ერთვის ნამყო უსრულსა და სრულში: ისინი დალაგდეს, ჭამდეს, წავიდეს; ქვემო ფერეიდნულში კი ქართული ენის დასავლური კილოებისათვის დამახასიათებელი -ენ სუფიქსი დასტურდება (ბოინელნი მოკლენ, ბალახი გააკეთენ).

ქვემო ფერეიდნულში -ეც სუფიქსი, ყვე ზმნური ფუძის გარდა, რომელიც დადასტურებულია ქიზიყურში, სხვა ზმნებთანაც იხმარება: ჭამეცით, დალივეცით. მარტყოფში მსგავსი წარმოება არ შეინიშნება.

სხვაობაა მაქვემდებარებელი კავშირების გამოყენების თვალსაზრისით, ზემო ფერეიდნულის რო კავშირს ქვემო ფერეიდნულში ნასესხები ქე, ქი კავშირები ცვლის.

თვალში საცემია ნასესხობათა დიდი რაოდენობა ქვ. ფერეიდნულში, ზმნის ანალიზური და კალკირებული ფორმების სიხშირე.

ამკარად გამოიკვეთება ქვ. ფერეიდნულში -ავ ზმნური სუფიქსის გაბატონების ტენდენცია (გაკეთავენ, დალაგვენ, მოაქუჩავენ...) და სხვ.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ამ განსხვავებას კარგად გრძნობენ თვით ფერეიდნელებიც, მარტყოფელი მუხტარ დარჩიაშვილი ამბობს: „ჩონ და ბოინელთ და ახჩაველთ ბევრ შეცვლილი გოქ სიტყოები...ერთია გოქ შუაჩი და რო დაფყოფ სოვბარს. ეტყობის, რო ეს ბოინელია, ეს ახჩაველი და ეს მარტყოფელი, როგორც რო ვაშლი, ჭერემი და კიტრი“ [ჩხუბიანიშვილი 2012: 173].

დარეჯან ჩხუბიანიშვილის აზრით, გარდა ქართული ენისგან იზოლაციისა და სხვადასხვა სტრუქტურის ენებთან კონტაქტებისა, ამის მიზეზია მთელი რიგი სოციოლინგვისტური ფაქტორები, რის გამოც ქართველებით დასახლებული ესა თუ ის სოფელი განსხვავებულ პირობებში მოექცა [ჩხუბიანიშვილი 1998).

2008 წლიდან ფერეიდანში მივლინებების დროს შეკრებილი მასალის ანალიზზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ შიდაენობრივი სხვაობა ფერეიდნულში არ უნდა იყოს გვიანი დიფერენციაციის შედეგი, როგორც ამას მკვლევარი ვარაუდობს. უფრო საფიქრებელია, რომ ამგვარი განსხვავებები მიგრაციის სხვადასხვა საწყის პუნქტზე მიუთითებდეს.

ენობრივ განსხვავებებს საინტერესოდ აღწერენ დიალექტის წარმომადგენლები: მუხტარ დარჩიაშვილი, მარტყოფი:

„ეხლა ვნახოთ დაშქეშნელნი. ქართულად, ფარსულად, სომხურად, თურქულად ამბობენ და ესენი არიან რო ჰხედავთ გინებაზე განთქმულნია. ივეთ სირცხილი გაგინებები იციან, ცოლ-შვილებჩი რო მარტყოფელი, ჩულურეთელი, სიბაქელი და ჭაღჯაყელი როგონაც გამაჯავრო, ივეთ სიტყოს, დედაკაცებჩი არ გაიგინების. ჩონ მარტყოფჩი დაშქეშნელ-თოლელთ, ბოინელთ და ახჩაველებს პირლავაშებს

ვეძახითყე. თითანაც იტყვიანყე, სავბარჩი: ქენ ჩონთან განსხვავება – ფარყი ვაყე! დაშქესანა თურქული სახელია, ნიშნავს ქვას მტრეველს. რო მე მგონია თავით საუბარი თურქულ-სომხური-ქართულ-პარსული დარეველა და თავით სავბარიც დამტრეველია. ამ ოთხი ენასაყე ესენი გამოსულან. მაინც ფხიტი ხალღნია.

ეხლა წავალთ ბოინჩი (რო ნიშნავს, სადაც ცხორი იკლვის. ექამდი არ ვიცოდით ბოინი რას ნიშნავს⁸³). ისენი ხელ-ფეხ მოლეწილად ქართულს ამბობენ. იმათ ხომ-სრული იციან, იმისთი თავით ენა დამტრეველია. ემ ამბავებს თავის გამოგება უნდა. ეხლა თუ ერთ ბოინელ დაშქესნელმა ან თელაველმა რო თოლილელ იყოს, ან ახჩაველმა ჩემსავით თავით ენაზე დაწეროს, შეძლება ჩონც შაცდომა ვოქონდეს. ბოინი და თოლილი მიკრულნია. რამე რო არი, თოლილელთ ენა ძჯობია დაშქესნელთ და ბოინელთ ენას. თოლილჩი ვიყავ, რამესა ვწერდი და თოლილის მაგერ თელავი დაწერე. ამ მოხუც კაცმა, რო ბერ კაცი იყოს, მითხრა: შენ თელავს ნუ დაჰწერ, დადწერე ემას, რო მე გეტყვი! მეც წერაჩი ზოგჯერ იმ ბოინელთ თოლილელთან დაშქესნელთ ენასთან შავრევეყე. თუ დრო ვქენ, წავალ არია ხოსრავის დაწერილებთან დავადარებ. ჩონ თამაშობაჩი დავდარდებთყე და იმის უკან თამაშობას დაიწყოფთ. ჩონ ვიტყვი: ეს საქმე დაკმარე, ანსენი იძახიან: თავი დაანებე.

ემებ ღვეკსხნათ და წაიდეთ ახჩაჩი. თავით ენაზე – ახჩიჩი. ეს სიტყო თურქულია. თავით მამულების სახელები დამიწერია და ჩემ აზრით, ეს ახჩაველნი იფო ამ სხო სოფლებთან ნამა ამბობენ. ალბათ ენების გარკვევას ბევრ დრო და ბევრ ცოდნა უნდა“ [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

ფერეიდნულ დიალექტში შიდადიალექტური სხვაობა ე.წ. ერთი წრის სოფლებს შორისაც (მარტყოფისა და ბოინ-მიანდაშთის) დასტურდება:

ყველაფერი – სალიტერატურო ქართული; **ყელაყა** – თორელი; **ყელაზადი** -ახჩა; **ყოლა** – აფუსი; **სუ რამე** – დაშქესანა (ეს ყველა ბოინ-მიანდაშთის წრის სოფლებია).

როგორც აღინიშნა, განსხვავება სხვადასხვა სოფლის მეტყველებაში შეინიშნება როგორც ლექსიკურ, ისე ფონეტიკურ, მოფოლოგიურ და სინტაქსურ დონეზე. ეს საკითხები დიალექტის ლინგვისტური დახასიათების დროს სათანადო ადგილას იქნება დეტალურად აღწერილი, თუმცა ზოგიერთ თვალსაჩინო სხვაობას აქაც წარმოვადგენთ:

დაშქესანასა და ბოინში შეინიშნება ზოგი, უმეტესად სონანტთა შემცველი, თანხმოვანთმიმდევრობის გახმოვანების პროცესი: **ქუმარი** (ქმარი), **ძუმა** (ძმა), **რიკნა** (რკინა)... მარტყოფსა და სხვა სოფლებში ეს ფონეტიკური პროცესი არ დასტურდება. ისინი თავადაც ამჩნევენ ამ განსხვავებას. ეს თავისებურება თქმებს შორის თვითგამიჯვნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშნულს წარმოადგენს [ბერიძე 1998; არაბული 1998].

ჭუჭყუნა – ახჩა, თორელი, დაშქესანა, ბოინი; **ფოლაქი** – მარტყოფი (**ღილი** – სალიტ. ქართული).

83. ეს ეტიმოლოგია რეინტერაცის შედეგია, ქართულში რუსულიდან შემოსული სიტყვა „ბოინი“ – ფერეიდნელმა ქართველმა სოფელ ბოინის ეტიმოლოგიისთვის გამოიყენა.

გონჯი – ახნა, თორელი, დაშქესანა, ბონინი; **ყრალი** – მარტყოფსა და მარტყოფის წრის სოფლებში (ცუდი – სალიტ. ქართული);. თორელში იტყვიან: გაგონჯდა, წახნა, დაშქესანაში ამბობენ – გამაჰრდა.

კირტი – მარტყოფი; **კურტი** – დაშქესანა (მეჭეჭი – სალიტ. ქართული).

წყრან-წყრან – დაშქესანა; **ნელ-ნელა** – თორელი; **წყრან-წყრან // ნელათ-ნელათ** – მარტყოფი (წყნარ-წყნარად – სალიტ. ქართული).

გუშინდამ – დაშქესანა; **ამდამეს** -თორელი; **წუხელის** – მარტყოფი.

რასტი // რასტად – თორელი; **მარჯენივ** – მარტყოფი.

ყოველ წელს – სალიტ. ქართული; **ჰარ წელს** – დაშქესანა; **თამთელ წელი** – თორელი. **სუწელეზი. სუწელ** – მარტყოფი (= **ყოველ წელს** – სალიტ. ქართული).

ყოფულა – თორელი, დაშქესანა; **ყოფილა** – მარტყოფის წრის სოფლები.

შაქნულა – თორელი, დაშქესანა; **შაქნილა** – მარტყოფის წრის სოფლები.

ფორჩვალი – თორელი; **ფოთოლი** – მარტყოფი.

დაგლეჯა – თორელი; **დაბტკენა** – მარტყოფი.

ჯგომა – თორელი; **ჯღომა** – მარტყოფი,

ნაბტკენი – მარტყოფი; **ბუმბული** – თორელი.

ქოლგა – მარტყოფი; **ჩირდილი** – თორელი.

სოფელ ახნაში გვითხრეს, რომ ბევრი ფარცია (= განსხვავება) სოფელ ახნისა და დაშქესანას ქართულს შორის და ხაზი გაუსვეს იმას, რომ ახნაში კარგადაა შემონახული ქართული ენა: „ფარცია საუბრებია, ანსენი სხოჯურად იტყიან, ჩონ სხოჯურად ვიტყით. მასალან, ესები იტყიან: გარეკე! ჩონ ვიტყით: წადი! – ემჯურად ფარცია. ესები [დაშქესნელები] არიან ქორდებთანა, მასალან, თავით სოფელი, ახნაველი ელა, ცარიალ ახნაველია. ქორდები და ესები ერდგან არიან, თავით ენა პატა წოლიაყე ქურთებზენა, დარეულა ერდგანა. ახნაველი არა, ახნაველი თელია, თავით სოფელი, ცარიალ ახნაველია. ჩონებურებია. არ დოოკარგავთ ენა, ანს დედ-მამას ენა თათი ყოფილა“ [ჰაჯი აჰმად დარაბი].

სრულიად რეალურად გვეჩვენება, რომ ამ ენობრივი დიფერენციაციის საფუძველი ქართველ მიგრანტთა განსხვავებული მიგრაციული წარსული იყოს. ქართული, ევროპული, სომხური და სპარსული ისტორიული წყაროების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ირანში ქართველთა გადასახლება ხდებოდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა რეგიონიდან (საინგილო – ისტორიული ჰერეთი, ქართლი, თიანეთი, მესხეთი, თბილისი...). ასევე განსხვავებული იყო გადასახლების სახე და ტიპი (მასობრივი – არამასობრივი, იძულებითი – საყოფაცხოვრებო...). ისტორიული წყაროების მონაცემები ამყარებს ჩვენს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ფერეიდნული დიალექტი განსხვავებულ დიალექტურ შრეებს მოიცავს. როგორც ჩანს, საუკუნეთა მანძილზე მოხდა შიდადიალექტური გათანაბრება „დიალექტური კუნძულისათვის“ დამახასიათებელი გაწონასწორების კანონის შესაბამისად (ვ. ჟირმუნსკი), რაც საბოლოოდ გახდა ფერეიდნულის, როგორც ცალკე დიალექტის, ჩამოყალიბების საფუძველი.

წინა სამეცნიერო კვლევების შედეგებისა და დიალექტური შიდადიფერენციაციის მონაცემების გათვალისწინება აუცილებელია ფერეიდნულის ლინგვისტური კვლევისას.

სწორედ ამ ორ საბაზისო მონაცემს დაეყრდნო ჩვენი სამუშაო, რომელიც მოიცავდა სრულ ციკლს დიალექტური მასალის სავსელ პირობებში მოპოვებიდან – წინამდებარე ნაშრომის შექმნამდე.

ამ სამუშაო ციკლის სხვა ეტაპებზე მომზადდა ფერეიდნულის ტექსტური ბაზა და ლექსიკონი.

თავი VIII

ფერეიდნულის ფონეტიკური თავისებურებები

1. ბგერითი შედგენილობა: ხმოვნები, ნახევარხმოვნები

ფერეიდნული დიალექტის ბგერითი სისტემის შესწავლა წარიმართა ქართული დიალექტების მონაცემების ფონზე ფერეიდნული მასალის გააზრებისა და საერთო ტენდენციების გამოვლენის გზით. კითხვარები საკითხის შესასწავლად შეიქმნა ქართული დიალექტოლოგიური ლიტერატურის მონაცემებისა და ამ ნაშრომის ავტორთა სამეცნიერო კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით. კითხვარები მიზნად ისახავდა დიალექტის ბგერით სისტემაში სპეციფიკური ბგერების დადასტურებისა და მათი განაწილების წესების დადგენას. გარდა კითხვარებისა, ძირითადი საკვლევი მასალა იყო ქართულ დიალექტურ კორპუსში გამოქვეყნებული ტექსტები.

ჩატარებულმა სამუშაომ აჩვენა, რომ ფერეიდნულში დასტურდება ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ხუთივე ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ;

ნახევარხმოვნები: **ჲ, ჟ**

ნეიტრალური, ე.წ. „ირაციონალური“ ხმოვანი: **გ**

სალიტერატურო ქართულიათვის დამახასიათებელი ყველა თანხმოვანი;

სპეციფიკური თანხმოვნები: **ფ, ჳ.**

იშვიათად – **ყ** (ხმოვანთა მკვეთრი შემართვისა და დამართვის შემთხვევაში).

გარკვეულ შემთხვევებში გვხვდება **გემინირებული** თანხმოვნებიც.

1.1. **ჲ** ფერეიდნულ დიალექტში

ჲ ქართული ენობრივი სისტემისთვის დამახასიათებელი ბგერაა. სალიტერატურო ქართულში ის არ გვხვდება, თუმცა ჩვეულებრივი იყო ძველ ქართულში და დასტურდება ქართული ენის დიალექტების უმრავლესობაში. მას მყარი ადგილი აქვს სხვა ქართველური ენების (ზანურისა და სვანურის) ფონემურ სისტემაშიც.

თანამედროვე ქართულ დიალექტებში **ჲ** ფონემა არ არის და გვხვდება როგორც სხვადასხვა მორფოფონემატური თუ ინტონაციური ტენდენციის გამოვლინების კონკრეტული შედეგი.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ღ**-ს ნახევარხმოვანს უწოდებენ [ახვლედიანი 1999: 66], ზოგჯერ მას თანხმოვანთა შორისაც განიხილავენ [ჯორბენაძე 1998: 70-80]. იოტი ღიაობის მიხედვით **ი** ხმოვანთან ქმნის ოპოზიციას – მის კიდეც უფრო დავიწროებულ რეალიზაციას წარმოადგენს და ამის გამო სწორედ **ი**-ს შემდეგ მიუჩენენ ადგილს ქართული ენის ხმოვანთა სამკუთხედზე [ახვლედიანი 1999: 75; ჯორბენაძე 1998: 17-18].

ღ მიიღება პოზიციურად, სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის შედეგად (**ი** > **ღ**; **ს** > **ღ**, **ჰ** > **ღ**, **შ** > **ღ**, **ზ** > **ღ**, **ლ** > **ღ**... და სხვ. **ი**, **ს**, **ჰ** ფონემები ფართოდ არის წარმოდგენილი ქართული ენისა და დიალექტების მორფოლოგიურ ინვენტარში, შესაბამისად, **ღ** სხვადასხვა მორფოლოგიური ელემენტის ფონეტიკური ვარიანტი ან სახეცვლილი მორფემის ფრაგმენტი შეიძლება იყოს. გარდა ამისა, ის შესაძლოა შეგვხვდეს, როგორც ინტონაციური ელემენტი, ან როგორც ბგერის არტიკულაციური დანამატი – იოტირებული შემართვის ან დამართვის სახით. **ღ**-ს დართვა იწვევს აღმავალ ან დაღმავალ (და, დო, დუ, დე; ად, ოდ, უდ, ედ...) დიფთონგიზაციას; **ღ** შეიძლება იყოს ხმოვანთაგამყარაც... [ჯორბენაძე 1998: 70-80].

კითხვარი, რომელიც ფერეიდნულში **ღ**-ს პოვნეირებისა და განაწილების წესების გამოვლენისა და შესწავლისთვის გამოვიყენეთ, შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემას ისახავდა მიზნად:

1. გვაქვს თუ არა **ღ** ფერეიდნულში;
2. გვხვდება თუ არა ის სრული ხმოვნის ვარიანტად (**ი** > **ღ**);
3. გვხვდება თუ არა ის სპირანტი თანხმოვნების ფონეტიკურ ვარიანტად;
4. გვხვდება თუ არა **ღ** არამორფოლოგიური ღირებულების ხმოვანი სეგმენტის ფუნქციით?
5. ხომ არ ახასიათებს გამოვლენის სხვა დიალექტებისაგან განსხვავებული პოზიციები ან ხომ არ გვხვდება რაიმე განსხვავებული ფუნქციით?

ფერეიდნულში **ღ** ისეთივე არაფონემური ბგერაა, როგორც მთელ ქართულ დიალექტებში.

მისი პოვნეირება ფერეიდნულში დიალექტის პირველივე მკვლევრებმა შენიშნეს.

არნოლდ ჩიქობავა, რომელმაც მოგვცა ფერეიდნულის ბგერითი სისტემის პირველი მეცნიერული აღწერა, ადასტურებს დიალექტში **ღ**-ს არსებობას: „**ღ** ბგერა **ჰ**'ს ელფერით გვხვდება პრეფიქსებში; მისი ანალოგიაა ქართლურისა და კახურ-ქიზიყურის სათანადო ბგერა. წინა ხმოვანთან ერთად მას შეუძლია დიფთონგი აწარმოოს, დიფთონგი უნდა გვქონდეს ისეთ შემთხვევებშიც, როცა მახვილის მატარებელ პრეფიქსის ხმოვანს **ი** მოსდევს: მაგალ.: გადგებენ, შადქნების, დადძანით, ამაღტანეს, გადზიდეთ, მაღგლიჯეთ... და სხვ.“ [ჩიქობავა 2010 (1927): 182]. **ღ**-ს არსებობა არ აღუნიშნავს იური მარს [მარი 1936-1: 54-57]. არნოლდ ჩიქობავა აღარ აგრძელებს მსჯელობას და არ მოჰყავს **ღ**-ს გამოვლენის კონკრეტული მაგალითები. როგორც ვხედავთ, ის ორ ძირითად მომენტს გამოყოფს: **ღ** გვხვდება მორფოლოგიური ელემენტების ფონეტიკურ ვარიანტად პრეფიქსებში და ის ქმნის დიფთონგებს ხმოვან-

თეკომპლექსებში. ამავე დროს მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ მორფოლოგიური კომპონენტის ვარიაციულობა მხოლოდ პრეფიქსულ მორფემებშია მოსალოდნელი.

1922 წელს სეიფოლა იოსელიანისგან ჩაწერილ ტექსტებში **ფ** ბგერა აკურატულად არის აღნუსხული როგორც არნოლდ ჩიქობავას, ისე ვარლამ თოფურიას მიერ ჩაწერილ მასალაში.

სეიფოლა იოსელიანისგან ჩაწერილი ყველა ტექსტი განთავსებულია ქართულ დიალექტურ კორპუსში (ქდკ), რაც საშუალებას იძლევა, დეტალურად შევისწავლოთ **ფ**-ს გამოვლენის ყველა შემთხვევა. არნოლდ ჩიქობავა შენიშნავდა, რომ, მართალია, ერთი მთქმელიდან ჩაწერილი მასალა არ არის საკმარისი მთელ დიალექტზე წარმოდგენის შესაქმნელად, თუმცა სეიფოლა იოსელიანის კომპეტენციისა და ენობრივი აღლოს წყალობით ეს მასალა მას მიიჩნდა საკმაოდ საიმედო წყაროდ ფერეიდნულის ტიპოლოგიური ანალიზისთვის [ჩიქობავა 2010 (1927): 181]. ეს მართლაც ასე იყო, ფერეიდნულის უმთავრესი თავისებურებანი მართლაც ამ მასალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა. თუმცა, ერთი მთქმელიდან, თან მცირე დროში მიღებული ინფორმაცია, მაინც ვერ აღმოჩნდა დიალექტის ყველა თავისებურების ამსახველი. ამიტომ ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ვექტორად იქცა ყველა საკითხის ამ პირველად მასალასთან მიმართებით შესწავლა და იმის გარკვევა, ერთი მხრივ, რამდენად აისახა სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში დიალექტის ის თავისებურებანი, რომლებიც შემდგომში კვლევებმა გამოავლინა, და, მეორე მხრივ, რამდენად მასშტაბური იყო ამ ტექსტების მონაცემების პირველი მეცნიერული განზოგადება.

1.1.1. **ფ** სეიფოლა იოსელიანისგან ჩაწერილ ტექსტებში

როგორც აღვნიშნეთ, **ფ**-ს შესახებ არნოლდ ჩიქობავა ძალიან მოკლე მინიშნებას გვაძლევს კვლევით ნაწილში და არ მოიხმობს მაგალითებს. რაც შეეხება ტექსტურ ნაწილს, ის გაცილებით ინფორმაციულია. სეიფოლა იოსელიანისგან ჩაწერილი ტექსტების სათანადო ანალიზის შედეგად **ფ**-ს გამოვლენის ასეთი შემთხვევები გამოიყო:

1). **ფ** უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებში: ადლადი, დუნა, ფაფი, ფაფიანგი, ფაფამი, ყარაფი, ნაჰიადე, გალაღარი, დალა, ფეფ, შაფ, დაფიები, დანი... ეს მოვლენა – უცხო სიტყვების დიფთონგების დიფთონგებითვე გადმოტანა, ახასიათებს სხვა დიალექტებსაც. განსაკუთრებით, თურქულთან და აზერბაიჯანულთან მომიჯნავე დიალექტებს.

უცხო ენისავე გამოთქმის კვალი უნდა იყოს საკუთარ სახელებში დადასტურებული **ფ**: ფერეიდანი, ბოდნი, თედრანი, სეიფოლა, ნაფე-ელ-ჰუქუმა, დავარ-მამსადე-ნანი...

ზოგჯერ პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს სრულხმოვნიანი ფორმაც:

ბოდნი:

თორელ-ბოდნი იტყვიან: შოუტივეო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

გვხვდება სრულხმოვნიანი ფორმითაც:

ბონი:

ზემო მარტყოფს რო დასხლტა, აფუსი და თელავი და ბონიც კარგი სოფლებია, მოსხილებია. ბონიელნი ივო ფაქიზა ხალლებია, სუფთა: დაგვა-დახეტა იციან გარეშამოსი.

ასეთივე პარალელიზმი სეიფოლა იოსელიანის ტექსტებშივე გვხვდება ზოგ სხვა სიტყვასთანაც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამგვარი ფორმების წარმოთქმის „გა-ქართულებისა“ და უცხო ენის დიფთონგის მოშლისკენ სწრაფვა უკვე ამ დროისთვის საკმაოდ გამონატული ტენდენციაა ფერეიდნულში:

ღუნა (1 ფორმა, 1 კონტექსტი) // ღუნია (4 ფორმა, 15 კონტექსტი):

ქუეყანაზე, ღუნაზე ივეთი ვაჟკაცი არ იყო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ავიდა თას წერზე, გადიხედა, რო გერივ გამოჩნდა ღუნია [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ღევმა უთხრა, რო აველზე მითხარო, რო: ღუნიაზე სადა ეჯობს, სად ივო ნამია ადგილიაო? [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

თურმე ჩონ ღუნიას გარდაის რაქთენიც სხო და სხოც ყოფილა [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

2). ე სრული ი ხმოვნის ფონეტიკურ ვარიანტად:

ა) ე ი- ხმოვანპრეფიქსის ფონეტიკურ ვარიანტად:

გადძაბა < გა-ი-ძაბა:

ერთხელა ვნახეთ, რო დიდი თოფისა ვმა მოიდა, მივიხედეთ, ვნახეთ, რო ბოლი გაძაბა.

მაწყობენ:

მაწყობენ მარჯიკალის ვავ ზაუნასა.

თუ ქორწილზე დვანან, მაწყობენ გაკეთვას, წავლენ ქალის სახლჩი, მამასთან. ხილის ჩაყრას რო გაათავებენ, მაწყობენ ნიჭის აკრეფას – ნიჭი რაქთენი მოუვიდაო?

პურს რო შასჭამენ და გარივლებიან, მაწყობენ წასლას.

წადკითხავს:

მინც რო წადკითხავს, გული დეეწოს ჩონთი!

შაქნების:

ხუალი რო შაქნების, თადარუგს დაიჭერენ, რო თავის ბიძაშვილები ღამით შაქუჩონ, დაყონაღონ.

შაქნების:

ღამე რო შაქნების, ბიჭიანთაყე ვავშამს რო ჭამენ, აიღებენ რაქთენ თუშან ფულსა.

ამგვარი შემთხვევები თითზე ჩამოსათვლელად გვაქვს სეიფოლა იოსელიანი-სგან ჩაწერილ ტექსტებში. საყურადღებოა, შექმნა ზმნის ი- პრეფიქსით ნაწარმოები ფორმის ათი შემთხვევიდან რვა არადიფთონგიზებული ვარიანტითაა წარმოდგენილი და მხოლოდ ზემოთ წარმოდგენილ ორ მაგალითში გვაქვს ე:

შაიქნებოდა: იმამამც ჰასაბი ქნა და, რადცლა რო **შაიქნებოდა**, დადწერა და მომცა.
შაიქნებისო: მირზას დოუძახა და თქო, რო: ჰასაბიქენ, რაქთენი **შაიქნებისო**.
ცომაშინ **შაიქნების** ცოლად, დოუკრვენ სტირ-ნალარას და დაადგებიან ქორწილს.
შაიქნების: ზამთარი რო **შაიქნების**, ბაღტა მოსვენებაჩი ჩაცვივდებიან ჩონ ხალდი.
შაიქნების: იქით როსაცლა შუღლი **შაიქნების**, წავიღეთ წინ, შიდ-რუა დღეს იქ
დავღევით და სანგარები ვსაზღვრეთ.

შაიქნების: რაც **შაიქნების**, წინასწინ მოგცემეყო.

შაიქნების: რო ერთ საპალნე ზეო ოცდაათი თუმანი ელა ქირა **შაიქნებისო**.

საყურადღებოა, რომ არნოლდ ჩიქობავას მიერ დიფთონგიზაციის მაგალითებად მოხმობილი ფორმებიდან (სულ ასეთი ექვსი ფორმა აქვს დამოწმებული: **გააგებენ, შააქნების, დააძახით, ამაღტანეს, გააზიღეთ, მააგლიჯეთ**) მის მიერვე გამოქვეყნებულ ტექსტებში მხოლოდ ერთი ფორმა დასტურდება: **შააქნების**.

როგორც ჩანს, ეს მაგალითები საუბრის ფრაგმენტებიდან აქვს დამოწმებული მკვლევარს. საგანგებოდ მოვიძიეთ ამ ძირებიდან ი-პრეფიქსით ნაწარმოები სხვა ზმნები. მხოლოდ „ზიდ“ ძირის შემცველ ზმნასთან ვნახეთ დიფთონგიზებული ფორმა:

ააზიღნეს:

ერთ დღესა რუა მაიყუანეს და დარზე **ააზიღნეს** (აიზიღნეს – ავიღნენ, ერთი მეორის მიყოლებით მოგროვდა ბევრი).

გააზიღონ:

ოთხი ჩონ გავგ ზაუნითყე სანგარჩი, ქეშიყი გააზიღონ (გააზიღონ – გასწიონ).

ყველა სხვა შემთხვევაში დასახელებულ ძირებთან სეიფოლა იოსელიანის ტექსტებშივე წარმოდგენილია არადიფთონგიზებული კომპლექსები:

გაიგებსო:

ესები რო გამთელდესო, იმაშინა ხალდი **გაიგებსო** და მოვლენო.

დაიძახიან:

შავუბებულს წყალს **დაიძახიან** გოლს.

მაიტანა:

ისიც ჰაქიმმა **მაიტანა**.

მაიტანენ:

გააღეწვენ და რო **მაიტანენ** იქით, **აიყრებიან** და მოჟლენ.

შაიტანენ:

ნეფეს დააწინაურებენ და მაჯმებს მაადვენებენ, **შაიტანენ**.

შაიტანენ:

საუზმოს **შაიტანენ**, რო პური იყოს.

დაიზიღნა:

ხალხმა **დაიზიღნა** და ემამაც დააძირა თავის ფშატი.

დაიზიღნეს:

სხილ ხალღებმა **დაიზიღნეს** სანახველად თა იქამდი, რო თითან ყეინიც ვაზირითურვე მოიღეს ემ თავჯერის სანახველად.

შვეისწავლეთ იმავე მასალაში ზმნური პრეფიქსების მიჯნაზე წარმოქმნილი

სხვა კომპლექსები ი- ხმოვანფრეფიქსის მონაწილეობით. შემთხვევათა აბსოლუტური უმრავლესობა წარმოდგენილია დიფთონგიზაციის გარეშე, უცვლელად:

აი: გაიარის, გაიგლებინო, გაიგე, გაიზიდნა, გაიზიდოსო, გაითქო, გაილისო, გაიმარჯა, გაიპარა, გაისყიდოსო, გაიტარა, გაიქცეს, გაიყვანოს, გაიშალა, გაიხედა, გაიჟადა, დაიგინა, დაიდევს, დაივიწყო, დაიზიდნეს, დაიკივლებს, დაიკოლთებიან, დაინახოს, დაისწავლა, დაიფანტებიან, დაიქირავა, დაილაღისყე, დაიწყო, დაივოცნენ...

ოი: გადმოიდა, გამოიპაროთ, გამოიყუანეთ, მოიარო, მოიდა, მოივონებდი, მოილასპარაკებო, მოიტანისყე, მოიცადეთ, მოიწყო, შამოიდა, ჩამოიდა, წამოიარე, წამოიდა...

როგორც ვხედავთ, არათანაბარი ღიაობის ხმოვანთაგან შემდგარი კომპლექსების დიფთონგიზაცია ფერეიდნულში არ არის სისტემური ხასიათის და როგორც სამართლიანად აღნიშნავს არნოლდ ჩიქობავა, ეს პროცესი ინტონაციურად მოტივირებული ჩანს (წინამავალი ხმოვნის მახვილის გაძლიერებისას ხდება დიფთონგიზაცია). ამიტომაც გაუჭირდა, როგორც ჩანს, მისი დაფიქსირება მკვლევარს გაბმულ ტექსტებში, თუმცა ყურადღების მიღმა არ დარჩენია ტენდენცია, რომ ზმნური ხმოვანპრეფიქსების თავმოყრის მიჯნაზე ფერეიდნულში თავს იჩენს მახვილთან დაკავშირებული დიფთონგიზაციის პროცესი.

ბ) **ი სუფიქსური ხმოვნის ვარიანტად**

არნოლდ ჩიქობავა თავის ნარკვევებში არაფერს წერს **ი-ს** პრეფიქსული ზმნური მორფემების გარდა სხვა მორფოლოგიური ელემენტების ვარიანტად რეალიზაციის შესახებ, მაგრამ მის მიერ ჩაწერილ და გამოსაცემად მომზადებულ ტექსტებში გვაქვს საკმაო საბუთები იმისა, რომ **ი > ი** პროცესი სხვა სუფიქსურ და ძირეულ მორფემებშიც შეიძლება შეგვხვდეს:

ით > ით:

ლაჯარათ:

ყეინი თავის ლაჯარათ მოვიდა თავჯერის სახლჩი.

ტყვივით:

სამ-ოთხიც იქ დავაყენე ჩონყე, რო თუ არ გააღებთ-მეთქი, ტყვივით კარს დავხრეთ, საკლიტურს და შამუალთ.

მართალია, ბრუნვის ნიშნისეული ხმოვნის დავიწროების მხოლოდ ეს ორი ფორმა გვაქვს დადასტურებული, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ დიალექტის ეს ერთ-ერთი და არსებითი მახასიათებელი დიალექტის დოკუმენტირების პირველივე საფეხურზე ჩანს (ამის შესახებ, მორფოლოგიის ნაწილში უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი).

გ). **ი სპირანტების ფონეტიკურ ვარიანტად**

როგორც ვნახეთ, არნოლდ ჩიქობავამ ყურადღება მიაქცია სუფიქსურ მასალაში წარმოდგენილ სპირანტთა **ი-ში** გადასვლის **ი < ს / ჰ** პროცესს. მართალია, მოვლენა

მუნწად არის აღწერილი და სულ ერთი წინადადებით შემოიფარგლება კვლევით ნაწილში, მაგრამ ტექსტებში ის საკმაოდ მკაფიოდ არის ასახული.

საყურადღებოა, რომ ყველაზე ხშირად სპირანტთა **ღ-ში** გადასვლა მართლაც პრეფიქსულ მორფემებში შეინიშნება. ამიტომაც საზგასმით აღნიშნავს მკვლევარი, რომ „ღ პრეფიქსებში ჩნდება“ [ჩიქობავა 2010 (1927): 182].

ღ < ს:

ღადწერეს < დასწერეს:

იმათა ღადწერეს ქალაზი ჩონთან, რო ცხორები მიეცითყეო.

ღჯობს < სჯობს:

ღევმა უთხრა, რო აველზე მითხარო, რო: ღუნიაზე სადა ღჯობს, სად იფო ნამაი ადგილიაო?

ღ < ჰ:

ღადბანს < დაჰბანს:

ველი ველს ღადბანს, ველი დაბრუნდების, პირს ღადბანსო.

ღხელავ < ჰხელავ

აიღებენ რაქთენ თუძან ფულსა, მისაც რო ღხელავ თავის ყოვაზე...

ქართული დიალექტური კორპუსის საძიებო სისტემა საშუალებას იძლევა მოვიძიოთ სეიფოლა იოსელიანისაგან ჩაწერილ ტექსტებში იმ ზმნათა თითოეული გამოყენება, რომელთა პრეფიქსულმა ინვენტარმაც ჩვენთვის საინტერესო ცვლილება განიცადა. ასეთი ზმნები არც ისე ცოტაა და თითოეული მათგანი ხანდახან რამდენიმე კონტექსტითაა წარმოდგენილი:

გაღლეწვენ (გა-ჰ-ლეწვენ), გაღჯავრდებიო (გა-ს-ჯავრდებიო), ღადბანს (<ღა-ჰ-ბანს), ღადღებენ (ღა-ს-ღებენ), ღადღაჲ (ღა-ჰ-ღაჲ), ღადმაღავთ (ღა-ჰ-მაღავთ), ღადცხეს (ღა-ს-ცხეს), ღადმახიან (ღა-ს-მახიან), ღადწერა (ღა-ს-წერა), ღადწერე (ღა-ს-წერე), ღადხელა (ღა-ჰ-ხელა), ღადჯოცდეს (ღა-ჰ-ჯოცდეს), ღადჯოცენყე, წადრეკენო (წა-ჰ-რეკენ), შადკივლა (შა-ჰ-კივლა), შადკაზვენ (შა-ჰ-კაზვენ), შადწყდა (შა-ს-წყდა), შადგლეჯენ (შა-ჰ-გლეჯენ), შადღომია (შა-ს-ღომია), შადწდეს (შა-ს-წდეს), შადხეტიანყე (შა-ჰ-ხეტიან), შადჯვენ (შა-ჰ-ჯვენ)....

როგორც ვთქვით, მკვლევარს სპირანტთა „იოტიზაციის“ სხვა, არაპრეფიქსული მასალის, შემთხვევები განხილული არა აქვს.

არც ტექსტებში და არც გამოკვლევაში არ დასტურდება სუფიქსური -ს- თანხმონის **ღ-თ** ცვლილების შემთხვევები, რაც, როგორც შემდგომმა კვლევამ აჩვენა, საკმაოდ დამახასიათებელია ფერეიდნულისთვის (იხ. ქვემოთ).

შენიშვნა: არააფიქსური **ღ-ს** შემთხვევა უნდა გვქონდეს **ბადტა** ფორმაში. ეს ფორმა ტექსტებში არაერთხელაა დადასტურებული და მკვლევარი მას ნარკვევშიც ახსენებს, თუმცა არა ამ საკითხთან დაკავშირებით.

ბადტა // ბაიტა ფორმის არსებობა ფერეიდნული დიალექტის მნიშვნელოვანი მახასიათებელია, ის შენიშნა ჯერ კიდევ ლალო აღნიაშვილმა, იური მარმაც დაადასტურა ფერეიდნულ ჯარისკაცთან ხანმოკლე საუბრისას [მარი 1936-1: 59] და არნოლდ ჩიქობავამაც, როგორც ვთქვით, მიაქცია ყურადღება [ჩიქობავა 2010 (1927): 205]. აქ

სიტყვაში **ღ** მეორეული უნდა იყოს. ბუნებრივია, ასეთი მაგალითები ქართულ სიტყვებში იშვიათია, რადგან ხმოვანთკომპლექსი ქართულ ძირეულ მორფემას არ ახასიათებს.⁸⁴

როგორც ვხედავთ, ფერეიდნულის შესახებ პირველ მეცნიერულ კვლევაში **ღ**-ს არსებობა დადასტურებულია და ძირითადად აღწერილი, თუმცა აღწერას დღევანდელი გადასახედიდან აკლია ინფორმაცია, რომელიც ამოწურავდა ჩვენთვის საინტერესო ყველა კითხვას, სახელდობრ:

- არ არის მინიშნება **ღ**-ს, როგორც სუფიქსური სპირანტი ელემენტების ვარიანტზე (ახლოდ, გააკეთოდ...);
- არაფერია ნათქვამი **ღ**-ს, როგორც სუფიქსური ი ელემენტის ვარიანტზე (ტყვივად...);
- არ არის **ღ**-ს, როგორც იოტირებული შემართვის ელემენტის შესახებ აღნიშნული;
- არ არის **ღ**-ს, როგორც ხმოვანთგამყოფის შესახებ აღნიშნული.

არ არის გასაკვირი, რომ ერთი მთქმელისგან ჩაწერილ მცირე მოცულობის მასალაში თვალსაჩინოდ ვერ გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც ისედაც ნაკლებად დოკუმენტირებადია ხოლმე შემთხვევათა სიმცირის გამო (მაგალითად სპეციფიკური შემართვა-დამართვა ან ხმოვანთგამყარი ბგერის გამოვლენის იშვიათი შემთხვევები სხვა დიალექტებში...).

უფრო საკვირველი და აღსანიშნავი ის არის, რომ ამ მცირე მასალაში მაქსიმალურად მოხერხდა დიალექტის განვითარების ერთი ეტაპისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ტენდენციის დოკუმენტირება, თუნდაც თითო ან თითო-ორი მაგალითით. ერთადერთი, რაც არ არის დოკუმენტირებული არნოლდ ჩიქობავას მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებში **ღ**-თან დაკავშირებით, ესაა მისი გამოვლენის შემთხვევები სუფიქსური **ს**-ს ნაცვლად ზმნებში, რაც შემდგომი დროის ფერეიდნულ მასალაში უკვე ჩანს, როგორც დიალექტის მნიშვნელოვანი მახასიათებელი.

84. შესაძლოა, ვეძებოთ კავშირი ბადტა ფორმისა პაშტასთან. ქველ ამ სიტყვას ასე განმარტავს: **პაშტა** (პაშტისა) 1. ძვ. ერთი ქერის მარცვლის წონა (**საბა**). 2. პატარა, ცოტა. [ჭაბუკმა] წავლო პაშტა ადგილი, მოსამსახურეთ უთხრა: «თქვენ წადით, მე ნუ მელით!» (**საბა**). პაშტა დიალექტებში „საკმაო, დიდი, მოზრდილი, კარგაბალი“ მნიშვნელობით გვხვდება (ინგილოური, იმერული, ჯავახური...). სიტყვა დადასტურებულია ვეფხისტყაოსანში, ამირანდარეჯანიანში, ვისრამიანსა და სხვა ძეგლებში. ამასთან ლექსიკონები აღნიშნავენ მის ორივე მნიშვნელობას (მოზრდილი : პატარა). ამ სიტყვის მნიშვნელობას „ვეფხისტყაოსანში“ ცალკე გამოკვლევა მიუძღვნა არნ. ჩიქობავამ [ჩიქობავა 1966: 334-341]. ვფიქრობთ, ბადტა ფორმა შესაძლოა პადტა-დან მოდიოდეს (შდრ: ბატარა // პატარა), ეს უკანასკნელი კი **შ > ღ** პროცესის შედეგად უნდა იყოს მიღებული: პაშტა > პაიტა // ბაიტა (შდრ.: ტაშტი > ტაიტი და სხვ.). საკითხი საკვლევაა.

1.1.2. **ფერეიდნული დიალექტის გვიანი ჩანაწერების მიხედვით**

რა ვითარება გვაქვს ფერეიდნულში **ღ**-ს გამოვლენის თვალსაზრისით მოგვიანებით ჩაწერილი ტექსტებში?

ქდკ-ში განთავსებული ტექსტური მონაცემები ადასტურებს **ღ**-ს პოვნეირებას ფერეიდნულში **ი**, **ს**, **ჰ** ფონემათა პოზიციურ ვარიანტებად.

ა). ი-ს პოზიციურ ვარიანტად ის გამოვლინდება ხმოვნებთან მეზობლობაში, როგორც ღიფთონგიზაციის პროცესის შედეგი. ამასთან, **ი** შეიძლება იყოს როგორც მორფემული, ისე ძირეული ელემენტი.

ბ). ს, ჰ თანხმონებს ღ ცვლის ხმოვნის შემდგომ პოზიციაში. ამ შემთხვევაში ხმოვნის შემდგომ პოზიციას წარმოადგენს სიტყვის დასაწყისი პოზიციაც, როცა პაუზის წინ (წინა სიტყვის ბოლოს) ხმოვანია წარმოდგენილი.

როგორც ითქვა, მოგვიანებით ჩაწერილი მასალა გამოავლენს ამ ცვლილებას არა მხოლოდ პრეფიქსულ მასალაში, როგორც ამას არნ. ჩიქობავა მიუთითებდა, არამედ სუფიქსური **ს-ც** გვაძლევს ხშირად **ღ-ს**:

(**ა**) **ღ** მიცემითი ბრუნვის **-ს** ნიშნის ფონეტიკურ ვარიანტად:

ამაღ: ჩვენ **ამაღ** ბურთს ვეძახოდით, ბურთი ქნაო (2012 წ.).

დაკლვაღ: ფეკლაფეკ, ფეკ-ფეკ **დაკლვაღ** დაძახიან ემეფს (2012 წ.).

ემაღ: ლეწევეღს და ეს რო გაილეწებოდა ნამა, დაიქფოდა, **ემაღ** წაიღებდე და... (2012 წ.).

იმაღ: გოგო დაჯღების იქა და ერთ გოგოს მაძკიდავს ეგრე, მაგრა და ერთსხო მოა და **იმაღ** მაძკიდავს, მოხრილი რო არი, მაძკიდავს (2008 წ.).

არც ეს **იმაღ** ვერ შადშებიყო, ყორანი ამ ღელუფალას არ უშებდა და უჭირებდა ამ კბილებითო, ეწებოდაო და ვერც ყარყარებდაო (2012 წ.).

(**ბ**) მესამე პირის სუბიექტის აღმნიშვნელი სუფიქსისეული **-ს**:

ნახეღ: ქუა ნახეღ, ღიდ ქუა იყო, ემ ორმო გადააბეს (2009წ.).

გამაფეკანეღ: გამაფეკანეღ ერთ ემეფიკა, ალან (2009წ.).

დაკმინეღ: შენ ფუტკრეფთან ყოფილხარ? **დაკმინეღ** ბიჭი (2008წ.).

დამაგრდეღ: იცი რა არი? რო გადვკა, იქ **დამაგრდეღ** და ერთიც იქით (2008წ.).

ილაპარაკეღ: რა მეუც ხოვა და იმ შაშიანჩი რო ვც ხოვრობდით, ღამე შაიქნა, სასწაული ღლეები იყო, ეგ ღამით **ილაპარაკეღ**, თელი ღამე **ილაპარაკეღ** და აი ეგრე რო დაილევენ და იხმაურებენ, რა არი, კაცო, რა არი! (2007 წ. – მთქმელი რეპატრირებულია კახეთში).

განაყეღ, გააკეთეღ: და გუშინ ჰალუა გააკეთეს, დნახე? და ხურმა **განაყეღ** და ხურმათ ჰალუა **გაკეთეღ** (2008 წ.).

გადმოღდეღ: ვერ გაწურიანყე, იგრე ვერ გადმაიღიანყე, რო ის წყალი სუ **გადმოღდეღ** (2008 წ.).

გაკეთდეღ: ეს სუზანები და ესებიღა რო გამოიღალა, **გაკეთდეღ**, ბეჭარმაჩაი... (2008 წ.).

მესამე სუბიექტური პირის სუფიქსისეული **-ს-ს** იოტიზაცია ძირითადად ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალაშია დოკუმენტირებული (2007, 2008, 2009, 2012 წლებში).

ასევე: ნახო, წამაყენე, წაიჩხუბე, წაიყვანე, წაიღებდე, ჩამაფუდე, უნდოდე, წამაყენე, შადნახო, გენახო...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაცილებით მეტია მსგავს ფორმათა არაიოტიზებული ფორმები. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, პირის ნიშნისეული **ს-ს** იოტიზაცია მნიშვნელოვანი შტრიხია ფერეიდნულის დასახასიათებლად. **ღ** ამ სტატუსით დადასტურებულია როგორც მარტყოფის, ისე ბოინ-მიანდაშთის წრის სოფლებში, რაც ადასტურებს, რომ ზმნური სუფიქსისეული **ს-ანის** იოტიზაცია საერთო ტენდენციაა დიალექტში.

საინტერესოა, რატომ არ დასტურდება ეს მოვლენა ადრე გამოცემულ ტექსტებში? რატომ გამორჩათ ის წინა თაობის მკვლევრებს? ამ კითხვაზე პასუხი შესაძლოა გაგვცეს იმ აუდიოჩანაწერების ხელახალმა კვლევამ, რომლებიც გამოცემულ ტექსტებს უდევს საფუძვლად. შესაძლოა ჩანაწერის ხარისხისა და ცუდი სმენადობის გამო ვერ გამოირჩა **-ს** სუფიქსის იოტიზაციის იშვიათი შემთხვევები.

რაც შეეხება იმას, რატომ არ არის მოვლენა ისევე ფართოდ გავრცელებული, როგორც სხვა ქართულ დიალექტებში, ვთქვათ – კახურში?

ბუნებრივია, ამ მოვლენას გვიან შეძენილად და საქართველოსთან ურთიერთობის განახლების შედეგად ვერ მივიჩნევთ. უნდა ვიფიქროთ, რომ დიალექტში აღნიშნული მოვლენა დასტურდება როგორც გარკვეულ პირობებში (ვთქვათ, რომელიღაც ინტონაციურ მოდელში) რეალიზებული ტენდენცია და ის არ არის უნიფიცირებული მორფოლოგიური პარადიგმის ფარგლებში. შესაბამისად, აქ სალიტერატურო და დიალექტური ფორმის თანარსებობა კი არა გვაქვს იოტიზებული და არაიოტიზებული ფორმების სახით, როგორც ეს ვთქვათ, კახურშია, არამედ – დიალექტის შიგნით არსებული პარალელიზმი. შესაძლოა, მომავალში იოტიზაციის შემთხვევების ექსპერიმენტულმა განხილვამ მოგვცეს პასუხი კითხვაზე: რომელი ინტონაციური მახასიათებლები იწვევენ ამ მოვლენას ბოლოკიდურ პოზიციაში ზმნურ სუფიქსებში? დღეს კი ერთადერთი თქმა შეიძლება: მესამე სუბიექტური პირის სუფიქსისეული **-ს-ს** იოტიზაცია ფერეიდნულში დადასტურებული და კარგად დოკუმენტირებული მოვლენაა; იოტიზებული ფორმები ქმნიან პარალელიზმს არაიოტიზებულ სათანადო ფორმებთან; ამასთან მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირეა არაიოტიზებულ ფორმებთან შეფარდებით.

გ). **ღ** ცვლის ხმოვანფუძიან სახელთა მოქმედებითი ბრუნვის სუფიქსის ი- ხმოვანს

აზარფეშადთ: აზარფეშადთ იღებდეს და ქევრეფჩი ასხემდეს (2007).

დანადთ:

ბეწებს ნამა გაფხუხავთ და დანადთ გავფხეკავთ, გავაფაქიზაფთ (1998 წ.).

გავწურავთ და დანადთ დავჭრით, და მარილს მუაყრით და ჩავაწყოთ ერთ ქოთანჩიგა (1996 წ.).

ვარდანათ:

ვარდანათ გავათხელფთვ და ბალიშით ჩავაკრავთ (1996 წ.).

კალთათ:

გაიდლოდით რუზე, გავრეცხდით, **კალთათ** გავავშობდით (2008 წ.).

როგორც ვხედავთ, ხმოვანფუძიან სახელთა მოქმედებითი ბრუნვის ფუძისეული ხმოვნისა და -ით სუფიქსის „შეხვედრისას“ დიფთონგიზაციის მოვლენა ასახულია არნოლდ ჩიქობავას პუბლიკაციის შემდეგ გამოცემულ ყველა ტექსტში.

დ) დ ხმოვანთგამყარად

დ ამ ფუნქციით შედარებით იშვიათად გვხვდება. ასეთია ზოგადი სურათი სხვა დიალექტებშიც. როგორც წესი, **დ** ხმოვანთგამყარის ფუნქციით **აა** ხმოვანთკომპლექსში ჩნდება იდენტურ ხმოვანთა შორის: გეწყინაა > გეწყინაა? წავიდაა > წავიდაა... (მთიულურ-გუდამაყრული), გაათხოვა > გაათხოვა (ქართლური, ზემოქსნური თქმა) [ჯორბენაძე, 1998: 78].⁸⁵

ფერეიდნულში **აა** ხმოვანთკომპლექსი ყველაზე ხშირად **აქ(ს) < აქვს** ზმნაზე -ა ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინების დართვის შედეგად მიიღება: მააქ, გააქ... გა-მააქ... ყველა ამ შემთხვევაში ჩნდება ხმოვანთგამყარი **დ: ა-აქვს > ააქ, გა-აქვს > გააქ, გამო-აქვს > გამააქ...**

ამააქვს: წყარო ამოდის და ხინჭაცა მაააქვს, ეტყობა.

ამააქ: უნდა გაჩენო ისი, როგორ წყალი **ამააქ** იმით, რანეირათ.

გამააქ: ჰო, ჭის თოლს რო აკეთებს და წყალი **გამააქ** მიწისქეშთაყე, ქუმუმს ვეძახით ჩონა.

გააქ: ექ რო წყალი ვერ **გააქ** და ის მიწა დადვარდა, წყალი ჩამოსულა, დოლოე-ლავებია და ეს რუეი გოფუჭებია.

მაააქ: ამ თასაყე რო ჩამაძქრის, აი, წინწალა არი და ნიავეს **მაააქ** ის.

დ ასევე ჩნდება ხმოვანთგამყარად **ოა** კომპლექსში, იმავე ზმნასთან:

გამოაქ:

გამოაქ: ქუმუმში ხო იცი, რა არი? არ იცი? მინც რო თხრის და წყალი **გამოაქ**.

მოაქ: მე მეგონა, ქარიშხალია და ქარს **მოაქ**.⁸⁶

85. ზოგჯერ სამცხურ-ჯავახურის მტირალადა, პატრადა... ფორმებშიც ხმოვანთგამყარად მიიჩნევენ დ-ს [ჯორბენაძე, 1998: 78], მაგრამ ეს ასე არის. ამ ფორმებში დ სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის ფარდია და **აი** ხმოვანთკომპლექსის დიფთონგიზაციითაა მიღებული [ბერიძე 1994: 121.

86. შეიძლება ასეთივე ხმოვანთგამყარის ფუნქცია ჰქონდეს დ-ს სეიფოლა იოსელიანის ტექსტში ფორმაში – **მაეცო:** გამაართიანყე ქალაზი, რო ხუთი დღემდი, თუ სამას თუმანი არ **მაეცო**, ექთენი გერივ მოსაცემი იყოსო. აქ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზმნისწინისა და ე ზმნური პრეფიქსის **აე** კომპლექსი **დ-ით** არის გამიჯნული, თუმცა შეიძლება ვიფიქროთ ისიც, ხომ არ შეინარჩუნა ფერეიდნულმა ე- პრეფიქსის წინ ოდინდელი ჰ (ხ) პრეფიქსი და მისი იოტიზაციის შედეგი ხომ არ არის ეს **მაეც** ფორმა? (მა-ჰ-ე-ც > მა-დ-ე-ც).

ე) იოტირებული შემართვა

იოტირებული შემართვა ჩვენებითი ნაცვალსახელების ან ზმნიზედების ხმოვანი პრეფიქსების წარმოთქმისას არ ჩანს ფერეიდნულში. თუმცა სიტყვის თავში იოტის გაჩენის იშვიათი შემთხვევები მაინც შევნიშნეთ:

ელვა > დელვა, დაელავს > დადელავს:

აი იმ კლდეჩიგაო, დადელავს, იმაშინ უნდა გაიქცესო, დელვა როგორია? გადე-ლავს დენი, ცასაყე, არა?

არ არის გამორიცხული, რომ ექსპერიმენტულმა კვლევამ ზოგ შემთხვევაში დაადასტუროს შემართვის სპეციფიკურობა მისათითებელ სიტყვებში (ნაცვალსახელებსა და ზმნისართებში), თუმცა ეს მოსალოდნელი იქნება მხოლოდ ექსპრესიული ინტონაციის შემთხვევაში და არა ნეიტრალური თხრობის დროს. ამიტომ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იოტირებული შემართვა ანლაუტში ხმოვნის წინ დღევანდელი ფერეიდნულისთვის არ არის მკვეთრი ფონეტიკური მახასიათებელი.

ვ) იოტირებული დამართვა

იოტირებული დამართვის შესახებ არნოლდ ჩიქობავას არ აღუნიშნავს თავის ნარკვევში და არც სეიფოლა იოსელიანისგან ჩაწერილ ტექსტებში ჩანს ამ მოვლენის დამადასტურებელი ფაქტები.

შემდგომი პერიოდის ტექსტურ მასალაში მრავლად იძებნება მაგალითები, როცა ხმოვანზე დაბოლოებული მეტყველების სხვადასხვა ნაწილი იოტირებული დამართვის მატარებელია: **არად, აჰად, ემაგად, იმამად, გინდად, მამწონდად, მამიპაროდ...**

მაგალითები:

დამხმარე სიტყვები:

რად⁸⁷:

რა დადწყევლიან ერთმანეთსაო, რა, რად იტყვიან?

იმამიო, რო შენაო გელს დასცხეო და თქი: ეს რად თაყსიმიო, მელა დადსწავლე-ლა, რო მასან, ეგრე თაყსიმი ქქნა, რო სულა შენ შაშჷამოლავო.

გულ-ლიძლიო, გულ-ლიძლი სად არიო? სად არი, რად გულ-ლიძლიო?

ქენ რად დადძახით?

როდ:

მზე ჩადა დაჩემ მოსკლავო ამოდა, ვალლა, ჩემ ნათხოვნი თავი გომზე გამოდა, გამოდა და ემამ მე დამინახა, ვენაცლო ღმერთს, როდ არ შამინახა.

არად: ბალე, მოზობელი არად გყუანდა.

ზმნები:

განსაკუთრებით საინტერესოა ის შემთხვევები, როცა ზმნური ფორმის ბოლო

87. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ იოტი აქ სახელობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტია, მაგრამ ეს ასე არ არის. ამ საკითხის თაობაზე იხ. ქვემოთ, სახელთა ბრუნების შესახებ ნაწილში.

ხმოვანი, როგორც წესი, პირის ნიშანი არის იოტირებული დამართვისა. ასეთი შემთხვევები გარკვეულ ექსპრესიულ წარმოთქმას უკავშირდება და მხოლოდ ლექსში (სიმღერაში) ან განსაკუთრებული (ექსპრესიული) პაუზის დროს იჩენს თავს.

მინდა, გინდა:

*შენამ გენაცლო ემაგ შავ თოლებში,
საყურებსა გაგიყრი მე ყურებში.
მე ხო შენყე საყურები არ მინდა,
ოღ, ნუ მატყუელებ, შენ ჩემ თავი არ გინდა [1998წ.]*

იმავე ლექსში არის იგივე ზმნები იოტირებული დამართვის გარეშე წარმოღვენილი:

*ბოლბოლი ვარ ჭივი-ჭავობა არ მინდა,
მითხარ მინა ხარ, ვიცი მინა ხარ.
მე ხო შენყე ნეჰრას დღება არ მინდა,
ოღ, ნუ მატყუელებ, შენ ჩემ თავი არ გინდა.*

მამიცია:

*ბარი ადღე და მოღი კალოზე,
წყალი მამიცია მინის ბოლოზე.
ბარს ადღებავ და ამუალ გოლებზე,
ოღ, შენა, გენაცლე მაგ შავ თოლებზე.*

მამწონდა:

*წიმა მოღდა და ბალახი გამწონდა,
აღ მე შენ თავი სუყელასყენ მამწონდა.*

მამიპაროღ:

*თმები სავარცხელით მე გაგიყარო
მეშინიან, ბიჭოჯონ, შენ მე მამიპაროღ.*

გაკეთე:

*მადლობა ღმერთო,
ეს შენ გაკეთე,
ჩემი და-ძმეფთან ერთგანა შევხდეთ,
ჩემი და-ძმეფთან ერთგანა შევხდეთ! (სიმღერაა).*

მოღდა:

*ასიმანჩი როგოდ თორე ამოღდა,
ბალადთ როგოდ ნურიყო ირანჩი მოღდა.
ხალღი რო თაზაღა ღუნიაზე მოღდა.*

ასეთივე იოტირებული დამართვის შედეგი უნდა იყოს ნაცვალსახელის, არსებითი და ზედსართავი სახელის, ზმნიზედებისა და სხვა მეტყველების ნაწილთა ზოგ ფორმაში გაჩენილი **ღ**:

ნაცვალსახელი:

იმამაღ: ღა იმამაღ რაქთენ ოლტაში ჰყვანდა, აყვანა ეს ოლტაშეღი და წამოღდა.

ემე: თავის ემე დაწერილი არი, არ მაგონდების.

არსებითი სახელი:

ბახტიარმა:

იმაში, რომ დასტურე ჯანგი მისცა,
ბახტიარმა რო შიშით ესტეფა მისცა,
დანეშგაჩივა ყურანი შამოდლა,
ხოლა, ასიმანჩი როგოდ თორე ამოდლა.
ბალადთ როგოდ ნურიყო ირანჩი **მოდლა**.

ზ) დაკარგული ბგერის საკომპენსაციოდ

ვალს ზმნის მყოფადის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებში ძირისეულ-
ლი **ვ** იკარგება და მის ადგილას გვაქვს **ი** // **ე** ბგერა.

ეს მოვლენა სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში არ ჩანს. არ არის გამორიცხული,
რომ ხელით ჩაწერილ ტექსტებში ეს თავისებურება შეუმჩნეველი დარჩენილიყო. არ
აისახა ეს მოვლენა არც მაგალი თოდუას მიერ ჩაწერილ და გამოცემულ ტექსტებში.
ეს უკანასკნელი მასალა აუდიოჩანაწერების მიხედვით არის მომზადებული, ამიტომ
შესაძლებელია შემოწმება, რამდენად ზუსტად ასახავს ის დიალექტის რეალურ ვი-
თარებას.

ვალს ზმნა ჩვენთვის საინტერესო გრამატიკული ფორმით რამდენჯერმეა დადას-
ტურებული როგორც არნოდ ჩიქობავას, ისე მაგალი თოდუას მიერ მომზადებულ
ტექსტებში (თითოეულის კონტექსტის მოძებნა მარტივად შეიძლება ქღკ-ში):

აჭლენ, გაჭლენ, მოჭლენ, მოვლენ, შავლენ, წავლენ, წამოჭლენ (ჩიქობავა);
**ავლენ, ამოვლენ, გავლენ, გამოვლენ, მივლენ, მოვლენ, შავლენ, შამოვლენ, ჩა-
მოვლენ, წავლენ** (თოდუა).

ეს ფორმები გვხვდება მოგვიანო ჩანაწერებშიც. ასევე გვაქვს სხვა ფორმებიც,
რომლებიც „ინახავენ“ **ვ- თანხმოვნის** კვალს:

მოულენ:

ხალღი მოულენ ემე თითო ერთ თეფშით.

მულენ:

*ის წყალი რო გვედინების, სელია, იმასა სელს მულენ ააღულებენ, შაიქნების
ყარაყურუთი.*

გვიან აუდიოჩანაწერებში აშკარად გამოიკვეთა **-ვ** თანხმოვანდაკარგული და
-ი // **-ე** ჩანართიანი ფორმები:

ვ > ი:

ავლენ > აილენ:

აილენ, გომ დახეტვენ და გადმაჰყრიან და კიდეშ და კიდეშ.

გავლენ > გაილენ:

გაილენ, თამაშობენ და მე რა ვიცი მე.

ქურთები გაილენყელა, გააძოვებენყელა.

წავლენ > წაილენ:

ემ ემესათილა რო უნდა წაილენ მადრესაჩილა, წაილენყელა, ანქეფჩი უფო ველ-ფევი შეკრულიაყე, გაილენ-გამოილენ. წაილენყე ბიჭები ელემ ბიაბანზევა, ეგრეყე ჩემ საუბრები რა გინდაყე ექა?

ვ>ღ:

ექა ავველან რო წაილენ ხისტეგარიზე, წაილენ ითხოვონ, უთხოვონ, წაილენ უთხოვენ.

ბაად წაილენ, ყორს დეეკითხებიან.

მასან, შიდი დღეს უკან წაილენ – ახთს იქმენ, მაჰზარს იქმენ.

მასალან, ფიადა, ჰა, ექ ფიადა წაილენყე, საღომოსაყე წაილენ.

გამოვლენ > გამოილენ:

ერთ რამესა დაადებენ იქა, თელას, ოქროსა, ემე რამესა და გამოილენ. გამოილენ და ითხოვენ ეგრე.

მოვლენ > მოილენ:

იმაში მოილენ, მასალან, წაილენ ერთ ოთახჩი დაჯდებიან, იიბნებენ, აჰლობახტს იქმენ ბიჭი და ყორი. იმაში წაილენ, დედ-მამას დეეკითხებიან.

იმაშინ მოილენ და ქორწილს იქმენ. წაილენ ახთს იქმენლა და წაილენ ქორწილს იქმენ და...

და იმიშილა, რო საღომო შაქნების და მოილენ, წაყუანონ.

ჩავლენ > ჩაილენ:

ჩაილენ აბონეჩი, ექითაც ეს ახანძალის ვარა, მასან, ახანძალს აყუანენ და ჩაილენ აბონეჩი. ბაადემ ამოილენ და ეხლა ლამითლა დოე ნესჟეშაბ, ეგეთ დროს ინას დაადებენ ახანძალს.

სავარაუდოდ, ამ ფორმებში პირველადი იოტიანი ფორმები უნდა იყოს. **ღ** დაკარგული **-ვ-** თანხმოვნის საკომპენსაციოდ უნდა გაჩენილიყო. მისი გამარცვლიანების შედეგად უნდა მიგვეღო **-ი**.

1.1.3. **ღ-ს პოზიციური გამოვლენის არე**

მაშასადამე, ქდკ-ს მასალების მიხედვით ფერეიდნულში **ღ-ს პოზიციური გამოვლენის არე** ასეთია:

1. ანლაუტი ხმოვნის წინა: # – V;
2. აუსლაუტი ხმოვნის შემდეგ: V – #;
3. ინლაუტი ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: V – C;
4. ინლაუტი ხმოვნებს შორის: V – V.
5. ანლაუტი თანხმოვნის წინ: # – C

პოზიცია #– V (ანლაუტი ხმოვნის წინ) შეიძლება გამოვლინდეს თითქმის მხოლოდ უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებში:

(ვამბობთ „თითქმის“, რადგან, როგორც ვთქვით, არ გამოვრიცხავთ, რომ შეიძლება შეგვხვდეს იოტირებული შემართვის ცალკეული ეპიზოდი, განსაკუთრებული ინტონაციური მოდულობის გამოსახატად).

და:

დალეგარიაო:

იმ სხომ უთხრა: გამაართიო, დალეგარიაო ემის ველისაყეო (1922 წ.).

დაღიები:

ქენ სომხები ხართ, აველანთაყე, და მევორედაც, რო ქენ დაღიები ხართ (1976 წ.).

დე:

დეთიმები:

ერთი ხალღის, დეთიმების საქონელს დაიჭერავსო და მეორე წელს ამბოფსო, რო მივალ მაქქაჩიო (1972 წ.).

დექ:

მასალან ერთ დექ თომანსავით ვდებდით ემეჩი, ჩადიოდა, ამ სახლის პატრონმამ დექ თომანი აიღოს, ერთ თომანითა ემან ორ თომანი, რაქთენიც თაე გუღს უნდალა (1998 წ.).

დეუ:

დეუზი:

ასი არ ვიცი, დეუზია, რაგდენი, თურქულათ, ხო! (2012 წ.)

დეუსოფი: ერთ დეუსოფი არი – წასულა, ერთი ბესთჟლა ორი ყორბანიებია წასულან ხოიგანჩი (1998 წ.).

დო:

დორეში: უთხარყე: კაცობის დღე'რი; აბა დავთალაბი მინ შადქნების, დორეშიმ იიტანოს (1922 წ.).

დონჯა:

თა მოხაპონ და მეშაკიმ ადტანონ და დონჯა მადტანონ და ქერი მადტანონ და ოსპი მადტანონ (1998 წ.).

პოზიცია V– # (აუსლაუტი ხმოვნის შემდეგ)

ა) უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებში:

აე –#

ალაე:

ნამაე პატრონი მყავ, რო ემ ალაე რაჰიმის ძმა არი ელა (1998 წ.).

ბენაე:

ემ ბიჭმა წაადა, ემ ჰოსეენამა, და ბენაე ქნადა, რო რაგდენი მიწა იყიდა და აჯუ-ლი და უსტა და მადეყანა შარსაყენა (1998 წ.).

ვალაე:

ვალაე, მაგე ვაგმთელეებია ქაჩალ თავი (1998 წ.).

ეთელა:

ვალი ანსები გადმოქლენყე – ვნახავტყე. ხაბარი, **ეთელა** (სპ. ამბავი) ჰაი, მი-
დის-მოღის ნამა (1998 წ.).

ლაილა:

ემას რო შუშპრობენ, თუ სტირი და ნალარას უკრვენ, იმის მოღამზე შუშპრო-
ბენ, თუ არა და თითან: შირინ **ლაილა, ლაილა, ლაილა**, შირინ ჰაი გოლა, ჰაი,
რეიჰანა (1998 წ.?).

ეი –#

ბეი:

ჩაყერი თივი, ვაშლის მორაბბას გავაკეთებთ, **ბეი, კომში**, ჰამ ბეის ვიტყით, ჰამ
კომშს ვიტყით (1998 წ.).

ალე:

რო აღარ ჩოყყარონ **ალე** თითებში – ფარსულად იშქელაქს იტყიან (1922 წ.).

ოი –#

ბოი: იტყის, რო: **ბოი, ბეჟარმო**, ბეჰუნემო. დანი, მოღი ჩონ სახნი (1976 წ.).

უი –#

ღარუე:... **ღარუე** ღარიანა, ემის სახელი რა იყო, ზოგი რა იცი! (2012?)

ბ) ხმოვნის შემდგომი პოზიცია სიტყვის ბოლოს (ჰაუზის წინ) საკმაოდ ხშირია
ქართულ სიტყვებში. რა შემთხვევებში იქმნება ეს პოზიციები, ზემოთ უკვე იქნა
განხილული:

ხმოვანფუძიანი სახელის მიცემითი ბრუნვის ნიშნის ფონეტიკური ცვლილების
შედეგად (**დაკლუად, ამა...**), ზმნაში სუბიექტური პირის -ს სუფიქსის ფონეტიკუ-
რი ცვლილების შედეგად (**გადმოდდე, განაყე...**), იოტირებული დამართვის დროს
(მინდა, ბახტიარმა...) და ზოგიერთ სხვა შემთხვევაში: **ვტყუი > ვტყუე, ჩაი >**
ჩაე, რუვი > რუი > რუე...)

პოზიცია: ინლაუტი ხმოვანსა და თანხმოვანს შორის:

ეს კომბინაცია ძირითადად ზმნისწინისეული ხმოვნისა და პირის ნიშნის, ზმნის-
წინისა და ხმოვანი ზმნური პრეფიქსის ან სახელური ფორმაწარმოებისას შეიძლება
შეიქმნას ფუძისეული ხმოვნისა და სუფიქსისეული -იC კომპლექსის შეხვედრისას.
იშვიათად კი ძირეულ სიტყვაშიც შეიძლება შეგვხვდეს – ნასესხებ ლექსიკაში:

V-ჰ-C (პირის ნიშანი): ადბერტყენ < ა-ჰ-ბერტყენ... ასევეა: გადადგრიხავ, გა-
მადგ ზავნიან, ჩამადჩქის, ამადხეტავ, ამადხრეტავ, ადტკივა, გამადქონდა....

V-ი-C: ადგლოთ < ა-(ვ)-ი-გდ-ო-თ... ასევეა: ადგოს, ამადღებენ, ამოღტანთ, გარ-
დადცლების, შამადცომს, მოდყვანთ...

V-იო: ანქადთ, ბალადთ, თადთან, კალთადთ...

ნასესხებები სიტყვები: **ადბი, ბეითლეში, ბეჟარმაითო, ლაილა, თადლა, სეილი...**

პოზიცია: ინლაუტი ხმოვნებს შორის:

როგორც ითქვა, ეს კომბინაცია იქმნება მაშინ, როცა:

- **ღ** ხმოვანთგამყარის ფუნქციით გვხვდება: **გამადაქ...**
- როცა მორფემულ მიჯნაზე შესაბამის კომბინაციაში ხვდება ი ხმოვანი და „სუსტდება“: **ააო, ააარეს, ნამაოზა, ადექ, ახჩადა, გააარეს...**
- ნასესხებ სიტყვებში: **აათოლა, აამექუმ, არადეშკა, ვაზეათით...**

პოზიცია: #- C (თანხმოვნისწინა):

ეს პოზიცია უმთავრესად პირის ნიშნისა და ხმნის ფუძისეული თანხმოვნის შეხვედრისას იქმნება: **დბარავ, დბაღავ, დგღიზარ, დგვანდა, დლეწენ, დმაღავ, დთქო...**

როგორც ვხედავთ, **ღ** ფერეიდნულში საკმაოდ ფართოდ რეალიზებული ბგერაა. ის აქ, როგორც სხვა ქართულ დიალექტებში, გვხვდება **ი, ს, ჰ** ფონემათა ალოფონად, აგრეთვე, ინტონაციურ ელემენტადაც: ხმოვანთგამყარად ან შემართვა-დამართვის სახეობად სხვადასხვა ინტონაციურ მოდულში.

1.2. უმარცვლო უ ფერეიდნულში

უმარცვლო უ-ს არსებობა ფერეიდნულში პირველმა არნოლდ ჩიქობავამ აღწერა. მკვლევარს საშუალება ჰქონდა დაჰკვირვებოდა არა მხოლოდ იმას, როგორ წარმოთქვამდა დიალექტის მატარებელი მისთვის საინტერესო ბგერას, არამედ იმასაც, როგორ აღიქვამდა და გადმოსცემდა გრაფიკულად წყვილბაგისმიერ და კბილბაგისმიერ მჟღერ თანხმოვნებს – უმარცვლო **უ-სა** და **ვ-ს**. მკვლევარი წერს: „**ვ** ჩვეულებრივ წყვილბაგისმიერია; კბილბაგისმიერი **ვ** სულ არ უნდა იყოს; ამ მხრივ ფერეიდნული აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოებს გვერდში უდგას. **ვ**’ს დასახასიათებლად საინტერესოა თვითონ **ს**. იოსელიანის ნაწერი: **ვ** და **უ** მას ერთმანეთში ერევა ხშირად; **ვ**’ს ხმარობს იქ, სადაც **უ** უნდა ეხმარა; ცხადია **ვ** მას ბაგეთმიერად ეჩვენება; ეს კი **ვ**’ს ფონეტიკურ რაობას გარკვეულად ახასიათებს: „შოვპირაღმთა; იქავრობა ნახა; იქაც ექავრსავით მამულწყალი ჰქონდაყე; გოვჯავრდა; შოვჭამიავო; ბარი დოვრჭო მიწაზე (= დაურჭო); გომოვჩნდა (= გომოუჩნდა)“ და სხვ. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ასე წერდა **ს**. იოსელიანი ჩამოსვლიდან კარგა ხნის შემდეგ, როცა სამწერლობო ქართულს სწავლობდა“ [ჩიქობავა 2010 (1927):185]⁸⁸.

უმარცვლო უ ქართულ დიალექტურ კორპუსში დროებით აღნიშნული გვაქვს ლათინური **u** გრაფემით. ფერეიდნული ტექსტების კორპუსული გამოცემისთვის უნიფიცირებისას ყველა იმ შემთხვევაში, როცა, ავტორები უმარცვლო უ-ს უთითებენ, ეს ნიშანია გამოყენებული.

ფერეიდნული ტექსტების კორპუსული ვერსიების მომზადებისას საჭირო გახდა სხვადასხვა წყაროს დაწერილობის შეჯერება და ტექსტების გრაფემული უნიფი-

88. უნდა აღინიშნოს, რომ ფერეიდნული დიალექტის მატარებლებს დღემდე უჭირთ ბაგისმიერი ხმოვნების: **ო-სა** და **უ-ს** და უმარცვლო უ-ს გარჩევა წერის დროს. ამის დასტური მრავლად არის სოციალურ ქსელსა და პირად მიმოწერაში, მაგ.: Omid Gogonani, 1/3/2019 *კარგი მეგობრები მთაში, ქალები ქობში ვისაე ზმეთ*.

ცირება. პირველ ყოვლისა, ეს უმარცვლო უ-ს შეეხო. საქმე ის არის, რომ არნოლდ ჩიქობავას გამოკვლევის პირველ, ავტორისეულ პუბლიკაციაში [ჩიქობავა 1927] ერთგვარი „გაორება“ შეინიშნება – ის შემთხვევათა ერთ ნაწილში გამუქებული ვ გრაფემული ნიშნით აღნიშნავს წყვილბაგისმიერ ლაბიალურ თანხმოვანს, ხან კი იყენებს მარცვლოვან უ-ს, ოღონდ ამასაც გამუქებულს.

ამის შესახებ ავტორი ტექსტების ნაწილის კომენტარად სქოლიოში წერს: „უმარცვლო უ-ს აღსანიშნავად სათანადო ნიშნის უქონლობის გამო ტექსტში ყველგან ვ (შავი) არის გამოყენებული. აქვე უნდა ითქვას, რომ უმარცვლო უ-სი და თანამედროვე სამწერლობო ქართულში ვ-თი გადმოცემულ ბგერას შორის ზღვარის გავლება ძნელია: ორივე ეს ბგერა უპირდაპირდება უ-ს და არა ერთმანეთს. რყევა უმარცვლო უ-სა და ვ-ს შორის ტექსტში ამას მიეწერება“ [ჩიქობავა 1927: 2009].

ავტორი არ აზუსტებს, მაშ რატომღა დატოვა ორი ნიშანი ერთი და იმავე ბგერის გამოსახატად?

„ქართული დიალექტოლოგია“ [1961], ყველგან, სადაც მუქი ვ გვაქვს ავტორისეულ ტექსტში, უმარცვლო უ-ს წარმოადგენს:

(1) შემოუღვიან, დაიჭირიან, მაიყუანიან იმ დღეს, იმ წყალში ჩააგდიან, ჩააღბენ და ამაიყუნიან (გიგინეიშვილი და სხვ. 1961: 253).

შდრ. :

(2) შემოუღვიან, დაიჭირიან, მაიყვანიან იმ დღეს, იმ წყალში ჩააგდიან, ჩააღბენ და ამაიყვანიან (ჩიქობავა 1927: 231).

ასევე უნიფიცირებულადაა წარმოდგენილი ეს მასალა შოთა ძიძიგურის გამოცემაში).

ნაშრომის მეორე პუბლიკაციის [ჩიქობავა 2012: 180-240] რედაქტორებსაც გადაუწყვეტიათ ამ „გაორების“ დაძლევა, თუმცა მათ არ გაუზიარებიათ წინა გამოცემელთა გამოცდილება და უმარცვლო უ-ს გადმოსაცემად სპეციალური ნიშანი კი არ გამოუყენებიათ, არამედ ყველგან, სადაც უ ნიშანი გვაქვს (გამუქებული უ) – ასევე გამუქებული ვ თანხმოვანია წარმოდგენილი:

ჩიქობავა 1927	ჩიქობავა 2012
რომელმაც რო ნამა ჯერ აჭამისყე, წავიდის, შასნიულის იმ ორი უფროსს, ღიმათ ⁸⁹ გამოგ-ზაუნინანყე სუთი ცხენიანი მაყმურად, გადაავღვიანიანყე ას თუმანი, დაბლა, მეტი (გვ. 235).	რომელმაც რო ნამა ვერ ⁹⁰ აჭამისყე, წავიდის, შასნივლის იმ ორი უფროსს, ყიმათ გამოგზავ-ნიანყე სუთი ცხენიანი მაყმურად, გადაავღვიანიანყე ას თუმანი, დაბლა, მეტი (გვ. 24).
იმათ, მეთოფეებმა ავიდეს, *ქუაყრილი (ქვები ყრია ბევრი: *ქუაყრილს დაეძახით) შაკრეს (გვ.235).	იმათ, მეთოფეებმა ავიდეს, ქვაყრილი (ქვები ყრია ბევრი: ქვაყრილს დაეძახით) შაკრეს (გვ. 225)
მიველით *ქუაყრილჩი (გვ. 235).	მიველით ქვაყრილჩი (გვ. 225).

89. გ და ყ ნიშნების შესახებ იხ. ქვემოთ.

90. მეორე გამოცემაში კორექტურაა, უნდა იყოს: ჯერ.

იმათაც გამოგ ზაუნეს ორი თავითი შვილები რაქთენ ცხენიანით (გვ. 234).	იმათაც გამოგ ზაუნეს ორი თავითი შვილები რაქთენ ცხენიანით (გვ. 223).
თუ ქართველებმა ეს ფული არ მისცესეო ჩონ გაგ ზაუნილებს, – რო წინ გოგ ზაუნია მაჯ მურები ქართველებთან (გვ. 234).	თუ ქართველებმა ეს ფული არ მისცესეო ჩონ გაგ ზაუნილებს, – რო წინ გოგ ზაუნია მაჯ მურები ქართველებთან (გვ. 223).
ქართველებსავით ხაღლი ღმერთს არ გოუნენიაო დანატულობითაო და ვაჟკაცობითაო (გვ. 234).	ქართველებსავით ხაღლი ღმერთს არ გოუნენიაო დანატულობითაო და ვაჟკაცობითაო (გვ. 224).
პატივი მცეს. გოუნარდაყე, რო წასულიყავ სანახულად (გვ. 234).	პატივი მცეს. გოუნარდაყე, რო წასულიყავ სანახულად (გვ. 224).
გემამ, სამჯელ ავღგიყე, რო წავიდე, დაწწე, არ გამიშისყე, რო: დაჯე, ვიიბნათო (გვ. 234).	ყემამ, სამჯელ ავღგიყე, რო წავიდე, დაწწე, არ გამიშისყე, რო: დაჯე, ვიიბნათო (გვ. 224).

რასაკვირველია, უნიფიცირება გარდაუვალი იყო და ალბათ აჯობებდა, ბოლო გამოცემაშიც უკვე დამკვიდრებული დიაკრიტიკული ნიშნით გადმოცემულიყო უმარცვლო უ. ეს მომხმარებელს ფორმათა იდენტიფიცირებას გაუადვილებდა.

კორპუსული გამოცემისას გავითვალისწინეთ ყველა არსებული წყარო.

შენიშვნა: არნოლდ ჩიქობავას ნაშრომის მეორე გამოცემაში ზოგჯერ მარცვლიანი უ-ს უმარცვლოდ ასახვის შემთხვევებიც გვხვდება (ცხრილში ვარსკვლავით გვაქვს აღნიშნული). ამ ფაქტზე ყურადღებას არ გავამახვილებდით, მაგრამ ქუა // ქუ(ვა) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისია, რომელიც დიალექტში ყოველთვის მარცვლოვანი უ-თია წარმოდგენილი, ამიტომ მკვლევარი, ვინც ამ საკითხების შესწავლისას მასალას მოიძიებს ან დაიმოწმებს, სიზუსტისათვის უმჯობესია, დაეყრდნოს ავტორისეულ ტექსტს ან მასზე დაყრდნობით გამოცემულ ქრესტომათიებს [გიგინეიშვილი და სხვ. 1961; ძიძიგური 1956] და არა ბოლო გამოცემას [ჩიქობავა 2010].

ქართული დიალექტური კორპუსი ეყრდნობა ავტორისეულ გამოცემას, რომელიც შეჯერებულია შოთა ძიძიგურისა და „ქართული დიალექტოლოგიის“ გამოცემასთან და ყველა, ავტორის მიერ უმარცვლო უ-დ კვალიფიცირებულ ფორმას, წარმოადგენს კორპუსში ამ ბგერისთვის გამოყენებული გრაფიკული ნიშნით – **ŭ**.

ზოგჯერ ავტორისეულ გამოცემაში სავარაუდოდ, შეცდომა უნდა იყოს გაპარული, მაგრამ ჩვენ ასეთ ფორმებს არ ვასწორებთ და ვტოვებთ უცვლელად. მაგალითად, სიტყვა **თაურობა**, სავარაუდოდ, დიფთონგიზებული სახით, უმარცვლო უ-თი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, ისევე, როგორც სხვა ახლადშეთვისებული მსგავსი სიტყვები, თუმცა ტექსტში გვაქვს სრულმარცვლოვანი უ-თი:

ყაზალებს ვაძლევედითყე **თაურობასათი [ჩიქობავა 1927: 233]**.

შენიშვნა: სიტყვა ახალშეთვისებულია მთქმელისგან. ტექსტში ამ მნიშვნელობით ფერეიდნულში დამკვიდრებული ნასესხობები – დოვლათი, ჰოქუმათი – გვხვდება:

(1) თუკი **დოვლათი** ვოშელების და ველსა კიდეებს, მუგუშელიავეთ ყაზაყი რაქთენი და ერთი რაქთენიც თოფ-იარაღი მოგეცით;

(2) ქალაზი მისწერეს სარდარი აშჯაყთან (ესეც ლაყაბია), ჰოქუმათი იყო ის-პაანისა (ორი სარდარები რო ვოქი ცუმათი ბიძა იყო!).

წესით, აქაც უმარცვლო უ უნდა გვქონდეს, როგორც ახლადშეთვისებულ სხვა სიტყვებში.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ვ და უმარცვლო უ ფონემურ დონეზე განირჩეოდა და მათი გამოყენების არეც გამიჯნული იყო. [სარჯველაძე 1984: 291; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 38-41..., ჩიქობავა 1923: 185; ჩიქობავა 1942: 194; ჟღერტი 1941: 186; თოფურია 1946: 76; შანიძე 1953: 19; იმნაიშვილი 1971: 7-8; ერთელიშვილი, 1963: 86-87; როგავა, 1958 : 126; ქავთარაძე, 1964: 85 და სხვ.].

უმარცვლო უ-ს განაწილების, წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა. მისი გამოვლენა, ძირითადად მახვილის გადანაცვლებას [ჩიქობავა, შანიძე...] ან ზოგადად უმახვილო პოზიციას [ერთელიშვილი] უკავშირდება.

ფერეიდნულში ამ მოვლენის შესწავლისათვის რამდენიმე აუცილებელ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი:

- რამდენად მიჰყვება ფერეიდნული ძველი ქართულის ჩვენებას ვ-სა და უმარცვლო უ-ს განაწილების მიხედვით?
- როგორი ვითარება გვაქვს, მაგალითად, სიტყვათა იმ ჯგუფში, რომლებშიც პოზიციურად თითქოს მოსალოდნელი იყო უმარცვლი უ-ს გამოვლენა, მაგრამ ყოველთვის ვ თანხმობით არიან წარმოდგენილი ძველ ქართულში? (ადვილი, ქართველი, პირველი, ჯინჭველი, იანგარი, რვა, რვალი, ფქვილი (საფქველი), ქვა, ქველი, საზღვარი, ყველი, საფუძველი, წყვილი, ცვალება (გარდაცვალება, ნაცვლად), წვალება, ხვალე [იმნაიშვილი 1971: 8];
- აგრეთვე საინტერესოა, რა ვითარება გვაქვს დიალექტში ძირეული ვ-ს შემცველ ამ სიტყვებში: ვარდი, ვენახი, ვინ, ვედრება, ვსება, ვნება, ვრცელი, ვლტოლა, ავაზანი, მრავალი, ყოველი, ყუავილი, ბევრი, ნავლეი, ავლი, ვკლავ, რვალი, იანგარი, იყენეს, ხედვა, ვშვა [გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 40].

ამ ძირებიდან ფერეიდნულში ბევრი დაიკარგა, ზოგი მათგანი შენახულია, ნაწილი კი გვიანნი კონტაქტების შედეგად ხელახლა მკვიდრდება ენობრივი და კულტურული რეინტეგრაციის სხვადასხვა ეტაპზე.

ვნახოთ, როგორ არის შემონახული ლექსიკური ფონდის ეს წილი დიალექტში და რამდენად ინახავს ფერეიდნული ძველი ქართულის ტრადიციას, რომ ამ სიტყვებში კბილბაგისმიერი ვ „ხელშეუხებელი“ დატოვოს.

ძველი ქართული

ქვა
რვა
ხვალ
ყველი
შვილი
პირველი
ცვალ -
წვალ-

ფერეიდნული

ქუვა // ქუა
რუვა // რუა
ხუვალ // ხუალ(ა) // ხ
ყველი (ყველია, ყველია, ყველს, ყველსა, ყველსაც...
შილი // შვილი (შილიშილი, ბიძაშვილი...)
პირველი // პირუელი
გადიცვალა, შაცვალანყე....
იწვალოს

საზღვარ-	საზღვარი
ფქვილი	ფქილი // ქვილი
ბევრი	ბეჭრი // ბევრი
კლავ-	კლავ
ვს-	ვს (სავსე, აავსებს...) // მს (სამსე, ამსებს) // უს (საუსე)
იყენეს	იყენეს / იყნეს
ყუავილი	ყვავილი // ყუავილი // ყავილი // ყუჭავილი

შეიძლება ძველი ქართული და ფერეიდნულის ამ საერთო ლექსიკურ ინვენტარს კიდევ დაემატოს რამდენიმე ფორმა. ქართული დიალექტური კორპუსის დღევანდელი მონაცემებით კი ეს სურათი გვაქვს: იქ, სადაც ძველ ქართულში აუცილებლად ივარაუდებოდა კბილბაგისმიერი ვ, ფერეიდნულშიც ვ გვაქვს, რომელიც ხან ერთადერთ ვარიანტად არის დაცული (ყველი), ხან იკარგვის (შილი), ხან – უმარცვლო უ-თია წარმოდგენილი (ბეჭრი). სამი ერთმარცვლიანი სიტყვა – ქვა, რვა, ხვალ – მარცვლიანი უ-თია წარმოდგენილი და ზოგჯერ, როგორც ვხედავთ, კბილბაგისმიერ ვ-საც „ინახავს“. ხშირად პარალელური ვარიანტები ერთი და იმავე მთქმელის მეტყველებაშიც კი არის დადასტურებული. როგორც ვთქვით, ამ სიტყვების ნაწილი ფერეიდნულში ხელახლა შესული რეინტეგრაციული პროცესების შედეგად. ასეთი უნდა იყოს საზღვარი, წვალობს, ყვავილი... ამას არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რადგან ასეთი „დაბრუნებული“ ან ახლად ათვისებული სიტყვებიც საერთო ფონეტიკურ ქარგაში ექცევა დიალექტში.

მთავარი, რაც ამ ფორმათა შედარებით ირკვევა, არის ის, რომ ფერეიდნული არ მიჰყვება ძველი ქართული სამწერლობო ენის ტრადიციას და მას არა აქვს კბილბაგისმიერი ვ-ს „დაცული“ პოზიციები შემონახული ქართული ლექსიკის ამ ე.წ. „გამონაკლის ჯგუფში“.

დიალექტი მიჰყვება ქართული დიალექტების საერთო ტენდენციას ამ საკითხში და ქმნის საკმაოდ სპეციფიკურ, მაგრამ ამავე დროს, კანონზომიერ ვარიაციულობას.

რა ვითარება გვაქვს იმ ფორმებში, რომლებშიც ძველ ქართულში უმარცვლო უ გამოყენებოდა? ფერეიდნულში შემორჩენილია ასეთი ძირეული მასალის მხოლოდ ნაწილი. უმეტეს შემთხვევებში ბაგისმიერი თანხმოვანი დაკარგულია. ქართული დიალექტური კორპუსის მიხედვით ძველი ქართული და ფერეიდნულის მიმართება ასეთია:

ძველი ქართული:	ფერეიდნული:
ბუალი	ბოლი
ჯუარი	–
ყუავილი	ყუავილი* // ყვავილი* ⁹¹
ყუარ (საყუარელი, მიყუარს...)	ყორ: მიყორს, საყორველი
კუამლი	–

91. ვარსკვლავით აღნიშნული ფორმები ტექსტებში გვაქვს, მაგრამ, სავარაუდოდ, ისინი სალიტერატურო ქართულის გავლენით გაჩენილი ინოვაციები უნდა იყოს.

მოძღვარი	–
უკუე	–
გუამი	–
ზღვა	–
მარცული	მარცული // მარცვალი*
მწუანე	წონე
ცუარი	–
ბლუარი	–
თუალი	თოლი
ბულუან	–
შიშეელი	შიშელი
სახუეველი	ხუე: აიხუვა, წავხუეე
მწუერვალი (წუერი)	წერი
გუერდი	გერდი // გვერდი*
მეზუერე	–
შუეზა	–
ქუეყანა	ქოყანა // ქვეყანა*
მარჯუენე	მარჯენა, მარჯვენა*, მარჯნივ*
შემთხუევა	–
გუემა	–
კუეთა	–
ჩუენება	აჩენებს, აჩენა // აჩვენებს*
ხუეტა	ხეტა, გახეტა
ჩუენ	ჩენ // ჩუენ* // ჩვენ*
თქუენ	ქენ // თქენ//თქვენ*
ყუედრება	–
გუელი	გელი // გველი*
თთუე	თე // თვე*
მტუერი	მტერი
სხუა	სხო // სხვა*
დათუ	დათი // დათვი (1923, სეიფოლა იოსელიანი)
თაგუ	თავი // თავვი* (თავვისქერა)
კუნესა	კნესა
ექუსი	ექსი
გუალვა	–
გურიტი	–
მინდურისა	– მინდრის, მინდრულ... // მინდვრი*
ვარსკულავი	მოსკლავი
სუეტი	–
თირკუმელი	– თირკმელი
კუალი	– კოლი
მოკუდა	მოკდა // მოკვდა*
კუერი	–
კვერცხი	კერცხი // კვერცხი

კუესი	–
კუენა	კენა, იკენის
ლკუ	ლკი // ლეკვი
ნაკურცხალი	ნაკურცხალი
სუმა	სმა
უკანა	უკანა
უკუე	უკვე
ჩხიკუ	–
ეჟუანი	–
სუელი	სელი, ასელებს // სველი
სუმა	სმა
სუამს	სომს
დასუა	დასო
ფესუ	ფესი // ფესვი*
შესუარვა	–
ნესტუ	–
ტიტუელი	ტიტუელი // ტიტველი*
ფეტუ	–
ფირტუ	ფირტი // ფილტი*
სარქუელი	სარქელი
ქარქუეტი	–
ქუაბი	ქობი
ქუ – მაქუს	მაქ // მაქს // მაქვს*
გაქუს	გაქ // გაქს // გაქვს*
მაქუნდა, გაქუნდა	მქონდა, გაქონდა, აქონდა
ქუე	ქე (თავქე)
ქუევრი	ქევრი*
ქურივი	ქრივი
ლელე	ლელი // ლეღვი*
რლევა	დაარლევა // არლოვა // დაარლეკს // არლოჟდისყე
ლუარი	ლრის
ლეელი	ლედი
ძარლე	ძარლებმა*
ძლეუნი	–
იდაყუ	–
მაყუალი	–
სეტყუა	სეტყვა*
სიტყუა	სიტყუა // სიტყო // სიტყო*
შაშუ	–
მიუშუებს	მიუშებს, გომებს...
შუელა	შელა, უშელა, მიშელა
შუენ...-იერი, -ის...	გშენის, ჰშენის...
შუერ (დავშუერ)	დავშერ, დაშრომა
მამურალი	დაშრომილვარ
დამამურალი	დაშრომილი
ფიჩუ	ფიჩი

ჩუნება	აჩუნებს // აჩვენებს
ჩუეულება	ღაჩოულხარ
კიცუ	კიცი
ცერცუ	ცერცი
ცუარი	ცუარ-ნამის, ცვარ-ნამი*
ცუეთა	–
ძუელი	ძელი // ძუელი
ძუერ	გაძრების, გაძრენა
წუად (წვლომა)	მიაწდენს, მისწდების... // მიაწვლიან, მისწვდების...
წუეთი	წეთი
წუელა	წელა, წელავს // მოძწველავთ
წუენი	წენი
წუერი	წერი // წვერი*
წუვა (დაწუვა)	აწვოთ(=წვათ)
წუევა	აწევდა, აწვევენ, აწივა... // აწვიეს (სეიფოლა იოსელიანი, 1923)
ეჭუ	–
ჭურეტა	ჭრეტავს
ჯაჭუ	ჭაჭვი, ჯაჭვი*
ნეხუ	ნეხი
რიცხუ	რიცხვი*
სხუა	სხო
ციცხუ	–
ხახუ	ხახი // ხახვი*
ხუავი	ხოვი
ხუარბალი	ხორბალი
ხულომა	შეგვვდა, შევდების
ხუეტა	ხეტა
ხუეწა	–
ხუეწნა	ეხეწა, ეხეწების...
ხუეჭა	–
ხურიწვა	ხრინვა
იხუ	იხი
ვურელი	ვრელი, ვრელა, ვრელეს...
ვურეტა	გაფვრეტავთ, ამაფრეტავს...

ასევე იკარგვის ბაგისმიერი კომპონენტი იმ სიტყვებში, რომლებშიც ვ (ვიე) გრაფემა გვქონდა ძველ ქართულში და რომელთა შემადგენლობაშიც აგრეთვე უმარცვლო უ ივარაუდება: გვან – ვიან; უკვირს – უკირს; კვირიაკე – კირია // კირა; ტვინი – ტინი, ქვშა – ქიშა, ყვითელი – ყითელი*, შვიდი – შიდი, ჩჩვილი – ჩილი, წვიმა – წიმა... (ამ ტიპის ლექსიკის ნაწილი ფერეიდნულმა არ შემოინახა; მღვმე, ზვადი, სვანი...).

როგორც ვხედავთ, ფერეიდნულში უმარცვლო უ-ს გამოვლენის წესი აღარ ემთხვევა ძველი ქართულის ვითარებას, თუმცა სახეცვლილ ფორმებში ერთგვარად

„იკითხება“ ძველი სისტემის კვალი (ბაგისმიერი თანხმონის გაუჩინარების პოზი-
ცია უმთავრესად ძველი ქართულის უმარცვლო უ-ს პოზიციას ემთხვევა).

უმარცვლო უ ფერეიდნულში პოზიციურად შეიძლება შეგვხვდეს:

-ჟ-C: სიტყვის თავში თანხმონის წინ – ჟნახე...

შენიშვნა: ეს პოზიცია გამოვლინდა მაშინ, როცა წინამავალი სიტყვა ხმოვნით
მთავრდება, ამიტომ შეიძლება მსგავსი შემთხვევებიც V- C პოზიციად იქნას გან-
ხილული:

რაცლა უფროსები იყო, წამოიარე და სუყელა ჟნახე [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი,
1923].

V-ჟ-C: სიტყვის შიგნით, ხმოვანსა და თანხმონის შორის:

V-ჟ-ბ: გაჟბანდიტყე, დაჟბერტყით, დაჟბრუნდეთ, საჟბარი... გეჟბნები... მოჟბა-
რი, მოჟბალოთ, სოჟბათი, შამოჟბრუნდეთ...

V-ჟ-გ: აჟგერდანი, გაჟგზაჟნეთ, დაჟგვი, დაჟგვლეჯავყე... გამოჟგზავნაყე,
გოჟგია, გოჟგლიჯიან, მოჟგლიჯე, ჩამოჟგავითლა...

V-ჟ-დ: აჟდგები, აჟდექ, აჟდუჟავ, აჟდული, ათაჟდების, გაჟდანა, დაჟდჟა,
დაჟდაღავ... ვარტყეჟდით, ტორეჟდითყე, უკითხეჟდა... არლოჟდისყე, გადმოჟდეფ,
გამოჟდა, დოჟდეგს, დოჟდეგენ, მოჟდეგარ, მოახლოჟდებიან, შომოჟდექო, ომოჟდა,
ჩოჟდებს, ჩოჟდვით, ძოჟდა...

V-ჟ-ზ: გაჟზარდეთყე, გაჟზდით, თაჟზე, ჰაჟზი... მოჟზელავთ...

V-ჟ-თ: აჟთორეში (// ავთორეში, იმავე ტექსტში), გაჟთქეფდით, გაგაკეთე-
ბაჟთ, თაჟთაყე, მოაწითაჟთ... გთხოჟთ...

V-ჟ-კ: აჟკიდეფთლა, აჟკილე, დაჟკრეფთ... გამოჟკითხე, გოჟკეთისყე,
გოჟკრენჭავყე, დოჟკრევენ, მოჟკრიფეთ, ჩოჟკივლი, მოჟკტა...

V-ჟ-ლ: აჟლენ, ამღრეჟლი, გაჟლესავთ, გაჟლესავთ, გაჟლულა, გისწაჟლია,
დაჟლევთ... დამტრეჟლვარო, დანგრეჟლები, დარეჟლა, ამღრეჟლი, გარჩეჟლი,
აქცეჟლიყვენენ, მოწეჟლა... ამოჟლენ, გამოჟლესავთ, დოჟლათი, თოჟლი, სას-
თოჟლი, შამოჟლით...

V-ჟ-მ: აჟმალღი, გაჟმეთრავთ, დაჟმალეთ, თაჟმოვლიობა... დოჟმეტეფ...

V-ჟ-ნ: ამოგზაჟნა, დაჟნაყავთ, დაჟნისნე, თაჟნაურუზა... მოჟნახავ, ნათხოჟნი,
შოჟნახის...

V-ჟ-რ: აჟრეგთ, ანქაჟრ, არაუშაჟრ, აქაჟრობაცა, გაჟრაცხავ, გაჟრეკთყე, გო-
ჯაჟრდეთ, დაჟრეკავ, ნაჟრუზი, სადჟრი, შინაჟრი, ძირაჟრი... ბეჟრი, ზეზეჟრი,
კეჟრს, მეჟრისათი, ქეჟრი... გოჟრეცხავთ, დოჟრა, მოჟრიგდეთო...

V-ჟ-ს: აჟსარა, აჟსებდა, დაჟსილები, ბარტყაჟს, გაჟსინჯე, გაამთელებაჟს,
დაჟსივდი, დადჩრეჟტაჟს, თაჟს // თაჟსა, თაჟსახლი, თალაჟსინა, ლეწაჟს, ნიშ-
ნაჟს, ეხედაჟს, ებადაჟს... ბეჟს... მახსოჟს, მოჟსა, მოჟსმინონ, შომოჟსობთ,
ჩოჟსხით, წოჟს...

V-ტ- ატობუსი, გადატეხავთ... მოტანილი...

V-ფ- გაუფიქრე, გაუფსქნით, გადაუფარიტყე, დაუფშნეტავთ...

V-ქ- ატქამ, დატქბიტყე, თატქელა, ქოლაქატქაობა, შატქნათ... მოტქსოვეყე, მოტქთ...

V-ლ- ატლუნის ღელე, გადატლვრიყე, მააწითებატლა, ყატლა, შატლდებავთ... წოტლევს...

V-ყ- ატყრითყე, გყატყე, რატყოთ, შატყელსაყე, რატყართყე, რატყვიტყე, ჰყატყე... მოტყყეთ, ჩოტყყრიან, წოტყყვანე...

V-შ- ბატში, გატშმალითყე, თატშიშელებია, ქარატში, შატშალე... გოტშეს...

V-ჩ- თატჩი... გოტჩენიათ...

V-ც- დატცხებ... მიტცემთ...

V-ძ- გატძაბატვთ, დატძახი... შოტძლიან, ღოტძახით...

V-წ- დატწუტე, დატწივ, დატწერო, რატწურატ... გოლოტწიის...

V-ხ- გატხეგდი, დატხარჯავთ, დატხუვითყე... გოტხარდა, მოტხარშავთ, მოტხარშავტყე, ომოტხუოთ...

V-ჯ- დატჯგვიყე, დატჯდები... გოტჯა, მოტჯკეზადთ...

C -ტ-V: სიტყვის შიგნით, თანხმოვანსა და ხმოვანს შორის:

ბ-ტ-V: საძებტარი...

გ-ტ-V: გტარდებისო, გტარი, გტასწავლა, გტაქ, გურგტალი, ღოგტარდა... გტერ-გო, გტესმის, გტეუბნებიან, გტექნების, გოგტები, მოგტეწონა... გტოქ... გტიანბობენყე, გტინდა, გტიყვებოლიან, გტიშეფსო, ღოგტიწყებია, მოგტილოდა, მოგტივიდა, წაგტიყვანეს...

დ-ტ-V: აღტალას, გადტაბრუნით, გადტაფარებთ, დატდტა... ქარდტენ, დადტეს...

ზ-ტ-V: დანაზტა

თ-ტ-V: ათტარიალა, ბათტანი, ბათტაშვილები, ბაფთტა, თტალბედითი, თტალისწინ, თტალშია, თტარე, თითტან... ქართტელი, საქართტელი, ქართტელობენ...

კ-ტ-V: აკტანი

ლ-ტ-V: გალტა, დამალტა, ხალტა, ჰალტა...

რ-ტ-V: დაკრტა, შარტა, რტა... დოკრტენ, პირტელად, პირტელი, წყარტები

ს-ტ-V: სტედის (= შვედეთის)

ტ-ტ-V: რაფანტტა, რაყლარტტა... მარტტელი

ქ-ტ-V: გაქტავდისყე, დავქტავთ, ერქტა, თქტა, სარქტარი, ქტა, ქტაბ, ქტაზე, ქტათ, ქტამ, ქტაო, ქტას, ქტალა... თქტეს, ქტებ, ქტეყანაზე, ქტეყანას, ქტეყნის... დავქტისყე, ფქტის, წისქტილი.

ღ-ტ-V: ბალტანს, მებალტანე, დალტარა, ზლტას*...

ყ-ტ-V: ყტან (196 სიტყვაფორმა ამ ძირით), დანაყტასია, საყტარელი, სიტყტა, ყტავი, ყტავილი, მოყტარეს...

შ-ტ-V: საშტალეა, შტალამ... ბავშტებს... ოცდაშტიდი, შტილი.

ჩ-ტ-V: ფორჩქალი, ფორჩქალს...ჩქენ, ჩქენა, ჩქენთან, ჩქენი...

ც-ტ-V: გაცორცქა, ცქარ-ნამის

ძ-ტ-V: ძქელი, ძქელ, ძქელია

წ-ტ-V: გამწქანდების, დაწქა, დადწქა, იწქა, შოწქა... დატწქე, დააწქენენყე, დაწქებიან, დაწქებიანყე, იწქეს.

ჭ-ტ-V: გარჭქასთვი

ჯ-ტ-V: გამარჯქება

V -ტ- V: სიტყვის შიგნით, ხმოვნებს შორის:

ა- ტ – V: დაქარდე... წაქელ...

ი- ტ - V: მიქახლოვდით... მოდიქოდენ, ციქოლა⁹²

ო-ტ-V: გოქალთო, დოქარისყე, მოქარა, მოქარეო, ნათხოქანთანა, ნათხოქანი, საძლოქარი, საძლოქარსაყე... ყოქო... გამოქიდა, გოხოქია...

C-ტ-C: სიტყვის შიგნით, თანხმოვანთა შორის:

ხ-ტ-ვ: სანახქველად

ღ-ტ-ვ: სახლქვარიო

გ-ტ-ბ: გქბურავ

გ-ტ-თ: მოგქთხოვა, მოგქთხოვეს

გ-ტ-კ: მოგქკლავს

ს-ტ-ლ: წასქლას

ყ-ტ-მ: ყქმაწილი, ყქმაწილებმა

ვ-ტ-ნ: მოვქნიყე, მოვქნითყე

V -ტ: სიტყვის ბოლოს, ხმოვნის შემდგომ:

ა-ტ: ახნაქ, გაგაგდებაქ, გიჭირაქ, გყაქ, დამიკრაქ, დადკერაქ, მოგყაქ, მყაქ, ოუნნაქ, უკითხაქ, შაქ, შუგუკრაქ, ჩაქწურაქ, წაიღებაქ, ჰყაქ, დყაქ, დჰყაქ.

ე-ტ: დადწყექ, დაიწყექ

ო-ტ: ჯოქ, ყოქ, ახნოქ

ი-ტ: ძლიქ

უმარცვლო უ-ს პოზიციები აღწერილია ქართული დიალექტური კორპუსის მიხედვით. რასაკვირველია, არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული კომბინაციები შეივსოს მაგალითებით ან გამოვლინდეს სხვა კომბინაციები ტექსტური კოლექციის განვითარების კვალდაკვალ.

თითქმის ყველა აღწერილ პოზიციაში უმარცვლო უ-ს შეიძლება დაუდასტურდეს პარალელური – [ვ] ან [უ]- ალოფონები.

92. ეს ფორმები თანამედროვე დიალექტში ვ თანხმოვნით უფრო ბუნებრივია: **მოდივოდენ, ცივოლა.**

მაგალითად, **ყტან** // **ყვან** ზმნური ძირიდან ნაწარმოები ვარიანტები პარალელურად დასტურდება ქართული დიალექტური კორპუსის ფერეიდნულ ქვეკორპუსში:

ყტან (27 სიტყვაფორმა): ავიყტანე, ავიყტანეთ, ავიყტანეთყე, აიყტანა, ამაიყტანინან, **გავიყტანე, გავიყტანო, გამაიყტანენ, გამოიყტანეთ, გყტანდა, მაიყტანენ, მაიყტანეს, მაიყტანიან, მაიყტანონ, მამიყტანეს, მოიყტანეთ, მოჰყტანდაყე, შაიყტანენ, ჩავიყტანეთყე, ჩამოიყტანეთ, წავიყტანე, წავიყტანთო, წავიყტანოთო, წამიყტანეს, წამოიყტანეთ, წეეყტანაყე, წოუყტანეთ.**

ყვან (22 სიტყვაფორმა): აიყვანა, გაიყვანა, გაიყვანოს, გყვანდა, ვჰყვანდეთყე, მაიყვანა, მიიყვანა, მოგოყვანა, მოუყვანა, მყვანდა, მყვანდაო, ყვანდა, წავიყვანო, წავიყვანოვო, წავიყვანეთყე, წავყვანასათიც, წემეეყვანაყე, წოუყვანე, წოუყვანეთ, წუგუყვანა, ჰყვანდა, ჰყვანდაყე.

ასევეა:

გზაუნ (23 სიტყვაფორმა, 26 კონტექსტი) და **გზუნ** (9 სიტყვაფორმა, 22 კონტექსტი);

ბეურ (11 კონტექსტი) და **ბეზრ** (8 კონტექსტი);

გუოქ (1 კონტექსტი) და **გოქ** (22 კონტექსტი: გოქ, გოქო, გოქონდა, გოქონდეს);

გაურეკეთყე და **გავრეკეთყე** (სეიფოლა იოსელიანის ერთსა და იმავე ტექსტშია: *მარტყოფნი იენეს, გაურეკეთყე.*

დილობის ჩონც დაქუჩნდით და ისენი კი გავრეკეთყე.

თხოუ (4 სიტყვაფორმა) და **თხოვ** (155 სიტყვაფორმა).

შეიძლება გვეფიქრა, რომ ვარიაციულობა გვიანდელია და ის შესაძლოა ისტორიულ სამშობლოსთან აღდგენილი გვიანი კონტაქტების შედეგია, თუმცა ის ჯერ კიდევ კვლევის პირველ ეტაპზე ჩაწერილ ტექსტებში (1923, სეიფოლა იოსელიანი) ვლინდება:

ყტან (27 სიტყვა, 27 კონტექსტი)

ყვან (22 სიტყვაფორმა, 32 კონტექსტი)

მაშინაც კი, თუკი გავითვალისწინებთ ჩაწერისას დაშვებულ უზუსტობებს, რაც განსაკუთრებით მოსალოდნელი შეიძლება იყოს აპარატურის გარეშე ჩაწერილ მასალაში, მაინც აშკარაა, რომ უმარცვლო **უ-ს** მონაცვლეობა მარცვლიან **უ-სთან** ან კბილბაგისმიერი **ვ** თანხმოვანთან ფერეიდნულში ცოცხალი პროცესია – ისეთი, როგორც მთელი ქართული დიასისტემისთვის არის დამახასიათებელი.

უმარცვლო უ ფერეიდნულში არის:

1. უ-ს დავიწროებისა და დიფთონგიზაციის შედეგი;
2. ვ- კბილბაგისმიერი თანხმოვნის პოზიციური (ინტონაციური) ვარიანტი უმახვილო პოზიციაში;
3. ზოგჯერ ის ჩნდება სონანტებთან მეზობლობაში ე.წ. ნეიტრალური ხმოვნის პოზიციაში: ყუმაწილი, ყუმაწილებმა.

1.3. გ – ნეიტრალური (ე.წ. „ირაციონალური“) ხმოვანი ფერეიდნულში

გ არის ერთგვარი „ბგერითი თანხლება“, თანხმოვანთგამყარი ბგერა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად მას „ირაციონალურ“ ხმოვანს უწოდებდნენ.

ფერეიდნულში ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ეს ხმოვანი: თერთიალებს, ღვრლიალებს, ბზრიალა...

ფერეიდნულის ბგერითი სისტემის აღწერისას ავტორები ამ ბგერის არსებობას არ მიუთითებენ, თუმცა იური მარის მასალაში დასტურდება ერთი სიტყვა – ვებო [მარი 1936-1]. საყურადღებოა, რომ მარის რესპონდენტი ბოინ-მიანდაშთის წრის სოფლების მკვიდრია, სწორედ ამ სოფლებისთვის არის დამახასიათებელი ზოგი, უმეტესად, სონანტის შემცველი თანხმოვანთკომპლექსის გახმოვანება: ხობო, ძუმა, ქუმარი...

ქართული დიალექტების ერთ ნაწილში (სამცხურ-ჯავახურში, ინგილოურში...) ირაციონალური ხმოვანი გვხვდება სწორედ სონანტების შემცველ თანხმოვანთკომპლექსებში, როგორც ანაპტიქსური ხმოვანი [ჯორბენაძე 1998: 53]: ძემა, ცვხრა, ჩვრდილი, ბვრმა, კვლუბი, კვრუშკა... პარალელურად იმავე დიალექტებში გვაქვს ზოგი ამ ფორმის გახმოვანებული ვარიანტიც: ჩირდილი, კულუბი, კურუშკა... საგულისხმოა, რომ ასეთივე ვითარება დასტურდება ფერეიდნულში (**ყჭმაწილი...**), სწორედ დაშქესანაში (ბოინ-მიანდაშთის თქმა) ჩაწერილ ტექსტებში.

ფერეიდნულში თანხმოვანთკომპლექსებში **გ-ს** ანაპტიქსური ფუნქციით გამოყენების მცირედ დოკუმენტირებული, მაგრამ მტკიცე საბუთი მნიშვნელოვანია ქართულ დიალექტებთან მიმართების შესწავლის თვალსაზრისით: ირაციონალური ხმოვნის მონაცვლეობა სრულ ხმოვანთან (**ვებო – ვობო**) ერთის მხრივ, და მეორე მხრივ სონანტთა შემცველ კომპლექსებში სრული ხმოვნის წარმოდგენა: ქუმარი, ძუმა, მიზე (<მზე), ქინდების (<ქნდების)... ფერეიდნულს სამცხურ-ჯავახურის, ინგილოურისა და აჭარულის დიალექტების მონაცემთან აკავშირებს.

2. ბგერითი შედგენილობა: თანხმოვნები

2.1. ვ ფერეიდნულში

საკუთარი დიალექტის ბგერითი შედგენილობა ფერეიდნულებისთვის კუნძულური იდენტობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. მათ სრულიად გაცნობიერებული დამოკიდებულება აქვთ ამ ენობრივი მონაცემის მიმართ. ერთი მხრივ, ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ თავისი ბგერითი სისტემის სხვაობას მეზობელ სამეტყველო ერთეულებთან, მეორე მხრივ, ხაზს უსვამენ სალიტერატურო ქართულთან არსებულ განსხვავებას და განსაკუთრებით აღნიშნავენ საკუთარი დიალექტის არქაულობას – როგორც მათი წარმომავლობის, ენობრივი და კულტურული იდენტობის მყარ საფუძველს.

თანხმოვანთა სისტემაში ისინი გამოყოფენ მკვეთრი თანხმოვნების (აბრუპტივების) არსებობას. ამ ნიშნით ისინი გამოირჩევიან ახლო მეზობლებისგან (ამაყობენ, რომ შეინარჩუნეს ეს თავისებურება. იყენებენ ამ ფაქტს მეზობელ არაქართველებთან უწყინარ შეჯიბრ-კამათში სხვადასხვა სახით: ეუბნებიან, რომ მათ ენას მეტი თანხმოვანი აქვს, ავალებენ გარკვეული სიტყვების წარმოთქმას და იცინიან, როცა ისინი ამას ვერ ახერხებენ.

სალიტერატურო ქართულთან განსხვავების აღსანიშნავად განსაკუთრებით ამხვილებენ ყურადღებას დიალექტში ვ ბგერის არსებობაზე. კუნძულელთათვის [ვ]-ს არსებობა გამორჩეულობის ერთ-ერთი ნიშანია: ისინი განსაკუთრებულ უპირატესობად თვლიან საკუთარი მეტყველების თანხმოვანთა სისტემის განსხვავებულობას (სიმდიდრეს) მეზობლების მეტყველებასთან შედარებით. ამასთან, ისინი ამ მოვლენას განიხილავენ სალიტერატურო ქართულთან მიმართებითაც და სიამაყით აფიქსირებენ მის არქაულობას. „ხე“ ([ვ]) ხო არა გაქთ ქენ?!“ (მუხტარ დარჩიაშვილი). – ისინი ზუსტად განასხვავებენ და არ ურევენ ერთმანეთში სიტყვებს [ვ]-თი და [ხ]-თი. იშვიათად დადასტურებული მონაცვლეობა (ვნავს – ხნავს) მხოლოდ კოდის გადართვის გამო შეიძლება ხდებოდეს.

ვ არის ფარინგალური (ხახისმიერი) ყრუ ფშვინიერი ბგერა, რომელიც გამქრალია თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ბგერათა სისტემიდან. ეს ბგერა დღეს ცოცხალია სვანურ ენაში, სხვადასხვა ხარისხით შემონახულია ქართული ენის ზოგი დიალექტში, მკაცრად განსაზღვრული დისტრიბუცია ჰქონდა ძველ ქართულში. ვ-ს გამოვლენის ზუსტი კანონზომიერების განსაზღვრა ჭირს, თუმცა მიჩნეულია, რომ მისი განაწილების ზოგიერთი წესის დადგენა შესაძლებელია. სახელდობრ, ეს კანონზომიერება ვლინდება ს, შ, ც, ჩ, თ თანხმოვნებთან: მათ მომდევნო პოზიციაში ხ გრაფემა იყო მოსალოდნელი, მათ წინ კი – ვ [თოფურია 1926 : 177]. სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია აზრი, რომ [ვ] და [ხ] აღნიშნულ პოზიციებში (ს, შ, ც, ჩ, თ თანხმოვნების წინ ან მომდევნოდ), რეალიზდებიან, როგორც ერთი ფონემის კომბინატორული ვარიანტები, სხვა შემთხვევებში კი ისინი ორ სხვადასხვა ფონემას წარმოადგენენ [სარჯველაძე 1984: 295].

[ვ] ფერეიდნულში მკვიდრად შემონახული ფონემაა, აქვს დისტინქტური ფუნქცია და, როგორც ვთქვით, არ არის აღრეული ხ-ში, რომელმაც ჩაანაცვლა ის ახალ ქართულსა და დიალექტების დიდ ნაწილში. როგორც ცნობილია, ქართული ენის დიალექტებიდან ის ახასიათებს ყველაზე არქაულ დიალექტებს: მთის დიალექტებს (თუშური, ფშაური, მოხეური, ხევსურული, მთიულურ-გუდამაყრული), აგრეთვე ინგილოურს, ქიზიყურსა და იმერხეულს.

ფერეიდნულში ვ გვხვდება ყველა იმ შემონახულ სიტყვაში, რომელშიც ეს ბგერა ძველ ქართულშიც გვქონდა: ვორცი, ველი, ვერვი, ვარი, ვნავს....

ფერეიდნულში [ვ]-ს არსებობა შენიშნეს პირველმა მოგზაურებმა და ამ ნიშნით ის ქიზიყურსა და მთის დიალექტებს მიახლოებდა [აღნიაშვილი 1896]. [ვ]-ს არსებობა ფერეიდნულში საგანგებოდ აღნიშნა დიალექტის პირველმა მკვლევარმა არნოლდ ჩიქობავამაც [ჩიქობავა 1923-24; 1927], 1925 წელს ისპაჰანში ფერეიდნული ქარ-

თველი ჯგარისკაცისგან ჩაიწერა ლინგვისტური ინფორმაცია იური მარმა. ამ ხანმოკლე საველე სამუშაოს შედეგებში ერთ-ერთი მყარი დასკვნაა, რომ ფერეიდნულში დასტურდება ბგერა [ვ] [მარი 1936-1].

ჯერჯერობით [ვ] ბგერა მყარად ინარჩუნებს პოზიციას ფერეიდნულ დიალექტში და მის ერთ-ერთ მთავარ სპეციფიკურ მახასიათებლად რჩება.

როგორია ამ ბგერის განაწილება დიალექტში, რამდენად მისდევს ის ძველი ქართული და დიალექტების ჩვენებას?

ისევე, როგორც სხვა ბგერათა შემთხვევაში, ჩვენ ამის შემოწმება მხოლოდ იმ ლექსიკაზე შეგვიძლია, რომელიც შემოინახა დიალექტმა ძველი ქართულიდან. ივანე იმნაიშვილი ძველი ქართული სათვით [ვ]-ს შემცველ შემდეგ ძირებს გამოყოფს:

ვენაჴი-ი, თაჴჴ, თოჴი-ი, ინჩჴჴ, იჴუანჩი, მჴუჴლი, მჴარი, მჴეჴალი, მჴეჴცი, მჴნე, მჴუ, ნაჴშირი, ოძრჴე, ოჴერი, საჴსარი, საჴუმილი, ფერჴი, ჩოჴა, ჴად, მაჴვილი, ჴამ, ჴამლი, ჴამლე, ჴან, ჴნვა, ჴარი, მეჴრე, ჴაჴა, ჴედ, ჴეჴი, ჴელი, ჴერჴი (მოჴერჴება), ჴილი, ჴმა, ჴმარება, ჴმეადი, ჴმელი, ჴნარცვი, ჴოცა, ჴორცი, ჴოჴობი, ჴრდალი, ჴრმალი, ჴსენება, ჴსვა // ჴშვა, ჴსნა, ჴვიმირი, ჴვიობა, ჴვირთ // ჴურთი, ჴვიჴვინი, ჴუება, ჴუეზა, ჴუე-ლა, ჴუეჴლი, ჴუემეჴა, ჴუმილჴა, ჴუნეშა, ჴურელი, ჴურეჴა, ჴურეჴება, ჴშირი, ჴცე, ჴერი, განჴერული, მარჴილი, ჴბო, ჴორჴი, ჴუნდი [იმნაიშვილი 1971: 10]. ამ ფორმებს კიდევ ემატება რამდენიმე ძველი ქართულის მასალის მიხედვით: ჴავილება, ჴალი, მერჴი, საჴივი, ჴუთ-, ჴვიფლოჴანი, ჴლარჩად, ჴუედა, მჴუედნელი [სარჯველაძე 1984: 295].

ფერეიდნულ დიალექტში ამ ძირებიდან მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი. კორპუსის მასალების მიხედვით წარმოვადგენთ მათ:

ჴ-ს და ხ-ს გამოვლენის სურათი ფერეიდნულში ჴ-ს შემცველ ძირებში:

ძველი ქართული	ფერეიდნული
ვენაჴი	ვენაჴი (1 ⁹³) // ვენახი* (16)
თოჴი	თონი*
მჴუჴლი	მუჴლი
მჴარი	მჴარი // მჴარა // ჴარა // მჴარე // ჴარე
ნაჴშირი	ნაჴშირი
ოჴერი	ოჴერი
ფეჴი	ფეჴი
ჴად	ჴად // ჴდ (აჴჴადა, აჴდის...)
ჴან, ჴნ	ჴან, ჴნ (მოჴან, ვჴნეველით...)
ჴეჴი	ჴეჴი // ხეჴი*
ჴელი	ჴელი // ხელი*
ჴერჴი (მოჴერჴება)	ჴერჴი (მოჴერჴება)
ჴილი	ჴილი // ხილი*
ჴმა	ჴმა // ჴომა / ხმა* ... ჴმაჴმე // ჴმაჴმო

93. ფრჩხილებში მოცემულია დადასტურებული სიტყვის კონტექსტების რაოდენობა.

ჰმარ-	ჰმარ- // ხმარ
ჰარი, მევრე	ჰარი, მევრე // ხარი*
ჰაჰა	ჰაჰა // ხაჰა*
ჰედ (გარდაჯღმა)	ჰტ // ხდ*
ჰმელი	ჰმელი // ხმელი*
ჰოცა	ჰოცა // ხოცა*
ჰორცი	ჰორცი // ხორცი*
ჰრმალი	ჰმალი // ხმალი*
ჰსენება	ხსენ
ჰსნა	ხსნა // ხსნა
ჰსოვნა	ხსოვნა, ახსოვს
ჰვიჰვინი	ჰვინი
ჰნეშა	ხნეშა (ხნეშინ)
ჰურელი	ჰრელი // ჰრელა
ჰრეტ	ჰრეტ (შღრ. ხრეტ-)
ჰურ(გება)	ჰურ // ხურ (აჰურგებს)
ჰშირი	ხშირი
ჰერი (ჰირ)	ჰირ (გამჰირებელი)
ჰბო	ჰბო // ჰბო
ჰამს	ჰჰამს

როგორც ვხედავთ, ზოგ „ხარიან“ ფორმას გასჩენია „ხანიანი“ ვარიანტი. ამთგან ზოგი სულ ახალი გავლენის შედეგი ჩანს, ზოგი კი უკვე სეიფოლა იოსელიანის ტექსტშია დადასტურებული. არაა გამორიცხული, რომ პარალელურ ფორმათა არსებობა ტექსტის ჩამწერის და გამოსაცემად მომზადებლის აღქმის ხარვეზი იყოს. უფრო ზუსტ მონაცემებს ამ თვალსაზრისით სპეციალური ტექნოლოგიური პროგრამებით კვლევა მოგვცემდა.

გარდა დასახელებული ფორმებისა, ფერეიდნულში ვ-ს გამოყენების სხვა შემთხვევებიც გვაქვს:

არჰებჩი, აჰალებს (ხაღავს), აჰელებს (ახელებს), მაჰლივო (ახლის, მახლიო), აჰჩი, გადაჰიდე, გამოჰელ, ვაჰ, გადაჰეჰეთ, დაჰლი, დიჰ, ვეჰეწეჰე, ვლაჰითეჰე, მაღტეჰვიდეღს, მაღჰლინხაღს, მოჰუცი, ჰიფი, ჰელაჩო, ჰაჰანი, ჰალი, ვაჰენჩა, ვაჰეტება, ვაჰლენჩა, დაბუჰება, დაღაჰვა, დაჰინჩება, თოთოჰი, მაჰინცი, ჩაჰაჰვა, ჰმუჰი, ნაჰეჰარი, ნაჰეშებს, ოთაჰჩი, საბოჰარი, სამჰრეთი, საჰლი, საჰჩი, შაჰვრითოთო, შაჰლიტოს, ჩამოჰაზისეჰე, ჩამოჰრამული, ჩარჰარასაღე, ჰალიჩა, ჰარჰანტო, ჰროჰინება...

ამ სიღღან ერთი რიგი სიტყვებისა გვხვღება მთის ღიღეჰტებში (ხეღსურული, მთიულური, მოხეური, თუშური) ან ქიზიჰურსა და ინღილოურში:

აჰალებს: ტჰბიღ ვოღრა არი და აბა, როგორ ვოღრა არიო? კურკა აჰ და თითან, არის რო ეხღა აჰალებენ და ჰჰამენ, ძირღასიღ.

შდრ.: ხევსურული – *საქუმელედ წევავს: ამ დღეს ყველა ავალებს* ბიჭონს.

აველებს (=ახველებს): ერთ სამ დღეს აველებს და აცრინტებს.

შდრ.: ხევსურული – **ვეელა:** ყმაწვილებსაც ორთავ ვველება შეეყარ (ჭინჭარაული).

ვეელა: ხველა. ფიგურ. ქუხილი: ჯერ ისრევ ღამე ბნელია, ზარბაზანთ იწყეს ვველევა (ჭინჭარაული).

ავლის:

ეს ფეშანგმა ღვევირა და ამ დათმა წამოდდა ჩემთინ. მობრუნდა, თქო: შენ მე რასთი მაკლივო.

შდრ.: თუშური – არშავიანებს **ავლიან**, გმინს გააყოლებს გმინსაო (ცოცანიძე).

ხევსურული – აქით უნდა **ევლივ** ისარი, ვინაც ვაღუს კარჩი გამაჩინდებოდ (ჭინჭარაული).

გადავეკრეთ: და დავეკრათ, ვიტყვით: გარდავეკრეთ. **გადავეკრეთ** – გარდაუსხნათ.

შდრ.: ხევსურული – ვერა: რო წელწადში აღარ დაშვირდას შეშის ვერა (ჭინჭარაული).

თუშური: იყდ ცული-დ **დავერძ**, გან ცხვან **დავივერენ** – აიღე ცული და დააპე, განა სხვა დავიპობს ვინმე (ცოცანიძე).

ქიზიყური: მოდი, ბიჭო, ერთი ე კუნძი გავერე (მენთეშაშვილი).

დალავევა: ფეკებითა **ვლაჯიტყე**, შაილით და ვლაჯითყე ემები, ნეხი რო დავაკრათა.

შდრ.: ინგილოური – ქურდევ მოსულაში სახლი პატრონ შიში გადაიქცივა (წაიქცა), ქურდევმაც ზედა **დალავეს** (ღამბაშიძე).

თუშური: ისთაყ სადევთან ცხენწ, რო ველიდაჭერილ რო წამყავ, ზედ ეგემც უნდ **მლაჯევედეს** (ზედ მამბიჯებს ხოლმე).

აგრეთვე ხევსურული: **ლაჯ-** (ჭინჭარაული), ქიზიყური **ლაჯავს** (მენთეშაშვილი).

ჯიფი: ზაფხული რო შაიქნების, ემასა **ჯიფად** გააკეთეთეთ. ფეკებზე გადაიცომთ და გააკეთეთეთ **ჯიფსა** და წაიღეთ რანგრასთანა, ძღებველია.

შდრ.: ქიზიყური – **ჯიფი** (შულო, ხაიათი) (მენთეშაშვილი).

გავეტება: გაშტერება, გაოცება, გაოგნება (ქდკ, ფერეიდნული ლექსიკონი).

შდრ.: ქიზიყური – ვეტი – შტერი, ყეყეჩი (მენთეშაშვილი).

დაბუჯება: როგო ხარ მეთქი? და თქო: **დაბუჯილვარ** და დავარდნილვარ.

შდრ.: მოხეური – **დაბუჯილი** (ქავთარაძე); ინგილოური: **დაბუჯად** (ღამბაშიძე); ქიზიყური: **დაბუჯება** (მენთეშაშვილი).

დაჯინჩება: დაბლაგვება.

შდრ.: ხევსურული – **დაჯინჩიანებს** (დაასნეულებს, დაასახიჩრებს); **ჯინჩიანი** – სნეული, ავადმყოფი, ხინჯიანი (ჭინჭარაული).

ნაწილი ვ თანხმოვნის შემცველი ამ სიტყვებისა ჯერჯერობით სხვა დიალექტებსა და ძველ ქართულში არ ჩანს:

არჯი (არჯებრი), გადავიდე, გამოველ, ვაავ, დავლი, ღიაჲ, ვევეწეჲ, მაღტეჲვიდეჲ, მოჲუცი, ოთაჲრი, საჲლი, საჲრი, შავჲრიტოთო, ჩარჲარასადე, ჩამოჲაზისყე, ნაჲეჲვარი –მაღჲლინჩავს, ჲელაჲო, ჲაჲანი, ჲალი, გავენჩა, გავლენჩა, თოთოჲი, მაჲინცი, ჩაჲაჲვა, ჲმჲუჲი, ნაჲშეჲს, სამჲრეთი, შავჲლიტოს, ჩამოჲრამჲული, ჲალიჩა, ჲარჲანტო, ჲროჲინე-ბა, თოთოჲი, მაჲინცი, ჩაჲაჲვა, ჲარჲანტო, ჲროჲინე...

ამათგან **მაღჲლინჩავს, გავენჩა, გავლენჩა – ჲერ-** ძირიდან ნაწარმოები ფონეტიკური ვარიანტები უნდა იყოს.

სამჲრე – საჲრეს ფსევდოდიალექტური ფორმაა. ტექსტიდან ჩანს, რომ მთქმელი მას დიალექტური (სპარსულიდან ნასესხები) „გავრან“ ფორმის ნაცვლად იყენებს: *გავრანს ვიძახით, სამჲრესა [ფსევდოლიტერატურული ფორმა], სამჲრეს იძახით ქენ, არა? უჩხლეტენ და წავა. სამჲრეთი მოოწყრებიან და ესე ლეწავს* [თოლუა 1975].

ნაჲში, ჲალი, ჲალიჩა – სპარსულის პირდაპირი ნასესხობა უნდა იყოს: **ყ > ჲ**. ამას პარალელური ფორმების არსებობაც ადასტურებს: **ყალიჩა // ჲალიჩა, ნაჲში // ნაჲში**.

2.2. **ფ** ფერეიდნულში

ფ-ს არსებობა ფერეიდნულში შენიშნა არნოლდ ჩიქობავამ, თუმცა მისი აზრით, ის მხოლოდ სპარსულ სიტყვებში იყო საგულგებელი და ამიტომ განსაკუთრებული ღირებულება დიალექტის აღწერისას არ მიუნიჭებია: „ანგარიშში არ მიგვიღია: უმლაუტიანი ხმოვნები (ხანდისხან სპარსულ სახელებში ისმის; იშვიათად „ჩონ, (თ) ქენ“-ში, აგრეთვე **ფ**, რომელიც მხოლოდ სპარსულ სიტყვებში გვხვდება: არც ერთი და არც მეორე ფერეიდნულისთვის კონსტიტუტიური არ არის“ [ჩიქობავა 1927: 184]. იური მარმა თავის ხანმოკლე საველე სეანსის დროს აღწერა ეს ბგერა ფერეიდნული ბგერითი სისტემის სპეციფიკურ ნიშნად: „წარმოთქმის თავისებურებად მე აღვნიშნე სრულიად გამოკვეთილი **ფ** (ის იყენებს გრაფებად f-ს)...“ (Mapp 1936-1: 58). იური მარის მიერ ჩაწერილ მასალაში **ფ-ს** შემცველი ერთადერთი სიტყვაა დამოწმებული: აჲუსი (აფუსი – სოფლის სახელწოდება).

როგორც ვთქვით, არნოლდ ჩიქობავას კბილბაგისმიერი სპირანტის თანხმოვნის არსებობა დიალექტის სპეციფიკურ ნიშნად არ მიუჩნევია, იური მარი მცირედ დოკუმენტირებულ, მაგრამ დაბეჯითებულ დასკვნას აკეთებს და ამ ბგერას სათანადო ადგილს მიუჩენს ფერეიდნულის ბგერით სისტემაში, **ჲ** თანხმოვანთან ერთად. იური მარის ამ დაკვირვებაზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუკი **ჲ-ს** არსებობა ფერეიდნულში მშობლიურ ენობრივ არეალთან ისტორიული ერთობის მაჩვენებელია, **ფ-ს** დაშვება დიალექტში, ერთგვარი „დათმობა“ და ენათა შერევის ფაქტიაო: „...ფერეიდნულმა ქართულმა სპარსულ ენასთან მჭიდრო კონტაქტის შედეგად სწორედ გაამარტივა თავისი ფონეტიკური სისტემა, ანუ შეამცირა ამ ორი ენის სისტემებს შორის განსხვავება ზოგიერთი დათმობების საშუალებით“ [ჭავჭავაძე 1977: 155].

არნოლდ ჩიქობავას მიერ ჩაწერილ ტექსტებში ფ დასტურდება მართლაც მხოლოდ არაქართული წარმომავლობის სიტყვებში: აფუსი, თალაქა, თანაქი, თაქრა, თილიქანი, ისქაანი, ნაჯაქ-აბადი, ფულეფსოქრა, ქაქი-ელ-მამალიქი, ყაქლა, ხოლაქეზი, ქარსული, ქერეფდანი.

ამ მასალაში ხშირად წყვილბაგისმიერი **ფ-სა** და კბილბაგისმიერი სპირანტი **ფ**-ს შემცველი ფორმები პარალელურად დასტურდება ტექსტებში:

აფუსში: რაცლა დელაკაცი იყვისყე აფუსში, მაფხეტიანყე და წავიდიანყე.

აფუსელნი: ახლა ის სხო ქართველები, **აფუსელნი**, თელაველნი, ბონელნი, – ისეები გერივაც *ჩონ მოგნატრიან*.

ცაფუსი: არი ქართველი სოფლები თოთხმეტი: მარტყოფი, ქომო მარტყოფი, სიბაქი, ჯაყჯაყი, ჩუყურეთი, **ცაფუსი**.

აფუსი: **აფუსი** და თელავი და ბონიცი კარგი სოფლებია, მოსხილებია.

თილიქანის: მეორე დღეს თილიქანის ფეკ ზე დამიძახეს: რო წაველ, იყო ჩემი ბიძის ბიჭი და თხუთმეტი სხო წერთეთრები;

თილიქან: წაველით **თილიქან** ხაიანი.

თილიქანით: **თილიქანით** დეეწერაყე, რო დღესვე ორი შასთირი, რო მოსალსალს დადახიან – და ორმოცდაათიც ყაზალი წავედეს სოფელსათი.

თილიქანი: **თილიქანი** ვქენით და დოუძახე ჩემი ბიძის ბიჭსა და ჩონ ქართველებს. მაგრამ:

თილიფანი: ცექითაც ჩონ ქართველები რაქთენ წერთეთრები მარტყოფსაყე წავიდეს დონბენიას – სოფელია ქერეფდანიას: **თილიფანი** იქ არი: იქით ლაპარაკს დაიწყობენ ისფან ქალაქი, რო **თილიფანი** ქნან ისქაანს გუბინადერთანა და ალაფუნებთან – რო ჰაჯი აღანუროლა იყოს და სხუებიც.

შეიძლებოდა ეს პარალელური ფორმები სხვადასხვა ჩამწერის სუბიექტურ გადაწყვეტილებად ჩაგვეთვალა, თუმცა პარალელიზმი დასტურდება როგორც არნოლდ ჩიქობავას, ისე ვარლამ თოფურიას მიერ ჩაწერილ ტექსტებში. აი მაგალითები ვარლამ თოფურიას მიერ მომზადებული ტექსტიდან:

ყაქლა: რაქთენ დღეს რო იარნეს, მიაღვეს ერთ ბიაბანს და ჩამაჰკვადეს **ყაქლა**.

ყაფლას: თავის ყაფლას მიაბარა, რო ქენ წყრან-წყრან წამოღითო.

წამოვიდა თავის საქონელის სარვახტ ზე და მოადგა საქონელს და თავის ყაფლას.

ყაფლას: ერთიც ბრეწველი ჩადვა ჯაბანი და, ყაფლას რო მოდიოდა, მიაბარაყე.

ყოველივე ზემოთქმული გვიჩვენებს, რომ **ფ: ფ** მონაცვლეობა ცოცხალი პროცესია და უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებშიც ჩნდება ტენდენცია ქართული ენის ბუნების შესაბამისად ამ ფორმათა „მოქცევისა“.

განსაკუთრებით საინტერესოა ფერეიდნულში **ფ** ბგერის, როგორც კბილბაგისმიერი **ვ** თანხმოვნის დაყრუებული ვარიანტის არსებობა, რითიც ფერეიდნული გვერდში უდგას და ზუსტად მიჰყვება ქართულ დიასისტემურ მოდელს.

ვ>ფ პროცესი პოზიციურია. ის თავს იჩენს ყრუ ბგერების წინ [ჯორბენაძე 1998: 66]. დამახასიათებელია თითქმის ყველა დიალექტისთვის. შეიძლება შეგვხვდეს სიტყვის როგორც აფიქსურ, ისე, ძირეულ სეგმენტში. უმეტესად ეს მოვლენა დასტურდება პირველი სუბიექტური პირის ნიშნისა და ყრუ თანხმოვნებით დაწყებული ზმნური ძირების მორფემულ ზღვარზე.

ფერეიდნულის კვლევის საწყის ეტაპზე (ჩიქობავა, მარი) ასეთი შემთხვევები არ არის დოკუმენტირებული. სეიფოლა იოსელიანისგან ჩაწერილ ტექსტებში ყველა შესაბამის პოზიციასში **ვ**- პირის ნიშანი უცვლელადაა წარმოდგენილი:

დავკარგეთ, მოვკალით, შევკერეთ, შავკივლეთ, გავჭრათ, შავჭამოთ, დავწერეთ, გავწყდეთ...

რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ მოგვიანო ტექსტებში?

1975 წელს მაგალი თოდუას მიერ გამოცემულ ტექსტებში, რომლებიც 1969-72 წლებშია ჩაწერილი, **ფ-ს** გამოყენების 115 შემთხვევაა (სიტყვაფორმის დადასტურება) და ყველა უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებში.

სულ სხვა ვითარებაა 1976 წელს რეპატრიანტ ფერეიდნელთაგან ჩაწერილ ტექსტებში, აქ პირის ნიშანი, კბილბაგისმიერი ხშული **ვ**- სისტემატურად გვაძლევს **ფ**-სპირანტ თანხმოვანს, მხოლოდ ამ კოლექციაში 100-მდე ასეთი შემთხვევაა დადასტურებული:

ფკ: დატკრეფავთ, ატკრეფავთ, დატკრეფთ, დატკრიფითყე... გატკეთოთ, გატკიდავთ, გატკილებთ, გატკრენჭავთ, გატკრენჭავთყე, დატკარგე, დატკიდავთყე, დატკლავთ, დატკლით, შატკერით, ჩამოტკივითყე, ტკრი, მოტკლებიო

ფთ: გატთქეფავთ, გატთხოვდი, ჩატთესეთ, ტთქი, ტთქი-მეთქი, ტთქო

ფქ: გატქერქავთ, მოტქსოვთ, ტქნათ

ფტ: ატტკაფავთ, დატტოვეთ, ტტიროდი

ფყ: გადატყრით, გატყვითყე, გატყიდავთ, გატყიდე, გატყიდე, გატყილით, გატყოფავთ, გატყოფთ, დატყარე, დატყლეფამთ, დატყონადავყე

ფს: გატსინჯოთ, დატსხლებით, ჩატყრი, ჩატყრით, ჩატყრითყე

ფშ: გოტშლითყე, დატშჭრით

ფც: მიტცემთ, ტცემთ

ფწ: გატწურავთ, გატწურით, გატწყეტავთ, დატწეწავ, დატწვიყე, დატწყელითყე, დატწეწავ, დატწვიყე, მოტწელავ, მოტწელდით, მოტწელი, მოტწელით, მოტწელიყე, შატწუნდით, შეტწუნდეთ, შეტწუნდი, ტწერავთ, ტწუნვართ

ფჭ: დატჭყუნავთ, შატჭამავთ, შატჭამდითო, შატჭამთ, შატჭამი, შატჭამოთ, ამოტჭრი, გამოტჭრით, გატშჭრი

ფხ: გატხევდით, გატხუნავთ, მოტხარშავთ, მოტხარჩავთ

ფრ: მოტრწყვითყე, მოტრწყითყე, ტრწყვითყე

ფჩ: მოტჩარბავთ

ფჭ: მოტჭრით, დატჭრით, ჩამოტშჭრი, ჩატჭინჭავთ, ტჭამდი, ტჭამდითო

ფჯ: მოტჯნავთ, ტჯმარულოფ, ტჯნავთ

ასევე უხვადაა მსგავსი ფორმები მოგვიანებით უკვე ირანში ჩაწერილ ტექსტებში:

დაკენწე, დაკიფიტყე, დაკმაზავთ, დაკონძეთ, გაძთბეთ, გაძტეზაძთო, დაძთლით, დაძთზართ, დაძრუჩუტაძთ, ძოძთთბავძით, ძოძთთზოვო, ძთაძაშობ-ლიტყე, გაძქნიტყე, დაძქბავთ, დაძქოლავთ, დაძქურძეთ, დაძქურძითყე, გაძცაღ-კევეღეთ, გაძცრით, დაძცლით, დაძცზო, ძცითყე, ძცინავ, ძცზოვროფთო, ჩაძვი-რითყე, გაძოძავღით, ჩაძჩარეო, ძჩრუნტეთ, ძჩრხლიტეთყე...

ზოგჯერ **ძ** ფერეიდნულში შეიძლება გამოვლინდეს თემის ნიშნის ან სახელთა ძრავლობითის აღმნიშვნელი ბაგისძიერი ძყლერი თანხმონის დაყრუებით სუფიქ-სური ძორფემების ძიჯნაზეც:

ბ> ძ: ბავშეძს, ძოვაძაზირავეძთ, გაღვეძ...

როგორც ვხედავთ, **ძ** ბგერა ფერეიდნულში სხვადასხვა ფონემის ალოფონია და როგორც ძთელ ქართულ დიასისტემაში, წარძოაღვენს ბგერითი სისტემის ძყარ ძახა-სიათებელს. რაც შეეხება უცზო ენათა ძეზობლობას, ამ ფაქტორძა ნამღვიღად ძოახ-ღინა გავლენა იძახე, რომ ნასესხებ ლექსიკაში სპირანტი **ძ** კი არ დაყრუვდა, რო-გორც ეს ჩვეულებრივ ხღება ქართულში ნასესხებ სიტყვებთან, არამედ, შენარჩუნდა და დამკვიდრდა დიალექტში იძავე სახით, როგორც იყო სესხების ენაში. ცნობილია სხვა შემთხვევებიც, როცა კონტაქტში ძყოფი ენა დამატებითი „მოტივაციური“ ფაქტორი ხღება დიალექტში აძა თუ იძ სპეციფიკური ძოვლენის შენარჩუნების ან განვიტარებისთვის. ასეთია, მაგალიტად უძლაუტის შენარჩუნების ფაქტი აზერბაი-ჯანულთან და თურქულთან ანლო კონტაქტში ძყოფ დიალექტებში, ძკვეთრი შემარ-თვა-დამართვის ფართო გავრცელება თუშურში ნახური ენების გავლენით და სხვ.

დასკვნა: კბილბაგისძიერი ყრუ სპირანტი **ძ** ფერეიდნულში, ისევე, როგორც სხვა ქართულ დიალექტებში, შეიძლება შეგვხვდეს სიტყვის თავში, სიტყვის შიგნით და სიტყვის ბოლოს. ის შეიძლება იყოს:

- ვ ფონემის პოზიციური ვარიანტია ყრუ ბგერების წინ
- ბ (// ფ) ფონემის ალოფონი ყრუ თანხმონების ან პაუზის წინ
- უცზო ენიდან შემოსული სიტყვების ორგანული სეგმენტი: ძაარსი, ძამიღი, ძერღოღი...

2.3. ყ-ს საკითხისათვის ფერეიდნულში

ყ გრაფემით ქართველურ ენათძეცნიერებაში აღინიშნება:

1. ხძოვანთა ძკვეთრი (ძღიერი) შემართვა ან დამართვა;
2. ყ ფონემის პოზიციური ვარიანტი, რომელიც დასტურდება ზანურში და იშვიათად ზანურის გავრცელების არეალთან ძომიჯნავე დიალექტებში [ჯკორბენაძე 1998: 70].

ყ ბგერას ფონემური ღირებულება არა აქვს არცერთ ქართულ დიალექტში. ის ხძირად გვხვდება სხვა ხძოვნების სპეციფიკური შემართვის ან დამართვის შემ-

თხვევების აღსანიშნავად. მკვეთრი შემართვა და დამართვა, იგივე ფარინგალიზაცია საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა ქართულში, განსაკუთრებით ხშირია თუშურსა და ინგილოურში, თუმცა სპორადულად ყველა დიალექტში გვხვდება⁹⁴.

ყველაზე ხშირად ის ე.წ. ექსპრესიულ სიტყვების, შორისდებულების, დადასტურების ან უარყოფის ნაწილაკების წარმოთქმისას იჩენს თავს. მკვეთრი დამართვა ზოგჯერ შეიძლება სიტყვის დაკარგული ფრაგმენტის კომპენსაციასაც ემსახურებოდეს [ჯორბენაძე 1998: 50].

დიალექტების ერთ ნაწილში მოვლენა ძალზე იშვიათია, მხოლოდ განსაკუთრებული ექსპრესიის დროს გამოვლინდება, ამიტომ მის შესახებ არც კი აღინიშნავენ სპეციალურ ლიტერატურაში, ზოგი ავტორი კი სპორადული გამოყენების ან სუსტად გამოხატულ ფარინგალიზაციასაც არ ტოვებს ყურადღების მიღმა. შესაბამისად, სათანადო ლიტერატურაში, გარდა თუშურისა და ინგილოურისა, რომლებისთვისაც ფარინგალიზაცია ფონოლოგიური სისტემის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად არის მიჩნეული, მოვლენა დადასტურებულია ფერეიდნულში, კახურში, აჭარულში, ლეჩხუმურში... [ჩიქობავა 1927: 63, მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956: 31; ნიჟარაძე 1957: 13; კაკიბაძე 1987], თუმცა, როგორც ვთქვით, ექსპრესიული მეტყველებისას სიტყვის ანლაუტში ან აუსლაუტში ფარინგალიზებული ხმოვნები ყველა ქართულ დიალექტშია მოსალოდნელი. ქართულ დიალექტოგრაფიულ ტრადიციაში ასეთი შემთხვევები (ექსპრესიულ ფორმებში ანლაუტის ან აუსლაუტის ხმოვნის ფარინგალიზაცია) უკიდურესად მწირად არის დოკუმენტირებული, რაც უმთავრესად სუბიექტური ფაქტორებითაა გაპირობებული. ჯერ ერთი, გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტების უმეტესობა ხელითაა ჩაწერილი, შესაბამისად, ჩაწერის მომენტშივე არ არის იდენტიფიცირებული ფარინგალიზებული ხმოვნები. ხოლო მაგნიტური და ციფრული ჩანაწერიდან ტიპური ტექსტური განაშიფრების მომზადებისას, როგორც წესი, ინტონაციური თავისებურებები, ექსპრესიული საშუალებები და პარალინგვისტური მახასიათებლები ნაკლებად არის ხოლმე გათვალისწინებული (თუ არ ჩავთვლით უახლესი დროის მცირე გამოცდილებას, როცა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ტექსტის ძნელადგასარჩევი ფონეტიკური, ინტონაციური, პროსოდიული და სხვ. მახასიათებლების ექსპერიმენტული იდენტიფიკაცია).

94. **ქ**-ს თელო უთურგაიძე **ლარინგალურ** ბგერად განიხილავს [უთურგაიძე 1966: 20-21]. რაკი **ქ**-ს გრაფიკულადაც და აკუსტიკურადაც აიგივებენ ზანურის მონაცემთან, ხოლო ზანურში ეს თანხმოვანი ფარინგალურ ბგერად არის შეფასებული და ამ ბგერის გაჩენა-გაქრობასთან დაკავშირებული პროცესები – ფარინგალიზაცია – დეფარინგალიზაციად ჩვენც ამ ტერმინს მივეცით უპირატესობა ერთი და იმავე მოვლენის უნიფიცირებული აღნიშვნისათვის. აქვე დავძენთ, რომ ფარინგალიზაციის პროცესის უნივერსალურობა ქართული ენის დიალექტებში (მისი ინტონაციური ფუნქციით გამოყენება), აგრეთვე სპეციფიკური შემართვა-დამართვის სხვადასხვა სახის არსებობა, საეჭვოს ხდის თელო უთურგაიძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თუშურში **ქ** არაქართული ელემენტია და ნახური ენის გავლენით გაჩენილი ბგერაა [უთურგაიძე 1966: 20; უთურგაიძე 1953]. ნახური ენის მეზობლობამ, შესაძლოა გაამყარა თუშურში ამ ბგერის შენარჩუნების საფუძველი, ისევე, როგორც უმლაუტის შენარჩუნება გაამყარა ინგილოურში კონტაქტური ენის გავლენამ.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ფარინგალიზებულ ხმოვანთა რეალური და-
დასტურების სიხშირე დიალექტებში გაცილებით მეტი უნდა იყოს, ვიდრე ეს გამოქ-
ვეყნებულ ტექსტურ მასალაშია წარმოდგენილი.

გარკვეული ინტონაციური აქტუალიზაციისას მკვეთრი შემართვა ან დამართვა
რომ შესაძლოა სალიტერატურო ქართულშიც გაჩნდეს. ამის შესახებ გ. ახვლედიან-
ნიც მიანიშნებს: „*ძლიერშემართვიანი ხმოვნები ქართულ სალიტერატურო მეტყვე-
ლებაში არ იხმარება; ზოგჯერ წარმოითქმება ხოლმე ძლიერშემართვიანი ხმოვანი
დაჟინებულად თქმულ არა-ში: 'არა (' ნიშანი წარმოადგენს ბგერის ძლიერ შემარ-
თვას). ეს ის ბგერაა, რომელიც ცნობილია არაბული ჰამზას სახელწოდებით*“ [ახ-
ვლედიანი 1999: 110).

ქართველური ენებიდან **ც** ბგერა მეგრულ-ლაზურს ახასიათებს. ის აქ **ყ** ბგერის
ალოფონად გვევლინება. აღნიშნულია, რომ მეგრულში უფრო ხშირად, ლაზურში –
შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი (ჩიქობავა 1936: 19-20; ყიფშიძე 1914:
04). მართალია ტრადიციულად მიჩნეულია, რომ ზანურში **ც** **ყ-ბგერის** ალოფონია,
თუმცა ათინურის მაგალითზე ირკვევა, რომ ის შეიძლება დადასტურდეს არა მხო-
ლოდ ისეთ პოზიციებში, სადაც ისტორიულად **ყ**-ს ვვარაუდობთ, არამედ იქაც, სადაც
ეს ბგერა არასოდეს ყოფილა: **ც**არ „ერთი“, **ცი**დეს „იარეს“, **ცეს** „ყვეს“, **ციჩანუ** „იც-
ნო“... [ქუთელია 2005: 42-43]. ათინურის ეს ვითარება არანაირად არ უკავშირდე-
ბა იმ შემთხვევებს, როცა **ც** **ყ**-ს რეფლექსია და ახსნილია იმით, რომ ანლაუტი ლა-
ზურში იშვიათად არის მარტივხმოვნიანი და ის ყოველთვის ამჟღავნებს გართულე-
ბისკენ მიდრეკილებას პალატალიზაციის, ასპირაციის ან ფარინგალიზაციის გზით
[ქუთელია 2005: 44]. თუმცა აღნიშნულია ისიც, რომ ფარინგალიზებული ხმოვნები
ლაზურში ინლაუტშიც რეალიზდებიან: **ჟურჯეჩი** (ოცი), **ქეცლოუ** (დალო)... აღნიშ-
ნულია, რომ ფარინგალიზაციის ტენდენცია ლაზურში თურქულიდან შემოსულ სიტ-
ყვებზეც გავრცელდა (ქუთელია 2005: 43-44).

ფარინგალიზებული ხმოვნებისა და **ყ** ბგერის ფარინგალური ალოფონისთვის
ტრადიციულად ერთი და იმავე ნიშნის გამოყენება გარკვეულ უხერხულობას ქმნის
და აღნიშნულია, რომ ეს ცალკე გრაფიკული ნიშნის უქონლობითაა გამოწვეული
(ქუთელია, 2005: 42-43). შესაძლოა, არნოდ ჩიქობავას მიერ ფარინგალიზებულ
ხმოვანთა აღსანიშნავად სხვა ნიშნის გამოყენება სწორედ ამ ორი შემთხვევის გასარ-
ჩევი საშუალება იყო.

სვანურში **ც** არ ჩანს არც დამოუკიდებელ ბგერად და არც სხვა ხმოვნების სპეცი-
ფიკურ მახასიათებლად – აქ არ გვხვდება ფარინგალიზებული ხმოვნები.

როგორც ვთქვით, **ც** ქართულ დიალექტებში ცალკე ფონემად არ განიხილება. ერ-
თეული შემთხვევები თუშურ დიალექტში, როცა მკვეთრი შემართვის მქონე ხმოვა-
ნი თითქოსდა იძენს მნიშვნელობის განმასხვავებელ ფუნქციას (ჰავრ – კარგი, ჰო;
ცავრ – ასე და სხვ.), არ გამოდგება იმის დასტურად, რომ თუშურში ის ცალკე ფონე-
მად ჩამოყალიბდა (უთურგაიძე 1966: 36; ჯორბენაძე 1998: 49).

თუშურში ფარინგალიზაციის მოვლენის ინტენსიურ გამოვლინებას ბაცბურის
სუბსტრატით ხსნიან (უთურგაიძე 1966: 36). თუ ფარინგალიზაციას ზოგადად უც-

ხო გავლენის შედეგად მივიჩნევდით, შეიძლება ინგილოურზეც გვეფიქრა, რომ კავკასიურ ენებთან მეზობლობამ, განსაკუთრებით კი უდიურთან, რომელსაც კავკასიურ ენათაგან ყველაზე ძლიერად ახასიათებს ფარინგალიზაცია, მოახდინა გავლენა მის ბგერით შედგენილობაზე. მაგრამ გვაძლევს კი საერთო სურათი ამ თვალსაზრისის უდავოდ გაზიარების საბაბს?

უსათუოდ გასათვალისწინებელია ის, რაზეც ზემოთ ვთქვით: მოვლენა მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტშია დამოწმებული, როგორც ვნახეთ, ის ბუნებრივი და ორგანულია ზანურისთვისაც. ამასთან, ზანურში (კერძოდ ლაზურში, ათინურში), ფარინგალური ხმოვანი **ყ**-ს რეფლექსი კი არ არის, სწორედაც ინტონაციურად აქტუალიზებული სიტყვების ანლაუტის სტრუქტურის მახასიათებელია [ქუთელია 2005: 40-44] და ხშირად გვხვდება სიტყვის შიგნითაც, როგორც ლაზურ, ისე თურქულიდან შემოსულ სიტყვებშიც.

ეს გვაფიქრებინებს, რომ ხმოვანთა ფარინგალიზაცია ქართული და ზანური დიალექტებისთვის ბუნებრივი შინაგანი ტენდენციაა და არა უცხო ენობრივი გარემოს გავლენის შედეგი.

ფარინგალური ხმოვანი შეიძლება იყოს:

1. დაკარგული **ყ**-ს კომპენსაციური რეფლექსი – ცინი;
2. ინტონაციური ექსპრესიის გამო „გართულებული“ მარტივი ხმოვანი ანლაუტში ან აუსლაუტში (**არაჟ! ციმე!...**);
3. იდენტური კომპლექსის შერწყმით მიღებული გრძელი ხმოვნის (თუშური) საკომპენსაციო არტიკულაცია.
4. დაკარგული მარცვლის (ხევსურული...) საკომპენსაციო არტიკულაცია (ხევსურული) [ჯორბენაძე 1998: 50-51].

ფარინგალიზაციის ეს შემთხვევები სხვადასხვა ხარისხით არის რეალიზებული ზანურ მასალაში და ქართული ენის დიალექტებში.

ხოლო მეზობელ დიალექტებთან კონტაქტმა თუშურსა და ინგილოურში განსაკუთრებით გააძლიერა არსებული ტენდენცია (ისევე, როგორც ეს მოხდა უძველესი ხმოვნების შემთხვევაში ინგილოურში – არსებული შინაგანი პოტენცია, რომელიც დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტთა ნაწილისათვის, ინგილოურში შენარჩუნდა და გაძლიერდა აზერბაიჯანულ ენასთან კონტაქტის პირობებში) [ჯორბენაძე 1989: 343].

ფერეიდნული დიალექტის მონაცემები საინტერესო შტრიხს ჰმატებს ზემოაღწერილ საერთო სურათს.

ამ მოვლენაზე დაკვირვება დიალექტში უკვე ადრეულ კვლევებზე დაყრდნობით ხდება შესაძლებელი.

პირველ შენიშვნას ფერეიდნულში ფარინგალიზაციის შესახებ ვხვდებით არნოლდ ჩიქობავას შრომაში „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“, რომელიც, როგორც ვიცით, ერთი მთქმელის, სეიფოლა იოსელიანისგან ჩაწერილ ტექსტების ანალიზს ემყარება [ჩიქობავა 1927].

მოვლენის აღწერისას ფარინგალური ხშული თანხმოვნის აღსანიშნად მკვლევარი დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციისგან განსხვავებულ გრაფიკულ ნიშანს გვთავაზობს – ეს არის არაბული ანბანის გრაფემა ე.წ. „აინი“ – ღ.

ავტორი მოვლენას განიხილავს პარაგრაფში „ბგერითი შედეგნილობა და მათი ცვლილებანი“. ის მსჯელობს ფერეიდნული სათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ბგერებზე – ე, ვ, „ყრუ დ-სა და წყვილბაგისმიერ ვ-ზე, სწორედ ამ ჩამონათვლში აქცევს ის ჩვენთვის საინტერესო გრაფემას. აღსანიშნავია, რომ ავტორი არ იყენებს სიტყვას „ბგერა“, არ გვაძლევს მის ფონეტიკურ აღწერას, არც გამოყენების შემთხვევათა ანალიზს, მხოლოდ აღნიშნავს, რომ ის „ხშირად ერთვის თავკიდურ ხმოვანს“ და მოჰყავს ორი მაგალითი. გ ემათ... გეგრე... [ჩიქობავა 1927: 200]. სხვა არანაირი ცნობა ნაშრომის აღწერით ნაწილში ამ ბგერის ბუნებისა და დისტრიბუციის დასახასიათებლად არ გვხვდება.

რაკი ფარინგალიზებული ბგერის გადმოსაცემად ავტორის მიერ გამოყენებული ნიშანი თანამედროვე ქართულ შრიფტებში არ გვაქვს, არნოლდ ჩიქობავას შრომების ახალ გამოცემაში ის ჩაუნაცვლებიათ ყ -გრაფემით: „ყ ხშირად ერთვის თავკიდურ ხმოვანს: ყემათ... ყეგრე...“ (ჩიქობავა 2010: 185).

რატომღაც ახალი რედაქციის ავტორებმა არ გამოიყენეს უკვე ტრადიციულად დამკვიდრებული **ქ**, საკარაულოდ, უცხო გრაფემა სხვა ბგერის აღმნიშვნელად მიიჩნიეს და აღარ უცდიათ ტექსტის გრაფემული უნიფიცირება არნოლდ ჩიქობავას სხვა ნაშრომების მიხედვით, რომლებშიც ფარინგალური ხშული **ქ** ნიშნითაა გადმოცემული. საყურადღებოა, რომ თვით ფერეიდნული მასალის დამოწმებისას სხვაგან, ხშირად ბევრად ადრე დაბეჭდილ ნაშრომებში ავტორი იყენებს სწორედ **ქ** ნიშანს. ასეა გადმოცემული ფარინგალიზებული ბგერა მაგალითად სტატიის „გარე-კახური დიალექტოლოგიურად“ [ჩიქობავა 1925], „ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“ [ჩიქობავა 1923-1924]. ეს ნაშრომები ახალ გამოცემაში იმავე ტომში დაიბეჭდა, რომელშიც 1927 წელს გამოქვეყნებული „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“ [ჩიქობავა 2010], თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ამ უკანასკნელში ფარინგალიზებული ბგერის აღსანიშნავად სხვა ნიშანია გამოყენებული.

როგორც აღვნიშნეთ, სტატიის აღწერით ნაწილში ავტორი საკმაოდ ძუნწად ახასიათებს მოვლენას და სულ ორი მაგალითი მოჰყავს საილუსტრაციოდ, მაგრამ ნაშრომში სხვა საკითხების საილუსტრაციო მასალაში და თანდართულ ფერეიდნულ ტექსტებში რვა ათეულზე მეტი შემთხვევაა დამოწმებული ამ გრაფემის – მკვეთრი შემართვა-დამართვის აღმნიშვნელი სიმბოლოს გამოყენებისა.

საგულისხმოა, რომ ჩვენთვის საინტერესო ნიშანი გვხვდება არა მხოლოდ თავკიდურ პოზიციაში, როგორც ამას ავტორი გამოკვლევაში მიუთითებს, არამედ სიტყვის შიგნითაც, სპარსულიდან შემოსულ სიტყვებში : **რადიათები // რაფიათები, მაგ მურები // მაფმურები, აშჯაფთან // აშჯაფთან** და სხვ.

1956 წლის „ქართული დიალექტოლოგიის ქრესტომათიაში“ შ. ძიძიგურმა თითქმის მთლიანად შეიტანა არნ. ჩიქობავას მიერ 1927 წ. გამოქვეყნებული ტექსტები, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებით: **ღ** გრაფემა ყველა ფორმაში **ქ**-თი ჩაანაცვლა.

მოგვიანებით, 1961 წელს გამოცემული ქართული დიალექტოლოგიის შემდგენლობა არნოლდ ჩიქობავას მიერ ჩაწერილ ტექსტებში ისევ გ გრაფემა – არაბული „აინი“ გამოიყენეს, ხოლო ყველა სხვა ტექსტში სათანადო შემთხვევაში – მხოლოდ **ც**.

მნელი სათქმელია, რა უნდა იყოს ამ გრაფემული არაერთგვაროვნების მიზეზი. შეიძლება, გვეფიქრა, რომ ეს არნოლდ ჩიქობავას პრინციპული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მისსავე ნაშრომებში, ადრეულშიც და შემდგომშიც რომ არა ჩანს ასეთი პრინციპული არჩევანი? იქნებ ეს სიტუაციური სასტამბო გადაწყვეტილება იყო, რომელიც სხვა ნაშრომებში „გამოასწორა“ ავტორმა? მაშ რატომ გაჩნდა ის „ქართული დიალექტოლოგიის“ ფერეიდნული ტექსტების მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არნოლდ ჩიქობავას მიერ იყო გამოქვეყნებული?

გარაუდი იმისა, რომ როცა განსხვავებულ გრაფემას ირჩევდა მის აღსანიშნავად, არნოლდ ჩიქობავა დამოწმებულ ფორმებში სხვა რომელიმე ბეგრას გულისხმობდა და არა ცნობილ ფარინგალს, არ იქნება გამართლებული და ამის რამდენიმე არგუმენტი:

ის სხვა, უფრო ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში, „ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“ [ჩიქობავა 1923-1924: 34], საილუსტრაციოდ მოხმობილ მაგალითში იმავე მოვლენას აღნიშნავს **ც** გრაფემით:

„რო მიხოლთ საქართველოჩი, უნდა გამოოროთოყე და მისცეთყე ყემ ჩონ კაცებს“.

იგივე მაგალითი 1927 წლის პუბლიკაციაში არის **ც** გრაფემით გადმოცემული: მიხოლთ საქართველოჩი, უნდა გამოოროთოყე და მისცეთყე **ც**ემ ჩონ კაცებს“ [ჩიქობავა 1927: 234].

ასევე, არაბული სიტყვის ქართულად ტრანსლიტერირებულ ფორმაში „ჰამზას“ ქართულ შესატყვისად ის სხვა ნაშრომში სწორედ **ც-ს** იყენებს: „წმინდა ატრიბუტული წინადადების ტიპად ვთვლით ისეთ არაბულ შესიტყვებებს, როგორცაა: **არ-რაჯულუ ცაკილუნ** (= კაცი ჭკვიანია); **არ-რაჯულუ კათალა** (= კაცმა მოკლა) და **არ-რაჯულუ ცაკილუნ** (ჩიქობავა 2010: 417).

„ქართული დიალექტოლოგიის“ შემდგენლობა სრულიად გააზრებულად გამოიყენეს ჩიქობავას ტექსტები ამ ნიშნით და ეს მათი სარედაქციო კონცეფციის ნაწილი იყო, რაც იქიდანაც ჩანს, რომ წიგნის ტექნიკურ (საინფორმაციო) ნაწილში, XVII გვერდზე, წარმოდგენილია ცხრილი, რომელშიც ანბანის რიგზეა ჩამოთვლილი დიალექტურ ტექსტებში გამოყენებულ სატრანსკრიპციო ნიშნები და მათი საერთაშორისო შესატყვისები. ამ ცხრილში ერთმანეთის გვერდით არის წარმოდგენილი **ც** და **ც**, საერთაშორისო შესატყვისისთვის განკუთვნილ ადგილას, ანუ ცხრილის განსამარტივებელი ერთეულის ქვეშ, ორივე ამ ნიშანს უწერია ‘ – აპოსტროფი. მკვეთრი შემართვისა და დამართვის აღსანიშნავად ქართულ სამეცნიერო ტრადიციაში გამოიყენებოდა ეს საშუალება: „ძლიერშემართვიანი ხმოვნები ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში არ იხმარება; ზოგჯერ წარმოითქმება ხოლმე ძლიერშემართვიანი ხმოვანი დაჟინებულად თქმულ არა-ში: ‘არა (‘ ნიშანი წარმოადგენს ბგერის ძლიერ შემართვას). ეს ის ბგერაა, რომელიც ცნობილია არაბული ჰამზას სახელწოდებით“ [ახვლედიანი, 1999 : 110).

როგორც ვხედავთ, ძლიერი შემართვისა და დამართვის გადმოსაცემად ქართულ საენათმეცნიერო ტრადიციაში სამი სხვადასხვა საშუალება იყო გამოყენებული:

1. არაბული ჰამზა – ‘;
2. არაბული აინი – Ǿ;
3. ქართული ფარინგალური ხშულის აღმნიშვნელი სიმბოლო – Ɔ.

Ɔ-გრაფემა 1880 წელს გამოიყენა ალექსანდრე ცაგარელმა [Цагарели 1880: 26-27], ამავე გრაფემას იყენებს იოსებ ყიფშიძეც [ყიფშიძე 1914: 04].

ჰამზა – ‘ ფერეიდნულის შესაბამისი ბგერის გადმოსაცემად მოგვიანებით რამდენჯერმე აქვს გამოყენებული ფერეიდნული ტექსტების პუბლიკაციისას დარეჯან ჩხუბიანიშვილს (იხ. ქვემოთ).

როგორც ვთქვით, „ქართული დიალექტოლოგიის“ შემდგენლებს არ უცდიათ არაერთგვაროვნების უნიფიცირება. ამიტომ უკვე საინსტრუქციო ნაწილშივე გაჩნდა შეუსაბამობა:

- ა) Ɔ და Ɔ ცალკე ერთეულებად არის შეტანილი ცხრილში
- ბ) ორივე გრაფემის ტრანსკრიპციულ შესატყვისად მიწერილია ‘ – აპოსტროფი, არაბული „ჰამზას“ შესაბამისი გრაფემა.
- გ) ცალკე პარაგრაფში, რომელსაც ქვია „ნიშნები“, პირველივე სტრიქონში მოცემულია განმარტება: Ɔ არაბული ცაინი, უდრის მეგრულ Ɔ-ს [გიგინეიშვილი და სხვ. 1961: XVII].

ქართული დიალექტური კორპუსის ტექსტური კოლექციის უნიფიცირებისა და რეპრეზენტაციულობის კონცეფცია, ბუნებრივია, ითვალისწინებდა ტექსტებში გრაფემული ერთგვაროვნების მიღწევასაც. ეს გარდაუვალი ნაბიჯია ტექსტების მასივის კორპუსული დამუშავების გზაზე და მხოლოდ უნიფიცირების მწყობრი კონცეფციის შედეგად მიიღწევა ძიების მაღალი ხარისხი კორპუსებში.

ფერეიდნული მასალის ტექსტური მასალის უნიფიცირებისათვის და კორპუსული ძიების სრულფასოვნებისათვის აუცილებელი გახდა გარკვეული ცვლილებების შეტანა ტექსტებში. სახელდობრ, არნოლდ ჩიქობავას მიერ ჩაწერილ და 1927 წელს გამოქვეყნებულ მასალაში Ɔ ნიშნის Ɔ-თი ჩანაცვლება.

მკითხველს ვთავაზობთ ცხრილს, რომელშიც ნაჩვენებია, რა შესაბამისობაა ქართული დიალექტების კორპუსში გამოქვეყნებულ მასალასა და არნოლდ ჩიქობავას ნაშრომის ორ სხვადასხვა გამოცემას შორის:

ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი 1927	ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი ჩიქობავა, 2010	ქართული დიალექტური კორპუსი
Ɔ აბა	ყ აბა	Ɔ აბა
Ɔ აბაბახი	ყ აბაბახი	Ɔ აბაბახი
Ɔ აველი	ყ აველი	Ɔ აველი
Ɔ აზიზ– ყ აბადი	ყ აზიზ– ყ აბადი	Ɔ აზიზ– Ɔ აბადი.
Ɔ აზიზ-ყ აბადის	ყ აზიზ-ყ აბადის	Ɔ აზიზ-Ɔ აბადის

ჯათას	ყათას	ცათას
ჯათი	ყათი	ცათი
ჯაირიჯა	ყაირიჯა	ცაირიჯა
ჯამმა	ყამმა	ცამმა
ჯარა	ყარა	ცარა
ჯარა-მეთქი	ყარა-მეთქი	ცარა-მეთქი
ჯარი	ყარი	ცარი
ჯასანდილო	ყასანდილო	ცასანდილო
ჯე	ყე	ცე
ჯეგრუნ	ყეგრუნ	ცეგრუნ
ჯეეკილაყე	ყეეკილაყე	ცეეკილაყე
ჯელ	ყელ	ცელ
ჯემ	ყემ	ცემ
ჯემაზე	ყემაზე	ცემაზე
ჯემათი	ყემათი	ცემათი
ჯემათყეო	ყემათყეო	ცემათყეო
ჯემამ	ყემამ	ცემამ
ჯემანდ	ყემანდ	ცემანდ
ჯემას	ყემას	ცემას
ჯემეების	ყემეების	ცემეების
ჯემეებს	ყემეებს	ცემეებს
ჯემითი	ყემითი	ცემითი
ჯემითყე	ყემითყე	ცემითყე
ჯემის	ყემის	ცემის
ჯერთი	ყერთი	ცერთი
ჯექ	ყექ	ცექ
ჯექით	ყექით	ცექით
ჯექითაც	ყექითაც	ცექითაც
ჯეჯაზა	ყეჯაზა	ცეჯაზა
ჯეჰთიათი	ყეჰთიათი	ცეჰთიათი
ჯიგეთ	ყიგეთ	ციგეთ
ჯიმ	ყიმ	ციმ
ჯიმათ	ყიმათ	ციმათ
ჯიმათთანა	ყიმათთანა	ციმათთანა
ჯიმან	ყიმან	ციმან
ჯიმას	ყიმას	ციმას
ჯიმასა	ყიმასა	ციმასა
ჯიმაშინ	ყიმაშინ	ციმაშინ

ციმეებს	ყიმეებს	ციმეებს
ციმის	ყიმის	ციმის
ცის	ყის	ცის
ციფო	ყიფო	ციფო
ციქით	ყიქით	ციქით
ციუთხარ	ყუთხარ	ციუთხარ
ციუნდა	ყუნდა	ციუნდა
ამჯაყთან	ამჯაყთან	ამჯაყთან
მაცმურად,	მაცმურად	მაცმურად
მაცმურები	მაცმურები	მაცმურები
მაცმურების	მაცმურების	მაცმურების
მაცმურებისათი მაცმურებიც	მაცმურებისათი მაცმურებიც	მაცმურებისათი მაცმურებიც
მაცმური	მაცმური	მაცმური
მოყაზამ	მოყაზამ	მოყაზამ
რაციათები	რაციათები	რაციათები

როგორც ცნობილია, 1961 წელს გამოცემულ „ქართულ დიალექტოლოგიაში“ ფერეიდნული კოლექცია მხოლოდ სეიფოლა იოსელიანისგან 1922 წელს ჩაწერილი ტექსტებისგან შედგება. მასში შესულია: აკაკი შანიძის მიერ ჩაწერილი ერთი ტექსტი (297), არნოლდ ჩიქობავას მიერ ჩაწერილი ტექსტების ნაწილი (208, 210, 211), ვარლამ თოფურიას მიერ ჩაწერილი რამდენიმე ტექსტი (209, 212) და სეიფოლა იოსელიანისგან საკუთარი ხელით დაწერილი და, როგორც ჩანს, შემდგომ რედაქტირებული ერთი ტექსტი (213).

საგულისხმოა, რომ მთელი ამ მასალიდან გ გრაფემა მხოლოდ არნოლდ ჩიქობავას მიერ მომზადებულ ტექსტებშია დამოწმებული, მათ შორის, აკაკი შანიძის მიერ ჩაწერილ (207) მცირე ზომის ტექსტში, რომელიც ჩიქობავამ 1927 წელს თავის გამოკვლევაზე დართულ ფერეიდნულ ტექსტებთან ერთად გამოაქვეყნა. ყველა სხვა შემთხვევაში მთელ წიგნში სხვა ფარინგალური ბგერის ან ფარინგალი ხაცის ნიშნად, როგორც ვთქვით, გ გამოიყენება. ვარლამ თოფურიას მიერ ჩაწერილ ტექსტებში, რომლებიც ამავე ქრესტომათიაშია დაბეჭდილი, ერთადერთ ნასესხებ სიტყვაშია ფარინგალური ბგერა დამოწმებული და ის ყოველთვის გ გრაფემითაა გადმოცემული:

მეცბარბაში მაიყვანა და უთხრა, რო: ერთი სახლი მინდა გავაკეთოვო, რო, ექაური ყეინი რო არიო, ორი იმაზე ღირდესო [გიგინეიშვილი და სხვ. 1961: 261].

მეცმარბაში უთხრა, რო: ემას ღიდი ფული, ღიდი ხაზინა უნდაო [გიგინეიშვილი და სხვ. 1961: 261].

მეცბარბაში ადგა და წავიდა ადგილის სანახველად, რო ნახოს და იყიდოს, რაქთენიცალა რო ყეინის ყორს ანგარიში მეცა მეცბარბაშისათი, და წავიდა, მოსაზრა და იყიდა ადგილი ბეური [გიგინეიშვილი და სხვ. 1961: 262].

მეცხარბაში რო უსთა იყო, წავიდა და, რაქთენიძლა რო ეჭირებოდა, შააქუჩა და დააყენაყე ფეის თხრაზე [გიგინეიშვილი და სხვ. 1961: 262].

გრაფემული არაერთგვაროვნება ფერეიდნულის ფარინგალური ან ფარინგალიზე-ბული ბგერის გადმოცემისას გვიანდელ ნაშრომებშიც გვხვდება.

დარეჯან ჩხუბიანიშვილის, თედო უთურგაიძისა და ჯემშიდ გიუნაშვილის მიერ გამოცემულ ტექსტებში ეს ბგერა [‘]– ნიშნით არის გადმოცემული. ის დადასტურებულია უმეტესად რეპატრიანტი ქართველებისგან ჩაწერილ ტექსტებში, ძირითადად ერთ სიტყვაში – სა’ათი:

ესენი წავლენ და ბაღასა ბეჭედსა და ერთ სა’ათს უყიდიან.

ადგებიან და ემ ბაღასა და ემ ბეჭედსა და ემ სა’ათს აიღებენ და წოღებენ იმ ყორსა. მოლოტანენ სა’ათს, ოქროს ჰალყას.

იქ დაქუჩდებიან თა ორი, სამი სა’ათი სადილო უკან.

საღამოთ, სადილოუკან, ოთხ სა’ათზე, როსაც რო ყარარი დადევს, რო რა სა’ათზე ავგირანი იყოს, იმ სა’ათზე მეჯვარე წავა და წყალს დაიჭერავს.

საქართველოსაყე სა’ათი გამაიტანა, ჩინი გამაიტანა.

ერთი ნახევ სა’ათზე ემას მივცემთ ყმაწილი იყოს, დიდ იყოს, ბაიტა იყოს..

სა’ათიც, ექით რო გემეეტანა იქა, იქ რო გემეეტანა, თქისყე, რო ეს **სა’ათიო**, იქით გამოიტანეო. ეს საქართველოს **სა’ათიო**. და დააჭრეტდა ემ **სათსა (!)**, რო აიო, მე რაქთენ **სა’ათსლა** ვარო, მე აღარ დაავარდებიო ცოცხალიო და ელა თოლა საათი, თოლა, თოლა და მოკდა [უთურგაიძე და სხვ. 1979; ქღკ 2020].

ამავე ავტორთა ტექსტებში დამოწმებულია ერთი შემთხვევა, ასევე აპოსტროფით გადმოცემული, როცა ფარინგალიზებული ბგერა ქართულ სიტყვაში ხმოვნის მკვეთრ დამართვაზე უნდა მიანიშნებდეს:

თევზ იჭირა და ემ ბიჭს აძლივა, რაქთენ თევზი რო **დაიჭირა’** [უთურგაიძე და სხვ. 1979; ქღკ 2020].

საგულისხმოა, რომ იმავე სტატიაში ფარინგალიზებული ბგერის გამოსახატად სხვა ნიშანიც გვაქვს გამოყენებული:

იარა დაჟ მიაღვა ერთ წყაროსა.

ჰოლდაჟ ემ ბიჭმა უთხრა, რო აღეო, რათი დწეეხარო.

აღვეს და წაიდეს, წაიდეს ემ ყეინის კარჩი დაჟ, იქაც ხო კარისკაცები იღვეს, რა გინდათ და არ გინდათ? [უთურგაიძე და სხვ. 1979: 95-96].

სამივე ამ შემთხვევაშიც მკვეთრი დამართვის ნიშანია.

მაგალი თოლუასა და მიაა მაჭავარიანის მიერ მომზადებულ ტექსტებში ჩვენთვის საინტერესო ბგერა არ ჩანს. აპოსტროფის გამოყენების ერთადერთ შემთხვევაში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის მკვეთრი შემართვის ნიშანი სპარსულიდან შემოსულ სიტყვაში **თა’არუფი**:

გავმების და დაკვეცავთ და მისაც უნდა, თა’არუფი მივცეთ, გოოგ ზავნით [თოლუა 1975: 76].

ფარინგალიზებული ბგერის იდენტიფიცირებაზე არ გვიმუშავია ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალის გამოფერისას. ნასესხები სიტყვების გარდა ის ყოველთვის ინტონაციური (ექსპრესიული) დანიშნულებით გვხვდება და ასევე ყოველთვის აქვს ნეიტრალური, არაფარინგალიზებული პარალელური ფორმები.

კორპუსის ტექსტური კოლექციის კონცეფცია არ ითვალისწინებდა ინტონაციური თავისებურებების ზედმიწევნით აღწერას, რადგან იქმნებოდა თითქმის საუკუნოვანი ტრადიციის მქონე დიალექტური ჩანაწერების კორპუსი, რომელიც სხვადასხვა მატარებელზე, დოკუმენტირების სხვადასხვა პრინციპით ჩაწერილ მასალას აერთიანებდა და ვერ იქნებოდა დაბალანსებული, თუკი მასში გაერთიანებული ტექსტები არათანაბარი ლინგვისტური მახასიათებლებით იქნებოდა წარმოდგენილი.

ქართული დიალექტური კორპუსის გრაფემული უნიფიკაციის კონცეფციით, ფარინგალური ან ფარინგალიზებული ბგერის აღსანიშნავად ვიყენებთ ერთ გრაფემას: **ფ**.

ხოლო კორპუსის მომხმარებელს უნდა ახსოვდეს, რომ ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა ნიშნით არის გადმოცემული. კორპუსი უნიფიცირებული ძიებისა და იდენტიფიცირების კარგი საშუალებაა ასეთი ჭრელი სურათის არსებობისას.

დღეს კორპუსი ფერეიდნულ დიალექტში **ფ**-ს დადასტურების ასეთ სურათს წარმოადგენს:

არნოლდ ჩიქობავა – 1927, 1961 წელი (80-მდე შემთხვევა);

ვარლამ თოფურია – 1961 (4 შემთხვევა);

დარეჯან ჩხუბიანი შვილი – (საათი ფორმა რამდენჯერმე და 3 შემთხვევა ერთსა და იმავე ტექსტში);

მაგალი თოდუა – ერთი შემთხვევა;

ბერიძე, ბაკურაძე (არცერთი შემთხვევა, თუმცა ეს არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ გარკვეულ ინტონაციურ მოდელში ეს ბგერა შეიძლება ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებშიც იყოს რეალიზებული).

როგორც ვხედავთ, არნოლდ ჩიქობავამ ჩვენთვის საინტერესო მოვლენის ყველაზე მდიდარი აღწერა მოგვცა – ძირითადად ტექსტებსა და საილუსტრაციო მასალაში. სხვა მხრივ მას თავისი მსჯელობა არ განუვრცია, მაგრამ ფაქტობრივად სრულფასოვნად აღწერა მთავარი სურათი – ფერეიდნულს **გარკვეულ შემთხვევაში** ახასიათებს ხმოვანთა (როგორც ავტორი მიუთითებს, უმთავრესად თავკიდურ ხმოვანთა) ფარინგალიზაცია (ამ ტერმინს, როგორც ვთქვით, ჩიქობავა არ იყენებს ამ მოვლენის დახასიათებისას), ეს მოვლენა არის შეპირობებული და როცა არ არის სათანადო პირობა, ეს ხმოვნები ნეიტრალური, არაფარინგალიზებული სახით გვხვდებიან იმავე ტექსტებში, ხშირად ერთ წინადადებაშიც კი:

ხალღი მოეხოვის, რო **აბა** მის მოუკლავო და მის არაო...

ნამაი არი, რო ავღგე და ავიღე, დავათორიალო, აბა რა არი.

ამ თასაყენაც ვადვიხედავ, რო, **აბა**, ამისყე ანქითას არი თუ არა.

ნამაი არი, რო ექაც ჩავიღე და მოიარო, აბა რა არი.

გაიგეს მეზობლებმა და შავიდეს: აბა რა არივო?

ჯერ მითხარით, აბა რა' ნბავია.

აბა დასწერეთო ჩონთანაო, ყაბა რა ქნილა, როგო ქნილაო... მოიდეს, ის.

ყველაფრიდან ჩანს, რომ მოვლენა ინტონაციური ხასიათისაა, ეს სწორედ ისაა, რაზეც გიორგი ახვლედიანი წერდა: „დაჟინებული“ არა-ს წარმოთქმისას ისმისო. მოვლენა რომ ინტონაციური ხასიათისაა, არნოლდ ჩიქობავა თავადაც მიუთითებს, სხვა ნაშრომში – გარეკახურის დახასიათებისას: „*ც ბგერა დადასტურებულია მხოლოდ სიტყვის თავში, ე. ი., როგორც თავკიდური ბგერა; მაგალითად: „ცე, რას შვრებით... ცე, შვილოო... ცემ კაცს ეცვალა ფერი“... ასეთ პირობებში იგი სპეციფიკურ მოვლენად ვერ ჩათვლება; რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს იგი არსებითად არაფრით განირჩეოდეს იმ ბგერისაგან, რომელიც, მაგალ. გერმანულს აბერ-ში ა-ს უძღვის წინ; ამდენადვე იგი ზოგადი ფონეტიკური საფუძვლის მქონეა“ [ჩიქობავა 1925: 80].*

მართალია, არნოლდ ჩიქობავა ხაზგასმით იმეორებს, რომ „*ც ბგერა დადასტურებულია მხოლოდ სიტყვის თავში“*, მაგრამ მისივე მაგალითები მოწმობს, რომ ის სიტყვის თავშიც შეიძლება შეგვხვდეს და ბოლოშიც – შესაბამისად, ხმოვანთა მკვეთრი შემართვის ან დამართვის აღსანიშნავად, აგრეთვე შემოსულ სიტყვებში: დაყ, მაყარბაში, მუყალეში, სოყალი, ჰოდაყ...

როგორც აღვნიშნეთ, ფერეიდნული ბგერითი სისტემის აღწერისას ჩვენ ფარინგალი ზებულ ბგერას პრინციპულად არ გამოვყოფთ და ტექსტების მომზადების დროსაც არ გავვითვალისწინებია ეს მოვლენა. ხმოვანთა ფარინგალიზაცია ან წმინდა ინტონაციურ-ექსპრესიული ხასიათისაა ფერეიდნულში, ან უცხო ენიდან შემოსული სიტყვების სპეციფიკური წარმოთქმის კვალი. ამ პარაგრაფში თავი მოვუყარეთ ინფორმაციას, რომელმაც მკითხველს სწორი დამოკიდებულება უნდა ჩამოუყალიბოს სამეცნიერო ლიტერატურაში არაპროპორციულად აღწერილი მოვლენის მიმართ, სახელდობრ, გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ *ც*, მიუხედავად იმისა, რომ ის ხშირად შეიძლება შევნიშნოთ ფერეიდნელთა საუბარში, არ ქმნის მყარ ფონოლოგიურ მიმართებებს. ის მხოლოდ ინტონაციური რეფლექსიაა და ჯერჯერობით არ მომხდარა მისი „ფონეტიზაცია“ და „მორფოლოგიზაცია“, როგორც ეს, მაგალითად, იოტის შემთხვევაში მოხდა, როცა ფშვინიერი დამართვის ხმოვანი მორფოლოგიურ ელემენტად იქნა ზოგ შემთხვევაში გააზრებული, ან როგორც *ც* იქცა უკვეცელი ხმოვნის აუცილებელ მარკერად თუშურში.

3. ძირითადი ფონეტიკური პროცესები

3.1. დიფთონგიზაცია

სხვადასხვა ლიაობის ხმოვანთაგან შედგენილი ხმოვანთკომპლექსებისთვის ქართული დიალექტების დიდ ნაწილში დამახასიათებელია დიფთონგიზაცია – ერთ-ერთი ხმოვნის დავიწროება და გაუმარცვლოება. ქართულ ენაში ისტორიულად დიფთონგიზაციისას ი და უ ხმოვნის გაუმარცვლოება ხდება. შესაბამისად მიღებული დ ან ჟ ბგერები კი ქმნიან აღამავალ ან დაღმავალ დიფთონგებს. ეს პროცესი დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისთვისაც და ფართოდ არის გავრცელებული დიალექტებში [ახვლედიანი 1999: 106-108].

ფერეიდნული ამ მხრივაც მიჰყვება ქართული ენის დიასისტემისთვის დამახასიათებელ ერთიან ტენდენციას [ჩიქობავა 1923: 184-185; ჯორბენაძე 1989; 1998].

ისევე, როგორც მთელ ქართულენოვან ტრადიციაში, დიფთონგიზაცია ფერეიდნულში ინტონაციასა და მახვილს უკავშირდება. ამის გამო, როგორც სხვა დიალექტებში, აქაც გვაქვს დიფთონგიზებული და არადიფთონგიზებული კომპლექსების ვარიაციულობა. პარალელური ფორმები ხშირად დასტურდება არა მარტო ერთი და იმავე მთქმელის მეტყველებაში ზოგადად, არამედ ერთსა და იმავე ტექსტში, ზოგჯერ ერთ ფრაზაშიც კი.

დიფთონგიზაციის მოვლენა ფერეიდნულში ადრევეა შენიშნული. მიჩნეულია, რომ დ და უმარცვლო უ დიალექტში წარმოქმნიან დიფთონგებს.

უმარცვლო უ-ს შესახებ საუბრისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ის შეიძლება მიღებული იყოს მარცვლოვანი უ-ს დავიწროების შედეგად ან წარმოადგენდეს ვ კბილბაგისმიერი თანხმოვნის პოზიციურ ვარიანტს. ცვლილების პოზიციები და კომბინაციები კორპუსულ მონაცემებზე დაყრდნობით იხ. ზემოთ.

3.2. ხმოვანთკომპლექსების ფონეტიკური ცვლილებები

ქართულში აკრძალულია ორი ხმოვნის მიმდევრობა ერთი მორფემის ფარგლებში [ძიძიგური 1946; უთურგაიძე 1976; ჯორბენაძე 1989; 1998...]. აღნიშნავენ, რომ ეს აკრძალვა დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო საერთო ქართველურ ღონეზეც [მაჭავარიანი 1966: 4].

მორფემულ საზღვარზე ხმოვანთა ცვლილება აკრძალული მოდელის სუპერაციის გზაა. მორფემათა საზღვარზე (აფიქსური და ფუძისეული ხმოვნების შეხვედრისას) გაჩენილი კომპლექსების ცვლილების ხასიათი კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ქართული დიალექტების დიფერენციაციისათვის. მიჩნეულია, რომ დასავლური და აღმოსავლური დიალექტები სხვადასხვა ტენდენციას აჩვენებენ ამგვარი

კომპლექსების ცვლილებებისას [ძიძიგური 1946; უთურგაიძე 1976: 33-დან; ჯორბენაძე 1998: 277-დან; კახაძე 1981].

აღნიშნულია ისიც, რომ ფერეიდნული ხმოვანთა კომპლექსების ცვლილების თვალსაზრისით მისდევს აღმოსავლური დიალექტების ჩვენებას.

ხმოვანთა კომპლექსები ღიაობის მიხედვით ნაწილდებიან სამ ჯგუფად:

A ფართო + ვიწრო

B – ვიწრო + ფართო

C – თანაბარი ღიაობის ხმოვნები

აღნიშნულია, რომ ხმოვანთა კომპლექსები ცვლილებისას მიისწრაფვიან ერთხმოვნობისაკენ, თუმცა საბოლოო მიზანს, ცალხმოვნობას, მხოლოდ ზანურმა მიაღწია, ქართული დიალექტებიდან ორი – თუშური და აჭარული წავიდა ასევე შორს, დანარჩენები კი პროცესის სხვადასხვა საფეხურზე არიან გაჩერებული:

A რიგის კომპლექსები აკრძალული კომბინაციების თავის არიდებას ასიმილაციის გზით ახერხებენ (აუ > ოუ > უუ > უ > უ)

B რიგის კომპლექსები – ლიფთონგიზაციის (resp. დისიმილაციის) გზით (უა > უა > ვა > ა)

C რიგისა – შერწყმის გზით (აა > ა > ა) [ძიძიგური 1946: 23]

სხვადასხვა დიალექტი სხვადასხვა პრინციპით „ირჩევს“ დასაშვებ კომპლექსებს. მაგალითად, აღნიშნულია, რომ ფშაური იტანს ან იღენტურ ხმოვნებს, ან მაქსიმალურად კონტრასტულებს ღიაობისა და რიგის მიხედვით. გარდა იმისა, რომ დიალექტებში ხმოვანთა კომპლექსების დაშლის პროცესი სხვადასხვა საფეხურზეა წარმოდგენილი, ან ესა თუ ის დიალექტი სხვადასხვა გზას „ირჩევს“ კომპლექსის დასაშვებად, სხვაობას ქმნის ისიც, თუ რომელი კომპლექსია დიალექტისთვის „დასაშვები“ და რომელი – „აკრძალული“ (მხედველობაში არ მივიღებთ სალიტერატურო ქართულის გავლენით გაჩენილ პარალელურ ფორმებს). როგორც აღნიშნული იყო, დიალექტთა უმრავლესობა არ გვიჩვენებს პროცესის საბოლოო საფეხურს, – ერთ ხმოვანს. ცვლილების შედეგად მიღებული კომპლექსი „დასაშვები“ კომპლექსია მოცემული დიალექტისთვის, ცვლილებამდელი კი – „აკრძალული“.

აღნიშნულია, მაგალითად, რომ ფშაური „იტანს“ ან იღენტურ ხმოვნებს, ან მაქსიმალურად კონტრასტულებს ღიაობისა და რიგის მიხედვით [ცოცანიძე 1978:26]; სამცხურ-ჯავახურისთვისაც დამახასიათებელია ხმოვანთკომპლექსების ისეთი ცვლილებები, რომლებიც ხმოვნებს შორის არტიკულაციური განსხვავება ან მინიმუმამდე დაჰყავს, ან პირიქით – მაქსიმალურად ზრდის კონტრასტს [ბერიძე 1994: 24-60] და სხვ.

A რიგის კომპლექსები ფერეიდნულში

ქართული სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციით **A** რიგში ერთიანდება კომპლექსები, რომლებშიც ფართო ხმოვანს მოსდევს ვიწრო. როგორც წესი, ასეთი კომპლექსი ვითარდება რეგრესული დისიმილაციის გზით – ვიწროვდება წინამავალი ხმოვანი. შ. ძიძიგური აღნიშნავდა, რომ ამ გზით **A** რიგის კომპლექსთა ცვლილება ძირითადად ქართული ენის დასავლური კილოებისთვისაა დამახასიათებელი, აღმოსავლურიდან კი თუშურში, ფერეიდნულსა და მესხურში გვხვდებო. კვლევამ აჩვენა, რომ სამცხურ-ჯავახურის (ე.წ. მესხურის) მასალა არ იძლევა დასავლურ კილოებთან ანალოგიის ძიების რეალურ საფუძველს [ბერიძე 1994: 27]. რა ვითარებაა ამ მხრივ ფერეიდნულში?

ა+ი:

ა) **ა+ი:** კომპლექსი უცვლელად გვხვდება როგორც ქართულ, ისე ნასესხებ სიტყვებში. ამასთან კომპლექსი შეიძლება იყოს პირველადი და მეორეულიც – ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებული (**აიდე < ავიდე...**).

აბლოლაი: *მაშად სეიფოლა ერქო, ქეთხულა იყო ჰაიღარ ყოლი, ჰაიღარ ყოლიას ძმა აბლოლაი, ერთ სხო ბაიტაცა აჰყავყე, ჰაჯი ნურია'რი.*

ნამაი: *აქუსს ნამაი წყალი და ნამაი ბალებიც ბეური აქ.*

ვაი: *იარებიან და გამორბიან და დაფთხებიან, ვაი! როს და როს...*

აზარბაიჯანი: *ნოდარსაყე წინ, მაშინ ხო კავშირობა, რუსეთი, ერთი იყო და აზარბაიჯანი და სასომხეთი და საქართველო და რუსეთი და ხო ერთად იყო.*

ჩაიდეთ: *ჩაიდეთ, ჩონ სახლები ნახეთ, ყადიმებია.*

აირჩვიან: *ეს დედაკაცები წელჩი ერთ დღეს თავითი ნეფეს აირჩვიანყე, ყეინი, ნეფე აირჩვიანყე. ნეფემაც, ქალმა, თითან ერთი ვაზირი, ვეზირი მინისტრი მარჯანა ჯარასი, მარცხენა ჯარასი, ან გუბერნატორი, ან მემელე, მეციკნე, მეჩობნე, მეაბონე, მებაღანე.*

ბ) შეიძლება კომპლექსის ცვლილება წარმართიოს დისიმილაციის (დიფთონგიზაციის) გზით (და არა დასავლური დიალექტების მსგავსად ასიმილაციის გზით, როგორც ამას შ. ძიძიგური მიუთითებს):

წადღეს: *ეს ნაერუზ-მოზარეჟი, ესებია ათავდესლა და ხალღმა წადღესლა საქმეზე.*

აღრბინე: *წამოდდა ჩემთინ, ახლოლა იყო, მე აღრბინე, ვთქი: ქუაზეგ რო თუ ამოდდა, დაძცხო ემ თოფით და დავდექ.*

გ) შეიძლება კომპლექსი შეიცვალოს დასავლური დიალექტების მსგავსად – ასიმილაციის გზით, ვიწრო ხმოვანი იმსგავსებს წინამავალ ფართო ხმოვანს და ავიწროებს:

ღეისუნე (<დაისვენე), ღეიყრებიან, ღეიჩუვო, ღეიცალებიან, ღეიჭირეს, გეიცინა, ღეიბნესყე... (საყურადღებოა, რომ სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში არ დასტურდება აი > ეი პროცესი! ვერ დავადასტურეთ ის ვერც მაგალი თოდუას მიერ ჩაწერილ ტექსტებში).

ა+უ:

ა) გვხვდება უცვლელი სახით: წაუღეთ, გაუხარდაყე, გაუშვიო, გაუსხნით... დაუღვებისყე, დაუღებავთ, აუღული, საუბარნივა, სასთაული, ხმაურობს, საუზმო...

ბ) განიცდის დიფთონგიზაციას (დისიმილაციას) – კიდე უფრო ვიწროვდება ვიწრო ხმოვანი – აუ > აჟ > ავ: აჟღული // ავღული, საჟბარი // სავბარი...

გ) მორფემულ მიჯნაზე აუ კომპლექსი ასიმილაციისა და შემდგომ კი დიფთონგიზაციის გზით იცვლება: აუ > ოუ > ოჟ: ოვცივღესყე < ოჟცივღესყე < ოუც(ვ) ივღესყე < აუცივღესყე:

ეს სამთა ძათი ქნეს, ოვცივღესყე სანგარნი, გააქცივესყე (1922 წ.)

დ) აღნიშნულია, რომ ოჟ // ოვ საფეხური იძლევა გრძელ ო-ს: წაუღებს > წოუღებს > წოჟღებს // წოვღებს > წრღებს > წიღებს. ზუსტად იგივე მოვლენა ახასიათებს ინგილოურსაც [ჯორბენაძე 1098: 204].

წოუღეფს: მინაც რო შენ მოვიტანა სხოს სიტყოები, შენ სიტყოს ილ იმას ელა წოუღეფს (მაგალი თოღუა, ქღკ).

წოოსომღეს, გოოსემღეს: სკლინტს წოოსომღეს, სწორია, სწორია! გაივე რა შაქნილა? რომელი დაიწებოდეს, სკლინტს გოოსემღეს [ბაკურაძე, ბერიძე, ქღკ].

წოოვებენ: იმაშინ ემას ერთმანერთს ესრიან და წოოვებენ. ანსიც წოოვეფს ამისყე, სადამლა რო მეტი წოოვო, ამაშინ უნდა რო ვარზე შადსოს [მაგალი თოღუა ქღკ].

კორპუსული მასალის მიხედვით უფრო ხშირად აუ (ოუ) კომპლექსი დიფთონგიზაციის გარეშე, მხოლოდ ასიმილაციის საფეხურითაა წარმოდგენილი⁹⁵: ოუ ზიდნიაყეო, ოუკივღეს, ოუტეხდა, ოულია, ოულიაო, ოუყვანიაყე, ოუჩიქარავეთ, ოუხსნა, ოუჯნაჟ... გოუა, გოუგდო, გოუგ ზაჟნე, გოუგ ზაჟნეთყე, გოუგ ზავნია, გოუგია, გოუღეს, გოუერთიანებია, გოუვა, გოუვლია, გოუ ზახმოს, გოუ ზომისყე, გოუკეთა, გოუკირდა, გოუმწონდიო, გოუსვამ... წოუკითხისყე, წოურეკიაო, წოურეკიაყეო, წოურთომეყო, წოუღებენ, წოუყჟანეთ...

აუ კომპლექსის ცვლილების თავისებურება დასავლური და აღმოსავლური დიალექტების გამიჯვნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტად არის მიჩნეული [ძიდიგური 1946; გოგოლაშვილი 1996: 46; ჯორბენაძე 1998: 204]. აღნიშნულია, რომ დასავლური დიალექტების აბსოლუტურ უმრავლესობას ახასიათებს ამ კომპლექსის ასიმილაცია, ხოლო აღმოსავლური დიალექტებიდან მხოლოდ ფერეიდნულსა და ინგილოურს ახასილებენ. ორივე ამ დიალექტში პროცესი ერთნაირად – ჯერ ასიმილაციის, ხოლო შემდეგ დისიმილაციის გზით მიდის [ჯორბენაძე 1998].

95. შესაძლოა, ზოგიერთ ასეთ შემთხვევაში უ-ს ადგილას მისი უმარცვლო ვარიანტიც (ჟ) კი იგულისხმებოდეს და მასალის რედაქტირებისას მიღებული გადაწყვეტილების შედეგი იყოს. ზოგჯერ მართლაც ძნელი ხდება ბგერის იდენტიფიკაცია. დიალექტების ბგერითი სისტემის ექსპერიმენტული ექსპერტიზა თანამედროვე ტექნოლოგიებით სამომავლო გამოწვევაა. დიალექტური მასალის რედაქტირებისას სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა სტრატეგიას ირჩევს, ამიტომ ზოგჯერ არ ვიცით, ტექსტი „დიალექტური ნორმის“ მიხედვითაა რედაქტირებული თუ ითვალისწინებს დიალექტში გაჩენილ „რყევასაც“.

აღნიშნულია, რომ ფერეიდნულში დასავლური ტენდენციის (აუ > ოუ) გამოვლენა ენის შინაგანი შესაძლებლობებისა და დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის პროცესის გამოძახილია: ფერეიდნული მოწყვეტილი იყო მშობლიურ ენობრივ გარემოს და ამიტომ მას არ შეეხო ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია, რომელმაც „აიძულა“ აღმოსავლური დიალექტები, უარი ეთქვათ აუ > ოუ პროცესზე სწორედ ამ ტენდენციის მოქმედების გამო [გოგოლაშვილი 1996: 47].

ვფიქრობთ, დასავლურ დიალექტებში დადასტურებული ასიმილაციის პროცესი, რომელიც იდენტური ხმოვანკომპლექსისა (უუ) და შემდგომ კი გრძელი ხმოვნის მიღებით სრულდება, არ არის იდენტური ფერეიდნულის პროცესისა, რომელიც მეორე საფეხურზე დიფთონგიზაციის გზით გრძელდება და არა ასიმილაციისა.

არც ფერეიდნულის ბოლო – დიფთონგიზაციის შემდგომი (თუ ალტერნაციული?) საფეხური – იდენტურხმოვნიანი ოო კომპლექსი და მისგან მიღებული გრძელი ხმოვანი ავლენს დასავლურ დიალექტებთან მსგავსებას.

ვფიქრობთ, ფერეიდნულში (და ინგილოურშიც) აუ > აჟ დიფთონგიზაციის პროცესი უნდა ყოფილიყო კომპლექსის ცვლილების პირველი საფეხური, შემდგომ კი უნდა მომხდარიყო რეგრესული ასიმილაცია – წინამავალი ა ხმოვნის გალაბიარება.

რაც შეეხება ოუ // ოჟ კომპლექსიდან ოო-ს მიღებას, ეს ეწინააღმდეგება დადგენილ და გაზიარებულ წესს, რომ A რიგის კომპლექსის ცვლილება მიმდინარეობს რეგრესულის ასიმილაციის გზით, რომლის დროსაც წინამავალი ვიწრო ხმოვანი კიდევ უფრო ვიწროვდება მომდევნო ფართო ხმოვნის გავლენით.

თუ ზოგადი წესის მიხედვით განვითარდებოდა კომპლექსის ცვლილება, მივიღებდით უუ > უ პროცესს. საგულისხმოა, რომ ამ შესაძლებლობასაც ადასტურებს ქართული დიალექტური კორპუსი: *წუუაეცო, წუუკითხა... გუუბა, გუუგ ზავნისყე, გუუგნია, გუუზომავყე, გუუკათა, გუუშეფსო, გუუწერავს...*

ოჟ > ოო და ოჟ > უუ პროცესებს რაიმე შეზღუდვა არ უჩანს დიალექტში და ხშირად ერთი მთქმელის ერთსა და იმავე ტექსტშიც კი შეიძლება შეგვხვდეს პარალელური ვარიანტები.

ვფიქრობთ, აქ ასიმილაციის რაიმე ახალ წესზე კი არ უნდა ვიფიქროთ (პროგრესული ასიმილაცია A რიგის კომპლექსში და ვიწრო ხმოვნის გაფართოება წინამავალი ფართოს გავლენით) არამედ ო-სა და უ-ს არტიკულაციური სიახლოვით ფერეიდნულში, რის გამოც მათი გარჩევა ფერეიდნულებს ძალიან უჭირთ წერისას. ეს შენიშნულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფერეიდნულ მასალასთან პირველივე შეხებისას [ჩიქობავა 1927; 1923]. ეს მოვლენა თვალში საცემია დღესაც – სოციალურ ქსელში აქტივობისა და მიმოწერისას.

ვფიქრობთ, სადავოა ერთხელ დამკვიდრებული და ნაშრომიდან ნაშრომში გამეორებული დებულებაც იმის შესახებ, რომ აუ > ოუ > უუ პროცესი მხოლოდ დასავლური დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი. მაშ რა პროცესია თუშურის აუ > ოუ > უუ > უჟ?

წუყყანავ < წუუყყანავ < წოყყანავ < წაუყყანავ.

ამ პროცესის შუალედური საფეხურებიც არის დადასტურებული თუშურ ტექსტებში:

ღდაშენმა რო ნახოს, ხო გულბ გუუსკლება – დავიწყებდეთ ამ ჯარს (ქღკ).

*მოავ, მოავ! – მეორე ეშმაკმ დუყმახ: მოალისავ ადამო, – მოავ, მოავ, – გაღმი-
თამ დუუბახავ, იქ რაყილ ჩამიყვანდავ? (ქღკ).*

ასე რომ, ფერეიდნულში აუ კომპლექსის ცვლილების ორი სხვადასხვა გზა შეიძლება განვიხილოთ:

ა) დიალექტი ასიმილაციის მხოლოდ ერთ საფეხურს იცნობს, შემდგომ ის დისიმილაციის გზით იცვლება. ასიმილაცია ხდება ლაბიალურობის ნიშნით, ხოლო დისიმილაცია (დიფთონგიზაცია) ლიაობის ნიშნით:

აუ > ოუ (რეგრესული ასიმილაცია, ა ხმოვანს იმსგავსებს მომდევნო უ ლაბიალურობის ნიშნით):

ოუ > ოუ > ოვ (ვიწრო ხმოვანი კიდევ უფრო ვიწროვდება, საბოლოო საფეხურზე ის მთლად კარგავს ხმოვნურობას);

ბ) აუ კომპლექსი ფერეიდნულში, ისევე, როგორც ინგილოურში [ჯორბენაძე 1998: 204; აბაშვილი, 2009: 23] დიფთონგიზაციის გზით ვითარდება, შემდგომ საფეხურზე ხდება რეგრესული ასიმილაცია – ლაბიალიზაცია. ხოლო **ოუ > უუ // ოო** პროცესი დიფთონგის მოშლის, უფრო სწორად მისი არტიკულაციური ალტერნაციის გზაა. ფერეიდნულს, ისევე, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებს, აქვს დიფთონგების არადიფთონგიზებული ვარიანტების თავისუფლება (ყველაზე მეტად ამ თავისუფლებას ინგილოურია მოკლებული).

აუ კომპლექსის ცვლილების თავისებურება აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტთა გასამიჯნად ვერ გამოდგება, რადგან ასიმილაციისა და შერწყმის გზა, რომელიც დასავლური დიალექტებისთვისაა გამოყოფილი, ახასიათებს აღმოსავლურ (თუშურ) დიალექტსაც. თუშურის ეს თავისებურება კარგად არის აღწერილი და ქრესტომათიულ მაგალითადაც ითვლება **A** რიგის კომპლექსის სრული სუპერაციის ილუსტრირებისათვის. აჭარული და თუშურია ის ორი დიალექტი, რომლებშიც ეს პროცესი გრძელი ხმოვნის მიღებით სრულდება [ჯორბენაძე 1998: 209]. იმავე პროცესის კვალი ჩანს ხევსურულის ჩამუდგამ < ჩამა(ვ)უდგამ, ჩამურიგებ < ჩამა(ვ)ურიგებ ფორმებში [ჭინჭარაული 1960: 94], სადაც მარტივი უ გრძელი უ-სგან მიღებულად მიიჩნევა აუ > (ოუ) > უუ > უ > უ [უთურგაიძე 1976: 35]. ამის გამო დებულება, რომ „აუ კომპლექსი ცვლილებას განიცდის მხოლოდ დასავლურ დიალექტებში და ყველა აღმოსავლური დიალექტი კომპლექსს უცვლელად ტოვებს [გოგოლაშვილი 1996: 46], მხოლოდ ტრადიციული სტერეოტიპის გავლენის ნიმუშია და არ ასახავს ობიექტურ რეალობას.

ო+ი:

ა) არ იცვლება: *მოიღა, ამოიტანე, ბოინი, ვათხოილი...*

ბ) განიცდის დიფთონგიზაციას (დისიმილაციას)– კიდევ უფრო ვიწროვდება ვიწრო ხმოვანი – **ოი > ოი: ამოღაღა (< ამო // ვ // იღაღა), ამოღით (< ამო // ვ // იღით)...**

ამ კომპლექსის ასიმილაციის გზით განვითარების შემთხვევა, ისევე, როგორც სხვა აღმოსავლური დიალექტებისთვის, ფერეიდნულისთვისაც უცხოა.

ე+ი:

ა) არ იცვლება: *ქერეიდანის, დავალებინეო, შეიტანითყე, შეიქნას. დღეითლა, ემეით...*

ბ) განიცდის დიფთონგიზაციას (დისიმილაციას) – კიდევ უფრო ვიწროვდება ვიწრო ხმოვანი: *ემეითა, ქერეიდანში...*

ამ კომპლექსის ასიმილაცია, როგორც ეს თუშურს ან აჭარულს ახასიათებს, ფერეიდნულისთვისაც უცხოა.

ე+უ:

ა) არ იცვლება: შეუკეთითყე, შეუშლის, შეუძლია, შეუჭამიაო... ადრეულად, ბრეწეული, გადაწეული, დამტრეული...

ბ) განიცდის დიფთონგიზაციას (დისიმილაციას) – კიდევ უფრო ვიწროვდება ვიწრო ხმოვანი: *დამტრეული // დამტრეული, ბრეწეული, ამდრეული, მოწეული...*

გ) კომპლექსი იცვლება რეგრესული ასიმილაციის გზით: *შოუკეთოს, შოუკარ, შოუნანავ, შოუჭეხეთ, შოუწყერ...*

როგორც ვხედავთ, პრეფიქსულ ხმოვანთა მიმდევრობისას ასიმილიცია ხდება რაგვარობის მიხედვით – ვიწრო, ლაბიალური ხმოვანი იმსგავსებს შუა რიგის პალატალურ ე-ს და ვიღებთ შუა რიგის ლაბიალურ ხმოვანს – ო-ს. ამ პროცესით ფერეიდნული მართლაც უახლოვდება დასავლურ კილოებს.

სუფიქსურ ხმოვანთაგან შედგენილ კომპლექსში კი პროცესი დიფთონგიზაციის გზით მიდის, რაც უცხოა დასავლური კილოებისთვის (შდრ.: იმერ., გურ.: *დანტროული, ბრეწოული...*).

ა+ო: იშვიათი კომპლექსია და არ იცვლება: *მუშაოვს, წავიდაო...*

ა+ე:

აე კომპლექსი გვაქვს როგორც თავკიდურ, ისე ბოლოკიდურ პოზიციაში. ამ კომპლექსის განვითარების გზა დიალექტებში ორსაფეხურიანია: ჯერ ასიმილაციით მიიღება იდენტურხმოვნებიანი ეე კომპლექსი, შემდეგ კი დიალექტთა ერთ ნაწილში დისიმილაციით გრძელდება პროცესი (ეე>იე), ხოლო მეორე ნაწილში – გრძელ ხმოვნად შერწყმით (ეე > ეე).

ფერეიდნულში ა+ე კომპლექსი შეიძლება შეგვხვდეს:

ა) უცვლელი სახით: *გაეწეროვის, აეგრე, აედვენა, აემ, აექ, აღჩაელი, აწმინდაებს...*

ბ) უფრო ხშირად კომპლექსი ვითარდება ასიმილაციის გზით:

აე>იე: *გეეარნა (<გაეარნა), გეეგო (<გაეგო), ამეებს (<ამაეებს), ახალგაზდეები (<ახალგაზდაები)...*

ფერეიდნულმა არ იცის აე კომპლექსიდან მომდინარე ეე > იე პროცესი, როგორც ეს სამცხურ-ჯავახურსა და სხვა სამხრულ კილოებს ახასიათებს [ბერიძე 1994: 28-29], თუმცა ზოგჯერ სუფიქსურ მორფემათა მიჯნაზე შექმნილმა აე > ეე კომპლექსმა შეიძლება განაგრძოს ცვლილება დისიმილაციის გზით, თუმცა ფერეიდნულში

ეს პროცესი საპირისპირო მიმართულებებისა – ვიწროვდება არა წინამავალი ხმოვანი, როგორც ეს, მაგალითად, სამცხურ-ჯავახურშია, არამედ, კომპლექსის მეორე ხმოვანი: **ძმაები > *ძმეები > ძმები, მოლაები > *მოლეები > მოლეები...** (ეს მოვლენა უფრო ბოინ-მიანდაშთის წრის სოფლებში დასტურდება, თუმცა მარტყოფელთა მეტყველებაშიც შეგვხვდრია, განსაკუთრებით წერის დროს⁹⁶).

ო+უ: ეს კომპლექსი ფერეიდნულში გვხვდება როგორც პრეფიქსულ, ისე სუფიქსურ მორფემათა მიჯნაზე: **ამოუშო, გამოუვ ზაენეს, მოუაროს... ახოული, გათხოული, მიჩოული, სასოული, შოულოფს...**

გვაქვს ფონეტიკურად სახეცვლილ ძირეულ მასალაში: **თოული... გამოუა, მოუა, გოუა (<გამოუ // ვ // ა...).**

ხშირია **აუ > ოუ** პროცესის შედეგად მიღებული მეორეული **ოუ** კომპლექსი: გოუვ ზაენის, გოუკეთებს, გოუშებს, დოუძახე...

შეიძლება **ოუ** კომპლექსი წყვილბაგისმიერი **ვ** თანხმოვნის გამარცვლოვნებისა და დიფთონგიზაციის პროცესის შედეგადაც იყოს მიღებული: **მოულენ (< მოჭლენ- < მოვლენ), გ ზაური < მგ ზაური...**

იმის მიხედვით, რა წარმომავლობისაა, ან სიტყვის რომელ სემანტებს ეკუთვნის **ოუ** კომპლექსი, მისი ცვლილების გზაც განსხვავებულია:

პრეფიქსული (**ამო-უ-შო...**) ან პრეფიქსული და ძირეული (**მო-უ-არ-ა**) მორფემების მიჯნაზე შექმნილი **ოუ** კომპლექსი იცვლება ასიმილაციის გზით:

პირველადი ოუ კომპლექსი: **მუუბრუნე, მუუგდე, მუუვ ზაენა, მუუკრავვე, მუუყვანიაყე, მუუშებენ, მუუშერავთ, მუუშირიანყე, მუუშო, მუუცია, მუუციაო, მუუციალა, მუუციაყე, მუუციაყეო, მუუწეროთყე...**

მეორადი ოუ კომპლექსი: **გუუბა (< გოუბა < გაუბა), გუუვ ზაენისყე (< გოუვ-ზაენისყე < გაუვ ზაენისყე), გუუენია, გუუენია, გუუზომაყე, გუუკეთა, გუუწერავს, დუუშებ, დუუხალეებენ, წუუკეცო, წუუკითხა, ჩუუყარო, შუუქნია (< შოუ-კერა < შეუკერა)... ასევე იქნება: შუუკრა, უუკრა და სხვ.**

აგრეთვე გვაქვს პარალელური **ოუ > ოო** პროცესიც, **მეორეული კომპლექსის ცვლილებისას:** **გოოკეთია, გოოლია...**

ასიმილაციას არ განიცდის **ვ**-ს გამარცვლოვნებითა და დიფთონგიზაციის შედეგად მიღებული კომპლექსი: **მოულენ < მოვლენ** ფორმა აღარ შეიცვლება და იქნება პარალელური დადასტურება უფრო ხშირი და ბუნებრივი ნახევარხმოვნისანი (უმარცვლო უ) **მოჭლენ** ფორმის გვერდით.

სიტყვის ბოლოკიდურ სემანტში, სუფიქსურ მორფემათა მიჯნაზე დადასტურებული **ოუ** კომპლექსი საკმაოდ იშვიათია და ძირითადად **-ოვ** სუფიქსიან ზმნათაგან (ეს **-ოვ**, ძირითადად მეორეულია ხოლმე) ნაწარმოებ მიმღებებში გვხვდება: **დაჩოული (ჩვევა – აჩვევს > აჩოვს)...**

ამ ფორმებში **ოუ** კომპლექსში ასიმილაცია გამორიცხულია – ის ან უცვლელად არის წარმოდგენილი, ან გვაძლევს პარალელურ ვარიანტს: **გათხოული // გათხოვილი.**

96. მაგ. ფეისბუკის პუბლიკაციაში: მეგობრები, ძმები...

ასეთი ფორმები კორპუსში ცოტაა. მცირეა ამ წარმოების ზმნათა რიცხვიც, ზოგადად ამიტომ ვარიაციულობა **-ოულ // ოვილ** მხოლოდ **თხოვ-** ძირის შემცველ მიმღებებში დავადასტურეთ.

შიდადიფერენციაციული განსხვავება არ აღინიშნება.

მაშ, **ოუ** კომპლექსი „აკრძალულია“ ფერეიდნულში და ის იცვლება ასიმილაციის გზით მხოლოდ თავკიდურ პოზიციაში და მხოლოდ ხმოვანპრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე. ძირეული (მოულენ) ან სუფიქსური (მიმღეობის) მორფემის ფარგლებში ასიმილაცია აღარ ხდება.

B რიგის (ვიწრო + ფართო) კომპლექსების ცვლილება ფერეიდნულში

ეს არის კომპლექსები, რომელშიც ვიწრო წარმოების ხმოვანს მოსდევს ფართო. როგორც წესი, ეს კომპლექსები რეგრესული დისიმილაციის გზით იცვლება – წინამავალი ხმოვანი კიდევ უფრო ვიწროვდება:

ო+ა:

პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე ხმოვანთა ეს მიმდევრობა შეიძლება შეიქმნას **მო-** ზმნისწინისა და მისგან ნაწარმოები რთული ზმნისწინებისა და ზმნური **ა-** პრეფიქსის შეხვედრისას (იშვიათად **ა-** ფუძისეულიც შეიძლება იყოს, ხოლო **მო-** სხვა რომელიმე მაწარმოებელი აფიქსი: *მოარული, მოარსი, მოახლო...* თუმცა ასეთი ფორმები იშვიათია და დიალექტებში, მით უფრო, ფერეიდნულში თითქმის არ გვხვდება).

პირველადი ოა კომპლექსი პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე შედარებით იშვიათია და საფიქრებელია, რომ ისიც, რაც არის, სალიტერატურო ენის გავლენით გაჩენილი ინოვაციაა: *გამოაღიძა (< გამოაღვიძა), გომოაბა (გამოაბა), მოაღულონ (მოაღულონ)...* **ოა** კომპლექსი პირველადი სახით შეიძლება შეგვხვდეს ზმნისწინისეული ხმოვნისა და **ა-** მაქცევრის უშუალო შეხვედრისას, ეს კი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა მათ შორის პირის ნიშანი არ იქნება წარმოდგენილი, ანუ – მეორე ან მესამე პირებში. ამგვარი კომპლექსის შექმნა ფერეიდნულში ბუნებრივად შეუძლებელია, რადგან მეორე და მესამე პირებში, ისევე, როგორც კახურ დიალექტში [ჯორბენაძე, 1989: 326; გოგოლაშვილი და სხვ., 2016: 248] ბუნებრივია **მა-** ზმნისწინის გამოყენება და არა **მო-სი:** *გამააღიძა, მააბამს, მააღულებს, მააკრავს, მააკეთოს, მააღავენ...*

ფერეიდნულში **მეორეული ოა კომპლექსი** სიტყვის თავკიდურად მხოლოდ სუბიექტური წყობის ზმნის პირველ პირში შეიძლება შეგვხვდეს, როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში: *ამოაციითყე, გადმოაკრით, გამოავღეფ, გამოავო, გამოათიბეთ...*

შეიძლება **მეორეული კომპლექსი** პრეფიქსული და ფუძისეული ხმოვნითაც შეიქმნას მას შემდეგ, რაც ასევე ფუძისეული **ვ** ამოვარდება. ასეთი ფუძეები ცოტაა – **ვარდ- (ვარდნა), ვალ // ვედ:** *გადმოარდა, გადმოა, მოა...*

ოა კომპლექსი, რომელიც ხმოვანთა შორის თანხმოვნის ამოვარდნის შედეგადაა მიღებული, ამ საფეხურზე ხშირად არ ჩერდება და დისიმილაციის გზით იცვლება: **ოა > უა.**

მეორეული **ოა** კომპლექსი (**ოა < ოვა**) პარალელურად გვხვდება დისიმილირებული ვარიანტთან (**უა < ოა**) ერთად მხოლოდითისა და მრავლობითის პირველი პირის ფორმებში:

ოა	უა
ამოცითყე	შამუაცომთ
გადმოკართ	მუაკრავთ
გამოგდეფ	გადმუაგდებთ
გამოა	გამუა
მოადლეებთ	მუადლეით
შამოლაგებთ	შამუალაგიტყე
მოაქცევთ	მუაქცივიტყე...

პარალელური **ოა** // **უა** ვარიანტები სიტყვის თავკიდურ პოზიციაში გვხვდება მთელ დიალექტში.

ენახოთ ზოგიერთი კონტექსტი:

ამოცითყე (1 კონტექსტი):

ამ სომხებთან ოზონი რო ღავჩი, მიველით, ეს თოფები გადმოიღეთ და ემ ვირებს **ამოცითყე**, გადავაციოთყე კისერზევა, რო არ შააცივდესყე.

შამუაცომთ (5 კონტექსტი):

ზედაც მალაქასლა **შამუაცომთლა** და ზედაც ერთ ფარხას **შამუაცომთ**, შაქნების დოშაქი.

გამოგდეფ (1 კონტექსტი): ავღებები, ცხორს გავრეკავ და ეხლას მოალ ჳბოს **გამოგდეფ**.

გადმუაგდებთ (1 კონტექსტი):

რო ენახავთ, ეს ბოსკატანი შაქნილა, გაწურილია ნამა, **გადმუაგდებთ** ემ ბოსკატანს ქობჩი.

გამოა (20 კონტექსტი):

წყარო, წყალი რო **გამოა**, პირველას წყაროს. ახლო წყაროსთან წყალი **გამოა** და ჯგებების ელას პირზე, რო მორწყონ, ამას ეტყვიან სათავე.

გამუა (26 კონტექსტი):

ერთ ორ-სამ წიმა **მოა** და **გამუა** ჰავა.

სიტყვის ბოლოკიდურად **ოა** კომპლექსი თეორიულად შეიძლება შეიქმნას:

ა) **-ოგ** სუფქსიან ზმნათა ნამყო ძირითადში მხ. რ. III სუბიექტური პირის ნიშნის დართვისას, **ვ-ს** ამოვარდნის შემდეგ: **გაათხოვა – გაათხოა, მოქსოვა – მოქსოა, მოავროვა – მოავროა, აძოვა – აძოა, იშოვა – იშოა, დატოვა – დატოა, აატროვა – აატროა, იგლოვა – იგლოა, მოწოვა – მოწოა, იპოვა – იპოა** და სხვ.

კორპუსის მასალების მიხედვით ფერეიდნულში ამ სიტყვებიდან დასტურდება **თხოვ, ტოვ, შოვ, გროვ, ქსოვ, ძოვ, პოვ** ძირის შემცველი სიტყვები.

უმეტესად ეს ძირები სრული სახითაა წარმოდგენილი დიალექტში – ვ თანხმოვანი შენარჩუნებულია:

გათხოვაყე, დატოვა, იშოვნალა, დაგროვა, ქსოვა, იპოვნა, მამძოვა...

თუმცა გვაქვს: *ითხრა // ითხუა, აძრა // აძუა, ქსრა // ქსუა:*

ითხრა:

ჩემ ადამ წადა, ერთი დედაკაცი ითხრა, ეს ორ ძმა დოგუარდა ჩონა, გუხაროდა.

გათხუა:

ჩემ დედამა და თა ანს ყორი ქე ნავა იყოს, გაზარდა და ადა თხუთმეტის წლისა შაიქნა და გაათხუა და მე ლეჯაჯათობას ვიქმოდი.

ბ). -ო ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთაგან ნაწარმოებ ნასახელარ ზმნათა ნამყო ძირითადში III პირში:

ჯადო – მოაჯადოა, საზრდო – ასაზრდოა, ფართო – გააფართოა, უთო – დააუთოა, ახლო – დაახლოა, უშნო – დააუშნოა, დრო – იდროა, ვიწრო – დაავიწროა, მარტო – დაიმარტოა, უცხო – ეუცხოა, თითო – დაათითოა... ან იმავე ფუძეებზე სხვა, ა ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვისას: დანატარი, ნათხარი...

ფერეიდნულში ამათგან სუფიქსური მაწარმოებლებით შეგვხვდა ორი სიტყვა: **ახლო და დრო.**

ახლო – ახლოები // ახლოები

(ზმნურ ძირებში ვ თანხმოვანი უმეტესად შერჩენილი აქვს: **ახლო – დაახლოვა**).

იდროვა // იდროა.

როგორც ვხედავთ, **ოა** კომპლექსი ან უცვლელად გვაქვს წარმოდგენილი ფერეიდნულში, ან დისიმილაციის პროცესის შედეგად ის **უა-ს** გვაძლევს. ორივე საფეხური ერთმანეთის გვერდით არის წარმოდგენილი და პარალელურად დასტურდება ზოგჯერ ერთი მთქმელის მეტყველებაშიც კი:

ამუაზე ზეურებს, ამუარდნილა, ამუარდების, ჩამუალთ... ამოარდნილა, ამოაციოთ, გამოაკრით... (მუხტარ ასლანი, მარტყოფი).

ოა // უა კომპლექსის პარალელურად გამოყენება დასაშვებია ფერეიდნულისთვის.

აღნიშნულია, რომ **ოა** კომპლექსის დისიმილაციის გზით ცვლილება და **უა** კომპლექსში გადასვლა დამახასიათებელია თითქმის ყველა ქართული დიალექტისთვის: „ამ კომპლექსის სახეცვალების პირველი საფეხური **უა** საერთოა აღმოსავლურ-დასავლური კილოებისათვის, იმ განსხვავებით, რომ აღმოსავლურში უმთავრესად სიტყვის ბოლოში ხდება ეს, დასავლურში – უმთავრესად პრევერბებში. ივარუდება ამ ტიპის ნიმუშები: *მუახერხოს, მუაწია, გამუალვიძა, გამუარდება... გიგუა, ბერუა, სანდრუა, შაქრუა*“ [ძიძიგური, 1946: 15-26].

როგორც ვნახეთ, ფერეიდნულში (იხევე, როგორც სხვა დიალექტებში, მაგ. სამცხურ-ჯავახურში), პროცესი **ოა > უა** გვხვდება როგორც სიტყვის თავკიდურად, ისე ბოლოშიც. უბრალოდ, ბოლოკიდური **ოა** სულ რამდენიმე სიტყვაში შეიძლება დადასტურდეს.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ოა** კომპლექსის განვითარების ასეთი გზაც არის განხილული: *მაწივეს < მუაწივეს < მოაწივეს < მოაწვივეს* [უთურგაიძე და სხვ., 1981: 149].

ვფიქრობთ, ცვლილების ამგვარი ახსნა, სადავოა ორი მიზეზით:

1. სავარაუდოდ, ეს ფორმა **მა-** ზმნისწინით, უფრო კი უზმნისწინოდ იყო მოსალოდნელი: **(მა)აწივეს:**

შდრ.:

აწივა:

ერთ დღესღა მოდა ის თავის მამალა აწივაყე, მამა აწივა და იმ მამამ რო მოიდა, თქო, რო: ეს ეგეთ სახლი და ეს ეგეთ ზენდეგანი მისიაო.

აწივიყე:

უნდოღისყე ხილი ჩაგიყარო, რო **აწივიყე**, მოხიდიყე, ეხლა დაიწყვისყე ქორწილი.

ასევეა: **აწივიანყე, აწივიანყელა, გოწივეს...**

2. თუ მაინც დავუშვებთ მო- ზმნისწინს, ცვლილება ასე უნდა წარმართულიყო: **მოაწივეს > მუაწივეს**. შემდეგი დიფთონგიზაციისთვის მ- თანხმოვნის მეზობლობა არახელსაყრელ პირობას ქმნის და პროცესი აქ უნდა გაჩერებულიყო. მჭ მიმდევრობა დაუშვებელია ქართული ენის ფონემატური სტრუქტურისათვის.

შესაბამისად, ავტორების ანალიზი მთლად ზუსტი არ უნდა იყოს. მათ ეს ერთადერთი მაგალითი მოაქვთ **ოა>ჟა >ა** პროცესის საილუსტრაციოდ.

უ+ა :

პირველადი **უა** კომპლექსი იშვიათია ქართულში.

ფერეიდნულში ასეთი კომპლექსები ძირითადად უცვლელი რჩება: კუკუა (კოკორი), რუა // რუვა (რვა), ქუა // ქუვა (ქვა), წილუა, ქარქუა, ხმეკუა...

მეორეულ **უა** კომპლექსზე ზემოთ იყო საუბარი და ისიც, როგორც წესი, აღარ განიცდის შემდგომ ცვლილებას.

უ+ე: პირველადი **უე** კომპლექსი იშვიათია ქართულში (*უენო, უებარი, უერთეულა....*).

ფერეიდნულში **უე** შეიძლება **ოე** კომპლექსის დისიმილაციით მეორეულად იყოს მიღებული და ის აღარ იცვლება (*ვაძოე > ვაძუე*).

ასევე უცვლელია პირველადი **უე:** *გატყუეფს*.

ე+ა: ეა კომპლექსი სიტყვის თავში ნაკლებად შეიძლება შეგვხვდეს, რადგან ფერეიდნულში **შე-** ზმნისწინი **შა-** სახითაა წარმოდგენილი, ეა კომბინაციის წარმოქმნის რეალური სიტუაცია აღარ წარმოიშვება სიტყვის თავში. სიტყვის ბოლოს ის შეიძლება სუფიქსური **ე-სა** და მეშველი ზმნის ან ჩაკითხვის ნაწილაკის შეხვედრისას წარმოიქმნას. ყველა ასეთ შემთხვევაში ეა კომპლექსი უცვლელია: *დოკარგავეა, ამყოლობაზეა*.

ი+ე: პირველადი **იე** კომპლექსი **მი-** ზმნისწინისა და **ე-** ზმნური პრეფიქსის შეხვედრის მიჯნაზე იქმნება. ასეთ შემთხვევებში ის ყოველთვის უცვლელია: *მიე, მიევო, მიეკრავე, მიელი, მიეპარა, მიეტანა, მიეყვანაყე, მიეყუდესღა, მიეშელნეს, მიეჩვია, მიეცა*.

სუფიქსურ მორფემათა მიჯნაზე ფერეიდნულში **იე** კომპლექსი წარმოიქმნება მრავლობითის ფორმებში: *ათაროღიები, ასლანიები, ასლანიებია, აღადიები*,

ახალზღიებიც, ახჩიები, ატყანიები, ბააზიები, ბადიები, ბაზარიები, ბაზიები, ბარათიები, ბაჯიები, გორჯიები, გურჯიები, დახოცილიები, დედაკაციები, დედიები, დიები, ებრიებიც, ვარიები, ვახტიებიღა, თაჩიები, თაჩიებითა, იბრიებია, ინჟინერიები, ისტორიები, ილღიები, კაიები, ლოფტიებია, ლოხტიები, მასილიებია, მასიპიები, მაღაზიების, მელამინიებია, მოლოლიები, მოლოლიებია, მოლოლიებო, ნამაიებია, ონიქაზიებიანი, პაპიები, რაფიები, საფარიები, სომხიები, ქაოლიები, ყანიებია, ყორბანიებია, ჩაიები, ძიები, წყალიებიღა, ჭიები, ხალიები, ხუციებიც, ჯანიები, ჯოზამიებია, ჰაზიარჯიები, ჰაჯიები, ჰინღიები, ძალიები, ძალიებისათი, ფარსიებია...

ამ ფორმებში იე კომპლექსი ხან ფუძისეული ხმოვნისა და -ებ სუფიქსის კომბინაციითაა მიღებული (**ბადია // ბადიები...**), ხან კი (უმეტესად) – მთლიანად **-იებ** სუფიქსის კუთვნილებაა (ამაზე სათანადო ადგილას გვაქნება მსჯელობა).

იე > ეე >; აე > ეე > იე, ეე > იე პროცესების შედეგად მიღებული მეორეული **-იე** კომპლექსი ფერეიდნულში არ გვხვდება. ასეთი მეორეული მიმდევრობა შეიძლება წარმოიქმნას **-ეე** სუფიქსიან ფუძედრეკად ზმნათა ნამყო ძირითადის ფუძეზე **-ე** მწკრივის ნიშნის დართვისას, როცა რელუცირებული ფუძიდან **ვ** თანხმოვანია ამოღებული: *აძლიე, ადწიე, გაირიე, გოორიე, დალიე, დასწიე, დოოხვიე, მაპატიე, მევეჩვიე, მონელიე, სარაიე, უთიე, ჩასწიე...*

იე კომპლექსი გვაქვს აგრეთვე:

- სალიტერატურო ენის გავლენით გაჩენილ, „შემოკლებულ“ ფორმაში: *წესიე* (წესიერი);
- **მისცემს** ზმნის აორისტის (*//* ბრძანებითის) მეორე პირის მოკლე ფორმაში: **მიე**;
- უცხო ენიდან ამავე ფორმით შემოსულ სიტყვებში: *ჯაპაზიე, ჰეჯრიე, გურჯიე, კონფერანსიე...*

ზმნურ მორფემათა მიჯნაზე წარმოქმნილი **იე** კომპლექსები სიტყვის არც თავკიდურ და არც ბოლოკიდურ სეგმენტში მეტად აღარ იცვლება – არ დასტურდება ამ ტიპის ფორმებში დიფთონგიზაციის შემთხვევები.

გვაქვს ვარიაციულობა **-ეე** სუფიქსიან ზმნებში: აღნიშნულ ფორმათა პარალელურად ფერეიდნულში დასტურდება და გამოყენების თვალსაზრისით უპირატესი პოზიცია აქვს რელუცირებულ ფორმებს, რომლებსაც **ვ** თანხმოვანი შენარჩუნებული აქვთ: *ავატკივე, ავამძლივე, ავაქსივეთ, ავაქცივეთ, ავწივე, ავხივე, აპატივებენ, გაათრივე, გაარჩივეს, გააქცივესყე, გავილივეო, გაირივეთ, გახივე, გადმტრივე, გიტკივებ, დვარკივე, დვლივე, დადწივე, დოგომტრივეს, დოოკლივეს, დოოქნივეს, ვაპატივეთყე, ვაწივეთ, მამდივეო, მევერივე, მღრივე...*

რაც შეეხება სახელურ სუფიქსებსა და უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებს, აქ **იე კომპლექსი** განიცდის ცვლილებას დისიმილაციის გზით: **იე > იე**: *აბასეები, ანვარეები, ბანტიარეებია, გურჯეებმაც, დამფაეები, ნამაეებია, პაპეები, სახლეები, სახლეებია, სომხეები, სომხეებმა, ქამარეები... რაჰნომაეებზე, სანვარეები, ნაეებ-ელ-ჰუქუმა...*

ი+ო: იო კომპლექსი ქართულ სიტყვებში, პირველადი და მეორეულიც (*ვთქიო, ავილიო... დავამძლიო // დავამძლივო, ავრიო // ავრივო*), მდგრადია და აღარ იცვლება. სულ ორიოდე მაგალითი შეგვხვდა დიფთონგიზებული სახით და ისიც, ძირითადად, შემოსულ სიტყვებში: *ნამაჲო, ნამაჲობა, რაჲონი, ონჯა, ონჯას, ონჯებს, ორეში (=იერიში)*.

ი+ა:

ია კომპლექსი უცვლელი სახით გვაქვს თანხმოვანთა შემდგომ: *ღიაღ, ბიაბანი, დააბიან, ჭია, ბიჭია, ჰქიან...*

ია კომპლექსი იცვლება დისიმილაციის გზით (ი ვიწროვდება) ხმოვნების შემდგომ ან სიტყვის დასაწყისში: *მაჲარა // მაიარა, აჲფად...*

უ+ო: კომპლექსი, პირველადი და მეორეულიც დასაშვები კომპლექსია ფერეიდნულში და ის, როგორც წესი, შემდგომ ცვლილებას აღარ განიცდის: *ყოღაო, ტყოღენ, მიაჲო, დავატყოთ...*

C რიგის (თანაბარი ღიაობის ხმოვნების) კომპლექსების ცვლილება ფერეიდნულში:

C რიგის კომპლექსებში ორი ჯგუფი გამოიყოფა:

- თანაბარი ღიაობის არაიდენტური ხმოვნებისგან შედგენილი კომპლექსები:

ოე, ეო, უი, იუ

- იდენტურხმოვნიანი კომპლექსები: *აა, ოო, ეე, იი, უუ*

C რიგის არაიდენტურხმოვნიანი კომპლექსებიდან ცვლილებას განიცდის **ოე და იუ** კომპლექსები (იშვიათად – **ეო**).

ოე კომპლექსი იცვლება:

ა) სრული რეგრესული ასიმილაციის გზით – ე ხმოვანი იმსგავსებს წინამავალ **ო** ხმოვანს არალაბიალობის (პალატალურობის) ნიშნით. ვიღებთ C რიგის იდენტურხმოვნიან კომპლექსს: **ოე > ეე**;

ბ) დისიმილაციის გზით – წინამავალი ლაბიალური ხმოვანი ვიწროვდება, ვიღებთ არათანაბარი ღიაობის (B რიგის) კომპლექსს: **ოე > უე**.

ოე კომპლექსის განვითარების ეს ორივე გზა აღწერილია სამეცნიერო ლიტერატურაში და მიჩნეულია, რომ ასიმილაციის გზა დასავლური კილოებისთვისაა დამახასიათებელი, დისიმილაციისა – აღმოსავლურისთვის [ძიძიგური 1946]. კომპლექსის განვითარების ამ ორი გზის არსებობა ასე ახსნილი: „ეტყობა **ო** და **ე** ხმოვნებს შორის ღიაობის მხრივ დიალექტურად განსხვავებაა. დასავლურ კილოებში **ე** ვიწროა **ო-სთან** შედარებით, აღმოსავლურში კი **ო** ვიწროა **ე** – ზე“ [ძიძიგური 1946].

ამ მოსაზრების გაზიარებას რამდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორი ახლავს:

თუ **ე-სა** და **ო-ს** განსხვავებული ღიაობით არტიკულაციას დავუშვებთ დასავლურ და აღმოსავლურ კილოებში, მაშინ ამ ხმოვანთა შემცველი კომპლექსების (**ეო** და **ოე**) განვითარების გზა მკაცრად და ცალსახად უნდა იყოს გამიჯნული ამ დიალექტებში.

ეო ზოგადად იშვიათი კომბინაციაა ქართულში და მის დიალექტებშიც, მაგრამ მისი ცვლილების ვარიაციულობა არ გვიჩვენებს ასეთ დიალექტურ საზღვარს – დასავლური კილოებისთვის ერთნაირად დამახასიათებელია, მაგალითად, მისი როგორც ასიმი-

ლაციის, ისე დისიმილაციის გზით განვითარება: მეორე > მოორე // მორე, მეორე > მიორე [ბერიძე, 1994: 34-41]. კომპლექსის ასიმილაციის გზით განვითარება თითქოს შეუძლებელი უნდა იყოს ამ დიალექტებში, რადგან, როგორც შ. ძიძიგური აღნიშნავს, დასავლურ დიალექტებში „ე ვიწროა **ო-ზე**“. თუმცა, როგორც ვნახეთ, ეს ასე არ არის.

სხენებული **მოორე // მიორე** პარალელური ფორმების არსებობა ერთი დიალექტური წრის (გურული, იმერული...) გვაფიქრებინებს, რომ **ო-ს** სხვადასხვა დიალექტით (აწეულობით) რეალიზაცია არ არის დამოკიდებული დიალექტურ საზღვრებზე და ამ ხმოვნის ეს შედარებითი არტიკულაციური „თავისუფლება“ ყველა ქართული დიალექტისთვის საერთო ნიშანია. ამით ქართული დიალექტები გვერდით უდგანან სალიტერატურო ქართულს, რომლის ხმოვანთა სისტემის დახასიათებისას აღნიშნულია, რომ „[ო]-ს აწეულობა ქართულში შესაძლებელია მერყეობდეს საშუალოსა და დაბალს შორის, რადგან ლინგვალური თავისუფლების დროს [ო] არასოდეს არ აირევა [ა ე] ხმოვნებში, რომელთაც ლაბიალურობა არ ახასიათებთ“ [უთურგაძე 1986: 44].

ამ „თავისუფლების“ გამო **მეორე** ფორმის ცვლილების პარალელური გზა დაუშვა დიალექტთა ერთმა წრემ (გურული, იმერული), სხვა დიალექტებმა არჩევანი გააკეთეს ცვლილების სხვა მიმართულების სასარგებლოდ.

დღეს ქართული დიალექტები ამ ფორმის (მეორე) (და შესაბამისად, ეო კომპლექსის) ცვლილების ასეთ ვარიანტებს გვთავაზობენ:

- ეო უცვლელია: **მეორე**
- ეო იცვლება ლაბიალური ასიმილაციის გზით: **მოორე**
- ეო იცვლება არალაბიალური // პალატალური ასიმილაციის გზით: **მეერე**
- ეო იცვლება არალაბიალური ასიმილაციისა და მეორე საფეხურზე – დისიმილაციის გზით: **მიერე**
- ეო იცვლება დელაბიალიზაციის (ო ხმოვნის დაშლის) გზით: **მევერე**.

მიუხედავად იმისა, რომ ეო იშვიათი კომპლექსია და რეგულარულად თითქმის მხოლოდ ამ სიტყვაში გვხვდება, მისი ცვლილების თავისებურების მადიფერენცირებელი ძალა საკმაოდ მნიშვნელოვანია და დიალექტური ვარიაციულობის ერთ-ერთი მკაფიოდ გამოხატული ნიშანია.

ცხრილი აჩვენებს, თუ როგორ აისახა ეს მოვლენა ქართული დიალექტების კორპუსში:

დიალექტი	უცვ: მეორე	დისიმილაცია: მიორე	ლაბ. ასიმილაც: მოორე	მოორე > მორე	არალაბ. ასიმილაც: მეერე	მეორ. დისიმილაც: მიერე	დელაბიალიზაცია: მევერე
ფერეიდნული	+ (108)	-	+(1)	-	+(10)	-	-
სამცხ.ჯავახ.	+(165)		+(1)	-			+(7)
გურ.	+(50)	+(100-მდე)	+(50)	+(14)	-	-	-
იმერ.	+(73)	+(2)	+(30)	+(56)	-	-	-

რაჭ.	+ (200)	+ (1)	+ (45)	+ (16)	-	-	-
ლენხ.	+ (28)	-	-	+ (3)	-	-	-
აჭარ.	+ (41)	+ (15)	-	+ (1)	+ (1)	+ (12)	+ (1)
ჩვენებ.	+ (50-მდე)	+ (40-მდე)	-	-	-	+ (80-ზე მეტი)	+ (1)
ინგილ.	+ (182)	-	+ (3)	+ (1)	-	+ (3)	-
კახ.	+ (600-ზე მეტი)	-	-	-	-	-	-
ქართლ.	+ (300-ზე მეტი)	-	+ (3)	+ (1)	-	-	-
მთიულ. გუდ.	+ (210-ზე მეტი)	-	-	-	-	-	-
ფშაური	+ 90	-	-	-	-	-	-
თუშური	+ (250-ზე მეტი)	+ (15)	-	-	-	-	-
მონეური	+ (38)	-	-	-	-	-	-
ხევს.	+ (40-ზე მეტი)	-	-	-	-	-	-
ქუთაისელი ებრაელები	+ (34)	-	-	-	-	-	-

როგორც ვხედავთ, დიალექტების ნაწილი გურულისა და იმერულის მსგავსად ეო კომპლექსის ორ ან რამდენიმე პარალელურ ვარიანტს უშვებს, ნაწილში კი ერთადერთი – უცვლელი ვარიანტია მხოლოდ წარმოდგენილი.

მთავარი კი ისაა, რომ ასიმილაციისა და დისიმილაციის „არჩევანი“ დიალექტებში ო ხმოვნის განსხვავებული არტიკულაციური ბუნებით კი არ არის გამოწვეული, არამედ დიალექტის მიერ კომპლექსის სხვადასხვა ვარიანტის არჩევანითა და უნიფიკაციის ტენდენციით. წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, რომ ეო კომპლექსის უცვლელი ფორმა ფაქტობრივად, დაშვებულია ყველა დიალექტში, თუმცა მისი უნიფიციების ხარისხი განსხვავებულია. მთის კილოებში (თუშურის გარდა) და კახურში გაბატონებულია ფორმა „მეორე“.

რაც შეეხება სხვა დიალექტებს, აქ სხვადასხვა ტიპის ვარიაციულობა გვაქვს და ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ „ო-ს ლინგვალური თავისუფლება“ კომპლექსის „თავისუფალი“ ცვლილების ცოცხალ პროცესებს აძლევს ბიძგს ამ დიალექტებში.

ფერეიდნული ამ დიასისტემურ მრავალფეროვნებას სამი ფორმით „უერთდება“:

მეორე:

თუ ორთა უკრავყე ტყივა, ცაველის რო მაჰხდომია, იმის მოკლული დეერქმის, მეორე კისრის ვორც ს წაილებს (1922 წ. ⁹⁷).

მეორე დღეს ახანძალს სადილსღა რო შადშჳამენ, ახანძალს წაიყვანენღა ნე-ფენტას (2012 წ.).

97. ფრჩხილებში ტექსტის ჩაწერის წელია მითითებული.

მეორე დღესლა ვნახეთ და, ხანუმმა ცხენზე შაჯგავა და ადგა (1998 წ.).

მოორე:

მოორეც წელს თაზად ქარელითაჰსილი შაქნულა, ქე აღან წელს უნდა წადღეს თარბიათ – მოალემობაზე მოღირი შაიქნეს რუსთებში, ხალლის ყმაწილებს დარსი მისცესყე რაჰნომადებზე (1998 წ.).

მეერე:

რო *მეერე*, მესამე დღეს შეგატყობინეო (1972 წ.).

ადგებიან და მოვლენ, მოვლენ და *მეერე* დღეს, ემ დროს რადლა რო ღამით იუბნიანყე (1972 წ.).

მეერე დღესაცა წავლენ და ემას აღდბორნობას ეძახიან, ემას, იმის აღდს (1972 წ.).

აველა დღეს ემ ხარჯს წაილებენ ყორიანთას, *მეერე* დღესაც ინას წაილებენ და იმ *მეერე* დღეს სადილზე ხალლი, აი თავის ბიძას ბიჭები (1972 წ.).

მეერე წელსა ერთი ასუნდი მოიდა, რო დოვლათის ჯარასაყე იყო და იმაშინ მადრესა გაისხნა (1972 წ.).

სამში ქალასნი ერთი ოთაღრი ვიყენენით და *მეერე* ქალასნი კი – სხო ოთაღრი. *მეერე* წელსაცა ილ იგრე ის ერთ მოღირი იყო და მესამე წელსაც ილ ის ერთ მოღირი იყო (1972 წ.).

ისენიც *მეერე* დღეს ადგებიან და, მინაც რო იმათზე იფო დიღია, ხუთი და ოთხი და ათი შამეყერებიან, დაქუჩდებიან და, მინაც რო სუყელაზე დიღია, წავლენ იმის სახლრი.

ხევი, მეტობა ხევი რო ბაიტა არი, მოძოვნასათი, ძოვნა რო ერთ თე, ორ თეს გაზაფხულზე არ გოლოშებდეს პირიტყმა წაიღეს *მეერე* დღესა, იმას ვიტყოლით დიდ ჩივანი და ბაიტა ჩივანი (2012 წ.).

მაშ, ქღკ-ს მონაცემებით ფერეიდნული ასეთ ვითარებას გვიჩვენებს:

- უცვლელი რჩება: მეორე – 108 კონტექსტი (ქღკ, 02.09.2019 წ.)
- იცვლება არალაბიალური (პალატალური) ასიმილაციის გზით: მეორე > მეერე – 10 კონტექსტი (ქღკ, 02.09.2019 წ.)
- იცვლება ლაბიალური ასიმილაციის გზით: მოორე – 1 კონტექსტი (ქღკ, 02.09.2019 წ.)

ასე რომ შესაძლო 7 ვარიანტიდან ფერეიდნულში სამია რეალიზებული:

1. მეორე
2. მეორე > მოორე > მორე
3. მოორე > მორე
4. მეორე > მიორე
5. მეორე > მეერე > მიერე
6. მეერე > მიერე
7. მეორე > მევერე

როგორც ვხედავთ, ფერეიდნული ეო კომპლექსის ცვლილების „აღმოსავლურ“ ვარიანტს – დისიმილაციის გზას კი არ ირჩევს, არამედ ასიმილაციის ორივე შესაძ-

ლებლობას იყენებს – როგორც ლაბიალური, ისე არალაბიალური ასიმილაციისას და დისიმილაციის საერთოდ უკლის გვერდს. სხვა დიალექტების განსხვავებულ ვარიანტებს წარმოადგენენ, თუმცა, როგორც ვნახეთ, ე.წ. „დასავლურ“ და „აღმოსავლურ“ ტენდენციებს არ ცნობენ და ვარიანტების საკუთარ „რანჟირებას“ გვთავაზობენ.

სავარაუდოდ, ეო კომპლექსის გამოვლენის შესაძლებლობა რომ უფრო ხშირი იყოს მორფემათა მიჯნაზე, მისი განვითარების გზები სწორედ ასევე განაწილებოდა დიალექტებში, ახლა კი ამ ერთი სიტყვის და მისგან ნაწარმოები ფორმების ანალიზით უნდა დაკმაყოფილდეთ.⁹⁸

რაც შეეხება ოე კომპლექსს, რომლის აღწერითაც დავიწყეთ მსჯელობა: ფერეიდნულის ვითარება კატეგორიულად უარყოფს მოსაზრებას დასავლურ და აღმოსავლურ დიალექტებში სხვადასხვა დიაოზის ო-ს არსებობაზე. ის ამ მხრივ გვერდში უდგას სამცხურ-ჯავახურს, რომელიც აგრეთვე „უშვებს“ ოე კომპლექსის როგორც ასიმილაციის (ოე > ეე), ისე დისიმილაციის (ოე > უე) გზით ცვლილებას [ბერიძე, 1994:28] ო-ს შედარებითი არტიკულაციური „თავისუფლებით“ მართლდება ერთი და იმავე კომპლექსის დაშლის ორი სხვადასხვა გზის არსებობა ერთსა და იმავე დიალექტში.

სხვაობა, რომელიც გვაქვს ოე კომპლექსის ცვლილებიას დასავლურ და აღმოსავლურ დიალექტებს შორის, არ უნდა იყოს იმის შედეგი, რომ დასავლურში ო ყოველთვის დაბალი აწეულობისაა, აღმოსავლურში კი საშუალოსი. მთავარი უნდა იყოს მრავალფეროვნების თავიდან აცილება და ბოლომდე ერთი სისტემის გატარებისკენ სწრაფვა. ო-ს საშუალო და დაბალი აწეულობით რეალიზაციის შესაძლებლობა დასაშვებს ხდის C რიგის არაიდენტურხმოვნიან კომპლექსების ცვლილებას როგორც A, ისე B რიგის კომპლექსებისთვის დამახასიათებელი გზით. სიჭრელის ასაცილებლად ხდება „არჩევანი“, ერთი რომელიმე (ან რამდენიმე) გზის განზოგადება. როგორც ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში ვნახეთ, მთის დიალექტების უმრავლესობამ და კახურმა მკაცრი უნიფიცირება შეძლო „მეორე“ და მისგან ნაწარმოები ფორმების შემთხვევაში. სხვა დიალექტებმა კი, არჩევანის ვარიაციულობაც ცოცხალ პროცესად შეინარჩუნეს. ის რომ ფერეიდნული ოე კომპლექსის განვითარების ორივე გზას წარმოგვიდგენს, წესიდან გადახვევა კი არ არის, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, არამედ აჩვენებს, რომ ის ქართული დიასისტემის ორგანული ნაწილია და მის შინაგან კანონზომიერებებს ჯერაც მკვიდრად ინარჩუნებს.

ზოგჯერ „არჩევანი“ იმისა, ასიმილაციის გზით წარიმართება პროცესი თუ დისიმილაციის, არ არის თავისუფალი და ფონემატური სტრუქტურის მოთხოვნით არის შეპირობებული.

98. ეო კომპლექსის მხოლოდ აფიქსურ მორფემათა მიჯნაზე შექმნის შესაძლებლობა არ არსებობს. ის შეიძლება შეგვხვდეს სიტყვაწარმოებითი მე-პრეფიქსისისა და ძირეული ო-ს შეხვედრისას: მეორე, მეორმოცე, მეოცე... მეომარი, მეოცნებე... ძირეული კომპონენტის ცვლილება კი ზოგადად არის შეზღუდული [უთურგაიძე და სხვ. 1981:148] ქართულ ენაში და მხოლოდ იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს. მაგ. საექიმო > სეექიმო, გაერთიანდა > გეერთიანდა (სამცხ.ჯავახ.) [ბერიძე 1994: 28].

მაგალითად, სამცხურ-ჯავახურში აშკარად გამოხატულია ტენდენცია: ასიმილაციის გზით უმთავრესად იცვლება პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე წარმოქმნილი ოე კომპლექსი, დისიმილაციის გზით – სუფიქსურ მიჯნაზე: *მოეტანა > მეეტანა > მიეტანა* (დასტურდება ცვლილების ორივე საფეხური) და *გავათხო(ვ)ე > გავათხოხუე > გავათხოვიე* (დისიმილაცია და დელაბიალიზაციის გზით „დაშლა“) [ბერიძე 1994: 36-40].⁹⁹

იგივე ტენდენცია დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც:

კახური:

თავკიდურად: *მეეგო, მეებმება, მეეკიდება... წამეელო, წამეეწივა... გადმეეკიდა...*

ბოლოკიდურად: *გავათხოხუე, დატხუე, ვაძხუე, თხუე, შავაგრუე, მუე...*

ქართლური:

თავკიდურად: *მეეგო, მეეკლა, წამეესხა, წამეეფსა, წამეეწივინენ... გამეეგლო, გამეეერკვია...*

ბოლოკიდურად: *მააწუე, გავაბუე, გიშუე, ათხუეს...*

იმერული:

თავკიდურად: *მეეგოსო, მეეგ ზავნა, მეედუღებია...*

ბოლოკიდურად: – (არ გვაქვს, რადგან ოვ- სუფისიანი ზმნები პირველი პირის ფორმებში ვ-ს არ კარგავენ: *დავტოვე, გავათხოვე*).

გურული:

თავკიდურად: *მიეკლენ (< მეეკლენ), მიემზადა (< მეემზადა), მიერია (< მეერია)...*

ბოლოკიდურად: *გავათხოხუე...*

ხევსურული:

თავკიდურად: *მეედინა, მეეკვრიცებინ, მეეკიდა...*

ბოლოკიდურად: უშვილოებ, ზედამჩროები, სათამაქოე... (ზმნური -ოვ სუფიქსის გამარტივების შედეგად მიღებული ოე კომპლექსი დიალექტში არ შეგვხვდა).

დიალექტური კორპუსის მონაცემები ამ პროცესის დეტალურად კვლევისა და დაკვირვების საშუალებას იძლევა. ამჯერად მაგალითების მოყვანას აღარ გავაგრძელებთ. ისედაც ნათელია, რომ ასიმილაციის ან დისიმილაციის არჩევანი „არაკანონიკური“ ოე კომპლექსის დასაძლევად დიალექტებში სხვადასხვა ფაქტორით უნდა იყოს ნაკარნახევი და არა სხვადასხვა დიალექტში ო-ს განსხვავებული არტიკულაციით.

თავკიდურ პოზიციაში ოე კომპლექსს გვაძლევს *მო-* (*გადმო-, ჩამო-, წამო-...*) ზმნისწინის *ო-სა* და ვნებითისეული *ე-*ს კომბინაცია. შედარებით მეტი შესაძლებლობაა ბოლოკიდურ პოზიციაში ამ კომპლექსის გამოვლენისათვის.

99. შ. ძიძიგურის აღნიშნული მოსაზრებით, სამცხურ-ჯავახურში მხოლოდ დისიმილაციის გზა უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი.

ბოლოკიდური ოე კომპლექსი გვხვდება:

ა). იმ ზმნათა ნამყო ძირითადის მხ. რ. I – II, ან მრ. რ. III პირში, რომელთაც **ოა** აქვთ მხ. რ. III პირში (იხ. ზემოთ **ოა**): *გათხოა – გაათხოე, მოქსოა – მოვქსოე, აძოა – ვაძოე, მოაჯადოა – მოვაჯადოე, გააფართოა – გავაფართოე, დააუთოა – და-ვაუთოე...*

ბ). იმავე ზმნებზე -ებ თემის ნიშნის დართვისას: *გათხოება, ძოება, მოჯადოება, ვაუთოება...*

გ). **ო-ზე** დაბოლოებული სახელების **-ებ-იან** მრავლობითში: *გოგოები, თოთოები, უშნოები, ოქროები, ერდოები, წყაროები, უცხოები, პალოები, ჯადოები, კალოები, ერბოები, ძალოები, ორმოები...*

დ). **ო-ზე** დაბოლოებულ სახელებზე წარმომავლობის -ელ სუფიქსის დართვისას: *საროელი, ხანდოელი...*

ფერეიდნული სხვა ქართული დიალექტების მსგავსად თავკიდური პოზიციის **ოე** კომპლექსის ასიმილაციის გზით ცვლის: *მეეგო (< მოეგო), მეედევნა (< მოედევნა), მეემკო, მეეპაროს, მეენახა...*

მასალის სპეციფიკურობისა და სიმცირის გამო ყველა შესაძლო კომბინაციის შემოწმება ფერეიდნულში ჭირს, თუმცა საერთო სურათის მიღება შესაძლებელია:

ოე > უე სიტყვის ბოლოკიდურად შეგვხვდა მხოლოდ ერთ ზმნასთან: *გარდმოე < გარდმოე < გარდმოელ, ამუელ, შამუელ, მუელ, გამუელ, ჩამუელ, წამუელ...*

ამ ფორმათა გვერდით გვაქვს არადისიმილირებული ვარიანტებიც: *გადმოელ, წამ-მოელ, ჩამოელ, მოელ, მოელით...*

ამ ზმნაში **ოე** კომპლექსი მიღებულია **ვ**-ს დაკარგვის შედეგად: *ამოველ > ამოელ > ამუელ.*

ოე > უე პროცესი თავკიდურ პოზიციაში განასხვავებს ამ შემთხვევას ზმნისწინისეული და ზმნური ფორმაწარმოებითი აფიქსის (ვნებითის ე) შეხვედრისას შექმნილი პოზიციებისგან (**მოეპარა > მეეპარა**) და შეიცავს გრამატიკულ ინფორმაციას დაკარგული პირველი პირის ნიშნის შესახებ:

სწორედ ასევე გვაქვს **ოე > უე** პროცესი სიტყვის თავკიდურად სხვა დიალექტებშიც მაშინ, როცა პირველი პირის ნიშანი **ვ** დაკარგულია და **ოე** კომპლექსი ამის შედეგადაა მიღებული:

სამცხურ-ჯავახური: *მაშინ ჩვენც მუელით ჩვენ ბინებზე.*

კახური: *წამუელ, მოვწყვიდე ეს მსხალი და ვაშლი, ჩავაწყე ხურჯინში და წამუელი.*

ფშაური: *დავიწყე ქალის დედასთან სიარული და მუელაპარაკე იმასა.*

ასევეა: *მუესწრენით (ჩვენ მას) შდრ.: მეესწრენით (თქვენ მას).*

მუეფერები (მე მას) შდრ.: **მეეფერები** შენ მას...

დასავლურ და აღმოსავლურ დიალექტებს შორის სხვაობას ქმნის არა **ო-** ხმოვნის არტიკულაციური ბუნება, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, არამედ სხვადასხვა მორფონოლოგიური ფაქტორი. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი – მორფოლოგიური შეპირობებულობა ზემოთ აღვწერეთ:

აღმოსავლურ დიალექტებში თავკიდური **ოე > ეე** პროცესი ზმნისწინისეული და ზმნური ფორმაწარმოებითი აფიქსის უშუალო შეხვედრისას წარმოიქმნება.

სხვა სტრუქტურის იგივე კომპლექსი – **ვ-** პირის ნიშნის დაკარგვის შედეგად მიღებული (მო(ვ)ედ, მო(ვ)ეფერე, მო(ვ)ესწარი... იცვლება დისიმილაციის გზით: *მუელ, მუესწარი, მუეფერე...*

ეს „არჩევანი“ განპირობებულია პირველი პირის შესახებ გრამატიკული ინფორმაციის შენარჩუნების აუცილებლობით.

დასავლურ კილოებში **ვ-**ს დაკარგვის შედეგად მიღებული **ოე** კომპლექსი ნაკლებად გვხვდება და მეორე გზით (**ოვე > ევე**) მიდის პროცესი: *მევესწართ, მევეფერეთ, მეველით...*

შესაბამისად, პარადიგმული ოპოზიცია ორივე შემთხვევაში დაცულია:

მეესწარ(ი) შენ მას – **მუესწარ(ი)** მე მას

და

მეესწარი შენ მას – **მევესწარი** მე მას.

როგორც ვხედავთ, ქართული დიალექტებისთვის **ოე** კომპლექსში **ო-**ს ლინგვალური თავისუფლება ერთგვარ „ინსტრუმენტადაც“ იქცა სხვადასხვა ფუნქციური ამოცანების გადასაწყვეტად. ერთი მაგალითი ამისა უკვე ვნახეთ. ფონეტიკური პროცესები რომ მორფოლოგიური ფაქტორების გავლენით შეიძლება წარიმართებოდეს ქართული ენის დიალექტებში, ამაზე მრავალჯნისაა აღნიშნული [ჯორბენაძე, 1998: 11 და სხვ.].

ასეთივე რიგისა ჩანს სამცხურ-ჯავახურში დადასტურებული საინტერესო სურათიც:

თავკიდურ პოზიციაში აქ ორსაფეხურიანი **ოე > ეე > იე** პროცესის ორივე საფეხური გვაქვს დადასტურებული (წამეილო // წამიეილო), ხოლო ბოლოკიდურ პოზიციაში დისიმილაცია - დელაბიალიზაციის ორსაფეხურიანი პროცესის ასევე ორივე საფეხურია (ზოგჯერ სამიც) წარმოდგენილი: *გოგუები > გოგვიები > [გოგიები], გაათხო(ვ)ე > გაათხუე > გაათხვიე...*

თუმცა, როცა ფუძის ფონემატური აგებულების გამო ცვლილებისას არაკანონიკური კომპლექსი წარმოიქმნება, დიალექტი ცვლის „სტრატეგიას“ და მიმართავს თავკიდური პოზიციის მოდელს. მაგალითად, ბავისმიერი ბგერით დამთავრებულ ფუძეთა მრავლობითში სამცხურ-ჯავახური ბოლოკიდური პოზიციისთვის ჩვეულებრივი (დისიმილაციის) გზით კი არ მიდის (*ოქრო > ოქრუები, ოქრვიები > ოქვრიები, გოგუები > გოგვიები...*), არამედ იყენებს თავკიდური პოზიციის მოდელს: *ორმო > ორმეები > ორმიები* [ბერიძე 1994: 39-40].

როგორც ვხედავთ, **ოე** კომპლექსის ცვლილებითაც ფერეიდნული ქართული დიალექტური ქვესისტემების საერთო კანონზომიერებებს ავითარებს და ინარჩუნებს.

იუ კომპლექსი ფერეიდნულში რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებას არ ავლენს და როგორც დიალექტთა უმრავლესობაში, აქაც ასიმილაციის გზით ვითარდება. დიალექტურ კორპუსში წარმოდგენილი მასალა საკმაოდ მკაფიოდ ასახავს ამ პროცესს:

მუბრუნე, მუგდე, მუუგ ზაუნა, მუუკრავე, მუუყვანიაყე, მუუშებენ, მუუშე-
რავთ, მუუშირიანყე, მუუშო, მუუცია, მუუციაო, მუუციალა, მუუციაყე, მუუცია-
ყეო, მუუწეროთყე.

უი კომპლექსი ფერეიდნულში ან არ იცვლება, ან რეგრესულ დისიმილაციას და
დიფთონგიზაციას განიცდის:

უი: აიხუიტყე, ატყუილებდაყეო, ბუინია, გატყუილებს, გოლფუიგან, გო-
მოუიდა, გუიყო¹⁰⁰, დავწუიყე, დამატყუილეო, დაწუიანყე, დაწყუიტა, იტყუიან,
მოუხუითყე, რუი, რუის, რუისპირამდი, რუისპირზე, რუისპირს, რუიც, ტყუილ,
ტყუილად, ტყუილადა, ტყუილი, ყუილს, ტყუის, უი, უიაო, უიარალობით, უიო,
ყუის, ყუისო, შავახუიტყე, შუიდი, ძუძუით, ჯუითები, ჰტყუი...

უი > უა: ვტყუე, ვუე, რუე, რუეე, რუეს, რუესპირამდი, ტყუედი, ტყუედს...

ილენტურხმოვნინანი კომპლექსების ცვლილების ორი გზაა აღწერილი: ქართული
ენის დიალექტებში ისინი ან ერთ ხმოვნად შეირწყმის, ან დისიმილაციის გზით იც-
ვლება.

შ. ძიძიგური აღნიშნავდა: „ორი ერთნაირი ხმოვნის განვითარება მხოლოდ შერ-
წყმის გზით უნდა წავიდეს, – დისიმილაცია დასაშვებია არაა, ასე: შეუძლებელია იი,
ოო, უუ, აა კომპლექსებმა დისიმილაცია განიცადონ. ეს იმდენად უდავო დებულებაა,
რომ აპრიორი მიუღებელია ი. ყიფშიძის ვარაუდი, თითქოს მეგრულში იი გვაძლევ-
დეს დისიმილაციით ეი-ს და უუ – ოუ-ს“. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ გამონაკლისს
წარმოადგენს ეე კომპლექსი, რომელიც რეგრესული დისიმილაციით იე-ს გვაძლევს,
და დაურთავს, ეს ფაქტი ახსნას მოითხოვსო [ძიძიგური 1946: 30].

თ. უთურგაიძე ილენტურ კომპლექსთა განვითარების ორ გზას (შერწყმა და დი-
სიმილიაცია) წარმოთქმის ორი სხვადასხვა სტილის არსებობით ხსნის: „... სრული
ასიმილაციის შედეგად ვიღებთ ილენტურ ხმოვნებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასე-
თი ორი ხმოვანი ქართულში მეტყველების სტილის მიხედვით ზოგჯერ რეალიზ-
დება როგორც მკაფიო საზღვარს მოკლებული ორი ხმოვანი, ზოგჯერ კი საკმაოდ
მკაფიო საზღვრით... ილენტურ ხმოვანთა წარმოთქმის აღნიშნული ორი სტილის (I
წარმოთქმის, როგორც გრძელი ხმოვანი, II წარმოთქმის, როგორც ორი ხმოვა-
ნი) შედეგი არის ასეთი კომპლექსების ცვლის ორი მიმართულება ქართულში...“
[უთურგაიძე 1976: 35].

მეტყველების ორი სხვადასხვა სტილის მოქმედება გულისხმობს ერთი და იმა-
ვე ერთეულების, ამ შემთხვევაში ილენტურხმოვნინანი კომპლექსების ორი სხვადას-
ხვაგვარი წარმოთქმის შესაძლებლობას. ამ ორი სტილის არსებობას დაადასტურებდა
აა, ეე, ოო, უუ, იი კომპლექსთა ცვლილების ორი სხვადასხვა გზის არსებობა ქარ-

100. გუიყო დავწუიყე, დაწუიანყე, დაწყუიტა... ეს ფორმები ექსპერიმენტულად არის
შესასწავლი. წესით აქ წვ > წ, წყვ > წყ პროცესის შედეგად **დავწი, დაწყიტა** ფორმები უნდა
გვექონდეს. არ არის გამორიცხული, რომ არაბუნებრივი ფორმები ფსევდოლიტერატურული
ინოვაციებია.

თული ენის კილოებში, მაგრამ როგორც შ. ძიძიგური აღნიშნავს, ამ კომპლექსთაგან მხოლოდ ეე შეიძლება შეიცვალოს დისიმილაციის გზით, სხვა კომპლექსებში ეს დაუშვებელიაო. ე.ი. წარმოთქმის მეორე სტილის კვალი ამ კომპლექსთა ცვლილებაში არც კი განიხილება.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ არის აღნიშნული, რომ მხოლოდ ეე კომპლექსი შეიძლება შეიცვალოს როგორც დისიმილაციის, ისე შერწყმის გზით, ეე > იე პროცესი სამცხურ-ჯავახურში ჩვეულებრივია, გვაქვს გურულში, აჭარულსა და სხვა კილოებშიც. რაც შეეხება ეე > ე > ე-ს ეს პროცესი ფერეიდნულს ახასიათებს: ესები, მესუთებს და სხვ. „... უნდა ვივარაუდოთ, აქ ჯერ შერწყმით ორი ე-ს ადგილზე წარმოითქმოდა ე, შემდეგ კი, რადგან ქართულში (resp. ფერეიდნულში) ხმოვანთა სიგრძეს არა აქვს ფონოლოგიური ღირებულება, [ე] გადავიდა [ე]-ში“ [უთურგაიძე და სხვ. 1981: 150].

ლიტერატურაში გაბატონებული აღნიშნული აზრის საწინააღმდეგოდ სამცხურ-ჯავახურში ცვლილებას განიცდის ოო კომპლექსიც. როგორც აღინიშნა, მეორეული ოო იშვიათად გვაქვს, პირველადი კი განიცდის ჯერ დისიმილაციას, შემდეგ კი პროცესი გრძელდება: ოო > უო > ვიო (კერძობა, გოგვიობა, უთვიობა...).

ჩვენი აზრით, ეე > იე, ოო > უო > ვიო პროცესთა არსებობა, ერთი მხრივ, და აა, იი, უუ კომპლექსთა უცვლელია, მეორე მხრივ, ამ კომპლექსების შემადგენელი ხმოვნების არტიკულაციური ბუნებით უნდა აიხსნას: ე და ო საშუალო აწეულობის ხმოვნებია, ღიაობის საშუალო საფეხური გულისხმობს საფეხურს, რომელიც ღიაობის გარკვეული სავალდებულო მინიმუმით განსხვავდება როგორც დაბალი, ისე მაღალი საფეხურისაგან. ღიაობის ეს „მინიმუმი“ რელევანტურია ხმოვანთა სისტემაში, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სავალდებულო მინიმუმის დაურღვევლად ე-ს და ო-ს (აქ საშუალო აწეულობის ო-ზეა ლაპარაკი) აქვს შედარებითი თავისუფალი „ვარიანების“ საშუალება ღიაობის მხრივ. ეს „თავისუფლება“ შესაძლებელს ხდის ე-ს და ო-ს სხვადასხვა ღიაობით რეალიზებული ვარიანტების არსებობას. ეს სხვაობა არ არის არსებითი, მაგრამ მაინც არსებობს და ამის შედეგი უნდა იყოს, რომ ეე და ოო კომპლექსები შეიძლება წარმოითქმებოდეს ა). როგორც ორი ხმოვანი (ეე > იე, ოო > უო > ვიო) და ბ). როგორც გრძელი ხმოვანი (ეე > ე > ე, ოო > ო > ო).

აა, იი, უუ კომპლექსები შედგენილი არიან ღიაობის უკიდურესი საფეხურის ხმოვნებით. საფიქრებელია, რომ ამიტომაც მათ „თავისუფლების“ ნაკლები შესაძლებლობა აქვთ. ცალკეულ ხმოვანთა თვისება – მინიმალური ან მაქსიმალური აწეულობა აქ კომპლექსის თვისებად არის ქცეული და ხმოვანთა შორის საზღვარიც უფრო სუსტია. ეს განაპირობებს მათ ერთ ხმოვანად აღქმას ზოგ დიალექტში.

ასე რომ, იდენტურხმოვნიან კომპლექსთა სხვადასხვა გზით ცვლილება ქართული ენის დიალექტებში მათი შემადგენელი ხმოვნების არტიკულაციური ბუნებით ჩანს გამოწვეული. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული „მეტყველების სხვადასხვა სტილის“ არსებობა კი მხოლოდ საშუალო აწეულობის ხმოვანთაგან შემდგარ კომპლექსებში შეიძლება გამოვლინდეს.

ფერეიდნულში, როგორც აღნიშნულია, **ეე** კომპლექსი შეიძლება ერთ ხმოვანად შეირწყას (**ხეები > ხები**), თუმცა არის ამ კომპლექსის განვითარების სხვა გზაც: თავკიდურ პოზიციაში ის არ იცვლება, ბოლოკიდურ პოზიციაში ხდება დისიმილაცია და დიფთონგიზაცია. ეს იშვიათი მოვლენა უფრო თორელ-ბონინის თქმაში დადასტურდა, თუმცა გვხვდება მართოფელთა მეტყველებაშიც: **დლეები > დლეობი > დლეობი, ძმეები > ძმეობი > ძმეობი, ქეები > ქეობი > ქეობი...**

ოო კომპლექსის მხოლოდ ერთი შემთხვევა დავადასტურეთ ფერეიდნულში. ეს კომპლექსი საერთოდ იშვიათია როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე დიალექტებშიც.

ოო:

მუშოობს:

კაცი **მუშოობდა**, დედაკაცი სახლს არ ინახევდა, გული არ ეწებოდა, რაც რო ველში მოიძლოდა, გაჰყიდევდა, ერთ კალთას იყიდევდა.

და ვერ **მუშოობდა** ივრე, რო მე მინდოდა იმას შოუჭეხე: აბა, რად ევრე ექმენ-მეთქი, აბა, წორად იმუშავე-მეთქი!

მეცაღა **მუშოოფ**, ჩემ ადამ დამაქორწილოს, მასლან, დედაკაცი მითხუოს. გინდა მოიდე, მეგეშელო?

ოო > ო:

მუშობდეს:

კაცები, დედაკაცები **მუშობდეს**, შემოდგომის დროს მაიტანდეს ხორბალს, უნდოდა ნახევარზე გაეყონ.

იდენტური კომპლექსები: **აა, უუ და იი** უმეტესად უცვლელადაა წარმოდგენილი.

იშვიათად **აა** კომპლექსში ხმოვანთგამყარი (ანაპტიქსური) ხმოვანი – **ა** ჩნდება: მააქ... (იხ. ზემოთ).

თანხმონით გათიშული ხმოვანთკომპლექსების ცვლილება. ფერეიდნულშიც, ისევე, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში, ცვლილებას განიცდის მორფემული მიჯნის თანხმონით გათიშული ხმოვანთკომპლექსები. როგორც წესი, ამგვარი კომბინაცია – **VCV** მორფემათა მიჯნაზე იქმნება ზმნისწინისა და ზმნური თანხმონური პრეფიქსების (პირის ნიშნების) შეხვედრის დროს.

განსაკუთრებული ადგილი უკავია ამ ხასიათის ცვლილებებს ფერეიდნულში, რადგან ბაგისმიერი [ვ]-ს რეფლექსების ერთ-ერთი ასპარეზი სწორედ ეს „უბანია“. აქ განვითარებული მორფოფონემატური პროცესები ქმნიან სწორედ ფერეიდნულის ერთ-ერთ ყველაზე სპეციფიკურობას.

ცვლილებას განიცდის თანხმონისწინა ხმოვანი როგორც მარტივ, ისე რთულ ზმნისწინთა შემადგენლობაში.

მარტივი ზმნისწინები:

1. ვ, მ და გ პირის ნიშნებისა და ზმნური პრეფიქსების, კერძოდ, **ე-** პრეფიქსის შეხვედრისას:

გა-მ-ე > გემე: გემექცე, გემერუმაო, გემეცინა, გემეხივისყე, გემეხუმრების...

(მო) მა-მ-ე > მემე: მემებარა, მემეგონა, მემედევნისყელა, მემედევნა, მემეთი-

ბა, მემეკიდნა, მემენატრა, მემენახუაო, მემეო, მემესმა, მემესწართო, მემექსო-
ვა, მემეშელე, მემეტა, მემეწელა, მემეჭრებისყელაო...

წა-მე- > წემე: წემევეწივე...

როგორც ვხედავთ, ხდება სრული ასიმილაცია, ისევე, როგორც უშუალო კონტაქ-
ტის აე კომპლექსის შემთხვევაში: წაელო, წეელო.

შენიშვნა: ი პრეფიქსი ამ პოზიციაში ასიმილაციურ ცვლილებას ვერ იწვევს ფე-
რეიდნულში: მამიგო, მამიყვანა, მამიდგების... წამიყვანა, წამიგო... გამიგო, გა-
მიგრილდეს, გამიგუვდების...

2. მრ. რ. ობიექტის გვ- პრეფიქსისა და ხმოვანი პრეფიქსის შეხვედრისას:

გა-გვ-ე ხარდა > გოგოხარდა

გა-გვ-ი-კეთა > გუგუკეთა

რთული ზმნისწინები:

რთული ზმნისწინების ორივე ხმოვანი იცვლება მომდევნო (თანხმოვნით გათი-
შული) ზმნური ე- პრეფიქსის გავლენით, რეგრესული ასიმილაციის გზით: გემევე-
დენითყე, გემევეკიდები, გემეგეგოლო, გემეგეგოყე, გემეგეგოყეო, გემეგეშელე-
ბითყე, გემეშელენისყე, გემეშეტანოსო, გემეშეწერა...

3.3. ვ- თანხმოვანთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებები

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფონეტიკური თავისებურება, რომელიც
ფერეიდნულ დიალექტს სალიტერატურო ქართულისგან გამოარჩევს, არის ვ ბგე-
რის დაკარგვა ან ცვლილება გარკვეულ პირობებში. ეს მოვლენა განსაკუთრებუ-
ლი ყურადღების საგნად იქცა ფერეიდნულის მეცნიერული შესწავლის პირველივე
ეტაპზე და მერეც არ დაუკარგავს აქტუალობა [ჩიქობავა 1923: 5-21; მაჭავარიანი
1985:149-179 და სხვ.].

საკუთარი მეტყველების განსაკუთრებულ თავისებურებად თავად ფერეიდნელები
მიიჩნევენ იმ ფაქტს, რო ისინი ვ-ს „კნეტავენ“ – ანუ ვ-ს დაკარგვის სისტემურ ხა-
სიათს სამეტყველო კოდის ერთ-ერთ საიდენტიფიკაციო ინდიკატორად გამოყოფენ.
ფერეიდნელებისთვის ქართულის სწავლების პროცესში ერთ-ერთი დასაძლევი სა-
ფეხური სწორედ იმ სიტყვების სწორად წარმოთქმის დასწავლაა, რომლებიც ვინის
პროცესების გამოა სახეცვლილი.

ასეთი სიტყვების სიის შედგენა ჯერ კიდევ სეიფოლა იოსელიანის მასალაზე
მუშაობისას სცადა არნოლდ ჩიქობავამ. „ვინის რეფლექსების“ შესწავლისას გარ-
და ჩაწერილი ტექსტების ანალიზისა, როგორც ჩანს, მკვლევარმა საგანგებო კით-
ხვართაც იმუშავა, რისთვისაც გამოიყენა ვ-სა და უმარცვლო უ-ს დისტრიბუციის
მონაცემები ძველ ქართულში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მკვლევარი ანალი-

ზისას იმოწმებს ფორმებს, რომლებიც მის მიერ მომზადებულ ტექსტებში არ არის დამოწმებული.

ყველაზე ხშირი და სისტემური ასეთი ცვლილება არის **ვე, ვა, ვი** კომპლექსებში, როცა ისინი თანხმონებს შორისაა მოქცეული.

C+ვე+C პოზიცია ყველაზე პროდუქტიულია, აქ შემოდის როგორც ძირეული, ისე მორფემული ზღვრის კომპლექსები.

როგორც აღვნიშნეთ, უმარცვლო **უ-სა** და **ვ-ს** განაწილება ფერეიდნულში ძველი ქართულის წესს არ მიჰყვება, თუმცა ძველი სისტემის კვალი მკაფიოდ „იკითხება“ სწორედ მისი ფონეტიკური რეფლექსების სახით.

იმ ფორმებში, რომლებიც ძველ ქართულში უმარცვლო **უ-თია** წარმოდგენილი, ორი სახის სისტემური ცვლილება დასტურდება ფერეიდნულში:

1. იკარგება ბაგისმიერი თანხმოვანი (უმარცვლო **უ** ან კბილბაგისმიერი **ვ**);

2. ბაგისმიერი თანხმოვანი არტიკულაციურად „შეერწყმის“ მომდევნო ხმოვანს და მიიღება ერთი – ბაგისმიერი ხმოვანი.

ბაგისმიერი ბგერის სისტემური დაკარგვა დასტურდება:

ა) **ვე** და **ვი** კომპლექსებში, თანხმოვანთა მომდევნოდ:

ვე კომპლექსი იმ სიტყვათა ძირეულ მასალაში, რომლებშიც ძველ ქართულში უმარცვლო **უ** ივარაუდებოდა: [შიშელი, ტიტელი], წერი, გერდი, მარჯენა, აჩენებს, ხეტა // გახეტავს, ჩენ, ქენ, გელი, თე, (თთუე), მტერი (მტუერი), კენა, იკენის, ლეკი, სელი // ასელებს, სარქელი, ქე, ქევრი, ქრივი, ლედი, მიუშებს, გოშებს, უშელის // მიშელა // შელა, ჰშენის, ღავშერ // დაშრომილვარ, აჩენებს, დაჩოულხარ (დაჩეულხარ <დაჩვეულხარ: ბგერის დაკარგვა და ასიმილაცია), ძელი, გაძრების - გაძრენა, წეთი, წელა - წელავს, მოქწველავთ, წენი, აწევს - აწივა, ეხეწების, კეთს (კუეთს, გამოკეთა), ისენებს - დაისენა, წყეტა - გაწყეტილი, იწების, აყედრებს - დაყედრებენ, უსტენს, გარკევა - არკევს, აველებს, მოხელი, შენიარი, სუყელა, სუყელვა, გაძრა, აწევს, აწივა...

ვე კომპლექსი ძირეულ და მაწარმოებელ მორფემათა მიჯნაზე შექმნილ კომპლექსებში, როცა ძირი ისტორიულად უმარცვლო **უ-ს** შემცველია: *ამოსეს* < *ამოს-სუ-ამ-ს* (შდრ.: *ამოსომს*), *გამაართეს* (< *გა-მა-ა-რთ-უ-ეს* (შდრ.: *გამაართომს*).

ვე კომპლექსი მაწარმოებელ მორფემათა მიჯნაზე: *მოგეცით* (*მო-გე-ეცით*) // *მოგე* (*მო-გე-ე[ცი]*), *მოგეშელოს* (*მო-გე-ე-შველ-ო-ს*).

ვი:

არნოლდ ჩიქობავამ ამ კომპლექსის ცვლილების შემდეგი შემთხვევები აღწერა:

ვი კომპლექსი ძირეულ მორფემაში: *კირისთავი*, *კიცი*, *ძარღი*, *ცერცი*, *ჩილი*, *ლეღი*, *ვიჰინი*, *ჭიხინი*, *იხი*, *პეში*, *წინტლი*, *ყირ(ვა)*, *ყითელი*, *ლიძლი*, *ნესი*, *ნერწყვი*, *კირტი*, *თავი*, *გაკირდა*, *გაკირებული*, *ჩაცივლებიან*, *ღავცივლით*, *წიმა*, *შიდი*, *წისქილი*, *ფქილი*, *სტირი*, *კირია*, *ყმაწილი*, *პირიტყი*, *საკირველი*, *ძირი*, *ძირფასი*, *ცხირი*, *ფირტი*, *ნაძი*, *ქიშა*, *ფეტი*, *ფესი*, *ტინი*, *გამალიძა*, *ქითინებს*, *გამარკივა*, *ფშინავს*, *ყირის*, *გიან*, *თითან*, *ხახი*.

ვი კომპლექსი მორფემათა მიჯნაზე: *ვიტყვი*, *იტყვიან*, *გამართი*, *წავართით*, *შა-*

ხიდიყე, ჰქიან, ვთქით, თქინაყე, მოვსწყითოთ, ჭკიანი, გოუშითყე, გამიშისყე, უსტინა, თის // თი, ფიჩი, დათი.¹⁰¹

ვი კომპლექსი იმ ფორმებში, რომლებსაც გამონაკლისებს მიაკუთვნებენ და რომლებიც უმარცვლო უ-ს კი არა ვ-ს შეიცავენ ძველ ქართულში: *ფქვილი > ფქილი, წყვილი > წყილი*.

ბ) თანხმონისწინა პოზიციაში, როცა მის ადგილას ძველ ქართულში უმარცვლო უ იყო მოსალოდნელი: *კნესის, ექსი, მინდრის, მოსკლავი, მოკდა, კდარი, მაქ, გაქ, ქრივი, ღრის, უჭრეტავს, ხრინავს, ვრელი, ვრეტა...*

არის ზოგი ფორმა, რომლის შესახებ ინფორმაცია შეიძლება კიდევ დაზუსტდეს. მაგალითად, არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს, რომ „სიტყვებში: **შიშველი, ტიტველი** და აგრეთვე სიტყვებში, როგორცაა: „ყველი, ფრინველი, საკირველი, დაშორება, დაუკრვენ, დაკოლვენ, დანიშვენ, წამოყვეს“... **ვე** უცვლელად არის წარმოდგენილი“ [ჩიქობავა 1927: 188].

საყურადღებოა, რომ სეიფოლასავე ტექსტშია დამოწმებული ტიტლის (= ატიტ-ვლებს) და გატიტლდა ფორმები, რომლებსაც თუნდაც სავარაუდოდ უნდა გაეხადა **ტიტელი** პარალელური ფორმის დაშვება, მაგრამ არნოლდ ჩიქობავა ამას არ აკეთებს, როგორც ჩანს, რესპონდენტის დაბეჯითებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ქართული დიალექტების კორპუსში ფერეიდნული დიალექტებისთვის დამოწმებულია ტიტველა, ტიტველებიაო, შიშველა, თავშიშველა, ფევშიშველა ფორმები.

თუმცა ამავე კორპუსში დასტურდება **შიშელი** ფორმაც:

ყოფილა, ხან ცხელა, თაქშიშელებია, გულს პირი გამოვდებულებია, მასალან, ლოფტიებია, არ გოშებენყე, ევეთ რასმე არ იქმენ [სიბაქი, 2008].

ეხლა ხო ჩონ შავჯვითყე მანქანაში და შოოწყრებით მანქანასა და წამოალოთყე და დაიალუვიითყე და ფეხშიშელა და მათხრით [მათრახით] დაცემა და გაჯავრება და სუ ემეები ყოფილა და [იხპაჰანი, 2012].

101. ამ სიტყვების დიდი ნაწილი არნოლდ ჩიქობავას აქვს დამოწმებული. ტექსტებით დოკუმენტირებულია მხოლოდ მათი ნაწილი. დანარჩენი, სავარაუდოდ, ან ძველი ქართულის შესაბამის მასალის მიხედვით მომზადებული კითხვარით არის მოპოვებული, ან სპონტანური მეტყველებისას არის ეპიზოდურად ჩაწერილი.

სეიფოლა იოსელიანი სგან ჩაწერილ ტექსტებში არ დასტურდება მკვლევრის მიერ საილუსტრაციოდ მოხმობილი დამოწმებული შემდეგი ფორმები: კირისთავი, კიცი, ძარი, ცერცი, ჩილი, ლელი, ვიჯინი, ჭიხინი, იხი, პეში, წინტლი, ყირ(ვა), ყითელი, ღიძლი, ნესი, ნერწყვი, კირტი, თავი, წისქილი, ფქილი, ყმაწილი, შახიდიყე, ჰქიან, თქინაყე, მოვსწყითოთ, უსტინა, ძირფასი, ქითინებს, ფშინავს, ყირის, გამაარკივა, უსტენს, მოხელი, შენიარი.

ცერცი, პეში, ნერწყვი, უსტენს, უსტინა, ქითინებს, ფშინავს არც შემდგომ ჩაწერილ ტექსტებში გვხვდება, თუმცა მათი ნაწილის დადასტურება გადამოწმებოსას მოხერხდა დასაზუსტებელია ფორმები: ცერცი, პეში, ქითინი. ამათგან პეში (<პეშვი) როგორც ჩანს, მთლიანად ჩაანაცვლა მუჭა და მუშტი ლექსემებმა: ორ მუშტით წყალი დალივაო, ცალმუჭა, ცალ მუჭით წყალი დალივაო. მუჭა აი ეს არი, მონმუჭილი [მუხტარ დარჩიაშვილი, 2014].

არნოლდ ჩიქობავას მიერ შედგენილი სია შევსებულია გვიანი პერიოდის ტექსტებისა და ლექსი კოგრაფიული მასალის მიხედვით.

ასევე გაგვიგონია **ტიტელი** ფორმაც. ეს ყველაფერი თითქოს გვაძლევს **ტიტელა** // **ტიტველა**, **შიშელა** // **შიშველა** ფორმების პარალელურ ფორმებად გამოცხადების უფლებას, თუმცა ფერეიდნული კოდის მატარებლისთვის კვლავ უცხო და „არანორმატიულია“ ეს ფორმები. გამოკითხვისას რამდენიმე რესპონდენტმა ერთადერთ ფორმად დაასახელა „შიშველი“ და „ტიტველი“. როცა მათ ვაჩვენებთ პარალელური მაგალითები **ვ**-ს გარეშე, პასუხი იყო, რომ ასეც შეიძლება ითქვას. ხოლო ერთ-ერთმა განმარტა: „შეიძლება საუბარში ეჩქარებოდათ და **ვ** არ გაგებულა“.

ასე რომ ძნელი სათქმელია, **ვ** თანხმოვნის დაკარგვა „შიშველი“ ფორმაში არის წესის შერყევის ტენდენცია, თუ მართლაც სპონტანური მეტყველების ფაქტია. თავისთავად საგულისხმოა, რომ ეს თითქოსდა უმნიშვნელო ნიშანი ასეთი მდგრადი აღმოჩნდა ასი წლის შემდეგაც.

როგორც ვნახეთ, ის ფორმები, რომლებიც ძველ ქართულში გამონაკლისს ქმნიდნენ და უმარცვლო **უ**-ს ნაცვლად ყველგან კბილბაგისმიერ თანხმოვანს გამოავლენდნენ, ფერეიდნულში სხვადასხვა ვითარებას გვიჩვენებენ:

მათი ნაწილი იქცევა ისე, როგორც უმარცვლო **უ**-ს შემცველი ფორმები და ბაგისმიერ ხმოვანს კარგავს: *ფქილი*, *წყილი*, *შილი*.

ნაწილი პირიქით – **ვ** > **ჟ** ცვლილების შედეგად დიფთონგიზებულ კომპლექსს ქმნის: *ბეჟი*, *გაღიციჟალა*, *ყჟელი* // *ყველი*, *საზღჟარი* // *საზღვარი*, *ქართჟელი* // *ქართველი*...

სამი ფორმა: *რუა* // *რუვა*, *ქუა* // *ქუვა*, *ხუალ* წარმოდგენილია სრულხმოვანი **უ**-თი.

საკვკოდ მიგვაჩნია ამ ფორმებთან **ყჟელი** ფორმის გათანაბრება, როგორც ამას მაია მაჭავარიანი მიიჩნევს [მაჭავარიანი 1985: 167]. ეს სიტყვა (**ყჟელი**) უმარცვლო **უ**-ს შეიცავს და პარალელურად მონაცვლეობს **ყველი** ფორმასთან. სრულხმოვნიანი *ყუელი მიუღებელია ფერეიდნულისთვის.

მკვლევარი, სამწუხაროდ, არ მიუთითებს საილუსტრაციო მასალას და წყაროს ფორმების დამოწმებისას, თუმცა ნაშრომის დასაწყისში ის ამბობს, რომ ეყრდნობა არნოლდ ჩიქობავასა [ჩიქობავა 1927] და მაგალი თოღუას [თოღუა 1975] მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებს [მაჭავარიანი 1985: 149].

არცერთ ამ გამოცემაში ფორმა **ყუელი** დადასტურებული არ არის.

1976 წელს რეპატრირებული ფერეიდნელებისგან ჩაწერილ ტექსტებში დასტურდება ამ სიტყვის **ვ** თანხმოვნის გარეშე გამოყენების ერთადერთი შემთხვევა:

ყელსა ამოიღეთ, ჩავდეთ დიდი ქოთნებჩიგა, შადნახვთ ზამთარჩი. კარაქს შადნახვთ, ვედრებით (ირანა იოსელიანი) [უთურგაიძე და სხვ. 1985: 210, ჩხუბიანი-შვილი 2012: 240].

იმავე მთქმელისგან იმავე დროს ჩაწერილ სხვა ტექსტებში ყველგან გვაქვს **ყველი** ფორმა:

რო **ყველი** გუნდოდის ვაკაკეთოთ, ჩონთი ალბათ სადელს ვაკეთებდით [უთურგაიძე და სხვ. 1985: 192, ქღვ: ჩხუბიანი-შვილი, 1976].

ეს **ყველი** გოქონდისლა, სულაც არ გაფუჭდის, არაფერი არ მოჟდის, გოქონდის,

თა მეორედ **ყველი** გამოიღეს, რო მეორეთ ცხორმა მაიგოს ან ძროხამ მაიგოს და ზაფხული შაქქანს და **ყველი** გაგავაკეთით [უთურგაიძე და სხვ. 1985: 192, ქღკ: ჩხუბიანიშვილი, 1976].

ასევე **ყველი** გვაქვს დადასტურებული სხვა წლებში ჩაწერილ ტექსტებშიც:

ყველი იცი რა არი? [ქღკ, ჩხუბიანიშვილი, 1998, მთქმელი: ზეინაბხათუნა ლაჩინანი].

ყველი... მადა ბქონდისყე, ეს მადა ერთ ზარქჩი დაძჭყუნიტყე [ქღკ, ჩხუბიანიშვილი, 1998, მთქმელი: ზეინაბხათუნა ლაჩინანი].

მარილი მუაყარიტყე ყველსა და ჩაუღვიტყე გერიმაცა [ქღკ, ჩხუბიანიშვილი, 1998, მთქმელი: ზეინაბხათუნა ლაჩინანი].

ყველი ამოღლიტყე და ჩავაწყვიტყე ქოთნებჩიგა და ეხლს კი ბასკატანი ჩაუღვიტყე ქოთანჩიგა და ის საზამთროსათი გაღმოღტანიტყე [ქღკ, ჩხუბიანიშვილი, 1998].

უნდა ელს პური ჩოლღუა და ყანღე – ჩაი ჩოლღუა და ყათული ჩოლსხა მენუნნი, და ყველი ჩოლღუა და წაღღეს ეს ემ ვარაზე საქმეზე [ქღკ, ჩხუბიანიშვილი, 1998].

ყუელი- :

ეხლანღელი ყუელღებსაყით არ იყო, რო აყროლღესა [ქღკ, ჩხუბიანიშვილი, 1998, მთქმელი: ზეინაბხათუნა ლაჩინანი]

იქტარი უნდა პური შჭამო, ერთ საადა პური, პური, ყუელი და ხურმა და ეგეთები ხო ემას ეტყიან იქტარი და მერე ვახში [ქღკ, ჩხუბიანიშვილი, 1998, მთქმელი: შაჰინა მულიანი].

არნოლდ ჩიქობავა იმოწმებს **ყველი** ფორმას [ჩიქობავა 1927: 188] და არ ადასტურებს ამ სიტყვის არცერთ სხვა ვარიანტს (**შღრ.: ქღკ: ყელი, ყუელი; მაჭავარიანი, 1985: ყუელი***).

თუკი ვიფიქრებთ, **ყელი** ფორმის გაჩენა ისევე შესაძლებელი იყო, როგორც გვაქვს **წყილი, შილი, ფქილი** ფორმები, მაშინ ის კითხვაც უნდა დავსვათ, რატომ არ დამკვიდრდა ის და რატომ გვაქვს მხოლოდ იშვიათ პარალელი ზმად დამოწმებული?

ვფიქრობთ, **ყელი < ყველი** პროცესის საბოლოო დამკვიდრებისთვის ხელი უნდა შეეშალა ომონიმურ ფორმებს: **ყელი – მძივი** და **ყელი – ქელი**:

ყელი (ყელი, მძივი):

ნიფხვებსა, პერანგსა, ქოთსა, ჩიქილასა, ლაჩჩაქსა, ყელღებსაც შაიბამთ და ყოღბაღეფს შაიბამთ, ბეჭედს შაიბამთ და წავალთ ქორწილჩი [ქღკ, ჩხუბიანიშვილი, 1998, მთქმელი: ზეინაბხათუნა ლაჩინანი]

ჩაიცოღმს ნამად ახალ ლაბაასა და რაც რო ყელი აქ, საყურე აქ, ბეჭედი აქ, ემებს გადკეთებს და ჩამადგებს და გაკეთდების და წავა ქორწილჩი [ქღკ, ჩხუბიანიშვილი, 1998, მთქმელი: ზეინაბხათუნა ლაჩინანი].

და ყელი იყოს, და საყურე იყოს, ემასაც დაადებს მაჯმაზე და გომოღტანს ზალსა [ქღკ: ჩხუბიანიშვილი, 1998, მთქმელი: ზეინაბხათუნა ლაჩინანი].

მერე გაგარღვევთ, ის რო საქუსლე გაგატარეთ, ყელღებ დავაქნევ წინღებისა, და ვათავეფთ იმასა [ქღკ, ჩხუბიანიშვილი, 1998, მთქმელი: ზეინაბხათუნა ლაჩინანი].

როგორც ვხედავთ, რამდენიმე კონტექსტი, რომლებშიც **ყელ-** ძირი მძივის მნიშ-

ვენელობის ლექსებიტათა წარმოდგენილი, ერთი და იმავე მთქმელის ტექსტებიდანაა. ამავე მთქმელს ეკუთვნის ის ერთადერთი ფორმაც **ყველი-ს** მნიშვნელობით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ, რომ ე.წ. „გამონაკლისის ჯგუფის“ სიტყვებში ფერეიდნულში **ვ** ნაწილში იკარგვის (ფქილი, წყვილი, შვილი და ყელი). ამათგან **ყელი** შეზღუდულია ომონიმური ფორმების არსებობის გამო. ის უფრო ხშირად წარმოდგენილია უცვლელი ან უმარცვლო **უ-ს** შემცველი ვარიანტებით: **ყველი // ყუელი**.

„გამონაკლისის ჯგუფის“ სიტყვების ნაწილი ფერეიდნულს არ შემოუნახავს. ის სიტყვებიც, რომლებიც დასტურდება უკვე სეიფოლა იოსელიანის ტექსტში, ახალი შესული ჩანს დიალექტში. კორპუსში ამ მასალიდან დასტურდება სიტყვები: გამარჯვება, ქართველი, საქართველო და საზღვარი.

ლადო აღნიაშვილიც და იური მარიც აღნიშნავენ, რომ სიტყვა **ქართველი, საქართველო, გამარჯობა** [აღნიაშვილი 1896: 210-211; მარი 1936] ფერეიდნელებმა არ იციან. სავარაუდოდ, უცხოა დიალექტისთვის, ყოველ შემთხვევისთვის, მარტყოფის წრის სოფლებისთვის **საზღუარიც**.

რას „მოგვითხრობს“ ქვე ამ ფორმების შესახებ?

ქართველ- ძირის შემცველი სიტყვები სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში უხვად გვხვდება (დადასტურებულია 21 სიტყვაფორმის 43 კონტექსტი). როგორც აღვნიშნეთ, არც ლადო აღნიაშვილის სტუმრობისას (1894 წ.) და არც იური მარის მივლინების დროს (1925 წ.) ფერეიდნელებმა ეს სიტყვები არ იცოდნენ. სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში დადასტურებული ყველა ფორმა მხოლოდ კბილბაგისმიერი თანხმონით არის დაფიქსირებული.

ასევე უგამონაკლისოდ მხოლოდ **ვ** თანხმონიანი ვარიანტია დადასტურებული მაგალი თოლუას მიერ ჩაწერილ ტექსტებშიც (32 სიტყვაფორმა 159 კონტექსტში).

მოგვიანებით ჩაწერილი ტექსტები უკვე მეტი ვარიაციულობით ხასიათდება: აქ უკვე გვხვდება დიფთონგიზებული ფორმები – სხვა მსგავსი ფონეტიკური აგებულების ორ და მეტმარცვლიანი სიტყვების მსგავსად (იხ. ზემოთ).

ხშირად **ქართუჟელ // ქართველ** ძირები პარალელურად გვხვდება ერთი და იმავე მთქმელის მეტყველებაში, რაც გვაფიქრებინებს, რომ დიფთონგიზაცია ცოცხალი პროცესია და ის აქტიურად ემსახურება მეტყველების ინტონაციურ მოდელირებას და სიტყვაში უკავშირდება მახვილის ადგილის მონაცვლეობას.

ის, რომ ძველ ტექსტებში ეს სიტყვა მხოლოდ კბილბაგისმიერი **ვ-თია** დადასტურებული, ვფიქრობთ, მკვლევართა კონცეპტუალური გადაწყვეტილების შედეგია და სავარაუდოდ, უმარცვლო **უ-თი** გადმოცემული ეს სიტყვები იმდროინდელ მასალაშიც არის საგულვებელი.

ამის თქმის უფლებას გვაძლევს სეიფოლა იოსელიანის ტექსტში დადასტურებულია სიტყვა **გამარჯუება**.

ამ სიტყვაზე კორპუსული „დაკვირვება“ პირდაპირ „ამხელს“ ინოვაციის ანატომიას. როგორც ვთქვით, ამ სიტყვას არ იცნობდნენ ფერეიდნულში 1994 წელს.

სეიფოლა იოსელიანის ტექსტში მისი **ვინიანი** ვარიანტი არ დასტურდება.

სიტყვა, როგორც ჩანს, სრულიად ახალი შეთვისებული აქვს მოქმედს. ის იყენებს მის დიალექტურ შესატყვისს (წინწალება) და შემდგომ განმარტავს დიალექტურ ფორმას სალიტერატურო შესატყვისით:

ნესირო! ჩონ წავალთო! თუ გაიგეო, რო ქერიმ-ხანის სახელი და წინწალებო –რო გამარჯვებო იყო! სადაცლა რო ვარ, მოდი ჩემთანო.

ვფიქრობთ, თუ წინადადების ჩიქობავასეულ პუნქტუაციას სულ ოდნავ შევცვლით, მისი შინაარსი უფრო ნათელი გახდება:

ნესირო, ჩვენ წავალთო, თუ გაიგებ, ქერიმხანის სახელსა და წინწალებას, რაც გამარჯვებას ნიშნავს, სადაც უნდა ვიყო, მოდი ჩემთანო.

ასე რომ სიტყვა **გამარჯვება** ინოვაციაა, მეტიც, იდიოლექტის კუთვნილებაა. ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით არ დამკვიდრებულა დიალექტში არც შემდგომ პერიოდში.

ქდკ-ში იძებნება რამდენიმე ფორმა:

გამარჯობა, გამარჯობათ-მეთქი, გამარჯობათო, გამარჯობაო, გამარჯობას, გამარჯობაცა.

ეს ფორმები ორი მნიშვნელობით გვხვდება: **გამარჯვება** (სახელზმნა) და **გამარჯობა** (მისალმება). ორივე ამ მნიშვნელობით გამოყენებული ფორმები ინოვაციური, რაც ხშირად პირდაპირ კონტექსტიდანაც ჩანს:

ახლო მიველ და არ ვიცოდი, მაგრამ გამარჯობა გემეგო. ერთსაყე რო ქართველები ერთმანერთს შეხდებიან, შეხლომაჩი გამარჯობას იტყვიან. დოოხვიე და ვეძებდი ჳგუფ-ჳგუფად იდგეს და ეზო იყო დიდი ბაღი და მოა და ექსი, ხუთნი იყნეს კაცები, ღედაკაცები ეგრედ ალყად იდგეს და ლაპარაკობდეს და მიველ თავით გერჩივა და შოოკივლეყე: გამარჯობათო! აი, გაჩუმდენ და: შენ მინა ხარ და: – ქართველი ვარ-მეთქი.

კონსერტი იყო და ქართველებიც ხო არ მენახვა და არც ვიცოდი, მაგრამ ერთ გამარჯობა გემეგო და არაფერი, არცრა ყველაფერი, საუბარი, ლაპარაკი არ ვიცოდი ქართული.

იმ დღეს რო მოიღეს, აველ გომზე და არ ვიცოდი ემე, რო თქეს, რო გამარჯიკო [= გამარჯობა], არ ვიცოდი რას ამბობენ. [გამარჯობა?] [ნარგის აბასი] – ჰა, გამარჯობა, არ ვიცოდი, რას ამბობენ. მე ხო არ ვიცი, რას ამბოფთ-მეთქი. იმისგან გამოიკითხე. [გამარჯობა ხომ იცი რაც არის?] [თანამოსაუბრე] – არ ვიცოდი. [თანამოსაუბრე] – რო აველი გომზე, სუმ თქო გამარჯობა, მე არ ვიცოდი რა არი. [ნარგის აბასი] – ჰა, მასალან, ჩონ ზირინგ დაჟძახით, ჩონ ვიტყიტყე: ეს ფოლანაქესი – ზირინგიაო. როგორი ზირინგიაო ის ფოლანაქესი, ქენ გამარჯობა, ხო, ქენ რო იტყიტყე გამარჯობაო, ჩონ ვიტყიტყე ეს ფოლან... [ნარგის აბასი] –... როგო ზირინგიაო. [ზირინგი?... ძლიერი] [ნარგის აბასი] – ზირინგი. ჰა, ზირინგი, ზირინგი. [ნარგისაბასი] – ჰა, ჰა, ჰა. ჩონ არა, ჩონ, მასალან, ვიტყიტყე: სალამ, ალეიქომ სალამო...

ეს ვრცელი ილუსტრაციები ნათლად მოწმობს, რომ სიტყვა **გამარჯვება** ინოვაციურია.

როგორც ვხედავთ, არნოლდ ჩიქობავას ჩანაწერებში დოკუმენტირებულია მნიშვნელოვანი ფაქტი: კბილბაგისმიერი ვ, რომელიც, ბუნებრივია, ესმის დიალექტის

მატარებელს სალიტერატურო ენის ძალიან მაღალი კომპტენციის მქონე პირებისგან, მის მეტყველებაში მაინც გადავიდა წყვილბაგისმიერ ბგერად (**გამარჯუება**).

უფრო მოგვიანებით ეს სიტყვა უკვე **გამარჯობა** ფორმით შედის დიალექტში, როგორც ინოვაცია:

ნამაი მიწა, ნამაი წყალი, ჰარზადი ნამაია, ფალად, მუშაობა არ არი. სუ: გომარჯოს, გომარჯოს! გამარჯობაცა ერთცოტა ანდაზა, ერთცოტა არ ვიცი, ქართულიც ნამა არ ვიცი, გული ფალათ მეწების საქართველოსათი. შეექცევინ ნამასა და სუნ არა მუშაობენ, ქალები იფომ უშაობენ და კაცებია რა, ეს არ არი ეგე ნამა.

სიტყვა **საზღვარი** სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში არ გვხვდება, მაგრამ გვიანდელ მასალაში არის. შეიძლებოდა ისიც ინოვაციად ჩაგვეთვალო, მაგრამ 1998 წელს დაშქესანაში ჩაწერილ ტექსტში მისი შიდასამეურნეო მნიშვნელობით (და არა სახელმწიფოთა შორის საზღვრის) მიჯნის მნიშვნელობით გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ ეს სიტყვა იქნებ შემონახულიც კი ჰქონდა დიალექტს (პარალელურად სინონიმური უცხო სიტყვებისა: **ჰადი და მარზი**). ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ სეიფოლას ტექსტებში გვაქვს ორი ზმნური ფორმა:

ვსაზღვრეთ: *ორდუს უფროსებმა გოგ ზავნეს ერთ სოფელჩი, რო იქით როსაცლა მუღლი შაიქნების, წავიდეთ წინ, შიდ-რუა დღეს იქ დავდევით და სანგარები ვსაზღვრეთ* [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი, 1922 წ.].

მოსაზღრონ: *რო ერთ დღეს თითან ჰუქუმათი და გერენალი ანგელისები სა მოიდეს, რო მოსაზღრონ დიდი თოფებსათი ადგილი* [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი, 1922წ.].

დაშქესანა:

ჩონ ვიცოდით ხო ჩონ საზღვარი, ჩონ სოფელის საზღვარი ანქამდე'რი, ამ ლელომდე'რი [ჩხუბიანიშვილი 1998: შაჰინა მულიანი].

კიდევაც რომ ყოფილიყო ეს სიტყვა დიალექტში შენახული, მას უკვე დაკარგვის საფრთხე დაემუქრებოდა, რადგან მისი მნიშვნელობა უკვე დავიწყებული ჩანს:

არა ქნილ რო, ეხლა ლამელა იყო, მოველ მარზზელა [საზღვარზე], ირანის, მარზ რას იტყვით ქენ? [ქდკ, აზიზოლა სეფიაშვილი, 2012].

აფყანიები გამოიდეს მარზელა და ეგ რო იბნიანყე, აფყანიები მოსულიყნეს, მოლოლიეფს დაიძახოდეს [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი, 2008].

საგულისხმოდ, რომ ყველაზე მეტი გამოყენება **საზღვარ** // **საზღვარ** ძირის სიტყვებისა სწორედ მუხტარ დარჩიაშვილის (იხ. მაგ. 11) ტექსტებშია. საქმე ის არის, რომ მან თარგმნა ბარათაშვილის „მერანი“ – შესაბამისად, მის მეტყველებაში აქტიურად „ცოცხლდება“ *დავიწყებული სიტყვები და მათ შორის – საზღვარი*:

წადიო, ჩემ რაჰშოო, შენ ვზაჩიგაო არც თა არიო და არც გორა არიო და არც საზღვარიაო, არაფერი არ არი, გადსწი და გადდიო [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი, 2008].

გადიო, გადი ექითაო, ადრე გამატარე ექითყეო და იმ საზღვარსაყეო და ემ ჩემ, – ეებალს რას ეძახით, ეებალ, ბედი! – ჰო, გადიო ემ საზღვარსაყე, გადიო და ევრე

ბელი რო მე მაქო, ემ ბედსაც მამაშორე, აღარ მინდა ეს ბელიო. ესეც ბარათაშვილის ლექსი [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი, 2008].

ვე > ო და ვა > ო პროცესები:

ვე კომპლექსის განვითარების სამ გზაზე საუბრობენ:

„ძველს ქართულში, სადაც **უე კომპლექსი** გვაქვს, ფერეიდნულში სამი რეფლექსია: **ე** (ჩვეულებრივი), **ჟ** (იშვიათი) და **ო** (ზოგიერთს პირობებში)“ [ჩიქობავა 1923: 13].

უე > ე პროცესზე საკმაოდ დაწვრილებით ვისაუბრეთ ზემოთ.

ვე > ვე პროცესის მაგალითად ავტორს მოჰყავს შემდეგი მაგალითები: ჩენ (იშვიათად), თქნთან, თქნ (იშვიათად); ჩვეულებრივად ჩონ (ნაცვ.: ჩუნენ), (თ)ქენ (ნაცვ.: თქუნენ); გუზიდნა (ნაცვ.: გუეზიდნა) [ჩიქობავა 2019: 13-14].

ამ გრაფიკული ნიშნის გამოყენება აღნიშნული მოვლენის აღსანიშნავად შემდგომში აღარავის უცდია და ასეც უნდა ყოფილიყო: **ე** შუა რიგის პალატალური ხმოვანია და მისი ლაბიალურობისკენ გადახრილი ალოფონის აღნიშვნა მხოლოდ ო გრაფიკით არის მისაღები. სწორედ ამ ნიშნით აღინიშნება მთელ ქართველურ მასალაში **ე-სკენ** „გადახრილი“ ე.წ. უმლაუტიზებული **ო** (და პირიქით – ო-სკენ გადახრილი ლაბიალიზებული ე).

ვე კომპლექსის განვითარების ალტერნატიულობა მისი შემადგენელი ბგერების არტიკულაციური თავისებურებით აიხსნება: ლაბიალური კომპონენტის (რომელიც წყვილბაგისმიერი **ვ-ს** სახით გვაქვს მოცემული) გაძლიერებით შუა რიგის პალატალური **ე** ხმოვნის ლაბიალიზაცია ხდება და მიიღება შუა რიგისავე ლაბიალური **ო**. ხოლო პალატალურობის კომპონენტის გაძლიერებით (= ლაბიალობის დასუსტებით) წარმოიქმნება პალატალურობისკენ მიმართული პროცესი (დიფთონგიზაციის საფეხურის გავლით ან მის გარეშე) მიემართება: **ვე > ე** (წერი, გელი... იხ. ზემოთ); **ვე > ჴე // > ე** (ქართუელი... იხ. ზემოთ);

ვე > ო პროცესი საკმაოდ ხშირია, განსაკუთრებით პროლექტიულია პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე პირველი ობიექტური პირის მრავლობითის **გვ-** პრეფიქსისა და **ე-** ზმნური პრეფიქსის შეხვედრისას. ეს მოვლენა ფერეიდნული დიალექტის ერთ-ერთი მკვეთრი სპეციფიკური ნიშანია, რომელიც მას ინგილოურთან აახლოებს.

ვე > ო: გობარა (< გვებარა), გოდგოკიდეს (< გადგვეკიდეს = გადაგვეკიდნენ), დოგოჭირა (< დავვეჭირა), გოზიდნა (< გვეზიდნა), გოშინიან (< გვეშინიან), ჩონ (< ჩუნენ), აჩოვს (< აჩვევს), მეხოვის (< მეხვევის), ახოვს (ახვევს)...

ფერეიდნულს ქართული ენის სხვა დიალექტებთან აახლოებს **ვა > ო** ცვლილება – ის დამახასიათებელია ძველი ქართული სთვისაც და ქართული ენის მთის დიალექტებისთვისაც. მიჩნეულია, რომ ეს ცვლილება ხდება იმ სიტყვებში, სადაც უმარცვლო **უ** – წყვილბაგისმიერი **ვ** დასტურდება:

ცხორი (ცხვარი), თოლი (თვალი), სხო (სხვა), სიტყო (სიტყვა), ძოლი (ძვალი), ჳირკოლი (ჳირკვალი), ხორბალი (ხორბალი), ხონჯარი (ხვანჯარი), ხოვი (ხვაი), ჳორტლი (ჳვარტლი), წოვე (მწავე), წოდი (მწვადი), მარცოლი (მარ-

ცვალი), ზოვი (ზვავი), მწონე (მწვანე)... [ჩიქობავა 1923: 13-14; ჩიქობავა 1927: 188-192; ჯორბენაძე 1989: 364].

თანამედროვე ქართულში ვა კომპლექსით წარმოდგენილი სიტყვები ვი და ვუ კომპლექსებისაგან განსხვავებით ოდენხმოვნის ვარიანტს არ გვაძლევს (შდრ.: ძე-ლი < ძველი, ძირი < ძვირი). ის ან უცვლელი რჩება ან, დიფთონგიზაციას განიცდის (გაღებურნით, დახაზუა...), ან, როგორც ვთქვით, სრულად ლაბიალიზებულ **ო** ხმოვანს გვაძლევს (თოლი, ცხორი...).

თუ შევაჯამებთ **ვა, ვე, ვი** კომპლექსების ცვლილების შემთხვევებს ფერეიდნულში, ასეთ მიმართებას დავინახავთ:

სულ კომპლექსის განვითარების ოთხი გზა იკვეთება:

- კომპლექსი უცვლელი რჩება;
- კომპლექსი ვითარდება დიფთონგიზაციის გზით;
- კომპლექსში რჩება მხოლოდ ხმოვანი;
- კომპლექსი ვითარდება ხმოვნის სრული ლაბიალიზაციის – „შერწყმის“ გზით.

პირველი ნიშანი სამივე კომპლექსს აქვს საერთო: **ვე** – აგორვებდა, აგატკივე, აბურთავეფო... **ვი** – აირჩივიან, აართვი, ავიდა... **ვა** – ვაბურმავეფე, აგიყვან, ვაგ-ღებ...

დიფთონგიზაცია კბილბაგისმიერი თანხმოვნის „გაფართოებითა“ და ნახევარ-ხმოვნად გადაქცევით აგრეთვე სამივე ამ კომპლექსში (ვე, ვი, ვა) დასტურდება – გუქნების, გოგუები... წისქული, შუილი... ყუავილი, აყუანიან...

ბაგისმიერი თანხმოვნის კვალის სრული გაქრობა მხოლოდ **ვე** და **ვი** კომპლექსებს აერთიანებს: წერი... ცხირი...

შერწყმა (ხმოვნის სრული ლაბიალიზაციის გზით) ისტორიულად დადასტურებული უმარცვლო უ-ს შემცველ სიტყვებში ახასიათებს სამივე კომპლექსს: ჩონ... გუნდა... ცხორი...

ეს ვითარება ცხრილში ასე აისახება:

ცვლილების სახე / კომპლექსი	ვა	ვე	ვი
რჩება უცვლელი	+	+	+
დიფთონგიზაცია	+	+	+
რჩება მხოლოდ ხმოვანი	-	+	+
ლაბიალიზებული ხმოვანი	+	+	+

ვე > ე, ვი > ი პროცესების შუალედურ გზად პალატალურ **ე** და **ი** ხმოვანთა ლაბიალიზებული საფეხური უნდა ვიგულისხმოთ: ო და უ – ე.წ. უძლავუტიანი ხმოვნები, რომლებიც ან სათანადო ლიაობის ხმოვნის პალატალიზაციით (დელაბიალიზაციით) მიიღებიან ქართულში, ან სათანადო ლიაობის ხმოვნის ლაბიალიზაციით (წვერი > წორი > წერი; გვერდი > გორდი > გერდი... ცხვირი > ცხური > ცხირი; ძვირი >

ძური > ძირი...)). ინგლოურს ამ პროცესის შუა საფეხური აქვს შემონახული.

ა ხმოვანს არა აქვს ხმოვანთა სამკუთხედზე შესაბამისი ღიაობის ლაბიალური ან პალატალური ხმოვანი, ამიტომ მისი ლაბიალიზაციის შუალედური საფეხური – გარდამავალი ხმოვანი პალატალურსა და ლაბიალურს შორის ვერ წარმოიქმნება. მისი უმლაუტიზაციით (პალატალიზაციით) შესაძლებელია მხოლოდ ე-ს მიღება, ხოლო ლაბიალიზაციით – **ო-სი**. ასეც ხდება (ცხორი, თოლი... ტიპის ფორმებში).

ფერეიდნული დიალექტის მკვლევართ ყურადღებიდან არ გამორჩენიათ გამონაკლისები: ქუა // ქუ(ვ)ა, რუა // რუა(ვა), ხუალ.

ეს სამი სიტყვა ემიჯნება იმ სიტყვებს, რომელთაც ძველ ქართულში კბილბაგის-მიერი თანხმოვნით წერდნენ, და რომლებიც ფერეიდნულში ცვლილების სხვადასხვა გზას (შერწყმა, დიფთონგიზაცია) გვიჩვენებენ.

ვ თანხმოვნის შემცველ ერთმარცვლიან ფორმათა თავისებურება ფერეიდნულში

როგორც უკვე ითქვა, ფერეიდნულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად **რუა, ქვა, ხუალ** სიტყვების თავისებურებაა: ისინი, როგორც წესი, მარცვლიანი **უ-თი** არიან წარმოდგენილი. ამით ეს ფორმები უპირისპირდებიან ყველა იმ სიტყვას, რომლებიც ე.წ. გამონაკლისთა ჯგუფში არიან გაერთიანებული და რომლებიც ძველ ქართულში მხოლოდ კბილბაგისმიერი **ვ-თი** იყო დადასტურებული. როგორც ვნახეთ, ფერეიდნულში ამ სიტყვათა ერთ ნაწილში **ვ** თანხმოვანი იკარგება, ნაწილში კი ის რჩება ნახევარხმოვნის სახით და შემდგომი ხმოვნის დიფთონგიზაციას იწვევს.

რას უნდა გამოეწვია ამ სამი ფორმის განსხვავებული რეალიზაცია ფერეიდნულში?

ეს ფორმები დადასტურებულია სრული ხმოვნით: **ქუა, რუა, ხუალ**; სრულმარცვლოვანებას ზოგჯერ კიდევ უფრო ხაზგასმით წარმოაჩენს უა კომპლექსში განვიითარებული **ვ** თანხმოვანი: **რუვა, ქუვა**.

არნოლდ ჩიქობავას ეს ფორმები ასე აქვს ასხნილი: „ფერეიდნულშივე ვხვდებით ერთ მოვლენას, რომელიც **ვ**’ს ფონეტიკურ რაობისათვის მეტად დამახასიათებელია: არის შემთხვევა „აიყვანა, სხუები“ სიტყვების ხმარებისა, ისე რომ მახვილის მატარებლად **ვ** გამოდის: „აიყვანა, სხუებიც“: **ვ-ზეა მახვილი**. აგრეთვე სიტყვაში რუა და ქუა: **ჩონ ვიენევიტ რუანი... მიველით ქუა-ყრილი**“. პირველი სიტყვა მეტწილ შემთხვევაში ძველს ქართულში **ვ**’თი იწერება, უკანასკნელი ორი ყოველთვის **ვ**’თი. აქ კი **ვ** მახვილის მატარებლად მოგვევლინა. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ ეს ბგერა ხმოვნის ჩანასახს მუდამ ატარებს, რომ ის სავსებით თანხმოვანი (კბილბაგის-მიერი **ვ** ბგერა) არ არის“ [ჩიქობავა 1927: 191].

ვფიქრობთ, ამ ფორმებში **ვ** თანხმოვნის „გასრულხმოვნება“ ამ ფორმათა ერთმარცვლიანობითაა განპირობებული.

მოკლე სიტყვების დაგრძელება სხვადასხვა სიტუაციაში ხმოვნის ჩართვით, დაგრძელებით ან მავრცობი (ე.წ. ემფატიკური) ხმოვნის ღართვით უცხო არ არის ქართული ენისათვის ზოგადად და განსაკუთრებით დიალექტებისათვის. მაგალი-

თად, სამცხურ-ჯავახურსა და ზოგ სხვა დიალექტში ერთმარცვლიანი სიტყვები იგრძელებენ ფუძისეულ ხმოვანს ან დაირთავენ მავრცობ ხმოვანს პაუზის წინ (ყველა იმ პოზიციაში, რომელშიც მავრცობი ხმოვანი გამოვლინდება); გურულში ერთმარცვლიანი სიტყვები დაირთავენ სახელობითისა და მოთხრობითის ნიშანს მხოლოდ და მხოლოდ ერთმარცვლიანობის დასაძლევად [ბერიძე 1994: 105-113];

ერთმარცვლიანობის „დაძლევას“ სხვადასხვა საშუალებით ცდილობს სალიტერატურო ქართულიც. მაგალითად, შენიშნულია, რომ ქართულისათვის უცხოა ერთმარცვლიანი სიტყვა იმპერატიულ მიმართებებში. ამიტომ წოდებითში გვაქვს: ძმაო // ძამა... ერთმარცვლიანი სიტყვა, მოქცეული კითხვით წინადადებაში პაუზის წინ, გრძელდება ან ფუძისეული ხმოვნის დაგრძელებით, ან მავრცობი -ა-ს დართვით: ეგ რა თქვი? – რა თქვი ეგა? ასევე, ზემოიმერულის შენე და ისი, სალიტერატურო: კიი? ხოო? გააქვს ბილეთი? ამ ტიპის შემთხვევებში გრძელ ხმოვანსა და მავრცობი -ა-ს „ნაკლული“ მარცვლის საკომპენსაციოდ გაჩენილად მიიჩნევენ. მსგავსი „დაგრძელება“ სიტყვაზე მახვილის შენარჩუნებას ემსახურება და მიზნად ისახავს, ენკლიტიკისგან დაიცავს მოკლე ლექსიკური ერთეული [აფრიდონიძე 1974: 110].

უმარცვლო ვ თანხმოვნის „გამარცვლოვნება“ ფუძის ცალხმოვნობის დასაძლევად და ენკლიტიკის თავიდან ასაცილებლად ასევე დამახასიათებელია ქართული დიალექტებისთვის, მაგალითად მთიულურში ვ > უ პროცესი სწორედ შესიტყვებაში – არ მაქუ ინტონაციური წონასწორობისათვის არის წარმოქმნილი და ის პირდაპირ ტვირთულობს ე.წ. მავრცობი ხმოვნის ფუნქციას შესიტყვებაში: არა მაქვ. ერთ შემთხვევაში სრულხმოვანი უ და მეორეში – მავრცობი -ა სიტყვას ინტონაციურ „ავტონომიას“ უნარჩუნებენ და იცავენ მეორე სიტყვასთან ენკლიტიკური შერწყმისგან [კობაიძე 1992: 140]. ზუსტად ამავე პრობლემის დაძლევას უკავშირდება ხევსურულში -ი სახელობითის სუფიქსის გამოვლენა - დაკარგვა ასეთ შესიტყვებებში: კაც-ი ორ და კაც ვარი [არაბული 1981: 122-123].

იგივე მოვლენა გვაქვს ფერეიდნულში რუა // რუ(ვ)ა, ქუა // ქუ(ვ)ა, ხუალ სიტყვებში – ვ კბილბაგისმიერი თანხმოვნის სრულმარცვლიან ბაგისმიერ ხმოვანში გადასვლა სწორედ სრულმნიშვნელოვანი სიტყვის ინტონაციური ავტონომიურობის შენარჩუნების გზაა. მით უფრო, რომ ფერეიდნული ბევრ სხვა დიალექტზე მეტად არის მიდრეკილი ენკლიტიკისკენ.

3.4. ენკლიტიკა ფერეიდნულში

ფერეიდნულს გამორჩეულად ახასიათებს მოკლე სიტყვების ენკლიტიკა:

არის მეშველი ზმნა ენკლიტიკურად ერწყმის წინამავალ სიტყვას: დლე'რი, სხვა'რი...

Pron + V(Aux) : ემე'ქნა (ის ქნა)

Conj + Pron : დ'ემ (და ემ), რ'იმას (რო იმას)...

Conj + V : დ'იარეს (და იარეს)

3.5. სხვა ფონეტიკური პროცესები

3.5.1. ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დაყრუება არ არის დამახასიათებელი ფერეიდნულისთვის: თეთრად, თეელად, იმნაირად, ეგეზად... თუმცა, იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ყრუ ვარიანტიც: ვაგლახათ...

3.5.2. თანხმოვანთა გემინირება. ძირითადად ეს მოვლენა რიცხვით სახელებში ან ხედსართავეებში გვხვდება და ინტენსივობას აძლევს სიტყვას: *მაგრა, შილდი, ხუთ-თი, ექსი, დაბალი, დათი, ათი, ჩალა, სამი, ცხრამეტი, სამოც... თონე, ბეური, ორი, კუტი, მეტი, მეტური, ყოტი, ნეფე, მაყარი, უჩჩენა, ყოჩი, ოცი...*

თანხმოვნის გემინირება ხშირია ნასესხებ სიტყვებში: *ამმა, ემე, ყუპპა, ხარაზი, ფორრუ, ჩაფფი, ქიფფი, გაფფი, ოფფი, თოქქა, მექქა, ლაჩჩაქი...*

3.5.3. ბგერების დაკარგვა

ისევე, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში, ხშირია სონორი ბგერების დაკარგვა სიტყვის თავში:

ბილი < რბილი

ახანძალი < ახალი რძალი

წონე < მწვანე

თორე < მთვარე

კლავი < მკლავი....

3.5.4. სიტყვის დაბოლოების მოკვეცა

ფერეიდნულისთვის დამახასიათებელია სიტყვების შემოკლება. ეს საკმაოდ დამახასიათებელი მოვლენაა, მოლაპარაკეთაგან კარგად იდენტიფიცირებული: ჩონებურები სიტყვებს მთელს ვერ ამბობენ, „კნეტენო“ უთქვამს ფერეიდნელ რეზა ონიკაშვილს [ჩხუბიანიშვილი 2012: 162]. სიტყვების შემოკლება სხვა ქართულ დიალექტებსაც ახასიათებს და, როგორც ჩანს, ძველი ქართულისთვისაც არ იყო უცხო. „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს: წა- (წადი), მო- (მოდი) და სხვ.

ფერეიდნული ამ ტენდენციას საკმაოდ ინტენსიურად ინარჩუნებს: მაძხე < მაძხელე < [მოიხელე]; ოოზი < ოოზიდე < [აუზიდე]; მო- < მოდი; გოოჭი < გოოჭირე < [გაუჭირე]; წალა < წაღიღა. ეს მოვლენა ჩვეულებრივია ქართული ენის ქვესისტემებში [Gadilia 2014].

3.5.5. გახმოვანება

ზოგი თანხმოვანთმიმღვერობის (უმეტესად სონანტის შემცველი ძირების) გახმოვანება, სხვა დიალექტების მსგავსად შეინიშნება ფერეიდნულშიც. შეიძლება ჩაერთოს ნეიტრალური (ე.წ. ირაციონალური) ხმოვანი ან **ი** და **უ**:

ვგბო, ხუბო, ძუმა, ქუმარი (ქმარი), ბურუნჯი (ბრინჯი) და ა. შ.

3.5.6. ხმოვანთა სპეციფიკური შემართვა და დამართვა

ფერეიდნულსაც, ქართული ენის ზოგი სხვა დიალექტის მსგავსად ახასიათებს იოტირებული და ფშვინიერი შემართვა-დამართვა. მკვლევართა ნაწილი მიანიშნებს ე.წ. მკვეთრ ანუ ფარინგალურ შემართვა-დამართვაზეც. ეს საკითხი ლეტალურადაა განხილული თავში „ბგერითი შედგენილობა“.

ფერეიდნულს, ისევე, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებს, ახასიათებს თანხმოვანთკომპლექსების სისტემური და სპონტანური ცვლილებები (ბგერათა გადასმა, დაკარგვა, განვითარება, შენაცვლება...). ქართული დიალექტური კორპუსი მაქსიმალურად ასახავს ფუძეთა ვარიაციულობას. ცალკეულ შემთხვევათა ანალიზს აქ არ შევუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ფერეიდნულის მორფო-ფონემატურ ცვლილებათა მექანიზმი მთლიანად ემთხვევა ქართული დიასისტემის მონაცემებს.

თავი IX

სახელური მორფოლოგიის თავისებურებანი ფერაიდნულში

1. სახელური ფორმანარმოების თავისებურებები

1.1. შესწავლის ისტორიიდან

სახელური მორფოლოგია დიალექტური დიფერენციაციის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელია. სხვადასხვა ლინგვისტური ფაქტორის მოქმედების შედეგად ინტონაციასთან ერთად სწორედ ამ უბანზე იქმნება შთამბეჭდავი მრავალფეროვნება, რომელიც ქართული დიალექტებისა და მათი შიდა ქვესისტემების გამონაწევრების საშუალებას იძლევა.

ფერეიდნულიც არ არის ამ მხრივ გამონაკლისი.

დიალექტის თავისებურებების შესწავლისას ჩვენ, რასაკვირველია, ვეყრდნობოდით ფერეიდნულის შესახებ არსებულ ყველა გამოკვლევას.

საანალიზოდ გამოვიყენეთ სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული თუ ჩვენ მიერ მოპოვებული ტექსტური და საანკეტო მასალები.

მასალის მოპოვების პროცესში გათვალისწინებული იყო ქართული დიალექტოლოგიის გამოცდილება და სხვა ქართულ დიალექტებში სახელური მორფოლოგიის სფეროში გამოვლენილი თავისებურებები. საჭირო ინფორმაციის მისაღებად გამოვიყენეთ ანკეტირების მრავალფეროვანი საშუალებები, მათ შორის, სხვადასხვა ტიპის ფოტოკოლაჟი და სიტუაციური ამოცანა, რომელსაც რესპონდენტები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად წყვეტდნენ. ასეთი გზით ვცდილობდით თემატური სიტუაციის სიმულირებას და ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დაკვირვების დამატებით შესაძლებლობას ვქმნიდით.

აღნიშნულია, რომ ბრუნების სისტემა ერთიანია ქართული ენის არსებობის ისტორიულ და ტერიტორიულ ნაირსახეობებში [ჯორბენაძე 1989; 1998; გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 58 და სხვ.], რაც იმას ნიშნავს, რომ არც მორფოლოგიური ინვენტარისა და არც ბრუნათა ფუნქციური რეალიზაციის თვალსაზრისით არსებითი ცვლილება ენაში არ მომხდარა. მიუხედავად ამისა, სახელთა ბრუნება ერთ-ერთი ის უბანი ენობრივ მოვლენათა იერარქიაში, რომელიც ქმნის დიალექტურ ფორმათა მნიშვნელოვან მრავალფეროვნებას.

სახელთა ბრუნებაში გამოვლენილ ამ მრავალფეროვნებას განაპირობებს, ერთი მხრივ, მორფოლოგიური ელემენტების, ბრუნვის ნიშნების ფონეტიკურ ნაირსახეობათა სიმრავლე, მეორე მხრივ, ამ ნიშანთა გამოვლენისა და მათთან დაკავშირებული მორფოფონემატური ცვლილებების სრულიად განსხვავებული სურათი დიალექტებში. მაშინაც კი, როცა დიალექტები არ სხვაობენ ერთმანეთისგან მორფოლოგიური ინვენტარით, განსხვავება ბრუნების თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამ განსხვავებას ქმნის სახელთა ბრუნების კომპლექსურ მახასიათებელთა (ფუძის ფონეტიკური ბუნება, ალომორფებისა და ფონეტიკური ვარიანტების რანჟირების წესი, სახელის პოზიციური სტატუსი შესიტყვებაში, სემანტიკური ჯგუფი, პაუზა, ინფორმაციის სტრუქტურირების მოდელი) სხვადასხვაგვარი კომბინირება.

ცალკეული ქართული დიალექტების შესახებ მონოგრაფიულ გამოკვლევებში სახელთა ბრუნების თავისებურებათა აღწერის სქემა ტრადიციულად ასეთია:

- ბრუნვის ნიშანთა ფონეტიკური ვარიანტები;
- სახელთა კუმშვისა და კვეცის თავისებურება;
- მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება;
- მრავლობითის წარმოება;
- თანიანი და ორობითი მრავლობითის არსებობა - არარსებობა...

საკმაოდ დეტალურად არის შესწავლილი სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული მორფოლოგიური ინვენტარი, პარადიგმატულ და სინტაქსმატურ მიმართებათა სიმრავლე. მიუხედავად ამისა, ჯერ მაინც ამოუწურავია ის მრავალფეროვნება, რომელიც ქართული დიალექტების სახელურ ფორმაწარმოებას ახასიათებს.

ფერეიდნულში სახელთა ბრუნების შესახებ ცნობები პირველ კვლევებშივე ჩნდება.

არნოლდ ჩიქობავამ სახელური მორფოლოგიიდან შემდეგი თავისებურებები გამოყო¹⁰²:

1. ნათესაობითსა და მოქმედებითში ა და ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელების უკვეცელობა: „*ბენა ქნა ემისი და ამისი დაჭერასი და ღამით ღონებასი (დაჭერისა და ღონებისა)... დაიწყობენ ყანას ვნვას... თუ დახადთ (= დანით) არი, გაჭრას ვიტყით... წეელოყე სუფრადთ (= სუფრით)... ტყივადთ (= ტყვიით) კარს დავხრეთ... „ხუთას ცხენიანითა და რაქთენ მეთოფეითა... ოცი მეთოფეით (= მეთოფით)... ცხორები გააძღონ ბზეთ (= ბზეთი = ბზით)...*“ [ჩიქობავა 2010 (1927): 198]. მკვლევარი უკვეცელობის ამ შემთხვევებს ო და უ-ზე დაბოლოებულ სახელებს ადარებს და აღნიშნავს, რომ თუ ო და უ „ფუძისეულად რჩებოდნენ ბრუნების მთელ სივრცეზე; ა და ე კი ყოველ შემთხვევაში ნათესაობითსა და მოქმედებითში არა ჩანდა... ფერეიდნულის ხსენებული მაგალითები ცხად ჰყოფენ, რომ პროცესი ა და ე'-ს ფუძესთან შეხორცებისა ღრმავდება და სავსებით შესაძლებელია ისინი გახდნენ ისევ მკვიდრი ფუძისეულები, როგორცაა ამჟამად ო და უ“ [ჩიქობავა 2010 (1927): 199].

102. აქ მოგვყავს ავტორის შენიშვნები როგორც ფორმაწარმოების, ისე სიტყვაწარმოების საკითხებზე — გამოვყავით ყველა საკითხი, რაც ამ ნაშრომში სახელურ მორფოლოგიაზე ითქვა.

2. ნაცვალსახელების მრავლობითის -ებ-იანი წარმოება: **ისეები, ესეები...** და სხვ. მაგალ.: „*ესეები ჩამოიდნ ისფანს... ისეები დააკრეს თარგ ზე... ლამით ორი ესეები და ოთხი ჩონ გავგ ზავნითყე სანგარჩი...*“ [ჩიქობავა 2010 (1927): 199].
3. რიცხვითი სახელების თავისებური (ძველი) ფორმით გამოყენება: ათორმეტნი, რუა [ჩიქობავა 2010 (1927): 200].
4. ასეულობით თვლის თავისებურება: თოთხმეტი ასი თუმანი გამართოყე (აქ ავტორი მიუთითებს მთის კილოებში ანალოგიურ მოვლენაზე და აკ. შანიძის ნაშრომს ასახელებს) [ჩიქობავა 2010 (1927): 199].
5. -იარ სუფიქსის გამოყენება -იერ-ის ნაცვლად: ცარიალი, შიარი, ქონიარი, შენიარი თორიალება...
6. ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და ზმნისართების განსხვავებული დეიქტური მიმართებები: **ესე, ეგ** (ეგეთი), **მაგე, მაგ; ანსი, ისი... ექ** (= აქ); **მანდ // ანქა** (= მანდ); **იქ... ექით** (= აქიდან), **ანქით** (= მანდდან), **იქით** (= იქიდან).
7. **იმითი** ნაცვალსახელის თავისებური ფორმა.
8. თანდებულები: **ჩი, ყე(ნ), თი**. თი თანდებულს სვანურ მასალასთან აკავშირებს.
9. **იფო < უფრო**.

იური მარის მცირე მიმოხილვაში სახელთა მორფოლოგიის შესახებ განსაკუთრებული შენიშვნა არ არის მოცემული, თუმცა მკვლევრის მიერ საილუსტრაციოდ მოხმობილი მასალა გარკვეულ ცნობებს მაინც შეიცავს ამ სფეროზე, კერძოდ:

1. დასტურდება მავრცობიანი (ე.წ. ემფატიკურნმოვნიანი) მსაზღვრელი: **ხისა არის**.
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი „შენი“ მსაზღვრელად ინარჩუნებს ნათესაობითის ს-ს: შენის ღოვლათით.
3. ასევე დადასტურებულია მავრცობი ხმოვანი ზმნიზედასთან: **როგორა ხარ?**
4. დადასტურებულია კუმშვის შემთხვევა: **მაყრის კაცები**.
5. თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი დასტურდება ფუძის სახით: **დიდ თითი**.
6. მიცემითში დასმული არსებითი სახელის ზმნიზედად გამოყენება ბუნებრივი ჩანს: ფაიზი (შემოდგომა) – **ფაიზს** (შემოდგომით, შემოდგომაზე).
7. კომპოზიციის წესი შენარჩუნებულია: **ცოლ-ქმარი** (მკვლევარი აქვე შენიშნავს: ცალკე სიტყვა „ცოლს“ არ იცნობს დიალექტი. მის ნაცვლად გვაქვს „დედაკაცი“).
8. **-ობა** სუფიქსი აწარმოებს მასდარს არაქართული ძირებიდანაც: **მორახასობა**.

ფერეიდნული დიალექტის სახელური მორფოლოგიის საკითხებს ცალკეულ ნაშრომებში შეეხნენ შემდგომი თაობის მკვლევრებიც. საკითხის სისტემური აღწერა არცერთ მათგანს არ მოუცია, თუმცა ცალკეული თავისებურებები განხილული იყო. ყველაზე ნაყოფიერი სამუშაო ამ მხრივ გასწია „სამეულის“ ჯგუფმა (ჩხუბიანიშვილი, უთურგაიძე, გიუნაშვილი), მათ ერთობლივ და ცალკე ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიებსა

და თეზისებში ყურადღება გამახვილდა სახელური მორფოლოგიის შემდეგ საკითხებზე:

1. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **სუყველა, ყველანი** წარმოდგენილია შემდეგი ფორმებით: სუნი, სუნივენი, სუთ, სუნივენთ, სუთუენტ. ეს ფორმები დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულადაა ქცეული, დაირთავენ ნაწილაკებს: სუ-ნივ, სუმ, სუნივენთ;
2. ზედსართავი – მიღებული ნაცვალსახელებისა და „სიდიდე“ ფორმის შერწყმით: ემსიდე, ექსიდე < ეგსიდე, რაგდიდე, ერთცოტა > ერცოტა, ბეჭრსხანია // ბეჭრისხანია;
3. თანდებულის ფუნქციით **უკან** ხშირად ერთვის სახელის თანიან მრავლობითს: სადილთუკან, ნაჭრუსთუკან, კართუკან [ჩხუბიანიშვილი 2012: 192];
4. ორმაგი ბრუნვის ნიშანი მოთხრობითში – ბიჭმამ [ჩხუბიანიშვილი 2012: 189];
5. ყე თანდებული [ჩხუბიანიშვილი, ჯორბენაძე, რამიშვილი].

ბესარიონ ჯორბენაძის „ქართული დიალექტოლოგია“ მანამდე არსებული კვლევებისა და ტექსტური მასალის მიხედვით შექმნილ კრებსით რეზიუმეს გვთავაზობს. აქ განხილულია სახელური მორფოლოგიის ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

1. ა-ზე დაბოლოებულ სახელთა უკვეცელობა;
2. ნათესაობითი ბრუნვის სრულად შენარჩუნება მსაზღვრელ სახელებთან;
3. დრო-ჟამის სახელების ნათესაობითის ფორმის გამოყენება ზმნიზედად;
4. მოქმედებით ბრუნვაში სახელთა უკვეცელობის ფაქტები;
5. ი ხმოვნის გამოყენება მავრცობი ხმოვნის ფუნქციით;
6. -ჩი, -თი // -თ, -თე, -ზეგა, ყე(ნ) თანდებულების არსებობა;
7. დეიქსისის თავისებურება ნაცვალსახელებსა და ზმნისართებში;
8. **ვიდრე-ს** ნაცვალად ნასესხები **თა** წინსართის გამოყენება;
9. მესამე პირის ნაცვალსახელთა -ებიანი მრავლობითი (**ესები, ისები...**) [ჯორბენაძე 1989: 367-370].

სახელური მორფოლოგიიდან დეიქსისსა და სხვა რამდენიმე სპეციფიკურ თავისებურებას მოიხსენიებს მაია მაჭავარიანი [მაჭავარიანი 1985: 176-177].

სახელთა ბრუნების საკითხებს დარეჯან ჩხუბიანიშვილი შედარებით სისტემურად შეეხო ფერეიდნულის გრამატიკული პარადიგმების აღწერისას. ეს სამუშაო მან შეასრულა გიორგი გოგოლაშვილის თხოვნით, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე (2009 წ.). სწორედ გიორგი გოგოლაშვილმა გადმოგვცა ხელნაწერი, რომელიც გამოვქვეყნეთ დარეჯან ჩხუბიანიშვილის შრომების კრებულში სათაურით: სახელური და ზმნური ფორმაწარმოებისათვის ფერეიდნულში [ჩხუბიანიშვილი 2012: 192-202]¹⁰³.

აი, ეს საბაზისო მასალა სამეცნიერო ლიტერატურულიდან, რომელიც ხელთ გვქონდა ფერეიდნულის სახელური მორფოლოგიის ანალიზისას.

თუ დარეჯან ჩხუბიანიშვილის პარადიგმების ცხრილს არ ჩავთვლით, დიალექტის

103. მოვიანიებით პარადიგმები გამოქვეყნდა ორჯერ [გოგოლაშვილი და სხვ. 2016; 201]

შესახებ არსებული ყველა სამეცნიერო გამოკვლევა ტრადიციულად ეძღვნებოდა მხოლოდ დიალექტისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მოვლენათა აღწერას და სახელურ მორფოლოგიაშიც ამ სპეციფიკურ ნიშანთა იდენტიფიკაცია თუ ანალიზი სულ რამდენიმე მოკლე შენიშვნით არის წარმოდგენილი. მორფოლოგიური პარადიგმების ცხრილების შედგენა გ. გოგოლაშვილის მიერ წამოწყებული პროცესი და ქართული დიალექტების თუნდაც სქემატური, მაგრამ **სისტემური** აღწერის პირველი ცდა იყო.

ფერეიდნული დიალექტის სახელური მორფოლოგიის მონოგრაფიული აღწერის ჩვენი პროგრამა, რასაკვირველია, ითვალისწინებდა იმ ფასდაუდებელ მასალას, რომელიც ქართულ დიალექტოლოგიაში დღემდე დაგროვდა. ამასთან, გულისხმობდა ამ მასალის გულდასმით გადამოწმებას, ახალი ტექსტური და ანკეტური ინფორმაციით გამდიდრებას. ჩვენ მიერ შექმნილი ტექსტური მასივისა და ლექსიკონის კორპუსულმა გამოცემამ უზრუნველყო მასალის ხელმისაწვდომობისა და კვლევის მანამდე უპრეცედენტო მასშტაბი.

სახელური მორფოლოგიის აღწერის ჩვენი სტრატეგია, ამასთანავე, გულისხმობდა ქართულ სამეცნიერო დიალექტოლოგიაში დამკვიდრებული ტრადიციის ერთგვარ „გადასინჯვას“ და დიფერენციული მიდგომის ანუ დიალექტების მხოლოდ სპეციფიკური ნიშნების გამოყოფის ნაცვლად ითვალისწინებდა მოვლენის სისტემურ აღწერას. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კუნძულოვანი დიალექტების შემთხვევაში, რადგან უცხოენოვანი გარემოს გათვალისწინებით საინტერესოა არა მხოლოდ დიალექტებთან და სალიტერატურო ენისგან განმასხვავებელი თავისებურებები, არამედ საკუთარ დიასისტემასთან საერთო ყველა ის თვისება და კანონზომიერება, რომლებიც დიალექტმა უცვლელად შემოინახა ან შინაგანი ტენდენციით განავითარა¹⁰⁴.

სახელური მორფოლოგიის შესწავლისას, გარდა არსებული და ჩვენ მიერ შექმნილი ტექსტური კოლექციებისა, გამოვიყენეთ სპეციალური კითხვარები, რომლებიც, ერთი მხრივ, უნდა მომსახურებოდა ქართულ დიალექტოგრაფიულ და დიალექტოლოგიურ ტრადიციაში ჩამოყალიბებულ მოსაზრებათა გადამოწმებას, მეორე მხრივ – სახელური ფორმა- და სიტყვაწარმოების მოდელების გამოვლენას, აღწერასა და ანალიზს.

მუშაობის პროცესში დაგროვდა მნიშვნელოვანი მასალა დიალექტის სახელური მორფოლოგიის ახლებურად და სისტემურად გასააზრებლად. გამოიკვეთა სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ენობრივი ფაქტების ნაწილი, რომელიც დამახასიათებელია ფერეიდნული სთვის და რომელთა იდენტიფიკაციამ, კვლევამ და სამეცნიერო სივრცეში შემოტანამ დიდად წასწია წინ ქართული დიალექტოლოგია. ამასთან, გამოვლინდა უამრავი ფაქტი, რომლებიც ან არ იყო შემჩნეული მანამდე, ან მცდარად (არაზუსტად) იყო კვალიფიცირებული. მნიშვნელოვნად გასწორდა სახელური პარადიგმები, რომლებიც უკანასკნელ ხანს შემოვიდა ქართულ სამეცნიერო სივრცეში. გასწორება შეეხო არა მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც შეუმჩნეველი დარჩათ წინა თაობის მკვლევრებს (მაგალითად, მორფოლოგიური ელემენტების ვარიან-

104. განვითარების შინაგანი ტენდენციების გამოვლენაზე ფერეიდნულში დარეჯან ჩხუბიანიშვილმა აღნიშნა ერთ-ერთ მოხსენებაში [ჩხუბიანიშვილი 2012 (2006): 160].

ციულობა სოფლების მიხედვით), არამედ იმასაც, რაც თითქოსდა უდავოდ იყო მიჩნეული – მაგალითად, ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნების საკითხს [იხ. ქვემოთ].

1.2. სახელთა ბრუნება ფერეიდნულში

სახელთა ბრუნების (არსებითი, ზელსართავი, ნაცვალსახელი, რიცხვითი) სისტემა ქართული ენის დიალექტებში ერთია. განსხვავებას დიალექტებს შორის ქმნის: ბრუნვის ნიშანთა ფონეტიკური ვარიაციულობა, რედუქციის ქონა-არქონა, რედუქციის ხარისხი, რედუქცირებადი ფუძეების განსხვავებულობა და რედუქცირებადი და არარედუქცირებადი ფუძეების ვარიაციულობა დიალექტის შიგნით, ხმოვანფუძიან სახელთა კვეცა-უკვეცელობა, სემანტიკის, პრაგმატიკის, ინტონაციის გავლენა მორფოლოგიურ პროცესებზე და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ბრუნვათა რაოდენობა, ბრუნების ტიპები და მორფოლოგიური ინვენტარიც თითქმის საერთოა დიალექტებისთვის, ვარიაციულობა ბრუნების სისტემაში არსებითია და ის არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი დიალექტის მატარებლის „თვითშეფასებისას“. გამოჯავრებისას – იქნება ეს საკუთარი დიალექტური კოდის თუ მეზობლების გამოჯავრება, ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ხერხია სახელობითი ბრუნვის ფორმების ვარიაციულობაზე ან მავრცობ ხმოვანზე მინიშნება, კვეცისა და კუმშვის „არაკანონიკური“ შემთხვევები და სხვ. შესაბამისად, ამ თავისებურებათა შენარჩუნება თუ დათმობა კოდების ცვლისა და კოდური გადართვის პროცესში არსებითი და გააზრებული ენობრივი მანიპულაციაა დიალექტის მატარებლისათვის [ბერიძე 1998].

ფერეიდნული სახელის ბრუნების თავისებურებათა გამოვლენა და აღწერა ჩვენს ნაშრომში სწორედ დიასისტემური პანორამის რაც შეიძლება სრულად წარმოსადგენად წარიმართა.

1.2.1. ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება

სახელობითი ბრუნვა. ქართულ დიალექტებში სახელობითი ბრუნვის ნიშნების ალომორფები:

ძველი ქართული	ახალი ქართული	დიალექტები
-0 ¹⁰⁵ , -ი // -ჲ	-0, -ი	-0, -ი // -ჲ

ეს ცხრილი თითქოს არ აჩვენებს დიდ ვარიაციულობას.

ახლა ვნახოთ, როგორ ნაწილდება ეს ნიშნები სახელთა ფუძის აგებულების მიხედვით:

105. აქ სახელობით ბრუნვას განვიხილავთ და არ ვგულისხმობთ ძველი ქართულის წრფელობითს, რომელიც აგრეთვე ნულოვანი ნიშნით, ფუძის სახით არის წარმოდგენილი.

თანხმოვანფუძიანი სახელები: კაც-ი

ძველი ქართული	ახალი ქართული	დიალექტები
კაც-ი	კაც-ი	კაც-ი; კაც-ი

ხმოვანფუძიანი სახელები: დედა, ელენე

ძველი ქართული	ახალი ქართული	დიალექტები
დედა -ა, ელენე-ი	დედა-ი, ელენე-ი	დედა-ი // ა, ელენე-ი // ა..., დედა-ი, ელენე-ი...

როგორც ვხედავთ, დიალექტებში მორფემულ დონეზე არა გვაქვს დიდი განსხვავება და ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ისინი არსებითად არ დაშორებიან ძველ ქართულს, მაგრამ ეს ასე არ არის. განსხვავებას ქმნის სახელთა ჯგუფების მიხედვით ამ ნიშნების დისტრიბუციის წესი. ძველ ქართულში საკუთარი სახელები უგამონაკლისოდ ნულოვანი ბრუნვის ნიშნით იყო გაფორმებული, დიალექტებში კი პირიქითაა – უმეტესად საკუთარ ან საკუთარი სახელის ფუნქციის მქონე სახელებთან ჩნდება ბრუნვის ნიშანი. იქმნება საკმაოდ ჭრელი სურათი, თუმცა გარკვეული კანონზომიერების დანახვა მაინც შესაძლებელია;

დიალექტების უმრავლესობაში ხმოვანფუძიანი სახელების სახელობით ბრუნვა-ი // ა ფორმანტით არის გართულებული (გამონაკლისია რამდენიმე დიალექტი და თქმა: კახური, ზემოაჭარული, იმერულისა და ქართლურის ზოგიერთი თქმა, ალიბათური თქმა ინგილოურში), თუმცა დიალექტებს შორის განსხვავება ხმოვანფუძიან სახელებში ნულოვანი და სუფიქსური დაბოლოების ქონა-არქონით არ შემოიფარგლება.

დიალექტები, რომლებიც ხმოვანფუძიან სახელებში ბრუნვის ნიშანს დაირთავენ ორ ჯგუფად იყოფა:

1. დიალექტები, რომლებშიც ბრუნვის ნიშანს დაირთავს ყველა ხმოვანფუძიანი სახელი, საკუთარიცა და საზოგადოც;
2. დიალექტები, რომლებშიც ხმოვანფუძიანი სახელების ერთი ნაწილი, სალიტერატურო და ძველი ქართულის მსგავსად, ოდენ ნულოვანი სუფიქსით არის გაფორმებული და მხოლოდ სახელთა გარკვეული ჯგუფებია, რომლებიც სახელობითში ბრუნვის ნიშანს დაირთავენ.

პირველი ჯგუფის დიალექტებში ბრუნვის ნიშანი გამოვლინდება პოზიციის მიხედვით – უფრო მეტად პაუზის წინ (ყველა ხმოვანფუძიანი – პოზიციით შეპირობებული).

მეორე ჯგუფის დიალექტებში პოზიციას არა აქვს მნიშვნელობა ბრუნვის ნიშნის დართვისას (ხმოვანფუძიანთა სხვადასხვა ჯგუფი – პოზიციისგან დამოუკიდებლად).

ყველაზე დიდ მრავალფეროვნებას ქმნიან დიალექტთა მეორე ჯგუფის ის სახელები, რომლებიც ბრუნვის ნიშანს დაირთავენ. ყველა დიალექტის ანალიზის შედეგად გამოიყო შემდეგი ჯგუფები:

- საკუთარი სახელები

- საკუთართან გაიგივებული სახელები (მამა, დედა, ბიძა...)
- მხოლოდ -ა ხმოვანზე დაბოლოებული საკუთარი ან მათთან გაიგივებული სახელები
- მხოლოდ ორ- და მეტმარცვლიანი საკუთარი ან მათთან გაიგივებული სახელები
- მხოლოდ ერთმარცვლიანი სახელები
- -ა სუფიქსიანი (ან სუფიქსად გაგებული -ა- შემცველი) სახელები.

დიალექტური მრავალფეროვნება განპირობებულია იმით, რომ თითოეული დიალექტი ბრუნვის ნიშნით აფორმებს აქ ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ჯგუფის სახელებს.

მაგალითად:

სამცხურ-ჯავახური: 1. საკუთარი და მასთან გაიგივებული ყველა ხმოვანფუძიანი სახელი, განურჩევლად იმისა, რომელი ხმოვანია ფუძის ბოლოს – ა, ე, ი, ო, უ) (აკრძალვა: ეს წესი ვრცელდება მხოლოდ ორ- და მეტმარცვლიან სახელებზე და არა ერთმარცვლიანზე!); 2. -ა სუფიქსიანი ხმოვანფუძიანი ზედსართავები: (დიდყურ-ა, კუნტლია...), აგრეთვე მათთან გაიგივებული „პატარა“.

გურული: 1. ერთმარცვლიანი საზოგადო სახელები (ა, ე, ი, ო, უ): ქვაი, კტეი, ხფოი, ცრუი...; 2. საკუთარი და საკუთართან გაიგივებული სახელები; 3. -ა სუფიქსიანი სახელები.

აჭარული: 1. ერთმარცვლიანი სახელები (ზემოაჭარულის გარდა); 2. საკუთარი და მასთან გაიგივებული სახელები; 3. -ა სუფიქსიანი სახელები.

მთიულურ-გუდამაყრული: მხოლოდ და მხოლოდ -ა ხმოვანზე დაბოლოებული საკუთარი სახელები; 2. -ა სუფიქსიანი სახელები; 3. უ-ზე დაბოლოებული სახელები (რუ // რუვი, ბუ // ბუვი...)¹⁰⁶

ქვემო იმერული: 1. საკუთარი და მასთან გაიგივებული სახელები; 2. მხოლოდ -ა ხმოვანზე დაბოლოებული სახელები.

იმერული, უხუთური: მხოლოდ ერთმარცვლიანი სახელები, იშვიათად ორ- და მეტმარცვლიანი.

ფშაური: 1. მხოლოდ -ა ხმოვანზე დაბოლოებული საკუთარი სახელები; 2. მხოლოდ -ა სუფიქსიანი სახელები;

ლენხუმური: -ა ხმოვანზე დაბოლოებული სახელები

მონური: 1. -ა ხმოვანზე დაბოლოებული სახელები; 2. რუვი, ბუვი... ტიპის სახელები [დელტალურად ამ საკითხზე: ბერიძე 1994: 114-145].

როგორც ვხედავთ, ამ ჯგუფის დიალექტებისთვის უნივერსალური ნიშანია:

1. საკუთარ სახელებზე სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვა;
2. -ა სუფიქსიანებზე სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვა.

106. ეს სახელები ძველ ქართულშივე იყო თანხმოვანფუძიანი და მხოლოდ ახალ ქართულში გახდნენ ხმოვანფუძიანი.

უ ხმოვანზე დაბოლოებულად მათი განხილვაც პირობითია.

ძირითად განსხვავებას დიალექტებს შორის ქმნის შეზღუდვები შემდეგი მახასიათებლების ქონა-არქონის მიხედვით :

1. სახელების ფუძის დაბოლოება: მხოლოდ -ა > < ყველა ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ) (ეხება არასუფიქსური წარმოების სახელებს);
2. ერთმარცვლიანობა – ორ-და მეტმარცვლიანობა.

როგორც ვხედავთ, სრული ერთგვაროვნება -ი // -ე-ს გამოვლენის მხრივ არც დიალექტთა ამ ჯგუფში გვაქვს, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ყველა ამ დიალექტში ბრუნვის ნიშნის დართვა სახელობითში უკავშირდება -ა ხმოვნის მქონებლობას ფუძის ბოლოკიდურად, დამატებით სხვაობებს კი ქმნის უკვე მოვლენის განზოგადება სხვა ხმოვნებთან ან შეზღუდვა ფუძის მარცვლიანობის მიხედვით.

ვფიქრობთ, ის ფაქტი, რომ ამ ჯგუფებში მოხვდა საკუთარი და უკვეცელი (სუფიქსური -ა უკვეცელია ქართულში) სახელები, მიგვანიშნებს მოვლენის ფონეტიკურ ხასიათზე, რადგან საკუთარი სახელებიც უკვეცელები არიან ქართულში. -ი // -ე ხმოვნის დართვა ამ ტიპის სახელებთან სწორედ უკვეცელი, ინტენსიური ხმოვნის ბუნებით უნდა იყოს გამოწვეული. საინტერესოა, რომ თუშურში უკვეცელ -ა ხმოვანს ახასიათებს მკვეთრი დამართვა: დროშა-ყ... [ბერიძე 1994].

სავარაუდოდ, ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნვის ნიშანი დიალექტებში ფონეტიკური და ინტონაციური ფუნქციით არის გამყარებული. არ არის გამორიცხული, რომ ის წარმოადგენდეს უკვეცელი ან ინტენსიური ხმოვნის იოტიზებული დამართვის შედეგს ისევე, როგორც თუშურში, სადაც უ არის მკვეთრი დამართვის ნიშანი და მას მიიჩნევენ უკვეცელობის თანამდევ მოვლენად [უთურგაიძე 1966: 35]. ინტენსიური ხმოვნის (მაგალითად, სიმღერის დროს სტრიქონის ბოლო ხმოვნის) იოტიზაცია დღესაც ცოცხალი პროცესია ქართულში. ასევე შეიძლება იყოს ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითის $ე > ი$ წარმომავლობით იოტირებული დამართვის შედეგად გაჩენილი, შესაბამისად, ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითი ბრუნვის გაფორმების ახალი სურათი დიალექტებში ფონეტიკური (ინტონაციური) მოვლენის მორფოლოგიზების პროცესის ანარეკლად შეიძლება მივიჩნიოთ [ბერიძე 1994].

ინტონაციური დაბალანსების ფუნქცია განაპირობებს ხმოვანფუძიანი სახელების სახელობითი ბრუნვის გაფორმების თავისებურების მაღალ ღირებულებით წონას სამეტყველო კოდების ცვლის პროცესში: სალიტერატურო კოდზე გადართვისას აუცილებელია ამ ნიშნის ნიველირება, აგრეთვე, გამოჯავრებისას აქტუალიზდება სწორედ ეს ნიშანი.

ხმოვანფუძიანი სახელების სახელობითი ბრუნვის გაფორმება დიალექტური დიფერენციაციის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ქართულში.

რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ ფერეიდნულში?

როგორც ფერეიდნულის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის სქემატური მიმოხილვიდან ვნახეთ, ამ საკითხზე საგანგებო მინიშნება არცერთ მკვლევარს არ გაუკეთებია. არადა, განსაკუთრებით საინტერესოა სწორედ ფერეიდნულის ვითარება ამ მხრივ, რადგან ძველ ქართულში ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან არანაირი ბრუნვის ნიშანი არ ჩანს, ხოლო საზოგადო სახელები ყოველთვის ბრუნვისნიშნა-

ნია, ახალი ქართულის ვითარება კი ხმოვანფუძიან საკუთარ სახელთა სახელობითი ბრუნვის წარმოდგენის მხრივ, როგორც ვნახეთ, სრულიად განსხვავებულია. ფერეიდნული დიალექტის სურათი ახალი ტენდენციის ინტენსიურობის, სისტემურობისა და მასშტაბის წარმოდგენისა და თუნდაც დათარიღებისთვის მნიშვნელოვანი დასაყრდენია.

ავტორები არ აღნიშნავენ, რომ ასეთი მორფოლოგიური მახასიათებელი დიალექტისთვის ნიშანდობლივია, არ ასახელებენ სახელობითი ბრუნვის ნიშნის (-ი // -ე) ვარიანტებს, არ არსებობს საილუსტრაციო მასალა.

ამის შესახებ არც იმ მცირე შესავალ რეზიუმეშია ნათქვამი, რომელიც დარეჯან ჩხუბიანიშვილმა დაურთო თავის პარადიგმებს, თუმცა თავად პარადიგმებში ხმოვანფუძიან სახელთა სახელობით ბრუნვას პარალელური ფორმებით წარმოადგენს. ავტორს სამი მაგალითი მოჰყავს საილუსტრაციოდ, -ა, -ე და -ო ხმოვანფუძიანები: **ვმაღ¹⁰⁷, ღამე(ღ), წყარო(ღ)**. საგულისხმოა, რომ ამ პარადიგმებში ბრუნვის ნიშნის სრულხმოვნის ვარიანტები არ არის დამოწმებული, თუმცა ყველა იმ დიალექტში, რომლებსაც ახასიათებს ხმოვანფუძიან სახელთა სახელობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის დართვა, -ე სიტუაციურად ვარიაციულია სრულხმოვან -ი-სთან.

არც რეზიუმეში, არც სქოლიოში და არცერთ გამოქვეყნებულ მიმოხილვაში, როგორც ვთქვით, არ არის ეს მოვლენა კომენტირებული, თუმცა რამდენიმე აუცილებელი კითხვა ისეთი მოვლენის აღწერისათვის, როგორცაა ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნვა დიალექტებში, აუცილებლად უნდა გაჩენილიყო:

1. არის თუ არა ნამდვილად დამახასიათებელი ფერეიდნულისთვის ხმოვანფუძიან სახელებში სახელობითის ბრუნვის ნიშნის დართვა?
2. რამდენად განზოგადებულია ეს მოვლენა დიალექტში – არის ის დიალექტური კუნძულის მთელი სივრცისთვის, ავტორის ტერმინოლოგიით, ზემო და ქვემო ფერეიდნულისთვის, ერთნაირად დამახასიათებელი თუ ერთი რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მეტყველების თავისებურებაა?
3. რამდენად რეგულარულია ეს მოვლენა? პარადიგმებში აღნიშნული ვარიაციულობა ერთ კოლექტივს ან ერთი პირის მეტყველებაშია დასაშვები თუ სივრცულ ან სხვა რაიმე სახის დისტრიბუციასთან გვაქვს საქმე?

ამ და სხვა თანამდევ შეკითხვებზე პასუხი ფერეიდნულის შესახებ არსებულ ლიტერატურაში არ მოიპოვება. შესაბამისად, ჩვენ ამ საკითხის შესწავლა მოგვიხდა კორპუსული მასალისა და საკუთარ ექსპედიციებში მოპოვებული ანკეტური მონაცემების საფუძველზე.

ანკეტური გამოკითხვის სხვადასხვა მეთოდით ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშნად ი // ე არ გამოვლინდა. ბოლოდროინდელ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართული ენის დიალექტებიდან ხმოვანფუძიანი სახელების ნულოვანი გაფორმება ახასიათებს კახურს და ზოგიერთი დიალექტის ცალკეულ თქმებს

107. ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ ვერსიაში ეს სიტყვა ამ ფორმითაა, მოგვიანებით კი ის -ე-ს გარეშეა წარმოდგენილი [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 519].

(აჭარულის ქობულეთური თქმა, ოკრიბული, არაგვის ხეობის ქართლური, ალიაბათური და სხვ. [ჯორბენაძე 1989; გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 59; 77; კახაძე 1954: 170; იმნაიშვილი 1953: 323; იმნაიშვილი 1966; ბერიძე 1994].

ფერეიდნული ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითი ბრუნვის წარმოების მხრივ სწორედ ამ ჯგუფს უახლოვდება – დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მას არ ახასიათებს ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითი ბრუნვის ნიშნები.

როგორც აღვნიშნეთ, პარადიგმებში მოწოდებული „წყაროდ“, „ღამედ“ ფორმათა დამადასტურებელი საილუსტრაციო მასალა არც გამოკვლევაში, არც ტექსტებში არ დასტურდება.

ქართულ დიალექტურ კორპუსში შევისწავლეთ ფერეიდნულ დიალექტში **აი, ად, ეი, ედ, ოი, ოდ, უი, უდ** ხმოვნებზე დაბოლოებული სიტყვები.

მათი უდიდესი ნაწილი არის ნასესხები სიტყვა, რომელსაც დაბოლოება ან სესხების ენიდანვე აქვს შემოყოლილი, ან სესხების შემდეგ თანხმოვანი აქვს დაკარგული და ფორმალურად ხმოვანფუძიანი სახელის ფუძეს არის დამსგავსებული, მაგ.:

აბლოლაი საკუთარი სახელია, სავარაუდოდ, **აბლოლაჰი** ფორმაში ჰ-ს დაკარგვის შედეგად არის მიღებული.

ასევეა: **შაი < შაჰი** და სხვ.

ხშირად ნასესხები სიტყვის ბოლოს **აი // ად** ვარიაცია გვაქვს დიფთონგიზაციის საფუძველზე. ერთი შეხედვით ასეთი ნასესხები ფორმები ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს ასე არაა: **ათაი** (გვარია), **ბაბაი** (საკუთარი სახელია, შდრ. ბაბაძე), **ღარაი, ღლაი** (შდრ.: ღლაჰაზე, ღლავა...), **ებთეღაი, რაჰნემაი...**

ალა // ალაჰ ფორმები ბრუნვის ნიშნის ქონა-არქონით დაპირისპირებული კი არ არიან, არამედ სპარსულიდან არის შემოსული სხვადასხვა ფორმით. შდრ: **ალა // ალაჰ // ალაჰე**.

კორპუსში თითზე ჩამოსათვლელი ფორმებია ისეთი, რომელშიც სახელობითი ბრუნვის ნიშანი შეიძლება „ამოვიკითხოთ“:

(1) **ამაჰ (ამმა – amme) მამიდა:** [ერთ ამ...] *ჩონ ამაჰ აფუსსა გუყუანდა და, ერთ ამაცა აფუსსა გუყუანდა, თითან ქართული იცოდა, ამ თავის ყორეფსა არ დაასწავლა ქართული.*

(2) **ქატო:** *ზოგმა ნამა გავცრითყე, ნამაი იყვისყე. და ზოგმა, მასაღან, ერთი გაცრისყე, ჩონ ორი, სამნი გავცრითყე, და ის ემე დლოჭირითყე, ქატო.*

(3) **ჩარჩო:** *თიხითა აკეთებენ ექსისხებსა, ექსისხებსა, ჩარჩო გაკეთებული ეგეთი, თიხა იქარი, მაიტან, ჩაგდებს ემაში და ამიღებს.*

პირველ წინადადებაში, როგორც ვხედავთ, ცა ნაწილაკის წინ ეს სიტყვა **ა-ს** გარეშეა დამოწმებული: **ამაცა. -ა** რომ მორფოლოგიურ ნიშნად და, სახელდობრ, ბრუნვის ფორმანტად იყოს აქ გააზრებული, **-ც** ნაწილაკის წინაც გვექნებოდა. ტექსტი დიალოგის ნაწილია. წინა რეპლიკა არის პასუხი კითხვაზე, იციან თუ არა სოფელ აფუსში ქართული. პასუხი ასეთია:

– *არმინ არ იცის. ჩონ ამა ერთი აფუსა დყვანდა.*

/– არავინ არ იცის, ჩვენ მაშიდა ერთი აფუსსა გვყავდა/.

როგორც ვხედავთ იგივე მთქმელი წინა ფრაზაში იმავე სიტყვას **-მ-** გარეშე იყენებს. მეორედ გამოყენებისას ინტონაციური დანიშნულება აქვს ამ **-მ-**ს აშკარად – ის უფრო ლოგიკურ მახვილს აძლიერებს: [ერთ ამ...] – აქ სათქმელი წყდება. მეორე „ინფორმაციული ტალღა“ უფრო აქტიურია და იოტირებული დამართვა მთავარ სიტყვას – **ამა (=მამიდა)** წინადადების ნეიტრალური კონტექსტიდან ლოგიკურად გამონაწევრებს: ჩვენ მაშიდა (!) აფუსში გვყავდა...

წინადადების შემდეგი ინფორმაციული საფეხური ისევ გამოერებაზეა დაფუძნებული და იგივე სიტყვა უკვე იოტის გარეშეა. ყველაფერი მიუთითებს, რომ **-მ** აქ ინტონაციური ინსტრუმენტია, რომელიც ფრაზის ინფორმაციულ სტრუქტურირებასაც ემსახურება.

მეორე წინადადებაში სიტყვა **ქატოდ** მიცემითის ფორმა უნდა იყოს.

ზმნა „დაჭერა“ სითხის ან სხვა რამ ნივთიერების გამოცალკეებასაც ნიშნავს ფერეიდნულში. შდრ.: რაქთენ დღეს უკან ყათულს შადდებენ და ემას კარაქს დოღჭერენ; საჭმელსათის გაზაფხულზე ხალლი ხმარობს იმის ფოთოლს. ფოთლის მერე წყალს იჭერენ.

დაჭერა ზმნა ამ მნიშვნელობით გამოყენებისას სწორედ მიცემითის ფორმაში მოითხოვს სახელს. ამიტომ **ქატოდ** ფორმა ვერ გამოდგება ხმოვანფუძიანი სახელის სახელობითი ბრუნვის ნიშნის საილუსტრაციოდ ფერეიდნულში.

მესამე წინადადებაში **ჩარჩოდ** ფორმაში იოტირებულ დამართვას **მეშველი ზმნის** ფუნქცია აქვს და მნიშვნელობით უდრის: ჩარჩო[ა] გაკეთებული ეგეთი. წინადადების ასეთი „უზმნო“ წარმოება უცხო ენის გავლენით თავს იჩენს ფერეიდნულში. ამ შემთხვევაში ზმნის კომპენსაცია **ო-ზე** მახვილითა და მისი იოტირებული დამართვით ხდება, თუმცა შესაძლოა **ჩარჩოდ** ფორმაში იოტი ენკლიტიკური მეშველი ზმნის ნარჩენად ჩავთვალოთ: **ჩარჩო'რი > ჩარჩოი > ჩარჩოდ**.

იგივე ვითარება ჩანს ნაცვალსახელებთანაც: **რა** და **სხო** ნაცვალსახელები ფერეიდნულში სახელობით ბრუნვაში -ი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავენ:

შენიშვნა: კორპუსში დამოწმებულია ოთხი კონტექსტი, რომელშიც დასტურდება **რა** ნაცვალსახელი **რად ფორმით**. ამ სიტყვის -ი სუფიქსიანი ვარიანტი არ დასტურდება.

- (1) *თქო: იმაშიო, რო შენაო გელს დასცხეო და თქი: ეს რად თაყსიმიო, მელა დად-სწავლელა, რო მასან ეგრე თაყსიმიი ქქნა, რო სულა შენ შაშჭამოღავო.*
- (2) *–რად დწყველიან ერთმანეთსო, რად იტყიან?*
- (3) *თქო, რო; გულ-ლიძლიო, გულ-ლიძლი სად არიო? სად არი, რად გულ-ლიძლიო?*
- (4) *–რად დადახით?*

შეიძლება თუ არა ყველა ეს ფორმა სახელობით ბრუნვაში **მ-**ს გამოვლენის საბუთად განვიხილოთ?

- (1) წინადადება არის 1998 წელს ჩაწერილი ტექსტიდან. ტექსტში **რა** ნაცვალ-

სახელი კიდევ ორჯერაა გამოყენებული:

დასცხო და ბაად იმაში უთხრა მელასა: აბა მელაო, შენ გაყაო, მასან, ეს რა ჯურად შატჷამოთო.

ეხლა ვიტყვი, რა არი.

არცერთ ამ შემთხვევაში რად ფორმა ვარიაციულ ალტერნატივად არ შეიძლება შეგვხვდეს.

მაშ, რატომ არის შესაძლებელი ეს ამ შესიტყვებაში: იმაშიო, რო შენაო გელს დასცხო და თქი: ეს რად თაყსიმია?

ვფიქრობთ, რომ აქაც ინტენსიური ხმოვნის იოტირებული დამართვა უნდა გვქონდეს, ინტენსიურობას კი იწვევს ტექსტის ინტონაციური სტრუქტურა: შინაარსი ასეთია, მგელი, მელა და ვეფხი ნანადირევს იყოფენ. ვეფხმა დატუქსა მგელი (წამოჯაჷრდა), როცა მან ნანადირევი თანაბრად გაყო. მელამ მთელი ნანადირევი ვეფხს მიაკუთვნა და ეუბნება, მე ეს გადაწყვეტილება მაშინ მივიღე, როცა შენ მგელს დასცხე და თქვი: ეს რა გაყოფააო...

რა ნაცვალსახელზე მოდის რიტორიკული მახვილი, ამიტომაც ის იოტირებული დამართვით არის გაძლიერებული.

(1) და (4) წინადადებაში იოტი მიცემითის -ს ნიშნის ვარიანტია:

რადა დწყევლიან ერთმანეთსაო, რა, რად იტყვიან?

/რად წყევლიან ერთმანეთს, რას იტყვიან?/.

რად დადახით?

/რას დასდახით?/.

შესაძლოა, (1) წინადადებაში იოტი ზმნის საკომპენსაციო ინტონაციური დამართვა ან მეშველი ზმნის ხმოვნითი კომპონენტიც იყოს (იხ. ზემოთ): თქო, რო: გულ-ლიძლიო, გულ-ლიძლი სად არიო? სად არი, რად გულ-ლიძლიო?

საყურადღებოა, რომ ინტონაციურ საფუძველზე წარმოქმნილ ფორმათა სრულ-ხმოვნინანი ვარიანტები (*რაი) ტექსტებში არ გვხვდება, რაც იმის ნიშანია, რომ ფონეტიკური (ინტონაციური) მოვლენის მორფოლოგიზაცია ჯერ აქ დაწყებული არც არის.

დასკვნა: ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში ფერეიდნულ დიალექტში, ისევე, როგორც კახურ დიალექტსა და ზოგიერთი სხვა ქართული დიალექტის თქმებში (ოკრიბული, ალგეთის ხეობის ქართლური, ალიაბათური...) არ დაირთავენ ბრუნვის ნიშანს!

კორპუსში დამოწმებული რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც ემთხვევა ხმოვან-ფუძიან სახელთა ბრუნვისნიშნინან სახელობითს, უნდა იყოს ბოლოკიდური ხმოვნის სხვადასხვა წარმომავლობისა და ინტენსივობის იოტირებული დამართვა და არა მორფოლოგიური ელემენტი. ფერეიდნულის ეს ვითარება კიდევ უფრო ამტკიცებს მოსაზრებას ქართული ენის დიალექტებში ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითში გამოვლენილი ნიშნის არამორფოლოგიურ წარმომავლობაზე.

ფერეიდნულში გვაქვს ა, ე, ი და უ ხმოვანზე დაბოლოებული ხმოვანფუძიანი სა-

ხელები. სახელობით ბრუნვაში ისინი არ დაირთავენ არავითარ სხვა ელემენტს არც ცალკე და არც ნაწილაკების (-ლა, -ც) წინ.

მაგალითები:

ა: გორა, გუდა, ალა, ალაღია, ალაღიალა, გუდაც, გორაც...

ე: აბონე, ბუდე, ხე, აბონელა, დღელა, აბონეც, დღეც, ესტატეც...

ო: ბაბო, აბანო, დროც, კალოც, ერბოც, კალოლა, დოლა, სბოლა, ღინოლა...

უ: ფათუ, ძუძუ, რუ, ფათუც...

მოთხრობითი ბრუნვა. ხმოვანფუძიან სახელთა მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვების წარმოების მხრივაც ფერეიდნული სალიტერატურო ქართულთან რაიმე თავისებურებას არ ავლენს.

მოთხრობითი ბრუნვა: **ფუძე + -მ(-ა)**

ა: ალიამ, ბაღლიჯამ (ბაღლინჯომ), ადამ, ბაბამ, ალიამა, დეღამა, ღუნიამა, მამამაც, დეღამაც, ალიამაც...

ე: თემ (თვემ), თავქემ, სარკემ, მოკობრემ, თავაძემ, ნეფემ, მზემა, სიძემაც, ხემაც, ნეფემაც...

ო: გოგომ, გულომ, ყაყაჩომ, რადიომ, ბაბომ, წყარომაც, მამიკომაც...

უ: სუმ, რუმ, ძუძუმ...

მიცემითი ბრუნვა – ფუძე + -ს (ა)

ა: ალიას, ამუას, გზას, მიწასა, მუჭასა, პრასასაც, ქუასაც, ფარჩასაც...

ე: თორეს (მთვარეს), კიბეს, კილტეს, მეხრესა, მზესა, ნეფესა, ბზესაც, ზესაც, თესაც...

ო: აბონოს, დოს, დროს, ნუხუდოსა, ოზოსა, ღინოსა, სალომოსაც, ფიმფილოსაც...

უ: ძუძუს, ქილუს, კუს, აბლიმუსა, აფუსა (აფუსსა)...

ზემოთ განხილული იყო რამდენიმე მაგალითი, როცა მიცემითის **-ს** ნიშანმა შეიძლება მოგვეცეს **-მ: ქაჭო-მ, რა-მ...**

ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნების შესახებ ავტორებს, როგორც ვთქვით, აღნიშნული აქვთ, რომ ფერეიდნულს შესაბამის ბრუნვებში არ ახასიათებს კვეცა. ასეც არის წარმოდგენილი პარადიგმებში [ჩხუბიანიშვილი 2012: 192-194; გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 519]:

- ჩემ დედას, ჩემ დედათ
- შილდი დღეს, შილდი დღეთ
- ჯმადს(ა), ჯმადთ(ა),
- ღამედს(ა), ღამედთ(ა)
- წყაროდს(ა), წყაროდთ(ა)

აღნიშნულ პარადიგმებში წარმოდგენილია სულ 5 ხმოვანფუძიანი სახელის ბრუნების ნიმუში.

ასეთი პარადიგმების შექმნა თავისთავად გულისხმობს მოქმედი ლომინანტური მოდელისა და გამონაკლისების აღწერას. აღწერის აქ წარმოდგენილი მოდელი ასე იკითხება: ყველა ხმოვანფუძიანი სახელს ნათესაობით ბრუნვაში აქვს **-მს(ა)** დაბო-

ლოება, ხოლო მოქმედებითში – **ით(ა)** დაბოლოება.

ეს ცნობილი მოდელია ქართული ენის დიალექტებში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ხმოვანფუძიან სახელთა უკვეცელობა და **-ის // -ის ან -ით // -ით** ბრუნვის ნიშნების დართვა დასავლურ დიალექტებშიც გვაქვს (**გურული...**) და აღმოსავლურშიც (**ხევსურული...**) [ჯორბენაძე 1989: 231, 525...].

დიალექტებში ეს მოვლენა ერთი თავისებურების – უკვეცელობის გამოვლინებად მიიჩნევა და ერთ-ერთი ბრუნვის მონაცემი ავტომატურად იძლევა მეორის აღწერის საფუძველს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი მოქმედებით ბრუნვაში გვაქვს **-ით //ით** დაბოლოება, ავტომატურად აღვადგენთ ნათესაობითში **-ის // ის** სუფიქსებს. სწორედ ამ ლინგვისტურმა სტერეოტიპმა განაპირობა ალბათ ფერეიდნულის აღწერისას დაშვებული უზუსტობა: ფერეიდნულში ხმოვანფუძიანი სახელების უკვეცელობის ტენდენცია მართლაც ძლიერი და შესამჩნევია, თუმცა ბრუნვის ნიშანი მოქმედებითსა და ნათესაობით ბრუნვას სხვადასხვა პრინციპით დაერთვის:

ნათესაობითი ბრუნვა – ფუძე + ს (ი)

მოქმედებითი ბრუნვა – ფუძე + -ით // ით

დამკვიდრებული დებულების შესამოწმებლად შევადგინეთ სპეციალური კითხვარი, მივმართეთ „პროვოკაციული“ ანკეტირების მეთოდსაც, გარდა ამისა, დიალექტის მატარებელთა უფრო განათლებულ ნაწილს ვთავაზობდით მზა პარადიგმას და მათი ჩასწორებები, რეპლიკები და კომენტარები იწერებოდა.

კვლევაში გვიჩვენა, რომ ხმოვანფუძიან სახელთა ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვა ფერეიდნულში უპირატესად უკვეცელია:

ნათესაობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნად, ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულსა და ბევრ სხვა დიალექტში გვაქვს **-ს** ბრუნვის ნიშანი: **დედა-ს(ი), მემელე-ს(ი) /მეველე/, ქუა-ს(ი), ახალგაზღობა-ს-(ი)...**

მოქმედებით ბრუნვაში, ისევე, როგორც დიალექტთა ერთ ნაწილში (გურული, ხევსურული...) გვაქვს **-ით // ით** ბრუნვის ნიშანი.

ამასთან გაირკვა, რომ პარალელური წარმოება დაშვებულია ორივე ბრუნვაში, თუმცა მოქმედებითი უფრო გამტკიცებულია **-ით // ით** დაბოლოება. გამოკითხვისას რესპონდენტები უკვეცელი ბრუნების მეორე მოდელსაც ასახელებენ (**ფუძე + თ**), და ამბობენ, რომ „ასეც შეიძლება ითქვას“. ნათესაობითში უფრო „კანონიკური“ ჩანს უხმოვან ბრუნვისნიშნისანი მოდელი, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, აქაც შეიძლება იყოს გამოყენებული მეორე მოდელი:

მოქმედებითი – -ით // -ით:

ბეწებს ნამა გაძხუხავთ და დანადთ გაფხეკავთ, გავაფაქი ზეფთ და ერთს კიდემ ნამა გავრეცხავთ და ჩაუღვამტყე.

ანს ფირტი რო ვიან მადხარშების, დატჭრით **დანათ**, ეგდილე გენდ-გენდი.

რო გაიწურების, ეგრე **დანათ** ეგრე დატჭრი.

დანათ დატჭრი და ჩავაწყოფ ერთ ბუქაჩი.

გავწურავთ და **დანათ** დავტჭრით, და მარილს მუყაყრით და ჩავაწყოფთ ერთ ქოთან-
ჩივა და ბად მარილს წყალს დავასხამთ და შავინახავთ ზამთარსათინა.

ორი, სამი, ოთხი – ჰოდა მარილი მოიტანით, **დანათ** ეგრე დატჭრით.

დადთრე და **დანათ** შენ ძმა მაჰკლას, რაც თავის ანდა ზას გადაიცილდა.

ეგრე რო ამოტჭრით **დანათ** და ჩავაწყოფთ ვედრაჩივა, ქოთანჩივა.

გაიდა და რო გადჰცილდა ემ ემესა, ხალღსა, მოიდა'დ, ეს საბელი გაჭრა **დანათ**ა და გაიქცა.

კოკაითა:

კოკა, წაიდიან, წყაროსაყე წყალი მაიტანინაყელე, ლულეები ხო არ იყვისყე, **კო-
კაითა**, წაიდიან ტალახის კოკებითა.

ქუაით:

სანგარია დიდი ეგეთ ყალასავითა, ქართველებმა რო სანგარი გოოკეთებიყე ელ
ემე თათაშულუს გორაზევა, დიდი შემეძარნაყე და **ქუაითა**, **ქუაით** არცრა ხალე-
სა **ქუაითა**.

მოქმედებითი – -თ:

დანათ:

ეხლას ხვარი უნდა დადშჭრა, **დანათ** დადშჭრა.

ქათამი იქნების ქალბატონებმა ველით გარდადხლეჩო და ცხუარსაც ხო **დანათ** დად-
ჭრიან, ჩამადშჭრიან, დადშჭრიან.

ნათესაობითი – -ს:

ყანას:

ყანას გალეწვა ძნელია ძრიალ, რო ჯენკები დარჩება, იმას ცალკე გადლეწვენ, სამ-
ოთხს ატარებენ, თა ხორბალი გამოიღეს ბუღესაყე.

იმამინ დაიწყობენ **ყანას** ვნვას, საჯნავს – შამოდგომდალს არი), თა ოცი დლე შამოდ-
გომამდი.

გაზაფსულზე რო გავალთლა, დილობის წაიდეთლა, მიწები [შავფარავანდო?],
რო **ყანასაყენა** თოვლი ადგეს, რო ყანა თოვლმა არ ამიღოს.

კოკას:

– ნეტეხარი, **კოკასი** და! – ნატენრებსა. უნდა შემაატრიალებდენ **კოკას** ემეეფ-
სა და შვიდი...

ცასაყე:

გადელავს **ცასაყე**, არა?

ქვას:

დაშქესანა თურქული სახელია, ნიშნავს **ქვას** მტრეველს.

რიცხვით სახელებშიც იგივე ვითარება გვაქვს – უკვეცელობა და ნათესაობითში -ს ნიშანი (ოღენტანხმოვნინანი სუფიქსით წარმოება):

ცხრას:

ცხრასაყე მეტი აღარ იყო სოფელჩი, იმაში.

რუას:

რუას წლისა ვიყავ ქე რო წაველ, მეორე კლასი ვიკითხე.

მე ბოლყეისა მქიან და ორძოზდა რუას წლისა ვარ.

შენიშვნა: რიცხვით სახელთან ნათესაობით ბრუნვაში -ს დაბოლოების ალტერნატივად ხანდახან ჩნდება -ის დაბოლოებაც. იშვიათი რეალიზაციის გამო დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება ძნელია, მაგრამ გარკვეული ვარაუდის სახით შეიძლება იმის დაშვება, რომ **-ს // -ის** მორფემათა მონაცვლეობას ამ ბრუნვაში ფუნქციური დანიშნულება აქვს შენარჩუნებული. ამ ვარაუდის საფუძველს იმ კონტექსტის ანალიზი გვაძლევს, რომელშიც გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ფორმა:

რუადს, რუა წლისა ვიყავ ქე ეს სკოლა მოიძღა ექ. **რუას** წლისა ვიყავ ქე რო წაველ, მეორე კლასი ვიკითხე.

ვფიქრობთ, ვარიაციული ფორმა ამ შემთხვევაში შესაძლოა ინტონაციური და ინფორმაციული სტრუქტურირების ინსტრუმენტად არის გამოყენებული და ფუნქციურად უტოლდება მავრცობ ხმოვანს მოკლე (ერთმარცვლიან სიტყვებში), ხმოვნის დაგრძელებას ან გაორმაგებას და სხვა მსგავს „ინსტრუმენტებს“, რომლებიც ამგვარი ფუნქციით არის აღწერილი ქართული ენის დიალექტებში [ბერიძე 1994]: **რვისა, რვა წლისა ვიყავ...** აი, ასეთ კონსტრუქციას ანაცვლებს წარმოდგენილი კონტექსტი ამ ვარიაციული ფორმის გამოყენებით¹⁰⁸.

ნათესაობითის ოღენტანხმოვნინანი ბრუნვის ნიშნის გამოყენება და უკვეცელობა რომ ფერეიდნულის სპეციფიკური ნიშანია და ეს ნიშანი კარგად არის გააზრებული დიალექტის მატარებლის მიერ, კარგად ჩანს ერთ-ერთი ტექსტიდან, რომელიც ჩვენ ჩავიწერეთ რეპატრირებული ფერეიდნელებისგან 2007 წელს: ტექსტი პროვოცირებულია ჩამწერის შეკითხვით: მოგეწონათ აქაურობა, როცა ჩამოხვედით?

პასუხი ასეთია: მოგეწონა, ჯერ ესე რო ეს ბუნება, ხო ძალიან ბრწყინვალე'რი, იქა არუსეენტ დონიას ეძახოდეს, პარსული არ იცით? [რამანა ონიკაშვილი] –პატარძალი. [ზეინაბ ონიკაშვილი] –**პატარძალიო ქოყანას**. [რამანა ონიკაშვილი] –**ქვეყნის პატარძალიო**. [ზეინაბ ონიკაშვილი] –პარსელებიც რო ზოგი შემოვა. [რამანა ონიკაშვილი] –ხო, საქართველოზე. [ზეინაბ ონიკაშვილი] – არუსეთ დონიას ეძახოდენ.

/მოგეწონა, ჯერ იმიტომ, რომ ბუნება ხომ ძალიან ბრწყინვალეა. იქ არუსეთ დონიას ეძახოდენ. სპარსული იცით? პატარძალიო ქვეყნის (პატარძალიო ქოყანას – ქმარი ამბობს), ქვეყნის პატარძალიო (ცოლი იმეორებს და ასწორებს: კუმშავს, კვეცავს და ბრუნვის ნიშანსაც სხვას იყენებს)/.

108. „მოკლე“ სიტყვის დასაგრძელებლად მავრცობი -ა ხმოვნის გამოყენებაზე ძველ ქართულში იხ. [ციხელაშვილი 2020].

ერთადერთი სიტყვა, რომელიც თითქმის უალტერნატივოდ **-ის // -ის** დაბოლოებით იწარმოებს ნათესაობით ბრუნვასაც, არის ნაცვალსახელი **რა**:

რას:

ემ ყეინმა ცოტა ხან დაფიქრდა და თქო, რო: სწორი ეს არიო, რო ჩემ ყორსო მინაც წაიყვანსო, ერთ კირიასო, და ხუთ დღეს, ექს დღეს არიო ის ბიჭიო და მოკლები სყეო, ეხლა რა ვიციო, **რას** ბრალია, არ ვიციო.

და მა **რას** ბალაზევო მარი ზი შაქნილხარო.

ერთმა თქო, რო: მე სწორს ვიტყვი, მე მოკობრე ვიყაო, ერთ ღამესო, ისიც **რას** მოკობრე ვიყაო, წაიდიყეო, მისაცაო, რო ბევრ ფული ჰქონდი სყეო, იმას მოვჰპარიყეო.

ხეირ არა, ფიადა თოჭლჩი, ფიადა, **რას** ცხენითა, ცხენი სადლა იყო ზამთრისა.

იტყინაყე, რო წაიდეთო ემესა, ქურდებივ იყენესო, წაიდეთო ღენოო ემე ვქნათ, გამოართოთო, ვიმოვნოთაო და თქო, რო ანსიო, ზამთრის ყინულს არ გასესნებ-სყეო, **რას** ღენო.

რას ბებერი ხარ, რავდენის წლისა ხარ!

თაჩიო ბოტი არ იყოს, **რას** თა არიო?

- რომ თუ მაჰმადიანები **რას** სომხებილა იყენეს?

რასთი არ იმუშაოს, კაცმა რო არ იმუშაოს, **რას** კაცია.

რას რასი პურის შაჰმა იყო.

თქოთ **რასი**: იმისყე მაგარ ჯოხნი რა არი! – იფანი! ექსისხე ჯოხნი.

და აგური რო იმაში არ იყო, მარტო იყო ხიშტი. ხიშტიც იყო რასი? – თიხისა, ტალახისა...

–აკუანი, რა არის **რასლა** ჯოხნი, აკუანი?

რასი:

ცხრამეტი, ოციც აღარ იყოლა, ცხრამეტი კაცი დავარდა და მოდღეს სოფელის ზემინი, ემები, მიწები, დეღამიწა და მამულები, მამულები, წყალილა, ემ ცხრამეტ-სა **რასი** გოოყოყე, ქენ, საბელი, საბელი ხომ იცით, რა არის, საბელი რომ კეღია, იმითლა ცხრამეტი საბელა სოფელები და ზემინები და მამულები.

–შენ **რასი** გააკეთებყე, რო გინდა ჩეფური მოოდვა, სიგარი რო მოოდვა და ასანთი არ იყოს?

რასი ადწონითყე?

რასი ითამაშებენ ყმაწილებ?

რასი გინდა მაღჭრაო?

რადთინ : ორი რადთინ აქ? ჟაველას ერთ ფოთოლილა აქ.

აცრა ესლა მასალან დამნიშნესლა და იმამინ **რადს** დანიშნა იყო, ეხლანდელსადთ ხო აღარ არი.

ლატაკი **რადს**¹⁰⁹ შაქნების?

რადს ყმაწილების გაზღვა იყო იმამინა, მაღშალა.

დადრუჩუტო აქ და რასია? –ბარძუმიო.

109. აქ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას იგივე ფუნქცია უჩანს, რაც ძვ. ქართულის **რასა** ან დიალექტურ **რასა** // **რეიზა** ფორმებს.

რითაო, რაითაო და მე მგონია, ეტყის, რო ცუღს მოიტან და ცუნცუღასაო, ჳელა-
ჩოსა და წალღუნასაო.

ქარიმხანის ყოშუნი ჰამღას იქს და, ქართველებიც ანქიტყე დააყრიანყე, ქუასა და
თოფითა და რაითაცღა, რო მისაცთ რა გამაღჰსღია და და, ნამა იშულღებენ, და ნამაღ
შულღი შაღქნების და რაღღენი ქართველებსაყე დაწყღების და, რაღღენიც ქარიმხან-
საყე დაწყღების, ღამე შაღქნების.

მა რაღღა ცოც ზღობ?

როგორც ვზეღავთ, მოქმეღებითი აქ ჰარაღღემას მიჰყვება. ნათესაობითში გვაქვს
ამ ბრუნვისთვის შეღარებით „არაკანონიკური“ რაის // რაღღს, თუმცა -ის // -ს ბრუნ-
ვის ნიშანთა ვარიაციულობის კვაღი მაინც ჩანს: თანღებულღიან ფორმებთან ყვეღგან
-ს ბრუნვისნიშნიანი ვარიანტია წარმოღღენიღი:

რასთი, რასათი, რასაყე:

რასათი:

იმ კაცმა, იმ მოღას ემაღ, რო ეღა ქართვეღ იყო, ყურჩი მითზრა, რო: ბიჰო, რასა-
თი იგეთ ფორრუ ზარ, ჰირაღღიანი ზარ შენა?

ეზღა რასათი დიდ წყაღი გამუა?

- ეზღა რასათი: ის ნუშისა იგრიზებოღა, მაინც არ ტეზღებოღა, არ იმტრეოღა.

რასაყე:

რასაყე მაქ ზაბარი.

რასათინა:

რას აკეთეღ? –არცრა, მუშოოღ. –რასათინა? –ჩემ მამასათინა, ჩემ ძმასათინა, ჩემ
თავსათინა. შენ რაჰითი? –მეცაღა მუშოოღ, ჩემ აღამ ღამაქორწიღოს, მასაღან, ღეღა-
კაცი მითზუღს.

არ მახსოვს, არა, ლექსი, რამე არა, იცი, რასათინა?

- არ ვიციღა, ამოსულან ზემოთ ვარე ზე რასათინა, არ ვიცი.

რასთინ:

ეზღა ერთღა ვთქო ჩუღრუთეღები და სოფღივეღები ერთჯურად ლაჰარაკობენ,
ერთჯურადა ფიქრობენ – რასთინ რო?

კორჰუსში ნათესაობითში დასმული თანღებულღიანი რა ნაცკაღსახეღის ერთა-
ღერთი ფორმა გვაქვს, რომეღღშიც ღ ჩანს:

რაღღსათი:

ემ შინ რო ღაღღექ და ემ საქმეზე აღარ წახეღ და ღაღეარღი შინ, რაღღსათი ღაღ-
ვარღი!

ვფიქრობთ, აქაც ერთმარცკღიანი სიტყვის დაგრძეღების ფუნქცია აქვს -ღ // -ი
ღაბოღღების ღართვას. როგორც კი ერთმარცკღიანობა ბუნებრივად, თანღებულღის
ღართვით არის ღაღღეული, იოტის ღართვა აღარ არის საჭირო.

როგორც აღენიშნეთ, იმის გამო, რომ კორჰუსში ღამოწმებულ ყვეღა ზმოვანფუ-
ძიან სიტყვას არ ეძებნება ორივე – ნათესაობითისა და მოქმეღებითის ფორმა, ჩვენ

კითხვარებითაც გამოწმებდით მათი რეალიზაციის შესაძლებლობას. ასეთი საერთო სურათი იკვეთება:

- ხმოვანფუძიანი სახელი მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებით-ში **უპირატესად უკვეცელია**;
- ხმოვანფუძიანი სახელი ნათესაობით ბრუნვაში უკვეცელია და დაირთავს **-ს** ბრუნვის ნიშანს (იშვიათად **-ღს // -ის** დაბოლოება ჩნდება ერთმარცვლიან სიტყვებში და მას ინტონაციური დაბალანსების – ერთმარცვლიანი სიტყვის დაგრძელების ფუნქცია აქვს);
- ხმოვანფუძიანი სახელი მოქმედებით ბრუნვაში უკვეცელია და უპირატესად დაირთავს **-ით // -ით** ბრუნვის ნიშანს, თუმცა გვაქვს პარალელური წარმოება **-თ სუფიქსით (დანაით // დანათ)**;
- კითხვითი ნაცვალსახელი **რა** ნათესაობითსა და მოქმედებითში უკვეცელია და დაირთავს ხმოვანი ბრუნვის ნიშნებს: **-ის, -ით**. თანდებულიან ნათესაობითში **რა** ნაცვალსახელი **-ს** ალომორფით არის წარმოდგენილი. **რა** ნაცვალსახელზე ხმოვანი ბრუნვის ნიშნის დართვა მისი ერთმარცვლიანობის დაძლევის საშუალებაა. ეპიზოდურად შეიძლება შეგვხვდეს **-ღს** დაბოლოებით.

ვითარებითი ბრუნვა:

ვითარებით ბრუნვაში დასმული ხმოვანფუძიანი სახელი სალიტერატურო ქართულთან და სხვა დიალექტებთან თავისებურებას არ ავლენს. ბრუნვის ნიშნად აქ გამოიყენება **-დ // -თ** ვარიაციული კომპონენტი. ამასთან, როგორც მთელ დიასისტემაში, ვარიაციულობა მკვეთრად მოტივირებული არ ჩანს:

ფუძე + -ად:

ის ვარსკლავები არიან ჩემთანაო, ჩემთან თანახმოებენ და ისეთი არიან ჩემთან, ამხანაგად არიანო, რო მე ისევ ის ვარსკლავებიო და ისები ჩემთან არიან და გულში რაც რო მაქო, მე იმეებს ვეუბნები და ვეტყვი ყოო.

თორნე რო მოცივდა, ემასლა ბალიშად აღარ დავაკრავთ, პურადღა დავაკრავთ.

გერად წასულა.

ერ დღეს ელ ეს ჩემ ბიჭია ამბობს, ჩონ მოსული ვართ ჩონ ყმაწილეების, მევრე რაათინა ქე ჩონ ენად არ ვამბობთ თაინთან, ქარსის ხო დესწავლებიან, ჩონ ენა ასლე ქარი ნამაზია, ქე არ დაქკარვოთ.

ფუძე + -ათ:

თქო, რო უთხარყეო, რო ცხენებსაო ყაჯრებიო, რაც რო აქყე, დადშვრანო და კულებიც დადშვრანყე, ჯორებსაც დადშვრან და რაც რო ბალანიო, მაიტანონ ესებიო და მე ჩავართავ და თოკათ გავაკეთეფ ემებსაო.

ათთავდეს ესები, ჩონ წაიღეფთ, გავრეც ხავთ და გავმების და წაიღებთ პარსელებჩი გატყვიდავთ სამმოც თუმნათ, ოთხმოც თუმნათ ; წინდები – ათ თუმნათ, თხუთმეტ თუმნათ.

სხოვან შადად ჰქონდესყე როე მე ქნან, ვალი რადღა რო ყურზენი არი, დოვლათის ვეღჩივ არი და იმას ამუშავებს და აკეთებს ქიშმიშათ და გზავნის სხოვან აღან ელ ექა, ელ ემ საქართველოჩი, ირანის ქიშმიში მოღის და ხალღი სყიდობენ.

ყველს ამოიღებავ, ყველათ გავაკეთებ.

ნაურუხის პირათ მზე რო დაადგა თოვლებს, თოვლებმა რო დაიწყვეს გაწყალება, პიტნამ ომოუკივლა, რო: აი, თოვლოვო, რას აკეთებო // აკეთებო და რა დღეჩივა ხარო?

წოდებითი ბრუნვა. ხმოვანფუძიან სახელთა წოდებითი ბრუნვის წარმოების თვალსაზრისით რაიმე განსაკუთრებული თავისებურება ფერეიდნულს არ ახასიათებს. ძირითადად, ემთხვევა სახელობითს, გვხვდება -ვ ნიშნითაც.

კორპუსში ერთადერთი ასეთი სახელია დამოწმებული:

ღელავ:

ხანევადას იმიში თავის ღელა ჰა, ხო ღელა ამ ყორისი, ღელავ, წადით ქენ სარავზე სოფელჩი.

ხმოვანფუძიან სახელთა მრავლობითი რიცხვი. მრავლობითი რიცხვის წარმოების თავისებურების შესახებ, როგორც ვნახეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობები მწირია. ხოლო ხმოვანფუძიან სახელთა მრავლობითის წარმოებაზე, პარადიგმების ცხრილის [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 519; ჩხუბიანიშვილი 2012: 197] გარდა სხვა მინიშნება არა გვაქვს.

პარადიგმების მიხედვით თუ აღვწერთ, ხმოვანფუძიან სახელთა მრავლობითის წარმოების სურათი ასეთი იქნება:

- -ა ზე დაბოლოებული ხმოვანფუძიანი სახელები მრავლობითში იკვეცება ყველა ბრუნვაში: ჯმა – ჯმები;
- -ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელები არ იკვეცება: ღამე – ღამეები;
- -ოზე დაბოლოებული სახელები არ იკვეცება: წყარო – წყაროები;
- ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში, ირიბ ბრუნვებში ხმოვანფუძიანთა მრავლობითის ფორმები ისევე იბრუნვის, როგორც სათანადო თანხმოვანფუძიანი სახელები.

ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნების თავისებურება მხოლოდ წარმოდგენილი პარადიგმებით ვერ ამოიწურება. მუშაობის პროცესში გამოვლინდა ვარიაციულობა კვეცადი სახელების მრავლობითის წარმოებაში. ეს ეხება -ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს.

ქართული ენის დიალექტების ნაწილში ეს სახელები მრავლობითში კვეცადია და ზუსტად მისდევს ფერეიდნულისთვის აღწერილ პარადიგმას – სახელი იკვეცება ყველა ბრუნვაში და შეეკვეცილ ფუძეს დაერთვის თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნები სათვის დამახასიათებელი მაწარმოებლები.

დიალექტების ნაწილში -ა ხმოვანფუძიანი სახელების ნაწილი არ იკვეცება, ფუძისეული და ბრუნვის ნიშნისეული ხმოვნის შეხვედრისას მიღებული აე კომპლექსის ცვლილების სხვადასხვა ფონეტიკური საფეხურის მიხედვით გვაქვს ვარიაციული ფორმები: ძმაები > ძმეები > ძმიები. ზოგ დიალექტში შენიშნულია ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მიღებული -ეებ // -იებ დაბოლოების დამოუკიდებელ სუფიქსად გადააზრების ტენდენციაც [ბერიძე 1994: 105-114].

ფერეიდნულში დამოწმებული გვაქვს ორივე ეს მოდელი, როგორც უკვეცელი, ისე კვეცადი -ა ხმოვანფუძიანი სახელები მრავლობით რიცხვში:

-ა ხმოვანფუძიანი სახელები მრავლობითში, უკვეცელი ფუძით:

რქა > ქა: ქა-ებ-ი > ქეები:

ფალანგი არი, შირი არი, რა ვიცი, გარეული ღორი არი შიგა, რო ადამიანს, თუ ნახავს, მაძკლავს ქეებით (რქებით).

გზა > გზეები:

ქუეზსაყე და ამ ღინეფსაყე გადეთო და გზეები იცოდა.

ქვა // ქუა – ქეები:

ქვაები > ქ(ვ)ეები > ქეები.

– ჯერ ქეები ჩამიყრიაო. – ჯერ აველან ქეები ჩამიყრიაო, მიწასათი გამისაქე-ბიაო. მიწას პირდაპირ. – ეს მიწა არი, ხო? – ეს რო ჩასულვართ ქოვით, ქუა და სემენტი და ესეები ჩაქყარე და ამოდტანეთ ექამდე, ის გავაკა ემანდ.

ასევეა: რეები, ძმეები, ფრთეები, ამეებს, გათხრეები, გძელმიწეები, ლეები, ლეღეები...

-ა ხმოვანფუძიანი სახელები მრავლობითში, შეკვეცილი ფუძით:

ქები:

ერთი დიდ ბოტი მოვკალ, აღან თავის ქები არი შინა, თუ გინდოდეყე ნახოთ.

ქუები:

წადი, ბავის თავჩი ქუები აარჩიეო. ზიგ ჯიშის ქუები მაძტაო.

გზეები:

იმისთი რო რე ზა-ხანსა სუ გზეები ღეეჭირა.

ასევეა: ღეები, ძმეები, ღეღეები, მიწეები, ფრთეები....

შენიშვნა: შეკვეცილი ფორმები მრავლობითში გაცილებით ხშირად გამოიყენება. შეუკვეცავი ფორმების დადასტურება სინთეზურად ჩამოუვარდება შეუკვეცავ ფორმებს. უფრო დამახასიათებელი ჩანს ბოინ-მიანდაშთის წრის სოფლებისთვის, თუმცა დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ეს მოვლენა შიდადიალექტური დიფერენციაციის მაჩვენებლად მივიღოთ, ჭირს, რადგან მარტყოფელთა მეტყველებაშიც გაისმის მსგავსი ფორმები.

ფერეიდნული ტექსტების კორპუსულ გამოცემებში არ ასახულა, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ერთი თავისებურების შესახებაც, რომელიც ფერეიდნელთა წერილობით კომუნიკაციაში გახდა შესამჩნევი: მრავლობით რიცხვში წარმოქმნილ იდენტურ-ხმოვნებიან ეე კომპლექსს ისინი ხშირად წერენ ეი სახით: ძმეები, ღამეები, ღღეები, გზეები¹¹⁰...

ეე კომპლექსს საერთოდ ახასიათებს სხვა იდენტურხმოვნიანი კომპლექსებისგან განსხვავებული ქცევა – ის შეიძლება დისიმილაციის გზით განვითარდეს და ასეც ხდება ბევრ დიალექტში: ხეები > ხიები, ძმეები > ძმიები და ა. შ. (სამცხურ-ჯავა-

110. ეს მოვლენა უფრო ბოინ-მიანდაშთის სოფლებში, კერძოდ, თორელში გვაქვს განსაკუთრებით კარგად აღწერილი.

ხურში ხმოვანფუძიანთაგან ასე მხოლოდ ერთმარცვლიანები იწარმოებენ მრავლობითს) [ბერიძე 1994: 105-114].

საგულისხმოა, რომ ფერეიდულში იდენტურხმოვნიანი კომპლექსის ცვლილება პროგრესული დისიმილაციის გზით წავიდა. ეს გზა უცხოა ქართული დიალექტებისთვის.

კვეციის მოვლენა რომ უფრო ღრმად შეგვესწავლა, გამოვიყენეთ მასალის მოპოვების სხვადასხვა მეთოდი: ხმოვანფუძიან სახელთა სიები, რომელსაც სავსე გამოკითხვისას ვუწერდით მხოლობითის მოქმედებითი ბრუნვისა და მრავლობითის ფორმებს, აგრეთვე, სიტუაციური ფოტოსლაიდებით გამოკითხვა: რესპონდენტები ასახელებდნენ ფოტოზე გამოსახულ საგნებს ან მოქმედებებს. ფოტოებზე ასახული სიტუაციების აღწერა იწვევდა ხმოვანფუძიან სახელთა სხვადასხვა რიცხვსა და ბრუნვაში წარმოთქმის პროგნოზირებას.

მასალამ დაადასტურა კორპუსის მონაცემები და აჩვენა, რომ მხოლობითში უკვეცელი სიტყვები მრავლობითში უმეტესად იკვეცებიან:

ბაღია – ბაღიით – ბაღიას – ბაღიები

ბოხჩა – ბოხჩაით – ბოხჩას – ბოხჩები

დანა – დანაით – დანათ – დანები

ვარდანა – ვარდანაით – ვარდანა – ვარდანები

კინა – კინაით – კინას – კინები

კოკა – კოკაით – კოკას – კოკები

მანქანა – მანქანაით – მანქანას – მანქანები

საგორველა – საგორველაით – საგორველას – საგორველები

სტირ-ნალარა – სტირ-ნალარაით – სტირ-ნალარას – სტირ-ნალარები

ხურმა – ხურმაით – ხურმას – ხურმები

მიწა – მიწაით – მიწას – მიწები

კალათა – კალათაით – კალათას – კალათები

ყარყარა – ყარყარაით – ყარყარას – ყარყარები

მუჭა – მუჭაით – მუჭას – მუჭები

...

კიბე – კიბეით – კიბეს – კიბები

რამე – რამეით – რამეს – რამები

და ა. შ.

თუმცა პარალელურად გვაქვს მრავლობითის შეუკვეცავი ფორმებიც (აე > ეე ასიმილაციის შედეგად მიღებული): დიკეები, გძელმიწეები, თაჰქეები, მეთოფეები, მიწეები, ფთეები, ქეები, ბატარეები, გათხრეები, გზეები, ლაკარტანეები, ოქროსეები, რალაც-რალაცეები, რალაცეები, რეები, სხუეები, დედეები, დეები, ფთეები, ქეები, ქულაჯეები, ყალიჩეები, ძმეები...

-ე ხმოვანფუძიანი სახელები მრავლობით რიცხვში, როგორც დარეჯან ჩხუბიანი შვილიც აღნიშნავს, ერთ -ე-ს წარმოადგენენ: ხეები, მემელები (მეველე), რამები, დღეები...

აქაც გვაქვს პარალელური შეუკვეცავი წარმოება: მემთაბარეები, მემთეები, მე-

ნადირეები, მეშიქლეები, მეცხორეები, მეწისქილეები, მიწეები, მობრუნელები, მომთაბარეები, მცენარეები, რამეები, რამერუმეები, სათავეები, სამალდეები, საპალნეები, საფლავეები, საქმეები, ბზეები, ეგეები, ემეები, ესეები, ზეები, თაქვეები, თორნეები, ისეები, ღამეები, ლელები, ყორეყორეები, ძიმეები...

თუ ყოველივე ზემოთქმულს თავს მოვუყრით და შევადარებთ იმას, რაც აქამდე ვიცოდით ფერეიდნული ხმოვანფუძიანი სახელის შესახებ, სახელთა ბრუნების არსებული პარადიგმები მნიშვნელოვნად შეიცვლება: კატეგორიულად უარიყოფა ბრუნვისნიშნისანი სახელობითი (ვმა და არა **ვმაჲ**, **დანა** და **არა დანაჲ...**), მიცემითისა და ნათესაობითის ფორმებში აღინიშნება ვარიაციულობა და დომინანტური ფორმა ამ ვარიაციებში: მიცემითი – **-ს(ი)** (ვმას-ი // ვმას), მოქმედებითი **დთ** // **ით** (ვმადთ // ვმათ). პირველი ფორმები არის დომინანტური, ხოლო პარალელური ფორმები – იშვიათი გამოყენებისა. ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნების ხსენებულ პარადიგმებში, როგორც ვნახეთ, ბევრი რამ არის დასაზუსტებელი მრავლობითი რიცხვის წარმოების მხრივაც: გასარჩევია კვეცა-უკვეცელობის ვარიაციულობა და სხვ.

ვფიქრობთ, ფერეიდნულში კვეცა-უკვეცელობა ჯერ ისევ მოქმედი, ლაბილური ფონეტიკური პროცესია, რომელიც არ არის ბოლომდე მორფოლოგიზებული.

1.2.2. თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება

თანხმოვანფუძიანი სახელების სახელობითი ბრუნვა. როგორც ვნახეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ფერეიდნული დიალექტის თანხმოვანფუძიან სახელთა სახელობითი ბრუნვის წარმოების თვალსაზრისით არც მხოლოდობით და არც მრავლობით რიცხვში თავისებურება არ არის აღწერილი. „პარადიგმებში“ ასეთი თანხმოვანფუძიანი სახელები წარმოდგენილია **-ი** სახელობითი ბრუნვის ნიშნით.

სინამდვილეში, თანხმოვანფუძიანთა სახელობითი ბრუნვა ფერეიდნულში საკმაოდ საინტერესო სურათს გვიჩვენებს. აქ ისევე, როგორც ქართული ენის ზოგ მთის დიალექტში (ხევსურული, მოხურდი...), ბრუნვის ნიშანი ხშირად იკარგება [ჭინჭარაული 1960: 48; ჯორბენაძე 1989 და სხვ.].

ეს მოვლენა შეუმჩნეველი დარჩა თითქმის ასი წლის განმავლობაში იმ დროიდან, რაც დიალექტი სამეცნიერო კვლევის ობიექტად იქცა.

ფუძის სახით (ბრუნვის ნიშნის გარეშე) ფერეიდნულში შეიძლება შეგვხვდეს თანხმოვანფუძიანი არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელი.

ძველ, სეიფოლა იოსელიანისგან ჩაწერილ ტექსტებში ფუძის სახით წარმოდგენილი თანხმოვანფუძიანი სახელები უფრო სახელურ შესიტყვებაში გვხვდება. სახელდობრ, მაშინ, როცა ზედსართავი ან რიცხვითი სახელი მსაზღვრელადაა წარმოდგენილი. მოგვიანო ტექსტებში დამოწმებული გვაქვს არსებითი სახელების ფუძის სახით გამოყენება სახელობით ბრუნვაში. ძნელი სათქმელია, ეს მოვლენის დინამიკის მაჩვენებელია, თუ უბრალოდ, ტექსტური მასალის სიმცირისა და სპეციფიკის გამო არ აისახა აღრინდელ ტექსტებში (აქ სეიფოლა იოსელიანის ტექსტებზეა საუბარი).

თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის მაგალითები:

თანხმოვანფუძიან სახელთა სახელობითი ბრუნვის ოდენფუძიანი ფორმების პარალელურად გვაქვს ბრუნვისნიშნიანი წარმოებაც. ამასთან, ეს უკანასკნელი ამკარად დომინანტურია. როგორც აღვნიშნეთ, სეიფოლა იოსელიანისაგან ჩაწერილ მასალაში ამ სახით წარმოდგენილი არსებითის ან ცალკე მდგომი სხვა სახელის (ზედსართავი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი...) მაგალითები ვერ დავადასტურეთ.

მოგვიანო ტექსტებში ფუძის სახით წარმოდგენილ და ბრუნვისნიშნიან სახელობითს შორის შეფარდებაზე დაახლოებითი წარმოდგენა შეიძლება შეგვექმნას კორპუსულ მასალაზე ასეთი ზედაპირული დაკვირვებით: ავიღეთ ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დადასტურებული სიტყვა **ხალღი** (= ხალხი) და დავაკვირდით მის გამოყენებას სხვადასხვა ავტორისა და სხვადასხვა პერიოდის ჩანაწერებში.

როგორც მოსალოდნელი იყო, **სეიფოლა იოსელიანის** ტექსტში ის მხოლოდ სრული სახით – ბრუნვის ნიშნით გვხვდება სახელობითის პოზიციებში ყველა დადასტურებულ (სულ ცხრამეტ) კონტექსტში (მაგალითების მოძიება მთქმელისა და დიალექტის მიხედვით კონფიგურირებული ძიებით მარტივია ქღკ-ში, ამიტომ ამ კონტექსტებს აქ არ მოვიყვანთ).

თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ გამოქვეყნებულ ტექსტებში [თოღუა 1975] ამგვარი ვითარება გვაქვს: დასტურდება პარალელური წარმოება შეფარდებით 2 / 21. ორ შემთხვევაში სიტყვა „ხალღი“ ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

თქეს: კი, ერთ რაქთენ **ხალღ** იყნეს ერთ სოფელჩი, ემფეს დადამხიანყე: ქართველები.

იმის უკან ნადირმა გამაჰკითხა: სად მინ იყო, რო ემ აფყანფეს არ გოოშონ, შადღეს, იმ სოფელჩი მინმე იყო, იგეთ **ხალღ** იყნეს, რო ესები არ გოოშონყე და დაალონონყე?

ხოლო 21 შემთხვევაში ბრუნვისნიშნიანი წარმოება გვაქვს:

ერთი გამუა, იტირეფეს კარჩი **ხალღი** გადგეფეს, რო ერთი მინმე იმ სახჩი მამკდარა.

გაბბანენ და ერცოტანიცა წავლენ სამარველებზე, რო ღათხარონ და ერცოტანი დაჯიღებთან მასჩეთჩი, რო ხალღს ჩად მოიიტანონ **ხალღი** ბესთელა, მოდდენ იმით დიდანიზე, მოდდენ ნახონყე.

ემ ქოვითყე თა ზედთადმი, ემ წყალის ამ პირზე და ემ პირზევა დასხდებთან, გააკეთებენ, ჩადსა და ხოშობენ და კარგი სედღს იქმენ ერთმანერთისა, **ხალღი** დაქუჩღებისყე ანქა.

ხალღი ცუდად აღარ არი.

ეხლა მადრესა არი და **ხალღი** კითხოზს.

ის იყო, რო ისპაჰანი სუ დადჭირეს **ხალღი** დაჯოცეს და ციცა და ძაღლი და რაძლა რო გამოოდაყე, დაჯოცეს, დედაკაცეფესა ჰცესყე და ყორეფესა ჰცესყე და რაძლა რო გამოოდაყე, ქნეს: რაძლა რო იცოდეს და გამოოდაყე, ქნეს.

ესები კარგი ხალღებია, ჭკიან ხალღებია, დელავარებია, ყოჩად ხალღებია ესები, არ გამაართოთყე, მინმემ არ დაალონოს **ხალღი**.

დაჯოცოთყეო: არ უნდა, რო **ხალღი** ყუანდეს, მინ არიან ესებიო?

ქენ **ხალღი** ხართ, ნამაჲ ხალღები ხართ და მე ყრალ საქმე ვქენ, ფაშიმანი ვარ მე. ემთეჰანი დანი, ასი, **ხალღი** რო შაქუჩდების, ეს მოჰასელები, რო სუს ცხრა კეითხოს, დაჰსმენ და ეტყვიან, რო ეს დაწერეთ და ანს დაწერეთ და ანს გააკითხეთ.

იმეფს ასწავლისყე ისებიც ბევრს წინ მიყავთ, ის **ხალღი** ის დიდიდა ბაჲტა ორ წელი და ორ წელიც ექ დაეცლებიან და კიდეჲ ახალი წავა, სხო წავა.

ეხლა კი, აბაბახსაც დაჰცხებენ, რო კივილი იყოს, **ხალღი** შაქუჩდეს.

ეხლა **ხალღი** ძრიალ იცინეფს.

ივრელა, რო დაავიწყდების ეს ბეშქან, ნემიშქანამ **ხალღი** აჲ ახლა ეს უამბოფს ემასა და ხანმა რა თქო და იცინებენდა.

იმაშინა, რო ქორწილილა მქონდა, **ხალღი** დანი, დავყონალეთყე, ჩონ ვიტყით: დავყონალეთყე.

ათი ათასილა შაქნილა **ხალღი** და არა ქნდების, ათი ათას **ხალღი** ერთ სახნი, ორ სახნი, სამ სახნი დაჰსო.

ათიათასილა შაქნილა სოფელი **ხალღი** და არა ქნდების, ათი **ხალღი** ერთ სახნი, ორ სახნი, სამ სახნი დაჰსო.

ეხლა კი, სამასი, **ხალღი** ჩონა ყუანდა, ჩონ ოთალეფჩი, სახლეფჩი.

ძალიან დიდ ყეფინი ყოფილა და ჭკიანი და მამლექათა ძრიალ გოოკეთებია **ხალღი** ჰყორეებია და ნამაჲ ყოფილა.

და ელეგრე თავის საქმე'რი, თა ოთხი საათი რო გავა, ხუთი, შამოვლენდა სახლეფჩი და და **ხალღი** წავა საქმეზე, მისაც რა საქმელა აქ, წავა თავის საქმეზე.

ეხლა კი იმაშილა, რო ჩონ ყეფინის მამა დიდ ალააზრათი ყადნი შაქნა, იმაში ემ დამაღონებლეფსა, სუს, დაჰოცა და ის თავის სხილები, დიდრონი **ხალღები** მაჲყვანა, მორეკაყე სიხეჩი და თქო: აღარა ვნახო, რო **ხალღი** დააღონოთყე!

საერთოდ კორპუსში ამ სიტყვის ბრუნვის ნიშნის გარეშე გამოყენების ცხრა შემთხვევა გვაქვს, აქედან ერთი – მიცემითი ბრუნვის შემთხვევაა, დანარჩენი რვა – სახელობითია.

სიტყვის ბრუნვისნიშნიანი ფორმა მთელ ტექსტურ მასალაში 213 დადასტურებით არის წარმოდგენილი (შესაბამისი კონტექსტების მოძიება შესაძლებელია კორპუსში – ფერეიდნული დიალექტის ტექსტურ კოლექციაში ერთიანი ძიებით).

ასეთი შეფარდების გამო გასაკვირი არ არის, რომ ეს მნიშვნელოვანი შტრიხი სახელთა ბრუნების სისტემისა მკვლევარების მთელ თაობებს დარჩათ შეუნიშნავი. შესაძლოა, ჩვენც არ გავგეჲმახვილებინა ამაზე ყურადღება, რომ საკვლევად მხოლოდ ამ ერთი სიტყვის მონაცემები გვქონოდა, მაგრამ ქართულ დიალექტურ კორპუსში დღეს თავმოყრილ ფერეიდნულ კოლექციაში აშკარად იკვეთება ფერეიდნულ სახელთა ბრუნების საკმაოდ საინტერესო თავისებურება, რომელიც, როგორც ჩანს, წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც სტატიკური სურათი დიალექტის სპეციფიკური თვისებისა, არამედ მისი განვითარების ერთგვარ დინამიკასაც გვიჩვენებს.

მოვლენის მასშტაბურობის საჩვენებლად წარმოვადგენთ ზოგიერთ კორპუსულ მონაცემს (რადგან ამ მხრივ მხოლოდითი და მრავლობითი ფორმების წარმოებაში ერთგვარი ვითარებაა, ჩვენც არ გავყოფთ მაგალითებს რიცხვის მიხედვით):

<p>ჩემოდნებ (1): მაინც მოჯტაბა მოყადასი და მოხ-თარ სეფიანი გაწყდეს. ორივენი ჩემოდნებ იყნეს.</p>	<p>–</p>
<p>ჩობნებ (1): წავა და წავა, წავა, წავა და ერთგან ჩობ-ნები ემესა, ჰა, მეცხორეები, ჩობნებ ფარსულია, არა?</p>	<p>ჩობნები(1): წავა და წავა, წავა, წავა და ერთგან ჩობნები ემესა, ჰა, მეცხორეე-ბი, ჩობნებ ფარსულია, არა?</p>
<p>ძივებ (1): ერთი წნიკი ბლახნი ამოიღისყე, იმა-ზე წმინდა ძივები ექონღისყე და წმინდა არ იყო, მობმულ იყოსყე ეგლიდე, ერთ ემ კაპებზე ამოსულ იყვისყე და ის ბატარ-ბატარა რო შაქნიანყე, დახა-ტულ ძივებ იყვისყე, ჩონ იმას მარგალიტს ვეძახო-ლით.</p>	<p>ძივები (2): ერთი წნიკი ბლახნი ამო-ღისყე, იმაზე წმინდა ძივები ექონღისყე და წმინდა არ იყო, მობმულ იყოსყე ეგ-ლიდე, ერთ ემ კაპებზე ამოსულ იყვისყე და ის ბატარ-ბატარა რო შაქნიანყე, დახა-ტულ ძივებ იყვისყე, ჩონ იმას მარგალიტს ვეძახოლით. ჰა, მე ეს მინდაო და ამამ ანს მინდა და ძი-ვები ძივები.</p>
<p>ძმებ (1): ჩამოელით ექაცლა, მასლან, ოთხი ძმებ იყუანდეს, ეს ერთ ყორი ყუანდა.</p>	<p>ძმები (10)</p>
<p>ხანებ (1): თავინ დიდი ჰაჯმეინთი ყოლია იყო, არ ვიცი, ბეჭური ხანებ იყნეს, ეს მაჰალა სუ ხანი იყო, თავჯ მაჰმად ხანი იყო, აბოლ ყასემ ხანი იყო, ბეჭურ ემე იყო, ჰა, ანქ გაცორციან, ენქ გაცორციან, ჩულ-რუთსა.</p>	<p>ხანები (13)</p>
<p>ალაგ (4) : თქო, რო: შენ რაათ ეგრე ეღონებო, მე გამამივა, შენ წავიყუანო ერთგანო, რო არ ეღონოვო, და ძოვო, ნაამა შაშჷამო ბლახნიო, და ნამაჲ ალაგ არი ანქ, რო მინდა წავიყუანო. ავღელა და ვთქი, რო ალაგ გამამიცვალე. ალაგ არა მქონღისყე. ალაგ არა მქონღისყე, ეს ველეებები რო ჩავზიღვა, ელ ეგრე!</p>	<p>ალაგი (30)</p>
<p>ამხანაგ (2): მე და აჰმად ალა ყელსაყე რო ღოუთავ-ქევით, მუაღექით ალა მონირე სალეჰის, რო ჩემი ამ-ხანაგ იყო. ღმერთმა აცხონოს, ჩემთან ამხანაგ იყო ბევრი, ერ-თად ვიყნითყე და ჰა, ერთ კაცი იყვანდაყე ჩულრუთს, ანს იყო, გამოსადეგი, ისიც გუგუდა ხელთაყე.</p>	<p>ამხანაგი (14)</p>
<p>პერანგ (1): თაის ნიჭიკა პერანგ იქნებისა, ყანდ იქ-ნების და ჯანამახილა, ეგეთ რა ვიცი, ეგეთ ზადები იქნებისყე, ჰოულადა ისები თავის ნიჭი.</p>	<p>პერანგი (19)</p>

ჩემ თავ (3): დამბანისყე, მამზაფტიისყე, უყორდა ჩემ თავ , ძრიალ უყორდა ჩემ თავი. რავჯურათ ჩემ თავ უყორდისყე და მიხაროდის.	თავი (275 ომონიმიის მოუხსნელად: თავი / თავისი)
თევზ (1): თევზ იჭირა და ემ ბიჭს აძლივა, რაქთენ თევზი რო დაიჭირა, ერთ თევზი.	თევზი (10)
ღმერთ (1): საქართველო საყვარელო, დავითაშვილი რეზო ვარ, ოთხასის წლის მონატრული, მე გისურვევ წარმატებას და ღმერთ იყოს შენი ფარველი.	ღმერთი (21)
ადგილ (2): იმას რო მოიტან და საფევეურ ადგილ არი აუხსავით, დიდი, ჩადყრიან ათი, ოცი, თხუთმეტი ბარს, ბარგს რო ლოდები მოსულა	ადგილი (52)
კაკალ (1): ეხლა ორ კაკალ იქით არი.	კაკალი (32)
კბილ (1): კბილები - კბილ ომოჭდა.	კბილი (7)
...	

დაახლოებით ასეთივე შეფარდებაა ყველა სხვა შემთხვევაში: ხუთშაბათ, ბიძაშვილ, დედალ, ქათამ, ღედამთილ, ღედინაცვალ, ვაშლ, ბავშვ, ბავშვებ, თოვლ, ბატკან, კეღელ, გუარ, ვეზირ, ვახტ, თურქ, ქალაქ, ხაჯან (საკუთარი სახელია: ხაჯან ერქვა), გვარებ...

როგორც ვხედავთ, ფერეიდნულში თანხმობანფუძიან არსებით სახელთა სახელობით ბრუნვაში ბრუნვისნიშნიანი და ფუძის სახით წარმოდგენილი ფორმების ვარიაციულობა ამკარა ფაქტია, თუმცა ეს ვარიაციულობა არაპროპორციული ხასიათისაა.

სიხშირულად ასეთივე შეფარდება ჩანს ნაცვალსახელებშიც:

ანსენ (4) – ანსენი (29):

სამარეც თაყრიბან ერთი ადლია, იგრე, რო კაცსათინ აღბათა ცოტა არი და დედაკაცსათინ ბადტა უნდა ჩუყურე იყოს, იგდენი რო ანსენ ძუძუზე მადგეს; დადმარხვენ და.

ანსებ (2) – ანსები (50):

ანსებ მამადს წასულან.

ანგეთ (5) – ანგეთი (2)

ანქ ანგეთ ნამაი მიწაა, ნამაი წყალი, ნამაი ქართული არ ვიცვი, რო ეს ჩემი გულის გაფი ვთქო, ეს გული გამიგრადღეს.

ასევეა: ანს¹¹¹ – ანსი, სუნ – სუნი, ამდენ – ამდენი, აგდენ – აგდენი, ესებ – ესები, რამეებ – რამეები, რაღაცებ – რაღაცები, როგოებ – როგოები, ზოგ – ზოგი, რომეელ –

111. ანს -ანსი (= ის) ფორმებიდან უკვე სიხშირული უპირატესობა პირველს აქვს მოპოვებული.

ანს გვხვდება როგორც სახელურ, ისე ზმნურ შესიტყვევაში. **ანს** ფორმას მოპოვებული აქვს უპირატესობა ყველა ფუნქციურ და პოზიციურ ველში. **ანსი** ფორმა მის პარალელურ ვარიანტად გვხვდება. ამ ფორმათა გამოყენების არეების უფრო გამოწველილვითმა შესწავლამ შეიძლება მოვლენის დამატებითი ნიუანსები გამოავლინოს.

რომელი, ზოგიერთ – ზოგიერთი, იგრეთ – იგრეთი, რაგთენ // რაქთენ – რაგდენი // რაქთენი, სხონ – სხონი..

სახელურ შესიტყვეებაში, მსაზღვრულ წევრად გამოყენებული თანხმოვანფუძიანი ზედსართავი და რიცხვითი სახელები, როგორც აღინიშნა, ყველაზე მეტი სიხშირით იყენებენ გაუფორმებელ ფუძეს სახელობითის საწარმოებლად.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რამდენად ასახავს გამოვლენილი პარალელიზმი დიალექტის შინაგან ბუნებას და მის კავშირს ეროვნული ენის სისტემურ ტენდენციებთან?

როგორც ცნობილია, ფუძის სახით წარმოდგენილ საწყის სახელურ ერთეულს თავის ადგილი ჰქონდა ძველი ქართული ენის ბრუნვათა სისტემაში და ის ცალკე ბრუნვად განიხილება **წრფელობითის** სახელწოდებით.

ქართული ენის დიალექტების ერთი ნაწილისთვის დამახასიათებელია თანხმოვანფუძიან სახელთა სახელობით ბრუნვაში პარალელიზმი -ი ბრუნვისნიშნისანი და ფუძის სახით წარმოდგენილი ფორმების სახით (ხევსურული, თუშური, ფშაური... საკუთარ სახელებში იშვიათად: გურული, სამცხურ-ჯავახური...).

ყველაზე ძლიერი ტენდენცია ბრუნვის ნიშნის გარეშე თანხმოვანფუძიანთა სახელობითის წარმოებისა ხევსურულისთვისაა დამახასიათებელი. ყველა დიალექტი სხვადასხვაგვარად „არეგულირებს“ და მართავს ამ პარალელიზმს, ხოლო ამ „მართვის“ მექანიზმი ყოველთვის სიტყვის ფონეტიკურ (ინტონაციურ) გარემოცვას უკავშირდება. მაგალითად, ხევსურულში, რომელშიც თანხმოვანფუძიანთა სახელობითი ბრუნვის ფორმა უმთავრესად ბრუნვის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი, საკმარისია რომელიმე ნაწილაკის ენკლიტიკური დართვა, რომ ბრუნვის ნიშანი „აღდგეს“. ასევე ფონეტიკურად და ინტონაციურად არის მოტივირებული ბრუნვის ნიშნის ქონა - არქონა ყველა სხვა დიალექტში, რომლებშიც ეს პარალელიზმი დასტურდება. საკითხი იმდენად ნაცნობია და ქრესტომათიული, რომ მისი ბიბლიოგრაფიული დეტალიზაცია ზედმეტადაც კი მიგვაჩნია (ჭინჭარაული, უთურგაიძე, ცოცანიძე, ჯორბენაძე, გოგოლაშვილი და სხვ., ჭიკაძე...).

დიალექტთა დიდი ნაწილისათვის კი ეს მოვლენა უცხოა.

რა ადგილი უჭირავს ფერეიდნულს ქართული დიალექტების ამ „დერეფანში“?

ეს თავისებურება თან წაიღო დიალექტმა თუ მერე შეიძინა?

რამდენად ზუსტად იმეორებს ფერეიდნული ქართული მთის კილოების ვითარებას თანხმოვანფუძიანთა ბრუნების თვალსაზრისით?

ეს კითხვები ბუნებრივად ჩნდება იმ მასალის გაცნობისას, რომელიც, მართალია, უკვე თითქმის 100 წლის განმავლობაში თანდათანობით შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი ენობრივი ფაქტი მხოლოდ კორპუსული ანალიზის შედეგად „ამოვიდა“ ზედაპირზე.

როგორც აღვნიშნეთ, სეიფოლა იოსელიანისგან ჩაწერილ ტექსტში თანხმოვანფუძიანთა ფუძის სახით გადმოცემული სახელობითი ბრუნვა მხოლოდ სახელურ შესიტყვებებში გვხვდება. რასაკვირველია, ეს არ გამოგვაღებდა იმის დასტურად, რომ სხვა ტიპის შემთხვევები იმ დროისათვის არ იყო დიალექტში – სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი ვერ მოხვდნენ მცირე მოცულობის ტექსტში ან, უბრალოდ, ჩა-

წერის დროს გამორჩათ მხედველობიდან, იმდენად მცირე იყო რაოდენობრივად. თუმცა ეს მასალა სრულიად დასაბუთებულ ფაქტებს გვაწვდის მოვლენის ერთი ნაწილის აღწერისათვის. მას ასე, როგორია თანხმობანფუძიან სახელთა ბრუნვის ნიშნის გარეშე წარმოდგენილი სახელობითის „დოკუმენტირებული ისტორია“ ფერეიდნულში?

აქ შევეხებით ყველა სახელს (ნაცვალსახელებს, რიცხვით და ზედსართავ სახელებს), რომლებიც, როგორც ვთქვით, მხოლოდ სახელურ შესიტყვებებში შეგვხვდა ბრუნვის ნიშნის გარეშე სეიფოლა იოსელიანიისაგან ჩაწერილ ტექსტებში:

ზოგ დღე:

ზოგ დღეს ხუთი, ზოგს დღეს ათი შიქალია, ზოგ დღეს არი, რო წავლენ და კელცარიელი მოვლენ.

აგეთ სიტყვები:

ღევმა უთხრა, რო: აგეთ სიტყვები თქიო, რო შენ თავი მე შამიყორდაო, და სამი ზადსაც გეტყიო, რო სამი სიტყო იყოს.

ერთ აგეთი ადამიზადის:

რა გითხრაო, ერთ აგეთი ადამიზადის ხელჩიგა მივსულვარო, რო ხომ ესეცლა ვარო.

ათ თუმანი:

ორმოც თუმანი ათ თუმანი სიბაქსაყე, ათ თუმანიც ჯყყყყყყყყყყყ, ათ თუმანიც ჩოყურეთსაყე – ნამა კი გაიგე, ეს რა ქნდა?

გარეულ ფევი:

ბადტა მოსვენებაჩი ჩაცივლებიან ჩონ ხალლი, გარეულ ფევი და დივანიისა შესწყლები.

დაბალ გომი, თბილ გომი:

ერთი დაბალ გომია ხუციანთ გომზე, თბილ გომია, დაქუნდებიან ბიჭები იქ, დურბინებს დოუმენ თებსათი იქ.

მოპარულ საქონელი:

ალეები ჩოჭყარიანყე იმ კაცებს, რო ჩონ გუგუგია, მოპარულ საქონელი ქენსა // თქენსა არიო, ათორიალებენ.

ერთ-ორ ლიტრა პური:

გამოვივარო, ერთ-ორ ლიტრა პური, წახიდე თქენ სოფელსაყე.

ექაურ ჯარი:

ცეკით ჯარი გაუმ ზაუნთო თუ ისეები, რო ჟერედანჩი არიან, ციმეებს მუუწეროთყე, რო წავიდენ; უთხარ, ექაურ ჯარი ველარ მეესწრობის, და აიღეს, დაწერეს ქალაზი.

ორ ტყივა:

ზოგს ორ ტყივა აქ და სამი, ციმებზე ჯარს ეზიდებიან: ეს იტყის, მე მომიხდენიაო, რას იტყის, მე მომიხდენია.

მსგავსი მაგალითები საკმაოდ ბევრია საანალიზო ტექსტში, თუმცა პარალელური წარმოების შეფარდება აქაც თვალსაჩინო უპირატესობას გვიჩვენებს ბრუნვისნიშნის ფორმის სასარგებლოდ:

ორი (29): ორი ყათარა, ორი საათი, ორი იქთენი, ორი ყოტი, ორი ბრეწვევლიც, ორი ცხო....

ექაური (1): ექაური ყეინი

ასევე: დარჭმული ბარი, ათი შიქალი, ათი მეთოფეც, ათი ცხენიანი, ათი ვერსი, ასი ცხენიანი, ათასი თუმანი....

ერთადერთი შემთხვევა გვაქვს ამ აღრინდელ ტექსტებში, როცა არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვა ზმნურ შესიტყვებაში ფუძის სახით არის წარმოდგენილი:

*დილობას უთხარ: ჯირა მამეცით, რო წავიდე ჩონ ცხენიანებთან; მირზას დოუძახა და თქო, რო: ჰასაბი ქენ, რაქთენი შაიქნებისო; დააწერე სანდუხტართანაო; იმამაც ჰასაბი ქნა და, რადელა რო შაიქნებოდა, დააწერა და მომცა, ავდექ ოთახსაკვე **ხოდაქეზ** უთხარ და გამუელ, სანდუხტარს ფული გამუართი და შავჯდე და წაველ, იყო იქით ათი ვერსი, თა ჩონ ბიჭებამდი.*

(**ხოდაქეზი** // **ხოდაფეზი** – დამშვიდობებისას დალოცვის ფორმულა, სპ.).

ეს გახლდათ მაგალითები უძველესი ფერეიდნული ტექსტიდან. ისინი აჩვენებენ, რომ თანხმოვანფუძიან სახელთა – ნაცვალსახელის, ზედსართავისა და რიცხვითი სახელის გამოყენებისას სახელურ შესიტყვებაში ფერეიდნულში გვხვდება ნულოვანი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ფორმები.

მოგვიანებით [თოღუა, ჩხუბიანიშვილი, უთურგაიძე, ბაკურაძე, ბერიძე...] ჩაწერილ მასალაში ეს მოვლენა კიდევ უფრო მეტი სიხშირითა და მრავალფეროვნებით არის დოკუმენტირებული.

სიხშირის თვალსაზრისით ჭარბობს თანხმოვანფუძიანთა უბრუნვისნიშნო სახელობითის ფორმით ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელების გამოყენება ან სახელურ შესიტყვებაში, ან დამხმარეზმნიან კონსტრუქციაში – შედარებით ნაკლები სიხშირით, მაგრამ საკმაოდ სისტემურად გვხვდება, როგორც უკვე ვნახეთ, არსებითი სახელიც ამ ფორმით – როგორც დამხმარე ზმნასთან, ისე სრულფასოვან ზმნურ კონსტრუქციაშიც.

თუ დოკუმენტირების დინამიკასაც გავითვალისწინებთ და შედარებით სიხშირესაც, შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ფერეიდნულში თანხმოვანფუძიან სახელთა (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი) ნულოვანი ალომორფით გამოხატული სახელობითი ბრუნვა ფაქტია. ის გვხვდება:

1. სახელურ შესიტყვებაში მსაზღვრელად;
2. დამხმარე ზმნების (განსაკუთრებით -ი ხმოვანპრეფიქსიანების) წინ;
3. შედარებით შეზღუდული სიხშირით, მაგრამ მაინც გვხვდება სხვა ფუნქციურ და პოზიციურ როლშიც – სრულფასოვან ზმნა-შემასმენელთან, როგორც სუბიექტი ან ობიექტი, პოზიციის შეუღლდავად.

ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა რომ ვცადოთ, დაახლოებით ასეთ დასკვნას მივიღებდით:

ფერეიდნული დიალექტი ამ შემთხვევაშიც შორს არ მიდის ქართული დიასისტემური ერთობიდან და სახელური ფორმაწარმოების მორფოლოგიურ ინვენტარს აქტიურად იყენებს ფრაზის (შესიტყვების) ფონეტიკური (ინტონაციური) მოწეს-

რიგების საშუალებად. ის, რომ გაცილებით აქტიურია ეს პროცესი სახელურ შესიტყვებაში, იმის დამსახურებაა, რომ ამ ტიპის შესიტყვებას ქართულში ახასიათებს მეტი ინტონაციური მთლიანობა, მას „ერთი ინტონაციური მოდული დაეფინება“ [კიზირია 1987]. ფერეიდნულში „ორ კაცი“, „ზოგ კაცი“, „გარეულ ბატი“ და მსგავსი შესიტყვებანი ერთ ინტონაციურ ერთეულს უახლოვდება და წარმოთქმით ეს მოვლენა თავისი ინტონაციური ბუნებით კომპოზიციას უტოლდება.

რაც შეეხება ზმნურ შესიტყვებაში შემავალი თანხმოვანფუძიანი სახელების (არსებითი და ყველა სხვა) საკითხს, გარკვეული ფონეტიკური მოტივაცია ამ მასალაშიც იკვეთება: თუ დავაკვირდებით „ხალი“ სიტყვის გამოყენების მაგალითებს ერთსა და იმავე პერიოდში ჩაწერილ ტექსტებში (იხ. ზემოთ), ვნახავთ, რომ ორი აღწერილი შემთხვევა, როცა ის ზმნურ შესიტყვებაში გვხვდება, არის „იყო“ ზმნის წინ: **ხალღ** იყენს.

მთელ ტექსტურ მასივში შემოწმებულ შემთხვევათა სხვა დიდ ნაწილშიც „იყო“ ზმნაა მთავარი „პერსონაჟი“: ჩემოდნებ იყენს (ჩემოდნები იყვენს), მობძულ იყოსყე, ამოსულ იყვისყე, დახატულ **ძივებ** იყვისყე... ასეთი მაგალითები იმდენად ბევრია, რომ შეიძლება გვეფიქრა, რომ ორი **ი-ს** თავმოყრამ და დამხმარე ზმნის ენკლიტიკისაკენ სწრაფვის ფერეიდნული სათვის დამახასიათებელმა მოვლენამ განაპირობა ამ ტიპის შემთხვევებში **-ი** ბრუნვის ფორმანტის გაუჩინარება (ის ან „დაიკარგა“, ან ენკლიტიკური ბმის ეფექტით „შეერწყა“ ზმნურ პრეფიქსს). ეს ასეა არ არის ლოგიკურობას მოკლებული, რადგან ვარიაციული ფორმების შედარება აშკარად აჩვენებს, რომ სახელობითი ბრუნვის ნულოვანი ფორმანტით ნაწარმოები ფორმა **ი-** ხმოვანპრეფიქსიანი ზმნის წინ (იყო, იქნა...) უფროა მოსალოდნელი (თოვლ იყო, ვაშლ იყო, თევზ იჭირა...).

ენკლიტიკური წარმოთქმისა და სახელობითი ბრუნვის ნიშნის ქონა-არქონის საკითხი პირდაპირ დაკავშირებულია სხვა ქართულ დიალექტებშიც, მაგრამ თუ შევადარებთ, მაგალითად, ხევსურულ დიალექტთან, ეს მსგავსება მხოლოდ ზედაპირული აღმოჩნდება: ხევსურულში თანხმოვანფუძიანთა სახელობითი დომინანტური ფორმა ნულოვანი ალომორფით წარმოდგენილი ფორმები და მხოლოდ ენკლიტიკური ბმის დროს გაჩნდება **-ი** ბრუნვის ნიშანი: კაც მავიდ, მაგრამ კაცი'ორ, კაცი'დ ქალ...

ფერეიდნულში კი შებრუნებული სურათი გვაქვს: ენკლიტიკური წარმოთქმის დროს წინამავალი სახელი „მოკლდება“, როგორც ეს კომპოზიციის დროს ხდება ქართულში, ხოლო დომინანტურ ფორმად რჩება არა „მოკლე“ ფორმა, როგორც ეს ხევსურულს ახასიათებს, არამედ – სრული, ბრუნვისნიშნისანი ფორმა.

ფერეიდნულის ზედმიწევნითმა კორპუსულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სახელობითი ბრუნვის ფორმათა პარალელიზმი აქ არ ჩერდება და აშკარად გამოხატული ტენდენცია ჩანს „მოკლე“ ფორმების სხვა ფონეტიკურ გარემოშიც, სახელდობრ, თანხმოვნით ან რომელიმე სხვა ხმოვნით დაწყებული ზმნის წინ დამკვიდრებისა: **ალაგ** გამამიცვალე, **ალაგ** არი, ჩემ **თავ** უყორდისყე...

როგორც ვხედავთ, ფერეიდნული „ბრმად“ არ მისდევს ქართული დიალექტების იმ ნაწილს, რომელთაც აგრეთვე ახასიათებს თანხმოვანფუძიანთა ნულოვანი ალო-

მორფით წარმოდგენა სახელობით ბრუნვაში. ამასთან, ის არ ტოვებს ქართულ ენობრივ სივრცეს იმ თვალსაზრისით, რომ სახელობითი ბრუნვის მორფოლოგიურ ინვენტარს იყენებს ინტონაციური მოდელირების ინსტრუმენტად.

ისტორიულად ერთი ინტონაციური მოდელის ქვეშ მოქცევისა და კომპოზიციისკენ ან ენკლიტიკისკენ სწრაფვა დაედო საფუძვლად ქართულ ენასა და მის დიალექტებში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ახალი ტიპის ჩამოყალიბებას. სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, დიალექტებმა სხვადასხვა ხარისხით განაზოგადეს ბრუნვათა „მოკლე“ ვარიანტების გამოყენება სხვადასხვა ბრუნვაში.

ფერეიდნულში ფუძის სახით წარმოდგენილი თანხმოვანფუძიანი სახელობითი გაჩენისა და დამკვიდრების დინამიკა ასე გვესახება – ის გაჩნდა ჯერ კომპოზიციისა და ენკლიტიკისაკენ ყველაზე მეტად მიდრეკილ კონსტრუქციებში, ხოლო შემდეგ შესაძლებელი გახდა მისი გამოყენების არის გაფართოება.

ფერეიდნულში ეს პროცესი ჯერ არ არის იმდენად მორფოლოგიზებული, რომ განხილულ პოზიციებში მკაცრი გამიჯნვა გვექონდეს (როგორც ეს ხევესურულში გვაქვს, მაგალითად). შეიძლება ვთქვათ, რომ ფერეიდნული ამ მოვლენის სახით საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ საერთო ქართული ტენდენციის დამოუკიდებლად განვითარების დინამიკას.

თანხმოვანფუძიან სახელთა მოთხრობითი ბრუნვა მთელ ფერეიდნულში იწარმოება ფუძეზე **-მა** თანდებულის დართვით. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, დიალექტის გარკვეულ ქვესისტემებში შეიძლება შეგვხვდეს **-მამ** დაბოლოებაც. ეს ერთნაირად ეხება ყველა თანხმოვანფუძიან სახელს – არსებითს, ზედსართავს, რიცხვითსა და ნაცვალსახელს:

მაგალითად:

ბიჭმამ, ბოინელებმამ, ბოინელმამ, გელმამ, დარვიშმამ, დედაკაცმამ, დერვიშმამ, ვაზირმამ, მეჩობნებმამ, მუცელმამ, პატრონმამ, სიძემამ, სიხარულმამ, სომხებმამ, ღმერთმამ, ყათელმამ, ყეინმამ, ყორმამ, შაჰაბასმამ, შულმამ, ჩიტმამ, ცხენმამ, ძაღლმამ, ძმებმამ, ძოღებმამ, ხაღმამ, ხანმამ, ხუმსრელებმამ, ჯარმამ, ჰაიდარამამ... (როგორც ვხედავთ, ხმოვანფუძიანი სახელის მოთხრობითიც შეიძლება იყოს „ორმაგი“ ბრუნვის ნიშნით ნაწარმოები).

ამებმამ, ემებმამ // ემემამ, ერთმამ, თითნემამ, იმამამ, სუმამ, სუნმამ...

აღსანიშნავია, რომ ეს ფორმა ძირითადად სოფელ დაშქესანაში ჩაწერილ ტექსტებში დასტურდება. თითო-ორი ფორმა გვაქვს სხვა სოფლებში დადასტურებული:

მარტყოფი: **ერთმამ**

ახჩა: **ჰაიდარამამ**

ჯაყჯაყი: **გელმამ, დედაკაცმამ, მეჩობნებმამ, ჩიტმამ**

თორელი: **ღმერთმამ**

ყველა დანარჩენი ფორმა დაშქესანაშია ჩაწერილი. ძნელი სათქმელია, რა უნდა იყოს ამ მოვლენის მიზეზი. სამეცნიერო ლიტერატურაში ის ე.წ. ქვემოფერეიდნულ-

ლის თავისებურებადაა აღწერილი. მარტყოფი და ჯაყჯაყი არ ეკუთვნის პირობითად გამოყოფილ იმ ენობრივ წრეს, რომელსაც ქვემო ფერეიდნულად მოიხსენიებენ. საკვლევი, ორმაგი ბრუნვის ნიშანი ამ სოფლებში გავლენის შედეგია თუ საერთო ტენდენციის გამოვლინებასთან გვაქვს საქმე?

უნდა ითქვას, რომ „დაშქესნურ“ ტექსტებში ორმაგდაბოლოებიანი მოთხრობითის გვერდით ჩვეულებრივად დასტურდება მოთხრობითის სტანდარტული ფორმებიც: ბოინელებმა, დარვიშმა, გულმა, დედაკაცმა, დაშქესნელმა, ქართველებმა, ყმა-წილებმა... ხშირად ეს პარალელიზმი ერთი მთქმელის მეტყველებაში იჩენს თავს.

თანხმოვანფუძიან სახელთა მიცემითი ბრუნვა. არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში **-ს** ბრუნვის ნიშანს დაირთავს. ნულოვანი ალომორფით ნაწარმოები მიცემითი, რომელიც ასე დამახასიათებელია ქართული ენის ბევრი აღმოსავლური კილოსთვის, მათ შორის, კახურისა და ქართლურისთვის, ფერეიდნულისათვის უცხოა. ამ მხრივ ფერეიდნული კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული ენის დიასისტემაში გამოვლენილ მნიშვნელოვან კანონზომიერებას: ერთსა და იმავე დიალექტს ქართულში არ ახასიათებს სახელობითი და მიცემითი ბრუნვის ნულოვანი ალომორფით გაფორმება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ სახელობითში გვაქვს ფუძის სახით წარმოდგენილი ფორმა, მიცემითში აუცილებლად გვექნება ბრუნვისნიშნის წარმოება, ხოლო თუ მიცემითში თუნდაც პარალელური ფორმით დასაშვებია ფუძე, სახელობითი ბრუნვის ნიშნით იქნება წარმოდგენილი. შდრ.: კახური, სამცხურ-ჯავახური, ქართლური... – დიალექტები, რომლებიც მიცემითში **-ს** ბრუნვის ნიშანს კარგავენ, ხოლო სახელობითში **-ი-ს** ინარჩუნებენ: კაც-ს – კაც-ი... და ხევსურული, ინგილოური... რომლებიც სახელობითს ბრუნვის ნიშნის გარეშე „ამჯობინებენ“, ხოლო მიცემითში შენახული აქვთ **-ს** ნიშანი.

ბრუნვის ნიშნის თვალსაზრისით თანხმოვანფუძიან სახელთა ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები ფერეიდნულში განსაკუთრებული თავისებურებით არ გამოირჩევა – ბრუნვის ნიშნები აქ არის **-ის, -ად, -ით**.

თავისებურებას ქმნის ის, რომ ჩვეულებრივ კუმშვადი ფუძეები ამ ბრუნვებში უმეტესად უკუმშველად არიან წარმოდგენილი.

ქართული ენის დიალექტები დიდ მრავალფეროვნებას აჩვენებენ კუმშვისა და კვეციის თვალსაზრისით. ფერეიდნულიც თავის ფერს სძენს ამ ვარიაციულობას. აღნიშნავენ, რომ უკუმშველობა და უკვეცელობა ფერეიდნულში არაქართულენოვანი გარემოს გავლენა უნდა იყოს [ჩხუბიანიშვილი 2012: 193], თუმცა ამ თეზისის დასაბუთება ჭირს.

თანხმოვანფუძიანთა მრავლობითის წარმოება. კუმშვადი სახელები ფერეიდნულში უმეტესად არ იკუმშებიან მხოლოდით რიცხვში, ხოლო მრავლობითში უმეტესად – იკუმშებიან.

კაკალი – კაკალის, კაკალით – კაკლები.

ასე რომ, შეუძლებელია ცალსახად იმის თქმა, რომ კუმშვა ფერეიდნულს არ

ახსიათებს. კუმშვად და უკუმშველ ფორმათა პარალელური ვარიაციულობა თანამედროვე ქართულსაც კი აქვს და ზოგჯერ ლექსთწყობის ან სხვა რაიმე საჭიროების გამო შესაძლოა უკუმშველი ვარიანტები რეალიზდეს. ფერეიდნულში კუმშვა მრავლობითში ჩვეულებრივია, მხოლობითმა კი სრულმარცვლოვანი ვარიანტები არჩია.

ნიშანდობლივია, რომ ე.წ. ქვემოფერეიდნულში – ბოინ-მიანდამთური თქმის ზოგ სოფელში მრავლობითში ზოგჯერ ისეთი სიტყვა იკუმშება, რომელიც უკუმშველია ზემოფერეიდნულში: ყორი (ქალიშვილი) – ყრები, ცხვარი – ცხრები [ჩხუბიანიშვილი 2012: 193].

ფერეიდნულის განსაკუთრებულ თავისებურებაა, რომ თანხმოვანფუძიანი სახელების მრავლობითის წარმოება ზოგჯერ ხმოვანფუძიან სახელთა მრავლობითის ანალოგიურად, **-ეებ** ელემენტს დაირთავს. ამასთან, **-ეებ** დაერთვის როგორც უკუმშველ, ისე კუმშვად ფუძეებს:

უკუმშველი: ადგილ-ეები, გატანულ-ეები, სახლ-ეები, გლენ-ეები, დედაკაც-ეები, ფეთაქ-ეები, კერაზ-ეები, ყორ-ეები (ყორი), შვილ-ეები, ფორცოლ-ეები, ქალ-ეები, ყმაწილ-ეები, წაკრულ-ეები, წნურ-ეები, ჯონ-ეები...

კუმშვადი: ზლ-ეები, კოჭბ-ეები, მამლ-ეები, სომხ-ეები, ქათმ-ეები, წითლ-ეები, წინაპრ-ეები...

ბოინ-მიანდამთურ თქმაში ეს პროცესი კიდევ უფრო შორსაა წასული და, როგორც ხმოვანფუძიანებში, აქაც რეგრესული დისიმილაციის შედეგად გვაქვს **-ეებ > -ეებ** ელემენტი

მრავლობითის ფორმებში (როგორც კუმშვად, ისე უკუმშველ ფუძეებში):

მუცელი – მუცლის – მუცლეები¹¹²

საბელი – საბლის – საბლეები

შაჭმელი – შაჭმლის – შაჭმლეები

სოფელი – სოფელისა // სოფლისა – სოფლეები

ულელი – ულლისა – ულლეები

ფურცელი – ფურცლისა – ფურცლეები

ღურბელი – ღურბელის // ღურბლის – ღურბლეები

წენი – წენისა – წენეები

ბატკანი – ბატკანის // ბატკნის – ბატკნეები

ბოსტანი – ბოსტანის¹¹³ – ბოსტნეები

გუთანი – გუთანის – გუთნეები

ღუქანი – ღუქანის // ღუქნის – ღუქნეები (ღუქნის კართან)¹¹⁴

ყურზენი – ყურზნის – ყურზნეები (ყურზნის წყალი)

თუმანი – თუმნისი – თუმნეები

112. მასალა მოპოვებულია სპეციალური კითხვარით სოფელ თორელში.

113. ზოგ ერთეულს შეკუმშული ფორმა არ უდასტურდება.

114. ზოგ შეკუმშულ ფორმას თავად უძებნიდა კონტექსტს.

ტევანი – ტევანის // ტევნის – ტევნები (ტევნისაც ვიტყით)
 საბანი – საბნისი – საბნები
 ცხორი – ცხორისა – ცხრები
 ბაწარი – ბაწრის – ბაწრები (ბაწრის წინდა)
 ბოჯარი – ბოჯარისა – ბოჯრები
 ზამთარი – ზამთრისა // ზამთარისა – ზამთრები
 სტუმარი – სტუმარისი – სტუმრები
 მეგობარი – მეგობრის // მეგობარის – მეგობრები
 ნავევარი – ნავევარის – ნავევრები
 სამავრი – სამავრისი – სამავრები
 კისერი – კისერისა // კისრისა – კისრები
 ოჯერი – ოჯრისა – ოჯრები (ოჯრად ღაგვარდეს)
 საცერი – საცერისა // საცრისა – საცრები
 ქათამი – ქათმისა – ქათმები
 ფოთლი – ფოთლისა – ფოთლები
 საპონი – საპონისა – საპონები (ასეა!)
 გოდორი – გოდორის – გოდრები
 მინდორი – მინდორის – მინდრები
 ქოჩორი – ქოჩორის – ქოჩრები
 ჩოჩორი – ჩოჩორის – ჩოჩრები
 კაკაბი – კაკაბის – კაკბები
 სომეხი – სომხის – სომხები
 ბეჭედი – ბეჭედისა – ბეჭედები (ასეა!)
 ახალი – ახლისი – ახლები (წელი ქე გაახლების, ვიტყით „ახლის წელი“)
 მალალი – მალლის – მალლები
 ყითელი – ყითელის – ყითლები
 მაგარი – მაგრის – მაგრები
 წითელი – წითელის – წითლები
 სუქანი – სუქანის – სუქნები
 გურგალი – გურგალის – გურგლები
 გძელი – გძელის – გძლები
 თხელი – თხელის – თხლები
 ტყელი – ტყელის – ტყლები
 შიარი – შიარის – შიარები
 ცარიალი – ცარილის – ცარილები
 შობიარი – შობიარის – შობიარები (მოგებულ დედაკაცს ეტყვიან შობიარი)
 რომენი – რომენის // რომნის – რომნები (რომენის კაცია, რომნის დედაკაცია)
 გამკეთებელი – გამკეთებლის – გამკეთებლები...
 ველი – ველის – ველები

როგორც ვხედავთ, კუმშვა, ისევე, როგორც კვეცა, სულაც არ არის უცხო ფერეიდნული სთვის.

სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში ბოლომდე მორფოლოგიზებული ეს პროცესები (კუმშვაცა და კვეცაც) სახელთა ბრუნების სისტემაში შეუქცევად მიმართებებს ქმნიან: კვეცა ერთ-ერთ ბრუნვაში მხოლოდითში ავტომატურად განსაზღვრავს პარადიგმის სახეს; კვეცა გვექნება მეორე ბრუნვაშიც (ნათესაობით-მოქმედებითი) და მრავლობითშიც; კუმშვა ერთ-ერთ შესაბამის ბრუნვაში (ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი) ავტომატურად განსაზღვრავს კუმშვას სხვა შესაბამის ბრუნვებსა და მრავლობითში.

ფერეიდნულში კი, როგორც ვნახეთ, ამგვარი მიმართებები არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. კუმშვაცა და კვეცაც პარალელურ ვარიაციულ ფორმებს წარმოქმნიან. ეს ვარიაციულობაც არაპროპორციულია: მრავლობითში დომინანტურია შეკვეცილი და შეკუმშული ფორმები, მხოლოდითში – შეუკვეცავი და შეუკუმშავი.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ძნელად გასაზიარებელია თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ კუმშვა და კვეცა არ არის ფერეიდნული სთვის დამახასიათებელი და ეს (კუმშვისა და კვეცის უქონლობა) უცხო ენის გავლენის შედეგია [ჩხუბიანიშვილი 2012: 192-193; გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 517]. პირიქით, ფერეიდნული სახელური ფორმაცარიანობის ამ უბანზეც კიდევ ერთხელ აჩვენებს, როგორ ხდება დიასისტემური ენობრივი კანონზომიერების განვითარება იზოლირებულ კოლექტივში.

წოდებითი ბრუნვა. თანხმობანფუძიან სახელთა წოდებითი ბრუნვა ისევე იწარმოება ფერეიდნულში, როგორც სალიტერატურო ქართულში: საზოგადო სახელები -ო ხმოვანს დაირთავენ.

რაც შეეხება საკუთარ სახელებს, ისინი ფუძის სახით არიან წარმოდგენილი: ყოდრათ! ასლან! ჰუსეინ! ზოგჯერ ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელიც კარგავს ბოლო ხმოვანს: სედიყ!

დადასტურდა საზოგადო სახელის წოდებითიც ფუძის სახით: **აგძელებულ**, სად მიხლო? ანს იტყის ქე: – მოკონტულო, შენთანა. ნამგალი! ნამგალი ემეს ეტყვის, ხორბალსა: – **აგძელებულ**, სად მიხლო? მერე ეს ეტყის: მოკონტულო, შენთანა.

1.3. მავრცობი ხმოვანი ქართული ენის დიალექტებსა და ფერეიდნულში

1.3.1. მავრცობი ხმოვანი ქართული ენის დიალექტებში

მავრცობი (ე.წ. ემფატიკური) ხმოვნების დართვა ქართული დიალექტების დიფერენცირებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ის აღრევე გახდა სამეცნიერო ინტერესის საგანი [Mapp 1925: 18, 22, 99; ღონდუა, 1956; ძოწენიძე, 1956; ზურაბიშვილი 1956; ფოცხიშვილი 1959; უთურგაიძე 1986; ჯორბენაძე, 1998; გოგოლაშვილი და სხვ. 2016; ბერიძე 1994: 87-113 და სხვ.]. აღნიშნულია,

რომ წარმოშობით მავრცობი ხმოვანი ნაცვალსახელური ელემენტია, რომელსაც განსაზღვრულობა შეჰქონდა სახელში.

უკვე ძველსავე ქართულში ამ ელემენტს დაკარგული აქვს კავშირი ნაცვალსახელურ წარმომავლობასთან და, შესაბამისად, აღარა აქვს განსაზღვრულობის შინაარსიც. მოგვიანებით ის ბრუნების პარადიგმის ნაწილად მკვიდრდება. როგორც სამართლიანად არის აღნიშნული, „ემფატიკურმა -ა-მ¹¹⁵ თავისი პირვანდელი ფუნქციის დაკარგვის შემდეგ ძველ ქართულში შეიძინა მორფოფონემატური ფუნქცია – იქცა ბრუნვის ნიშანთა ორგანულ ნაწილად და ხელს უწყობდა მათ რეალიზაციას ფონემატურად არაბუნებრივ პოზიციებში“ [უთურგაიძე 1986: 50].

როგორც კვლევებმა დაადასტურა, გარდა მორფოფონემატურისა, მავრცობმა ხმოვანმა შეიძინა ფრაზის ინტონაციური მოწესრიგების ფუნქციაც როგორც სალიტერატურო ენაში, ისე მის დიალექტებში. ასე რომ, მავრცობი ხმოვნის განვითარების ისტორია შეიძლება განვიხილოთ, როგორც მორფოლოგიური ელემენტის ფონეტიზაციის ერთი ძალიან მკაფიო მაგალითი [ბერიძე 1994: 89].

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა მავრცობი ხმოვნის ფუნქციის თაობაზე. მას მიაწერენ მარცვალთლიაობის [ფოცხიშვილი 1959], მახვილის შენარჩუნების [ზურაბიშვილი 1956; ბეროზაშვილი 1980], სადემარკაციო [უთურგაიძე 1986] ფუნქციებს.

ახალ ქართულში მავრცობი ხმოვნის მხოლოდ ფუნქცია კი არა, გამოყენების არც შეიცვალა – ის საგრძნობლად გაფართოვდა: გაჩნდა ვითარებით ბრუნვაშიც, გამოიყენება თანდებულების შემდეგ. გარდა ამისა, მას ფუნქციურად გაუთანაბრდა ფუძისეული -ა ნაწილაკებსა და ზმნისართებში, ხმოვანფუძიან სახელთა მოთხრობითი ბრუნვის -მა ნიშანი. გარდა ამისა, მიუთითებენ ინფორმაციის სტრუქტურირების ფუნქციაზე: „-ა მავრცობი დამოკიდებული წინადადების ბოლოს უკავშირდება კონსტატაციის არა, ხომ“ ნაწილაკს. იგი წინადადების ბოლოს თემას გამოყოფს რემი საგან“ [უთურგაიძე 1986: 115].

დიალექტებში მავრცობი ხმოვნის გავრცელების არე კიდევ უფრო ფართოა და ის ზმნასთანაც კი შეიძლება გამოვლინდეს.

არ არსებობს ქართული დიალექტი, რომელსაც მავრცობი ხმოვანი არ ახასიათებდეს. დიალექტურ მრავალფეროვნებას აქ ქმნის: მავრცობი ხმოვნის გამოვლენის პოზიცია; სიტყვათა იმ ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფების არჩევანი, რომლებთანაც გამოვლინდება მავრცობი; მავრცობის ფონეტიკური ვარიანტები; მავრცობის გამოვლენის რეგულარულობა და სხვ.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში -ა მავრცობი შემდეგ პოზიციებში გამოვლინდება:

115. იმის გამო, რომ ქართულ სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებული ტერმინი **ემფატიკური ხმოვანი** არ არის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩვენთვის საინტერესო მოვლენის აღსანიშნად მიღებული, ჩვენ ვიყენებთ ტერმინს **მავრცობი ხმოვანი**. ტექსტში ციტირებისას გამოყენებული იქნება საავტორო ვერსია.

1. პაუზის წინ (წინადადების ბოლოს ან ჩამოთვლისას);
2. და კავშირის წინ;
3. -ც ნაწილაკის წინ (ღიალექტებში სხვათა სიტყვის -ო-სა და -ლა ნაწილაკის წინაც);
4. თანხმონით დაწყებული ზმნების წინ (როცა ზმნა უზმნისწინაოა და პირის ნიშანს არ მოსდევს ხმოვანი პრექფისი);
5. ერთმარცვლიანი სიტყვების წინ;
6. მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციის დროს.

შენიშვნა: ზოგჯერ -ა შეიძლება გაჩნდეს ხმოვნით დაწყებული ზმნების წინაც: „საქმე ის არის, რომ ემფატიკური ხმოვანი არჩევს ზმნის თავკიდურა ფორმებს! – თუ ძირეულია, ემფატიკური -ა მის წინ გამოჩნდება („რასა უფროსობს“, „რასა ეშმაკობს“, „ვერა უფროსობს“ და სხვ.), თუ პრეფიქსია, არ გამოჩნდება (არ შეიძლება „რასა უფროსობს“, „რასა ეჩხუბება“ და სხვ.)“ [უთურგაიძე 1986: 40].

მავერცობი ხმოვანი → და მისი ფონეტიკური ვარიაციები **ქღვ-ში** მონიშნულია **Long** მახასიათებლით. როგორც ვთქვით, ის წარმოშობით ნაცვალსახელური ელემენტია, რომელიც ენკლიტიკურად მიეკედლა სახელთა ბრუნების პარადიგმას და მის ორგანულ ნაწილად იქცა. ღიალექტებში ის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციით არის წარმოდგენილი: -ა, -ი, -ე, -უ, გ.

მავერცობი ხმოვანი გამოვლინდება ხუთ ირიბ ბრუნვაში:

მოთხრობითი: ღელა-მ(ა); მიცემითი: ღელა-ს(ა); ნათესაობითი: ღელ-ის(ა); მოქმედებითი: ღელ-ით(ა); ვითარებითი: ღელა-დ(ა). აქ ჩამოთვლილია ხმოვანფუძიანი სახელები. თანხმომოვანფუძიანებში ამ ბრუნვებს გამოაკლდება მოთხრობითი, რადგან იქ ბრუნვის ნიშანი ისედაც -ა ხმოვნის შემცველია:

სახ. კაც-ი; მოთხრ. **კაც-მა**; კაც-ს (ა); კაც-ის(ა); კაც-ით(ა); კაც-ად(ა).

არ არსებობს არცერთი ქართული ღიალექტი, რომელსაც არ ახასიათებდეს მავრცობი ხმოვნის გამოყენება სახელური ფორმაწარმოების დონეზე, მაგრამ სინტაგმატური რეალიზაციის მრავალფეროვნება ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც საკუთარი სახელების სახელობითი ბრუნვის შემთხვევაში, იმდენად ნაირფეროვანია ღიალექტების მიხედვით, რომ ეს ნიშანი (მავერცობი ხმოვანი) ღიალექტური „მიჯნის“ ერთ-ერთი აუცილებელი მახასიათებელია. შესაბამისად, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოდური მიმართებების მარკირებისას, მდგრადია ქვეცნობიერი „თვითშენახვის“ პირობებში და ადვილად იცვლება გაცნობიერებული კოდური გადართვის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ -ა ხმოვანი მავრცობად ყველა ღიალექტს ახასიათებს, დასავლური ღიალექტური წრის წარმომადგენლები აღმოსავლელთა მეტყველების დასახასიათებლად, პირველ ყოვლისა, ამ ნიშანს მოიხმობენ. ამასთან, ხშირად – შეცდომით.

მაგალითად, კახურისათვის (აღმოსავლურ ღიალექტთა ჯგუფი) -ა მავრცობი ყველაზე ფართოდაა დამახასიათებელი. როცა იმერელი (დასავლური სამეტყველო წრის წარმომადგენელი) კახელის გამოჯავრებას ცდილობს, მან არ იცის -ა მავრცობის ყველა დასაშვები პოზიცია კახურში, ამიტომ ამბობს: ღელასა უ-თხრა ან ღელასა

მი-ს წერა. მას არა აქვს სათანადო კომპეტენცია კახური დიალექტის ფლობის და არ შეუძლია იცოდეს, რომ ხმოვანი პრეფიქსებისა და ზმნისწინიანი ფორმების წინა პოზიციაში კახურში -ა მავრცობის დართვა დაუშვებელია.

როგორც ვთქვით, ქართულ სამეცნიერო ტრადიციაში ეს ელემენტი მორფოლოგიურ ელემენტად არის მიჩნეული და სახელთა ბრუნების ბლოკში განიხილება, თუმცა ამკარაა და დასაბუთებულიც, რომ მას დღეს მხოლოდ ინტონაციური და პრაგმატიკული ფუნქციები აქვს – ეს არის ფრაზის ინტონაციური დაბალანსების ფუნქცია, ენობრივ სეგმენტთა დემარკაციის ფუნქცია და წინადადებაში ინფორმაციის სტრუქტურირების ფუნქციები.

როგორც ვთქვით, ე.წ. ემფატიკური ხმოვანი ქართული ენის ყველა დიალექტში გვაქვს, მაგრამ დიალექტები სწორედ მისი გამოყენების მრავალფეროვნებით განსხვავდებიან ყველაზე მეტად ერთმანეთისგან.

მაგალითად:

და კავშირის, -ც ნაწილაკის წინ ის ყველა დიალექტში გვხვდება – სადემარკაციო ფუნქციით. გამონაკლისია **გურული** დიალექტი. აქ -ც ნაწილაკი -ას გარეშე დაერთვის სიტყვას: მან-ც, დედამ-ც...

ეს ნიშანი საკმარისია გურული მეტყველების ამოსაცნობად!

პოსტპოზიცია დიალექტებს არ ახასიათებთ და სიტყვათა ასეთ წყობას (საზღვრული – მსაზღვრელი) მხოლოდ ინფორმაციის სტრუქტურირებისთვის მიმართვენ:

თაფლი მაისისა ჯობია (სამცხურ-ჯავახური) [ბერიძე:1994].

ა ხმოვანი ასეთ წინადადებაში ინფორმაციის სტრუქტურირებას ემსახურება.

ყველაზე დიდ სხვაობას ქმნის ზმნების წინ ემფატიკური ხმოვნის გამოყენება. ის ზმნური შესიტყვების ერთგვარი ინტონაციური „გამაწონასწორებელია“.

სწორედ ამიტომ არის, რომ როცა ზმნა ხმოვნით ან ხმოვნის შემცველი ზმნისწინით იწყება, ის „ზედმეტია“:

არ-ა ვჭამ

მაგრამ:

არ უნდა, **არ** მოვალ, **არ** მ-ი-ყვარს...

ერთმარცვლიან სიტყვებში ემფატიკური ხმოვნის დართვა და ფუძისეული ხმოვნის დაგრძელება თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს:

კაცს სთხოვს // კაცს სთხოვს ან სთხოვს კაცს (სამცხურ-ჯავახური).

არ მაქუ // არა მაქვს (ხევსურული).

დასკვნა: შეიძლება ითქვას, რომ ქართულში ისტორიულად განვითარებული პროცესი ნაცვალსახელური ელემენტის ბრუნების ენკლიტიკურ ნაწილად ქცევისა განვითარდა მისი სრული „ფონეტიზაციით“.

ეს პროცესი შეიძლება განვიხილოთ დიალექტების ერთ ნაწილში ხმოვანფუძიან სახელთა სახელობით ბრუნვაში -**ე** // **ი** ბრუნვის ნიშნის ჩამოყალიბების შებრუნებულ პროცესად, როცა, სავარაუდოდ, მოხდა ფონეტიკური მოვლენის – იოტიზებული დამართვის „მორფოლოგიზაცია“. პოზიციური რეგულარულობისა და აგრეთვე იმის

გამო, რომ -ი // -ი მასალობრივად დაემთხვა სახელობითის ისტორიულ ფორმანტს, ის ადვილად გადააზრიანდა მორფოლოგიურ ელემენტად [ბერიძე 1994].

სახელური მორფოლოგიის მრავალფეროვნებას ქართულში ქმნის არა მხოლოდ ბრუნვის ნიშანთა ალომორფებისა და ბრუნვათა მავრცობი ელემენტის ფონეტიკურ ვარიანტთა სიმრავლე და განსხვავებულობა დიალექტების მიხედვით, არამედ ის ფაკულტატიური დანიშნულება, რაც ამ ელემენტებს აქვთ დიალექტში, სახელდობრ, მათი როლი დიალექტის ინტონაციური პროფილის შექმნაში.

ყველა ხმოვანი მორფოლოგიური ელემენტი, რომელიც სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში იჩენს თავს (ბრუნვის ნიშანი, მავრცობი, ზმნური სუფიქსი, ფუძისეული ხმოვანიც კი), დიალექტის ინტონაციური სტრუქტურის განმსაზღვრელია. ამიტომ ამ ელემენტების გამოყენების წესები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია კოდური მიმართებების დადგენის დროს. ეს მახასიათებლები აშკარად უფრო მდგრადია „თვითგამიჯვნის“ ბუნებრივ პროცესში და პირველი ისინი იცვლება გამიჯნული კოდური გადართვის დროს.

1.3.2. მავრცობი ხმოვნის განაწილების სურათი ფერეიდნულში

რადგან ასეთი „წონა“ აქვს მავრცობი ხმოვნის გამოყენების თავისებურებას დიალექტური დიფერენციაციის დროს და, შესაბამისად, მაღალია მისი დიალექტო-მეტრიული ღირებულებაც, დიდი იყო ამ საკითხისადმი ინტერესიც ფერეიდნულზე დაკვირვების დროს. ფერეიდნულის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მავრცობ ხმოვანზე ყურადღება არ არის გამახვილებული, თუმცა მოვლენა კარგად არის დოკუმენტირებული და ფერეიდნული ტექსტების მდიდარი სამეცნიერო კოლექცია საშუალებას იძლევა, დავინახოთ მავრცობი ხმოვნის გამოყენების საკმაოდ მკაფიო სურათი დიალექტში.

ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტებში, ფერეიდნულშიც გვხვდება მავრცობი ხმოვნის ორი ვარიანტი: -ა და -ი.

ქდკ-ის მასალა სრულად ადასტურებს -ა მავრცობის ხმოვნის რეალიზაციებს ყველა იმ პოზიციაში, რომლებშიც დღეს სალიტერატურო ქართულსა და აღმოსავლურ დიალექტებში გვაქვს:

-ა მავრცობი მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი ბრუნვის ფორმებთან:

ბადიონი თითანაც ერთი ბალახია დ'ეს ბალახი ემეს გამაიბამს, თავის დანს იქს, როგონამც რო ყანამა ხორბალი დქნას, ისიც თითან გოლს იქს და გამაიბამს იმ დანსა.

ის იყო, რო ჩემ ძმამა ექით აღარ მოდდალა და სხოვანდა იკითხა დარსილა და ნამა შაიქნა თავისთი.

იმაშინ რო წაკვედი, დაიჭირა წიმამა და ჩონ თექსმეტ-ჩიდმეტი ლამეს ემ გზაზე მივდიოდით, მოვდიოდით, თაფლი მოქონდა.

წერილი მიდსწერეთ **ვეზირსა** და გაგ ზავნა ქართველებთან და ქართველებმაც ჩამოიღეს დაათვარიელა რა ხალღები, კაი ხალღები, სახე თორეთი და ძალა **ლომისა** და **ვეფხისა** და ისეთი ხალღი, რო ისეთი ხალღი, რო სჭირდებოდა **ომსა**.

- დაიღუპა და აი, მე ხო რაგდენ სოფლების და სამ-ოთხი სოფლის, ემ სოფლეფჩი რო რაგდენი დაღუპილა ისების სახელი და გუარი მაქ და მარტო, თითან **მარტყოფისა** ჯერ არა მაქ, რო როგორც ოთხმოცი, ოთხმოზდაშიდი **მარტყოფისა** დახოცილა და მაგრამ **ახჩაისა** მაქ, **დაშქესანასი** მაქ, **ჯაყჯაყელისა** მაქ, **ჩულურუთისა** მაქ და **ემესიცა** მაქ, **ვაშლოვანისა**.

ეხლა ბარყის თორნებილა გამოსულა, ბალე, **გაზისა**.

ანსიც წოოგეფს ამისყე, სადაძლა რო მეტი წოოგო, ამაშინ უნდა რო ვარზე შად-სოს, გადყვანოს ამ პირზე **გომისა**.

ემას კი დარსი არ უკითხავ **ექიმისა**, ვალი, ძალიან კარგად ემამ იცის ველი ჩავ-დებთ, ფევი ჩავდებთ.

შენ რო იჯე რუვის პირზე, ხალი გესო თვალის ძირზე, ბურმა-ბურმა თიმებითა, სურმა-სურმა **თვალეებითა**.

ექა ორ-სამი ქართველი დასხდებიან **თოფეებითა**, რო ქარიმ ხანმა და თავის ლაშ-ქარმა არ გომოვლეყე, ადღენ ექა.

- თოლებიცა, მასალან, შავ კელითა თეთრ ფალათ ზევა, შაუკელით ეგრე, ომოუგ-დითყე ერზარაც ამ ვარაზე, ექაც წარბი გოოკეთითყე, ექაც პირიც ელა **კელითა** გავ-კერითყე, კუკუნას პირი შაიქნისყე.

ესები სუ დაგრეხილი მქონდა, ეს მოსახვევი, ხოდა მე-მეთქი, იმ პარსელეფსა ჰგევხართყე, მოკლე **კაბაითა** და თავშეშველა და ეგეთი.

ქართველეფს ხო არ ვიცნობდითლა და მე ვმუშაობდი **კალატოზად**.

ავაგდე გომზე, გამხმარიყო, ჩამოვავდე, ქობჩი არ იტივა, ჩარხანჩი ილაღლაღა, ასი კაცმა ვერ შეჭამა, ერთი ჭინჭველამ ერთ **ლუკმადა** ქნა.

დაჯღების **კრუტადა**, არა ზანამუ?

-ა მავრცობი ნაწილაკების (-ლა, -ო, -ც. -ყე) წინ:

-მე, თხუთმეტის **წლისაღა** რო შაიქენ, გავიგელა, რო საიდანა ვარ და.

საჭმელად შეიქმნეს **არწივებიასო**, ორივეო.

რო იმამ საიდან მეხნი სუნი გაადისყე თავის **ბიჭისასო** და ნახეო, როგორც რო იუ-სოფი მევეუანოს, ესეთ, ეგეთ შვილი ძჰყოლია ემესო, დედასო.

დაკოწიწილს ემას ვიძახით, რო გატეხდების, ემეფსა, მიაკრავ ერთმანერთზე-და, ერთ რამეით ემათ გადააბამ, იმ გატეხილ ქოთანს, ქევრს, რაც რო იყოს, ტალა-ხისაც იყოს თუ **თიხისაც** იყოს, ემას რო გადააბამ ერთმანერთზე, რო ეს არ გადიყა-როს, ემასა ჰქიან დაკოწიწაო, ეს ქოთანი დაკოწიწიწაო.

წყალისაც წყალისაც იყო და ბაიდ არა ძქონდა ორ დღე და ღამე საქმე.

ეხლა კი, **აბაბახსაც** დაჰცხებენ, რო კივილი იყოს, რო ხალღი შაქუნღეს.

სუფრას ხო მოიტანთ, გავშლით, **თახტახონსაც** დავდებთ, **ბალიშსაც** მოიტანთ,

ვარდანასაც მოიტანთ, **მაყაშსაც** მოიტანთ, დავდებთ და ემასა, ცოტას ბალიშს, დავაკრავთ.

მოიყუანეთ ექა სახნი ელა ავათ იყო, ავათ იყო და ელ ეს **ადგილსაყე** ვერა დგებოდის ფევზე და ერთ ორ წელღოს იყო და მოკდა.

მახე, ცურავ **ბაწარსაყე** შავი ბაწარსაყე ეშინიაყე.

ბათუმსაყე მე მანქანათა მე გზა შავშალე და საზღუარის გზასაყე მოელ.

ის იყო, რო რაქთენ ქართველიცა, ჯედელ ქართველი, მაფევანა **თავისაყე**.

თორნისაყე, თორნისაყე, თორნე როგორია, ნახე?

გარდა -ც ნაწილაკისა, ყველა ეს ნაწილაკი (-ლა, -ო, -ყე) შეიძლება მავრცობი ხმოვნის გარეშეც დაერთოს სიტყვას:

თავის **გულისლა** ცოტა რო ემე'რი ეგეთ უმია, თავის გულიდა.

ისენიცლა ელა მოსულანლა **აფუსსლა**, ის სახლიც ელ ქართულათ ლაპარაკოფს.

ჩამოიდა, ბეურ **გზასლა** რო ჩამოიდა, იმიში თავისი ჯვარისკაცებით რო მოიღეს, მოიღეს სოფელჩივა და ჭამასი მათ ხოვა.

კარაქილა ამოვიღითყე, ანს **ღოსლა** ავადღითყე, ჩავასხითყე კისჩივა და ყურუთი დავაკრითყე.

და თქო, რო: ფური შენო, ცხორი **გელსო** და კურდღელიც მელასო.

ზეც მივცე ამ ბერ **დედაკაცსო**, ჩემ კული მამცესო.

წავალთ **თეპრანსო**, ამამ მითხრა: წადღეთ თეპრანსო, ვიმუშავოთო და ერ ლუკამა პური რამე გამოიტანოთ ჩონ ყმაწილებსათიო.

რო შამორეკესო უფრო იყენეს ჭლე ძროხებით და თქესო, რო რატომ ესენიო ეგეთ ძროხებით ჭლეებითო **ხუციშვილებსო** და თქო: ხო ახ ხუციშვილები ხო თასაყე არ ჩამოიღნენო, ძროხებიც ხო თაჩი ვერ აიღნენო?

დოორეკეყე, ერთ ღამისყე **ღამისყე** თავიანთ ავადანღულს რო მივაღექ იქა, ტელეფონი აქონდაყე, შევეხეწეყე, ტელეფონი მამცეს.

ჩულრუთჩი იყო, ქალბატონო, ერთი ორმოცი **წელეებისყე** წინ სუ ქართუელი, ეხლა ნახევარი ლორია, ნახევარი ქართუელია.

მო, ბარტყი ნახე, ვაჩენებყე ჩონ მოზობლებს, დოოკივლებყე ჩემ ქულქათს, დოოკივლებ – მოღით, ეს გელი ნახეთ, **ადამიანსყე** არ ეშინიანყე.

ბადტა ყორმამ ემ **თავსყე** დაიჭირა და წადდა ნახა ანს ბიჭი, ქე ემეს უნახავ, არ არი.

როგორც ჩანს, ფერეიდნელთა გადასახლების დროს ძირითადი პოზიციები მავრცობის გამოვლინებისა უკვე იყო ჩამოყალიბებული და ამ მოვლენის ინტონაციური საფუძველიც იყო გამოკვეთილი. მავრცობი ხმოვანი ზუსტად სალიტერატურო ქართულისათვის და აღმოსავლური (კახური, ქართლური) დიალექტებისთვის ბუნებრივ პოზიციებში გამოვლინდება. როგორც წესი, ეს არის პაუზისწინა პოზიცია ან სინტაგმის ელემენტთა დემარკაციის ხაზი.

დიალექტური ტექსტის სპეციფიკის გამო ყოველთვის ვერ ხერხდება ინტონაციური საზღვრების მარკირება ტექსტში – სინტაქსური პაუზა აქ ხშირად არ ემთხვევა რეალურ, ინტონაციურ პაუზას.

ინტონაციური (ლოგიკური) პაუზა, რომელიც ძირითადად ტექსტის ინფორმაციულ სტრუქტურირებას ემსახურება, როგორც ვთქვით, ხშირად არის მავრცობი ხმოვნით მარკირებული. ქართული დიალექტური კორპუსის ტექსტური კოლექციის ფილოლოგიური დამუშავების კონცეფცია ინტონაციური კლაუზების გამოყოფას არ ითვალისწინებდა, რადგან ასე შეუძლებელი იქნებოდა ძველი, აუდიოვერსიის გარეშე ჩაწერილი ტექსტებისა და ახალი მასალის უნიფიცირება. ჩვენი არქივის ბაზაზე პარალელური ზეპირი (ხმოვანი) კორპუსების მომზადება მომავლის საქმეა, და ვფიქრობთ, მავრცობი ხმოვნის ინტონაციური და ინფორმაციული ფუნქციების კვლევა ტექსტის ფონეტიკური დამუშავების ტექნოლოგიებით ბევრ საინტერესო დეტალს გამოავლენს.

ფერეიდნულში ეს ფუნქცია საკმაოდ გამოკვეთილი ჩანს როგორც სახელურ და ზმნურ ფორმებთან, ისე ფორმაუცვლელ სიტყვებთანაც. ქღკ-ის ნიშნებიდან ზოგჯერ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ დარღვეულია **-ა-ს** გამოვლენის წესი და ის ისეთ პოზიციაში ჩნდება, რომელიც მოსალოდნელი არ არის სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების მონაცემების გათვალისწინებით, მაგრამ ეს სწორედ ის შემთხვევებია, როცა წინადადების ინფორმაციული სტრუქტურის მარკირებული კომპონენტია გამოყოფილი მცირე პაუზით და, შესაბამისად, მავრცობი ხმოვნით.

ასევე ბუნებრივია, როგორც მაგალითებიდან ჩანს, და კავშირის, უზმნისწინო ზმნების წინ, ერთმარცვლიანი კომპონენტის შემცველ სინტაგმებში **მავრცობის** გამოჩენა.

როგორც ითქვა, მავრცობი ხმოვანი ქართული დიალექტური კორპუსის მორფო-სინტაქსური ანოტირების სისტემაში **Long** ნიშნით არის მონიშნული. ეს მახასიათებელი ყველა მეტყველების ნაწილის იერარქიულ მარკირებში არის გათვალისწინებული (**N Long, V Long, Adv Long, A Long...**) და დიალექტში მისი გამოვლენის სურათის თვალის გადავლება შესაძლებელია.

დიალექტში ასევე პროდუქტიულია **-ი** მავრცობიც. ის უფრო ხშირად ნათესაობითის ფორმასთან გვხვდება, თუმცა გვაქვს მოქმედებითი ბრუნვაში მისი გამოვლენის შემთხვევებიც:

-ი მავრცობი ნათესაობითის ფორმასთან:

ემემ მოიდა, შიდ წელისი ქე შაიქნა და გაფე ზავნა მადრესაჩი.

ნეფემაც, ქალმა, თითან ერთი ვაზირი, ვეზირი მინისტრი მარჯანა ვარასი, მარცხენა ვარასი, ან გუბერნატორი, ან მეძელე, მეციკნე, მეჩობნე, მეაბონე, მებაღვანე, აი, ესები აირჩივიანყე.

ახალგაზრდობა და ქურთებმა რო გოგცორცეს, ზღაპარი ახალგაზდობასი .

ერთი ფილტა იყო ბამბასი და ის რო ენთებოდისყე, ფილტა რო ერ ცოტა დაიწისყე, ერთმა წამოღვის და ერთი მიხითა, და ჩხილითა ერ ნაყრი მააზიღისყე წინ.

კუთანისი, ელ ეს ჭანჭიკია, ჭანჭიკია ცხვარის ფევის შაავეფსაც ვეტყვით ელს ჭანჭიკი.

-ი მავრცობი მოქმედებითის ფორმასთან

- მილი, – გაადევით ექით და **ლეღეთი**, შუა ლეღეთი და გადიტათ იქით.

გაძწურაფთლა და ცხელს წყალს ელს გადატარეფთ **ერბოთი** და დამსლა ვიქ-თლა.

მე რო წინათ წელსა სამოცდაათი **მეთოფეთი** ელ იმას წავყოლიყავ, ძალიები დო-გოჭირა და მოგოყვანა დომაბისაყე – ყალა არი!

გულის კნესათ და **ტკივილითი** ვეუბნებოდიო, რო აბა, შენ ხო არა ხარ ჩემ საყჷარელიო?

ფერეიდნული დიალექტის მონაცემები სრულიად უეჭველ დადასტურებას გვაძ-ლევს იმისას, რომ მე-17 საუკუნის დასაწყისისთვის მავრცობი ხმოვნის ფუნქციუ-რი და პოზიციური რეალიზაციის დღევანდელი (ან დღევანდელთან ძალიან ახლოს მდგომი) სურათი უკვე ჩამოყალიბებული იყო ქართულ აღმოსავლურ დიალექტებში.

-ა ხმოვნის მკვიდრი ადგილი მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით ბრუნვებში, მისი გამოვლენის პოზიციური პირობები (პაუზა, და კავშირი, თანხმოვ-ნით დაწყებული ზმნების წინ, ნაწილაკების წინ...), მისი გამოვლენის ვარიაციულო-ბა ინტონაციური საჭიროების მიხედვით – ეს ყველაფერი თანამედროვე ქართული ენისა და მისი დიალექტების დღევანდელ ვითარებასთან იმდენად იდენტურ სურათს ქმნის, თითქოს არ ყოფილიყოს იზოლაციური არსებობის 400 წელი.

საინტერესოა -ა და -ი მავრცობი ხმოვნების მიმართებაც.

აღნიშნულია, რომ თანამედროვე ქართულ დიალექტებში -ი ზოგ დიალექტში (კა-ხურში) -ა-ს პარალელურად გვხვდება, ზოგში კი (იმერულის ზოგ კილოკავში) – -ა-ზე უფრო ხშირად. ამასთან, -ი მხოლოდ უკვეცეულ სახელებთან კი არ გვაქვს, არამედ კვეცად და თანხმოვანფუძიანებთანაც – ნათესაობითსა და მოქმედებითში [გოგოლაშ-ვილი და სხვ. 2016: 98]. ვერ ვიტყვით, რომ კახურში -ი მავრცობი -ა-ს პარალელუ-რად და მის თანაბრად გამოიყენება, რადგან -ი ამ დიალექტში არა გვაქვს არც მიცე-მითსა და ვითარებითში, არც თანდებულებიშა და ნაწილაკების წინ.

-ა და -ი მავრცობის ურთიერთმიმართებაზე, -ი-ს წარმომავლობასა და პირვანდელ ფუნქციაზე განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს (ჩიქობავა 1956: 243-255; თოფურია, 1956: 234-238; შანიძე 1981: 82; უთურგაიძე 1986: 44, 51..., ნოზაძე 2008 (1990): 198-233] ამ საკითხებზე აქ არ შევჩერებთ ყურადღებას.

XII –XVIII საუკუნეების მასალის ანალიზის საფუძველზე არნოლდ ჩიქობავამ აჩვენა, რომ -ა-ს ნაცვლად -ი ხმოვანი გაჩნდა ფუძეუკვეცეულ სახელებთან და შემდეგ თანდათან განზოგადდა კვეცად და თანხმოვანფუძიან სახელთა ნათესაობითსა და მოქ-მედებით ბრუნვებში [ჩიქობავა 1956: 243-255].

ფერეიდნულის ვითარება ერთგვარი დოკუმენტირებული ასახვაა ამ პროცესისა: როგორც ვნახეთ, დიალექტი წარმოადგენს -ა მავრცობის გამოყენების თანამედროვე ქართულთან თითქმის იდენტურ სურათს, ხოლო -ი მავრცობი გვხვდება ძირითადად ხმოვანფუძიან და იშვიათად თანხმოვანფუძიან სახელებთანაც. ისიც საგულისხმოა, რომ -ი დიალექტში უფრო ხშირად გამოიყენება სწორედ ნათესაობითში, იმ ბრუნვაში, რომელშიც კვეცა არ ხდება და შედარებით იშვიათად ჩნდება მოქმედებითში. ამასთან, -ა-სთან შედარებით მისი გამოყენება ბევრად უფრო შეზღუდულია.

მავრცობი ხმოვანი ზმნასთან

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართული დიალექტებისთვის დამახასიათებელია მავრცობი ხმოვნის დართვა ზმნურ ფორმაზეც. ეს მოვლენა ფერეიდნულშიც არის შემჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ ზმნაზე დართული -ა ელემენტი ნაწილაკად (და არა მავრცობ ხმოვნად) არის განხილული, თუმცა მისი ფუნქცია, სწორედაც ისეა შეფასებული, როგორც მავრცობ ხმოვანს შეეფერება. დ. ჩხუბიანიშვილი ერთ-ერთ მოხსენებაში ზმნასთან გამოვლენილ -ა ელემენტს ნაწილაკად ან ჩართულ -ა-დ მოიხსენიებს: „ფერეიდნულ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვების დროს გამოვლინდა -ა ნაწილაკი, რომელიც დღემდე გამოქვეყნებულ ტექსტებში არ არის დაფიქსირებული. შემთხვევათა ერთ ნაწილში ეს -ა ტრადიციული ნაწილაკია, სხვაგან კი ის ჩართული -ა-ს ფუნქციით იხმარება, რომელიც ხაზს უსვამს, ერთგვარად განსაზღვრავს სიტყვას ან გამონათქვამს (წყალი აავსეა? შდრ. ეხლა თრაქტორი გუგუნებსა) [ჩხუბიანიშვილი 2012 (1998): 184]. არასტანდარტული ტერმინოლოგიის მიუხედავად, ამ პატარა თეზისიდან აშკარად ჩანს, რომ ავტორი სწორედ მავრცობ -ა-ს გულისხმობს და საუბრობს მის როლზე ფრაზის ინფორმაციული სტრუქტურირებისას.

ფერეიდნულში „ტრადიციული“ ანუ კითხვითი -ა ნაწილაკი საკმაოდ ხშირად გამოიყენება. ასევე ხშირია -ა მავრცობი ხმოვნის ფუნქციით:

ადულდესა: *ემ ზესაც რო მინდა გავაცხელო, ეგრე გაეანეღეფ, არა რო ადულდესა.*

აიღებენა: *ეს აუზსავით არი და ნელადა ფევსაცმელებ ჩაიცმენ ფელსსტიკისა და ემაზე ჩაიღენ ემაჩივა, ჩაიღენ და ნელა-ნელად ემაზევ ივლიან, ფევს არ აიღებენა.*

ამზადეფსა: *ყაფს დადმახოდიანყე, რო წოლონ თავით ქალეფსა, თავით ღეფსა, თავით ამზადეფსა, წოლონ, წომოლონ.*

არიანა: – *ჰარზადის, ჰა, ბეჟრ დედამთილი, ნამაი დედამთილ იყვისყე, ბეჟრი, არიანა¹¹⁶, ელ იშულღებენყე ზალთანა და ბეჟრიც ნამაია.*

116. ზოგჯერ მავრცობი ხმოვანი შეიძლება აგვერიოს თხრობით წინადადებაში ქვეწყობის განსაკუთრებულ ფორმებში გამოყენებულ -ა ნაწილაკში. ასეთი ფორმები მაქვემდებარებელი კავშირის შინაარსს ითავსებენ სწორედ -ა ნაწილაკის წყალობით. ამ საკითხზე უფრო დეტალურად ქვემოთ გვექნება საუბარი. **შდრ.:** *ამაში ქე დოაი ვიკითხავთ, მეგრე ემასა ეს ოცი, ორმოცი ქე არიანა, ემასლა ფოშყაბ-ფოშყაბლა სუ მისცემენ // მაშინ ლოცვას რომ ვიკითხავთ, მეგრე ამას, ოცი, ორმოცი რომ არიან არა (?), ფოშყაბ-ფოშყაბ (თეფშ-თეფშ) სულ მისცემენ.*

აქა: ერთ ნამაი ეგდილე ლაქა შავი ქუა არი, და გონია რო, მასლან, ნამი აძლივოს, ნამი არა აქა.

გადაღვესა: კიდეაც გადმოდვეს იქითა და მეორე დღეს კიდეაც გადაღვესა და ხორბალი გამართეს.

გაკეთებისა: ყაღულს შაუდლებავ, ჰამ კარაქს ამოილებავ, რო ერბო გაკეთებისა და ჰამაც დოსაც წამოვასხამ.

დავაკმარეცა: ანსები რო ანქეთ ჩონ დავაკმარეცა ლაპარაკი, რო მოგოვნა ყანა და ხორბალი და ქერი, რო მოდტანთ კალოზევა, ხარაქს შავკრავთევე, ბზესაც გავშლით და დავაწყოფთ, ავკიდავთ ვირსა და მოდყვანთ კალოზე.

დადღამაო: ცას კიბე და ეხლს რო წიმა რო მოდილოდისყე, ემეო, დედაო, შენ თუ ირბინო და შენ გამოგვიდესო, რო შენ გადძრეო იმისყეო, თავის ძირსაყენაო, რო გადძრე, საქართელოჩინაო ფეფს დადღამაო .

ვაკეთებ'დ: ვთქი: არა, რისთინა-მეთქი, არაფერს არ ვაკეთებ'დ არაფერს სახლჩი არა ძვმარულოფ და.

ვესტუმროთაო: ზოგს ეხლს ამ შაშინჩი ფლავი გავაკეთელე, ვესტუმროთ ემასაო, ზეინაბის, ვესტუმროთაო, ემასაო, ზეინაბის ვესტუმროთაო და ფლავი ძვამოთო.

მაგალითები საკმაოდ ბევრია. მავრცობი ხმოვანი, როგორც ვნახეთ, აქტიურად დაერთვის ზმნას ყველა იმ პოზიციაში, რომლებიც ქართული ენის დიალექტებისთვის არის განსაზღვრული: და კავშირის წინ, ნაწილაკების წინ, პაუზის წინ, წინადადების ბოლოს.

ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ დ. ჩხუბიანიშვილის მიერ განხილული „არატრადიციული“ ფუნქციის -ა ნაწილაკი (ჩართული -ა) სინამდვილეში მავრცობი ხმოვანია. შეიძლება ითქვას, რომ მავრცობი ხმოვნის გამოყენების სისტემა ქართული დიასისტემური სურათის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ანაბეჭდია ფერეიდნულში, რაც შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ მიგრაციის პერიოდში ეს სურათი საკმაოდ ჩამოყალიბებული ყოფილა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ მავრცობი ხმოვნის გამოყენების თვალსაზრისით ფერეიდნული ამკარად მიჰყვება აღმოსავლურ დიალექტებს.

2. ზედსართავი სახელები

2.1. ზედსართავი სახელების ჯგუფები შინაარსის მიხედვით

ზედსართავები, რომლებიც ახასიათებენ საგანს ზომის, წონის, ფერის, გემოს თუ სხვა რამე ნიშნის მიხედვით, ძირეული ლექსიკის კუთვნილებაა და ძნელად ემორჩილება ცვლილებებს. ფერეიდნულში ამ ტიპის სახელები ძირითადად ქართულ ძირეულ ლექსიკას წარმოაჩენს. საგულისხმოა, რომ ამ მნიშვნელოვან ენობრივ ინვენტარს კუნძულური იზოლაციის პირობებში არსებითი ცვლილება არ განუცდია.

ზედსართავ სახელებს ორ ჯგუფად ყოფენ. ესენია ვითარებითი და მიმართებითი

ზედსართავი სახელები. ვითარებითა პირველადი ზედსართავი სახელები, რომლებიც საგანს ისეთი ნიშნის მიხედვით ახასიათებს, რომელიც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სხვადასხვა ხარისხით [შანიძე 1980: 39] და მათგან იწარმოება სი-ე აფიქსების საშუალებით აბსტრაქტული არსებითი სახელები [კვაჭაძე 1993: 150].

ზედსართავის სახელის თავისებურებათა კვლევა ფერეიდნულში, ერთი მხრივ, ტექსტური მასალის ანალიზის, მეორე მხრივ, სპეციალურად შედგენილი დარგობრივი და იდეოგრაფიული კითხვარებით ვცადეთ¹¹⁷.

2.1.1. ზედსართავები, რომლებიც განსაზღვრავენ საგანს ვითარების, გემოს, ზომა-წონის მიხედვით

მეტ-ნაკლები ოდენობის, ვითარების აღმნიშვნელი სახელები ფერეიდნულთა მეტყველებაში ძირითადად ქართული ძირეული ლექსიკიდანაა: მოკლე, გძელი, დიდი, ბაიტა (ბაღტა, ბატა, პაიტა, ბატარა...), სქელი, თხელი, ძალი, დაბალი, წარე (=მწარე), ტკბილი, ძიმე სუბუქი, ჟავე, გონჯი (=ცული), ყრალი (=ცული):

ფევი ხო, ფევი მოკლე არა აქ, ფევი გძელი აქ, უნდა ენა მოკლე ჰქონდეს, ენა გძელი აქ [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ამ ყადიმზე ბულამას გააკეთებდეს სქელი, ღოორევეს ზედ ცეცხლზე და ბულამას გააკეთებდეს [ქღკ, მთქმელი უცნობია].

ახალ ტანისამოსი ჩეეცო და ერთ რამე ზედ თავზე გეღეეფარაყე თხელი, რო ხედევდეს მითმე გართობასა [ქღკ, რეზა მიქელანი].

ყურზენს, თად ყურა ანს ქი ჯერ არ გამტებარა, ემას მოიტანთ, ჟავე ყურზენსა ჯერ ქი არ გამტებარა, წავალთ, მოიტანთ [ქღკ, მთქმელი უცნობია].

კარგის მნიშვნელობით ფერეიდნულში გვხვდება **ნამაი // ნამაჲ, ნამა**. იგი შეიძლება აღნიშნავდეს ლამაზსაც. მიჩნეულია, რომ **ნამაი // ნამა** მიღებულია **ლამაზი** ფორმიდან. ლამაზის მნიშვნელობით კი დახატულს ხმარობენ. *დახატულ ყმაწილი* [ჩხუბიანიშვილი 2012 (2000): 191]¹¹⁸.

გონჯი – ცუდის მნიშვნელობით გვხვდება თორელში, დაშქესანაში, ახჩასა და ბოინში, **ყრალი** კი – მარტყოფში, ჩულრუთში, სიბაქსა და ჯაყჯაყში.

ბოინი ნამა შაჰრია, გონჯი არ არი, შაჰრია, აღან ბოინი შაჰრია [ჰაჯი ნაზემა ხოსრაშვილი].

დედამთილი ძალული ნამაზი იყო, არ იყო გონჯი დედამთილი [ქღკ, თუბა შაჰმა-მადი, თორელი].

117. ზედსართავი სახელის ფორმაწარმოების საკითხები სახელთა ბრუნების ნაწილში იყო განხილული. აქ მხოლოდ ფორმაწარმოებისა და ლექსიკური ინვენტარის ზოგიერთ ასპექტს განვიხილავთ.

118 ლექსიკური ერთეული **კარგი** გვაქვს ფერეიდნულში, მაგრამ მხოლოდ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებად ქცეულ, შეპატიჟების, ან სურვილის ფორმულაში: „კარგი იყო ყოფილიყავ“, „კარგი იყო მოსულიყო“. ამაზე იხ. ზემოთ.

მთქმელი ცდილობს აგვიხსნას გონჯის მნიშვნელობა: *შენთი ამბობა: გონჯი – შაიქნების: ცუღა, ცუღი*¹¹⁹ [ქღკ, შაჰინა მუღლიანი, ღაშქესანა].

/შენ (თვითონ) რომ ამბობ გონჯიო, ეს იქნება (ნიშნავს) ცუღა, ცუღი/.

ღაწყევეღება *ყრღღა*. ღაწყევეღს *ყრღღა*. ხო, სხუეღი ეღს *ყრღღა*, რო ღაიწყევეღების [ქღკ, ნარღისი აბასი. ჩუღრუთი].

ყრღღის ღა *გონჯის* საღიტერატურო შესატყვისი ღეჰსემა *ცუღი* ფერეიღნუღში აღნიშნავს უსაქმოდ მყოფს:

რა ვქნა, ცუღი ვერ ღავღეღომუღვარ; არ უნღა ცუღი ღაღღეღე! (უსაქმოდ არ უნღა იყო!) [თორეღი].

ტეჰსტეღში ღავღასტურეთ რამღენიმე შემთხვევა, როცა *ცუღი* გვხვღება თავისი ჰირვეღადი მნიშვნეღობითაც.

რო მე იმას გეღბეღი, ცუღი გავღია, შენ ის გეწყინეღების, ის ჩემ სიტყუა თავზე შაიღეფ ჩემ სიტყუას [ქღკ, მოჯთაბა ხუციშვიღი].

ღმერთმა აცხონოს, ცუღი კაციც არ იყო [ქღკ, რამანა ონიკაშვიღი¹²⁰].

კითხვარეღით გაღოკითხვისას ამ მნიშვნეღობით მხოლოდ *ყრღღი* ღა *გონჯი* ღაღასტურღა, ზემოთ აღწერიღი ღისტრიბუციით.

ბაიტა (= **ჰატარა**, **ცოტა**) სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციით გვხვღება: **ბაიტა**, **ბაღტა**, **ბატარა**, **ჰაღტა**, **ბატა** // **ჰატა**.

ბაიტა = **ჰატარა**:

ბაიტა:

ემათ ჰქონღაყე ერთი ბაიტა შავი სახღი, არცრა არა ჰქონღა სახღჩი [ქღკ, სეიფოღა იოსეღიანი].

ბაღტა:

ერთ ბიჭსა, რო თაღსყე ბაღტა არი, ორ ბიჭი ჰყავ [ქღკ, საღეღა ასღანი].

ერთმა თქო: ბატარა ვიყავ, შივრეღი ვიყაით, ბაიტეღი, შავეღით ემემჩივა [ქღკ, აბოღყასემ აჰმადი].

ბატარა:

თათაშვიღი, ეს ბატარ თა არი ღა ღიდ თა კი არ არი [ქღკ, მუხტარ ასღანი (ღარჩიაშვიღი)].

119. ღაღო აღნიაშვიღი საგანგებოდ აღნიშნავღა, რომ ეს სიტყვა ფერეიღნუღში არ იციის (აღნიაშვიღი 1896: 210), თუმცა ერთი საუკუნის შემღეღ ჩაწერიღ მასღაში ჩანს, რომ *ცუღი* უქმის, ფუჭის მნიშვნეღობით შემოუნახავს ფერეიღნუღს. ღაღო აღნიაშვიღი არ შეხვეღღია, მარტყოფის წრის გარღა, არცერთი სოფღის წარმომადგენღებს. ამიტომაც მისმა გაღოკითხვამ ვერ გაღოავღინა ეს ღეჰსიკური ერთეული; თუმცა საეულისხმოა, რომ, როგორც ზემოთ ვთქვით, *ცუღის* მნიშვნეღობით ღამოწმეღული *გონჯი*, სწორედ იმ მეორე წრის სოფღებისთვისა ღღეს ღამახასიათეღელი. ვვარაუღობთ, რომ მნიშვნეღობათა განაწიღება *ცუღი – გონჯი* // *ყრღღი* ფორმებს შორის აღრინღელი მოვღენა ფერეიღნუღში ღა *ცუღი* (= უქმი) ინოვაციური ფორმა არ არის.

120. რეჰატრიანტია, 1974 წ.

ბაიტა = ცოტა:

ბაიტა:

რა ვიბნა, რო **ბაიტა** შორსა ვართ ქენთანა, შორსა ვართ, გასლა-გამოსლა არა გოქ [რეჰიმა ონიკაძე].

ოთხას თუშანი **ბაიტა** მეტია [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ზამთარი რო შაიქნების, **ბაიტა** მოსვენებაჩი ჩაცივლებიან ჩონ ხალლი [ქდკ, სეი-ფოლა იოსელიანი].

ბატა (ყოველთვის ცოტას მნიშვნელობითაა):

ერთ თომანი თა ემან ორ თომანი, რაქთენიც თად გულს უნდალა. **ბატა** დაამეტოს, დაამეტოს იფო [ქდკ, შაჰინა მუღლიანი].

ფაქი ზა ფარჩადთა **ბატა** გაავძონ და დაქაქვენ [ქდკ, მთქმელი უცნობია].

ქენ **ბატა** შორს ყოფულხართ თების შუა [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

ფერეიდნელთა მეტყველებაში, რეინტეგრაციის შედეგად გაჩნდა ინოვაციური ფორმა **პატარა**. ის ზოგჯერ დიალექტური ფორმის გვერდით არის დამოწმებული.

პატარა ფორმა უკვე სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში გვხვდება, ერთადერთი კონტექსტით:

პატარა:

ქერედანნი არი ესე ას ოცდაათი სოფელი, **პატარა**, დიდი და სულ იყოფის ოთხ-განა: ნაჰია ფარზაყ, ნაჰიადე ჩადიგან, ნაჰიადე გორჯი, ნაჰიადე თონმახლო.

იმავე მთქმელთან გვაქვს **ბაიტა** და **ბაიტა** ფორმები:

ბაიტა (1 კონტექსტი):

ემათ ჰქონდაყე ერთი **ბაიტა** შავი სახლი, არცრა არა ჰქონდა სახლიჩი.

ბაიტა (7 კონტექსტი):

ემ ვეზირმა ის **ბაიტა** ყორები [ქალები] გაათხოვაყე ნამაი ადგილებზე, მისცაყე ვაზირ-ვოზარებს.

აილო **ბაიტა** ფშატი და წავიდა და ერთი-ორ მისცა და შააჭამაყე და ესენი გამ-თელღეს.

რალა დავმალოო, რო ორი ის შენი **ბაიტა** ქალებიო კი ნამაი ადგილებზე გავათხოვეო.

შადწყდა // შასწყდა თოფის ჳმა **ბაიტა**.

ნაჭრუზთ უკან ერთ ნაწილი ჩონ სოფლის ხალლი, რომელსაც რო ცხორები ჰყავ, – **ბაიტა** ნამა.

ზამთარი რო შაიქნების, **ბაიტა** მოსვენებაჩი ჩაცივლებიან ჩონ ხალლი, რო გარეულ ფევი და დივანისა შესწყლები.

მის საყენო მალიათი რო გოქ, ოთხას თუშანი **ბაიტა** მეტია.

ბაიტაც (2 კონტექსტი):

დავცივლით ოცი ცხენიანი: ჩონ ქართველები და **ბაიტაც** ქერედანნის ქურთები.

ცოტანი იყნეს, თა ჳარი მეესწროყე სიბაქსაყე, და **ბაიტაც** მარტყოფსაყე, რაც-და რო მინდორჩი ყოფილიყნეს.

ბადტანი (2 კონტექსტი):

ის ქურთები ბადტანი დადგეს იქა, რო მარტყოფი და სიბაქი იყოს.

ბადტანი გავიღეს ციმ ქურთებში.

ბადტას (1 კონტექსტი):

ბადტას ხანს უკან ამბავი მუგუტანეს, რო თოფის ჯმა მოდიოდლო ბიჭებისსაყე.

ბადტასაც (1 კონტექსტი):

ბადტასაც იქ იხუმრებენ. ქალის მამა მიაგდებს ბიძაშვილებზე: ცემათზევ არიო. ისენიც ბადტას იდიღებენ, თა იქამდი, რო მითან დაყაბულდენ.

მაშასადამე, სეიფოლა იოსელიანისგან 1922 წელს ჩაწერილ ტექსტებში ერთი შემთხვევა გვაქვს **პატარა** ფორმის გამოყენებისა და 14 – **ბაიტა** და მისი ფონეტიკური ან გრამატიკული ვარიაციებისა.

სეიფოლა იოსელიანი **პატარა** ფორმას ფერეიდნის სოფლების ჩამოთვლისას იყენებს. თავს უფლებას ვაძლევთ ვივარაუდოთ, რომ ეს ფორმა მას ინტერვიუერის გავლენით, მისი შეკითხვის (შეკითხვების) პასუხად აქვს გამოყენებული. ფორმა ინოვაციურია დიალექტისთვის.

გვიან პერიოდში ჩაწერილ ტექსტებში ფორმა **პატარა** ამკარა ლექსიკური პარალელიზმის სახით გვხვდება: მთქმელები საქართველოდან ჩასულებთან ურთიერთობისას საგანგებოდ არჩევენ ყველაზე „ტიპურ“ არადიალექტიზმებს:

ბაიტა ყოფილა რო გათხოვდა, **პატარა** ყოფილა. არ ახსოვს არაფერი [ქდკ, ფარაჰნაზ ხოსრაგი].

ეს მაგალითი გაცნობიერებული ლექსიკური პარალელიზმის საუკეთესო ნიმუშია, რადგან პარალელური ფორმები ერთ წინადადებაშია მოქცეული.

ზოგ შემთხვევაში მხოლოდ **პატარა** ფორმა გვაქვს, პარალელური დიალექტური „ცალის“ გარეშე:

ჯიგარზე ერთ პატარა კისა არი, რო შივ წონე წყალია [ქდკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

ანს ახანძალი ერთ რამეს ამაღლეფს, ემ პატარა ბავშვს მისცემს [ქდკ, სედიყა ასლანი].

ეს „არჩევანი“ **პატარას** სასარგებლოდ სიტუაციურია. იგივე მთქმელი სხვა დროს აქტიურად იყენებს დიალექტურ ფორმებს:

ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი):

ბაიტა (2 კონტექსტი):

ბაიტა ფშატსავით არი, ფშატსავით ემეს დაისხამსყე.

მაადგა ერთი ბაიტა პირადმართია, იქა თქო: ერთ მუჭასაცლა შაფჭამლა და აღარაო.

დღეს ფერეიდნელთა მეტყველებაში უფრო ბუნებრივია **ბაიტა** და მისი ვარიანტები, ხოლო სალიტერატურო ენის გავლენით გაჩენილი ინოვაციური ფორმა – **პატარა** უფრო ხშირად გვხვდება დიალექტურად „მოქცეული“ **ბატარა** ფორმით.

დიალექტურ კორპუსში ეს სიტყვა რამდენიმე სხვადასხვა ფორმით გვხვდება: **ბატარა** (6 ნ კონტექსტი), **ბატარა-ბატარა** (1), **ბატარა-ბატარები** (2), **ბატარაა** (2), **ბატარები** (7), **ბატარანი** (2), **ბატარაო** (1), **ბატარას** (2), **ბატარასა** (1) **ბატარასაო**

(2), ბატარ (3), ბატარ-ბატარა (2), ბატარ-ბატარას (1), ბატარ-ბატარები (1), ბატარებია (2), ბატარების (1), ბატარებიც (3), ბატარეები (1), ბატარეფსათი (1), ბატარობაჩი (1), ბატარობით (1)¹²¹.

ეს ფორმები რეპატრიანტი ქართველებისა და რამდენიმე, საქართველოში მრავალგზის ნამყოფი და კარგად ინტეგრირებული, მთქმელის ტექსტებში გვხვდება (მუხტარ დარჩიაშვილი, ჰეიდარ დარჩიაშვილი, რეზო დავითაშვილი (რაჰიმი), ირანა ონიკაშვილი, რამინა ონიკაშვილი...).

საგულისხმოა რეზო დავითაშვილის (ალი რეზა რაჰიმი) ძალიან საინტერესო მიწიწება: როცა ის თავისი გვარის, დავითაშვილების მეტგვარს ასახელებს, ამბობს:

ბატარანი რო ჟთქი, **ბატარანი** ჩონი, **ჩონ** გვარია (2008 წ.).

სხვაგან ის ამბობს: **ფატარანი** ჩონი – ჩემ პაპა, ჩემ მამას პაპა მენადირე იყო და მარტყოფჩი მენადირეები ივრე იყენს, რო ოთხი–ხუთსა თოფი ძქონდა და ერთ ოცი-ცა სხუეები აიყუანინან და წაიდიანყე თაჩი... ეს ჩემ მამას პაპა **პატარა** კაცი იყო და იქა ბაწარი, კელი, ნემსი, – რაც მოუნდისყე, – დანა, – მის აქო, მის აქო და **ბატარასაო**, ჩემ პაპასა, **ბატარასაო**, **ბატარა**, **ბატარაო**. ეხლა გვეტყვიან **ფატარანიო**, **ფატარა** ხო იცი, რა არი? ვარის ნეხი. **ფატარათიო**, ეს ჩონი ზედმეტი სახელია (2009 წ.).

როგორც ვხედავთ, გვარის მეტსახელი ვარიაციულია: **ბატარანი** // **ფატარანი**.

მთქმელი აშკარად მიანიშნებს, რომ ორგვარი ეტიმოლოგიაა ამ გვარისა. „ახლა გვეტყვიან ფატარანიო“, ნიშნავს, რომ, ფაქტობრივად, მეტგვარი ამ სახითაა მოღწეული და „ბატარანი“ ხელახალი რეინტერპრეტაციითაა მიღებული. მეორეული უნდა იყოს ეტიმოლოგიაც: პატარა ტანის იყო პაპა და ამიტომ შეარქვესო. თუ ფერეიდნული მეტსახელების ფართო, ხანდახან საკმაოდ „უხეშ“ და მოულოდნელ მოტივაციურ ველს გავითვალისწინებთ, ფატარა = „ვარის ნეხი“ სავსებით შესაძლოა გამხდარიყო ამგვარი სახელდების საფუძველი.

ვფიქრობთ, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ **პატარა** ინოვაციაა დიალექტში, ხოლო **ბატარა**, მისი ხელახალი დიალექტური „რეალიზაცია“.

ცოტა:

რაც შეეხება **ცოტა** ფორმას, ის აქტიურად გამოიყენება ფერეიდნელ ქართველთა მეტყველებაში:

ცოტა:

პირადმართმა თქო, რო: მე კაციო არ მინახო, ძრიალ ცოტა მინახო [ქდკ, სეი-ფოლა იოსელიანი].

იმაში ეგეთ ნადარობა იყო, ჭამა-ლევა არ იყო, ცოტა იყო საქონელი [ქდკ, საძე-და ასლანი].

ბასქი ალა მემე სოფელსაყე მოიტანოთ ქათამი, ქათამი იფო ცოტა. მოაწითავოთ და მოძხარშავოთ [ქდკ, ბაბარუსა ბარათი].

შე კაი კაცო, რად აშქარდიო, მოილოდ, ცოტა ხანი ექა დძოვდაო, ცოტა შოგო-ჩოოდაო და ჩონ იყო [ქდკ, დარმიშა ბათუაშვილი].

121. ყველა კონტექსტის ნახვა შესაძლებელია ქდკ-ში. აქ ამ მაგალითებს აღარ ჩამოვთვლით.

2.1.2. ფერების აღმნიშვნელი სახელები

ფერების აღმნიშვნელი სახელებიდან ფერეიდნელ ქართველთა მეტყველებაში ქართული ლექსიკიდან დასტურდება **თეთრი, შავი, წონე // მწონე, ყითელი, წითელი, ლურჯი**. ეს უკანასკნელი ფერის აღმნიშვნელ სხვა სახელებთან შედარებით ნაკლებად გვხვდება. მხოლოდ ორი შემთხვევა დავადასტურეთ ამ ზედსართავის გამოყენებისა:

თუ დოქტორთან დურდასტად არი, იმაშინ ჩონთინა და შავ მატყელს დავწოვთ და დავაყრით და და ემ ლურჯ ხამსა დავწოვთ, დავაყრით, და და თეთრი ქუას დავნაყავთ [ქლკ, ზოპრა].

ემდროითა და კერც ხის გულითა დად ზელავს და ცხელ წყალითა, ლურჯი ნაჭერითა [ქლკ, ირანა იოსელიანი].

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ზედსართავ **ლურჯს** ენაცვლება ნასესხობა: **ჰაბი**, რაც კარგად ჩანს ერთი მთქმელის შემთხვევაში:

[ამინ (ანდრო) ნაგელიანი] – ასიმანი რა რანგე? (ცა რა ფერია?)

[თაპერა იოსელიანი] – ასიმანი ხო ჰაბია.

[ამინ (ანდრო) ნაგელიანი] – ლურჯი – ჰაბი.

ჰაბი სპარსულში ლურჯის მნიშვნელობითაა: ābi [ქლკ ფერეიდნული ლექსიკონი].

ერთ-ერთი მთქმელი, თაპერა იოსელიანი, ჩამოთვლის ფერებს: ემაგა ნარინჯია [შინდისფერზე]... ეს სურმადა, მასალან, ეგეთები და ჰასმე. ხაქია... ემაგა სურმადა (ამინ (ანდრო) ნაგელიანი იქვე გვიხსნის, რომ სურმა ყვითელია: **სურმაი – ყვითელი**). თუმცა იქვე სხვა საგნის ფერის მიხედვით დახასიათებისას კითხვაზე: აესეც სურმაა? – თაპერა იოსელიანი უპასუხებს: ემაგა ხო ყითელია, მე რა ვიცი.... ეს ნარინჯია, წითელია, ბალე, წითელია.

ყვითელი – ყითელი // ზარდი – **zard** (სპარსული)

ყითელ ოქრო შავდღესათი [ქლკ, აბოლყასემ აჰმადი].

ყითელ კერა ზეები, ჩონ ვიტყით კარა ზანა [ქლკ, აბოლყასემ აჰმადი].

ყითელი მონაწილეობს სიტყვაწარმოებაში: **ყითელგულა, ყითელიონჯა**; გვაქვს თხზული ფორმა: **წითელ-ყითელი**.

პარალელურად გვხვდება **ზარდი** – ყვითელის მნიშვნელობით:

ქეშ რო ზარდი მიწა, მაფვენენ და მაფთიბენ და პურს ელ ეგე მაფტანენ და შაფჭამთ [ქლკ, მთქმელი უცნობია].

ყითელი და **ზარდი** ფერეიდნელთა მეტყველებაში სემანტიკურად იყოფენ გამოყენების არეალს: ფერეიდნელები ნასესხებ **ზარდის** იყენებენ ძირითადად ერთგვარი ავადმყოფობის აღსანიშნავად, როცა ახალდაბადებული ყვითელია, სავარაუდოდ, მისი ქართული შესატყვისია **სიყვითლე**:

ზარდი რო აქე მა თავის ქეშ დავაწენთ და გოუა [ქლკ, ნარგის აბასი].

წითელი – სპარსულად **sorx**; ფერეიდნელთა მეტყველებაში ფერის აღსანიშნავად მხოლოდ ქართული **წითელი** დასტურდება; სპარსული სორხ – კი დაავადების (წითე-

ლას) აღსანიშნავად გამოიყენება. კითხვაზე: წითლად რო გამოაყრის, წითელი, პატარა, ბაიტა ყმაწილს, რას ეძახით? – **სორხაქი**, ხო **სორხაქია**, **სორხაქი** ხო ჩონ ვამოფთ [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

მწვანე – წონე // მწონე, სპარსულად საბზ *sabz*.

ჩონთან ხორბალს თესვენ, ითესების შემოდგომაზე და გამწონდების და მწონე დაჰყვების თოვლების ქეშ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მოცემულ მაგალითში მწონე შეიძლება აღნიშნავდეს მწვანესაც და სიმწვანესაც.

ჩონ ბალახს რო მოვითბავთ, რო მოიტანოთ, გაეახმოთ, ამ თაის ჩხირეფს გაეარჩევთ, მიფერთ ცალკე, მერე გავლევამთ. ეს რო მწონე ერი და ბატარა ბატკნეფსათი [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

ეს კლერტი მეტობა მევები გამწუნდების, ყურძენის... დიად არ არი, მწონე ერი ემესავით... [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

დოქონია მე სამეველა და ერთ ბადიასავით წონე წყალი ამასხა, ზაჰრი ამასხა [ქდკ, ჰაიათ იოსელიანი].

იმას დავდახლით წონე ქიშშიში, ქოლგაჩი რო გავმის [ქდკ, მაჰმად ბათუაშვილი].

წონე თოლები რო აქო, ჰა, იტყიანყე, წონე თოლი რო არიო, ისიო თოლ ემეს იქსო, თოლჩი მაფყუნსო [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

მწონე გვხვდება გამწვანებულის მნიშვნელობით:

საქართველო ყველა მწონე ერი [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

გამწვანება:

მელას წინ გოომწონდაო [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

წავძელებულს ემას ეტყიან: ხორბალსა, ფაიზა რო გამწონებულა [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

სპარსული საბზი **sabz** (=მწვანე) ფერეიდნელთა მეტყველებაში, ძირითადად, მწვანეების, ბალახის მნიშვნელობით გამოიყენება.

იმეფსათი ნამადა ნიორიო, სულ რო აქ ზედ ეს საბზი, ბალახი ემე ნანა და ესები [ქდკ, მოჰთარამა].

მე ვიტყი: საბზე ხორეშტი გააკეთე და ბრინჯიც გააკეთე. ბრინჯი და საბზე ხორეშტი, მასალან, სადილზე, ხო? [ქდკ, საჭეია ასლანი].

თეთრი – *sefid*. შავი – *siyāh* – შავი და თეთრი ფერი აღინიშნება მხოლოდ ქართულად.

თავად ლექსიკური ერთეული **ფერი** ფერეიდნულში არ ქმნის ფერის აღნიშვნელ კომპოზიციებს. მას ფერეიდნულში ჩაენაცვლა სპარსული სიტყვა **რანგი**:

rang (სპარსული) – **ფერი** [ქდკ, ფერეიდნული ლექსიკონი].

ასიმანი რა რანგე? (=ცა რა ფერია?) [ქდკ, ამინ (ანდრო) ნაგელიანი].

ამ პარაგრაფში მოკლედ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ზედსართავი სახელის, როგორც ბირთვული ლექსიკის შედარებითი მდგრადობა დადასტურებულია ფერეიდნული დიალექტის მაგალითზეც. ოთხასწლიანი იზოლაციის პირობებში შენარჩუნებულია საბზისო ზედსართავ სახელთა უმეტესობა. ნასესხობები კი იხმარება პარალელურად, მაგრამ სპეციფიკური მნიშვნელობით.

საკითხის დეტალურად შესწავლა მომავლის საქმეა. ჩვენ მხოლოდ ვაჩვენებთ ამ კვლევის კონტური და მნიშვნელობა კუნძულოვანი დიალექტოლოგიის ტიპოლოგიური ანალიზისთვის.

2.2. ზედსართავ სახელთა სიტყვაწარმოების თავისებურებები – ხარისხის წარმოება

ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები ქართულში გამოიხატება როგორც ლექსიკური, ისე მორფოლოგიური საშუალებებით.

ქართულ დიალექტებში, ისევე როგორც ქართულ სალიტერატურო ენაში, შეინიშნება ხარისხის როგორც აღწერითი, ისე მორფოლოგიური წარმოება.

ქართულ დიალექტურ კორპუსში დადასტურებული მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ სხვა ქართული დიალექტების მსგავსად ფერეიდნულშიც გარჩეულია ზედსართავის ხარისხის ფორმები, აქ, ფაქტობრივად, აღწერითი ფორმები სჭარბობს მორფოლოგიური მაწარმოებლით მიღებულს.

ხარისხის შკალა აქაც შედარებითია. ძირითადი ფორმაა დადებითი ხარისხი, ხოლო მასთან მიმართებით გამოიყოფა კიდევ ორი: დადებითზე მეტი და დადებითზე ნაკლები. ამასთანავე, გვაქვს თანაბრობითი ხარისხის აღნიშვნაც.

უფრობითი ხარისხის (დადებითზე მეტი) მორფოლოგიური წარმოების სულ სამი ფორმა დავადასტურეთ, აქედან ერთი – **უფროსი**, ფაქტობრივად, გაარსებითებულია და მეთაურის, ხელმძღვანელის მნიშვნელობით გვხვდება, რაც შეეხება დანარჩენ ორს – **უკეთესი** და **უმცროსი** ინოვაციაა, მოგვიანებით დაკვიდრებული ფორმა.

უფროსი // **უმფროსი** – ამ სიტყვას ფერეიდნულში აქვს მხოლოდ მთავარის, მეთაურის მნიშვნელობა, გაარსებითებულია.

ყველაზე აქტიურად ის გვხვდება სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში:

ეს ვაჟდა თელ იქაურ ძერეიდანის ქართველების უფროსად [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

რაცლა უფროსები იყო, წამოიარე და სუყელა უნახე [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].
წაველით ყაზალების უფროსთან [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ის ჰოქუმათი ელ ემ ბახტიარების უფროსების ბიძა იყო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ორდუს უფროსებმა გოგ ზავნეს ერთ სოფელში [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ასლან ხანი შაჰბაბასამ დასო იქა ფერეიდანის, ფერეიდანის რა? უფროსზე, უფროსად [ქდკ, შაჰინა მულიანი].

უფროსობა მისცა ისპაგანი სა [ქდკ, მაჰმად ბათუაშვილი].

წინანდელ უფროსებს უთქომთყე, რო: თავმა თხარა, თხარაო, ციცა გამოთხარაო [ქდკ, ალიმერდულა იოსელიანი].

თავრობას, უფროსობას ელოდნენ ხალლი და ერთი ახალგაზდა [ქდკ, აბოლრეზა რაჰიმი (დავითაშვილი)].

ნაიბიანი, ესენი რო წაილენყე, ერთ რო უმფროსი იყო, იმის მოადგილეა, ნაიბი დეიან, ქარსულია [ქდკ, რეზო რაპიმი (დავითაშვილი)].

უფროსი – ასაკის მნიშვნელობით გვხვდება მხოლოდ მუხტარ დარჩიაშვილის ტექსტში და ის ინოვაციაა:

თურანა რო დიდყორია, **უფროსია** [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

2. **უმცროსი** ინოვაციაა, ის რეპატრიანტ ფერეიდნელთა და ასევე საქართველოსთან დაახლოებულ ფერეიდნელ ქართველთა ლექსიკაში გვხვდება:

ასლან ხანი ვერ მოკლენ და სამში და კიდევ სამში **უმცროსი** ძმებმამ მაჰმადიანობა მიიღენ [ქდკ, შაჰინა მუღლიანი].

უფროს ექიმათ, **უმცროს** ექიმათა მუშაობდა იმ ჩონ იმაჩი, სავანტყოფოში [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

თაჰთაღარია, ეს თაჰთაღარია – ყველაზე უმცროსი [ქდკ, საიდ მუღლიანი].

საიდ მუღლიანის თქმით, ამ მნიშვნელობებით ეს სიტყვები (უფროსი - უმცროსი) დავიწყებულია ფერეიდნულში; უფროს ვაჟს უწოდებენ **პირველას** ან სპარსულიდან ნასესხებ **აველას**).

უკეთესი – ესეც რეპატრიანტ ფერეიდნელთა მეტყველებაშია დადასტურებული. და განსაკუთრებით ექილა უფრო **უკეთესია** და რა ვიცი, რა გითხრა [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

სხვა ფორმები უფროობითი ხარისხის მორფოლოგიური წარმოებისა, როგორც ვთქვით, ვერ დავადასტურეთ.

როგორც აღვნიშნეთ, ფერეიდნულში შედარებითი ხარისხის წარმოება აღწერთი საშუალებით ხდება და შედარებისას გამოყენებულია ნაცვალსახელი **სუ** (ყველა), **ემ** (ეს); ზმნიზედა **იფო** (უფრო) და ასევე ნაცვალსახელები : **სუსყე** დიდი – ყველაზე დიდი, **ემესყე** დიდი – ამაზე დიდი.

შედარებითი კონსტრუქციები: **სუსყე ნამა** (ყველაზე კარგი), **ჩემყე დიდი** (ჩემზე დიდი) – თვისების აღმნიშვნელი სახელი ხარისხის გამოსახატავად ითხოვს -ყე ნაწილაკიან შესადარებელ სახელს.

-ყე ნაწილაკიან (თანდებულის მნიშვნელობით) ნაცვალსახელთან შეიძლება შეგვხვდეს **დიდი, მეტი, ძალა, ბაიტა...**

ამ კონსტრუქციის შექმნაში მონაწილეობს -ყე ნაწილაკი, -გან თანდებულის მნიშვნელობით. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ხარისხის გამოხატვის ეს კონსტრუქცია სპარსული ენის გავლენითაა გაჩენილი. შედარებითი ხარისხი სპარსულში იწარმოება აზ წინდებულის მეშვეობით, რომელიც ქართულში **გან-** თანდებულის მნიშვნელობისაა [რამიშვილი 2018: 50].

უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო ქართულში სპეციფიკური იყო -გან თანდებულის ფორმების უფროობით ხარისხთან გამოყენება: „ტანისაგან“, „სიჭრელისაგან“, „ღვთისაგან“, „კაცისაგან“, „ქარისაგან“, „მზისაგან“ [გორჩიტაშვილი 1999: 11].

რადგან ფერეიდნულში -ყე ნაწილაკმა იტვირთა -გან თანდებულის ფუნქცია, ბუნებრივია, რომ სხვა ფუნქციებთან ერთად შეინარჩუნა შედარებითი ხარისხის ფორმის წარმოების ძალაც.

ასე რომ, შეიძლება სპარსულში არსებული აზ წინდებულიანი კონსტრუქცია უბრალოდ დამატებითი ფაქტორი გახდა ფერეიდნულში უფროობითი ხარისხის ამ კონსტრუქციის დამკვიდრებისათვის¹²².

ამ ტიპის კონსტრუქციები საკმაოდ აქტიურია ფერეიდნელ ქართველთა მეტყველებაში:

უნდა ყველაზე, სუსყე მეტი, ფული ჩაყაროს [ქღკ, შაჰინა მულიანი].

ჰაიდარ ბაგ ს ოთხი ბიჭი და ოთხი ყორი ღოჭვარდა. სუსყე ბაღტა ბიჭი ჩემ მამა იყო [ქღკ, არია ხოსროვი].

ამებჩი ნესირ აყას ვაზი სუსყე ნამა ყოფულა [ქღკ, არია ხოსროვი].

ქართულ გამოფენა ყველას სუსყე, სუსყე ემე იყო. კარგი [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ბატა იფო ცოტა ბაღტა ვარ ემინთყენა, ესეები ჩემყე დიდებია [ქღკ, მთქმელი უცნობია].

შიდი-რუა წელი ხო შენყე დიდია [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

არა, მე მამხე! მე რო მოსულვარ, დიდი ხო ვარ შენყე წელზე? [ქღკ, ჰაჯყოლამ-რეზა].

მოკლეთღა რო ვთქვა, ათი წელი შენყე მაღლა ვარ [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ამ კონსტრუქციის გვერდით შედარებითი ხარისხის აღწერითი წარმოებისას გამოიყენება ზმნიზედა **იფო** (უფრო), ამ შემთხვევაში იგულისხმება ორივე შესადარებელი საგანი, კონტექსტი გვაძლევს ინფორმაციას ამის შესახებ, მაგრამ არ გვხვდება მოსალოდნელი ზმნიზედური წყვილი: **უფრო – ვიდრე** და არც ქართული სთვის დამახასიათებელი **-ზე** თანდებულიანი შესადარებელი საგანი.

აფუსი და თელავი და ბოინიც კარგი სოფლებია, მოსხილებია. ბოინელნი იფო ფაქიზა ხაღლებია, სუფთა (=ბოინელები უფრო ფაქიზი ხაღხია, ვიდრე დანარჩენები) [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

წაველით ანქითაცა, ჩავსხედით და წაველით დარანსა, დარანსა ხო იფო ბევრი ხაღლიღა იყო (=უფრო მეტი ხაღხი იყო დარანს, ვიდრე აქ) [ქღკ, თაალათე ათი ასპანანი].

ელა ყორიღა და. ელა ქალიღა არიღა და! ბიჭი რო მოლოცია იფო ბევრ შირინი აქ. აი ღმერთმა ბიჭი გაგიზარღოს (=ვაჟი უფრო ტკბილია, ვიდრე ქალი შვილი) [ქღკ, თაალათე ათი ასპანანი].

ეხლ ეს წესი იკარგების, ქალბატონო, მერეზი იფო კარგი წესი იყო. გული ერთი ჰქონდაყე (=უფრო კარგი წესები იყო, ვიდრე ახლა) [ქღკ, ნაჯაჰა გუგუნანი].

122. შესაძლოა, ამ აზრის გასამყარებლად გავიხსენოთ, რომ -გან თანდებულიანი კონსტრუქცია წარმატებით გამოიყენება სხვა „შედარებითი“ სემანტიკის გადმოსაცემადც, „გარდა“, „მეტი“ მნიშვნელობით ნახმარ „კიდე“ ნაწილაკთან ერთად: შენგან კიდე (შენს გარდა, შენს მეტი), მისგან კიდე... „ოტარიღო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა“; ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევიერთო რაცა ქმარი, მზეცა მომხვლეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი...“

მისაც რო რაიათობა ბევრი აქ, საქონელი და პირიტიცი იმას იფო მეტი ჰყავ (ღა-
ნარჩენზე) [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

თვისების ხარისხი, ისევე, როგორც ქართულში, შეიძლება გამოიხატოს **ძრიალ**
(**ძლიერ**) ზმნიზედის მეშვეობით:

ემათაც ნამაი დიდი თადარუქი ჰქონდაყე და **ძრიალ ლამაზი ვახშამი** გოუკეთეს
[ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ურუჯყურბევი **ძრიალ ნამაი** კაცი ყოფილა [ქდკ, რეზო ხუციშვილი].

ერთი ყოფილა მეჭრალია ასპანიანთაყენა, და ეს **ძრიალ დელავარი** კაცი ყოფილა
[ქდკ, რეზო ხუციშვილი].

მაგრამ სეიფოლა ხანსავითა კაცი და მაგარ კაცი და ძალიან გამოლიძებულ კაცი,
ჩონ არა გწყოლია. **ძრიალ მაგარ** კაც, მაგარ კაცი ყოფილა [ქდკ, იოსებ ხუციშვი-
ლი].

ფერეიდნული დიალექტი თვისების ხარისხის საწარმოებლად სხვა ქართული
დიალექტების მსგავსად იყენებს ასევე ფუძეგაორკეცებულ ზედსართავეებს:

წითელ-წითელ წამაყრის ემ ემეზე, **ტყელ-ტყელებსა**, ანს ყოვილი გუნდალ
გუნდალებია მუწუკასავითა [ქდკ, ჯამილა ზამინი].

მე გებნები, ხო ქუნთრუშა **ტყელ-ტყელები** იყოს, მგონი, მასალან, რამემ უკბი-
ნოს, დეგეკაწროს, **ტყელ-ტყელები** იყოს [ქდკ, ჯამილა ზამინი].

ფულებს აჩუქებენ **დიდ-დიდ** ფულებს [ქდკ, შაჰინა მულიანი].

მერე გაილის და უფრო გრძელ ტოტეფს გაიბავს და ის რო **გრძელ-გრძელილა**
არი, ერთ მეტრის მეტსლა, აი, ორ თეს უკანაცლა რო ნამად ეტყობა, იმეფესა და-
ჭრი [ქდკ, ჰეიდარ ასლანი].

სუ ელს ცხენ იყვისყე **ბატპატამაცა** ვირები, რო ცხენი არა ჰყვანდისყე [ქდკ,
უშანგი ხუციშვილი].

თავის საპალნებიც ელან სუ ვირეფს აჰკიდიანყე, და **ბატპატაცა** ურემი ჰყვანდა-
ყე [ქდკ, უშანგი ხუციშვილი].

მოადეს და ქომოთ ჭერედანი, რო პარსელები იყნეს, სუ დავოცეს და **ბატ-პატამ**
გაძქცა და **ბატ-პატამ** დაძძალა [ქდკ, რეზო მიქელაძე].

ზოგ შემთხვევაში ბატ-ბატასგან მიღებულია **ბატატა** (ძალიან პატარა)

შიდ, რუა **ბატატა** სოფელი არი, რო ექა ემებია, სომხებია [ქდკ, რეზო მიქელაძე].

ჯიბეს გოიზიდვენ და თუ **ბატატა** ყმაწილებია, ხო, კაკალს და ნუშს ჩოიყრიან
[ქდკ, რეზო მიქელაძე].

ამ შემთხვევებში საგნის თვისება გამოხატულია არა შედარების საშუალებით,
არამედ, ზოგადად, მისი ხარისხის ოდენობის ჩვენებით.

რაც შეეხება ოდნობითი ხარისხის მორფოლოგიური წარმოების ფორმებს, ისი-
ნი, როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულში ცოტაა, ისევე როგორც ძველ ქარ-
თულში. ე. წ. ოდნობითი ხარისხი ძველ ქართულში მინიმალური გამოყენებისაა
(იმდენად, რომ ა. შანიძე ძველი ქართულის გრამატიკაში მას არც კი რთავს ხარის-
ხის სისტემაში) [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 138]. ფერეიდნულში ამ რიგის ფორ-
მები კიდევ უფრო ნაკლებია.

ჩვენ კორპუსში დადასტურებული ფორმები: **მობერო**, **მოგიანო**, **მოგძელო**, **მოდილო**, **მოზლო** შევადარეთ სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულისა“ და განმარტებითი ლექსიკონის მასალას.

1	ფერეიდნული	„ლექსიკონი ქართული“	განმარტებითი ლექსიკონი
2	მობერო	–	–
3	მოგიანო	–	–
4	მოგძელო	მოგრძე – სიგრძე შეეტყობოდეს ZAB	მოგრძო – რასაც სიგრძე ეტყობა, ოდნავ გრძელი
5	მოდილო	–	მოდილო – საკმაოდ დიდი, არცთუ ძალიან პატარა
6	მოზლო	–	–
7	მოსხილო	მოსხო – ცოტა(დ) სხვილი ZABCqD. სხვილივით Cb. სხვილი Ca. განუმარტავია E. See also: სხვლი3	მომსხო // მოსხო – ცოტათი მსხვილი

მობერო:

ერთი კაცი იყო, მობერო კაცი იყო, და ერთი ჯეილი. ემ მობერომ უთხრა ემ ჯეილსა, რო თქო: არ მოხლო, წაადეთ, ხათზე ვიმუშაოთ [ქდკ, ყადირე აყლი].

ეგეთ ბერ ღელაკაცი, მოჰსენ ღელაკაცი, ჩემყე მობერო იყო ერთ თალაქადა [ქდკ, საძეა ასლანი].

მოგიანო:

მოლით ძალე შინო, სუფრაზე დავდვათ ღინო, ღონიერი ხარ თუ უღონო, ძალე მოხვალ თუ მოგიანო [ქდკ, მანსურ ყალანი].

აქ მოგიანო ზმნიზეღის ფუნქციითაა, მაგრამ მისი ფორმაწარმოება გვაგულისხმებინებს სათანადო ზედსართავსაც.

ზმნიზეღური ფორმა მოგიანოდ გვხვდება სხვა მთქმელის ტექსტშიც:

მოიდა და საღომო დროლა შაძქნა, მოგიანოდა მოძდა, ბენაძ ქნა, თაჩიებითა, ყადიმად თაჩიები იყო, თაჩი და გუდაფთ ემამ ფული ეზიდა შინა [ქდკ, ყადირე აყლი].

მოგძელო:

ჩონ რიკედლობას ვეძახით. ეს არი რიკი და ანს მოგძელო – ღელა [ქდკ, მუხტარ ასლანი];

მოგძელო ყურძნებია [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩინაშვილი)].

მოდილო:

თექსმეტი ქალასი გოოკითხავ, თექსმეტი ქალასი. ამისყენ მოდილო’ რი [ქდკ, თუბა შაჰმამადი].

მოზლო:

იძხელა ერთ ცოტა მოზლო, მოზლო თეფშზეგ დაყრიან ლუხულოს და იმ ჩამიჩსა და ემ ყანდსაც ზედ დაადეფს და მაიბანენ, დავიდებენ წინ [ქდკ, სელიყე ასლანი].

მოსხილო :

ნამაჲ **მოსხილო** ყმაწილები იყნეს და თქეს რო: რუდემო, ქენ ალაო [ქდკ, ყადირე აყლი].

სადილთ უკან თითანაც შაჯდა და მინაცლა რო იქ იყო **მოსხილო ხალღები**, წა-მაღყვეს // წამაჰყვეს და წაგელით [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

აფუსი და თელავი და ბოინიც კარგი სოფლებია, **მოსხილება** [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ხო, ეს აყრის, კარგად აყრის, კარგად აყრის და თავის ემეების **მოსხილებია**, ნუხულოს ტოლებია [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

ოდნაობითი ხარისხის ამგვარი წარმოება გვხვდება მხოლოდ ზომის // ასაკის აღმნიშვნელ სახელებთან და არ გვხვდება ფერების აღმნიშვნელ სახელებთან.

ოდნაობითი ხარისხის თავისებურებად ფერეიდნულში შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ შეუძლია ამ ტიპის დადებითი ხარისხი წარმოადგინოს ოდნავ მეტი თვისებით – კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონაწილეობს შედარებითი ხარისხის წარმოებაში – *ამისყენ მოდილო* რი; *ჩემყე მობერო იყო*.

თანაბრობითი ხარისხი

ისევე, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში, ფერეიდნულში თანაბრობითი ხარისხის წარმოებისას გამოყენებულია ზედსართავი სახელისაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები **სისქე**, **სიდიდე**.

დ. ჩხუბიანიშვილი აღნიშნავს, რომ ფერეიდნული სთვის დამახასიათებელია ზედსართავი სახელის თავისებური ფორმები ნაცვალსახელებისა და **სიდიდე** სახელის შერწყმის შედეგად: **ემსიდე**, **ეგლიდე**, **ექსიდე**. მკვლევარი არ აკავშირებს ამ ტიპის სახელებს ხარისხის ფორმასთან და აღნიშნავს, რომ ამ ტიპის წარმოება სხვა დიალექტებში არ დაიძებნება [ჩხუბიანიშვილი 2012 (2006): 163-164].

ქართული ენის დიალექტებში ამ ტიპის წარმოება აქტიურია: **ამსისხო**, **ამსიდიდე...** და როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, სწორედ დიალექტური მეტყველებიდან უნდა შემოელწია მას სალიტერატურო ქართულში. მიჩნეულია, რომ სწორედ ამით აიხსნება მისი სისტემური შეზღუდულობა [გოგოლაშვილი და სხვ. 2016:139].

ფერეიდნულში, როგორც აღვნიშნეთ, ამ ტიპის სახელები მონაწილეობენ თანაბრობითი ხარისხის გამოხატვაში:

ექსიდე:

ეს მაჲა ერთ ზარჩხი დაჰჰყუნითყე, ერთ **ექსიდე** ზარჩხიგა და ერ ზარა თოროში ჰკრიტყე და ეს მაჲა ჰკრიტყე [ქდკ, ზეინაბხათუნა ლაჩინანი].

ექსიდე კუკუა, მასალან, დავაკრიტყე და მარილი და ესები აჰრივიტყე [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ერთ **ექსიდე** ვრელი დოოგდიტყე დ აიმ ვრელასაყე ეს ემე ქბილი გამოილიტყე [ქსკ, ასლანი].

ჰა, კაკალი გადააფარიანყე ერთი **ექსიდე** ყორსა და ჰედ ჩაყვის და ამაღლისყე ძი-ვი და, მასალან, რომელსაც, ომოლოვისყე, თქიანყე: ეს რუზიანიო, იმის შანსიო, ხო? [ქდკ, ასლანი].

ხო ის ყველის მადა **ექსიდე** იყო, ის იყვისყე, ის იყვისყე, ჰა, ყადიმათა. წინა [ქდკ, საფეა ასლანი].

მაჩულა გავაკეთეთლა წმინდა ფალარისგან. **ექსიდე**, **ექსიდე**, გუნდა-გუნდა. წმინდა ფალარი რო გავშალითყე. ფალარი ელ ანს ნეხია, რო გამლიანყე, [დაჟმე-ბის], დაწმინდავდების, ხო, **ექსიდე** გუნდა-გუნდა გავაკეთითყე ზამთარსათინა, რო ემე ვქნათ, შოუკეთოთ [მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ექსიდე ზოკოები მაიტანიანყე, დაადვიანყე ცეცხლზე და, ჩაყაურმავიანყე [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ექსიდე ხაზინა ექონდა სავსე წყალი, წყალ ჩაიდითყე [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ჰა, ხაზინა იყო. **ექსიდე** წყალი იყო. ავ ფილაქნითყე ჩაიდითყე შიგა. ჰა, ჩაი-დითყე შიგა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ექსიდე იყვისყე და ეგრე შაკერილი, ეგეთ პირი ექონდისყე, ალბათა დიდი, ეგე-თი. ექ ჩასხინანყე, ემასაც ერთი ემე ექონდა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ექსისქე // ექსისხე:

ემას იგეთ ძალა აქ, რო იმას აბრუნებს, ის იგეთ ქუა დააბრუნოს. **ექსისქე** და ეგ-დიდე ქუას დააბრუნებს [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

გაკეთებულთა **ექსისხე** მაგრის ჯოხი, მაგრისა, **ექსისხე** ჯოხი, **ექსისხე** ჯოხია, **ექსიმაღლე**. ემ თავზე კინა ჩასმულია, ბოლოზეგაც კინა ჩასმულია [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

სახლი რო გათეთრებულიყო, ატყობდა: თხელ ტყავსავით ზელა ექონდა და ე, ემ-ხელა **ექსისხე** იყო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ექსისხე მორჩები ექონდა, **ექსისხე** [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ერთი ექა, ერთიც ექა. ეხლა ქენ ზელა ჩამადრქიანყე **ექსისქე** [ქდკ, ბათუანი]

ეგსიდიდე:

ერბო ხო გაცხელდების ჩავასხამთ და გოოშეფთ. ამააფუთეფს **ეგსიდიდე...** ქფილს ჩოოყრით [ქდკ, სედიყე ასლანი].

ეგსიდე:

რო ემამ ემ სამ-ოთხ თეზეგაო მაგე რა ქნაო, რო **ეგსიდე** საქონელი შამაჰყარაო და ჰაქიმობაც დაისწავლაო?!

ეგსიდე-ეგსიდები:

ეგრ'ეგსიდე-ეგსიდები, ეგსიდე-ეგსიდები. სიმინდის ემებს გააკეთეფთყე, ჰა? ჭადსავითა. ეგეთ ჭადსავითა, ეგეთ ჭადსავითა, იმიში ყათულსა, ყათულის პირსა, ზეს ნაღებსა, ზეს ნაღებსა, იმებს ვიქთ და წოოლეფთ ნათხოვნსა [სედიყე ასლანი].

ეგსიდ-ეგსიდე:

იმიში ზემინზე იყო თორნები. ეხლა გაზის თორნებია. **ეგსიდ-ეგსიდე** ექონდისყე ბალიში [სედიყე ასლანი].

ეგლიდი // ეგლილე:

ეს ზეს პური რო მუგუზელია და პურად ეგლილე-ეგლილე [ქღკ, გულაბე ქარბალი].

დიდი ქუა არი, **ეგლიდი**, დიდი, **ეგლილე ქუა**, ხო?! [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეგსიმალლე:

ჯოხია, ჯოხი **ეგსიმალლე ქურსი**, ეგრე მეყუდიანყე. ერ დედაკაცმაც ანქ დაჯღღის [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფერეიდნულ დიალექტში ხარისხის ფორმების წარმოება ძირითადად ხდება ლექსიკური საშუალებით, აღინიშნება არა აღმატებითი, არამედ შედარებითი ხარისხი, როგორც ეს ძველ ქართულში იყო.

გვხვდება სხვა დიალექტებისთვის დამახასიათებელი თანაბრობითი ხარისხის ფორმებიც.

რაც შეეხება ოდნაობით ხარისხს, რამდენიმე ფორმაში შემორჩენილა და მიჰყვება როგორც ძველი ქართულის მოდელს – გამონათავს დადებითზე ნაკლებს, ასევე აჩენს ახალი ქართულისთვის დამახასიათებელ თავისებურებას – დადებითი ხარისხი წარმოადგინოს ოდნავ მეტი თვისებით – კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონაწილეობს შედარებითი ხარისხის წარმოებაში (ჩემყე მობერო; ამისყენ მოდილო' რი).

3. ნაცვალსახელები

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ნაცვალსახელები ენის უძველეს ლექსიკურ ფონდს განეკუთვნებიან, ნასესხობები ამ ჯგუფში იშვიათად გვხვდება. ფერეიდნულში, თუ არ ჩავთვლით ნასესხობის ორიოდე შემთხვევას, ნაცვალსახელური ლექსიკა მთლიანად ქართულია, გვხვდება ბრუნებადი და უბრუნველი ნაცვალსახელები, ასევე მათი ნაწილაკიანი ფორმები, სშირად – ენკლიტიკური. შინაარსის მიხედვით აქაც იგივე ჯგუფები გამოიყოფა, რომლებიც ქართულ სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებში.

3.1. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები

პირის ნაცვალსახელები ფერეიდნულში:

მხოლოდით რიცხვში:

მე, შენ, ის, ეგ, ეს, ანს // ანსი, იგი, თავი;

მრავლობით რიცხვში:

ჩენ // ჩონ, ქენ // თქენ, ისენი // ესები // ასები; ანსები // ანსენი // ანსენები;

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები მხოლოდ პირის ნაცვალსახელის

ფუნქციით გვხვდება. ბრუნების თვალსაზრისით ისინი ქმნიან სისტემას, რომელშიც ბრუნვის ფორმები წარმოდგენილია უთანდებულო ან თანდებულიანი ძირით. პირველი პირის ნაცვალსახელს მხოლოდით რიცხვში ორი ძირი აქვს: **მე** და **ჩემ**.

მე ნაცვალსახელი არ იბრუნება. გვხვდება სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში. აქედან მიცემითში ნაცვალსახელ **მე-ს** გარდა გვხვდება **ჩემ** ძირიც:

მე გამიგიაო სხილი ხალღებსაყე, რო უთქომეყ: ეს ჭაო შუა ღუნია არიო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

რო შენ თავი მე შამიყორდაო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

მე ბიგონა ვარო, ის ჯავანი ჩემზე ძალი აქო და ყოდრათი აქ, უნდა თავი მამჭრასო [ქღკ, ყადირე აყლი].

უთხრა, რო: ჩემზე არ არიო, მე არ ვიციო, უნდა ჩემ ღელაკაცს ღევეკითხოვო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

უთხარი, რო ჩემზე არ არიო, თუ ჩემი ცოლმა იყაბულაო, წამოყევიბიო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

მიცემით ბრუნვაში რომ **მე** ნაცვალსახელს ენაცვლება **ჩემ**, ძველ ქართულ ენაშიც არის დადასტურებული. აკაკი შანიძე აღნიშნავს, რომ „როცა საჭიროა მე ნაცვალსახელის ბრუნება, მას ენაცვლება ჩემ“. იქვე ნათესაობითის გვერდით მოჰყავს მიცემითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის მაგალითები: „ჩემ უღირსისაგან, ჩემ უღირსსა ზედა; ნუ სტირთ ჩემზედა, არამედ გინაროდენ (ჰაბო); იქმენ მორჩილ სრულიად სიტყუათა ჩემ გლახაკისათა (ხანძ.); უძლიერეს არს ჩემსა (მ. 3, 11); ჩემსა შემდგომად (მ.3, 11. მიმართულებითი: ჩემდა, შენდა, მისა (მისა მიმართ, I კორ. 13, 4) (მოგვიანო ხანის ძეგლებში: მისდა), ჩემდა მომართ, ჩუენდა მომართ, შენდა მიმართ, თქუენდა მიმართ, მათა მიმართ (მოგვიანო ხანის ძეგლებში: მათდა მიმართ). კუთვნილებითი ფორმები ენაცვლება აგრეთვე სხვა პირის ნაცვალსახელებს: ვცხოვნდეთ მის თანაძალისაგან ღმრთისა თქუენითურთ (II კორ. 13, 4); უწინარეს თქუენსა (მ. 5, 12); უფროესა მათსა სხუად მცნებად არა არს“ (მრ. 12, 31).) [შანიძე 1976: 59].

ეს სურათი არ შეცვლილა ახალ ქართულში:

მე ნაცვალსახელს არც ძველ და არც თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში არ დაერთვის ბრუნვის ნიშანი და ის უცვლელად გვხვდება სახელობით, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვაში. დანარჩენ შემთხვევებში მას ენაცვლება ნაცვალსახელი **ჩემ**.

„მე, შენ (აგრეთვე მათი სუპლექტური „მრავლობითები“ – ჩვენ, თქვენ) ბრუნვათა მიხედვით არ იცვლება, ანუ უბრუნველი სიტყვებია. ერთადერთი, რაც ენობრივი გამოყენების დროს **მე** ნაცვალსახელისთვის არის დამახასიათებელი, ეს არის ახალი ფუძის ჩანაცვლება ნათესაობითში: **ჩემ** (პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ამ ფუძეზე თანდებულის დართვით გამოიხატება: **ჩემგან, ჩემ გამო...** უამისოდ ის უკვე კუთვნილებითი ნაცვალსახელია); დანარჩენ ფუძეებს (**შენ, ჩვენ, თქვენ**) ესეც არ ახასიათებს“ [გოგოლაშვილი და სხვ. 2011:189].

თუმცა ამავე წიგნში აღნიშნულია, რომ „თანდებულებიან პირის ნაცვალსახელებს შესაბამისი ბრუნვის ფუნქცია აკისრიათ; როგორც **შენ-გან** არის ნათესაობითი, ასევე **შენ-ზე** მიცემითი, **შენ-იდან** – მოქმედებითი და **შენ-ამდე** ვითარებითი; ასევე იქნება სუპლეტურობის შემთხვევაში: როგორც **ჩემგან** არის ნათესაობითი, ასევე **ჩემ-ზე** იქნება მიცემითი, **ჩემ-იდან** – მოქმედებითი და **ჩემ-ამდე** – ვითარებითი. ამავე დროს, რაკი **-გან** თანდებული დაერთვის ორ ბრუნვას (რაც ნაცვალსახელებში რელიქტურად არის შემორჩენილი), **ჩემგან** შეიძლება გულისხმობდეს ნათესაობითს (მაგ.: „ჩემგან მაგას ვერ გაიგებ“) და შეიძლება შინაარსით იყოს მოქმედებითი (მაგ.: „იგი ბოლოს ჩემგან წავიდა“; შდრ.: „მივდივარ სამშობლოდან... მშვიდობით, ჩემო... სამშობლოვ! მივდივარ შენგან არა იმიტომ, რომ არ მიყვარდი...“) [გოგოლაშვილი და სხვ. 2011:190].

ფერეიდნულ დიალექტში მიცემით ბრუნვაში ნაცვალსახელი **ჩემ**, გარდა **-ზე** თანდებულებიანი ფორმებისა, გვხვდება **-თან და -ვით** თანდებულის დართვით:

ჩემთან // ჩემთანა // ჩემთანაც:

ის ჯავანიც, რო ჩემთან არი, თადს საქორწილოდ წავა [ქდკ, ყადირე აყლი].

ემეს სახელი რო უთხარ და ემე, აი, ბაიბა მოგულდა და დაიწყო ჩემთანა [ქდკ, ჰეიდარ დარჩიაშვილი].

მოღით წინ და დიდათა იიბენით ჩემთანა და ამ ორივემა იმის წინ წადდეთ და ემინთ გაფეხი თქეს და გაათავთავეს [ქდკ, მაჰინე ასლანი].

გელაზ ღელე, ჭას ღელე, საღინო. ჩენტანაც არი, კაი ყურძენები ექონდა და სიღინო ექიან, ღინო და ესები [ქდკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

ჩემსავით // ჩემსავითა:

იმის ღელაცაო ჩემსავით არიო, მე ხო ახალგაზდა შეილი მომიკდაო, იმასაცაო შეილი მაეკლომიო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

იმას შაბბენყე ველზევა ყმაწილსა, ე, ჩემსავითა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ნათესაობითში ჩემ ნაცვალსახელი ასევე არის გაფორმებული: **-ყე, -კე, -კენ, -თან, -თა // თინ(ა) (თვის), -გნით** თანდებულებით:

ჩემყე ფული ისესხა უსაბუთო და ათ ღლეზე დამიბრუნა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეგრე ავიხუთყე, მე არ აიხუელა, იმ ჩემყე წინ, ასლან არ გაიგით, ჩონ ჳმა არ გაიგინყელა და [ქდკ, სელიყე ასლანი].

ჩენკენ შორს [ქდკ, ქერიმ ალა დარვიში].

ჩენტან პირიქითია! პირუკანა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

არც ვარი ჩემითი მინდა და არც თხა ჩემ მოზობელსათი [ქდკ, რეზა ონიკაშვილი].

ადარ ვაკრავ ჩემთინა, გაზის თონეც ვიყიდევი [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

რამე არ ვოქონდენ, მოღლენ, გაიტანენ ჩონკე, მასლან [თაჰერა იოსელიანი].

ინდოეთიგაცა, მე ემას ჩემგნით არ ვამბოფ, დიდი წიგნი ჩემ ძმამ, ჯარისკაცი

იყო და უფროსიც იყო ჯგერისკაცებისა, ისტორია მაიტანა, რომელჩიგაც ნადერის ჩადრი გამოსახებული 'ყო [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ არსებობს ორი ფუძე პირველი პირის ნაცვალსახელისა – **მე** და **ჩემ**. **მე** ნაცვალსახელი უბრუნველია, ირიბი ბრუნვები კი გამოხატულია თანდებულის დართვით (**ჩემ** + თანდებული).

სახელობითსა და მოთხრობითში **მე** ნაცვალსახელი გვხვდება, მიცემითში – როგორც **მე**, ისე **ჩემ (+ თანდებული)** ძირი, ნათესაობითში **ჩემ** (+ თანდებული) ძირია.

ზუსტად ასევე გვხვდება მეორე პირის **შენ** ნაცვალსახელი თანდებულისანი ფორმით:

მიცემითი:

მე ვამაყოფ შენ სახელზე, მსოფლიოში მხოლოდ შენზე [ქღკ, რეზო რაჰიმი (დავითაშვილი)].

მე ათი წელი კი შენზე მაინც დიდი ვარ [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].
საქართველო, შენზე ღრილა სისხლები [ქღკ, მანსურ ყალანი].

შენთანა ვარ, შენ რო მხოლოდ, მოდი, გნახო, ღმერთმა შენ მე შამინახოს [ალი ჰოსეინ რაჰიმი (დავითაშვილი)].

ემაქთენი ძოლები რო ყრიაო, ანსებიც შენსავით ყოფილან ელაო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ნათესაობითი:

მე ხო შენყე ნეჰრას დღება არ მინდა [ქღკ, შაჰინა მულიანი].

მოვლენო, რო იყიდონ შენყენაო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

დამიფიცია მხოლოდ შენთის ვიბძოლო [ქღკ, რეზო რაჰიმი].

ერთ ბატკანს შენთი დატკლავ [ქღკ, შაჰინა მულიანი].

შენ ნაცვალსახელიც ასევე გვხვდება თანდებულისანი და უთანდებულისანი ფორმებით: **შენ** – სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი; **შენ (+ თანდებული)** - მიცემითი, ნათესაობითი.

საგულისხმოსა ის ფაქტები, რომ ფერეიდნულში, ისევე როგორც ქართული ენის ყველა ქვესისტემაში, გვხვდება **შენ** ნაცვალსახელის წოდებითის ფორმა „შე“ საალერსო და სალანძღავ კონტექსტებში, ზოგიერთ შემთხვევაში მოთხრობელის ლექსიკაში შეინიშნება ნასესხობები დიდი რაოდენობით, მაგრამ ნაცვალსახელი **შენ (შე)** უცვლელია:

ბაადან კუვმა ჯავაბი მიჰცა: აჲ შე დატსილო, ეგრე არ არივო [ქღკ, შაჰინე ასლანი].

შე კაი კაცო, რად აშჩქარდიო! [ქღკ, დარმიშა ბათუაშვილი].

პირიტყს ეტყვიანყე: შე საწირავო, შე ავადანო [ქღკ, რეზა ონიკაშვილი, არია ხოსროვი].

ნასესხობასთან:

შე აზა მონდა, შენ იყავ, რო ეს ჩემ ყურზნები ეგდენ შაშჭამე და ეგე გაჰამრე [ქღკ, თუბა შაჰამადი].

შე ბიმიროვათო, ეხლალა მოხველო? [ქღკ, ასლანი].

შე სალითაო, ეხლავე თავს წაგაძროფო [ქღკ, კოლა ონიკაშვილი].

ქოქი: *შე* ბალაბახტო, გაჩყოთო [ქღკ, ყადირე აყლი].

გამაგინისყე: აჲ, *შე* ქელან, ქელან შოდა [*შე* ასეთო და ისეთო] [ქღკ, რეზა მიქელაძე].

ნარის გერდზე დაწვა და თქო: *შე* სამზე დასაკლავო. შენ დაწვევ და მეც დაწვევები და ვნახავთ შემოდგომაზე მეველე მის წაიყვანს [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

შე სამხი დასაკლავო, *შე* შიღხი დასაკლავო, *შენ* დაწივ და *მე* დაწიო [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

3.1.1. მც(ა) ნაწილაკი პირის ნაცვალსახელებთან

„მცა ნაწილაკი რთული შედგენილობისაა და წარმოდგება **მ** და **ცა** ნაწილებისაგან... ძველ ქართულში შეიძლება დაერთოს სახელსაც, სახელის ნაცვალსაც, ზმნასაც, ზმნიზედასაც, კავშირსაც. რაგინდ მეტყველების ნაწილსაც უნდა დაერთოს, სულ ერთია, იმავე წინადადებაში ნატვრით კილოს ველარ ვიხმართ, არამედ ყოველთვის თხრობითი უნდა იყოს“ [შანიძე 1981: 37].

ფერეიდნულში, თორელსა და დაშქესანაში პირის ნაცვალსახელებთან შეინიშნება **მცა** // **მც** ნაწილაკის დართვის შემთხვევები: **ჩონამ**, **შენამ**, **შენსამც**, **შენას**:

შენამ(ც) - *შენამ გენაცლო ემაგ შავ თოლებში* [ქღკ, შაჰინა მულიანი].

შენამც – *შენამც გენაცლე მაგ შავ თოლებში* [ქღკ, შაჰინა მულიანი].

მც(ა) ნაწილაკის კვალი გვაქვს ფორმაშიც **ჩონამ (მცა // მც** ნაწილაკი ც-ს კარგავს ბოლოკიდურად და მხოლოდ **მ** -და რჩება):

ყრები გათხოულან და ჩონამ ქე დედაკაცი გუთხოვნია [ქღკ, ხაჯი ნაზემა ხოსრაშვილი].

-**ც** ნაწილაკიანი **მე** ნაცვალსახელი ბოინ-მიანდაშთის სოფლებში ზოგჯერ გართულებულია -მე ნაწილაკით:

მეცამ ხო დაბერებულვარ, აღარ გამამდის, რო პირიტყი შაინახო [ქღკ, ხაჯი ნამესა ხოსრაშვილი].

თქო: *ხეღლი ხუბ, აგარ შენ ეგრე მეცამ წავალ ერთ ჯაზირა არი* [ქღკ, ფარშადა].

ეს ყეინობა შენ გებარებოდეს და მეცამ მივალ [ქღკ, მთქმელი უცნობია].

მეცამ ელა ქოქი: და ჰოსეინ, და ჰოსეინ და ემ ძალლებმა დემეყარეს [ქღკ, მთქმელი უცნობია].

გელმა თქო, ქე: მეცამ წავალ [ქღკ, მთქმელი უცნობია].

რო გადყოფიან, ემას იტყვიან, რასმე: მეცამ დამიძახებ? [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

ეხლა მე და ჩემ გოგო წავალთ ანქა, შენ შაიქენ ჯოხი, მეცამ – ქუა, გარდავხოვდით [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

მეცამ დავჯექ, ჯგუფი დასჯგეს [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

როგორც აღვნიშნეთ, ამ ტიპის ფორმები დავადასტურეთ თორელსა და დაშქესანაში, მარტყოფის წრის სოფლებში მსგავსი ფორმები არ გვხვდება.

ამ ფორმების პარალელურად ჩვეულებრივად გვხვდება **-მე** ნაწილაკის გარეშე ნაწარმოები -ც ნაწილაკინი პირის ნაცვალსახელები როგორც ბოინ-მიანდაშთის, ისე მთელი ფერეიდნის მეტყველებაში:

დაშქესანა:

ჩონ ქე ვეტყით, მე გითხარ ხო, შენ ქე არ მოხიდე, მეც არ წავალ [ქღკ, შაჰინა მუღლიანი].

სახლის დიდი შაიქენ და ვერ გამამიგდა ნამა – ნამა დარსი ვიკითხო და მეც ჩემ ძუმაც სავით დანეშგაჩი წაიდე [ქღკ, არია ხოსროვი].

მარტყოფი:

იმაშინ მუა და გამოგუვდების, გაგუვდების, იტყის: მე შენ ყორი აღარა ვარ, მეც ვეტყი მე შენ დედა არა ვარ [ქღკ, მაჰინე ასლანი].

ის რო მაშიტანს? მუშტარი, მუშტარი ჰქიან და მაშიტანს, მეც შოოკერავ [თალერე (ზაირა) რაჰიმი (დავითაშვილი)].

პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმები: **ჩონ // ჩენ // ჩუნ, თქენ // ქენ:**

დღეს ხო შენ დღენიაო. თუ ჩონ დღეც მოიდაო, ახირ ვეტყითო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ჩონ ხო ემას ვერ ოოწონავთ და ესენი ბევრნია და ჩონ მოგორევიან [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

თორნეზე მოოშირავტყე ჩონა, გაგხუხაფტყე თორნეზე [ქღკ, გულაბე ქარბალი].

ჩონა ინას დაიდეთთ ერთველდა ერთველაცა რანგ ს დაიდეთთ [ქღკ, გულაბე ქარბალი].

ჩენ ძმებმა და ჩემ ამუამ დადგეს ანქა [ქღკ, თუბა შაჰმამადი].

ჩენა ვთქითყე წილი თაჩიო, არა? წილი არ არი, ჭირია, ჭირი რა არი? – დარდი [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ჩუნ ვეძახით საძებური [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

ჩუნ ექ გაზდიღვართ [ქღკ, ალი ჰოსეინ დავითაშვილი].

ქენ სახლი რასთი ჩუღრუთს გარდასულა [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

ქენა ნახეცით გუშინ – სოფელჩი რა'მბავ იყო, ამამ ნახა, ქენა შჭამეცით, ამებმან ჭამენ [ქღკ, შაჰინა მუღლიანი].

მე ბიჭებს უთხარყე: ესენი მალაქები იყნეს, თქენ ანგელოზებს დაუძახით [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

მეტადა იყვისყე, არა, მეტადა კოჭებბჩიდა, ქოთნები დაძძახით თქენა [ქღკ, იოსებ ხუციშვილი].

ეს თქენა და ესეც ჩონ საქონელიო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ეს ნაცვალსახელები გვხვდება ნაწილაკებთან ერთად, რომლებიც დართულია როგორც სავრცობიან, ისე უსავრცობო ფორმებზე: **ჩონც // ჩონცა // ჩონაც // ჩონაცა; ჩენ // ჩენაც // ჩენაცა; ქენაც // ქენც, ქენლა, ქენყენაც; თქენაც // თქენც.**

პირველი პირის მხოლოდობითი რიცხვის ნაცვალსახელების მსგავსად, მათაც აქვს თანდებულებიანი ირიბი ბრუნვები:

ხირხატეები **ჩენტანაც** არი. **ქენტან** რა არი, ხირხატი რას ნიშნავს? [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ჩონთი, **ჩონთითა**, **ჩონთინ**, **ჩონთინა**, **ჩონთინაო**, **ჩონთინაც**, **ჩონთისა**, **ჩონთილა**, **ჩონთილაო**.

ჩონთი = ჩვენთვის

ჩონებურია. ჩონთი უამბიყე [ქღკ, თალათე ათაი ასფანანი].

ჩონთისა = ჩვენთვის:

ჩონ ჩონთისა საქართველო, ემე ერი, ქართველები რო ფერეიდანჩი ძც ხოვროფთო, საქმე გაფუჭლებო და შეილებო, რო ჩონზეგა სხონაირად იფიქრონო [ქღკ, ჰოსეინ ყალანი].

ჩონთინა = ჩვენთვის:

მის დოღებია, მის გოოკეთებია ჩონთინა [ქღკ, რეზა მიქელანი].

ჩემთი (ნ) და **შენთი(ნ)**, **ჩონთი (ნ)** და **ქენთი(ნ)**, **თაისთი(ნ)** ფორმები ომონიმურები არიან, ისინი აღნიშნავენ ჩვეულებრივ **-თვის** თანდებულებიან კუთვნილებასაც (ჩემთი უთქომ...) და, ამავე დროს, ხშირად ანაცვლებენ **თვითონ** ნაცვალსახელს:

ჩემთი = მე თვითონ, ჩემით:

შენ რო მიხლო და არ მიყავ ჩემ თავი, ვალად მავე გაგმთელებია ქაჩალ თავი. ოდ, თაის ველების სინას ყურბანი წავალ. თუ არ მოდდა ხო, მე ჩემთინა გავალ [შაჰინა მულიანი].

/მე ჩემით, მე თვითონ გავალ.../.

შდრ. იმავე მთქმელის იმავე ტექსტიდან:

ჩემთი = ჩემთვის

წყალი ყარყარადთ გამამიტა კარჩი, ბარი დოც ხიყე ჩემთინა ვარჩი [ქღკ, შაჰინა მულიანი].

ასევეა:

პურსაც დავაკრავ, ელა ჩემთინ მოუზილავ ველებითა [ქღკ, ჯავაჰერა მოლომენი].

/ჩემით, მე თვითონ მოვზელ/.

ჩემთინა ვზარდაყე და გავადიდეყე [ქღკ, ჯავაჰერა მოლომენი].

/ჩემით, მე თვითონ, მარტო მე ვავზარდე/.

მე ჩემთინაცა სამმი ბიჭი მყავ, სამმი ყორი მყავ [ქღკ, თუბა შაჰმამადი].

/მე თვითონ, თავად... სამი ბიჭი მყავს/.

ჩონთი = ჩვენ თითონ

ჩონთინა:

თუ დოქტორთან დურდასტად არი, იმაშინ ჩონთინა და შავ მატყელს დავწოვთ და დავაყრით [ქღკ, ზოჰრა].

ჩონთინაც:

ჩონ ყმაწილეები შადშუამენ, ჩონთინაც რო გავძლებით, იმაშინ ჩონ ყორ წოლოე-ბავთ [ქღკ, ირანა იოსელიანი].

ჩონთინაც:

ეხლა ემაშინ ჩონთინაც ელა ბავში ვიყაით, თამაშობა ბევრი იყო [ქღკ, აბოლყა-სემ აჰმადი].

ჩონთითა:

პური დავაკრათ ჩონთითა [ქღკ, თალაათე ათაი ასფანანი].

ჩონთინ:

დოხტორი და რამე ხო არ იყო, ჩონთინ დოხტორობა ვქნითყე [ქღკ, ჯამილა ზამანი].

შენთი = შენ თვითონ:

ფარვარდევარო სუყელას ემ მოსაძერებს რაჰში უყავყე, მინაც სეძარეშქონენ-დაარი შენთი შაინახე, შენთი უშელე, შენთი მოშველი გოოსხენყე [თალაათე ათაი ასფანანი].

ეს ბრეწეველებიო ველთ არ გაიგდებინო, შაინახეო და წადი, წყალი, რაც გინდა, აი ზიდეთო და შენთინაც ადიო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ვთქი: მე გამოვქცეულვარ, იცოდე, შენთინაც იცოდე, ანს ორ-სამ ქალაქი მე რო გამოვცილდით, ესები სულ ირანის ჯარის ხალღი არიან, რო მე მამნახონ იქა [აზიზ ოლა სეფიანი (იოსელიანი)].

ქენთი = თქვენ თვითონ:

ეს, რო ჩამიდევით ემ კალათაჩი, ჩამოვიგდე და ქენთი მოზავთეთ [ქღკ რეზა მი-ქელანი].

ვთქი, რო: არა, ჩონ ქართველები, ხო იცით ქენთი, დედაკაცს რო მოდევანთ, გა-მოვლება შუაზე არ არი [ქღკ, რეზა მიქელანი].

ხუალ, და, მუშა დაიჭიროთო, ქენთინ მოდითო, დაიკოლოთენით ნამაო და ექა ფეი დავთ ხაროთო [ქღკ, ბათუანი].

თაით(ი) = თავისით, თვითონ:

ეხლა, ემ ორ კაცსაც მოოკიდნია თაითი და დოოკრვენ და ეს დედამთილიც შამო-შუშპრდების და წავალა სახჩი [ქღკ, ირანა იოსელიანი].

შულღი ჩავარდა სოფელჩი ელ ექა და ეს თაით ეს მინდოდეს თუ მოგიყუე ამბავი, თითან ერთ კასეტი უნდა [ქღკ, შაჰინა მულიანი].

გამოუვარდებისყე ერთ ოთხ-ხუთი ძმეები, ანქით გადმოვლენ, [...] ექა, ექ თა-ვითინ ემეს გააკეთებენლა და ეგ ეგრელა ნელა-ნელადლა აი დამეტლა და ადამიანები და შაიქნა სოფელი [ქღკ, ქერიმ ალა დარვიში].

მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელები ფერეიდნულშიც გვხვდება როგორც პირის, ისე ჩვენებითობის აღნიშვნის ფუნქციით. ძველი ქართული სთვის დამახასიათებელი იყო მითითების სამწევრა სისტემა და სამი ნაცვალსახელი: **ესე, ეგე, იგი**. ახალ ქართულში ოთხი ნაცვალსახელია, თუმცა აქაც სამწევრა სისტემა გვაქვს: **ეს, ის // იგი, ეგ**.

ფერეიდნულშიც მითითების სისტემა სამწვერაა. არნოდ ჩიქობავა სეიფოლა იოსელიანის ტექსტებზე დაყრდნობით ფერეიდნულში გამოყოფდა ნაცვალსახელებს **ესე, ეგ (ეგეთი), მაგე, მად, ანსი, ისი** [არნ. ჩიქობავა 2010 (1927): 199].

დღეს ქართული დიალექტური კორპუსისა და ჩვენი საველე სამუშაოების მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სურათი რამდენადმე განსხვავებულია: **მაგე** შეცდომითაა მიჩნეული ნაცვალსახელად. გარდა ამისა, მესამე პირს ნაცვალსახელთა ვარიანტებიც მეტია:

ეს // ესე, ის // ისი, ანს // ანსი, ეგ // ეგე, იგი (იგი გვხვდება ხუთჯერ, სამი რეპატრიანტთა ჩანაწერებში, ორი საქართველოსთან დაახლოებულ პირთა მეტყველებასში, სავარაუდოდ ინოვაციაა).

მაგე-ს ნაცვალსახელის კვალიფიკაცია აქვს ივანე გიგინეიშვილის, ვარლამ თოფურიასა და ივანე ქავთარაძის მიერ გამოცემულ ტექსტებშიც. აქ ეს ფორმა განმარტებულია როგორც **ასეთი**. მას თან ერთვის ილუსტრაცია: „მაგე დალია ხარო?“ /ეგრე სულელი ხარო?/.

მაგალი თოლუას მიერ მოგვიანებით გამოცემულ ტექსტებზე დართულ ლექსიკონში **მაგარ // მაგე** განმარტებულია როგორც სპარსულიდან შემოსული ნაწილაკი **განა**.

არნ. ჩიქობავას მიერ ნაცვალსახელად გამოყოფილი **მაგე** არ არის პირის ნაცვალსახელი, არც „ქართულ დიალექტოლოგიის“ ავტორთა განმარტებაა სწორი. ის სპარსულიდან ნასესხები ნაწილაკია **magar** და ფერეიდნულში გვხვდება ორი ფორმით: **მაგარ** და **მაგე** და მნიშვნელობით შეესაბამება ნაწილაკებს **ნუთუ, განა**.

ეს მნიშვნელობა უჩანს ამ ფორმას როგორც ძველ (სეიფოლა იოსელიანის), ისე მოგვიანებით ჩაწერილ ტექსტებში:

სეიფოლა იოსელიანი, 1922წ:

ბიჭოვო, მაგე დალია ხარო, რო ფშატსა სეიდობო!

ემამ ემ სამ-ოთხ თე ზეგაო მაგე რა ქნაო, რო ეგ სიდე საქონელი შამაჰყარაო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ებნებოდაყე, რო: ჯერ მითხარით, აბა რა' ნბავია [რა ამბავია] მაგე ჩემ სახლჩი, რო ყოფილა და გეთყიყე [გეტყვიყე], რო სად ვიყავ

/... რა ამბავია განა ჩემს სახლში/.

შემდგომ პერიოდში ჩაწერილი ტექსტები:

ვთქი, რო: მამა, მე მიყორს, მე ქართველი მაგარ არ ვარ! თქო: ჰა, ჩემ ბიჭო, შენა! [ქდკ, რეზა მიქელანი].

მაგარ მე მოკობრობაზე მოსულვარ, დანი, მე კაცი მამიკლავ? მე მოსულვარ ქორწილი უნდა ვქნა [ქდკ, რეზა მიქელანი].

მე ილ იქ, რო მითქომ, უნდა წახიდუო. მაგარ მე მეშინია მოღირქოლსაყეო, შენ გინდაო, რო... მე შენ ჯელისძირზე არა ვარ, ხო. შენ ჩემ ჯელის ძირზე ხარ. მე ვარ შენ დიდიო. მე შენ დიდი ვარ, მე შენ რედი ვარო და სადაც ვებნებო, გეტყი, უნდა წახიდუო [ქდკ, რეზა მიქელანი].

შენ რო მიხლ და არ მიყავ ჩემ თავი, ვალად **მაგე** გაგმთელეღბია ქაჩალ თავი [ქლკ, შაპინა მუღიანი].

/რო მიღინარ და არ მიგყავარ, განა გაგმთელეღბია ქაჩალი თავი (თმა ამოვ სვღია ქაჩალ თავ ზე)/.

ადე, ადი კალოზეგა, დედას რას უზინარ შინა, შაჭამადი შაქენ, არ მამიგონე, ოდ, **მაგე** რა მითხარ და არ გაგიგონე [ქლკ, შაპინა მუღიანი].

/... განა რა მითხარი და არ გაგიგონე/.

წავეღლით ჰარამსათი, წავეღლით იქ ხო, **მაგე** ვიცოღლით რაჭყოთ. გონია ხაღლი ეგრე, ეგრე, ეგრე ხაღლი იყო [ქლკ, თალაათე ათაი ასფანანი].

/... განა ვიცოღლით, რა უნდა გვექნა/.

შენ რო შამოხელ, მიჰხედ ემ ჩემ სუფრასაო, აბა **მაგე** რა ეკლოო, რა იყო, რ' ერ-თი გაიცინეო? [ქლკ, ყადირე აყლი].

/...განა რა აკლდაო, რო გაიცინეო?/.

ერთ ფასტა ნამადობა ვიბნიტყე, ერთ ფასტა ყრაღობა ვიბნიტყე, ეს არი **მაგე** არა? ხო **მაგე** წინ არ იყვისყე ეგრე [ქლკ, გულაბე ქარბაღი].

/ერთს (რიგს) კარგს ვამბობთ, მეორეს ცუღს ვამბობთ, ასყა, განა არა? ხო, განა წინათ არ იყო ეგრე/.

მოყვანიღ მაგალითებში ნათლაღ ჩანს, რომ **მაგარ // მაგე** ნაწილაკია და **განა, ნუ-თუს** მნიშენეღობით და მას არ აქვს კავშირი ჩვენებით ნაცვაღსახეღებთან.

რაც შეეხება მეორე მაგალითს – **მაღ**, ჩვენ გავაანაღიზეთ, პირვეღ ყოვღისა, სეი-ფოღა იოსელიანის ტექსტები ჩაწერიღი არნ. ჩიქობავას, ვარღამ თოფურიასა და აკაკი შანიღის მიერ. ამ ტექსტებში არ არის ეს ფორმა დაღასტურებუღი. ის არ იძებ-ნა არც სხვა ფერეიღნულ ტექსტებში, რომღებიც დაცუღია ქლკ-ში.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფერეიღნულმა შემოინახა ძვეღი ქართუღის ვი-თარება და დღეს ჰარალეღურად გვხვღება **ეს // ესე, ის // ისი, ეგ // ეგე და იგი** ფორ-მები, თუმცა ეს უკანასკნელი (**იგი**), როგორც ვთქვით, ახალი შესუღი უნდა იყოს ფერეიღნელთა მეტყვეღებაში.

თავისებურია სივრცულ მიმართებათა აღნიშვნა (ღეიქსისი) ფერეიღნულში: **ეს // ესე** – აღნიშნავს პირვეღ პირთან ახღოს მყოფს, **ის // ისი, ანს // ანსი** – მესამე პირზე მიუთითებს, **ეგ** კი მეორე პირთან ახღოს მყოფს აღნიშნავს. ე – ხმოვანი მიუთითებს პირვეღ და მეორე პირთან სიახღოვეს; ი და ა ხმოვანი კი მათგან დაშორებუღ საგან-ზე¹²³.

როგორც აღვნიშნეთ, ფერეიღნულში, ისევე, როგორც საღიტერატურო ქართულ-სა და დიალექტებში მესამე პირის ნაცვაღსახეღები გვხვღება **პირისა და ჩვენებითი ნაცვაღსახეღის** ფუნქციით:

ეს // ეს(ა) // ესე, ის // ისი, ანს // ანსი პირის ნაცვაღსახეღები **ზმნურ** შესიტყვე-ბებში ქმნიან და მავრცობ ხმოვანს დაირთავენ ყვეღა იმ წესის მიხედვით, რომღებიც

123. ამ საკითხზე უფრო დეტალურად იხ. ზმნიზედებზე მსჯეღობისას.

ახსიათებს ზმნური კონსტრუქციის წევრ სახელებს ზმნის წინ ან ზმნის შემდგომ პოზიციაში (იხ. ზემოთ; მავრცობი ხმოვანი ფერეიდნულში). ასევე, პირის ნაცვალ-სახელები თავისუფლად დაირთავენ ნაწილაკებს (ესაცა თქო, **ისლა** მოიდა...)

ეს // ეს(ა) // ესე, ის // ისი, ანს // ანსი ჩვენებითი სახელები **სახელური** შესიტყვების პრეპოზიციურ წევრად გვხვდებიან, ამიტომ მათთვის უცხოა მავრცობი ხმოვნის დართვა; ასევე არ დაირთავენ ისინი ნაწილაკებს (**ეს** კაცილა, **ეს** კაციო...).

ეს // ეს(ა) – პირის ნაცვალსახელის ფუნქციით:

ეს:

ეს ძალით გაგ ზავნისყე სამუშაოთ [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ერთი დედაკაც მყო, და დღეს ეს მამცაო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ყენინ წამოტყაპუნდების და იტყის, რო: ეს მე მაყრიდაო და სარყალიანს მად-ჰხტაო! [ქდკ, რეზა ხუციშვილი].

ჩემ პირველა ეს არი... ეს ჩემ ბიჭია, ჩემ ბადტა ბიჭი... [ქდკ, გულჩერა ხუციშვილი].

ადგ ესა და თქო, წავალთო, დღესაო ყენინს ყორს ვითხოვთო [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

ესა:

ალარა აქო, ესა დქონდა, თავის მარი ზობა – და ხალღსა კლევედაო [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

ესა თავსახლების ქეშ არი, არა? [ქდკ, ალი აქბარ ასლანი].

ესე:

ესე მოსულა ექ დამალულა და იქითყე ცხენითა ჰამლა უქნია, რო ქართველებმა-ცა მიჰხედონ ემასა [ქდკ, რეზა ხუციშვილი].

ელანს კედელი ვაჩენეთყე და ვთქით, რო ესე ქილისია ყოფილაო [ქდკ, რეზა ხუციშვილი].

ეხლ'კი იქ ერთი ჭა არი ერთ ქუა ადლიან და ჩაგდიანყე, რო აბა ესე რა არიო [ქდკ, სედიყე ასლანი].

ესე ბეე შტი ყოფილა-მეთქი [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

ესე პოლიზია, ესე ჩიქილა არი სახურავი, ესე ფაფქუშია [ქდკ, სედიყა ასლანი].

ეს ჩემ ყორია, ესე აკითხვებსყე ყორებსა, ბიჭებსა [ქდკ, მოჰთარამა].

ეს + ნაწილაკი:

ესაო:

ესაო, – თითან თქო, დმერთმა აცხონოს, ემ ხბოს არ დაუდგებისყე და არმის არ მოუშებსყე ხელი მაჰკიდოს ცურზეგაო. რო მაიგო, შაველი [ქდკ, ალი აქბარ ასლანი].

ესაც:

ეგეთ რამე, აი ექ მოდმწლიკებს და ეს განიარია, ესაც განიარი [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

ესეტე შენ ენაამი იყოს და შენი'ყოს ესეტაო [ქდკ, რეზა ხუციშვილი].

ესეც ხო ვეფხი და მოყმე იყო და ესეც ბარათაშვილი იყო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ნაჭრუ ზელა რო წაველდა, ესეცლა აწივესლა [ქდკ, ნარგის აბასი].

ესლა:

ყურბანი იყოვ ესლა, წინლა დოკლივეს, მაფეკანესლა და შადეკანეს ხანუმი თავის ოთაღჩილა და მოღდე [ქდკ, თუბა შაჰმამადი].

ესლა დადვარდა და გადარჩა [ქდკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].

ერთი ვიცი, რო იტყვიანყე, რო ორ დღესამდი კაცმა არ უნდა ახანძალი ნახოს, ისცა თქით [ქდკ, ამინ (ანდრო) ნაგელიანი].

ეს – ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით¹²⁴

ეს გულ-მუცელი გოოფაქი ზავდების [ქდკ, მელიქ მაჰმადი ონიკაშვილი].

ერთ ნაჭრუ ზზე ეს ხალღნი თაინთ სახლებს დადბერტყვენ [ქდკ, შაჰინა მუელიანი].

ის ნაცვალსახელი პირის ნაცვალსახელის ფუნქციით:

ის:

ერთი დოქტორია და, იმას აქო ის ამთელეებს ხალღსაო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

და ყორანმა ევრე გაჰფიქრა, ის მამკლარა [ქდკ, მაჰიმე ასლანი].

ემ ჩარა ვარაზე ის შაჰამიანლა [ქდკ, თუბა შაჰმამადი].

ის მაღალ კაცი იყო და ნამა ყორალი კაცი იყო [ქდკ, შაჰინა მუელიანი].

გძინამს, სი ზმარი არი ისა, რო ნახავ [ქდკ, ეზათოლა თავაზოჰი (თავაძე)].

ისა:

ისა გოქ, ღარის წყარო [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

ისი:

რაც შენ გინდოდა, არ ქინდა, რაც ღმერთს - ისა ქნაო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

აბა როსლა გამოჩნდებისო, რო, ისი რო ვაზირმა მოუტანა თავ ზე, იმის თაღაქა გაიყვანოს [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ისი მენადირებაზეო იგეთ იყო, რო თავის ბასრი რო ესროდაო, მიწაზე არ მოიდოდა, ზუსტადა ხტებოდა მისაო? – ნადირსა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ისი აიდოღეს გომზელა, გაშლიღესლა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ის + ნაწილაკი:

ისიო:

ისიო გასულაო შაჰრის ქენარზეგაო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ისიც:

124. არც მავრცობიანი და არც ნაწილაკიანი ფორმები, როგორც ვთქვით, არ დასტურდება.

და თავის სელიც რო გადსლია, **ისიც** ავადუღიტიყე, ყარაყურუთად მუაქცივიტიყე [ქდკ, ზეინაბხათუნა ლაჩინანი].

ისიცლა:

ამ თოფრას ძირძურჩი, თუ რადლა რო არი, ბზებზუ, სხილ-სხილი **ისიცლა** შაჭა-მონო [ქდკ, მუხტარ ასლანი].

ისლა:

იმაშილა ისლა წაიყჷანს ერთი დედაკაცმაც აღან თაის დედანთაყე მაფოლია ემ თაის ოთაღჩილა [ქდკ, სედიყა ასლანი].

ის ნაცვალსახელი ჩვენებითობის ფუნქციით:

ის უფროსი დედაკაცი იმით მეფედ იყვისყე [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].
მე **ის** ყორი ვარო, რომ გამავდუო [ქდკ, მოჰთარამა]

ნაცვალსახელი ას // ანს:

ფერეიდნულში დამოწმებულია **ას** ნაცვალსახელი [ჩხუბიანიშვილი 2004: 83] და მისი ფონეტიკური ვარიანტი **ანს**. ამ უკანასკნელის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არნ. ჩიქობავამ შენიშნა თავის ნაშრომში [ჩიქობავა 2010 (1927): 200].

ას ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმულ მოდელში დ. ჩხუბიანიშვილი განიხილავს **ას (=ის), ამეს (=იმას), ამემ (=იმამ)** ფორმებს და აღნიშნავს, რომ **ას** ნაცვალსახელის არსებობა ფერეიდნულში განპირობებულია დეიქტურ ხმოვანთა განაწილების სპარსული ენისათვის დამახასიათებელი წესით. ქართულიათვის ამგვარი დეიქტური მიმართება უჩვეულოა. მკვლევარი იმოწმებს მ. მაჭავარიანის მოსაზრებას, რომ სპარსული ენის გავლენით ფერეიდნულში მოხდა დეიქტური ხმოვანთა ელემენტების რეინტერპრეტაცია: **ა** და **ი** ელემენტები მოლაპარაკე პირისგან შორს მყოფ საგანზე მიუთითებენ, **ე** კი – ახლომყოფზე (მ. მაჭავარიანი)“ [ჩხუბიანიშვილი 2004: 83].

ას ნაცვალსახელი მნიშვნელობით უტოლდება სალიტერატურო ენის **ის** ნაცვალსახელს და გვხვდება ე.წ. ქვემო ფერეიდნულში (იგულისხმება ბონის, თორელის, ახასა და დაშქესანას ქართველთა მეტყველება). ავტორის თქმით, ის უნდა მომდინარეობდეს ნაცვალსახელიდან **ანსი**: „III პირის ნაცვალსახელად აქ იხმარება **ას** (←ანსიდან მომდინარე), რაც უდრის **ის** || **ისი-ს**“ [ჩხუბიანიშვილი 2004: 83].

ამ ნაცვალსახელის მეორე ფუძის ფორმებად მკვლევრებს დასახელებული აქვთ ნაცვალსახელები: **ამემ (-იმან), ამეს (=იმას), ამესა (=იმას), ამების (=იმების), ამესყე (=იმისყე)**.

დ. ჩხუბიანიშვილს მოჰყავს მაგალითები დაშქესნელთა მეტყველებიდან და აღნიშნავს, რომ ზემო ფერეიდნულისთვის (იგულისხმება მარტყოფის წრის სოფლები) ამგვარი ფორმები უცხოა.

ქართულ დიალექტურ კორპუსში ნაცვალსახელი **ას** იძებნება და ის გვხვდება არა

მხოლოდ ბოინ-მიანდაშთის (ე.წ. ქვემო ფერეიდნულის), არამედ მარტყოფის წრის სოფლებშიც:

მითხრესო, რო: შენ ნუ გეშინიანო, შენ წადილაო! მეც ას მიქნიაო [ქდკ, კოლა ონიკაშვილი]¹²⁵.

ჩემ მამის პაპა იყო ჰაჯ იმამყულა. ას იყო მარტო ერთი ბიჭი მაჰმუდ ბეიქისა [ქდკ, არია ხოსროვი].

არ დამამიწყედეს. და ას ეს ყოფულა, ქე ტაშკესნელები ცოტანი იყენენ და ხამის-ლელებს ეშელებოდენ [ქდკ, არია ხოსროვი].

ჩონაც კარგად გავატართ. ას არი ჩონ საუბარი და ის, რო ვიცით ჩონ ჭკუაფთა, იმას ვიტყვით [ქდკ, რეჰიმა ონიკაძე].

მადლობელნი ვართ და ქენყენაც რო ძრიალ გუნდა, ას არი, რო: გოოსინჯეთ, რომელი გზასყენაც რო შაუძლიან, ჩონ მოგომელიავეთ [ქდკ, რეჰიმა ონიკაძე].

ას არი ჩონ სიცოცხლე და არც შიდობისაყენა რო მინმემ დოგოდონოს, არ არი, ის არ არი [ქდკ, რეჰიმა ონიკაძე].

დღეს ფერეიდნელთა მეტყველებაში ნაცვალსახელის ეს ფორმა თითქმის არ დასტურდება, არც ძველი ჩანაწერების მაგალითები არაა ბევრი, რაც მისი გაქრობის ტენდენციაზე მეტყველებს, თუმცა ეს მწიერი მასალაც საგულისხმოდ დასკვნების საშუალებას გვაძლევს:

1. **ას** ნაცვალსახელი, სავარაუდოდ, ფერეიდნის ყველა სოფელში უნდა ყოფილიყო გავრცელებული.
2. ნაკლებ სავარაუდოა ამ ფუძეში ნ-ს დაკარგვა; ვფიქრობთ, საპირისპიროდ ამ შეხედულებისა, -ნ მოგვიანებით გაჩნდა ამ ფორმაში (ას→ანს). -ნ-ს გაჩენის პროცესი ამ ტიპის ფუძეებში არ არის უცხო ქართული ენის აღმოსავლური კილოებისათვის. მსგავს მოვლენად შეგვიძლია მივიჩნიოთ შემდეგი პროცესები: ეგე-ენგე, აგე-ანგე...

ასე რომ, **ას** და **ანს** ნაცვალსახელები ნამდვილად ფონეტიკური ვარიანტებია, მაგრამ პირუკუ პროცესით მიღებული: **ას > ანს**.

ანს // **ანსი** – იმავე მნიშვნელობისაა, რაც ნაცვალსახელი **ის**. აღნიშნავს მოსაუბრისგან შორს მყოფს. **ანსი** მხოლოდ პირის ნაცვალსახელად გვხვდება, **ანს** კი შეიძლება პირისაც იყოს და ჩვენებითიც. **ანს** // **ანსი** ნაცვალსახელი მხოლოდით რიცხვში პარადიგმას **ამ** ფუძით ავსებს: **ამამ**, **ამას**, **ამით...**, დაერთვის -ლა, -ც ნაწილაკები; აქვს მრავლობითის ფორმა – **ანსები**.

ჩვენებით ნაცვალსახელად გამოყენებული **ანს** არც ბრუნვის ნიშნებსა და არც ნაწილაკებს არ დაირთავს. ასევე არ იწარმოებს მრავლობითის ფორმებს.

ანს ნაცვალსახელის წარმომავლობის შესახებ, როგორც ზემოთ ითქვა, ვარაუდი აქვს გამოთქმული მათა მაჭავარიანს. მისი აზრით: „ფერეიდნულმა მოახდინა სპარსული და ქართული ნაცვალსახელების კონტამინაცია და მივიღეთ ან + ისი → ანსი.

125. ტექსტი ჩაწერილია 1976 წელს თავად დარეჯან ჩხუბიანიშვილის მიერ თედო უთურგაიძესა და ჯემშიდ გიუნაშვილთან ერთად, რეპატიანტი ფერეიდნელებისაგან საქართველოში.

ამას, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თვით ფერეიდნულში (კახურისაგან მიმდინარე პროცესი) ადვერბებში ვითარდება ნ სონორი: ანგრე და მისთ. ანსი ფერეიდნულში აღნიშნავს მოლაპარაკისგან შორს მყოფ საგანს და უდრის ქართულ ისი-ს“ [მაჭავარიანი 1985: 177].

გარდა ფერეიდნულისა, **ანს** ნაცვალსახელი დავადასტურეთ ინგილოურ დიალექტშიც:

მიჰცემს, ამბოვს: ანს გაეშ, ბუჭთუშ დააგრუეველი. შენ ერჟე დეეტარ დაა? [ქლკ, შონი კუჭოშვილი].

– **ანს** გააკეთებხარ! – გათავდა! [ქლკ, იასონ ბარიხაშვილი].

– *თუ არ დოგიჟერეს, მივდილით ემესთან, სადრისთან: სადრი, ფულანქესმა ანს მითხრა, ის მითხრა, ჰოვ* [ქლკ, თინა ანდრიაშვილი].

ანს ჩამად, მრვლან ილაპარაკ [ქლკ, თინა ანდრიაშვილი].

გომოველ, ზაჰალა წამილა თქო წად, წად, წად. ანსენ ოლ [ქლკ, გულაგარ ბარიხაშვილი].

ინგილოურში ამ ნაცვალსახელის წარმომავლობის ახსნა, ბუნებრივია, გაჭირდება სპარსული და ქართული ნაცვალსახელის კონტამინაციის გზით.

ფერეიდნულის და ინგილოურის მასალის მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ ეს პროცესი განვითარდა ენის განვითარების შინაგანი ტენდენციის შედეგად და როგორც აღვნიშნეთ, ის უნდა იყოს **ას** ნაცვალსახელში **ნ**-ს განვითარებით მიღებული.

ანს – პირის ნაცვალსახელი:

მასალან, ეგეთი იყო ქე ად ხალლი ჰვნევედა და ანს მიჰქონდა [ქლკ, ფატემა შაჰ-მამადი].

ავველი ნუხრი ყორი მყუანდა. ანს ხუთთი წლისი გავაკეთე, მამიკდა [ქლკ, თუბა შაჰმამადი].

მერე მყუანდა დობარ ერთ ბიჭი, ანსლა დიდი მყაუ [ქლკ, თუბა შაჰმამადი].

ეს ბანდი მოიბიყე ემ თითზეგა, ეგრე ანს ვაქანიყე [ქლკ, თუბა შაჰმამადი].

ანსი:

თქო, რო: ხო, ამ მორწყავს რა უთხრაო, ანსი რო რწყავსო და არ მიდის წყალი ამ ზემინჩიო [ქლკ, მაჰმად სეფიანი (სეფიაშვილი)].

ჩონაო ერთ იყო, მეომარი ანქაო, ციხეშინაო, პარსელიო და თუ ანსი აიყვანო და გამოხიდეო, ე, ძალიან კარგო [ქლკ, იოსებ ხუციშვილი].

ანსი დაპატიჟალა და მისცალა და აიყვანა და დააბრუნა [ქლკ, იოსებ ხუციშვილი].

ანსი სომეხი დედაკაცია, სომეხია [ქლკ, რეზა მიქელაძე].

ანსი, ის დედაკაცი, მე არ მინდოდა და ეხლაც თუ დემესხნებით და არ მეტყით, მე არ მინდა ელა [ქლკ, რეზა მიქელაძე].

შენიშვნა: სახელობითის ფუძეზე -ით **ბრუნვის** ნიშნისა და -ყე ნაწილაკის დართვით იწარმოება გამოსვლითი ფორმები. თუმცა ირიბი ბრუნვების მნიშვნელობით

ვინ ჯგუფის სახელებთან, როგორც ვთქვით, ამ ფუძით ნაწარმოები ორფუძიანი პარადიგმა, გვაქვს:

ანსით:

ანსით – წყალიღა რო თავთ გადაიღა, ერთ ტკაველი, **ანსით** ტკაველი – წყალი რო თავთეე გადაიღა, ერთ ტკაველი იყოს, **ანსით** აღელი [აღლი] იყოს. [მაინც დაიხრჩობაო!] [ქღკ, ესქანდერ სეფიაშვილი].

ემ ყუჟავა წაიღა, რო ღელუფალა დაიჭიროს, ღელუფალა წადწკდენიეო ემ ნისკარტზე და მეეჭირნა თავისთვინ. ფირტიალეზღა და **ანსით** არ უშებღაო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ანსაყე:

ანსაყე მოყვანილიეო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ჩვენებითი:

ბიჭებო, ღადექითღა, თა მე **ანს** ტყივაო რო ერთია და ღიღია, ანსღა ვესროლო, ემის თაჭნი შადღესღა, მოკღესო [ქღკ, მელიქ მაჰმადი ონიკაშვილი].

ანს სხობიღღა დარბოღეს [ქღკ, მელიქ მაჰმადი ონიკაშვილი].

თქო, **ანს** ერთ თოღი, თოღი ამაღთ ხარეო [ქღკ, მეჰრი ასლანი].

მელამ წაიყვანა **ანს** ვირი შირთანა [ქღკ, შაჰინე ასლანი].

ანს ბატენებიც, რო იონჯათი ღოოსუქეებიყე, იმებსაც გაჰყიღიან და ცხორსა, და ის ბატენები, რო ღელღანი, ემებსაც შაინახვენ სახლჩი [ქღკ, კოლა ონიკაშვილი].

ძირში [ს] თანშოვნის შემცველი ნაცვალსახელები (ეს(ა), ესე, ის(ა), ას) ფერეიდნულშიც, ისევე, როგორც მთელ ქართულენოვან სისტემაში, ორფუძიანია:

ეს // ესა // ესე – ემ (ემამ, ემას, ემის, ემით, ემაღ...)

ის // ისა – იმ (იმამ, იმას, იმის, იმით...)

ას // ანს – ამ (ამამ, ამაა, ამის, ამით...)

ეს ნაცვალსახელის ირიბი ბრუნვის ფორმები:

ემან:

მასალან, **ემან** მოღღეს, მეეშეღოს ემ ბიჭმაც ემ ყორსა. რა ვითხრა [ქღკ, თუბა შაჰმამადი].

ემენ:

ემენაც ღოოჯერა [ქღკ, მთქმელი უცნობია].

ემენაც წადღეს, ერთ ჩოღაყ ცხენი მაღყანენ, მისცენ ემას. **ემენაც** შაჯენ ემ ჩოღაყ ცხენზე და ექთენი, ქე სოფელსყენ გაღღა [ქღკ, მთქმელი უცნობია].

ემამ:

ემამ, ჰა, მოიღა ბარით და ერთი დაიკივღა [ქღკ, შაჰინა მუღიანი].

ემას:

ემას მოავონღა ღევის გაფი [ქღკ, სეიფოღა იოსელიანი]

ემასყე:

მე ბეჟური მასწავლა, მე ბეჟური ემასყე ვისწავლე, ნამდვილი ქართუელია [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

ემესყე:

წყალი უნდა აადულო და მერე ემესყე სომადღალუნსყე რადლი ძჰქნა. ეგრე გოლოსო და ემამ ჩაიდეს, ქერქი და კურკა დაიჭრების ვერი ამ თაის წყალს ჩაასხამ და ლავაშაქი [ქღკ, მთქმელი უცნობია].

ემის:

ამის ბატკნები სუქდებოდეს, ემის ბატკნები მჭლდებოდეს, არა სუქდებოდეს [მაჰმადა სეფიანი (სეფიაშვილი)].

/იმის ბატკნები სუქდებოდნენ, ამის ბატკნები მჭლევდებოდნენ.../.

ემისყე:

ეხლა დგონებიაყე რო ემისყე ეშინია, ეგეც სუმრობითა [ესკანდერ (ალექსანდრე) სეფიანი (სეფიაშვილი)].

ემით(ა):

ელ ემით მოელ. ელ ემითა ეგრე მეება და [ქღკ, სედიყე ასლანი].

ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით, როგორც აღვნიშნეთ, ყველა ბრუნვასა და ორივე რიცხვში იქნება -ემ ფუძე:

მერე ჩაყარენ ზენდანში და ემ შულღამამ (მოთხრობითი) [ქღკ, შაჰინა მუღლიანი].

ვნახე ბონელები ემ მიწებსა ვნამენ (მიცემითი) [ქღკ, შაჰინა მუღლიანი].

წადა ემ ცხენის ჯარაზე (ნათესაობითი) [ქღკ, მთქმელი უცნობია].

ვთქი: ქუაზეგ რო თუ ამოდა, დატცხო ემ თოფით და დავდექ, რო ის ქეშანგი გამოვცვალო (მოქმედებითი) [ქღკ, მთქმელი უცნობია].

აბა დეო, წადადეთ ერთი ვიაროთ ემ ბიაბნადაო (=მინდვრად) (ვითარებითი) [ქღკ, მეჰრი ასლანი].

ას // ანს ნაცვალსახელების ირიბი ბრუნვის ფორმები:

ამამ:

მიწყარო თავზე, რო ამამ გაიქცეს [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

ამას:

ამას ერთ ფეჯი რომ მოტეხილი ჰქონდა, ორ ჯელით და ერთ ფეჯითა ეწეოდა ემასა თავქეზე [ქღკ, მელიქ მაჰმადი სეფიაშვილი].

ამის:

ამის ბატკნები სუქდებოდეს, ემის ბატკნები მჭლდებოდეს [ქღკ, მაჰმადა სეფიანი].

ამით:

ამით იკენჭავიანკე, დედაკაცები, ანსები დედაკაცების თამაშობა იყო [ქღკ, თაჰერა იოსელიანი].

როცა **ას** // **ანს** ნაცვალსახელები ჩვენებითია და ქმნიან სახელურ კონსტრუქციას, მაშინ მისი შესატყვისი მეორე ფუძე იქნება ბრუნვის ნიშნით გაუფორმებელი **ამ**:

ამ ყარიბებმა. ამ ხუმსრელებმა მოდღენ (მოთხ) [ქღკ, ჰაჯი ნაზემა ხოსრაშვილი].

ამ სომეხსა მაატყუვლებენ ერთ არცრა რამეზეგა და ამ ჩულრუთის მამულს გამართმენ! (მიცემითი, ნათესაობითი).

რაც თელ დღე სანამ ამ აზანიდან ხუალ საღამო აზანამდე, რომ დაბლენდების, იმაშინ, მანმადე უნდა არცრა არ შაშჰამო, არც დაღლივო (მოქმედებითი) [ქღკ, შაჰინა მუღლიანი].

ჩონ სოფელის საზღვარი ანქამდე'რი, ამ ლელომდე'რი (ვითარებითი) [ქღკ, შაჰინა მუღლიანი].

ის // **ისი** ნაცვალსახელის ირიბი ბრუნვები:

იმან:

შირი ეეკრა ხეზე და იმან საბელი დაახუა შირსა და ხესა [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

იმამ:

იმამაც მისწერა ისპანის ჰაქიმთან [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

იმას:

იმას ყვანდა სამი ყორი, ერთიც ვაზირი ყვანდა ყეენსა [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

იმის:

დილობა რო შაიქნა, თაჯჯერი მოიდა იმის სახლჩი, ნახა, რო ემ ბიჭსა ერთი ცოლი ჰყავ, რო საყეინო ზადია [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

იმითა:

ფიწალი ის არი, რო ჩონ ყანასა კალოზე რო მოღტანთ, იმითა გადავყრით-გადმოვყრით, შოორევთ ყანაჩი ბზესა [ქღკ, რეზა მიქელანი].

ეგ ნაცვალსახელიც, ისევე როგორც ზემოთ განხილული ნაცვალსახელები, გვხვდება როგორც პირის, ისე ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით:

ეგ // **ეგე** პირის ნაცვალსახელის ფუნქციით:

ეგ:

ეგ როს რო თითოს თავისის გოლი აქ და გოლბანდს გომოშოფთყე [ქღკ, რეჰიმა ონიკაძე].

ამათ ერთი ეგ დადღვიან, ეგრე ექნიანყე [ქღკ, საფვა ასლანი].

ეგე:

ჩონ ემეც ეგე იყო ქე, ვახტი ხორბალს მოქთიბავდით [ქღკ, ფარშადა].

ეგე ქე გინდა ეგრენ წახიდე, შენ გ ზაჩი წალი [ქღკ, ფარშადა].

ელ ეგე ეღამა მისცა და წაღდა [ქღკ, ფარშადა].

ახრაველები უსტასა, ჰა, მამალ ვირს დაიდახიან. **ეგა**, ყრალ ამოუა [ქდკ, ბათუანი].

ეგა ყოფულა აქა [ქდკ, ფარაჰნაზ ხოსრავი].

ეგ // **ეგე** ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით:

აბა, მე მითხარით, რაათი **ეგ** საქმე უბნიაყე [ქდკ, ასადლოა ონიკაშვილი].

წადდეთ ხათზე, **ეგ** ერთ რამე გამოიტანოთო [ქდკ, ყადირე აყლი].

რაათი **ეგ** საქმე უბნიაყე. მე ჩემ მამას მალვით არც რას არ ვიქ [ქდკ, რეზა მიქელაძე].

ყადიმად, მასან, **ეგე** ხორბალი დაქბიანყე [ქდკ, მთქმელი უცნობია].

ეგე ვასაილი ხო არ მოგქონდა მაშინა [ქდკ, თუბა შაჰჰამადი].

ემე ქნიანყე **ეგე** სახლები გააკეთიანყე [ქდკ, თუბა შაჰჰამადი].

ეგ ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმის მეორე ფუძედ გვხვდება **მაგ** ან ენკლიტიკური ფორმა **ემაგ** (ე ნაწილაკიანი):

შავ ტანსაცმელი მე მუდამ ველარ გავიხდიო, **მაგ** შეილის გარდაცვლარი [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

სამოცდაათი თუმანი მიეცით **ემაგ** კაცს [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ყურძენ დავკრეფთ ჩიქარ-ჩიქარ. ჩავყრით **ემაგ** კალათაჩიგა [ალი ჰოსეინ რაჰიმი].

ემ თასმა არ გარდაიდეს ამ ჯერზე და იმ ჯერზე, **ემაგ** ხარის, ეს ორი ვარი რო მოლობაყე ერ უღელჩიგა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ზოგ შემთხვევაში **ემაგ** გვხვდება სახელობითი ბრუნვის ფორმასთანაც:

მე ვფიქრობ, რო **ემაგ ჩივანი** რომელია [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეგ // **ეგა** // **ეგე** ნაცვალსახელის ირიბი ბრუნვები:

მაგან¹²⁶:

„... **მაგან** ითხოვა მიქელაძის გოგო და მიქელაძეს გოგოს დედა არი ჩემი მეუღლეს და [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მაგას (მიც):

ღმერთს რაც უნდოდეს გააკეთოსო, **მაგას** გააკეთეფსო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მაგას (ნათ):

ე **მაგას** დანაყჟასია, პილპილი და რაღაც-რაღაცეებს ე **მაგაჩი** ნაყვენ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მაგის (ნათ):

მოვივლიო მთაშიგაო, მოვნახავ მაგის დედასაცაო და ერთ ხუთი წუთჩი ერთად დავჩებით და დავჯდებით ერთმეორესთანო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მაგით (მოქმ):

126. მხოლოდ ერთი შემთხვევა დასტურდება.

წრილი ნახეთქები დაჭრიანყე და **მაგით** გააკეთიანყე [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

იგი ნაცვალსახელი

ქდკ-ის ფერეიდნულ ტექსტებში ნაცვალსახელი **იგი** მხოლოდ 5 კონტექსტითაა წარმოდგენილი:

ესე იგი დაადოსტისყე. და ემამ ნახა, რო თითან ემე არ არი, პარსელი არ არი [ქდკ, ჰაიათ იოსელიანი].

ალბად ბოლოდ იგი მიკრავ, ის დედები, რო ქართულს არ მიდევვენ, არ უყვარსყე ქართული [ქდკ, მანსურ ყალანი].

შემოდგომას გოქონდა ერთი სახნავი და დათესვა, ესე იგი ერთი თვის მერე [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

დანარჩენ ორ შემთხვევაში ციტირებულია აფორიზმი შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნიდან: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

აკაკი შანიძე **ის** და **იგი** ნაცვალსახელებს განიხილავს ერთმანეთის სინონიმურ ვარიანტებად: „ის (იგი) გვიჩვენებს საგანს, რომელიც მესამე პირთან არის (მასთან, მათთან)“ [შანიძე, 1980:101] არნ. ჩიქობავას აზრით კი, ისინი სხვადასხვა დიალექტურ ფენას უნდა ეკუთვნოდნენ [ჩიქობავა 2010: 350].

ფაქტია, რომ ფერეიდნულში **იგი** ნაცვალსახელი მშობლიურ ენობრივ გარემოსთან რეინტეგრაციის შედეგად გაჩნდა, ის ახალი შესულია დიალექტში და დასტურდება იმ ადამიანთა მეტყველებაში, რომლებმაც სალიტერატურო ქართული მეტ-ნაკლებად იციან.

როგორც არაერთგზის იყო აღნიშნული სათანადო ადგილას, პირის ნაცვალსახელები თავისუფლად დაირთავენ -ც, -ლა, ყე // ყენ(ა) ნაწილაკებს, ჩვენებითებს კი ამის შესაძლებლობა არ გააჩნიათ.

რაც შეეხება -ვე ნაწილაკს, ფერეიდნულში ნაცვალსახელებიდან ის მხოლოდ იგი-ს დაერთვის. გვხვდება სამი მაგალითი, აქედან ორი ერთი მთქმელის მეტყველებაში, მესამე კი საქართველოში ჩამოსახლებულ ფერეიდნელთან:

...ეხლა, იმას შეეკითხენ, ემამაც იგივე იბნიდა, რამდენი რო ჩამოიდიოთ და რა ვიცი, ექ ვართ [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

იქაც წაველით, იქაც იგივე იყო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ამ ჭერჩიგა ერთ და იგივე საკომს გოუკეთებენ, საკომს ვეძახით ჩონ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

კიდემ ლორესტანს, ხორამბადის ახლო არი, იქაც წაველით, იქაც იგივე იყო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ამ ჭერჩიგა ერთ და იგივე საკომს გოუკეთებენ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მაგალითი „იგივე“ რეპატრიანტ ფერეიდნელთა მეტყველებაში დადასტურდა, ხოლო შემდეგი ორი, იმ ტექსტებშია, რომლებიც

ეკუთვნის მუხტარ დარჩიაშვილს, რომლის მეტყველებაშიც ბევრი ფორმაა დადასტურებული სალიტერატურო ქართულიდან.

მესამე პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმები:

პირის ნაცვალსახელის ფუნქციით გამოყენებულ ეს ნაცვალსახელის ფარდი მრავლობითის ფორმა არის **ესენი**. ირიბ ბრუნვებში გვაქვს როგორც **ებ-იანი**, ისე **თა-ნიანი** მრავლობითის ფორმები.

ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით გამოყენებული ეს ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვშიც, როგორც მხოლობითში, მხოლოდ **ეს** და **ამ** ფუძეებს აჩენს, ბრუნვის ნიშნებისა და ნაწილაკების გარეშე (ეს კაცები, ამ კაცებმა...).

ებ-იანი მრავლობითის ფორმები:

ნაცვალსახელები **ეს // ესე, ის // ისი, ეგ // ეგე** – მრავლობითში წარმოადგენენ ფორმებს: **ესენი // ესეები; ისინი // ისეები; ეგენი // ეგეები:**

მესამე პირის ნაცვალსახელების ნართანიანი მრავლობითის ფორმები:

ესენი – ემათ:

ესენი ასულიყნეს ხე ზე და ემისთინ თოფი დეეყარაყე [ქღკ, მელიქ მაჰმადი ონი-კაშვილი].

მე ბიჭებს უთხარყე: **ესენი** მალაქები იყნეს, რო თქენ ანგელოზებს დაუძახით [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ისინი – იმათ

ერთი-ორი წელია ჩონ მივდივართ, **ისინი** მოღღენ [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეგენი // მაგათ

პირობაც მეეცა, რო: მიპატივებია თქენთი **ეგენი** [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ანსენ // ანსენი – ამათ:

ქურთულს იქთენ პარსულთან ემე არა აქ, ქარყი არა აქ. ერთად არი, **ანსენ**, რო ცოტა ქარყი აქ [ქღკ, რეზა მიქელანი].

ეგრე უკრვენ და კივიან და **ანსენ** უმბობენ, რო ორ დასტა შაქნილან ესეები, პარსელები [ქღკ, რეზა მიქელანი].

წაველ და მევეპარე, ერღან ერთი ღელეჩი **ანსენი** იყნეს [ქღკ, უშანგი ხუციაშვილი].

ეგენი:

მიპატივებია თქენთი **ეგენი** [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

მესამე პირის ნაცვალსახელების ებ-იანი მრავლობითის ფორმები:

ეს – ესეები:

ესეები რო გამთელღესო, იმაშინა ხალღი გაიგებსო და მოვლენო, რო იყიდონ შენყენაო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ესებმა – იუსოფის ზღაპარი არი ყურანში, თორმეტი ძმა და ესები გაგებული გაქ? [ქღკ, მუხტარ ასლანი].

ესებსა – ჰა, იმას რას დაუძახით? ესებსა რო... [ქღკ, იოსებ ხუციშვილი].

ესებით – ხალხი მოუღენ ემე თითო ერთ თეფშით, მაღალ ესებით. წაიღენ – შაჰმანდი გამართონ [ქღკ, შაჰინა მულიანი].

ესები ეტყვიანყე, რო ქენლა რო გინდაყე გადჰყიდოთ, მოგეცითლა ელა ჩონა [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

ის – ისები:

ისები:

ისები რო გორჯი არ არიან, იტყვიანყე, რო აი, ისენიო ჩონთან მოსულან და დასხლებულან [ქღკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (დავითაშვილი)].

ისებს აიღებთ და მუალო სახლჩინა [ქღკ, ირანა იოსელიანი].

ისების სახელი და გუარი მაქ [ქღკ, ჰეიდარ ასლანი].

ანს –ანსებ // ანსები:

ანსებ:

ანსებ მაშადს წასულან [ქღკ, ფარვინა (ნინო) მიქელაძე)].

ანსები:

როგო გავალ ანქა. ბეური ფული უნდა. ვერ გავალ, ვალი **ანსები** გადმოუღენყე – ვნახავტყე [ქღკ, ზოჰრა ფანიაშვილი].

ანსებმა:

სურათები არ ვიცი, იმაშინ რო ჩონ, ჩემი მამა-დედამ გადაიცვალა, **ანსებმა** დავარდა [ქღკ, ეზათოლა (ზაზა) თავაზოჰი [თავაძე)].

ანსებს:

დერვიში იყო, კითხობდისყე ლექსეფსა და **ანსებსა** [ქღკ, რეზო რაჰიმი (დავითაშვილი)].

შენიშენა: შეიძლება შეგეხვდეს „ორმაგი“, ნარიან-ებიანი მრავლობითის ფორმა: **ანსენები:**

აი, თქენ რო ელაჰარაკებით, **ანსენები** ქენ ემეს რო მოუხმინონ, ყველაფერს გაიკებენ [ქღკ, ყოდრათ თავაზოჰი (თავაძე)].

ეგ – ეგები:

ეგები ანქით დაქცევილან, გამოსულან სხოგან [ქღკ, ქერიმ ალა დარვიში].

მრავლობითის ნარიან ფორმათა ირიბ ბრუნვებში გვექნება თანიანი ფუძე: **ამათ, ემათ, იმათ:**

ამათ:

ამათ (მოთხრ)- რავდენ მოკობრე ამათ გოლწყითესყე და არ გამაძქცეს [ქღკ, მთქმელი უცნობია]. წყალი იყო, ჩადვარდე შიგ, დეგესხნება, ა, მა თუ აღარა და მიწა ამტეროო, რო **ამათ** გაიქცენ [ქღკ, ბათუანი].

ამათ (მიც):

ეს მაინარშების და მოქცემთო, რო რა იყო ამათ დეეძინოსყეო, იმაში მოქცეყე და შეჭამეთო [ქღკ, ჰაიათ იოსელიანი].

ამათან (მიც):

ერთ რაგდენ წელს ექ იყნეს და ექაცა **ამათან** არა ექნდეს. ჩონ ქართუელებმა და ნაჯაჰაბადელებმა ერთ იშულლეს [ქღკ, ესქანდერ სეფიაშვილი].

ემათ:

ემათ ჰქონდაყე ერთი ბაიტა შავი სახლი [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ბიჭებმა მითხრეს, რო: ცხორები **ემათ** შათოლეხო, სუს წადრეკენო.

იმათ:

იმ ათ-თხუთმეტ კაცმა წერა-კითხვა იცოლიან, ჯარისკაც რო **იმათ** წერილი ქართულად დოუწერიაყე თავით დედ-მამასა და იმ თავით მეგობარეფსა რო იცოდენ [ქღკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)].

მაგათ (მიც):

ჩონთანა შამოსულან და მანც ძალი არ აყე [არ აქვთყე], ჯერჯერობით თე ექამ-დი **მაგათ** ძალი არ აყე [არ აქვთყე] [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ფერეიდნული გამორჩეულია ჩვენებითი ნაცვალსახელების ფორმათა სიმრავლით: *ეს, ის, ანს // ანსი, ანსიდეს (ეს და ეს), ესე, ეგე, ისი, იგი, ემაგა, ემაგას, ემაგასა, ემაგად, ანგა (აი ის) ესენი, ესები, ანსები, აგეთი, აგდენი, ამ, ეგ, ეგა, ეგათ, ეგდენ, ეგდენი, ეგდენს, ეგდილე, ეგდილე-ეგდილე, ეგდილები, ეგეები, ეგეეთი, ეგეზადი, ეგეთ, ეგეთ-ეგეთები, ეგეთ-ეგეთეფსა, ეგეთე, ეგეთები, ეგეთებია, ეგეთებს, ეგეთზე, ეგეთი, ეგეთი, ეგეთია, ეგეთილა, ეგეთიო, ეგეთილა, ეგეთს, ეგეთსა, ეგეთსავით, ეგეთსას, ეგენი, ეგენიც, ეგესეთებია, ეგელა, ეგეც, ეგეჯურად, ეგსილე, იქთენი, ექსისხე...*

ფორმათა სიმრავლეს ფონეტიკური ვარიაციულობაც უწყობს ხელს:

ექსილე // ეგსილე:

ერთი **ექსილე** ყმაწილი მოიყუანითყე. მოიყუანითყე [ქღკ, ნარგის აბასი].

ექსილე-ექსილე ქულუჯეფს ჩავაგდეთ და შიგა, აგდაქი შაიქნების, ის აგდაქი-ლა შაიქნების, ანს ჩონ აგდაქი ბეურებიხყე ხოშმაზა არი [ქღკ, ნარგის აბასი].

ის თავერი ვაკირდა, რო ემამ ემ სამ-ოთხ თე ზეგაო მაგე რა ქნაო, რო **ეგსილე** საქონელი შამაჰყარაო და ჰაქიმობაც დაისწავლაო?! [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ამაფუთეფს **ეგსიდილე...** ქვილს ჩოოყრით, მერე თუ უნდოდეს, წვანილები ჩოოყრით, წვანილეფსაც ჩოოყრით, პრასას ჩოოყრით [ქღკ, სედიყა ასლანი].

იმიში ზემინზე იყო თორნები. ეხლა გაზის თორნებია. **ეგსიდ-ეგსილე** ექონდისყე ბალიში [ქღკ, სედიყე ასლანი].

ფერეიდნულში, ამ ტიპის სახელები მონაწილეობენ თანაბრობითი ხარისხის გამოსატყაში.¹²⁷

127. დაწვრილებით იხილე ხარისხის ფორმებთან.

ხშირია ნაწილაკებისა (ე, ა, ილ (=აი), ელ (=აი), ალან) და ჩვენებითი ნაცვალსახელის შერწყმით მიღებული ენკლიტიკური ფორმები:

ემას, ეემეს, აემ, აეს, აესიც, აიმ, აიმაგა, აიმაში, აის, ალანას, ალანეს, ალანის, ამაგას ელეს, ელესე, ილის, აემ, აეს, აესიც, აიმ, აიმაგა, აიმაში, აის, ალანეს, ალანის, ამაგას...

შენიშვნა: გვაქვს იშვიათი **ანსის** და **ანსილეს** ფორმები, რომლებიც ენკლიტიკის საერთო ტენდენციის ფონზე ასე შეიძლება აიხსნას:

ანსის (ანს ის):

ერთ ბალახია მელას კუდას დაიძახიან, ანსის ელა ნამაია, მასან, ყმაწილებსათი [ქლკ, მთქმელი უცნობია].

/ერთი ბალახია, მელას კუდას უძახიან, ეგ + ის კარგია, მაგალითად, ბავშვებისთვის/.

ანსილეს (ის და ეს):

რადღა რო ნამად ემე'რი და პურია, ცალკე გადვარჩევთ; რადღა რო ემე'რიღა, ძირდამწორი და ანსილეს, იმასა – ცალკე თაღარჩი მოგ ზელავთ და თახტახონზე გუნდას შავიქთ და ვარდანადთ გავათხელეფთ და ბალიშით ჩავაკრავთ [ქლკ, ზოპრა].

/... რაც რო ის არის, ძირდამწვარი და ეგ და ის (ისა და ეს), იმას ცალკე თაღარში მოგზელთ.../.

ამაგ:

ამაგ არ არი, ამაგას ვერ ვიტყვი [ქლკ, ზოპრა].

ემაგა:

ემაგა ხო ყითელია, ემაგა ნარინჯია [ქლკ, თაჰერა იოსელიანი].

ანგ:

ანგ ბაიტა ყორი (აი ის ყორი) [ქლკ, არია ხოსროვი].

ფერეიდნულში დასტურდება სხვა ქართული ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელი ორმაგი დეიქსისი:

ემ ემეს უთხრა, რო მელას უთხრა: მე თა წავალ, ველები დადბანოვ [ქლკ, შაჰინე ასლანი].

თა წადღა ემ ემემა, ემ შირმა, ველები დადბანოს, მელამ მოდდა და ყური და ანს ქალლა შაჭამა, თავის მალზი შაჭამა [ქლკ, შაჰინე ასლანი].

იმამინაც იმ ემესა ყორსაცა ორ-სამ დასტი, ორ დასტი ნამად ლაბასი წოლიან [ქლკ, თუბა შაჰამადი].

3.2. უკუქცევითი ნაცვალსახელი თავი // თავის თავი

ფერეიდნულში უკუქცევითი ნაცვალსახელი თავი // თავი გამოიყენება სამივე პირის ობიექტის გამოსახატავად **ჩემ თავი**, **შენ თავი**, **იმის თავი**:

ჩემ ქუმარს ასან ჩემ თავი არ ენახა [ქლკ, მინა ხოსროვი].

როგო მეექექ იმ კაცსაო, რო შოყყორდეს შენი თავიო [ქლკ, სეიფოლა იოსელიანი].

ჩემ თავი უფრო გინდაო, თუ ემ ჰადარბეგისაო? [ქღკ, ასლანი].

მე შენი თავი მოყალიბ ღმერთმა-მეთქი, ღმერთმა შენი თავი გამიზარდოს-მეთქი [ქღკ, ირანა იოსელიანი].

ეს ამ დღეებია, რო შენი თავი მაჰკალ და ეხლა დაჯგელა და უჭრიტე. შენი თავი არ შაინახე [ქღკ, მუსტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მე შენ თავი მამიყუნია საქმემ ბეჭერი, საქმემ შენთანა მაქ [ქღკ, ფარშადა].

მე ანს სომეხის დედაკაცი ძრიალ მიყორს, ძრიალ მინდა ამის თავი და მე არ ვიცი, რა ვქნა [ქღკ, რეზა მიქელანი]

ეს რა არი, კაცო, იმას რა უშავ, რო მუსულმანი არ არი. მე მიყორს იმის თავი და სომეხი იყოს [ქღკ, რეზა მიქელანი].

მესამე პირთან მიმართებით თავი ცალკე აღებული არ შეგვგზვდება, ყველგან იქნება თავის თავი.

ვახშამ უკან ყეინის ყორს დეეწყო – ამაღამ კი თავის თავი გააცნოს ყეინსა და ვაზირს [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

მინაც რო მოკდა, თავის თავსათი მამკდარა [ქღკ, რეზა ონიკაშვილი].

3.3. კუთვნილებითი ნაცვალსახელი:

ჩემი, შენი, თავისი // თავი // თაისი, ჩენი // ჩუენი, თავიანთი // თაიანთი // თაინთი

ჩემი – ჩონი // ჩენი // ჩუენი

შენი – თქენი // ქენი

თაის // თაისი – თავიანთი // თაიანთი // თაინთი

პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი – ჩემი:

ნახა ღოქტორი, ეცნობოდა და ვერ ეკისრა, რო თქოს, ესე ის ჩემი ნოქარიო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ჩემ კაბა, არ ვიცი, მის მეპარა [მეეპარა]. – ეგრე ქნდა (= მოხდა) [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ჩემა მამამ ჯარისკაცებს უთხრა, რო: გოუშიო, გოუშითო [ქღკ, მუსტარ დარჩიაშვილი].

რა მიმღერიყე, რო დემეძინოს? პირველა მე ვიყავ. ჩემ მამიღამ მიკითხისყე, ჩემ ბებამ [ქღკ, გულჩერა ხუციაშვილი].

ეს ყუთიო წაუღეთ, მიეცით ჩემ ცოლსო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

შენო ეს ფულიო გაგ ზავენ ჩემ ცოლთანო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ჩემ დედას და იყო და ჩემ დედამთილი [ქღკ, გულჩერა ხუციაშვილი].

სუ რამეც არი, ერთ ადგილი გოქ შიშ ღონგია ჩემ დიდალსია [ქღკ, ჰავჯი ნაზემა ხოსრაშვილი].

ერთი სოფელი ჰქონდა **ჩემ დედაკაცის მამას**, გურავი ერქო იმ სოფელსა, გურავი [ქდკ, მელიქ მაჰამადი ონიკაშვილი].

მრავლობით რიცხვში:

ჩონ მამაები [იენენ], **ჩონ** პაპაებს, **ჩონ** სახლის...

ჩენ ძმებმა და **ჩემ** აშუამ [დადგეს ანქა].

მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი – **შენი**:

შენი ბიჭი იქ მუშაობს? [ქდკ, თაალათეა ათაი ასპანანი].

ქალაზი დაწერა ყეინთი, ქე **შენ ბიჭს** მოვკლავ [ქდკ, ფარშადა].

შენ დედაკაცი რაჰაბე ერთი ყმაწილი შადქნების. თქო: ბაშად! [ქდკ, ფარშადა].

შენ ნახევარი **შენ** შაჰამე, ნახევარიც **შენ დედაკაცმა** [ქდკ, ფარშადა].

ქალაზი დაწერა ყეინთი, ქე **შენ ბიჭს** მოვკლავ [ქდკ, ფარშადა].

მე მოვალ ქენსო და ვნახავ **შენი დედაკაცსო** [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

აგე დღე მოგიტანო, რო ემ **შენი სიტყვოს** ფასუხი იყოს [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

შენ დიდ ზღვა ხარ, ფერეიდანი არის **შენი გულის** წყარო [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

რა ზადსაც რო ნახავ **შენი თოლითაო**, გულითაც გამააცხეო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ქენ¹²⁸ (თქვენი):

ქენ საქმე; **ქენ** სახლებსაც; **ქენ** ენაზე; **ქენ** კარამდი...

მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელებია: **მის(ი)**, **ემისი**, **ამის(ი)**, **იმის(ი)**, **თავისი**; მრავლობით რიცხვში: **ამით**, **ემით**:

ემისი:

ჯულის ქალმნებს ჩაიცმენ, ტუმარა – ქერა რაქთენი პირი და **ემისი** ქალამანია, ნამა დაიკოლოთებიან და ფად შამზე წავლენ თასათი [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ამის:

ამის მეჯარე მოა და წყალს დაიჭერავს [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

იმის:

ესენიც მოვლენ **იმის** სახლჩი და ელ ემას ეტყვიან, რო: **შენ** ნავრუზი მობარექისა იყოს! [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

იმისილა:

ეხლა კი თურქის ხანი დასჯდომიყე თავზე, მამული **იმისილა** არი [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

იმის:

თუ ორთა უკრავყე ტყვივა, ცაველის რო მაჰხდომია, **იმის** მოკლული დეერქმის [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

128. როგორც სახელთა ბრუნების აღწერისას აღვნიშნეთ, თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

ამითი:

რო გათხოვილვარ, მოსულვარ ჩონ ზენდეგანი ექ არი, ამითი ანქ არი [ქღკ, მოჭ-თარამა].

ამით:

ეხლა ამით გოგოები ემათ გომლოროთომეე, ემას გოგოები ამას გომლოროთომეე [ქღკ, რეზო რაჰიმი (დავითაშვილი)].

ამით ყმაწილებია, ამით გასარივალეებია [ქღკ, ესქანდერ სეფიანი (სეფიაშვილი)].

– ამით გვარიისა? – ჯუნიანი, ჯუნიანი ძქიან [ქღკ, რეზო რაჰიმი (დავითაშვილი)].

ემათი:

ემათი – რუისპირზე გახაზისეე, იქითყეთ¹²⁹ ექამდი ემათიო [ქღკ, მუხტარ ას-ლანი (დარჩიაშვილი)].

ემით:

ღმერთო ჩემო, რამდენ ფასი, რამდენ სისხლი ემით სულსა ოოწონდა [აეწონა] [ქღკ, მანსურ ყალანი].

დედაკაცებმა იმისთვინ, რო ემით ველჩი არ ჩავარდენ, თავი თავი გოდოუშთანყე, გადახტიანყე და დეეცთანყე [ქღკ, ესქანდერ სეფიანი (სეფიაშვილი)].

თავისი ძალზე აქტიური ნაცვალსახელია. ის ფერეიდნულში გამოხატავს რო-გორც სუბიექტის, ისე ობიექტის კუთვნილებასაც:

ზელე სულთან ემ თავის კაცებს ეტყისეე, რო სადაც რო არი ეს ქალსაქარალა [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

ემ თავის კაცი დაბრუნდებიან, წავლენ და უამბობენ, რო ეგრე იყო და არ მოცკეს მალიათიო [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

წავლენ ერთ ბის ნაქარი მოქუჩღებთან, ზანომარდი, წაქლენ თაი ნახუაზე [ქღკ, ჰაჯი ნასემა ხოსრაშვილი].

ქარსულად სახელი გამოოცლია, თავი სახელი ყოფილა ხანჯანა, ეს ყოფილა [ქღკ, შაჰინა მულიანი].

ის შენ ნაჭერიც მაიტა, ჰა, ეს ნაჭერი თაისი მაიტა [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

მოიდენ, თაით საქონელი თახსიმი ქნან [ქღკ, ჰაჯი ნასემა ხოსრაშვილი].

კრეტმა ნახავს, რო თაით ბარტყების ხმა ამ სახლსაყენ გამოდის [ქღკ, ლიანა რაჰიმი (დავითაშვილი)]

129. საინტერესო შემთხვევაა, ფაქტობრივად, „სამმაგი“ სუფიქსაცია გვაქვს. კონტამინირებულია წარმოების ორი მოდელი: იქით ფორმას დაკარგული აქვს გამოსვლითობის შინაარსი და გაგებულია ფუძედ. –ყე ნაწილაკის დართულ იქითყე ფორმას კი ისევე დაერთო გამოსვლითობის მეორე ყალიბის სუფიქსი: იქითყეთ.

დააცრინტებენ, დაავლებენ, **თაინთ** ჯჳანზე თეელად წითელს დააყრის, ემას ვეცყით ქუნთურმა [ქღკ, მთქმელი უცნობია].

თავის ძიქრჩინა და **თავიანთ** აღაგებზე მისწლებიანო [ქღკ, მაჰინე ასლანი].

ამ **თაინთ** ბებიას საბაბით ყუმაწილები ერთმანერთან სპარსულად ლაპარაკობენ [ქღკ, შაჰინა მულიანი].

სხოსი:

ემისყე წინ მამულები **სხოსი** იყო [ქღკ, მაჰმად ნექუხუ].

3.4. კითხვითი ნაცვალსახელები

მინ // ვინ, რა, რომელი, რაგდენი // რაქთენი // რამდენი; როგორი // როგოდ, როგორები; სადაველი; რაადანა, რაადლა, რაათინ, რაათინა, რაათილა, რაგდენ-რაგდენიცილა, რაგდენაირია, რაგდენები, რაგდენებს, რაგდენებსა, რაგდენი, რაგდენი, რაგდენია, რაგდენი ზლა, რაგდენიო, რაგდენის, რაგდენიც, რაგდენიცა, რაგდენაირია, რაგდენს, რაგდიდე, რაგდიდელა, რაგთენ, რაგთენები, რაგთენი, რადგენ, რადლა, რაზეგაც, რაზენაც, რაზეო, რაზელ, რაით, რაითა, რაითაო, რაითაცლა, რაიმები, რაის, რაისი, რაისლა, რაიცალა, რამ, რამდენ, რამდენი, რამდენია, რამდენიმე, რამდენიცა, რამდენმა, რამდენაირათ, რამდენს, სადაველი, ჰდაველი...

ნაცვალსახელი მინ // ვინ

გვხვდება კითხვითი **ვინ** ნაცვალსახელის **მინ // ვინ** ვარიანტები. **მინ** გაცილებით ხშირია, ვიდრე **ვინ**. უბრუნველია, განსხვავებით ძველი ქართულიდან, აქვს საერცობიანი ფორმები: **მინაც, ვისაც...** ღაირთავს ნაწილაკებს.

სახ. მინ

მოთხ. მინ

მიც. მის(ა)

ნათ. მის (+თანდებული)

მინ აიღებს თავის სისხლის ფასსაო ? [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

მინ დააქცივა ესეო ? [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

მისა დძინავო, **მისა** დღიძავო ? [ქღკ, მოჰთარამა].

მინ ნაცვალსახელი ქართული დიალექტებიდან ინგილოურშიც გვხვდება:

აი, გაგიმარჯოს! **მინ** ხარა შენ, ამბოვს [ქღკ, ღიანოზ ნადირაშვილი].

მის (კითხვა-კუთვნილებით):

ღაიჭყოფს, რო ხუალ **მის** წყალია და ღაიჭერენ და თავის ქეშტს მაჰპრწყვენ [ქღკ, კოლა ონიკაშვილი].

მის სისხლითა, **მის** სულითა ყაყაჩომა სიხეს თაჩი გამწონდა [ქღკ, მანსურ ყალანი].

ერთიც აიღებს იმ ჯოხებს და ჯორცის გერდით დააღებს ჯოხსა, რო **მისიაო?** [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ვინიანი ფორმა დასტურდება იმ ფერეიდნელთა მეტყველებაში, რომლებსაც მეტი სიახლოვე აქვს სალიტერატურო ქართულთან. შესაბამისად, შეიძლება ეს ფორმა ინოვაციად ჩავთვალოთ.

არ აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა:

ესები მინ არიან? [ქღკ, ასადულა ონიკაშვილი].

პაპა გაფს უამბოფსყე, რო ქართველებისა, რო ჩონ ქართველები ვიყნევით და მინ ვიყნევით და როგო შაქნა და ისლა, რო იციისლა. უამბოფს იმ ხურდეფსა [ქღკ, რეზა მიქელაძე].

ნაცვალსახელი რა

ნაცვალსახელი რა ბრუნების დროს მისდევს ძველი ქართულის წესს. ისევე როგორც ძველ ქართულში, არც აქ მოეპოვება მოთხრობითი ბრუნვის ფორმა. ი. იმნაიშვილის აზრით, მოთხრობითი მხოლოდ სუბიექტის, პიროვნების ბრუნვაა, რომელსაც კითხვა რა არ დაესმის [იმნაიშვილი 1957: 511-512]. კ. დანელიას აზრით, რა ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმა რამან ამ ნაცვალსახელის ბრუნების სისტემის ორგანული ნაწილია [დანელია 1998: 512]. რამან წერილობითად გვიან გამოვლინდა, X საუკუნიდან. საშუალო ქართულში რა ნაცვალსახელმა დაიმკვიდრა როგორც მოთხრობითი ბრუნვის ფორმა, ისე მრავლობითის ფორმები [ციხელაშვილი, 103].

თუ ფერეიდნელ ქართველთა წინაპრების მეტყველებაში გადასახლებისას არ იყო ასახული ეს ცვლილება, ეს პროცესი ენის შინაგანი განვითარების კანონზომიერებით იქ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამის მიზეზი გახდა ის, რომ ფერეიდნულში რეზულტატივის ფორმები ჭარბობს აორისტის ფორმებს და, შესაბამისად, ფერეიდნულისთვის ბუნებრივია: ეს ყმაწილი გასხენო, ტირისო, ემას ალაგი დოოსველებია. და არა ყმაწვილმა დაასველა ეს ალაგი. ამდენად კითხვაც ასევე ჩამოყალიბდება: რას დოოსველებია? და არა: რამ დაასველა?

სახ. რა

მოთხ.–

მიც – რას(ა)

ნათ – რაის(ი)

მოქმ. რაით(ა)

ავიდე, დავათორიალო, რა არი [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

შენ რას აქნევ, რო ემას იკითხავ!

გურჯი მაჰალლე რასა დნიშნავს? [ქღკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (დავითაშვილი)].

რაის ბრალია, არ ვიცო [ქღკ, კოლია ონიკაშვილი].

მე მოკობრე ვიყაო, ერთ ღამესო, ისიც რაის მოკობრე ვიყაო, წაიდიეო, მისაცაო, რო ბევრ ფული ჰქონდისეო, იმას მოვჰპარიეო [ქღკ, კოლა ონიკაშვილი].

გაკეთებულია ექსისხე მაგრის ჯოხი, მაგრისა, მაგრისა, მაგარ ჯოხისა. თქოთ რაისი: იმისეე მაგარ ჯოხი რა არი! – იფანი! [ქღკ, მუსტარ დარჩიაშვილი].

რაით გააკეთიანყე? [ქღკ, საიდ მულიანი].

რათა, ხურმაითა? [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

შე კაი კაცო, რად აშჩქარდო, მოილოდ, ცოტა ხანი ექა დძოვდო [ქღკ, დარმიშა ბათუაშვილი].

რად დწყეველიან ერთმანეთსო, რა, რად იტყიან? [ქღკ, საფეა ასლანი].

განსხვავებით ძველი ქართულისგან, ფერეიდნულში რა ნაცვალსახელს აქვს მრავლობითის ფორმები:

ქართველო, შენ ხო ნახეო, რეები მაძხდო, რაც მაძხდო, ღმერთს უნდოდო [ქღკ, მუხტარ ასლანი].

წინანდლეფს, რო აბა, ექ რეები უბნიანყე და იქ ეხლას აღარ არი [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

სხო რეებიდა? ბალახბულახს რას ეძახი? [ქღკ, ამინ (ანდრო) ნაგელიანი].

ჩამოელ და აი, სასყიდავი რეებიც რო იყო, დავათორიალე [ქღკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეს ექიმა გასინჯოსო და წამალი და ესეთ რაიმეები დაუწეროსო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

უნდა აღინიშნოს, რომ კორპუსში მხოლოდ 9 ფორმაა დადასტურებული რა ნაცვალსახელის მრავლობითი ფორმისა. ყველა ეს შემთხვევა ინოვაცია უნდა იყოს.

ნაცვალსახელი რაგდენი // რაქთენი

რაგდენ, რაგდენი, რაგდენიო, რაგდენია, რაგდენს, რაგდენის.

რაგდენ ქართველი დოოწყეტია და კახეთი გოოსწორებია და რაგდენ ქართველიცა, გომორეკია ირანჩიგა და გოორეკია შომალსა. და რაგდენიცა, ისპანს შოონახავ [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

რაქთენ კომლობალა არი, რო მამულეები თითან აყე და პაიტაც ჯანი უღვაყე [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

დასტურდება მრავლობითის ფორმებიც: რაგდენები, რაგდენებს // რაგდენებსა:

ჩონთი სახლჩი ვიბნებთ, რო რაგდენები შავაბათ ახლზალსო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

რაგდენ ემ ქართველებსაც ელს დაძწყეტენყე, რაგდენებს დაიჭერენყე და ჩადყუანენყე და რაგდენებსა ელს ეელამს იქმენ და დაძწყეტენყე [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

ასევე: რაგდენაირი // რაგდენაირი:

წყაროს წყალი რაგდენაირია, ერთი არი, რო ჭურჭელს ჩავსებ ბლუყბლუყითა, ეივსების. წყალი ბლუყბლუყით ეივსების, ერთია რო საჩქერია, საჩქერზე მიდყუდეფ და და აივსების საჩქერზე [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ დიალექტურ კორპუსში რაგდენაირი // რაგდენაირი სულ სამჯერ დასტურდება.

ამის პარალელურად გვხვდება ამ ნაცვალსახელის სალიტერატურო ფორმა რამდენი სხვა ბრუნვის ფორმითაც: რამდენ, რამდენია, რამდენმა, რამდენს, ასევე, ამ ფუძისგან ნაწარმოები სხვა ნაცვალსახელები: რამდენაირად, რამდენსამ.

მისი გაჩენა ფერეიდნულში ასევე ინოვაცია უნდა იყოს, რადგან ის არ გვხვდება არც სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში, არ დასტურდება არც მაგალი თოდუას მიერ მოპოვებულ მასალაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვიანდელ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ის ჩნდება საქართველოში მაცხოვრებელ რეპატრიანტ ქართველთა მეტყველებაში და ასევე რამდენიმე ფერეიდნელი ქართველის საუბარში. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელნი ამ ახლად შეძენილ ფორმებს მხოლოდ ჩვენთან საუბარში იყენებენ.

ნაცვალსახელი როგორი // როგოი

რეზა შაჰმა უთხრა, რო: ხო, აბა, ნახეთ ემ ქართველუფსაო როგორ კაცები, როგორ ხალღებიო და რა უნდათო [ქდკ, ჰოსეინ ყალანი].

ქდკ-ში ამ ტიპის კონსტრუქციებში ეს ნაცვალსახელი ძირითადად სახელობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება:

ნაადერთან მენახვა როგორი ლომებია, არ ვიცოდი სოფელჩინ ქართველებია [ქდკ, რეზა ხუციშვილი].

ყველა ვისაცლა რო დკითხო ისპანის რაიონში, ქართულები როგორი ხალღებიო, იტყიან, რო რა კარგი ხალღებიო [ქდკ, ესქანდერ სეფიანი (სეფიაშვილი)].

დავსხდებით ელ ეგრე მაღლა, ეხლა'დ ექა როგოდ ზადი ქქსოვთ, როგორი ზად ყალიჩა ქქსოვთ [ქდკ, სედიყე ასლანი].

კახა ვნახოთ, რო ექ დაბადულიაო, აბა, როგორი ხალი აქო [ქდკ, ირანა იოსელიანი].

აი, როგოი ხალღებივო! [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ჰა, აბა, როგოი კაცი ხარ, რა ხარ? ჰა, მა, ხო აშეყობა არა ექნა ხო, არა ექნდების შაირთოსა ადამიანმა, უნდა აშეყობა ქნასლა და [ქდკ, ნარგის აბასი].

ბაზარი როგოია? [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

არ ვიცოდი სად რა ამბავია, იქ როგოია, რა ჯდება და როგოი ქვეყანა'რი [ქდკ, მანსურ ყალანი].

ვიბნებთ, რო ყადიმაღო როგოი ქორწილი ვქნიტყე [ქდკ, ნარგესი აბასი].

ნაცვალსახელი რომელი:

და ჩალახიში რომელ იყო? [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

თითან არ იცოდენყე, რო ის შომარა რომელის არი. იმისთი არ იცოდენ, რო რომელს რა სახელი ჰქიან [ქდკ, ასადულა ონიკაშვილი].

რაჯურ (როგორი, რანაირი):

წადი შენა და ფაყათ ნახე რაჯურ ბიდარ (მხნე, ფხიზელი) ერიო [ქდკ, ესქანდერ სეფიაშვილი].

ნაცვალსახელი სადაველი // ჰადავრელი

სადაველი, სადაურის მნიშვნელობით გვხვდება ფერეიდნის ქართულ დასახლებებში, დაშქესანას გარდა, იქ მას ენაცვლება ჰადავრელი:

შენ სადაველი ხარ? [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

3.5. ურთიერთობითი ნაცვალსახელები

ერთმანერთი // ერთმანერი:

ეს ნაცვალსახელი ფერეიდნულ დიალექტში ძველი ქართულის ფორმით გვხვდება:

თა ბიჭმა მოიღესო, ჩონ ვიიბნათო, თუ ერთმანერთი გუნდაო, იმაში გოგოთხოვეთო [ქლკ, მარიამ ქალბანი].

ერთმანერთ უყორს, ახლო რო არიან ერთგან [...] **ერთმანერთსა** დჭამენ, აღონებენ [ქლკ, ნარგის აბასი].

ნამა **ერთმანერთანა** ვკდებოდით – დედამთილთან, მამამთილთან ბევრსხან **ერთმანერთან** ვიყენევით [ქლკ, თუბა შაჰმამადი].

ბეურსხან დო სალ ელა **ერთმანერთის** ააშეყები ვიყენევით ელა ორ წელი [მარიამ ქალბანი].

ქლკ-ში გვხვდება ამ ნაცვალსახელის თანდებულიანი და ასევე ნაწილაკდართული ფორმებიც:

ერთმანერზე, ერთმანერზეგ, ერთმანერზედ, ერთმანერთ, ერთმანერთა, ერთმანერთან, ერთმანერთანა, ერთმანერთანო, ერთმანერთაო, ერთმანერთაღა, ერთმანერთზე, ერთმანერთზედა, ერთმანერთთან, ერთმანერთი, ერთმანერთიო, ერთმანერთის, ერთმანერთისა, ერთმანერთთი, ერთმანერთს, ერთმანერთსა, ერთმანერთსათი, ერთმანერთსყენ, ერთმანერთში, ერთმანერთჩი, ერთმანერთჩიო, ერთმანერთსა, ერთმანერთჩი, ერთმანერთჩიგა...

ერთურთ(ი):

ჰა, **ერთურთ** გამოჯავრდიან ხო მა! ერთხელ ერთ ამ, მა დუშმანთან ყრალი არა უნდა თქო? [ქლკ, საფეია ასლანი].

ერთიმეორე:

ავღანელებს ეგონაყე, რო მტერი მოიდა, ადგენ და დაირივეს **ერთიმეორეთა** [ქლკ, მუსტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

3.6. მიმართებითი ნაცვალსახელები

ა) თანამედროვე ქართული ენის მსგავსად ფერეიდნულში მიმართებითი ნაცვალსახელები მიღებულია კითხვით ნაცვალსახელებზე -ც ნაწილაკის დართვით:

მინც, რაც, რომელიც, როგორიც, რაგდენიც // რაქთენიც, რაგდენიცა, რაგდენიცლა // რაგდენი ზღა:

მინც:

უთხრა, რო მინ გინდა მითხოო და თქო, რო მე გეტყვიო, რო **მინც** გითხოო იყოსო [ჰაიათ იოსელიანი, კოლა იოსელიანი].

მინც ნაცვალსახელი გვხვდება ინგილოურშიც:

ამბოვს, **მინც** ღამიხდეგ, აყონუარ, მე მარტო არ წავალ [ქლკ, დიანოზ ნადირაშვილი].

მისათინაც:

ჩავდგამთ თონეჩი და ამოიღებთ, **მისათინაც** გუყორს – წოოღებთ [ქღკ, მთქმელი უცნობია].

რაც:

გამაიკითხეო და იგრე, **რაც** გინდა, ქენო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

რომელიც:

არა, ყურა, **რომელიც** არ მოწეულა. ტევაღს ვეძახით ყურზენის ერთ კონას [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

რომელმაც:

ეხლა ემ წყვილმა აქ გადააფრინდის, **რომელმაც** ემას ფევი გადჰკრა, უნდა თავის წყვილი დაჯღეს და ეხლა ემასა ქნას [რეზო რაჰიმი (დავითაშვილი)].

რომელიც:

დავხერხავთ და **რომელიც** რო არა ქნდეს, მაკრატელით მოვკერენჭავთყე [ქღკ, ალიმერდუნა იოსელიანი].

როგორიც:

ეგეთი, **როგორიც** რო უყორსყე, იტყიან და შოოკერავთყე [ქღკ, თაღერე (ზაირა) რაჰიმი (დავითაშვილი)].

რაგდენიც:

რაგდენიც გინდა ყანდი, ჩაი, ნაჭერი, რაც გინდა, მოგცემს. აიღე და წადი [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

გომოორეკია ირანჩივა და გოორეკია შომალსა. და **რაგდენიცა**, ისანს შოონახავ, აბას-აბადს [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

მის თაიც (=ვინც):

სიძე მააქუჩავს თავის ახლოებს, ახლობელებს, **მის თაიც** უნდა და უყორსყე [ქღკ, შაჰინა მუღლიანი].

ბ) ცნობილია, რომ ძველ ქართულში მიმართებით ნაცვალსახელებს არ დაერთვოდა ნაწილაკები, თუმცა მათი გარჩევა ადვილი იყო. კითხვითი ნაცვალსახელები მართივ წინადადებაში გამოიყენებოდა, მიმართებითი ნაცვალსახელი კი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში [ფეიქრიშვილი 2010: 101].

ფერეიდნულში შემორჩენილია ძველი ქართულის სურათიც და მიმართებითი ნაცვალსახელები ძველი ქართულის მსგავსად შეიძლება შეგვხვდეს -ც ნაწილაკის გარეშეც რთულ ქვეწყობილ წინადადებაში:

როგორი ძალიან მოტეხილი იყოს, ჩემ მამიდას ქმარი იგეთ კარგათ... ერთ კირიამდი იმის ფევი მორჩება. იგრენ არი [ქღკ, ირანა იოსელიანი].

ერთ მეთოფეს ერთი თანა ჰყავ, **რომელი** თავსა ჭრის, ის უნდებიწყე [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

რომელი, მასლან, ჩონთი ვიცით, რო ღოლორი, აღჯაბაშია, ეკლიმხალარი. დავგლეჯავთ, მოიტანთ, გაგრეცხავთ, გავავსობთ, დავფშნეტავთ ეგრე და ეხლა ჩაფერთ და შაჭამად შავიქთ [ქღკ, ბიბარუსა ბარათი].

რომელი დაიწებოდეს, სკლინტს გოოსემდეს [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართული ენის განვითარების აღზრდელ საფეხურზე კითხვითი, მიმართებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ფორმით ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდა. კითხვითი ნაცვალსახელი იხმარებოდა სამივე ფუნქციით, მეორეულია ნაწილაკების დართვა [ციხელაშვილი: 104].

3.7. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები

ყველა // ყელა // ყოლა, ყველაფერი // ყოლაფერი, სუ // სუნი, თითან // თვითან // თითუან // თითანა, თავადა.

ნაცვალსახელი **სუ // სუნი (= ყველა):**

დარეჯან ჩხუბიანიშვილი თავის სტატიაში „იმანენტური განვითარების ზოგიერთი გამოვლინება ფერეიდნულში“ აღნიშნავს, რომ განსაზღვრებითი ნაცვალსახელები **ყველა ყველანი** ფერეიდნულ მეტყველებაში არ იხმარება, იშვიათია **სუყველა // სუყველა**, მაგრამ ჩვეულებრივია ამ ფორმათა შეკვეცილი სახეობა **სუ** (სუყველა), მრავლობითში **სუნი** (**სუ ყველანი**), რომლებიც ფორმით ემთხვევა **სუ (-სულ)** ზმნისართს [ჩხუბიანიშვილი 2012: 162].

ქართულ დიალექტურ კორპუსზე დაყრდნობილმა კვლევამ აღნიშნული მოსაზრებისგან განსხვავებული სურათი აჩვენა: ყველა // ყველანი დასტურდება ფერეიდნულთა მეტყველებაში სუ // სუნი ფორმათა პარალელურად. ამასთან, ნაცვალსახელი ყველა // ყველანი გვხვდება სხვადასხვა ფორმით: *ყუელა, ყველამ, ყველას // ყველასა, ყველასთანა, ყველაზე, ყველაგან // ყუელაგან, ყველანი, ყველანიო, ყველან, ყველანთ, ყოლას, ყოლასა, ყოლანი, ყოლა, ყოლამ, ყოლაძა, ყოლას, ყოლასა, ყოლანი, ყელა, ყელამ, ყელანი, ყელანიც, ყელაყა, ყელგანაც*. ასევე გვხვდება: *ყელაზადი, ყოველ, ყოველგან, ყველაფერი // ყოლაფერი, ყოლაფერით, ყველაფერ, ყველაფერი, ყველაფერია, ყველაფერსა, ყველაფერზე, ყველაფერს...*

ჯერ კიდევ სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში დასტურდება ნაცვალსახელი **ყველაფერი**:

იმის მოთაბეყზე ფარში და ესპაბი – ყველაფერი სუ მოუმზადა ემ სახლს [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ასევე მაგალი თოდუას ტექსტებში (1975) გვხვდება:

ყოლა:

ყოლა ღამესა. ყოლა ღამეს შავჭამთყე, და ქენ წელი ერთ ღამეს შაჭჭამთყე; ქენ ყოლა ღამეს შაჭჭამთ და ჩონ ერთველ შავჭამთყე [ქდკ, რეზა მიქელაძე].

ერთი ესე, რო, ხობ, სუნივენთ – ყოლა ყოლამ – ვიცით, რო ჩონ ექა მამულები, ბევრ მამული ერთის ველიჩე არი [ქდკ, რეზა მიქელაძე].

ეს მაგალითი მნიშვნელოვანია იმით, რომ პარალელურად გვხვდება ყოლამ (ყველამ) და სუნივენთ (ყველამ); ასევე ამ მაგალითში **ყოლა** არის ყველაფრის მნიშვნელობით.

თავად დარეჯან ჩხუბიანიშვილის, თელო უთურგაიძის, ჯემშიდ გიუნაშვილის ტექსტებშიც გვხვდება **ყოლა**, **ყოლაფერი** ნაცვალსახელები:

ჩონ ეს ვიცით, რო ყოლა ხალღი ამბობდა, რო სეიქოლა ხანმა წაიდა საქართველონი და თექლისსა. რამდენს ხანაც იქლა იყო [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

ყოლა დავეარეთ და გამუელით ექა [ქდკ, ბოყლეისა ასლანიშვილი].

ყოლაფერი:

თავით საქონელითა და თავით ყოლაფერით იქ არიან, ცხორობენ და მოსავალი მადხეავე [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

შავალთ იქა და ლავანები წუგულია, ყოლაფერი წასსმელი [ქდკ, ირანა იოსელიანი].

ყოლანი:

ილ ივრე. ყოლანი ელ ემ საქმეს ვაკეთეთ [ქდკ, ირანა იოსელიანი].

ყოლა:

ყოლა ხალღმა რო მოიდიანეო, ნაჭერები გადააფარიანე ემე ზედაო [ქდკ, ირანა იოსელიანი].

იქ ვიქნებით ყოლა, დედაკაცებით სუ წავლენ... [ქდკ, ირანა იოსელიანი].

ეს ნაცვალსახელები ასევე აქტიურად გვხვდება მოგვიანოდ ჩაწერილ ტექსტებში: დაედვენეს შარიქირამდე, რო ყოლა დაიჭრონ! [არია ხოსროვი, დაშქესანა].

ყველა:

უფროსები ყველა თოკით მოკლეს; ქართველები ყველა გაწყიტეს [არია ხოსროვი, დაშქესანა].

მაგალი თოღუას მიერ ჩაწერილ ტექსტებში დასტურდება ნაცვალსახელის ფორმა სუ ყველა:

სუ ყველა:

ჩონ იმას ვემეთ, რო სუ ყველა კარგად გაატაროს [ქდკ, რეჰიმა ონიკაშვილი].

ფერეიდნელი ქართველები თვითონ გრძნობენ განსხვავებას სოფლებს შორის. თორელელმა ქართველმა აბოლყასემ აჰმადმა გვითხრა, რომ თორელში ამბობდნენ ყელაყას, ახჩაში – ყელაზადს, აფუსში – ყოლას.

ნაცვალსახელი სუყელა

დარეჯან ჩხუბიანიშვილი წერს, რომ ფერეიდნულში იშვიათია სუყველა // სუყელა ფორმა [ჩხუბიანიშვილი 2012: 162]. მასალის შესწავლამ ნათელი გახადა, რომ სუყელა ფორმა არცთუ ისე იშვიათად გვხვდება: სუყელა, სუყელაზე, სუყელამ, სუყელამდა, სუყელანი, სუყელას, სუყელასყენ, სუყელაფერი, სუყველამ:

სუყელა:

იმ დღეს სუყელა წავა თაჩი და სარაჯზე და წყაროზე და ქაპრიზების ძირზე და დასტა-დასტა ხალღი დასხდების [ქდკ, კოლა ონიკაშვილი]

[სპარსეთშიც იყვნენ ეგეთი მოკლე კაბით?] – კი, კაცო, სუყელა, სუყელა, აი, ჩონ, გურჯიებს რო გოძახოდეს, ჩონ ვიყაით ძელებური [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

სუყელამ:

სუყელამ იცის, რო მოსაწევ ხილი ხესაყე არ ჩამუარღების [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ამა ეს ქუნთრუშა და ყოვილიღა რო დაიჭირიანყელა, ესღა რო **სუყელამ** დაიჭირიანყე, კელარღაღა, ესღა აღარ დლოწერიითყე დღაღა [ქღკ, ნარგის აბასი].

სუყელამღა:

ესღა **სუყელამღა** დაიჭირიანყე, ესღა სუყელამ რო დაიჭირიანყე, სუყელამ რო ეს ქუნთრუშაღა და ყოვილი დაიჭირიანყე, დღა აღარა ექონღა [ქღკ, ნარგის აბასი].

ამ მე შენ თავი **სუყელასყენ** მამწონღად ოღ [ქღკ, შაჰინა მუღლიანი].

სუყელას:

ადგების, წავა და ანქ შაატყობინეფს **სუყელას**. ესენი წავღენ და ბაღვასა და ბეჭედღსა და ერთი სა'ათს უყიდიან... [ქღკ, კოღა ონიკაშვილი].

თაჩი ნადირად წასღა **სუყელას** საქმე არ არი [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

დაქუნღებღიან და, მინაც რო **სუყელაზე** ღიღია, წავღენ იმის სახღჩი [ქღკ, კოღა ონიკაშვილი].

სუყელა შესადღებღია შეგვხვდეს **სუყვეღაფერი-ს** მნიშვნეღობითაც:

კენახი, ბაღი, ოფფი – **სუყელა** (=ყვეღაფერი, **სუყვეღაფერი**) უნღა იმ დღეს მოძრწყოთ [ქღკ, კოღა ონიკაშვილი].

სუყელაფერი:

ე, საუკუნეღები გავიღა და რა ვიცი. არა, **სუყელაფერი** არ დავიწყეღბია [ქღკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

სუყვეღამ:

ამათა და თაის ძმეღბმა და **სუყვეღამ** საერთოთ, დაიწყვეს, რო წავიღეთ გურჯღისტან [ქღკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

ბოღღო ორი მაგაღითი დასტურდება მხოღღოდ ერთხელ და ისიც საქართვეღოში მცხოვრეღები ფერიღენღელი ქართვეღლის მეტყვეღებაში.

ნაცვალსახეღები სუ, სუნი, სუნეღი, სუნივე. ფერიღენღულში ყვეღას მნიშვნეღობით ასევე აქტიურად გამოიყენეღა ნაცვალსახეღი **სუ** და ამ ფუძისგან ნაწარმოეღი სხვა ფორმეღი:

სუ, სუ რამე, სუთ, სუთვენი, სუთუენთ, სუმამ, სუმამაც, სუძთელი, სუმღა, სუნ, სუნღამც, სუნეღსაც, სუნვენიღა, სუნთ, სუნთა, სუნი, სუნივე, სუნივე, სუნივენ, სუნივენთ, სუნივენთა, სუნივენთაც, სუნივენთღა, სუნივენი, სუნივეს, სუნივეს, სუნიო, სუნიც, სუნმამ, სურამეჩი, სურნამეღს, სუს, სუს, სუსა, სუსათი, სუსაყე, სუსაყენ, სუსაც, სუსი, სუსყე, სუსყენაცა, სუღა..

დარეჯან ჩხუბიანიშვილი **სუ** ნაცვალსახელს სუყელა // სუყვეღას შეგვეციღღ ფორმად მიიჩნეღს [ჩხუბიანიშვილი 2012: 162]: „ჩვენს შემთხვევაში ერთგვარი მორფოლოგიური ელიფსი მომხდარა: კომპოზიტიღს მეორე წყვერი მოკვეციღია და **სუ** დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულად ქცეულა, რომელიც იბრუნვის, დაირთავს მრავღობითიღს ფორმანტეღებს და ნაწიღაკეღბს“ [ჩხუბიანიშვილი 2012: 163].

სუ:

რეზა-ხანსა **სუ** გზები დეეჭირა [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

რაც რო დედაკაცი ანქითყენ წავა, **სუ** გადავარდებიან და მოკლები რაც რო დედაკაცი ანქითყენ წავა, **სუ** გადავარდებიან და მოკლები [ქდკ, რეზა ხუციშვილი].

სუმ:

იგეთ რამე არ იყო, რო, **სუმ** იცოდა და დამალვა არ უნდოდა [ქდკ, რეზა მიქელაძე].

სუს:

ემ მოზობლების ყორებს **სუს** ვეტყითყე, დაფყონაღვტყე [ქდკ, მეჭრი აბასი].

სუსი:

მე შენ რო გითხრა, დედამთილი სა, **სუსი** [ქდკ, ნარგესი აბასი].

აქვს როგორც -ებ -იანი, ისე ნარ // თანიანი მრავლობითი და დაირთავს ნაწილაკებს:

სუნებსაც:

აღბათა იმ **სუნებსაც** განსხვავება აქ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

სუნთა:

მე მაფრინდებო და ამას აფრინდებო და ამას აფრინდებო. **სუნთა** აფრინდებიყო [ქდკ, ჯანნათა ყალანი].

სუთვენი:

სუთვენი ჩონებურად ამბობენ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

სუთვები:

სუთვები ერთათ ცეკვობენ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

სუთუენთ:

სუთუენტ თითო თავისთი. ყონადიდა რო გყოვდა, ამინთინაც ელა აზაქა (მატება, დამატება) გოქ [ქდკ, საფეია ასლანი].

სუთ:

კარგი ვენახი ჰქონდაყ, ბეჭრი. **სუთ** გოქონდა [ქდკ, მაჰმად ბათუაშვილი].

ნაცვალსახელი თვითან, თითუან, თითან. ერთადერთი შემთხვევაა **თვითან (თვი-თონ)** ნაცვალსახელის გამოყენებისა:

თვითან ყველაფერ საქმეს იქს [ქდკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (დავითაშვილი)].

ნაცვალსახელი თავად:

ერთ ქურთი ხო არ არი, ერთ **თავად** ავადანლულები საყე მოდიანდა, სყიდობენდა [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

სხო:

განსაზღვრებითი ნაცვალსახელებიდან ფერეიდნულში გვხვდება ასევე **სხო**. იბრუნვის, დაერთვის ნაწილაკები და აქვს როგორც -ებ-იანი, ისე ნარ // თანიანი მრავლობითის ფორმები: **სხო, სხუა, სხომ, სხოს, სხოსა, სხოსაო, სხოსაც, სხოსი, სხოს-ლა, სხოლა, სხოც, სხოცა, სხოლასხო, სხოები, სხუები, სხოებიც, სხუებიც, სხოები-ბიდა, სხოებმა, სხოებმაც, სხებმა, სხოეფს, სხოეფსაც, სხონ...**

სხო:

ყათელმამ მაინც გაიქცა, წაიღა **სხო** ქალაქში [ქღკ, შაჰინა მულიანი].

სხუა:

სხუა იყო, მასალან, ეგეთ, ემ ქუაზეგა ეგრე ეყრებოდა, **სხუა** ქუა ზედ წირწია-ლობდა, ფიალასავით იყო [ქღკ, თაჰერა იოსელიანი].

სხომ:

იმ **სხომ** უთხრა: გამართიო, დადეგარიო ემის ჯელისაყეო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

სხოს:

პური და კარაქი, ამ **სხოს**, რო არც რა არ ჰქონდა [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

სხოები:

ჩაყათ ელანს ქართველები იშულლებენ და სუნიც დაწყებებიან, ეს **სხოები** გამაიქცევიან [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

სხუები:

ელანს ლაჩინანის სკოლა რო მე და შენ და მეძარ ჰაიდარა და **სხუები**, ესები [...] ეს იყო [ქღკ, ჰეიდარ დარჩიაშვილი].

სხები:

ეგრე, ეგრე, ეგრე და ამ **სხებმა** იხტუნიაწყე, სამჯელ. ეგრე დაადვიანყე. მტკავე-ლობა! [ქღკ, თურანა რაჰიმი (დავითაშვილი)].

სხოებმა:

იმამ დადყუროს და ამ **სხოებმა** დადმალონ [ქღკ, რეზა მიქელაძე].

სხოებიძლა:

გაიქცა და ბაყიმონდები ანს **სხოებიძლა** დარბოდეს და ჩონაც მივრბოდით [ქღკ, მელიქ მაჰმადი ონიკაშვილი].

სხონ:

ოთხნი ჩუენ ვიყნევიო, ოთხნი **სხონ** იყვნეს... [ქღკ, რეზო რაჰიმი (დავითაშვილი)].

სხოდასხო:

აჟღვითყე. ეხლ'თ [ეხლ'დ] მერე ერთ **სხოდასხო** დაჯდისყე [ქღკ, სედიყა ასლანი].

3.8. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები

ა) მიღებულია კითხვით ნაცვალსახელზე -**მე ნაწილაკის** დართვით: რამ, რამე, რამერუმე, რამერუმეს, რამერუმესა, რამერუმეები, რამერუმეს, რამერუმეფს. რამებზე, რამები (რამეს ბევრი ფორმა დასტურდება – ნაწილაკიანიც მათ შორის), ვითმე...

რამ:

ჰა, შიქლობაზე. წახილითყე, ჰა! წახილითყე, ჰა. მეც ერთ **რამ** მოიტანო [ქღკ, ნარგის აბასი].

რამე:

ჩონ ბოინელების დუქნებში მივალთ, მალაზიებში და რამე დაგვკვირდები სყე, ჩონ ვიყავით ბოინელების მუშტარი ვიყავით [ქღკ, შაჰინა მუღიანი].

რამები:

თურქულსაყე, ქურთები შამოსულან, რო სხუა რამები დქიანყე [ქღკ, ესქანდერ სეფიაშვილი].

რამერუმე:

ქორწილები იმაში ზამთრის იყვისყე, სუ ზამთრის იყვისყე. ზაფხულსა ხალ-ღსლა გეეთავისყე, რამერუმე არა ჰქონღისყე [ქღკ, მეჰრი აბასი].

ემ ქუას ჩამადკრავღენ და ემე აინთებღლა, რამერუმეს აანთებღენ [ქღკ, ფარშა-ღა].

ბ) მიღებულთა კითხვით ნაცვალსახელზე -ღა ნაწილაკის დართვით:

რალაც, რალაცები, რალაცეები, რალაცა, რალაც-რალაც, რალაც-რალაცამ, რალაც-რალაცებ, რალაც-რალაცები...

რალაც:

რალაც რო ცუღათ გოოკეთღეს, იტყიან: იმ ბიჭმაო მამას ხო რალაც ცუღათ გოო-კეთაო, ეხლა მოწნივაო [ქღკ, მუხტარ ასღანი (დარჩიაშვილი)].

რალაც-რალაც:

მეთოფებს ხო პური უნღა და რალაც-რალაც [ქღკ, მუხტარ ასღანი (დარჩიაშვი-ლი)].

იმან წაიღღლა, ესტექანები გარეცხა, რალაც-რალაცები მოიღანა და ღამით ექ დავრით [ქღკ, მუხტარ ასღანი (დარჩიაშვილი)].

რამღენიმე – დადასტურღა მხოლოდ ერთი შემთხვევა და ისიც საქართველოში მცხოვრები ფერეიდნელის მეტყველებაში:

ეხლა იყვნეს ფერეიდნელები იქიღან და თქეს, ეგრე ცხელოღა, რამღენიმე დღე ხო ცხელოღა, ერთი კვირის წინ იქ იყენ [ქღკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

ვითმე – მე თუ, მე თუ ვიცოღდე, ვითმე ეს საქმე გავარიგო, ვითმე ვიმუშავო, თუ გავაკეთე, თუ ვითმე მეცაღლოს. ვიტყი: მოღი ჩუენსა. – თუ ვითმე მეცაღლოს, მოვალ, თუ არ მცაღლიაო [ქღკ, აბოღყასემ აჰმადი].

მინმე, მინმე, მინმემ, მინმეს, მინმესა, მინმელა, მინმეზე, მინმესთან...

მინმე:

შეშინღა: არამც მინმე მამკდარიყოსო! [ქღკ, სეიფოღლა იოსელიანი].

ბევრი ყოფიღან, რო ქარიმხან ზანღის შუღღჩი ასღან გამწყდარან, რო თავიან-თყე მინმე არ დავარღნიღლა [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

ბერიანთ ბღრეები და ბერიანი და ბერიანთაყენა მინმე აღარ არი [ქღკ, რეზა ხუ-ციშვილი].

განუსაზღვრეღობითია ნაცვალსახელები: ზოგი, ზოგიერთ, ზოგიერთერთმა, ზო-გიერთი, ზოგიერთმა, ზოგიერთს, ზოგიერთსა, ზოგისა...

ზოგი:

ზოგი გოგონღება, ზოგი არ ვიცით [ქღკ, მაჰმადღა ბათუაშვილი].

ზოგიერთმა:

ზოგიერთმა იმაშინ ესწავლაყე [ქდკ, ჰეიდარ დარჩიაშვილი].

ზოგიერთერთმა:

ზოგიერთერთმა ერთი ტყუილი თქო [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

ასევე:

კაცი:

კაცი გამოვ ზავნეს ჩემთან, დამყონალეს [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ერთი:

ერთი მორწყავმა წავიდა სარწყავ ზე [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ერთმა თქო, ერთი კაცი რამ სიმაღლე იყო [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

3.9. უარყოფითი ნაცვალსახელები

არამინ¹³⁰, არმინ, არაფერი, არაფერიც, არაფერი, არაფერს, არაფერი, არმინ, არმინალა, არმინაც, არმის, არმისა, არმისაც, არმისთი, არლას, არცერთი, არცვინ, არცრა, არცრა, არცრასაყე, არცრაც, არცრაღს, არცროს, აღარამინ, აღარამინ, აღარამინ, აღარცრა, აღარცრა, აცრა, ნურცრასაყე, ნურც...

არმინ:

თურმე ემეებმაც იციან, რო ექით არმინ არ ამოსულა ექამდი [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

არავინ გაიგეფს მას გულის ტკივილს [ქდკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

არცროს:

რაქთენ წელიაო, რო თავის შვილიო, დიდ ქალიშვილი, დოუკარგაო და არცროს სორადი არ უქნიაო! [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

აცრა; აცრაღა:

აცრა ესღა, მასღან, დამნიშნესღა და იმაშინ რაღს დანიშნა იყო, ეხლანდელსადო ხო აღარ არი. იმაშინ აცრაღა [ქდკ, თუბა შაჰმამადი].

აღარამინ:

წელჩი რაქთენი შენსავითაო ჩამოსულან წყალსათიო, წყალი კი ოუზიდნიაყეო და აღარამინ აღარამინ აღარ ასულა ზევეითაო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ნურმინ:

ელა შავ მიწა ძირზე წახიდლო, ხოღა ნურმინ ნუ გნახოსო [ქდკ, ნარგის აბასი].

130. ინოვაციაა: არავინ, არვინ, არავის, არვის, არავისთან...

4. რიცხვითი სახელები

რიცხვითი სახელი იმ ენობრივ მონაცემებს მიეკუთვნება, რომლებიც ენათა კონტაქტის დროს ადვილად ჩანაცვლებიან უცხოენოვანი (დომინანტური ენის) ერთეულებით.

ჯერ კიდევ იური მარმა შენიშნა, რომ ფერეიდნული რიცხვითი სახელების დიდი ნაწილი ძირითადად სპარსული ან სპარსული კალკის მიხედვით იყო შექმნილი ეს მოვლენა ნიშანდობლივია თანამედროვე ფერეიდნულისათვის: მთქმელების უმრავლესობა ასაკს სპარსულად ასახელებს, ქართულად წარმოთქმის მცდელობისას ვერ ახერხებს სწორი ციფრების თქმას. ქართულ დიალექტურ კორპუსში ხშირია ისეთი კონტექსტები, რომლებშიც მთქმელი, ჯერ სპარსულად ამბობს ასაკს, შემდეგ კი ქართულზე გადადის:

ბის შიშ სალა ვარ, ოზდაექსი წლის [ქდკ, ლეილე ასლანი].

მე, ჰუშანგი, აღან ბისთო ჰაშთ სალა, ვარ, ოზდა რუა წლისა ვარ [უშანგი ხუციაშვილი].

ნასესხობას იყენებენ, როცა გარკვეულ დროს ასახელებენ ან ზომა-წონას:

ყადიმად არ წადიანყე აღანთასა თა შიშ მაჰი, ფანჯ მაჰი გაიდისყე, იმაშინ წაიდიანყე [ქდკ, ნარგესი აბასი].

თითო ერ ქილუს წაილეფს, თითო დო ქილუს წაილეფს, თითო ფანჯ ქილუს წაილეფს, ბეჟრი რო ბეჟრს ჭამსა, ფანჯ ქილუს წაილეფს [ქდკ, ნარგის აბასი].

როგორც აღვნიშნეთ, ფერეიდნულ რიცხვით სახელზე დაკვირვებას ვხვდებით იური მარის წერილებში. ფერეიდნულ ქართველთან საუბრისას ის აფიქსირებს ფორმას: 1600-ის მნიშვნელობად „*თექსმეტ ხელად ასი*“. როდესაც იური მარის გაკვირვება შენიშნა, ფერეიდნელმა ქართველმა დაამატა: ჩვენთან შეიძლება ვთქვათ თქვენებურად: ათასი და ექსასი, ჩაიწერე¹³¹ [მარი 1936-1: 58]

წარმოვადგენთ ფერეიდნულთა საუბარში გამოყენებულ რიცხვითი სახელების რამდენიმე მაგალითს:

ახლა მინაც რა გამაჰკითხოს და რაცა თქოს, ამისთი რო სამოც წელს წინ უნახავ, სიცოცხლე რა ყოფილა, ის გადგეფს, რო ახლა რა ჯურადა კარგად არი... სამოცი წელიწადის, რო ძლივ მაგონდების, სამოზდაორი წელი, სამოცი წელი, ჩემი მამა-ბიძებმა, რო ჩონ გვარსაყე იყენეს ორნი: ყოლამ-ოსეენა ერქოყე და მადოსეენა. ერთიცა ხუციანთაყე წადყვანეს, ერთიც ხუციანთაყე [ქდკ, რეჰიმა ონიკაძე].

არა, ხორბალი მიცვითყე. ხუთი გირი, ექსი გირი...ერთიცა ერთ წელზე ორმოზდაოც გირსა, ორმოზდაათ გირსა, სამოც გირსა, ექთენს გამართომსყე [ქდკ, რეზა მიქელანი].

ჩემ მამაცა სამოცის წლისა არი. ვართო მაჰჰნავსყე და გუთანი და უღელი... სარ-

131. когда я удивился этому выражению, он сказал: „У нас можно сказать и по-вашему ათასი და ექსასი, ты запиши“.

წყავიცა ელა, ბარია და იმის წინანდელ ემე სიცოცხლე, ძელ სიცოცხლე... [ქდკ, კოლია ბათუაშვილი].

ბოლო პერიოდში სპარსულიდან ნასესხებ რიცხვითი სახელებს ფერეიდნულში ქართული ანაცვლებს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან საუბრისას ისინი უმეტესად ქართულ რიცხვით სახელებს იყენებენ:

ე, სოფელსაყე რო გაილოდიყე, ვთქოთ, – რო: **ათ**, **თორმეტი** ქილუმეთი არი, ეგე, მეტი არ არი სოფელსაყე თა ხუნგამდი [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

რიცხვითი სახელი **ერთის** პარალელურად არ გვხვდება ნასესხობა. ეს ლექსიკური ერთეული საკმაოდ მყარია ფერეიდნულში.

ერთ თეს ანქ ვიყავით... [ქდკ, შაჰინა მულიანი].

თითო **ერთ** დასტამ გუგუშერიქა, რო გ ზაჩი ჩონა თანა ვკყვანდეყე, რო დაღიებ-მა და ქურთებმა ყაჩაღობა არ უყონყე [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ერთი განუსაზღვრელ ნაცვალსახელადაც გვხვდება:

მე მეშვიდე კლასში ვიყავ, ხოიგანში ვსწავლობდი და **ერ** დღეს ხოიგანყე მუე-ლა, ვნახე ბოინელები ემ მიწებსა ვნამენ, გუთანით ვნამენ, ამ ჩონ მადრესას გერ-დსა, სუს ვნამენ და ჩონ ხალღი სუნიე ვავჯავრდით... [ქდკ, შაჰინა მულიანი].

გერივაც დავაბრუნეთ ცხორები და წაველით **ერთ** სოფელჩი [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

გვხვდება როგორც ქართული **ორი**, ისე სპარსული **დო**:

ზოგს რო **ორ** ტყივა აქ და სამი, ციმებზე [ღიმებზე] ჯარს ეზიდებიან [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ქობი რო იყოს, დიდ ქობი ყონაღსათი გააკეთო, **დო** საათ უნდა დამზე დადღვა, თორნეზე ნამად დამი გაიზიდოს, ნამად ბრინჯი მოიდეს [ქდკ, საქეია ასლანი].

რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება ძირითადად ქართულსა და მის დიალექტებს მიჰყვება.

პარალელურად გვხვდება რიგობითი რიცხვითი სახელი **პირველი** და მისი სინონიმური წყვილი – ნასესხები **აველა**:

ექითა გაზაფხული რო შადქნების, **პირველი** გაზაფხული, დიდ წყალი გამუა... ეს წყალები ჩავა მიწას ძირზე შაქუჩების და **პირველ** გაზაფხულზე ექით დიდ წყალი გამუა [ქდკ, რეზა მიქელაძე].

ის მეკორე დედაკაციცა ელა ქართველი იყო, ის **აველაცა** დელსაყე ქართველ იყო [ქდკ, რეზა მიქელანი].

ჩემ აველა ყმაწილი თურანა იყო. ელ ემის დედა არი **აველა** ყმაწილი, ელ ემის დედა არი, ჰა [ქდკ, ნარგის აბასი].

დოლას ეძახიან **აველა** ბატკანსაო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

პირველა დამოუკიდებლად საზღვრულის გარეშე ნიშნავს უფროს შვილს:

რა უთხრიათ **აველა** ყმაწილს, რას ეტყვიანყე? – **პირველა**. ჩონ პირველა თურანა

არი. ჩონ პირველს თურანა იყო და იმის უკან ჰოსეინა იყო და იმის უკან ზოლეინა იყო და იმის უკან ბაჰრაბა იყო და სუნივე. ია დადსთა ყმაწილი მყოლია [ქღკ, ნარვის აბასი].

ზმნიზელის ფუნქციით გვხვდება პირველი რიგობითი რიცხვითი სახელი ვითარებითი ბრუნვის ფორმით. ამ შემთხვევაში გვაქვს პარალელური ფორმები: **პირველად** და **აველან**:

ჩავაცმევთ ტანსაცმელსა და ალბათ **აველან** ნებას ადლებენ დედასაყე და მამასაყე, რო აბა ნება გოქო, ეჯზაზ გოქო, რო ახანძალსა ლუბასი ჩავაცოთ თუ არა [ქღკ, სელიყა ასლანი].

ექა **პირველად** მოქუჩდებიან, შეგროვდებიან და წავლენ, წავლენ ემეში პატარძლის სახში [ქღკ, შაჰინა მუღლიანი];

პირველად კაცებში პურს მისცემენ და მერე დელაკაცებში [ქღკ, შაჰინა მუღლიანი]. რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება ჩვეულებრივ მე-ე აფიქსების საშუალებით ხდება: *მეათთე, მეოთხე, მეორე, მესამე, მეშიდე, მეცამეტე, მეცხრამეტე, მეხუთე...*

ფილაქანზე, რო უნდა ერთმა ადღეს, აველანთაყე ამ ერთ, **აველაზედა, მევორეზედა, მესამეზედა, მეოთხეზედა** [ქღკ, რეზა მიქელაძე].

ნახევარი // ნახევი (ნახევი)

ფერეიდნულში წილობითი სახელებიდან ყურადღებას იქცევს ლექსიკური ერთეული ნახევარი, რომელიც ხშირად წარმოდგენილია **ნახევი** ფორმით.

ძველ ქართულში ნახევარის მნიშვნელობით დასტურდება **ზოგი**: „ზოგი ნაყოფთა ჩემთაჲ მივსცე გლახაკთა (ლ. 19,8)“ [შანიძე 1976].

„ნახევარი – „კერძო“, „ზოგი“... განვხიო ზოგიცა ესე და მივსცე ნახევარი და ნახევარი მე წარმოვირტყა Ath – 12, 139, v [აბულაძე 1973:325].

ნახევარი – (+ 25, 10 გამოსლ. ZAA) შუა გაყოფილთაგან ერთი ZAB. შუა გაყოფილის ერთი Cb. განუმარტავია CaqDE [ლექსიკონი ქართული 1991].

ფერეიდნულში:

სხოვან არი საბელით გაყოფილი: საბელა, **ნახევ** საბელა, მარტყოფნი ჩონთან? [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ექ მიღვები ემ **ნახევ** სოფელს დაინახავ, ამ ვარა გვერძე რო მიღვები, იმ **ნახევარს** დაინახავ [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ვერ ვარჩევდი, **ნახევარს, ნახევ** ზომასაც ვერ ვარჩევდი [ქღკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

დიდი ქობები გოქონდისყე, რო შეძლება'დ ემ **ნახევ** ოთაღის ტოლები, ქობები, მისის ქობებს ვიტყით, მისისებო [ქღკ, ირანა იოსელიანი].

მაიყუანენ ემ ბიჭის სახლჩი, მაიყუანენ და დააყენებენ ფევზე... **ნახევ** გზაზე რო მოიღღეს, იმაში შაინახავს, ეს რო ყორის ვარაზე არი, ემას შაინახავს, ანს ბიჭის ვარა მუა, იტყის, რო ბეჭერი შორს არიო, ცოტა გზას მოდიო. არა, არაო, ელ ექ შაინახაო და შაინახავს იქა [ქღკ, ირანა იოსელიანი].

ერთი **ნახევ** საათზე ემას მივცემთ ყმაწილი იყოს, დიდ იყოს, ბაძტა იყოს, სიცხეს მოჭრის მალე და გაკეთლების [ქდკ, ირანა იოსელიანი].

პარალელურად, როგორც წინა მაგალითებშიც ჩანდა, გააქტიურებულია ახალი ფორმაც – **ნახევარი**:

კარგად იყო ერთ დღე და ღამე **ნახევარი** [ქდკ, ირანა იოსელიანი].

ნახევ ფორმა მონაწილეობს კომპოზიციის შექმნაშიც. ნახევმოსწავლე: *ერთი იყო მასწავლე, და ძალით გაყუანილი იყო და ფულით გაყუანილი იყო, გამიგე? – რომელიო, ის ნახევო მოსწავლეო? ნახევმოსწავლეო? – ნახევარმოსწავლეო, მთლიანად არ არი მოღსწავლე, ფულით გაყვანილი იყო, და ეს იმის ბიჭია და თავი დეებიც ეგეთებია, ჰა!* [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი (ასლანი)].

ფერეიდნულს შემოუნახავს **ხევა** ზმნისგან წარსული დროის, ვნებითი გვარის მიმღობური ყალიბით ნაწარმოები *ნა-ხევ ფორმა ნაცვლად სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში დამკვიდრებული **ნა-არ** კონფიქსით ნაწარმოები ფორმისა. ვფიქრობთ, ეს ფორმა საინტერესო ფრაგმენტია ენის სიტყვაწარმოებითი ანატომიის სრულფასოვანი სურათის აღსადგენად.

5. სახელთა წარმოქმნა

5.1. კნინობითი სახელები

ფერეიდნულში არ დასტურდება **-აკ, -უკ, -იკო, -უნა** სუფიქსიანი კნინობითის ფორმები.

კნინობითობის სემანტიკით გვხვდება:

-ა სუფიქსიანი სახელები. -ა მაწარმოებელი კნინობითობის ფუნქციით გვხვდება ცხოველების სახელებთან:

თხა და ცხორი ექს თე ზე იგებენ; სახელები: ჭიჭა, ტყელყურა, წნიკყურა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მისი კვალი შემორჩენილია სახელებში, რომლებშიც კნინობითობის ფუნქცია დაკარგულია: *ხახუნა (ხახვი); წუწუნა (წრუწუნა); ზუზუნა (დიდი ბუზი); კუკუნა (თოჯინა); წირწიალა (ბზრიალა); ჭყინიალა (მბრწყინავი); წალიკა (ერთგვარი ბალახი)...*

დიალექტისთვის დამახასიათებელია **-ა სუფიქსიანი** ანთროპონიმები. ისევე როგორც ქართულში, არის თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმების კნინობითის -ა სუფიქსით გაფორმების ტენდენცია:

მუხტარ // მოხტარ -მუხტარა // მოხტარა:

ერთიც არი რო ჩადც ხებს: მინ დაცცხოვო? – იტყის: მოხტარამ დაქცხოვო? – არაო და მააკრვენ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მაჰმად – მაჰმადა:

მე ვარ მაჰმადა ბათუაშვილი [ქდკ, მაჰმადა ბათუაშვილი].

ბახტიარ – ბახტიარა:

ერთიც ძმა მყავ ვახთანგი ჰქიან, ჩონ დაუძახით **ბახტიარა** [ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].

აჰმად- აჰმადა:

ერთი ალია არი და ერთიც **აჰმადა** არი და ერთიც **მარიამა** არი [ქდკ, თუბა შაჰ-მამადი].

მელიქ -მელიქა:

ჩემი სახელი მალექ მაჰამადი, ქართულად მეტყვიანყე **მელიქა** [ქდკ, მელიქ მაჰამადი].

ნოდარ -ნოდარა:

ღმერთსაყე ვნატრობ და ღმერთს გეფიცებიყე. ორმოცი წელს მინლოდა, **ნოდარაც** იყოს აქა [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეს პროცესი შეინიშნება -ი -ზე დაბოლოებულ ხმოვანფუძიან სახელებთანაც:

ნაზი – ნაზია:

მე მაქ ლექსები, რო ამადამ ეტყვი **ნაზიმ** მაიტანოს [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მიმართვისას გვხვდება ნასესხები ნაწილაკი **ჯან** მოფერების, ალერსობის გამო-სახატავად:

მე ექა უნდა არ დამამიწყედეს ჩემ დედას ზაჰმათები და ვუთხრა: **დედაჯან**, ბიბი მაროხ, მე თუ ჩემ თავიც მოტკლა, შენ მაზლომობასი და შენ ნამაზობასი თალაქას ახირი ომრამდი ვერ გამოიტან (გამოიღებ) [ქდკ, არია ხოსროვი].

– დედაო! – რა’რი, **დედაჯანო** და! – ის ბიჭიო, რ’ალასთან წადაღო, ხო ექ არიო? [ქდკ, ყადირე აყლი].

ჩემ დედამთილმა უკითხისყე: ლალალა, გოლე ლალა, დაიძინე, **დედაჯან**. უყორდაყე, ძრიალ უყორდაყე ესე [ქდკ, გულჩერა ხუციაშვილი].

ოა, **ყოროჯან**, შენ სად იყავ, შენ სად იყავ [ქდკ, შაჰინა მულიანი].

გულო, გულომ, ნაზი გულომ!... გულო, **გულოჯან**, ნაზიმ გულოო! ელ ეგრეა, უმღერისყე და: ბალახს დავიყრიო, ჩამამიყარე ზეო, ხბოს ალან მოგიყუანო, ჩემ ბაუშსაო, ელ ეგრე დახატულადაო [ქდკ, სელიყე ასლანი].

ჰიდრონიმებსა და ტოპონიმებში ასევე შემორჩენილია კნინობითის ფორმები: **ჩქრიალა** (წყაროს სახელი მარტყოფში); **რამაზუნას** ოზო;

5.2. ქონების სახელები

-იან სუფიქსიანი სახელები

დიდჭავრობი, ემის **ბალახიანი** და **წყლიანი** და იქაც იყო ზილი. ვბოებმა წაიკიდის და [წაიდ] უკან-უკან ჩაიდეს და ველარ ამოიდეს. ვერ ამოიყვანეს, მართლა! [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეს ბარანი აიღო და დადვა და ჯოხი მაიტანა, – კომბალი და დოუშინა, ესცა. თავის ბარანი ნამა გადილდა, თქო, რო შენ გიცნოფ და არა მეო და იმაზე დაარქეს **ბარანტორიანი**. გატორა, ტორი ხო ეს? გატორა ნამა [ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

მე დაუძახოდიყე ეკლიან პური: გადმომილე ეკლიანი პური [ქდკ, სელიყე ასლანი].

-იან სუფიქსი წარმომავლობას, კუთვნილებას გამოხატავს:

ის **ასანძლიანი**, მასლან, ემის მამა და დედანი, მასლან, ძმიანილა. ემ ზალს მოლტანენ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მესამე ღამესაცა ლაბასს, ნამაი რამეებსა **ბიჭიანი** აიღებენ და წოლღებენ [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

ხმოვანფუძიან სახელებთან ეს სუფიქსი, ფაქტობრივად, არ დასტურდება. გამონაკლისია ლექსიკური ერთეული **ინა**. ამ სიტყვაზე **-იან** სუფიქსის დართვისას ფუძისეული -ა არ იკვეცება:

ჰა, მა რას იქო, პირიც უნდა აიხოვო, **ინაიან** ველები გექნებისო, ჩარქები გექნებისო [ქდკ, გულაბე ქარბალი].

საინტერესოა, რომ ფერეიდნულში ფუძე **მზე** -იან სუფიქსით გაფორმებული არ გვაქვს. მის ნაცვლად ერთგან დავადასტურეთ **მზეური** ფორმა, თუძცა იქვე მოქმელი ასხენებს ძველ ფორმას **თავმზიანი** // **თავმზია**, რომელიც დღეს მხოლოდ ადგილის სახელად შერჩენილა ფერეიდნელთა მეტყველებას:

სუყელას ხო არა აქონდა, ზოგ სა ერთადა აქონდა, თაის ხორბალი **მზეურ** ადგილზე იყო, ის რომ ძალე მოიღოდა, ეს **თავმზიანიო**, აი, ჩენ ხო გოქ ექა **თავმზია**, ექ აღრე მოღის – მოსვალი, ყურზენი თუ, ხორბალი თუ – სათავე ზედ, სათავე ზედ, ეს **თავმზიანიო** [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

-ოსან სუფიქსი:

სულ სამი მაგალითია დადასტურებული **-ოსან** სუფიქსიანი სახელები სა ქართულ დიალექტურ კორპუსში, რომელთაგან ორი – **ფრიალოსანი** და **ცხენოსანი** ინოვაციაა, **ხელოსანი** კი – ფსევდოლიტერატურული ფორმა¹³²:

თითან ჰყვანდა ჯარი **ცხენოსანი** – ორმოცი [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

და ჩონაც გოგოკითხონ, რო ერთ ხელოსანი დადსწავლოთ.. ყალამი გოჭირების და კითხვა და **ხელოსანის** დასწავლვა [ქდკ, რეჰიმა ონიკაძე].

ხუთი წლის წინ, ერთი გამოცდა მიცა, კარგი, **ფრიალოსანი**, ის გამოცდა ჩააბარა კარგათ [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

-იერ სუფიქსი:

ბედნიერი, მეცნიერი, ნიჭიერი, ღონიერი, ძლიერი.

ამათგან ყველა ინოვაციაა, თუძცა **მეცნიერი** გვხვდება **მცოდნეს** მნიშვნელობით, **ძლიერი** კი **მაგარის** მნიშვნელობით:

132. ამ შემთხვევაში **ხელოსანი** ხელობის, ხელოსნობის მნიშვნელობით არის მცდარად გამოყენებული.

ბედნიერი იყოს ქართველი სუგანა [ქღკ, მანსურ ყალანი].

ის დიდი მეცნიერიც იმას ვერ გააღებს, ისეთ გაკეთებულთა [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეს ათორიალუფს და ცნოფს, რო ექ გათხაროს, წყალი გამოა, ცნობს. მეცნიერი ერი წყალისა, ცნოფს [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ისი ძაან ნიჭიერი კაცი იყო და საქმეს დამლაგებელი [ქღკ, კოლა ონიკაშვილი].

დედას ლექსი გაგაკეთო, რო უფრო ენერჯ დაიჭირონ, ღონიერი შაიქნან, რო ქართულად დედას ლექსი იტყვიან, იფო გოონხარდესყე და ქართულად ასწავლონ [ქღკ, მანსურ ყალანი].

ჩონ იმას მარგალიტს ვეძახოდით. აცმა ღუშვარი ძქონდისყე, ძნელი იყო კედის გაძრენა იქა და რო ძლიერი იყვისყე: რა არიო, მარგალიტეფს ასხამო? ეგრე ვერ აკეთებო? [ქღკ, ქერიმ ალა დარვიში].

-იერ სუფიქსის ნაცვლად -იარ // -იალ სუფიქსის არსებობა ჯერ კიდევ არნოლდ ჩიქობავას აქვს შენიშნული: „-იერ სუფიქსს ზედსართავებისა -იარ სცვლის: ძრიალი (= ძლიარი; სამწერლ.: ძლიერი; ამავე ძირიდან არის ნაწარმოები -იან სუფიქსით: ძალ-იან-ი; შდრ. ძალ-იერი → ძლ-იერი)¹³³; ცარიალი, შიარი (= მშიერი); ქონიარი, შენიარი (= მშენიერი); თორიალუბა (= თვალიერება; ასევეა ინგილოურში; იხ. მოსე ჯანაშვილი, საინგილო, ტფილ. 1913, გვ. 183)“ [ჩიქობავა 2010(1927): 199].

ქართულ დიალექტურ კორპუსში სათანადო კონტექსტური დამოწმებებით შეიძლება თვალი გავადევნოთ განიარი, მშიარი, შიარი, ნეზიარი... შიშიარე, ქონიარე... გემრიელი // გემრიალი, ცარიელი // ცარიალი, ჯელცარიელი // ჯელცარიალი // ხერცარიალი ფორმებს.

-ოვან სუფიქსიანი ფორმები ფერეიდნულში არ დასტურდება.

5.3. უქონლობის სახელები

უ – ურ კონფიქსი:

აი, უბედურის კალო ხო იცი რა არი, ნამჯა ზედ არა აქ! [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ემ ბერ კაცმა, ემ უბედურმა ჯელები შოუყარა და თქო: აი, ღმერთოო, თქო; აი, ღმერთოო, შენ სადა ხარო, რო თქო: ღმერთო, მა შენ სადა ხარო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

უ-ო კონფიქსი:

ქურთი თუ თავი მასჭრა, ღამით უთოფო არ დაწვების, ბახტიარები [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

სოფელი ვნახე უძალოო, შიგ გავიარე უჯოხო [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

133. შეადრ.: -ხელ- ძირისაგან გვაქვს: ხელ-ოვანი და ხელ-ოსანი; ორივე სუფიქსი ერთ და იმავე შინაარსს ატარებს; მნიშვნელობის დიფერენციაცია შემდეგი დროის ამბავია.

ბეური ხოშმაზა შაიქნების ანგერ, **უწყალო, უწყალო** თოქქა წყალი არა აქ [ქდკ, მთქმელი უცნობია].

ერთ კაცმა ამუა, რო **უჭკო** იყო [ქდკ, ლიანა რაჰიმი].

უ-არ კონფიქსი:

ფათირი არი **უფუარი** პური, აღარ ელოდეს, რო გაფუედეს [ქდკ, მთქმელი უცნობია].

გვხვდება **ზმნის ფუძისგან** ნაწარმოები უქონლობის სახელიც:

უქმე უყორდეს [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

5.4. წარმომავლობის სახელები

ფერეიდნულში დაცულია წარმომავლობის გამომხატველი **-ელ** და **-ურ** აფიქსის განაწილების ქართული ენისათვის დამახასიათებელი პრინციპი: **-ელ** –სულიერებთან, **-ურ** –უსულოსთან:

-ელ:

ეს ახალგაზდა **ახჩაველი** იფიცებდა, რო მივხედე დაფაზე ქართულადაო... ბაჭშეფს თავით სახელები ქართულად დეეწერაყეო [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

დაშქეშნელნი და **ბოინელ** – **თოლელები** და **ახჩაველნი** **მარტყოფლებს** გოძახიან [მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

-ურ:

ცოტა **ძელებური** ტანსაცმელი მეცო [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

ემე **ჩონებური** იცის, რო როგო [ქდკ, ზემანე].

იქითლა გადადსჭვრეტ სომხეფს, იქით **სომხური** სოფლებია [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

დასტურდება წარმომავლობის აღმნიშვნელი საინტერესო ფორმა – **სომხურანი**:

ეხლა კი ქარიმხან თითან მუსულმანი 'ყო. ეგონა, რო ესები ქართველები ანუ ქრისტიანებია, და დილობახან, ეს **სომხურანი** მამა-დედანი როგო არი, ერთ ილლიასაყე ჩადვარდა, დაიხედა და თქო: ესები ხო ქართველები 'ყო და მუსულმან მაჰმადიანები, რათ გაძწყვიტეყეო? [ქდკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].

შენიშენა: ზმნი ზედებზე **-ურ** სუფიქსის დართვით იწარმოება როგორც სულიერი, ისე უსულო წარმომავლობის სახელები:

ანქაურ მეფესა:

წაიდა და რო მოიდა ანქა, **ანქაურ მეფესა**, საქართველოს მეფეს უთხრა, რო ერთ ეგეთი ადამიანი, კაცი არი ექა ციხეში და ესე მინდა, რო მომცე.

აქაურ მარხუა:

აქაურ მარხუა, ღამედ რო ოთხი საათ უნდა ადდგე, შადშჰამო, დალივო და არა რამე არ შადშჰამო, არ დალივო და მეორე საღამოს, ღამესღა, რო მზე ჩავა, დაბლენდების, უნდა პური შადშჰამო, **აქაურ მარხუა** ემნაირათ არი.

-იურ // იულ:

მოუნახეს ემას ერთი ქმარი, რო **დღიურ** მუშაობას იქმოლა, არცრაც არ იცოლა [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ეს ყოჩია – მთიულ ბატკანი, მამალ ბატკანი შაიქნების, ჩონ ყოჩს კეძახით [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

იმის შემდეგ იციან ქურთებმა, ქართველებსაყე ვერ იქურდებენყე... იმაში თას ამბავი იყო და თიულ კაცსა, ეხლა შამოსულან ქალაქი და ბანკებში და სახლებში და სახლებში იპარავენ [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

-დელ გვხვდება დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან: *ამაშინდელ, დღევანდელ, ეხლანდელ, იმაშინდელ, მაშინდელ, წინანდელ... ნასესხებ სიტყვასთან ყადიმად (= ძველად) – ყადიმანდელი (ძველებური).*

ამის თავზე საფლავები არიან, **ყადიმანდელ, წინანდელ** საფლავები ყოფილან [ქღკ, რეჰიმა ონიკაძე].

წაველ, თოფი ვიყიდე, **იმაშინდელ** თოფი, იმაში ვიყიდე ათ ხომეინზე [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ღიახ ნამაი ბარნამები იყო ემ **წინანდელ** ბარნამებში, მასლან, ქორწილებში, ნამაი ქორწილები იყო [ქღკ, თუბა შაჰმამადი].

ეხლანდელ ყორები ცომსაც არ დააკრვენ, არც დადგვიან, არც დადრეცხენ, არც ყაზას გააკეთებენ, არცრა არ იციან, ჭაყათ ყალიჩა [ქღკ, გულაბე ქარბალი].

მგ ზავრი ფორმა ფონეტიკურ ნიდაღზე საწყის სუფიქსს აღიდგენს: (მ)გზა-ურ-ი: **გ ზაური** შემეყარა, უთხრა: ბიჯო, მე რადგენ ვირი მყავ? უთხრა: ხუთი! – აბაო!? **გ ზაურმა** უთხრა: ოთხი ვირი ყავ, ერთიც შენ, – შაიქნებით ხუთი [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

სუ ფევსაცმელები გაივადეს და ფევიშველა ჩამოიდეს სოფელჩი. რო დაბრუნდეს **გ ზაურებს** ფევსაცმელები წელოყე [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ისი თავის შვილეფსათი ეთქო, რო ეს ვინც **გ ზაურმა**, მოიდა, ექით ყურზენი დაკრიფა, შაჭამა, დალივა არმის ეძობა არა აქ რო იმას უთხრა, რატო. ესე **გ ზაური**სა არიო ეს ყურზენები, ეს ვენახებიო, ვინც **გ ზაური** გაღის და გამოღისო, უნდაო მოიდეს, შაჭამოს, არვის არ უნდა უთხრასო, რო რატო, რათიო? [ქღკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

-ეულ სუფიქსი:

ფალანგი არი, შირი არი, რა ვიცი, **გარეულ** ღორი არი შიგა [ქღკ, ჰაიათ იოსელიანი].

შემოდგომაჩიგა კარგი, **მოწეულ** ყურზენი დაჭკრიფითყე [ქღკ, მაჰმად ბათუაშვილი].

5.5. დანიშნულების სახელები

სა-ო კონფიქსი: სათამაშო, სამორო, სამუშაო, სანადირო, სასეინო // სასეილო, სასოფლო, სასტუმრო, საფლაო, სასაფლაო, საფქილო, საქათმო, საქორწილო, სალინო, საყეენო // საყეინო, საყელო, საშიშო, საშუალო, საჩენო, საჩივლო, საჭირო, სახალლო, საჯეჯეიმო. სასწავლო, საუზმო, სახორბლო...

ეს ნარმი იყო ყმაწილეფსათინა **საზლო**, რო შაცივდეს [ქდკ, საფეა ასლანი].

ცხორეფსლა რო გაძკრენჭავთლა, მატყელა ჩავდეფთლა, ზამთრის გუნდა **საჯე-ჯეიმო** ჩავასთოთ. ჯეჯეიმები ჩავასთოთ [ქდკ, ნარგის აბასი].

ეს **სამორო** რო არი ელა ზედ უწერია ძორთეზა ყული ბეიქ, ქარსულად სახელი გამოოცლია, თავი სახელი ყოფილა ხანჯანა, ეს ყოფილა [ქდკ, შაჰინა მუელიანი].

ერთ თეს ქამიღმა სუ ირანი მაიარენ და ახირჩაღზე ყუმჩი თაი **სამორო** მონახენ [ქდკ, არია ხოსროვი].

ანქით მე და ექაც შენ, ავაქსივეთ **საქათმო** [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

შემონახულია ტოპონიმებში:

ერთსა დიწერს დაძახიან, ერთსა **სატრედოს** დაძახიან [ქდკ, რეჰიმა ონიკაძე].

სა – ო კონფიქსიანი სახელია შემონახულია ტოპონიმებშიც: **სალინო ლელე, სას-კლინტოს მთა...**

იქა წაიყუნა, **სასკლინტოს** თა იყო, თანდილოს ქუბა იყო [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ზოგჯერ გვაქვს სა-ო კონფიქსიანი წარმოება ისეთ ძირებთან, რომლებთანაც დიასისტემაში სა-ე წარმოებას აქვს უპირატესობა:

სა-ქმ-ე // სა-ქმ-ო: სამ-ოთხ წელი ელ ექ იყნეს, **საქმო** ხო არა ქონდაყე რა, წაილოდენ ასლანყე წისქილს უკან ემ ტინეებზედა და დაჯგვიან ემ ტინეებზედა და ეს ტინეები ახურდავიანყე და დასჭრიტდეს ემ ტინეებსა [ქდკ, ჰაჯი ყოლამ ჰასანე ყასემი].

სა – ე კონფიქსი:

საკოლიტე, საკინძე, საკოლოთე, სამალდე, სამარე, საპალნე, სამარილე, საპალნე // საპანე, სასანთლე, სასახლე, სახორბლე...

ემასა აქია საკოლოთე. [ქდკ, ეზათ ყალანი]; ეს **საკოლოთე**, ესე [ჩევენებს]. იმ ყადიმადა, ეხლა იქ იფო აღარა ძენდებიწყე, ჰა, ყადიმადი ეს ველსაცმელია ველსაცმელია, ბარს რო აიღებ ველჩი, არ დაგიჭიროს ველმა [ქდკ, ბათუანი].

ხარს რო შაპირდეს, იტყოდეს: **სამალდეები** (=აპეური) გოოჭირე [აბოლყასემ აჰმადი].

რადმა რო ჯორი და აქლეში ჰყვანდაყე, შამაჰყარეს და დაიჭირეს **საპალნეები** და მეორე დღეს აჰკიდეს და წაეიდეს, რო გაეიდენ ინდისტანს [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

თავსახნი ბოძი იყო და ემ ბოძზეგაცა **სასანთლეს** ვეძახოდით, ემველა ჯოხი გამოთლილი თეფშსავით ტარი აქონდა, დატანული ველი აქონდა ემ ბოძსა, რო შოოგდიანყე ექა და ზეთი რო ამ სერა რო თქო, რო სერა ზეთს რო იჭერდეს იმაში [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

სა- -- ელ კონფიქსი:

გადასავლელი, სათლელი:

ჩონი ესეები – ერთი შად რო კაპიკი იყოს, **გადასავლელი** არ არი, ისეები გადასავლელი გერივაც სხო გოქ, რო ჰქიან მალიათი, და სარბაზი [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

სთქიო, რო ჩონ ათ მილიუნი მოგუცია შენთი, თავის სათლელი შენყე გუბარევის, გუმუგუყვანია-მეთქი [ქდკ, აზიზ-ოლა სეფიაშვილი].

ფერეიდნულის ერთ-ერთი თვალსაჩინო თავისებურებაა, რომ დანიშნულების სახელთა წარმოების მიმდებური სა- -- ელ კონფიქსიანი ყალიბის პარალელურად ხშირად (და უმეტესად) გამოყენებულია ნათესაობითი ბრუნვის მავრცობიანი ფორმა: ჭამასი, დალევასი, მოძოვნასი... (საჭმელი, სასმელი, მოსაძოვი...). ზოგჯერ კი ნათესაობითი -თვის თანდებულთაც არის გართულებული. ასეთი (-თვის თანდებულნი) ფორმები ორგვარი ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს: როგორც დანიშნულების აღმნიშვნელი განსაზღვრება და როგორც მიზნის გარემოება¹³⁴: ამოჭრასათი (ამოსაჭრელი // ამოსაჭრელად), დასენებასათი (დასასავენებელი // დასასვენებლად), მოძოვნასათი (მოსაძოვებელი // მოსაძოვებლად)... ასევეა: გადასლასათი, გაზომვასათი, გათხოვნობასათი, გაკეთებასათი, დაბმასათი, დარეცხვასათი, შანახუასათი, დალევასათი...

ამოჭრილია, ის უნდა ემეთ ამაღჭრა, ამობეჭდილი. მე ის რო იმას ამაღბეჭდის, საქართველონი ვიყიდე, რო ჯოხის **ამოჭრასათი** (ამოსაჭრელი) [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)]. და ერთი ელამ წიმას **მოსლასათი** (წვიმის მოსაყვანი) იყო, იკითხევდეს: ანინი, მანინი, ღმერთმა მოქუტეც ტალაზი... [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი]. მეტობა ჯევი რო ბაიტა არი, **მოძოვნასათი** (მოსაძოვებელი) [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი]. ამ ჩემ დედის ბიძას ბიჭმა ბევრი იწუნა და ანს ემას **გადასლასათი** ნება (გადასვლის ნება) გამართო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)]. ერთი ჯოხიანყე **გაზომვასათი** (გასაზომი), მაღალი, ეხლა მგონია სამი მეტრა იყოს და ექსი და ექსნი ეს ემები დაყოფილი იყო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)]. ეს ჩამბარა, ჯარებსათვი გოუკეთებია, ჯარებსა **დაბმასათი** (დასაბმელი), ჯარებს გადაცმევ კისერზე – ჩამბარა, ჩამბარა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)]. ელ ეგეთ თამიზ რამე შადქნების, თუ მალაჟაცა ქნა, ხო ნამად **დაგებასათი** (დასაგები // დასაგებად) და ემესათი, ნამად. მასრაჟს იქმენ [ქდკ, ზეინაბხათუნა ლაჩინანი]. ნამად წყალია. არ დავლევავტყე, ჟაყათ რო **დარეცხვასათი** (დასარეცხი // დასარეცხად), დავრეცხავთ და ლაბასათი [ქდკ, ზივარა ბარათი]. ემას ეგრე ფევით ეტარებინ, რომ ეს ეგრე ჩაილაჯების. გამაგრდების, მერე უნდა ყაზმათა, დათხლიშო, აჰყარო, ჰურის **დაკრასათი** (დასაკრავი) [ქდკ, აბოლყოსემ აჰმადი]. ცეცხლის **აღებასათი** (ცეცხლის ასაღები). აი, მოკეცილი. მჭედლეფსაც აყე, ხო და ბატარებიც სახლეფში რო არი

134. ზოგჯერ განსხვავება მკვეთრია, ზოგჯერ კი ორივე მნიშვნელობა შეიძლება ვიკულისხმოდ. მიზნის გარემოებად ამ ფორმათა გამოყენების შესახებ იხ. აგრეთვე ქვემოთ (თავი XIII, 3.3).

[ქღკ, აბორეზა რაჰიმი (ღავითაშვილი)]. *ჩემ მამას ბევრი რადათობა ჰქონდა და ბირიტყების შანახუასით (შესანახი // შესანახად). ერთ ჰოტადი მაიყვანა ხამისლებყე და მერე კიღე ბეური ჰოტადი გამოცვალა [ქღკ, არია ხოსროვი].*

სა-ურ // სა-ულ კონფიქსი:

საკლიტური, სამკაული, საფეკური...

*ჩემ ქორწილჩი ნალარა იყო, და სხო მუსიყის, **სანთური**, იცი **სანთური**? სანთურის იყო. ეხლა ემესა [ქღკ, თაღერა რაჰიმი (ზაირა ღავითაშვილი)].*

*ერთ ცხორს რა აქ: თავ-ფევი... ცური და **საფსმური**... [ქღკ, მუხტარ ასლანი (ღარჩიაშვილი)].*

*ბაღავი! – იმასაც აკეთებენ. იმას რო მოიტან და **საფეკურ** აღვიღ არი აუზსავით, ღიღი ჩადჰყრიან ათი, ოცი, თხუთმეტი ბარს, ბარგს რო [...] ლოღები მოსულა და ჩადჰყრიან იქა, იმაზე ჩადჰყრიან და გააწორებენ, გაავაკებენ... [ქღკ, ჰვიღარ ასლანი (ღარჩიაშვილი)].*

*მე ღაქღექ ღარვაზის უკან, სამ-ოთხიც იქ ღავაყენე ჩონყე, რო თუ არ გააღებთ-მეთქი, ტყივაით კარს ღავხრეტთ, **საკლიტურს** და შამუალთ [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].*

*ცოტა ფული იქედან, იქედანა, ვალა, **სამკაულებიც** გაჩყიღე, ოქრუებიც გაჩყიღე, ფული მოანგროვეთ [ქღკ, ზეინაბ ონიკაშვილი].*

სა-არ კონფიქსი:

სალოცარი // სალოცვარი, სამებუარი // სამებუარი...

***საფუარის** ქუას ეძახოდის. იქითყე, იმ **სალოცარის** თას ფეკზე, ის ქუები იმ რაიონსაყე მაიტანიან და საფუარის ქუა ჩადვიანყე და ცომჩი, რო მოზილიანყე. ეს, ეს ექით ღავარდა, კი [ქღკ, ჰვიღარ ღარჩიაშვილი].*

*ავერიავღეს და წამოვიღეს **სამებარზე** [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].*

*ანქ თათაშვილის გორასაყე **სამებუარი**, რო ღურბინს ვეძახით ჩონ, ქენ ეძახით ღურბინი, ჩვენ ვეძახით სამებუარი. სამებუარი დაათორიავღეს, რო აუ, ეს ველი სავსე იყო კღარით [ქღკ, მუხტარ ასლანი (ღარჩიაშვილი)].*

5.6. ხელობის სახელები

მე-ე კონფიქსი აწარმოებს ძირითადად ხელობის სახელებს:

მებაღვანე // მებაღუანე, მებაბონე, მებატკნე, მეველე, მეთარგმანე, მეთეკზე, მეთოღე, მელექსე, მემთაბარეები, მემთეები, მენაღირე, მენაღარე, მესახლე, მესტირე, მესტირ-მენაღარე, მეფუტკრე, მექათმე, მექორწილე, მეშიქლე, მეჩობნე, მეცხვარე, მეცხორე, მეწისქილე, მეხრე, მეჯარე, მეჯულე...

*(ასეთივე წარმოებისაა **მეგერღე**, რაც გვერღში მყოფს, გვერღით მღგომს, გაღატანით – თანამოაზრეს ნიშნავს).*

მებაღვანე (მევენახე):

ეს მებაღვანე მოღდა, ეს ბერ კაცი: შე აზამონდა, შენ იყავ, რო ეს ჩემ ყურზნები ეღღენ შაშჰამე და ევე გაჰამრე [ქღკ, თუბა შაჰამაღი].

მეჯულე (ქეჩაზე მომუშავე):

ჯული, მეჯულე არ გინახავ? მეჯულე არი, მეჯულე ჩონთან მოდიან, ჯულსა წინდისა, რომელიც მატყლის არი ჯული, იმას აქუჩებს და წაიანყე, ბრინჯებში ყრიან და ბრინჯი მოდის იმით, ჯულით კარგი. როგორც როცა ხვრის კორკლი ჩოუყარო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მეაბონე:

იმ ქართველ კაცს, ვინც იქ მეაბონე იყო, უთხრეს, რო: შენ წახლ მარტყოფრიგა, იმ ხალხს ეტყიო, რო ხომზის ყელზე გაიცორცნესო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

საინტერესოა, რომ ფერეიდნულში მე- – ე აფიქსებით ხელობის აღმნიშვნელი სიტყვების აღნიშვნის მოდელი იმდენად მყარია, რომ ხელობის აღმნიშვნელ ინოვაციურ ფორმებს ამ მოდელით აფორმებს. შესაბამისად, ფერეიდნულში პროფესიის აღნიშვნელი სხვა აფიქსების ნაცვლად გვხვდება მე- – ე.

ა) ქართულში დადასტურებული აქტიურ ზმნათა მიმღებობური ფორმებისა. **თარგმანის** მნიშვნელობით ფერეიდნულში გვაქვს **თარჯუმანი**, თუმცა ქართული თარგმანის შეთვისების შემდეგ გაჩნდა ხელობის აღნიშვნელი სიტყვაც – **მეთარგმანე** (თარჯიმანი):

მთარგმნელი – მეთარგმანე:

მინა მყოლია სახჩი ყონაღად: ... ვახტანგი ბალავაძე, რო სამ დღეს ჭიდავობაჩი მეთარგმანე ვიყავ თავითი და ფევსაცმელები ვახტანგს ჩემ ფულით უყიდე [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ბ) ქართულში დადასტურებული მედიოაქტიურ ზმნათა მიმღებობური ფორმებისა: მოსახლე – **მესახლე:**

შავლენ სახჩი. მესახლეს შოკივლებენ: წიმა გინდა, თუ ვმელიანობა? დააკილლეს: ჩონ ბზე გოქ და მზე, არ გუნდა მზე. შავლენ ეხლაკი [ქდკ, ზეინალ აბედინა რაჰიმი].

ანს მესახლე ეხლაკი კაკალსა, და ფშატსა ჩოოყრის ემ ყმაწილეს, ემ ბავშეფს. ბავშები წავლენ ეხლაკი ამ სხო სახჩი. გერიმ ემემ რაყამ იკითხვენ და გამოვლენ, რო მაფშინდოს [ქდკ, ზეინალ აბედინა რაჰიმი].

ამ ბონელსა ებნევის მესახლე. კარგათ ხო იყავო და კარგათ გაატარეო და აბა, როგო მოხდაო... [ქდკ, მუხტარ (ასლანი) დარჩიაშვილი].

მონადირე – მენადირე:

ჩონი – ჩემ პაპა, ჩემ მამას პაპა მენადირე იყო და მარტყოფრი მენადირები ივრე იყნეს, რო ოთხი–ხუთსა თოფი ექონდა და ერთ ოციცა სხუები აიყუანიან და წაიდიანყე თაჩი [ქდკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

მენადირე ინოვაციაა, ნადირობის მნიშვნელობით ფერეიდნულში გვხვდება **შიქალის ქმნა; შიქალზე წასვლა;** მონადირის მნიშვნელობით კი შიქალი (შიქალის პირველი მნიშვნელობაა გარეული თხა, პარალელურად, თხაზე მონადირე – შიქალი):

შიქალუნიო, ვიტყითხე, ჰო, **შიქალი ალან**, **შიქარ**, **შიქარ** და მონადიროა ქართული [ქდკ, იოსებ ხუციშვილი].

ამავე მთქმელის მეტყველებაში დადასტურდა ინოვაციები **მონადირო**, **მონადირე**, როგორც მსაზღვრელი:

–*შიქალუნიო, ვიტყითხე, ჰო, შიქალი ალან, შიქარ, შიქარ და მონადიროს ქართული. და ხუციშვილები, ყველანი ყოფილან მონადირენი კაცები [ქღკ, იოსებ ხუციშვილი].*

მეომარი ინოვაციაა, ის მხოლოდ ორჯერ გვხვდება ფერეიდნულ ტექსტებში:

შენაო რამეო არ გინდაო, დაბარებაო, რამე საქმეო საქართველოში რამეო და თქო, რო ჩონაო ერთ იყოო, მეომარი ანქაო, ციხეშინაო, პარსელიო და თუ შენაო ანსი აიყვანო და გამოხიდეო, ე, ძალიან კარგიო [ქღკ, იოსებ ხუციშვილი].

ჩამაყოლეს ექა ქაპრი ზე. მოდდა, ერთი მეომარი მადყვანა და ერთიცა ჯალადი, თავები ჰჭრაყე [ქღკ, ალიმერდუნა იოსელიანი].

ასევე ინოვაციაა ფერეიდნულში ლექსიკური ერთეული **ომი**. მის ნაცვლად გამოიყენება **შუღლი**, რომელსაც ასევე აქვს ბრძოლის მნიშვნელობა. რაც შეეხება მეომარს, მისი მნიშვნელობით გვაქვს **მოშულარე**. დიალექტმა შეითვისა ახალი ლექსიკური ერთეულები **ომი** და **მეომარი**.

5.7. აბსტრაქტული სახელები

აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი: **-ობა**, **-ება** პრეფიქსები და **სი-** – **-ე** // **სი-** – **-ო** კონფიქსები. ფერეიდნულში ამათგან დასტურდება: **-ობა**, **სი-** – **-ე**, **სი-** – **-ო**.

სი- – **-ე** კონფიქსი აბსტრაქტულ სახელს აწარმოებს ნიშან-თვისების გამომხატველი სახელებისგან [შანიძე 1980:131].

უნდა აღინიშნოს, რომ ფერეიდნულში სულ რამდენიმე ფორმა შეგვხვდა **სი-** – **-ე** კონფიქსით ნაწარმოები: **სიმდიდრე**, **სიმწკინტე**, **სიმწნიკე**, **სიმწონე**, **სინათლე**, **სისქე**, **სისწორე**, **სიცვიე**:

აღვა, ააკიდა, გავიდა გ ზაზედ – სიცივემ მოკლა. და ემას დაარქეს ქარევან ქოში [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

სიმწკინტე ნიშნავს ეს ხორცი რო ჩემთი მუუციაო, ერთ წიწკნა ემე არა აქო, ერბო. ჭლეს ხორცი, მარალი არა აქო...სიმწკინტე არა აქ ემ ჯორცსაო. მე როგო შავაჭამო ეს სტუმარსაო და მუშა კაცსაო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

დასტურდება **სი-** – **-ო** კონფიქსიანი ფორმაც:

ის, პირველად ის, სიტკბო, შექარი შეშებზე, ემ ჯაყჯაყის ხალღმა მონახა [ქღკ, მუხტარ ასლანი, (დარჩიაშვილი)].

ფერეიდნულში არ დასტურდება **-ება** სუფიქსი აბსტრაქტული სახელის მაწარმოებლად, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ **-ება** სუფიქსი **-იერ-ზე** გათავებულ ზედსართავთაგან აწარმოებს განყენებულ სახელებს [შანიძე 1980: 131].

ფერეიდნულში კი **-იერ** სუფიქსიანი სახელის გამოყენების მხოლოდ 5 შემთხვევა გვაქვს და ყველა ინოვაციაა.

-ობა სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელები ფერეიდნულში გაცილებით მეტია, ვიდრე **სი-** – **-ე** კონფიქსით ნაწარმოები.

-ობა სუფიქსიანი სახელები. -ობა განყენებულ ცნებათა სახელებს აწარმოებს არსებით სახელთაგან და მოქმედებითი გვარის მიმღობათაგან [შანიძე 1980: 130].

-ობა სუფიქსი კონკრეტულ სახელს ერთვის და სძენს ზოგადად არსებობის სემანტიკას. მაგ.: ცნება **ადამიანი** და მისი ყოფის აბსტრაქტული გამოხატულება **ადამიანობა**, – იყო ადამიანი, გქონდეს ადამიანის თვისებები (ადამიანად ყოფნა); ძმობა – იყო ძმა, გქონდეს ძმური ურთიერთობისთვის დამახასიათებელი თვისებები.

-ობა სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელები მრავლად გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც. ის გვხვდება იმ ფორმებთანაც, რომლებსაც დღეს **-ება** დაბოლოება აქვთ: ერთგულობა; სნეულობა; უბედურობა.

-ობა:

ერთ თავი აქ და უჭკუობა! [ქდკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

მუდამ შენ ლოცულობაზე ვდგვივარ მეო, რო ესეთი შვილი მამეო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

საქართველოში რო ჩამოიდე და ისეები იგეთ გაზდილობა მაქ, რო მოალ პირვალა აქ, თუ პური მშობილეს-მეთქი. დავარაკუნეფ: კარი გამილეთ! – გამილეფს და თუ არ გამილო, გავაღებნიეფ-მეთქი [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ფერეიდნულში თამაშობების სახელწოდებები ძირითადად **-ობა** სუფიქსით იწარმოება: ჩობანგაწყვეტილობა, კოჭაობა, კანკლობა, მოხრა-გადხტომა, თაჭმოვლიობა, კენჭაობა, ტკაველობა, ქოლაქაჭქაობა, ქამარბანდობა, ქამარობა, კოჭაობა, დამალვობა...

თამაშობა, ქართუელ თამაშობები: დამალვობა, დამალუა. დაიმალებოდეს ბავშვები ითამაშებდეს ორი ჯგუფი [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

ეხლა ესეც ელა გოგობის თამაშობა არი. იმნაირი ბიჭები სა თაჭმოვლიობა [ქდკ, ალი რეზა რაჰიმი (დავითაშვილი)].

-ობა სუფიქსი იმდენად აქტიურია, რომ ნასესხებ სახელებსაც დაერთვის და ამავე ყალიბში აქცევს მას:

ჰა, აბა, როგოი კაცი ხარ, რა ხარ? ჰა, მა, ხო აშეყობა არა ექნა ხო, არა ექნდების შაირთოსა ადამიანმა, უნდა აშეყობა ქნასლა და [ქდკ, ნარგის აბასი].

ხო, ეხლა ეს საბჭოთა კავშირი ჩონთან დაილივა, ჩონთი ხო ნამაი შაიქნა? აზადობა (=თავისუფლება) შაიქნა, გავდივართ და გამოვდივართ. მიდიან-მოდიან [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ემას არცრა აღარა აქო, ესა ექონდა თავის მარიზობა (=ავადმყოფობა) და ხალღსა კლევდაო, ეხლა ნურცრასაყე ნუ გეშინიანო [ქდკ, ჰაიათ იოსელიანი].

რო წახლო ინდისთანსაო, იქ ნახოშობა იქნებისო დიდი. იმ ნახოშობის წამალიო ეს ფშატიაო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ნახოშობა სპარსულია (nāxoši) და ნიშნავს ავადმყოფობას. სეიფოლა იოსელიანი ძირითადად ამ ნასესხობას იყენებს საუბარში, თუმცა ერთგან პარალელურ ფორმასაც გვთავაზობს:

დოუმეტდა ავადობა, რო ნახოშობა იყოს [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

როგორც ჩანს, საქართველოში ყოფნის დროს მის ლექსიკაში გაჩნდა პარალელიზმი – ავადობა.

ასე მოხდა შემდეგაც. მეოცე საუკუნის 60-70-იან წლებიდან ჩაწერილ ტექსტებში ავადმყოფობის მნიშვნელობით გვხვდება სხვა ნასესხობა, რაც სეიფოლა იოსელიანთან არ დასტურდება – **მარიზობა** (=ავადმყოფობა, არაბული mariz):

ჩემ მამასაც იმაში ერთი მარიზობა ჰქონდა, სარათან... ჩუნ სარათანი, ხობ, ის მარიზობა'რი, რომ მაჰკლავს ადამიანსა [ქდკ, რეზა მიქელანი].

პარალელურად, იმავე მთქმელის მეტყველებაში ჩნდება ინოვაცია:

ჩემ მამასა დავსილი ემე იყო, თავი დაალონისყე. თავჩი ავადყოფობა ჰქონდისყე [ქდკ, რეზა მიქელანი].

ეხლა მაშინებოდა არი, იმაშინდა ბადბახტობა (=უბედურება, საცოდაობა), ღირქით წაიყვანიანყე, ეხლა მაშინითლა წაიყვანიანყე [ქდკ, მეჰრი აბასი].

-ობა სუფიქსი დღეს ძალიან აქტიურია ფერეიდნულში და ამ ყალიბში აქცევს ბევრ სიტყვას:

სადაც რო ლოცულობა არი... [ქდკ, მუნხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ქართველ კაცები იყენეს და ეხლა არკაცობა ძალას იძახის.; კაცი არ არი. არკაცობა ძალას იღებს, რომელ თითფრინავით მოღის, რომელიც მუშაქით მოღის, ექ ზის და, აი, იმ დოგმას აჭერს ხელსა და მუშაქს ავ ზავნის ცაჩი. ეხლა ის ბრძოლა არ არი, ეხლა არკაცობის ბრძოლა არი [ქდკ, მუნხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ჩხუბობა, გამადვარდნიაყე ერთი ამეფსაყენა ემეს მოოკლავყე, ერთი არ ვიცი, ოთხი-ხუთი ძმა ყოფილან [ქდკ, ქერიმ-ალა დარვიში].

შიდი დღეს იქა თამაშობა იყო და ცეკვობა იყო [ქდკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)].

-ობა სუფიქსიანი სახელები კრებითობის ფუნქციით. თანამედროვე ქართულში **-ობა** სუფიქსიანი სახელების ერთ ნაწილს აბსტრაქტულობის ნიშანთან ერთად კრებითობის სემანტიკაც აქვს. ეს მნიშვნელობა მათ მოგვიანო პერიოდში უნდა ჰქონდეთ შეძენილი.

ფერეიდნულშიც **-ობა** სუფიქსი, გარდა აბსტრაქტული სახელებისა, გამოხატავს კრებითობას, ხშირად ძალიან ძნელია კონტექსტის გარეშე გარკვევა, რომელთან გვაქვს საქმე:

მოჯა ერთ კაცი იყო, ქე ხალღთი ნამაზობა... მოზობლობა უყორდა, სუ მინმეს თავსა ჰკრავდა, გამაიკითხავდა – მუშაობა და ვარზეში ბევრი უყორდა [ქდკ, არია ხოსროვი].

მოცემულ მაგალითში შესაძლებელია ორივე ფუნქცია მიუსადაგო **-ობა სუფიქსიანი** სახელს, თუმცა ფერეიდნულში გვხვდება სახელები, რომლებშიც კრებითობის ფუნქცია ეჭვს არ იწვევს:

წავალთყე ახანძლობა. ახანძალს ლებაას ჩავაცომთყე [ქდკ, სედიყა ასლანი].

ძე ზობლობა ღამითა რო შაიქნისყე, ხო ზამთრისა საქმე რამე ხო არ იყვისყეღა.... წაილიანყე და დასხდიანყე ერთმანეთთანა და მეტად იკითხიანყე ერთი წივნი არი შაჰნამას დაუძახით ჟერდოუსისა [ქდკ, იოსებ ხუციშვილი].

ადრე დელაქალავი იქ ყოფილა. იქ წაყვანა'დ იქ მისცა ემე, უფროსობა ისპავა-
ნისა [ქდკ, მაჰმადა ბათუაშვილი].

„ვისრამიანში“, რომელიც XII-XIII საერო ჟანრის ნაწარმოებია და ცნობილია მრავალი ენობრივი ინოვაციით, იმ დროისათვის სამეტყველო ქართულისთვის დამახასიათებელი ფორმების სიუხვით, დავადასტურეთ მხოლოდ ორი მაგალითი **-ობა** სუფიქსიანი კრებითი სახელებისა, დღეს კი **-ობა კრებითობის** აქტიური მაწარმოებელია.

-ობა-ს პირველადი ფუნქცია ქართულში იყო თვისობრივი ერთობლიობის გამოხატვა, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ **-ობა** სუფიქსიანი სახელების მხოლოდ პატარა ჯგუფს აქვს პარალელურად სიმრავლის გაგებაც. ეს ადამიანთა კლასია. **-ობა** სუფიქსიანი სახელების სახასიათო თვისების რაოდენობრივში გადასვლა მოგვიანებით უნდა მომხდარიყო ამ ჯგუფის სახელებში [Bakuradze, 2017: 33].

ფერეიდნულს, იზოლაციაში მოხვედრილ დიალექტს, მრავალი საინტერესო მოვლენა აქვს შემონახული. სწორედ აქ არის უხვად შემორჩენილი **-ობა** სუფიქსიანი სახელები, რომელთა ერთი ნაწილი აბსტრაქტულია, ერთი ნაწილი კი არც აბსტრაქტულ და არც კრებითთა ჯგუფს არ მიეკუთვნება. აქ სინონიმურ წყვილად შევხვდებით ფორმებს: დილა // დილობა; ენა // ენობა... – ისინი გამოიყენებიან ერთსა და იმავე კონტექსტში, თუმცა სისშირის თვალსაზრისით აშკარა უპირატესობა აქვს **-ობა** სუფიქსიან სახელებს:

ურუჯობას დავდახოდით ჩონა. არც რას შავჭამდითყე. ერთ თესა, ოზდათი დღესა. ღამით შავჭამდითყე და დილობას აღარ შაქჭამდითყე [ქდკ, ნაჯაჰა გუგუნანი].

უნდა გამოანიავოთ ჩონ [უნობასლა] და გამოანიავოთ – ვეტყით ჩონ ჩონ ენობაზე (ენაზე) [ქდკ, ჰაჯი ნაზემა ხოსრაშვილი].

და ზამთრობა მუა, დიდ თოქლი მუა და წავალთ გომზე, დავხეტავთლა [ქდკ, ნარგესი აბასი].

ფერეიდნული ამავე ყალიბს იყენებს განყენებული ცნებების გამოსახატავად სპარსულიდან ნასესხებ ლექსიკაშიც:

ერ თე რო ფაი ზობა¹³⁵ დავარდებისლა, თოქლი მოა თა რო ნაურუ ზობამდი თოქლი მოა სახტია, დიახ სახტია [ქდკ, ზივარა ბართი].

თვისების სიმრავლე პარალელურად მოიაზრება, როგორც არათვლადი სიმრავლე. ფერეიდნულს შემოუნახავს ის გარდამავალი მდგომარეობა, როცა **-ობა** სუფიქსიანი სახელი არ არის აბსტრაქტული, თუმცა თვისების ინტენსივობას, თვისების სიმრავლეს გამოხატავს.

ქართულ დიალექტებშიც ვხვდებით ამ ტიპის სახელებს: „პატარა ბავშვს ბებია მოფერებით უხმობს: მოდი, ქალობავ, ჩემთან! (ქართლ).“

135. *ფაიზი, ფაიზობა* = შემოდგომა

ამ ტიპის -ობა სუფიქსიან ადამიანთა კლასის აღმნიშვნელ სახელებთან ჩნდება შესაძლებლობა თვისების სიმრავლე გადააზრიანდეს რაოდენობრივ სიმრავლედ. სწორედ ასე იღებს კრებითობის ფუნქციას -ობა სუფიქსიანი სახელები ზოგადად ქართულში. სწორედ ამ გადააზრიანების შედეგია ფერეიდნულში არსებული **მეზობლობა, ახანძლობა** ტიპის კრებითი სახელების არსებობა.

ფერეიდნულში ზოგი -ობა სუფიქსიანი ფორმა გართულებულია დამატებითი აფიქსით და მყარ ფორმაუცვლელ ფორმად არის ქცეული: მეტობით, ნახოშობით, რიგრიგობით, ტანადობით, უიარაღობით, უპატრონობით, უწყლობით, ცეცხლობით, წყალობით, ხუმრობით, ჯერჯერობით:

უნდა ჩონა ამალამ ჯაშინი დავიჭიროთ, დილობით ჩონ ბიჭი გუნდა დავსინათოთ [ქდკ, ნარგის აბასი].

მე მიყორდა, ნადირზედ სიარული მიყორდა. ბაიტობით მიჰყვებოდი ჩემ დედის ბიძას და ბოლოს და ბოლოს თეირანხი ჩამოვლი [მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ქვენ ბატარობით დედამ ქართულად ლექსი, რამე გიკითხისყე? [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ექ დოქდგეს და იძოლეს და ნება არ მისცეს და, თა იმამა დოსტობით არ შამოდა, ნება მისცესყე, რო შამოდენ ქართველების სოფელჩი [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

ყმაწვილმაღა დაიძინა და მეცლა გავათაე გაფი. მადლობით [ქდკ, სელიყე ასლანი].

5.8. წინა ვითარების სახელები

წინა ვითარების სახელები იწარმოება **ნა-** – **-არ** და **ნა-** – **-ურ** კონფიქსებით:

ნათიბვარი, ნახევარი, ნათირალი, ნათხოვარი, ნატეხარი, ნადიკვარი, ნათხარი, ნაკარალი, ნასერალი, ნაფაშვარი // ნაფაშური, ნაფურთხალი, ნაფეკვარი // ნაფეჯუარი, ნაქერალი, ნაწიმური, ნატეხური, ნაოთხალი, ნარუკალა, ნაწიმური, ნაჭავარი (ნაწლავი), ნაკორჩხალა, ნაბოლარა.

ემ მაგარჩი შაჰვრთხეს. მეც დავაყარე. სამი ნათირალი (ნატყვიარი) შავქენ, ერთიცა მოვკალ. ემასა ცამეტი ტყივა ვესროლე [ქდკ, უშანგი ხუციაშვილი].

ოფის [არყის ხე] წერებსაყე ის ნათიბვარ ქერები გადიტანა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ერთ რუვისოდენი ნიშნავს ერთ ჯოი, ორი, სამი, ხუთი, რაგდენი. ნარუკალა – ანს, ის სოფელისა არი [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

საინტერესო ფორმა დავადასტურეთ: **ნაკარალი** (=ნასახლარი) [ქდკ ფერეიდნული ლექსიკონი].

უნდა აღინიშნოს, რომ წინა ვითარების სახელების ნაწილი ტოპონიმებადაც გვხვდება:

ნასერალი: *ნასერალი, იმიტომაც იქა სერას ვნევდის [ქდკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].*

ნადიკვარი მამულის სახელი მარტყოფი (ფერეიდუნშაჰრი) [ქღკ, ფერეიდული ლექსიკონი].

5.9. სახელზმნები

5.9.1. მასდარი (საწყისი)

საწყისი – ზმნის უუღლებელი ფორმა, რომელიც ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია უღლების კატეგორიათაგან განყენებულად (პირისა, ღროისა, კილოსი და სხვათა) [შანიძე 1980: 558].

გვხვდება: -ა სუფიქსიანი ფორმები, ნარიანი, ომიანი, ოლიანი მასდარები, ასევე საწყისის ძველი ფორმები (-ილ, -ულ, სი- – -ილ, სი- – -ულ, სი- აფიქსებით მიღებული) [შანიძე 1980: 563-565].

ფერეიდულში გვხვდება:

-ა სუფიქსიანი მასდარები

-ა სუფიქსი საწყისის ძირითად მაწარმოებლად არის მიჩნეული. აღნიშნულია, რომ საწყისის ნიშანი -ა დაერთვის პირველი სერიის გაუვრცობელ თემას, იწვევს თემის ნიშანთა ფონეტიკურ ცვლილებას, რაც ხმოვნითი ნაწილის რელექციასა და თანხმოვნის შენარჩუნებით გამოიხატება [შანიძე 1980: 560].

დიალექტების ვარიაციულობას მასდარის ამ ყალიბით წარმოებისას ძირითადად ქმნის მათ ერთ ნაწილში თემისნიშნისეული თანხმოვნის დაკარგვა: *თეს(ა)ვ-ა > თესვ-ა > თეს-ა...

ფერეიდულში მასდარის -ა სუფიქსიანი წარმოება პროლექტიულია.

-ავ თემისნიშნიან ზმნებთან -ა ხმოვნის კვეცისა და ვ-ს მთლიანად ამოვარდნის პროცესი დიალექტისთვის დამახასიათებელი, თუმცა შედარებით იშვიათი მახასიათებელია. ტექსტურ მასალაში და ონლაინლექსიკონში ასეთი მაგალითი არც ისე ბევრია:

აკრა (აკრვა // აკვრა), ახმუჭა (იხმუჭების), ბუქა (აბუქავს), კერა (კერავს), გადახერა (გადახერავს, გადაიხერების)¹³⁶, გაზელა, გამოკეთა (გამოკვეთავს), გავლენრა, დაფქა, დაშარშნა, დაცომა, დაწკრეტა, დაწნა, დაჭყლერტა, თექანის კრა, ამოგლეჯა, მოხეტა, შადლება...

უფრო ხშირად კი -ა სუფიქსიანი მასდარი ინარჩუნებს თემისნიშნისეულ თანხმოვანს:

-ავ: დაჩუჩუტვა, დაცერვა, დაჭერვა, დაჭყუნვა, დაკრვა, დაკოლთვა, დაკლიტვა, დაკმაზვა, დაკუნვა, დანაყვა...

-ებ: აჭყინიალება, აჭყირთიალება, ახალისება, ასყრუვება, ანიავება, ატუჩება, აფაქება, აფორიკება, აფილაქნება...

136. აქ ისეთი მაგალითებიც მოგვყავს, რომლებიც სალიტერატურო ენაში -ავ თემისნიშნიანი არ არიან, მაგრამ დიალექტში, როგორც წესი, -ავ-ით იწარმოებენ პირველი სერიის თემას.

-**ობ:** ლულაქეშობა, ლიპლიპობა, ლოცულობა, მინდვრობა, მოკობრობა, მარიზობა, დამჭლობა, დაქობა...

-**ევ:** ამღრევა, აქცევა, გამტრევა, გარკევა, გახევა, გალევა, მოხევა, მორევა, მოწნევა, დატევა...

-**ომ სუფიქსიანი მასდარები:** გადახტომა, გარდაწყდომა, გაწყტომა, დაცხტომა, დაჯდომა, დგომა, მოკდომა // მოკტომა, მოხრა-გადახტომა, შაცდომა, შეხდომა, ხტომა, შაწყრომა, ჯგომა, გატყრომა, გაძლომა...

ბენა ქნდა ხალხის მოკდომა და გაწყტომა იმ ნახოშობით [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი] აღან ეხლა და ეხლაცა მახსოვს ის წამები, ის დრო, ის შეხდომა (= შეხვედრა) [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

გადახტომა ხო იყო? ეს ხტომა ხო კაცები დაქუჩდებოდეს და ხტუნევედეს [ქდკ, მუსტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

დ) პირველადი მასდარები:

ბღავილი, ტყუილი, კივილი, წუილი, წირტიალი, წკირტიალი, ფირტიალი, ტირტიალი, პირბიალი, ტანტალი, ზირზიალი, ქუხილი, ჭყირტიალი... სიხარული, სიარული...

ბღავილი:

თქვენმა ცხვრებმა არ დაივიწყეს ბღავილი [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ტყუილი:

სხვისი ტყუილი იყო და იმ ერთ კაცის, იმ ერთ დედაკაცისა მართალი იყო [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

კივილი:

დავდექი და ხუთ დღეს უკან, რო მოვდა, დადგა კივილზე: ბიჭო! [ქდკ, რეზა მიქელანი].

სიხარული

ექაც ემე სიხარული იყო [თუბა შაჰმამაძე].

სიარული:

ემას ჩაიცომ და სიარულიც ეგეთ პირდაპირ ხო ეგრე ვერ ივლი... [ქდკ, მუსტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

5.9.2. მიმღეობა

ფერეიდნულ დიალექტში მიმღეობური ფორმების წარმოების თითქმის ყველა მოდელია დადასტურებული:

ნა- პრეფიქსი: ნახარში, ნაშოვნი, დანარჩენი, ნაქცევი, ნაზომი, ნათალი, ნაცარი, ნავაჭი, ნათხარი, ნათხოვნი, ნალეკი, ნალურტი, ნამსხატი, ნაპტკენი, ნარჩომი.

ნათხოვრობას რას ეძახიან? მე რო მინდა ვითხოვო ახანძალი, **ნათხოვი** რო მინდა ვითხოო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

რო ჩამოვარდების ვიტყვითყე **ნაქცევი** (= მამულის სახელი მარტყოფში) [ქღკ, ფერეიდნული ლექსიკონი].

ნარჩობი (=დარჩენილი) [ქღკ ფერეიდნული ლექსიკონი].

ნალეკი (=ნალექი) *ნალეკი არი, ის ნალეკ წყალი სადაც დადგები სყე, ის არი წითელმიწა და სადამდინაცლა რო დადთხარო, წითელია!* [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ნალურტი (=გაურეცხავი) [ქღკ ფერეიდნული ლექსიკონი].

ნამსხატის მხნელი – მიწა მტრელი [ქღკ ჯანათთა ყალანი].

რომელ ერთ წელს რო მიწა არ გაგიმწონებია, შიგ არ დაგითესია, **ნამსხატი** ჰქია [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

-ულ სუფიქსი: ეს ყველაზე პროდუქტიული მოდელია. აწარმოებს მიმღეობას იმ ზმნებიდანაც, რომლებთანაც სალიტერატურო ქართულში **-ილ** სუფიქსი გვაქვს.

მიმღეობის -ულ და -ილ სუფიქსიანი წარმოების პარალელიზმი დადასტურებულია ფერეიდნულშიც, ისევე, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში. ზოგჯერ -ულ სუფიქსიანი წარმოება უპირისპირდება სალიტერატურო ქართულის -ილ სუფიქსიან ფორმებს, ზოგჯერ კი -ულ // -ილ სუფიქსიანი ვარიანტები შიდადიალექტურ სხვაობებს ქმნიან.

გაგუებული, გაზაბული, გათქმული, გაკირვებული, გაღურსებული, გამოლიძებული, გამოჯავრებული, გამწონებული, გარდაკრულ-გარდმოკრული, გატეხული, გატოტორიკებული, გაქირებული, გაშებული, გაშლული, გაშოშოტებული, გაჩინებული, გაცინული, გაცხაებული, გაწყალებული, გაჭირებული, გახაზული, დაბორძიკებული, დათხრული, დაკლუტული // დაკლიტული, დაკმაზული, დამტრეული, დანაყული, დანიშნული, დარეული, დარჭმული, დატანული, დადალული, დაყერფული, დაჯგომული, დავალებული, მოტანული, მოქუჩული, მოყორებული, მოწითებული, მოჭირებული, წმინდული...

ამ დევმალა რო მოიდა **გამოჯავრებული**, თქო, რო: წავალ ეხლა სუს შაჭამყე-ღაო [ქღკ, მოჰთარამა].

წყალჩი რო ჩაიღისყე, ეს **გაცინულ** კელი არ დალპისყე მალე, არ გაწყდისყე [ქღკ, ბათუანი].

იმებმალა პარსული კარგად იციან, ამ ძელებმა. **დამტრეული**, **დაჩანახებულ** პარსულს ამბობენ, უბენ [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

-ილ სუფიქსიანი: მოკეთილი, მოკეცილი, მოკონტილი, მოკუნჩხილი, მომკილი, მოტეხილი, მოქსოვილი, მოყრილი, მოწმენდილი, მოხნილი, მოხრილი, შაკეთილი, შაკერილი, შამორევილი, შამოყრილი, ჩაკერილი, ჩამოფენილი, ჩამოწერილი, ჩამყნობილი, ჩაფლობილი, ჩაყრილი, ჩაწერილი, ჩახუჭილი, წამოყვანილი, წარეკილი...

აქით-იქით მოიარეთ თორმეტი ვირი მოვნახეთ, თორმეტიც აღარ იყო, **წარეკილი** იყო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ერთ ეგდიდე ჯოხია გამოთლილი ელა გოქ, იმით ეგრე გამოუქლესათ [ქდკ, სა-
ქეა ასლანი].

თავის კაცები 'დ ემე დაჭერილია, გაუმეტილი [ქდკ, მაჰმად ბათუაშვილი].

ქუჩა და კარი ავსულა [ქდკ, რეზა ხუციშვილი].

როგორც ვთქვით, ზოგჯერ **-ილ** და **-ულ** სუფიქსების გამოყენების არე არეულია, გაფართოებულია -ულ სუფიქსის გამოყენების არეალი.

რალაც-რალაცები **გაშლილ** იყო, ბაზრობა იყო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვი-
ლი), (მარტყოფი)].

ქე ერთ ყალი **გაშლულია** ერთ მოქუჩული. ანს ქი გაშლული იყო, მააქუჩა და ანს
მოქუჩული გასხნა [ქდკ, ფარშადა (დაშქესანა)].

ასლან გამწყდარან, რო თავიანთყე მინმე არ **დავარდნილა** [ქდკ, რეზა ხუციშვი-
ლი].

წყალს წოლია ჰიჯდაჰ ნაძარი **დავარდნულა** [ქდკ, ზეინაბხათუნ ლაჩინანი].

რო ეხლა ერთ რამე **შაქნილა** [ქდკ, რეზა ხუციშვილი].

ემისყენლა მალლა არ იყოლა ჯაჰაზი, რო ეხლა ეგდენი **შაქნულა** [ქდკ, თუბა შაჰ-
მამადი].

ასევე:

ნახვენ, ველს ჩაჰყოფს. თუ ნამა არ შადღებულა, კარგად არ **შადღებულა**, ნახავს,
თუ ცივია, ერთ ცოტა თბილ წყალს დაასხამს და თუ თბილია, ერ ზარა ყინულს შივ
ჩაგდევს [ქდკ, რეზა მიქელანი].

წამიყვანეს ექიმთან და დამიკერა ეს **გატეხული** [ქდკ, რეზა მიქელანი].

სა- პრეფიქსი: გასაბიჯეფი, გასადები, გასადევარი, გასავალი, გასათხოვარი,
დასაკლავო, დასაკლოო, დასალევი, დასასრული, დასაქორწილები, დასაჩოელსა
დასაწერი, დასაჯერები, სათლელი, სალოცავი, სათრევი, სადელი...

თებჩიგაც რო წასულან, ჰარ კაცს რო თავისთი **საჯილომი** ჰქონია, ანქაცა ერ-
თსა თანდილას დადახიან, ერთსა დიწერს დადახიან, ერთსა სატრედოს დადახიან,
ერთსა **გასაბიჯეფს** დადახიან, ერთსა ციხეს დადახიან [ქდკ, რეჰიმა ონიკაძე].

რო ყველი გუნდოდის გავაკეთოთ, ჩონთი ალბათ **სადელს** ვაკეთებდით [ქდკ, ირა-
ნა იოსელიანი].

და გადმოიდა და ერთიცა ქურთსა თავის ჯარები და ესები ეეკიდა მანქანაჩი, დიდ
მანქანეფჩიგა, რო წაიყუანოს, თოვლი რო აქ მოაყე, ჩაიყუანოს ემეჩიგა, რო ნამად
ადვილი არი, **სადოვარს** ემესათი [ქდკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

და იქაც რავდენ დღესაც, იქაც, ხოშობენ, იქა ჰამ **სალოცავს** დადახიან და ჰამ
ხოშობასა [ქდკ, რეჰიმა ონიკაძე].

ბანგი ქე შავარზი მუა, იმეფს სათლელს მიჰცემსყე, რადლა რო უკლიაყე, უნდო-
დეს ჯარი იყიდონ, დანი იყიდონ, თესლი იყიდონ, რადლა რო ეჰთიაჯიაყე, ის ბანგი
იმ **სათლელს** რო მიჰცემსყე, იმ ფულით თავინთ ეჰთიაჯობას გაეყვანენყე [ქდკ,
მაჰმად ნექუხუ].

გარდა ამისა, ფერეიდნულში გვხვდება **-არ** სუფიქსით ნაწარმოები მიმღებური ფორმები:

შიშიარე, მდილარე, მოჭიდვარე, მოხუმარე // მოხუმარი, ნამძინარე, მდინარი, მაძლარი, მშიარი... ასევე სათიბვარი, საძებუარი....

შიშიარე:

იმი სთი რო შიშიარე 'რი და ეშმაკია, ქეშ-ქეშა ადამიანებია [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

უნა მაწონი და ესები დაამზადოს სადილი, ჩონ ხო არ დავჩირდებით მშიარი [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ქართველ ბიჭებმა ჩულურეთს მოხუმარებია [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

5.9.3. თხზვა

ფერეიდნულში გვხვდება როგორც მარტივი ფუძეგაორკეცებით მიღებული, ისე ხმოვნის შენაცვლებით, თანხმოვანთა ჩავარდნითა თუ დისიმილაციით მიღებული ფორმები:

მარტივი: დედა, მამა, თავთავი, ლაქლაქი, ყარყარა...

სად მიხლო, ყარყარა ვარზეგა გაქ, მიხლო სადა? [ქდკ, თუბა შაჰმამადი].

ი, ასკილი ხო გაწითლებიწყე თავის თავთავი [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მარტივ ფუძეგაორკეცებულებს მიეკუთვნება ხმაბაძვითი სიტყვებიც: წიკწიკა, კრასკრასი, ჭიკჭიკი, კიკინი, ყიყიყიყი, ყიყიყიყი, ყიყიყიყიყი...

თქვენმა ცხვრებმა არ დაივიწყეს ბლავილი, თქვენმა თხებმა – კიკინი, თქვენმა ქათმებმა კრასკრასი [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ჭიკჭიკი ჩიჭის არი [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ბუღეჩი შაიდეს და ღამე რო შაიქნა, დაწვეს და მამალმა ფაიშამზე დაღვა ყიყიყიყიყი: ყუუო! – და დაიყივლა [ქდკ, სედიყე ასლანი].

მარტივია ასევე ზედსართაული და ზმნიზედური ფუძეგაორკეცებები: ჩიქარ-ჩიქარ(ი), წყრან-წყრან(ი), წყრან-წყრანა(ი), ნელ-ნელა, ნელ-ნელად, ნელ-ნელათ, ნელა-ნელა, ნელა-ნელად, ნელა-ნელადლა, ნელა-ნელათ.

ესაც არი რო მე საქართველოს ტელევიზორჩიგა ჩიქარ-ჩიქარ საუბარი, ჩიქარ-ჩიქარ საუბარი, ესები ემეფს არ გუეხმის ჩონ [ქდკ, ეზათოლა თავაზოპი (ზაზა თავაძე)].

ქენ წყრან-წყრან წამოღითო და მეო წაყალ, ერთს ვნახავ, აბა ჩემი სახლი და ჩემი ცოლი როგონ არიანო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ნელა—ნელად ემაზევ ივლიან, ფევს არ აიღებენა [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ნმონის შენაცვლებით გაორკეცება: წანკიწუნკი, ვმაჰმუ, ხილხული, ჯულმული, ძირძური, ძაღლძული, შუკურმუკური, მიწამუწები, ბალახბულახი:

ქუნა-კარიო და **შუკურმუკური** და ესები თლიანათ მოიარეო [ქდკ, სედიეე ასლანი].

ერთი ჭას დოოდებენ, რო **მიწამუწები**, ესები ამოღზიდოს. იმას დადძახიან, იმ ჭას დადძახიან... [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

იმიშინ ხო დოქტორი არ იევისეყე, ბატარა **ბალახბულახი** ავაღულითეყე, დავალე-ვინეთეყე, რა ვიცი, ყანდალი გავაკეთი, დავალევიინეთეყე [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

ეხლა ეგდენ **ძაღლძული** მაიყრების ექაო. ქე არმინ არ იცნასო [ქდკ, ქერიმ ალა დარვიში].

შუაღმობა იეო რო, რო **ვმაჰმუ** დადგაო, რაც ვირი წეერეკაყეო, სუ მორეკა ალიამაო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ერთი ჭას დოოდებენ, რო **მიწამუწები**, ესები ამოღზიდოს. იმას დადძახიან, იმ ჭას დადძახიან... [ქდკ, ეზათ ყალანი].

აიდეს, ვმაღების **წანკიწუნკი** დაყენეს [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ახალ წელიც ელა მობარეჟი – იტყიანყე. ეხლა კი ჩოოყარიანყელა **ხილხული** და რაძლა რო, ბავშები შამოდდიანყე, ხურდა ყმაწილები [ქდკ, ნაჯაჰა გუგუნანი].

ამოაცითეყე, გადავაცითეყე კისერზევა, რო არ შააცივლეყე და ამ თოფრას **ძირძური** [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მოდდეს ერთ-ორი **ჯულმული** ჰქონდაყე და აიყარნეს და წაადდეს. წაადდეს, წაადდეს, მიადგეს ერთ ხარაბასა [ქდკ, მეჰრი ასლანი].

თანხმონის დისიმილაციით გაორკეცება: ცუნცულა.

და კავშირით მიღებული ერთნაირფუძიანი კომპოზიტები: **ველდაველ, ფევდა-ფევ...**

გაძყოფენ ემ ჯორც სა. ფევ-ფევ დადძახიან იმასა. **ფევდაფევ, ფევ-ფევ** დაკლვაო დადძახიან ემეფს [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

იგრ უყორდაყე, რო ელა **ველდაველ** ატარებდიანყე ემ ყორსა [ქდკ, გულჩერა ხუციაშვილი].

ატრიბუტულ მსაზღვრელიანი: შავველა, წნიკყურა, ტყელყურა...

ემ ჟავე და მოწითებული რამეს არ მიძცემთ. ვიტყით ემას **შავველა** აქ, გოლოში თა ძალე გაკეთდეს. ერთი ხუთ-ექსი დდეს ემას ჰაო აველეფს [ქდკ, მთქმელი უცნობია].

თხა და ცხორი ექს თეზე იგებენ; სახელები: **ჭიჭა, ტყელყურა, წნიკყურა** [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ტოლად შერწყმული: ველ-კავიც, ველ-კუდი, ველ-ფეხ, ველ-ფეხებზე, ველ-ფეხზე, ველ-ფეხვი, ველ-ფეხვით, მალუსას ვეძახოდით. ის მალუსა იჭერდა **თხა-ბოტს** [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ველ-ფეხ მოღეწილად ქართულს ამბობენ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

არატოლად შერწყმული:

ფერეიდნულში კომპოზიტიების წარმოებაში ყველაზე აქტიურად მონაწილეობს ძირები: **თოლ, ყურ, ველ, ფეხ, თავ...**

ველ: ველგაკეთებული, ველშახვეული, ველაწერულია, ველდაველ, ველის-ძირზე, ველმარტოკანი, ველნაწერები, ველნაწერი, ველსაქმე, ველფასი, ველშახვეული, ველცარიალ, ველცარიალები, ველცარიალი, ველცარიელი, ველწერილები, ველჯოხი, ველსაქმეების, ველჯოხით.

ველ ასევე გვხვდება ნაწილაკის ფუნქციით და აწარმოებს ზედსართავებსა და ზმნიზედებს:

ზედსართავი: ამველა, ემველა, ემველას, ემველები, თეფშებისველები, ბიჭის-ველა...

ზმნიზედა: ერთ-ორველ, ერთველ, ერთველ-ორველ, ერთველა, ერთველაც, ერთველაცა, ერთველსა, ერთველაა, ერველ, ერველა, მეორეველ, მესამეველა, მესამეველაა, ოთხველ, ათველ, ბევრველ, ბევრველა, ოთხველ, ორ-სამველ, ორველ, ორველა, რაგდენველ, სამველ, ხუთიველ...

ფეხ: ფეხგაკეთებული, ფეხ-ფეხ, ფეხაფეხ, ველ-ფეხ, ფეხსამას, ფეხსამასე-ბი, ფეხსამასი, ფეხსამასს, ფეხსამისი, ფეხსამოსა, ფეხსამოსებია, ფეხსამოსებსაც, ფეხსამოსელი, ფეხსამოსი, ფეხსამოსია, ფეხსამოსს, ფეხსამოსჩი, ფეხსაყე, ფეხსაყენ, ფეხსაყენო, ფეხსაც, ფეხსაცმელებ, ფეხსაცმელები, ფეხსაცმელის, ფეხსაცმელს, ფეხსაცმელსა, ფეხსაცმელჩი, ფეხშიშელა, ფეხშიშეელა, ფეხძიძე.

თოლ: თოლ-სახე, თოლბედიტს, თოლმოკლული, თოლმოხუჭვაზე, თოლმოხუჭვა-ც, თოლმოხუჭილი, თოლშაკიდულობა, თოლცუნცულა, ნათლისთოლად...

ყურ: ყურშაჭამადი, ციკნისყურანი, წნიკყურა...

თავ: თავ-პირსაც, თავ-ფეხვი, თავ-ფეხსაც, თავაწეულიაო, თავაკვდილია, თავ-ბრუს, თავდანებებული, თავთავი, თავთავქველებითყე, თავთხე, თავიდახრილი, თავისუფლობა, თავისუფლად, თავკაცი, თავმზიანი, თავმოვლიო, თავმოჭრილი, თავმოხდილი, თავპირჩი, თავსახლი, თავსახლები, თავსუფალი, თავფეხამდინ, თავქე, თავქეები, თავქეზე, თავშიშველა, თავჯდომარე. თავჯდომარისა, კირის-თავი...

კომპოზიტურია დაავადების სახელებიც: **შავველა, ჩიტყოვილა, ჩუტყოვილა.**

კომპოზიტების შექმნაში მონაწილეობს **ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სა-**

ხელები: *ყითელგულა, ყითელიონჯა, წითელ-ყითელი, წითელ-ყითლიანები, წითელ-წითელ, წითელ-წითელი, წითელ-წითელსა, წითელშიწა, თეთრფეჯანი, შავთეთრი, წერთეთრები, წერთეთრეფსაყე, შავყურძენი.*

კომპოზიტები შეიცავს ნასესხებ სიტყვას:

ღობარაჯელი (ღობარა=მეორედ, კიდევ):

ემე ქნა, დადგა წასლაზე ღობარაჯელი წაფლო დადუა ელ ამაზენა [ქდკ, მთქმელი უცნობია].

სპარსული ძირია რედუპლიცირებული (ან პირდაპირ რედუპლიცირებული ძირია ნასესხები): ქამ-ქამ (=ცოტ=ცოტა), ღობარა-ღობარა (კიდევ, მეორედ), შაბო-შაბოთ (შეძახილი ქორწილში).

ეს ხუთ ღობარა-ღობარა მოიღეს სუნ, არ დაიწეს, ღობარე ფეჯს გაფაფგამს, აი ეგრე [აბოლყასემ აჰმადი].

ბევრსხან ერთმანერთან ვიყენევი, თა ქამ-ქამ და ქამ-ქამ ემ ჩემ ზალმა გამოფდა და ექ გააკეთა [ქდკ, თუბა შაჰმამადი].

ზე მოაწოვითყე, ქამ-ქამასა ჩონთი რაც შაჰჯამითყე, შავალოკვითყე, შავაჯამითყე [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

ხო, ქამ-ქამ მოიდა ჯააქათილა, ხურთ-ხურთ ჯააქათი გამოფდალა [ქდკ, თჰერა იოსელიანი].

ქამ-ქამ მეორე ღამეს ინა მამიტანეს. ინა, ქილილი და შაბო-შაბო და მაიტანეს და დაბრუნდეს [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

შაბო-შაბოთ და ქილილითა და სტირ-ნაღარაით და წაიღიანყე [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

მასღარები კომპოზიტებად:

წერა-კითხვა ხო არ ვიცო, რო ვიცოდე, რო რაგდენი წლისა ვარო [ქდკ, მუხტარ ასლანი (ღარჩიაშვილი)].

ემი შინაძდა კიდემ აწივიანყელა, რო წასლა-მოსლაო... [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

გვაქვს ზმნური ფუძეების კომპოზიტური წარმოებაც:

ამა ეგრე მასლანა დავაწვინითყე ვადვაკრით-გადმოაკრით, ყონდალა ვავაკეთითყე [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

და ვადვაკრით-გადმო და ეს ველები ეგრე შაიქნისყე, ეგრე [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

ფალსყე შაჰკერთყე და ვადვაკრით-გადმოვაკრით, დანი რაღა? [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

ლეილი რო ვაბიყე და ვადიოღა-გამოდიოღა, რასა დკითხობდიყე? [ქდკ, მუხტარ ასლანი (ღარჩიაშვილი)].

რიცხვითი სახელის რედუქლიკაცია:

ოთხ-ხუთი ბიჭები ვიყავით [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ათი-თხუთმეტი რადლა რო გოქ [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეს ხუთი-ექვსი კაცი რო გავა სოფელსაყე [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები:

ველცარიალ იყო, არა ჰქონდა რაღაც-რაღაცები და არც ფული ჰქონდა და მამული ცოტა აჰქონდა [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ზმნი ზედის რედუქლიკაცია:

ზმნი ზედური ფუძის გაორკეცებით წინადადებაში გამოიხატება:

ადგილი:

აქეთ-იქით:

სახივლო და მთავრობა და აქით-იქით არ იყვისყე, ძან ცოტა'ყო [ქღკ, სელიყე ასლანი].

სექინა ერქო და გადგ უკან-უკან, ქუფტ-მეთქი [ქღკ, თაჰერა იოსელიანი].

იქთენიც ელა მივლია ანქით-ექითა და ქარსული არ დამისწავლია [ქღკ, თაჰერა იოსელიანი].

ვითარება:

მიიღეს ექა და წაიღეს და წყრან-წყრან აიღეს და აიღეს და აიღეს [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

არსებითი სახელის გაორკეცებით შეიძლება გამოხატოს:

ღრო:

ღლებღლე:

თავის ბიჭიც ღლებღლე იზღებოდა და იგვანღებოდა ერთი შაჰზადას, რო ყენის შვილი იყოს [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

მოქმედების ინტენსივობა:

ველდაველ, ფევ-ფევ, ფევლაფევ...

ქუჩა-ქუჩა დავდივართ [ქღკ, სელიყე ასლანი].

ზედსართავის რედუქლიკაცია:

ზედსართავის რედუქლიკაციით გამოიხატება თვისების ინტენსივობა: **ცივ-ცივები, ძელ-ძელები...**

გემრიალ კიტრები იყო. ცივ-ცივები [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

გადაყარე ძელ-ძელები, ნუ ეკლეინები [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეს თავ-პირი ქე ჩურუქ-ჩურუქია (დაჩირქებული) თა ალაგი არი, ვიტყით – ეს ყოვილის ალაგია [ქღკ, მთქმელი უცნობია].

თავი X

ზმნური ფორმაწარმოების თავისებურებები ფერეიდნულში

ფერეიდნულის ზმნურ ფორმაწარმოებას გამოარჩევს არქაულობა, შიდადიალექტური სისტემური სხვაობანი და სპარსული ენის გავლენით გაჩენილი ზოგი ტენდენცია.

არნოლდ ჩიქობავა ფერეიდნულის მორფოლოგიის თავისებურების შესახებ მსჯელობას ასე იწყებს: „მათი განხილვა ბუნებრივია დავიწყოთ ზმნიდან, ქართულ მორფოლოგიის ამ ჭირისუფლისა და ბატონ-პატრონიდან“ [ჩიქობავა 2010 (1927): 196].

მკვლევარი მოკლედ ჩამოთვლის და განიხილავს დიალექტის ზმნური ფორმაწარმოების მთავარ თავისებურებებს. ეს თავისებურებებია:

1. ვნებითი გვარის წარმოების არქაული მოდელის არსებობა.
2. ნამყო უსრულში მრავლობითი რიცხვის სუბიექტური პირის ნიშანი -ეს.
3. -ავ, -ამ თემისნიშნიან ზმნათა უღლების თავისებურება (-ავ > -ევ, -ამ > -ემ ნამყო ძირითადში).
4. ხოლმეობითის არქაული მწკრივები.
5. -ევ სუფიქსიანი ზმნების მეორე სერიის ფორმების თავისებურება (ხევს > გახივა).
6. ნამყო სრულში ვნებითებთან -ენ სუფიქსი მრავლობით რიცხვში (შემეგვეყარენით...).
7. ნამყო წინარე წარსულში (მეორე თურმეობითში) -ოდა მაწარმოებლის ნაცვლად იყო დამხმარე ზმნის გაჩენა ზოგიერთ ზმნასთან: (სწადებიყო).
8. „მას“ დამატებისა და „შენ“ ქვემდებარის აღსანიშნავად – მესამე ობიექტური და მეორე სუბიექტური პირის ნიშნებად **მ, ჰ, ს** ფორმანტების გამოყენება.

ასევე ზმნის მორფოლოგიაში განიხილავს მკვლევარი -ყე ნაწილაკის დართვას და საგანგებოდ შენიშნავს რამდენიმე ზმნის თავისებურ გამოყენებას: ხდება – ქნდა, დაწყება – დაწყობა, აქვს – აყე, იყენეს – იყნეს, დიათ, დიარეთ [ჩიქობავა 2010 (1927): 196-198]. ყე ნაწილაკის როლზე ზმნურ ფორმაწარმოებაში ვრცელი მსჯელობაა არნოლდ ჩიქობავას სპეციალურ ნაშრომში [ჩიქობავა 2010 (1923-1924): 25-51].

საგანგებო ნაშრომი ფერეიდნული ზმნური ფორმაწარმოების საკითხებზე არ შექმნილა, თუმცა დარეჯან ჩხუბიანიშვილის „პარადიგმებში“, აგრეთვე, მის ცალკეულ ნაშრომებში აისახა ფერეიდნული ზმნის ბევრი თავისებურება.

შევეცდებით წარმოვადგინოთ ეს თავისებურებები ქართული დიალექტური კორპუსის მასალებისა და ჩვენ მიერ ირანში გაწეული საველე სამუშაოების შედეგების გათვალისწინებით. ამ მივლინებათაგან ერთი პირდაპირ მიზნად ისახავდა არსებული პარადიგმების გადამოწმებას, დაზუსტებას, ზმნური ფორმაწარმოების ვარიაციულობის შესწავლას, შიდადიალექტური მიმართებების დადგენას ამ თვალსაზრისით და სხვ.

1. პირის ნიშნები

გარდა იმისა, რომ ფერეიდნულში, ისევე, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში, გვაქვს პირის ნიშანთა ფონეტიკური ვარიანტები ან მათი გამოყენების სალიტერატურო ენისგან განსხვავებული წესები, შეინიშნება ამ ფორმანტების ისეთი პარალელური ვარიაციულობაც, რომელიც დიალექტის შიდადიფერენციაციაზე მიანიშნებს.

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი -ვ, ზუსტად ისე, როგორც ქართული ენის დიალექტთა უმრავლესობაში, ფერეიდნულში შეიძლება შეგვხვდეს შემდეგი სახით:

1. უცვლელი: ვ-არ, ვ-ვნავ...

2. $v > \phi$: ϕ თქო, ϕ ქენო, ϕ ტირი, ϕ ტლინკევილი, ϕ კითხე, ϕ ჭამ, ϕ შუშპრობლით...

3. $v > 0$.

პირის ნიშნის დაკარგვა ($v > 0$) ყველაზე მეტ ვარიაციულ ფორმას ქმნის დიალექტში.

ვ იკარგვის შემდეგ პოზიციებში:

ა) პაუზის მომდევნოდ, ლაბიალური ხმოვნების წინ (უფრო უ ხმოვნის, ო-ს ნაკლები რეალიზაციის გამო ამ პოზიციაში): უთხარ, ულაპარაკე, უკრით, ულილით, უმბობდი... ამ პოზიციაში ვ- პირის ნიშანი იკარგება მეტ-ნაკლებად ყველა ქართულ დიალექტში და ეს მოვლენა ბუნებრივია ძველ ქართულშიც.

ბ) მღ- ზმნისწინის შემდგომ ხმოვანი პრეფიქსის წინ: მღ(ვ)იტანე, მღ(ვ)იპარე, მღ(ვ)იპოვე... მოვლენა დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს ზოგი დიალექტისთვის [ჯორბენაძე 1998: 624];

გ) ზოგჯერ იკარგვის თანხმოვნების წინაც როგორც ზმნისწინიან, ისე უზმნისწინო ფორმებში.

მაგალითები ქართული დიალექტური კორპუსიდან:

(ა)

უთხარ სად არი-მეთქი?

ეს რო ულაპარაკეყე, *მთქი*, რო: ერთი დაეკარგავ წიწილა და ხუთი კომლობასა, ხუთი ქუჩა კარს მაილის და მონახოს.

ჭამი დაჭირითყე, და ვიშუშპრით და უკრით და გუხაროდისყე.

(ბ)

ბად, თორე გადავფრინდები-გადმოვფრინდები, ცხორსა **მოიპარავ** და წავალო. დაკარგული სამარეო ვერ **მოიპოვე**.

მეც აიღებდი, ჩემს გაჭხევი, **მოიჭანდი**, დაუღებდი ამისათინ, ამის ახალს აიღებდი, ჩაიცომდი.

გ)

მოზილითყე (< მოვზილითყე):

მოზილითყე მაგარ ცომი, მაგარი არ ეგრე, რო პური დავაკრიტყე, იგეთი არა.

ქნითყე:

ჩასმულა გავაკეთითყე, ჩასმულათა და ემე გქნითყე, რადენი ჩასმულა ახიჩალ-ზელა რო უნდოდაყე, გათავდესლა, ბად, ჩასმულა **ქნითყე**, გავაკეთითყე – ესეა ეგეთ, ლოლო, რო და ეგეთ ჰალყა-ჰალყა, გურგუალი.

ქსოვითყე:

გავაბითყე და ერთ უსტასლა მოდყვანითყე, ჩონაც შევირდები ვიყვიტყელა, ისი **ქსოვითყე**.

მეორე ობიექტური პირის ნიშანი გ- შეიძლება დაიკარგოს **მიჰყავს** ზმნასთან:

შენ რო მიხოლ და არ **მიყავ** ჩემ თავი, ვალად მაგე გამმთელეზია ქაჩალ თავი [ქდკ, შაჰინა მულიანი].

/რომ მიდინარ და არ მიგყავარ (მიგყავს ჩემი თავი), აი, ეგრე გაგმთელდეს ქაჩალი თავი/.

აბა, თავის კაცობა გამაჩინოს და მერე წაიყვანო. ახალგაზდა ნუ **მიყავ**, ახალგაზდა არ უნდა წაიყვანო, თუ – ბერი [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

/თავისი კაცობა გამოაჩინოს და მერე წაიყვანე (სიკვდილო). ახალგაზრდა ნუ მიგყავს.../.

მეორე პირის ფორმები საერთოდ ძნელი მოსამებნია დიალექტურ ტექსტში თხრობის სპეციფიკისა და მასალის მოპოვების პირობების შეზღუდულობის გამო. ამ ორი ილუსტრაციით დოკუმენტირებული მოვლენა საკმაოდ სტაბილურად არის დაცული მეტყველებაში. ამ სტაბილურობას ხელს ისიც უწყობს, რომ ომონიმია მესამე პირის ფორმებთან არ წარმოიქმნება, რადგან იქ ყოველთვის დაცულია **ჰ-პრეფიქსი**:

მიჰყავ:

იგრე **მიჰყავ** ჩემ მერანსაო თქოთ რაჰში, იგრე **მიჰყავ** ჩემი თავი გ ზაზე, უგ ზოდა და უკლოდაო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნიშანი ფერეიდნულში განიცდის გარკვეულ ცვლილებებს:

1. ის შეიძლება დაიკარგოს ზოგიერთ ზმნასთან: **ყოვ** (< გყავს)

დასტურდება ამ ზმნის პირის ნიშნიანი ფორმებიც, მაგრამ ასევე საკმაოდ ხში-

რია პირის ნიშნის გარეშე მათი გამოყენების შემთხვევები. ზოგჯერ პირისნი-შანდაკარგული და პირისნიშნისანი ფორმა ერთ მთქმელთან შეიძლება შეგვეხვედეს. წარმოდგენილია ნაწილობრივ სახეცვლილი ნიშანიც: **გვ > გ;** როგორც ჩანს, ეს პროცესის პირველი საფეხურია. შენარჩუნებული – პირისნიშნისეული **ვ-** ძირისეულ **-ა-სთან** შერწყმით (რეგრესული ლაბიალური ასიმილაცია) გვაძლევს **ყოვ** ძირს.:

გყოვ // ყოვ // ყოჭ:

გყოვ:

არა, აქა **გყოვ** ერთი ძმა.

სამი ძმანი ექა ვართ, ერთი ძმა სოფელში **გყოვ**.

ყარდაშანიც ექა ხო ჩენ **გყოვ** გყოვ ერთ რამდენი ოჯახი არიან.

ორი ძუმა მოკდა, ორი ძუმა **გყოვა**, ოთხი დიები ვართ.

ერთი პაპა **გყოვანდა**, ჩემი მეუღლეს პაპა იყო.

ყოვ:

როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ ერთ მთქმელთან შეიძლება შეგვეხვედეს ცვლილების სხვადასხვა საფეხურის მაჩვენებელი ფორმები. მომდევნო საილუსტრაციო წინადადებაში სწორედ ეს ვითარებაა:

პირიტყვიც ერთ ჯოზი **გყოვ**, ვერ ვინახავთ, არ ვომოვდისლა, ყუმაწილებიც ხო არა დგებიან და მეცამ ხო დაბერებულვარ, აღარ გამამდის, რო პირიტყვი შაინახო, ქათამი **ყოვ**, პირიტყვი **ყოვ**, არზი ქქნა.

ყოჭ:

ბირიტყვი თავლაში **ყოვ**, ცხორს უყრით, ფურს უყრით, ვწელავთ, ვდღეზავთ და ჭჭამთ.

რა დაქთესითყე: ოსპი, ნუხუდო, ბალალა-ლუბია, ქერი, ხორბალი, მეშაკი, გაჭდანა – ესები პირიტყვს შაჭმელი, მოდტანითყე, დოოყართითყე, **ყოჭ**, **ყოჭ**, ცხო-რები.

რო ჩონ მეფესთან, ღმერთმა შადნახოს, ნამად მეფე **ყოჭ**, ნამად მეფე.

უნდა წაიდეთლო, რაქთენ წელია ექა ვართო და ჩონ ხო დედა **ყოო**, მამა **ყოო**, დავბრუნდეთ და წაიდეთო.

გვაქვს ზმნურ ფორმაში პირის ნიშნისეული **ვ-სა** და ხმოვანი პრეფიქსის ურთიერთქმედების შედეგად ვიღებთ **გოქს // გოქ** ფორმას:

ერთ ერთილა, ანს ორ ოთახი **გოქს**, რა ვინდაყე, რა ვინდაყე ექ ესები, გადაყარე ძელ-ძელები, ნუ ეკლეინები, გადააწყობ და გადმააწყობ.

ვოქი: მე ლუკმა პური მამიტა და ყათული და რაძლა **გოქლა** შავჭამო და მე ავდგე მინდა, გადღე, თორიან ღამე'რი, ნათელა, ნამა ნათელა, გადღე მინდა სამკალზე.

და თქეს, რო ჩონაო ყეინთან საქმე **გოქო**.

გქონდა // გვქონდა ზმნა ისევე, როგორც ზოგ სხვა დიალექტში **ა-** ხმოვანპრეფიქსიანია, ამიტომ ფერეიდნულში მხოლობითში ეს **-ა** წარმოდგენილია: გაქონდა. რაც

შეეხება მრავლობით რიცხვს, იქ პირის ნიშნის -ვ- თანხმოვანი პრეფიქსულ -ა-სთან კომბინაციაში გვაძლევს **ო-ს**, ზოგჯერ – **-უ-ს**: **გოქონდა**, **გუქონდა**.¹³⁷

თავსახლები **გოქონდისყე**, **მასალან**, **ბრინჯი** რო ჩაუღვრიტყე, იგეთ სული დად-გისყე იგე ზად ელა ათრის სული მოდღისყეა თორნებში.

მასალან, რამე არ გოქონდენ, მოდღენ, გაიტანენ ჩონკე მასალან.

მასალან, რო წავალთ, ემეფს მოდღანტყე, ზამთრისათი რო გოქონდეს.

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნების განაწილება ფერეიდ-ნულში აღმოსავლურ დიალექტებს, კერძოდ, კახურს მიჰყვება.

ამ ფუნქციით დიალექტში გვაქვს პრეფიქსები: **ღ**, **ჰ**, **ს**.

ამათგან **ღ -ს** მქონებლობა განასხვავებს ფერეიდნულს სალიტერატურო ქართუ-ლისგან და აახლოვებს მას კახურ დიალექტთან. **ღ** პრეფიქსისეული ხმოვნის შემდეგ გვხვდება: წადრეკდეს, დაფოცდეს, მაფცეთ... **ღ** გაჩნდება მაშინაც, როცა წინამავალი სიტყვა ხმოვანზე ბოლოვდება: არა ფყავს, არა ფჰამს¹³⁸...

ჰ- და **ს-** პრეფიქსების განაწილება, როგორც ცნობილია, ფონეტიკურ ფაქტორებ-თან არის დაკავშირებული. მათი პოზიციები იმდენად აირია სხვადასხვა დიალექტუ-რი ნაკადის გავლენით, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში სპეციალური ნორ-მატიული წესის შემოღება გახდა საჭირო, რომლის მიხედვითაც **ჰ-** გვაქვს: **გ, ქ, კ, ბ, ფ, ჰ, ყ** თანხმოვნების წინ, **ს-** კი – **დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ** თანხმოვნების წინ. ნორმის საფუძვლად აღმოსავლური დიალექტები იქნა აღებული. ფერეიდნული, ფაქ-ტობრივად, „მიჰყვება“ ამ წესს, თუ არ ჩავთვლით, რომ სალიტერატურო ნორმისგან განსხვავებით და აღმოსავლური კილოების მსგავსად ის **ხ** ბგერის წინაც გამოაჩენს **ჰ-**

137. საყურადღებოა, რომ ხმოვანპრეფიქსიანი წარმოება პირველი პირის ფორმებთან მხოლოდ მრავლობით რიცხვში გვაქვს დადასტურებული. არ გვხვდება **მაქონდა** ტიპის ფორმები. თუ მასალი დამატებითა კვლევამ ამგვარი პრინციპული გამიჯვნა დადასტურა, უნდა ვიფიქროთ, რომ ფერეიდნულში პარალელურად დასაშვებმა **-ა** ხმოვანპრეფიქსიანმა და უპრეფიქსო ფუძეებმა ასე განაწილეს პარადიგმა: მხოლობითში დარჩა უხმოვნო ფუძე, რაკი **მ-** პირის ნიშანი ფონეტიკურად იყო თავსებადი ფუძისეულ **[ქ]** თანხმოვანთან, ხოლო მრავლობითში, რომელშიც **გვ-** პირის ნიშნისა და ფუძისეული **-ქვ // ქო // ქუ** სეგმენტის მეზობლობა არაკანონიკური კომპლექსს ქმნიდა, დიალექტმა აირჩია **ა-** პრეფიქსით გათულებული ფუძე (შდრ. ძვ. ქართ.: **აქუნდა**). ეს კიდეც ერთი მაგალითია იმისა, ერთი პარადიგმის ფარგლებში, როგორ ვარირებს პარალელური შესაძლებლობები, რაც დიალექტში პოტენციურ რეალიზაციათა არაუნიფიცირებით აიხსნება. ქართულ დიალექტებში ამ ზმნაში **გვქვ** კომპლექსის გამარტივების სხვა შემთხვევები გვაქვს დადასტურებული: ქკონდა, ქქკონდა... მეორე პირის ფორმებთან ფერეიდნულში გვაქვს როგორც ხმოვანპრეფიქსული, ისე უპრეფიქსო წარმოება: **გაქონდა // გქონდა**.

138. ტრადიციულად **ღ** ზმნასთან პირის ნიშნის ადგილას იწერება, თუმცა ის წინამავალი სიტყვის ბოლოს წარმოითქმის და ძალიან ჰგავს აკუსტიკურად იოტირებულ დამართვას. მოვლენის საფუძველია ხმოვნით დაბოლოებული სიტყვისა და ზმნის ენკლიტიკური წარმოითქმისკენ მისწრაფება. **ღ** პირის ნიშნისა და სიტყვათგამყარ ფუნქციას ერთდროულად ითავსებს ამ ფორმებში.

პრექტის: ჰევეხარ, ჰქონდა, აჰეცენ, ჰბურავს, დაჰფინონ, ჰჰარევედეს, ამაჰყრიან...
ჰხედავ, ჰხუმრობს, შაჰხრეტენ, შამაჰხაზვენ...

მრავლობითი რიცხვის მესამე პირის სუფიქსების გამოყენების თავისებურება:

-ეს // -ენ სუფიქსების ვარიაციულობა მრავლობითი რიცხვის მესამე პირის აღმნიშვნელ ფორმანტად დამახასიათებელია ქართული დიალექტებისთვის. ამათგან თანამედროვე მონაცემებით -ეს აღმოსავლურ კილოებს ახასიათებს, -ენ – დასავლურს. -ეს ძველ ქართულში გაბატონებული ფორმა იყო. ფერეიდნული -ეს სუფიქსის გამოყენებით ნამყოს მრავლობითის სუბიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად მთის აღმოსავლურ კილოებს უახლოვდება, ხოლო -ენ სუფიქსით – უფრო ბარის აღმოსავლურსა და დასავლურ კილოებს.

-ეს // -ენ:

გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა უწყვეტლისა და გარდაუვალ ზმნათა წყვეტილის მე-3 პირის მრავლობითში (იქ, სადაც სალიტერატურო ქართულსა და დიალექტების ნაწილში -ენ, -(ნ)ენ¹³⁹ სუფიქსები გვაქვს) ფერეიდნულის ერთ ნაწილში, ისევე, როგორც ძველ ქართულსა და აღმოსავლურ დიალექტებში, გვაქვს პირისა და რიცხვის გამომხატველი -ეს სუფიქსი: მოდიოდეს, ჰამდეს, დაჰოცდეს, წაჰრეკდეს; იმათ იცოდეს... (ისეები) წავიდეს, გამოიდეს, წამოხტეს, დაბრუნდეს, დალაგდეს, ადგეს, გაიდეს...

ამავე დროს, ფერეიდნულში გვაქვს -ენ სუფიქსი იმავე ფუნქციით და, როგორც აღნიშნულია, ის დამახასიათებელია ე.წ. ზემოფერეიდნულისთვის.

დღემდე უწყვეტლისა და წყვეტილის მე-3 პირის მრავლობითის ნიშანი ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად ითვლება ფერეიდნულის შიდა დიფერენციაციისათვის. მარტყოფის წრის სოფლებსაგან განსხვავებით ბოინ-მიანდაშთის წრის სოფლებისთვის -ენ სუფიქსია დამახასიათებელი. ამის შესახებ შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაშიც [ჩხუბიანიშვილი 2012: 185]:

აკეთებდეს // აკეთებდენ

(და)იმძლეოდეს // (და)იმძლეოდ(ენ)

იქმოდეს // იქმოდენ...

დ. ჩხუბიანიშვილის „პარადიგმებში“ მკვლევრის ეს დაკვირვება არ არის ასახული და მხოლოდ -ეს სუფიქსია მითითებული სათანადო ფორმებში:

(და)იმძლევის – (და)იმძლეოდეს, (და)იმძლევენს;

ეტარების – ეტარებოდეს, ეტარნეს;

მოდის – მოიდოდეს, მოიდეს;

(და)უყურებს – (და)უყურებდეს, (და)უყურეს;

139. ქდ-ში ფერეიდნულისთვის დამოწმებულია -ნენ სუფიქსიანი რამდენიმე ფორმა (ორი სხვადასხვა მთქმელის ტექსტში დადასტურებული), რომელიც აშკარად ახალი გაგონების შედეგი უნდა იყოს: გამწონდნენ, დაქუნდნენ, მიდიოდნენ, მოიდნენ, ყოფდნენ (ორივე მთქმელი საკმაოდ ფლობდა ქართულს და მათსავე მეტყველებაში ეს ფორმები თითო-თითოჯერ არის დადასტურებული).

(გა)აკეთებს – (გა)აკეთებდეს, (გა)აკეთეს;
(მო)ვნავს – (მო)ვნევდეს // ვნვიდეს¹⁴⁰, (მო)ვნეს; შააბამს – შააბმდეს // შააბმი-
დეს, შააბეს... [გოგოლაშვილი და სხვ. 2016 (2012): 524].

როგორც ვხედავთ, თავის პარადიგმებში დარეჯან ჩხუბიანიშვილი არ მიუთითებს პარალელურ ფორმებს მრავლობით რიცხვში, თუმცა ასეთი ფორმების არსებობა, როგორც აღვნიშნეთ, მას არ გამორჩენია და მიაკუთვნა ისინი ბოინ-მიანდაშთის მეტყველებას. მართლაც, კითხვარული მეთოდით გადამოწმებისას ბოინ-მიანდაშთის მკვიდრი რესპონდენტები დაბეჯითებით მიგვითითებდნენ, რომ ყველა აღნიშნულ შემთხვევაში მათთვის ბუნებრივია **-ენ** სუფიქსი. საგულისხმოა, რომ ამ საკითხში თორელისა და ახნის მეტყველება მარტყოფულს უჭერს მხარს. **-ეს** // **-ენ** სუფიქსთა ვარიაციულობა დიალექტის შიდადიფერენციაციის ერთ-ერთი მყარი მახასიათებელია და ის სპეციალურად უნდა იქნეს შესწავლილი. სამწუხაროდ, ერთკვირიანი დაძაბული საველე მუშაობის პირობებში არ დარჩა საკმარისი დრო ამოწურავი მონაცემების მოპოვებისათვის.

განსაკუთრებით საინტერესოა მოვლენა იმის გამო, რომ ის თვით დიალექტის მატარებელთაგან არის ერთ-ერთ მთავარ განმასხვავებელ ნიშნად აღქმული, რაც იმას ნიშნავს, რომ ის დიალექტური თვითგამიჯვნის მთავარი მახასიათებელიცაა.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რყევა უკვე შეინიშნება და ვარიაციულობა თვით ქცევათა შიგნითაც დასტურდება: მიუხედავად იმისა, რომ კითხვარული მასალის მოპოვებისას ჩვენ არაერთხელ დაგვიდასტურეს, რომ **-ეს** და **-ენ** სუფიქსები მათი მეტყველების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა, ტექსტების ანალიზმა გამოაჩინა, რომ **-ენ** სუფიქსიანი წარმოება თავს იჩენს როგორც დამქსნელთა, ისე მარტყოფელთა მეტყველებაშიც.

შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს გვიანი უნიფიკაცია ან სალიტერატურო ენის გავლენაა, მაგრამ ძალიან საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პარალელური ფორმები დასტურდება ჯერ კიდევ სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში. ძნელი დასაჯერებელია, რომ სეიფოლას მეტყველებაზე ასე მოკლე დროში მოხდინა გავლენა სალიტერატურო ენას.

სეიფოლა იოსელიანის მეტყველებაში **-ეს** სუფიქსი იმდენად დომინანტური ყოფილა, რომ არნოდდ ჩიქობავას, რომელმაც დიალექტის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებად სწორედ მრავლობითში **-ეს** ზმნური სუფიქსი გამოყო, არც კი შეუნიშნავს ფორმები: გავიდენ, დალაგდენ, დასხდენ, დაყაბულდენ, მოდიჟდენ, მოდიოდენ, მოიდენ (3 კონტექსტი), ტყუოდენ, შავიდენ, შასხდენ, ჩამოიდენ, წავიდენ (6 კონტექსტი).

სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში, რა თქმა უნდა, ჭარბობს **-ეს** სუფიქსიანი წარმოება. 70-მდე ზმნის 100-ზე მეტი კონტექსტია **-ეს** სუფიქსით დამოწმებული.

მათ შორის: **მოიდეს** – 10 კონტექსტი, **წავიდეს** – 21 კონტექსტი.

140. კითხვარული მეთოდით მასალის შეკრებისას ამ ფორმას კატეგორიულად უარყოფდნენ მოქმედები (ისევე, როგორც **-ამ** თემისნიშნის ზმნის შეკუმშულ ვერსიას: **შეაბმიდენ**).

დაახლოებით ამავე შეფარდებით გრძელდება, როგორც ჩანს, პარალელური ფორმების თანაარსებობა მარტყოფელთა მეტყველებაში. ვარიაციულობა თავს იჩენს დაშქესანას მეტყველებაშიც, თუმცა იქ იმდენად დომინანტურია **-ენ** სუფიქსი, რომ პარადიგმის ზეპირად აგებისას მხოლოდ მასზე მიუთითებენ.

-ენ (მარტყოფი): გაფუკდენ, გამოიდენ, ეძახოდენ, **ეწეოდენ**, მოიდენ, **შაერთდენ**, **შაღტირებდენ**, **შემობრუნდებოდენ**, **წაიღებდენ**...

-ეს (ბოინ-დაშქესანა): გაანთავისუფლავეს, გაქონდეს, გოგოთხოვეს, დაიჭირეს, დალუეს (= დადეს), დასვეს, დაქუჩდეს, დოგომტრივეს, დოკოკივეს, შამაიყრნეს, მოიდეს...

მაშასადამე, ფერეიდნულში **-ეს** და **-ენ** სუფიქსები უწყვეტლისა და წყვეტილის მრავლობითი რიცხვის მესამე პირში პარალელურად არსებობენ და ისინი დღემდე ინარჩუნებენ შიდადიალექტური დიფერენციაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორის როლს. ამავე დროს, დიალექტის მეცნიერული დოკუმენტირების დასაწყისიდან მასალა ავლენს პარალელურ ფორმებს ორივე სამეტყველო წრეში. ეს შეიძლება იყოს გვიანი ურთიერთგავლენის ან ადრეული თავისუფალი ვარიაციულობის (არაუნიფიცირების) მაჩვენებელი. დაშქესანას მეტყველებას სხვა ბევრი განმასხვავებელი ნიშანიც ახასიათებს, როგორც სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისას ითქვა. არ არის გამორიცხული, ეს ფერეიდნულ პირველმოსახლეთა განსხვავებული მიგრაციული მარშრუტების შედეგი იყოს. საკითხი კიდევ უფრო დეტალურ შესწავლას მოითხოვს და ამ კვლევაში **-ენ** სუფიქსის საკითხი ჯერ ისევ აქტუალურია.

2. ხოლმეობითის გამოხატვის თავისებურება

2.1. ხოლმეობითის მწკრივთა შესახებ ქართულში და სისტემის ასახვა ქღკ-ში

თანამედროვე ქართულში ხოლმეობითის სახელით მოიხსენიება პირველი სერიის მწკრივი, რომელიც ე.წ. მყოფადის წრის მწკრივებში შედის და წარსული დროის, თხრობითი კილოს მრავალგზის მოქმედებას გამოხატავს [შანიძე 1980: 2019]. ფორმალურ კავშირს ამ მწკრივის ფორმები თანამედროვე ქართულის უწყვეტლისა და მყოფადის მწკრივებთან ავლენენ (ვხატავ – ვხატავდი // დავხატავდი; ვტირი – ვიტირებ // ვიტირებდი).¹⁴¹

სამეცნიერო ლიტერატურაში სალიტერატურო ქართულის ამ მწკრივის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინია გამოყენებული:

- I ხოლმეობითი [შანიძე 1981: 2019]
- ხოლმეობითი (გოგოლაშვილი, არაბული 2016:33)

141. აწმყოსა და მყოფადის მწკრივთა მიმართების საკითხთან დაკავშირებულ განსხვავებულ მოსაზრებებს აქ არ შევეხებით და მხოლოდ ტერმინოლოგიური იდენტიფიკაციით შემოვიფარგლებით.

- უწყვეტელ-ხოლმეობითი (გოგოლაშვილი და სხვ. 2016:270)
- ნამყო უსრულის ხოლმეობითი [ჯორბენაძე¹⁴²]
- პირობით-ხოლმეობითი // პირობით მრავალგ ხისი [ჯორბენაძე და სხვ. 1988]
- ხოლმეობით-შედგობითი (გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 846...).

I სერიის ხოლმეობითის ჩვენთვის საინტერესო ფორმები ზოგ ბოლოდროინდელ გამოკვლევაში არ არის ცალკე მწკრივებად გამოყოფილი და ის უზმნისწინო უწყვეტლის ფორმებთან ერთად **უწყვეტელ-ხოლმეობითებად** მოიხსენიება [გოგოლაშვილი და სხვ. 2016].

აღნიშნულია, რომ სავრცობიან მწკრივებში და მათზე დაყრდნობილ ხოლმეობითების პირველი და მეორე პირის ფორმებში -ი ფორმანტი „ნართაულია“, ფონეტიკურ ნიადაგზეა გაჩენილი მრავლობითის ფორმებში (*ვწერ-დ-თ > ვწერ-დ-ი-თ, ვიმღერებ-დ-თ > ვიმღერებ-დ-ი-თ) და შემდეგ განზოგადდა სხვა ფორმებში [შანიძე, 198: 424; ჯორბენაძე, 1995: 393; გოგოლაშვილი და არაბული 2016: 113...] და „ძველი ქართულის დონეზე მწკრივის ნიშნად ვერ მიიჩნევა“ [სარჯველაძე 1997: 84].

სულ სხვა ვითარება გვაქვს ძველ ქართულშივე დადასტურებულ და ფართოდ გავრცელებულ მწკრივში – **უწყვეტლის ხოლმეობითში (I ხოლმეობითი)**, რომელიც უწყვეტლის ფუძეს კი ეყრდნობა, მაგრამ აქვს საკუთარი მაწარმოებელი – მწკრივის ნიშანი -ი:

ვაკეთებდ-ი (თ)

აკეთებდ-ი (თ)

აკეთებდ-ი-ს, აკეთებდ-ი-ან [იმნაიშვილი 1971: 217, 289; სარჯველაძე 198: 84 და სხვ.].

გოგოლაშვილისა და არაბულის რედაქციით გამოცემულ მონოგრაფიაში (ახალი ქართული ენა II) ეს ორი სხვადასხვა პარადიგმა ტერმინოლოგიურად ასეა გამიჯნული:

პარადიგმების აღწერისას თანამედროვე ქართული ენის პირველი სერიის ხოლმეობითის მწკრივის აღსანიშნავად (გაკეთებდა // გააკეთებდნენ) გამოყენებულია ტერმინი **უწყვეტელ-ხოლმეობითი**. იგივე მწკრივი ზოგადი მსჯელობისას მოხსენიებულია, როგორც **ხოლმეობითი** (გოგოლაშვილი და არაბული 2016: 92-93...). ამავე მონოგრაფიის სხვა ნაწილში (ახალი ქართული ენა I) ძველი ქართულისა და დიალექტებისთვის დამახასიათებელი ხოლმეობითის მწკრივი ((გა)აკეთებდის, (გა)აკეთებდიან...) აღნიშნულია ტერმინით **უწყვეტლის ხოლმეობითი**. ხოლო იმავე მონოგრაფიის სხვა ნაწილში (თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II, დიალექტები) იგივე მწკრივი მოხსენიებულია, როგორც **I ხოლმეობითი** [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 340 და სხვ.].

ამავე ტომში შესულ დიალექტურ პარადიგმათა ცხრილებში ამ მწკრივის აღსანიშნავად რამდენიმე სხვადასხვა ტერმინია გამოყენებული:

142. დამოწმებულია სამეცნიერო მეტაენის კორპუსიდან, გამოუქვეყნებელი ნაშრომი: ქართული დიალექტოლოგია III – ზმნის უღვლილების საკითხები ქართული ენის დიალექტებში (1993 წ-მდე).

I ხოლმეობითი (გურული, მთიულური, ფშაური, ფერეიდნული);
ხოლმეობით-შედგობითი (ტაოური, შავშური, ინგილოური, კახური (ქიზიყური), ქართლური);

პირობითი (აჭარული, ხევსურული);

უწყვეტელი // ხოლმეობითი (აჭარული, ფერეიდნული);

უწყვეტელი // პირობითი (აჭარული);

ხოლმეობითი (ლენხუმური, რაჭული, ზემომიერული, ქვემოიერული, სამცხურ-ჯავახური, თუშური).

ძველი ქართულის **უწყვეტლის ხოლმეობითი** (გა)-ა-კეთებ-დ-ი-ს) ხსენებულ პარადიგმებში ასევე სხვადასხვა ტერმინითაა აღნიშნული:

I ხოლმეობითი (კახური, ფერეიდნული, ფშაური, თუშური¹⁴³, მოხეური);

უწყვეტლის ხოლმეობითი // მყოფადის ხოლმეობითი – ხევსურული¹⁴⁴;

ხოლმეობით-შედგობითი (თუშური¹⁴⁵).

გამოდის, რომ თანამედროვე (სალიტერატურო და დიალექტური) და ძველი ქართულის ზმნური ფორმაწარმოების ორი სხვადასხვა მოვლენის აღსაწერად გამოყენებულია ომონიმური ტერმინი **I ხოლმეობითი**:

I ხოლმეობითი: გააკეთებდა // გააკეთებდნენ

I ხოლმეობითი: (გა)აკეთებდის // (გა)აკეთებდიან.

ზემოთ საკმაოდ დეტალურად განვიხილეთ ორივე ამ მნიშვნელობისთვის გამოყენებული სინონიმური ტერმინები. სურათი იმდენად ჭრელი და ჩახლართულია, საჭიროდ ჩავთვალეთ ცხრილის სახით წარმოვადგინოთ ამ ორ ტერმინთა შორის მიმართება:

უწყვეტელი	I ხოლმეობითი // უწყვეტელ-ხოლმეობითი	I ხოლმეობითი // უწყვეტლის ხოლმეობითი
ვაკეთებდ(ი)	გა-ვაკეთებდ-(ი)	(გა)ვაკეთებდ-ი
აკეთებდ(ი)	გა-აკეთებდ-(ი)	(გა)აკეთებდ-ი
აკეთებდ-ა	გა-აკეთებდ-ა	(გა)აკეთებდ-ი-ს
ვაკეთებდ(ი)-თ	გა-ვაკეთებდ-ი-თ	(გა)ვაკეთებდ-ი-თ
აკეთებდ(ი)-თ	გა-აკეთებდ-ი-თ	(გა)აკეთებდ-ი-თ
აკეთებდ-ეს // აკეთებდ-ნენ	გა-აკეთებდ-ნენ	(გა)აკეთებდ-ი-ან

ასეთი ტერმინოლოგიური „გადაფარვა“ გამართლებული იქნებოდა, ახალი ქართულის ფორმები ძველი ფორმების კანონზომიერი განვითარებით რომ იყოს მიღებული (ვთქვათ, ფონეტიკური ცვლილების შედეგად), მაგრამ ეს ასე არ არის: ძველ ქართულში **-ი** სუფიქსი **უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებში** ფონეტიკური ჩანარ-

143. უზმნისწინო ფორმები.

144. ზმნისწინიანი – უწყვეტლის ხოლმეობითი, უზმნისწინო – მყოფადის ხოლმეობითი. დეტალურად ამ საკითხის შესახებ იხ. გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 293-298.

145. ზმნისწინიანი ფორმები.

თი კი არა, სრულფასოვანი მორფოლოგიური ელემენტია (უწყვეტლისგან განსხვავებით), ხოლმეობითის მწკრივის მაწარმოებელი სუფიქსი. ეს ორი ფორმა სრულიად განსხვავებული წარმოებისაა.

ეს ტერმინოლოგიური „კაზუსი“ ნაკლებად შესამჩნევი დარჩა ცალკეული ქვესისტემის ფარგლებში გამოყენებისას, მაგრამ საგრძნობ, რბილად რომ ვთქვათ, დაბნეულობას იწვევს დიასისტემური სურათის აღწერის დროს.

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის ავტორები გამოყოფენ **უწყვეტელ-ხოლმეობითის** მწკრივს სალიტერატურო ენისათვის [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 107-110]. ისინი ამ ტერმინს მიუსადაგებენ უწყვეტელისგან მხოლოდ ზმნისწინით განსხვავებულ ხოლმეობითის ფორმებს.

დიალექტების აღწერისას კი ავტორები იყენებენ ტერმინს **I ხოლმეობითი და** განიხილავენ მას **უწყვეტლის ხოლმეობითის** სინონიმურ ტერმინად. მონოგრაფიის ამ ნაწილში ეს ტერმინი უკვე გამოიყენება ხოლმეობითის ორგანული წარმოების პარადიგმის აღსანიშნავად, რომელსაც არაფერი აქვს საერთო თანამედროვე ქართულის „უწყვეტელ-ხოლმეობითთან“ – ავტორებისავე თქმით, მხოლოდ ზმნისწინის ქონა-არქონით გამიჯნულ ფორმებთან, რომელთა ცალკე მწკრივებად გააზრება, მათ გაუმართლებლად მიაჩნიათ.

„მორფოლოგიის“ ავტორები თანამედროვე ქართულ დიალექტებში ხოლმეობითის სამ ტიპს აღწერენ:

I ხოლმეობითი (უწყვეტლის ხოლმეობითი)

II ხოლმეობითი (წყვეტილის ხოლმეობითი)

III ხოლმეობითი (II თურმეობითის ხოლმეობითი)¹⁴⁶ [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 340].

ამასთან, ნათქვამია, რომ სამივე ეს სახეობა ხოლმეობითისა შემოინახა მხოლოდ ხევსურულმა, დანარჩენ კილოებში, კი რომლებსაც ახასიათებს ხოლმეობითის ორგანული წარმოება, ძირითადად I და II ხოლმეობითებია შემორჩენილი.

ავტორები ხოლმეობითის ზოგადი დიალექტური მოდელის აღწერისას არ ახსენებენ სალიტერატურო ქართული სათვის გამოყოფილ უწყვეტელ-ხოლმეობითს (სწორედ ეს იწვევს ტერმინოლოგიური „აცდენების“ ახალ ტალღას), თუმცა ცალკეული პარადიგმების აღწერისას ამ პარადიგმების შემდგენლები გვერდს ვერ უვლიან აღნიშნულ ფორმებს. ზემოთ მოვიყვანეთ ის ტერმინოლოგიური სიჭრელეც, რაც ხსენებულ მასალაში ამ მწკრივის აღწერას ახლავს.

ქართული დიალექტური და ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსების მორფოლოგიური ანოტირების სისტემის შემუშავებისას განსაკუთრებული სიცხადით წარმოჩნდა პრობლემები, რომლებიც ამგვარ ტერმინოლოგიურ არაერთგვაროვნებას ახლავს. ორივე კორპუსი ერთად სამ მილიონ სიტყვაზე მეტს მოიცავს. ამ მასალაში, დიალექტური ფორმების გარდა, დიდი ადგილი უჭირავს ძველი ქართულისა და სა-

146. ავტორებს აღნიშნული აქვთ, რომ ეს მესამე ხოლმეობითი მხოლოდ ხევსურულმა შემოინახა (დეგრიზის...).

ლიტერატურო ენის სიტყვიერ ფაქტურას. ბუნებრივია, ანოტირების სქემა, რომელსაც უნდა აესაზნა ქვესისტემური სხვაობებიც, ვერ დაუშვებდა აღმწერ მანასიათებელთა სქემებში ტერმინოლოგიურ დუბლიკატებს ან ტერმინოლოგიურ ომონიმიას. მაგალითად, ვერ მივიღებდით **უწყვეტლის ხოლმეობითის** აღმნიშვნელ ორ მანასიათებელს ორი სხვადასხვა მწკრივის აღსაწერად – ახალი ქართულისა და ძველი ქართულისათვის.

ამიტომ „დიდი ქართული ლექსიკოგრაფიული ბაზის“ პლატფორმის შემუშავების ბოლო ეტაპზე მოგვიხდა მორფოლოგიური ანოტირების სისტემის საფუძვლიანი „გადახედვა“ და მანასიათებლების იმგვარად უნიფიცირება, რომ მათი საშუალებით შესაძლებელი გამხდარიყო ქართული ენის ისტორიული და სივრცული ვარიაციების სრულფასოვნად აღწერა. ტერმინოლოგიისა და მანასიათებელთა უნიფიცირების შემდეგ ქართული ხოლმეობითის აღსაწერად გამოიყო შემდეგი მანასიათებლები:

სერია	მწკრივის დასახელება	ტერმინის შესატყვისი	მანასიათებელი (ტეგი)
I სერია	ხოლმეობითი (პირობითი) (გაკეთებდა // გააკეთებდნენ)	Conditional	Cond
I სერია	I ხოლმეობითი (გა)აკეთებდის // (გ)აკეთებდიან	Iterative I	Iter I
II სერია	II ხოლმეობითი გაკეთის // გააკეთიან	Iterative II	Iter I
III სერია	III ხოლმეობითი ¹⁴⁷ გაეკეთის // გაეკეთის	Iterative III	Iter III

ხოლმეობითი (პირობითი) – არის აკაკი შანიძის კლასიფიკაციით I ხოლმეობითად სახელდებული მწკრივი („პირველი ხოლმეობითი შედგება სამი ელემენტიდან: დრო წარსულია, კილო – თხრობითი, გზისობა – მრავალგზისი. სახელი უკანასკნელი კატეგორიისგან არის მიღებული“ [შანიძე 1980: 2019]. მწკრივის სახელად სხვა მკვლევართა ნაშრომებში, როგორც ითქვა, სხვადასხვა ტერმინია გამოყენებული (იხ. ზემოთ): ვაკეთებდ(ი), აკეთებდ(ი), აკეთებდა, ვაკეთებდ(ი)თ, აკეთებდ(ი)თ, აკეთებდნენ.

I ხოლმეობითი – ეს არის ძველი ქართულისა და დიალექტებისთვის დამანასიათებელი მწკრივი, I სერიის ორგანული წარმოების ხოლმეობითი, რომელიც აგრეთვე სხვადასხვა ტერმინითაა აღნიშნული ავტორებთან (იხ. ზემოთ): ვაკეთებდ-ი, აკეთებდ-ი, აკეთებდ-ი-ს, ვაკეთებდ-ი-თ, აკეთებდ-ი-თ, აკეთებდ-ი-ან.

II ხოლმეობითი: მეორე სერიის „კლასიკური“ ხოლმეობითი: ვაკეთ-ი, აკეთ-ი, აკეთ-ი-ს, ვაკეთ-ი-თ, აკეთ-ი-თ, აკეთ-ი-ან.

III ხოლმეობითი: მხოლოდ ხევსურულში დადასტურებული მწკრივი: (გა)-მ-ე-

147. მხოლოდ ხევსურულში

ლევნი-ს, (გა)-გ-ე-ლევნი-ს, (გა)-ე-ლევნი-ს; (გა)-გვ-ე-ლევნი-ს, (გა)-გ-ე-ლევნი-ს-თ, (გა)-ე-ლევნი-ს [გოგოლაშვილი და სვ. 2016: 531].

როგორც ვხედავთ, ტერმინმა „**ხოლმეობითი**“ (**Iterative**) მოიცავს ძველი ქართული და დიალექტების ორგანული წარმოების ფორმები (I, II, III), ხოლო ახალი ქართულის „**უწყვეტლის ხოლმეობითი**“, იგივე **პირობითი**, იგივე **ხოლმეობით-მრავალზისი** და ა. შ. აღინიშნა მახასიათებლით **Cond.**

ტრადიციის შესანარჩუნებლად ამ ფორმას დავუტოვეთ ქართული ტერმინი „ხოლმეობითი“ ნუმერაციის გარეშე. ეს კლასიფიკაცია პირობითია და მისი შეცვლა შესაძლებელია საერთო შეთანხმების შემთხვევაში. ტერმინ „ხოლმეობითის“ მაგალითი კიდევ ერთხელ მკაცრად შეგვახსენებს, რომ ტერმინოლოგიური უნიფიკაცია და სტანდარტიზაცია ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიისა და ტერმინოგრაფიის მტკიცებულ თემად რჩება.

2.2. ხოლმეობითის მორფოლოგია და მრავალზისობის ასახვა ფერეიდნულში

ფერეიდნულის ზმნური ფორმალწარმოების ერთ-ერთ მთავარ თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მას შემონახული აქვს ხოლმეობითის (მრავალზისობის) ძველი ქართული სებური – ორგანული (-ი სუფიქსიანი) წარმოება.

მოვლენა შეუძმნეველი არ დარჩენია დიალექტის ერთ-ერთ პირველდამკვირვებელს ლადო აღნიაშვილს და თავის მცირე ლინგვისტურ კომენტარში ის საგანგებოდ მიუთითებს, რომ დიალექტში „ზმნის ფორმა „წავიდის“, „მოვიდის“ ძალიან მიღებულია“ [აღნიაშვილი 1896: 210].

იური მარის მცირე დაკვირვებებში ხოლმეობითის შესახებ ცნობა არ მოგვეპოვება.

არნოლდ ჩიქობავა საგანგებოდ აღნიშნავს დიალექტის ამ თავისებურებას: „შეუნახავს ფერეიდნულს ე. წ. პერმანსივი, როგორც პრეტერიტი პირველი, ისე პრეტერიტი მეორე: მხდარობის თუ მოქმედების ჩვეულებრივობის აღსანიშნავად ეს ფორმა დიდი უპირატესობით სარგებლობს“ [ჩიქობავა 2012 (1927): 197].

როგორც ვხედავთ, არნოლდ ჩიქობავა **პერმანსივს** (მრავალზისობას) აიგივებს ხოლმეობითის მწკრივებთან – **პრეტერიტ პირველთან** და **პრეტერიტ მეორესთან**. საყურადღებოა, რომ ამ ნაშრომში მკვლევარს საილუსტრაციოდ უმეტესად მოჰყავს მესამე პირის მრავლობითის ან მხოლოდობითის ფორმები: „*ყენის ყორი ასწავლიდის-ყე... ერთ დღეს წასლა იცოდიან სარაბზე... წავიდიან... ვარები ურემსაყე გამოუშინა-ყე, გაყიდიანყე, ფული დააქუჩიან და მისციან, მამულები დაავირავიანყე, ბეჩი ჩაავ-დიანყე და მისციან... ესეები მოიდიანყე პირველად ჯაყჯაყს, შიარ ქურთები; ღამით დადვიანყე იქა, დილობას ჩამოიდიანყე სიბაქს, მეორე დღეს გადავიდიანყე ჩულრუთს, ცემ სამი სოფელის შუა არი ათი ვერსი; ემ ცათ ვერსზე სამი სადილი და ვახშამი ჭამიანყე და წავიდიანყე; რომელმაც რო ნამა ვერ აჭამისყე, წავიდის, შადჩივილის იმ ორი უფროსს; ციმათ გამოვ ზავნიანყე ხუთი ცხენიანი მაყმურად, გადაავლევიანიანყე*

ას თუმანი, დაბლა, მეტი... თუ კაცი დაინახიან იმ ახლეუბში, შემოუღვიან, დაიჭიროიან, მაიყვანიან, იმ დღეს იმ წყალში ჩააგდიან, ჩააღბიან და ამაიყვანიან“ [ჩიქობავა 2012 (1927): 197].

სხვა ნაშრომში არნოლდ ჩიქობავა ასახელებს უკვე პირველი და მეორე პირის ფორმებსაც. ძირითადად, ეს არის შემთხვევები, როცა ხოლმეობითის ორგანული წარმოების ფორმებს -ყე ნაწილაკიც აქვთ დართული, თუმცა გვხვდება უნაწილაკო, ორგანული წარმოების ფორმებიც: მოიზიდიყე, ავღვიყე...

არნოლდ ჩიქობავა ფერეიდნულში ორ პერმანსიულ დროს განარჩევს და შესაბამისად, ორ პერმანსიულ (ხოლმეობითის) მწკრივს გამოყოფს: „ფერეიდნულში ორს ასეთ ფორმას ვხვდებით: ე. წ. ნამყო სრულსა და უსრულს (აწმყო არ შენახულა); მათ ვუწოდებთ: პერმანსივ პრეტერიტ პირველს და პერმანსივ პრეტერიტ მეორეს“ [ჩიქობავა 2012 (1925): 33] ¹⁴⁸.

ამასთან, „პრეტერიტ პირველის“ მაგალითები საკმაოდ მოჰყავს: „I. პერმანსივი პრეტერიტი პირველი: 1. იქ (ს)პარსეთში თერიაქი (= ოზიუმი) მოიზიდიყე; 2. იქ დილას სძე დავლივიყე; 3. (ცხენმა) თავი აიღის და გაიქცისყე; 4. ვერმინ ვერ გაიარისყე იქებში; 5. სამჯველ ავღვიყე, რომ წავიდე, არ გამიშისყე... 6. ემეებმა იფიციაწყე, რო ეგეთ გაფი (= ამბავი) ჩონ არ გუგუგაიო... 7. იმეებმაც თქიანყე რო... 8. იმ დღეს თავჯერმა (= ვაყარმა) რო ჰარ (= დღიური გასამრჯელო) მისციისყე, დღეს ორი იქთენი მისცა; 9. ცოტ-ცოტა ქალაზებში ეყარა, ჩავიყარიყე პირჩი, წყალი მუაღვენიყე და ცოტა მლაშე იყვის; 10. რაძლა რო დედაკაცი იყვისყე, მაღხეტიანყე და წავიდიანყე; 11. ჯერზე ათასი თოფის ვმა მოიღისყე; 12. ძალით გაგ ზავნისყე სამუშაოთ (ქმარი),...სადილზე შამოიღისყე და და უთხრისყე ყეინის ყორსა: დღეს საქმე არ ჩამივარდაო; ზოგს დღეს რო ემუშავნისყე, სალომის ემ ყეინის (= ხელმწიფის) ყორმა ჰკითხისყე... ემამ უამბისყე... რო შაიტყვისყე, მიაბარისყე რო... 13. ესეები მოიღიანყე პირველად ჯავჯავს, ღამით დაღვიანყე, დილობით ჩამოიღიანყე სიბაქს, მეორე დღეს გაღვიდიანყე ჩუღრუთს, ათ ვერსზე სამი სადილი და ვახშამი ჭამიანყე და წავიდიანყე...“

„პრეტერიტ მეორის“ მაგალითად კი ერთადერთი ფორმაა წარმოდგენილი: „II. პერმანსივი პრეტერიტი მეორე: ეს ყეინის ყორი ასწავლიდისყე, რო...“ [ჩიქობავა 2010 (1925): 33].

ხოლმეობითის ფორმათა არსებობაზე ფერეიდნულში ყურადღება გაამახვილეს დიალექტის მოგვიანო პერიოდის მკვლევრებმა დარეჯან ჩხუბიანიშვილმა, თედო

148. საგულისხმოა, რომ ამ სტატიაში არნოლდ ჩიქობავა I და II მეორე ხოლმეობითს სერიების თანმიმდევრობით არ აღაგებს და პირველ პრეტერიტს უწოდებს ნამყო სრულიდან ნაწარმოებ ფორმებს ანუ იმათ, რომლებსაც ჩვენ, ტრადიციულად, მეორე ხოლმეობითებად მოვიხსენიებთ, ხოლო ნამყო უსრულიდან ნაწარმოებ ხოლმეობითებს – მეორე პრეტერიტად ასახელებს. ბ. ჯორბენაძე, რომელიც ეყრდნობა არნოლდ ჩიქობავას ნაშრომს, ამ საკითხზე მსჯელობისას ჩიქობავას მაგალითებს უკვე სერიების თანმიმდევრობით მოიხმობს და პრეტერიტ პირველისა და პრეტერიტ მეორის ფორმებს შესაბამისად პირველი სერიის და მეორე სერიისად აჯგუფებს [ჯორბენაძე 1989: 371]

უთურგაიძემ და ჯემით გიუნაშვილმა. დიალექტის არქაულ ენობრივ პლასტებზე საუბრისას მათ აღნიშნული აქვთ, რომ დიალექტში გვხვდება „II ხოლმეობითის ფორმები, როგორცაა: **ილაპარაკის-ყე, გადაიწყვიტის, გადამასახლის, გადაიწყვიტი** და სხვ.“ [უთურგაიძე და სხვ. 1979: 84] დარეჯან ჩხუბიანიშვილი სხვა ნაშრომშიც მიაჩნებს ხოლმეობითზე, როგორც დიალექტის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებაზე, თუმცა მხოლოდ ამ მინიშნებით შემოიფარგლება [ჩხუბიანიშვილი 2012 (2006): 171]. ხოლმეობითის შესახებ ინფორმაციას ავსებს დარეჯან ჩხუბიანიშვილის „ფერეიდნული კილო – ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები“, რომელიც დაიწერა გიორგი გოგოლაშვილის თხოვნით და დაიბეჭდა 2012 წელს ჩვენ მიერ გამოცემულ შრომათა კრებულში „საენათმეცნიერო წერილები“ [ჩხუბიანიშვილი 2012: 192-202], 2016 წელს კი გ. გოგოლაშვილისა და ავტორთა ჯგუფის მონოგრაფიაში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, I. დიალექტები“ [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 517-527].

დიალექტის მკვლევართა აღნიშნულ შეფასებებზე დაყრდნობით და მათ მიერ გამოკვეთილი მასალების განზოგადების საფუძველზე ხოლმეობითის (მრავალგზისობის) კატეგორია ფერეიდნულში განხილულია ქართული დიალექტების შესახებ ზოგად მიმოხილვით ლიტერატურაშიც: ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ „ფერეიდნულს შემორჩენილი აქვს ხოლმეობითის (მრავალგზისობის) -ი სუფიქსიანი წარმოება. ამასთან, მკვლევარი ერთგვარად „ასწორებს“ არნოლდ ჩიქობავას მიერ შემოთავაზებულ პარადიგმულ თანმიმდევრობას და პირველი **ხოლმეობითის** მაგალითად მოიხმობს ჩიქობავას მიერ „**მეორე პრეტერიტად**“ ილუსტრირებულ მაგალითს: ეს ყენის ყორი ასწავლიდისყე, რო... ხოლო **მეორე ხოლმეობითში** ჩამოთვლის სრული ასპექტის, მეორე სერიის ფუძეზე დაყრდნობილ ფორმებს, რომლებსაც არნოლდ ჩიქობავა „**პირველ პრეტერიტს**“ უწოდებს.

მკვლევარი აქვე აღნიშნავს (კვლავ ჩიქობავას ნაშრომზე დაყრდნობით), რომ ორგანული (-ი სუფიქსიანი) წარმოების გვერდით ფერეიდნულში ხშირია -ყე ნაწილაკიანი წარმოებაც [ჯორბენაძე 1989: 371].

„თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ შემდგენელ ავტორთა ჯგუფიც განხილულ მასალაზე დაყრდნობით საერთო დიასისტემურ ჭრილში განიხილავს მოვლენას და სათანადო ადგილს მიუჩენს ფერეიდნულს ხოლმეობითის (მრავალგზისობის) ერთიან ქართულ სურათში [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 338-353].

დარეჯან ჩხუბიანიშვილი თავის „პარადიგმებში“ ზმნური ფორმაწარმოების თავისებურებათა საილუსტრაციოდ წარმოადგენს შემდეგ ზმნებს: **დამძლევა** „დანგრევა“ (დავიმძლევი), **ტარება** „სიარული“, „სეირნობა“ (ვეტარები), **მოსვლა** (მოვიდოდი), **ყურება** „სმენა“, „მოვლა“, „გაჩუმება“ (დაუყურეფ), **გაკეთება** (გავაკეთებ), **მოვნა** (მოვვნავ), **შებმა** (შევაბამ), **მბობა** (ვუბნობ), **დალევა** (დალევს), **ზელა** (ვზელავ), **ქმნა** (იქმოდინ), **დავძახი** „ვეძახი, ვუწოდებ“.

უნდა ითქვას, რომ პარადიგმების აღწერისას ამ ნაშრომში არ არის ერთგვაროვნება:

- ზოგი ზმნის პარადიგმაში გვაქვს გამოყოფილი **უწყვეტელ-ხოლმეობითის** ფორმები, ზოგი კი მხოლოდ **უწყვეტელია** მითითებული.

- ზოგი ზმნის პარადიგმაში გვაქვს **I ხოლმეობითი**, ზოგი ზმნისთვის კი ეს ფორმები საერთოდ არ არის აღწერილი.

წარმოდგენილი პარადიგმების მიხედვით ფერეიდნულის საილუსტრაციო მასალაში მრავალე ზისობის (ხოლმეობითობის) კატეგორიის გამოხატვის ასეთი სურათი გვაქვს:

ზმნა	უწყვეტელი	I ხოლმეობითი	II ხოლმეობითი
დამძლევა	(დამძლეოდა)	–	დამძლივის
ტარება	ეტარებოდა	ეტარებოდის	ეტარის
მოსვლა	მოიდოდა	მოიდოდის	მოიდის
ყურება	(და)უყურებდა	–	დაუყურის
გაკეთება	გაკეთებდა	გაკეთებდის(ყე)	გაკეთის
შებმა	შებებდა	შაბბიდა ¹⁴⁹	–
მოვნა	მოვნევდა	მოვნენდის ¹⁵⁰	–
მბობა	უბნობდა	უბნობდის	იიბნის
ლევნა (დალევა)	(და)ლევდა	დალევდის	დალივის
ზელა	მოზელ(ავ)და	მოზელ(ავ)დის	მოიზილის
შექმნა	იქმოდა	იქმოდის	(შა)ქნის
დასძახის	დასძახოდა	დაძახოდის	–

როგორც ვხედავთ, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს განხილულ ზმნათა პარადიგმები მნიშვნელოვნად სხვაობდეს ერთმანეთისგან ხოლმეობითის ამა თუ იმ სახეობის ფორმათა ქონა-არქონით. სინამდვილეში ეს ასე არ არის. უბრალოდ, პარადიგმები არის არასრული ან არაზუსტი ზოგ შემთხვევაში.

ფერეიდნულ დიალექტში ისევე, როგორც აღმოსავლური დიალექტების ერთ ნაწილში, დღეს ხოლმეობითობის გამომხატველი სამი მწკრივი გამოიყოფა:

- ა) ე.წ. **უწყვეტელის ხოლმეობითი**, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ქართულის ყველა დიალექტისა და სალიტერატურო ენისათვის. ამ მწკრივს ხოლმეობითი ეწოდება ტრადიციულად, ზოგჯერ მას პირობითსაც უწოდებენ; როგორც ითქვა, ჩვენ ამ მწკრივს ვუწოდებთ ხოლმეობითი (პირობითი) და ქდკ-ში მოვნიშნეთ **Cond** მახასიათებლით.
- ბ) **I ხოლმეობითი**, რომელიც პირველსა და მეორე პირებში მხოლოდ გარეგნული ფორმით ემთხვევა ხოლმეობითის (პირობითის) მწკრივის ფორმებს (ისინი ხოლმეობითის – სუფიქსით არიან ნაწარმოები უწყვეტლის ფუძიდან): **ვაკეთებდ-ი, აკეთებდ-ი, ვაკეთებდ-ი-თ, აკეთებდ-ი-თ**¹⁵¹, და მხოლოდ მესამე პირია განსხვავებული ორსავე რიცხვში: **აკეთებდ-ი-ს, აკეთებდ-ი-ან**.

149. დაუდასტურებელი ფორმა.

150. დაუდასტურებელი ფორმა.

151. როგორც აღნიშნულია, ასეთი „საზიარო“ ფორმები, „რომელთაც გარეგანი სახე ერთი და იგივე აქვთ, ხოლო შინაარსი, მნიშვნელობა სხვადასხვა (ორი ან მეტი) მოუპოვებათ“, ხშირად გვხვდება ძველ ქართულში. ეს ფორმალური მსგავსება ფონეტიკურ ნიადაგზე ან სხვა რაიმე მიზეზით შეიძლება იყოს შექმნილი [იმნაიშვილი 1971: 254].

გ) II ხოლმეობითი – წყვეტილის (ნამყო სრულის) ფუძეზე დაყრდნობილი -ი სუ-
ფიქსიანი ფორმები: ვაკეთ-ი, აკეთ-ი, აკეთ-ი-ს... აკეთ-ი-ან.

როგორც არაერთხელ არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, ფერეიდ-
ნულში ორგანული წარმოების გვერდით ხშირია ხოლმეობითის -ყე (-კე) ნაწილა-
კიანი წარმოება.

როგორც ითქვა, ხოლმეობითობა (მრავალგზისობა) როგორც ისტორიულ, ისე
დიასისტემურ ენობრივ ჭრილში, საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. საკითხთან
დაკავშირებული ბიბლიოგრაფია და პრობლემატიკა შეჯერებულად არის წარმოდგე-
ნილი მონოგრაფიაში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“ [გოგოლაშვილი
და სხვ. 2016: 338-361].

მრავალგზისობის ორგანული წარმოების „აღწერით“ წარმოებაზე გადასვლის
ასეთ გზას ვარაუდობენ: აკეთებდ-ი-ს > აკეთებდ-ი-ს-კე > აკეთებდა-კე > აკეთებ-
და... ან: აკეთის > აკეთის-კე > აკეთა-კე... [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 340].

ალბათ დასაზუსტებელია, რომ ორგანული წარმოებიდან ნაწილაკიან (აღწერით)
წარმოებაზე გადასვლა „ფორმათა დინამიკა“ კი არ არის [გოგოლაშვილი და სხვ.
2016: 341], არამედ კატეგორიის განვითარების დინამიკაა, რომელიც ასახავს არა
ერთი ფორმის მეორედ ცვლის პროცესს, არამედ სხვადასხვა გრამატიკული ფორმის
(ამ შემთხვევაში მწკრივის ფორმის), სხვადასხვა საშუალების (გრამატიკული თუ
სემანტიკური) და სხვადასხვა მოდალური ელემენტის არჩევანის ისტორიულ ან სივ-
რცულ სურათს.

შესაბამისად, აქ წარმოდგენილი „გზა“ ორგანულიდან აღწერით მოდელზე გადას-
ვლისა შემდეგი ალტერნატიული მოდელების სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

- I და II ხოლმეობითი – ორგანული წარმოება;
- I და II ხოლმეობითი – ორგანული წარმოების ფორმებზე -კე // -ყე ნაწილაკის
დართვა;
- უწყვეტელი // ხოლმეობითი – -კე // -ყე ნაწილაკდართული.
- უწყვეტელი // ხოლმეობითი – ხოლმე ნაწილაკით
- უწყვეტელი // ხოლმეობითი – ნაწილაკის გარეშე, სხვადასხვა ლექსიკური
საშუალების გამოყენებით (**ხშირად, მუდმივად, ყოველთვის...**)
- ნეიტრალური მწკრივები (აწმყო-მყოფადი, ნამყო სრული...) – -კე // -ყე ნაწი-
ლაკდართული...

აღნიშნულია, რომ ქართული ენის დიალექტებში სულ სამი გზა ჩანს ცვლილებისა:

1. ავიღ-ი-ყე // კე > ავიღებ (ან სხვა მწკრივის ფორმა) -კე;
2. ავიღ-ი ავიღ-ი ხოლმე > ავიღებ (ან სხვა მწკრივის ფორმა) ხოლმე;
3. ავიღ-იდ-ი // -ოდ-ი (უწყვეტელ-ხოლმეობითი).

ამასთან, მთიულური, მოხეური, ინგილოური, ქიზიყური, ფერეიდნული – პირ-
ველ გზას „ირჩევს“, ქართლ-კახური (ქიზიყურის გარდა), დასავლური დიალექტები
და სალიტერატურო ქართული – მეორეს, თუშური, ხევსურული და ფშაური მესამე
გზით მიდის [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 344].

აქ არ გავაგრძელებთ მსჯელობას ნეიტრალური მწკრივების ფორმებთან ხოლ-

მეობითობის გამონატვის აღწერით საშუალებებზე. ეს საკითხი ფორმაწარმოების, პრაგმატიკისა და გრამატიკული სემანტიკის სხვადასხვა წახნაგს მოიცავს და ცალკე კვლევის საგანია. შევეხებით მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხს: რატომ უნდა გაჩენილიყო ორგანული წარმოების სპეციფიკურ მწკრივებში დამატებითი საშუალება ხოლმეობითის გამოსახატად?

ვფიქრობთ, ცვლილება პირველად I ხოლმეობითის მწკრივში, I და II პირის ფორმებში უნდა დაწყებულიყო. ეს ფორმები, როგორც ვიცით, ემთხვევა უწყვეტლის სათანადო ფორმებს:

	უწყვეტელი	I ხოლმეობითი
1.	გაკეთებდ-ი (თ)	გაკეთებდ-ი (თ)
2.	აკეთებდ-ი (თ)	აკეთებდ-ი (თ)
3.	აკეთებდ-ა // აკეთებდ-ეს	აკეთებდ-ან

ამ ფორმათა გასარჩევად უნდა გაჩენილიყო ჯერ პირველსა და მეორე პირში ნაწილაკიანი წარმოება, რომელიც შემდეგ განზოგადდებოდა მესამე პირშიც.

ასე რომ, არსებობდა ორი პარალელური საშუალება მრავალგზისობის (ხოლმეობითობის) წარმოებისა:

1. სპეციფიკური გრამატიკული ფორმების – ხოლმეობითის აღწერილი მწკრივების წარმოებით.
2. ნეიტრალური მწკრივის ფორმებთან მოდალური ნაწილაკების კომბინაციით.

უწყვეტლისა და I ხოლმეობითის პირველი და მეორე პირების გარჩევითვის ნაწილაკიანმა წარმოებამ „შეაღწია“ ორგანულ მოდელში და შემდგომ განზოგადდა.

სწორედ ასევე მოხდა ხევსურულსა და თუშურში -იდ // -ოდ სუფიქსით გართულება პირველი და მეორე პირის ფორმებისა [ცოცანიძე 1970; გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 343-344].

ფერეიდნულში დადასტურებულია პირველი სერიის ორივე ხოლმეობითი (ხოლმეობით-პირობითი და I ხოლმეობითი) და II ხოლმეობითი:

ხოლმეობითი (პირობითი):

I პირი:

ავანთებდი : ჩემი თონეს **გავაკეთავდი, ჩავაგდებდი და გამოვხრაკავდი, ავანთებდი** ბევრს და ეს მოიხარშებოდა.

გადავაგდებდით: მერე ერთ მაყაში გოქონდა, ემ მაყაშითა ამოიღებდით და **გადავაგდებდით** ანქითა.

II პირი:

გაიგებდი: რაგდენი, რასთ ეგდიდე ხმა გაყე-მეთქი და თქო, რო: თუ ვმა არა ექონიყო, საით **გაიგებდი**, რო ჩონა ქართველები ვართო?

III პირი:

გაათხოვდა: იმაშინა ერთ რუვისოდენი მამული მისაცა ექონდა, ხუთი გოგოს **გაათხოვდა**.

გადმოდიოდეს: მერე რაღაცა მოხდა, სომხებმა იქიდან **გადმოდიოდეს** საბჭოთა კავშირში, მაშინ საბჭოთა კავშირი იყო.

I ხოლმეობითი:

I და II პირის უზმნისწინო ფორმები ომონიმურია უწყვეტლის ფორმებთან, ზმნისწინიანი კი – ხოლმეობით-პირობითთან:

ვარჩევდი: მქონდა, მე პირველად ვერ რა ვერ მესმოდა, ვერ ვარჩევდი, ნახევარს, ნახევ ზომასაც **ვარჩევდი**.

მაინახევდი: ყორებს ვერ **მაინახევდი** კარჩიგა, სუ ყორები ზედ იყნეს და ქსოვდეს.

III პირი:

აღონებდის : ყმაწილს ელა მუხტარამ ჩემ ბიჭებმა წაიკიდიანყე, **აღონებდის**, **აღონებდის** ყელამ დიდ ბიჭსა, ქთქიყი, უი, ჯელები კი დაგაჟმა, არ დადცხო-მეთქი.

აღონებდიან: **აღონებდიან** თა სალომამდი.

გუიყეებოდიან: უამბობდიათ, მაგრამ პარსულ ბევრს **გუიყეებოდიან**, ხო.

II ხოლმეობითი:

I პირი:

ერთ შიდი-რუა სალთი იქ **ავავსი** კარაქითა და ჩამოიტანი სახნიგა.

ავაღულიტყე ზე და **ჩავასხიტყე** ქობჩი, ერ თალაქა ჰარარათი **მიტციტყე** და ნამად ნალები **ამოდის** და ფარჩილზე იმიში **დავაფინიტყე**, დახატული ჭამანი ჰქონდა იმასა, ნამად ნალები იყო.

II პირი:

აკეთი

ზე რო მაღწელე, რა **აკეთი**?

III პირი:

ადგის:

თითანაც **ყეინის ყორი დღისით ადგის** და წავიდის, **მიჰხედისყე** უსთას და **ამაღლებს**.

ადუღდის:

ერთ დიდ ჯოხზეც ცოცხი რამე **გავაკეთით**, **კარგათ დავახვივით** და რო **ადუღდის**, **ემას ჰადა ვცემდით**, რო არ ამოიდეს და ჰაი ერთ რამეც იყო, **ავგერდან დავძახოდით**.

ასთის:

ეს ყორი და ეს ყორიღა **ერდგან ვერ დავჯდებისყე**, ყალიმდა ნამად ხალღი იყო, დახატულად თა **შუაღდობამდი დავჯდინ**, ერთმა ტარი **ასთის**, ერთმა წინდა შაქნის, ერთმა სხო რამე.

გამაფეხვანიან:

და ეხლა კი ფურიც მოწელიან და ჯბო **გამაფეხვანიან**, მოწოვის ჯბომა და კიდეშ მაფეხვანიან, დააბიან და ეხლა კი დილობი საცა ადგიან, მევორედ მოწელიანყე და ჩობანმა მოდდის, გარეკისყე, დილასაცა მოდდის, გარეკისყე ჩობანმა.

დაალბიან:

ტყავები **დაალბიან**, წყალჩი ჩადვიანყე, დანამით.

როგორც ითქვა, ფერეიდნულისათვის დამახასიათებელია მრავალე ზისობის -ყე (იშვიათად -კე) ნაწილაკით გამოხატვა. ამასთან, ნაწილაკი შეიძლება დაერთოს როგორც ხოლმეობითის ორგანული წარმოების ფორმებს, ისე ნეიტრალურ მწკრივებს და მისცეს მათ მრავალე ზისობის გაგება.

-ყე ნაწილაკი ნეიტრალურ მწკრივებთან:

აწმყო:

ვებნებიყე:

გოგობიო არა ებურავო და ტიტველა ფევი და ესები აქო, რო **ვებნებიყე**, რო აი, კი გაგებნელდაყეო.

ვეძახითყე:

ჩონ მარტყოფჩი დაშქეშნელ-თოლელთ, ბოინელთ და ახჩველებს პირლავაშებს **ვეძახითყე**.

იქტყე:

დილობას მე ელა რო ავდგები დილობასა, ნამაზს ვიქ, ქენაც **იქტყე?**

იციინისყე:

მინა ვართ და როგო ყოფილვართ და ამ ბერ კაცს ვეტყი და ემ ბერ კაცს ვეტყი და ემას ეგრე თავი ჩაეხარა და **იციინისყე** და უხაროდისყე, ვალი, ეგრე, არც რა მითხრისყე.

იციინიანყე:

ერთ რაგდენ ყორი დაქუჩდისყე, კოკონები გომზე გააკეთიან, კოკონა წივაითა, აღიანყე ემ გომზე ასთიანყე, იიბნიანყე, **იციინიანყე**.

უწყვეტელი // ხოლმეობითი

მივილოდიყე:

იმაშინ, რო ყმაწილი ვიყავ, მე **მივილოდიყე** მადრესაჩი, დარსა ვკითხობდი და ჩონ მოალემებმა თქიანყე, რო კოჭაობა ყრალია, ყომარია.

უკრევდიყე:

გადახტომა ქქნიყე, ტკაველობა ქქნიყე, ჩაფულს **უკრევდიყე**.

აღონებდაყე:

მაჰჰაღიანები არ არიანო, ესებიო სხო ემეაყეო, ქრისტიანებიო და ანსიც სო მუუსულმანი იყო იმის ბარა ზელა ელა **აღონებდაყე**.

აღონებლესყე:

ერთ კაცის და დედაკაცს შიდლი ყორი ჰყვანდაყე, ეს ყორები **აღონებლესყე** იმ

დედ-მამასა და ემ კაცმა თქო, რო: ეს ყორები გოლონებენო, დილობისაო ერ ჯურად წადყუნოყე ესები, ლაქკარგოყეო.

კავშირებითი:

შამოიდეყე :

გამოვიარე და ვთქი, რო: წავიდე ერთი ჩემ დია ვნახოთ-მეთქი და ერთი შაიდეთ იქა-მეთქი იმ სახლჩიგა, ჩონ შაიყვანე თავსახლჩიგა და უამბეყე ჩემ ამაშინ **შამოიდეყე ექა!**

წახიდეყე:

ჰა, ის გასწორდისყე ელა, მასალან, ემას აშიყობის ომოუდისყე, შენ ზიარათისა, უნდოლისყე წახიდე ზიართ ზე და ელა **წახიდეყე.**

გაჰიდეყე:

ხო, **გაჰიდეყე** რა იცი კალოზე და ესე ყმაწილ შინ დაადიყე?

გჭირდეთყე:

წადით, ფევი ჩაადგით ექა, ქე ქენ მარიზობამ გაკეთდეს, სალაში იყნეთ, არცრა არა **გჭირდეთყე.**

აიდეყე:

აიდეყე, ხორბალი გავაცხავითყე და ლაქჯგითყე ცხრილით ეგრე ეგრე ვქნითყე, ლაქკონძეთყე და აშხალ-მაშხალეზი დოლოჭირითყე.

წყვეტილი:

ამოდესყე:

ანქა ნაჯაფაბადელეზმა **ამოდესყე**, ამოდეს, ამორეკეს.

-ყე ნაწილაკი გვაქეს ორგანული წარმოების ხოლმეობითის მწკრივებთანაც:

I ხოლმეობითი: ათორიელეზდისყე, აიყვანდისყე, აკითხვებდისყე, აკრევიდისყე, ამბობდისყე, ასწავლიდისყე, აცხობდისყე, ბრუნევიდისყე, აძობდისყე... გარბოდიან, გამორბოდიან, თამაშობდიან, მოილოდიან, უკრევიდიან, ვნევიდიან...

II ხოლმეობითი:

ავარჩივიყე, ავღვიყე, ავიდიყე, გააბიყე, გამოიდიყე, გამოიქციყე... ადგისყე, აკრიფისყე, აღუდღისყე, აიღისყე, არჩივისყე, გათენდისყე, გაიღისყე, გაიზიდისყე, აცხონისყე, გაიციინისყე, გალეწისყე, გამაყარისყე... ააღუღიანყე, აათავიანყე, აბანიანყე, ათქიანყე...

ხოლმეობითის (მრავალზნისობის) გამოსახატავად ფერეიდნული იყენებს როგორც ორგანულ, ისე აღწერით წარმოებას. ამასთან, აღწერითი, ანუ ნაწილაკიანი

წარმოება გვხვდება ორგანული წარმოების პარალელურად ხშირად ერთსა და იმავე წინადადებაში. არ ჩანს ორგანული წარმოების შევიწროებისა და ჩანაცვლების ტენდენცია.

სამეცნიერო ლიტერატურაშიც აღნიშნულია, რომ ნაწილაკიანი და უნაწილაკო ფორმების განაწილებაში რაიმე კანონზომიერება არ შეინიშნება და მათი შერჩევა სტილისტიკური ფაქტორითაა განსაზღვრული [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 352].

როგორც აღვნიშნეთ, ნაწილაკიანი წარმოება თავდაპირველად ნეიტრალურ ფორმებთან უნდა გაჩენილიყო მრავალგზისობის გამოხატვის ფუნქციით.

ხოლმეობითის გამომხატველ ორგანულ ფორმათაგან ნაწილაკი I ხოლმეობითის პირველსა და მეორე პირში უნდა გაჩენილიყო, რათა მოეხსნა ნეიტრალური უწყვეტელის მწკრივებთან გაჩენილი ომონიმია, შემდეგში კი უნდა განზოგადებულიყო სხვა ორგანულ ფორმებშიც, თუმცა უნდა ითქვას, რომ აღწერითმა წარმობამ ფერეიდნულში ვერ ჩაანაცვლა ორგანული ფორმები და I და II ხოლმეობითები, რომლებიც ინარჩუნებენ ძველი ქართულის -ი სუფიქსიან წარმოებას, რომელიც დღეს ფერეიდნული დიალექტის ერთ-ერთი მთავარი სპეციფიკური ნიშანია.

3. უღლების თავისებურებანი

ფერეიდნული ზმნის უღლების თავისებურებები მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის. როგორც აღვნიშნეთ, ზმნური ფორმაწარმოების თავისებურებებიდან არნოლდ ჩიქობავამ ყურადღება მიაქცია რამდენიმე საკითხს. ზოგიერთ მათგანზე უკვე ვისაუბრეთ პირის ნიშანთა განხილვის დროს.

მკვლევარმა ბევრ ისეთ საკითხზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც დღესაც დიალექტის სტაბილური ნიშანია და მნიშვნელოვანი ცვლილება პირველი მეცნიერული აღწერის შემდგომ არ განუცდია. ასეთი საკითხებია:

-ენ სუფიქსის კვალი ვნებითი გვარის ზმნებში

თანამედროვე სალიტერატურო ქართულს არ ახასიათებს -ენ სუფიქსი ვნებითი გვარის ზმნების ნამყო სრულის (წყვეტილის ჯგუფში) ძველ ქართულში ამ ფორმებში გვქონდა -ენ // -ნ. ქართული დიალექტების ნაწილმა და ფერეიდნულმაც შეინარჩუნა ძველი ქართულის ვითარება: **შემევეყარ-ენ-ით... დავირივ-ენ-ით... გაიპარ-ენ-ეს...** [ჩიქობავა 2010 (1927): 197].

-ოდ სავრცობიანი ზმნების „იყო“ დამხმარე ზმნით წარმოება

ადმოსავლური კილოების მსგავსად გარდაუვალი ზმნები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში II თურმეობითს -ოდ სუფიქსით იწარმოებენ, ფერეიდნულში დაირთავენ „არის“ ზმნის ნამყო ფორმას – „იყო“: სწადებიყო (= სწადებოდა), გაპ-

ხარებიყო (= გაკზნარებოდა), გამოძყოლიყო (= გამოძყოლოდა), გამტენიყო, გამ-
ფხაჭნიყო... [ჩიქობავა, 2010 (1927): 197].

-ყე ნაწილაკის გამოყენება ზმნური ფორმაწარმოების ელემენტად

-ყე, როგორც ზმნური ფორმაწარმოების ნაწილაკი, გვხვდება ობიექტის ან მიცე-
მითში დასმული რეალური სუბიექტის (ე.წ. ინვერსიულ ზმნებში) მრავლობითობის
გამოსახატავად (ამ ფუნქციით **-ყე** გვხვდება რამდენიმე ქართულ დიალექტში: რა-
ჭულში, იმერულში, ქიზიყურში, ინგილოურში...). დიალექტური მეტყველებიდან
დამკვიდრებულად თვლიან ამ ნაწილაკს ძველ ქართულ სამწიგნობრო ენაში [მელი-
ქიშვილი 1977: 173].

○ მიც.: **დოურიგეყე** ფქვილის პატრონებს.

○ სახ.: ესენი კი **გავრეკეთყე**.

S მიც: ქართველებს ვაჟაკცობა **უქნიაყე** [ჩიქობავა 2010 (1927): 197].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფერეიდნულში -ყე სუფიქსი ამავე დროს მრავალ-
გზისობის გამოსატვის ფუნქციასაც ასრულებს. ის პირდაპირ ანაცვლებს „ხოლმე“
ნაწილაკს.

ყე სუფიქსის ფორმაწარმოებით ფუნქციაზე დეტალურად მსჯელობს არნოლდ ჩი-
ქობავა [ჩიქობავა 1923-1924].¹⁵²

3.1. გარდაუვალ ზმნათა ფორმაწარმოების თავისებურება ფერეიდნულში

ფერეიდნული ზმნის თავისებურებები, როგორც ვთქვით, რამდენადმე ფართოდ
აისახა დარეჯან ჩხუბიანიშვილის მიერ მომზადებულ პარადიგმებში, თუმცა ეს პა-
რადიგმები გვერდს უვლიან ფერეიდნული ზმნის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს,
ან არასრულად აშუქებენ მას. ზმნური ფორმაწარმოების აღწერისას ჩვენი მიზანი არ
იყო პარადიგმების სისტემური ცხრილების შედგენა. ეს გადაწყვეტილება მეთოდუ-
რი იყო და გულისხმობდა მხოლოდ ტექსტურად დადასტურებული ან სპეციალურად
მოძიებული ფორმების ანალიზს და გამორიცხავდა რეკონსტრუირებულ „ვირტუა-
ლურ“ ფორმებს. ჩვენთვის ასეთივე სარწმუნო წყარო იყო არნოლდ ჩიქობავასა და
დარეჯან ჩხუბიანიშვილის მიერ საანალიზოდ მოხმობილი ფორმები.

მუშაობის ერთ-ერთ ეტაპზე გადავაწყდით მოულოდნელ წინააღმდეგობას – და-
რეჯან ჩხუბიანიშვილის პარადიგმების სხვადასხვა შემოწმებისას აღმოჩნდა ზოგიერთი
შეუსაბამობა. იმის გამო, რომ პარადიგმა, როგორც ჩანს, აღწერილი იყო არა თი-
თოეული რეალიზაციის მიხედვით, არამედ საყრდენი ფორმების მიხედვით იყო აღ-
დგენილი დაუდასტურებელი ფორმები.

სახელურ ფორმაწარმოებაში ასეთ შეუსაბამობაზე ზემოთ ვისაუბრეთ (როცა უკ-

152. უფრო მეტი -ყე ნაწილაკთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ.

ვეცელ სახელთა პარადიგმის მიხედვით მოქმედებითი ბრუნვის გავლენით იყო აღ-
დგენილი ფერეიდნული სათვის უცხო ნათესაობითისა და სახელობითის ფორმები).

ფერეიდნულის ზმნური ფორმაწარმოების სრული სურათის აღწერა საკმაოდ
რთული საქმეა დიალექტის შიდადიფერენცირებისა და მოქმედთა დაბალი ენობრი-
ვი კომპეტენციის¹⁵³ გამო. ზოგი მწკრივის ფორმის დადასტურება ამა თუ იმ ტიპის
ზმნისთვის საერთოდ ჭირს, მაგალითად, **ორპირიან გარდაუვალ ზმნათა მესამე სე-
რიის მწკრივები** საერთოდ არც ჩამოყალიბებულა დიალექტში.

**ვნებითი გვარის ზმნათა წარმოების თავისებურება. მხოლობითი რიცხვის მესამე
პირის ფორმები.**

ცნობილია, რომ ვნებითი გვარის ზმნებში, აწმყოსა და მყოფადის მწკრივებში
მხოლობითი რიცხვის მესამე პირში ძველი ქართულის **-ის** სუფიქსიანი წარმოება
(ე-ბრალ-ებ-ის...) -ა სუფიქსიანმა ფორმებმა ჩაანაცვლა **(ე-ბრალ-ებ-ა)** თანამედროვე
ქართულ ენაში. **-ის** სუფიქსიანი წარმოება შემოგვინახეს მხოლოდ ქართული ენის
მთის კილოებმა და ზოგიერთმა სხვა დიალექტმა (ხევსურული, ფშაური, მოხეური,
ინგილოური, რაჭული... [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 413-414]. ამ დიალექტებს
მხარში უდგას ფერეიდნულიც:

ჩემ პაპასა არ აგონდების, რო რუვი გამჟმარიყოს.

ასევე: აგორდების, ადგების, გაგუვდების (=გაბრაზდება), გადახტების, გაგრძელ-
დების, ათავდების (ათავდება), გათენდების (გათენდება), მეესწრობის, აგონდების,
დეედების, შაიქნების, შასწყდების, ეზიდების, აიკრეფის, შაიკმაზების, მეეხვის,
შაქუჩდების, დეერქმის, მაჰყვების, ამწონდების, ათესლდების....

ერთპირიან გარდაუვალ ზმნათა უღლების ზოგი თავისებურება

ერთპირიანი გარდაუვალი ზმნების უღლება მთლიანად იმეორებს ძველი ქართუ-
ლის ვითარებას:

აწმყოში გამოიყოფა მწკრივის ნიშანი **-ი-**, აწმყოს ფუძისგან ნაწარმოებ მწკრი-
ვებში – სავრცობი **-ოდ**, მესამე მწკრივის ფორმები იწარმოება მიმდებარე ფუძეზე
მეშველი ზმნის დართვით [შანიძე 1982: 124-131; სარჯველაძე 1997: 122].

როგორც ვთქვით, ფერეიდნული მთლიანად იმეორებს ერთპირიან გარდაუვალ
ზმნათა წარმოების ამ წესს:

მწონდების – მწონდებოდა – ამწონებულვარ, ამწონებულხარ, ამწონებულა;

იმალების – იმალებოდა – დაიმალა – დამალულვარ, დამალულხარ, დამალულა...

დარეჯან ჩხუბიანიშვილის პარადიგმებში ამ ჯგუფიდან მოცემულია (და)ვიმ-
ძლევი ზმნის უღლების ნიმუში, რომელიც აგრეთვე ადასტურებს ზემოთ აღნიშნულს
[ჩხუბიანიშვილი 2012: 196]; გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 520].

თავისებურებას ავლენენ **ორპირიანი გარდაუვალი ზმნები**. როგორც აღმოჩნდა, ფე-
რეიდნულს, ისევე, როგორც ძველ ქართულს, არ ახასიათებს გარდაუვალი ზმნებისთვის

153. ხშირია, როცა მოქმედი სათანადოდ ვერ ფლობს საკუთარ დიალექტს და უჭირს პარადიგმის
ყველა ფორმის რეპროდუქცია.

I თურმეობითის ორგანული წარმოება. რეზულტატურობის შინაარსი დიალექტში გადმოიცემა ან მიმღებური ერთპირიანი კონსტრუქციით, ან წყვეტილის ფორმით:

ვემალები – ვემალებოდი, დავემალე... მე მას, მაგრამ: **დამალულვარ, გაპარულვარ...** ან **დავიმალე, გავიპარე.**

დიალექტისთვის უცხოა ფორმები: **დამალვევარ, გაპარვევარ...**

გარდაუვალ ზმნათა უღლების სისტემაში ძირეული ცვლილებები, სახელდობრ, მეშველზმნიან ფორმათა ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების პროცესი ისტორიულად სწორედ ფერეიდნელთა გადასახლების პერიოდზე მოდის. ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ ასახავს დიალექტის მონაცემები ზმნური ფორმაწარმოების ამ სეგმენტს, სახელდობრ იმას, თუ როგორ გაგრძელდა მეშველზმნიან ფორმათა ჩამოყალიბების პროცესი სალიტერატურო ენისა და სხვა დიალექტებისგან იზოლირებულ კოლექტივში.

3.2. მეშველი ზმნის გამოყენების თავისებურება ფერეიდნულში

ცნობილია, რომ მეშველზმნიანი ფორმები ქართული ზმნის დრო-კილოთა წარმოებაში გვიან არის გაჩენილი. ისიც აღნიშნულია, რომ მარტივი ზმნური ფორმების „გართულება“ მეშველი ზმნით ეტაპობრივად ხდებოდა.

როგორც აღნიშნულია, აწმყოში დამხმარე ზმნას დაირთავს ზმნათა მცირე ჯგუფი, ძირითადად ე.წ. სტატიკური და საშუალი გვარის ზმნები [ბარამიძე 1964: 97]. რაც შეეხება I თურმეობითს, ის „მეშველზმნიანია ყველა ტიპის ზმნისთვის“¹⁵⁴ [ბარამიძე 1964: 105]. ასევე აღნიშნულია, რომ ეს თითქოსდა ერთი პრინციპი წარმოებისა აერთიანებს ზმნათა რამდენიმე განსხვავებულ ჯგუფს: ერთპირიანი და ორპირიანი ზმნების აღწერითი ფორმები სრულიად განსხვავებული ხასიათისაა, ამავე დროს ორპირიანი ზმნებში გარჩეულია გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები [ბარამიძე 1964: 105].

ფერეიდნულ დიალექტში ზმნურ ფორმაწარმოებაში მეშველი ზმნის გამოყენების თავისებურებაზე სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის საგანგებოდ აღნიშნული. იმის გამო, რომ მეშველი ზმნა აქტიურად აწარმოებს სტატიკური ზმნების აწმყოს და ერთპირიან ზმნათა მესამე სერიის მიმღებობის ფუძეზე დაყრდნობილ ფორმებს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ დიალექტი მთლიანად მიჰყვება მეშველზმნიანი ფორმების წარმოების ქართულ ენაში დამკვიდრებულ მოდელს და ერთგვარად „ინილბება“ ის მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი თავისებურებები, რომლებიც ამ კუთხით იჩენს თავს დიალექტში.

ამ საკითხის კვლევისას ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია გვაქვს თუ არა ფერეიდნულში მეშველზმნიანი ფორმების წარმოების სალიტერატურო ქართულთან იდენტური სურათი? შესაბამისად, შეგვესწავლა ამ თვალსაზრისით:

154. მკვლევარი არ აზუსტებს, რომ გარდამავალი ზმნებიდან მხოლოდ მანის რიგის, იგივე „ობიექტური წყობის“ ზმნები დაირთავენ მეშველ ზმნას პირველ თურმეობითში, ამიტომ შეფასება „ყველა ტიპის ზმნები“ აქ, შეიძლება ითქვას, გადაჭარბებულია.

1. სტატიკური ზმნები (ზის, დგას...)
2. ე.წ. ინვერსიული ზმნები (უყვარს, სძულს...)
3. ერთპირიანი და ორპირიანი გარდაუვალი ზმნები (ჯდება, ეძალება)
4. გარდამავალი (მხოლოდ ე.წ. მანის რიგის // „ობიექტური წყობის“) ზმნები (მკლავს, მიჭერს...)

როგორც ვთქვით, ფერეიდნულის მეშველზმნიანი ფორმების წარმოების თავისებურებაზე არ არის აღნიშნული არცერთ სამეცნიერო წყაროში, თუმცა ტექსტებში ეს თავისებურებები საკმაოდ არის დოკუმენტირებული.

ქართული დიალექტების კორპუსში ფერეიდნულ ტექსტებში დღეისათვის 28 ზმნური ფუძისგან ნაწარმოები 70-მდე პირველი და მეორე პირის [ვარ(თ), ხარ(თ)] მეშველზმნიანი ფორმაა დამოწმებული. ყველა ეს ზმნა გარდაუვალია. გვხვდება როგორც აწმყოს, ისე I თურმეობითის ფორმები. ამ ფორმებს ერთად განვიხილავთ, რადგან სტატიკურ ზმნათა აწმყოს ორგანულ ფორმას ხშირად სინონიმურად ანაცვლებს I თურმეობითის მეშველზმნიანი ფორმა: **ზის – დაცდომულია**.

წარმოვადგენთ იმ ზმნების ჩამონათვალს, რომლებიც ქართული დიალექტების კორპუსში მეშველი ზმნით დასტურდება:

ზმნა	აწმყო	I თურმეობითი
დის (ამოდის, გადის, აღის...)	გავდივარ, დავდივარ, მივდივარ, მოუდივარ, მოვდივარ, შავდივარ; მადიხარ, მიდიხარ, მიიდიხარ, წაიდი-მადიხარ.	ამოსულვარ, ასულვარ, გადმოსულვარ, გამოსულვარ, გასულვარ, მოვდეგნილვარ, მოვსულვარ, მოსულვარ, ჩამოსულვარ, ჩამოსულვარ, ჩასულვარ, წასულვარ; მოსულხარ, შამოსულხარ, წასულხარ, გასულხარ, ამოსულხარ, ამოდიხარ, გამოსულხარ.
გამახანაგდება	–	გამახანაგებულვარ
გახდება	–	გავხდომილვარ, გახდომილვარ
გაიზრდება	–	გაზარდულვარ, გაზდილვარ
გათხოვდება	–	გათხოვილვარ, გათხოვილხარ
გამოიქცევა	–	გამოვქცეულვარ
გაჩნდება	–	გაჩენილხარ
დაიბადება	–	დაბადებულვარ, დაბადულვარ
დაბერდება	–	დაბერებულვარ, დაბერებულხარ
დაიბუხება	–	დაბუხილვარ
დავარდება	–	დავარდნილვარ
დაიკარგება	–	დაკარგულვარ
დაიღალება	–	დაღალულხარ
დაღონდება	–	დაღონებულხარ
დაეჩვენება	–	დაჩოულხარ

დაწვება	–	დაწოლულხარ
დაჯღება	–	დაჯღდომილვარ, დაჯღდომილხარ
ღვას	ვღვავარ, ვღვივარ, უღვეხარ	
ზის	ვზივარ, ზიხარ, უზიხარ	
არის	ვარ, ხარ	ვყოფილვარ, ყოფილვარ, ყოფილხარ, ყოფულვარ
ჯობს	ვჯობვარ, დჯოფხარ	
მოიწევა		მოწეულხარ
მღერის	მღერიხარ*	
წევს	წევხარ	
შეიქმნება		შაქნივარ
ყავს	ყევარ (= ვყავარ)	
გღია	დგლიხარ	
დამჯღობინდება		დაჯღობინებივარყველო

როგორც ტექსტური მასალიდან ჩანს, ფერეიდნულში მეშველზმნიანია ე.წ. სტატიკური ზმნების აწმყო და დინამიკური ვნებიტების I თურმეობითები.

კითხვარული მასალიტაც **ერთპირიანი** დინამიკური ვნებიტის ყალიბის ზმნები მესამე სერიის ფორმათა წარმოებიტას უგამონაკლისოდ მეშველზმნიანებია: **იმაღება – დამალულვარ, იპარება – გაპარულვარ...**

როგორც ზემოტაც იტქვა, **ორპირიანი ვნებიტების** მეშველზმნიანი ფორმები უკიდურესად შეზღუდულია. კითხვარული მეთოდით მასალის მოპოვებისას რესპონდენტები უარყოფენ **გავპარვივარ, დავმალვივარ...** ტიპის წარმოებას. პარადიგმის აღმწერი კითხვარების გამოყენებისას ორპირიანი ზმნების **პირველი თურმეობითის** შინაარსით რესპონდენტები ან ერთპირიანი ზმნის პირველ თურმეობითს, ან ორპირიანის წყვეტილს ასახელებდნენ: ვემალები – **დავემალე // დავმალულვარ.**

რესპონდენტები კატეგორიულად უარყოფენ მეშველზმნიან წარმოებას I თურმეობითში, თუმცა, როგორც ცხრილიდანც ჩანს, ეს არ გამორიცხავს მეშველზმნიანი წარმოების იშვიათი გამოვლენის შესაძლებლობას ამა თუ იმ კონკრეტულ ზმნაში გაბმული მეტყველების დროს. კორპუსში დამოწმებულია ერთადერთი ფორმა **დაჯღობინებივარყველო – (და)ვაჯღობებ (=ჯჯობნი)** ზმნის I თურმეობითი:

მაშ ნახეო, რო მეო ჩემთი თუ მინდოდაო, გამამივდოდა, ჰარ რამე საქმე ვავაკეთოო, ეხლაცაო მეო ამ სუ დებს დაჯღობინებივარყველო.

ტექსტი მარტყოფშია ჩაწერილი დარეჯან ჩხუბიანიშვილის მიერ, 1998 წელს. ფრაზის შინაარსი ნათელია და საანალიზო ფორმის ინტერპრეტაციაც გამჭვირვალეა. ყველა გამოკითხვის საწინააღმდეგოდ აშკარად გვაქვს ორპირიანი გარდაუვალი ზმნის ქართული ენობრივი სისტემისთვის დამახასიათებელი წარმოება. რა მოვლე-

ნასთან გვაქვს საქმე – ძველი ვითარების ნაშთია ეს, თუ საერთო ენობრივი ტენდენციის გამოვლინება? ამაზე პასუხის გაცემა ძნელია მასალის სიმცირის გამო.

შეიძლება გამოითქვას მხოლოდ ფრთხილი ვარაუდი, რომ ფერეიდნულმა შეინარჩუნა მდგომარეობა, როცა დიალექტში ორპირიან ზმნებშიც ისახებოდა მეშველ-ზმნიანი წარმოება. პროცესი რალაციის გამო აქ გაჩერდა და ტენდენციად აღარ იქცა, არ მოხდა ამ წარმოების შემდგომი უნიფიცირება. თუ რატომ, ამ კითხვაზე პასუხი შემდგომმა, უფრო გამოწვლილვითმა კვლევამ შეიძლება მოგვცეს. არ გამოვრიცხავთ, რომ თითოეული სოფლის მიხედვით მასალის შესწავლა უფრო მეტ კერძო შემთხვევას გამოავლენს ამ საკითხზე ფართო მსჯელობისათვის.¹⁵⁵ დღესდღეობით კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფერეიდნულში მეშველ ზმნას დაირთავენ მხოლოდ:

1. სტატიკური ზმნები;
2. ერთპირიანი დინამიკური ვნებითების I თურმეობითები.

რა ვითარება გვაქვს ყველა სხვა ზმნასთან, რომელიც სალიტერატურო ქართულსა და ქართულ დიალექტებში მეშველზმნიანი წარმოებისაა?

ფერეიდნული დიალექტის ზმნური ფორმაწარმოების მნიშვნელოვან თავისებურებას სწორედ ზმნათა ეს ჯგუფები წარმოგვიდგენენ. ესენია: **უყვარს** ტიპის ზმნები, ორპირიანი გარდაუვალი ზმნები, გარდამავალ **მანის რიგის** (ობიექტური წყობის) ზმნათა პირველი თურმეობითები. ენახოთ, როგორია თითოეული ამ ჯგუფის ფორმაწარმოების თავისებურება დიალექტში:

ე.წ. ინვერსიული ან უყვარს ტიპის ზმნები სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით მეშველ ზმნას არ დაირთავენ ფერეიდნულში. ისინი ვერ აღნიშნავენ რეალური ობიექტის (სახელობითბრუნვიანი აქტანტის) პირველ და მეორე პირს, ხოლო საჭირო შინაარსს გადმოსცემენ სათანადო ზმნის მესამე პირის ფორმაზე პირის „ჩემ“ // „შენ“ და უკუქცევითი „თავი“ ნაცვალსახელების დართვით:

მე მიყორს შენ თავი, იმას უყორს შენ თავი,
შენ გიყორს ჩემთავი, იმას უყორს ჩემთავი¹⁵⁶.

საგულისხმოა, რომ ამ ზმნების მთელ პარადიგმას გაჰყვება ეს თავისებურება – რეალური ობიექტი ყველა რეალიზებულ მწკრივში მესამე პირის ფორმითა და ნაცვალსახელებით არის წარმოდგენილი:

გიყორდა ჩემთავი, უყორდა ჩემთავი, მიყორდა შენ თავი, უყორდა შენ თავი...
გიყორდეს ჩემთავი, უყორდეს ჩემთავი...

155. საგულისხმოა, რომ უძველეს ძეგლებში ორპირიან ზმნათა III სერიის ფორმები არ დასტურდება. ეს ფორმები საერთოდ გვიან არიან გაჩენილი [ნათაძე 1955: 98]. მას შემდეგაც, რაც გაჩნდა მათი მესამე პირის ფორმები, დიდხანს არ ჩანს პირველი და მეორე პირის ფორმები [ბარამიძე 1964: 105].

156. მესამე პირის რეალური ობიექტის შეიძლება გამოხატული იყოს როგორც უკუქცევითი, ისე ჩვენებითი ნაცვალსახელით: მე მინდა ამის თავი // მე მინდა ანსი // მინდა (საქმე მინდა, სიცოცხლე მინდა), პირველი და მეორე პირისა – მხოლოდ უკუქცევითი ნაცვალსახელით: ჩემთავი, შენთავი.

მაგალითები დიალექტური კორპუსიდან:

უყორს:

ბეჭრიც ჩემ თავი უყორს ემ დედასლა და მოოზაფტავ და გოოდიდავ.

უყორდა:

დამბანიწყე, მამზაფტისყე, უყორდა ჩემ თავ, ძრიალ უყორდა ჩემ თავი.

ღებსაც ძრიალ უყორდაყ ემის თავი და დიდ კაც იყო და სუყელას უყორდ იმის თავი.

უყორდის:

მოსწავლეებელს რო ძრიალ ჩემ თავი უყორდისყე, ერთი ის ბიჭები, დარსი მიპ-ცისყე და თქისყე: წოოლე, ესე რე ზამ დაწეროს და გააკითხოს და მამიტანე!

შამიყორდა:

შენ თავი მე შამიყორდაო.

მამწონდაო:

მე შენ თავი სუყელასყენ მამწონდაო.

უნდა:

ემამ თქო, რო: ემე ერიო, ეხლაო ჩემ თავი უფრო გინდაო, თუ ემ ჰადარბეგისაო. მეო, შენ თავი მინდაო – უთხრა.

მინდა:

მე შენ თავი არ მინდაა, არ მინდა, ცხო ყორი მინდა.

გუნდა:

შენ თავი აღარ გუნდაა.

ასევე იქნება: მიჰყავს ჩემთავი, ახსოვს ჩემთავი...

ორპირიანი გარდაუვალი ზმნები: როგორც ზემოთ ვთქვით, I თურმეობითის ორპირიან ფორმებს ეს ზმნები არ იწარმოებენ: ან გვაქვს ერთპირიანი მიძღვობური ფორმა (**ვემალები – დავმალულვარ**) ან, როგორც გამოკითხვისას რესპონდენტები გვპასუხობენ – წყვეტილის ფორმა გამოიყენება: **მე იმას ღვევმალე.**

გარდამავალი ზმნის მანის რიგის // ობიექტური წყობის ზმნები აგრეთვე სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, არ დაირთავენ მეშველ ზმნას I თურმეობითში: **მკლავს ის – იმას ჩემთავი მოუკლავ** (შდრ. სალიტ. **მოუკლავხარ**).

გჭამს:

შენ თავი დათვს მოვჭამიაო (შდრ. სალიტ. შეუჭამიხარ).

ყოველივე ამის გამო ფერეიდნული ზმნური ფორმაწარმოების ერთ-ერთ მთავარ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სალიტერატურო ქართულისა და ქართული დიალექტებისაგან განსხვავებით, აქ ზმნათა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იწარმოებს აწმყოსა და I თურმეობითის ფორმებს მეშველი ზმნის დართვით პირველსა და მეორე პირში.

რაკი მეშველზმნიანი ფორმების ჩასახვისა და დამკვიდრების პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა სალიტერატურო ქართულშიც, ხომ არ ასახავს ფერეიდნულის

მდგომარეობა ძველ ვითარებას, როცა მოვლენა არ იყო საკმაოდ განზოგადებული და უნიფიცირებული?

თუ ეს ასე იყო, მაშინ შესაძლოა ფერეიდნულის ვითარებამ გასცეს პასუხი კითხვაზეც, კონკრეტულად რომელ ფორმებში ჩაისახა პირველად მეშველზმნიანი წარმოება და როგორი იყო მისი გავრცელების დინამიკა.

სამეცნიერო ლიტერატურაში უარყოფილია აზრი იმის შესახებ, რომ ეს პროცესი შეიძლება აწმყოს ფორმებში დაწყებულიყო და იქიდან გადასულიყო მესამე სერიაში. გამოთქმულია ვარაუდი, რომ მეშველზმნიანი ფორმები თავდაპირველად გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში ჩნდება და მისი დანიშნულება არის პირის რომელობის დაზუსტება [ბარამიძე 1964: 113-114, 144-145].

თუ ჩავთვლით, რომ ფერეიდნულმა შემოინახა გადასახლების დროინდელი ვითარება, მაშინ ამ თვალსაზრისს საფუძველი ეცლება, რადგან სწორედ გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში, მანის რიგის ფორმებში არის კატეგორიულად გამორიცხული მეშველი ზმნა ფერეიდნულში და რეზულტატივის ამ შინაარსის გადმოსაცემად „ჩემთავ // შენთავ“ ნაცვალსახელიანი წარმოებაა გაბატონებული.

ფერეიდნულის ვითარებას მხარს უჭერს ინგილოური, რომელიც მანის რიგის გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის წარმოებისას ასევე იყენებს ჩემთავ, შენთავ ნაცვალსახელს და ასევე მეშველი ზმნის გარეშე იწარმოებს ფორმებს:

...ჩონთავ მოვტყუები შენთავიც, ჩემთავიც, უჟე წასულან.

/...ჩვენ მოვუტყუებივართ, შენც, მეც, უკვე წასულან/.

როგორც ვხედავთ, ფერეიდნული მართო არ არის მეშველზმნიანი ფორმების წარმოების თავისებურების თვალსაზრისით. ინგილოურთან ეს მსგავსება ამ დიალექტების ოდინდელ სიახლოვესა და ერთიან წარმომავლობაზეც შეიძლება მიგვანიშნებდეს.

შესაძლოა დავუშვათ, რომ ორივე დიალექტმა, მშობლიური ენობრივი გარემოდან მოწყვეტილმა, შემოინახა ძველი ვითარება უმეშველზმნო წარმოებისა, ხოლო პირთა გასარჩევად გამოიყენა უკუქცევითი შინაარსის განსაკუთრებული ნაცვალსახელები: **შენთავი, ჩემთავი** – რომელშიც **თავი** უკუქცევითობას, მოქმედების ობიექტზე მინიშნებას გამოხატავს, **მე // შენ** ნაცვალსახელები კი პირველ-მეორე პირს განარჩევენ.

შეიძლება ვიფიქროთ სხვაგვარადაც – ეს ფორმები უკვე ფერეიდნულთა გადასახლებაში არსებობდა ერთ-ერთ დიალექტში ან დიალექტთა ჯგუფში, როგორც საყოველთაო ტენდენციის ალტერნატივა. ის შემორჩა იზოლირებულ დიალექტებში, სხვაგან კი უნიფიცირდა დომინანტური მოდელი.

საკითხის კვლევა საჭიროა ყველა დიალექტის მიხედვით. იმის გამო, რომ აწმყოში მეშველ ზმნას სულ რამდენიმე ზმნა დაირთავს და თან ყველა მათგანი არც დასტურდება დიალექტებში, მასალა ძნელად ექვემდებარება დოკუმენტირებას. ასევე რთულია **მანის** რიგის გარდამავალ ზმნათა აღნუსხვა პირველი და მეორე პირის ფორმების შედარებით მცირე სიხშირის გამო ტექსტებში. მეშველზმნიან ფორმათა

არაერთგვარობის გამო, როცა კარგად გამოხატული ერთი წესი დასტურდება დიალექტში, იქმნება სტერეოტიპული სისტემური იგივეობის განწყობა. სწორედ ამიტომ იყო, რომ დღემდე არ იყო შენიშნული და აღწერილი ზმნური ფორმაწარმოების ეს მნიშვნელოვანი მომენტი ფერეიდნულში.

ზმნური ფორმაწარმოების ასეთი თავისებურებები დეტალურად იმიტომაც უნდა იყოს გამოკვლეული, რომ მათ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ფერეიდნელთათვის ქართული ენის სწავლებისას. ეს „დაფარული“ ენობრივი ნიშები ძალიან უშლის მათ ხელს (და მათ მასწავლებლებსაც) სასურველი შედეგის მიღწევაში.

3.3. -ავ და -ამ თემისნიშნისანი ზმნები ფერეიდნულში

-ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა წარმოება ქართული ენისა და მისი დიალექტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია. ამ ჯგუფის ზმნათა აწმყოსა და მესამე სერიის ფორმათა ვარიაციულობა დღემდე რჩება ქართული ენის ნორმალიზაციის ერთ-ერთ მთავარ საკითხად. ასევე, **-ავ** თემისნიშნიან ზმნათა მორფოფონემატური თავისებურებები მიჩნეულია დიალექტური დიფერენციაციის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად ქართულ დიალექტოლოგიაში.

ფუძის კუმშვა -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებში. აღნიშნულია, რომ **-ავ** თემისნიშნიან მოქმედებითი გვარის ზმნათა ერთი ნაწილი სალიტერატურო ქართულში პირველ სერიაში შეკუმშული ფუძით არის წარმოდგენილი, ეს ზმნებია:

ვ-თხზავ – შევ-თხზ (ძვ. ქ.)

ვ-კლავ – მოვ-კალ

ვ-კრავ – შევ-კარ

ვ-სრავ (ძვ. ქ.) – მოვ-სარ

ვ-ფლავ – დავჰ-ფალ

ვი-ც(ვ)-ავ – დავი-ცივ

ვ-ძრავ – შევ-ძარ

ვ-წნავ – დავ-წან

ვ-ხნავ – დავ-ხან

ვ-ხრავ – დავ-ხარ

ვ-ხშავ (ვშავ – დავ-ვაშ) [შანიძე 1980: 394-397]

ამ ზმნათაგან უმეტესობა საერთოდ არ ჩანს ფერეიდნულში: ვთხზავ, ვსრავ, ვხშავ... (ეს ის ზმნებია, რომლებიც სალიტერატურო ქართული სთვისაც არქაიზმებად მიიჩნევა).

დიალექტში ყველაზე აქტიურად წარმოდგენილია ამ ჯგუფის **კრავს, ვნავს, კლავს** ზმნები. სალიტერატურო ქართულის მსგავსად ეს ზმნები პარადიგმებში წარმოგვიდგენს ორივე – შეკუმშულ და შეუკუმშავ ფუძეს.

აქ წარმოვადგენთ ამ ზმნების პარადიგმული რეალიზაციის კორპუსულ სურათს, რათა ვაჩვენოთ ჯერ ისევ რამდენად მტკიცეა ამ ტიპის ზმნათა პარადიგმული სტრუქ-

ტურა და რამდენად განსაზღვრავს ის დიალექტის თავისებურებას, მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე აქტიური ზმნაა შემორჩენილი¹⁵⁷.

კრავს:

კრ-ავ: დაკრვენ, დაკრვენყე, დააკრიანყე, აკრვენ, აკრავო, აკრავს, აკრავსლა, ამადკრავს, ადკრვენ, ადკრავს, გადსაკრავები, გამოკრავყე, გაძკრავთ-გამოკრავთ, დაკრავს, დავიკრავ, დავაკრავ, დავაკრავდი, დავაკრავდით, დავაკრავთ, დავაკრავთლა, დავაკრავთყე, დავაკრავო, დავაკრავლა, დავაკრავყე, დაფკრავ, აძკრავენ, დადკრავტყე, დლოკრავენ, დლოკრავთ, დლოკრავთყე, დლოკრავს, დლოკრავტყე, დლოკრავყე, დლოკრავს, ვაკრავ, ვაკრავთ, ვკრავ, ვკრავთ, ვკრავთყე, იკრავთ, მიაკრავ, მიაკრავო, მიაკრავს, მიგაკრავ, მივაკრავ, მივაკრავთ, მიკრავ, მიკრავო, მოიკრავ, მოიკრავთ, მოიკრავყეა, მუაკრავთ, მუუკრავყე, უკრავ, უკრავდენ, უკრავენ, უკრავს

უკრავყე, შავკრავთ, შავკრავთყე, შაკრავთყე, შამოდკრავთ, შაძკრავთო, შაძკრავს, შადკრავ, შადკრავენ, შადძკრავენ, შაძკრავ, შაძკრავთ, შოვკრავყეო, შოვკრავთ, შოვკრავს, შოვკრავყე, შოვკრავყეო, ჩავაკრავთ, ჩამადკრავდენ, ჩოვკრავყე, ჩუგუკრავ, წამადკრავს, ჰკრავლა, ჰკრავს, დკრავ, დკრავს...

კრ-ევ: ავაკრევდით, აკრევლა, აკრევდეს, აკრევდითო, აკრევდისყე, აკრევინებენ, დავაკრევდით, დადკრევდეს, დადძკრევდეს, ვაკრევდიო, უკრევდენ, უკრევდეს, უკრევდი, უკრევდიან, უკრევდიანყე, უკრევდით, უკრევდიო, უკრევდის, უკრევდიტყე, უკრევდიყე, შამადკრევლა, შაძკრევდეს, შადკრევლა, ჩადკრევდი, ავაკრევდით, აკრევლა, აკრევდეს, აკრევდითო, აკრევდისყე, აკრევინებენ, ავაკრევდით, დადკრევდეს, დადძკრევდეს, ვაკრევდიო, უკრევდენ, უკრევდეს, უკრევდი, უკრევდიან, უკრევდიანყე, უკრევდით, უკრევდიო, უკრევდის, უკრევდიტყე, უკრევდიყე, ამადკრევლა, შაძკრევდეს, შადკრევლა, ჩადკრევდი...

კრ-ო: აიკრიან, ამადკრის, ავაკრითყე, ამმადკრიან, გადვაკრით-გადმოაკრით, გადვაკრით-გადმოვაკრით, გადვაკრითყე, გამოაკრითყე, დააკრიანყე, დააკრისყე, დავაკრით, დავაკრიტყე, დავაკრიტყელა, დავაკრილე, დავაკრიყეა, დადკრი, დლოკრიან, დლოკრიანყე, დლოკრიტყე, დუგუკრია, ეეკრის, ვკრითყე, უკრიანყე, უკრიანყელა, უკრით, შავკრით, შადკრიყე, შაძკრითყე, შოვკრით, შოუკრის, ჩაკრის, ჩოვკრიანლა, ჩოვკრიტყე, წამადკრიან, წამოვკრითყე, წომოვკრიანყე, ჰკრიან, ჰკრისყე, დკრიანყე, დკრიანყე, ძკრი, ძკრიტყე...

კვრ < კრ-ავ: მავკრენ, მივაკვრით-ყე, უკვრენ, შადძკვრენ, ჰკვრენყე, ჰკვრიანლა, მივაკვრითყე...

კარ: დავუკარ, დავაკარი, დავაკარით, დავაკართლა, დამკარ, დოკარით, დუგუკარო, ვაკარ, ვაკარო, ვიკარ...

157. დარეჯან ჩხუბიანიშვილის პარადიგმებში ეს ჯგუფი **უნავს** ზმნით არის წარმოდგენილი [ჩხუბიანიშვილი 2012: 199].

ვნავს:

ვნი: ადვინავს, დავინავენ, დავინან, დეევინას, დეესვინეს, ვვინავთ, ვვინავთყე, ივინების, მა-
მივინავ, მაჰვინავსყე, მაჰვინვენ, მაიჰვინავს, მაიჰვინვენ, მაიჰვინვენყე, მაივინაო, მაივინვეყე,
მაივინვენ, მაივინვენყე, მაივინიანყე, მაივინის, მაივინისყე, მივინავს, მოუვინავტყე, მოგივ-
ინავყე, მოგოვინა, მოგუვინავ, მოგვინავთ, მოგვინავთყე, მოგვინავტყე, მოვინათ, მომვინავი,
მოოვინავყე, მოოვინითყე, მოჰვინავ, მოივინამ, მოვინა, მოვინავ, მოვინავს, მოვინან, მოვინას,
მოვინეს, მოვინავს, მოვინიან, მოვინიანყე, მოვინით, მოვინულა. მოვინულაო, მოივინავთ, მუ-
გუვინავ, ლუვინაჲ, უვინავყე, უვინიანყე, ჩავინა, ჰვინევა, ვინვენ, ვინავთ, ვინავს, ვინავსო,
ვინამენ, ვინას, ვინევა, ვინევეს, ვინევიან, ვინევილის, ვინევილისყე, ვინევენ, ვინევიანყე,
ვინვენ, ვინულა, ძვინავთ.

ვინ: მაივინენ, მაივინენყე, ვვინენ.

ვან: მოვვინით, მოუვვინით, მოვანო.

კლავს:

კლ-ავ: დაგიკლავყე, დაკლავტყე, დამკლავ, დაჰკლავს, დაიკლავს, დაიჰკლავენ,
დაიჰკლავენყელა, დაიჰკლავთ, დაიჰკლავთო, დაიკლავ, დაიკლავდით, დაიკლავთ,
დაიკლავთყე, დაიკლავტყე, დოოკლავყე, დოოკლავყელა, ვჰკლავთ, კლავს, მამიკ-
ლავ, მამიკლავო, მამკლავ, მამკლავო, მამკლავსო, მაჰკლავენ, მაჰკლავს, მაიკლავ,
მაიკლავს, მაიკლავსლა, მაიჰკლავენ, მაიჰკლავს, მკლავსო, მოგუკლავს, მოგკლავო,
მოგკლავს, მოგკლავ, მოგკლავთ, მოკლავ, მოკლავენ, მოოკლავ, მოოკლავო, მოოკ-
ლავყე, მოუკლავ, მოუკლავო, მოუკლავყე, მოჰკლავ, წოოკლავ, იკლავ.

კვლ (<კლ-ავ): დაჰკვლენ, დაიკვლენ, დაიჰკვლენ, დაიჰკვლიანყე.

კალ: დავკალით, დაკალო, დავკალი, დაიკალით, დაიკალითლა, მამკალ.

კითხვარული მასალის მიხედვით ეს ის ზმნებია, რომლებიც პირველ თურქულ-
ბითში „ჯიუტად“ ინარჩუნებენ -ავ თემის ნიშანს (იხ. ქვემოთ).

-ამ თემისნიშნიანთაგან -ავ-იანებს ზუსტად მისდევს **ღვ-ამს, აბ-ამ-ს, ასხ-ამ-ს**
ზმნები. რაც შეეხება ფუძეში ვ- თანხმოვნის შემცველ ფორმებს: **იცვ-ამ-ს, ართვ-
ამ-ს, სვ-ამ-ს**¹⁵⁸... ისინი ფონეტიკური ვა > ო პროცესის შედეგად ფუძეცვლილი
სახით არიან წარმოდგენილი: **იცომს, ართომს, დასომს.**

ზოგჯერ -ამ თემისნიშნიანი ზმნები პარალელური -ავ-იანი წარმოებითაც შეიძ-
ლება შეგვხვდეს, ისევე, როგორც ეს თანამედროვე დიალექტებში გვაქვს:

გადაბავს, დამიღვავ, დაასხავ...

ღვამს:

გადმადღვამს, გამადღვამს, დავადღვამთლა, დავადღვამდით, დავღვამთ, დადღვამენ,
ლოღვამ, ჩადღვამდეს ...

აბამს: გადაბამ, ჩამაბამენ, ჩამაბამიანყე, ჩავაბამთ, ჩაბამენ, გადაბამთ...

158. სვამს ზმნა ფერეიდნულში **ჯღომის** აღმნიშვნელი ზმნის კაუზატიურ ფორმას გამოხატავს.

დაღვავა ზმნური მნიშვნელობის ფარდ პარადიგმას კი დიალექტში **ღვავს** ფორმა უდებს
სათავეს.

ასხამს: ასხამს, ასხემდეს, ასხემდიან, ასხმენ, გამაასხა, გამაასხამს, დაასხამ, დაასხიო, დავასხემდით, დლოსხნია // დლოსხამ, ჩასხმენ, დლოსხამ...

იცვამს: ჩადცმენ, ჩადცოთო, ჩადცომთ, ჩეეცო, ჩეეცოს, ჩადცომთყე....

ართვამს (ართმევს): გამამართომსო, გამამირთომდეს, გომოგორთმენ, გომოურთომ, ურთომ, წოურთომყეო, წართონ...

სვამს: ჩადსმენ, ჩადსომ, ჩომლოსომ, წაისომთ, წოლოსომდეს, ჩასოს...

-ავ და -ამ თემისნიშნთან ზმნათა აწმყოს ფორმათა წარმოების თავისებურება

მრავლობითი რიცხვის მესამე პირის გარდა, **-ავ და -ამ** თემის ნიშნები მოქმედებითი გვარის ზმნათა აწმყოს ყველა ფორმაში სრულად არის შენარჩუნებული. კუმშვა მხოლოდ მრავლობითის მესამე პირს ახასიათებს: **(მო)ვვნავ, (მო)ვნავ, (მო)ვნავს, (მო)ვვნავთ, (მო)ვნავთ, (მო)ვნვენ; შავაბამ, შააბამ, შააბამს, შავაბამთ, შააბამთ, შააბმენ** [ჩხუბიანიშვილი 2012:199; გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 520].

ეს წესი საკმაოდ მყარი ჩანს, თუმცა გვაქვს პარალელური, შეუკუმშავი წარმოებაც:

შეკუმშული: აზიდვენ, გადმახედვენ, გასწურვენ, გასინჯვენ, გაიკითხვენ, გაიბანვენ, გაიბუგვენ, გაიპარსვენ, დააბურვენ, დაინახვენ, დაიხურვენ, დასწერვენ, დაღვენ, დაჰკარგვენ, დაჰკლვენ, დაჰკარგვენ, დაჰპარსვენ, დაჰყონაღვენ, დაჰხაზვენ, დაბარგვენ, დაბურვენ, დაღლავენ, დადლოცვენ, დადმარხვენ, დადნიშვენ, დადტორვენ, დადძახვენ, დაძაფვენ, დაძებენ, დაძკაზმვენ, დოუკრვენ, იკითხვენ, ინახვენ, იპარვენ, იტლინკვენ, იცეკვენ, ლეწვენ.... ასხმენ, დააბმენ, ჩააცმენ.

შეუკუმშავი: გოოჩარბავენ, დაიძინავენ, იყაბულავენ, აიბანდავენ, აკრავენ, ადკრავენ, გასინჯავენ, დააბარავენ, დაინალთავენ, დადბერტყავენ, იპარავენ, იყიდავენ, ლოკავენ, მაალაგავენ, მაჰკლავენ, ჰბავენ, უნახავენ, მიხედვავენ...¹⁵⁹

საყურადღებოა, რომ **-ავ** თემის ნიშნის ფონეტიკური „გამარტივება“ ხმოვნის რედუქციასზე არ ჩერდება და ზოგჯერ თანხმოვანიც უჩინარდება. ამის შედეგად გვაქვს პარალელური ფუძეები:

ბერტყავენ // ბერტყვენ // ბერტყენ

დასწერვენ // დოუსწერენ

გასტეხვენ // გასტეხენ

ლეწვენ // ლეწენ

მაღწელვენ // მაღწელენ

ხარშვენ // მაიხარშენ¹⁶⁰...

როგორც ვხედავთ, ფერეიდნულში **-ავ // -ამ** თემისნიშნთან აწმყოში მრავლობითი რიცხვის მესამე პირი წარმოდგენილია ვარიაციული ფორმებით:

159. -ამ თემისნიშნთან შეუკუმშავი ფორმები სათანადო პოზიციაში არ დადასტურდა არც კორპუსში და არც კითხვარული მეთოდით მოპოვებულ მასალაში.

160. პარალელურ ფუძეებად მხოლოდ ტექსტურ მასალაში დადასტურებულ ერთეულებს განვიხილავთ და არა ანალოგიით ნავარაუდებ ფორმებს.

1. როცა ფუძეს დაერთვის თემის ნიშანი უცვლელად;
2. როცა თემის ნიშანი რედუცირდება ხმოვნის შემცველი სუფიქსის (-ენ) დართვის შედეგად;
3. როცა რედუცირებული თემის ნიშნის თანხმონითი ნაწილიც დაკარგულია.

სიხშირულად დომინანტური ჩანს მეორე შემთხვევა. ანუ ფერეიდნულისთვის ტიპურია აწმყოს მრავლობითის მესამე პირში რედუცირებული თემის ნიშანი. შედარებით მცირე, თუმცა საკმაოდ სისტემურია პირველი რიგის შემთხვევები და კიდევ უფრო მცირეა მესამე – სრულად გამქრალი თემის ნიშანი. ეს ვითარება აჩვენებს, რომ მორფოფონემატური ცვლილება დიალექტში ჯერ არ არის ბოლომდე მორფოლოგიზებული. ვარიაციულობა ამ ფორმებში ასახავს თემის ნიშნის თანდათანობით გაქრობის პროცესს, თუმცა პარადიგმული „არჩევანი“ ჯერ არ არის დასრულებული.

კარგი მაგალითია შესადარებლად იმერულის სათანადო პარადიგმა. იმერულში **-ავ** თემისნიშნიანთა აწმყოს თავისებურებადაა მიჩნეული ის, რომ დიალექტი ერთი პარადიგმის ფარგლებში ორ საყრდენ ფუძეს იყენებს: მხოლობითის ყველა ფორმასა და მრავლობითის პირველი და მეორე პირის ფორმებში – თემისნიშნიან ფუძეს, ხოლო მრავლობითის მესამე პირში – უთემისნიშნოს: **ვთესავ, თესავ, თესავს, ვთესავთ, თესავთ, თესენ** [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 296].

ფერეიდნულის ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება თამამად გამოვთქვათ ვარაუდი იმის შესახებ, რომ შესაძლოა იმერულში ორი სხვადასხვა საყრდენი ფუძე კი არა გვაქვს, არამედ ფონეტიკურად შეპირობებული პროცესის შედეგად გვაქვს მრავლობითის მესამე პირის ფორმა გამარტივებული: ***წერავენ > *წერვენ > წერენ**.

იმერულში პროცესი ბოლომდე მორფოლოგიზებულია, პარადიგმული „არჩევანი“ ვარიაციული ფორმებიდან გაკეთებულია და „არჩეული“ ფორმის სასარგებლოდ ვარიაციულობაც აღმოფხვრილია.

როგორც ვხედავთ, ფერეიდნული დიალექტი „ინახავს“ ქართული დიალექტების მიერ გავლილი მორფოფონემატური ცვლილებების ანაბეჭდს. ის ზუსტად ასახავს ვარიაციული ფორმების ჩამოყალიბებისა და თანაარსებობის ეტაპს.

-ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის (ნამყო უსრულის) წარმოება. ნამყო უსრულის წარმოება **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნებში ქართული დიალექტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. დიალექტთა ერთმა ნაწილმა და სალიტერატურო ქართულმა ნამყო უსრულშიც **-ა** ხმოვნიანი თემის ნიშანი შეინარჩუნა, ძველ ქართულსა და დიალექტთა ერთ ნაწილში კი **-ავ – ევ // (-ამ – ემ)** მონაცვლეობა მტკიცედ არის დაცული. თუმცა სრული ერთგვაროვნება აქაც არ არის:

- დიალექტების ნაწილი სამსავე პირში, როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში ბრუნვისნიშნისეულ ხმოვანს კარგავს (გურული) [ჯორბენაძე 1989: 323];
- ძველ ქართულში და დიალექტების ნაწილში მეორე პირში **-ევ // (-ემ)** გვაქვს

და თემის ნიშანი მხოლოდ მესამე პირშია რედუცირებული როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში;

- ღიალექტების ნაწილი სამსავე პირში ინარჩუნებს სრულ თემის ნიშანს [ჯორბენაძე 1989: 323].

ეს უკანასკნელი ვითარება, როგორც აღნიშნულია, ადრეული შუასაუკუნეებიდან (X – XI საუკუნეებიდან) იჩენს თავს და „ნამყო უსრულის მესამე პირის ფორმებში -ავ და -ამ თემისნიშნისანი ზმნები -ევ-დ დაბოლოებას იკეთებს, ნაცვლად ნორმით სავარაუდო – ვ-იდ დაბოლოებისა: ი-ლოც-ვ-იდ-ა → ი-ლოც-ევ-დ-ა, ა-სხ-მ-იდ-ა → ა-სხ-ემ-დ-ა... [ჯორბენაძე 1989: 26; 224].

ფერეიდნული განეკუთვნება ღიალექტთა იმ წრეს (თუშური, ხევსურული), რომელიც აწმყოში მხოლოდობითი რიცხვის სამსავე პირში ინარჩუნებს თემისნიშნისეულ ხმოვანს:

მხ. რ

1. შავდღებევი¹⁶¹
2. იკითხევი
3. კერევი

მრ. რ.

1. დაქვევდით
2. *იკითხევდით:¹⁶²
3. აკრევდეს // უკრევდენ

დარეჯან ჩხუბიანიშვილის მიერ შედგენილ პარადიგმებში -ავ // -ამ თემისნიშნისანი ზმნათა მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმა წარმოდგენილია პარალელური ფორმით:

(მო)ვნევდეს (ვნვიდეს); შაბემდეს (შაბმიდეს) [ჩხუბიანიშვილი 2012: 199; გოგოლაშვილი 2016: 520].

აწმყოს კავშირებითი ფაქტობრივად იმეორებს ნამყო უსრულის ფუძეს, ასევე -ევ // -ემ სახით წარმოადგენს თემის ნიშნებს, თუმცა დარეჯან ჩხუბიანიშვილის პარადიგმებში ამ მწკრივში მხოლოდობითის მესამე პირის ფორმაში ერთი ზმნა მხოლოდ შეკუმშული თემის ნიშნით არის წარმოდგენილი, მეორე – პარალელური ფორმებით:

(მოვნევდე, მოვნევდე, მოვნევდეს, მოვნევდეთ, მოვნევდეთ, **მოვნვიდენ**; შაბებმდე, შაბებმდე, შაბებმდეს, შაბებმდეთ, შაბებმდეთ, **შაბებმდენ** [ჩხუბიანიშვილი 2012: 199; გოგოლაშვილი 2016: 520].

161. დაშქანას მეტყველებას არ ახასიათებს -ავ > -ევ, -ამ > -ემ მონაცვლეობა. ამას დაბეჯითებით ხაზგასმით გვიმტკიცებდნენ ჩვენი მოქმედებები.

162. მრავლობითის მეორე პირის ფორმით ჩვენთვის საინტერესო ფორმა არ დადასტურდა. ეს ფორმა აღდგენილია.

ჩვენს მასალაში არ დადასტურდა არცერთი ფორმა, როცა ნამყო უსრულის ან აწმყოს კავშირებითი ფორმაში თემის ნიშანი შეკუმშული ფორმით იქნებოდა წარმოდგენილი.

სპეციალურად გამოვკითხეთ ორივე წრის სოფლების მკვიდრნი და გამოწმებით -ავ თემისნიშნიან ზმნათა მესამე პირის ფორმებს ნამყო უსრულისა და აწმყოს კავშირებითი ფორმებში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ მწკრივებში ჩვენთვის საინტერესო ზმნები ზუსტად იმეორებენ მთის კილოების (ხევსურულის, მთიულურის, თუშურის...) ვითარებას – მხოლოდითი და მრავლობითი ფორმების სამსავე პირში სრულხმოვნიან თემის ნიშანს ინარჩუნებს.

რას უნდა გამოეწვია დარეჯან ჩხუბიანიშვილის მიერ შედგენილ პარადიგმებში არასწორი ფორმების მოხვედრა? ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში კიდე ერთხელ გვაქვს საქმე იმ მოვლენასთან, რასაც ჩვენ „პარადიგმული სტერეოტიპი“ დავარქვით. ფერეიდნულში, როგორც ზემოთ აღვწერეთ, ბუნებრივია მოქმედებითი გვარის ზმნებში აწმყოს მრავლობითი რიცხვის ფორმებში -ავ-იან (-ამ-იან) ზმნებში თემისნიშნიანული ხმოვნის რედუქცია. ასეთივე ვითარება დასტურდება ძველ ქართულშიც. აწმყოში ამგვარი ვითარება ძველ ქართულში თითქოს „თავისთავად“ გულისხმობს ნამყო უსრულში ასევე რედუცირებული ფუძეების არსებობას: მალ-ვ-ენ – მალ-ვ-ი-და. ვფიქრობთ, ამ სტერეოტიპის გავლენა ფერეიდნულში ნამყო უსრულის პარადიგმაში ფუძის რედუცირებული ვარიანტის ჩართვა არარედუცირებულთან ერთად. როგორც აღვნიშნეთ, ნამყო უსრულის მსგავსი ნიმუში არ არის დარეჯან ჩხუბიანიშვილის მიერ ჩაწერილ მასალაში და არც ფერეიდნულ საერთო ტექსტურ მასივში. ის არ გამოვლინდა სავსე მუშაობისას მასალის მოპოვების არცერთი გამოყენებულ მეთოდით.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნების უღლების ვარიაციული მოდელები სხვადასხვა დიალექტური წრის თავისებურებად არის მიჩნეული. ერთი დიალექტის ფარგლებში ვარიაციულობა არ ჩანს დადასტურებული. ბ.ჯორბენაძე ეს მაგალითები სწორედ ამ კონტექსტში აქვს მოხმობილი: „...პარალელური ფორმები ფუნქციონირებენ ერთდროულად, ოღონდ სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში: მალ-ავ-დ-ა, მალ-ევ-დ-ა და მალ-ვ-იდ-ა...“ [ჯორბენაძე 1989: 18]. იქვე ბ. ჯორბენაძე წერს: „ის, რომ, ვთქვათ, განგრძობითი ნამყო უსრულის გამოსახატავად ქართულში სამი ფორმობრივი ნაირსახეობა იპოვება (მალ-ავ-დ-ა, მალ-ევ-დ-ა და მალ-ვ-იდ-ა), განისაზღვრება ქართული ენის ბუნებით, ფორმათწარმოების შინაგანი კანონზომიერებით. სამივე ხსენებული ფორმა არის ერთი ინვარიანტის ნაირსახეობა, ამ ნაირსახეობათა ფუნქციონირება სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში განაპირობებს სამი სხვადასხვა დიალექტის არსებობას“ [ჯორბენაძე 1989: 18].

ფერეიდნულში მოქმედებითი გვარის -ავ-იან ზმნათა ნამყო უსრულის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ვარიაციული წარმოდგენა დარეჯან ჩხუბიანიშვილის პარადიგმაში ორი სხვადასხვა მოვლენის სტერეოტიპული ანაბეჭდია:

1. აწმყოს მრავლობითში -ავ // -ამ სუფიქსის სისტემური რედუქცია ფერეიდ-ნულში:

ვ-თეს-ავ	ვ-თეს-თ
თეს-ავ	თეს-ავ-თ
თეს-ავ-ს	თეს-(ა)ვ-ენ

2. ძველ ქართულში იმავე მოვლენის არსებობა და მისი „თანმხლები“ სიტუაცია – ნამყო უსრულში რედუცირებული ფუძე:

მალ-ევ-დ-(ი)	მალ-ევ-იდ-ი-თ
მალ-ევ -იდ-(ი)	მალ-ევ-იდ-ით
მალ-(ა)ვ-იდ-ა	მალ-(ე)ვ-იდ-ეს

დარეჯან ჩხუბიანიშვილის პარადიგმაში ძველი ქართულის ვითარება სტერეო-ტიპის სახით აისახა, ოღონდ არასრულად, რადგან ძველ ქართულში ფუძე რედუცირ-დება ორსავე რიცხვში, ფერეიდნულისათვის კი მკვლევარი მხოლოდ მრავლობითში უშვებს პარალელურ შეკუმშულ ფორმას:

(მო)ვწნევი, შავაბმდი	(მო)ვწნევით, შავაბმდით
(მო)ვწნევი, შავაბმდი	(მო)ვწნევით, შავაბმდით

როგორც ვხედავთ, ფერეიდნულში სათანადო ზმნების ნამყო უსრულის არსებული პარადიგმა შესაცვლელია, რადგან ვერც ტექსტურად და ვერც კითხვარებით ვერ და-ვადასტურეთ რედუცირებული ფორმები ნამყო უსრულში – ვერც მრავლობითში და ვერც მხოლობითში. ნამყო უსრულში -ავ და -ამ თემისნიშნთან ზმნათა დადასტურე-ბული რეალური პარადიგმა, როგორც აღვნიშნეთ, არ მიჰყვება ძველი ქართულისას და მთლიანად ემთხვევა ხევსურულისა და თუშურის პარადიგმას, რომელიც მხოლო-ბითისა და მრავლობითის სამსავე პირში -ევ, -ემ თემის ნიშანს წარმოადგენს.

-ავ და -ამ თემისნიშნთან ზმნათა I ხოლმეობითის წარმოება. -ავ და -ამ თემის-ნიშნთან ზმნების I ხოლმეობითის რედუცირებული ფორმები თითქმის არ გვხვდ-ება ტექსტებში. არც კითხვარულმა მეთოდმა გამოავლინა რედუცირებული ფუძით ნაწარმოები პარადიგმის სისტემურობა. როცა არსებულ პარადიგმას (მოვწნევი, მოვწნევი, მოვწნევი, მოვწნევი, მოვწნევი; შავაბმდი, შავაბმდი, შავაბმდის, შავაბმდით, შავაბმდით, შავაბმდიან [ჩხუბიანიშვილი 2012: 199; გო-გოლაშვილი და სხვ. 2016: 520] ვაცნობდით მთქმელებს, ისინი გვეუბნებოდნენ, რომ არ იცნობენ ასეთ ფორმებს, შესაძლოა ისინი სხვა სოფლის მკვიდრთა მეტყველებას ეკუთვნოდეს.

შეიძლება ითქვას, რომ I ხოლმეობითის რედუცირებული ფორმები -ავ და -ამ თე-მისნიშნთან ზმნებს რაღაც მიზეზის გამო დაუკარგავთ. ის სრულიად უცხოა მარტყო-

ფის წრის სოფლებითვის. მისი არსებობის „მაცნე“ თორელში ჩაწერილ ტექსტში გვაქვს დადასტურებული. ეს გახლავთ ფორმა **ჩაასხმილი** – ჩაასხამს ზმნის I ხოლმეობითის ფორმა:

ქოფელა ანს იყო, ქე დადვიყე რამე ზე და ეგრე შადღვებყე. თოლომბა, ანს იყო, ქოთანნი ჩაასხმილი, ერთ ემდენ ჯოხი იყო, ჩადკრევი, თოლომბა.

/ქოფელა ის იყო, რომ რამე ზე დადვბლი ხოლმე და ეგრე შედღვებ ხოლმე. თოლომბა ის იყო, ქოთანში ჩაასხამლი ხოლმე, ერთი ამხელა ჯოხი იყო, ჩაპკრავლი ხოლმე თოლომბა/.

როგორც ვხედავთ, წინადადებაში ოთხი ზმნაა. სამივე ხოლმეობითის შინაარსისა:

დადვიყე – (მეორე ხოლმეობითი, მეორე პირი მხოლოდობითი რიცხვისა);

შადღვებყე – (მყოფადი, მეორე პირი, მხოლოდობითი რიცხვი, -ყე ნაწილიკი);

ჩაასხმილი – (I ხოლმეობითი, მეორე პირი, მხოლოდობითი რიცხვი).

ჩაპკრევი – (ხოლმეობითი, მეორე პირი, მხოლოდობითი რიცხვი).

ამ ზმნათაგან ორი **-ავ // -ამ** თემისნიშნითაა ვგუფიდანაა: **ჩაასხ-ამ-ს** და **ჩაპკრ-ავ-ს**.

პირველი რედუცირებული ფუძითაა წარმოდგენილი, მეორე – ნამყო უსრულისთვის (უწყვეტლისთვის) დამახასიათებელი **-ავ > -ევ** ცვლილებით ფუძეში.

ქდკ-ის ტექსტებში საანალიზო ჯგუფის ზმნათა სრული პარადიგმები საკმაო რაოდენობის კონტექსტური დადასტურებითაა ლოკუმენტირებული:

(და) აკრავს:

დავაკრევილით სადღობელს შაჟღვბლით, წინდას შავიქმოდით.

დედა რო აკრევილსყე, იქ ერთ დიდ ეგდიდე ფარჩილი დქონდისყე და ეს პურები გადაყარისყე ამ ფარჩილზე.

უკრევილიან შუშპრობლიანყე, ერთ დასტა იქით დაღვისყე, ხო.

კარგად გაატარონ ანქა, უკრევილიანყე.

(ა) რწყავს:

არწყვით იყვისყე, ემას რწყევილიანყე, რწყევილიანყე და ლეჟეჟაობლიანყე, ლე-ჟეჟაობლიანყე, ერთმანერთ ჩანა ჩანაჩი გოვღვბლიანყე და ლეჟეჟაობლიანყე.

ვნავს:

ნასერალი, ეხლა არ ვიცვი, ქართველები რას ეტყვიან, სერა, ერთნაირი არი, რო ზეთს დაიჭერენ თავის ხელით, იმას ბეჭერს გათესევედეს, სერა დქიან და ნასერალი, იმიტომაც იქა ვნევილის.

ვარი **ვნევილსყე** მიწას რო არ გოუვილსყე და გუთანითა, იმას ვარს დაჟმასხოდით ვარი.

ოთხი ვარით **ვნევილიან** და ერთი ამ წინათ უღელზე, ემხელა ბავში დჯღისყე, რო ისი ამ ვარეფსა უწყებოდის.

ნამყო უსრული და I ხოლმეობითი, როგორც ვხედავთ, განსხვავდებიან მხოლოდ მესამე პირის ფორმებით:

ნ. უსრ: ვრწყევილი, რწყევილი, **რწყევილა... რწყევილს;**

I ხოლმეობითი: ვრწყევილი, რწყევილი, **რწყევილის... რწყევილიან.**

როგორც ვხედავთ, რედუცირებული ფუძე **-ავ // -ამ** თემისნიშნის ზმნებში, I ხოლმეობითისთვის, ისევე, როგორც უწყვეტლისა და კავშირებითის მრავლობითის ფორმებისთვის (იხ. ზემოთ) ან სრულიად უცხოა ფერეიდნული სთვის, ან ძალიან იშვიათად დადასტურებული.

თორელში ჩაწერილ ტექსტში დადასტურებული ერთადერთი ფორმა **ჩაასხმილი**¹⁶³ არ იძლევა საფუძველს, რომ ვირტუალურად აღვადგინოთ დასახელებული პარადიგმა (ჩხუბიანიშვილი), თუმცა აუცილებლად მოითხოვს კვლევის გაგრძელებას და იმის გარკვევას, არის თუ არა რედუცირებულფუძიანი პარადიგმა შიდადიალექტური დიფერენციაციის საფუძველი, ხომ არ არის არარედუცირებული და რედუცირებული ფუძეების თანარსებობა უძველესი, უნიფიცირებამდელი ტენდენციის მაჩვენებელი ან ხომ არ მიუთითებს ამ ტიპის ვარიაციულობა სხვადასხვა დიალექტურ წარმომავლობაზე?

ერთი დადასტურებული ფორმა ძალიან ცოტაა ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად და მით უფრო, სრული პარადიგმის აღსადგენად, თუმცა სრულიად საკმარისი და მტკიცე საბუთია იმისა, რომ თუ მთელ დიალექტში არა, მის ბოინ-მიანდაშთურ თქმაში რედუცირებულფუძიანი ხოლმეობითი არსებობდა¹⁶⁴.

-ავ სუფიქსით ახალი ზმნური ფორმების წარმოება

-ებ + -ავ:

– *ურციც ელა ბალახია ელა, ადღულებავ, მასალან, და დაღლევაკ, ისიც მეირასათინა ნამაია.*

მოიტან და ემას ავანთებავ ემეძთა, წივადთა და ფალართა ავანთებავ და ეს თორნე ნაამა გაწითლების თა ანს მაი ზილების.

იმას ელა აიღებავ და გავძების.

ეგრე გააკეთებავ და და მასალან, ლაფა'რი, ლაფას მაღხარშავ, ერ ზარა ხორც ჩოოყრი, სიბზემინ ჩოოყრი, ისიც იგრე.

– *ქალაჯუში, დო გააწყალებავ და გოლი ერბოსა დადაღავ და დაასხამ ზედა და უშიჯუხი.*

163. წიგნზე მუშაობისას კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ ეს ფორმა თორელის მკვიდრ რესპონდენტთან. მასალის ჩაწერის დროს ეს ადამიანი ჩვენთან ერთად იყო. მიუხედავად ამისა, მან გაასწორა ჩვენ მიერ ახლა მიწოდებული ტექსტი და თქვა, რომ სწორია „ჩაასხმის“ ფორმა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ რედუცირებულფუძიანი ხოლმეობითი მიღევად ეტაპზე დავაფიქსირეთ და ეს მოვლენა თან წაიღო ძველმა თაობამ. ფერეიდნულში ხშირად დაუსახელებიათ მოხუცი ადამიანი, რომელიც იყენებდა რაღაც კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულს ან გრამატიკულ ფორმას. სათანადო ადგილას შევეხით „კუმშულური ენობრივი მეხსიერების“ ამ ასპექტსაც.

164. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ დიალექტებში ტიპურ პარადიგმად აღწერილი რედუცირებულფუძიანი **-ავ // -ამ** თემისნიშნის ზმნები ხშირ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ისტორიის კუთვნილება და უკვე აღარ გამოიყენება.

გავალბავ და გაჩენებავ.

- ემასლა რო გოლოშებ, დილობას რო გოლოშებლა თა სალომოსლა რო ახოლა და ემე ქნა, იმასინ აილბავ და სადამოსეე რო გახოლ ანქა, ემ თორნი საყე, მაძვლი ემაზელა, ერთ ფარჩილზე დაადებავ, დაადება ემ კედელზელა, გავმების და აილბავ.

ასევეა: **დაიჯერებავ, დაცხებავ, იბნებავ, ვეძებავ, უმატებავ, უშებავ, ჩაგდებავ, წამაარიგებავ...**

-ობ + -ავ: ამბობავ, გავათბობავ, ვამბობავ, ვნატრობავ, იცნობავ, ძჯობავ...

-ოფ + -ავ: გაფყოფავთ

-ევ + -ავ: ავარჩევავთ, ავრევავ, გაღვარჩევავთ, დავამძლევავე, დავდევავეთ, დავლე-ვავეტყე, დავრევავ, ჩაფხევავს...

-ავ თემისნიშნიანი ზმნები მესამე სერიაში. აწმყოსა და მესამე სერიის მწკრივთა შორის თანაფარდობა ფერეიდნულში მთის კილოთა ვითარებას მოგვაგონებს [ჯორბენაძე 1998: 177; ჯორბენაძე 1989: 234] – **-ავ-იან** და **-ამ-იან** ზმნათა I თურმეობითი ფერეიდნულშიც, ისევე, როგორც მთის დიალექტთა ერთ ნაწილში, შენარჩუნებულია თემის ნიშანი:

ნახავს: **მამინახავ, მინახავ, გუნახავ;** ჳნავს: **მუგუჳნავ;** ირთავს: **შოორთავ,** აკეთავს: **გამიკეთავ;** იკითხავს: **გამიკითხავ, გიკითხავ;** ძაბავს: **გამიძაბავ;** დააკრავს: **დამიკრავ, დამიკრაჳ;** *არქუამს: **დამირქომ; მამირქომ;** აქორწილავს: **დამიქორწილავ;** *თქვამს: **მითქომ; ვკრავ: მიკრავ;** ვსთავ: **მისთავ;** ინახავს: **შამინახავ;** ჳნავს: **მამიჳნავ;** ფიქრავს: **გავიფიქრავ;** ნახავს: **გინახამ;** აკეთავს: **გოოკეთავ;** დააბამს: **ლობამ;** *თქვამს: **უთქვამ, უთქომ, გითქომ, მითქომ;** აბამს: **შოობამ;** ირთავს: **შოორთავ;** ართომს (<ართჳამს): **გომოურთომ;** აკრავს: **ჩოოკრავ, ღუგუკრავ...**

ეს თანაფარდობა სისტემურად არის დაცული როგორც „კანონიკურ“ -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნებში, ისე უნიფიკაციის შედეგად გაჩენილ -ავ-იან ფორმებშიც (**დამიქორწილავ, დამიწერავ...**).

კორპუსში დადასტურდა -ს პირისნიშნიანი ფორმაც, რომელიც სალიტერატურო ენის გავლენითაა გაჩენილი: **აილო და წაიდა და აღარც მინახავს და აღარც თელეფუნი უქნია (მუხტარ დარჩიაშვილი¹⁶⁵).**

პარალელური (-ია დაბოლოებიანი) წარმოება I შედეგობითში: -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნათა -ია დაბოლოებიანი პარალელური ფორმები იშვიათად, მაგრამ მაინც ჩნდება. ამასთან ზოგჯერ ამ პარალელიზმის მიზეზი აშკარად სალიტერატურო ენის გავლენაა, ზოგჯერ კი ასეთი გავლენის დაშვების საფუძველი არ ჩანს, რაც გვიბიძგებს ვიფიქროთ, რომ მეორე ტიპის წარმოება ზმნათა ერთ ნაწილში დომინანტურია, თუ ერთადერთი არა. ეს თვალსაზრისი რომ უფრო ნათელი იყოს, განვიხილავთ რამდენიმე ზმნის აწმყოსა და პირველი შედეგობითის კორპუსულ ანაბეჭდს:

ნახავს:

ამ ზმნის პირველი შედეგობითი უმეტესად -ავ თემის ნიშნით არის ნაწარმოები.

165. ეს ალბათ სალიტერატურო ენის გავლენით გაჩენილი ინოვაციაა.

კორპუსში დასტურდება რამდენიმე განსხვავებული წარმოება ისეთი მთქმელ-ბის ტექსტებში, რომლებიც სალიტერატურო ქართულის გავლენის ველში იყვნენ წლების მანძილზე (მუხტარ დარჩიაშვილი, ზეინაბ ონიკაშვილი, რამანა ონიკაშვილი. ეს ორი რეპატრიაციიდან 30-35 წლის შემდეგ არის გამოკითხული).

ყველა დანარჩენ ტექსტსა და ზეპირ გამოკითხვაშიც ამ ზმნას პირველ შედეგობითში აქვს **-ავ-იანი** წარმოება. მათ შორის, იმავე მთქმელის ტექსტშიც, სადაც **-ია** დაბოლოებიანი წარმოება არის დადასტურებული:

მინახნია: *ის კავები რო დაგრე ხილიაყე, სურათეფჩი რო მინახნია, იგეთ ფორმა-ჩი ვიყაით* [ზეინაბ ონიკაშვილი, რამანა ონიკაშვილი 2007 წ.].

მინახია, გინახია, უნახია:

არ გინახია! წყალოს წისქილი გინახია? [მუხტარ დარჩიაშვილი 2012].

მაგის მეორეჯერ ვერავის უნახიაო და ვერც ნახავსო [მუხტარ დარჩიაშვილი 2012].

პირველად მაიგებსყე, საიდა, ეშინიან, არ ვიცი, რა ეშინება, არ უნახია, თავისი უნდა შაახვიო, უნდა გააცალკეო, რო ბატკანი ცალკე გყვანდეს იმასთან [მუხტარ დარჩიაშვილი 2008].

თუმცა იმავე მთქმელთან გვაქვს:

გინახავ: გინახავ, ხო, აი ეგრე რო ამაიტანენ, არ გინახავ ფილმჩი?

გინახავ: *აქ მიდხედავს-მადხედავსო და როგორ კაკაბი ხო როგორ გულით დადის, კაკაბის სიარული გინახავ?*

უნახავ: *ერთ დღეს ჩაველ, უნახავ, სამ ექსიდე მოუცია!*

უთქია (<უთქეია): ამ ზმნის „კანონიკური“ წარმოება პირველ შედეგობითში აგრეთვე **-ამ (-ვ-ამ >ომ)** თემისნიშნისა: **მითქომ, გითქომ, უთქომ.**

თუმცა რამდენიმე მაგალითი **-ია** დაბოლოებიანი წარმოებისა იმავე მთქმელის ტექსტებში გვაქვს დამოწმებული:

უთქია: *ძელებურ ხალდი რო მოსულა იქაო, უთქია, რო მუცლით ვიხონავთ და გავალთ საქართველოჩიგაო.*

უთქიაყეო: *რო მომოდგებიან, რო არიო და უთქიაყეო, დადცხეთ – მოდდესო, უნდა გაიქცეს ამანო* (მუხტარ დარჩიაშვილი).

აკრავს:

ჩოოკრავ: – *შინაურ პურსათი წაიდა და მაგრამ არა, ვერ ჩოოკრავყე, ჩონ ჩოოკრავყე.*

ღუგუკრია: *ოთხი ფეკია, ეგრე ღუგულებია ჩარგუშად, კედელსადთა და ზედაც თახტები ღუგუკრია.*

რეცხავს: – *შუა რუე ზე, აი, ემით გომის თაჟზე, ემით, ემ დიდრუე ზეგა, ეს შუა-ზე ეს ეგდიდე ქუა ჩადებული იყო ეგდიდე, იგდენ იმაზეგა ჩონ გოორეცხავ, რო ისი ლურსი-ლურსი იყო.*

დაგირეცხია: *ჰა, მასალან, იტყიანყე, რო იმაში უნდა დედაკაცი დაორსულდეს, და-გირეცხია თუ არაო?*

გარეკავს: კორპუსში ამ ზმნის პირველი შედეგობითის ფორმები მხოლოდ **-ია** და-

ბოლოებით ნაწარმოები გვხვდება: გაგირეკიაყე, გამოორეკია, გარეკიანყე, გომორეკია, გომორეკიაყე, გომორეკია, გომორეკიაყე, გომორეკია, გომორეკიალა, გომორეკიაყე, მოორეკია, მოურეკია, მოორეკია, მომორეკიაყე, მოორეკიათყე, მოურეკიაო, მოურეკიაყეო.

ასევე მხოლოდ ერთი წარმოების მოდელით არის დამოწმებული სხვა ზმნებიც:

წეწავს:

ღუგუწეწია: *ღუგუწეწია, ეგრე უნდა ვქნათ, ეგრე უნდა ვქნათ და აბურმავდეს და დავიხუთ ექა.*

ხედავს:

ჩემთი *მოოხენდიაყე, გული დეეწებისყე ჩემთი. მე მემეშელებიანყე.*

ტესავს:

ერთ ღამეს ამბავი მამიტანეს სოფელჩი, სახლჩი, რო გუშინ-ღამაო სიბაქსა, ლანგე ჩე შმას **გოვტეხიაყეო** [სეიფოლა იოსელიანი].

ეს უკანასკნელი მაგალითი სეიფოლა იოსელიანის ტექსტიდანაა და აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ **-ია** დაბოლოებიანი თურმეობითი **-ავ** თემისნიშნიან ზმნებში ახალი არ არის ფერეიდნულისთვის. ამასთან, **-ავ-იანი (-ამ-იანი)** წარმოება უფრო მტკიცედ არის დაცული პირველად **-ავ // -ამ** თემისნიშნიან ზმნებში (რომლებიც ძველ ქართულშივე ამ თემის ნიშნებს დაირთავდნენ), ხოლო ზმნები, რომლებიც უნიფიცირების შედეგად დაირთავენ **-ავ** თემის ნიშანს, უფრო ხშირად და ზოგჯერ უგამონაკლისოდაც **-ია** დაბოლოებას აჩვენებენ მესამე სერიაში.

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ თემის ნიშანთა უნიფიცირების შედეგად შექმნილი დიდი ჯგუფი **-ავ-იანი** ზმნებისა ფერეიდნულში მთლიანად იმეორებს **პირველად -ავ -იან** ზმნათა უღლების პარადიგმას (ფუძის კუმშვა აწმყოს მრავლობითში, **-ავ – ევ** მონაცვლეობა ნამყო უსრულში), თუმცა, როგორც ჩანს, ეს პარადიგმული უნიფიკაცია რატომღაც ბოლომდე არ მივიდა და მესამე სერიის ფორმებში, კერძოდ, პირველი თურმეობითის ფორმებში გვაქვს ვარიაციულობა ან სულაც მხოლოდ **-ია** დაბოლოებიანი წარმოება.

ვარიაციულობა ამ მწკრივის წარმოებისას ორი სხვადასხვა მიზეზითაა გაჩენილი:

1. ისტორიულ **-ავ-იან** ზმნათა პირველი თურმეობითის **-ავ-იან** წარმოებას სალიტერატურო ქართულის გავლენით იშვიათად უჩნდება **-ია** დაბოლოებიანი წარმოება (**მინახია, მითქია...** მაგრამ: **მომიკლავ, მინახავ, მითქომ, დამიბამ...);**
2. მეორეულ **-ავ-იან** ზმნათა პირველ თურმეობითში გვაქვს ან იშვიათი პარალელური წარმოება (**დამითესავ // დამითესია**) პარადიგმის უნიფიკაციის გამო, ან მხოლოდ **-ია** დაბოლოებიანი წარმოება: **გომორეკია, გაგირეკია...**).

ეს განსხვავება პირველად და მეორეულ **-ავ-იან** ზმნათა შორის კარგად ჩანს კორპუსში დადასტურებულ მასალაში, კერძოდ, მაგალი თოდუას მიერ ჩაწერილ ერთ პატარა კონტექსტში:

ქენ მუსულმნები ხართ და ქართველები და ჰამაც ისები ხართ, რო **დავივოცავყე, დავიკლავყე, დავიწყეტიყე, გაგირეკიაყე?**

შენიშვნა:

სოფელ თორელში ჩავიწერეთ ტრადიციულად **-ი** თემისნიშნიან ზმნათა **-ავ** თემისნიშნით წარმოების საინტერესო და იშვიათი შემთხვევები: **ლერ-ავ-ს** (ამბობს) და **კავს** (<მკავს =მკის).

უღლება ამ ზმნებისა მთლიანად ემთხვევა „კანონიკური“ **-ავ** თემისნიშნიანების უღლებას.

აწმყო მრავლობითში ფუძე რედუცირდება, ნამყო უსრულში **-ავ > -ევ**.

აწმყო: მე ვლერავ, შენა დლერავ, ანს ლერავს; ჩვენა ლერავთ, ქენა ლერავთ, ანსები ლერვენ.

უწყვეტელი: მე ვლერევდი, შენა დლერევდი, ანს ლერევდა, ჩვენა ვლერევდით, ქენ ლერევდით, ანსები ლერევდეს.

მკა ზმნას **-ი** თემისნიშნიანი ფორმაც შემოუნახავს:

აწმყო:

მე ვკოვ¹⁶⁶ // მკი

შენა ჰკოვ // ჰკავ

ანს კოვს // კავს

ჩვენა ვკოვთ // ვკავთ

ქენა ჰკოვთ // ჰკავთ

ანსები ჰკვენ

უწყვეტელი:

მე ვკევდი

შენა ჰკევდი

ანს კევდა

ჩვენა ვკევდით

ქენა ჰკევდით

ანსები კევდეს

II კავშირებითი:

მოძკო, მოძკოთ

მოჰკო, მოჰკოთ

მოჰკოს, მოჰკონ

I თურმეობითი:

მამიკავ, მოგუკავ

მოგიკავ, მოგიკავყე

მოუკავ, მოუკავყე

ეს მაგალითები მოწმობს, რომ დიალექტური მასალა ამოუწურავია. ფერეიდნუ-

166. ვმკავ > ვკოვ (რეგრესული ბაგისმიერი ასიმილაცია?)

ლის კვლევის ასალი ეტაპი სწორედ კონკრეტული თავისებური ფორმების გამოვლენის, მათი პარადიგმული აღწერისა და ყველა ნიუანსური მახასიათებლის აღნუსხვის, ლოკუმენტირებისა და ანალიზის გზით უნდა წარიმართოს.

-ავ // -ამ თემისნიშნიან ზმნათა გარდაუვალ ფორმათა (ენებითი გვარის) წარმოება
-ავ // -ამ თემისნიშნიან ზმნათა ვნებითის ფორმებში ფუძე უფრო ხშირად **-ებ** თემის ნიშნით არის წარმოდგენილი:

დადბერტყების: (ბერტყ-ავ-ს – ბერტყ-ვ-ენ – ბერტყ-ევ-დ-ა)

კაკალი **დადბერტყების** ხალხამით.

ითესების: (თეს-ავ-ს – თეს-ვ-ენ // თეს-ენ – თეს-ევ-დ-ა)

ჩონთან ხორბალს **თესვენ**, ითესების შემოდგომაზეგა და გამწონდების.

გადრეცხების: რეცხ-ავ-ს – (რეცხ-ვ-ენ // რეცხ-ენ – რეცხ-ევ-დ-ა)

გაფუჭდა და აღარ **გადრეცხების**. რაც რო დრეცხო, აღარ **გაილები**სო.

ზოგჯერ კი გვხვდება ვნებითის **-ავ** თემისნიშნიანი ფორმა, რომელიც ჩვეულებრივ რედუცირებულია:

ივნის: (ვნ-ავ-ს – ვნ-ვ-ენ – ვნ-ევ-დ-ა)

უწყალო ხორბლები ხო **ივნის** თასფევა, სადაც სარწყავი არ უნდა.

შდრ.: მიწაც ელ ეგრე, მიწაც **ივნების**, ჩაზნა, ჩახიდე, დოომეტო, გადზარდო.

იკლვის: (კლ-ავ-ს – კლ-ვ-ენ – კლ-ევ-დ-ა)

ეხლა წავალთ ბოინჩი, რო ნიშნავს, სადაც ცხორი **იკლვის**.

ირწყვის: (რწყ-ავ-ს – რწყ-ვ-ენ – რწყ-ევ-დ-ა)

სარავსაყე **ირწყვის** გომარგის გურაბი ნაზომი ჰაჯი ჰაყვერდის წყარო, რო ემას თითთა დიდი ამბავი აქ ცალკე დავწერო იმაზე.

შდრ. მაირწყვის: თორმეტ დღე რო დაივლის, ეს წყალი სუყელას მიადგების, თელ ქეშტი **მაირწყვის**.

როგორც ვხედავთ, ფერეიდნულმა შემოინახა და თავისებურად განავითარა ის ტენდენციები, რომლებიც ჩამოყალიბდა ქართულ დიასისტემაში **-ავ // -ამ** თემისნიშნიან ზმნებთან მიმართებით. სახელდობრ, დიალექტში ვპოულობთ ამ საკითხთან დაკავშირებულ ძველ ქართულსა და სხვა დიალექტებში გამოვლენილ თითქმის ყველა თავისებურებას, როგორებიცაა:

- **-ავ** თემის ნიშნის დართვა უთემისნიშნო ზმნებზე ან სხვა თემის ნიშნის ნაცვლად;
- ფუძის რედუქცია აწმყოს მრავლობით რიცხვის მესამე პირში;
- ფუძის კუმშვა პირველი ხოლმეობითის ფორმებში;
- უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ფორმებში **-ავ > -ევ** მონაცვლეობა;
- **-ავ** თემისნიშნიანი წარმოება პირველ თურმეობითში;
- პირველადი და მეორეული **-ავ** თემისნიშნიანი ზმნების პირველი თურმეობითის ვარიაციული წარმოება და სხვ.

3.4. -ევ სუფიქსიანი ზმნები ფერეიდულში

-ევ სუფიქსიანი ზმნები ხმოვანმონაცვლე ზმნათა ერთ დიდ ნაწილს წარმოადგენს ქართულში. გარდა სხვა ასეთივე ზმნებისთვის დამახასიათებელი ე > ი მონაცვლეობისა მეორე სერიის ფუძეში, ამ ჯგუფს ახასიათებს სუფიქსისეული -ვ-ს გაუჩინარება და მეორე სერიის ფორმებში -ევ > -ივ > -ი პროცესის შედეგად ვიღებთ -ი სუფიქსს: არჩ-ევ-ს > *არჩ-ივ-ა > არჩ-ი-ა [შანიძე 1980: 403-405].¹⁶⁷

ფერეიდულ დიალექტში -ევ სუფიქსიანი ზმნათა წყვეტილის ფორმებში -ვ თან-ხმოვანი შენარჩუნებულია. ამ მოვლენას არნოლდ ჩიქობავამ მიაქცია თავის დროზე ყურადღება: „სამწერლობო ქართულში ევ სუფიქსი აწმყოსი წყვეტილში გვაძლევს ი'ს: ხევს – ხია; ძლევს – ძლია; ვ იკარგება: ძლია ← ძლივა; ხია ← ხივა... ფერეიდულში, ისევე, როგორც არა ერთ სხვა ქართულს კილოში, ეს ვ დღემდე შენახულია: „დავლივით, დავლივით; აირივა გაფი, გამაარკივა საქმე; იტყიან: შოუტივევო... (= დავლივით... აირია... გამაარკივა... შოუტივევო...)“ [ჩიქობავა 2010 (1927): 197].

-ევ სუფიქსიანი ზმნების რიცხვი საკმაოდ ცოტაა ქართულში. ამიტომ დიალექტების სურათის ჩვენება მნიშვნელოვანია ქართული ენის ამ ისტორიადქცეული „უბნის“ ლოკუმენტირებისა და შესწავლისათვის. ფერეიდულში -ევ-იან ზმნათა მხოლოდ ნაწილია დადასტურებული. ზოგ მათგანს საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ:

I სერია:

ამღრევს, შოორევს:

ყველანაირი, რომელიც რო ცხორი რო მოა და დაეხვიოს ერთგანა, გაატალახევს, ამღრევს, ძროხა შოორევს, კამბეჩი შოორევს.

ურევს:

ეს ფარცხი ხაჰს მაივღევს, ურევს, ურევს, ურევს.

შოობმენყე ვარსა და მიათრევს და ლეწავს.

ამ ძიმე ვარს როგო გაათრევს.

ბეწი ადამიანს არ მაძკლავს, გულს ლორევს.

უქცევს:

ეს ცოტა ნაწმენდსლა შოშოოქცევითა ნაწმენდი დავარდების.

ამტვრევს:

ყანდს, ექ სისხე, ექ სისხე დაამტრევენ და – მონალებულ ლუხულო ხო იცი...

რავდენები დღესით მიიღოდით გლის ლელეზე ჯოხს ვამტვრევდით და ვირებით მოგქონდა ონიკაზე ვაქუჩებდით.

არჩევს:

მებალჯანე მინ იყოსო, მეციკენე მინ იყოსო – ეს აირჩევს.

167. ამ ცვლილების მიზეზად აკ. შანიძე მიიჩნევს კავშირებითის -ო მაწარმოებელს, რომლის წინაც თითქოსდა უნდა დაკარგულიყო -ვ ფონეტიკურ ნიადაგზე და შემდგომ უნდა განზოგადებულიყო სხვა ფორმებში.

აჩვენებს:

ჩემ დედას ხო, მოალემია, მიდის, მადრესაჩი, **აჩოვს** ყმაწილეფს, **აჩოვს**, და მერე მოდის, იმას აკეთავს, მასალან, პურს აკრავს რამესთი, შავჭამოთ.

არღვევს:

მუალთ, მერე **გავარღვევთ**.

აქნევს:

რას **ვაქნევ** კახას.

მისღევს:

მე ქურთს **მივსღევ**, ქურთიცი **მისღევს** ალალიას. ერთ ქურთიცი მე **მამღევს**. ეს ალა'ლია იყო და ეს ქურთი რო **მიღვედა** ამას, ეს მე ვიყავ და ეს ქურთიცი მე **მამღვედა**, ეგრე მივრბოდი.

ხევს:

იგეთ ჰპარ გელი იყო, ხალღსა ჭამდაო, **ხევდაო**, ეგრე.

სწევს:

ვერ **წასწევს** და ეს ღვა.

აძლევს:

მიწას რაათი **აძლევთ** ხალღსა? მიწას ეგეთ იაფად რად **აძლევ** ჩინისა და ირანელეფს? ირანელეები რასათი **აძლევ**?

ამძლევს:

ეხლა იმით საფლავეებს **დამძლევენყე**.

ლევს:

ამ ხორბალს, რო წყალს არა **ლევს**, ვეუბნები.

არკვევს:

გავარკვევთ, რო აბა ემას დედ-მამა პარსი ძჰყავ, სომეხია თუ ქურთი თუ თურქი.

II სერია:

გაიქნივა:

ვირმა რო წიხლი **გაიქნივაო**, ხო ფევს არ მაძსჭირიანო.

აარჩივა:

თუ ქუას პატრონმა მალე **აარჩივა**, იმ ქუას პატრონს წლოგია და თუ ჯღონის პატრონმა მალე **აარჩივა**, იმას წლოგია.

აითრივა:

მელას თითან ადგილი არა ძქონდა, კუდიცი **აითრივა**.

აირივა:

ეხლა ვჰანდაბაო, რო ირანი **აირივა** და დაირივა.

აიქნივა, დაიქნივა:

ისეთი, რო არც სიტყვით არ გინდა, რო შენ მეგერდემაც გაიგოს, და მე რო მიჭრეტ, აი, თოლი **ოოქნივაო**, **ოოქნივა** და **დოოქნივა**, **დოოქნივა** – კიო და **აიქნივა** – **აიქნივა** – არაო.

ამღრივა:

წაიდა, ჩაიდა წყალჩივა და რო **ამღრივა** ის წყალი, ყეინიანთ ემემა მოიღევს, რო წყალი დალიონ ემ გუფჩივა ცხენებმა, ვერ დალივენს.

აძლივა:

თევზ იჭირა და ემ ბიჭს აძლივა.

აწივა:

და ერთ დღესლა მოიდა ის თავის მამალა აწივაყე, მამა აწივა და იმ მამამ რო მოიდა, თქო, რო: ეს ეგეთ სახლი და ეს ეგეთ ზენდეგანი მისიაო.

გამბტრია:

გელმა მოიდა, ბაად ჩემ მამა იბნებსყე, ბაა დეს ჩემ დავო, ჰა, ჩემ დაცო, ჰა, მასან, ემ საბანსაყეეო, ჰა, გამბატრია გელმაო და გაიყვანა – შაჭამაო.

გახივა:

- უნიფხავომ სიზმარჩი ცხრა ნიფხავი გახივა.

მუცელი გოიხივა და თაი ბარტყეები გამაიყვანა საალეშები ორივე.

დაანგრია:

მაჰმუდ აყყანმა ნახა, რო ირანსა პატრონი არა დყავ, მერე რომელ სოფელსაც მაადგა, ეს რო მოსულა და ირანი მთელი დაანგრია დაანგრია და დაწვა და მოკლა და აილო და წაიდა.

(და)იტივა:

შავ ჩიტი მაქადარიყო, ავაგდეთ გომზე დამპალიყო, ჩამუაგდეთ ყაბლამაჩი – არ იტივა, ჩავაგდეთ ქობჩი – ილაღლაღა.

-ევ-იან ზმნათა სუფიქსისეული -ვ-ს შენარჩუნება წყვეტილის ფორმებში დამანასიათებელია დიალექტების დიდი ნაწილისათვის. ბესარიონ ჯორბენაძე ამ თავისებურებას აღწერს შემდეგ დიალექტებში: მოხეურში (ჯორბენაძე 1989: 270), ქართლურში [გვ. 306], კახურში [გვ. 329], ინგილოურში [გვ. 358], ფერეიდნულში [გვ. 371], სამცხურ-ჯავახურში [გვ. 393]. ქართული დიალექტური კორპუსის მონაცემებით ეს მოვლენა სხვა დიალექტებშიც იჩენს თავს, მაგალითად, რაჭულში (შოუტივა...), მთიულურში (დაუტივა, აირივა-დაირივა, ასწივეს...), ხევსურულში (ეხვივა, ათქმივეს...), ფშაურში (დალივა...).

ამ მოვლენაზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება არნ. ჩიქობავამ, მთიულური დიალექტის თავისებურებების აღწერისას და ხაზი გაუსვა, რომ ის საკმაოდ ძველ ვითარებას ასახავს ენისას, რამდენადაც თვით ძველ ქართულში -ევ > *ივ > ი- პროცესის შუალედური საფეხური არ არის დადასტურებული [ჩიქობავა 1937: 53].

-ევ სუფიქსიან ზმნათა ეს თვისება ფერეიდნული დიალექტის ერთ-ერთი გამოკვეთილი თავისებურებაა, თუმცა ტექსტებში გვხვდება წყვეტილის ისეთი ფორმებიც, რომლებშიც -ვ თანხმოვანი, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, გამქრალია:

შომოუტიეს:

რო შომოუტიეს და ამოიღეს ქართულებილა ამ სიხესა და ამ დიდლამ თაჩი, თას თავ ზელა.

აწვიეს:

ყენის ყორმა მაიწყო, რო თავის მამა და რადლა რო აჯზა [კარისკაცები, სასახლის მოსამსახურები] ყვანდა, დაყონაღონ და დაიჭირა თადარუქი და აწვიეს ყენი.

არჩია:

ერთ-ერთ ფეტსავით არჩევს ექიდან და **არჩია**, არჩია და მოიდა.

აძლიე:

აღლა ამუ შენ რო არ მამე ყორი, შენ ღუშმანების სავბრებს **აძლიე** ყური.

გაირიე:

ეს ეგრე ნამაი არ არია, ანქ წაია, ორი და ყონალია, შენაც ხალღი **გაირიე** და თქოს, რო: შენ რა ველი გაქო, ის ყრალია და.

დალიე:

დალიე, დალიე, ჩამაძლე ანს.

დასწიე:

დასწიე, ბეჭურ ხორბალი ჩავა და წისქილს დაყენეფს.

დოხვხიე:

დოხვხიე და ვეძებდი ჯგუფ-ჯგუფად იდგეს და ეზო იყო დიდი ბალი და მოა და ექსი, ხუთნი იყნეს კაცები, დედაკაცები ეგრედ ალყად იდგეს და ლაპარაკობდეს და მიველ თავით გერჩივა და შოკივლეყე: გამარჯობათო!

უთიე:

გძირების მთაო, პატვიის სულო, სანთლის, სანთელს **უთიე** ვასკლავის გულო, თაო, ციხეო, ყაყახოსფერო, შენი თარიღი როგო დაუწერო?

ასევეა: ჩასწიე, გოორიე...

როგორც ჩანს, **-ევ** სუფიქსიან ზმნათა უწყვეტლის ფორმებში **-ევ > -ივ** საფე-ხურზე შეჩერებული პროცესი თან გაჰყვა გადასახლებულთა მეტყველებას და მან ეს თავისებურება ბოლომდე შეინარჩუნა. ძნელი სათქმელია, პარალელურად დამოწმებული, **-ვ** თანხმოვანგაუჩინარებული ფორმები სალიტერატურო ენის ახალი გავლენა თუ საერთო ტენდენციის ბუნებრივი გამოვლინება?

საინტერესო ვითარებაა დიალექტში **რამდენიმე** ზმნასთან დაკავშირებით.

წვევა:

ეს ზმნა, როგორც წესი **წვევ**- ძირით არის წარმოდგენილი (წ-ს მეზობლობაში ძირისეული -ვ თანხმოვანი დაკარგულია):

სამში დღეს უკან კიდევ შემეყრებიან: ბიჭიანი **აწვევენ** თავის ხალღს, თავის ბიძას ყმაწვილებს და ყორიანიც **აწვევენ** თავის ხალღსა და თავის ბიძას ყმაწვილებს.

ხალხს რო **აწვევენ** ისენი ფულს მისცემენ მეფეს.

გაძლის ერთი ათი, ოცი დღე, იმაშინ წავლენ, წავლენ და ემას **აწვევენ** და მაყვანენ ისტუმრალა და ეხლა ესენი წავლენ აქ, ისტუმრად ანქა.

და ერთ დღესლა მოძდა ის თავის მამალა აწივაყე, მამა **აწივა** და იმ მამამ რო მოიდა, თქო, რო: ეს ეგეთ სახლი და ეს ეგეთ ზენდეგანი მისიაო.

სახლილა რო გააკეთა და დაალავა, და წაიყუანა ის დედაკაცი იქა და გერიმ იქა შიდი დასტი სტინ-ნალარა დაჰკრა'დ თელ სოფლის ხალღი **აწივა** და ქორწილი დაიჭირა და ახანძალი მიიყუანა.

ნაჭრუხელა რო წაველლა, ესეცლა **აწივესლა** და იმაში ბალვებილა ღუგუღვეს აღანთა.

იმისევე წინ ხო, იმისევე წინ ხო ყადიმადა კაცი შაყენიანყე, ქუჩაბექუჩა, მასლან, მოლოწერიანყე და გაიკითხის და შაიდის **აწივისყე**, აწივისყე, რო ამალამ მოიდ...

იმაში დალაქი იყვისყე ბოლო-ბოლოს, აღრე დალაქ უნდოდის **აწიოს**.

ემის სახლიგაც რო შაიდეს, აწიოსყე, ესენი ერთი ლამბაქით ხილს მაბტანენ და ჯიბეხი ჩოქყრიან, რო ეს ქორწილიაყე და ეს მოსულა, რო ესენი დაყონალოსყე, თა სუ ხალღი **აწიოს**.

ქორწილი რო შაიქნების, ბე სალამათი, იმაში ხალღს **ვაწვეთ**, დაავათს ვიქთყე, ქარტებს წაიღებთყე ხანა ბე ხანა ვატარებთ, რო ხალღი **ვაწვივით**.

მიქელანის ყორთან **ვაწვივეყე**.

ვაწვივითყე, ვაწვივითყე, სუ ქართველი ვაწვივითყე, ალბათა თუ სხოგანაცა ყუანდა, ისებიც ვაწვივითყე, ჰა, ისებიც ვაწვივითყე და მოიყუანითლა და ქორწილი დაიჭირითყე.

მაგონდების, ოზღაორის წლისა ვიყავ, **მაწივეს** ქორწილჩი ჩუღრუთს.

ეს ხიშები ამუანი რო მყუანდა და ზანდაია და ესები, ემეებმა სუ **მაწივესლა** და ბალგები დამიდვესლა.

გვაქვს ერთადერთი ფორმა, რომელშიც ძირისეული -ვ თანხმოვანი შენარჩუნებულია. შესადლოა ის ახალი გავლენის შედეგად განგვეხილა, მაგრამ პირველივე ჩანაწერში – სეიფოლა იოსელიანის ტექსტში გვხვდება:

და ეხლა ხო არ იციან, სად როგონ არი, თა იქამდი, რო ყეინის ყორმა მაიწყო, რო თავის მამა და რადლა რო აჯ ზა ყვანდა, დაყონალონ და დაიჭირა თადარუქი და **აწვიეს** ყეინი.

საყურადღებოა, რომ სეიფოლასავე ტექსტში გვაქვს დამოწმებული იგივე ძირი -ვ თანხმოვნის გარეშე:

დაკლეს რაქთენი ცხორი და დააკრეს პური, **მაწივეს** [=მოაწვიეს] ხალღი და დოვჭირეს სამი.

(სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში რომ ეს პარალელიზმი კორექტურა არ არის და ტექსტის ავტორის მიერ ფრჩხილებში დართული რემარკა სწორედ იმას მიუთითებს, რომ მან შენიშნა განსხვავებული ფორმების არსებობა და მათგან ის, რომელიც ქმნის დიალექტურ სხვაობას – -ვ თანხმოვნის გარეშე წარმოდგენილი ძირით, საგანგებოდ მონიშნა).

საყურადღებოა, რომ -ევ სუფიქსიანი კიდევ ორი ზმნა, **ჩვევა** და **ხვევა**, არ მისდევს თითქოსდა იდენტური სტრუქტურის ძირის მქონე ზმნას – **წვევა** და ინარჩუნებს ძირისეულ -ვ თანხმოვანს, ოღონდ ფონეტიკურად სახეცვლილს. აქ ძირისეული -ვ და -ევ სუფიქსის შეხვედრისას უკვე სახეცვლილი ფორმა გვაქვს აწმყოშიც: **ღაროვა**, **გამოჩოვა**... **ახოვს**, **ახოვა**...

მეოთხე და **გემეერუო** და **გამაიყუანო**.

ფაყათ ძუძუ მოაწოვიტყე, თორო რამე არ დავალეინით და რამეზე არ **დავაჩუ-ვიტყე**.

ხო იმით **ღეერუესლა**.

შევეჩრუელა და ეს ემ ემეზე მოიყარელა.

ხალლი გეეზუა სეილზე.

ეს ბურმა დაიხუე, დაიხუე დაიხუე და ტარი მაიტა და კირისტავი.

ემემ იკითხა, იკითხა და ხალლიც დეეზუა, რო მინ არიო და რა არიო და რასთი ეკეთ ვმა აქო და ფულილა იყო, რო ემასთან მოდიოდა.

ისედაც თითზე ჩამოსათვლელი -ევ სუფიქსიანი ზმნებიდან ფერეიდნულს მხოლოდ ნაწილი აქვს თავის ლექსიკურ მარაგში შემონახული. ფერეიდნული დიალექტის საერთო ლინგვისტური სურათის ეს მცირე სეგმენტი კარგად ასახავს კუნძულური ქვესისტემის ფარგლებში შემონახულ ერთობას ეროვნულ ენობრივ სისტემასთან.

3.5. ფუძემონაცვლე ზმნები ფერეიდნულში

ვალ // ვედ ფუძის მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები ფერეიდნულში

აკ. შანიძეს ქართული ზმნის ერთ-ერთ თავისებურებად განხილული აქვს **ვალ** // -ვედ ზმნურ ძირებზე დაყრდნობილი პარადიგმა, რომელმაც საკმაოდ საინტერესო ისტორია გაიარა საბოლოო ჩამოყალიბებამდე [შანიძე 1981:506-507]. ზმნის თავისებურება განაპირობა ფუძისა და პირის ნიშნების მნიშვნელოვანმა სახეცვლილებამ, რაც სხვადასხვა მორფოფუნქციური ფაქტორით იყო გამოწვეული: ცნობილია, რომ ამ ზმნებს პირველ პირში დაკარგული აქვთ სუბიექტური პირის ნიშანი **ვ-** იმის გამო, რომ ფუძე [ვ] თანხმოვნით იწყება, ზმნა არა მხოლოდ ხმოვანს იცვლის მეორე სერიაში, როგორც ეს ფუძედრეკად ზმნებში ხდება, არამედ მთელ ფუძეს: **ვალ** // **ვედ**, ეს ერთადერთი ზმნაა, რომელიც ერთი მწკრივის ფარგლებში წარმოადგენს დრეკად ფუძეს – წყვეტილში (მი-ვედ-ი – მი-ვიდ-ა)... აწმყოში საუღლებელ ფუძედ გამოყოფილია **დი-** [შანიძე 1981: 506, გოგოლაშვილი და სხვ. 2016].

პარადიგმებს სხვადასხვა ფუძით „ივსებს“ სხვადასხვა დიალექტში: **მი-ვედ** // **მი-ველ...** დიალექტებში დაჩნდება სვლის სემანტიკის აღმნიშვნელი ამ ზმნის ბევრი სხვა თავისებურებაც.

ღის ზმნისა და მისი ზმნისწინიანი წარმოებულების უღლების პარადიგმა დიალექტების დიფერენცირებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შტრიხია. ის დიდ როლს ასრულებს დიალექტური თვითგამიჯვნის პროცესში და, შესაბამისად, დიალექტური იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი საყრდენიცაა. ამიტომ დიალექტური სივრცის სრულფასოვანი სურათის შესაქმნელად, დიალექტებს შორის სხვაობისა თუ სიახლოვის დიალექტომეტრიული მეთოდებით გასაზომად მნიშვნელოვანია ამ „უბნის“ დეტალური გამოკვლევა.

ფერეიდნულის ვითარება ამ მხრივაც ძალიან საინტერესოა, რადგან, როგორც აღმოჩნდა, დიალექტი ამ თითქოსდა მარტივი და უბრალო საკითხის შესასწავლად დიდ და მრავალფეროვან მასალას ინახავს.

საკითხები, რომლებიც საყურადღებოა ამ მასალის აღწერისას დიალექტებში:

- როგორია ფუძეთა მონაცვლეობა მწკრივების მიხედვით?
- რომელ ფუძეს იყენებს დიალექტი პარადიგმის შესავსებად: **ვედ-** თუ **ველ-**?
- როგორია ფორმათა ვარიაციები პირის ნიშანთა მიხედვით? ფუძის არჩევანის მიხედვით?

- გვაქვს თუ არა პარალელური ფორმები და რა არის პარალელიზმის მიზეზი?

ფერეიდნულში **სვლის** აღმნიშვნელი ამ ზმნის უღლების თავისებურებების აღსაწერად გამოვიყენეთ ქდკ-ს მონაცემები და სპეციალური კითხვარით, ძირითადად, ვავსებდით ქდკ-ის მიხედვით მოძიებულ ინფორმაციას.

ქართული დიალექტური მასალის ლექსიკონისა და ზმნების ლექსიკონით ზმნის მხოლოდითი რიცხვის შესაბამისად პირის ფორმის **დი-ს** ზმნისწინიანი წარმოებულები: დადის, მიდის, მოდის, გადის...

წა- და **წამო-** ზმნისწინიანი ფორმების ლექსიკონის შესაბამისად გამოვიყენეთ **მიდის** და **მოდის** ფორმები.

მაგალითად:

მიდის:

სიტყვაფორმა	ლექსიკონი	მარკერი
ამოხვალ	მიდის	V: Sg,2,Fut
წავიდლოდით	მიდის	V: Pl,1,Impf
მიდი	მიდის	V: Sg,2,Aor
მიდიან	მიდის	V: Pl,3,Prs
მიდიანო	მიდის	V: Pl,3,Prs
მიდივოდა	მიდის	V: Sg,3,Impf
მიდივოდეს	მიდის	V: Pl,3, Impf
მიდივოდიანყე	მიდის	V: Pl,3, Iter I, Ye
მიდივოდით	მიდის	V: Pl,1,Impf

(**მიდის** ლექსიკონთან კორპუსში დაახლოებით 170 უნიკალური სიტყვა ფორმაა დაკავშირებული).

ჩადის:

ჩადივოდეს	ჩადის	V: Pl,3,Impf
ჩადივოდისყე	ჩადის	V: Sg,3,Iter I, Ye
ჩადის	ჩადის	V: Sg,3,Prs
ჩადით	ჩადის	V: Pl,1,Aor
ჩავა	ჩადის	V: Sg,3,Fut
ჩავალ	ჩადის	V: Sg,1,Fut
ჩავალო	ჩადის	V: Sg,1,Fut
ჩავაყე	ჩადის	V: Sg,3,Fut, Ye
ჩავედით	ჩადის	V: Pl,1,Aor
ჩაველ	ჩადის	V: Sg,1,Aor
ჩაველთ	ჩადის	V: Pl,1,Aor

(სულ 57 უნიკალური სიტყვაფორმა გვხვდება ლექსიკონთან **ჩადის**)

ასევეა დანარჩენ ზმნისწინებთანაც, მაგალითებს აქ აღარ მოვიყვანთ.

ჩვენი შემდგომი ანალიზი ეყრდნობა სწორედ კორაუსში ამ სახით ლექსობის და ანოტირებულ ფორმებს. კვლევას ვაწარმოებდით კორაუსის სამუშაო ინტერფეისში ჩაშენებული სპეციალური ინსტრუმენტის – ანოტირების რედაქტორის საშუალებით, რამაც საშუალება მოგვცა თვალი გაგვედევნებინა როგორც პარადიგმული რეალიზაციებისთვის, ისე ყველა ვარიაციული ფორმისთვის ერთი პარადიგმის ფარგლებში.

წადის – მიდის:

სალიტერატურო ქართულისთვის **წადის** ფორმა უჩვეულოა და ამაზე საგანგებოდ აღნიშნავს აკაკი შანიძე [შანიძე 1981: 508].

კორაუსში ასეთი სულ რამდენიმე ფორმაა დადასტურებული, თუმცა მისი გამოყენება შეზღუდული არ ჩანს და საკმაოდ ხშირია ფერეიდნელთა ყველა თაობის წარმომადგენლის მეტყველებაში:

წადის (3 კონტექსტი): *შემოდგომა გავაცდილეთ და წაიდა, პირველს თოვლი ამოდის, ნაყათ წადის, აღარ მოდის.*

წადისო (1 კონტექსტი): *ვინც წადისო იქით, ჭამოსო, ვინც მოდისო გამკვლელ-გამოვლელისა იყოსო, ჭამოსო.*

წადიან (2 კონტექსტი): *წავლენ და იმ თას დოუხვევენ და ზედ დაინახვენ და წადიან.*

წავდივართ (1 კონტექსტი): *ეხლა ჩონ რო წავდივართ, რო წავვლით ემი დიშვილსათი ვითხოვეთ, ის გოგო.*

ხო, ჯერ ძაღვ'რი, ადრე'რი, ერთ საათის შემდეგ წავდივართ, შიდზე გავალთ იქით.

ქართული ენის დიალექტების დიდი ნაწილისთვის, ისევე, როგორც სალიტერატურო ენისთვის, ეს ფორმები უცხოა, თუმცა ზოგ დიალექტში ის ფერეიდნულის მსგავსად არის დადასტურებული: აჭარულში, შავშურ-იმერხეულში, თუშურში [ქლკ 2020; გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 780, 807].

დის ზმნის **წა-** ზმნისწინიანი **აწმყო** ფერეიდნულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა, რომელიც ალბათ გათვალისწინებული უნდა იქნეს დიალექტომეტრიული კვლევების დროს.

მიდის, მოდის – აწმყოს ფორმათა წარმოება. როგორც ვნახეთ, კორაუსში ჩვენთვის საინტერესო ზმნების დიდი რაოდენობაა წარმოდგენილი, თუმცა, რასაკვირველია, ყველა ზმნისწინიანი ფორმის სრული პარადიგმის რეალიზაცია მაინც ვერ გვექნება. ზოგი ძალიან საინტერესო ფორმა მხოლოდ ერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი. შევეცდებით **სვლა** სემანტიკის გამომხატველ **მიდის** ზმნისა და მისი ზმნისწინიანი ფორმების ქვეშ გაერთიანებულ პარადიგმულ რეალიზაციათა თავისებურებების წარმოდგენას კორაუსული მასალის მიხედვით.

აწმყო:

აწმყოს ფორმათაგან კორპუსში დამოწმებულია **მიდის** (მი- ზმნისწინიანი) პარა-
ლიგმის ყველა (ექვსივე) წევრი:

Prs Sg 1: მივლივარ

Prs Pl 1: მივლივართ

Prs Sg 2: მიდიხარ, მიდიხარ.

Prs Pl 2: მიდიხართ

Prs Sg 3: მიდის

Prs Pl 3: მიდიან

ამავე ზმნის წა- ზმნისწინიანი ვარიანტი, როგორც ვთქვით, ოთხი სიტყვაფორმი-
თა და სამი პარალიგმული ფორმით არის დადასტურებული კორპუსში (წავლივართ,
წადის // წადისო, წადიან).

ასევე შეიძლება გაავლევნოთ თვალი სხვა ზმნისწინიან ფორმებსაც:

ჩა-: ჩადის (სხვა აწმყოს ფორმა ამ ზმნისწინით არ გვაქვს ტექსტებში);

გა-: გავლივარ, გავლივართ, გადის, გადიან;

ამო: ამადის, ამოდის, **ამოდიხარ;**

ა-: ადის, ადიან;

გადა-: გადადის;

გადმო-: გადმოდის;

ჩამო-: ჩამოდის, ჩამოდიან;

მო-: მოვლივარ, მადიხარ, მადიხართ, წადი-მადიხარ, მოდის, მოდიან...

როგორც ვხედავთ, აწმყოს ფორმების წარმოებისას სხვა ზმნისწინიანი ფორმე-
ბი არსებითად მიჰყვება **მიდის** ზმნისთვის ნაჩვენებ წარმოებას. ასე რომ, **დი-** ძირის
შემცველი **სვლა** სემანტიკის ზმნათა აწმყოს წარმოების სურათი შეიძლება განვაზო-
გალოთ ფერეიდნულითვის:

1. ამ ზმნათა I და II პირები მეშველზმნიანია;
2. ვ- პირის ნიშანი ყოველთვის შენარჩუნებულია პირველ პირში;
3. მეორე პირის ფორმებში უტესად წარმოდგენილია II სუბიექტური პირის
ნიშანიც მეშველ ზმნასთან ერთად:

მიდიხარ: *მამალმა იტყის, რო: კრეტოო, კრეტოო, სად მიდიხარ?*

მადიხარ: *მაქქეს ვ ზა რო დაათორიალო ემ ცაჩი, როგორც ბზე დაფანტულიყოს
ეს ლურბლები ცოტ-ცოტადა და ეს გაგატანინებს ვ ზას, რო: სად მიდიხარ, სად მა-
დიხარ?*

მადიხართ: ქენ ძან კარგი საქმეს იქთ, უფროსები, სხილები მადიხართ, მაგრამ
ბატარა ბაჟებმა უფრო გოგოები მაიყუნოთ თავი ძვობს-მეთქი.

ამოდიხარ: თხელ ტალახია, ჩეეჭმი ჭაობაჩი არი ეგეთები, ჩეეჭმი და ველარ ამო-
დიხარ, იმას ჩონ ზილს ვეძახით.

წადი-მადიხარ: ჩემო ძმა, კარგი ხარ, სანატრული ვარდი ხარ, ჩემთან არა ჰკად-
რულობ, სხოსთან წადი-მადიხარ.

ქართული დიალექტების ერთი ნაწილისთვის უცხო არ არის მეორე სუბიექტური

პირის ნიშნის შენარჩუნება „მიდის“ ზმნის მეშველზმნიან ფორმაში. არნ. ჩიქობავა საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მთიულურში გვაქვს **მიდისარ** ფორმა და მიუთითებს შიგნიკახურის **მისდისარ-ზე** [ჩიქობავა 1937: 52].

ფერეიდნულში, ისევე როგორც ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში აწმყოს მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს **მოვალ**, **მოსვალ**, **მოვა** ზმნა. ეს ფუძე, სალიტერატურო ქართულში მყოფადის მწკრივის საწარმოებლად არის გამოყენებული: მოვდივარ დღეს – მოვალ ხვალ.

დარეჯან ჩხუბიანიშვილის პარადიგმებში (მი)დის ზმნა აწმყოში მხოლოდ **ვალ** ფუძიანი პარადიგმით არის წარმოდგენილი, მხოლოდ მესამე პირის ფორმაში უშეგებს ავტორი **დი** ფუძის შემცველ პარალელურ ფორმას:

მოვალ

მოხოლ

მოვა // მოდის

მოვალთ

მოხოლთ

მოვლენ // მოვლენ [ჩხუბიანიშვილი 2012: 199].

სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში სულ შვიდი ფორმაა ამ ფუძით ნაწარმოები და შვიდივე მყოფადისა:

ძალიან კარგით, დილობისაო მეც მუალ იქაო და შენ დედაკაცსა დევეკითხებითო. იმან თქო, რო: წამალს ავიღებ და მოვლო.

მითხრა, რო ორ დღეს დადექ და ჩემთინაც მუალ ორდუჩიგაო.

ნამაი ის რო უნდა მოიწყო და ვქნა, რო, თა იქამდი, რო ეს ქმარი მოა, მე ემეთავოს.

ხჯალ სადილზეო მუა ჩემ სახლიჩიგაო, შამოდი, ნახეო.

ორ-სამ დღეს დადევით, რო ცხენიანი ჭერედანსაყენაც მუა, შემეყარეთ და წადით.

იმ დამეს მარჯიკალი სიხარულით მუა ბიჭიანთას: ეტყისყე, რო: ძლივ მუამბილყეო.

სეიფოლა იოსელიანთანვე გვაქვს დამოწმებული **დი** ფუძიანი წარმოების აწმყოს მწკრივის მესამე პირის ფორმები: **მიდის**, **მოდის**.

ასე რომ, სეიფოლა იოსელიანის მასალაში **ვალ** და **დი** ფუძეებით ნაწარმოებ ფორმებს შორის აშკარად იკითხება იგივე დროული მიმართება, რაც დღევანდელ ქართულში გვაქვს: **დი** – აწმყო, **ვალ** – მყოფადი.

ფერეიდნული კორპუსული მასალა, როგორც ზემოთაც იყო ნაჩვენები, არ იძლევა ისეთ სურათს, რომ **დი** ფუძიანი ფორმა ასე განიღვენოს პარადიგმიდან და ერთადერთ ვარიანტად **ვალ** ფუძიანი წარმოება მივიჩნიოთ.

ვალ ძირიანი აწმყო მოძრაობის ზმნათა პარადიგმაში, როგორც ვთქვით, უცხო

არ არის ქართული დიალექტებისათვის (მაგ.: გურული – მივა; ინგილოური – მივ... სამცხურ ჯავახურში ამ ფუძეს მთელი პარადიგმა ვერ შეუნარჩუნებია, მაგრამ კითხვით წინადადებაში მეორე პირთან ბუნებრივია მისი გამოყენება: სად მიხვალ? რათ მიხვალ? რას დახვალ?).

ფერეიდნულში ვალ ფუძიანი აწმყოს ყველა ფორმა დადასტურებული, მესამე პირის მრავლობითის გარდა:

მივალ: ერთმა შეეკითხა, რო მეო არ ვიცეო, რო ეს ხალღო სად მიდისო. ამბოფსო, რო მივალ მექქაჩიო.

მიხლო: ბიჭი უკითხეჲდა: სად მიხლოო, ყარყარა ვარზეგა გაქ, მიხლო სადა?

–მე მივდივარ წყაროზეგა, შენ კი ბარი გიძე ვარზეგა, შენ სად მიხლო?

–მეც მივალ სარწყავზეგა.

მივა: ეს ბიჭი რათ ეგე მივა. ძალღამ თქო: არა, მე ექამდი შიარობას ვეზიდებოდი, ჩემ წინ ბზე დეეყარაყე, ეხლა ხო ძოლიდა მაქ შაქჭამო. რა ჯელი მაქ თავისთან. ცხენს უთხრენ: დაიჭი. ცხენო, ეს ბიჭი მივა.

მივალთ: ბოინელებთანლა ნამა ვართ, წასლა-მოსლა და ჩონ ბოინელების დუქნებში მივალთ, მაღაზიებში.

მიხლოთ: ცხენი გაიხსნა, გამოიდა ცხენიანი, –სად მიხლოთ, ჩემ ხალღს ხო არ გაუშეფო?

მესამე პირის მრავლობითის ფორმით და აწმყოს მნიშვნელობით ვალ ფუძიანი ზმნა ვერ დავადასტურეთ, თუ არ ჩავთვლით ერთ ფორმას:

მოღლენან:

ანსენი ჯერ არ მოღლენან, ქენა შივრები არ იყნეთა.

აქ შეიძლება ორგვარად გავიგოთ კონტექსტი:

მყოფადი: /ისინი ჯერ არ მოვლენ, თქვენ მშივრები არ იყოთ/.

აწმყო: /ისინი ჯერ არ მოდიან, თქვენ მშივრები არ იყოთ/.¹⁶⁸

როგორც ვნახეთ, ფერეიდნულში ერთმანეთის გვერდით პარალელურად არსებობს დი და ვალ ძირებზე დაფუძნებული აწმყოს ფორმები. ამასთან, მოვლენას არ უჩანს თქმათა დონეზე დიფერენცირების ფუნქცია, ის ერთნაირად არის დამახასიათებელი მთელი ფერეიდნულისთვის.

როგორც ჩანს, აწმყოში ორივე ფუძის გამოყენება უცხო არ იყო ქართული დიასისტემისთვის, თუმცა ფერეიდნულში უნიფიცირების პროცესი ისეთი ძალით არ განვითარებულა, როგორც სხვა ქართულ დიალექტებში (მაგალითად, ვალ გურულში და ზოგ დასავლურ დიალექტში, დი – დიალექტთა უდიდეს ნაწილში).

ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ამ ფუძეებს შორის სუსტი დისტრიბუციული თანაფარდობა შეინიშნება: დი ფუძე გამოიყენება აწმყოში მოძრაობის, ერთი პუნქტიდან მეორეში გადაადგილების აღსანიშნავად, ვალ კი, უფრო ეგზისტენციალურ მოძრაო-

168. მასალის სიმცირის გამო ძნელია ვარაუდის გამოთქმაც კი, თუმცა შესაძლოა, ვალ ფუძიანი წარმოების რღვევა აწმყოში სწორედ მესამე პირის ფორმებში დაიწყო?

ბას ან გადაადგილების მიზანს გამოხატავს („მღრ.: **სად მიხვალ // რას დახვალ** სამცხ. ჯავახ.). მასალის სიმცირის გამო რაიმეს კატეგორიული მტკიცება ძნელია, თუმცა საყურადღებოა, რომ ზემოთ მოყვანილი **ვალ** ფუძიანი აწმყოს მცირერიცხოვანი ფორმები დიალოგურ კონტექსტებშია წარმოდგენილი. შესაძლოა, ეს ერთგვარად უკავშირდებოდეს მოსაუბრე პირის ჩართულობას სიტუაციაში? კითხვები ბევრი ჩნდება და მათი გადაჭრა მომავალი, კომპლექსური კვლევის საქმეა.

ამჯერად კი ეს მსჯელობა შესაძლოა მხოლოდ იმის ასახსნელად გამოვიყენოთ, რატომ აისახა ამ ზმნის აღწერილ პარადიგმებში ასეთი არაპროპორციული სურათი და რატომ მოხვდა იქ უფრო ნაკლებად რეალიზებული **ვალ** ფუძე დომინანტური **დი-ს** ნაცვლად?

ვფიქრობთ, ეს იმის გამო მოხდა, რომ პარადიგმა, რომელზეც ვმსჯელობთ, არ არის ტექსტურ მასალაზე დაყრდნობით შედგენილი, ის გამოკითხვის მეთოდით არის აღწერილი. ასეთ დროს კი მთქმელი პროვოცირებულია ტრადიციული კითხვით: **რას ვშვრები?** პასუხების პირველი ვარიანტი სწორედ **ვალ** ძირიანი წარმოების ფორმები უნდა ყოფილიყო, რადგან ეს ფორმები გულისხმობს მოსაუბრის თანადროულ ჩართულობას, მოძრაობის დროს იქ ყოფნას. ასეთი სიტუაცია ტექსტის მოპოვების დროს არ იქმნება, ტექსტი თხრობაა, მოძრაობა ამ დროს შეწყვეტილია... ამით იხსნება, რომ ის რამდენიმე იშვიათი შემთხვევაა, რომელიც გვაქვს **ვალ** ფუძიანი აწმყოსი, დიალოგურ კონტექსტებშია დამოწმებული.

ვალ და **დი** ფუძეებისგან ნაწარმოებ აწმყოს ფორმებს შორის რომ განსხვავებაა, ამას თავად დიალექტის წარმომადგენლებიც აღნიშნავენ, თუმცა სხვაობის ზუსტი ახსნა უჭირთ. ერთ-ერთი ახსნით, **მოვდივარ**, არის რომ ახლა უკვე გზას ვადგავარ, **მუალ** – ვაპირებ და ვიწყებ მოძრაობას შენსკენ (ან შენს საპირისპირო მიმართულებით)... თუმცა დაბეჯითებით ჩაკითხვის დროს, უჭირთ დასაბუთება. როგორც ჩანს, ორფუძიანი აწმყო ამ ტიპის მოძრაობის ზმნებში მოშლის გზაზეა დამდგარი ფერეიდნულში, როგორც ეს სხვა დიალექტებში მოხდა.

საგულისხმოა ისიც, რომ დიალექტებში **ვალ** ფუძე ყველაზე გვიანობამდე სწორედ მერე – თანამოსაუბრე პირს შემორჩა: **რას დახვალ? სად მიხვალ?**

უწყვეტელი:

უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში ქართული ენის ქვესისტემებში **ვალ-** // **ველ-** და **დი-** ფუძეების მიმართება საინტერესო სურათს ქმნის ზმნისწინიან ფორმებში.

როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავს, „**ვალ** და **ველ** (ვიდ) ყოველგვარი ზმნისწინის დართვით ენაცვლება ერთმანეთს: გავალ – გაველი, შევალ – შეველი... რაც შეეხება **დი** ფუძეს, ისიც ყოველთვის ენაცვლება **ვალ** და **ველ** (ვიდ) ფუძეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა **დი-ს** ერთვის ზმნისწინი და, ნაწილობრივ აგრეთვე **მი** და **მო**“. იქვე ავტორი აზუსტებს, რომ **მი-ვდივარ** და **მო-ვდივარ** ზმნებს ორ-ორი მონაცვლე აქვთ, სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე:

მივდივარ – მივალ // წავალ
მოვდივარ – მოვალ // წამოვალ

მი- და **მო-** საბოლოო პუნქტზე მიუთითებენ, **წა-** და **წამო-** – საწყის პუნქტზე [შანიძე 1981: 507-508].

მკვლევარი აღარ აგრძელებს ამ საკითხზე მსჯელობას, თუმცა ჩვენთვის საინტერესო ზმნათა შენაცვლებულ პარადიგმულ ვარიაციათა განსხვავება აქ არ მთავრდება: **დი-** ფუძეს I სერიაში ორი სხვადასხვა ფუძე შეესაბამება, იმის მიხედვით, მოძრაობის საბოლოო პუნქტია მარკირებული თუ საწყისი¹⁶⁹:

მი-ვ-დი-ვარ:

1. მი-ვ-დი-ოდ-ი (**დი-**)
2. მი-ვიდ-ოდ-ი (**ვედ-**)

მო-ვ-დი-ვარ:

1. მო-ვ-დი-ოდ-ი (**დი-**)
2. მო-ვიდ-ოდ-ი (**ვედ-**)

როგორც ვხედავთ, სალიტერატურო ქართულში ამ ფორმებში **დი-** // **ვიდ-** **ფუძეთა** მონაცვლეობა ისევე განასხვავებს უწყვეტელსა და უწყვეტლის ხოლმეობითს, როგორც სხვა ზმნებში ამას აკეთებს ზმნისწინის დართვა. **შდრ.: ვაკეთებდი – ვავაკეთებდი** (სამწუხაროდ, ქართული სუპლექტივიზმის ეს მნიშვნელოვანი თავისებურებაც სათანადოდ არ არის ასახული და შეფასებული სამეცნიერო ლიტერატურაში).

ასეთივე ვითარებაა დიალექტების დიდ ნაწილში დღეს, თუმცა ზოგი დიალექტი მნიშვნელოვან სხვაობას ავლენს საერთო სურათთან. მაგალითად, გურულში **ვიდ-** ფუძით იწარმოება უწყვეტელიცა და უწყვეტლის ხოლმეობითიც:

უწყვეტელი:

კაცი სას მივიდოდი თემში და დამხთენ (ქდკ, გურული).

ბათომში თუ მივიდოდი ან სადმე, ოზრუგეჩი უნდა ჩავსულიყავით ფეხით ან ურმით (ქდკ, გურული).

ხოლმეობითი:

მერე მივიდოდი და დევიწყებდით გათლას (ქდკ, გურული).

ღუუცთიდი, რომ გეიარდა ხიდე, მერე გახვიდოდი შენ (ქდკ, გურული).

მოვლენა დადასტურებულია იმერულში, თეორიულად შესაძლოა მისი კვალი ვეძებოთ სხვა დიალექტებშიც. სამწუხაროდ, ტექსტებში ის ძალიან ფრაგმენტულად არის ასახული, მაგრამ არის:

169. უცნაურია, რომ მოძრაობის ზმნათა ეს ფუნდამენტური თავისებურება შეუმჩნეველი დარჩა და სათანადოდ არ აისახა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

ლილად გამუეღ კარზე, მიხვიდლოდი თი ვ ზაზე (ქღკ, შავშურ-იმერხეული).

აჰაღა, რამე დამმართხნოღა, ჰა მიხვიდლოდი მემრე! (ქღკ, აჭარული).

–შენ რომ ჯარში მიხვიდლოდი, რუხი ც ხენი მოვჯღლოღოღა.

–შენ რომ ჯარში მიხვიდლოდი, სი ზმარს ვნახავ საზარელსა (ქღკ, რაჭული).

ვეღ- (> ვიღ) ფუძიანი უწყვეტლის გვერღით ამავე დიაღექტებში დი- ფუძიანი წარმოებაც გვხვღება:

გურული:

რა უნღოღა, რომ არ მნღობღა, მივეღიოღი მე ჩემ გ ზაზე, ხაღხის საქმე მაწუხებღა და არ ვიყაი სრულ ჭკუაზე.

აჭარული:

მე სოღოღმონ ბძენთან ჭკუის საკითხავათ მივეღიოღი და ეს რა ჭკუაო.

რაჭული:

გ ზაში მივეღიოღი და დამიხვღა ერთი თეთრი თხაო.

როგორც ვხეღავთ, დიაღექტები გაციღებით მეტ მერყეობას იჩენენ უწყვეტლისა და ხოღმეობითის მწკრივებში მონაცვლე ფუძის არჩევისას. იქ არ არის მკაცრად უნიფიცირებული ის წესი, რომელიც საღიტერატურო ქართუღისთვის დამკვიდრღა და რომელიც უწყვეტლისა და ხოღმეობითის გასარჩევად სხვადასხვა ფუძის გამოყენებას ითხოვს.

რა ვითარებაა ამ მხრივ ფერეიდულში?

მასაღა აჩვენებს, რომ დიაღექტში მიღის // მოღის ზმნათა წარმოებებისა პირველ სერიაში გვაქვს როგორც დი-, ისე ვიღ- ფუძეზე დაყრდნობიღი ფორმები.

ღი-:

პირვეღი პირი:

პირვეღი პირის ფორმაში ვ- პირის ნიშანი ხშირად იკარგვის. დიაღექტში ეს ფორმები დასტურღება როგორც ნუღლოვანი, ისე ვ- პირის ნიშნებით:

მიღიოღი (< მივეღიოღი):

(მე) მიღიოღი იქა.

ვნახე, რო გ ზაზე რო მიღიოღი მე მადრესანი, ვნახე, რო ემ გ ზაზე ფული ეყარა, ჰაღ, აღღე და ჯიბეეფნი ჩაღყარე.

მივეღიოღი:

სკოღარეიგაც მივეღიოღი , ჰამ მუშაობღი, ჰამ სკოღარეი მივეღიოღი, იმაში მოეღი ისჰანჩიგა ექღა დავღღე და ვმუშაობ და ვცხროვავ ექა.

ღა მე მაგონღებღის, ქე წაიღა მექქანი – მე ამაშინ ბაღღა ვიყავ და მადრესანი მივეღიოღი.

მივეღიოღი, მოვეღიოღი, ბატარობანი დავღიოღი, მივადექ ერთ გოგოსა, თვარესა ჰგუანღა, თვარესა.

ელ ანგრე მივეღიოღი.

მივეღიოღი და ვსყიდულღობღი.

ქართული დიალექტების კორპუსში დადასტურებულია **მივილოდი** ფორმაც: ოცი წელის წინ მე **მივილოდი** იქით დავიარო.¹⁷⁰

ვიდ-

პირველი პირი:

ვიდ- ფუძიან ფორმებშიც გვაქვს პირველი სუბიექტური პირის როგორც ნულოვანი, ისე **ვ-** ნიშნიანი ფორმები:

მივილოდი:

ეხლა კი, ელ ეგრე ვკითხოვდი და მივილოდი თა ეგრე შაქნა, რო მე, ბაღტა რო ვიყავ, იმაში.

მიილოდი, მოილოდი:

მე სუ ყელვან მიილოდი, მოილოდი, ეს ყორი არ მენახა.

აქ არადღროს წყალი არ ყოფილა და ეხლა რო წიმა წამოიდა, წიმა წამოიდა და მოდის, რო მოდიოდა, ერთველ მიილოდი ემ ლელეჩი, უნდოდა ვირებით გაადე.

ერთვან შინ ისენი წაიდიან საქმეზე და მეც მიილოდი მაღაზაჩი.

ყარაათში მიილოდი და კითხულობდი და ძსწავლობდით.

მოილოდი და ნახეო, რო ერთ ძაღლიო ერთ ჭას პირსაო უხოვსო და წკირტიალეზსო და ანქითაცა ჰყავ ლეკვებითო.

ბეჭრი მე ეხლა როსაც მეცალა, ახლა საღომის დროს შამოილოდი შინა და დაღლილი ვიყავ, მე.

ეხლა დაქწერდი, გადლოდით რუზე, გავრეცხდით, კალთაოდთ გავაჟმობდი, შამოილოდი, ეხლა სხო რამე, სხო რამე, სხო რამე.

იმაშინ, რო ყმაწილი ვიყავ, მე მივილოდიყე მადრესაჩი, დარსა ვკითხოვდი და ჩონ მოალემებმა თქიანყე, რო კოჭაობა ყრალია, ყომარია.

როგორც ვხედავთ, **დი-** (<დივ-) და **ვედ-** ფუძეებისგან ნაწარმოები ფორმები პარალელურად გვხვდება. ხშირად ეს პარალელიზმი ერთი და იმავე მთქმელის, მეტიც, ერთსა და იმავე ტექსტშია დამოწმებული:

ფაბრიკაჩი მუშაობდი და საქმე, ჯოხს ვავმობდი პარკეტისა და რო შავდიოდი და გავდიოდი, ეძველა გზა იყო და იქა თავის დარაჯეფს ვათორიალებდი, რამდენ სიცხე და ასები რო უნდოდა ჯოხსა, ესე აგურით აგებულ იყო, ემ აგურებზე გემემეწე-

170. **მივილოდი** ფორმა მხოლოდ ერთხელაა დადასტურებული კორპუსში, ამიტომ სპეციალურად შევიტანეთ საკონტროლო კითხვარში. ამ კითხვარმა დადასტურა, რომ **დიოდ // დივოდ** ფუძეები პარალელურად გვხვდება ფერეიდნელთა მეტყველებაში და ისინი ამას ადასტურებენ გამოკითხვის დროსაც და სპონტანურ საუბარშიც. **ვ-**ს გამოხატული ლაბილურობის გათვალისწინებით, იმ ფონზე, როცა ის პირის ნიშნის ფუნქციითაც კი ვერ „იმაგრებს“ თავს ინტერვოკალურ პოზიციაში (შდრ.: მიილოდი < მივილოდი), გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ აქ **ვ-**ს განვითარება კი არ უნდა გვექონდეს, როგორც ეს შეიძლება სხვა დიალექტში გამოვლენილ ანალოგიურ შემთხვევაზე შეიძლება გვეფიქრა, არამედ **ვ-** უნდა იყოს **დივ-** (<დევ-) უძველესი ძირის ნაწილი. მაშინ ამ ზმნის მონაცვლე ძირები ასე დალაგდებოდა: **დი-** (< დევ // დივ-), **ვალ-**, **ვედ-** // **ვიდ-**. დიალექტური მასალიდან ამას დაემატებოდა **ველ-** ძირიც.

რა: ა, ბე, გე, დე, ე, ვე, ზე, თე... რო **შეიღოდი** და **გაიღოდი**, აქ კვითხოვდი (ჰეიღარ ასლანი – დარჩიაშვილი; ქლკ).

კითხვარული მასალითაც გაძნელდა **დი(ვ)- // ვედ-** ძირისგან ნაწარმოებ ფორმათა შორის დროული დაპირისპირების დადგენა.

ეს ფორმები არ ქმნიან ისეთ დროულ დაპირისპირებას, როგორც ქართულში (იხ. ზემოთ): მივიღოდი (ხოლმეობითი) და მივედი (უწყვეტელი).

ფერეიდნულში ისინი გამოიყენება როგორც უწყვეტლის, ისე ხოლმეობითის მნიშვნელობით (როგორც ერთჯერადი და როგორც მრავალჯერადი მოქმედების აღნიშვნის ფუნქციით).

თუმცა სავსე მუშაობის პროცესში მაინც მოინიშნა გარკვეული სემანტიკური სხვაობა ამ ფორმათა შორის. როგორც რესპონდენტები ცდილობდნენ ახსნას, **ვიდ** და **დი(ვ)** ძირების შემცველ ზმნათა შორის განსხვავება მაინც არის და ერთი მოძრაობის გრძლიობას, პროცესს ან დაწყებას აღნიშნავს უფრო (ვიდ), მეორე კი – მოძრაობის დასრულებას, საბოლოო ფაზას.

საინტერესო სურათი გვაქვს უწყვეტლის მეორე პირის წარმოებისას:

ვედ- // ვიდ-:

დადასტურებული ფორმაა **მიხილოდი**, რომელიც **ვედ- > ვიდ-** ფუძის ფორმათა პარადიგმაში შედის:

1. მიიღოდი < მი-(ვ)-(ვ)იდ-ოდ-ი
2. მიხილოდი < მი-ხ-ვიდ-ოდ-ი

დი(ვ)-:

მიდილოდი < // მიდივოდი < // მივედიოდი < // მივედივოდი

წესით, მეორე პირში უნდა გვქონოდა *მიდილოდი ფორმა, რომელიც დადასტურებულია მთელ ქართულენოვან დიასისტემაში, მაგრამ მეორე პირის მნიშვნელობით ეს ფორმა ფერეიდნულმა არ იცის. არ გვხვდება ის არც სხვა ზმნისწინით.

ამის მიზეზია პარადიგმის პირველი პირის ფორმა, რომელიც უმთავრესად პირის ნიშნის გარეშეა წარმოადგენილი. ამის გამო ფერეიდნულში გვაქვს ფუძეთა სუპლექტივიზმის კიდევ ერთი განსაკუთრებული გამოვლინება: ფუძის შენაცვლება ერთი მწკრივის ფარგლებში.¹⁷¹

ბიჭი ეტყის: ქე მიხილოდი წყაროზე, კალათა გეცო ველზე, თმები გაქონდა ბურმა-ბურმა, თოლები გაქონდა საჯსე სურმა, მე შენა გნახე, ჩემ გულს მოონდა, მოდი მე შენლა გითხუებ.

171. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, ამ ჯგუფის ზმნათა კიდევ ერთი განსაკუთრებული თვისება: ვედ- ფუძეზე დაყრდნობილი ფორმები წყვეტილში ფუძის ხმოვანს იცვლიან მესამე პირის მრავლობითის ფორმაში. აღნიშნულია, რომ ეს ერთადერთი შემთხვევაა ქართულში, როცა ხმოვანმონაცვლეობა წყვეტილის პარადიგმაში ხდება (ერთი მწკრივის ფარგლებში). ყველა სხვა შემთხვევაში ასეთი ნაწილობრივი რედუქცია სერიებს შორის დაპირისპირებას ქმნის [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 428].

იცოდი ქე მე მუალ არ დადღექ შინა, სად მიხილოდი, ქე მე არა მნახე.

ყორმა უთხრა: ბარი გედვა ვარზეგა, მიხილოდი სარწყავზეგა, მობრუნდი, გეველო თავზეგა.

იმამინ კიდეშ რომელ სახნი შახილოდი, ათი, შიდი ოჯახში ცხოვრობდა, ეხლა დააკლდა.

მესამე პირის ფორმებში ამ ზმნებთან ასეთი ვითარება გვაქვს:

ლი(ვ)-:

მიდიოდა, მოდიოდა // მიდივოდა, მოდივოდა¹⁷²

ვიდ (<ვედ)-:

მიდიოდა, მოდიოდა (შეიძლება შეგვხვდეს მივიდიოდა, მოვიდიოდა ფორმებიც).

პირველი და მეორე პირის ფორმებში უწყვეტლისა და ხოლმებითის ფორმალური გარჩევა არ ხდება, მესამე პირის ფორმებში კი გვაქვს განსხვავებული ფორმა ორივე მწკრივისთვის როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში:

(დი / დივ):

უწყვეტელი

მხოლოდითი: ეს ყორი მიდიოდა ანქითა, რო ეს ერთი უნდოდა ეს ყორი, მასალან.

მრავლობითი: -არა, ბავშვები რო მოდიოდეს, მაგალითათ, ემას ერთი იმით რო ორმოცი ოტალი ჰყოლია, ეს ძროხები გარეკოს, ფურები გარეკოს, ცხვრები გარეკოს, ვარი გარეკოს, მინდორჩი რო აძოს, იმას ეძახოდნენ ოტალი.

ხოლმებითი:

მხოლოდითი: ჰა, ესე ორმოზდათი წელები ემისყე წინა, ქე მიდიოდის.

მრავლობითი: გავზღვევითყე და რა ვიცი, მიდიოდიანყე.

ვიდ- (<ვედ)-:

უწყვეტელი:

მხოლოდითი: იქთენ დადცხო ემ გელს, რო, ემ გელიდა თავის წელი გატყილთა და რო მიდიოდა, ეს წელი ჰად მიათრევდა.

მრავლობითი: -ერთი ქუა არი, თაი ემ ქაძზე ბატა ჩალა'რი, ჩონ ვიტყით, ამ წინ ქე მოსულან, ამ წინ ქე ცხენით სადმე წაიდიოდეს, ჩონ ვიტყით: ჰაზრათე ალი ეგრე გაულულა, ცხენს ფევი დოოდგამ ემ ქუაზე, თაი ფევის ალაგი დავარდნულა, ეხლა ყმაწილებს ვეტყით: ექ ფევის ჩადგმა 'რი.¹⁷³

ხოლმებითი:

მხოლოდითი: თასაყე მოდიოდის სოთუნ მორადხანი მანქანათ მოიდა, მამაწყდა, გამარჯობა!

მრავლობითი: ბავშვები, ეს ბატარა გოგოები, ჩემთან აღარ მოდიოდიან.

172. ასეთივე პარალელი ზმია სხვა ზმნისწინებთანაც.

173. მი- ზმნისწინიანი ფორმა ტექსტში არ დადასტურდა, თუმცა კითხვარულ მასალაში დადასტურებულია. საილუსტრაციოდ ვარჩიეთ დადასტურებული ფორმის მოტანა.

მყოფადის მწკრივში ფერეიდნულში, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულ-სა და დიალექტებში პარადიგმას აგრძელებს **ვალ-** ფუძე:

მუალ, მოხოლ, მოა // მუა; მოალთ // მუალთ, მოხოლთ, მოულენ.

წვევტილში ფერეიდნული წარმოადგენს **ველ-** და **ვედ-** ფუძეებს:

ამასთან, **ველ-** გვაქვს პირველსა და მეორე პირში, მესამეში კი, ისევე, როგორც ქართული დიალექტების დიდ ნაწილში – **ვედ-** :

ველ-:

I-II პირი:

ემ ჯორმა მოიდა და შამამაფრინდა მე და ეს ყმაწილი ქემ მოიდა და მე ზედ მოელ და ჯორი ზედ მოიდა და ეს კაციც ზედ მოიდა.

შარშასწინ შამეელით შამეელით ექა.

მერე მე მადრესასკენ მუელ და ერთ ჩარხიცა მქონდა.

ეს საქმები სუ ანჯამი მისცა, რაც ემამ უთხრა, ამამაც ანჯამი მისცა და მოიღენ, წადა ანს ემე გამაილო, შამები გამაილო და მაიტანა, მაიტანა, ღერვიშამ თქო: ჰა, მოხელ.

III პირი:

ამოიღეს და რო შამოდა ჩემ ბიჭმა გურჯანსაყე, ამოიდ, ექ მამხელა: – დედაო, აბა, კახაო?

ეხლა იქ რო მიიდა, დაახლოვდა, ინდოეთებს აქლემი ბევრი ჰყვანდაყე, სპილო ბევრი ჰყვანდა.

იშვითად გვაქვს **ვედ-** ფუძიანი პირველი და მეორე პირის ფორმებიც: **მიველი, მიხელი.**

მესამე სერიაში იყო მეშველი ზმნა მრავლობითში **-ენ** სუფიქსისეულ **ნ-ს** გამოავლენს ქართული ენის ზოგი აღმოსავლური დიალექტის მსგავსად: მოსულიყნეთ, მოსულიყნეს...

თორელში ჩაწერილ ერთ ტექსტში დადასტურდა და ზეპირ მეტყველებაშიც ჯერ კიდევ ისმის მეორე პირის ფორმები: **მიდიხოლი, მოდიხოლი, დასდიხოლი.**

მიდიხოლი: *არზი ქნა, რო ქე შადხვდა თქო ქე: კალათა გეცო ხელზეგა და მიდიხოლი კალოზეგა.*

ტექსტი ჩვენ მიერაა ჩაწერილი 2012 წელს. მთქმელია 86 წლის ალიაქბარე აქბარი. ტექსტის ჩაწერის დროსვე შევნიშნეთ უცხო ფორმა და ჩავეკითხეთ. მთქმელმაც და დამსწრეებმაც დაგვიდასტურეს ფორმის მართებულობა. საქმე ის არის, რომ გაბმულ მეტყველებაში მეორე პირის ზმნის უწყვეტლის ან ხოლმეობითის შინაარსით გამოყენება ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან საგანგებო სიტუაციურ მოტივირებას მოითხოვს, ამიტომ არის, რომ ფაქტი ნაკლებად დოკუმენტურია ტექსტური მასალის მიხედვით. ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ ფორმამ იმიტომაც, რომ ის (ასევე ეპიზოდურად) დადასტურებულია სხვა დიალექტებშიც:

აი გუშინ ქვევიდან რო **მოდიხოდი?! (ქართლური, ქღკ).**
მი მოვდიოდი, შენ **მიდიხოდი (რაჭული, ქღკ).**

ეს ფორმა დღესაც დასტურდება მოხეურში, თუმცა ის სათანადოდ არ არის დოკუმენტირებული – არც ტექსტურ და არც სალექსიკონო მასალაში, არც დიალექტის მეცნიერულად აღწერისას ის არ არის დამოწმებული და განხილული. მიზეზი ალბათ აქაც ისაა, რომ მასალის მოპოვების დიალოგური ხასიათი ძალიან იშვიათად ქმნის მსგავსი ფორმების გამოყენების ალბათობას.

მიუხედავად ამისა, როგორც ვხედავთ, ქართლურსა და რაჭულში ეს მოვლენა დოკუმენტირებულია. რაჭულის ნიმუში ვარლამ თოფურიას მიერ ჩაწერილმა მასალამ შემოგვინახა, ქართლური კი – ივანე შილაკაძის მიერ ჩაწერილმა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაცულმა ტექსტებმა.

შოთა ძიძიგურს მიუქცევია ყურადღება **მოდიხოდი** ფორმისთვის და ნაშრომში მთარაჭული დიალექტის შესახებ საგანგებო ადგილი მიუჩენია მისთვის იმ ფორმათა შორის, რომლებიც სპეციფიკურია რაჭულისთვის და, ამასთან, სხვა დიალექტებში არ დასტურდება. ავტორი არ მსჯელობს ფორმის წარმომავლობაზე, არ არის საილუსტრაციო მასალა [ძიძიგური 1937: 71]. სვარაუდოდ, მას საკუთარი მასალა ჰქონდა, რადგან ვარლამ თოფურიას ტექსტი გაცილებით გვიან, 1958 წელსაა ჩაწერილი. ეს ადასტურებს, რომ მოვლენა იმდენად ცოცხალი ყოფილა, რომ 1937 წელს ის განსაკუთრებულ თავისებურებად აღინუსხა, 20 წლის შემდეგ კი კვლავ მოხვდა საკვლევ მასალაში. ისიც საყურადღებოა, რომ ეს ფორმა მაშინაა „დაჭერილი“, როცა მთქმელები ერთმანეთს ესაუბრებიან, სპონტანური დიალოგის დროს.

შოთა ძიძიგურის ამ მითითებაზე დაყრდნობით ფორმა შეტანილია რუსუდან ლანდიას მიერ მომზადებულ რაჭულის პარადიგმების ცხრილში [გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 336].

ფაქტობრივად, **მიდიხოდი**, **მოდიხოდი** ფორმები დღემდე აგრძელებენ იშვიათ და უჩვეულო არსებობას ქართული ენობრივი დიასისტემის ფარგლებში ისე, რომ მათი სამეცნიერო შეფასება არ მომხდარა. ვფიქრობთ, ამ ზმნის კვალი საძიებელი (resp. საგულვეტელი) უნდა იყოს სხვა დიალექტებშიც. საკითხი საკვლევია. ვარაუდის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთგვარი ფორმობრივი გადააზრიანების შედეგად უნდა იყვნენ მიღებული: თუკი დავუშვებთ, რომ **დი-** ფუძიანი მოძრაობის ზმნები თავდაპირველად **დივ-** ფუძეს მოიცავდნენ (როგორც ეს ფერეიდნულის მონაცემიდან ჩანს) და პირველი პირის ფორმად აღვადგენთ ***მი-ვ-დივ-ოდი-ი ფორმას**, შესაძლოა დავუშვათ, რომ **მი-ვ-დი-ვარ – მიდი-ხარ** წყვილის ანალოგიით შექმნილიყო: **მივდივ-ოდი – მიდი-ხ-ოდი** წყვილი.

ეს მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ ის, რომ ფერეიდნულში, სახელდობრ, მის ერთ-ერთ ქცევაში – ბოინ-მიანდაშთურ მეტყველებაში, დადასტურებულია **მიდიხოდი** ფორმა, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას და ეს მაგალითი უნდა შეემატოს სხვა დიალექტებში დადასტურებულ უიშვიათეს მსგავს ფორმებს შემდგომი და უფრო გამოწვლილვითი კვლევისათვის.

ვფიქრობთ, ამ ფორმათა ძიება სხვა ქართულ დიალექტებში უნდა გაგრძელდეს და ეს მოვლენა დიალექტური კარტოგრაფიებისა და დიალექტომეტრიის ერთ-ერთ მახასიათებლად უნდა იქნეს მიჩნეული მომავლის კვლევებში.

როგორც ვნახეთ, ფერეიდნული ინახავს ზმნური სუპლექტივიზმის საინტერესო სურათს **ვედ(ვიდ)** და **დი (დივ)** ფუძეთა სახით.

ქართულ დიასისტემაში სუპლექტივიზმის კომპლექსური კვლევა მომავლის საქმეა და ამ კვლევაში მოძრაობის ზმნათა **ვალ, ვედ, დი(ვ)** ძირებისგან ნაწარმოებ ფორმათა დეტალური ფორმალური და ფუნქციური ანალიზი მომავლის საქმეა. ფერეიდნულის მასალა ამ კვლევაში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს დაიკავებს.

ჯდომა, დაჯდომა ზმნათა თავისებურება ფერეიდნულში და მისი ისტორიული ასპექტი

ჯდომა ზმნა არის ფუძემონაცვლე მწკრივშიც და რიცხვშიც: ზის, იჯდა, მჯდარა...

ზის – სხედან, იხდნენ, მსხდარან [შანიძე 1981: 501; 506].

აკ. შანიძე ზმნას ასე ახასიათებს: „... იხმარება მარტო აწმყოში (ვზივარ, ჰზიხარ, ზის), საერთოობიანი მწკრივები აკლია, II და III სერიაში ჯედ (ჯდ) ფუძე იხმარებოდა ძველად და ახლაც იხმარება: ვიჯედ, იჯდა; ვიჯდე, იჯდეს (ძველად: ვჯედ, სჯედ, ჯდა; ვჯდე, სჯდე, ჯდეს), ვმჯდარვარ, ბავშვი მუხლებზე სჯდომია. ამავე ფუძისგანაა ნაწარმოები საწყისი (ჯდომა) და მიძლეობა (მჯდომარე, საჯდომი) და აგრეთვე ახალი მწკრივები (მყოფადის წრისა): ვიჯდები (ვიჯდომები), ვიჯდებოდი, ვიჯდებოდე“ [შანიძე 1981: 506].

ქართული ენის დიალექტებშიც **ზის** ზმნის პარადიგმას **ჯედ // ჯდ** ძირის შემცველი ფუძეები ავსებენ სხვა მწკრივებში, ხოლო რიცხვში მას აქაც **სხედ** ფუძიდან ნაწარმოები ფორმები ენაცვლებიან. დიალექტურ ვარიაციებს ამ მასალაში ქმნის ფუძეთა ფონეტიკური ვარიანტები (დაჟდა); რომელიმე ფუძის უნიფიცირება პარადიგმაში (ჟდანან და არა სხედან); განსხვავებული ფორმაწარმოება (ჟდანა, ჟდია, ჟდიან, აჟდუმლებს, აჯვდენს, დაჯვდინა, დაჯდინა, დაჯდუნა, სხდანან...); განსხვავებული სიტყვაწარმოება (დაჯდომილი...). დიალექტურ სხვაობას ასევე ქმნის **ჯედ – ჯექ** ფუძეთა შენაცვლება წყვეტილში. დიალექტთა ერთი ნაწილი სალიტერატურო ქართულის ნაცვლად **ჯექ** ფუძეს ირჩევს, ნაწილს კი ძველი ქართულის **ჯედ** შემოუნახავს.

„თავისებურ ზმნათა“ ანბანთრიგზე გაწყობილ სიაში აკაკი შანიძე კიდევ ერთხელ საგანგებოდ განიხილავს **ჯდომა** ზმნას და სწორედ აქ ახსენებს **ჯექ** ფუძეს, რომელიც, წყვეტილის პირველსა და მეორე პირებში აგრძელებს **ზის** ზმნის პარადიგმას: ვიჯექი, იჯექი, იჯდა; ვიჯექით, იჯექით, იხდნენ; დაჯექი, დაჯექი, დაჯდა; დაჯექით, დაჯექით, დასდნენ.

ჯექ ფუძის შესახებ მკვლევარი მოკლე შენიშვნას აკეთებს: „დგომა“ ზმნის ფუძის მეორე თანხმონის დაყრუებული სახის გავლენით (**გ > ქ**) ამისი დ-ც ქ-დ იქცა

წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში: ვიჯედ > ვიჯექ(ი)“ [შანიძე 1981: 556]. როგორც ვხედავთ, მკვლევარი აღნიშნავს ჯდომა ზმნის ორფუძიანობაზე წყვეტილში, თუმცა მოვლენის საბოლოო თეორიული განზოგადებისგან მაინც თავს იკავებს ან, უბრალოდ, ყურადღების მიღმა ტოვებს, რადგან სხვაგან, იმავე სიაში ანბანური რიგით უფრო წინ მდგომ ვედ // ვიდ ფუძეზე მსჯელობისას ის აღნიშნავს, რომ „ვედ, ვიდ ერთადერთი ფუძეა, რომელიც განსხვავებულია პირთა მიხედვით წყვეტილში: 1-ლსა და მე-2 პირში ვედ იხმარება, მე-3-ში – ვიდ...“ [შანიძე 1981: 537].

გვიქრობთ, ე.წ. „პირში მონაცვლე“ ზმნების აღწერისას მათ რიცხვს აუცილებლად უნდა დაემატოს ჯექ, წექ ფუძის შემცველი ზმნებიც (როგორც არ უნდა იყოს ამ ფუძეთა წარმომავლობის შესახებ თვალსაზრისი).

ჯდომა ზმნის წყვეტილის ორფუძიანობა ძველ ქართულში საკვლევიანია. მასალის ზერეულე მოძიებით ირკვევა, რომ ჯექ ფუძიანი ფორმები საშუალ ქართულში უკვე არსებობდა ჯედ ფუძიანი ფორმების გვერდით და ისინი უკვე აღწევენ ნორმატიულ პარადიგმაში. მაგალითად, ბაქარის ბიბლიაში (1743წ.) დადასტურებულია დაჯექ ფორმა:

მოვიქეც ქუეყანასა შინა სამეფოსა ჩემსა და დაჯექ საყდართა ზელა მამათა ჩემთათა [ბაქარის ბიბლია, GNC 25.01.2020].

შდრ.: *საგრილსა ქუცში მისსა გულმან მითქვა და დაჯედ და ნაყოფი მისი ტკბილ სასსად შინა ჩემსა* [ბაქარის ბიბლია, GNC 25.01.2020].

აღსანიშნავია, რომ ბაქარის ბიბლიის ტექსტში დაჯდა ზმნის 12 გამოყენებიდან ერთი ჯექ და 11 ჯედ ფუძიანი წარმოება გვაქვს დამოწმებული. ერთეული შემთხვევები დაჯექ, დაჯექ, იჯექ ფორმების გამოყენებისა დასტურდება შაჰ-ნამეს, რუსუდანიანისა და თეიმურაზ II-ის ნათარგმნ თუ ორიგინალურ რამდენიმე ტექსტში [GNC 25.01.2020]. სალიტერატურო ქართულში ამ ფორმათა დამკვიდრების, აგრეთვე მათი წარმომავლობისა და სხვა ფორმებთან მიმართების მეცნიერული ანალიზი საგანგებო კვლევას მოითხოვს.

ფერეიდნული ერთობ საინტერესო სურათს გვიჩვენებს ჩვენთვის საინტერესო ზმნათა თვალსაზრისით. დიალექტში ისევე, როგორც მთელ დიასისტემაში, დასტურდება ზის, ჯედ // ჯდ, სხედ ძირები. გარდა ამისა, ბოინ-მიანდამთის¹⁷⁴ მეტყველებაში დასტურდება ფუძე, რომელიც დღეს უცნოა როგორც ქართული სალიტერატურო ენის, ისე მისი დიალექტებისთვის. ის არც ძველ ქართულში გვხვდება. ეს არის ჯევ // ჯვ ფუძე.

ეს ფუძეები წარმოადგენენ როგორც სტატიკური ზის, ისე დინამიკური ჯდება ზმნების პარადიგმებს ფერეიდნულში.

174. იმის გამო, რომ ჩვენი სამივილინებო დრო ყოველთვის შეზღუდული იყო და სამუშაო ძალიან დიდი მოცულობისა, ამასთან ადვილი არ იყო მუშაობისთვის შესაფერისი პირობების შექმნა ყველა სოფელში, ფერეიდნულის მომავალმა მკვლევარებმა უნდა იმუშაონ ამ მოვლენის ზუსტი გეოგრაფიის დადგენაზე: რომელ სოფლებში გვაქვს, რომელში გაუჩნდა პარალელური წარმოება, რა სისრულითაა პარადიგმა წარმოდგენილი და ა. შ.

ზის ფუძე ფერეიდნულშიც მხოლოდ აწმყოშია დადასტურებული. ამასთან, ის გვხვდება მთელ დიალექტში – როგორც მარტყოფის, ისე ბოინ-მიანდაშთის წრის სოფლებში:

ვინც ცხენზე **ზის**¹⁷⁵, არ იცის, მინმე ფევით როგორ დადის (მარტყოფი).

და გელევაქურზე რო დადვისყე, ხალღმა თქისყე, რო სეიფოლას, არ ვიცი რა'რი, მოუტანიო, რო არც ნაქასი აქო, არც კაცი **ზისო**, არც მინმე არიო.

ჰა, **ვზივართ**, ხო. **ვზივართ** და ვამბობთ (თორელი).

მისწავლია და ვამბობ, რო ქენაც მიხდეთ. ჩონ ჯგუფად რო ერთადა **ვზივართ** (თორელი).

შენ რო გასდა ხალი გულის პირზე, **ზიხარ** რუვის პირზე, ეს მაგონდების (მარტყოფი).

ალან დაჰ-ჰუნზდაჰ სალა ალანქ **ვზივართ**. ჩემ კაცი მოალემია, ანქა ვზივართ, ანქ სახლს ვაგებავთ (ჯაყჯაყი)¹⁷⁶.

ზის ზმნა ფერეიდნული დიალექტის ერთ ნაწილში (მარტყოფის წრის სოფლების მეტყველებაში) ნაკლულ მწკრივებს **ჯედ-** ფუძიანი ფორმებით ივსებს:

ეს შეინახე, შაინარჩუნეთ და ვინც ეს თოფიან კაცი სოფელს აიღებს, ვინც ექ **იჯღეს...** [მარტყოფი].

–ყუაჰმა წაიდა რო დღეუფალა დაიჭიროს, ჩემ დღის ბიდაშვილი ამობდა, ელ ექ რო ჩენ დღეს დაჯექით, **ვიჯეო** და ვნახეო, რო ყუაჰი აი, ახტების, დახტების, და ფირტიალეფსო [მარტყოფი].

ჩენ ერთ ჯგუფი ვიყაით, ერთი ყალას **ვიჯექით**, რუვისპირსაყენა, შორს ვიყაით, თავზე ვიყაით, ეხლა ემ ადვილეფსაც გაჩენეთ [მარტყოფი].

უფრო ხშირად **ჯედ // ჯდ** ფუძე ღინამიკური **დაჯღება** ზმნის პარადიგმებში გვხვდება:

ტრედმა თქო, რო: მე არც რას ვერ ვიტყვი და ჩემ ალაგაზე **დაუჯღები**.

–ეხლა, მარინა, ფუტკარი რო გადის, თაფლი მადაქ, ექ რო **დაუჯღე**, **დაუჯღე**, რომელ ფუტკარიც მოდა, ეს გადგეფს, გაიგეფს, რო აბა, ემას თაფლი მადაქ თუ არა.

მრავლობით რიცხვში გვხვდება როგორც **ჯედ // ჯდ**, ისე **სხდ // სხედ** ფუძეები, ეს პარალელიზმი დადასტურებულია ხშირად ერთი მთქმელის მეტყველებაშიც. ამასთან, ის გვხვდება თითქმის ყველა სოფელში და არ ჰგავს გვიანი ანალოგიის ან გავლენის შედეგს:

175. **ზის** ზმნის მრავლობითის ფორმა ტექსტებში არ აღმოჩნდა, მაგრამ გამოკითხულთა პასუხებით ეს არის **ზიან** – სხვა ქართული დიალექტების მსგავსად.

176. ისევე, როგორც ქართული ენის ბევრ სხვა დიალექტში, ფერეიდნულშიც „ზის“ ზმნას აქვს არა მარტო **ჯდომა**, არამედ **ცხოვრობს**, **სახლობს...** ზმნების მნიშვნელობა [ბერიძე 2009-2: 33-43].

ჯედ // ჯდ:

დაქვლებით, ერთ-ერთს დავათიქავებთ, მერე მოდტანთ დაუნყავთ, და კორცის ხარხით ხარხს ვიქთ.

მატყლსა ემ ქოლსაყეფი, რო ყალიჩეფს ქსოვენ და იმაში ეგრე ლიანდაგსა ჭკრავთ, ნამა თამისს ვიქთ, ბაადან მალაქას შამუაცომთ, ჩონ ეგრე სანდლები არა გოქ რო დაქვლეთა.

მე და ჰაჯი **დაქვლებიტყე**, მიუბნებსყე, იხუმრებსყე.

ჰასანამ უთხრა ემ ჰოსედნასა, რო: ჰოსედნ, მო, წაადდელა, **დავჯლეთლა**, ეხლა გე-რიმ გულით ჩაი დავლივოთ.

სხდ // სხედ:

დავსხდებით ელ ეგრე მაღლა, ეხლა'დ ექა როგოდ ზადი ქქსოვთ, როგორი ზად ყალიჩა ქქსოვთ.

ემ მაჯმებსაცა შადტანენ, იქ რო დიდ სახლია და კაცები **სხედან**.

– გულზე ეც ხობის: ქენ ექა **სხედხართ** ჩონ სავლიჩინა და ეს ჩონ დაჯდომა გულზე გეც ხობისყე, გულ, გიყუარსყე.

ამ სიხეჩინ ყოფილა და ეს ერთ ორ-სამი არ ვიცი ქერიმ ხანი ზანდი და ერთ ორ-სამი ეგე სხილ კაცი ექ ემ ქაჰრიზენა **სხდომილან**.

შინეფჩი **დავსხდიტყელა** და არც რა არა ვქნიტყელა.

მრავლობით რიცხვში ფუძის მონაცვლეობის რყევა ბუნებრივია ქართული ენის სხვა დიალექტებშიც, სალიტერატურო ქართულშიც მხოლოდ ნორმა აკავებს ამ წესს და აქაც მოქმედებს საერთო ტენდენცია **სხედ // სხდ** ფუძის **ჯედ // ჯდ** -ით ჩანაცვლებისა. ასე რომ, ფერეიდნული ამ საკითხშიც არ სცილდება დიასისტემურ კანონზომიერებას.

მარტყოფის წრის სოფლებში კითხვარული გადამოწმებისას მთქმელები გვიდასტურებდნენ, რომ იყენებენ როგორც **ჯედ**, ისე **სხედ** ფუძეს მრავლობითში, მათ უჭირთ ამ ფორმებს შორის განსხვავების დასახელება, თუმცა, როგორც ჩანს, გარკვეული დიფერენციაცაა მაინც არსებობს. ძნელი სათქმელია, ეს ძველი ვითარების ამსახველია თუ ახალი ტენდენციაა და გრამატიკული პარალელიზმის დაძლევის ბუნებრივი მცდელობა. მაგალითად, მარტყოფელმა რესპონდენტებმა გვითხრეს, რომ **დაჯედით // დასხედით** პარალელური ფორმებია, მაგრამ პირველი მათგანი უფრო მაშინ იხმარება, როცა პატივისცემით მიმართავ მეორე პირს: ბევრს შეიძლება უთხრა რო, სამი, ოთხი, ხუთი რო არიან – **დაჯედი**, ხო! და მარტოც არი, ერთიც არი, რა ვიცი, მოხუცი იყოსა, პროფესორი იყოსა... **დაჯედით**, რო **დააჯდო** [ომიდ გოგონანი, მარტყოფი].

ეს აგეთ... ერთსაყენ ბევრი იყოს, იტყიან **დაჯექითა**, ერთსაყენ მეტი იყოს, იტყიან **დაჯედით**. დასხედითაც გოქ ჩონ ელა. ბევრნი რო იყენეს, მასალან, ვიტყით **დასხედით**, **დაჯექით**. ამმა ერთი რო იყოს, ვიტყით: **დაჯე!** [ახჩა]

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი მოვლენა, რომელიც არ არის აღწერილი წინა თაობის მკვლევართა მიერ. ეს არის ბოინ-მიანდაშთის წრის სოფლებში

დადასტურებული **ჯეგ** // **ჯგ** ფუძიანი ფორმები **ზის** ზმნის მნიშვნელობით. გარდა იმისა, რომ ამ ძალიან მცირერიცხოვან ჯგუფში ქართული ენობრივი დიასისტემისთვის სრულიად უცხო ეს ფუძე დასტურდება, ის სხვა მხრივაც გამოირჩევა – ეს ფუძე გასდევს პარადიგმას თავიდან ბოლომდე. ქდკ-ს მასალაში წარმოდგენილია როგორც სტატიკური **ჯგას** // **ჯგა**, ისე დინამიკური **ჯგების** ზმნათა პარადიგმული რეალიზაციები:

ჯგას // **ჯგა**

ტექსტურ მასალაში სტატიკური ზმნის ფორმებით ეს ფუძე სულ ორჯერ დასტურდება აწმყოსა და წყვეტილში:

ჯგა: Prs Sg 3

ერთი შააჯგებოდა ემასა ქუდსაყე, ანს ხუთი ელა თითან წაყათრდებოდეს, ელ ეგრე წაილოდეს, ეს ხუთმა უნდოდა ეს ქუდი, ჰაი, გარდაადღოს, მე უნდა ეს ქუდი – ჩემზე **ჯგა** [ჩემზე ზის], ქუდი მისცეს ამასა.

იჯგა: Aor Sg 3

ჩიტი ნარზე **იჯგა** და ჯელის აქნევას ელოდებოდა.

იჯგეს: Aor Pl 3

მარტყოფიგა და ერთი რაქთენ მარტყოფელია ჩონს **იჯგეს**.

ტექსტებში საკმაოდ მცირეა პარადიგმის სრულად ასახვის შესაძლებლობა მასალის არასაკმარისი რაოდენობის გამო. განსაკუთრებით მცირეა პირველი და მეორე პირის ფორმების რაოდენობა თხრობის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამიტომ პარადიგმის სხვა წევრების აღდგენა კითხვარების საშუალებით ვცადეთ:

აწმყო: ვჯგვიარ, ჯგინარ, ჯგანან

წყვეტილი: ვიჯექ(ი), იჯექ(ი), იჯგა; იჯგეს.

II კავშირებითი: ვიჯგე, იჯგე, იჯგეს; იჯგენ.

I თურმეობითი: ჯგომულვარ, ჯგომულხარ, ჯგომულა, ჯგომულან.¹⁷⁷

ისევე, როგორც მარტყოფის სოფლებში აქაც გვაქვს პარალელურად **ზი** და **სხედ** ფუძის შემცველი ფორმები: **ვზივარ, ზინარ, ზის, ზიან** // **სხედან**. ამასთან მთქმელები შენიშნავენ, რომ „მეტობა“ **ჯგანან** ფორმას იყენებენ: *მეტობა – ჯგანან / დასხდომულან, აი, როგორც ვითხრა, ჩვენთან ამბობენ, შამაისხდომიან ერთმანერთის გვერდზე [აბოლყასემ აჰმადი, მიმოწერიდან].*¹⁷⁸

შედარებით კარგად არის დოკუმენტირებული კორპუსული მასალით **ჯეგ** ფუძის შემცველი დინამიკური ზმნები.

წარმოვადგენთ ტექსტის ვრცელ მონაკვეთს იმისთვის, რომ ნათელი იყოს,

177. მე დიდხანს ვჯგომულვარ და შენ სადრას ჯგომულხარ [აბოლყასემ აჰმადი, ფბ მიმოწერიდან].

178. საყურადღებოა, რომ იგივე მთქმელი ადრინდელ ჩანაწერში უარყოფს **სხედ** ფუძიანი ფორმების არსებობას. ეს ჩანაწერი აქვეა მოყვანილი: *ჩონთან არ ვიტყით დავსხდეთ, არა, ჩონ არ ვიტყით, ჩონ ვიტყით: დავჯექით.*

როგორ ვცდილობთ მასალის მოპოვებისას მთქმელის პროვოცირებას, რათა მაქსიმალურად სრული ინფორმაცია მივიღოთ პარადიგმის შესახებ. ტექსტი ჩაწერილია სოფელ თორელში. მთავარი რესპონდენტი აბოლყასემ აჰმადი. თანამოსაუბრეა მუხტარ დარჩიაშვილი. კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული ჩვენი რეპლიკები:

[აბოლყასემ აჰმადი] – სათავე – მიწას თავი. *მიწას თავი რო დაიწყოფს, წყარო, წყალი რო გამოა, პირველა წყაროს. ახლო წყაროსთან წყალი გამოა და დაჯგების ელა პირზე, რო მორწყონ, ამას ეტყიან სათავე.*

[ერთი სიტყვა თქვი: **დაჯგეს?**]

[აბოლყასემ აჰმადი] – *წყალმა დაიჭიროს, დაჯგეს. ჩაჯგეს, დადგების ფეკზე, მიწაზე დაჯგების, ეს წყალმაც უნდა მიწაზე დაჯგეს და წაიდეს, თუ წყალმა არ წაიდეს, არა დაჯგების.*

[აბოლყასემ აჰმადი] – *მე ვჯგები, წორია!*

[შენა?]

– *მესამ დაჯგეჟ, ჯგუფი დასჯგეს. ლია დაჯგომულა თავის ადგილზე.*

[ლია ჯგების]

– *დაჯგომულა, ხო.*

[ჯერ არ დაჯგომულა, ეხლა ჯგების]

– *ხო, ჯგების, წორია.*

[ჩვენა? ყველანი ამდგარი ვართ და ვჯგებით?]

[მუხტარ დარჩიაშვილი] – *ვჯგებით, წორია.*

[აბოლყასემ აჰმადი] – *ერთი რო ადგების, მე მარტო ადგები და დაჯგვები, ეხლა ბევრნია, ბეურნი ადამიანი, ოცი ადამიანი, ოცი ადამიანი ადგებიან, დაჯგებიან.*

[და დაჯგომული შევიქნებით?]

[აბოლყასემ აჰმადი] – *ჰა, ვზივართ, ხო. ვზივართ და ვამბობთ. დაჯგომული არის. მე თითო-ოროლა ხანას ქენა დაურეკავ, ბეურს არ გაიგებენ, გაგნება ნელად, თბილსნივაც რო ვიყავ, ეხლა ქალბატონ ლამარასთანაც რო დავრეკავყე, ბეური სიტყუებს არ მიხდების.*

[დასხდებიანო იტყვით? ბევრი]

[აბოლყასემ აჰმადი] – *ჩონთან არ ვიტყით დავსხდეთ, არა, ჩონ არ ვიტყით, ჩონ ვიტყით: დაჯგეჟით.*

[მუხტარ დარჩიაშვილი] – *ეხლა ჩონთან როგორ არი? ესენი იძახიან დაჯგეჟი, ჩონ ვიტყით: დაჯგე, მე დაჯგე, დავჯდეთ.*

[აბოლყასემ აჰმადი] – *ხუთი ადამიანი ვიტყით, მოდი, წაიდეთ დაჯგეჟით.*

[მუხტარ დარჩიაშვილი] – *ჩონ: მოდი, დავსხდეთ.*

[აბოლყასემ აჰმადი] – *დაჯგეჟით, მოდი, წაიდეთ, დაჯგეჟით.*

[მუხტარ დარჩიაშვილი] – *ჩონ: მოდი წაიდეთ, დავსხდეთ, დაჯგეჟით, დავსხდეთ.*

[აბოლყასემ აჰმადი] – *დაჯგეჟა! ანს რო მოდიოდა, დაჯგომულა თავი ადგილზე, დაჯგეჟა, ჰა. შენ გინდა, გიყორს – დაჯგე! არ გინდა – ადე ფეკზე, შენ დაჯგე.*

[მუხტარ ღარჩიაშვილი] – *ჩონ გოქ დაჯგდები თუ დაჯსოო? ყმაწილი რო ბეჟურს ეტარების და ბეურს გაღის-შადის, იტყვის: დაჯგდები შენ ადგილზე თუ დაჯსოო?*

ტექსტის ამ მონაკვეთში **დაჯგდება** ზმნის რამდენიმე გრამატიკული ფორმაცაა დოკუმენტირებული და ის სხვაობაც, რომელიც მარტყოფის წრის სოფლების მეტყველებასში გვაქვს ამ ზმნასთან დაკავშირებით: მუხტარ ღარჩიაშვილი ადგილზევე ავლებს პარალელს: *თქვენ ამბობთ დაჯგდექი, ჩონ ვიტყვით: დაჯგე, მე დაჯგე, დაჯგდეო.*

სხვა მაგალითები კორპუსიდან:

შირონთუთობასა ერთი ექ დაჯგების ეს ზალი, ერთი ექა და ერთი ანქა და ერთი ანქა და ერთი ექა.

იმაში კი ჩავაწვინიყე ლაინჩივა, დაჯგევიყე, ეს ბანდი მობიყე ემ თითზევა, ეგრე ანს ვაქანიყე, მე გონჯი მგონიაილა, ქე წაიდე – მელა დაჯგევე. არ მინდა წაიდე. მევერე მესამე დღესაც დაჯგებთან მაჩიჩი.

მარტყოფჩივა და ერთი რაქთენ მარტყოფელია, ჩონს იჯგეს.

მოიდა დაჯგვა, თქო: დალა ავე თქო ყორი.

ანსები ბატა ბეურს ვერ დაჯგებთან.

გარდა ტექსტური მასალისა, ცალკეულ ფორმებადაც გვაქვს ჩაწერილი:

აწმყო / მყოფადი: (და)ჯგგებ(თ), (და)ჯგებ(თ), (და)ჯგებ(თ); (და)ჯგებ-ბიან.

უწყვეტილი: (და)ჯგგებო(თ), (და)ჯგებო(თ), (და)ჯგებოდა, (და)ჯგებ-ბოდეს.

I ხოლმეობითი: (და)ჯგგებო(თ), (და)ჯგებო(თ), (და)ჯგებოდის, (და)-ჯგებოდიან.

წყვეტილი: დაჯგექ(ით), დაჯგექ(ით), დაჯგვა, დაჯგეს.

II კავშირებითი: დაუჯგე(თ), დადაჯგე(თ), დაჯგეს (ის, ისინი).

I თურმეობითი: დაჯგომულვარ(თ), დაჯგომულხარ(თ), დაჯგომულა, დაჯგომულან.

II თურმეობითი: დაჯგომულიყავ(ით), დაჯგომულიყავ(ით), დაჯგომულიყო, დაჯგომულიყენს.

III კავშირებითი: დაჯგომულიყო(თ), დაჯგომულიყო(თ), დაჯგომულიყოს, დაჯგომულიყენს.

როგორც ვხედავთ, ეს თავისებურება ზმნური ფორმაწარმოებისა საკმაოდ მყარი და კარგად რეალიზებულია ფერეიდნული დიალექტის ერთ ნაწილში და, ვფიქრობთ, რომ მისი აღწერა და შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული დიალექტოლოგიისთვის, არამედ ქართული ენის ისტორიისთვისაც.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, **ზის, ჯდება** ზმნათა წყვეტილში თავს იჩენს ქართული ენის საკმაოდ უცნაური თავისებურება – პირველი და მეორე პირი წარმოდგენილია მესამე პირისგან სრულიად განსხვავებული ფუძით:

ვიჯექ / ღავჯექ

იჯექ / ღავჯექ

იჯღა / ღავჯღა.

როგორც აღვნიშნეთ, **ჯექ** ფუძე ახალი ქართულის კუთვნილებაა, და ძველ ქართულში (შუა საუკუნეებამდე) პირველსა და მეორე პირშიც ისევე, როგორც მესამეში, **ჯედ / ჯდ** გვქონდა.

საკითხი იმის შესახებ, როგორ და რატომ მოხდა, რომ საშუალო ქართულის სამწერლობო ძეგლებში კანტიკუნტად გაჩენილმა **ჯექ** ფუძემ ასე გაიმყარა პოზიცია და საბოლოოდ ნორმატიული სტატუსი მიიღო ან რა მიმართებაშია ეს ფუძე **ჯღმა** ზმნის სხვა მონაცვლე ფუძეებთან, საკვლევი და ამ ნაშრომში ის ვერ გადაწყდება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ფერეიდნულის მასალა უთუოდ იძლევა ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას.

ის, რომ სამწერლობო ენაში, თვით ბიბლიის ტექსტში შეაღწია **ჯექ** ფუძემ, გვაკარაუდებინებს, რომ ქართულ ენაში გამოიყოფოდა ძლიერი დიალექტური ნაკადი ან სასაუბრო ენის რომელიღაც ჭრილი, რომელიც **ჯედ** ფუძის ნაცვლად იყენებდა **ჯეგ** ფუძეს. სწორედ მისგან დაგვრჩა სალიტერატურო ქართულში პირველი და მეორე პირის ფორმებში **ჯექ**.

ჯექ < ჯეგ პროცესი ადვილად იხსნება: ბოლოკიდური მჟღერი დაყრუვდა ზუსტად ისე, როგორც ფორმაში **ღექ < ღეგ**.

ბუნებრივად დაისმის კითხვა: რატომ მხოლოდ და მხოლოდ პირველსა და მეორე პირში, თანაც წყვეტილში შემოგვრჩა ეს ფუძე?

ვფიქრობთ, ჩანაცვლების პროცესი უნდა დაწყებულიყო მეორე პირში.

მეორე პირი ყველაზე „ნაკლებად დოკუმენტირებადი“ და არაოფიციალური პირია. ის სხვა ზმნურ ფორმებთან შედარებით ნაკლები სიხშირით გამოირჩევა თეოლოგიურ ლიტერატურაში, რელიგიურ ან თუნდაც მხატვრულ ტექსტებში და თუ გვხვდება – მხოლოდ დიალოგურ პასაჟებში.

მეორე პირი უმთავრესად მიმართვის (მოწოდების, ბრძანების, თხოვნის...) ობიექტია. მისი ეს სტატუსი განაპირობებს მასთან ყველაზე ხშირად ბრძანებითის მწკრივის გამოყენებას, რომელიც ფორმალურად, როგორც ვიცით, ემთხვევა (პირის ნიშნის პრეფიქსს თუ არ მივიღებთ მხედველობაში) წყვეტილის მწკრივს.

სწორედ ბრძანებითის ფორმებში უნდა დამკვიდრებულიყო თავდაპირველად არაკანონიკური **ჯეგ** ფუძე. სხვათა შორის, მიმართვის ფორმები ყველაზე მეტად და ყველაზე ადრე განიცდიან ხალხური, ზეპირი მეტყველების გავლენას და მათთან ნორმატიული „ბრძოლაც“ ნაკლებეფექტურია (გავიხსენოთ თუნდაც საკუთარ სახელთა წოდებითი ბრუნვის ფორმებთან დაკავშირებული პრობლემები ქართულში).

იმის გამო, რომ ბრძანებითის ფორმა ემთხვეოდა წყვეტილისას, ის „გადაბარგდა“ წყვეტილის პარადიგმაში, ხოლო პირველი პირი, რომელიც მხოლოდ პირის ნიშნით სხვაობს წყვეტილის მეორე პირის ფორმებთან, ბუნებრივი ანალოგიით „დაუახლოვდა“ მას.

საბოლოოდ მივიღეთ სრულიად არასტანდარტული და არალოგიკური პარადიგმა,

როცა პირველსა და მეორე პირს აწარმოებს მესამე პირისგან განსხვავებული ფუძე. „პირში **შენაცვლება**“, როგორც პარადიგმის აგების ერთ-ერთი სახე გამოყოფილი აქვს აკ. შანიძეს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო მაგალითები მას ამ ნაწილში არ განუხილავს. ვფიქრობთ, ფერეიდნულის მასალა იძლევა გასაღებს ამ მოვლენის ასახსნელად.

დასკვნა: **ჯეე / ჯგ** ფუძე, რომელიც ფერეიდნულმა შემოგვინახა, უნდა იყოს ძველი ქართული დიასისტემის კუთვნილი ფუძე, რომელმაც ქართულ ენაში კვალი დატოვა **ჯექ** ფუძის სახით.

ფერეიდნულის ვითარება იძლევა ქართული ენის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი უბნის ახალი კუთხით დანახვის საშუალებას.

3.6. ზმნის ანალიზური წარმოება ფერეიდნულში

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფერეიდნულს ახასიათებს ზმნის ანალიზური ფორმების წარმოება, რაც ახალი სპარსულის ე.წ. რთული ზმნების ანალოგიის შედეგია [ჩხუბიანიშვილი, გიუნაშვილი 2012 (1997): 183].

შესიტყვების ზმნურ კომპონენტებად გამოყენებულია ზმნები: ქონა, დაჭერა, ყოფნა, დადგომა, ზიდვა, კეთება, დაცხება, ქმნა, შექმნა, მიცემა და ა. შ.: ზანგი დადცხე – ზარი დარეკე (ზანგი – სპ. ზარი); ხეჯალათობას ეზიდებოდა – რცხვენოდა (ხეჯალათი სპ. სირცხვილი); აღდილა დაჭირეს – დანიშნეს.

ზოგ შემთხვევაში კალკირებისას ორივე კომპონენტი თარგმნილია: ქორწილზე დადგეს – ქორწილი გამართეს. ქორწილი დავიჭიროთ – ქორწილი გადავიხადოთ.

ემ ბიჭსაც ხო ბევრ ზაჰმათნი ეზიდნა.

მამა ძრიალ ხეჯალათობას ეზიდებოდა, თავს იხრიდა.

ოღლიან ყალსაყე ლულაქეშობა გუქნია და მოსულა მამბაჩი და მამბასაყენ მოდის ჩონ აღილებჩი შირები გოქ და ვლევაჲთ, ამით ესთეჲადა ვიქთ.

მინდორსაყე რო მუა, ჩაი თავისთი გამიკეთებია, პური ჰაზირი მიქნია თავისთი, ყმაწილები შამოილენ, დოოკივლებ: მოდით, პური შაჲჲამოთ, ჩაი დაჭლიოთ.

-ელ ექ დაშექესანაჩი ზენდეგი მიქნია, ალანაც ელ ექ ზენდეგის ვიქ.

მე ჲთქი: მე აჰლი მიქნიალა, ქე ქორწილჩი აღარ წაიდე.

და იქითყე ცხენითა ჰამლს უქნია, რო ქართველებმაცა მიჰხედონ ემასა და ყეირათჩი ჩავარდენ.

სივოჩაჰარსალე ფიმ, სამი ქართველნი მოიდეს სოფელჩიგა, რო ჲილმბარდარობაც უქნიაწყე

ვეტყით, რო ერთ ქართული იკითხოს, ეხლს ერთი ზანგი დოოც ხო ლაპარაკი უქნია.

ერთ კაცს გადგ ზაუნის, დააბარავს ეტყის: ჩონ ხუაღლამ, მაგალითად, ოცი კაცნი მუაღთ ქენს ყონაღად და მერე ესები წაუღლენ სი ზე და თავი დელეგაცია, წაუღლენ და ყორის მამის სახჩი და იქა ყორი მამა ვახშამს მისცემს ემათ და დადვანშამსყე და

მერე საჩუქრებს მისცემს თითო ემათ, სი ზეს თითონ კარგი საჩუქარს, მერე რიგრიგობით მინც იფო ემე რი.

ბარჯს **მისცემსო**, თავის შაჭმა-დალევას.

და ქორწილს **დაიჭერავთ** და ერთ სამში-ოთხი ვაჰლას ხალღს ვაადას მიძცემთ, ყონაღლოლობას რო დაიჭერავს.

ამაშინ ქე დარღს **დაიჭერს**, დაწვების და ადგების და მაღებებს, ამაში ქე მაიგებებს, მერე ამის უკან ჯიძტი აქ – დედაკაცს როგო აქ ამასაც აქ.

დაიჭერს, ეზიღება, იქმს... ზმნები საკამოდ აქტიური არიან ფერეიდნულში და ქართული სათავის ბუნებრივ კონსტრუქციებში ჩვეულებრივ მონაწილეობენ:

-*მე მეგონა, რომ დიდი საქმე ქნა, დიდ საქმე იყო და სუ საქმე არ იყო ესე და მუელ ახალ წელსათინ ერთ ლექსი დოოწერე, მაღლობა ვიხადე ლექსითა თავის საქმესყენა, საქმე უქნია.*

სპარსულის გავლენით დიალექტში უფრო გაფართოვდა მათი გამოყენება არა მარტო პირდაპირი, სრული ან ნაწილობრივი სესხების დროს, არამედ ზოგჯერ უბრალოდ ჩაანაცვლებენ ორგანულ ფორმას ქართულივე ანალიზური წარმოებით:

*იმაში მე ვიყავ, ერთ იყო ქართველეფსაყე, ერთი ჰოსედნ-ალი რაჰიმი, ერთ იყო მანუჩერა ხუციანი, ერთი იყო ჰუშანგი ხუციანი, რო უბნია, **ლაპარაკი უქნია.**¹⁷⁹*

ქართული დიალექტური კორპუსის ფერეიდნულ ონლაინლექსიკონსა და მასზე დაყრდნობილ ბეჭდურ გამოცემაში შესული ყველა რთული ზმნა, რომელებშიც ერთ-ერთი კომპონენტი მაინც უცხო ენიდან შემოსული სიტყვაა, მარკირებულია და მითითებული აქვს წარმომავლობა ამოსავალი სიტყვის დაწერილობითა და მისი ლათინური ტრანსკრიფციით. ქდკ-ს ტექსტური მასივიცა და ლექსიკოგრაფიული ინსტრუმენტებიც საუკეთესო სამსახურს გაუწევს ყველას, ვისაც ამ საკითხისა და, ზოგადად, დიალექტში ნასესხობების შესწავლა აქვს განზრახული.

3.7. მოდალობის გამოხატვის თავისებურებები ფერეიდნულში

მოდლობა უნივერსალური სემანტიკურ-პრაგმატიკული კატეგორიაა, რომელიც გამონათქვამის რეალურობისადმი მთქმელის რთულ დამოკიდებულებას ასახავს. სემანტიკურია მოდალობის კატეგორია იმიტომ, რომ ის გამოხატავს მთქმელის ნათქვამისადმი დამოკიდებულების მრავალფეროვან ნიუანსებს: როგორია მისი დამოკი-

179. ლაპარაკი ფერეიდნულში ინოვაციური ფორმაა, სალიტერატურო ქართულის გავლენით გაჩენილი. ფერეიდნული ორგანული ფორმა ამ შინაარსისთვის არის: **უბნია**. მთქმელი ერთ წინადადებაში წარმოადგენს ორივე მოდელს ფორმაწარმოებისას. საგულისხმოა, რომ საკუთარი ლექსიკური ერთეულით ის ორგანულ ფორმას ქმნის, შედარებით ახალი, ინოვაციური ფორმით კი – ანალიზურ ფორმას აწარმოებს ისევე, როგორც სპარსულიდან შემოსულ რთულ ზმნას.

დებულება ფაქტისადმი, როგორ განიხილავს ის მას: როგორც სასურველს, შესაძლებელს, აუცილებელს, საჭიროს, სათუოს და ა. შ. ხოლო პრაგმატიკულია იმის გამო, რომ ის წარმოადგენს კომუნიკაციურ შედეგზე ორიენტირებულ ინფორმაციას.

მოდალობა სხვადასხვა საშუალებით გადმოიცემა ენებში. მოდალობის გამოსატყვის საშუალებათა „არჩევანი“ და ამ საშუალებათა „რანჟირების“ პროპორციულობა ქმნის ამა თუ იმ ენის განსაკუთრებულ პრაგმატიკულ პარადიგმას.

მოდალობის თვალსაზრისით სრულიად ნეიტრალური გამონათქვამი არ არსებობს. წინადადებაში გამოთქმული აზრი ყოველთვის გულისხმობს არა მხოლოდ ობიექტური სინამდვილის ასახვას, არამედ ამ სინამდვილისადმი მთქმელის გარკვეულ დამოკიდებულებასაც. გამონათქვამის მიმართ მთქმელის დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს ისეთი საშუალებებით, როგორებიცაა ზმნის კილო, მოდალური ელემენტები, ინტონაცია, სიტყვათა რიგი, ჟესტიკულაცია და სხვა.

როგორც აღნიშნულია, ქართული ენა, რომელიც მდიდარია პრაგმატიკულ მიმართებათა გადმოცემის საშუალებებით, მოდალობის გამოსატყვის მნიშვნელოვან საშუალებებს ფლობს, თუმცა „ქართულ გრამატიკებში არ გვხვდება მოდალობაზე საუბარი. კილო აქ ახსნილია, როგორც ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული იგი ზმნით გამოხატული მოქმედების თვალსაზრისით: უეჭველ ფაქტად, სასურველ-შესაძლებლად თუ აუცილებელ შესასრულებლად. კილოს გადმოცემის საშუალებები ძირითადად მორფოლოგიურია“ [ბახტაძე 2010: 265].

დიახ, მოდალობის კატეგორია ტრადიციულ ქართულ გრამატიკებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში არ იყო გამოყოფილი, თუმცა მოდალური სემანტიკის გამომხატველი ცალკეული საშუალებები აღწერილია სხვადასხვა მკვლევრის მიერ [შანიძე 1981; ჯორბენაძე 1993; ჰაპიძე 1984; კოტინოვი 1986...] და ამ საშუალებების ლექსიკოგრაფიული აღწერის ცდაც გვაქვს „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის“ სახით [ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988]. მოდალობის კატეგორიის სისტემური კვლევა გრძელდება და საინტერესო ნაშრომებიც ქვეყნდება როგორც ქართული მოდალობის ზოგად და სისტემურ საკითხებზე, ისე დიალექტებში მოდალური სემანტიკის გადმოცემის თავისებურებებზე [შარაშენიძე 2018, 2019; გოგოლაშვილი და სხვ. 2016].

ძველ ქართულში მოდალობის გადმოცემა ძირითადად კილოს კატეგორიას უკავშირდება. ამასთანავე, ხშირია „მცა“ ნაწილაკიანი და ინფინიტური კონსტრუქციის გამოყენება ამ ფუნქციით [კოტინოვი 1986: 53-82; ჩხუბიანიშვილი 1972].

ჰიპოთაქსური კონსტრუქციის რღვევამ, ერთი მხრივ, და ინფინიტური კონსტრუქციის მოშლამ, მეორე მხრივ, გზა მისცა ე.წ. „ბივერბალური“ მოდელის ჩამოყალიბებას, რომელშიც მოდალური ზმნის უღვლებად ფორმას მოსდევს კონსტრუქციის ძირითადი ზმნური ფორმა (ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ზმნური ფორმა). საშუალ ქართულში ამავე მოდალურ ზმნებს უჩნდებათ გრამატიკალიზებული „ორეულები“, რომლებიც მოდალობის გამოსატყვის ახალ მოდელს უდებენ სათავეს – „უნდა“, „ჰლამის“, „ეგების“ ზმნები ძველ ქართულში ჩვეულებრივ პირიელი უღლებადი ფორმებია, საშუალ ქართულში კი ისინი თავისებურ ზმნებად გვევლინე-

ბიან: იძენენ სხვადასხვა მოდალური ნიუანსის გამოხატვის უნარს და კარგავენ პირიანობას, იქცევიან ნაწილაკებად.“ მოდლობის სისტემის ჩამოყალიბების ეს ტენდენცია საერთო ჩანს ქართველური ენებისთვის [კოტინოვი 1986: 4, 88, 92-93].

თანამედროვე ქართულში მოდლობის გამოხატვის ფუნქცია, კავშირებითი კილოების გარდა, გადაინაწილეს პირველადმა თუ გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებულმა „მოდალურმა სიტყვებმა“.

ქართული ენის დიალექტები, ძირითადად, იზიარებენ მოდლობის გამოხატვის საერთო პრინციპებს. მეტ-ნაკლებ თავისებურებას ქმნის მათ შორის გამოყენებულ ნაწილაკ-მორფემოიდთა ნაირსახეობები, ფონეტიკური თუ ლექსიკური ვარიაციულობა, სიტყვათა რიგი, ინტონაცია...

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკვლევია მოდლობის გამომხატველი ელემენტები, აღწერილია პირველადი თუ გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებული ნაწილაკ-მორფემოიდები, არის ცდა მოდლობის გამოხატვის საშუალებათა დიასისტემური წარმოდგენისა [ჯორბენაძე და სხვ. 1988; შარაშენიძე 2016: 189-198]. აღნიშნულია, რომ მოდლობის გამოხატვის სისტემამ ძველ, საშუალო და ახალ ქართულში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა.

საინტერესოა, როგორ ინახავს თავის სემანტიკურ და პრაგმატიკულ არსენალს უცხო ენობრივ არეალში ხანგრძლივად არსებობისას ენობრივი კოლექტივი? რა შემინახა დიალექტმა მოდლობის გამოხატვის საერთო ენობრივი სისტემიდან და რა შეიძინა ახალი?

აღნიშნულია, რომ ახალი მოდალური პარადიგმის ჩამოყალიბება ქართულში XV საუკუნიდან იწყება. შესაბამისად, ფერეიდნელთა გადასახლების დროს, მე-17 საუკუნის დასაწყისში, მოდლობის გამოხატვის ძირითადი მოდელები მათ თან უნდა წაეღოთ.

როგორც ცნობილია, მოდლობის კატეგორიის გამოხატვა ზმნურ ფორმაზე მოდალური ელემენტების (გრამატიკალიზებული ან პირველადი ფორმაუცვლელი სიტყვების / მორფემოიდების) ან მოდლობის ზმნების დართვით ხდება. ძირითადად ამგვარი **მოდალური ელემენტები** ან **მოდლობის ზმნები** კავშირებითი კილოს ფორმებს ერთვის, თუმცა მოდალური სემანტიკის გამოსახატავად თხრობითი კილოს ფორმებიც გამოიყენება. აღნიშნულია, რომ „მოდალური სემანტიკაც კომპლექსურია ქართულში – მოდალური ელემენტი მოდალურ სემანტიკას გამოხატავს, ხოლო ზმნის ფორმაში ვლინდება სხვა გრამატიკული კატეგორიების სემანტიკა“ [შარაშენიძე 2018: 94-106].

აღნიშნულია, რომ „ქართულ ენაში მოდლობის სისტემის ძირითად გამომხატველად გვევლინება ორი ზმნა – ნდომა და შეძლება ზმნები“ [შარაშენიძე 2014: 81]. თუმცა მოდალურ ზმნათა შორის ასახელებენ აგრეთვე: სურს, ლამობს, ცდილობს... ზმნებს (კოტინოვი 1986: გვ. 98). ასეთივე ფუნქციისა ჩანს ზმნები: ახერხებს, ფიქრობს, ეჭვობს, ეტყობა.... ჰიპოტაქსური კონსტრუქციის რღვევა გრძელდება და „მოდალურ“ ზმნათა ჩამონათვალიც, როგორც ჩანს, ამის კვალდაკვალ იზრდება.

მოდალობის ელემენტებად ქცეული გრამატიკალიზებული ფორმების გვერდით მოდალობის სემანტიკის გამომხატველი ზმნები სრულფასოვან ზმნებად გვხვდება და ჩვეულებრივ იუღვლის.

მოდალური სემანტიკა მოდალობის ზმნათა / მოდალურ ელემენტთა გამოყენებით ქართულში ორი სხვადასხვა სტრუქტურით (მოღელით) გადმოიცემა:

პირველი მოღელი: მოდალობის ზმნა + ზმნა; მოდალობის ზმნა + მასდარი

– ეს არის მოდალობის გამომხატველი ზმნის პირიანი, უღვლებადი ფორმა, რომელსაც მოსდევს ასევე ფორმაცვალებადი ზმნა ან მასდარი.

როცა მოდალობის ზმნას დამოუკიდებელი, ფორმაცვალებადი ზმნა მოსდევს, იქმნება კონსტრუქცია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „**ბივერბალურად**“ მოიხსენიება [კოტინოვი 1986: 4]. მოდალობის ზმნაცა და ძირითადი ზმნის ფორმაც იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით.

„ბივერბალური კონსტრუქციის“, როგორც სხვადასხვა მოდალური სემანტიკის გადმოცემის საშუალების აღწერისას სამეცნიერო ლიტერატურაში რატომღაც გვერდი აქვს ავლილი ამ კონსტრუქციაში ფორმაწარმოებისა და კონსტრუქციის წევრებს შორის დროითი მიმართების საკითხს, მეტიც, განმარტებიდან საერთოდ არის გამორიცხული კონსტრუქციის თხრობითკილოიანი ზმნით რეალიზაციის შემთხვევები.

ნ. კოტინოვის განსაზღვრებით „ბივერბალური, ანუ ორზმნიანი კონსტრუქცია წარმოადგენს თანამედროვე ქართულში ფართოდ გავრცელებულ სინტაქსურ კონსტრუქციას (ვცდილობ ავამაღლო), რომლის პირველი კომპონენტი ჩვეულებრივ მოდალური ზმნაა (მინდა, მსურს, შემიძლია, ვლამობ, ვცდილობ და მისთ.), ხოლო მეორე – კავშირებითი კილოს ფორმა (ავამაღლო, ვწერო, ვხატო...) მათ საერთო ქვემდებარე შეესაბამება წინადადებაში“ [კოტინოვი 1986: 98], ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ ბივერბალური კონსტრუქცია არის ერთქვემდებარეიანი რთული ქვეწყობილი წინადადების გარდაქმნით მიღებული, „მარტივი წინადადების სრულიად განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ბივერბალური შემასმენელი“ [კოტინოვი 1986: 102].

ბივერბალურ კონსტრუქციაში სინტაქსურ მიმართებათა სახეებზე აღნიშნულია, რომ ასეთ კონსტრუქციაში შემავალი ზმნები ერთმანეთს უპირისპირდება კილოს კატეგორიის მიხედვით: მოდალური ზმნა თხრობითი კილოს ფორმაა, ხოლო მასთან დაკავშირებული ძირითადი ზმნა („მეორე კომპონენტი“) – კავშირებითი კილოს ფორმა [კოტინოვი 1986: 102]¹⁸⁰. ამ მოსაზრების ავტორი იქვე შენიშნავს: „თუ ასეა, მათ შორის ყოფილა მართვა კილოს მიხედვით, კერძოდ, მოდალური ზმნა მართავს ძირითადი მოქმედების აღმნიშვნელი ზმნის კილოს კატეგორიის მიხედვით:

180. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის კონსტრუქციას ა. პაპიძე ინფინიტიურ კონსტრუქციად მოიხსენიებს [პაპიძე 1979: 56].

„მე შემძლია ვწერდე / ვწერო,
მე შევძლებ დავწერო,
მე შემეძლო დამეწერა / =დამეწეროს,
ან: მე ვცდილობ ვწერდე / ვწერო,
მე ვცდილობდი დამეწერა / დამეწეროს/
ან: შევეცადე დამეწერა / დამეწეროს/“ [კოტინოვი 1986:102].

კონსტრუქციის უფრო დეტალური პარადიგმატიკული აღწერა არც აღნიშნულ ნაშრომში და არც სხვაგან, სამწუხაროდ, არ არის წარმოდგენილი. დამოწმებული აღწერა კი არ ჩანს საკმარისი მოდულობის ბივერბალური კონსტრუქციის სრული, დოკუმენტირებული (წყაროებზე დაყრდნობილი) პარადიგმის წარმოსადგენად. ჩვენ მიზანი არ არის ამჯერად ამ საკითხების გამოწვევლილვით კვლევა, თუმცა ფერიდნულში მოდულობის გამოხატვის სურათის ჯეროვნად აღსაწერად და მშობლიურ ენობრივ გარემოსთან მიმართების დასადგენად საჭირო გახდა სალიტერატურო ენასა და ქვესისტემებში მოდულობის გამოხატვის საკითხთან დაკავშირებულ ზოგიერთ დეტალზე, ამ შემთხვევაში ე.წ. ბივერბალური კონსტრუქციის თავისებურების ზოგიერთ დეტალზე ყურადღების გამახვილება.

პირველი პრინციპული კითხვა, რომელიც ზემოთქმულთან დაკავშირებით ჩნდება, ეხება კატეგორიულ განცხადებას, რომ ბივერბალური კონსტრუქციის მეორე კომპონენტი¹⁸¹ ყოველთვის არის კავშირებითი კილოს ფორმა. კითხვა მარტივია: მამ რა უყყოთ იმ კონსტრუქციებს, რომლებშიც მოდულურ ზმნას მეორე თურმეობითის ფორმები მოსდევს (მინდოდა გამეკეთებინა, შემეძლო გამეკეთებინა...)?

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მეორდება აზრი, რომ გარკვეულ კონსტრუქციებში მესამე კავშირებითის ფუნქცია შეითავსა მეორე თურმეობითმა. მაგალითად, აკაკი შანიძე წერს, რომ „მესამე კავშირებითს ხმარების არე ახალ ქართულში შემცირდა და მის ნაცვლად II თურმეობითი იხმარება, ხოლო ძველი კონსტრუქცია აქა-იქ, მაგალითად, რაჭაშია შემორჩენილი [შანიძე 1980: 223]. შ. ძიძიგურიც აღნიშნავს, რომ მესამე კავშირებითის ნაცვლად მეორე თურმეობითის გამოყენება სრულიად ბუნებრივია [ძიძიგური 1970: 250]. ამავე აზრს იმეორებენ სხვა მკვლევრებიც [ჯორბენაძე 1993: 271; პაპიძე 1979: 54; კიზირია 1974: 109; კვაჭაძე 1958: 246; გეგუჩაძე 1974: 73-75 და სხვ.].

მაგრამ ის ფაქტი, რომ კავშირებითისა და თხრობითი კილოს მწკრივები ერთმანეთს ენაცვლება გარკვეულ კონსტრუქციებში, რამდენად იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ არ აღვნიშნოთ მეორე თურმეობითის, როგორც თხრობითი კილოს მწკრივის ძალიან მნიშვნელოვანი როლი ბივერბალურ კონსტრუქციებში? ვფიქრობთ, ბივერბალური კონსტრუქციის არსის განსაზღვრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის **კონსტრუქცია, რომელიც იქმნება მოდულური ზმნისა და**

181. ამ კონსტრუქციის მეორე კომპონენტს ჩვენ მოვიხსენიებთ ტერმინით ბივერბალური კონსტრუქციის ძირითადი ზმნა, ხოლო პირველ კომპონენტს – ბივერბალური კონსტრუქციის მოდულური ზმნა.

ძირითადი ზმნის კავშირებითისა (I, II, იშვიათად III) და II თურმეობითის ფორმა-თა სინთეზით¹⁸².

მეორე საკითხი, რომელზეც აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ბივერბალური კონსტრუქციის აღწერისას, ესაა კონსტრუქციის წევრთა ფორმაცვალების საკითხი, რაზეც აგრეთვე არ ყოფილა ყურადღება მიქცეული.

ბივერბალური კონსტრუქციის როგორც მოდალური, ისე ძირითადი კომპონენტები იცვლებიან პირისა და რიცხვის მიხედვით, გარდა ამისა, მოდალური ზმნა შეიძლება შეიცვალოს მწკრივების მიხედვით. მოდალური ზმნის მწკრივის ცვლილებისას იცვლება ძირითადი ზმნის დრო (და, შესაბამისად, მწკრივის არჩევანი).

რის მიხედვით ხდება ძირითადი ზმნის სათანადო მწკრივის „შერჩევა“? მასალის ზედაპირული მოკვლევაკ კი როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში, ცხადყოფს, რომ ბივერბალური კონსტრუქციის შემადგენელი მოდალობისა და ძირითადი ზმნები განსაზღვრულ, რეგლამენტირებულ დროით მიმდევრობას წარმოადგენენ. მაგალითისთვის განვიხილოთ სურვილის მოდალობის ზმნა **უნდა**:

აწმყოში წარმოდგენილი მოდალობის ზმნა **უნდა (მინდა, გინდა)** ითავსებს კავშირებითის მწკრივის ფორმებს:

მინდა (გინდა, უნდა) ვაკეთებლე (აკეთებლე, აკეთებლეს)

მინდა (გინდა, უნდა) გააკეთო (გააკეთო, გააკეთოს)

ნამყოში (უწყვეტელში) წარმოდგენილი მოდალობის ზმნა **უნდოდა (მინდოდა, გინდოდა)** მოითხოვს აუცილებლად II თურმეობითს:

მინდოდა, გინდოდა, უნდოდა გაეკეთებინა (გამეკეთებინა, გაეკეთებინა).

საინტერესო ჩანს, კონსტრუქციის შემადგენელ ზმნათა შორის არა მხოლოდ კილოსა და მწკრივის, არამედ დროითი თანამიმდევრობის მიხედვით მიმართებაც – წარსულ დროში წარმოდგენილ მოდალობის ზმნას (უნდოდა) თანამედროვე ქართულში (სალიტერატუროშიც და დიალექტებშიც) მხოლოდ წარსული დროის ფორმა (II თურმეობითი) შეიძლება მოსდევდეს, აწმყოში წარმოდგენილი მოდალური ზმნა კი (უნდა) ერთნაირად იგუებს აწმყოს, მომავლისა და ნამყოს ფორმებს.

რაც შეეხება თავად კონსტრუქციით, როგორც მას ნორა კოტინოვი უწოდებს, „ბივერბალური შემასმენლით“ გადმოცემულ დროს:

აწმყოში სასურველ მოქმედებას გადმოსცემს კონსტრუქცია: **მინდა + აწმყოს კავშირებითი.**

მომავალში სასურველ მოქმედებას გადმოსცემს კონსტრუქცია: **მინდა + II კავშირებითი.**

წარსულში სასურველ მოქმედებას გადმოსცემს კონსტრუქცია: **მინდოდა + II თურმეობითი.**

182. რასაკვირველია, ეს ჩვენი მოსაზრება არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ თხრობითი კილოს ფორმები შესაძლოა რეალიზდეს კავშირებითის ფუნქციით. ჩვენი შენიშვნა ეხება მოდალობის ყალიბის აღწერას: ვფიქრობთ, სიზუსტისთვის ყალიბის კომპონენტებად უნდა მივუთითოთ მწკრივის ფორმა და არა სემანტიკური შინაარსი.

როგორც ითქვა, ბივერბალური კონსტრუქციის ორივე კომპონენტი იუღვლის – იცვლება პირის, რიცხვისა და მწკრივების მიხედვით. ამასთან თითოეული მიჰყვება ცვლილების საკუთარ პარადიგმულ წესს და არ ახდენს არანაირ გავლენას მეორის ცვლილებაზე. ერთადერთი, რაც მკაცრად განსაზღვრულია კონსტრუქციაში – როგორც ვთქვით, მოდალობის ზმნის მწკრივი (დრო, კილო) განსაზღვრავს ძირითადი ზმნის პარადიგმული ფორმის არჩევანს. სურათის ნათლად წარმოსადგენად, ვნახოთ ცხრილები სერიების მიხედვით:

I სერიის ცხრილი – ბივერბალური კონსტრუქციის სტრუქტურა:

მოდლობის ზმნის მწკრივი	მოდლობის ზმნა	აწმყო - მყოფადი: ვაკეთებ, აკეთებ, აკეთებს...	უწყვეტელი - I ხოლმეობითი: (გა)ვაკეთებდი, აკეთებდი, აკეთებდა...	აწმყ. კავშირებითი - მყ. კავშირებითი: (გა)ვაკეთებდე, აკეთებდე, აკეთებდეს...	მასდარი: გაკეთება
აწმყო	მინდა, გინდა, უნდა	-	-	+	+
უწყვეტ.	მინდოდა, გინდოდა, უნდოდა	-	-	-	+
აწმყ. კავშ.	მინდოდეს, გინდოდეს, უნდოდეს	-	-	+	+
მყოფადი	მენდომება, გენდომება, ენდომება	-	-	+	+
ხოლმეობითი	მენდომებოდა, გენდომებოდა, ენდომებოდა	-	-	-	+
მყ. კავშ.	მენდომებოდეს, გენდომებოდეს, ენდომებოდეს	-	-	-	+
I თურმ.	მდომია, გდომია, სდომია	-	-	-	+ გაკეთება
II თურმ.	მდომოდა, გდომოდა, სდომოდა	-	-	+	+ გაკეთება
III კავშ.	მდომოდეს, გდომოდეს, სდომოდეს	-	-	-	+ გაკეთება

II სერიის ცხრილი – ბივერბალური კონსტრუქციის სტრუქტურა:

მოდალობის ზმნის მწკრივი	მოდალობის ზმნა	წყვეტილი-გავაკეთე	II კავშ. გავაკეთო	მასდარი-გაკეთება
აწმყო	მინდა, გინდა, უნდა	–	+	+
უწყვეტ.	მინდოდა, გინდოდა, უნდოდა	–	–	+
აწმყ. კავშ.	მინდოდეს, გინდოდეს, უნდოდეს	–	+	+
მყოფადი	მენდომება, გენდომება, ენდომება	–	+	+
ხოლმეობითი	მენდომებოდა, გენდომებოდა, ენდომებოდა	–	–	+
მყ. კავშ.	მენდომებოდეს, გენდომებოდეს, ენდომებოდეს	–	+	+
I თურმ.	მდომია, გდომია, სდომია	–	–	+
II თურმ.	მდომოდა, გდომოდა, სდომოდა	–	–	+
III კავშ.	მდომოდეს, გდომოდეს, სდომოდეს	–	–	+

III სერიის ცხრილი – ბივერბალური კონსტრუქციის სტრუქტურა:

მოდალობის ზმნის მწკრივი	მოდალობის ზმნა	I თურმ.: გამიკეთებია	II თურმ.: გამეკეთებინა	III კავშ.: გამეკეთებინოს	მასდარი: გაკეთება
აწმყო	მინდა, გინდა, უნდა	–	–	–	+
უწყვეტ.	მინდოდა, გინდოდა, უნდოდა	–	+	–	+
აწმყ. კავშ.	მინდოდეს, გინდოდეს, უნდოდეს	–	–	–	+
მყოფადი	მენდომება, გენდომება, ენდომება	–	–	–	+
ხოლმეობითი	მენდომებოდა, გენდომებოდა, ენდომებოდა	–	+	–	+
მყ. კავშ.	მენდომებოდეს, გენდომებოდეს, ენდომებოდეს	–	–	–	+
I თურმ.	მდომია, გდომია, სდომია	–	–	–	+
II თურმ.	მდომოდა, გდომოდა, სდომოდა	–	+	–	+
III კავშ.	მდომოდეს, გდომოდეს, სდომოდეს	–	–	–	+

როგორც აღვნიშნეთ, ჰიპოტაქსური კონსტრუქციის რღვევის ხარჯზე ბივერბალური მოდელების წარმოქმნა არ არის ბოლომდე დამთავრებული პროცესი და ე.წ. მოდალობის ზმნათა რიცხვი თანდათან იზრდება.

თანამედროვე ქართულში საკმაოდ პროლუქტიულია მოდალობის გამოხატვის კიდევ ერთი კონსტრუქცია, როცა მოდალობის ზმნა მასდარს უკავშირდება.

ასეთ შემთხვევებში მოდალობის ზმნა იუღლვის და მასდარი, ბუნებრივია, უცვლელია:

მინდა, გინდა, უნდა; მინდოდა, გინდოდა, უნდოდა.... მლომებია, გლომებია, სლომე-
ბია გაკეთება, აშენება, წასვლა...

მოდალობის გამოხატვის მეორე მოდელი – მოდალობის ზმნის გრამატიკალიზა-
ციით მიღებული ფორმის, ფორმაუცვლელი სიტყვის – მოდალური ელემენტის (**უნდა, შეიძლება, იქნებ, ეგებ, ვინძლო, დაე, ლამის, თითქოს...**), კომბინაცია **კავშირებითის (I ან II)** და **II თურმეობითის** ფორმასთან¹⁸³ [შარაშენიძე 2019]. იშვიათად ის მესამე კავშირებითთანაც შეიძლება შეგვხვდეს, მაგალითად, რაჭულში [ჰაბიძე 1979: 100].

უნდა ნაწილაკის გრამატიკალიზაცია და მოდალობის ახალი კონსტრუქციის წარ-
მოქმნა შუა საუკუნეებიდან იწყება. არის აზრი, რომ უნდა-ს დამკვიდრება სლავურ-
თან დაახლოების შედეგი შეიძლება იყოს და ის რუსული ДОЛЖЕН + ინფინიტივი
კონსტრუქციის გავლენით შეიძლება იყოს გაჩენილი [ნინუა 1967: 231-233].

უნდა + I კავშირებითი (აწმყო)

უნდა ვაკეთებდე – უნდა ვაკეთებდეთ

უნდა აკეთებდე – უნდა აკეთებდეთ

უნდა აკეთებდეს – უნდა აკეთებდნენ

უნდა + II კავშირებითი (მომავალი დრო)

უნდა გააკეთო – უნდა გააკეთოთ

უნდა გააკეთოს – უნდა გააკეთოთ

უნდა გააკეთოს – უნდა გააკეთონ

უნდა + II თურმეობითი (წარსული დრო)

უნდა გამეკეთებინა – უნდა გაგვეკეთებინა

უნდა გაგვეკეთებინა – უნდა გაგვეკეთებინათ

უნდა გაეკეთებინა – უნდა გაეკეთებინათ

კონკრეტულად **უნდა** ფორმისა და, ზოგადად, ზმნურ ფორმათა გრამატიკალიზა-
ციის შესახებ მრავალი კვლევა არსებობს და აქ ამაზე არ შევჩერდებით.

ზემოთ მოყვანილი ვრცელი მსჯელობა დაგვჭირდა იმისთვის, რომ ჯერონად აღ-
გვეწერა მოდალობის გამოხატვის ყველა მოდელი ფერეიდნულ დიალექტშიც და გა-
მოგვევლინა თავისებურებები სალიტერატურო ქართულთან მიმართებით.

ფერეიდნულში მოდალობის ზმნები როგორც დანარჩენ ქართულში – სალიტერა-
ტურო ენასა და დიალექტებში, გვხვდება დამოუკიდებელ ზმნებადაც და გრამატიკა-
ლიზებული სახითაც – როგორც მოდალური ელემენტები (ნაწილაკები), თუმცა მათი
როგორც ერთი, ისე მეორე ფუნქციით გამოყენების მხრივ არსებითი თავისებურებე-
ბი აღინიშნება.

183. ამიტომ გადასასინჯია დებულება: „ერთი რამ ნათელია: უნდა მხოლოდ კავშირებითის ნაკვეთს შეიგუებებს და კატეგორიულობის, აუცილებლობის, ვალდებულების მოდალობას გამოხატავს“ [ჰაბიძე, 1979: 100]. ეს კატეგორიული მტკიცება სამეცნიერო განხილვის ველში არ ტოვებს ადგილს საკმაოდ ხშირი რეალიზაციის მქონე კონსტრუქციისათვის: **უნდა+ II თურმეობითი**.

დიალექტის თავისებურებას შეადგენს ისიც, რომ მოდალობის ზმნათა არსენალი რამდენადმე განსხვავებულია, აგრეთვე ის, რომ თავისებურია ამ ზმნათა გამოყენების წესი და, შესაბამისად, მოდალობის სისტემის აღწერილი სტრუქტურებიც.

რაში გამოხატება ეს თავისებურება?

ყველაზე მკვიდრი და, როგორც ჩანს, ძველი ერთეული მოდალობის გამოხატვის ლექსიკური საშუალებებიდან არის **უნდა** ზმნა და მისი გრამატიკალიზაციით მიღებული მოდალობის **ნაწილაკი უნდა**.

ფერეიდნელთა მიგრაციის დროს (მე-17 ს. დასაწყისი) ქართული მოდალობის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება უკვე დაწყებული იყო.

ფერეიდნულში დამოწმებული გვაქვს პროცესის სამივე საფეხური:

1. მოდალობის ჰიპოტაქსური გამოხატვა;
2. მოდალობის ბივერბალური კონსტრუქცია;
3. მოდალობის გრამატიკალიზებული გამოხატვის საფეხური.

დიალექტის მკვეთრად გამოხატული თავისებურებაა ის, რომ ფერეიდნულს თითქმის არ ახასიათებს მასდარული კონსტრუქცია მოდალობის ზმნებთან:

მინდა გაკეთება, შემეძლია გაკეთება... ტიპის ფორმები უცხოა თანამედროვე ფერეიდნულისთვის.

თუმცა ის ფაქტი, რომ 1922 წელს სეიფოლა იოსელიანიგან ჩაწერილ ტექსტში გვაქვს ერთი შემთხვევა მასდარული კონსტრუქციის გამოყენებისა, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, ფერეიდნულშიც იგივე სისტემა გვაქონდა, რაც მთელ დანარჩენ ქართულში, ხოლო შემდგომ უნიფიკაცია ბივერბალური მოდელის სასარგებლოდ წარიმართა. აი ის ერთი შემთხვევა სეიფოლა ხანის მეტყველებიდან:

გინდა წასლაო: ამხანაგებმა მითხრეს, რო წელს არ გინდა თერანის წასლაო, და რაქთენ დღეს დავდექ და, რაცღა რო დასაწერი მქონდა, დავწერე ქაღაზები თერანსათი // თეპრანსათი [1922წ. სეიფოლა იოსელიანი, ქლკ].

როგორც ვთქვით, ფერეიდნულისთვის, ისევე როგორც სალიტერატურო ქართული და სხვა ქართული დიალექტებისთვის, დამახასიათებელია მოდალობის ბივერბალური კონსტრუქცია – მოდალობის ზმნა + კავშირებითის ფორმა: მინდა გავაკეთო, მიყორს¹⁸⁴ (=მსურს) გავაკეთო.

თუმცა, ეს მსგავსება არ არის ქართული მოდელის სრული გამეორება და ფერეიდნული ბივერბალური კონსტრუქცია მოდალობის გამოხატვის მნიშვნელოვან სხვაობას ავლენს ქართული ენის სხვა ქვესისტემებთან.

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე ქართულში სურვილის მოდალობის გადმოცემისას ბივერბალურ მოდელში დროითი თანმიმდევრობა ასეთია:

აწმყოში სასურველი მოქმედება **უნდა ზმნის** აწმყოს ფორმისა და აწმყოს კავშირებითის კომბინაციით გადმოიცემა, მომავალში სასურველი მოქმედება –უნდა

184. მიყვარს ზმნას შეცვლილი აქვს მნიშვნელობა ფერეიდნულში. ის სურვილს, წადილს გამოხატავს. **უყვარს** ზმნის ტრადიციულ მნიშვნელობას დიალექტში, ისევე როგორც ინგილოურში, გამოხატავს ზმნა **უნდა**.

ზმნის აწმყოფორმასთან ძირითადი ზმნის მეორე კავშირებითის ფორმის თანხლებით გადმოიცემა, ანუ ძირითადი ზმნა მომაგალი დროისაა: მინდა გავაკეთო¹⁸⁵, ხოლო წარსულით გადმოცემული სასურველი მოქმედება გადმოიცემა მოდალობის ზმნის უწყვეტლისა და ძირითადი ზმნის II თურმეობითის ფორმის თანხლებით, ანუ ძირითადი ზმნაცა და მოდალურიც წარსული დროისანი არიან: მინდოდა გამეკეთებინა.

რაც შეეხება მოდალური ზმნის I თურმეობითის ფორმას, ის ვერ ითავსებს ძირითად ზმნას რომელიმე პარადიგმული რეალიზაციით და მხოლოდ მასდართან კომბინაციით შეუძლია გადმოსცეს ასევე წარსულში სასურველი მოქმედება: სდომია გაკეთება.

ფერეიდნულის მნიშვნელოვანი სხვაობა ამ სისტემასთან არის ის, რომ აქ დროის მიხედვით იცვლება მხოლოდ მოდალობის ზმნა, ხოლო ძირითადი ზმნა მუდამ მეორე კავშირებითშია და უცვლელი რჩება: მინდა გავაკეთო; მინდოდა გავაკეთო.

რაც შეეხება მესამე კონსტრუქციას – სდომებია გაკეთება – ფერეიდნულში ის გამორიცხულია.

შდრ.:

აწმყო:

მინდა, გინდა, უნდა, გვინდა // გუნდა, გინდათ // გინდაყე, უნდათ // უნდაყე

გავაკეთო – გავაკეთოთ

გააკეთო – გააკეთოთ

გააკეთოს – გააკეთონ

წყვეტილი:

მინდოდა, გინდოდა, უნდოდა, გუნდოდა // გუნდოდაყე, გინდოდაყე // გინდოდათ, უნდოდაყე // უნდოდათ

გავაკეთო – გავაკეთოთ

გააკეთო – გააკეთოთ

გააკეთოს – გააკეთონ

როგორც ვხედავთ, სურვილის მოდალობის ბივერბალურ მოდელში ფერეიდნულში ჩართულია უნდა ზმნა აწმყოფორმისა და უწყვეტლის მწკრივთა ფორმებითა და მათი ფონეტიკური და მორფოლოგიური ვარიანტებით ორივე რიცხვში. ვარიაციულობა ვლინდება ძირითადად მრავლობითის ფორმებში:

1. ფონეტიკური ვარიანტები: გვინდა // გუნდა; გვინდოდა // გუნდოდა

2. მორფოლოგიური ვარიანტები: გინდათ // გინდაყე; გინდოდათ // გინდოდაყე; უნდათ // უნდაყე; უნდათ // უნდაყე.

ყველა ეს ფორმა დადასტურებულია ქართული დიალექტური კორპუსის ფერეიდნული ქვეკორპუსის მონაცემებით:

185. აქ არ განვიხილავთ არათხრობით მწკრივთა სხვა კომბინაციებს, რომლებიც ცხრილშია წარმოდგენილი, რადგან ისინი, სასურველობის გარდა, სხვა მოდალობებსაც შეიცავენ (პირობითობა და სხვ.)

აწმყო, პირველი პირი, მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვი:

მინდა, გუნდა // გვინდა

მინდა ზმნა პირველივე ტექსტებშია დამოწმებული. სეიფოლა იოსელიანისგან 1922 წელს ჩაწერილ ტექსტებში ის ექვსჯერაა გამოყენებული და ექვსჯერვე სურვილის მოძალადობის გამოხატვის ბივერბალურ კონსტრუქციაში გვხვდება:

მინდა ვიამბო: *დღეს დავაკმარებთ იმისთვის, რო ქერიმ ხანის გაფი მინდა ვიამბო და გაგრძელებების.*

მინდა წავიდე: *სალომის თავჯერმა უთხრა, რო: მინდა წავიდე საფარზეგაო და წამამყვები, რო წავიყვანოვო?*

მინდა წავიდე: *უამბო იმ ბიჭმა, რო ქმარი იყო: დღეს თავჯერმა მითხრაო, რო მინდა წავიდე საფარზეო, წამამყვებიო?*

მინდა წავიდე: *თავჯერმა უთხრა, რო: მინდა წავიდე საფარზეგაო და ეს შენ ქმარიო, თუ ქნდების, გამამაყოლიაეო.*

მინდა გავაკეთოვო: *მეცხარბაში მაიყვანა და უთხრა, რო: ერთი სახლი მინდა გავაკეთოვო, რო, ექაური ყეინი რო არიო, ორი იმაზე ღირდესო.*

მინდა მოიდე: *მითხრა, რო: მინდა მოიდე თქენი საქართველოში.*

იგივე სურათი ჩანს მოგვიანებით ჩაწერილ ტექსტებში – **მინდა** ზმნა პირველი პირის მხოლოდითის ფორმით ჩვეულებრივად გამოიყენება სურვილის მოძალადობის გამოსახატად ამ კონსტრუქციაში. საერთო ჩანს მოვლენა ფერეიდნის ყველა სოფლისთვის – შიდადიალექტური დიფერენციაციის მიუხედავად, სოფლები ამ მხრივ თავისებურებას არ ავლენენ.

მინდა ვიიბნათო: *და ემ ყორმა უთხრაყე, რო ეს ფარდაო ექ გუგუბითო, ერთ ორ ქალბაო, მინდა ემ ბიჭსათანაო ვიიბნათო [1998წ. მარტყოფი, ქდკ].*

მინდა წაიდე, მინდა დაიჭირო: *ემ ქასიფია ჩემ სისხლი, ალან გერიმ მინდა წაიდე, სისხლი დაიჭირო [1998წ. ჩუღრუთი, ქდკ].*

მინდა გავათხოვო: *მასალან მე მინდაღა დღეს ყორიღა გავათხოვო [1998წ. ჩუღრუთი, ქდკ].*

მინდა ფთქო: *სირცხვილია ერთ რამებია, ეხლა მინდა სურათი ფთქო და მერე არცრა ეს დაამტკიცებენ ემ საქმეს [1998 წ. დაშქესანა, ქდკ].*

მინდა უთხოო: *თქო ქი ქალიო, ეს ყორი მე მინდა უთხოო ჩემ ბიჭსაო [1998წ. თორელი, ქდკ].*

მინდა დავარდე: *თუ წახიდე ანქა, ეტყი: მე აღარ მივაღლა, ეტყი: მინდა დავარდე [1998წ. იაზღონშაპრი, ქდკ].*

მინდა ვიბნაო: *მე მინდაო ერთ გაფფი ვიიბნაო კარსო დაძჰკლიტავთო, კილტეს მე ავიღეფო და იმაში ვიიბნეფო [1973წ. გურჯაანი, ვაზისუბანი – მიგრირებულიები ჩუღრუთიდან, ქდკ].*

ეს, რაც შეეხება პირველი პირის მხოლოდით რიცხვს.

მრავლობით რიცხვში აღწერილ კონსტრუქციაში (მოძალადური ზმნა აწმყოში + II კავშირებითი) მოძალადობის ზმნა ვარიანტებით არის წარმოდგენილი:

გუნდა // გვინდა.

ამათგან **გუნდა** ისტორიულად ჩამოყალიბებული ნორმაა **ვი > უ** პროცესის შედეგად მიღებული. ეს მოვლენა დიალექტის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებად სამეცნიერო კვლევის დასაწყის ეტაპზევე იქნა მიჩნეული [ჩიქობავა: 2010 (1927); მაჭავარიანი 1985 და სხვ.].

სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში **გვინდა** ფორმა არ ჩანს. არ გვხვდება ის არც გვიანდელ ტექსტებში. მხოლოდ ერთადერთხელ დასტურდება 2008 წელს სედიყე ასლანიანს ჩაწერილ ტექსტში. მთქმელი ცნობილი რესპონდენტია და მისგან სხვადასხვა მკვლევრის მიერ ჩაწერილი მასალებია განთავსებული კორპუსში. ეს ერთადერთი შემთხვევა სალიტერატურო ქართულის გავლენით გაჩენილი ინოვაცია ჩანს მის მეტყველებაში. ტექსტებში ეს ერთი შემთხვევა მოხვდა, თუმცა ჩვენთან საუბარში საკმაოდ ხშირად იყენებდა მსგავს ინოვაციურ ფორმებს. ეს ფორმა გაჩნდა სხვა ფერეიდნელთა მეტყველებაშიც. ტექსტის გამოცემისას ეს ფორმა არ გავასწორეთ, რათა არ წაგვეშალა კოლების გადართვის კვალი და ინოვაციის ჩასახვისა და დამკვიდრების ტენდენციასზე დაკვირვების საშუალება მიგვეცა მომავლის მკვლევრებისთვის:

გვინდა წაიღეთ: *ჩონ ვართ ჯარში წასავალიო და რო არ გვინდა წაიღეთ, გამოქცეულვართო სოფელსაყეო და მოსულვართ, ერთ ამალამ გუგუშით ექ დავდგეთო* [მარტყოფი, 2008წ. სედიყე ასლანი].

იმავე მთქმელთან ოთხ კონტექსტში დასტურდება დიალექტისთვის ორგანული – **გუნდა** ფორმა. მათგან ორი სურვილის მოდალობის ბივერბალურ კონსტრუქციაში.

გუნდა ვაჩენოთ: *ეს საჩენო თითი ეს რო გუნდა ვაჩენოთ, ანქა, ანქ არიო* [2008წ. მარტყოფი, სედიყე ასლანი-ყავლაშვილი, ქღკ].

გუნდა წაიღეთ: *მეფეს სახჩი და ეტყიან, ამალამ გუნდა წაიღეთ ნათხოვნობაო* [2008წ. მარტყოფი, სედიყე – ყავლაშვილი, ქღკ].

გუნდა ჩოგოცოთ: *როგოდ კაბა გუნდა ჩოგოცოთო?!* [2008წ. მარტყოფი, სედიყე ასლანი (ყავლაშვილი, ქღკ)].

კონსტრუქცია **გუნდა** + კავშირებითი II დამახასიათებელია როგორც მარტყოფისა და მისი „განაყარი“ სოფლებისთვის, ასევე დანარჩენი ფერეიდნულისთვის და შიდა დიფერენციაცია ამ მოვლენაზე არ აისახება:

გუნდა გათხოვდეთ: *რა ძქნათ, ქე ჩონ მამამ გაიგოს, ქე ბეესთელა ჩონ გუნდა გათხოვდეთ* [დაშქესანა, ქღკ].

გუნდა დავაქორწილოთ: *გუნდა ფაიზე დავაქორწილოთ* [მარტყოფი, ქღკ].

გუნდა მოიღეთ: *ვალლა აგე წუგუყუანონ, გორჯესტანჩი გუნდა მოიღეთ* [იაზღონშაპრი, ქღკ].

გუნდალა დაჭიროთლა: *იმამი ჩემ მამამ თქო, რო: ქორწილი არ გუნდალა დაჭიროთლა, რა არი ქორწილი* [მარტყოფი, ქღკ].

გუნდა გავსხნათ: *ჩვენ ელ ეს გუნდაო, სკოლა გუნდა გავსხნათ ექა და სკოლა გქონდესო და ექიმიც გუნდა, რო როდესაც მინძე ავად გავდებო, ეს ექიმა გასინჯოსო და წამალი და ესეთ რაიმეები დაუწეროსო* [თეირანი, ქღკ].

აწმყო, მეორე პირი, მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვი:

გინდა, გინდაყე // გინდათ:

გინდა გემექცეო: კაცმა უთხრა: ჰა, **გინდა გემექცეო**, თა წავალ, მოვიტანო? [1922წ. სეიფოლა იოსელიანი, ქლკ].

გინდა წახილე: *გვე ქე გინდა ეგრენ წახილე*, შენ ვ ზაჩი წადი [1998წ. დაშქესანა, ქლკ].

გინდა გადთხოვლე: *თქო: ქე გინდა გადთხოვლე*, *თქო: გავთხოვლები*, ამა სამ-თოთხი შართი მე მაქ [1998წ. დასქესანა, ქლკ].

მინდოდა - გუნდოდაყე:

სალიტერატურო ქართულისა და თანამედროვე დიალექტებისაგან განსხვავებით ფერეიდნული, როგორც ვთქვით, ამ კონსტრუქციაში არ იყენებს მეორე თურმეობითის ფორმებს და მხოლოდ მეორე კავშირებითით აწარმოებს წარსულის სასურველ მოდალობას:

მინდოდა წავიდე: *დევდექ ისპაანს. მინდოდა წავიდე* თეერანს იმისთი, რო წინა წელსა ჩემთი გემეერთოყე ბახტიარებს ათასი თუმანი და [მინდოდა] შავჩივლო ყეინსა და ვაზირებს, რო გაჭისინჯე.

მინდოდა მოქჭრა: *მეც დავიეც ზემინზედაო და მუკლი დავადე გულისპირზე*, მინდოდა თავი მოქჭრაო.

მინდოდა ვანიავო: *გაველ კალოზევა. მინდოდა ვანიავო* და წელი მალონებავს.

მინდოდა ვნახო: *ოზდაათი წელს წინათ მინდოდა ვნახო.*

მინდოდა ვიბნა: *კოჭაობას მინდოდა ვიბნა.*

მინდოდა ვიკითხო: *ეს მე მინდოდა საქართველოჩი ვიკითხო.*

გუნდოდა გავაკეთოთ: *თუ გოცოდნიყო, რო შენ მოხლო, შეჭამადი გუნდოდა გავაკეთოთ*, ხო, არ ვიცოდით.

გუნდოდა გააყოთ: *ავე გუნდოდა რამე გააყოთ*, წადლოდით ემების უკანა. ესები ჩონ საქმეს გაპყოფდეს, გოლორიგებდეს ერთმანეთთან.

გუნდოდა ვნახოთ: *ნოღარმა დოვ უწერა და ეხლა გუნდოდა წაიდეთ*, ფეხბურთელები ვნახოთ.

გუნდოდა გადმოიდეთ: *იმ დღესვე ჩონ გუნდოდა გადმოიდეთ.*

გუნდოლის:

გუნდოლის გავაკეთოთ: *რო ყველი გუნდოლის გავაკეთოთ*, ჩონთი ალბათ სადელს ვაკეთებდით.

გუნდოლის ამოილოთ: *როდესადღა რო ყველიდა საჭირო'ყო, გუნდოლისღა რო ამოილოთ*, ერთ ემველას მოიტანდითღა.

გუნდოლის შადნახოთ: *იმიშინ ზამთრისათინ თუ გუნდოლისყე შადნახოთ*, ერბო დავასხიტყე ზედ, რო ნამა შადნახოს.

გინდოდა:

ქენ დალიები ხართ. ქენ **გინდოდაყე** დამიბრუნდეთ მე და მე ეგეთ ხალლი არ მინდა!

უნდა, უნდათ // უნდაყე:

უნდა მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმით ბივერბალური კონსტრუქციის მოდალობის ზმნის მნიშვნელობით შედარებით იშვიათია:

როზელე სულთანის წასულა ჩუღურეთს, წომოვლია და **უნდა** ეს მამული თავის სახელზევა საბთი ქნას.

უფრო ხშირად ის ამ ფუნქციით მრავლობითის ფორმით გვხვდება:

ივრე უყორსყე, რო, მასლან, ქართუელი უნდათ რო შაინახონ თავინთა.

მაზლეფსა, ჩემ მაზლეფსა და მაზლის ბიჭეფსა და დედაკაცეფს უნდათ ევრე ლე-
ვემზრახოთყე, ეს ჩონ აბრუ იყო.

მერე მაიტანენ, ემ ცხორს მაიტანენ, ქე დოკლავყელა და დაათიქავებენ, მაიტა-
ნენ სახნი, დახატულად დახურდავებენ, ავე უნდაყე ხორეშტი გააკეთონ, უნდაყე
ქაბაბი გააკეთონ, უნდაყე წენი გააკეთონ – ელ ემ ჯორცით გააკეთებენ.

თაის დედას უთხარ: მავე, შენ ქორი ხარ, ქე ძალღებმა უნდაყე მე შამჰამონ.

ძაან ყორობენ საქართველოსა და ძაან უნდაყე, რო გაიგონ საქართველონი.

ელან, ენას ინახვენ, უნდაყე, რო თავი დედა ენა და ქართულ ენა შაინახონ და დარჩეს.

ეხლა უნდაყე იცი, რა გაიგონ? დიაბანს შენ აღა რასა იქს? შენ აღა სად არის, სად
მიღის, რას მოღის, რას მუშაობს.

იმაში ფაიხილა რო შაიქნებილა, უნდაყე ეს კალო ჩოვილაგოს, რო ეხლა რო სი-
ცივე ერი, აღარ გადღეთლა კალოზელა.

ვფიქრობთ, საკმაოდ ილუსტრირებულად წარმოვადგინეთ ფერეიდნულში ბივერ-
ბალური კონსტრუქციის თავისებურება. ეს დიალექტის ერთ-ერთი მკვეთრად გამო-
ხატული საიდენტიფიკაციო მახასიათებელია.

მოდალობის გამოხატვის მეორე მოდელი – გრამატიკალიზებული მოდალური
ელემენტით ნაწარმოები, ასევე თავისებურია ფერეიდნულში.

1. გრამატიკალიზებულ ელემენტად შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც
უნდა, უწყვეტელის ან ხოლმეობითის გრამატიკალიზებული ფორმები: უნ-
დოდა, უნდოდის და უნდის. ამასთან, უნდა მომავლის მოდალობას (საჭიროე-
ბა, ვალდებულება) გამოხატავს, უნდოდა, უნდოდის, უნდის – წარსულისას და
მართალია, მხოლოდ მეორე კავშირებითს შეიწყობს, შინაარსს გამოხატავს
თურმეობითისას (უნდოდა გაიღე = უნდა გავსულიყავი).

2. გრამატიკალიზებულ ელემენტს დიალექტში შეიძლება მოსდევდეს მხოლოდ
II კავშირებითის ფორმა (ისევე, როგორც ბივერბალურ მოდელში) და არასო-
დეს – II თურმეობითის!

მაგალითები:

უნდა:

უთხრა, რო: ჩემზე არ არიო, მე არ ვიციო, უნდა ჩემ დედაკაცს დევეკითხოვო.

დევმა უთხრა, რო: სამი ზადსა გკითხაო, თუ ფასოხი მამეო, წყალსაც აიტანაო და
შენ თითანაც ახოლო, თუ არა და შენ ამებსავით უნდა დადღჷ ანქაო.

თქო, რო: ეხლაო, ჩონაო ყეინის ყორსაო ვერ შაიყუანთ ჩონ სახლჩიო, უნ-
დაო სახლები გავაკეთოთო.

ეს უნდალა წაიყუანო ივრე შორსაო როო, იმის ანქითყელა ქალაქი ავადანლუ-
ლი აღარ იყოსლაო.

გვაქვს უნდა-ს ფონეტიკური ვარიანტები: უდა, უნა:

უდა (4 კონტექსტი):

ემ მტერს უნდა დოღვე, არ უნდა გოოტყილოთე, რო გოოტყილოთები, იფო ძალას
დაიჭერს, არ უდა გოოტყილოთე, შენ არ უნდა დადმარცხდეო.

ჰაიდარამ თქო, რო ბიჭო, ოთხი მუშა დამიჭერია, სავმა მიჭმევია ემითო, ემათ უღა კედელი მიეონო, რას მიხლო თაჩიგაო!
ღმერთო, უღა უღა მიშელოო.

უნა (30 კონტექსტი):

პირველად უნა უნა გატეხოს ხო?

ის უნა მოვეყე, რო დეესივა იქითა ერთი თეთრი ცხენიანმა, ნილაბიჩამოფარებულ-
ლი გამოიდა იმ ქუასაყენა, წაიდა და მინაყდა.

უნა რუქა გააკეთო.

სომხები რო მიდიოდეს ჩონა თქითყე, უნა უნა წაიდენ საქართველოშიგაო.

ჩაიმა უნა დამი გადზიდოსო.

ისენიცაო მაჰმადიანები არ არიანო, ქრისტიანები უნა მაჰმადიანები შაიქანო.

უნდის:

უნდის ნაწილაკი სულ ოთხჯერაა დადასტურებული ტექსტებში, თუმცა ცოცხალ-
ლია და საკმაოდ აქტიურია დიალექტში. ის წარსულში შესასრულებელ, სავალდებუ-
ლო (საჭირო), მრავალგზის მოქმედებაზე მიუთითებს:

ამ ოთხი კაცმა უნდისყე რო ეს ქამარები რა ქნას?

/ამ ოთხ კაცს ამ ქამარებისთვის რა უნდა ექნათ ხოლმე?/.

ამათ უნდისყე ამ გარეთ არიან და ესები წევს შიგა, ამ ერთს მაძკიდონ, ემ ერ-
თი ამ ოთხსაყე მაძკიდონ და შამათრიონ ემ შიგა და შაინახონ და რო შაინახონ,
ეხლა ამათ მოიდიანყე და ქამარებს დოუდვიანყე და ემ ოთხმა ვავიდესყე გარეთა და
ეხლა ამ ოთხმა უნდესყე რო ესე.

/ამათ უნდა... მოეკიდათ, შემოეთრიათ, შეენახათ... (ხოლმე)/.

და ჩონ გოქონდა, ბატკნები ხო ზამთრის იბადებოდეს, საბძელში რო მოგუქონდა ქა-
მა, მინდორსაყე მოგუქონდა ქამა, მახსოვსო, დედით ბიძანთი ჩემი, ჩაველ საბძელჩიგა,
იმაში რო ჩადყრიან საბძელჩი, ჩადტეკეპნიან მაგრა, ის უნდისყე ღავთხაროთ, ჯოხით.

/... ის უნდა დავვეთხარა (ხოლმე) ჯოხით/.

მაყრისკაცი წაიდითყე, რო ახანძალი მოიყვანოთ ჩუღრუთსაყე ფეკით, მიყუერე,
ღირქი უნდისყე გოქონდეს.

/ღირქი (თხილამური) უნდა გვექონოდა (ხოლმე)/.

უნდოდა:

თუ რუანი იყნიანყე, ოთხნი და ოთხნი, ემ ოთხმა უნდოდა დამძალენ და ამ ოთ-
ხმაც უნდოდა მონახონ.

/... ეს ოთხი უნდა დამალულიყო და ამ ოთხს უნდა მონახა/.

თუ არა და თითან უნდოდა ზურგით წაიღონ.

/თუ არა და თვითონ უნდა წაეღოთ ზურგით/.

ეს გზაზე წამოსულიყო ეგრე და ეგეთ შაკრულიყო, ექ უნდოდა გაიდე.

/ეს გზაზე წამოსულიყო ეგრე და ისე შეკრულიყო, აქ უნდა გავსულიყავი/.

უნდოლის:

უნდოლისე დღეს ლახთბორუნობა **დავიჭირით**, რო ლახასი შაქკეროთ, ლახ-
თბორუნობა ვოქ.

/უნდა ლახთბორუნობა დაგვეჭირა (ხოლმე).../.

ერთი რო არ მონახისე, იმაში, ის, რო მონახისე, ეხლა **უნდოლის** იმამ დადგუ-
როს და ამ სხობებმა დადმალონ და ეხლა ამაღ გემეედევნისე.

/...ახლა იმას უნდა დაეყვირა და სხვები დამალულიყვენ.../

ემ რავდენ ლამეს ჩონ მოვდიოლით და მოვდიოლით, დოგცივდა ლამით იქით, მზე
რო ჩაიდოღისე, **უნდოლის** ყე ფუტკრების ყუთებს პირები დოორჭოთ და ავკიდოთ
თაფლი და წამოიღეთ.

/... მზე რო ჩავიდოდა ხოლმე, ფუტკრების ყუთებისთვის პირი უნდა დაგვერჭო,
ავკეკიდა თაფლი და წამოვსულიყავით/.

უნდოლისე, რო ლამით ახანძალი წაიყუანოთ იმაშინა, მესამე ლამესა **უნდო-**
ლის ახანძალი წაიყუანოთ.

/ღამით პატარძალი უნდა წაგვეყვანა (ხოლმე) მაშინ, მესამე ლამეს პატარძალი
უნდა წაგვეყვანა (ხოლმე)/.

იმაშინცალა რო მოცალიტყე, რო **უნდოლისე**, რო ეს თაის მატყელი ჩავასთოთ
და ჯეჯიმსათი და ყალიჩასათი, გოვდიტყე ეს ემე ფევი ემ აკუანჩი და ვაქანებ-
დიტყე და ხო ალაღალა – ეგეთ რამე.

/მაშინ მოვიცლიდით ხოლმე, უნდა ეს იმის მატყელი ჩაგვესთო (=დაგვერ-
თო).../.

ერთმა ცალ ფევი აიკავის და ემ ცალ ფევით ირბინის და რომელსაც რო მეეწი-
ვის, ფევი ამაძკრის და, თუ ფევი მაახინის, ეს დაკენწილ იყისე და ეხლა **უნდო-**
ლისე, იმამ ფევი აიკაოს და ირბინოს.

/... და ახლა იმას უნდა აეკავებინა (აეკეცა) ფეხი და ერბინა/.

ჩვენ განვიხილეთ მოდალობის გამოხატვის ძირითადი მოდელები სურვილის მო-
დალობის ბივერბალური კონსტრუქციისა და **უნდა** ნაწილაკიანი (ე.წ. დეონტური)
მოდლობის მაგალითზე¹⁸⁶, რადგან ყველაზე ჩამოყალიბებული და უნიფიცირებული
სწორედ ეს სისტემა ჩანს. ფერეიდნულშიც, ისევე როგორც სხვა ქართულ დიალექ-
ტებში, ისევე მიმდინარეობს როგორც ახალ ბივერბალურ კონსტრუქციითა (ჰიპოტაქ-
სური კონსტრუქციების რღვევის ხარჯზე), ისე სხვა ზმნათა გრამატიკალიზაციის
შედეგად მოდალურ ნაწილაკათა წარმოქმნის პროცესი.

ჩვენ აღვწერეთ ძირითადი მოდელები, თუმცა ამ აღწერამ კიდევ უფრო ნათლად
წარმოაჩინა, რომ მოვლენა კომპლექსურად არის შესასწავლი როგორც ფერეიდ-
ნულში, ასევე სხვა ქვესისტემებში. განხილულმა საკითხებმა კიდევ ერთხელ წარ-
მოაჩინა ის ფაქტი, რომ ქართულ დიალექტოლოგიაში ხშირად ყურადღების მიღმა

186. ტერმინოლოგიისათვის იხ. შარაშენიძე 2017, 2019.

რჩება მნიშვნელოვანი თავისებურებები მხოლოდ იმიტომ, რომ პარადიგმული სტერეოტიპი ერთგვარად „გადაფარავს“ ემპირიული მასალის მონაცემებს.

წარმოდგენილი ანალიზის შედეგად შეიძლება კიდევ ერთხელ ჩამოვყალიბოთ მოდალობის სემანტიკური კატეგორიის გამოხატვის მთავარი თავისებურებანი ფერეიდნულში:

- ა) მოდალობის გამოხატვის ბივერბალურ მოდელში დროითი მიმართებების რეგულირება ხდება მოდალური ზმნის დროის ცვლილების ხარჯზე. ძირითადი ზმნა მეორე კავშირებითის ფორმაა და ის შეიძლება პირისა და რიცხვის მიხედვით შეიცვალოს: *მინდა გავაკეთო, მინდა გააკეთო, მინდა გააკეთოს... მინდოდა გავაკეთო, მინდოდა გააკეთო, მინდოდა გააკეთოს...*, თუმცა დროითი გაგება მას ვერ შეაქვს კონსტრუქციაში (ფერეიდნულისთვის კატეგორიულად უცხოა **მინდოდა გამეკეთებინა** ტიპის კონსტრუქცია!).
- ბ) ფერეიდნელთა გადასახლების დროს ბივერბალური კონსტრუქცია, როგორც ჩანს, ჯერ ისევ ტენდენციის სახით არსებობდა და არ იყო ბოლომდე უნიფიცირებული წარმოება ჩამოყალიბებული. შესაძლოა ტენდენციის შემდგომ განვითარებაზე მეზობელ ენებთან კონტაქტმაც მოახდინა გავლენა. მოდალობის ინფინიტიური მოდელის გავლენით მოდალობის კონსტრუქციის მეორე კომპონენტი, მეორე კავშირებითის პირისა და რიცხვის მიხედვით ფორმაცვალებადი ზმნური ფორმა განზოგადდა და დაკარგა დროის ცვლის უნარი კონსტრუქციაში. სამაგიეროდ, მოდალურ ზმნას, ისევე როგორც ინდოევროპულ ენებში, დაეკისრა მოდალობის დროითი მიმდევრობის გამოხატვა: *მინდა გავაკეთო (აწმყომი და მომავალში სასურველი მოქმედება), მინდოდა გავაკეთო (წარსულში სასურველი მოქმედება)*. ვფიქრობთ, ფერეიდნულის ეს სისტემა ჩამოყალიბდა მშობლიური ენის შინაგანი ტენდენციისა და უცხო ენათა გავლენის თავისებური სიმბიოზის საფუძველზე.
- გ) ფერეიდნულში, სხვა ქართული დიალექტებისა და სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, გრამატიკალიზაცია განიცადა როგორც აწმყოს, ისე ხოლმეობითისა და უწყვეტლის ფორმებმაც: *უნდა, უნდის, უნდოდა, უნდოდის*.
- დ) მოდალობის მეორე (ნაწილაკიან) მოდელშიც, ისევე როგორც ბივერბალურ კონსტრუქციაში, ძირითადი ზმნა არის II კავშირებითში და მას არა აქვს დროის ცვლის უნარი. დროით მიმართებას ნაწილაკიან კონსტრუქციაშიც გადმოსცემენ ნაწილაკები: *უნდა წაიდეს (=უნდა წავიდეს), უნდოდა წაიდეს (=უნდა წასულიყო)*.
- ე) მასდარული კონსტრუქცია მოდალობის გამოხატვისა თანამედროვე ფერეიდნულში არ გვაქვს.

წიგნის იმ ნაწილში, რომელშიც ფორმაუცვლელი სიტყვები და, სახელდობრ, ნაწილაკები იქნება განხილული, მოკლედ შევეხებით მოდალური სემანტიკის მქონე სხვა გრამატიკალიზებულ ერთეულებს. ყველა ამ ნაწილაკის ფუნქციისა და განაწილების დეტალური კვლევა კი მომავლის საქმეა.

4. ზმნისწინები

ფონეტიკური ცვლილებების გამო ფართოა ზმნისწინთა ვარიაციულობა ფერეიდნულში. განსაკუთრებულ თავისებურებას ქმნის ზმნისწინთა ლაბიალურხმოვნინანი ვარიანტები: **მუ-** (// -მო, მა-, // მე-); **გო-** (// გა // გე), **გუ-** (// გა- // გე-); **ღო-** (// და- // დე-), **ღუ-** (// და- // დე-); **წო-** (// წა- // წე-). **წუ-** (// წა- // წე-)....

აგრეთვე რთული ზმნისწინები; **გოდმო-** (// -გადმო), **გუდმუ-** (// -გადმო); **გომო-** (// გამო-); **გუმო (გამო-)**... და სხვა. სახეცვლილი ზმნისწინი მთლიანად ვერ ანაცვლებს საწყის ვარიანტს ერთი მწკრივის ფარგლებში. ყველა ვარიანტი პოზიციურადაა შეპირობებული, ამიტომ სხვადასხვა ვარიანტი შეიძლება რეალიზდეს ერთი პარადიგმის ფარგლებში:

გა: გა-ვაკეთებ – გა-ვაკეთე – გა-მიკეთებია

გუ: გუ-უკეთებს – გუუკეთა – გუუკეთებავ

გე: გე-გაკეთებინა, გე-მეკეთებინა

გო: გო-გოკეთა (გაგვეკეთებინა)

გუ: გუ-გუკეთა (გაგვიკეთა)

ცვლილება მხოლოდ სათანადო ფონეტიკურ გარემოში (გვ- პირისა და რიცხვის ნიშნების ან უ- და ე- ქცევის ნიშნის მეზობლობაში) ხდება.

ზოგჯერ ზმნისწინთა გამოყენების ერთეული შემთხვევაც შეიძლება იყოს გამოყენებული შიდადიალექტური დიფერენციაციისთვის. მაგალითად, **უხარია** ზმნის წყვეტილში, მრავლობითი რიცხვის პირველ პირში ორი პარალელური ფორმა გვაქვს თქმების მიხედვით:

გოგოხარდა – თორელი (ბონ მინდაშტი)

გუგუხარდა – მარტყოფი

ამათგან პირველი ფორმა -ე პრეფიქსიანი ფუძისგან არის მიღებული: **გა-გვ-ე-ხარ-და** ფორმაში ჯერ **ვე > ო** პროცესი მომხდარა, შემდეგ კი რეგრესული ასიმილაციით ზმნისწინის პირველი ხმოვანიც გალაბიალურებულა.

ხოლო მარტყოფის თქმისთვის ამოსავალი -ი პრეფიქსიანი ფუძე გამხდარა: და ლოგიკური **ვი > უ** პროცესის შედეგად: **გა-გვ-ი-ხარ-და-ა > გუგუხარდა**.

საინტერესო სურათს ქმნის მო-და მა- და შე- // შა- ზმნისწინების განაწილებაც.

ეს ზმნისწინები ქართული ენის დიალექტებში მნიშვნელოვან დიფერენციაციულ მახასიათებლად არიან მიჩნეული [ჯორბენაძე 1989: 616-619]. მათი არსებობა და განაწილების წესი დიალექტთა სიშორე-სიახლოვის ერთ-ერთი ღირებული ნიშანია.

ფერეიდნული ამ ზმნისწინების განაწილების თვალსაზრისით უახლოვდება აღმოსავლურ დიალექტებს, თუმცა მთლიანად მაინც არ ემთხვევა და განაწილების საკუთარ წესებს აჩვენებს:

ერთი მწკრივის ფარგლებში: აწმყოში **მა-** გვაქვს ორივე რიცხვის მეორე და მესამე პირებში, წყვეტილში კი **მა-** მხოლოდ ორივე რიცხვის მეორე პირში ჩანს. სრულიად თავისებურია **მა-, მო-** და **მუ-** ვარიანტების განაწილება ე.წ. ინვერსიულ

მწკრივებში, რომლებშიც დამატებით მორფონოლოგიურ ფაქტორს ქმნიან მ-ობიექტური პირის ნიშანი და უ- ზმნური პრეფიქსი.

ჩვენმა ამ დაკვირვებამ საგრძნობლად შეცვალა მანამდე არსებული შეხედულება და მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა გამოქვეყნებულ პარადიგმებში [ჩხუბიანიშვილი 2012: 194-202; გოგოლაშვილი და სხვ. 2016: 517-526]. შესადარებლად მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

აწმყო

პირი და რიცხვი	ასალი პარადიგმა	ძველი პარადიგმა (დარეჯან ჩხუბიანიშვილი)
მხ. 1	მო-ზელ(ავ)	მოზელ(ავ)
მხ. 2	მა-აზელ(ავ) ¹⁸⁷	მოაზელ(ავ)
მხ.3	მა-აზელ(ავ)ს	მოაზელ(ავ)ს
მრ.1	მოზელ(ავ)თ	მოზელ(ავ)თ
მრ.2	მა-აზელ(ავ)თ	მოაზელ(ავ)თ
მრ.3	მა-ზელ(ვ)-ენ	მოზელ(ავ)-ენ

წყვეტილი

პირი და რიცხვი	ასალი პარადიგმა	ძველი პარადიგმა (დარეჯან ჩხუბიანიშვილი)
მხ. 1	მო-ვილ-ე // -ევი ¹⁸⁸ (დაშქ. – მარტყ.)	მოვილევი
მხ. 2	მა-ავილ-ე // -ევი	მოავილევი
მხ.3	მო-ვილა	მოვილა
მრ.1	მო-ვილ-ეთ // -ევით	მოვილევით
მრ.2	მა-ავილ-ეთ // -ევით	მოავილევით
მრ.3	მო-ავილ-ეს	მოავილეს

პირველი თურმეობითი

პირი და რიცხვი	ჩვენი პარადიგმა	ძველი პარადიგმა (დარეჯან ჩხუბიანიშვილი)
მხ. 1	მა-მიზელ(ნ)ია	მამიზელნია
მხ. 2	მოგიზელნია	მაგიზელნია
მხ.3	მოოზელნია // მუუზელნია	მუუზელნია
მრ.1	მოგუზელნია // მუგუზელნია	მუგუზელნია
მრ.2	მაგიზელნია-ყე	მაგიზელნიათ
მრ.3	მოოზელნია-ყე // მუუზელნია-ყე	მუუზელნიათ

187. გამუქებული ფორმები ფერეიდნის სოფლებში კითხვარული მეთოდით გადამოწმების შემდეგ არის დადგენილი და შეცვლილი.

188. წყვეტილში -ევი სუფიქსის დართვა აგრეთვე განასხვავებს მარტყოფისა და ბოინ-მიანდაშთის წრის მეტყველებას. განსხვავება დასაზუსტებელია ყველა სოფლის მიხედვით.

მოხნავს:

აწმყო

პირი და რიცხვი	ახალი პარადიგმა	ძველი პარადიგმა (დარეჯან ჩხუბიანიშვილი)
მხ. 1	მოვუნავ	მოვუნავ
მხ. 2	მაძუნავ ¹⁸⁹	მოვუნავ
მხ.3	მაძუნავს	მოვუნავს
მრ.1	მოვუნავთ	მოვუნავთ
მრ.2	მაძუნავთ	მოვუნავთ
მრ.3	მაძუნვენ	მოვუნვენ

წყვეტილი

პირი და რიცხვი	ახალი პარადიგმა	ძველი პარადიგმა (დარეჯან ჩხუბიანიშვილი) ¹⁹⁰
მხ. 1	მოვჯან	
მხ. 2	მაძჯან	
მხ.3	მოვჯანა	
მრ.1	მოვჯანთ	
მრ.2	მაძჯანთ	
მრ.3	მოვჯანს	

პირველი თურმეობითი

პირი და რიცხვი	ახალი პარადიგმა	ძველი პარადიგმა (დარეჯან ჩხუბიანიშვილი)
მხ. 1	მაძივნავ	მოძივნავ
მხ. 2	მოვინავ	მოვინავ
მხ.3	მოუვნავ // მოუვნავ	მოუვნავ
მრ.1	მოუვუნავ	მოუვუნავ
მრ.2	მოვინავ(ყე) ¹⁹¹	მოვინავ
მრ.3	მოუვნავ // მოუვნავ(ყე)	მოუვნავ

189. ასევე იქნება პირველი სერიის სხვა მწკრივებშიც: მოვუნევდე, მოვუნევდი... მაძუნევდე, მაძუნევდი...

190. ამ ზმნის წყვეტილის პარადიგმა არ არის აღწერილი, როგორც ჩანს, გამორჩენილია.

191. ყე ნაწილაკი მრავლობითის გამოხატვის ფუნქციით დაერთვის მესამე სერიის მწკრივებში მეორე და მესამე პირის მრავლობითის ფორმებს. ამასთან, მისი დართვა აუცილებელია (!) იმ შემთხვევაში, თუ ნაცვალსახელი არ არის წარმოდგენილი წინადადებაში. ნიშანდობლივია, რომ ეს წესი ჩვენ ერთ-ერთმა რესპონდენტმა განგვისაზღვრა: თუ ბევრი იყოს და ქენ, იმათ არა ექონდეს, დაუმატებთყე ყე-ს (აბოლყასემ აჰმადი, თორელი): ქენ მეგევნა // მეგევნაყე; იმათ მეევნა // მეევნაყე.

როგორც ჩანს, ყე ნაწილაკის დართვა აქ მხოლოდითისა და მრავლობითის ფორმათა გასარჩევად და მრავლობითობის შინაარსის გამოსახატად განდა საჭირო სწორედ იმ შემთხვევებში, როცა რიცხვის ფორმა ნაცვალსახელით არ იყო მარკირებული.

განსაკუთრებული სხვაობა გამოჩნდა მეორე თურმებითის ფორმებში:

პირი და რიცხვი	ახალი პარადიგმა	ძველი პარადიგმა (დარეჯან ჩხუბიანიშვილი)
მხ. 1	მემეუნა	მომეუნა
მხ. 2	მეგეუნა	მოგეუნა
მხ.3	მეევნა	მოევნა
მრ.1	მოგოუნა	მოგოუნათ
მრ.2	მეგეუნა(ყე)	მოგეუნათ(ყე)
მრ.3	მეევნა(ყე)	მოევნათყე

მესამე კავშირებითი:

პირი და რიცხვი	ახალი პარადიგმა	ძველი პარადიგმა (დარეჯან ჩხუბიანიშვილი)
მხ. 1	მემეუნას	მომეუნა
მხ. 2	მეგეუნას	მოგეუნა
მხ.3	მეევნას	მოევნა
მრ.1	მოგოუნას	მოგოუნას(ყე)
მრ.2	მეგეუნას(ყე)	მოგეუნათ(ყე)
მრ.3	მეევნას(ყე)	მოევნათყე

დასაზუსტებელი აღმოჩნდა შა- ზმნისწინის გამოვლენის სურათიც პარადიგმის ფარგლებში. პირველ და მეორე სერიაში ის უცვლელად არის წარმოდგენილი, მესამე სერიაში კი პოზიციურ ცვლილებებს განიცდის:

I თურმებითი: შამიბამ, შაგიბამ, შოუბამ // შოჭბამ, შუგუბამ, შაგიბამ, შოუბამ // შოჭბამ (შღრ. ჩხუბიანიშვილი: შამიბამ, შაგიბამ, შოობამ, შუგუბამ, შაგიბამ, შოობამ).

II თურმებითი: შემება, შეგება, შეება, შოგობა, შოგობა(ყე), შეება(ყე) (შღრ, ჩხუბიანიშვილი: შამება, შაგება, შაება, შოგობა, შაგებათ(ყე), შაებათ(ყე).

III კავშირებითი: შამებას, შაგებას, შაებას, შოგობას, შეგებას, შეებას (შღრ, ჩხუბიანიშვილი: შამებას, შაგებას, შაებას, შოგობას, შაგებას, შაებას); **შემექნას, შეგექნას, შეექნას, შოგოქნას, შეგექნაყე, შეექნაყე** (შღრ. ჩხუბიანიშვილი: შამექნას, შაგექნას, შაექნას, შაგექნას, შაგექნასყე, შაექნასყე)

ზმნისწინებთან დაკავშირებული მორფოლოგიური ცვლილებები სისტემური სახითაც და ცალკეული შემთხვევებიც ჯერ კიდევ აღსაწერი და შესასწავლია ფერიდნულში და ეს ნაშრომი ამ კვლევის მხოლოდ დასაწყისია.

თავი XI

ფორმაუცვლელი სიტყვები ფერეიდნულში

მეტყველების ნაწილების იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც არც ზმნების და არც სახელთა კლასს არ ეკუთვნის, აკაკი შანიძემ 1943 წელს შემოიტანა ტერმინი **უდეტრები** [შანიძე 1980: 587]. როგორც თავადაც განმარტავდა, ტერმინი აღნიშნავს „არცერთს ორიდან“ და აერთიანებს ზმნიზედის, მხლებლებისა და შორისდებულის ჯგუფებს. თავის მხრივ, მხლებლების ჯგუფი მოიცავს თანდებულს, კავშირს, ნაწილაკებს.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უდეტრებს ხშირად მოიხსენიებენ დამხმარე სიტყვებად, არასრულმნიშვნელოვან სიტყვებად და ა.შ.

თანამედროვე ინგლისური ენის შესახებ ყველაზე გავლენიან გამოცემაში – **ლონგმანის გრამატიკაში** ეს ენობრივი მონაცემი გადანაწილებულია **ფუნქციური სიტყვებისა (Functional words)** და **ჩანართების (Inserts)** ჯგუფებში.

ქართული სამეცნიერო ტრადიციით, როგორც აღვნიშნეთ, ამ ჯგუფში აერთიანებენ ზმნიზედასაც. ის ერთადერთი მეტყველების ნაწილია „უდეტერთა“ ჯგუფიდან, რომელსაც დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა აქვს და ფორმაწარმოების ელემენტებიც აქვს შერჩენილი. ზმნიზედა დიდი დიალექტური ვარიაციულობით ხასიათდება, დიდა მისი სადიფერენციაციო „წონა“ დიალექტომეტრიული ანალიზის დროს. ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანია ზმნიზედის კვლევა იზოლირებულ ენობრივ კოლექტივში.

ფერეიდნულში ზმნიზედის ჯგუფის ზედმიწევნით აღწერისათვის, გარდა ტექსტური მასივისა, გამოვიყენეთ კითხვარული მეთოდიც.

1. ზმნიზედები

1.1. ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით

ფერეიდნულში გამოვლენილ ზმნიზედებს წარმოვადგენთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილი ჯგუფების მიხედვით:

ადგილის ზმნიზება:

ანქ, ექ, იქ (ა), იქით, იქებში, ძირზე, ახლოს // ახლო, შორს, შორსახლოს*¹⁹²
(= შორიასხლოს) // შორიდან* // შორით // შორითყე, ექამდი // ექამდის // ექამდინ*
// ექამდე*, დაბლა, წინ, უკან, შუაში, ბოლოში, კარში // კარშიგ(ა), გარეთ (ა), გან-
ზე // განზენ*, გერდძე* // გერძე // გერძეგ(ა) // გერძენ(ა)* // გერზე // გერდით
// გერდზე // გერდზეგ // გერდშიგ // გერდად // გერდ-გერდ, ქოვით // ქოით(ა) //
ქოითყე // ქოითყენ*, ქომოთ // ქომოთყე // ქომოთ // ქომოთყენ(ა) // ქომოტყენ-
(ა), ქოითებში, ზეით(ა) // ზეითკე, ზევით(ა) // ზევითყე, ზემოთ(ა) // ზემოთყენ,
ზემოთში, შიგნით // შიგნითყე, თავში // თავშიგ(ა), თავსაყე // თავსყე, ღოურზე
// ღოურზეგა* (ირგვლივ), გაღმა, გაღმებში, მარჯვნივ, ჩაფაჯარაზე (მარცხნივ)*,
ერთ ვარაზე // ამ ვარაზე, თავქე.

ქართულ დიალექტურ კორპუსში შესაძლებელია ყველა დადასტურებული ფორ-
მის კონტექსტების დეტალურად ნახვა. მოვიყვანთ ზოგიერთ მაგალითს:

კარში // კარშიგ(ა):

კარში რო გამოელ, იადოლა და აღ'ალია და ყაზამფარა კარშიგ ისხდეს, მუადექ
იმათ საუბარსა.

ექამდი // ექამდის¹⁹³:

და ზილი იქ არი, რო მიხოლ და აი, ჩეეფლობით ექამდი, ჩეეფლობი, ტალახში, ეს
არი ზილი [მუხტარ დარჩიაშვილი].

– ექამდის სწორი მოღის თუ არ მოღის? [მუხტარ დარჩიაშვილი]

რო რა უნდაყე ცუ თქენი ბიჭებსაო ქართველებსაყეო, რო წელს გოსმისო, რო
ზაფხულსაყე თა ექამდი აღონებენყე და ფულს ართმენყეო [სეიფოლა იოსელიანი].

ანქ:

და იმაზე ანს შეერი ანქ მიკითხავ [ქდკ, რეზა სუციშვილი].

იქ // იქა:

ეხლა ორ-სამ კომლი ქართველია იქა, რაქთენ კომლიცა ქურთია [ქდკ, სეიფოლა
იოსელიანი].

დაქუჩდებიან ბიჭები იქ, დურბინებს დოუბმენ თებსათი იქ, თა მაინახუნ, თა
საღომამდი ათორიალებენ [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ექ // ექა:

ერთ დღეს წაველ ბატონ გერგერის ხანთან. მითხრა, რო: ერთი ქართველიო
თბილისსაყეო ჩამოსულაო, ექ არიო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

მინდა დავარდე, ელ ექა ბეური ფაქიზა ადგილია, ნამა ადგილია [ქდკ, ჰაჯი ნა-
ზემა ხოსრაშვილი].

192. ვარსკვლავებით იმ ფორმებს მოვნიშნავთ, რომლებიც კითხვართაა მოპოვებული და
ტექსტებში არაა დადასტურებული.

193. ვარიაციულობა დასტურდება მთელ დიალექტში, ერთი პირის მეტყველებაშიც.

იქით:

ბევრ იქით გაიდა და შეეხუვნეს, იმ სართიბზივ აიღეს [ქღკ, მაჰმად ბათუაშვილი].

ექით:

ორივე მენადირემ სისხლჩი მოირივესო, ერთი ექით დეცაო და ერთი იქითა [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი (ასლანი)].

იქებზი:

დამკლველებიც იქებზი, იმ დაბლებზი, ღვანან დანებით... [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ძირზე:

მაფეკანენ ერთ ივეთ ბავშვსა და კაკალას **ძირზე** ჩოოსმენ, კაკალას ძირზე ჩოოს-მენ და ანს ახანძალი ერთ რამეს ამადღეფს [სედიყე ასლანი (ყალანი)].

ახლო (51) // ახლოს (4)¹⁹⁴

მინც იფო **ახლო**’რი და წაეს შორეულებში და მერე ფული, ფული როცა მოქუჩ-და, ფულს ადლებენ შადკრავენ ბოხნაში [ქღკ, შაჰინა მულიანი].

გამაძვიო, ეს რო ჯერ ახალგაზდა რო არი და ჯერ ვერ დგების თავისთან **ახლოს**, წიხლ გაყრის [ქღკ, მუხტარ ასლანი (ქღკ, დარჩიაშვილი)].

შორ // შორს:¹⁹⁵

წასლა-მოსლა არ იყო და ვერ გუნახავო, ვერ წასულვართო, რო **შორს** არიო და ისენიც ვერ მოსულანო [ქღკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)].

და იქ წაველით, იქაც ხო **შორ** იყო, ბიჭები აიყვანე და წაველი [ქღკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)].

მარჯნივ:

პაპას ბალის თავზი, **მარჯნივ**, მარჯნივ, არი ქალების ქობი [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ჯარაზე:

მერე მოიდა **ემ ჯარაზე** და **ამ ჯარაზე** და უნდოდა ხურუსი, ეს მამალი დაიჭიროს [ქღკ, მთქმელი უცნობია].

ჯარაზეგ:

და ჩადრიხ წინ ეწერა, რო იმის მარჯანა **ჯარაზეგაო** იღვეს ქართველებიო და ბახ-ტიარებო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

თავქე:

ეგლიდე თოვლი წამოვიდა **თავქე** [ქღკ, აქბარ ასლანი].

წინ:

რადლა რო უნდოდა, სინები აავსო ჯავაჰკერათითა და **წინ** დაუღვა [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

194. როცა პარაღელური ფორმა შესაძლოა ახალი გავლენის კვალად მივიჩნიოთ ან დამატებით კვლევა საჭირო, ვუთითებთ კონტექსტების რაოდენობას.

195. ვარიაციულია ერთი და იმავე პირის მეტყველებაში, ერთმანეთის გვერდით გვხვდება ერთ ჩანაწერში.

დროის ზმნიზედა:

ამალავ // ამალა // ამალამ; ახლა // ეხლა // ახა // ახ // ეხა // ეხ; სალომოს // სალამოს; დილობას // დილობის; დღეს(ა), დღეს; დღესით, დღევით; წელს, შარს* // შარშას // შარშა; შარშასწი // შარშასწინ; წინწინ // წინ-წინ // წინსწინ; წინასწინ // წინაფსწინ (=წინასწარ); წინასწარ; ემესყე წინ // ამას წინა // ამისყე წინ // ემისყე წინ; ხუალ // ხუალ; ხუალზევით // ამას ზევით // ხუალზევით // ხუვალზევით // ხუალზევით; ამაშინ // ამაში // მაშინ // იმაშინ // იმაშინა // იმაში // იმიში; ეხლა // ჯერ; ჯერ კიდევ(ვ) // ჯერ კიდევ; ამას უკან // ამის უკან (შემდეგ); მერე // მორო // მერეთ; ამაშინლა // ემაშინლა // იმაშინ(ლა); არადროს // არასდროს // არადროს // აც რომელ დროს // არადროს; გიან // გიან // გიანობით (დაგიანებულა, დაგიანებით) // დაგიანებით; მალე; ადრე // ადრე (დილობა ადრე) // ადრე/მალე; ღამით // ღამეს // ღამესით; ექამდი // ექამდინ // ექამდე; ამშინამდე // თა (=მანამდე); დიდხან // ბერისხან // ბერსხან; წინათ, იმაშინებში //ყადიამდ (ნასესხობა); ეხლა // ელეხლა; სუშუდამ; წელან; გუშინლამ // წუხელის; მუდამ; მეკრის(ა) // მერმის (=გაისად) // იმსხო მერმის // იმიზევით (მერე წელს, გაისის შემდეგ წელს); გუშისწინ; ხუალზევით // ხვალზევით; ღამით; ჰარ წელს // სუწელეზი, სუწელ // თამთელ წელს (=ყოველ წელს); დილ-დილობით (დილაობით), დილობადრე (დილაადრიან).

მოვიყვანთ ზოგიერთ მაგალითს კორპუსიდან:

ეხლა // ახლა // ახა // ახ // ეხა // ეხ:

ამაშინ იყო დგობდა **თა ეხლა**. ეხლალა ნამა არ არი [ქდკ, ჰაჯი ნაზემა ხოსრაშვილი].

ხო, **ახა** ერთ ქურთი ხო არ არი, ერთ თავადა ავადანლულებსაყე მოდიანდა, სყიდობენდა [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

ხო **ახ** ხუციშვილები ხო თასაყე არ ჩამოიდნენო, ძროხებიც ხო თაჩი ვერ აიდნენო? რაჯურადლა გინდოდა, სად გასქელდენო? [ქდკ, იოსებ ხუციშვილი].

ეხა დიდი ბიჭიცა მუშაოფს დიდი ქარხანაჩინა მანქანისა [ქდკ, იოსებ ხუციშვილი].
და **ეხა** თავი ვაკეთებალა არ მინახავ რაჯურადლა ამას იქმენ და ის თავის პირველად... [ქდკ, იოსებ ხუციშვილი].

ეხ ეს პირი ხო ველით არი [ქდკ, ნარგისი აბასი].

ვირი სჭირდებოდა **ეხ** ემათა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ხოლა ცხენიანი ხო გამოიდა, **ეხ** ხალღი ხო ჰავანგელაჩი იყო... [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციით გვხვდება ზმნიზედა **მაშინ**¹⁹⁶:

მაშინ(ა) // ამაშინ(ა) // ამაში // მაშინ // იმაშინ(ა) // იმაში // იმიში:

მაშ დამაცალე, წავიდე, მუღლის იარაღი მოვიტანო და მაშინ ვიშუღლოთო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

196. დეტალურად ამ ზმნიზედის შესახებ საუბარია ქვემოთ.

აწლად შენოდენი რო შავიქნები, იმაშინ კი გამიშეგბლად? [ქდკ, სიფოლა იოსელიანი].

ყორს და ბიჭს უყაბულნიყე, თადნთავი დლოლაგებიაყე. იმაშინ მოდლენ და ქორწილს იქმენ [ქდკ, მარიამ ქალბანი].

მევრის // მევრიზ (=გაისად), იმსხო მევრის // იმსხო მევრის (=მეორე წელს) ეხლა კი გამოხლოლ თა **მევრის** ეგეთ დრომდი გოქ თადს შიშები... [ქდკ, მთქმელი უცნობია].

და **ქოქი**: რა ვიცი დრო უნდა, არა მცალია-მეთქი. **მევრის, იმ სხო მევრის** თქენ მოდით-მეთქი. წადლეთ-მოდლეთ, ერთმანერთი გადცნათ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეს მაკრატელი წაილე, გარეცხე, რო ქანა დჰყოლიაყე სისხლიანია. გარეცხე და დადეო, რო **მევრისა** გაქკრინჭოთ ცხორები [ქდკ, ნარგის აბასი].

ეს მაკრატელი ქანაიანია, გარეცხე და დადეო, რო **მევრისლა** გავრეცხავთლა, ფაქიზა მაკრატელ იყოს [ქდკ, ნარგის აბასი].

ადრე (=წინათ, უწინ):

ადრე ჩონ ქართველებმა და ეგე არმის ემეს არ ვიქთა, არავის არ ვუჯერავთ, ანქა ჩონ ქარმონდები და დიდებს არ ვუჯერავთ [ქდკ, შაჰინა მულიანი].

ნახეცით, ვიკითხეთ ნიშნავს წელან გუკითხია და ვიკითხეცით ნიშნავს ბეჭრის ხანია გუკითხია, **ადრე** გუკითხია... [ქდკ, შაჰინა მულიანი].

დილობა ადრე რო შაიქნისყე, ავღვით, თორნე ავანთითყე [ქდკ, თუბა შაჰმამალი].

ქალაქში ვართ **ადრე** ხო მარტყოფჩი ვიყავით [ქდკ, ალი ჰოსეინ დავითაშვილი].

ეს შენ ქმარიო, თუ ქნდების, გამამყოლიაეო და თავის ჰაყითს [sic], რაც შაიქნების, წინასწინ მოგცემეო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ეს ზმნიზედა ფერეიდნულში შემორჩენილია ძველი მნიშვნელობითაც. ადრე (=მალე)¹⁹⁷.

ვითარების ზმნიზედა:

ავველ, აველა (=პირველი); პირველა; წყრან; წყრან // წყრან; ადრე; ნელათ // ნელათ // იავაშ // იავაშ (ნასესხები); მრუდად; მთელად // სუ // თამთლად // თეილათ (=სრულად მთლიანად); კიდევ // კიდემ // კიდემაც; ერთველ (=უცბათ); ერველ // ერთველ (=ერთგზის); კობლად (=უბრად); ჩიქარ; მალე, ნაყაფულად; მათლა // მართლა; დიას (=ძალიან, მეტად); ნელა; ძრიალ; შუაზე; ძალით // ძლით; კოლდაკოლ; ფევდაფევ; ლუკმა-ლუკმა; თანდათან; შუა-შუა; ძლივ; აშკარად // აშკად // აშკრით; ეგრე // ელეგრე // ამაგრე // ამაგე; იფო; გერივ // გერივე // გერიმ; ცოტად; გარდიგარმო // გარდიგარმო // გარდიგარმა // გარდიგარმ (გარდიგარმ მილის) (= გარ-

197. იხ. ქვემოთ

დიგარდმო); ელეგრე; ერთიორად // ცოტად; სუ; კელდაველ, დედადე (=ნელნელა, წყნარ-წყნარად), პირდაპირ...

ადრე (= მალე, სწრაფად), რამდენიმე შემთხვევაში ფერეიდნულს შემოუნახავს ძველი ქართულის მნიშვნელობა:

გადიო, გადი ექითაო, **ადრე** გამატარე ექითყეო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ველები იტკაცუნა, ეგრე. თქო, რო: რაჰთ'არ გოგოვებინე **ადრე**, მალე **ადრე** არ გოგოვებინეო [ქღკ, ირანა იოსელიანი].

უნდა ითქვას, რომ ზმნიზედა **ადრე** ფერეიდნულში დროის ზმნიზედის ფუნქციის გაცილებით ხშირად გვხვდება, ვიდრე ვითარების ზმნიზედის ფუნქციით.

ჩიქარ:

თორნე ავანთით, **ჩიქარ** პური დავაკრით [ქღკ, თუბა შაჰმამადი].

ისევე, როგორც ქართულში, ზმნიზედის ფუძეგაორკეცებული ფორმები ექსპრესიას გამოხატავენ:

ჩიქარ-ჩიქარ:

ყურძენ დავკრეფთ **ჩიქარ-ჩიქარ**. ჩავყრით ემაგ კალათაჩიგა [ქღკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (დავითაშვილი)].

შღრ: წყრან // წყრან-წყრან:

წაიღეფს და **წყრან** ყურჩი ჩადნჩუნჩულეფს... [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

რო მოიდენ სოფელჩი, თავის ყაფლას მიაბარა, რო ქენ **წყრან-წყრან** წამოღითო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ზომა-წონისა და ოდენობის ზმნიზედა:

ჯერ(ა) // ჯერზეგ(ა):

ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტებში, ქმნის კომპოზიტებს რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელებთან ან ნაცვალსახელებთან: ასჯერ, ერჯერ, ზოგჯერ, მეორეჯერ, მეროვეჯერ, ოთხჯერ, ორ-სამჯერ, ორას-ჯერ, რაგდენჯერ, სამჯერ, ხუთჯერ... ბეურჯერა, ზოჯერა, ორჯერა.

მაგის **მეორეჯერ** ვერვის ვერ უნახიაო და ვერც ნახავსო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

იმაშინ ემასაც ჩავდგამდლა და ზოგჯერ, მასლან, წყალს დავასხამთ დ წენად შაქჰამთ და ზოგჯერ მუაწითეფთ და ბრინჯთან შაქჰამთ [ქღკ, გულაბე ქარბალი].

ზოგჯერა იჩხუფებენყე, რო: ჩემ ფასტა არიო, ანს იძახის: ჩემ ფასტა **ზოგჯერა** იჩხუფებენყე, რო: ჩემ ფასტა არიო, ანს იძახის: ჩემ ფასტა არიო [ქღკ, მაგალი თოდუა].

ჯელ: ათჯელ, ბევრჯელ, ერთ-ორჯელ, ერთჯელ, ერთჯელ-ორჯელ, ერჯელ, მეორეჯელ, ოთხჯელ, ოთჯელ, ორ-სამჯელ, ორჯელ, რაგდენჯელ, სამჯელ, ხუთიჯელ... ბევრჯელა, ერთჯელა, ერჯელა, მესამეჯელა, ორჯელა.

ბევრჯელ მე და ცხონებულ სეიდ აღა რეზა ბიჭებთან სადღა იყო, რო ჩონ ჩაი არ დოვილევიან, ბევრგან! [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

თორელჩი ათასი კოდლიან, ათჯელ ასი, მაღლა. მეტობა ქართველიან. ყველგან ქართველებიან [ქდკ, თუბა შაჰმამადი].

მიზეზის ზმნიზედა:

ემისთი // ემისთინ(ა); იმისთი // იმისთინ(ა) (=ამიტომ); ამისთი // ამისთინ(ა) (=მაგიტომ).

ვერმის ჯგორათი ვერ ექნა, იმისთი, რო რეზა-ხანსა სუ გზები დეევირა [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

დღეს დავაკმარებთ იმისთინა, რო ქერიმ ხანის გაფი მინდა ვიამბო და გავრძელ-დების [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

იმამ თქო: თუ დაწოლამდი ეს ციცა არ გამოჩინდა, იცოლეთ, ციცა წასულა და ამალამ თოვლი მოვა. ხუთვენი შავქენით სიცილი, ამისთი რო მოწმენდილი დამე იყო და კინკალა ღურბელიც არ იყო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მიზნის ზმნიზედა:

ამისათი // ამისათინ(ა); იმისთი // იმისათინ(ა) (=ამისთვის); ემისთი // ემისათინ(ა);

ორ თეი საქართველოჩი ვიყაო. ქართულიც ესწავლა, ემისთი წაველ, რო გამოა-გო, რო აბა, ეს იქ ემას საბუთი რამე იქეფჩი აქო და ვერსა ვერ მოიპოვეო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მინდოლა წავიდე თეერანს იმისთი, რო წინა წელსა ჩემთი გემეერთოყე ბახტია-რებს ათასი თუმანი და [მინდოლა] შავჩივლო ყეინსა და ვაზირებს, რო გაქსინჯე, ბევრი საშიშო წელი იყო, სოფლის ქენარებზე კაცებს კლევედეს ხუთ რიალსათი [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

კითხვითი ზმნიზედა:

სად(ა); სადყე (=საიდან); საითყე // საითყენ(ა) // საიტყენაც; როს // როსა // რო-საც; რათი // რათ // რათი; რასათი // რასთი // რასათინაც; ვითმე // მითმე.

სუნთ იციან, საითყე მოსულვართ და ვინა ვართ, რა ვართ! [ქდკ, ეზათოლა თა-ვაზოჰი (ზაზა თავაძე)].

ახლა მე დავდებე იქა რო გაჩენოყე ქართულები სადყე ჩამოცივდეს [ქდკ, ჰა-მიდ რეზა ასლანი].

დევს ძრიალ გოუხარდა, თქო: ხოფო. მესამეც ესა, რო დუნია საით ვარაზე იფო მეტი არიო? [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

გზები შეეკრეყე მავსა, რო აბა, საით მოვდივარ, რო არ დავწუხდე, ვერ მამნა-ხეს. [აზიზოლა სეფიანი (სეფიაშვილი)].

ქართულს რასათი ლაპარაკობ? [ქდკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].
ვითმე // მითმე (როგორ):

უნდა ეგრე ღაღღე და ემ კაცს ეგრე გარდახტეს. ბეჭერი ცოტა ადამიანი ჩავარდების, რო ვითმე გარდახტეს [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

მე თუ ვიცოდე, ვითმე ეს საქმე გავარიგო, ვითმე ვიმუშავო, თუ გავაკეთე, თუ ვითმე მეცალოს. ვიტყვი: მოდი ჩუენსა. – თუ ვითმე მეცალოს, მოვალ, თუ არ მცალიაო [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

ახალ ტანისამოსი ჩეეცო და ერთ რამე ზედ თავზე გედეეფარაყე თხელი, რო ხედვედეს მითმე გარეთობასა [ქდკ, რეზა მიქელანი].

ამითა თორიან ღამე იყო, ნათელიოდა, ორნიველებმა ჩამოიდეს და თქეს, რო: აბა, მითმე გაღვადეფთ თუ არაო? [ქდკ, ესქანდერ სეფიაშვილი].

ვითმე // მითმე ზმნიზედა უნდა იყოს იგივე, რაც ძველი ქართულის ვითარ // ვითარმე. ვითარ-მე „ვითარ“ როგორ: ვითარ-მე უკუე ეგოს მეუფება იგი მისი?“... [აბულაძე 1973].

1.2. დეიქსისის საკითხისათვის¹⁹⁸

ცნობილია, რომ ქართულში გამოიყოფა დეიქტური ხმოვნები, რომლებიც ნაცვალსახელებსა და ზმნისართებში პირველ და მეორე პირთან დისტანციურ მიმართებას აღნიშნავენ [შანიძე 1980: 42; გოგოლაშვილი და სხვ. 2016 ბ: 242].

ა- პრეფიქსი პირველ პირთან სიახლოვეს აღნიშნავს: ა-მდენი, ა-სეთი... ა-ქ...

ე- პრეფიქსი აღნიშნავს მეორე პირთან სიახლოვეს: ე-გ...

ი- პრეფიქსი მიუთითებს პირველი და მეორე პირისგან შორს მყოფ საგანზე ან ადგილზე (სივრცეზე): ის... იქ... [შანიძე 1980: 42].

ზოგჯერ დეიქსისი განარჩევს პირველი და მეორე პირის ერთად ან ცალ-ცალკე ყოფნასაც: ეს – იგულისხმება პირველ და მეორე პირებთან მიმართება.

ეგ – იგულისხმება მხოლოდ მეორე პირთან მიმართება.

დიალექტებში პირველ და მეორე პირთან მიმართების ოპოზიცია შეიძლება შექმნას მ- თანხმოვანპრეფიქსმა: ასე – მასე... აქ – მაქ... [ჯორბენაძე 1988: 8]. ამგვარი ოპოზიცია უფრო დიალექტებს ახასიათებს, თუმცა სალიტერატუროშიც გვაქვს შენაცვლებულ ფუძეთა წყვილი: აქ – მანდ. შდრ: კახ. ანდე = აქ.

ძირითადი ოპოზიცია ქართულში ასეთია:

ა – I და II პირთან მყოფობას მიაჩნებს (პირველი პირი აუცილებელია, მეორე – შეიძლება იყოს, შეიძლება არა).

ე – II პირთან მყოფობას მიაჩნებს (მეორე პირი აუცილებელია, პირველი შეიძლება იყოს, შეიძლება – არა).

ი- მოშორებულია, როგორც პირველი, ისე – მეორე პირისგან.

198. დეიქსისის შესახებ იხ. აგრეთვე ნაცვალსახელებთან.

დეიქსისი ფერეიდნულში

ნაცვალსახელებზე საუბრისას აღვნიშნეთ, რომ დეიქტური ხმოვნები განსაზღვრავენ მიმართებას პირველ და მეორე პირთან. მსგავსი პროცესი შეინიშნება ზმნიზე-ღებთანაც.

ა- (/ან-) – პირველი პირისგან მოშორებულ პირს, საგანს ან სივრცეს მიანიშნებს (შესაძლოა ეს იყოს მეორე პირთან ახლოს მყოფი ან მისგანაც მოშორებული).

ე- პირველ და მეორე პირთან ახლოს მყოფობას მიანიშნებს (მეორე შეიძლება იყოს, შეიძლება – არა).

ი- მიანიშნებს, როგორც პირველი, ისე – მეორე პირისგან მოშორებულ მოქმედებას.

ა- პრეფიქსის გამოყენება ამ დეიქტური შინაარსით ერთ-ერთი მთავარი კონტრასტული ნიშანია ფერეიდნულსა და ქართული ენის სხვა ქვესისტემებს შორის. მას არა აქვს ანალოგი არც ძველ ქართულში და არც დიალექტებში.

ხშირად ეს ნიშანი გაუგებრობის საბაბი ხდება კომუნიკაციის დროს, რადგან მათთვის, ვინც ფერეიდნულ დიალექტს კარგად არ იცნობს, **ანქ** აღიქმება როგორც **აქ**, მაშინ როცა აღნიშნავს მოშორებულს როგორც პირველი, ისე მეორე პირისგან:

ანქ(ა) = იქა, ანს = ის (შესაძლოა ნიშნავდეს აგრეთვე: მანდ, ეგ);

ექ(ა) = აქ(ა);

იქ(ა) = იქ(ა)

ჩემ დედა ჩუღურეთს არი, თავით სახლი ანქ არი, მეძღა რაქთენ წელია გადმოსულვარ ექა, ჩონ სახლი ექ არი, რო გათხოვილვარ, მოსულვარ ჩონ ზენდეგანი ექ არი, ამითი ანქ არი [ქდკ, მოჰთარამა]

საღომის წაღლენყე, ღამით დაღვებიანყე ანქა და დილობისაცა მაჰქწელვენ და დაალაგებენ და მოვლენ თავით სახლებჩი [ქდკ, მოჰთარამა].

კიდემ მუალტყე ექა, ექ ვიქნებიტყელა თა ფაჰზობამდი, შამოდგომამდი და კიდემ წავალტყე [ქდკ, მოჰთარამა].

დაქუჩღებთან ბიჭები იქ, დურბინებს დოუბმენ თებსათი იქ, თა მაინახუენ [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ეხლა ორ-სამ კომლი ქართველია იქა, რაქთენ კომლიცა ქურთია [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ასეთივე დეიქტური მიმართებაა **ანს** და **ის** ნაცვალსახელებს შორისაც.

ანს ნაცვალსახელის წარმომავლობის შესახებ მაია მაჭავარიანი წერს: „ფერეიდნულმა მოახდინა სპარსული და ქართული ნაცვალსახელების კონტამინაცია და მივიღეთ ან+ისი→ანსი. ამას, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თვით ფერეიდნულში (კახურისაგან მიმდინარე პროცესი) ადვერბებში ვითარდება ნ სონორი: ანგრე და მისთ. ანსი ფერეიდნულში აღნიშნავს მოლაპარაკისგან შორს მყოფ საგანს და უდრის ქართულ ისი-ს“ [მაჭავარიანი 1985: 177].

მოსაზრება სპარსული კონტამინაციის შესახებ ძნელი გასაზიარებელი ჩანს. უფ-

რო საფიქრებელია, რომ **ანს (<ას)** ნაცვალსახელი ძველი დეიქტური სისტემის ნაშთია. ამჟამად ფერეიდნულში **ანს // ანსი** – იმავე მნიშვნელობისაა, რაც ნაცვალსახელი **ის (ზოგჯერ – ეგ)**. აღნიშნავს მოსაუბრისგან შორს მყოფს. **ანსი** მხოლოდ პირის ნაცვალსახელად გვხვდება, **ანს** კი შეიძლება პირისაც იყოს და ჩვენებითიც. მხოლოდით რიცხვში უბრუნველია, მრავლობითში კი გვხვდება სხვა ბრუნვის ფორმებიც. დაერთვის **-ლა, -ც** ნაწილაკები.

ანს // ანსი – მიუთითებს პირს, რომელიც დაშორებულია პირველი პირისგან.

ეს პირი შესაძლოა დაშორებული იყოს მეორე პირისგანაც (=ის) ან იყოს მასთან ახლოს, ან მისი მხედველობის არეში. ვფიქრობთ, რომ შესაძლოა თავდაპირველად **ანს** ნაცვალსახელი ისეთ მესამე პირზე მიუთითებდა, რომელიც მოსაუბრე პირთან ახლოს ან მის თვალთახედვის არეში იმყოფებოდა (ის შინაარსით **ეგ** ნაცვალსახელს უახლოვდებოდა. (შდრ.: ეს – ეგ; ეს -*ას), ხოლო გვიან შეიძინა და გაიფართოვა მნიშვნელობა მეორე პირთან სიმორის შინაარსითაც.

ვფიქრობთ, ქართულშიც და ფერეიდნულშიც უნდა გვექონდეს „მხედველობის არეში ყოფნის“ სემანტიკის განვრცობა სივრცული „მხედველობის არიდან“ „კოგნიტურ მხედველობის არემდე“ – როცა მეორე პირთან საზიარო მხედველობის არეში ხდება მითითება (დეიქსისი), არ არის აუცილებელი ამ პირთან მისათითებელი ობიექტის სივრცული სიახლოვე – საკმარისია, რომ ის იცნობს სივრცეს, რომელზეც არის საუბარი:

აი, უნივერსიტეტიდან რომ გამოხვალ, მანდ არის...

ხედავ, მაღალი ბიჭი რომ მოდის შენკენ? – ეგ არის...

ვფიქრობთ, სწორედ ასეთ, პირველი პირისგან მოშორებულ და მეორე პირთან „მხედველობით არეში“ იდენტიფიცირებულ პირზე უნდა მიუთითებდეს **ა-** დეიქტური ნაწილაკი ფერეიდნულში. თუმცა ტენდენცია ამ სისტემის მოშლისა შორს არის წასული და უკვე **ანსი** (რომელიც უნდა ყოფილიყო **ეგ** ნაცვალსახელის მნიშვნელობისა და **ანქ** (მანდ მნიშვნელობის) დღეს გვხვდება **ის, იქ** მნიშვნელობით: ანუ მოშლილია (იშლება) მეორე პირთან მიმართების აღნიშვნა.

ასე რომ, ანს, ანქ... ფორმები, ფაქტობრივად, ფერეიდნულში ხშირ შემთხვევებში უკვე ძნელი გასარჩევია **ის, იქ** ფორმებისგან.

პირველ პირთან მიმართებით დეიქტური ნაწილაკები ასე განლაგდებიან:

ე – ხმოვანი მიუთითებს პირველ პირთან სიახლოვეს;

ი და **ა** ხმოვანი კი – პირველი პირისგან დაშორებას.

მეორე პირთან მიმართებით კი ასეთი მიმართება იკვეთება:

ე – მეორე პირი შეიძლება ახლოს იყოს, შეიძლება – არა;

ი- მეორე პირი შორს არის;

ა- მეორე პირი შეიძლება იყოს ახლოს, შეიძლება – არა.

დეიქტური მიმართების კვალი შეიძლება დავინახოთ ფერეიდნულში დადასტურებულ ზმნიხედებში: მაშინ, ამაშინ, ემაში, იმაშინ. ამ ზმნიხედების გამოყენების სურათი არაერთგვაროვანია, ფერეიდნულში ეს ზმნიხედა გვხვდება სხვადასხვა ფო-

ნეტიკური ვარიაციით: **მაშინ(ა) // ემაში // ემაშინ(ა) // იმაში // იმაშინ(ა); ამაში // ამაშინ(ა) // იმიში // იმიშინ(ა); ემიში // ემიშინ // აშიშინ**¹⁹⁹.

თითოეული ეს ფორმა მაღალი ვარიაციულობით გამოირჩევა და ღლეს შესაძლებელია დადასტურდეს ფერეიდნის ნებისმიერ ქართულ დასახლებაში. ზოგჯერ ორი ან მეტი პარალელური ფორმა ერთი მთქმელის მეტყველებაშიც კი გვხვდება:

ესები რო გამთელღესო, იმაშინა ხალღი გაიგებსო და მოვლენო, რო იყიდონ შენყენაო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ერთველ ერთ მოლლა ყოფილა. ემე თაი ბატკანი ღობამ ერთ ემე ზე. თაფფაზე, ხო, ვერ [შედლ...] ჩამოიდეს. იმაში იტყის: ედ ხოდა და აი იცი ქე ემე. ავე ჩამამიყანე ქოით, ერთ ბატკანს შენთი დატკლავ. იმაში ემეს იქს, ჩამუა ქოვით, იმაში იტყის: ხოდა დაგატყუვლე [ქღკ, შაჰინა მულიანი].

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **იმაშინ** ფორმაში ი არის „აი“ ნაწილაკ-მორფემოიდის ფონეტიკური ნაირსახეობა; დასტურდება ქართული ენის დიალექტებში (თუშურში...): იმაშივე „აი მაშინვე“ (*// იმაშივი // იმაშინისევი*)...[ჯორბენაძე და სხვ.1988: 212].

დარეჯან ჩხუბიანიშვილის აზრით, „მაშინ ზმნისართი ფერეიდნულში იმაში(ნ) // იმიში(ნ) // ამაში(ნ) ფორმების სახით არის წარმოდგენილი. სხვადასხვა კონტექსტში იგი შეიძლება აღნიშნავდეს: „ძველად“ (= ყადიმად), „იმ დროს“, „მერე“, „იმის შემდეგ“... **იმაში(ნ) იმიში(ნ)** ფორმები ზემო ფერეიდნული სთვის (მარტყოფი, სიბაქი, ჩულრუთი, ჯაყჯაყი) არის დამახასიათებელი, **ამაში(ნ)** კი ძირითადად – ქვემო ფერეიდნულში (დაშქესანა, ბოინი, ახნა, თორელი) გვხვდება. ამ ზმნისართებშიც იგივე დეიქტური ხმოვანი პრეფიქსები გვაქვს, რომლებიც ნაცვალსახელთა და ზმნისართთა მთელ წყებას გაჰყვება და ენაცვლება ერთმანეთს იმიხდამიხედვით, თუ რა სემანტიკაა გამოსახატავი სივრცული და დროული მიმართებების თვალსაზრისით – I და II პირთან ახლოს მყოფი, თანადროული, თუ I და II პირისაგან შორს მყოფი და წარსულში მიმდინარე მოვლენები“ [ჩხუბიანიშვილი 2012 (2006): 165-166].

ჩვენ თვალი გავადევნეთ ამ სიტყვის გამოყენების „გეოგრაფიას“ ფერეიდანში. როგორც ფერეიდნელი ქართველები აღნიშნავდნენ ანკეტის შევსების დროს, ამ ზმნი-ზედას სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა ფორმით იყენებდნენ: დაშქესანა – **ამაშინ***; თორელი – **ამაშინ // მაშინ // იმაშინ***; მარტყოფი, სიბაქი – **იმაშინ(ა)***; თუმცა, მასალის შესწავლამ ნათელი გახადა, რომ განაწილების ეს პრინციპი ღლეს აღარ არის მკაცრად დაცული და ვარიაციულობა თითქმის თავისუფალია მთელ დიალექტში:

199. შესაძლოა, ამ მასალაში ხმოვანი ელემენტი ჩვენებითი ნაწილაკის ნაშთად მიგვეჩნია (ამაშინ // იმაშინ < *აი მაშინ; მაგრამ ასეთ შემთხვევაში აი ნაწილაკის გამარტივების ერთ-ერთი გზა აუნდა აერჩია დიალექტს და ასეთი პარალელიზმი, რომელიც გულისხმობს, რომ ერთ ვარიანტში ი – დაიკარგა, მეორეში კი – ა, ნაკლებად არის მოსალოდნელი. ვარიაციები შეიძლება გვექონოდა, ოღონდ ერთი მიმართულების პროცესის სხვადასხვა საფეხურის რეალიზაციების შედეგად (მდრ.: აი ახლა > აეხლა // ეეხლა // იეხლა (სამცხ. ჯავახ. და სხვ).

იმაშინ(ა):

ესები რო გამთელდესო, **იმაშინა** ხალღი გაიგებსო და მოვლენო, რო იყიდონ შენ-ყენაო (მარტყოფი) [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ეს ფაფუში დაიხუა ემ ჯორმა და შაათრია და შაიდა ქანდაჩი, იმაშინ ჯაარი ამოიდა (**სიბაქი**) [ქღკ, გულაბე ქარბალი].

დაჭეფ შენეტავთ ხურდა და **იმაშინ** ემეს ვიქთ შაჭამადს შავიქთ და და ვაგარი-გებთ, და შაფხრეტავთ (**ჯაყჯაყი**) [ქღკ, ბაბირუსა ბარათი].

ჰა, მასალან, **იმაშინა** იგეთ აბრუ გოქონდა, რო ახუნდმა რო მოიღისეე დოგონიკ-ვინოს, ჩადრი წამოიხსიტყე და წაიფარიტყე... **იმაში** მამამთილი რო შამოიღისეე, ფეკ ზე ოოდვიტყე და პირი აიხუიტყე. ეგრე დაიჭირიტყეა. მამამთილის ეხათი გო-ქონდა (**ჩუღრუთი**) [ნარგესი აბასი].

იმაშინ უთხრითყე: ჯიინალი, მასალან, ლაბასი ვაგრეც ხეთყე, ჯიინალეებზე გა-შალეყე, გახმეს (**თორელი**) [ქღკ, ჯამილა ზამანი].

ეს გომის პირზეა, იმაშინ ცოცხი გოოყუდიან და ჯოხეები გეშეკეიღნების (**თო-რელი**) [ქღკ, ჯამილა ზამანი].

მე **იმაშინ** გავთხოვდი სი სო სარე მუღ. გავთხოვდი, ჰამ, რას მაგონდებისა! (**დაშქესანა**) [ქღკ, ფარაჰნაზ ხოსრაგი].

ჩონა, ჩონა ბაიტები ვიყენვით, მასალან, **იმაშინ** რო შოგოსმო, ოთხია და ხუთი წლისა ვიყენვით, ია ექსი (**ახჩა**) [ქღკ, ქერიმ ალა დარვიში].

მე ფარუნდარსაყე წასულიყავ, **იმაშინ** სოფელსა აბახშარი ძყყვანდა, ფარუნდარ-რი არა ძყყვანდა (**ახჩა**) [ქღკ, ქერიმ ალა დარვიში].

ამაშინ:

მე მქიან რეჰიმა ონიკაძე, რო შაქენება ონიკაშვილი. **ამაშინ**, რო ანსეფს სამარ-თლის – რას იდახიან? – სეჯელით რო გამუართი, თქეს: ონიკაშვილი არ დადწერე-ბის, ვთქი: ონიკაძე დაჰწერეთ-მეთქი! (**მარტყოფი**) [ქღკ, რეჰიმა ონიკაძე].

ემებმა ხო არ იციან, ახლს რო, **ამაშინ** რა ყოფილა (**მარტყოფი**) [ქღკ, რეჰიმა ონიკაძე].

ამაშინ რო გუნდა, ერთი ქორწილი ვქნათ, წავალთ, ყორი თორმეტის წლისა. და თოთხმეტის წლისა. ამას ვიტყვით – ვითხოვთ, დავნიშნავთ (**მარტყოფი**) [ზეინალ აბედინა რაჰიმი (დაუთაშვილი)].

ამაშინ რო შამოიდეყე ექა! ბაიტა ვიყავ, რო გამოიქციყე [გამოვიქცეოდი ხოლ-მე] და რაჯურათ ჩემ თავ უყორღისეე და მიხაროდის, ახანწელზე შემოიდე ემ სახ-ლჩივა, ის მე მიხაროდენ. ეს, ბიდა მოხტარ, ჩონ მამის სახლია (**ჩუღრუთი**) [ქღკ, ჰამიდ რეზა ასლანი].

დაუსილები იყნენ **ამაში** (დაშქესანა) [ქღკ, ჰაჯი ნაზემა ხოსრაშვილი].

ამაშინ ის ძალალ კაცი იყო და ნამა ყორალი კაცი იყო (**დაშქესანა**) [ქღკ, შაჰინა მუღლიანი].

ამაშინაც ელს გორჯიები ქართუელების სახელი დამჭრელებულა მეტობას წიგ-ნეფეში (**თორელი**) [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

ანბანი ეწერა, ქართველ ანბანი ეწერა მიველ და უჭრიტე, **ამაშინ**, რო მე უჭრი-

ტე, ყალბანომ ამაზე გაიგო, რო მე ემე ვარ, ქართველი ვარ და სპარსული არა ვარ. (ახნა) [ქღკ, ქერიმ ალა დარვიში].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთი მოქმედის მეტყველებაში დასტურდება ამ ზმნიზედის რამდენიმე ფორმა:

თუბა შაჰმამადი – (თორელი) (იმაშინ – 5; იმაშინა -3; ამაშინ -1; იმიში -2)

ეხლა აღარ არილა ისი, გაასწორეს. **იმაშინ** ეგრე იყო. ეხლა ქუაღა ყრია და ცოტადლა არი.

იმაშინცალა რო მოდცალიტყე, რო უნდოდისყე, რო ეს თაის მატყელი ჩავასთოთ და ჯეჯეიმსათი და ყალიჩასათი, გოვადიტყე ეს ემე ფევი ემ აკუანჩი და ვაქანებდიტყე და ხო აღალალა...

ღიახ ნამად ხოში იევისყე **იმაშინ**.

ამაშინ წადლითყე, შილდი წყარო, წყალი მოდტანითყე, ჩავასხითყე ერთ ემდენ კოჭობაჩივა...

დახატულად ქოთნებჩი ყათული ჩავადედიტყე თადრებჩი, **იმიშინ** ზამთრისათინ თუ გუნდოდისყე შადნახოთ, ერბო დავასხიტყე ზედ, რო ნამა შადნახოს, ყათულზე ერბო დავასხიტყე. ზამთრის, **იმიში** რო გარდავხადით პირი...

ერ თალაქა ჰარარათი მიტციტყე და ნამად ნალები ამოდის და ფარჩილზე **იმიში** დავაფინიტყე, დახატული ჭამანი ჰქონდა იმასა, ნამად ნალები იყო.

იმიში:

და **იმიში** გერიმ მოდდა ემ ვირმა [ქღკ, მაჰინე ასლანი].

მაჯემას მადტანენ და, **იმიში** მოილენ და მასლან ეს მადტანს, შაინახავს, ემ მაჯემას ეგრე წამატარებს [ქღკ, თალათე ათაი ასპანანი].

მარქაბის ჩირალები ავანთიტყე, **იმიში** ხო ბარყი (=დენი) არ იყო? [ქღკ, ასლანი].

ფერეიდნულში ერთმანეთის გვერდით პარალელურად გამოყენებული ფორმები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა დიალექტში ეს ნაწილაკები გარკვეული დიქტური ფუნქციისანი არიან. ისინი აღნიშნავენ მოქმედების დროს და თითქოს მიანიშნებენ, თუ რა მიმართება აქვს მოსაუბრესა და თანამოსაუბრეს დროის ამ მონაკვეთის მიმართ:

ამაში(ნ) = ამ დროს

ამაშინ ქი მოდდენ გორჯესტანსყენ, ორი ძუმა იყენენ – ერთ ხოსროვი იყო და ერთი ბაბაი [ჰაჯი ნაზემა ხოსრაშვილი].

აჰა, ბეჭირი სადა იყენენ, დაჭსილები იყენენ **ამაში** [ქღკ, ჰაჯი ნაზემა ხოსრაშვილი].

იმიში(ნ) = იმ დროს

იმიში ერ დღეს ეს ყორი წავა წყაროსთან დაჯდების თა თაის ქაქში ჩავარდების წყალჩი [ქღკ, მოქმედი უცნობია].

ახანზალს წადევანენ აბონეჩი, **იმიშინ** ინას დაალობენ, დაადებენ თავზე, კელებზე დაადებენ, ფევეებზე დაადებენ. დახატულად შაინახვენ [თალათე ათაი ასპანანი].

ემაშინ = ემ დროს

ჩონავო მოსულვართ: ქეჩა წაფლოთ ექითაო. მას ნება მოგეო, რო თითოს ერთ ქუიდ წაფლოთ ექითავო, დანი ცოტა მამეცითო, და ემაშინ ალა მაჰმად ხანმა სომხებს უთხრაყე, რომ ერთი პური შააჰამეთყეო... [ქდკ, მთქმლი უცნობია].

სამავარი აქთყე, ემაშინ სტუმარი რო მოსულა, მოოტანიყე, ანს ოქროსეები [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ემდენსა ვბლაოდი ქე ლა მე რა ვიცი. მითამა ფტიროდი. ემაშინ ახანძლებმა ვერე იცოლენ [ქდკ, თუბა შაჰამადი].

მოიდენ ქე ზალი წაიყვანონ და შულული შაიქნა და უკრავდენ, თამაშობდენ და ემაშინ ქე თამაშობდენ... [ქდკ, მთქმელი უცნობია].

ადვილები, ემაშინ ქუჩები ვერე დიას არ ეტყობოდა სახლები. ერთ ჯგუფს დაიძახებდეს რო მინთ კარია, მინთ კომლია, კომლობა, ჰა! [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ემაშინ რომ ჩემ მოყვანამ სკოლა დაამთავრა, ბოინის შულლი იყო [ქდკ, შაჰინა მულიანი].

ემაშინ რომ იმალებიან, ხო, ეს ერთ ჯგუფი ის ერთს – დამალულა და და ისები რო დამალულებია, ეს რო უნდა მოედებნოს [მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ემაში // ემაშინ(ა) // ემიშინ ფორმებში ე- იგივე ოდენობა ჩანს, რაც დეიქტური ნაწილაკი ე-.

მსგავსი მიმართებები დასტურდება ნაცვალსახელებშიც: ასეთი // ისეთი // ესეთი; ზედსართავებში: ამდენი // იმდენი // ემდენი.

ასე რომ, მაშინ ზმნიზედის ნმოვანპრეფიქსიანი პარალელური ვარიაციები უბრალო ფონეტიკური პარალელიზმები კი არ არის, დეიქტური სისტემის პარადიგმული რეალიზაციებია, რომელთაც დეიქტური შინაარსი ან დაუკარგავთ, ან ძალიან მკრთალად შემოუნახავთ.

1.3. ზმნიზედების ჯგუფები წარმოების მიხედვით

ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ზმნიზედები. მიცემითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ზმნიზედები: დღეს, ახლოს, შორს, შორიახლოს, წელს, დღეს, ღამეს...

ნათესაობითი ბრუნვისნიშნიანი ზმნიზედები: ზამთრის, ზაფხულის...

ნათესაობით ბრუნვაში მდგარი ზმნიზედა დროს გამოხატავს:

თოვლმა უთხრა ბალახსა, რო: სადა ხარო, რო ზაფხულის ივრე ბიბინებდიო? [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

იმ ზამთრის ჩონ სოფლის ხალხმა დააწყვეს რო იყიდონ ცხორი, სასუქები – დაუძახით ყოჩებს [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ა გაზაფხულის თესლსა, ზაფხულის თესლსა, ზაფხულის დავთესავთ. ზაფხულის თესლს დავძახით დიკასა, დიკას დავძახით [ქდკ, რეჰიმა ონიკაძე].

ილ იმ ზაფხულის ჰოქუმათმა მოვთხოვა მეთოფეები, რომ წავიდენ [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ზაფხული სუყელას საქმეჩი ოფლს ღრიან [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ღახატულად ქოთნებჩი ყათული ჩავადელიტყე თადრებჩი, იმიშინ ზამთრისათი თუ გუნდოღისყე შადნახოთ, ერბო დავასხიტყე ზედ, რო ნამა შადნახოს, ყათულზე ერბო დავასხიტყე. **ზამთრის**, იმიში რო გარდავ ხადით პირი, თააზა-თაზა ყათული... და არ დამყაღღისყე. იმეფს ზამთრის მასრაფს ვიქქოღით და დიახ ნამა... [ქღკ, თუბა შაკჰამადი].

ჩონ ბასტაკანს ვიტყვიტყე, ისი დავავიტყე ყურუთად, მოღტანიტყე, **ზამთრის** ის გამოქლესიტყე, ქალაჯუში გავაკეთიტყე [ქღკ, მოჰთარამა].

ზამთრის თოქლი რო მუა ბეჭერი, ეხლას ზედ წიმა მუა, გერიმ თოქლი დეედების, ეს ზოვი დაცურდების...

საბანი შაკჰერიტყე, გადაჭფარიტყე ზამთრის ქურსჩინა, რო ემე ცივა ჰა ზამთრის ექა. შივა მატყელი ჩაჭღვიტყე და ბამბა ნამად ბამბას ჩადღებენ, ემ მატყელსა და შადჰკერვენ დახატულად საბანსა და დააფარებენ, **ზამთრის** იგეთ თბილია ქურსი [ქღკ, ზეინაბხათუნ ლაჩინანი].

ზამთრის კოჭობანი ჩოჭყერიტყე, მასლან, ვორცს რო დაჭნაყავთ, ვორცჩი ოორევეთ, კერცხნი ოორევეთ, ემ კერცხს რო გავაკეთეფტყე, ემებჩი გორდოორევეტყე.... ეხლას კი ზამთრისა წადღიტყე შეშალა, ეგეთ დროს მოღტანიტყე ვირებითა... ეხლას კი ზამთრისღა ხორბალი დავქბიტყე წყალის წისქიღჩივა.... პური – ესები დავაკერიტყე, ერთ კიღობანი შავაწყიტე – ზამთრის გოქონღისყე... [ქღკ, ასლანი]

ემასა ტუმრებით ჩამადტანენ და ჩაჰყრიან საბძელჩი, რო **ზამთრის** გოქონღეს [ქღკ, ჰაიათ იოსელიანი].

ემ თაჩინა **ზამთრისა** კაცებმა თოფით სნადირით წაიღიანყე [ქღკ, ჰაიათ იოსელიანი].

ქორწიღები იმაში ზამთრის იყვისყე, სუ **ზამთრის** იყვისყე. ზაფხულსა ხალღსღა გეეთავისყე, რამერუმე არა ჰქონღისყე, ეხლას თაჰეა დავიჭირიტყე, რო ზამთრის ბიჭი დავაქორწიღოთ, ზამთრისღა ბიჭი დავაქორწიღოთ [ქღკ, მეჭრი ასლანი].

შემევეყრებიტყე **ზამთრისა** და წავალტყე, მუალტყე ერთგანა და შაბნეშინღა და დავსნდებიტყე. და **ზამთრის** წავალტყე მასლან, ჩემ აღას, მასლან, ვნახავთ, ჩემ ჰავჯი აღას, ჩემ ამუას, შემევეყრებიტყე ვალი **ზამთრის** მარტუკაღა [ქღკ, მერი ასლანი].

ფიადას თოქლჩი, ფიადას, რაის ცხენითა, ცხენი საღღა იყო **ზამთრისა** [ქღკ, მეჭრი ასლანი].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მსგავსი ფორმები დამახასიათებელი იყო როგორც ძველი ქართულისთვის [შანიძე 1976: 141], ისე თანამედროვე ქართულის მთის კილოებისთვის [შანიძე 1980: 590].

ეს ფორმები საზღვრულდაკარგული მართული მსაზღვრეღებია. სშირი ხმარების შედეგად შესაძღლებელი გახდა მხოლოდ მსაზღვრელით გადმოცემულიყო მთელი სინტაგმის შინაარსი: ზამთრისა ყამსა → ზამთრის ან ზამთრისა ხანსა → ზამთრის ან ზამთრისა დროსა → ზამთრის [უთურგაიძე 1956: 99].

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომ ძველ ქართულში სახელის გარემოების ფუნქციით გამოყენება, ასევე მთის დიალექტებში ზამთრის, ზაფხულის ფორმების არსებობა დაკავშირებულია სახელთა ბრუნებასთან – ამა თუ იმ ბრუნვაში გაფორმებული სახელი სინტაქსურად გარემოებაა, ზმნით გამოხატულ მოქმედებას ავსებს თანამდევი რაიმე სხვა თვისებით [გაბუნია 1993: 22].

თანამედროვე ქართულში „ნათესაობით-მიცემითის ფორმას გვიჩვენებს ადგილისა და დროის გამომხატველი სიტყვები (დროის გამომხატველები საწყისებია): მეზობლისას, ბიძისას, ჭავჭავაძისას, გაკვეთილის დაწყებისას, სხდომის გათავებისას და მისთ“ [შანიძე 1980: 590].

ფერეიდნულში ნათესაობითში მართლაც ზმნიზედის ფუნქციით გვევლინება მიცემითსა და ნათესაობითში მდგარი დროის გამომხატველი საწყისები:

იმაშინ ნამა მისლა-მოსლა ერთმანერთში და მოიწყობთ ქორწილებს, ქორწილებსა და თაჩი წასლასი, რო მენადირობა იყოს [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ქაფანაკებთ გაღვიფარეთ და ბარნები, თა იქამდი, რო წიმაპ აიყარა. რო გავიხედეთ, განათლა დილობასი [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ნათესაობითში უნდა იდგეს ასევე ზმნიზედა **მერვის(ა)**.

მოქმედებითის ბრუნვისნიშნიანი ზმნიზედები: ექით, ძალით // ძლით, დღესით, ღამესით...

შდრ.: თანამედროვე ქართულში დღესით (ნათ. ბრუნვის ფორმას (დღის), მოქმედებითის ნიშნით გავრცობილს: **დღ -ის-ით** (შემოკლებით დღისი) [შანიძე 1980: 591].

ვითარებითის ბრუნვისნიშნიანი ზმნიზედები: ნელათ, მრუდად, კობლად, ამკარად. დადასტურდა საინტერესო ფორმები, როცა თავად ზმნიზედა გაფორმებულია ვითარებითი ბრუნვის ფორმით:

ადრედ:

საადრედ, ადრედ რო იწვევის, ერთი ის არი... ზუდრე [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ნელად:

ჰკითხა, რო შენი საპალნე რა არიო, ხორბალია თუ ქერიო. ამ კაცმა წყრან, ნელად ამბობდა, თქო, რო: ქერიო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ფერეიდნულშიც, ისევე როგორც მთელ ქართულენოვან სივრცეში, ვითარებით ბრუნვაში დასმული ზედსართავი სახელი ზმნიზედის ფუნქციას ასრულებს:

ნამა – კარგი; **ნამა** // **ნამად** – კარგად.

სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში ზედსართავის მნიშვნელობით დასტურდება ფორმა **ნამაი**, ზმნიზედად კი – **ნამა (ნამად** არ გვხვდება).

ნამაი სოფელი იყო და! [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

აქუსს ნამაი წყალი და ნამაი ბალებიც ბეჭრი აქ [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ერთი ნამად ამხანაგი იქა მყვანდა [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ცხენებსათი ნამად ბალახი იყო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ზედსართავის ფუნქცია აქვს:

შედგენილი შემასმენელის სახელურ ნაწილად:

ნამაი არი, რო ექაც ჩავიდე და მოიარო, აბა რა არი... თქო, რო: **ნამაი არი**, რო ავ-
დგე და ავიდე, დავათორიאלო, აბა რა არი [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ზამთარი დიდი იცის. ჩონ მარტყოფი თების შუა არი. ქომთ მარტყოფიც ოთხი
ვერსი დაშორებით არი, იქ **ნამად** ჰყავ, დიდარები, ქონიარები [ქდკ, სეიფოლა იო-
სელიანი].

გარემოების მსაზღვრელად:

იქ ჯორცი **ნამად ძირად** იყო [ქდკ სეიფოლა იოსელიანი].

... ამოიღე ერთი ნამად წინდა, ნამად – კარგა ვაპატივეყე [ქდკ, სეიფოლა იოსე-
ლიანი].

მასდარებთან **ნამა** ზმნი ზედური ფუნქციით გვეკვლინება და არა ზედსართავის:

ნამა მისლა-მოსლა ერთმანერთში და მოიწყობთ ქორწილებს [ქდკ, სეიფოლა იო-
სელიანი].

ზმნი ზედის ფუნქციით სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში მხოლოდ ნამა ფორმა
დასტურდება:

ც ხენებს ღამით ნამა უყურე [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

დღეს რო ოთხი შაბათი არი, **ნამა** მეცალა, შინ ვიყავ [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ნამა დაიკოლთებიან და ფად შამზე წავლენ თასათი [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ნათელია, რომ სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში **ნამაი** // **ნამად** ფორმა ზედსარ-
თაულია, **ნამა** კი – ზმნი ზედური.

რა სურათია დღეს ამ მხრივ ფერეიდნელ ქართველთა მეტყველებაში?

დღეს დასტურდება ორად-ორი შემთხვევა **ნამად** ფორმის გამოყენებისა ზმნი ზე-
დალ:

იმ პრასასაც ვაკვების, ვპელი პრასასა **ნამად** ემე დავაწმინდავებთ და ჩაფყრი-
თე შივა, იმაში ერბოჩი ჩავასხამტყე თა ნამა მოწითდეს და იგეთს შაფჭამტყე [ქდკ,
მოჰთარამა].

ის რო ვრძელ-ვრძელია არი, ერთ მეტრის მეტსლა აი, ორ თეს უკანაცლა რო
ნამად ეტყობა, იმეფუსა დაფჭრი [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ქართული დიალექტური კორპუსის მასალის შესწავლამ ნათელი გახადა, რომ
დღეს **ნამა** ყველგან გვხვდება როგორც ზმნისართი (იშვიათი გამონაკლისის გარდა),
იგრძნობა ტენდენცია, რომ ნამა არა მხოლოდ ზმნი ზედის, არამედ ზედსართვის ფუნ-
ქციითაც იქნეს გამოყენებული; ეს ძირითადად ეხება დაშქესანას, ახჩასა და ბოინ-
თორელს:

იაზღონშაჰრში მცხოვრები (სავარაუდოდ, დაშქესანადან):

ბოინი **ნამა** შაჰრია, გონჯი არ არი [ქდკ, ჰაჯი ნაზემა ხოსრაშვილი].

დაშქესანა:

ამ დღეს ჩუნ გავალთ მინდორში და ბიაბანებში, ბალებში, სადაც იფო **ნამა** ადგი-
ლები იყოს – სახედავი, წავალთ [ქდკ, შაჰინა მუღლიანი].

რა ჯერ **ნამა** ხალღები და ხოშთიფები და **ნამა** ხალღები. ესები ექა უკრავენ და თამაშობენ [ქღკ, ფარშაღა მუღლიანი].

ნამა ფორმა ზედსართავის ფუნქციით დასტურდება ძირითადად მარტყოფისა და მისი წრის სოფლებში. გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, როცა თორეღელი და დაშქესნელი ქართველი იყენებს **ნამა** ფორმას ზედსართავის ფუნქციით:

თორეღი:

შინაჟრ ერბო ჩავასხიტყე, **ნამა** იყვისყე [ქღკ, თუბა შაჰმამადი].

ღიას **ნამა** ბარნამები იყო ემ წინანღელ ბარნამებჩი, მასღან, ქორწილებჩი, **ნამა** ქორწილები იყო [ქღკ, თუბა შაჰმამადი].

იქეფჩი წადღეტყე, **ნამა** დახატულ ხოშგოზარუნობაზე და **ნამა** აღვიღები და... [ქღკ, თუბა შაჰმამადი].

ერთ ბერ კაცი იყო, ერთ **ნამა** ბალი ემ გუსტუკანს ჰქონდა, **ნამა** ბალი, რო ყურძენები დაღჭერდა... [ქღკ, თუბა შაჰმამადი]²⁰⁰.

დაშქესანა:

ეს ურცი, მასღან, **ნამა**თა თავისთი [ქღკ, მთქმელი უცნობია].

დაშქესანაში ჩაწერილ ტექსტში ზედსართავად გვხვდება როგორც **ნამა**, ისე **ნამა**:

ჰა **ნამა** კართოფილი გოქ [ქღკ, ფარშაღა]

რა ჯერ **ნამა** ხალღები და ხოშთიფები და **ნამა** ხალღები. ესები ექა უკრავენ და თამაშობენ [ქღკ, ფარშაღა].

ანჩა:

ძალიანა, **ნამა** წერა-კითხცა, **ნამა**, **ნამა** წერა-კითხვა არჩივნა...

თუმცა იმავე წინადადებაში ამავე ფორმას ზმნიზედად იყენებს: **ნამა** წიგნსა კითხობს და **ნამა** წერავს და! [ქღკ, ქერიმ ალა დარვიში].

ფერეიდნულში საყურადღებოა ის შემთხვევები, როცა ზედსართავი სახელი ზმნიზედის ნაცვლად მიემართება ზმნას: **ნამა**იც გარდმომცხეს, გარდმომისროლეს.

/ერთი კარგიც (= კარგადაც) შემომცხეს.../.

-ივ სუფიქსიანი ფორმები: აშკრივ, მალივ, ძლივ // ძრივ, ხმამალივ...

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, **-ივ** სუფიქსი არის უძველესი ბრუნვის ნიშნის ნაშთი. ეს ბრუნვა უნდა ყოფილიყო მოქმედებითი ბრუნვის ერთერთი სახეობა, რომელსაც ამჟამად ზმნიზედური გამოყენება აქვს [შანიძე 1980: 76].

აშკრივ²⁰¹:

ქართველები ანს აკეთებენ, ეგრე **აშკრივ** არა [ქღკ, სედიყე ასღანი].

200. ამ მთქმელის საუბარში მკვეთრადაა გამოიჯნული **ნამა** // **ნამა** და **ნამა** ფორმები ერთმანეთისგან, როგორც ზედსართავისა და ზმნიზედისა.

201. პარალელურად გვხვდება **აშკრით** ფორმა: აქლემი ძალვით იმაკეფს და აშკრით მაიგეფს [ქღკ, აბოღყასემ აჰმადი].

მარცხნივ და მარჯვნივ:

ვევხმა **მარცხნივ ან მარჯვნივ** წამოიდა ემისთიო და კლანჭით წაფრინდა, წაღ-
ტაცა ეს პერანგი და გულისპირი და ესები გოიხივა მოყმესაო [ქღკ, მუხტარ ასლანი
(დარჩიაშვილი)].

მალღივ:

მე მალღად ვამბოფ, შენა მა, აბა, ცოტა **მალღივ** ზემოთ, ხო? გეშინია, თხა გე-
გექცეს? [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ცხადღივ:

ჰა. ესლამურად არ დვღების **ცხადღივ, ცხადღივ** [ქღკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშ-
ვილი)].

ძღივ // ძრივ:

იმ წელს ნახევარზე **ძღივ** აშენდა და მეორე წელსა გერივაც დააყენაყე მუშაო-
ბაზე [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ერთ თოფის ეღ [ესანითი] ჩონ გოქონდა, **ძრივ** ვატარებღი და ვერ ვესროლეყე
[ქღკ, აქბარ ასლანი].

ზმამაღღივ ტიროღი სყე [ქღკ, მუხტარ ასლანი დარჩიაშვილი)].

ქართვეღები ანს აკეთებენ, ვგრე აშკრივ არა [ქღკ, სედიყე ასლანი].

თანღებუღიანი ზმნიზეღები: ძირზე (=ძირს), ექამღე // ექამღინ // ექამღი;
შუაღი; ბოლოღი; კარღი; განზე; გერძე // გერზე // გერღზე // გერძენ(ა), შორი-
ღან // შორითყე²⁰²; ზევით, ზევითყე, შიგნითყე, ქოითყე, თავსაყე, ღოურაზეგა
// ღოურზე, ერთ ვარაზე, ჩაფა ვარაზე, ამ ვარაზე, ამაშინამღე... თა (=მანამღე),
შუაზე, საითყე... იმაშინებში, იქებში, სუწეღებში // მუღამ წეღებში, ზემოთღი,
ქომოთებში...

როგორც ვხეღავთ, ზმნიზეღები გვხვღება **-ზე // -ზეგა, -ღი, -ღან, -მღე** თანღებუ-
ღებით და **-ყე** ნაწილაკით, რომელიც **-გან** თანღებუღის ფუნქციით გამოიყენება.

ამ ჯგუფიღან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ზმნიზეღები, რომლებიც მი-
ღებუღია **ებ-იან** მრავლობითზე დართული **-ღი** თანღებუღის დახმარებით:

ჩონ ის ამბავები ვიცით, რო ერთ აღამიანმა რამღენი ჯარითა წამოღდა და რამღენ
სოფეღღი ჩაღდა და იქა ან რამე წართოყე, ან თავით ყმაწიღებში, ან თავით ქაღებ-
ღი, **იქებში**, თავით სოფეღღი შაღდა [ქღკ, კოლა ონიკაშვილი].

სანგარები გორებზე ქუაით ვაკეთებულ გოქ. ისენ არი ეხლა. **იქებში** ღოუღვიან-
ყე დარაღითა და ვერ შამოიღიან [ქღკ, მაჰმად ბათუაშვილი].

ეხლა კი ჩონ **იმაშინეღი** ეს შუღღები რო ყოფიღა, ერთ ალაგია, დაღრიგანს
დავძახით. ექა ქართვეღები არი და სხიღ თები არი [ქღკ, რეზა მიქეღამე].

ეს ექთენი რო ჩამოვთოღე, სუ ძალით წართმეღღია ნახეღ წელზე. ხოღა, ჩონა
და ჩონი რაყიათები რაღა დავციღღებით, **მუღამ წეღებში** რო ეგთენი გორთონ გე-
რივაც. გერივაც ჩონ ქართვეღები ვიყნევით, რო ეს ცოტა მამუღები შავინახეთ და
ნახეღაზეღა ჯანი გუღდა [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

202. ყე ნაწილაკი აქ თანღებუღის მნიშვნელობითაა (იხ. თანღებუღები).

დილობები ადვისყე და პური და ესები ადლისყე, წადისყე მინდორჩი ერთ ბერ კაცი [მეპრი აბასი].

ამ ტიპის სახელები დროსა და სივრცეში განსაზღვრავენ ზმნით გამოხატული მოქმედების არეალს. **ექ კი არა, ექებჩი**, კონკრეტულ წერტილში კი არა, არამედ სივრცულად შემოსაზღვრულ, მონიშნულ გარკვეულ ტერიტორიაზე – **აქაურობაში. იმაშინებჩი** – ერთ კონკრეტულ შემთხვევას და დროს მომხდარ მოქმედებას კი არ განსაზღვრავს, არამედ გულისხმობს დროის იმ ხანგრძლივ მონაკვეთს, რომელშიც გადმოცემული მოქმედება ხდებოდა გარკვეული სიხშირით ან ინტენსივობით (= იმ დღეებში, იმ წლებში, იმ ეპოქაში...): **იმაშინეფჩი, ეს შულლები რო ყოფილა...**

მუდამ წელებჩი // სუწელებჩი, დილობები... ეს ზმნიზელები მოქმედების მრავალგზისობას, ინტენსივობას უსვამენ ხაზს.

ზმნიზელის კომპოზიტიური ფორმები:

ტოლად შერწყმული: **წყრან-წყრან, ჩიქარ-ჩიქარ, ნელა-ნელად...**

გაათბობს და დოოზელავს **ნელა-ნელა დოოზელავს და იმას შოოკრავს თა სამში დღემდი** [ქდკ, ირანა იოსელიანი].

და კავშირიანი კომპოზიტები: **ველდაველ, თანდათან, ფევედაფევე...**

ივრ უყორდაყე, რო ელა ველდაველ ატარებდიანყე ემ ყორსა [ქდკ, გულჩერა ხუციაშვილი].

ტატიმ უნდა ყველაზე, სუსყე მეტი, ფული ჩაყაროს, ველის მომკიდემ და მერე ბიძები და მერე დელის ძმები, ძიები დ"ად და მერე თანდათან რიგზე [ქდკ, შაჰინა მულიანი].

კომპოზიტის შექმნაში მონაწილეობს სპარსული წინდებული **ბე ხე**: **სოფელბე-სოფელ** (იგივეა რაც **სოფელ-სოფელ**); **დღებდღე...**

თავის ბიჭიც **დღებდღე** იზღებოდა და იგვანდებოდა ერთი შაჰზადას [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ამ ტიპის ფორმები მოვლენების ექსპრესიულ გამოხატვას ემსახურება.

ზმნიზელა ერთველ.

ზმნიზელა ერთველ რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება: **ერთველ** (Adv) უცბად, ხან, ერთიც რომ, ერთხელ [ბერიძე და სხვ. 2018].

ერთველ (= ერთიც რომ): **ორ-სამველ მაყრობაში წაველენ ხალღი, ერთველ, ერთველ მზითებს მადტანენ, ჯაჰაზიე... საქონელს ყორის ჯარასყე მადტანენ, მადტანენ და დააწყობენ სახჩი** [ქდკ, შაჰინა მულიანი].

ეხლა კი ერთი ფათუც გადტანოთ, დანი, საბანი, ბადტა საბანიც გადტანოთ, რო ერთველ რომელსაცა ჰცივა, გადადფაროს [ქდკ, რეზა მიქელაძე].

ემ ჩემ ოლტაშის დედაკაცია ანქა, უნდა ყმაწილი ჰყუანდეს და გადი ანქა, ერთველ არ ელონოს [ქდკ, რეზა მიქელაძე].

ერთველ (= ერთხელ): ერთველ ერთ მოლლა ყოფილა. ემე თაი ბატკანი დლობამ ერთ ემეზე [ქდკ, შაჰინა მულიანი].

ჩემ ძმა აღია ეხლა ჰაღ გამუყაყე წელჩი ერთველ და ჩემ ძმის ყორებიც ანქ არიან [ქღკ, თუბა შაჰმამადი].

ერთველ (= ხან): ეხლა კოჭობა ჩავღვით, ჳორცი ჩავღვით და ერთველ თუ ბრინ-ჯი გოქონდის ელა, თორნერი ჩაჟღვითყე [ქღკ, თუბა შაჰმამადი].

ერთველ (= უცბათ): იქ ღიღი აღვიღი და ქვეყანა // ღუნია არი და ცოტა ბღუნა. მიიხედა, მაიხედა, რო წყალი დაინახოს, ერთველ მეესმო [sic] ერთი აჯაიბი ჳმა, რო ღოუკიველეს: ოდ ადამიანო, მინა ხარ და რა გინდაო? [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ზმნიზეღა ეხლაკი – მისი მნიშვნელობებია: ერთხლაც, ახლა კი

ბად წავღენ. ეხლაკი, იმაშინ მაჰწყობენ ქორწილსა. ქორწილს მაჰწყობენ [ზეი-ნაბ აბეღინა რაჰიმი].

სადილობა რო შადქნების, ჳურს შაჰჰამენ და გამოვღენ და ეხლაკი წავღენ ერთი თა გოქ, იმას დაღდახით: ქაღების ქობი [ქღკ, რეზა მიქელაძე].

ღულასაცა, გააყოფინებენ ერთ ჳრეღასაყე და ქუების შუასაყე. და ეხლაკი ღუშმანი რო მუა, იმას ესრიან, მაჰკლავენ. იმას სანგარს დაღდახიან [ქღკ, რეზა მიქელაძე].

ენათა კონტაქტისას სესხების ღიღი წილი სწორედ ფორმაუცველ სიტყვებზე მოღის. ფერეიღნულიც აღასტურებს ამ საერთო კანონზომიერებას.

ღიაღექტში საკმაოღაა სჰარსულიღან, თურქულიღან და სხვა აღმოსავღური ენე-ბიღან ჰირღაჰირი თუ არაჰირღაჰირი გზით შემოსული ფორმაუცველი სიტყვები. მათ შორის საკმაოღ შთამბეჭღავია ნასესხები ჳმნიზეღების რიცხვიც.

წარმოვღენთ ნასესხები ჳმნიზეღების ცხრილს:

ნასესხობა ფერეიღნულში	ფერეიღნულში ჰარაღელურად გამოყენებული	სალიტერატურო შესატყვისი
აველ // ავეღან	ჰირვეღად	ჰირვეღად
აღან	ახლა	ახლა
აღბათ	აღბათ	ნამღვიღად
ახირჩაღზე // ახი-ჩაღზე	ბოღღოს	ბოღღოს
ბაღ // ბაღ // ბაღანა	შემღვე	შემღვე
ბეღასარა	ბოღღოს	ბოღღოს და ბოღღოს
ბიხოღ	ტყუიღად(ა)	ტყუიღად
გერიმ // გერივ	კიღვე, ისეღ [new ²⁰³]	კიღვე, ისეღ
ღაემან // ღაემმ	მუღამ [new]	მუღამ
ღაყიყა // ღაყიყან	ზუსტაღ	ზუსტაღ
ღაღათან	–	მოუღღენღელად, შემთხვევიით
ღერიმ	კიღვე	კიღვე
ღობარა	კიღვე	კიღვე

203. ამ ნიშნითაა მონიშნული ქღკ-ში სალიტერატურო ენის ახალი გავღენით გაჩენიღი ინოვაციური ფორმები.

ღურა-ღურა	შორი-შორ	შორი-შორს
ვასლად	ყრალად, გონჯად	ცუდად, უხეიროდ
თამამ	თამთლად // თეილად	მთლიანად
თალირბან // თაყრიბან	დაახლოებით [new]	მიახლოებით
თუნდად	ჩიქარ	სწრაფად
მასსუსან	იფო [= უფრო]	განსაკუთრებით
სარასხოდ	თავისუფლად [new]	თავისუფლად, თავისი ნებით
ურუფად	–	ირიბად
ქოლან	თამთლად // თეილად	სულერითიანად
ღორობ	საღომოს	საღამოს
ყადმად	წინ // წინწინა // წინაზე // წინად // ძე- ლეულათ	წინათ, ძველად
ყეიბან	–	მაღულად

2. თანდებულები

ფერეიდნულ დიალექტში თანდებულების კვლევაზე ბევრი საინტერესო ფაქტი გამოვლინა. ისევე, როგორც სხვა ქართულ დიალექტებს, მასაც შემოუნახავს ძველი და საშუალო ქართული სთვის დამახასიათებელი ვითარების კვალი. ასევე ძლიერია დომინანტი ენის, სპარსულის, ზოგჯერ კი სხვა ენების (არაბული, თურქული...) გავლენა.

ფერეიდნულის სპეციფიკას თანდებულის გამოყენების თვალსაზრისით ქმნის როგორც უცხო ენიდან შემოსული ინვენტარი, ასევე საკუთრივ ქართული მასალა, რომელიც იზოლაციის პირობებში დიალექტის განვითარების საინტერესო სურათს გვიჩვენებს.

განვიხილავთ ფერეიდნულ დიალექტში თანდებულების გამოყენების თავისებურებას. საანალიზოდ ვეყრდნობით ქართული დიალექტური კორპუსის ტექსტებს, აგრეთვე საველე სამუშაოს დროს კითხვარებით მოპოვებულ მასალებს.

2.1. სიტყვაზე დართული თანდებულები

თანდებული -გან. ქართულ ენაში თანდებული **-გან** დაერთვის ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სახელს და სხვადასხვა მნიშვნელობას სძენს მას, სახელლობრ, როგორც აღნიშნულია, **-გან** თანდებულიანი ფორმა აღნიშნავს: მოქმედ პირს, მასალას, დაშორებას, დაცილებას, თავის დაღწევას; გარდაუვალ ზმნასთან და სახელზმნასთან – მიზეზს [შანიძე 1980: 602].

-გან თანდებული ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან აღნიშნავს მასალას და მოქმედ პირს და უპასუხებს კითხვას: ვისგან ან რისგან? მოქმედებით ბრუნვასთან კი მოქმედების საწყის პუნქტს დროსა და სივრცეში და მიუგებს კითხვაზე: საიდან? რა დროიდან?

ძველ ქართულ ტექსტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ **-გან** თანდებუ-
ლიანმა მოქმედებითი ბრუნვის ფორმამ ადგილის აღნიშვნის ფუნქცია მოგვიანებით
შეიძინა, რადგანაც ამ მნიშვნელობით ჩვეულებრივ იხმარებოდა უთანდებულო მოქ-
მედებითი და ზოგჯერ **-გან** თანდებულის ნათესაობითიც. **-გან** თანდებულისანი მოქ-
მედებითის დანიშნულება კი მოქმედების საწყისის გამოხატვა იყო დროში [შარაძე-
ნიძე 1946:195-196].

მკვლევრის აზრით, მას შემდეგ, რაც **-გან** თანდებულისანი ნათესაობითი თავისი
ძირითადი ფუნქციის გამოხატვით შეიზღუდა და ადგილის აღნიშვნაზე აიღო ხელი,
გამოსვლითის ფუნქცია **-გან** თანდებულისანი მოქმედებითა შეიძინა [ძოწენიძე
1946: 201].

-გან თანდებულისანი ნათესაობითის ფუნქციების თვალსაზრისით, საშუალო ქარ-
თული ენა ძველ ქართულს უახლოვდება. ამ დროისათვის სპეციფიკურია **-გან** თან-
დებულისანი ფორმების უფროობით ხარისხთან გამოყენება: ტანისაგან, ღვთისაგან,
კაცისაგან, ქარისაგან [გოჩიაშვილი 1999: 11]. ამ ფუნქციით **-გან** თანდებული
ასევე გვხვდება მე-19 საუკუნის რომანტიკოსთა ენაშიც: ირმისაგან უმკვირცხლესი
ჯიხვი შესტკერის მყინვარეს (ალ. ჭავ. 20) [მარტიროსოვი 1946: 230].

საშუალო ქართულის ზოგიერთ ტექსტში არაიშვიათად იხმარება **-გან-იანი** ფორ-
მა იქ, სადაც ახალ ქართულში უთანდებულო ფორმაა: აქვს თავისაგან იმელი (=თა-
ვის იმელი) (ვ.ტ. 1036) [მარტიროსოვი 1946: 219].

რა მდგომარეობაა ფერეიდნულში?

ფერეიდნულში დასტურდება **-გან** თანდებულის გამოყენება, თუმცა **-გან** თანდ-
ებულისანი ფორმების რიცხვი აქ დიდი არაა. ის დაერთვის ყველა სახელის (არსებითი,
ზედსართავი და რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელი) ფუძეს; გვხვდება როგორც
სავრცობიანი, ისე უსავრცობო ფორმები, დაირთავს ნაწილაკებს. **-გან** თანდებული
შეიძლება დაერთოს სახელის ფუძეს: რუაგან, ორივეგან, სხოვან; ნათესაობითის
ფორმას: **ფაღარისგან, ქალაქისგან**, და მოქმედებითის ფორმას: **ბალახითგან, საქარ-
თველოთგან; ზოგჯერ იკარგება ბრუნვის ნიშნისეული -თ: ბანვლადეშიგან.**

ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ შემთხვევები, როცა **-გან** თანდებული განუსაზ-
ღვრელობით ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებს დაერთვის: **ათგან, ბევრგან,
ერთგან, ექსგან, ივდენგან, ორგან, ოცგან, რავდენგან, სხოვან, სუყელგან, ყუელა-
გან // სუ ყელგან // ყველაგან // ყველგან, ყოველგან, ცხრამეტგან.**

ყველა ასეთ შემთხვევაში, სალიტერატურო ქართულში **-გან** თანდებული ადგი-
ლის ზმნიზედას აწარმოებს [ჯორბენაძე და სხვ. 1988: 74].

ამ გზით ნაწარმოებ ზმნიზედებს ფერეიდნულში რამდენიმე მნიშვნელობა უჩანს.
რიცხვით სახელებზე **-გან** თანდებულის დართვით ნაწარმოები ზმნიზედები აღნიშ-
ნავენ:

ა) ადგილს: *ამ ლილვის თავჩივ არი ორგან, სამგან, პატარა არი, უკანა, ე ემ თავ-
თხეს ჩოვდევთ* [ქლკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

ბ) ჯერობას: *ელ ემ ჩონ ბონჩი შადად დღეჩი ათგან ყურანის კითხვა არი;
/... დღეში ათჯერ ყურანის კითხვა არი /* [ქლკ, მთქმელი უცნობია].

გ) ნაწილს²⁰⁴: არსად ეგეთ რამე არ არი, ეს სახლი რო გაჰყო **ექსგან**, იწერების საბუთებში [ქღკ, მუხტარ ასლანი, დარჩიაშვილი];

ჩონი მამული რო გაყოფილა, **ცხრამეტგან** გაყოფილა [ქღკ, რეჰიმა ონიკაძე].

ოთხგანა ქერედანნი არი ესე ას ოცდაათი სოფელი, პატარა, დიდი და სულ იყოფის ოთხგანა: ნაჰია ფარზაყ, ნაჰიადე ჩადიგან, ნაჰიადე გორჯი, ნაჰიადე თონხაბ-ლუ [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ნაცვალსახელებზე -**გან** თანდებულის დართვით ნაწარმოები ზმნიზედები აღნიშნავენ **ადგილს**:

და ეხლა ანქით გამოდღიანყე, **ამსხოგან** წადღიანყე, ანქით გამოდღიან, **ამსხოგან** წადღიან - [ქღკ, რეჰიმა ონიკაძე].

ბევრგან მე მოწეკარი ვიყავ, მოწეკარი. სიას მამცემენ მე, წადი, აწიეო; ბევრველ მე და ცხონებულ სეიდ აღა რეზა ბიჭებთან საღლა იყო, რო ჩონ ჩაი არ დოვი-ლევია, ბევრგან! [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ემას დააწილწილაფეს ერთი, ორი, ხუთი, ექსი, შიდი, რუა. რაგდენიც რო არიან, **იგდენგან** გაყოფს და დადევს [ქღკ, მუხტარ ასლანი, დარჩიაშვილი].

ღმერთო, მინდა შენ გებაროს ქვეყანა, ბედნიერი იყოს ქართველი **სუგანა** [ქღკ, მანსურ ყალანი].

მარცვალს ადღეფთ სხოგანა და ბზესა და ამეფსა ადღეფთ **სხოგანა** [ქღკ, რეჰიმა ონიკაძე].

ჩემ ძმამა ექით აღარ მოდღალა და **სხოგანლა** იკითხა დარსილა და ნამა შადქნა თავისთი [ქღკ, რეზა მიქელაძე].

ქენ გამოგვიყაყე, რო სუ ყელგან წახიდეთ, სუ **ყელგანაც** იყნეთ [ქღკ, მაჰმად ნექუხუ].

ელ ემ სოფელჩი, მოზაექსა ჰცემს და აკეთებს, რო ხალღმა წადღონ და ერთ **სხოგანაც** ლულასა ჰცემენ ელა ჩონ ბიჭები [ქღკ, ასლანი].

ღარი ხო ის არი, რო წყალი გადმოღის გომსაყე და **ხოგანაც** აკეთებენ ღარს [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

შამუალთ და **ერდგანა** ვჭამთ, ერთი რო, იმაში რო გავალთ, ვიმუშავეფთყე დღესითა, ღამით რო შამუალთ, შომოოსხდებით **ერდგანა**: პაპა, მამა, დედა, დიდილა, ბიჭი, ყორი, ნოქარი, სუ ერდგან შომოოსხდებით და დავსხდებით და პურს ვჭამთ [ქღკ, რეზა მიქელანი].

საყურადღებოა, რომ -**გან** თანდებული, რომელიც ნაცვალსახელებსგან (გარდა პირის ნაცვალსახელისა) და რიცხვითი სახელებსგან ზმნიზედებს აწარმოებენ, არ ჩანაცვლდებიან -**ყე** ნაწილაკით. მათ არ გააჩნიათ პარალელური -ყე ნაწილაკიანი ფორმები.

ასე რომ, -გან თანდებული განსაზღვრებით ნაცვალსახელებთან და რიცხვით სახელებთან ზმნიზედებს აწარმოებს ფერეიდნულშიც, ისევე, როგორც მთელ ქართულ დიასისტემაში.

204. ეს მნიშვნელობა ჩნდება **გაყოფა** სემანტიკის ზმნებთან. პრინციპში, ამოსავალი აქაც ადგილის აღნიშვნაა: ოთხ ადგილას გაყოფა = ოთხად გაყოფა.

რაც შეეხება პირის ნაცვალსახელებს, **-გან** თანდებული აქ თითქმის მთლიანად გაუღვევია თანდებულის ფუნქციით გამოყენებულ **-ყე** ნაწილს:

ჩემყე, ჩემყენ, ჩემყეო, ჩემყესაყეო... შენყე, შენყენაო... ამისყე, იმისყე, ემისყე-ნაო...

ფორმები: *ჩემგნით, შენგნით, ჩონგნით, ამგნით...* გვიჩვენებს, რომ პირის ნაცვალსახელებთანაც პროდუქტიული უნდა ყოფილიყო **-გან** თანდებული და მან მხოლოდ გვიან დათმო პოზიციები **-ყე** თანდებულის სასარგებლოდ.

-გან თანდებული არსებითი სახელთან

ა) **-გან** დაერთვის ნათესაობით ბრუნვას და აღნიშნავს:

1. წყაროს, მოქმედ პირს: *რაც ღელარემისგან გამივია, იმასა ვლაპარაკოვ [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი]; ქურთმა რა გააკეთისყე, სხომ ქართუელი სგან რა გააკეთისყე ვგეთ რამე [ქდკ, საფეა ასლანი];*

და ეს ატარებს ატარებს და ეს ტალახი ხომ გაკეთდების ვარები სგან²⁰⁵, ეს ფარცხი ხაპს მაიგდფეს [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

2. მასალას:

მაჩულა გავაკეთეთლა წმინდა ფალარისგან [ქდკ, მუხტარ ასლანი დარჩიაშვილი];

ცინისგან არი და საპონისგანაც არი, მე მგონია [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)];

კორცისგან თასქაბაბას გავაკეთეთფთყე. კორცს დაჭრით, ხო [ქდკ, სედიყა ასლანი].

3. გამოსვლითობას: თქო: *მე დიყელი ვარო, სხო ქალაქისგან მოსულები იყენე [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].*

ბ) მოქმედებით ბრუნვაში მდგარ სახელზე დართვისას **-გან** თანდებული აღნიშნავს:

1. გამოსვლითობას:

ვეფხია ბანგალისა, ბანგლადეშიგან ისეთი ვეფხები, რო სოფლიოში განთქმულია [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)];

ნაცნობები და მინ, მე ზობლები, ნაცნობები დაქუჩდებიან, წაილენ, გადრეცხენ და მეჩჩიგან დასხდებიან და იქაც ჩააფლობენ და დაბრუნდებიან [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)]²⁰⁶.

მარტყოფო, რა ლამაზი ხარ, რა ლამაზი ხარ, საქართველოთგან ნათესავი ხარ [ქდკ, ალი ჰოსეინ (ალექსანდრე) რაჰიმი (დავითაშვილი)].

ლამაზის გორა გაქს, ქალების ქობი გაქ, საქართველოთგან ნათესავი ხარ [ქდკ, ალი ჰოსეინ დავითაშვილი].

205. აღნიშნულია, რომ ეს ფუნქცია – მიერ თანდებულის მნიშვნელობის გამოხატვა, ქართულში ახასიათებს -გან თანდებულს, ძირითადად სახელზმნებთან. ის აღნიშნავს აგენს: მისგან მოკლული [ჯორბენაძე და სხვ. 1988: 74].

206. ორსავე მაგალითში იკარგება ბრუნვის ნიშნისეული -თ.

როგორც აღვნიშნეთ, მოქმედებით ბრუნვასთან **-გან** თანდებულის უპირველესი დანიშნულება იყო მოქმედების საწყისის გამოხატვა დროში. „სწორედ ასეთი ფუნქცია ჩანს **-გან** თანდებულიანი მოქმედებითისათვის²⁰⁷ ამოსავალი. ეს მის წარსულს ახსიათებს და შემდეგ განვითარებული მეორეული მოვლენა არ არის. ამას უეჭველს ხდის ქართული ძეგლები, სადაც **-გან** თანდებულის მოქმედებითთან ჩვეულებრივ ამ ფუნქციით იხმარება და ძირითადად გვხვდება დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან“ [ძოწენიძე 1946: 195-196].

საშუალო ქართულის ძეგლები თანდებულისანი მოქმედებითის გამოყენების თვალსაზრისით ძველი ქართული ენის ვითარებას უჭერს მხარს: „**ყრმობითგანვე**“, **კურელითგან**“, **შობითგან**“ [გოჩიტაშვილი 1999: 12]. ამ უკანასკნელი თვალსაზრისის საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, რომ ადგილის აღნიშვნა **-გან** თანდებულისანი მოქმედებითისთვის საშუალო ქართულში უცხო არ არის: კურელითგან (ეს მაგალითი, არასწორად არის დროის გარემოებად მიჩნეული).

ფერეიდნულში დამოწმებული **-გან** თანდებულისანი მოქმედებითი ბრუნვის ფორმები მხოლოდ ადგილის აღნიშვნის ფუნქციით გვხვდება.

ფერეიდნულის ვითარება გვიჩვენებს, რომ გადასახლების დროს დიალექტში უკვე ასახული იყო საერთო ტენდენცია, რომ მოქმედებითის ფორმათა **-გან** თანდებულისანი ვარიანტებს, მოქმედების საწყის დროზე მინიშნების გარდა, მოქმედების დაწყების ადგილიც გამოეხატათ ანუ გამოსვლითობის აღნიშვნის ფუნქციაც ეტვირთათ. მოგვიანებით გამოსვლითობის გამოხატვა მთლიანად „დაისაკუთრა“ -ყე თანდებულმა.

2. მასალას // წყაროს: გაიკითხავ და გაიგეფ, რო რა სჭირდების იმ შექარის დაჭერას იმ შეშებითგან [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩაიშვილი)].

ექ ის ბალახი რო მწონდების, იცის, ემ ბალახითგან ექ წყალი გამოღის [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩაიშვილი)].

როგორც აღვნიშნეთ, ფერეიდნულში **-გან** თანდებულის გამოყენება ხშირი არ არის, მას ძირითადად -ყე ნაწილაკი ჩაანაცვლებს დიალექტში. -ყე ნაწილაკიანმა ფორმებმა იტვირთა **-გან** თანდებულის მიერ მიზეზის გამოხატვის ფუნქციაც: **სიცივესაყენა** (= სიცივისგან).

-გან თანდებულისანი ფორმების შემთხვევები, როგორც ვთქვით, ბევრი არ არის ქღკ-ში.

უფრო ხშირად **-გან** თანდებულების ფუნქციით **-ყე** ნაწილაკია გამოყენებული²⁰⁸: *ჩემ დედამ იიბნსიყე და ჩონ დიდიდებსაყე გავიგეთ* [ქღკ, ზეინაბხათუნ ლაჩინანი].

ჩეკვიბი ელ ემე მატლსაყენა, ბაწარსაყენა ჩავასთიტყე წმინდალ [ქღკ, ზეინაბხათუნ ლაჩინანი].

-ყე ნაწილაკიანი ფორმა გამოხატავს **მიზეზსაც**: *აქთენ დღესა ემისყე წინ ელსა დეკეგლე ემ სიცივესაყენა და კელსაყენა და. ერთ-ორველ აველ დოქთორზენა, შარბათებითა* [ქღკ, თაჰერა იოსელიანი].

207. გასწორებულია კორექტორული შეცდომა სტატიაში. წერია: **მოქმედებისათვის**.

208. დაწვრილებით იხილე ქვევით -ყე ნაწილაკი თანდებულის ფუნქციით.

-**გან** თანდებული ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება (**-გან // -გა // -გნ // -გ // -გამ // -კან // -კნ**) [ჯორბენაძე 1998: 562].

ფერეიდულში ამათგან მხოლოდ **-გნ** ვარიანტია დადასტურებული. **-გნ** დამახასიათებელია ბევრი ქართული დიალექტისთვის. ის მიღებულია **-გან** თანდებულიანი ნათესაობითის ფორმაზე სხვა სუფიქსის დართვის შედეგად: მტრისგნივ, მეორეგნით... [ჯორბენაძე 1998: 574; ჯორბენაძე და სხვ. 1988: 89]. მოქმედებითის **-ით** სუფიქსით გართულებული ასეთი ფორმები ძირითადად გამოსვლითობას, იშვიათად – მიწვევნილობას შეიძლება გამოხატავდნენ [ჯორბენაძე და სხვ. 1988:89].

ფერეიდულში **-გან** თანდებულის **-გნ** ფონეტიკური ვარიანტები სწორედ ნათესაობითის **-გან** თანდებულის ფორმებზე ახალი სუფიქსის დართვით მიიღება: *ამგნით, ბიჭისგნით, ერთგნით, ერთგნითყე, ერთგნითყე, სხოგნით, სხოგნითა, სხოგნითეზსაყეო, სხოგნითყე, ჩემგნით, ჩონგნით*.

-გნ-ით რთული ფორმანტით ნაწარმოები ფორმები სხვადასხვა ფუნქციას გამოხატავენ, რადგან ასეთი მაგალითები სულ თითზე ჩამოსათვლელი დადასტურდა კორპუსში, განვიხილავთ თითოეულ კონტექსტს:

ჩამოძღა, გაიცინა და თქო, რო: შენ ბატ -ბატა ეს რო შენ გინდა წაიღო თავი და ფეკები და ესებოლა, ელა მოქცემ შენა-მეთქი. გამოოსით დანა და დატკლათ, წაიღეთ. დატკალითლა და აიყუანეთ ამგნით [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ვინც ბიჭისგნით იყვისყე, ხმალი უნდოღისყე, ეჭვიროს ხელჩი [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ალან თუ ქარი მოღის ერთგნითყე, ჩონ იმ ქარსა ამ ვარასაყენ მოქცევით, რო ქარი პირდაპირ გოქონდეს, რო ერთველ სული არ გადგონ და დაჭფთხენ. მე გუშისწინა ელა შიქლობაზე ვიყავ [ქღკ, უშანგი ხუციაშვილი].

რწყავს და ემ სარწყავჩი იძღენ მიწას დოხაზოს, რო წყალი ერთგნით არ წაიღეს და დავრამოს მიწა [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ის ქალაქის იონჯა სხოგნით თესლი მაიტანეს, და ის თუ პირიტყმა ბევრი მოძოოს, გატყრების, იმ ემ შით ფესებჩი ქარია, გაიგე! [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

რაქთენიო ემ სოფელჩიო სხოგნითეზსაყეო მოსულანო, ჩემ თავი უთხოიაყეო, წოყონია? ხუთ დღეს მყოლია ქმარიო და აოთხი დღეს, მეტი არაო და მოკლებიანყეო [ქღკ, კოლა ონიკაშვილი].

გამამიყვანეს, ერთ აბონე იყო, იქ შემიყუანეს იმ აბონეჩი. მე წამართეს, მე სხოგნითყე წამიყუანეს [ქღკ, ირანა იოსელიანი].

ინდოეთიგაცა, მე ემას ჩემგნით არ ვამბოფ, დიდი წიგნი ჩემ ძმამ, ჯარისკაცი იყო და უფროსიც იყო ჯარისკაცებისა, ისტორია მაიტანა [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეთქო. ჰარზადი არი, ამან... გავალო, დნახო ჩემი ახალი როგოი ჰარზადით სავსე'რი, არც გუყიღია, ჩონგნით [ქღკ, სელიყა ასლანი].

ნაამა რო გაიწურების და იმაში ამოტყრით, ამოიღებთ ერთ ყომყომაჩი და ყველი და შატჭამთ. ელა ჩონგნით ყველს გავაკეთავთ [ქღკ, ბიბარუსა ბარათი].

-ზე თანდებული. ძველ ქართულში გვხვდება ცალკე მდგომი თანდებული **-ზედა**, რომელიც დაერთვის როგორც მიცემითის, ისე ნათესაობითის ფორმას. ამ ბრუნვებთან „ზედა“ თანდებულის გამოყენების თავისებურება პირველად შენიშნა კ. კეკელიძემ – უსულო საგანთა აღმნიშვნელი სახელები, აგრეთვე მათი შემცვლელი ნაცვალსახელები (მას, რომელსა), ასევე სულიერი საგნები რა ჯგუფისა (კიცუსა, ასპიდსა, იქედნესა, ჯორსა, კარაულსა) და არსებით სახელად გაგებული ზედსართავები (წმიდასა ზედა, ავაზაკსა ზედა...) მიცემით ბრუნვაშია. ამასთან მკვლევარი აღნიშნავს, რომ ასევე მიცემით ბრუნვაშია ვინ ჯგუფის საზოგადო სახელებიც: „თუ მხედველობაში მიღებულია არა კონკრეტული რომელიმე პიროვნება, არამედ, ზოგადად, განყენებულად, ისიც მიცემით ბრუნვაშია (ძესა ზედა კაცისასა, ყოველსა წულსა ზედა, წინამძღუარსა ზედა, ცოლსა ზედა...)“; ნათესაობითშია ადამიანის საკუთარი სახელები და მათი შემცვლელი ნაცვალსახელები (მას, რომელსა), ნათესაობითშია აგრეთვე სულიერი საგნები ვინ ჯგუფისა (მამისა, დედისა, დისა...) [კეკელიძე 1942: 284].

ნათესაობით ბრუნვასთან **ზედა** თანდებული ზოგჯერ აღნიშნავს დროს: „მრავალნი კეთროვანნი იყვნეს ელისეს ზე წინააღსწარმეტყუელისა (ლ. 4, 27 C). „ელისეს ზე“ ამას ნიშნავს: ელისეს დროს. ეს „ზე“ უკუღებულია“ [შანიძე 1976: 107].

საშუალო ქართულშიც თანდებული ზედა გვხვდება როგორც მიცემით, ისე ნათესაობით ბრუნვასთან: „ღმერთსა ზედა“, „კაცსა ზედა“, „ამას ზედა“, „კაცისა ზედა“, „მის ზედა“ [გოჩიაშვილი 1999: 10].

-ზე თანდებული ახალ ქართულში დაერთვის მხოლოდ მიცემით ბრუნვაში მდგომ სახელს, ბრუნვის ნიშანი დაკარგულია. ის აღნიშნავს რამე საგნის ზედაპირს: **მაგიდაზე, მიწაზე...** ასევე შეიძლება გამოხატავდეს დროს.

-ზე (ასევე -ში) თანდებულის შემთხვევაში ერთმანეთის პარალელურად დაინდება მორფოლოგიური და ფონეტიკური ვარიანტები... დიალექტებში უპირატესად წარმოდგენილია **-ზედ** სახით: ბან-ზედ (ხევსურული), საგნავ-ზეით, თავ-ზეით (მოხეური), კარ-ზედ (მთიულურ-გუდამაყრული), ვაკე-ზედ, გზისპირ-ზედ (ქართლური, კახური), ურემ-ზედა (მესხური)... [ჯორბენაძე 1998: 564].

ფერეიდნულში გვხვდება თანდართული თანდებული როგორც **-ზე (ზედ // ზედა)**, ისე ზეგ(ა), ზეგან ფორმებით, აქტიურია -ც ნაწილაკდართული სავრცობიანი ფორმებიც.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან **-ზე** თანდებული დიალექტში არ გვხვდება.

გვაქვს ზე თანდებულის ნაზალი ზებული ფორმებიც: **ზამანზენ, იმაზენ, კისერზენ, საათზენ, ფეგზენ, ქუაზენ, ხარზენ, ველებზენ.**

-ზე თანდებულიანი ფორმები ფერეიდნულში გამოხატავს:

ადგილს:

მერე წაიყუანენ ისპანში, დიდ ზენდანში, ციხეში და იქაც პურ-მური სწორად არ მისცენ და ბლენ ადგილზე შაინახენ დაძსილი [ქღკ, შაჰინა მულიანი].

მე არც რას ვერ ვიტყვი და ჩემ ალაგაზე დაუჯღღები [ქღკ, მაჰინე ასლანი].

მეფეს დოხეთ, დაკარგულა, გომზედ დაღის ფევიშველა [ქღკ, მანსურ ყალანი].

გააცხელა და მიაბა ემ ცხენის **კუღზევ** და დადსცხო [ქდკ, მეჭრი ასლანი].

ეს დათი ემ **გზაზევ** არივო [ქდკ, მელიქ მაჰმადი ონიკაშვილი].

ირბინა ჳდ, წაიდა ერთ დიდ თაზე. თაზი აიდა. **თაზე** აიდა [ქდკ, ჰაიათ იოსელიანი].

წაიდა ემეჩივა **ფეთაქზე**, ფეთაქი – ხორბალი ჩაყარიანყე [ქდკ, მარიამ ქალბანი].

დროს:

ჩემ **დოურაზე** (დოურა // დოურა **doure** (არაბული) ეპოქა, დრო, პერიოდი) იყო, ქე მე დელაკაცი ვითხოვე ხუთ დღე და დამე ნაღარას უკრევედენ [ქდკ, მთქმელი უცნობია].

მიხაროდის, **ახანწელზე** შემოიდე ემ სახლივა [ქდკ, ჰამიდ რეზა ასლანი].

ეს ტახნი რო **ბოლოზედ** მოვჰკალთ ერთი თვეს უკან [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მეორე უძის (= ოძის) **შულღზედა**, რო ალვანელეფთან იყო და შოურავი გერმა-ნელუბთან [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

დროს, ჯერობას:

ღევმა უთხრა, რო **აველზე** [პირველად, ჯერ] მითხარო, რო: ღუნიაზე სადა დჯობს, სად იფო ნამაი ადგილიაო? [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

დამოკიდებულებას, მიმართებას ვინმეს // რამის მიმართ:

[დათვზე გინადირია?] – **დათზე** არა, ჩონ დათს არ ვჰკლავთ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მე ბიგონა ვარო, ის ჯავანი **ჩემზე** ძალი აქო და ყოდრათი აქ, უნდა თავი მამჭრასო [ქდკ, ყადირე აყლი].

მე უთხარი, რო **ჩემზე** არ არიო (ჩემზე არ არის დამოკიდებული), თუ ჩემი ცოლმა იყაბულაო, წამოგყვებო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

წყევლა მეტობა **ღელაკაზევ** არი, ლოცვა მეტობა **კაცზევ** არი [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

ამ დღესაც ვითხარ მე, ეს **ელვაზევ** არი, მე ამ დღეს დამამიწყა [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

შედარებას:

რა, იმაში ცოტა დჰყვანდა, **ასზე** მაღლა არ იყო [ქდკ, მაჰმადა ბათუაშვილი].

მასალან, ჰავჯი აქბარი **ჩემზე** ბაიტაა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ერთი პატარა ძმა მყჷანდა, ეხლა დიდი ქი იყო და ამ **ბიჭზე** პატარა იყო [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].²⁰⁹

თანაობას:

კაცობაზე და კაცურ **სახეზევაო** გათქმულ იყო თელ ქალაქეფჩიგაო [ქდკ, მუხტარ ასლანი].

209. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ინოვაციასთან გვექონდეს საქმე, რადგან მთქმელი ტექსტის ჩაწერის დროს უკვე საქართველოში ცხოვრობდა 30 წელი. როგორც წესი, ამ ტიპის შესიტყვებებში -ყე თანდებულია დამკვიდრებული ფერეიდნულში: ჩემსაყე ბაიტა, ასსაყე მაღლა იყო...

მიზეზს:

ამეს ერთ დაკვივლასზე სუნი გამოიძოდენ რუევზე [ქდკ, არია ხოსროვი].

ჯენაყს ეძახიან, რო გადტეხეყე დანაძლეზაზე, არა? [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ემ ჳმაზეყა ამ კაცების ემეზე ჳადჳეძეზე და ემ ღათმა მიბრუნდალა [ქდკ, მთქმელი უცნობია].

მოქმედების ინსტრუმენტს:

მოლამა კერცხი იყიდისყე, რიალზეყა, ერთ კაპეიკზე, რიალზე, შაღებისყე და გაყიდისყე ერთ კაპეიკზე [ქდკ, ალი რეზა (რეზო) რაჳიმი (დავითაშვილი)].

დანიშნულებას:

მე მიყორდა, ნადირზედ სიარული მიყორდა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მულქები, მამულები ექ დადგენ გაყიდვაზე [ქდკ, მთქმელი უცნობია].

ეს ელათი რო არა დქონდა, რაც იარა დოქტორზე, თქო, იმას ყმაწილი არა დყვანდეფსო [ქდკ, ნარგის აბასი].

ერთი თე იყო გასული, ჩემ ბიჭი წასულა დასასენებოზაზე [ქდკ, ირანა იოსელიანი].

ამაშინ რო ცეცხლმა ჩაქნდა, შულლი აღარ იყო, დასვენებოზაზე [ასეა!] ვიყაით აღვანელეფთან და შორაველეფთან [ქდკ, აბოლყასემ აჳმადი].

გამოიღა და წაიღა გეღაოზაზე (მათხოვროზა) [ქდკ, ჳაიათ იოსელიანი].

შენ ერ ცოტა დადვარდი შინა და ვეღარ წახელ საქმეზედა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

-ზე თანდებულიანი ფორმები მონაწილეობს სჳარსული რთული ჳმნის გავლენით შექმნილ კალკურ შესიტყვეებებში:

დადგა საუბარზე (საუბარი დაიწყო):

ყეინმაც ნება მისცა და დადგა საუბარზე [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

დადგა წასლაზე (წასვლა დააპირა):

ემე ქნა დადგა წასლაზე დობარაველი წაღლო დაღჳა ელ ამაზენა; მოღდა ემასთან დადგა იბნვაზე ემ ცხენმა; ღაბასები გამადცვალა და დადგა ემ ბაღრი იარებოზაზე [ქდკ, მთქმელი უცნობია].

დადგა თამაშოზაზე (თამაშოზა დაიწყო):

ფაქიზა ყორმამ მოღდა, დადგა თამაშოზაზე [ქდკ, ფარშადა].

დადგა ტირილზე (ტირილი დაიწყო):

ემ ბიჭმა დადგა ტირილზე [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

დადგა კივილზე (კივილი დაიწყო):

დადგა კივილზე, რო: მე არ გადვ ჳავნი; ეხლა კი ეს დადგების კივილზე, რო: ესე ბიჭია, ბიჭია, ბიჭია! [ქდკ, რეზა მიქელაძე].

დადგა ყიყლიყუყუმზე (ყივილი დაიწყო):

დაწვეს და მამაღმა ფაიშამზე დადგა ყიყლიყუყუმზე: ყუუო! – და დაიყივლა; დადგა ყაყანზე: ყა-ყა-ყა-ყა! [ქდკ, სედიყე ასლანი (ყაღანი)].

დადგენ რადათობაზე (მეურნეობა დაიწყეს):

მაძულ-წყალი იყიდეს და ანქ დადგენ რადათობაზე, ქაშავარზობაზე [ქღკ, მთქმელი უცნობია].

დადგენ წასლაზე (წასვლა დააპირეს):

ბადან სომხებმა დადგენ წასლაზე არმანესტანთინ, ტეძლისთინ [ქღკ, მთქმელი უცნობია].

დავდეგით ლაპარაკზე (ლაპარაკი დავიწყეთ):

დავდეგითღა ლაპარაკზეღა და ამხანავი შაიქენით [ქღკ, ალი რეზა (რეზო) რაჰიმი (დავითაშვილი)].

ამალზე მოსვლა – გაკეთება (ამალი *amal* (არაბული) საქმე):

ეს ჩონყენ ამალზე მუა, ჩონ ველსაყენ გამუა [ქღკ, მთქმელი უცნობია].

და ბად რო ადულდების, ამალზე მუა, არიშტას ჩავყრით [ქღკ, ზოჰრა]

ამალზე მოტანა (დასრულება, გაკეთება):

დაათითავიანყე და შომოთხარიანყე და რა ვიცი, რაღა გითხრალა, თა ეს ამალზე მაღტანონ [ქღკ, რობა ბეხანი].

ცალკე მდგომი თანდებული -ზეღა ფერეიდნულში არ დასტურდება. ზეღა ფორმა გამოყენებულია ზმნიზეღის ფუნქციით.

-თანდებული ში // ჩი. „ძველ ქართულში გვხვდება შინა, შიღა, შიგან სახით. საშუალ ქართულში ამათ პარალელურად გამოყენებულია შინ, შიგა, შიგ, შიღან შიღ, ში, ჩიგა, ჩი. ახალ სალიტერატურო ქართულს მხოლოდ ში ფორმა შერჩა, კილოებში კი დაცულია: შიგა, შიგ, შიღ, შით, ჩი“ [მარტიროსოვი 1946: 220].

თანამედროვე დიალექტებში დამოწმებულია -შიღ(ა) და -შიგ(ა) თავ-თავისი ფონეტიკური ნაირსახეობებით; კერძოდ, -შიღ(ა) > შიღ(ა) > შით, აგრეთვე -შიღა > შიღა და შიგ (ა) > ჩიგ(ა) [ჯორბენაძე 1998].

ფერეიდნულ დიალექტში ეს თანდებული დასტურდება ფუძეს დართული **-ჩი // ში, შინა // ჩინა, ჩიგა // შიგა, ჩიგან // შიგან** ვარიანტებით. **-ში // -ჩი** ვარიანტები ერთდროულად იხმარება პარალელური ფორმების სახით, ზოგჯერ ისინი ერთი და იმავე მთქმელის, ერთსა და იმავე ტექსტშიც შეიძლება შეგვხვდეს, თუმცა სიხშირული თაღსაზრისით **-ჩი** დომინანტური ვარიანტია და **-ში** კი შედარებით იშვიათი გამოყენებისაა. შეიძლებოდა -ში ვარიანტი რეინტეგრაციის შემდგომდროინდელ ინოვაციადაც ჩაგვეთვალა, მაგრამ ის ჯერ კიდევ სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში გვხვდება²¹⁰. უფრო საფიქრებელია, რომ დიალექტში შემორჩენილია ვითარება, როცა ჩასახული ფონეტიკური ნაირსახეობა ფაქტობრივად „იმარჯვებს“ და მკვიდრდება, მაგრამ პროცესი არ არის ბოლომდე მისული, უნიფიცირება არ დამთავრებულია და ახალი ფორმა არ არის ბოლომდე მორფოლოგიზებული. ამრიგად, **-ში > -ჩი** აფრიკა-

210. რაოდენობრივი შეფარდება სეიფოლას ტექსტებში ასეთია: -ში (15 სიტყვაფორმა, 24 კონტექსტი), -ჩი (-ჩიგა, -ჩინ) (80-ზე მეტი სიტყვაფორმა, შესაბამისად, ბევრად მეტი კონტექსტი).

ტიზაციის პროცესი დიალექტში ჯერ ისევ ტენდენციის და არა საბოლოო შედეგის სახით არის წარმოდგენილი.

გვხვდება **-ში** თანდებულის ნაზალი ზებული ვარიანტიც: *ამერიკაშინ*.

მაგალითები სეიფოლა იოსელიანის ტექსტებიდან:

-ში: *ძერეღანში, ამართში, ახლეუბში, აფუსში, ერბოში, ერთმანერთში, მარტყოფში, მეცბარბაში, საქართველოში, სუფრაში, ქალაზში, შუაში, წყალში, ხაიში, კასან-აბადში.*

-ჩი (-ჩიგა): *ამართი, ბურჯები, გადასავლელები, გზანი, გზებნი, გულჩი, დაბლებნი, დარანჩი, დღეჩი, ექებნი, ზამთარჩი, ზაფხულჩი, თავჩი, თანგჩი, თაჩი, თებჩი, თელაგჩი, თენგჩი, თითებჩი, თითოჩი, თოლუბჩი, თოლჩი, თორელ-ბოღნჩი, ისპან-ქალაქჩი, ისფან-ქალაქჩი, იქებჩი, კონსოლხანეჩი, მალებჩი, მამულებჩი, მარტყოფჩი, მაჰალათჩი, მთებჩი, მინდორჩი, მოსვენებაჩი, ოთალებჩი, ოთახჩი, ორდუჩი, პარსეთჩი, სანგარებჩი, სანგარჩი, საქართველოჩი, საქმეჩი, სახლებჩი, სახლჩი, სახჩი, სოფელჩი, სოფლებჩი, ტინებჩი, ფიქრჩი, ქალაქჩი, ქურთებჩი, ლელეჩი, ყალაჩი, ყოჩი, შარჩი, შირაზ-ქალაქჩი, შირაზჩი... გზაჩიგა, დუსაღჩიგა, დღეჩიგა, თავჩიგა, თფილოსჩიგა, მამულებჩიგა, ქებინჩიგა, ქურთებჩიგა, შარჩიგა, ჭაჩიგა, ხელჩიგა, თენგჩიგა, ჯულფათჩიგა...*

ამ მაგალითებში წარმოვადგინეთ სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში დამოწმებული **-ში** თანდებულის ყველა ფორმა და **-ჩი // ჩიგ(ა)-ს დადასტურებათა ნაწილი**, რომ გვეჩვენებინა, ერთი მხრივ, ის, რომ **-ში-ს** უდავოდ გამოკვეთილი ადგილი დიალექტში და, მეორე მხრივ, მისი შეფარდება დომინანტურ **-ჩი** ვარიანტთან.

სეიფოლა იოსელიანის ტექსტები, როგორც ცნობილია, ჩაიწერეს აკაკი შანიძემ, ვარლამ თოფურიამ და არნოლდ ჩიქობავამ. სამივე მკვლევარის მიერ ჩაწერილ მასალაში დასტურდება როგორც **-ჩი**, ისე **-ში** ვარიანტები თანდებულისა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს ვარიაციულობა სალიტერატურო ენის გავლენით გაჩენილი ინოვაცია კი არა, დიალექტის ტენდენცია უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ტექსტის ჩაწერებს არ გამოუპარებოდათ შემთხვევითი ფორმები. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთი და იგივე სიტყვა ვარიაციული ფორმანტით წარმოდგენილი: **ამართი // ამართში, მარტყოფჩი // მარტყოფჩი** და სხვ.

დაახლოებით ასეთივეა შეფარდება მთელ დანარჩენ კორპუსში²¹¹.

-ჩი (-ში) თანდებული ფერეიდნულში, ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, დაერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას. სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფის სახელებთან მან შეიძლება გამოხატოს / დააზუსტოს: რისამე შიგნით მყოფობა ან მიმართულება გარედან შიგნით, აგრეთვე დრო (დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან) [ჯორბენაძე და სხვ. 1988: 435]:

211. **-ჩი** თანდებული იმდენად დამახასიათებელი კოლური ნიშანია ფერეიდნელთა მეტყველებებისთვის, რომ 70-იანი წლების ერთ-ერთ რეპატრიანტს კახეთში მეტსახელად „მარანჩი“ დაარქვეს, რადგან პროფესიით მძღოლს ხშირად უხდებოდა ეთქვა, **მარანჩი** მივიღვარო.

ადგილი:

– ბაღე, ჰა, მა! ახანზალს წაფეკანენ **აბონეჩი**, იმიშინ ინას დაალობენ [ქღკ, თაა-
ლათე ათაი ასპანანი].

ჩიტსავით მეცა ჩემ **ბუდეჩი** ვიყავ [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

მეტობა ჩამოსულან **ქალაქჩი**. ესეგი ჩამოსულან **ქალაქჩიგა** [ქღკ, ალი რეზა რა-
ჰიმი (დავითაშვილი)].

შაჰ-აბასმა გომოგრეკა, **ფერედანში** ომოგრეკა... **შორომალი** გარეკაყე, ნაჯაფა-
ბაღს მორეკაყე, **სოფელჩინ** ამორეკაყე [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

ღინო ჩადის **ქვერებჩინა** [ქღკ, მანსურ ყალანი].

დრო:

ზაფხულჩიგა ცამეტი დღე რო **ახალწელჩი** გადიოდა, გოგობეი ექითყე წითელ-
ყითლიანეხი მიდიოდნენ [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მეც ეს ლექსი მოაკეთე ხუთ-სამ დღე, კირე, **ოთხ დღეში** და წაველი, წავიკითხე
[ქღკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (დავითაშვილი)].

იყოს ახალ **წელშინა** გახარება, ერთობა [ქღკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (დავითაშვი-
ლი)].

–**ში თანდებული** თავისი ვარიანტებით დაერთვის მრავლობითი რიცხვის ფორმებ-
საც და აქაც **ადგილსა და დროს** გამოხატავს:

სუ **ქურთებჩი** რო მივდივარ, **ბახტიარებჩი** რო მივდივარ, იგრე ვლაპარაკოფ,
როგორც მე შენთან ეხლა პარსულსა [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ბაად, ეს ყორი აღარ იცოდა რა ქნას, ჰად წავა **წყლებჩინ** იფრინავს და ჰად ემეს
იქს [ქღკ, ზივარი ბარათი].

ემებჩინა ერთი წყარო'რი ასკილის წყაროს დაუძახით; მეტადა იყვისყე, არა,
მეტადა **კოჭებჩინადა**, ქოთნები დაძახით თქენა; პირიტყე იყვისყე **თავლებჩი** [ქღკ,
ზივარ ბარათი].

ბოლო **წლებჩი** მე და ასადლოა ონიქაშიმი ჩაიყვანეთ ასტარაჩი და თავის ძმას
მივეციტ [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

როცა **-ჩი (-ში)** თანდებული სულიერ არსებით სახელთა მრავლობითის ფორმებს
დაერთვის, ის **შორის** თანდებულის მნიშვნელობას იძენს:

იგეთ სირცხილი გაეინებები იციან, **ცოლ-შვილებჩი** რო მარტყოფელი, ჩულუ-
რეთელი, სიბაქელი და ჯადჯაყელი როგონაც გამააჯავრო, იგეთ სიტყოს, **დედაკა-
ცებჩი** არ გაიგინებებს [მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

-ჩი (-ში) თანდებული დაერთვის აბსტრაქტულობის ან მრავლობითობის **-ობა //**
-ება სუფიქსებით ნაწარმოებ ადგილის ან დროის აღმნიშვნელ ზოგიერთ სიტყვას,
რომელთაც აქეთ ინტენსივობის, მრავალგზისობის (ან სიმრავლის) გაგება (პარასკე-
ვები, დილობა, აქები...) და აძლევს მათ ვითარებითი ზმნიშედის ფუნქციას:

ერთ ბერ კაცი იყო ხო, დღესით **დილობებჩი** ადვისყე და პური და ესეგი ადღისყე,
წადღისყე **მინდორჩი** [ქღკ, მეჰრი აბასი].

პარასკევებჩი მეჩეთჩი დავდიოდით.

გაუხარდაყე, რო უნდა **ექებრი** ეძინოსო.

ვერმინ ვერ გაიარი სყე, გაიარნიანყე **იქებრი**.

ღროის გამოხატვისას **-ობ-ჩი** // **-ებ-ჩი** რთული სუფიქსი მოგვაგონებს **-ობ-ით** სუფიქსს, რომელი აბსტრაქტულ სახელთა **-ობ-ა** სუფიქსისა მოქმედებითი ბრუნვის **-ით** ნიშნისგან არის მიღებული: *დილაობით, პარასკეობით...*

ზოგჯერ ადგილის ზმნიზედებზე **-ებ** სუფიქსის დართვით მიღებულ „ინტენსიურ“ ფორმებს ერთვის **-ჩი** თანდებული და ახალ ზმნიზედურ ერთეულს წარმოგვიდგენს: **აქებრი** (= აქაურობაში).

(მრავალგზისობა შეიძლება გამოიხატოს ასევე **-ებ-იანი** მრავლობითის **-ზე** თანდებულით გაფორმებული ფორმებით: *პარასკევეებზე ამოალთ აქა (შდრ. ქართ. ღია-ლექტ.: აღდგომებზე, ახალწლებზე...)*.

მსგავსი მაგალითები დასტურდება ქართლურ და კახურ დიალექტებში:

ადრე სუ **რუსეთებში** დავდიოდი (ქართლ).

სამასებში მივდივარ.

/300 არაგველის მეტროსთან მივდივარ/ (თბილისური საუბრიდან).

როგორც ვხედავთ, ამ თავისებურებითაც ფერეიდნული არ სცილდება დიასისტემის კანონზომიერ ტენდენციებს.

-თან თანდებული. ძველ ქართულში **-თან** თანდებული იხმარება უმთავრესად რა ჯგუფის სახელებთან: საფლავსა თანა, მთასა თანა, წყაროსა თანა, ზღუასა თანა, წყალსა თანა. იხმარება ნათესაობითთანაც [შანიძე 1976: 107].

საშუალო ქართულში მთავრდება **-თან** თანდებულის სახელთან შერწყმის პროცესი: ხმოვანფუძიანიები ინარჩუნებენ მიცემითი ბრუნვის ნიშანს, თანხმოვანფუძიანიები კი ჰკარგავენ მას [მარტოროსოვი 1946: 220].

ისევე როგორც თანამედროვე ქართულსა და მის დიალექტებში, ფერეიდნულში გვხვდება როგორც ფუძესთან შერწყმული **-თან(ა)** თანდებული, ისე ცალკე მდგომი **თანა**:

აღანაც არიანა, ელ იშულღებენყე ზალოთანა და ბეჭრიც ნამაია [ქდკ, ნარგის აბასი].

ღათთან ვინ ჩავა ტუძარაჩი? [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

თითო ერთ დასტამ გუგუშერიქა, რო გ ზაჩი ჩონა თანა ვჰყვანდეთყე, რო დაღიებმა და ქურთებმა ყაჩაღობა არ უყონყე [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ორი ბიჭიცა თავისი თანა ჰყავ [ქდკ, კოლა ბათუაშვილი]

ერთი იყო, იჭერდა, ერეოდა. ჩონთან რო იყვის, კაციც რო თანა ჰყავ, იჭერს, ერევის გელს და რო თან არა ჰყვანდეს, გელი გახევს [მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

აქუსელებმა. მოქკალო, ბიჭი თანა მყვანდა, დანა მივე და ვთქიო, შენ დაკალო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

-თან(ა) დაერთვის როგორც სულიერ, ისე უსულო საგანს და აღნიშნავს:

ადგილს, საგანთან სიახლოვეს:

მე წაველ აქუსში, სადაც რუისპირს ეძახიან ეხლა. ექა და წაველ ვიყავ ერთ ბებერებთან, ბერკაცებთანა [ქდკ, შაჰინა მულიანი].

წაადიყე თორნესთანა [ქდკ, რეზა მიქელაძე].

რო ამადვარდების, სადაც იყოს, მოჩთან იყოს, **მუკლთანა**, კოჭთანა, ის ჩემ ამმას ქმარი ჩოღვლებავს [ქღკ, ირანა იოსელიანი].

მიმართებას // მიმართულებას, აღრესატს:

ქენ საქმე არ არი ჭაჩიგა ჩასვლო და თითან ჩავილა, გერივაც მივიდა **ღევთან** [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი]:

იმამინ ქართულადალა წერილი დადსწერი სეე თავის **ამხანაგეფთანა** [ალი ჰოსეინ რაჰიმი (დარჩიაშვილი)].

ჰა, **მისთან** მამიტანიალა სიჩივილიო, **მისთანლა** ვჩივილაო! [ქღკ, ესქანდერ სეფიანი (სეფიაშვილი)].

ვაშლთან ხელი არა აქ! [ქღკ, ესქანდერ სეფიანი (სეფიაშვილი)].

გადმოღდიანყე ქართველები ჩემ **ჰაჰასთანა** [ქღკ, ჰაიათ იოსელიანი].

მე მეტობა ჩემთვინ ვფიქრობ, რო ღელაკაცი **დაწყევლასთან** ახლო ორი [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

თანაობას:

ელ იშულლებენყე **ზალთანა** და ბეჭირიც ნამაია [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ჩემ **ბიძასთანა** ფილმი გოქ.

ახლა ეს ოზდაოთხი ვირი რო გვევანდა, თორმეტი წარეკეს, გაარჩიეს როგორც რო **ვირებთან** დაზღილიყენ, იგრე იცნობდეს ვირებსა [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

შედარებას:

ყედნის დასკა ამის **დასკასთან** არა იყო რა [ქღკ, ყადირე აყლი].

-თვის(ა) თანდებული დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას და გამონხატავს **დანიშნულებას:**

ღიძლის **კუჭისთის**, **კუჭის ტკივილისთვის** ის ცინი კაია [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მამამთილსათი ფული ჩოღებია, გოდოლებს და **ღედამთილსათი** ფული ჩოღებია და **მულსათი** და ზალი თუ ჰყავ და მულს **შვილსათი** წინდები ჩოღებია და პერანგი ჩოღებია... [ქღკ, ირანა იოსელიანი].

იქაც ხო ემ სეიფოლა ხანის, **ხანისთვის** ემ კაცსა აპატავებენ და გაუშვებენ [ქღკ, ჰოსეინ ყალანი].

უნდა აღინიშნოს, რომ **-თვის** თანდებული ამ ფორმით ცოტაა ფერეიდნულში, ძირითადად გვხვდება **-თი** ფორმა, რომელმაც შეიძლება გამონხატოს:

დანიშნულება:

არც თავრობასთან ნამად იყენენ, არც ჩონ **ხალღსათინა** – ტყუილ ლაპარაკი მოდ-ჰქონდაყე და მამჰქონდაყე [ქღკ, მაჰმად ბათუაშვილი].

მას ლამზღლებენ ემ **მინღორსათი** და თაის **მამულ-წყალსათი** [ქღკ, მაჰმად ბათუაშვილი].

დაიჭერენ ბაღუანს, რო ლაპარაკ იყო, იმ ბაღებსათი; წყლებს გაიტანსეყ **სარ-წყავსათინა** [ქდკ, მაჰმადა ბათუაშვილი].

ერთი კაცსათინ ამ ხოშქუს თას უკან ეკბინა, თა მადყვანეს ექა, მოკდა დავსილი [ქდკ, ბათუანი].

ნაჭერი ჩემთი ჩეღღვაყე, ეს ყანდიც **ემისთი** [სედიყე ასლანი (დარჩიაშვილი)].

წყარო:

წასულან ირანის რაიონის ერთ დიდ **კაცებსათი** გომოუკითხავთეყე [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

დრო:

ხო, ხო რო ელ ემას **ხუალსათინაც** გაქონდეს! [ქდკ, ბათუანი].

პირიტყს დოოყრიან და **ახალწელსათი** ვარებს გამახამებენ [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

მიზანი:

ისები ხო გომზე აკრევედეს წივას, **ანთებასათი** [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

ემასლა დეენგრივა, რო თავის **ბიჭსათი** ერთი ახალ სახლი გოოკეთოს [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

მეტობა ხევი რო ბაიტა არი, **მოძონასათი** [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

მიზეზი:

ბიჭო, **რასათი** იგეთ ფოროუ ხარ, პირადიანი (თამამი) ხარ შენა? [ქდკ, რეზა მიქელაძე].

გაზაფხული რო შადქნების, პირველი გაზაფხული, დიდ წყალი გამუა. ეხლა **რასათი** დიდ წყალი გამუა? [ქდკ, რეზა მიქელაძე].

-კენ თანდებული. -კენ თანდებული ფერეიდნულში მხოლოდ ერთ ფორმაში დავადასტურეთ: ეხლა ქე ისიცა ის ახირჩაღა პაპა რო პირველა არი ამ **ზემთოთკენა**, ერქო ურუყყურბეგი [ქდკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].

სავარაუდოდ, ინოვაციაა კიდევ ერთი ფორმა **შიგკენ**, რომელიც ალი რეზა (რეზო) რაჰიმის მეტყველებაში დავადასტურეთ, ხელოვნურია და ფსევდოლიტერატურულ ფორმად შეიძლება ჩავთვალოთ:

ეს თა ეგეთ შამოხოულია, რო **შიგკენ** გზა თუ შახოლ, იქილამ გზები აღარ არი [ქდკ, ალი რეზა (რეზო) რაჰიმი (დავითაშვილი)].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -კენ თანდებულის ფუნქციით ფერეიდნულში წარმოდგენილია -ყე ნაწილაკი, ის ერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას.²¹²

-თი თანდებული. ფერეიდნულში არ გვაქვს -კენ თანდებული. მის ნაცვლად, როგორც შენიშნა არნოლდ ჩიქობავამ, გამოყენებულია **-თი** თანდებული: „-კენ“ს მნიშვნელობით იხმარება -თი: მაგალ.: „გუნდოდა რო ორნი დავბრუნდეთ სახსათი (=

212. ამის შესახებ დეტალურად იხ. ქვემოთ.

სახლისკენ)... ღურბინებს ღოუბმენ თებსათი (= მთებისაკენ)... ფაფამაზე წავლენ თასათი... თითო თავის წილს აიღებს და წამოვლენ სოფელსათი... წაველით იმ სოფელსათი, რო იაღიები შიგ იყნეს... იქით წაველით სხო ყალასათი... ხუთ-ექს დღეს უკან წაველით ქერედანსათი, აველით ქერედანჩი... და სხვა“... [ჩიქობავა 2010 (1927): 201].

-თი თითქმის ყოველთვის მიცემითთან არის; მას გენეტური კავშირი უნდა ჰქონდეს სვან. -თე თანდებულთან, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს: **იმთე ღერი?** „საითკენ (// სად) მიდინარ?“ **ლეჩხუმთე** (= „ლეჩხუმისაკენ“, ლეჩხუმს) [ჩიქობავა 2010 (1927): 201].

გარდა -თი თანდებულისა, -კენ თანდებულის ფუნქციას – საიქეთო მიმართულების აღნიშვნას ფერეიდნული ახერხებს **ხარაზე** თანდებულის გამოყენებით:

შვილები ექით ხარაზე, დედა სხოვნით [ქდკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].

მობრუნდა სოფლის ხარაზე, ჩაჯიდა, სიგარს მოდვა, ადგა და წამოიდა სოფლის ხარაზე [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ცხენი მიბრუნდა ჩუღრუთის ხარაზე მაყრის კაცის ხმაც ესმოდაყე, ნისლი ჩამოწოლილიყო და გზა რამე-რუმე არ იჩინდა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

-ებრ თანდებული. მხოლოდ ერთადერთი შემთხვევაა დაფიქსირებული და ისიც ფსევდოლიტერატურული ფორმაა: დამიფიცია მხოლოდ შენთის ვიბძოლო, ჩვენის ხარ, ვიცია, **ჩვენთისაებრ** მღერიხარ [ქდკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

-დან // -იდან თანდებული. -გან თანდებულის ფონეტიკური ვარიანტი (< -ით-გან), საკმაოდ აქტიურად გამოიყენება ფერეიდნულში.

-დან // -იდან თანდებული გამოხატავს გამოსვლითობას. როგორც სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტებში, ფერეიდნულში ის შეიძლება გამოხატავდეს:

ა) **სივრცულ მიმართებას:** აფუსიდან, აზანიდან, აზატიდან, გერმანიდან, დაშქეშანიდან, ზევიდან, თბილისიდან, თიანეთიდან, ირანიდან, ისპანიდან, კახეთიდან, კედელიდან, კუთხიდან, მუცლიდან, მჯარიდან, პირველიდან, საქართველოდან, სახლებიდან, სკოლიდან, ფერეიდანინიდან, ფევბურთიდან, ქალაქიდან, ქალქუადან, ქილუმეთრიდან, ჩანთიდან, ციდან, ძირიდან, ხრიდან, ჯიბიდან, ძილმიდან:

ალია შაჰინი ხო იყო, რო დაშქეშანიდან უნდოდაყე მოიდენ საქართველოჩი [ქდკ, ჰეიდარ დარჩიაშვილი].

წადიან. სადაც რო მიდიან, გადვიდენ იმ მჯარიდან [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

გეეხეტაყე თავის სახლებიდან, ხუციშვილებსა დაჯვარდნიყოყე ერთი ნაბადი [ქდკ, იოსებ ხუციშვილი].

ბ) **დროით მიმართებას:** ბავშობიდან, დილიდან, დროიდან, შაჰ-აბასიდან...

არა, აქა გყოვ ერთი ძმა. ეხლა დარეკა და თქი, რო მოდი ამალამ-მეთქი და არა ხუალ დილიდან მოალთო [ქდკ, იოსებ ხუციშვილი].

იმიტომ აქიან სამგორიო, რო ომი რო შევდების შაჰ-აბასიდან დრო, ივდენი ქართველი დაწყდებისო, რო სამგან დაავროებენო, შაიქნების სამი იმ გორა [ქღკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ბავშობიდან [ინოვაციაა] მიყორდა საქართველო და არ ვიცოდი, სად რა ამბავია [ქღკ, მანსურ ყალანი].

რაც თელ დლე სანამ ამ აზანიდან ხუალ სალამო აზანამდე, რომ დაბლენდების, იმაშინ, მანამდე უნდა არცრა არ შაშჷამო, არც დადლივო [ქღკ, შაჰინა მულიანი].

გ) **როგორც დროულ, ისე სივრცულ მიმართებას** ზმნი ზელებთან: ანქიდან, აქედან, იქედან, იქიდან...

ანქიდან გავფრინდი და წაველი ბეისქამფსა და ჩამოელი თაა და ამ ბეისქამფამდე წაველი [ქღკ, ეზათოლა თავაზოჰი (ზაზა თავაძე)].

ერთი ანქიდან დლოღვით და ერთი ექიდან დლოღვით [ქღკ, ირანა იოსელიანი].

შეიძლება ითქვას, რომ **-დან (-ი-დან)** თანდებული დღეს ცოცხალია ფერეიდნულში, თუმცა მისი პოზიციები მნიშვნელოვნად არის შევიწროებული **-ყე** თანდებულის მიერ. ძნელია ითქვას, მისი გამოყენების მიღვევად ვითარებას აჩვენებს დღეს კორპუსი თუ მისი ხელახლა დამკვიდრების პროცესს (სალიტერატურო ენის გავლენით). სეიფოლა იოსელიანთან ამ ფორმით თანდებული დასტურდება.²¹³

-ურთ თანდებული. გვხვდება მხოლოდ ერთხელ, ქართულ დიალექტურ კორპუსში დადასტურებულია ერთი მაგალითი და ისიც განსაზღვრებითი ნაცვალსახელი: – ჰა, **ერთურთ** გამოჯავრდიან ხო მა! [ქღკ, საფეია ასლანი].

-მდე // მდი // მდის // მდინ თანდებული. **-მდე:** ათამდე, აქამდე, ბოლომდე, გორამდე, დილობამდე, ექამდე, ზედთამდე, თემდე, იქამდე... კირიამდე, მაზრამდე, ორიათასამდე, ოცამდე, სადილოუენობამდე, სალამომდე...

მდის: ექამდის, ეხლამდის, სალამომდის...

აღნიშნული ვარიანტებიდან ყველაზე აქტიურია **-მდი:** ათთამდი, ანქამდი, ასიმანამდი, ახლამდი, ბაღამდი, ბაღამდი, ბიჭებამდი, ბოლომდი, ბუდაყამდი, გადრეცილამდი, გორამდი, დერიამდი, დილამდი, დილობამდი, დრომდი, დღემდი, დღესამდი...

ქღკ-ის მონაცემების მიხედვით სწორედ **-მდი** ვარიანტია დომინანტური დღეს ფერეიდნულში, თუმცა ყველა ვარიანტი შეიძლება შეგვხვდეს ერთი პირის მეტყველებაშიც კი. სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში მხოლოდ **-მდი** ფორმა გვაქვს დადასტურებული, თუმცა მომდევნო ხანის ტექსტები მეტ ვარიაციულობას ადასტურებენ. მუხტარ დარჩიაშვილისგან ჩაწერილ მასალაში ოთხიდან სამი ვარიანტი გვხვდება:

-მდე (5 სიტყვაფორმა): მაზრამდე, სიბაქამდე, ლამემდე, ჩონცამდე, წლამდე.

-მდი (14 სიტყვაფორმა): ბოლომდი, ბუდაყამდი, გადრეცილამდი, გორამდი, და-

213. იხ. ქვემოთ

წოლამდი, ექამდი, იქამდი, მოკვლამდი, ნადირობამდი პირამდი, ლამემდი, შუალ-
მომდი, ხვალემდი, ხუნგამდი.

-მდინ (1 სიტყვაფორმა): თავფეკამდინ.

-მდის (0 სიტყვაფორმა): –

აქ წარმოვადგინეთ ერთი მთქმელის მეტყველებაში დადასტურებული ვარიაციუ-
ლობის რაოდენობრივი და თვისებრივი სურათი. საყურადღებოა, რომ ამ ფორმათა ვა-
რიაციული თანაარსებობა (ყველასი ან რამდენიმესი ერთად) თანამედროვე ქართული
დიალექტებისთვისაც დამახასიათებელია.

მღე // მდი // მდის // მდინ თანდებულებიანი ფორმები, ისევე, როგორც თანამედ-
როვე ქართულსა და მის დიალექტებში, აქაც გამოხატავენ გარკვეულ პუნქტამდე
მიღწევას ადგილის, დროის, რაოდენობის მიხედვით:

ადგილის მიხედვით:

მაღარო გათხრილიაო, როგორც რო მარტყოფხი რო გათხრილია თა აჭლუნის გო-
რამღე რამაზის გორამღე [ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ემამა თა ისპანამდი თავის ცხენით წაიდა, წაიდა და იქითლა მაშინჩი ჩაჯდა და
წაიდა თეჰრანს... [ქდკ, ჰაიათ იოსელიანი].

ვთქით: რაათ ეგეთს იქთ და იმამამ თქენ: ჩონია, ექამდის ჩონია და ქენ ახლამდი
ჩონ მიწებჩი ყოფილხართ [ქდკ, შაჰინა მუღლიანი].

ეს ზოვი დაცურდების, ჩამუყვე თა ამ ბაღებამდინ ელ ემ პირდაპირა [ქდკ, ზეი-
ნაბხათუნა ლაჩინანი].

დროის მიხედვით:

იმ სარავის ნაპირზე ავლენ და ხალღი იქნების თა საღამომღე [ქდკ, კოლა ონი-
კაშვილი].

მეორე ღღეს წავა და მესამე ღღეს და თოთხმეტი ღღემდი ჩონ ეს გოქ და ადათი
და ხასიათი [ქდკ, მაჰმად ბათუაშვილი].

ერთი ორი-სამი გომი აავსის, საღამომდის სუ 'ნდოდის, ის საქმე ჩონ იყო [ქდკ,
ირანა იოსელიანი].

სადილობამდინ მადას აიღეფს. ავკდილა და გაცვივდების და შაფჰამოთ [ქდკ, სა-
ქეაი ასლანი].

რაოდენობის მიხედვით:

კარგად იციხ დათლა. ათამღე, ოცამღე იციან და დანარჩენი არ იციან [ქდკ, ფრაჰ-
ნაზ ხოსრაჯი].

უმეტეს შემთხვევებში სინტაქსურ კონსტრუქციას **-მღე // მდის // მდი // მდინ**
თანდებულებიანი ფორმებთან ერთად ამყარებს სპარსულიდან ნასესხები **-თა** (სანამ,
-მდის, რათა, როდემდე, ვიდრე) თანდებულის გამოყენება.

თანდებულები -ვით // -ით. ფერეიდნულში დაერთვის როგორც ხმოვანფუძიან, ისე
თანხმოვანფუძიან სახელებს მიცემით ბრუნვაში: აჭდულსავით, აზრივით, ალყასა-
ვით, ამასავით, ამებსავით, აუზსავით, ახალგაზღასავით, ბადიასავით, ბაზელსავით,
ბალიშსავით, ბახტიარებსავით, ბრინჯსავით, გზასავით, გიორგისავით, გორჯეს-

ტანსავით, გუნდასავით, დათესასავით, დედაკაცსავით, დედასავით, ეგეთსავით, ემასავით, ემევეით...

გვხვდება -ა მავრცობიანი ფორმებიც: ანგელოზებსავითა, ბოხჩასავითა, ბურთსავითა, დათსავითა, ემასავითა, ემესავითა, კიბესავითა, კილუსავითა კისასავითა, მუწუკასავითა, სასთოქლსავითა, ყალასავითა, ყაურმასავითა, ყმაწილსავითა, ჩემსავითა, ჩონსავითა, ჩუფხათსავითა, ცომსავითა, წყილსავითა, ჭადსავითა, ჭინჭველასავითა, ხანსავითა...

ზოგჯერ თანდებულისეული -ვ დაკარგულია: ამესსავით, ახლანდელსავით, ბატკნებისავით, გადამბულსავით, ეხლანდელებსავით, ეხლანდელსავით, თახთასავით, იმისსავით, კაკალსავით, კნესავით, ნიავსავით, სოფლელეებისავით, სტირისავით, ქილუსავით, ყმაწილუფსავით...

ჩოფფიში არმინ ამესსავით ვერ ითამაშავდა [ქდკ, არია ხოსროვი].

ექაც ხო ამ წინსავით ქართველებს, ქე ფერეიდანყე ჩამოდიოდენ, აღარ ეშელებოდენ [ქდკ, არია ხოსროვი].

ავა იქ, ის რო მადაროსა დგავ, ხიდი გადამბულსავით, ის არი პაპას ბალი [ქდკ მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

პირველი წლის მამალსავითაო ჰყინტყინტებო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ორად-ორი შემთხვევა დასტურდება თანხმოვანფუძიანებთან -ვით თანდებულის გამოყენებისა მუხტარ დარჩიაშვილის მეტყველებაში:

კდარივით: მიიკუნთხების და თოფსა დაადებს და ხოა კდარივით [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეხლა ჩონ ემ ქართველებს იმაშინ, ჩონ აზრით, როგორც ანგელოზს, ანგელოზს, ეგეთ რამე მეგონა ის ქართველები [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ვფიქრობთ, ორივე ეს შემთხვევა ინოვაციად უნდა ჩაითვალოს დიალექტში და სალიტერატურო ენის გავლენით უნდა აიხსნას.

-ვით თანდებული გვხვდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთანაც: ემისავით (პარალელურად გვხვდება ემასავით), მატლისავით, ჯარისკაცებისავით, თბილისავით.

ადამიანის საკუთარი თანხმოვანფუძიანი სახელები გაიგივებულია -ი-ზე დაბოლოებულ ხმოვანფუძიან სახელებთან: მარიამისავით.

2.2. ცალკე მდგომი თანდებულები

თანდებული შუა, შორის. თანდებულის მნიშვნელობით შორის ფორმა ფერეიდნულში არ დასტურდება. გვაქვს მხოლოდ შუა, რომელიც ახლავს არა მიცემითის ფორმას, როგორც ეს თანამედროვე ქართულშია, არამედ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას:

ქენ ბატა შორს ყოფულხართ თების შუა [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

ქართული სახლი გოქონდა, რო ნავევარი სოფელის ხალღი შიგ იტევდა. მე რო წაველ, მოველლა, დეენგრივაყე. **ძმობის შუა** გაყოფულიყო [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

ღა **ძმობის შუაღა** გაიყო ღა თითონ ეს ღიდ ქართველ სახლი, ჩემ პაჰასა გეეკეთა [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

საქართველო, შენ **ორ ზღუას შუა** ხარ, ფერეიდანი ხიღია **ორი ქვეენის შუა** [აბოლყასემ აჰმადი].

თქეს, რო მოღითო ღა **ჩონ შუა** ეს მოშკელი გაათავთავეთო [ქღკ, მაჰინე იოსელიანი].

ეხღა **ჩონ შუა** ღა **ქენ შუა** ერთი ეგეთ გახაზული არი [ქღკ, მთქმელი უცნობია].

თანღებული გარღა. ეს თანღებული ძველ ქართულ ძეგლებში არ გვხვღება, ღა მხოლოღ საშუალ ქართულში ჩნღება [მარტიროსოვი 1946: 240]. ფერეიდნულში დასტურღება ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან ძირითაღად სახელის შემღდეგ:

მე აღამიანი არ ღაინახე, სულ არა, **ორ კაციის გარღა** [ქღკ, ჰაით იოსელიანი].

ღმერთის **გარღა** ის არმინ არ იღის [ქღკ, მუხტარ ასღანი (ღარჩიაშვილი)].

საშუალ ქართულ ძეგლებში, ძირითაღად კი ღოკუმენტებში, **გარღა-თი** მართულ ჩვენებით ნაცვალსახელს ღა კავშირი შერწყმოღა: ამასღაგარღა... [მარტიროსოვი 1946: 240].

ფერეიდნულში მსგავსი ფორმები არ დასტურღება, აქ **გარღა** შეიღლება შეგვხვღეს პრეპოზიციურ რიგში, ისევე, როგორც თანამღედროვე ქართულში ნათესაობით ბრუნვაში მღგარ მესამე პირის ნაცვალსახელთან:

გარღა ამისა, ემები არიან... ეხღა კი, სოფლის გარღა ემისცა, ერთი ბოღინა, ექსცა ეღა ქურთებია [ქღკ, რეზა მიქელაძე].

ემის, **გარღა იმისა**, მარტყოფჩი სამში ქარხანა იყო, ემესი ყურზენის წყალითა შირა გააკეთიანყე [ქღკ, მთქმელი უცნობია].

საშუალ ქართულში **გარღა** თანღებული ნათესაობით ღა ნანათესაობითარ ვითარებითშიც გვხვღება: კიღევე ამას **გარღაის** შეგიწყალეთ (საქ.სიძვ. II27r); ამასღა გარღაისაღ... (ღოკ.124)... [მარტიროსოვი 1946: 241].

ფერეიდნულში გვხვღება **გარღაის // გარღაღს ფორმები:**

ეს, რო თამაშოფს, იმ **ორის გარღაღს**. ღიდს შომოოსხნია ქამარბანღი. ერთი მუა, მაჰკიღეფს, იმ **ორის გარღაღს**. ღიდს შომოოსხნია ქამარბანღი [ქღკ, ებრაჰიმ მიქელანი].

იმიღს **გარღაღს** ერთჯერაც მისულვარ თფიღოსჩიგაო, ფული ნაკლები მქონღაო, ფულიც მამღესო ღა ბეური პატივიცა მღესო [ქღკ, სეიფოღა იოსელიანი].

ცხენის **გარღაღს** **ორი** ათასი თუმანი ფულაღ გომიგორთო [ქღკ, სეიფოღა იოსელიანი].

ღაღდახიან ბაშლულს, რო წოულღებენ ყორის ღედ-მამას. ეემის **გარღაის** ქებინი არი რო მამულსა, სახღსა ღა ბაღსა ღა სხო რამეებსაც ღოუწერენ ქებინჩიგა რო იმ ქალიღსა იყოღს [ქღკ, სეიფოღა იოსელიანი].

ეემის **გარღაის** ქებინი არი რო მამულსა, სახღსა ღა ბაღსა ღა სხო რამეებსაც ღოუწერენ ქებინჩიგა რო იმ ქალიღსა იყოღს [ქღკ, სეიფოღა იოსელიანი].

ფერეიდნულის ანალოგიური კონსტრუქცია დავადასტურეთ 1771 წლით დათარიღებულ დოკუმენტებში: „მდივანბეგი პაატა დავით გარეჯის – წინამძღვარი ონოფრე აკურას კაცებზე ცილობდნენ და რაც ამ სიაში ეწეროს, იმაზედაცა და რაც ამის **გარდაის** სალაპარაკო რამ იყოს იმაზედაც შეიყარნენ ეპისკოპოზთაგან ბატონი ალავერდელი, სამებელი და ნინოწმინდელი. დარბაისელი ვისივის მოურავი და ენისელთ მოურავი, სახლთხუცესი. სამართალი ქნან...“ (ქემის: 44-45) [საქართველოს ისტორია ტოპონიმიში I, 2010: 28].

როგორც ჩანს, ფერეიდნულის ფორმა **გარდაის** // **გარდაის** გადასახლების დროს უკვე საკმაოდ დამკვიდრებული იყო დიალექტში. არ არის გამორიცხული, რომ ის დიალექტებში ბევრად ადრე არსებობდა, ვიდრე საშუალო ქართულის ოფიციალურ ვარიანტში შემოაღწევდა.

თანდებული მაგიერ // **მაგიერ** // **მაგიერ** გვხვდება ნათესაობითში მდგარ სახელთან პოსტპოზიციური წყობით:

*მაქაჩი, ელა მაქაჩი, ბაღე. წაველით ანქა, ელ ეგრე ქუა ვაყარეთ. ჩონ ხო ვერა, ექა და აანქა ვერ გაისრი. კაცებმა ჩონ **მაგიერ** შაყარეს, ხოლამ უშელოსყე [ქღკ, თაალათე ათაი ასფანანი].*

*თოვლი ბეჭრი მოდის, ის თოვლი მიწას **მაგიერ** მარხავს და ინახავს სითბოს...* [ქღკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

*ჰა, აბანოჩი პური წაილითყე, ჰა, მაა, ფულის **მაგიერ** [ქღკ, ნარგის აბასი].*

*გაწითლდების და ამ ზეს, იმის **მაგიერ**, რო ააღუღონ, ონთონ ქემ, ემ ქუებ ჩაჰყრიან შიგ, ზეჩი [ქღკ, ნარგის აბასი].*

*ეხლა ერთ რამე, ბოღიში, მე შენ **მაგიერ** უნა შევეკითხო, შენ ემ შუაჩი რას აკეთე? [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].*

*რაქთენჯელაც დამპირებეყნეს ხალათსა და რას მოცემთო, იმის **მაგიერ** ერთი ცხენი წამართო, რო სამის ორმოცდაათი თუმანი ფასი ჰქონდა [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].*

მოცემული მაგალითები ნათელს ხდის, რომ ეს თანდებული პირველივე (სეიფოლა იოსელიანი სგან ჩაწერილ) ტექსტებში გვხვდება და დღემდე აქტიურად გამოიყენება. მის პარალელურად გვაქვს ფონეტიკური ვარიანტები:

*მაღყუანს ექ თავის **მაგიერ** დასომს და ეხლა ის წავა დამაღლების [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].*

*ქართველები ერთ კაცს მაჰჰკლვენ იმ ქათამის **მაგიერ** [ქღკ, რეზა ხუციშვილი].*

2.3. ზმნიზედები თანდებულის მნიშვნელობით

ქემ // ქემა // ქემა (< ქემა) თანდებულის ფუნქციით

ქემა თანდებული მხოლოდ ვ-ს გარეშე, მავრცობიანი და გაუვრცობელი ვარიანტებით გვხვდება ფერეიდნულში. დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს. უცხლად მიცემითთან მისი გამოჩენა (ზოგი ქართული დიალექტისგან განსხვავებით):

ფარეფუს სასთოვლს გააკეთებდეს, ქე დაიდუჲან **თავის ქეშ** [ქღკ, მთქმელი უცნობია].

ქანღები გათხრეებია, მიწას ქეშ მაგარ ადგილეფსა ემე მამულის მიწების ქეშე არა, და [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

ნაღმი დკრეს **თავის ქეშ**, წყალი გაწურა და ზეითი გახმა. **ნაღმი დკრეს თავის ქეშ**, წყალი გაიტანეს ძირსაყე [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

სადაცღა რო იწერის ქობის **თას ქეშა** ჳა იყო იქა წაიყუანა, სასკლინტოს თა იყო [ქღკ, ჰეიდარ დარჩიაშვილი].

ქანღები გათხრეებია, მიწას ქეშ მაგარ ადგილეფსა ემე მამულის მიწების ქეშე არა, და, ანსები თუ გინდოდეს გაათხარო, თეთრი მიწა უნდა იყოს [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

წინა // წინ ზმნიზეღა თანღებულის ფუნქციით იხმარება როგორც მიცემით, ისე ნათესაობით ბრუნვაში მღგომ სახელებთან. იმის მიხედვით, სახელთა რომელ ჳგუფეს დაერთვის, გამოხატავს დროს ან ადგილს:

დროს (დროის აღმნიშვნელ ლექსიკასთან):

ასი ათი **წელს ემისყე წინა** [ქღკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].

ოცი წელს ემეს წინ ჩაფუჳდა, ჩემი მამას მამიღა იყო [ქღკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].

ჩონ ვირები ხომსის ყელზე სამ თეს, **ორს თეს იმისყე წინ** წარეკეს და ეხლა, აი, ამბავი მოუტანიაყე ჩონთინ, რო ქენი ვირები სად არიან [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

დროის გამოხატვაში ყველგან მონაწილეობს ნაცვლასახელი ემეს // ემესყე (ამის).

ადგილს:

ეხლა მივღევ ამ ქურთსა ჩემ წინ, მე ჳგობხი მიჭირავ [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

უკან // უკანა ზმნიზეღა თანღებულის მნიშვნელობით. გამოხატავს დროს, გამოიყენება შემდეგ თანღებულის ფუნქციით:

ციჲოღა და ბლენოღა. მუგუცა წიმა **შუაღამის უკან** [ქღკ, სეიფოღა იოსელიანი].

ხუთ-ექს **დღეს უკან** წაველით ძერედღანსათი [ქღკ, სეიფოღა იოსელიანი].

უკან ზმნიზეღა თანღებულის ფუნქციით დაერთვის როგორც წმინდა ფუძეს, ისე მიცემითისა და ნათესაობითის ფორმებს. ერთ ფრაზაში დადასტურებულია ერთ მთქმელთან სამივე შემთხვევა:

ვახშამ უკან ყეინის ყორს დეეწყო – ამალამ კი თავის თავი გააცნოს ყეინსა და ვაზირს. ეთქო იმ ქმარსათი, რო **ვახშამის უკანო** ეჯაზა აიღეო ყეინისაყეო და მაცნობეთო. **ვახშამს უკან** აცნობეს და მოიღა ფარღას უკან და უთხრა ყეენს [ქღკ, სეიფოღა იოსელიანი].

წავლენ ბაღებში. ბაღში დასხდებიან, იქ დაქუჩდებიან თა ორი, სამი საათი **სა-
დილო უკან** [ქღკ, კოლა ონიკაშვილი].

რვა-ცხრა თემ რო გაიარნა ემ **ქმარის უკან**, რო წასულიყო საქარზე [ქღკ, სეი-
ფოლა იოსელიანი].

რო წახლოლო, დაბრუნების რო მოხლოთ გერივაო, **ორ წელს უკანაო** მეტიო რაძ-
ლა რო გაილისო, გერივ რო მოხლო, ჩამოდი ჩემთანაო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ეხლა კი, იმის უკანაც ელა მე რო მოსწავლებელი ვიყავ სოფელში, იმის **უკან**
გავდოსტიოლა ძრიალა, დავყონადეთლა [ქღკ, რეზა მიქელაძე].

გამონატავს დროს, გამოიყენება **წინ** თანდებულის ფუნქციით:

ერთ დაახლოვებით ერთ სამოცი წელის **უკან** [ქღკ, შაჰინა მუელიანი].

–საქართველოში, **თორმეტი წელის იმისყე უკან**, ჩემი ძმა ანქ იყო, ჩემი ძმა ანქ
იყო [ქღკ, ეხათოლა თავაზოჰი (ზაზა თავაძე)].

ერთი ორმოც წელს **იმისყე უკან** ესე ვისწავლე და ახლა დამიწყებია [ქღკ, აითე
თავაზოჰი (მაყვალა თავაძე)].

გამონატავს ადვილს:

ეს **კარის უკან** დადგებიან [ქღკ, შაჰინა მუელიანი].

მოვლენ ერთ **გორას უკანა** [ქღკ, რეზა მიქელანი].

ქუნთურშა არი. **თოლის უკან** დაყრის [ქღკ, მთქმელი უცნობია].

მოვკიდავ და ვირბენ **დედაკაცების უკან**, ვაშინებყე, სუს შეეშინდებისყე ემ ცუ-
რავსაყე [ქღკ, მთქმელი უცნობია].

მეცა **შუშას უკანა**, ერთ კარის უკანა დადგომილიყავ და გავჭრეტდი, დავმალუ-
ლიყავ... [ქღკ, რეზა მიქელაძე].

შემდეგ ზმნიზელა თანდებულის ფუნქციით

გამონატავს დროს:

ახანძალილა რო მუა, ერთ **კირიას შემდეგ**, დელას სიდედრმა უნდა მაიგლიჯოს
[ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

იმის შემდეგ ერთი ყურანი ერთსა ჯიბესაყე წამადვარდა [ქღკ, მაჰმად ბათუაშ-
ვილი].

ნადერ **შახის შემდეგ** მოიდა ქერიმ ხანი ზანდი [ქღკ, მაჰმად ბათუაშვილი].

მოლით, ნახეთ, **ოთხას წელის შემდეგაო** ჩულურეთშიგაო დაფაზეო ყმაწი-
ლუფსაო ქართულად უწერიყეო [ქღკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ხო, ჯერ მალე 'რი, ადრე 'რი, ერთ **საათის შემდეგ** წავდივართ, შიღზე გავალთ
იქით [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მერე ჩამუა ხინჭა, **ხინჭას შემდეგ** არის იფო მოწმინდაო ხინჭა [ქღკ, მუხტარ
ასლანი (დარჩიაშვილი)].

მხოლოდ ერთ შემთხვევებში მას ჩაენაცვლა ზმნისართი **მერე**, რომელიც ასევე თანდებულის ფუნქციას ასრულებს მოცემულ კონტექსტებში:

სამშენებელი დღეს მერე ეტყვიან... [ქლკ, შაჰინა ხოსრავე].

ანქით // ექით ზმნიზედა თანდებულის ფუნქციით:

ჩონ მამულწყალი არი, იმის ანქით-ექითა, იმ გორას ანქით-ექითა, უკანა და წინა გერდებზე [ქლკ, რეზა მიქელაძე].

2.4. ნასესხები თანდებულები

ფერეიდნულში აგრეთვე დასტურდება ნასესხები ინვენტარი სხვადასხვა თანდებულის ფუნქციით:

ბალა-: *-გამო თანდებულის ნაცვლად:*

მე ამის ბალაზე ეს საქმე ქქენ.

ყეირაზ: *გარდა-ს ნაცვლად:*

ჩემთი ცურავსაყე არ მეშინიან, ძაღლის ყეირეზ არც რაასყეა არ მეშინია [ქლკ, მთქმელი უცნობია].

2.5. -ყე ნაწილაკი თანდებულის მნიშვნელობით

არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ **-ყე** ნაწილაკი თანდებულის მნიშვნელობით დაერთვის როგორც ნათესაობითი ბრუნვის ფორმას **ემის ჯელისაყე, ისპაჰანისაყე**, ისე მიცემითი ბრუნვის ფორმას: **თებსაყე, მიწასაყე, ჯიბესაყე...** იგი წერს: „**-ყე** ნაწილაკი ფერეიდნულში ორი სრულებით განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია. ერთს შემთხვევაში იგი წარმოადგენს თანდებულს, რომელიც მოითხოვს ნათესაობითსა ან მიცემით ბრუნვას და მნიშვნელობით უდრის თანამედროვე სამწერლო ქართულის **-გან (resp. -დან)** თანდებულს (უფრო ხშირად), ხანდისხან კი **-კენ** თანდებულს; უკანასკნელს შემთხვევაში იგი გენეტურად უკავშირდება **გარე-კახურისა და ინგილოურის -ყე // -ყენ** თანდებულს, რომელიც თავის მხრით სამწერლო ქართულის **-კენ** თანდებულის შესატყვისია, როგორც ფონეტიკურად, ისე მორფოლოგიურ-სინტაქსურადაც“ [ჩიქობავა 2010: 25].

ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია და ივანე ქავთარაძეც **-ყე** ნაწილაკს **-გან** და **-კენ** თანდებულების ფუნქციას აკისრებენ: „ყე, -ყენა თანდებული -გან კითხვაზე საიდან, იხმარება მიცემით ბრუნვასთან: **ჭასაყე** (= ჭიდან) წყალი ამიიღონ; **მიწასაყე** მიწიდან; **თბილისსაყეო** თბილისიდანო; **თებსაყე** მთებიდან; მაგრამ: **ამისყე** აქედან“ [ქართული დიალექტოლოგია 1961: 632].

-ყე ნაწილაკი -გან თანდებულის ფუნქციით აქტიურად გამოიყენება ფერეიდნულ ქართველთა მეტყველებაში:

დავკონალითყე და ამებ ბაღეები დოოდვითყე, ეს ბისნაფარი, რო ამ აღანთაყე მოსულიყენს, ამეფს ბაღეები დოოდვითყე [ქლკ, ნარგის აბასი].

გამოხატავს მოქმედების **მიზეზს**:

რაქოთენ დღესა ემისყე წინ ელა დევეგლე ემ სიცივესაყენა და ჯელასაყენა და. *ერ-თ-ორველ აველ დოქოთორზენა, შარბათებითა* [ქღკ, თაჰერა იოსელიანი].

ქართულში გამოიყოფა მცირე ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც ნათესაობით ბრუნვაში შეიწყობენ სუბიექტს (მეშინია, მრცხვენია, მშურს, მეხათრება, მერი-ღება, მჯერა, მწამს, მმართებს...) [იმნაიშვილი 1957; დამენია 2000; სოსელია 2010 და სხვ.]. ფერეიდნულში ამ ისედაც მცირერიცხოვანი ჯგუფიდან რამდენიმეა შემორჩენილი.

განსაკუთრებით საინტერესო სურათს გვიჩვენებს ზმნები **ეშინია** და **რცხვენია**, რომლებიც ძველი ქართულის მსგავსად ნათესაობითში დასმულ თანდებულებიან ფორმას შეიწყობენ²¹⁴. ამათგან კორპუსულად მხოლოდ **ეშინია** გვაქვს ამ სახით დადასტურებული (თუმცა ზეპირ საუბარში **რცხვენია** ზმნაც შეგვხვედრია -ყე თანდებულებიან ნათესაობითის სუბიექტით):

დაღვა კივილზე, რო: მე არ გადგ ზავნი. მე ილ იქ, რო მითქომ, უნდა წახიდლო. მაგარ მე მეშინია მოღირქოლსაყეო [ქღკ, რეზა მიქელანი].

ეხლა დგონებიაყე რო ემისყე ეშინია (=ამისი ეშინია) [ქღკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].

ჩემო რაჰშოო, ნუ გეშინიან სიცივესაყეო, სიცხესაყეო და სიცივე და სიცხესაყეო და ომსაყე და ბრძოლასაყე ნუ გეშინიანო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ამ იშვიათ ზმნათა ჯგუფს ეკედლება „მაღლობელი ვარ“ მნიშვნელობით ნასესხები ფორმაც და ისიც -ყე თანდებულებიან ნათესაობითის შეიწყობს:

არც რამე, მამუნნი [მაღლობელი] ვარ შენყე, მე ძრიალ შენ თავი მიყორს [ქღკ, რეზა მიქელაძე].

ვთქი: – ბატონო-მეთქი მე ველ ჩამოვართომ, ამმა კახა შენყე (= შენგან, ექიმს მიმართვს) მინდა-მეთქი. არც რამე, მამუნნი ვარ შენყე (= შენი მაღლობელი ვარ), მე ძრიალ შენ თავი მიყორს [ქღკ, ირანა იოსელიანი].

თუმცა სეიფოლა იოსელიანის ტექსტებში გვხვდება თანამედროვე ქართულისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციაც:

მე უთხარყე: ქენი მამუნნი ვარ მიწასაყე თა ასიმანამდი.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ თვალსაზრისს -ყე **ნაწილაკის -კენ თანდებულის** ფუნქციით გამოყენების შესახებ. პირველად ამის შესახებ არნოლდ ჩიქობავამ მიუთითა თავის ნაშრომში [ჩიქობავა 2010 (1923-24): 25] და საილუსტრაციოდ მოიხმო: *ცხორები გამორეკეს ბიჭებმა, რო თებსაყე გევეპარნეთყე.*

უფრო გვიან გამოქვეყნებულ ნაშრომში ჩიქობავა აღარ ახსენებს -კენ თანდებულის (საიქეთო მიმართულებების) ფუნქციას -ყე-სთან დაკავშირებით. ის **ყე(ნ)-ს**

214. შდრ.: აწ პატივის ვხედავ და პატივისგან მეშინის; ნუ გეშინინ მათგან; აწ გეშინოდენ თქვენ უფლისგან; ღმრთისა არა ეშინოდა და კაცთაგან არა ჰრცხვენოდა; კაცსა გამოცდილსა რცხუენის პირისგან... (აბულ.)

კენ-იდან მომდინარედ მიიჩნევს და წერს, რომ: „-კენ თანდებული ყე(ნ)-ს სახით არის შერჩენილი (ისევე როგორც ეს კახურ-ქიზიყურ-ინგილოურშია) და აღნიშნავს უმთავრესად -დან, -გან'ს: მაგალ.: „ჩავყავ, ამოილე ჯიბესაყე (= ჯიბიდან) ფული... ერთი ქართველი თბილისსაყენაო (= ტფილისიდან) ჩამოსული“ [ჩიქობავა 2010 (1927): 201].

რაც შეეხება -კენ თანდებულს, ავტორი აქ უკვე აღნიშნავს, რომ მის ფუნქციას -თი თანდებული გადმოსცემსო [ჩიქობავა 2010 (1927): 201].

არნოლდ ჩიქობავას შემდეგ არამ მარტიროსოვი მიიჩნევდა -ყე ნაწილაკს -კენ თანდებულის ფუნქციისად. იგი წერს: „რიგ კილოებში (ინგილოური, ფერეიდნული, გარეკახური, მთარაჭული, ქვემოიმერული) კენ თანდებული წარმოდგენილია ასევე ყენ // ყეს სახით. ფერეიდნულში -ყე ერთვის ნათესაობითსა და მიცემითს და მნიშვნელობით შეესიტყვება მოქმედებით ბრუნვასთან ხმარებულ -გან თანდებულს. მაგალითად ისპანისაყე ქალაზი მოგუვიდა (= ისპანიდან); ჩავყავ, ამოილე ჯიბესაყე ფული (ჯიბიდან), მაგრამ: თებსაყე გევეპარნეთყე (= მთებისკენ)...“ [მარტიროსოვი 1946: 225].

მაგალითი სეიფოლა იოსელიანის ტექსტიდანაა: „საღომის ცხორები გამორეკეს ბიჭებმა, რო თებსაყე გევეპარნეთყე...“ [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

როგორც ვხედავთ, არამ მარტიროსოვს იგივე მაგალითი მოჰყავს თავისი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ.

ტექსტში საუბარია იმის შესახებ, რომ სეიფოლა იოსელიანმა სხვებთან ერთად ცხვრები წარეკა ისპანისაკენ იმ განზრახვით, რომ თუ გზაში მყიდველი შეხვდებოდათ, გაეყიდათ. გზები რეზა ხანს დაეჭირა და ვერავინ ვერაფერს ბედავდა, მათაც გადაწყვიტეს ცხვრებთან ერთად გაქცევა და ერთ სოფელს მიაღწენ. ტექსტი ასე გრძელდება: „იმ დამით ვიარეთ, გზა დავკარგეთ, გერივაც დავაბრუნეთ ცხორები და წაველით ერთ სოფელჩი“. ამ მცირე მონაკვეთში თავისუფლად შეიძლება ორივე შინაარსის ამოკითხვა: მთებისკენ გაიქცნენ თუ მთებიდან, თუმცა, სწორედ ის, რომ ისინი სოფელში აღმოჩნდნენ, გვაფიქრებინებს, რომ საუბარია არა მთებისკენ გაპარვაზე, არამედ მთებიდან წამოსვლაზე.

ჩვენ დავადასტურეთ კიდევ ერთი სათუო შემთხვევა -ყე ნაწილაკის -კენ თანდებულის ფუნქციით გამოყენებისა:

სხო თოფების ვმა მოიდა, რო მივიხედეთ სოფელსაყე, გართი (მტვერი), ბოლანდე (მტვერი, მტვრის კორიანტელი) აღიოლა [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ამ წინადადებაშიც ისე ჩანს, თითქოს საიქეთო მიმართულების აღნიშვნა უნდა იყოს -ყე ნაწილაკის ფუნქცია, თუმცა უფრო ვრცელი კონტექსტი სადავოს ხდის ამ ვარაუდს: „წინად სანგარები რო გოქონდა, სხო სოფელჩი და ცხენები რო გყვანდა // ყვანდა, იქ ჩონ მოიცადეთ თა მზემა დკრა. ათორმეტნი ვიყენევით იმ ჭის თოლჩი. ერთხელა ვნახეთ, რო დიდი თოფისა ვმა მოიდა. მივიხედეთ, ვნახეთ, რო ბოლი ვადაბა; კარგათ გუგუზარდა; თოფები დეებაყე იმ სოფელსათი, რო დაღიები შიგ იყნეს,

ორივე ჯარასაყე. ემ თოფებმა რო გაათავა, სხო თოფების ჯმა მოიდა, რო მივიხედეთ სოფელსაყე, გართი [მტერი (= მტკერი)] ბოლანაღე ადიოდა, ჩონც სიხარულით წა-მოვცივდით, გავიქენით. შავცივდით სოფელჩი.“

გავიხედეთ სოფლიდან თუ სოფლისაკენ?

ვფიქრობთ, აქ მიძიმე არასწორადაა დასმული, უნდა ყოფილიყო ასე: ...რო მივიხედეთ, სოფელსაყე გართი [მტერი] ბოლანაღე ადიოდა.

არნოლდ ჩიქობავასა და არამ მარტიროსოვის შემდეგ **-კენ** თანდებულის ფუნქციას ანიჭებენ **-ყე** ნაწილაკს ქართული დიალექტოლოგიის ქრესტომათიის შემდგენლები:

„-ყე თანდებული -კენ, იხმარება მიცემით ბრუნვასთან: „ეხლა ვთქოთ თავის ცოლსაყე (=ცოლისკენ, ცოლზე)“ [გიგინეიშვილი და სხვ. 1961: 632].

ეს წინადადება ტექსტში სრულად ასეა წარმოდგენილი: ეხლა ვთქოთ თავის ცოლსაყე, რო ფული და ბრეწველი მოუგ ზავნა [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ვფიქრობთ, მოცემულ წინადადებაში **-ყე** ნაწილაკს აკისრია არა **-კენ** თანდებულის ფუნქცია, – მიმართულების ჩვენება, არამედ, ვინმეს ან რამის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვა, რომელიც თანამედროვე ქართულში გამოიხატება **-ზე** და **შესახებ** თანდებულიანი ფორმების გამოყენებით. მართლაც, თუ ტექსტს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მთქმელი იწყებს ახალ ამბავს ფრაზით, რომელიც თანამედროვე ქართულში ასე გაიმართებოდა: ახლა ვთქვით მისი ცოლის შესახებ // მის ცოლზე.

არნოლდ ჩიქობავას ადრეულ ნაშრომში ერთი წინადადებით გაკეთებული მცდარი მინიშნება ინერციით გადაეცა სხვა თაობის მკვლევრებსაც.

სწორედ ამ ინერციის ძალით დარეჯან ჩხუბიანიშვილი ასევე მიიჩნევს **-ყე-ს** ფუნქციად გამოხატოს მიმართულების საწყისი პუნქტიც (-დან) და მიმართულება გარკვეული პუნქტისაკენ (-კენ). ამის დასტურად მას მოჰყავს ერთი მაგალითი: „წავლენ სოფელსაყე“ [ჩხუბიანიშვილი 1997: 182], სადაც კონტექსტი ბუნდოვანია და უფრო თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **-ყე** თანდებული **-გან** თანდებულის ფუნქციას ასრულებს, ვიდრე **-კენ-ისა**. მითითებულ გამოცემაში დაბეჭდილ ტექსტებში (იკე XXI) ეს წინადადება არ ჩანს და, სამწუხაროდ, ფართო კონტექსტის შემოწმება შეუძლებელია.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, აგრეთვე ქღკ-ის ტექსტური მასალისა და კითხვარული მეთოდით მოკვლეული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ **-ყე** თანდებული ფერეიდნულში საიქეთო მიმართულების აღსანიშნავად არ გვხდება.

დარეჯან ჩხუბიანიშვილი მიუთითებს და ზემოთ განხილულმა მასალამაც აჩვენა, რომ **-ყე** ზოგ შემთხვევაში (ნაცვალსახელებთან, ზმნი ზედებთან, სახელებთანაც) შეიძლება შეგვხვდეს **-ზე**, **-თვის**, **-გან**, **შესახებ** თანდებულების პოზიციაში: ემისყე წინ, ემასაყე ნუ გეშინიანო, ჩონყე ნამა არიო, ექიმი თავთაყე დაადგა და სხვ. ამათ გვერდით ჩვეულებრივია მაგ., -ზე თანდებულიანი სახელები: თავზე გაიდგის ექ ქობები, დასხდებიან ყალიჩებზე და სხვ. [ჩხუბიანიშვილი 1997: 31].

ქართულ დიალექტურ კორპუსში დასტურდება **-ყე** ნაწილაკიანი ფორმები, რომლებიც გამოხატავენ როგორც **-ზე**, ისე **-ში** თანდებულიანი ფორმების შინაარსს:

თაი იმეფს ეს ქული ჩაღვარდესყე **ველსაყე**. ველსაყე რო ჩაღვარდეს, ეხლა ემ დრო ორი, ემებმა დაწვენ და ამეებმა შაჟგენ [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

არ არი იმიტო, რო ეხლა ეს დამამიწყდა, რო გითხრა, რო ისი იგეთ **მიწასაყე**, იგეთ **ველსაყე**, რო ვმელია, რო გაივლი ფეჟშიშველა, ფეჟს ვერ აღგავ მიწაზე, ისეთი ცხელა [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიამჟილი)].

აქტიურადა -ყე ნაწილაკი -დან // -იდან თანდებულის ფუნქციით გამოყენებული:

ადგილი: ერთ დღეს ემ ტრედმა იმ სახლსაყე გადდა და აღარ მოდდა [ქღკ, მაჰინე ასლანი].

ისაც რო და გათხოილი ჰყავ იმ **სოფელსაყე** ამ სოფელში, ემ ნავრუზის საღამოს აღგების და ემას: საჭმელს და ლაბას და ფულსა და შირინსა და ჰარზადს იმ ნავრუზ ღამეს წოღლებს [ქღკ, კოლა ონიკაშვილი].

ქასაყე ცხენი გამოდდა და ფარვარდეგარის ემეითა და მოუჯეზადთა, ჰა [ქღკ, ზეინაბხათუნ ლაჩინანი].

თითან ერთ ყენს გაიკეთებენ და რო გაფუვდა და გამოდდა **ბუღესყე**, გაფრინდების და მეღვენებთან. ნახევარი ეს ფუტკრები დაიცლებს, გავა [ქღკ, ეზათ ყალანი].

ღრო: ოცი რო ემე **გაზაფხულსაყე** გადღისყე, ჩონ წადღიტყე ეღღაღზეგა [ქღკ, ზეინაბხათუნ ლაჩინანი].

-გან თანდებულის ფუნქციით ასევე დავადასტურეთ ნაწილაკი -კე:

ზეითკე დოოკივლეს: გოში ტიკიო, არ ჩაღხაფავდღო. თქო, რო: მე უშეგავ ტიკ-საო და ეს აღარ მიშეფსო [ქღკ, რეზა ონიკაშვილი].

მასალან, რამე არ გოქონდენ, მოღღენ, გაიტანენ **ჩონკე** მასალან [ქღკ, თაჰერა იოსელიანი].

ფერეიდნულში დადასტურებული თანდებულების სია:

ბალა bal (სპარსული), (გამო)
-გან // განა
გარღა
გარღაის // გარღადს // გარღაისა
გარღმო
-დან // -იდან
-ებრ (ქღკ-ში მხოლოდ ერთი შემთხვევა ამ თანდებულის გამოყენების, ინოვაცია)
-ვით
-ზე // -ზეღ // -ზეღა // -ზეგა
-თან // -თანა
-თვის // -თვისა // -თვინ // -თვი // -თი
-კენ // -კენა (ინოვაცია)
-მღე // -მღი // -მღის
-ურთ (მხოლოდ ერთი მაგალითია კორპუსში)
-ყე ნაწილაკი თანდებულის ფუნქციით
ყეირაზ qeyr az (სპარსული), (გარღა)
-ჩი // -ჩიგ // -ჩიგა // -ში // -შინა // -შიღა

ნაწილაკი თანდებულის ფუნქციით

ნაწილაკი	-თანდებული
-ყე // ყენ	-გან; -ღან // იღან; -ზე; -ში, -თვის;
-კე	-გან

ზმნი ზელები თანდებულების მნიშვნელობით

თანდებული	შესატყვისი	ილუსტრაცია	მთქმელი
ანქით-ექით	იქით-აქეთ	<i>ჩონ მამულწყალი არი, იმის ანქით-ექითა, იმ გორას ანქით-ექითა, უკანა და წინა გერღებზე.</i>	რეზა მიქელაძე
ექით	აქეთ	<i>ემ კისერს ექით მასჭრიან. ექით კი არა, ემ კისერს ექით მასჭრიან და თავს მისცემენ.</i>	მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)
მაგევრ // მაგიერ // მაგაერ	მაგიერ	<i>ნაჯაფაბადელები ერთ ქათამსა ქართველებისას მაჰკლავენ და და ქართველები ერთ კაცს მაჰკლავენ იმ ქათამის მაგევრ.</i>	რეზა ხუციშვილი
მიხეღვით ²¹⁵	მიხეღვით	<i>ეხლა ესენი ამ წიგნის მიხეღვით იძახიან უფრო სხვაჯურათ.</i>	ზენაბ ონიკაშვილი
უკან	უკან	<i>შიდ-რუა დღეს უკან ავიყუანეთ ათი ცხენიანი.</i>	სეიფოლა იოსელიანი
ქეშ // ქეშა	ქეშ	<i>ქანდები გათხრეებია, მიწას ქეშ მაგარ ადგილღეს ემე მამულის მიწების ქეშე არა, და, ანსები თუ გინდღეს გადთხარო, თეთრი მიწა უნდა იყოს.</i>	აბოლყასემ აკმალი
შემღევ	შემღევ	<i>წაიდეს ერთი წლის შემღევ.</i>	მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)
შუა	შუა, შორის	<i>ისპანის გზა და ქენ ბატა შორს ყოფულხართ თების შუა</i>	აბოლყასემ აკმალი
შუა და შუა	შუა-შუა	<i>ეხლა ჩონ შუა და ქენ შუა ერთი ეგეთ გახაზული არი.</i>	მთქმელი უცნობია
წინ	წინ	<i>ეხლა მივღევ ამ ქურთსა ჩემ წინ, მე გოხი მიჭირავ, მინდა, დავცხო.</i>	მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)

215. აქაური, საქართველოში მცხოვრები ფერეიდნელების მეტყველებაში.

3. ნაწილაკები

ფერეიდნული დიალექტი გამოირჩევა ნაწილაკების სიუხვითა და მრავალფუნქციურობით. აქ შეინიშნება როგორც ძველი ქართულის კვალი, ისე საშუალო და ახალი ქართულისთვის დამახასიათებელი მოვლენები. ფუნქციური თვალსაზრისით ფერეიდნულში გამოიყოფა ნაწილაკთა შემდეგი ჯგუფები:

კითხვითი ნაწილაკები. სამეცნიერო ლიტერატურაში კითხვით ნაწილაკებად მიჩნეულია: **-ა, ხომ, არა.**

-ა: არნ. ჩიქობავას დადასტურებული აქვს ერთი შემთხვევა კითხვითი ნაწილაკების გამოყენებისა: „სამოვარი არ მუგუტანესა? [ჩიქობავა 1927: 218]. ეს ფორმა არ არის დადასტურებული მის მიერ ჩაწერილ ტექსტებში, როგორც ჩანს, მკვლევარი იმოწმებს ამ მაგალითს პირადი საუბრიდან.

კლასიკური სახით **-ა კითხვითი ნაწილაკი** ფერეიდნულთა მეტყველებაში ვერ დადასტურეთ, თუმცა ჩაკითხვა-დადასტურების ფუნქცია კი ამ ნაწილაკს ნამდვილად აქვს:

-ა ნაწილაკი დაერთვის ზმნურ და სახელურ ფორმებს:

დაიდება – *მე ძთქი, რო ეგრე ერთი ველ დაიდება, ეგრე და ქამარბანდით დცემენ* [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

იქნება – *დედის კალთა რო მხურვალე არ იქნება, მაგის შვილი უწვრთნელი იზრდება* [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

მგონია – *აბა მისა? ემაზე? არა მგონია. ელ ეს კი არ არი, სედიე!* [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

კაკალსა – *კაკალსა, კაკალსა ვთირზანაობდით* [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

მსგავსი მაგალითები ქართული ენის სხვა დიალექტებში განხილული აქვს ქეთევან ლომთათიძეს. მისი აზრით, „-ა უნდა წარმოადგენდეს რომელიღაც ცალკე სიტყვის ნაშთს, შეიძლება ასეთად კაცს მიეჩნია ან მეშველი ზმნა ან : „არის“ („არს“) ან დამადასტურებელ-ჩაკითხვითი ნაწილაკი „არა“ ე.წ. განსაზღვრულობის ფუნქციით... [ლომთათიძე 1946: 342].

ფერეიდნულში სწორედ ამ ტიპის მოვლენასთან უნდა გვკონდეს საქმე და -ა ნაწილაკი მართლაც არის **დამადასტურებელი-ჩაკითხვითი დანიშნულები** და ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც ჩაკითხვის ნაწილაკი „არა?“.

დარეჯან ჩხუბიანიშვილი ამ ერთეულთან ჩაკითხვის ფუნქციას არ აკავშირებს, მისი აზრით, **-ა „საზს** უსვამს, ერთგვარად განსაზღვრავს სიტყვას ან გამონათქვამს (წყალი აავსეა? შდრ. ეხლა თარაქტორი გუგუნესა)“ [ჩხუბიანიშვილი 2012 (1998): 42].

ხომ: იწერება ცალკე, სინტაქსურად უკავშირდება შემასმენელს.

საბელი ხომ იცით, რა არის? – **საბელი** რომ კედია [ქდკ, ესქანდერ სეფიაშვილი].

ყალიანი ხომ იცით? ჰა, **ყალიანს** ეზიდებოდა [ქდკ, ესქანდერ სეფიაშვილი].

ოთხას წელი **ხომ** გააძარა, ათას წელიც რომ გაიაროს, მე შენი ვარ, შენ ჩემი ხარ [ქდკ, რეზო რაჰიმი (დავითაშვილი)].

ერთ ჯგუფი ჰყვანდა **ხომ** ტომი და ესემი, მოხდა-წავიდა აფუსჩი [ქდკ, შაჰინა მუღლიანი].

გვხვდება **ხომ** ნაწილაკის შეკვეცილი ფორმა ხო:

შირმა უთხრა, რო: შენ **ხო** დამატყუილეო, სთქიო, რო: წავალ, ესაბს მოვიტან და ვიშულლებთო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ხობ: დადასტურებითი ნაწილაკი (ნასესხებია, მნიშვნელობით იგივეა რაც ხო, კარგი).

იქა ჩამადვდა თავის ლაშქარმა და **ხობ** ე, ქართველებიც ხო იენეს ციხეში [ქდკ, იოსებ სუციშვილი].

ჩემ დედამ თქო, რო: არ ვიცი. **ხობ**. ადგა და ჩემ მამას ეშულლა [ქდკ, ასაღულა ონიკაშვილი].

ეგეზადები ჰიჩ არ არი, **ხობ** ეხლა გამოცლილლა [ქდკ, უშანგი სუციშვილი].

ხობ, სინჯეკდა, ანს დიდი კაცია, თავის მამაც დიდ კაც იყო [ქდკ, ასაღულა ონიკაშვილი].

პაუზის შემავსებელი: დამელა რო გადღეს, ამებმა [...] **ხობ**, იმაშილა შემევეყარენით ერთ ოთაღჩიგა და ვიბენით ბადტახან მე და ჩემ ახანძალმა [ქდკ, კოლია ბათუაშვილი].

როგორც მისგან განვითარებულ და ქართულში უკვე დამკვიდრებულ **ხო-ს**, **ხობ** ნაწილაკსაც ჩაკითხვის, დადასტურების მოთხოვნის ფუნქცია აქვს.

ჩვენებითი ნაწილაკები ა, აი, აჰა, აჰად, ე, ელ // ილ, ადა:

ა:

ა ისიც იყო ერთი დედაკაცი, თქოო, რო შენ რა გიქნიაო? [ქდკ, ჰაიათ იოსელიანი].

ა ეს ვმალი [ქდკ, ალი ჰოსეინ (რაჰიმი) დავითაშვილი].

ა ეს ახალგაზდები ყველანთ ქართული იციან [ქდკ, ალი ჰოსეინ (რაჰიმი) დავითაშვილი].

აი:

ბალიშებსაც, აი ერთს გერდსა მიხე მაქსოვენყე და გააკეთებენ [ქდკ, თუბა შაჰ-მამადი].

აი ეს მამული და ეს ბალი და საქონელი და ესეები კი არა აქ [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].

აი ერთი ფილმი იყო რო, ვნახეთ სამი ბიჭის ქორწილი, დაქორწილდა, თავის კინოც მაქ [ქდკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (დავითაშვილი)].

ადა:

ყორმა უთხრა: ადაო, თუ ყვენსა თავის ვაზირიო ხინათქარი გამოუდგაო, იმ ყეინის საქმე როგოლა წავა წინაო? [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

აპა:

- *ერბო, აპა*,²¹⁶ *ერბო ქონდი სეე, ეგრე* [ქღკ, თაპერა იოსელიანი].

აპა, რო დაქორწილდი, ქენ ქმარიანთას ბეურნი იყენენ? რაგდენ იყენენ?.. [ქღკ, ამინ ნაგელიანი].

უთხრა, რო აპა ჩონ მამანა არიო [ქღკ, ზივარა ბარათი].

აპაა:

ემამ თქო, აპაა ხალღოვო, მე ემე მოიყუანეო, ცხორი მოდყუანე, რო დადჰკლათო [ქღკ, აშრაფა ბარათი].

ე:

ემამ წამოდდა პირადმაზე და დათმა ველარ მეეწვა და კიდემ მობრუნდა თავი ე აღაგ ზე [ქღკ, მელიქ მაჰმადი ონიკაშვილი].

მოლითო, ე კარ-მოზობლებო, სუნმა მოლით დაქქუჩღეთ, ეს შაჭამანდი შაქხრი-ტოთ [ქღკ, თუბა შაჰმადი].

საკმაოდ აქტიურად გამოიყენება **ელ // ელა // ილ** – ნაწილაკები ჩვენებითობის ფუნქციით. როგორც არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს, მათი წარმომავლობა არ არის ცნობილი... იხმარება სახელთან, განსაკუთრებით ჩვენებით ნაცვალსახელებთან, ზმნისართებთან, აღნიშნავს **აი-ს**, შინაარსით ჩვენებითი ნაცვალსახელია, ამდენადვე განსაზღვრულიც [ჩიქობავა 1927: 214].

ელ:

ერთ კირიას ცემათ [ჯემათ] ელ ეგრე იცოდეს, რო სუ ქალები იყვიანყე [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ელ ეს იყოო, რო შენ მიგაკრა ხე ზეო, და დოუშინა გერივ [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

სამში ბიჭი მყავ, ელ ექა, სუნი ელ ექ ზენდევის იქმენ, ჩემ ბიჭები სუ ექ არიან [ქღკ, ჰაჯი ნაზემა ხოსრაშვილი].

ელ ექა ბეური ფაქი ზა ადგილია, ნამა ადგილია [ქღკ, ჰაჯი ნაზემა ხოსრაშვილი].
იგრ უყორდაყე, ელა ველდაველ ატარებდიანყე ემ ყორსა, ძრიალ [ქღკ, გულჩერა სუციაშვილი].

ურუჯობა ელა არაბულია [ქღკ, შაჰინა მულიანი].

ილ:

ილ იმ ორსა სწადებიყო, ორასი ცხორი რო გყვანდა, სუს წაძრეკდეს და ეგეთ კაცობა ქნეს [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ილ იგრენაც შაქნაო [ქღკ, მეპრი ასლანი].

მაია მაჭავარიანი ფიქრობს, რომ „დექტური ნაცვალსახელები იმავე ფუნქციით მეორდება აგრეთვე ფერეიდნულისთვის დამახასიათებელ ელემენტში, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, მნიშვნელობით უტოლდება ქართულ ნაწილაკს „აი“-ს და აგრეთვე დეიქსისს ატარებს: ალა: ელა; ალ ამ; ელ ემ; ილ: იმ; ელ ენგრე: ილ იგრე და სხვა.

216. აპა ნაწილაკს, ისევე, როგორც თანამედროვე ქართულში, აქვს ასევე მიწოდების, გაგების ფუნქცია.

ამ ნაწილაკის წარმომავლობა უცნობია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ნასესხე-ბია თურქულიდან, სადაც გვაქვს ნაწილაკი „ელა“ მსგავსი ფუნქციით, მაგრამ თურქულში მას, რა თქმა უნდა, დიქტური ხმოვნების ფუნქციური ოპოზიცია არ ახლავს თან, ეს უკვე ფერეიდნულმა განავითარა საკუთარ ბაზაზე“ [მაჭავარიანი 1985: 177].

ფერეიდნულში ეს ნაწილაკები დაერთვიან ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს და ქმნიან ენკლიტიკურ ფორმებს:

მუელა, ვნახე ხალღი მოქუჩულან და ბოინელებიც ამ ვარაზე და ელეგრე გაიდენ-გამოიდენ [ქდკ, შაჰინა მულიანი].

ელა დაშქესანა არ არი, აფუსი არი, ახრა ელეს ჩონ სოფელი არი [ქდკ, მთქმელი უცნობია].

მაკრატელი, სხო ელესე გაისონ გამაისონ ექებჩივა [ქდკ, თალაათე ათაი ასპანანი].

ასევე გვხვდება: *ელანგე, ელანს, ელეგრე, ელემ, ელემაში, ელემეფსაც, ელეძის, ელერდგან, ელესე, ელეზები, ელექ... ილიგეთს, ილიგრე, ილიმ, ილის, ილიქ...*

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინგილოურ დიალექტში ასევე გვხვდება *ელა // ილა* ასევე ჩვენებითი ნაწილაკის ფუნქციით: *თუ სახში ავად იყო წითელადთი, ილა დანზე რეც ხავდით. მითამ შორს, ეგრე ქნილა* [ქდკ, ნიზამედინა ირაფოვა]; *იმ დროს სკოლაძც იყო ელა, ცოტ-მოტა...* [ქდკ, თამარ გამხარაშვილი].

მიმართებითი ნაწილაკი:

-ც:

-ც ნაწილაკი ფერეიდნულში, ისევე როგორც ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, საკმაოდ პროდუქტიულია, ის დაერთვის სახელებს, ზმნიზედას, თავად ნაწილაკებს:

ა ესიც მოა ემასთან და აი ემ სამივე ქოლგას წერი რო იმ თას წერს მიადგაო, ჩემ დრო'რიო, დანიშნულებია [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

აქაც სადილზე მოდღენ ჩემთანა.

აღარც კი ეტყობისო, რო სად არი და რას აკეთებსო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

-ც ნაწილაკიანი ფორმები ფერეიდნულში, ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში, აწარმოებენ მიმართებით ნაცვალსახელებს:

მინც იფო ახლო'რი და წაეს შორეულებში [ქდკ, შაჰინა ასლანი].

ღმერთს გეფიცები, მე ვიცე, რაც იქს [ქდკ, ჰეიდარ ასლანი].

მონაწილეობს უარყოფითი ნაცვალსახელების წარმოებაში:

იმიწყე დახატული აღარცრა აღარ არიო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ემათ ჰქონდაყე ერთი ბაიტა შავი სახლი, არცრა არა ჰქონდა სახლიჩი [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

არცროს სორალი არ უქნიაო! [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ნურც ქურდს ეტყე, რო ჰალუო და ნურც ბაღჩი თესავ გალუსო. გალუაა ჩენტან ის ქლიავი [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

განუსაზღვრელობითი: მე, ღა, ღაც(ა)

-მე:

-მე ნაწილაკი განუსაზღვრებითის ფუნქციით:

ბერიანთაყენა მინმე აღარ არი [ქდკ, იოსებ ზუციშვილი].

მასალან, ჩონთი რასმე აჩოვ ს [ქდკ, ალი ჰოსრაგი].

ერთი ღამეს რაქთენიმე ძალიებს დეებარაყე ჩონთან: *გუნდა გამოიპართო* და *მოი-*
ღეთ თქენტანაო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

-ღა:

-ღა ნაწილაკი განუსაზღვრელობის ფუნქციით:

შენყე ნაჭარმიღა თელ ღუნიაჩი მინღა მოვნახოვო? [ქდკ, მაჰმადა სეფიანი, სე-
ფიაშვილი].

ერველ გამოიღე და მეორეველ და, აბა, რასღა იქო? [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

სადღა მოვნახო შენყე ნამად და ყოჩალი კაციო [ქდკ, მაჰმადა სეფიანი (სეფიაშ-
ვილი)].

-ღაც(ა):

რღაცა წერილი გამატანაყე, რო ესე მიიტათ ხანებთანაო [ქდკ, შაჰინა მულიანი].

გამორჩევითი ნაწილაკები: -ღა, მართო, მხოლოდ

-ღა:

ნაწილაკი ფერეიდნულში დაერთვის მეტყველების ყველა ნაწილს:

ის სხო ქეშანგეფი ცხრა ტყივა იყვისყე ცხრა გადშალისყე, ვალი ის ერთიღა
რო იყო [ქდკ, მელიქ მაჰმადი ონიკაშვილი].

ცხრაშეტიღა კაციღა დავარდნილიყო, *ოც ერთი ეკლო, ცხრაშეტი* [ქდკ, ესქანდერ
სეფიანი (სეფიაშვილი)].

ჩემ დიდიდასთან იღ ისღა რო უთქომ, *იღ ის შექნიღაღა* [ქდკ, მეჰრი ასლანი].

ქათამისა ხო ჭუჭუღა არი და *ძრიალ ბაიტაღა* არი *იხი წიწიღა* [ქდკ, მუხტარ
დარჩიაშვილი].

ფერეიდნულში -ღა ნაწილაკი დაერთვის ზმნის პირიან ფორმებსაც:

აყენესღა ემელა, *ძაღლიღა* და *მოიღეს* ეს *ცხორი* და *აკლეს*. *ცხორი დაკლესღა* და
ქორწილი დაიჭირესღა კარვადღა და, *ბაადან, რა შაიქნა?* —*ახანძალი უნდა წაიდენ,*
მაიყუანონ [ქდკ, სედიყე ასლანი (ყალანი)].

ამავე მაგალითში ასევე ზმნიზედაზე დართული -ღა ნაწილაკიც გვხვდება: **კარ-**
ვადღა.

ხო ემე ყალიანი მოვიტანეო და *ნაჭარიც მოვიტანეო* და *პურიც ხო შამჭამე,*
ადღეს წადივო.

ძველ ქართულში -ღა ნაწილაკი ასევე დაერთვოდა ზმნას. სამეცნიერო ლიტერა-
ტურაში აღნიშნულია, რომ მსგავსი ტიპის ზმნებს დროის გაგების ფუნქცია ჰქონ-
დათ: „ძველ ქართულში -ღა ნაწილაკი ზმნასთან იძლევა დროის გაგებას და გამოთ-
ქმები: არსლა (ლკ 14,22) ნიშნავს „კვლავ არის“, იტყოდალა (ლკ 22,60) „ჰერ კი-
ღევ ლაპარაკობდა“ ... [ყაუხჩიშვილი 1946: 269].

-**ლა** ნაწილაკის ზმნებზე დართვა ფერეიდნულშიც გვადლევს დროის გაგებას, თხოვნას, ბრძანებას: აქ -**ლა** ნაწილაკს იგივე ფუნქცია აქვს, რაც ზმნიზელებს **ახლა**, **უკვე**:

დროის გაგება:

შადტანაღა და ეხლა კი მისცაღა. და მოდღეს და ეს ყორი ითხოვესღა და წაფეჟანა
იმ თაის ამუას ბიჭმა [ქდკ, ასლანი].

ბრძანების, ხშირად საყვედურის გამოხატვის ფუნქცია:

ფერეიდნში ყოფნის დროს მოგვისმენია ჩვენი მასპინძლის, მუხტარ დარჩიაშვილის, ხუმრობა, როცა მეუღლე პურის მოსატანად სთხოვდა წასვლას: „**სედიყ, რასთი მეუბნები: პური მოიტაღა! თქი: მოიტა, ეს -ლა რაღაა? – ხო მივდივარ!**“

-**ლა** ნაწილაკი შეიძლება დაერთოს ყველა მეტყველების ნაწილს, კავშირებს, თანდებულებას და ნაწილაკიან ფორმებსაც. შეიძლება ითქვას, რომ -**ყე** ნაწილაკთან ერთად ის ფერეიდნულში ყველაზე ხშირად დადასტურებული ელემენტია.

გამორჩევილი ნაწილაკი: **მხოლოდ // ხოლოთ**

სავარაუდოდ, ინოვაცია უნდა იყოს, რადგან მხოლოდ სამი მთქმელის მეტყველებასში დავადასტურეთ, რომელთაც სალიტერატურო ქართული მეტ-ნაკლებად სხვებზე უკეთ იცინა:

ოთხ საუკუნემ ისტორიამ ბევრი რამე გორჟქა, მხოლოდ ერთ ნამდვილი მარგალიტი დოვგარდა [ქდკ, მანსურ ყალანი].

ხოლოთ ერთ ნამდვილი მარგალიტი დოვჟარდა [ქდკ, მანსურ ყალანი].

ხოლოთ ეს ყანდი ჩოლდებიაყე ჩემთვის [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეს ნაწილაკი ასევე გამოყენებულია ფერეიდნულში დამკვიდრებული ნასესხობის ჩვენთვის ასახსნელად:

დექდუნა – მხოლოდ, მარტო [ქდკ, ამინ (ანდრო) ნაგელიანი].

ამ ნაწილაკის ფუნქციით ფერეიდნულში გვხვდება ნასესხები ფორმა.

ფაყად // ფაყად (მხოლოდ):

მე და ფაყად ჰაჯი ექა ვართ, მარტო ვართ და ეს ჩემ ყორია ექა [ქდკ, ესთმათე მოყადასი].

ფაყათ ზაჰმათიღა და ქურსიღა ზამთრის გააცხელოღა [ქდკ, რობა ბეხანი].

მარტო:

ინოვაცია უნდა იყოს ნაწილაკ **მარტოს**²¹⁷ გამოყენება. სალიტერატურო ქართულიდან ის შევიდა რამდენიმე ფერეიდნელის მეტყველებაში ნაწილაკის ფუნქციით. აქტიურად გვხვდება რეპატრიანტ ფერეიდნელ ქართველთა მეტყველებაში:

იმას ძმა არა დჰყვანდა. მარტო ორი და დჰყვანდა [ქდკ, ჰაიათ იოსელიანი].

ჰადდარ ჰაჰას და ნესირ აყას მარტო ცხენი ჰქონდაყე [ქდკ, არია ხოსროვი].

217. რაც შეეხება ზმნიზელას **მარტო**, ის, ბუნებრივია, ფერეიდნული დიალექტისათვის.

მარტო ქართველები იტყვიანყე ეგრე [ქღკ, იოსებ ხუციშვილი].

მარტო, როგორც ნაწილაკი რომ ახლა მკვიდრდება ფერეიდნელთა მეტყველებაში, იქიდანაც ჩანს, რომ ის ლექსიკური პარალელიზმით გვხვდება. რესპოდენტი ერთდროულად იყენებს ნასესხობას და პარალელურად ქართულ ფორმაც:

ფაყად სოფელჩი, მარტო სოფელჩი საბელა'რი, სუყელგანლა სხუა რამე ერილა [ქღკ, ესქანდერ სეფიაშვილი].

მეორედ გამოყენებული ფორმა: **მარტო** განკუთვნილია ჩვენთვის აზრის უკეთ გასაგებად.

უკუთქმითი ნაწილაკები: არ(ა), ვერ(ა), ნუ

არ // არა:

თავქვემ უთხრა, რო: მეო ნამარდი არ მინახო, რო არკაცი იყოს [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ეს ქართველები ემ ნაჯაფადელებთანაც არა ვდებიანო და ჰარ დღეთ შუღლობენო [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

ვერ // ვერა:

ხო ვერ გუმუგუაო, რო ჩონ მამა დოგოვიწყდესო [ქღკ, ყადირე აყლი].

ვერა ძწლები? [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ნუ:

თქო: ნუ სწევ ხარო! [ქღკ, ყადირე აყლი].

ნუც მადიხარ! [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

მიგებითი ნაწილაკები: ჰო, დიახ, არა, ვერა, ჰო, ბაღე:

ჰო, ის ვმალი დიღია [ქღკ, ალი ჰოსეინ (ალექსანდრე) რაჰიმი (დავითაშვილი)].

დიახ:

დიახ – როგორც მიგებითი ნაწილაკი, ინოვაციაა, იშვიათად გვხვდება. ძირითადად ის გამოიყენება როგორც ზმნიზელა დიახ (ძალიან).

ხო, დიახ, მე მახსოვს, ბატარა ბავშვი ვიყავ [ქღკ, იოსებ ხუციშვილი].

არა:

თქო: არა, ანქა ქე მე შენ თავი მინახავ... [ქღკ, მთქმელი უცნობია].

ვერა:

არა, ვერა, არ გამამდის გადღე [ქღკ, ზოჰრა ფანიშვილი].

ბაღე!:

მიგებით ნაწილაკად უმეტესწილად გამოყენებულია ნასესხები ბაღე! **bale**, **bal** (სპარსული) (დიახ!):

საღინო ადგილია, ბაღე! [ქღკ, რეზა რაჰიმი (დავითაშვილი)].

– **ბაღე**, ჰა, მა! [ქღკ, თაალათე ათაი ასპანანი].

ჰანა:

სოფელ თორელში ამ ფუნქციით დავადასტურეთ ნაწილაკი **ჰანი** (აბა!):

– *მეცამ დამიძახებ?* – **ჰანი, ჰანი!** [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

გაძლიერებითი: ც(ა), კი, კიდეა // კიდეაც, კიდე // კიდემ // კიდევ, კიდეც, კიდეა // კიდევაც, უკვე, მაინც.

კი:

ეს მაგონდების ერთი ლექსი, რო თქისყე **კი** ემ წიგნნიც წერია: შენ რო გასდა ხალი გულის პირზე, ზიხარ რუვის პირზე, ეს მაგონდების [ქღკ, ეზათოლა (ზაზა) თავაზოპი (თავაძე)].

ც(ა):

მეც მაგას გავკეთებ, ჩემ ბიჭებს გამოუშებ იქა [ქღკ, ყოდრათ თავაზოპი (თავაძე)].

კიდე:

წყალს ნამა ავადუღეფთ, **კიდე** მარილს შიგ ჩაფყრით და ავადუღეფთ ნამა [ქღკ, სედიყე ასლანი (ყალანი)].

კიდეაც:

გვხვდება მხოლოდ რეზო რაპიმის (დავითაშვილი) მეტყველებაში და ის მნიშვნელობით უტოლდება ნაწილაკს **კიდეც // კიდევაც**.

კიდეაც გადმოღვეს იქითა და მეორე დღეს **კიდეაც** გადაღვესა და ხორბალი გა-მართეს. სადა ხალხნი იყნეს. ერთ ეგეთ საქმეები ძეჟანდა, რო ძქონდაყე ესე [ქღკ, ალი რეზა რაპიმი (დავითაშვილი)].

კიდეაც მოონდა, **კიდეაც** ამაილო და თქო: ემასაცლა შაფჟამო [ქღკ, ალი რეზა რაპიმი (რეზო დავითაშვილი)].

შენიშვნა: კიდევაც ფორმა სალიტერატურო ენიდან არის შეთვისებული, მაგრამ ფერეიდნული ფონოლოგიური წესის მიხედვით **ვ** დაუკარგავს და „მოქცეულა“ დიალექტისთვის მისაღებ ფორმად.

იგივე ნაწილაკი კიდევაც ფორმითაც დასტურდება მხოლოდ იმავე მთქმელის – რეზო რაპიმის (დავითაშვილი) მეტყველებაში:

კი *ფთქი: მოალ, კიდევაც მოალ* [ქღკ, ალი რეზა რაპიმი (რეზო დავითაშვილი)].

ამას დცემენ და მაიყვენენ ემასთან. მაიყჟანენ ემასთან და კიდევაც კანკლობით უნდა ემამ წაიდეს [ქღკ, ალი რეზა რაპიმი (რეზო დავითაშვილი)].

ახლა ასლანია კიდევაც და ლიტრაჟამიანთას დადძახიანყე [ქღკ, ალი რეზა რაპიმი (რეზო დავითაშვილი)].

თორელის მკვიდრი აბოლყასემის თქმით, ნაწილაკი -კიდევაც დასტურდება თორელში ასაკოვანი ხალხის საუბარში: „კიდევაც – მეტობა მოხუცები ამბობენ.

შენიშვნა: ეს არის ერთ-ერთი დადასტურებული მაგალითი საინტერესო მოვლენისა, როცა ლექსიკური ერთეული ან გრამატიკული მოვლენა მხოლოდ უზუცესებს ახსოვთ და ის ამკარად გაქრობის ეტაპზეა მისული, ხოლო სხვა „კარიდან“, უკვე ხელახალი „სესხების“ გზით ბრუნდება და, სავარაუდოდ, გარკვეული დროის შემდეგ ხელახლა დაიმკვიდრებს კიდევაც თავს დიალექტში. მომავლის მკვლევრებს ექნებათ საშუალება დააკვირდნენ ამ მოვლენას. ფერეიდნული ასეთი „ციკლური“ ცვლილებების შესასწავლად კვლავაც დარჩება „ცოცხალ თქმაზე მოხდენილის ექსპერიმენტის“ [ჩიქობავა 2010 (1927): 184] კარგ მაგალითად.

კიდეც:

კიდეც ნაწილაკის მხოლოდ ხუთი შემთხვევა დასტურდება დიალექტურ კორპუსში:

რო გადვალთ ამ ვალმა, კიდეც ერთ ჯევი რჩების, ამასა ექიან მიღმაჯევი [ქღკ, რეზო რაპიმი (დავითაშვილი)].

თუ ცხენი მოიდა, კიდეც მე მოქცე ფული. თუ ღოქით მოიდა, უნდა მამცე [ქღკ, რეზო რაპიმი (დავითაშვილი)].

მესამე წელი რო შეიქნა, კიდეც ორ ძმა დაძეტლა, კიდეც ორ ძმა დაძეტლა [ქღკ, რეზო რაპიმი (დავითაშვილი)].

[მუხტარ დარჩიაშვილი] – *ერთ რამე მაძკიდე, არ დევეწას ხელი.* – [ნარგის აბასი] – *ია ჯელსა კიდეც მაქ.*

კიდეც // კიდეც:

კიდეც ნაწილაკი 87 კონტექსტში გვხვდება, მაშინ როცა კიდეც ნაწილაკს აქვს მხოლოდ 13 კონტექსტი.

მესამედ ერთ ტკაველ დაადებენ. კიდეც გადავლენ–გადმოვლენ [ქღკ, რეზო რაპიმი (დავითაშვილი)].

კიდეც სამში უმცროსი ძმებმამ მაჰმადიანობა მიიღენ [ქღკ, შაჰინა მულიანი].

ამ ნაწილაკების სავრცობიანი ფორმები მხოლოდ თითო კონტექსტით შეგვხვდა:

მესამეთ კიდეცა ბატონ თავაძე ყოდრათისთან წაველით [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

იმას გარდმაიღებენლა, დადცილიან და სხოსლა ჩასხმენ და კიდეცა და კიდეცა [ქღკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

უკვე:

ამ ნაწილაკის გამოყენების მხოლოდ ორი კონტექსტია დადასტურებული ქღკ-ში: *ემთან დეველაჰარაკე და ამხანაგი შაიქენ, ე, ისე იმათა დავუჰატიჟა უკვე ქორწილეფში* [ქღკ, ალი ჰოსეინ (ალექსანდრე) რაპიმი (დავითაშვილი)].

უკვე მოთიბულიდა – ალაფა – ვახშების, გადლეწავ, მოიტან, ჩაფერი საბძელჩი [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მაინც // მაინცა:

ეს ნაწილაკი რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება:

მაინც = მაინც:

ეს ვარდი ვარდებჩი იზდების და მაინც ის კლდეჩი იზრდების, უწყალოდ. არაფერი არა აქ, მაინც იზდების [მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მაინც = რომ // თუ

რო ეხლა ჩადის ისპანს, ჩაიდეს ისპანსა და მაინც იცოდეს იმ ისპნელმა, რო ეს ქართველია, არც საბუთი უნდა, არც მისამართი უნდა. რავდენიც გინდა ყანდი, ჩაი, ნაჭერი, რაც გინდა, მოგცემს. აილე და წადი [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

ემაზე დაარქეს მეორე ჯაყჯაყი, მეორეთ ემას ნიშნავს, რო შენ ექ მიხოლ, ექ მიხოლ, მაინც ექ სოფელი არი და არა ეხედავ [ქღკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

მაინც = უფრო. მეტად

სათიბვარი ცოტადა ვხმაროფთ, **მაინც** დღეს სამკალი გოქ. და სამკალრიგაც დღეს წაავლთ ჩონთი [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

მე ათი წელი კი შენზე **მაინც** დიდი ვარ. შიდი-რუა წელი ხო შენყე დიდა, მოკლეთლა რო ვთქვა, ათი წელი შენყე მაღლა ვარ [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილაკი **მაინც** ქდკ-ში დადასტურდა 86 კონტექსტში, თუმცა მხოლოდ სამი მთქმელის მეტყველებაში: მუხტარ ასლანის, რეზო რაჰიმისა და ზეინაბ ონიკაშვილის საუბარში. ეს უკანასკნელი რეპატრიანტი ქართველია და მოცემული ტექსტი ჩაწერილია მათი ჩამოსახლებაიდან დაახლოებით 30 წლის შემდეგ. შესაძლოა, მაინც ნაწილაკის ეს მნიშვნელობები ინოვაციური იყოს დიალექტისთვის.

სიტყვა-სიტყვითი: -მეთქი, მეთქი, -თქო, -ო

-მეთქი: (შერწყმული ნაწილაკი):

ჩაი დავლივეთ და ვიკითხე რო საითყე არიან-მეთქი [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ვთქი: რა იყო-მეთქი? [აზიზოლა სეფიანი (სეფიაშვილი)].

მე უთხარი, მე მოვიდე-მეთქი და თქო: არა, არ მოხიდე [აზიზოლა სეფიანი (სეფიაშვილი)].

ეს ჩამოსით-მეთქი, ჩემთან საქმე გაქვთ [აზიზოლა სეფიანი (სეფიაშვილი)].

მეთქი (ცალკე მდგომი ნაწილაკი):

ამას უთხარი: **მეთქი** გამოვქცეულვარ, – დოურათსა, ემ ჯაარის ხალღსა [აზიზოლა სეფიანი (სეფიაშვილი)].

მე გამოვკითხე, **მეთქი** რა იყო? თქოყე: ჩონ ერთ დიდ მცურავი [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

ემ რამთენ სიტყუას ვიტყოდეთ, თითო-ოროლა მე ჩემთინ შოომატე, დავამზადე, **მეთქი** ესეები შადხდების, ერთმანერთან მოა [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

შენიშვნა: აბოლყასემ აჰმადიმ თორელში არ დაგვიდასტურა წინამაჰალ სიტყვასთან ენკლიტიკურად მიკედლებული **-მეთქი** ნაწილაკის გამოყენება, თუმცა გვითხრა საინტერესო რამ: „ანს მოხუცი კაცი, ემის მამა იტყოდა, ყოლუმალა დაარქვეს, ყოლუმალა-მეთქი“. ძნელი სათქმელია, თორელში ამგვარი შერწყმული ფორმების გამოყენება „დავიწყებულია“, თუ დიალექტის იმ საფეხურს გვიჩვენებს, როცა **მეთქი** (< მე ვთქვი) ბოლომდე არ არის გრამატიკალიზებული.

-თქო:

გაკეთე-თქო, გამამართო-თქო, დავარდეს-თქო, დაიკივლა-თქო, დაძჰდაყე-თქო, სცაყე-თქო, უსტა-თქო, ჩონსა-თქო, ხუთ-ექსი-თქო, დნახე-თქო...

– ჩონებურად რაც გავონდების, უამბე, იბენ. – ბერ აღამიანი რას იბნეფს. [თანამოსაუბრე] – მაყრის კაცი რო მოდდა **ჩონსა-თქო**, სამი დღეს **დავარდეს-თქო**, ჩემ მამამ რაჯურად **დაძჰდაყე-თქო**, რაჯურად პატივი **სცაყე-თქო**, ესეები უამბელა. – ორმოცი კაცი წაიდა, ჩემ აღამ გამაძეჟანა, გუშტი დაკლა, ცხორი დაკლა, ჯარი და მაყრის კაცეფს ხარჯი მისცაყე, პური მისცაყე [ქდკ, გულჩერა ხუციაშვილი].

აბა, ადე, წადი, [...] სამ-ოთხ პური გამაართი, დაკრულ პურები აქ, პური. ჰა: თუ გაქ **ხუთ-ექსი-თქო**, და ერ ჯურა დავაკრავ და მიტყემ [ქღკ, თაჰერა იოსელიანი].

აბ უთხარ ერთავადა ნორჩი იყავ და ჩამოხიდე და თავის ალსაყე თქო ღუქანდარ იყო, არზადი იყიდიყე, მა არა **ინახე-თქო?** რასთი მნახე და! [ქღკ, ნარგის აბასი].

ზოგ შემთხვევაში ისევე როგორც თანამედროვე ქართულ სამეტყველო ენაში, აქაც შეინიშნება -თქო ნაწილაკის გამოყენება -მეთქი ნაწილაკის ფუნქციით:

ძალიან იდარდეს და ვთქი, რო ღმერთმა გამამართო-თქო [ქღკ, ირანა იოსელიანი].

ნაწილაკი -ო. დაერთვის თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს, როგორც გავრცობილ, ისე გაუვრცობელ ფუძეს.

სახელებს:

თუ ორსულათ ხარ, ველი არ მაიტარო, რო შენ ყმაწილსაო იქ ლაქა დადვარდებიხო.

თავქვემ უთხრა, რო: მეო ნამარდი არ მინახაო, რო არკაცი იყოს [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

მას თავი მაღმჭრა და უთხრა: მეორეო? [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ზმნებს:

ფერეიდნულში ნაწილაკი -ო თანამედროვე ქართულისგან განსხვავებით, თუ წინადადებაში რამდენიმე ზმნაა, დაერთვის ყველას და არა მხოლოდ ბოლოს მდგარს:

შიში აღარა აქო და ჩონი ჰადიც აღარ არიო, თუ ეჭაზას მოგცემო, დაჭბრუნდეთო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

შეიძლება ერთდროულად დაერთოს წინადადების რამდენიმე, სხვადასხვა მეტყველების ნაწილით გამოხატულ წევრს:

ჩამოდესლა'დ იცინეს, ჩონ ნათხოვნიო საკომთაყე უნდოდა ააზილოთო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ზმნი ზედასთან:

ძანი მასან შენ ყმაწილები ტირიან, მოდი ანქო [ქღკ, ასლანი].

ცალკე მდგომ ნაწილაკებს და ნაწილაკიან ფორმებს:

– *მო, ერთ ნამად ყაზა მოქცე – შაშჰამო. – აბაო, მო თა გაჩენოვო* [ქღკ, თუბა შაჰამადი].

აწლო შენოდენი რო შავიქნები, იმაშინ კი გამიშებსლო? [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

თანდებულიან ფორმებთან:

ერთველ კუემა დააკივლა, რო: მე მოძწედ ე, ჩემ ალაგ ზეო [ქღკ, მაჰინე ასლანი].

შორისდებულთან:

ოჰოო, აღადიო! – დაიკივლეფს! [ქღკ, სედიყე ასლანი (ყალანი)].

კავშირებთან:

თქო, რო დაიყურეთ, შავალ, ვეტყვიო და თუო ეჯგაზა მოგცაყეო, შამოლითო, თუ-
მი არაო, ხო როგო შამოხოლოთო [ქდკ, ჰაიათ იოსელიანი].

ნება-სურვილის გამომხატველი ნაწილაკები: ნეტავი, ნეტა, მეტავი, მცა, უნდა, მოდი, გოლი ბარემ, აბა.

აბა: ამაი არი, რო ავდგე და ავიდე, დავათორიალო, აბა რა არი [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ემ თავის კაცებს ეტყისყე, აბა ნახეთ, ესენი სად წასულანო და სად დამალულან სეხბიო [ქდკ, რეზა ხუციშვილი].

ნეტა: ნეტა ფრთები მქონიყო, ზღვა და ხმელეთი მომეარა [ქდკ, ალირეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

ნეტავი: ეხლა აიდიტყე გომზე. ქუჩაჩი დავდგით, ხოშემუნ ბუდ. ძრიალ ხოშ...
ნეტავი ილ იმაში [ქდკ, ზივარა ბარათი].

მეტავი: მეტავი ემ ევდენ რამეჩი ერთ ცოტა ჭკო მიეცა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მც(ა): შეშინდა: არამც მინმე მამკდარიყოსო! [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

მაშ თქო, რო: გეთქო ჩემთინაო, რო ყეინის ყორიო არამც თანგობა გაიზიდოსო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ეს სამი ზადიო გებარებოდესო, რო არამც დაივიწყეო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

უიჰ, მუცლის ტკივილიმც ავივარდეს, ინშალა [ქდკ, ნარვის აბასი].

შენამც გენაცლე მაგ შავ თოლებჩი... [ქდკ, შაჰინა მუღიანი].

-მცა ნაწილაკი გავრცელებული იყო ძველ და საშუალ ქართულში. იგი გამოიყენებოდა თხრობითი კილოს ზმნასთან და გადმოსცემდა კავშირებითის შინაარსს.

აკაკი შანიძე აღნიშნავდა, რომ ძველ ქართულში -მცა ნაწილაკი შეიძლება დართოდა „სახელსაც, სახელის ნაცვალსაც, ზმნასაც, ზმნი ზედასაც, კავშირსაც, მაგრამ რავინდ სიტყვის ნაწილსაც უნდა დაერთოს, სულ ერთია იმავე წინადადებაში ნატვრით კილოს ვერ იხმართ, არამედ ყოველთვის თხრობითი უნდა იყოს“ [შანიძე 1981: 37].

საშუალ ქართულში -მცა ნაწილაკი გვხვდება უკვე კავშირებითი ფორმასთანაც.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ის ფერეიდნულში, საშუალი ქართულის მსგავსად, კავშირებითის ფორმებთანაც დასტურდება.

უნდა: ფიცხლავ მიირბენენ და დაჰკლვენ, თავი უნდა მაჰჭრან [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი]. **უნდოდა, გააკეთოს, უნდა წავიდე...**²¹⁸.

მოდი: შაქუჩდეს ჭას პირზე. მისაც რო უთხრეს: **მოდი**, ჩადიო, – ვერმის ჯორათი // გაბედაობა ვერ ექნა [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

მოდი, წაადეთ მე და შენა თაჩივა [ქდკ, შაჰინა მუღიანი].

მო: თქო: მო, შაადეთო [ქდკ, მეჰრი ასლანი].

218. უნდა ნაწილაკის, როგორც მოდლობის ელემენტის შესახებ იხ. ზემოთ.

გოში – იმავე ფუნქციისაა, რაც მოდი // მო: ქთქი ხო გოში ვნახო ეხლა ლო-
ცი უქნია, და თუ ჭუჭუღა არი, დავაბრუნებ... [ქდკ, მთქმელი უცნობია].

გოში // **გუში** გაშვება ზმნის გრამატიკალი ზებული ფორმაა, იძენს მოდალობის
ფუნქციას და ნების, სურვილის გამომხატველი ნაწილაკის ფუნქციით გვევლინე-
ბა. ფუნქციურად ის **დაე** ნაწილაკს უტოლდება, რომელიც აგრეთვე ზმნური ფორ-
მის (დაეხენ) გრამატიკალიზაციის გზითაა მიღებული. **გაშვება** სემანტიკის ზმნე-
ბის გრამატიკალიზაცია დამახასიათებელია ქართული ენობრივი სისტემისთვის.²¹⁹

ეხლა, ერთ რამე **გოში**, ანეკლოტი გითხრა და მერე დაიწყო [ქდკ, მუხტარ ას-
ლანი (დარჩიაშვილი)].

/მოდი, ერთი ანეკლოტი გითხრა.../

გოში ჩაყრილი გავზე მოვიდეს და მერე დაიწყო ჭამაო [ქდკ, მუხტარ ასლანი
(დარჩიაშვილი)].

/დაე ჩაყრილი გავზე მოვიდეს (დარბილდეს) და მერე... /

დამი გადხილოს. შაჭამადი **გოში**, მად ხარშოს.

/... დაე, მოიხარშოს /.

ემ ჟავე და მოწითებული რამეს არ მიძცემთ. ვიტყით ემას შავველა აქ, **გოში**
თა მალე გაკეთდეს [ქდკ, მთქმელი უცნობია].

/ვიტყვი, ამას ყივანახველა აქვს, დაე, მალე გამოჯანმრთელდეს/.

ბარემ:

ბარემ ნაწილაკის მხოლოდ ერთი შემთხვევა დასტურდება:

იქ ხო არ იყო ენქითა, თქით, **ბარემ** ეგლა ჯობიაო [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

არ:

გაკვირვების // განცვიფრების გამომხატველი ნაწილაკი **არ**:

მეც **არ** ვთქი: მინ არი?!

შესაძლებლობა-გარაუდის: იქნებ, შეიძლება, მგონია, შაიად (ნასესხებია – ეგებ,
შეიძლება, თითქმის)

იქნება:

ქენ ბატარობით დედამ ქართულად ლექსი, რამე გიკითხისყე? გასწავლით? ერ-
თი ჩაფიქრდა და თქო, რო: ოო, ერთი მახსოვსო, ქთქი, **იქნება** მიკითხო–მეთქი?
[ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

სუ მასალანა, მცემავს, ეგრე მოძკიდებ ემ ერთსა, შაინახაჟლა, თუც გემექცა,
ხო **იქნება** მცემენ და თუც არ გემექცა და დავიჭირი, ეხლა ამას მოიყუან ჩემ ალაგ-
ზენა [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

შეიძლება (ახალი გავლენა უნდა იყოს):

ეხლა დამოკლებულა, სამ დღეს შაქნილა, **შეიძლება** ორი, ორ დღე, სამ დღელა
შაქნილა. ადრე ერთ კირია იყო. [ქდკ, ალი ჰოსეინ (ალექსანდრე) რაჰიმი (დავითაშ-
ვილი)].

219. შდრ.: ძვ. ქართული: ნურარაფ გგლიან, უტე, მოკუდეს! იმერ.: უტბი, წვევიდეს.

შეიძლება თავის ფილმი მაქ, გაჩვენეფთ [ქდკ, ალი ჰოსეინ (ალექსანდრე) რაჰი-მი (დავითაშვილი)].

მგონია:

ბეური ჯგარისკაცი [ინოვაცია] მოსულიყო, მე მგონია, რო ათასი ჯგარისკაცი მოსულიყო, ქართველეთან იხზუბოს [ქდკ, ჰამიდ რეზა ასლანი].

შადად (იქნებ, მგონი):

შადად რადათობას მი ზღევს ელა ჰა,თავიანთ ბარს და ემეფს ზაფტავს და ფური და ცხორი და ძროხა – ესეები ჰყავყე.

შადად ეხლაც ელა გამოდეს, ვნახავტყე.

მიახლოებით: -ოდე, ოღონდ, ბეწათ, სართალა

-**ოდე** სავარაუდოდ, ინოვაციაა, გვხვდება მხოლოდ ერთხელ მუხტარ დარჩიაშვილის მეტყველებაში:

ემათ სკოლაჩი წაველით, რო მოგროვებულ იყნეს **ოციოდე** იყნეს [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

ოღონდ:

ეს ნაწილაკიც ინოვაციაა, დასტურდება ერთ კონტექსტში რეპატრიანტი ფერიდნელი ქართველის მეტყველებაში:

ის დათრობა რა არი, **ოღონდ** დათრობილობა ვიცოდი [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

ბეწათ:

ბეწად დავადასტურეთ თორელში კითხვარული მეთოდით. ტექსტებში არ შეგვხვედრია: **ბეწათ** წავიქეცი; ბეწად ჩამოარდა (კინალამ წავიქეცი, ჩამოვარდა... შდრ.: ბეწვზე გადავრჩი, ბეწვად გადავრჩი).

სართალა:

სართალა დევეცე – ახლო იყო, რო დევეცე.

/კინალამ დევეცი/.

შედარება მსგავსება: მითამ

მითამ:

იმაშინ რო დამალონი სყე, დადყურიყე **მითამ** დაიძინიყე და არა, არც მითქია მერ-ჯუყეფთანა.

ერთმა კალაპოტ სპოვნი შაბის **მითამ** შომოოყარიტყე ემ ახანძალსა [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

ემდენსა ვბლაოდი ქე და მე რა ვიცი, **მითამა** ძტიროლი [ქდკ, თუბა შაჰმამადი].

უნახაობის: თურმე // თურემ

მეს [მეც] კი არ ვიცოდი, **თურმე** ჩონ დუნიას გარდაის რაქთენიც სხო და სხოც ყოფილა [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ეწერა ემე, ალან ჩონ ექ ერთ კაცი იყო, ალან იტყისყე **თურმე. თურემ.** ალან იტყისყე **თურემ.** თურმე კი წერია. თურმე. იანის **თურემ.** არმინ არ იტყისყე ყე ჰაჯინავა **თურმე** [ქდკ, ქერიმ ალა დარვიში].

/ჩვენთან აქ ერთი კაცი იყო, რომელიც ამბობდა თურმე-ს. ახლა არავინ იტყვის ასე. ამბობენ: თურემ.../.

ამ ეპიზოდთან კარგად ჩანს, რომ თურმე ფორმა „გასულია“ ფერეიდნული დისკურსიდან, თუმცა ხსოვნა მის შესახებ ხელშესახებია²²⁰. როგორც აღვნიშნეთ, ფერეიდნელები ხშირად მიუთითებენ კონკრეტულ პიროვნებაზე, რომელიც იყენებდა ამა თუ იმ დაკარგულ ლექსიკურ ერთეულს ან გრამატიკულ ფორმას. ამ ტექსტის ჩაწერის მომენტში (2008 წ.) **თურმე** აღიქმებოდა არაბუნებრივ ფორმად დამკვიდრებული **თურემ** ფორმის გვერდით.

მრავალგზისობის: ხოლმე, -ყე

ხოლმე ნაწილაკი მხოლოდ ორ შემთხვევაშია დადასტურებული:

იტყის ად წავალტყე, მოალტყე. ნიშნავს ხოლმე წავალთ-მოვალთ [ქდკ, შაჰინა მულიანი].

ჰაჯი. არ ვითხარ, რო რათ ექითყენ არ გასულხარ ხოლმე-მეთქი [ქდკ, მუსტარ სლანი (დარჩიაშვილი)].

-ყე:

ფერეიდნულში **-ყე** ნაწილაკის გამოყენების შესახებ ინფორმაცია პირველად გვხვდება ლადო აღნიაშვილთან: „ბევრსა ხმარობენ ლაპარაკში „ყ“-სა და „ვ“-ს, როგორც ეს დღესაც იციან კახეთში საზოგადოდ და ნამეტნავ ქიზიყში“ [აღნიაშვილი 1896: 210]. ლადო აღნიაშვილი არ აკონკრეტებს, თუ რა ფუნქცია აქვს ამ ნაწილაკს.

არნ. ჩიქობავა განიხილავს **-ყე** ნაწილაკის ფუნქციებს. იგი წერს: „**-ყე** ნაწილაკი ფერეიდნულში ორი სრულებით განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია. ერთს შემთხვევაში იგი წარმოადგენს თანდებულს, რომელიც მოითხოვს ნათესაობითს ან მიცემით ბრუნვას და მნიშვნელობით უდრის თანამედროვე სამწერლო ქართულის **-გან** (*resp.*-დან) თანდებულს (უფრო ხშირად), ხანდისხან კი **-კენ** თანდებულს; უკანასკნელს შემთხვევაში იგი გენეტურად უკავშირდება გარე-კახურისა და ინგილოურის **-ყე** // **-ყენ** თანდებულს, რომელიც თავის მხრით სამწერლო ქართულის **-კენ** თანდებულის შესატყვისია, როგორც ფონეტიკურად, ისე მორფოლოგიურ-სინტაქსურადაც“ [ჩიქობავა 2010 (1927): 25].

ამ ნაწილაკის გენეზისის შესახებ ვარაუდი აქვს გამოთქმული მოსე ჯანაშვილს. მისი აზრით, **-ყე-ს** წარმომავლობა **ყველა** სიტყვას უკავშირდება [ჯანაშვილი (იხ. მისი ოპ. ციტ. გვ. 234) [ჩიქობავა 2010 (1927): 27]; არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ ამ გზით **-ყე** ნაწილაკის მიღება შეუძლებელი არ არის, რადგან ფერეიდნულში მართლაც გვხვდება სუ-ყელა სიტყვა და ფერეიდნული სათვითის დამახასიათებელი ფონეტიკური წესის მიხედვით: ჴე > ე; სუ-ყელა < სუ-ყელა < სულ ყველა [ჩიქობავა 2010: 27].

დამატების მრავლობითი რიცხვის გამოხატვა მიაჩნდათ ამ ნაწილაკის ფუნქციად ვუკოლ ბერიძეს (რაჭულთან და ზემო იმერულთან მიმართებით) და აკაკი შანიძეს.

220. მსგავსი შემთხვევები, როცა მოსაუბრე პირი ასახელებს ადამიანს, რომლისგანაც უკანასკნელად ან ერთადერთხელ გაუგია გამქრალი დიალექტური ფორმა, საკმაოდ ხშირად გვხვდება.

აკად. მარი ბროსე -ყე-ს მიიჩნევს კი ნაწილაკის ვულგარ ფორმად [ჩიქობავა 2010 (1929): 27];

ქართულ დიალექტოლოგიურ ქრესტომათიაში -ყე-ს ფუნქციებად გამოყოფილია: ა) ნაწილაკი, გამონათავს ობიექტის (და სუბიექტისაც) მრავლობითობას, მოქმედების სოლმეობითობას; ბ) -ყე // ყენა თანდებული -გან კითხვაზე საიდან, იხმარება მიცემით ბრუნვასთან; გ) -ყე თანდებ. -კენ, იხმარება მიცემით ბრუნვასთან [ქართული დიალექტოლოგია, 1961: 632]. მართლაც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ -ყე ნაწილაკი გამონათავს:

- ობიექტის // სუბიექტის მრავლობითობას: *შენ ჩოკივლეო, რო ჩონ მამებსა რა ჯურად უცხოვრიაყე; ესენი შადგიანყე ფაიზელა და ემ ქალაქაბჩი გადიან-ყე*“ [ქდკ, მთქმელი უცნობია].
- უჩვენებს მოქმედების მრავალგზისობას: *ჩემ მამასა დავსილი ემე იყო, თავი დააღონისყე. თავჩი ავადყოფობა ჰქონდისყე; თუ ემამ, რო ქამარბანდზე მოოკიდნია, გამაძტანა, ემ სხოეფს გემედევენებისყე, თა დაჰცხოსყე* [ქდკ, ებრაჰიმ მიქელანი].
- გვხვდება -გან, -დან // -იდან თანდებულების ფუნქციით: *ჭასაყე წყალი ამაი-ღონ; ემ თერთმეტსაყე ერთი დიდი, რეშიდი, გადგების ქენარზე* [ქდკ, მარზია მოვაჰედი]; *იმ ჩემ ნათხოვნის დედა დედასაყე ქართველ იყო, თავის მამაც ელა დედასაყე* [ქდკ, რეზა მიქელანი]; *ეს თელ დუნია ერთ ვარის თავზე ძეგ, თავის ქების შუა, იმაში, რო წელი გამაძცლების, ემ ქასაყე ადღეფს და გადაგღეფს ამ ქაზე* [ქდკ, რეზა მიქელანი]; *ემისყე წინ ელა დევეგდე ემ სიცივესაყენა და ველსაყენა და ერთ-ორველ აველ დოქთორზენა* [ქდკ, თაჰერა იოსელიანი]; *ესები ქომოთ ძერედანსაყე სხო პარსელები არიან და ემეფთან წასლა-მოსლა გოქ და ერთად ვართ* [ქდკ, რეზა მიქელანი].

რაც შეეხება -ყე ნაწილაკს -კენ თანდებულის ფუნქციით, მსგავსი შემთხვევები ტექსტებში ვერ დავადასტურეთ²²¹.

იგივეობის: -ვე ნაწილაკი

აქვე: *ექსიდე-ექსიდე ჯრელა იქნებისყე აქვე ემ სახჩი ჩვენ გოქ მამანთა* [ქდკ, ნაჯაჰა გუგუნანი].

დღესვე: *ალარა თქო, იმ დღესვე ჩონ გუნდოდა გადმოიდეთ* [ქდკ, ალირეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

-ვე ნაწილაკი დაერთვის ფუძის სავრცობიან ფორმას, ბრუნვისნიშნიან ფორმას: **ოთახსავე, ოთხივე, ორთავე, ორივე, ორისთვე, ორნივე, ლამეთვე, ლამითვე, ყალიანსავე.**

გამოკითხვის დროს მარტყოფში დავადასტურეთ ფორმა **ორივ.**

ვარაულის გამომხატველი ნაწილაკი: ვაითუ

ქდკ-ში არ დასტურდება, თუმცა გამოკითხვისას თორელში დავკვიდასტურეს მისი არსებობა.

221. დაწვრილებით იხილეთ თანდებულებთან.

ნაწილაკი ნა:

1. თხოვნით-ბრძანებითი ნაწილაკი, თითქოს და და რა ნაწილაკის ფუნქციის:

დალივენა, მა რაათ არა ლევ? [ქღკ, ფერეიდნული ლექსიკონი].

გელოდები, წამოდინა! [ქღკ, ფერეიდნული ლექსიკონი].

ეხლაკინა მოილითყე, ფეტის კუკუა დავაკრითყე და ეხლაკინა მოიღეს ემ ტრე-
ლებმა; ზამთრის მარტოკანა ვართ ექა [ქღკ, ასლანი].

ადრენა ერდნაირი არ იყო [ქღკ, ალი ჰოსეინ დავითაშვილი].

ნასესხები ნაწილაკებია:

ბე: ნასესხები ნაწილაკია, გამოხატავს ინტენსივობას:

ქარტებს წაიღებთყე, ხანაბეხანა ვატარებთ, რო ხალღი ვაწივოთ [ქღკ, თაალათე
ათაი ასპანანი].

ემეფს მიძცემთ ჰაა ბანას იქს გაკეთღეს, დღებღღე გაკეთღების, ემეს მიძ-
ცემთ გაკეთღების [ქღკ, მთქმელი უცნობია].

თავის ბიჭიც დღებღღე იზღებოდა და იგვანღებოდა ერთი შაჰზადას, რო ყენის
შვილი იყოს [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

იანი // იანი // ია ya'ni (არაბული), სახელდობრ, ანუ:

იანი ახირი ყუმაწილი, თაჰთალარი ახირია, ჰაა [ქღკ, ჰაჯი ნაზემა ხოსრაშვილი].

გონჯი შაიქნების, იანი მორთაქებე ბაღი შაიქნების [ქღკ, შაჰინე მულიანი].

მინაც ტყივას მავდენს ბოტს და წააქცევს, დაიკივლებს: ჰალაო! იანი მუახდი-
ნეო! [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

მახე – იანი, უჭრითე, მამხე მე [ქღკ, გულაბე ქარბალი].

იმამ მაიდა იქ დაღვა და ერთი მანქანა იანი, ჯიპი – ლანდროვერი, ეგეთ რამე
ერი. მოიდა სომეხი [აბლორეზა რაჰიმი (დავითაშვილი)].

ანქით ნამაი მამლიქათი გოქ და არ არი იგრე, რო იყოს. იანი, იგრე, რო ჩონ გუნ-
და, არ არი [ქღკ, აზიზოლა სეფიანი (სეფიაშვილი)].

მარტყოფის ხალღი წელჩიგ ორჯელ, ია ერთჯელ, ია გაზაფხულზე, ია ფაიზე
ადგიანყე, ვირები და ცხენები შააყენიანყე და თოფებითა წაღლიანყე ისპანსა [ქღკ,
მთქმელი უცნობია].

იმამინცალა რო მოდცალიტყე, რო უნდოღისყე, რო ეს თაის მატყელი ჩავასთოთ
ია ჯეჯიმსათი ია ყალიჩასათი [ქღკ, თუბა შაჰმამადი].

მასალან // მასალანა // მასან masalan (არაბული) – მაგალითად

ექ ხო ჰექიმები იმაში არ იყო. ერთ დედაკაცი, მასალან, მოიღოდა და დაღბადებდა
ყმაწილსა [ქღკ, გულჩერ ხუციაშვილი].

ძრიალ. ეგეთ რასში იყო, რო, მასალან, შომოგ ხებიანყე, შომოგოტანიანყე [ქღკ,
გულჩერა ხუციაშვილი].

მუალთყე, მასალანა, თითო ერთ ბეჭედი, ერთ სინარი ზი, ერთ რამეს წაიღებთ და
დავაგდებთყე [ქღკ, თაალათე ათაი ასპანანი].

ერთ რაგოთენ დღე შუაჩი გამუაყე. თუ მალე აღდი ვქენით, მუაყე ეს ჩონ ბიჭი, **მასლანა**, ალან ეს ჩონ ბიჭი არ დუგუქორწილებია [ქღკ, თაალათე ათაი ასპანანი].

ჰა, ჰად მოსულან სოფელჩი გორჯესტნელები, **მასან**, მოსულან ემ სოფელჩიგა აველანთაყე [ქღკ, მეჰრი ასლანი].

შენ ერთ ბებერა კაცს შაირთავო, ბაად, **მასან**, ჩემ დედას დიდიდასთი უთქომ [ქღკ, მეჰრი ასლანი].

ნაწილაკების ცხრილი:

ნაწილაკი	ფუნქცია ფერეინულში
ა	1. კითხვითი ნაწილაკი (არნ. ჩიქობავა: სამოვარი არ მუგუტანესა?). 2. ჩაკითხვა-დადასტურების ფუნქცია: 3. ჩვენებითი ნაწილაკი
აბა	ნება-სურვილის
აი	ჩვენებითი ნაწილაკი
ადაო	ჩვენებითი
აჰა	ჩვენებითი ნაწილაკი; აქვს ასევე მიწოდების, გაგების ფუნქცია
აჰად	ჩვენებითი ნაწილაკი
არ(ა)	უკუთქმითი ნაწილაკიმიგებითი ნაწილაკი; გაკვირვების გამომხატველი ნაწილაკი
ბაღე (=ჰა, დიას, მა!)	მიგებითი ნაწილაკი, ნასესხობა (bale, bal)
ბარემ	ნება-სურვილის
*ბეწათ (=კინაღამ)	მიახლოებითი: ბეწათ წავიქეცი; ბეწად ჩამოარდა (თორელი)
გოომი	ნება-სურვილის გამომხატველი ნაწილაკი
დიას	მიგებითი ნაწილაკი, ინოვაცია; ძირითადად გამოიყენება როგორც ზმნი-ზედა დიას = (მალიან)
ე	ჩვენებითი ნაწილაკი
ვაითუ	ვარაუდის გამომხატველი ნაწილაკი
-ვე	იგივეობის ნაწილაკი
ვერ(ა)	უკუთქმითი ნაწილაკი, მიგებითი ნაწილაკი
თითქოს	მიახლოებითი ნაწილაკი (მხოლოდ სეიფოლა იოსელიანის ტექსტშია ერთხელ)
თურმე // თურემ	უნახაობის ნაწილაკი
-თქო	სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკი
იქნებ(ა)	შესაძლებლობა-ვარაუდის გამომხატველი ნაწილაკი
კი	გაძლიერებითი ნაწილაკი
კიდეა // კიდეაც	გაძლიერებითი ნაწილაკი
კიდე // კიდემ // კიდევ	გაძლიერებითი ნაწილაკი
კიდევა // კიდევაც	გაძლიერებითი ნაწილაკი
კიდეც	გაძლიერებითი ნაწილაკი
ნუ	უკუთქმითი ნაწილაკი
ელ // ელა // ილ	ჩვენებითი ნაწილაკი
მაინც	გაძლიერებითი ნაწილაკი (მაინც = რომ, თუ; მაინც = უფრო მეტად)
მარტო	გამორჩევითი ნაწილაკი (ინოვაცია)

მასალან // მასალანა // მასან	ნასესხები (masalan) = მაგალითად
მგონია	შესაძლებლობა, ვარაუდის გამომსატყველი ნაწილაკი
მე	განუსაზღვრელობითი ნაწილაკი
-მეთქი	სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკი
მეტავი	ნება-სურვილის ნაწილაკი
მითამ	შედარება-მსგავსების აღმნიშვნელი ნაწილაკი
მოდი	ნება-სურვილის გამომსატყველი ნაწილაკი
მცა	ნება-სურვილის გამომსატყველი ნაწილაკი
მხოლოდ // ხოლოთ	გამორჩევითი ნაწილაკი (ინოვაცია)
ნა	თხოვნით-ბრძანებითი ნაწილაკი
ნეტავი	ნება-სურვილის ნაწილაკი
ნეტა	ნება-სურვილის ნაწილაკი
-ო	სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკი
და // დანი // იანი (= სახელდობრ)	დამაზუსტებელი ნაწილაკი, ნასესხებია
*სართალა (= კინალამ)	მიახლოებითი (მარტყოფში), ნასესხებია
-ოდე	მიახლოებითი, ინოვაცია
ოღონდ	მიახლოებითი, ინოვაცია
უპკვე	გაძლიერებითი ნაწილაკი, ინოვაცია
უნდა	ნება-სურვილის ნაწილაკი
ლა // ღაცა	განუსაზღვრელობითი (მინდა, რასღა, საღა...); გამორჩევითი (ერთი-ღა, კაციღა...); თხოვნა მოწოდება, ბრძანება (აღღა); ღროის მითითება (ახღაღა)
-ც // ც(ა)	მიმართებითი ნაწილაკი; გაძლიერებითი ნაწილაკი
-ჟმ	მრავალგ ზისობის ნაწილაკი; უჩვენებს ობიექტის // სუბიექტის მრავლობითობას; გვევლინება გან, დან თანდებულების ფუნქციით
შაღად // შაიად (= ეგებ, შეიძლება, იქნება)	შესაძლებლობა-ვარაუდის გამომსატყველი ნაწილაკი, ნასესხები (= šāyad)
შეიძლება	შესაძლებლობა-ვარაუდის გამომსატყველი ნაწილაკი
ფაყად // ფაყად (= მხოლოდ)	გამორჩევითი ნაწილაკი (ნასესხობა) (faqat)
ხო	ჩაკითხვა-დადასტურების აღმნიშვნელი ნაწილაკი
ხოზ // ხოფ (= ხო, კარგი)	ჩაკითხვა-დადასტურების აღნიშვნელი ნაწილაკი; პაუზის შემავსებელი, ნასესხებია (xub)
ხოლმე	მრავალგ ზისობის ნაწილაკი
ხომ // ხო	ჩაკითხვა-დადასტურების გამომსატყველი ნაწილაკი
ჰანი	მიგებითი ნაწილაკი (მხოლოდ თორელში დადასტურდა)
ჰო	მიგებითი ნაწილაკი

4. კავშირები

ფერეიდნულ მეტყველებაში გამოყენებული კავშირები ძირითადად ქართულია. მათ გვერდით დასტურდება რამდენიმე ნასესხობაც.

წარმოვადგენთ ცხრილს, რომელიც მოიცავს დღეისათვის ფერეიდნულში დადასტურებულ და აღწერილ კავშირთა ნუსხას ილუსტრაციებითა და კომენტარებით:

მაერთებელი კავშირები

კავშირის დასახელება	ფუნქციური ჯგუფი	ილუსტრაცია	შენიშვნა
და	მაჯგუფებელი	<i>აფუსი და თელავი და ბოინიც კარგი სოფლებია; მე მოვალ ქენსაო და ვნახავ შენი დედაკაცსო</i> [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].	და კავშირის პარალელურად გვხვდება მისი ომონიმური ელემენტი და – ნაწილაკი, ფილერი, რომელიც პაუზის შესავსებად გამოიყენება, გვხვდება წინადადების თავსა და ბოლოში ²²² .
ან	მაცალკევებელი	<i>აი, ბაუშსაც წაიყუანს იქა, ან აკუანს წაიღეფს იქა, ან ჰამაკს, ლეილს. გაამბენ... ან ოზნჯა, ან სერა, ქერი, ესები რაც მოთიბული აქონდა, მოძკილი, მეემკოყე, მეეტანაყე კალოზე</i> [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)]. <i>მერე აშუაზი, მზარეული ეს დიგებსა ბრინჯით და ან ქათამი ან ქაბაბი ემეგბსა ააგებს ცეცხლზე</i> [ქდკ, შაჰინა მულიანი].	ერთი მთქმელის მეტყველებაში ან დასტურდება ანუ -ს მნიშვნელობით: მე ვიცოდი, რო ვაშლოვანსაყე ან სიბაქსაყე მაყრის კაცი მოდის; შემოდგომა იყო ან ფაიზობა იყო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].
თუ	მაცალკევებელი	<i>აღარ ვიცი, ქენ გაქთ თუ არა</i> [ქდკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)].	
ხან	მაცალკევებელი	<i>შაჰნამა იკითხიანყე, და ხან ემამ იკითხის, ხან ემამ იკითხის დახატულ ბარნამები იყო</i> [ქდკ, თუბა შაჰმამადი].	
ხან ბე ხანა	მაცალკევებელი	<i>ქარტებს წაიღებთყე, ხანა ბე ხანა ვატარებთ, რო ხაღლი ვაწივით</i> [ქდკ, თაალათე ათაი ასპანანი].	ბე – ნასესხობაა და ინტენსივობის გამომხატველი ნაწილაკია ფერეიდნულში (იხ. ნაწილაკები ფერეიდნულში).

222. იხ. ნაწილაკები

ანუ	მაიგივე- ბელი	<i>ეხლა კი ქარიშხან თითან მუსულმანი'- ყო, ეგონა, რო ესეები ქართველები ანუ ქრისტეანებია [ქღკ, ესქანდერ სეფიაშ- ვილი (ალექსანდრე სეფიაშვილი)]. ვინც იტყი ქურთიო, ანუ მოკობრე, ანუ ქურდი [ქღკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].</i>	
მაგრამ // მარა // მარამ	მაპირის- პირებელი	<i>ექ ადრეო ექს-შიდი ძმან იყნესო, ქარ- თველებ იყნესო, ექ იყნესო, მაგრამ ექ არ დადრჩესო, წაიდეს სხო ქალაქებშიო [ქღკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)]. მარა – ნათესავებიც არიან კი, მარა ივით მაგარები არ არიან [ქღკ, იოსებ ხუციშვილი]. ამასაცა ჯოხი ძქონდისეც და ერთიცა, მარა ექ არ ვიცო არი თუ არა ევით რა- მეები [ქღკ, იოსებ ხუციშვილი]. – შეიძლება, მარამ აი, ეს გინდოღისეც, რო ჩილმი გადილოთ, თქენ ნება გაყე, რო თავრობამ არ დაგაღონოსა, გაყე ნე- ბა? [ქღკ, იოსებ ხუციშვილი].</i>	
თორე	მაპირის- პირებელი	<i>კი, ემჯამათ არ გოქ საშუალება, თორე ველაპარაკებით, საშუალება არ გოქ [ქღკ, ზეინაბ ონიკაშვილი]. ბერილა ვარ, არ გამამდის, ექ ღემეწე- ბისეც თორე აღანაც ელა, მასლან, კი- ღემ კერვა, რამეს ევეღვენებიყე [ქღკ, თაჰერა იოსელიანი].</i>	
ხოლო	მაპირის- პირებელი	<i>ჩონ ვიტყიტყე შერიდ, ხოლო ქენ იტ- ყით ქამა²²³ [ქღკ, სედიყე ასლანი].</i>	
კი	მაპირის- პირებელი	<i>რო ქენ არ იცითო ღა მეს [მეც]. კი არ ვიცოდი, თურმე ჩონ ღუნიას გარ- დაის რაქთენიც სხო და სხოც ყოფილა, ოთხი კი მე ვნახე... [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].</i>	<i>სოფელ თორელში მაპი- რისპირებელი კავშირის ფუნქციას ასევე იღებს ნაწილაკი ქე „ჰა, მოხ- რეს და ეს ქე ირბენს, ეს ხუთმა უნდა ირბინონ“ [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].</i>

223. ქღკ-ში მხოლოდ ეს მაგალითი დასტურდება ხოლო კავშირის გამოყენებისა.

ოღონდ	მაპირის-პირებელი	არ ვიცოდი, ის დათრობა რა არი, ოღონდ დათრობილობა ვიცოდი [ქღკ, ზეინაბ ონიკაშვილი]. მენახირე იყო, ოღონდ ოტალს ეძახოდეს [ქღკ, ზეინაბ ონიკაშვილი].	
-------	------------------	---	--

მაქვემდებარებელი კავშირები

კავშირის დასახელება	ფუნ-ქციური ჯგუფი	ილუსტრაცია	შენიშვნა
როსაც	დროის	როსაც დეეცა ბოინელმამ და ფევი ად ზიდა, ჩონ შო-გოშინდა [ქღკ, შაჰინა მულიანი]. როსაც მუცელი აღონეფს. ეს ურიც, მასალან, ნა-მაია თავისთი [მთქმელი უცნობია].	ზმნიზედა კავშირის ფუნქციით
როდესაც // როდესა	დროის	როდესაც რო ქართუელეებსა საქმეები ჰქონდაყე –ან მამული, ან მიწა, ან ოჯახის გაყოფა, ან შადარება – ესეთი ამბავები, სეიძოლა ხანი წადის და ის საქმეები გოშკეთისყე [ქღკ, კოლა ონიკაშვილი]. ²²⁴ . ემ ბაწარს თლიანად ექ შამახოვენ როდესა ქნდების, აღბათა დაასველებენ ემასაც და ემ ბომზე დაახოვენ [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].	ზმნიზედა კავშირის ფუნქციით
როდისაც	დროის	როდისაც – როდისაც რო ჩონ გუნდოდეს, რო წაი-დეთ მალაზიანი, რამე ვივიდოთ, მალაზიებზი არი... [ქღკ, კოლა ონიკაშვილი]. როდისაც მზე დგა, – მიეურებ? მისმენ? – მზე დგა და წიმა მოდის, რო გადხედავ, ესე ფეხები დაშე-ბული აქ, იმაშინ ჩენ ვიტყით: გელი იგებსო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)]. როდისაც ტყივას ხმა მოდისო, ტყივის ხმას რო ეს-მისო, ისეთი გადახტებისო, რო ხუთი მეტრს მაღლა ეხტებისო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)]. როდისაც შიში მოიდესო, შიში მაჩენე და გაქცე-ვა გაჩენო, ისეთი გადახტების, რო არა ენახო, არ დაიჯერეფ, ეგდენს როგორ გადახტების [ქღკ მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].	ზმნიზედა კავშირის ფუნქციით
როს (= როცა) – როს (= როდის)	დროის	ანს რო მიაშბისყე, ჩემ პაპა ძრიალ ნდომებია, როს ყორვებია საქართველო, ძრიალა ჰყორებია [ქღკ, ეზათოლა თავაზოჰი (ზაზა თავაძე)]. ფერეიდან ხაღობა როს გაივოს, რო ვინ არი და საით არი! [ქღკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].	

224. სულ 7 მაგალითია, დანარჩენი 6 დაფიქსირდა მუხტარ ასლანის მეტყველებაში.

როს და როს	დროის	წავალ ერთი შავ სახლი მაქო. გავათეთრებ და გა- კაკეთეფო და როს და როს ჯავა მამცა, თქოვო, რო: რას უცინოვო [ქდკ, ყადირე აყლი].	
როსაცლა (= როცა, როდესაც)	დროის	მინდა რო მოვიდეთ, ბეხოდა. გაზაფხულზე, თაუს- ტანჩი, როსაცლა რო მოვიდეთ ელ [...]. იცითლა ჩონ სახლი სად არი, მოხალთ ელ ექ [ქდკ, თაპირე იოსელიანი]. ბაშადო! როს წავალთო? და თქო: როსაცლა რო შენ მე მითხრა, წავალთო. – ბაშადო [ქდკ, ყადირე აყ- ლი].	ზმნიზედა კავშირის ფუნქციით
სანამ	დროის	პური, რაც თელ დღე სანამ ამ აზანიდან ხუალ სადამო აზანამდე, რომ დაბლენდების, იმაშინ, მანმადე. უნდა არცრა არ შაშჳამო, არც დადივო, არც შაშჳამო [ქდკ, შაპინა მულიანი]. სანამ ვარდი იქნებილა აი, ორსულად არიო... სანამ მაღწევა ჯერ ყურა' რი, არ მაწეულს ჯერაო, ყურა'რი [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].	ზმნიზედა კავშირის ფუნქციით
როცა როცად	დროის	ფული როცა მოქუჩდა, ფულს ადღებენ შადკრავენ ბონჩაში... [ქდკ, შაპინა მულიანი]. მე კი როცად იმ გ ზაზე გაივლი, მანქანაითა. ვარ, მაგრამ მე კი დავლონდები [ქდკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].	ზმნიზედა კავშირის ფუნქციით
რომელიც	განსაზ- ღვრები- თი	ამამ აი თქა, რო არ უნდა ვიშუღლოთ ემ თავის ბერ- კატკა, რომელიც ყულ-ბეგი ერქო [ქდკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)]. აძკ, ერთ არი და რომელიც დადმახიან ბეჳეშთ [ქდკ, ეზათოლა თავაზოპი (ზაზა თავაძე)].	მიმართე- ბითი ნაც- ვალსახელი კავშირის ფუნქციით.
რომელზე- დაც	განსაზ- ღვრები- თი	რომელზედაც ველ დადიფ, ექსი კილო ერბო უნდა მიდცეს [ქდკ, სედიყე ასლანი (ყალანი)].	მიმართებითი ნაცვალსახე- ლი კავშირის ფუნქციით.
როგორიც	განსაზ- ღვრები- თი	როგორიც რო უყორსეე იტყიან და შოკერავთეე [თალერე რაპიმი (ზაირა დავითაშვილი)].	მიმართებითი ნაცვალსახე- ლი კავშირის ფუნქციით.
როგონამც	განსაზ- ღვრები- თი	როგონამც რო ყანამა ხორბალი ძქნას, ისიც თითან გოლს იქს და გამაძბამს იმ დანსა [ქდკ, ირანა იოსე- ლიანი].	მიმართებითი ნაცვალსახე- ლი კავშირის ფუნქციით.

<p>თუ</p>	<p>პირობის</p>	<p>ფული თუ მქონდა, შით თბილისში ვიყიდდი [ქღკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიშვილი)].</p> <p>თუ კაცი დაინახიან იმ ახლებში, შემოუდგინ, დაიჭირიან, მაიყუანიან იმ დღეს, იმ წყალში ჩააგდიან, ჩაალებენ და ამაიყუანიან [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].</p> <p>თუ ორთა უკრავყე ტყივა, ცაველის რო მაჰხლომია, იმის მოკლული დეერქმის [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].</p> <p>თქო რო: თუ დედიამ ვითხრაო, რო დადეგ ჩონსაო, არ დადგევო ჰა. თქო: არაო [ქღკ, მეჰრი ასლანი].</p> <p>თუ მიყაბულესო, ამოვიყუან და თუ არაო, ჯორათი აღარა მაქო [ქღკ, მეჰრი ასლანი].</p> <p>თუ ერთ რამე არ ყოფილა, არ მოდლოდა ეგეთ მალეო [ქღკ, ასლანი].</p> <p>რო თუ შენ ყოფილიყავო, ასლან არ გაიქჩერებოდეო, რო რამე უთხრაო, იმის ბალა ზეო დამცხლო და დამასუსტაო [ქღკ, ასლანი].</p> <p>თქო რო: თუ ვაგამთელო მალეო, წახლო მაიყუანე ის ყორიო [ქღკ, ასლანი].</p> <p>ემ გელმა თქო, რო: თუ დაგიჭირე, ვიცი რა ქქნა [ქღკ, თუბა შაჰმამადი].</p> <p>თუ გადვოს, რო ექეფჩი ხართ ელა, მუა, რო გნახისყე [ქღკ, თუბა შაჰმამადი].</p>	
<p>თუკი</p>	<p>პირობის</p>	<p>ჩონი ზამთარ-ზაფხულის საქმეები ეგრენ არი, თუ კი დიახ წუხუარობა და ღონება არ გოქონდეს [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].</p> <p>ვეტყიო და თუო ეჰაზა მოგცაყეო, შამოდიტო, თუკი არაო, ხო როგო შამოხლოთო [ქღკ, ჰაიათ იოსელიანი].</p> <p>თუკი არაო, აბა, რათ გინდაო. თქი, რო თქიო, აბა რა გაქ აბიო [ქღკ, ჰაიათ იოსელიანი].</p>	

<p>თუც</p>	<p>პირობითი</p>	<p>ზღაპარი არ იცოდა. თუც იცოდა, არ გუამბისეე [ქღკ, სედიყა ასლანი]. თუც მე მინახავ დედამა, დედამა დაწყევლოს შვილი, ათი ერთ საათზე არ გადზიდავს, რო ყმაწილი გარდაცვლების [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)]. თუც გერიმ არ მადხტა ფევი, მეორე ტკაველს დლომეტებენ [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)]. იმნაირათ შავხვდით ერთმანეთს ეხლა, სამწუნაროთ, სახელები ისეები თუც იყოს. აღარ ვიცეი, სდა მაქ, ფევბურთელები მაშინ ჩამოვიდენ [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)]. თუც გემექცა, ხო იქნება მცემენ და თუც არ გემექცა და დავიჭირი, ეხლა ამას მოიყუან ჩემ აღავ ზენა [ქღკ, თაჰერა იოსელიანი]. ბალ, ჰაფტალ სლა ვარ და კიდემ ცოცხალი ვარ. ვარლა თუც ელა შაიდ ერთ წელი, ორ წელი მეექვლოს, მასლანა, მე ეგრე გამიგიალა, რო ეგრე ვარლა [ქღკ, თაჰერა იოსელიანი].</p>	
<p>თუ არადა</p>	<p>პირობის</p>	<p>თუ გუყორსეე და თავინთ ოდენი არი და მაიწონკენ, წაედ, იყიდიანეე, თუ არადა – არა [ქღკ, თაღერე რაჰიმი (ზაირა ონიკაშვილი)]. რუვი უნდა გაილო, რო წყალი გაიტანოს, თუ არადა წყალი რუის ექით-ანქით გადავა, და ზამთრის უჰურო დავარდებით [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].</p>	
<p>არადა</p>	<p>პირობა</p>	<p>გავხეტავთ აქე გ ზასა და არადა ხო შინა ვყრივართ [თაღერა იოსელიანი]. ერთხელ მადხედავს თავის კაციძდა მოა, მოუჯღდების, არადა ხო არიანდანა ქორწილჩი მოსულანდა [ქღკ, თაღერა იოსელიანი].</p>	
<p>მინც // ვინც</p>	<p>ქვემდებარული // დამატებითი</p>	<p>მერე საჩუქრებს მისცემს თითო ემათ, სი ზეს თითონ კარგი საჩუქარს, მერე რივრივობით მინც იფო ემე რი [ქღკ. შაჰინა მუღლიანი]. უთხრა, რო მინ გინდა მითხოო და თქო, რო მე გეტყიო, რო მინც ვითხოო, იყოსო [ქღკ, ჰაიათ იოსელიანი]. ვინც ცხენზე ზის, არ იცის, მინმე ფევით როგორ დაღის [ქღკ, რეზა ხუციშვილი]. ვინცა – ემ ციკან-ბატკანს ვინც აძოვევდა, იმას დაძახოდეს მეციკნე; კედელი აძოგებული იყო და ვინცა უნდოდა საქართველოჩი შამოიდეს [ქღკ, იოსებ ხუციშვილი].</p>	<p>მიმართებითი ნაცვალსახელი კავშირის ფუნქციით.</p>

რომ (=როცა, როდესაც)	დრო	<p>ცემათ, მე რო // რომ მამხედნეს, ძრიალ გამიამხანაგდეს [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].</p> <p>შუა ურუჯობაში. მეც ხრამეტე დღეს, რომ ჩონ ემებს ვეტყით: წმინდა კაცების ემე'რი, გარდაცვალები და დღეა [შაპინა იოსელიანი].</p> <p>ეს უნდა შუამონ და რაჯაცა შაშუამონ, პური, რაც თელ დღე სანამ ამ აზანიდან ხუალ სჯადო აზანამდე, რომ დაბლენდების, იმაშინ, მანამდე უნდა არცრა არ შაშუამო, არც დაბლივო, არც შაშუამო [ქდკ, შაპინა მუღლიანი].</p> <p>ქორწილი რომ დაიწყების, ორ-სამჯელ მაყრობაში წაველენ ხალღი [ქდკ, შაპინა მუღლიანი].</p>	
რომ // რო	განსახლვრები-თი	<p>ანსიც რო მე მიყორს, სუსყენაცა ძნელა'რი [ქდკ, შაპინა მუღლიანი].</p> <p>ევ რაქთენ კომლობაა არი, რო მამულები თითან აყე [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].</p>	
იმიტომ რო	მიზეზი	<p>რატომ გუშინ და დღეს? იმიტომ რომ მე მახსოვს ძელბებურ ცხოვრება ფერედიანში ჩემ დედა-მამასთანა [ქდკ, მანსურ ყალანი].</p> <p>იმიტომა ექიან სამგორიო, რო ომი რო შევდების შაკ-აბასიდან დრო, იგდენი ქართველი დაწყებისსო, რო სამგან დაავრობენო, შაიქნების სამი იმ გორა გაწყდომილ ქართველიო და იმაზე დაარქეს სამგორიო [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].</p> <p>ვარდის ყელი იმიტომა ექიან, რო ერთ ემე ზევა ბეურ ვარდი იყო და ეს ყითელ ვარდები ექონდა, ემაზე ერქო ვარდის ყელი [ქდკ, ალი რეზა რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)].</p>	ზმნიზედა (იმიტომ) კავშირის ფუნქციით
რასთი რო	მიზეზი	<p>ქურთები იმაშინდა ვერ შამოდიან სოფელჩიგა, მარტყოფი, რასთი რო დოჭლათსაყენდა რო მოსულიყენეს, ქურთებს იჭერდიანყე, ეს ჯარისკაცად წაყვენონ, და სარბაზად წაყვენონ [ქდკ, მთქმელი უცნობია].</p> <p>სუყელას ელა ეშინოდისყე, რო ქართველითან იშულლონ, რასთი რო ქართველმა შუდლჩი და უნდა მოკედეს, და უნდა მოკელას, გამოქცევა არ იცოდიან [ქდკ, მთქმელი უცნობია].</p>	ზმნიზედა (რასთი) კავშირის ფუნქციით
იმიტომ	მიზეზი	<p>დედამთილ-მამამთილმა არ უნდოდა მაჯლადა ახალ ზაღის ჯმა გაიგოს და იმიტომ ეს ახოული ექონდა და [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].</p> <p>მას ბეურს ვათესევედეს, სერა ექიან და ნასერაღი, იმიტომაც იქა სერას ვნევედეს [ქდკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].</p> <p>შენ კომუნისტე ხარ და იმიტომ მიხეჯალო. თქო, რო მე მინდა გაიდუო [ქდკ, ბოყლეისა ასლანიშვილი].</p>	ზმნიზედა კავშირის ფუნქციით

რასათი (=რატომ)	მიზეზი	ყურჩი მითხრა, რო: ბიჭო, რასათი იგეთ ფორრუ ხარ, პირადიანი ხარ შენა? [ქდკ, მალექ მამამდა რა-პიმი (მამამდ ონიკამვილი)]. ეხლა რასათი დიდ წყალი გაშუა? [ქდკ, მალექ მამამდა რაპიმი (მამამდ ონიკამვილი)].	ზმნიზედა კავშირის ფუნქციით
ემისთი რო	მიზანი	ორ თეი საქართველოში ვიყო. ქართულიც ესწავლა, ემისთი წავეღ, რო გამოვო, რო აბა, ეს იქ ემას საბუთი რამე იქეფჩი აქო და ვერსა ვერ მოიპოვეო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)]. მერე დალაქი წავა, ფულს მამკრეფს. ეხლა ემისთი, რო ეს მუუციდა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].	ზმნიზედა (ემისთი) კავშირის ფუნქციით
რომელი	განსახლეობის	რომელ ქუჩაც მე მიყორს, ამ ქუჩაზე ბლენარი [შაპინა მულიანი].	ნაცვალსახლე კავშირის ფუნქციით

ნასესხები კავშირები

ვალი ²²⁵ // ვალე vali (არაბული)	მაგრამ	ვალი მე ვამბობ, რო ესე ერთ ქართველი ყოფილა ელემ მეპრალიასავით ერთ დელავარ კაცი და ესე მოსულა ექ დამალულა და იქითეე ცხენითა ჰამლა უქნია, რო ქართველებმაცა მიჰხედონ ემასა და ყეირათი ჩავარდენ და ნამა იშულდონ და აყენები გარეკონეე [ქდკ, რეზა ხუციშვილი]. ვერ გავალ, ვალი ანსები გადმოტლენეე – ვნახეცეე [ქდკ, ზოპრა ფანიაშვილი]. ქუნთრუშა იმ წინ იევესეე, ვალი ეხლა აღარ არი აღარა, წითელაც აღარადა [ქდკ, მიქმელი უცნობია]. ჩემ კაცი მოალეშია, ანქა ვზივართ, ანქ სახლს ვაგებავთ, ვალი ექ ჩემ აღანი ექ არიან მე გადმოუალეე ექა ვნახეე, დოოყონადლეეე. გარდმოუალეე ექა [ქდკ, ზივარა ბარათი].	
ამა // ამმა ammā (არაბული)	მაგრამ	ამა (მაგრამ) – თუ მიყაბულესო, ამოგიყუნ და თუ არაო, ჯორათი აღარა მაქო. თქო: ამა თუ გიყაბულესო, ერ დასტი ლაბასიც მამიბათო და ერთ ტუმარაც მამიბათო [ქდკ, მეჭრი ასლანი]. და ბევრ სახლიცა ბათუანთაეე გამოიდა, ამა ჩონეე ემ ორ სახლსაეე ერთიც ექ აღარ დავარდა, ჭყად მელა მარტო ექ ვიყავ [ქდკ, თუბა შამამადი]. ამ ერცოტა ბათუანთა დამრუნდეს და მალე გამოდეს. ამა ჩენ ძმებმა და ჩემ ამუამ დადგეს ანქა [ქდკ, თუბა შამამადი]. ამმა (მაგრამ) ჰარ ლამედალა შემეეყარიანეე და ქეთაბი იკითხიან, ვაფი იამბიან, შაბნე შინობაზე წაადიან. ამმა ეხლად რო ემე'რი, თელევი ზიონი და ემე, ჰამ ხალლი გული ვასციკეებია და წასლა-- მოსლა აღარ არი [ქდკ, თუბა შამამადი].	მაგრამ

225. თორელში ვალის არ იტყვიან, ამბობენ ამა // ამმას.

tā (სპარსული)	რომ (-სანამ, -მდის, რათა, როდემდე, ვიდრე)		
თა tā (სპარსული)	როცა // როდესაც	ზენდები ჩონთი ვაიკეთეთ, თა ჯეელები ვიყენ-ვით [ქდკ, რობა ბენანი].	მიმართებითი ნაცვალსახელი კავშირის ფუნქციით
თა	სანამ // ვიდრე	<p>დედამთილთან, მამამთილთან ბევრსხან ერთმანერთან ვიყენებთ. თა ქამ-ქამ და ქამ-ქამ ემ ჩემ ზალმა გამოიდა და ექ ვააკეთა [თუბა შაჰმამადი]. ახლო ერთ წელს ვად ზიდავს, თა ესეები წავლენ და მოვლენ მაქქანი [ქდკ, არია ხოსროვი].</p> <p>კიდე ერთ რაქთენ თე ვავა, თა ესეები, ქარავანი, დაბრუნდებიან თაინთ სახლებში [ქდკ, არია ხოსროვი].</p> <p>როდისაც რო ჩონ გუნდოდეს, რო წაიდეთ მაღაზიანი, რამე ვიყიდოთ, მაღაზიებში არი... ეხლა ვორცი დილით რუა საათსაყე არი ც ხორის ვორცი თა დამეს ათი საათი წაიდეს [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].</p> <p>ის მამამ და დედამაც თუ შესძლო, ხო ცოტასაც იმ საქმეში დევმარებიან და თუ აღარ შესძლო, აბა რა ზლა ვააკეთებენ და არიან. თა ცოც ხალნი არიან, იმ ერთთანაღა დარჩებიან [ქდკ, კოლა ონიკაშვილი].</p> <p>თავი უნდა მაჰკრან, თა რაქთენილა გაწყვიტონ [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].</p>	ზმნიზედა კავშირის ფუნქციით
თა	რომ // რათა	ლაბასი ვავრეც ხით, ზარტი ვავრეც ხით. ესეები შამუალავიტყე, თა თონე ეენთისყე, თონე რო ეენთის, პური დავაკრით.	
თა	სანამ // ვიდრე	<p>ყარალები იყვისყე, ყარალებში, დიდ ტუმრები – იქლა ჩაქტკეპნიტყე და გოქონდისყე თა ვაზაფხულობამდინა [ქდკ, თუბა შაჰმამადი].</p> <p>იმამინა ისხდიანყე თა თორმეტ საათამდი ივე ზადადა კითხობდიანყე [ქდკ, თუბა შაჰმამადი].</p> <p>ემამა თა ისპანამდი თავის ცხენით წაიდა [ქდკ, ჰაიათ იოსელიანი].</p> <p>ბლენა, თოვლიც მოდის თა წელამდი [სეიფოლა იოსელიანი].</p> <p>მე უთხარყე: ქენი მამუნე ვარ მიწასაყე თა ასიმანამდი [სეიფოლა იოსელიანი].</p>	<p>დროის ზმნი-ზედა კავშირის ფუნქციით; კონსტრუქცია ორმაგადაა გამოხატული მიწვევითობა: თა (სანამ // ვიდრე) ვაზაფხულამდე.</p>

თა	რომ	ე. ქართველებიც ხო იყვნენ ციხეში და ემ ემა თავადე თა ერთი დევანდაყე, დიდი უღვაშები ჰქონდა. ამილო რაქთენი ფული, ჩოუყარაყე ემეებსა: თა შადით , გამოლიძეთო.ყეინის ყორის ქმარმა აპკიდა, რადღა რო უნდოდა, ჯჯორებზე და აქლემებზე და წამოიდეს, თა მადღეს იმ ჭაზევა, რო წასლით ჩასულიყო დევთანა და ბრეწველები მეეცა [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].	კავშირი
თა იქამდი, რო	სანამ	<p>მოუყვანა ერთი მუცაღემი ემ ბიჭსა და ასწავლა წერა და კითხვა, თა იქამდი, რო ნამა დაიწავლა გაკითხვა და დაწერვა.ქაფანაკები გადვიფარეთ და ბარნები, თა იქამდი, რო წიმამ აიყარა [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].</p> <p>თითან კი ექ არ არიო და დედაკაცი ეგეთ სხლკარს აკეთებსო, თა იქამდი, რო ეს ამართი ათავდა და, კარები და ფანჯრები და რადღა რო ეჭირებოდა, გაკეთდა [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].</p> <p>წყალი მისცაყე და აიზიდეს ლულებით, თა იქამდი, რო პირიტყები გაძღეს [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].</p> <p>ერთ საპალნე ზეო ოცდაათი თუმანი ელა ქირა შაიქნებისო, თა იქამდი რო მიიტანო, რო გაიხედოსო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].</p>	

5. შორისდებულები

შორისდებულები მთქმელის, მოსაუბრის ემოციისა და განწყობის, ნების გამოხატვის საშუალებაა. აღნიშნულია, რომ თავისი დანიშნულებით შორისდებული „წინადადების ბადალია“, მისი ეკვივალენტია [კვაჭაძე 1996: 342; ულენტი 1946: 255].

შორისდებული იმდენად განსხვავებულ და სპეციფიკურ ენობრივ სისტემას ქმნის, რომ მისი მეტყველების ნაწილად მიჩნევაც ღლემდე სათუთა ენათმეცნიერებაში. ვანდრიესმა ის „აფექტურ“ მეტყველებას მიაკუთვნა და ამით გამოიწვნა „ინტექტუალური“ მეტყველებისგან. შორისდებული ენის უძველეს ელემენტად არის მიჩნეული. მეტიც, ენის წარმოშობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინდივიდუალისტური თეორია, რომელიც მოიცავს ონომატოპოეტურ და „შორისდებულის“, იმავე „ამომახილის“, თეორიას, ამტკიცებს, რომ პირველი სიტყვები ცხოველთა ხმიანობას უკავშირდება (ონომატოპოეტური თეორია) ან ისინი აფექტის (სიხარული, ტკივილის, სიამოვნების...) უშუალო გამომხატველი უნებლიე წამომახილებია (შორისდებულის თეორია) და მათ დაუდეს საფუძველი ენის წარმოშობას [ჯჯორბენაძე 1997: 141].

შორისდებულების, როგორც განსაკუთრებული ენობრივი ინვენტარის, თავისებურება აქტუალური იყო ყველა დროისა და სკოლის ენათმეცნიერთათვის. გან-

ღრიესმა ისინი „აფექტურ“ მეტყველებას მიაკუთვნა და გამიჯნა „ინტელექტუალური“ მეტყველებიდან [ჟღენტი 1946: 247]. ამით უკვე ძალიან ბევრი იყო ნათქვამი.

შორისდებულებისა და, ზოგადად, ე.წ. არასრულმნიშვნელოვან სიტყვათა ადგილის განსაზღვრა ენაში დღესაც ბევრ საკამათო საკითხს წარმოშობს ლინგვისტთა შორის. ცნობილი „ლონგმანის ბრიტანული და სასაუბრო ინგლისური ენის გრამატიკა“ (Longman Grammar of Spoken and Written English) სიტყვათა სამ დიდ კლასს გამოყოფს ენაში: ლექსიკური სიტყვები (Lexical words), ფუნქციური სიტყვები (Functional words) და ჩანართი სიტყვები (Inserts). **ლექსიკური სიტყვები** „საბჭოთა“ ტერმინოლოგიით სრულმნიშვნელოვან სიტყვებს მოიცავენ – მათ, რომელთაც აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა, საკუთარი მახვილი, შეუძლიათ იყვნენ შესიტყვების მთავარი წევრები, აქვთ დაბალი სიხშირე ტექსტში, ახასიათებთ შედარებითი სიგრძე, წარმოადგენენ ღია კლასს და მათი რიცხვი არის ძალიან დიდი. **ფუნქციურ სიტყვებს** მათგან განსხვავებით არ აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა და საკუთარი მახვილი, მორფოლოგიური ცვლილება არ ახასიათებთ, ვერ ქმნიან შესიტყვებებს, ხასიათდებიან მაღალი სიხშირით ტექსტში, შედარებითი სიმოკლით, ქმნიან დახურულ კლასს, არიან მცირე რაოდენობისა.

რაც შეეხება **ჩანართებს**, გრამატიკის ავტორები მათ განიხილავენ, როგორც ახალ კლასს. ჩანართები უშუალოდ არ ქმნიან სინტაქსურ სტრუქტურებს, თავისუფლად ერთვებიან ტექსტში, მეტყველებაში პაუზით, ხოლო წერისას პუნქტუაციით გამოიწვევრდებიან. მათი მთავარი ფუნქციაა მთქმელის ემოციური დამოკიდებულების გადმოცემა.

თუ დავაკვირდებით ამ კლასიფიკაციას, შორისდებულების ადგილი სწორედ „ჩანართების“ კლასში უნდა ვიგულოთ.

შორისდებულს დანარჩენი ლექსიკისგან განასხვავებს ის, რომ ის არ არის წინადადების წევრი, მოკლებულია სახელდების ფუნქციას, მატერიალურ მნიშვნელობას და გრამატიკულ ფორმებს [ჟღენტი 1946]. როგორც აღნიშნავენ, შორისდებული არის ნიშანი, ის ერთგვარი რუდიმენტია, რელიქტია ცხოველის ენისა ადამიანის მეტყველებაში [ნებიერიძე 2003: 147]. უფრო გაფართოებული მნიშვნელობით შორისდებული არის არა სიტყვა, არამედ სიტყვის (ან მთელი წინადადების) ეკვივალენტი და პერფორმატივებით მსგავსად მას არა აქვს დესკრიფციული ფუნქცია. ისინიც პერფორმატივებით „მოქმედების ნაწილს“ წარმოადგენენ [მაჭავარიანი 1989: 32 და სხვ.].

აღნიშნულია, რომ შორისდებულები წარმოთქმის ინტონაციის გარეშე არაფერს გამოხატავენ; მათი მნიშვნელობა სინამდვილეში არის ის ინტონაცია, რომლითაც ისინი წარმოითქმიან. ამიტომაც არის, რომ სამწერლობო ენაში ყოველთვის საჭირო ხდება ამგვარი შორისდებულების გაშიფვრა, ახსნა, ამიტომაც ახლავს მათ მწერლისეული კომენტარები (თუ თვით კონტექსტის მიხედვით არ არის შესაძლებელი ინტონაციის ამოცნობა). – ოჰ!... – გაბრაზებით წარმოთქვა გულქანმა... [ჯორბენაძე 1997: 149].

ემოცია შეიძლება გამოიხატოს ჟესტიკულაციით და მიმიკითაც. ერთი და იგივე შორისდებული შეიძლება გამოიყენებოდეს სხვადასხვა ემოციის საჩვენებლად, აძლე-

ნად, მის გასარჩევად მნიშვნელოვანია კონტექსტი, ინტონაცია, თანდართული მიმიკა და ქესტიკულაცია.

შორისდებულად შეიძლება წარმოდგეს ხმოვანი ცალკე, ხმოვნები და თანხმოვნები, ცალკეული სიტყვები, გამოთქმები. შესაბამისად, შორისდებულები შეიძლება იყოს პირველადი და მეორეული. ეს უკანასკნელი შეიძლება მიღებული იყოს არსებითი სახელისაგან, შორისდებულისა და ნაწილაკის შეერთებით, ზმნისგან, ზმნიზელისგან, შორისდებულად გამოყენებულია ნაწილაკიც, ის ზოგჯერ მიღებულია მსაზღვრელ-საზღვრულის შერწყმით, შორისდებული შეიძლება იყოს სიტყვები და მყარი გამოთქმები, უცხო ენიდან შემოსული სიტყვები, ხმაბაძვითი სიტყვები [კვაჭაძე 1993: 301-302].

შორისდებულების მცირერიცხოვანი ჯგუფის ერთგვარი შემავსებელი წყაროა ზემოთ ნახსენები პერფორმატივები – ე.წ. „შესრულებითი გამონათქვამები“. შორისდებულის არსს – განწყობის, ემოციის, დამოკიდებულების (და არა მოქმედების) გამონათქვას – პერფორმატივები იმით უკავშირდებიან, რომ ისინიც მოქმედებას კი არ აღწერენ, არამედ თავად წარმოადგენენ გარკვეულ მოქმედებას, მოქმედების ნაწილს [მაჭავარიანი 1989: 25-35]. ამიტომაც პერფორმატიულ გამოთქმათაგან გარკვეული ნაკადი სწორედ შორისდებულების კლასს ემატება (გაუძარჯოს, უკაცრავად... ფიცის, გლოვის, ლოცვის ფორმულები და სხვ.).

შორისდებული უნივერსალური ლექსიკური კატეგორიაა. ის ადამიანური არსებობის ყველაზე უნივერსალურ გამოვლინებას – ემოციას, გრძნობას, დამოკიდებულებას გამონათქვას. ამ ტიპის მასალის ერთი შეხედვით მწირი, გრამატიკულ მიმართებათა აღნიშვნას მოკლებული, „გაქვავებული“ ენობრივი ინვენტარი დიდ ეთნოლინგვისტურ ინფორმაციას შეიცავს.

შორისდებულები ახლოს არიან აგრეთვე ფუნქციური სიტყვების კლასთან. მაგალითად, ხშირად ძალიან ძნელია ნაწილაკისა და შორისდებულის ერთმანეთისგან გამიჯვნა, ნაწილაკების ნაწილი შორისდებულის ფუნქციითაც გვხვდება. მაგალითად, ზოგიერთი მეცნიერი აბა, აპა ერთეულებს ნაწილაკთა შორის განიხილავს [ფალავა 2009: 133, 205], ზოგიც შორისდებულთა რიგში ათავსებს [ქლენტი 1946: 253].

აკაკი შანიძე შინაარსის მიხედვით გამოყოფს შორისდებულების სამ ჯგუფს: შორისდებულები, რომლებიც ამა თუ იმ გრძნობას გამონათქვან, შორისდებულები, რომლებიც მოსაუბრის ნება-სურვილის ასახვენ და შორისდებულები, რომლებიც ფიცის, ალერსის (და სხვ.) გამომხატველები არიან [შანიძე 1980: 621].

შორისდებულების სამი ჯგუფი აქვს გამოყოფილი ო. გაჩეჩილაძეს:

ა) ემოციური შორისდებულები (ამა თუ იმ გრძნობის გამოძახილის გამომხატველები); ბ) იმპერატიული შორისდებულები (მოსაუბრის ნება-სურვილის ამსახველი); გ) შორისდებულები, რომლებიც გამონათქვან ფიცილს, ალერსს და სხვ. თითოეული მათგანი კიდევ იყოფა ჯგუფებად [გაჩეჩილაძე 1979: 33].

ლეო კვაჭაძე შორისდებულების ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფს: განცდების, ემოციის და მთქმელის ნება-სურვილის გამომხატველებს [კვაჭაძე 1993: 302; 1996: 342].

ერთი და იგივე შორისდებული შესაძლებელია სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ემოციასა და განწყობას გამოხატავდეს, ამდენად ძნელია შინაარსის მიხედვით ჯგუფებს შორის გამყოფი ხაზის მკაცრად გავლება.

სხვადასხვა ენაში შორისდებულების დაახლოებით ერთი და იგივე ტიპებია წარმოდგენილი, თუმცა ყველა ენაში (და მის ქვესისტემებშიც) ეს ჯგუფი აუცილებლად მოიცავს ძალიან დიდ ფენას, რომელიც სწორედ ამ ენის სპეციფიკურ ეთნოლინგვისტურ პროფილს ხატავს.

ფერეიდნულის შესწავლისას განსაკუთრებით საინტერესო იყო ლექსიკის ამ ჯგუფის მონაცემის შესწავლა. როგორია ამ ენობრივი სეგმენტის ბედი დიალექტის კუნძულურ ბიოგრაფიაში? როგორ შემოინახა ფერეიდნულმა ემოციის გამოხატვის ეს ეთნოლინგვისტური ინსტრუმენტი?

შორისდებულების ჯგუფი საკმაოდ მცირერიცხოვანია. ამავე დროს დაბალია ფიქსირებულ ტექსტებში ამ ტიპის ლექსიკის სიხშირული მახასიათებელი. დიალექტური გაბმული ტექსტი, რომელიც ძირითადად მონოლოგური ხასიათისაა, კიდევ უფრო „დახურულია“ ამგვარი ლექსიკისთვის და ძნელია მთქმელის პროვოცირება სათანადო დისკურსის შესაქმნელად.

ფერეიდნულში საკითხის შესასწავლად გამოვიყენეთ ქღკ-ის ტექსტები და სპეციალურად შორისდებულების გამოსავლენად შედგენილი კითხვარები. ამ სამუშაოს შედეგად აღწერილი შორისდებულები შესულია ქღკ-ის ონლაინლექსიკონში, აგრეთვე, ფერეიდნული დიალექტის კორპუსულ ლექსიკონში.

ფერეიდნულში შორისდებულების ძირითადი ნაწილი პირველადია, ისევე, როგორც ქართულში, ის ცალკეული ხმოვნის, ხმოვნების, ხმოვნებისა და თანხმოვნების კომბინაციის სახითაა წარმოდგენილი. შორისდებულები ფერეიდნულში, ძირითადად, ქართულია, მხოლოდ რამდენიმე შორისდებულია ნასესხები. მსგავსი კვალიფიკაციაც შორისდებულების განმარტებისას ხშირად პირობითია, რადგან შორისდებულების დიდი ნაწილი ბგერითი კომპლექსისა და ხშირად სემანტიკის მხრივაც მსგავსია სხვა ენებში არსებული ზოგი შორისდებულებისა, ეს არ აიხსნება ნასესხობით, ამას განაპირობებს თითოეულ ენაში ერთნაირი ენობრივი მასალის გამოყენება [ჟღენტი 1946: 255].

მართლაც, შორისდებულების ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ ხმოვნების ან ხმოვნებისა და თანხმოვნების კომბინაციითაა მიღებული, ბევრ ენაში ერთნაირ ემოციას გამოხატავს, იქნება ეს ბრაზი, გაკვირვება ადფრთოვანება თუ სხვ.

ხმოვანთა და თანხმოვანთა მიმდევრობებით შედგენილი ასეთი ემოციური ამოძახილები შედარებით მდგრადია დიალექტში. იზოლაციურ პირობებში მათ ცვლილება არ შეხებიათ. შესაძლოა ეს განაპირობებდეს ამ ტიპის ინვენტარის შედარებითა უნივერსალურობამ ენებში.

სულ სხვა სურათია იმ სრულმნიშვნელოვან სიტყვებთან (ან გამოთქმებთან) მიმართებით, რომლებიც შორისდებულის ფუნქციას ასრულებენ. აქ ქართული ლექსიკა მცირეა, შენარჩუნებულია ძირითადად მყარ შესიტყვებებში: დალოცვის, აღერსის, წყევლის გამომხატველ ფორმულებში.

ნათქვამი რომ უფრო ნათელი იყოს, მივმართოთ მაგალითებს:

ემოციის გამომხატველი შორისდებულება:

მხოლოდ ხმოვნებით გამოხატული: ა // აა // ააა!; ოო // ოოო! აუ!....

ამ ტიპის შორისდებულები გამოხატავენ **გაკვირვებას, დასტურს, აღფრთოვანებას...**

აუ:

სამებუარი დაათორიალეს, რო **აუ**, ეს ველი სავსე იყო კდარით [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ოო:

ჩაფიქრდა და თქო, რო: **ოო**, ერთი მახსოვსო [ქდკ, ჰეიდარ ასლანი].

ოო, დათი ვინც მაჰკლი, იმდენ, იმდენს აჯერებებს მთავრობა, აკრძალულია, გელიც აკრძალულია, გელი, დათი; ნამად აღილილა არი! – იცი რაო? **ოო**, აღილი, სადაც ცხერებ შადრეკენ, კარგიაო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

პური დავაკრიტყე იგეთი არა. მაგარი და გავათხელითყე, გავათხელით, **ოოო...** [ქდკ, საფეა ასლანი].

უ:

ანს მამგონდა, ჩემ დედამა თქოო, რო **უ**, როდისა? ორმოზდაექსი წელის წინ მითხრა-მეთქი, რო თუ ირბინო და გადძრე, გამოვივა, რო მიდწდე; თუ ერთმა კარი მოოშისყე, უთხრიანყე, რო **უ!** ანსიო, დეესხენ ანსიო [ქდკ, იოსებ ხუციშვილი].

აე:

– რატოო? -აე! – რატომ? იმიტომ რომ ეხლა ემ კაცსა ხო არ უწკენტავ, ეს ცხორი და ფური არ უწკენტავ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

აა:

აა, შოურავი მოსკოვსა ნიშნავს, საქართველოსა ნიშნავს, იმ დროს რო ერთგან იყავით [ქდკ, ალი ჰოსეინ დავითაშვილი].

ეუ:

იმ წელსა კი რო გამოვლით საქართველოჩი, რა გვარი და ხუციშვილი-მეთქი და **ეუ**, ყაზბეგს არიანო ხუციშვილები და არიან ყველანიო მთაკაცებო [ქდკ, იოსებ ხუციშვილი].

უი:

უი, ბესმელა, მე ხო ეს დედაკაცი ექ დავაწვინე და წავეღ, მა რა ქნდა [ქდკ, მეჰრი ასლანი].

(ყრალ ენა რო აქვს ქალს რას იტყვიან?) – ყრალ ენა, მასალან, **უი**, უიაო [ქდკ, ნარგის აბასი].

ხმოვნებისა და თანხმოვნების კომბინაცია: ეჰ, ოხ, ჰოი!...

მსგავსად წინა (ოდენხმოვნიანი) ჯგუფისა, ამათაც აქვთ შესაძლებლობა გამოხატონ ნებისმიერი ემოცია დაწყებული აღფრთოვანებიდან ზიზღამდე:

ოჰ // ოხ!:

თქო: **ოჰ**, ექაც ხო დუნია ყოფილაყო!; **ოხ**, იმან შახედნა, არა ყეენს აგეთი სახლი არა აქ [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ავიდა თას წერზე, გაღიხედა და თქო: **ოჰ, ექაც ხო ღუნია ყოფილავო!** [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

ოჰოიო:

*ოჰოიო, ალადიო! – დაიკივლეფს: დედით ბიძაო, ემეო, კორკლს ნუ დჰყრით ემე-ჩიგაო, რა დქია, პურის ემეჩი... დაიკივლა, რო **ოჰოო**, ნუ დადჰკლავთ ძაღლსა, აი, ცხორო მოიყუანეო, ცხორი მოიყუანეო!* [ქღკ, სედიყე ასლანი (ყალანი)].

ვაჰ // ვახ! // ვაავ:

ვაჰ ყედნის სუფრაო და ყედნის ზადიო, რამე [ქღკ, ყადირე აყლი].

ვახ, ვახ, ვახ, ვახ! ეგეთ ყრალ წელი მე ოთხმოცის, ღაახლოებით ოთხმოცის წლისა ვარ, ეგეთ ყრალ წელი არ გოგონდების აითი, მართლა გეუბნები [ქღკ, მუხტარ ასლანი (ღარჩიაშვილი)].

თქო, რო: ვაავ, რასაც მივალ, ელა [აი] არი ღუნია და აღარ თავდებისო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

აიჰ:

აიჰ, აზარმუნდაო, რას არა ქთქიო, რო შირაზიო, რო კბილების ძირზეგაო; ძრიალ დაეფწუნდებიყე. აჰ [ქღკ, ეზათოლა (ზაზა) თავაზოჰი (თავაძე)].

ვუი:

ვუი, ვუი როგორი-მეთქი [ქღკ, მუხტარ ასლანი (ღარჩიაშვილი)].

უიჰ:

უიჰ, მუცლის ტკივილიმც ავიგარდეს, ინშალა [ქღკ, ნარგის აბასი].

უფ:

ქანგულის ყელჩი იყო ყოჩები, უფ! [ქღკ, მუხტარ ასლანი (ღარჩიაშვილი)].

შენ, შენ პაპამ გამიჯავრდა, უფ, გამიჯავრდა: რასთ ეგრე აყრიო? [ქღკ, მუხტარ ასლანი (ღარჩიაშვილი)].

უჰ:

უჰ, ჩასულა გადარას? [ქღკ, მუხტარ ასლანი (ღარჩიაშვილი)].

ვუშ.²²⁶

**ვუშ – არმოწონება* [არია ხოსროვი].

იჰ:

**იჰ -როცა სუნი არ მოეწონს* [არია ხოსროვი].

აახ:

**აახ – ვულის დაწვისთი!* [აბოლყასემ აჰმადი].

ვა:

ვა იმისთი მე ეს ღამიჭერია. თუ ქენ რამე გაყე ექა, მე მითხარით მოჰქამათა [ქღკ, მაჰინე ასლანი].

მაშ:

[გელი იცის თქვენთან?] – ოო, მაშ! [ქღკ, მუხტარ ასლანი (ღარჩიაშვილი)].

226. მასალა კითხვარითაა მოპოვებული. საგულისხმოა, რომ ქღკ-ში იმავე შორისდებულის გამოყენების ორი შემთხვევაა თუშურ დიალექტში.

მაშ დამატალე, წავიდე, შუღლის იარაღი მოვიტანო; **მაშ**, იცი, რას ვიქო: მაიტა, მიგაკრავ ხე ზეგო [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

უიპ:

უიპ, მუცლის ტკივილიმც აგივარდეს, ინშალა [ქღკ, ნარგია აბასი].

ნწუ // ნწუ:

ოთხ იგეთს მისცემ და ნწუ, გადაძყრის, მე ეს რა მიყოფის [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ნწუ- ყმაწილები იტყიან (დაშქესანა);

***წუ // წგ** – უარყოფის მნიშვნელობით (თორელი).

ოჲ:

ერთჯელ მეესმო [ასეა!] ერთი აჯაიბი ჯმა, რო დოუკივლეს: **ოჲ**, ადამიანო, მინა ხარ და რა გინდაო? [ქღკ, სეიფოლა იოსელიანი].

აჲ მე შენ თავი სუყელასყენ მამწონდაჲ **ოჲ**; **ოჲ**, ნუ მატყუვლებ, შენ ჩემ თავი არ გინდაჲ. **ოჲ**, მოდი დაჯე და ხილი ჩაგიყარო [ქღკ, შაჰინა იოსელიანი].

გამოჯავრდები, **ოჲ** მამიკდე, ადღავდე, თოლები წამაძყარო, ავღებები – დატყებ. შინა-შინ მოლოლოლიავებ, ვეტყი: გენაცლო, მო ექა [ქღკ, შაჰინე ასლანი].

აი:

ეს ემის აყბალი ვა ზიარათია, **აჲ** მისი ნამა შანსი აქ, ნამა ქმარი ჩოვარდების [ქღკ, თუბა შაჰმადი].

აჲ შენაც ეხლა ადფორიკდე იმ პურსავითა და შენაც გაღვადლოთო, ის იმას ნიშნავს [ქღკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო ონიკაშვილი)].

ჰაა:

ნამაჲ დედამთილი მყუანდა, **ჰაა**, ნამაჲ დედამთილი მყუანდა [ქღკ, თაჰერა იოსელიანი].

ჰაი // ჰაჲ!:

მოდითა ჰალუა გასწავლოყე, ჰალუა გააკეთეთ და **ჰაი**, შაჰამეთ [ქღკ, ნარგის აბასი].

ჩიტსა ბუდე ძქონდა ხეზე, მეღა **ჰაი** მოღისყე და ოოკივლისყე, რო: ერთ ბარტყი ჩამამივდეო [ქღკ, ესკანდერ (ალექსანდრე) სეფიანი (სეფიაშვილი)].

უნდოდა ეს ქული, **ჰაი**, გარდავდოს, მე უნდა ეს ქული..., ჩემზე ჯგა [ქღკ, აბოლყასემ აჰმადი].

ჰაჲ მიღის-მოღის ნამა, შაჲად ეხლაც ეღა გამოოდეს, ვნახავტყე [ქღკ, ზოჰრა ფანიაშვილი].

ჰეი:

თქისყე, **ჰეი**, ზომე ზომე, უსტამა ზომა და როგო გაზომა [რეზო რაჰიმი (დავითაშვილი)].

ჰა:

ჰა, კაკალი გადააფარიანყე ერთი ექსიდე ყორსა და **ჰეჲ** ჩაყვის და ამაღლისყე ძივი [ქღკ, ასლანი].

პმ:

პმ, ეგრე, ველი მასალან, ემ ერთ ველითლა, მასალან [ქლკ, თაჰერა იოსელიანი].

პომ:

*პომ, კაცო, სად მიხლოო; პომ, პომ, მიხლოო, მო აბ ექა რას ამბოფო [ქლკ, მაჰ-
მადა სეფიანი (სეფიაშვილი)].*

ვაი:

*დათვი შამოიდა? რა შამოიდა ემ ოზოჩივა? იარებიან და გამორბიან, იარებიან
და გამორბიან და დაფთხებიან, ვაი! [ქლკ, მუხტარ ასლანი].*

აჰად:

*ემამ თქო, აჰად ხალოვო, მე ემე მოიყუანეო, ცხორი მოდყუანე, რო დაჰკლათო
[ქლკ, აშრაფა ბარათი].*

აჰ:

*თქო: აჰ, ეს ბიჭია! მე არა გთქი, ქე ქენ ბიჭი ყავლა, შენ რაადანა ჰტყუი [ქლკ,
ფარშადა].*

შორისდებულის ფუნქციით გვხვდება შედარებით მკაფიო ლექსიკური მნიშვნელო-
ბის სიტყვები, რომლებიც სწორედ იმის გამო, რომ სრულმნიშვნელოვანი სიტყვების
გრამატიკალიზაციით არიან მიღებული, რამდენადაც თავისუფალნი არიან წარმოთქმის
ინტონაციური მოღუსის თვალსაზრისით: **ვაგლან!** (დანანება), **ყოჩად!** (შექება):

საგულისხმოა, რომ სწორედ ასეთი ტიპის ქართულენოვანი შორისდებულები ნაკ-
ლებად შემოუნახავს ფერეიდუნს. ჩანს, რომ ლექსიკის ეს ჯგუფი ნაკლებ მდგრად-
ობას იჩენს უცხოენოვან გარემოში იზოლირებულ ენობრივ კოლექტივში (ისევე,
როგორც რიცხვითი სახელები, ზომა-წონის ერთეულები და ზოგი სხვ.). ძირითადად
გვხვდება ნასესხობები:

ბარიქალა (მოწონება / შექება):

*უი, კი გენაცლოო, მითხრა, ბარიქალო, ბარიქალა შენ დედასაო [ქლკ, თაჰერა
იოსელიანი].*

ბაშად (მოწონება / დასტური):

*დედ-მამაც იტყის: რა ვიცი, თუ ყორმა იყაბულა, ბაშადო, თუ ბიჭმა იყაბულა,
ბაშადო.. მაღტა წადღეთ ხატზე, ეგ ერთ რამე გამოიტანოთო. თქო: ბაშად!*

*ანსენიც იტყის, რო მასან თუ იყაბულეს, იტყის რო, ბაშად და, მასალან, მოი-
ლენდა და ბაღვას წაიღებენ და ბაღვას დააგდებენ [ქლკ, მარიამ ქალბანი].*

ბახ (მოწონება):

შენ იკითხიყე, ბახ, ეს ყრეების აყბალი ნამა არი [ქლკ, თუბა შაჰმამადი].

ვაყე (=მართლაც რომ):

*პოსეინამ მიჰხედა არა, ვაყე (=მართლაც რომ) ელა, მართლა უამბოფს [ქლკ,
ყადირე აყლი].*

იმპერატიული შორისდებულები:

გამოიყოფა იმპერატიული შორისდებულების რამდენიმე ქვეჯგუფი:

დაძახება / ჩვენება:

ეო:

ეო, ჩონ ალაო, სავადარი არ იყოლო, პური ვერ შაჭამაო?! [ქღკ, თაპერა იოსელიანი].

დახე:

ეხლა აქა ორი მოლოპარავეე თავისთვი, შაუმოკლავებიდაყე, გაიგე? და ამ შუაზე
დახე: ერთი გერიმ ემაზე გადადებული [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მოძრაობა:

წა! – ხელითაც უნდა აჩვენო, თუ გინდოდეს გააგებინო [აბოლყასემ აპმადი].

სიჩუმის: სსუ

ხმაბაძვითი სიტყვები:

ა) ხმაბაძვითი სიტყვები: წანკიწუნკი, ფნიკ-ფნიკ, ფხ-ფხ, ფხ...

ეს გუდაც ხო ტყავია, რო მაიარა შიგა, ეგე ფხაკუნებდა, ჯმა ჰქონდა, ფხ-ფხ-ფხ-
ფხ, ჯმა ექონია. აღარც აღარ იყო. ემაზე დაარქეს გუდაფხაკუნა [მუხტარ ასლანი
(დარჩიაშვილი)].

ბ) საბრძოლო ყიჟინის ხმა, საქორწინო შეძახილი:

ალბათ თოფრიგა ტყივა ჩადვიანყე. რო შადვიანყე ემ სოფელჩიგა და დაეკვილიანყე:
შაბო-შაბო და აბაბანი დაჰცხიან და თოფეფს დაყარიან [ქღკ, რეჰიმა ონიკაძე].

ერთ ქილილი ლი ლილიეს გაიზიდვენ და ნეფე გავალა და ახანზალი დაყარდების
ექლა! [თაალათე ათაი ასპანანი]; ა შაბო-შაბოდთ და ქილილითა და სტირ-ნალარაით
და წაილიანყე; მოვლენყე: ქილი ლი ლი ლი და შაბო, შაბო, ამალამ ინა მიგოქ [ქღკ,
თაპერა იოსელიანი].

გ) ცხოველთა და ფრინველთა მოხმობის / გარეკვის:

ძროხას ეტყოდეს: *გერ! გერ! [აბოლყასემ აპმადი].

კირ, კირ, კირ, კირ – უძღერებდით, ემამ დადგით და ჩენ მოვწელითყე [ქღკ, ჯა-
მილა ზამანი].

ავკილითყე ვარები და ეგეთები მოდყვანითყე, ვეუბნებოდით ბოლო-ბოლოო, ბო-
ლო-ბოლოო, რო ვეუბნებოდით ბოლო-ბოლოო წაიკიდიანყე [ქღკ, მუხტარ ასლანი
(დარჩიაშვილი)].

საკომსაყე ჩამადკინკილებდეს: ყუყუ, ყუყუ ვარია, დავთოლე ერთი უკლია,
სახლი სავსე ხილია, ხვალ ახალ წელია [ქღკ, აბოლყასემ აპმადი].

ო'ვოპ! – ხარსაც ეტყოდეს დადგეს, წიხლი არ სცეს მოწელიგაზე [აბოლყასემ აპმადი].

ვირი რო დადგეს: *ჩაშა! ჰოშა! (ირანელები იტყვიან!) ვირი წავიღეს – *ჰი!
ჰი! [ქღკ, აბოლყასემ აპმადი].

ქურჩა – ბაღა ყმაწილეფს ეტყიან, ძაღლს, ჯბოს [ქღკ, ფერეიდნული ლექსიკონი].

მამალმა ფაიშაძზე დადგა, ყიყლიყუყუმზე: ყუუო! – და დაივივლა [ქღკ, სედიყე
ასლანი (ყალანი)].

მამალი კითხულოფს: ყუყული-ყუყული! [ქღკ, სედიყე ასლანი (ყალანი)].

ქათამსა კერცხი ექონდა. კერცხი ექონდა და დადგა ყაყანზე: ყა-ყა-ყა-ყა! [ქღკ,
სედიყე ასლანი (ყალანი)].

მამალმა ფაიშამზე დადგა, ყიყლიყუყუმზე: **ყუუო!** – და დაიყვილა [ქდკ, სედიყე ასლანი (ყალანი)].

ღ) ბავშვის ხმაბაძვით მიღებული:

შუმულ-კუმულ, **უჭუ-უჭუ**, დანი, მასან, შენ ყმაწილები ტირიან, მოდი ანქო [ქდკ, ასლანი (ყალანი)].

ბავშვების მოფერების გამომსატველი:

ალალალა ლალალალა, დაიძინე ლა **ლალალალა**, მამულ-წყალემ **ლალალალა** უღელ-ვარებ **ლალალალა**, წყვილი ფურებ **ლალათლალა**. ბე ხოდა მე არ მიკითხავ, მეც გამიგია, ვარ-გუთანემ **ლალალალა**, **ალალალა ლალალალა**.

ბავშვზე ვიტყით; **რავო, რავო!** – პატარა ბავშვს ეტყვიან! [არია ხოსროვი].

ჰა, მაა, ლალა-ლალა, უუულა, ვთქითყე **ლალა-ლალა-ლალა-ლალა გოლე ლალა**, **გოლე ზილა**, ავად გავდეს ზამბებირა [ქდკ, ნარგის აბასი].

ფიცის, დალოცვის, ალერსის, მოკითხვის, წყევლის, მადლობის აღმნიშვნელი სიტყვები:

მოკითხვის აღმნიშვნელი:

ამ ჯგუფში ძირითადად პერფორმატივები ერთიანდება:

გამარჯობა მითხრა, ვთქი: **გავიმარჯვოს** [ქდკ, რეზა ხუციშვილი].

სალამ ალექი ქუმ, სალამ ალექი ქუმ... [ქდკ, საფეია ასლანი].

დამშვიდობების გამომსატველი: **ღმერთს ებარებოდე!**

დალოცვის აღმნიშვნელი: შენმა მოკვდომამა, შენმა მზემ, სიყმეს მიზევ, გენაც-ლო, გეტრილო...

განათლებული, გახარებული იყნე, გახარებული გნახოტყე, ამინ! [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

შენ **გენაცვალო**, **გენანე**, შენ რო თავი მე მამე [ქდკ, უშანგი ხუციშვილი].

გენაცვალო შავ თოლებჩიო [ქდკ, სედიყა ხუციშვილი].

მოიღესა თქო: დადადადაო. თქო: **ჯაანე** დადაო. – მა რა უნდა დავარქოთ ემ ჩონ ყორსაო [ქდკ, მეჭირი ასლანი].

ხოშე, ხუბი, სალამათი. ხო, **ბეფარმაით**. რას იქ ჩემ ალა საიდ? [ქდკ, ნარგის აბასი].

აი, **ვენაცლო** ჩემ კაცსა, ვენაცლო. ბეფარმად ღია რო! [ქდკ, ნარგის აბასი].

ჰა, ალა საიდ, ყაველ არზი ჩონ და თარიფი გოქ ჯერა, **გახარებამ**, შამოდი [ქდკ, ნარგის აბასი].

გენაცვალო შავ თოლებჩიო [ქდკ, სედიყა ხუციშვილი].

ვიყიდეთ, დეესჰე და **ღმერთისმა**, ერთ რამეც ჩონ ჯიბესაყე დავადევით [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ლოცვის ფორმულებად გვხვდება როგორც ქართული ფორმები, ისე ნასესხები:

დალოცველა არი, რო **გადმწონდე** ელა, **გადხაროო**, ღმერთმა გაგახაროს ინშალა, ფარავდეგარმა მუშკილი გაგი სუნას, ხოდა მუშკილი გაგისუნას [ქდკ, თაჰკერა იოსელიანი].

უნდა აღნიშნოს, რომ ფერეიდნულში **გამწონება** დალოცვის მიზნით ითქმის ბიჭ-ზე, გახარება კი გოგოზე.

სპარსულიდან ნასესხები:

ხო, **ინშალა** (= **ღმერთმა ქნას**), რო არ გაჩდენლა [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ჩონ ავბალმაო გომოვოლიძაო და **ალჰამდოლელაო** (= **მაღლობა ღმერთს**), შენ შანსმა თქოვო, რო ეხლა წახოლდა.

ბე ომიდე ხოდა (= **ღმერთის იმედით**) წავალთ თეჰრანს.

დილობის ბე ომიდე ხოდა, **ბე ომიდე ხოდა**, სადილობა შაქენების.

ახანზალიანთას, ერთ ოთაღჩი დააწყობენ დახატულად, **ბე ომიდე ხოდა**, თა, დახატულად, იტყიან: აი მოლითო, აი მოლითო, ეს ახანზალი ს ჯაჰაზიაო [ქდკ ფერეიდნული ლექსიკონი].

ფერეიდნულში აქტიურად გამოიყენება არაბული შორისდებული **ამან** (= **ღმერთო ჩემო, უფლის გამო**):

ემან რა ემესლა ჰქონდა, ძივი ჩაავდის, ამან, რა მორადიც კი ჰქონდა. ესეები ჩაფყართყე და წავილით ქე გომზე ღარის ქეშ [ქდკ, თუბა შაჰმამადი].

ეხლა კი იმასლა დადვიანყე, თა გავძეხ. ის თავის მადა იყვისყე. **ამან**, ჩონ არ ვაკეთებდიტყე მადასა, ჩონ ვიყიდიტყე [ქდკ, ზეინაბხათუნ ლაჩინანი].

ამან ასლან არ ვაკირვა, ჰიჩ არ ვაკირვა, არ ვაკირვა და თავი დადხარა და წაიდა [ქდკ, მაჰმად სეფიანი (სეფიაშვილი)].

ერთ რამეც მახსომს, რო ამან ესეც მე მგონია, საინტერესო იქნების [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

ემ ხეზე დასხდეს და თქეს, რო: ე, ამანო, ეს ორნი ხო ჩონ ვიციოთ, რო მიდიან ხათზეგა, რო ჰური რამე გამადტანონ თავინთ ემაწილებსათი [ქდკ, ყადირე აყლი].

ფიცო – გორჯესტანჩი გუნდა მოდეთ, **ვალლა** (= **ვფიცავ ღმერთს**) ავე წუგუყუანონ [ქდკ, ჰაჯი ნაზემა ხოსრაშვილი].

წყევლა / ლანძღვა: შე სანდოხთულავ, შენ ოთხი კი დავლავე, შენ სამამკოლას თხასთანო, მუცლის ტკივილიმც ავივარდეს!...

ქალებს ეტყიან: **არ გაიხაროთ!**

ე, დაიკარვე!

პირიტყეს ეტყიანყე: საწირავს, **შე საწირავოო**, შე ავადანოო [ქდკ, რეზა ხუციშვილი].

გამოჯავრდები, ოდ მამიკდე, **ადლავდე**, თოლები წამადჰყარო [ქდკ, შაჰინა მუღლიანი].

მაიმამა – გაგინებაში იტყიან [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

თქო, რო: **ჯანდაბას** რო მე მოვკეო, რასულას სუფა ხო დავამწყეთო. **ჯანდაბას** რო მე მოვკელებიო, რასულას სუფა ხო დავამწყევითო. ეხლა **ჯანდაბაო**, რო ირანი აირივა და დაირივა, მაინც ეხლა ჩონთი ხო ყრალი არ შაიქნა, ჩონთი კარგად წაიდა [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

რიტუალური: ანინი, მანინი, ლოლი, ლოლი...

ანინი, მანინი, ღმერთმა მოქცეს თალახი, აღარ გუნდა კორახი [ქდკ, თუბა შაჰ-მამადი].

ლოლი, ლოლიო, ფუძანგელიო, ემან დაკლაო, ემამ ჩადგაო, ემამ შეჭამაო, ემამ რა ქნაო და ემამ რა ქნაო?! [ქდკ, მუხტარ ასლანი, დარჩიაშვილი].

ჩართულები:

მე მოფსერი ვიყავ, სუსაყე დიდი ვიყავ, მოფსერი ქელასჩი რო ვიკითხე, უნდა ვიკითხოლა, ექსჩი, ბესთელა (= როგორც იტყვიან), სუსაყე ნამად შავირდი ვიყავ, ნამად მოჰასელი ვიყავ [ქდკ, რეზა მიქელაძე].

განხილული მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, რომ ფერეიდნულში შორისდებულის ფუნქციით გამოყენებული დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვები ცოტაა ქართული ლექსიკიდან (ძირითადად გვხვდება დალოცვის და წყევლის ფორმულებში). ფერეიდნულში არ გვხვდება ქართული ლექსიკისთვის დამახასიათებელი შორისდებულები: **ვაშა, ბიჭოს, ჭიტა, ჰერი, არიქა...** რაც შეეხება ხმოვნით, ხმოვნითა და თანხმოვნების კომბინაციით, თანხმოვნებით მიღებულ შორისდებულებს, ასეთები ტიპის მაგალითები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნივერსალურია და ფერეიდნულშიც უცვლელი რჩება.

ფილერები

საინტერესოა ფილერების საკითხიც ფერეიდნულში. ფილერების კვლევა საკმაოდ მრავლისმომცველი სამუშაოა, რომელიც აუცილებლად უნდა დაეყრდნოს აბსოლუტური სიზუსტით ჩაწერილ ტექსტებს, რომელშიც არ იქნება გამოტოვებული არც ერთი პასაჟი მთქმელის მეტყველებისა.

ფერეიდნულში ფილერის გამოყენების ძირითადი მიზეზი ფსიქოლინგვისტური ფაქტორია, ორენოვნების დროს, როცა მოსაუბრის ენობრივი კომპეტენცია არცთუ ისე დიდია, ის ცდილობს შეეყონება, რომელიც მომდევნო სიტყვის გახსენების გამო შეიქმნა, ფილერით ამოავსოს. ეძებს სიტყვას და ამასობაში შეიძლება გაიმეოროს წინა სიტყვა, გაწელოს დრო ხმოვნებით ან ჩასვას გარკვეული ნაწილაკები უხერხულობის თავიდან ასაცილებლად.

ამ ეტაპზე ამის ნიმუშად ჩვენ წარმოვადგენთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

მე მინდარო რო ე, მარტყოფჩი გაისხნას სკოლაგო. ჰო, ძალიან ეხლა და, ნება მისცაყე და ეეე, ბძანება რო აუცილებელადა ერთი სკოლა გაკეთდეს მარტყოფში [ქდკ, იოსებ ხუციშვილი].

მარტყოფჩი, ჩამოსულა თავის ძმასთან, ეე, ექს თეს ექ იქნებისყე თავის ძმასთანა [ქდკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი [დავითაშვილი]].

აქ, სავარაუდოდ, მთქმელი ცდილობს ჩვენთვის გასაგები ფორმა მოძებნოს. ისევე, როგორც ყველა ფერეიდნელის, მის ლექსიკაშიც უპირველესად გამოიყენება სპარსული რიცხვითი სახელები, ამიტომ ეძებს ქართულ ეკვივალენტს.

–ასკილის წყაროს დაუძახით. იქა ჩამადვადა თავის ლაშქარმა და **ხოზ**, ე, ქართველებიც ხო იყნეს ციხეში [ქდკ, იოსებ ხუციშვილი].

ქართველებია და ესები, **ხოზ**, გარეთ გამოსულან და სხო სოფელჩი დოოსწავლია-ყე მოლოზა და იქა ქართველეს ასწავლიან [ქდკ, მაჰმუდ ადა].

ბადტა იყვისყე. იგეთი არ იყო, რო სუ რამ იცოდეს და **ხოზ**, წყნარ-წყნარად ჩემ დედამ ასწავლა და ჩემ დიდიდამ ასწავლა და [ქდკ, მაჰმუდ ადა].

აქ **ხოზ** ნაწილაკი გვევლინება ფილერად და, სავარაუდოდ, ავსებს გაწყვეტილი აზრის გამო გაჩენილ პაუზას.

ჩინის ხალხსა არ აქვს, არ აქვ, ნუ მისცემთ ქენ **ესა**, მიწას, მიწას რათი აძლევ-თყე? [ქდკ, აზიზოლა სეფიანი (სეფიაშვილი)].

თოფი გადსროლა და ემ ვმაზევა ამ კაცების **ემეზე**, ჰაძკედზე და ემ დათმა მიბრუნ-დალა და მეძლა ემ ქუასაყე ჩამუელ. ახლო იყო – შამჭამოს [ქდკ, მთქმელი უცნობია].

დედაკაციც ავა გომზე და **ემასა**, **ემ ემეს**, მივაწდით, ბასტაკანს მივაწდით და ესეც სუფრას გაშლის ემ გომზე და ყურუთს დააგებს [ქდკ, ჰაიათ იოსელიანი].

ბოლო ორ მაგალითში ნაცვალსახელები გვევლინებიან ფილერის ფუნქციით.

შეიძლება კავშირიც შეგვხვდეს ფილერად:

აღჰამდორელა ნამაღ დახატულად ვართ და რაქტო-ამადი გოქ და... [ქდკ, თუბა შაჰამადი].

ეგრე ავიხუთყე, მე არ აიხუელა, იმ ჩემეე წინ, ასლან არ გაივით, ჩონ ვმა არ გაივიანყელა და [ქდკ, სელიყე ასლანი].

აი, ჩონ, გურჯიებს რო გოძახოდეს, ჩონ ვიყათი ძელებური, რავი **ჩიხ**²²⁷, ის ტან-საცმელი [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

როგორც აღვნიშნეთ, ფილერების კვლევა ფერეიდნელთა მეტყველებაში ცალკე კვლევის თემაა და აქ მხოლოდ ამ მცირე ინფორმაციით შემოვიფარგლებით.

შორისდებულების ცხრილი:

შორისდებულები	ფუნქცია
აუ // აუ	აკრძალვა, გაკვირება, მოწონება
აა // ააა	დადასტურება, გაგება // მიხვედრა
აბა-ბა-ბაბ	გაკვირება
აბაბახი	საბრძოლო ყიჟინა
აე	გაკვირება
ავადანი	პირუტყვის გასაწყრომი შეძახილი
აიჰ // აიჰ	გაჯავრება
აღლაგდე	გაბრაზება, წყევლა
აი შენ	გაკვირება
აღლალა // ლაღლალა	ბავშვის მოსაფერებელი წამლერება

227. მთქმელი ვერ იხსენებს ახლადშეთვისებულ სიტყვას ჩიხტიკაი. იწყებს, მაგრამ ვეღარ ასრულებს.

აღკამდოელა // აღკამდოლეულა // აღკამდო- ლეულა // აღკამდორელა // აღკამდორელლა // აღკამდორელა	დალოცვა
ამან	ლოცვა, დალოცვა
ამინ	ლოცვა, დალოცვა
ანინი, მანინი	რიტუალური
არ გაინარო	წყევლა
აუ	გაკვირება
აფსუს	დანანება
ახ // აახ // ააახ	მწუხარება; დანანება, შებრალება.
აჰ	ჩვენება
აჰა // აჰად	ჩვენება
ბარიქალა	მოწონება (ნასესხები)
ბაშად	მოწონება, დასტური (ნასესხები)
ბაჰ // ბახ	მოწონება
ბესთელა	როგორც იტყვიან, ასე ვთქვათ (ნასესხები)
ბახ-ბახი	შეძახილი, რომლითაც არიობენ ბავშვებს ჭამის დროს
ბეფარმა, ბეფარმაით // ბეფარმაით	თავაზიანი ფორმა შეთავაზება, მობოდიშება (ნასესხები)
ბოლო-ბოლო	ხარების წაკიდების შეძახილი
ბრრ-ბრრ	ცხვრების შერეკვის დროს
გაბლენებულო	საწყევარი სიტყვა
გამარჯობა	მისალმების ფორმა (ინოვაცია)
გაშავებულო	საწყევარი სიტყვა
გენანე	საალერსო-სამადლობელო სიტყვა
გახარებამ	საალერსო-სამადლობელო სიტყვა
გენაცვალე // გენაცვლო // გენაცლო // გენაცლე	საალერსო-სამადლობელო სიტყვა
გეტრიალო,	საალერსო-სამადლობელო სიტყვა
გერ-გერ	ხარების შესაჩერებელი შეძახილი
გლეშ გლეშ	ძროხის მოსახმობი ხმა
გულეა-გულეა // გულე-გულე	ძროხის მოსახმობი ხმა
ღაიკარგე	გაბრაზება
ღაივრიტნეთ	გაბრაზება
ე // ეე // ეეე	პაუზის შემავსებელი, ფილერი
ეე	პაუზის შემავსებელი, ფილერი
ეო	ჩვენება
ეუ	გაკვირება, შეცხადება
ეხ	დანანება
ღახე	ჩვენება
გა	გაკვირება
გავლახ	დანანება
გაი // ეე, გაი // ვაი-ვაე	მწუხარება
ვალლა (კვიცავ ღმერთს) // ვალლავალა	ფიცის გამომხატველი სიტყვა (ნასესხები)

ვაყე (მართლაც რომ)	დასტური (ნასესხები)
ვაპ // ვახ // ვაჰ	მოწონება
ვაპვა- ვაპვა	მწუნება
ვუი // ვუჲ	გაკვირება; შეწუხება, შებრალება
ვუშ	დაწუნება
თოლები წამაძკყარო	გაბრაზება, წყევლა
ინშალა // იშალა (ღმერთმა ქნას)	ლოცვის სიტყვა (ნასესხები)
იფ	ზიზღი
იპ	დაწუნება
კინ-კინ-კინ	ფურის დაძახება
ლოლი-ლოლი	გათვლა
მადლობით	სამადლობლო სიტყვა
მაიმამა	საგინებელი სიტყვა
მამიკდე	გაბრაზება
მამუნ	საალერსო-სამადლობლო სიტყვა (ნასესხები)
მამ	დასტური, პირობა
მუცლის ტკივილიმც ავივარდეს	წყევლა
ნწუ // წუ // წგ	უარყოფა
ო'ვოპ	ხარების შესაჩერებელი შეძახილი
ოი	შეცოლება, შებრალება
ოჲ	წუხილი, გაბრაზება
ომიდენოდა (ღმერთის იმედით)	სურვილი
ოო // ოოო	გაკვირება, აღმოჩენა, ასსნა (ჩვენება), პაუზის შემავსებელი, ფილერი
ოუ-ოუ-ოუ	კამჩის შერეკვის დროს (დაშქესანა)
ოფ // უფ	მოწონება
ოპ // აჰპ // ოხ	გაკვირება, აღტაცება
ოპო // ოპოი	გაჯავრება
ოპოპო // ოპ // ოპ	გაჯავრება
ოის	შეცოლება, შებრალება
ჟუჟუ-ჟუჟუ	ქათმის მოხმობის ხმა
სალამ // სალამ ალელი ქუმ	მისალმების სიტყვა
საწირავი	პირუტყვის გასაწყრომი შეძახილი
სიყმეს მიზემ	ფიცის, ალერსის ფორმულა
სობე ხეირ	მისალმება-დამშვიდობების ფორმულა (ნასესხები)
სსუ	ნების გამოხატვა, გაჩუმება.
სთ	მოფერების გამომხატველი შორისდებულის
უფ-უფ-უფ // უფ-უფ	ნატვრა; ზიზღი
ფუპ	ზიზღი
უ	გაკვირების, მოწოდება, გაბრაზება
უი // უიპ, უიპ, უიპ	გაჯავრება, შეცხადება
უუულა	ბავშვის ალერსის, მოფერების
უფ	მოწონება, გაბრაზება

უპ	გაკვირება
უპუ, უპუ	ბავშვის ტირილის ხმაბაძვა
ფიშტა	კაჭის გასაგდება შეძახილი
ფიწფიწ-ფიწფიწ	ხმაბაძვითი სიტყვა
ფხ-ფხ-ფხ-ფხ	ხმაბაძვითი სიტყვა
ფხიკ-ფხიკ	ხმაბაძვითი სიტყვა
ქილილი // ქილი ლი ლი	საქორწინო შეძახილი
ქიშა-ქიშა, უპატრონო // ქიშ-ქიშა	ფრინველზე გასაწყრომი შეძახილი
ქუჩუა	პატარების მოსაფერებელი
ღმერთისმა (ღვთის წინაშე)	ფიცის ფორმულა
ღმერთმა ხელი მოგიმართოს	გამოთხოვების ფორმულა
ღმერთს ებარებოდე	გამოთხოვების ფორმულა
ყა-ყა-ყა	ხმაბაძვითი სიტყვა // კრუხის ხმა
ყიყიყიყიყი	ხმაბაძვითი სიტყვა // მამლის ხმა
ყოჩად	მოწონების (ინოვაცია უნდა იყოს)
ყუუუ	ხმაბაძვითი სიტყვა, მამლის ხმა
ყუყული-ყუყული	ხმაბაძვითი სიტყვა, მამლის ხმა
შაბო // შაბო-შაბო	საბრძოლო და საქორწინო შეძახილი (ნასესხები)
შაგრჩეს ხელი	დალოცვა
შე სანდობთუღაც	წყევლა, აღერსით წყევლა (ნასესხები)
შემოგველე	აღერსის ფორმულა
შენ ოთხი კი დავლავე	წყევლა
შენ სამამკოლას თხასთანო	წყევლა
შენ ქოლვა ძიმეთ	დალოცვა
შენ ხელების ყურბანი	დალოცვა
შენმა მოკვლომამა	დალოცვა
შენმა მზემ	დალოცვა
ჩამა	ვირის გასაჩერებელი შეძახილი (ნასესხები)
წა	ნების გამოხატვა
ჯანე	მოფერების გამომხატველი (ნასესხები)
ჯანდაბა // ჯანდაბას	შეგუების
ჰა //ჰაა	ჩვენება, მოწონება
ჰაი // ჰაი	მოწოდება, გაძლიერებითი, მუქარა,
ჰაყა	ჩვენება
ჰე-ჰე-ჰე	მოწონება
ჰეი // ჰეი	გაძლიერებითი შორისდებული მიმართვის დროს
ჰი-ჰი	გასაწყრომი შეძახილი ვირისადმი
ჰმ	ეჭვი, დაფიქრება
ჰო	ნიშნის მოგება; ჩვენება
ჰოი-ჰოი-ჰოი	გაბრაზება; გაძლიერებითი შორისდებული მიმართვის დროს
ჰოშა	ვირის გასაჩერებელი შეძახილი (ნასესხები)

თავი XII

ფერეიდნულის ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი

დიალექტის სინტაქსური თავისებურებებიდან აღინდელ კვლევებში ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება, მოთხრობითბრუნვიანი სუბიექტი გარდაუვალ ზმნასთან, კრებითი სახელის მიერ შემასმენლის მრავლობითში შეთანხმება, კითხვითი ნაწილაკის გამოყენება, ორმაგი უარყოფა, ზოგიერთი კალკი... [ჩიქობავა 1927: 201-205; ჩხუბიანიშვილი და სხვ., 1981: 84, 88, 151, 181 და სხვ.; მარი 1936: 58-61 [Uturgaidze 2003].

1. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების თავისებურება დიალექტური მრავალფეროვნების ერთ-ერთი წყაროა ქართულში. თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის საზღვრულის წინ წარმოდგენის სალიტერატურო ქართული სთვის განსაზღვრული წესი (ბრუნვის ნიშნის ჩამოცილება, სახელობითის ფორმის გამეორება სამ ბრუნვაში და ფუძისა – ორ ბრუნვაში: **დიდი** კაცი, **დიდ-მა** კაცმა, **დიდ** კაცს, **დიდი** კაცის, **დიდი** კაცით, **დიდ** კაცად, **დიდო** კაცო) დიალექტებში ირღვევა და თითოეული მათგანი სხვადასხვა სურათს წარმოგვიდგენს წესიდან ასეთი „გადახვევის“ შედეგად. ამ მრავალფეროვნების მიზეზი ხდება ბრუნვის ნიშნისა და ბრუნვისნიშნისეული ელემენტების დაკარგვის ტენდენცია, რაც ასახულია სალიტერატურო ქართულში მოქმედ წესზე და რომელიც შეუზღუდავად და საკუთარი ინტერპრეტაციით გრძელდება სხვადასხვა დიალექტში.

ეს ტენდენცია მოქმედია ფერეიდნულშიც, თუმცა იქ პროცესი არ არის ბოლომდე უნიფიცირებული და შეიძლება პარადიგმის რამდენიმე ვარიანტი შეგვხვდეს:

1. ტენდენცია მაქსიმალის ზეზულია და ყველა ბრუნვაში ფუძის სახით არის წარმოდგენილი მსაზღვრელი:

ბრუნვა	სალიტერატურო ქართული	ფერეიდნული
სახელობითი	დიდ-ი კაცი	დიდ კაცი
მოთხრობითი	დიდ-მა კაცმა	დიდ კაცმა

მიცემითი	დიდ კაცს	დიდ კაცს
ნათესაობითი	დიდ-ი(ის) კაცის	დიდ კაცის
მოქმედებითი	დიდ-ი(ით) კაცით	დიდ კაცით
ვითარებითი	დიდ კაცად	დიდ კაცად
წოდებითი	დიდ-ო კაცო	დიდ კაცო

2. ბრუნვათა უნიფიცირების ტენდენცია პირიქით მიმართულებით ხდება – მიცემითისა და ვითარებითის ფორმებიც დაირთავენ -ი ხმოვანს:

ბრუნვა	სალიტერატურო ქართული	ფერეიდნული
სახელობითი	დიდ-ი კაცი	დიდი კაცი
მოთხრობითი	დიდ-მა კაცმა	დიდი კაცმა
მიცემითი	დიდ კაცს	დიდი კაცს
ნათესაობითი	დიდ-ი კაცის	დიდი კაცის
მოქმედებითი	დიდ-ი კაცით	დიდი კაცით
ვითარებითი	დიდ კაცად	დიდი კაცად
წოდებითი	დიდ-ო კაცო	დიდ (ი) კაცო

მსგავსი მოვლენა არ ახასიათებს ქართული ენის დიალექტებს, თუმცა, როგორც არნ. ჩიქობავამ აღნიშნა, ფერეიდნული ამ მხრივ უახლოვდება მეგრულს, რომელშიც საზღვრულთან ერთად წარმოდგენილი მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში სახელობით ბრუნვაში დგას. მკვლევარი შენიშნავს აგრეთვე, რომ სალიტერატურო ენის გავლენისგან გათავისუფლებულმა ფერეიდნულმა მიაღწია საზღვრულის სრულ „ემანსიპაციას“ [ჩიქობავა, 1927: 2017]. საგულისხმოა, რომ ძირითადად ასეთი მოვლენა ერთი და იმავე მთქმელის მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს როგორც პირველი ტიპის (თქვენ საქართველოში), ისე მეორე ტიპის (თქვენი საქართველოში) შესიტყვებაც.

მაგალითები:

სრულად შეკვეცილი ფორმა²²⁸ + საზღვრული:

ლამაზ დღეები: *მოდიოთ, მოდიოთ, ბიჭებო, მოდიოთ, ლამაზ , ლამაზ დღეები მოდის.*

ლამაზ გოგო: *ლამაზ გოგო მე მიჭვრიტე, შენ რო ჩემ გული დაღშრიტე.*

დიდ ბიჭი : *ყორი ნილუქარი, დიდ ბიჭი რამინა, მევირე ალია, მესამე არაშა.*

დიდ ყორი: *ანსი მარიაძასთან ოლტაშია, მარიაძა თავისთან დარსა კითხობს ელა, ანს ჩემ დიდ ყორი, რო ნეჭზაჩი არი.*

დიდ ქოთან: *ერთ დიდ ქოთანია ერბო, ჰარ ზადი მოლტანეს ემათ, ჰაზირი უყვეს.*

დიდ ყორმამ: *სუნმამ ყათარი შაიქნენ, სანი ნახენ ბაად დიდ ყორმამ მოდდა ვაზი-*

228. იგულისხმება, რომ ბრუნვის ნიშანი მთლიანად არის დაკარგული.

რის ბიჭი ენთეხაბი ქნა, ამ შუალათ ყორმამაც ერთი თიმსარის ყორი ენთეხაბი ქნა, ბადტა ყორმამ ემ თავსეყ დაიჭირა და წადლა ნახა ანს ბიჭი, ქე ემეს უნახავ, არ არი.

გძელ წერები: კარგად რო დადცხების ზე, სიცხეჩი ის **გძელ წერები** უნდა დლო-ჭირო.

ქენ ქართველების: ეხლა ის ცხრა თთის ბავში **ქენ ქართველების** ორის წლის ბავშვის ტოლ იყო.

არასრულად შეკვეცილი²²⁹ ფორმა + საზღვრული:

კარგი საუზმოს: ფული რო აიკრეფის, საუზმოს შაიტანენ, რო პური იყოს; ზოგი **კარგი საუზმოს** გააკეთებს, – ღამით ელა ცხორის ნახარშია!

კარგი რამეს: სიტყვას მე ჩემ გულით რამეს გეტყვი, რო **კარგი რამეს** გებნები, მაგრამ შენ ყრალათ გაიგონეფ იმას, ყრალად გაიგებ.

დიდი ქალსა: ერთ დღესა ვაზირმა ემ ყეინის ქალებსა თითო-თითოს ჰკითხაყე, იმ **დიდი ქალსა** უთხრა, რო: ასტარი პირს შაინახავსო თუ პირი ასტარსაო?

თქენი ჰამყათარებმა: არამც **ქენი** // **თქენი ჰამყათარებმა** გოლოგოკიდნენ.

ქენი ბიბისთან: იმ კარისკაცებმა უთხრა, რო ორი ბიჭიაო² ამბობენო, რო **ქენი ბიბისთანაო** საქმე გოქო.

ხუთი დღეზე: ეს ოცი, ორმოცი სახლი, ორი, **ხუთი დღეზე** წამაადრნიანყე და იმ დროს, ეხლა მოდღიან, აწივიანყე.

2. მოთხრობითბრუნვიანი ქვემდებარე გარდაუვალ ზმნასთან

ფერეიდნულის ეს თავისებურებაც პირველივე კვლევებშია შენიშნული. არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს, რომ მოვლენა განზოგადებულია დიალექტში იმის გამო, რომ ის არ განიცდის სალიტერატურო ენის ზეგავლენას. მკვლევარი ხაზს უსვამს ფერეიდნულის განსხვავებას სხვა აღმოსავლურ დიალექტებთან, რომლებში ასევე არ არის იშვიათი საშუალი გვარის ზმნათა ერგატივის გამოყენება, მაგრამ არ ახასიათებთ ვნებითი გვარის ზმნის სუბიექტად ერგატივში დასმული სახელი. ფერეიდნული ამ მხრივ გამონაკლისად მიაჩნია [ჩიქობავა 2010 (1927): 264].

ერგატივის გაფართოებაზე გარდაუვალ ზმნებთან საგანგებოდ მსჯელობდა დ. ჩხუბიანიშვილი ერთ-ერთ მოხსენებაში. მკვლევარი აღნიშნავდა, რომ მოვლენა განზოგადებულია და ჩვეულებრივად გვხვდება მარტივ წინადადებებშიც, რაც გამორიცხავს ვარაუდს, რომ ერგატიული კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნებთან შესაძლოა შერწყმული წინადადების გარდამავალ ზმნათა ანალოგიით იყოს გაჩენილი [ჩხუბიანიშვილი 2012 (1997): 181].

229. იგულისხმება, რომ ბრუნვის ნიშანი ნაწილობრივად მოკვეცილი და ბრუნვისნიშნისეული –ი დარჩენილია.

ემამ მოვიდა: *ემამ მოვიდა დაშქესანაში.*

ჯარმამ მოიდა: *ბოინელებმამ ველარ ლოგომტრივეს და ჯარმამ მოიდა ერთ ედღა სახლებში მაიარა და რაც დაშქესნელი კაცი იყო, სუ ლაიჭირენ, წაიყუანენ, ჩასვენ ციხეში, ჩაყარენ ზენდანში, მერე ჩაყარენ ზენდანში და ემ შულღამ.*

მამამ მოიდა: *და ერთ დღესლა მოდდა ის თავის მამალა აწივაყე, მამა აწივა და იმ მამამ რო მოიდა, თქო, რო: ეს ეგეთ სახლი და ეს ეგეთ ზენდეგანი მისიაო.*

ბიჭმამ შამოიდა, დაჯღა: *ერთველ ბიჭმამ შამოიდა, სალაში ქნა, დაჯღა, თქო: აჰ, ეს ბიჭია.*

ძმამაც შავარდა: *იმ ძმამაც შავარდა, შავარდა და რო დოოქნივეს, ემას შეეშინდა და დაჯღა, დაჯღა და დაიყურა.*

ძმამაც შავარდა: *ემამაც ადგა და წავიდა თაჯერის სარვანტზე, ახირ არბაბი ყოფილიყო, ჰაყი ჰქონდა ემის კისერზე.*

მოუგანამ გახდა, შაიქნა: *მოუგანამ მაჯბური შაიქნა, იძულებული გახდა სკოლაში აღარ წაიდეს, აღარ გააგრძელოს სწავლა.*

შვილებმა გაჟღეს: *იმისყე იმის შვილებმა გაჟღეს სუნივ ხანები.*

ბიჭმა დემეუბნა: *ჩემ ბიძას ბიჭმა დემეუბნა.*

ამხანაგებმაც დაიდრეს: *იმის უკან ჩემი ამხანაგებმაც არ დაიდრეს.*

წიშამ აიყარა: *იქამდი რო წიშამ აიყარა.*

ქაჩალმა გამაიპარა: *და ერთი ქაჩალმა გამაიპარა სხო ვ ზითა და მოიდა, შემეყერივა მაყრის კაცეფჩი.*

3. ჰიპოტაქსის ზოგი თავისებურებისათვის

3.1. მწკრივთა თანმიმდევრობა დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადებაში

აღნიშნულია, რომ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი და დამოკიდებული წინადადების შემასმენლები „შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ერთმანეთს შეეფარდებიან ერთი დროის ფარგლებში“, შესაბამისად, როცა მთავარი წინადადების შემასმენელი მომავალი დროისაა, დაქვემდებარებული წინადადების შემასმენელიც მომავალი დროის ფორმითაა წარმოდგენილი [გეგუჩაძე 2005: 29-31].

ამ წესის შესაბამისად სალიტერატურო ქართულისთვის ჰიპოტაქსის დროს ბუნებრივია დროთა ასეთი შეფარდება: როცა დამირეკავ, მე მოვალ; როცა მოგშივდებათ, თქვენ თქვით; როცა მოგინდებათ (გენდომებათ), წავიდეთ...

ფერეიდნულში დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში დარღვეულია მთავარ და დამოკიდებულ წინადადებაში ზმნების ამგვარი დროითი მიმართება: აქ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი აწმყო ან წარსულ დროშია, მთავარი წი-

ნადადაღებისა კი – მომავალში:

სალიტერატურა ქართული.	ფერეიდნული.
როცა დარეკავ, მე მოვალ.	როცა რო დარეკეთ, მე მოვალ ²³⁰ .
როცა მოგშვივლებათ, თქვენ თქვით.	როცა რო გშიათ, ქენ თქვით.
როცა თქვენ მოგინდებათ, წავიდეთ.	როცა რო ქენ გინდა, წავიდეთ.
როცა იტყვით, წავიდეთ.	როცა რო ქენ თქვით, წავიდეთ.
როცა ფული მოქუჩდება, ფულს აიღებენ შეკრავენ ბოხაში.	ფული როცა მოქუჩდა, ფულს აიღებენ შაკრავენ ბოხაში.
სადაც ვიქნები, მოდი ჩემთანაო.	სადაცლა რო ვარ, მოდი ჩემთანაო.

რო (<რომ) კავშირით დამოკიდებული წინადაღების საკავშირებელი სიტყვების გართულება საერთოდ დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტებისთვის.

სალიტერატურა ქართულს ეს მოვლენა არ ახასიათებს:

როცა რო, როგორც რო, სადაც რო, ვინც რო... კავშირების ასეთი „ღუბლირება“ ფერეიდნულს მჭიდროდ აკავშირებს მშობლიური ენის ქვესისტემებთან და მიუთითებს მისი პოტენციური კანონზომიერი განვითარების ცოცხალ პროცესზე მიუხედავად იზოლაციური გარემოსი²³¹.

3.2. განსაზღვრებით დამოკიდებული წინადაღების ერთი თავისებურება ფერეიდნულში

ზოგჯერ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადაღებებში, რომლებშიც სალიტერატურა ქართულში ან სხვა ქართულ დიალექტებში დაქვემდებარებულ წინადაღებში მოსალოდნელია მიმართებითი ნაცვალსახელების: **რომელიც, ვინც, რაც, სადაც...** გაამოყენება, ფერეიდნულში გვაქვს **რო (< რომ)** კავშირიანი ქვეწყობა:

უამბო იმ ბიჭმა, რო ქმარი იყო.

/უამბო იმ ბიჭმა, რომელიც (ვინც) ქმარი იყო/.

ჩონ მოიყუანეთ მეთოფეები იქამდი, რო ძერეიდანის ჰადი იყო.

/ჩვენ მოვიყვანეთ მეთოფეები იქამდე, სადაც ფერეიდანის საზღვარი იყო/.

დაიჭირა რაქთენი ქენიზი და თავის ბიჭიც დღებედღე იზღებოდა და იგვანდებოდა ერთი შაჰზადას, რო ყეინის შვილი იყოს.

/... შაჰზადას, რაც ყეინის შვილს ნიშნავს/.

თავქვემ უთხრა, რო მეო ნამარდი არ მინახაო, რო არკაცი იყოს.

230. ეს მოვლენა ნაკლებად არის ტექსტურად დოკუმენტირებული და საუბრის ფრაგმენტებით ან კითხვარული მეთოდით მოპოვებული მასალით გვაქვს დადასტურებული.

231. დროითი თანმიმდევრობა დარღვეულია ე.წ. მოდალობის ზმნიანი ჰიპოტაქსის დროსაც: ემ ქალმა თქო: ის რო უნდოდა, ვაზირმა ქნასო, ქნაო. ასეთ წინადაღებებში ჰიპოტაქსის მოშლის შედეგად მოდალობის გამოხატვის საკმაოდ საინტერესო სისტემა ჩამოყალიბდა ფერეიდნულში. ამაზე სპეციალურ თავშია საუბარი.

/თავქვემ უთხრა, რომ მე ნამარდი არ მინახავსო, რაც არკაცს (არავის) ნიშნავს/.

ევ რაქთენ კომლობაა არი, რო მამულები თითან აყე და პაიტაც ჭანი უღვაყე, მად ბალირ-ხანის დასტას.

/რამდენიმე კომლილა არის, რომელსაც მამულები აქვს და..../.

ღევმა უთხრა, რო: შენაო აგეთ სიტყვები თქიო, რო შენ თავი მე შამიყორდაო, და სამი ზადსაც გეტყვიო, რო სამი სიტყო იყოს.

/... სამ რაღაცსაც გეტყვი, რაც სამ სიტყვას ნიშნავს/.

ღოუმეტლა ავალობა, რო ნახოშობა იყოს.

/მოემატა ავადმყოფობა, რაც ნახოშობას ნიშნავს/.

ემას მოავონდა ღვეის გაფი, რო: სიტყო იყოს.

/ამას მოავონდა ღვეის გაფი, რაც (რომელიც) სიტყვას ნიშნავს/.

ლაფა, ქე მუხულო იყოს, გოორეველით, გავაკეთებლით, ერბოკერც ხს გავაკეთებლით.

/ლაფას, რაც იგივე მუხულოა, გავურეველით, გავაკეთებლით, ერბოკერც ხს გავაკეთებლით/.

ნესირო! ჩონ წავალთო! თუ გაიგეო, რო ქერიმ-ხანის სახელი და წინწალებაო – რო გამარჯვება იყოს!

/ნესირ, ჩვენ წავალთო, თუ გაიგეო, რომ ქერიმ-ხანის სახელი და წინწალებაა – რომელიც გამარჯვებას ნიშნავს/.

ემ ნასირამაც იმ წელს, ზამთარში ჩავიდა ახორას, რო ქომო მარტყოფი იყოს.

ეს ნასირაც იმ წელს, ზამთარში ჩავიდა ახორაში, რომელიც ქვემო მარტყოფია (რაც იგივეა, რაც ქვემო მარტყოფი)/.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ამ კონსტრუქციას ძირითადად იგივეობრივი განმარტების დროს გამოიყენებენ.

3.3. მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადების ზოგი თავისებურება ფერეიდნულში

ქართულში მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნათა დროითი თანმიმდევრობის რამდენიმე კომბინაციაა შესაძლებელი [კვაჭაძე 1996: 440-441]:

1. მთავარი წინადადების ზმნა აწმყოს მწკრივისაა, დამოკიდებულისა – II კავშირებითის.
2. მთავარი წინადადების ზმნა წარსული დროის თხრობითი კილოს ფორმაა, დამოკიდებულისა – II თურმეობითის.
3. მთავარში წყვეტილის ფორმაა, დამოკიდებულში – II კავშირებითის.
4. მთავარსა და დამოკიდებულში II კავშირებითის ფორმაა, ოღონდ მთავარში

უნდა ნაწილაკიცაა წარმოდგენილი²³².

ფერეიდნულში II თურმეობითის ფორმა მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში იშვიათია: *საღომის ცხორები გამორეკეს ბიჭებმა, რო თებსაყე გევე-პარნეთყე [სეიფოლა იოსელიანი]*.

უფრო ხშირად კი რომელი დროისაც არ უნდა იყოს მთავარი წინადადების ზმნა, დამოკიდებულში ყოველთვის II კავშირებითის ფორმა იქნება წარმოდგენილი:

[დღეს რო ოთხი შაბათი არი, ნამა მეცალა,] შინ ვიყავ, რო წამალი დავლივო.

[ხალღმა რო პური შაჭამა და ადგეს,] უნდოდაყე, რო ქობები გადმაიღონ.

იმ ზამთრის ჩონ სოფლის ხალღმა დააწვეეს [რო იყიდონ ცხორი], სასუქები – დაუძახით ყოჩებს.

მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადების შინაარსის მარტივი წინადადებით გამოხატვისას ქართულში ორი შესაძლებლობაა აღწერილი: დამოკიდებულ წინადადების ზმნა-შემასმენელი ან მომავალი დროის მიმდებარის ვითარებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა (დასალევად, გადმოსალებად, საყიდლად...), ან სათანადო მასდარის -თვის თანდებულის ფორმით (დალევისთვის, ყიდვისთვის...).

ფერეიდნულმა არ იცის მიმდებარე ფორმები მიზნის გარემოების გამოსახატავად²³³ და მხოლოდ -თვის თანდებულის ფორმებს იყენებს ამ მიზნით:

ისები ხო გომზე აკრევედეს წივას, ანთებასათი [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

დღეს არ მოვიდა ბენელიქტე ამხანავი დაწერვასათი [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ვინც კაცი ყოფილა, წამოდგომილა, წასულა საქართველოს დაპყრობასთი და საქართველოს დაჭერვასათი [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ანტრაქტი შაიქნა და გამოიღენლა, რო გარეთ აი, დალიონ, შაჭამონ დასენებასათი [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

მერე უნდა ყაზმათა, დათხლიშო, აჰყარო, პურის დაკრასთი [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

ფული რო სკოლას გაკეთებასათი უნდოდაყე, რე ზა შაჰმა ემესათი დადწერალა, ისპანსათი დადწერა და უთხრაყე, რო ფული გაგ ზავნეთო ფერეიდანს გააკეთონო სკოლაო [ქდკ, ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

სამი კაცი, კაცურ კაცები უნდოდა აირჩიონ იმის დაჭყლერტასათი, ყურძნის დაჭყლერტასათი [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

232. უნდა ნაწილაკიან ზმნურ კონსტრუქციებზე მოდალობასთან დაკავშირებით გვქონდა საუბარი.

233. დანიშნულების სახელთა საწარმოებლადაც დიალექტში მხოლოდ -თვის თანდებულის ფორმებია გამოყენებული: ჭამასი, დალევისი... (იხ. ზემოთ).

3.4. ნახა ზმნის თავისებური გამოყენება ფერეიდნულში

ზოგჯერ **ნახავს** ზმნის წყვეტილის ფორმა გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როცა სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში პირველი თურმეობითია მოსალოდნელი. უფრო ხშირად ეს მაშინ ხდება, როცა **ნახა** ზმნა **მოსწრების** (მოვესწარი, მოესწარი, მოესწრო) მნიშვნელობას ითავსებს, თუმცა უბრალოდ, **ნახავს** ზმნის პირველი თურმეობითის მნიშვნელობითაც (მინახავს) ჩვეულებრივ გვხვდება:

(არა) ვნახე – (არ) მინახავს

(არა) ნახე – (არ) გინახავს

(არა) ნახა – (არ) უნახავს

ჩემ მამა-დედა ვნახე, გინა დიდ მამა და დედა არა მყუანდა, არა ვნახე.

/ჩემი დედ-მამა ვნახე, მაგრამ პაპა და ბებია არა მყავდა, არ მინახავს/.

არა ვნახე, მალე გადაცვილა.

/არ მინახავს, მალე გარდაცვილა/.

მე კი ჩემ დიდალა არ მაგონდების, არა ვნახე მე და ჩემ დიდიდამ იიბნისყე, რო ეგეთ კაც იყო, დიდ კაც იყო და ხალხსაც უყორდა და ბეჭი ხალხიცა ძყყანდა.

/მე კი ჩემი დიდალა (პაპა) არ მაგონდება, არ მინახავს.../.

შომოოსხდებით ერთმანერთსა და ვიცინით და ვამბოფთ და მამა ერთ რამეს იტყვის და დედა ერთ რამეს იტყვის და ბიჭი ერთ რამეს იტყვის და, მე რა ვნახე და მე რა ვქენ.

/...დედა ერთ რამეს იტყვის და ბიჭი ერთ რამეს იტყვის და, მე რა მინახავს და რა მიქნია/.

ვნახე ზმნის კიდევ ერთი თავისებურებაა ის, რომ ხშირად ე.წ. ინვერსიული ზმნების²³⁴ მსგავსად **თავი** ნაცვალსახელით ჩანაცვლებს რეალურ ობიექტს:

არა ვნახე (Aorist) იმის თავი – (მე) ის არ მინახავს (I Result).

3.5. პირდაპირი ობიექტის ბრუნვის აღრევა

ძალიან იშვიათად შეინიშნება პირდაპირი ობიექტის ბრუნვის აღრევა: გარდამავალი ზმნის I სერიის ფორმებში პირდაპირი ობიექტი ნაცვლად მიცემითისა, სახელობით ბრუნვაში შეიძლება შეგვხვდეს: დიდი ხაზი შამაჰსაზვენ [ჩხუბიანიშვილი 2012: 181].

3.6. უზმნო წინადადება

ზოგჯერ გამოტოვებული შედგენილი შემასმენლის ზმნური კომპონენტი:

თქო, რო უთხარყეო, რო ცხენებსაო ყაჯრებიო, რაც რო აყეე, დადშჳრანო და კუდებიც დადშჳრანყე, ჯორებსაც დადშჳრან და რაც რო ბალანო, მაიტანონ ესებიო და მე ჩავართავ და თოკათ გავაკეთეფ ემებსაო.

234. დეტალურად **თავი** ნაცვალსახელის შესახებ იხ. ინვერსიულ ზმნებისა და ნაცვალსახელების შესახებ შესაბამისი პარაგრაფები.

რაც რო ბალანსიო.

/რაც რო ბალანი არიო/.

მეშველი ზმნა ჩავარდნილია და დარჩენილია შედგენილი შემასმენლის მხოლოდ სახელური ნაწილი.

შედგენილ შემასმენელში დამხმარე ზმნის დაკარგვა და მისი ინტონაციური კომპენსაცია უცხო არ არის ქართული დიალექტებისთვის. განსაკუთრებით სპეციფიკურია თუშურისა და ინგილოურისთვის.

თავი XIII

ფერეიდნულის ლინგვოკულტურული სივრცის მოდელირება და წარმოდგენა ქდკ-ში

ქართულ დიალექტურ კორპუსში სხვა დიალექტების მასალებთან ერთად ინტეგრირებულია როგორც სხვადასხვა პერიოდში გამოცემული ფერეიდნული დიალექტოლოგიური ტექსტები, ისე ჩვენ მიერ მივლინების დროს ჩაწერილი ტექსტების დიდი მასივი. მოქნილი საძიებო ინსტრუმენტი ეხმარება დაინტერესებულ პირს მოძებნოს ნებისმიერი სიტყვაფორმა, ასევე ტექსტები სხვადასხვა მახასიათებლით. ეს მასალა ლექსიზმებისა და ანოტირებულია გრამატიკული მახასიათებლებით.

კორპუსი ასევე შეიცავს ფერეიდნული დიალექტის ლექსიკონს, ლექსიკურ ერთეულებს აქვს გრამატიკული და ლექსიკური მარკერები, ახლავს ილუსტრაციები და აღჭურვილია ასევე მეტამონაცემებით – ჩაწერის ადგილის, მთქმელის მიხედვით. ამ კორპუსული ლექსიკონის საფუძველზე 2018 წელს გამოვიდა **ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი** (ავტორები: მარინა, ბერიძე, ლია ბაკურაძე, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი).

ქართული დიალექტოლოგიური კორპუსის კონცეფციიდან გამომდინარე, კორპუსის მეტანოტირების სისტემა და მასზე დამყარებული საძიებო ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა, კორპუსის თითოეული ქვეკორპუსის – ცალკეული დიალექტების კორპუსების ისე ორგანიზებას, რომ ის არა მარტო დიალექტის ფონეტიკურ და გრამატიკულ მახასიათებლებს გადმოსცემდეს, არამედ სრულად წარმოაჩინდეს მის ლინგვოკულტურულ პროფილს.

სამყაროს ენობრივი სურათის შესწავლა წმინდა ლინგვისტური პროცესია მანამ, ვიდრე ენა აღიწერება როგორც სისტემა, სისტემური დამოკიდებულების კვლევას ენაში კი თან სდევს ინტერესი და აუცილებლობა ეროვნული ლინგვოკულტურული სივრცის, ეროვნული ენობრივი სურათის კვლევისა. ამ დროს სამყაროს ენობრივი სურათის აღწერა გამოდის წმინდა ლინგვისტური კვლევის ჩარჩოებიდან და ხდება ლინგვოკოგნიტური კვლევის ნაწილი – გამოიყენება კონცეპტოსფეროს, სამყაროს კონცეპტუალური სურათის აღწერისა და მოდელირებისათვის.

როგორც ცნობილია, სამყაროს ენობრივი სურათი იქმნება:

- ენის ნომინატიური საშუალებებით

- ენის ფუნქციური საშუალებებით
- მეტაფორიზმით
- ენის ფონოსემანტიკით.

ეროვნული ენის სამყაროს ხატის სუბსტრატია სამყაროს დიალექტური ხატი. ის ეროვნული ენის შექმნის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინახავს განსაკუთრებულ თავისებურებებს, რომლებიც უკავშირდება უძველეს პერიოდს, ცხოვრების ტრადიციულ წესს, ნატურალურ მეურნეობას.

ქართული ენობრივი სურათის შესწავლის საუკეთესო საშუალებაა „ქართული დიალექტური კორპუსი“ (ქდკ). იგი ქართული სინამდვილის მოდელირებული სახეა. კორპუსში თავმოყრილი სხვადასხვა ტიპისა და თემატიკის, ძველი და ახალი ჩაწერილი დიალექტური ტექსტები ნათლად წარმოაჩენენ ქართულ იდიოთნიკურ ლინგვოკულტურულ სივრცეს.

კორპუსის მეტაანოტირების სისტემა ისეა შედგენილი, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია ქართული ენის ნებისმიერი ქვესისტემის ან სხვა ქართველური ენების მონაცემების შენახვა, აღწერა, კვლევა. იგი საშუალებას იძლევა ენობრივი კოლექტივი შესწავლილი იყოს ლინგვოკულტურულ ჭრილში.

ლინგვოკულტურული სივრცის კორპუსული „მოდელირება“ შესაძლებელია მხოლოდ ტექსტური მასივის რეპრეზენტაციულობისა და მრავალდონიანი საძიებო სისტემის უზრუნველყოფით. კორპუსის რეპრეზენტაციულობა (ლინგვოკულტურული სურათის სისრულე) გულისხმობს ტექსტური და ლექსიკოგრაფიული მასალის მაქსიმალურ მობილიზებას, ხოლო ამ მასალის (ლინგვოკულტურული მოდელის) წარმოღვენა (ხელმისაწვდომობა) შესაძლებელია მრავალფეროვანი მეტამონაცემების საშუალებით.

ამ შესაძლებლობების გათვალისწინებით ქართული ენის დიალექტური ტექსტები ერთად და თითოეული ცალ-ცალკე იძენს განსაკუთრებულ ინფორმაციულ ღირებულებას მათი ინტერდისციპლინური, კერძოდ, ლინგვოკულტურული თვალსაზრისით შესწავლისათვის.

ქდკ-ში ენობრივი სურათის კომპონენტები სხვადასხვა საშუალებით არის გააქტიურებული: ნომინატიური კომპონენტი – ტექსტურ ბაზასა და ლექსიკონშია განივთებული, ფუნქციური საშუალებებს ასახავს ლინგვისტური ანოტირების სისტემა, ტროპული და ფონოსემანტიკური საშუალებების მარკირება ლექსიკონის საინფორმაციო ბლოკშია შესაძლებელი.

ენის იდიოლექტური კომპონენტის როგორც ლინგვისტური, ისე ლინგვოკულტურული მოდელის ფართომასშტაბიანი დოკუმენტირების კორპუსულ შესაძლებლობები განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აჩენს მკვლევართა წინაშე ქართული დიალექტების ადეკვატური „ენობრივი პორტრეტის“ შესაქმნელად. განსაკუთრებით მაღალია პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ გავრცელებული ქართული დიალექტებისა და ქართული ენობრივი სურათის დასაფიქსირებლად. ამჟამად ფერეიდნუ-

ლი ტექსტური და ლექსიკოგრაფიული მასალის მაგალითზე წარმოვადგენთ ქდკ-ს რეპრეზენტაციულობის კონცეფციას, რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ სისტემური ლინგვისტური თავისებურებების ფიქსირება-შესწავლაზე, არამედ დიალექტის ლინგვოკულტურული მოდელის მაქსიმალურ დოკუმენტირებასა და რეპრეზენტაციაზე.

როგორც უკვე არაერთხელ იყო აღნიშნული, ფერეიდნული ვითარდებოდა განსაკუთრებული იზოლაციის პირობებში ბირთვული კულტურული და ენობრივი არეალიდან, შესაბამისად, აქვს ყველა ნიშანი ტიპური დიალექტური კუნძულისა.

ფერეიდნულმა დიასპორამ ოთხი საუკუნის განმავლობაში შეინარჩუნა თითქმის სრული „კუნძულური იზოლაცია“ და მხოლოდ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება იზოლაციის რღვევა მისთვის თანმხლები, დაჩქარებული ტემპით მიმდინარე ასიმილაციური პროცესებით, რის შედეგადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც თავს გორჯებს უწოდებს, აღარ ლაპარაკობს ქართულად და აღარ ფლობს არანაირ კულტურულ იდენტიფიკატორს, გარდა ბუნდოვანი მეხსიერებისა წარმომავლობის შესახებ.

ფერეიდნულ დიალექტში ბირთვულ არეალთან კონტაქტის აღდგენის შემდეგ კულტურული და ენობრივი რეინტეგრაციის პროცესი დაიწყო, რაც, ბუნებრივია, აისახა ენობრივ პროცესებზეც. ქართულ დიალექტურ კორპუსში წარმოდგენილი ფერეიდნული მასალა სწორედ ამ მოვლენების ენობრივი სარკეა.

ენობრივი სურათის სრულყოფილი მოდელის შესაქმნელად ტექსტური და ლექსიკოგრაფიული მასალის სისრულეა პირველი პირობა. წარმოვადგენთ, რა გზით ხდებოდა ფერეიდნული ენობრივი სურათის მოდელირება ამ ძირითადი მოთხოვნის გათვალისწინებით:

ტექსტური მასალის სისრულე

- ა) გაციფრებული და კორპუსში ინტეგრირებულია ის მცირერიცხოვანი ტექსტები, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ქართველ მეცნიერთა მიერ:
 - „ქართულ დიალექტოლოგიაში“ შესული ტექსტები (არნ. ჩიქობავა, ვარლამ თოფურია)
 - მ. თოდუას ჩაწერილი და მაია მაჭავარიანთან ერთად გამოცემული ტექსტები (1975 ქართულ-სპარსული ეტიუდები)
 - დ. ჩხუბიანიშვილის, თ. უთურგაიძისა და ჯ. გიუნაშვილის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ტექსტები (ჩაწერილი როგორც რეპატრიანტი ქართველებისგან საქართველოში, ისე ფერეიდანში)
- ბ) გაიშიფრა წინამორბედი ექსპედიციის (1998) მოპოვებული აუდიომასალა და მისი ერთი ნაწილი ინტეგრირდა კორპუსში (დ. ჩხუბიანიშვილი, თ. უთურგაიძე, ჯ. გიუნაშვილი).

გ) მოეწყო სპეციალური ექსპედიციები 2008, 2009, 2012, 2014, 2017, 2018 წლებში. ამ ექსპედიციების კონკრეტული მიზანი იყო ფერეიდნული ლექსიკონის სიტყვანის შევსება-დაზუსტება; არსებული სალექსიკონო მასალის გადამოწმება; დიალექტური თავისებურების წარმოჩენა; შიდადიალექტური დიფერენციაციის დაზუსტება და ამის ნიადაგზე არსებული ლექსიკური პარალელიზმების გამოვლენა; ამასთანავე, ტექსტური კოლექციის შევსება.

ლექსიკური მასალის სისრულე

ქართული დიალექტური კორპუსის (ქდკ) წიაღში შეიქმნა და მუშავდება ფერეიდნული ლექსიკონი, რომლის წყაროებად გამოყენებულია გამოცემულ ტექსტებზე დართული სალექსიკონო მასალა (არნ. ჩიქობავა, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, თ. უთურგაიძე, მ. თოდუა...) და კორპუსის ტექსტური კოლექცია, რომელიც ეყრდნობა გამოქვეყნებულ და ჩვენ მიერ მიერ მოპოვებულ მასალას.

ქდკ-ს ფერეიდნულ ლექსიკონში ამ წიგნის გამოცემის პერიოდში შესულია 6000 ლემაზე მეტი (არ იგულისხმება ფონეტიკური და გრამატიკული ვარიანტები, ასევე ომონიმური ფორმები), მათი აღრიცხვა გაცილებით გაზრდის ლექსიკონის სიტყვანის რაოდენობას).

ბეჭდური სახით არსებული სალექსიკონო მასალა დაახლოებით 1600 ლემითაა [არნ. ჩიქობავა, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, თ. უთურგაიძე, მ. თოდუა] წარმოდგენილი, დანარჩენი კი ირანში მივლინებების დროს (2008-2018 წლები) ჩვენ მიერ მოპოვებული მასალიდან შეივსო.

ფერეიდნული ლიგვოკულტურული სივრცის მოდელირება ქდკ-ში

ჩვენ მიზანდასახულად ვცადეთ ტექსტური და ლექსიკოგრაფიული მასალის მოპოვების პროცესშივე, რეპრეზენტაციულობის ხარისხის გასაზრდელად ჩვენ ვიყენებდით დიალექტური მასალის მოპოვების ტრადიციულ მეთოდებს: თემატური თხრობის მოტივირებას, სპონტანური სამეტყველო კომუნიკაციის ინიცირებას, სპეციალურად შედგენილი დარგობრივი და იდეოგრაფიული კითხვარების გამოყენებას და სხვ. იდეოგრაფიული კითხვარების გამოყენებამ საინტერესო პროცესები გამოავლინა ფერეიდნულ დიალექტში.

მასალას ვიწერდით ისე, რომ დაცული ყოფილიყო ასაკობრივი და გენდერული ბალანსი, თემატური მრავალფეროვნება, რეგიონალური ვარიაციულობა და სხვ. გამოკვეთილიყო დიალექტური ენობრივი პიროვნების შეძლები სდაგვარად სრული სახე.

მიზნად დავისახეთ ენობრივი სურათის წარმოჩენა ყველა დონეზე: **ენის ნომინატიური საშუალებებით**; ასევე სხვადასხვა ტიპის **ლაკუნარობით**; **ენის ფუნქციური საშუალებებით**; **მეტაფორიზმით**; მოვანერხეთ და ჩავიწერეთ ფერეიდნული ენობრივი კოდის ყველაზე „კაშკაშა“ მატარებლები. მათ შორის ისეთები, რომელთა მეტყველების ნიმუში ადრეც იყო დოკუმენტირებული. როგორც აღვნიშნეთ, გვაქვს

„ერთი მთქმელის“ სუბკორპუსისთვის ძალიან საინტერესო ტექსტური და ლექსიკოგრაფიული მასალა მუხტარ დარჩიაშვილისგან ჩაწერილი ნიმუშების სახით...

როცა ვსაუბრობთ, რომ ვქმნით დიალექტურ ენობრივ სურათს, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით **ენობრივ პიროვნებას**, რომელიც ამ სურათის ცენტრალური ფიგურაა.

ენობრივი პიროვნება ლიგოკულტურული (ანთროპოლინგვისტური, ეთნოლინგვისტური) კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ფენომენია. ის არის სამყაროს ეროვნული ენობრივი მსოფლხატის მატარებელი.

„დიალექტური ენობრივი პიროვნება“ ასევე დგას მის მიერ შექმნილი იდიოეთნიკური მსოფლხატის ცენტრში.

დიალექტური ენობრივი პიროვნება ანალიზის ობიექტი ხდება სამი ძირითადი შემადგენლის მიხედვით:

- დიალექტური ენობრივი პიროვნების ლექსიკონი
- დიალექტური ენობრივი პიროვნების მიერ რეპროდუცირებული ტექსტი
- დიალექტური ენობრივი პიროვნების მეტაენური ცნობიერება.

დიალექტური ენობრივი პიროვნების ფენომენის კვლევა წლების მანძილზე გრძელდება და სრულდება ამ პიროვნების სრული ლექსიკონის, ენობრივი თავისებურებებისა და სამყაროს კონცეპტუალურიზაციის მისეული ხერხების შესწავლით.

როგორ ახდენს კორპუსი ენობრივი პიროვნების მოდელირებასა და რეპრეზენტაციას?

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ვცდილობდით, მიუხედავად ჩვენს ხელთ არსებული მწირი საშუალებებისა, შეგვექმნა ბაზა ასეთი ექსკლუზიური კვლევისათვის. მასალას მიზნობრივად ვამდიდრებდით სპეციალურად მოწყობილი ექსპედიციების დროს.

ჩვენს ფერეიდნელ ინფორმატორებს შორის გამორჩეული იყო მუხტარ დარჩიაშვილი, რომელიც 2014 წელს გარდაიცვალა. იგი 80 წელს გადაცილებული იყო, როცა გავიცანით. სიღრმისეულად ფლობდა დიალექტურ ლექსიკას და, ფაქტობრივად, დაჯილდოვებული იყო ლექსიკოგრაფის ბუნებრივი ინსტინქტით. მისეული ახსნა ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულისა იყო საოცრად ზუსტი, თანმიმდევრული, ნაივური აკადემიზმით აღბეჭდილი. თითოეული ფორმის ანალიზისას ის მოიხმობდა ახალ ლექსიკას, რომელსაც აგრეთვე განმარტებას ურთავდა და ეს პროცესი იქცეოდა ერთგვარ ცოცხალ ლექსიკოგრაფიულ პრეზენტაციად. მისი თხრობის სტილი იყო სისტემური და გარკვეულ იდეოგრაფიულ პრინციპზე აგებული:

ერთ ცხორს რა აქ: თავ-ფევი, ფაში, გულ-ლიძლი, თირკმელები, ფირტი, ტყირაპი, ტყავი, ხარხანტო, ღუმა, სარჩული, რიკი, სუკი, მატყლი, ტყავი, ნაფაშვარი, ნაწლევი, ქაჩაჩები და ჩილ ბატკანის მუცელსაყე ყველის მაიას აკეთებენ და ცხორს თუ ბაიტა ყურები ჰქონდეს, ჭიჭას ვეძახით და თუ თხას ქები არა დჰქონდეს ყაბახს ვეძახით; თხა და ცხორი ექს თეზე იგებენ; სახელები: ჭიჭა, ტყელყურა, წნიკყურა, ზანგია, ზანზალაკიანი, ღუაძანი და სხო რამეები; პირიტყეს თავჩი ტინი აყე და ტინჩი ბაიტა

ოსკსავით აყე იძახიან, მინც ის ოსპი შაჭამოს, გაშტერდების, ცური და საფსმური, ძუძვეები და საბატკნო...

ეხლა ვნახოთ ერთ ადამიანს რა აქ: თავი, თმები, შუბლი, საფეთქელა, კისერი, ყურები, ცხირი, პირი, თოლები, წარბები, წამწამები, თოლის ბაია, თოლის ბუდე, ლაშები, კბილები, სასა, ლაშები, ლოყები, ტუჩი, ნიკაპანი, ჩანა, ხარხანტო, გულისპირი, ხელები, ლაყი, თითები: ნიკ თითი, არცრათითი, დიდ თითი, საჩენო თითი, და ცერა თითი, ხარები, კლავები, ჩხილები, თათები, ფეხები, მუხლები, კაჩები, ყალამები, ქუსლები, ზურგი, ნიღრა, დენდები, ილღიები. მეტავი ემ ეგდენ რამეჩი ერთ ცოტა ჭკო მიეცა, რო მისაც რო დმერთმა ჭკო მიჰცა, რა არ მიჰცა და იმას რო ჭკო არ მიჰცა, რა მიჰცა?

2008 წლიდან მოყოლებული მისგან ჩავიწერეთ მრავალი ტექსტი, რომელთაგან რამდენიმე სხვადასხვა დროს სხვადასხვა ვარიაციით გადმოგვცა. გარდა ამისა, ჩვენ ხელთ გვაქვს მის მიერ საკუთარი ხელით შესრულებული ჩანაწერები (იხ. ზემოთ).

კორპუსში შესულია მისი ერთი და იმავე ისტორიის სხვადასხვა წელს ჩაწერილი ვარიანტები, რომელთა შედარება და პარალელური კვლევა საინტერესო სურათს ქმნის. კარგად ჩანს რეინტეგრაციის შემდგომი ცვლილება ენობრივ სივრცეში.

მიუხედავად მასალის შთამბეჭდავი მოცულობისა, ის მაინც არაა საკმარისი ფერეიდნული **დიალექტური ენობრივი პიროვნების** წარმოსადგენად. ჩვენი ექსპლდციების დროს ვცდილობდით გამოგვეკვეთა **კოლექტიური დიალექტური პიროვნების** ფენომენი, რადგანაც რეალურად არ არსებობს მთელი ენობრივი ხატის მომცველი ერთი პიროვნება ენობრივ კოლექტივში. სოციუმში თავად აღიქვამს საერთო ენობრივი სურათის ფრაგმენტულობას და ამ ფრაგმენტულობის დასაძლევად თავადვე გამოყოფს გარკვეულ „უბნებზე“ პასუხისმგებელ“ პიროვნებას. ამიტომ ვისაც დიალექტური მასალის შეკრებაზე უმუშავია, იცის, რომ კოლექტივში თავისუფლად ასახელებენ რამდენიმე პირს, რომლებსაც ამა თუ იმ საკითხზე საუბარი უკეთ შეუძლია. ასე გვითითებდნენ ტოპონიმიკასთან დაკავშირებით რეზო დავითაშვილს, ისტორიულ საკითხებზე, გვარების ისტორიასთან დაკავშირებით სასაუბროდ ესქანდერ სეფიაშვილს, ფოლკლორულ მასალაზე – ყოლამრეზა ონიკაშვილს... ამ რეალობის გათვალისწინებით ვაგროვებდით მასალას ფერეიდანში და ვფიქრობთ, რომ შედეგად კორპუსში წარმოდგენილია ფერეიდნული კოლექტიური დიალექტური ენობრივი პიროვნების მიერ შექმნილი სამყაროს ენობრივი ხატის მიახლოებული მოდელი.

ენობრივი პიროვნების მთავარი კომპონენტები – მის მიერ ორგანიზებული ტექსტი და ლექსიკონი კორპუსში წარმოდგენილია ტექსტური ბაზისა და ფერეიდნული ლექსიკონის სახით.

კორპუსის მეტაანოტირებისა და ლინგვისტური ანოტირების სისტემა, აგრეთვე ლექსიკონის ინფორმაციული სტრუქტურა იმგვარადაა ორგანიზებული, რომ დიალექტური ენობრივი პიროვნების მეტაენური ცნობიერება მაქსიმალურად იყოს წარმოჩენილი.

პიროვნების მეტაენური ცნობიერება გულისხმობს ენობრივი პიროვნების მიერ საკუთარი და სხვისი მეტყველების გააზრებასა და შეფასებას.

მეტაენური ცნობიერების მახასიათებლები ძირითადად ასახავენ ენის ობიექტურ მახასიათებლებს. ენობრივი პიროვნების რეფლექსია მიმართულია ძირითადად კოლექტივის ენობრივი ნორმის რეალიზაციაზე, შედარებით იშვიათად – საკუთარი ნორმების გააზრებაზე.

დიალექტურ კუნძულში მეტაენური ცნობიერება განსაკუთრებულ როლს თამაშობს. სწორედ ეს ცნობიერება არეგულირებს უცხოენოვან გარემოსთან და მშობლიურ (ბირთვულ) კულტურულ არეალთან კონტაქტში წარმოქმნილ ენობრივ პროცესებს. მეტაენური აზროვნების დამსახურებაა, რომ კუნძულურ კოლექტივს შეუძლია გაუმკლავდეს ასიმილაციასთან ბრძოლის ხანგრძლივ და უთანასწორო პროცესს.

ქდკ-ს ტექსტური ბაზები და ლექსიკონის პლატფორმა იმგვარადაა ორგანიზებული, რომ საშუალებას გვაძლევს:

- ლექსიკონებში გამოიკვეთოს ბირთვულ არეალთან საერთო ენობრივი სივრცე;
- გარკვეული ბმების სახით დაუკავშირდეს ერთმანეთს დიალექტში არსებული პარალელური ფორმები;
- გამოიკვეთოს შიდადიალექტური სხვაობა და ამ ფორმების გავრცელების არეალი;
- დაფიქსირდეს სალიტერატურო ენის გავლენით დიალექტში გაჩენილი ინოვაციები და ფსევდოდიალექტური ფორმები.

ლექსიკონების რედაქტორის სპეციალური ინსტრუმენტი „იხილე“ და „იგივეა რაც“ ბმების სახით ერთმანეთთან აკავშირებს პარალელურ ფორმებს, იქნება ეს სპასულ-ქართული პარალელიზმი, შიდადიალექტური სხვაობა თუ დიალექტისა და სალიტერატურო ქართულის პარალელური ფორმები. მაგალითად:

- მეიგუ (სპ), კირჩხიბი (ქართ)
- მარლა (სპ) მოუ'რი (ქურთ), ჭავრობი (ქართ)
- ჰარფი (სპ), უბნობა (ქართ)
- ზენდეგი (სპ), სიცოცხლე // ცხოვრება (ქართ).

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები არის დიალექტური ენობრივი პიროვნების მეტაენობრივი ცნობიერების გააქტიურების შედეგი.

ქდკ-ს ფერეიდნულ ლექსიკონში ვაფიქსირებთ ყველა შესაძლო პარალელიზმის შემთხვევას, ასევე, შესულია საერთო ლექსიკონის დიდი ნაწილიც, რომლის ფონზეც გამოიყოფა **ლაკუნარული სივრცე**.

ფერეიდანში ყოფნის დროს მასალა ჩავიწერეთ იდეოგრაფიული კითხვარის გამოყენებით, რამაც წარმოაჩინა საკმაოდ მდიდარი მასალა და გამოკვეთა დიდი ცარიელი ლექსიკური უბანი დიალექტში (მაგალითად, წყალთან, მცენარეულ საფართან დაკავშირებული ლექსიკონის შედარებითი სიმწირე).

წარმოვადგენთ იდეოგრაფიული კითხვარით მოპოვებული მასალის ნიმუშებს:

ნაღებები: წიმა თოვლი, შაბნამი (ცვარი), ჭირღლი, ხორხოშელა (სეტყვა) ფით-

ფითობს (წინწყლავს) -ისრის თითო-ოროლად წიმასაო. ცხენის კუდსაით წიმა, ავ-
ტაფას კუდივით დოუშო (ძლიერი წვიმა).

- ბელტვა, ბელტავს (ძლიერი თოვა) თოვლს, მათოვლა, ითოვლებს, უთოვ-
ლია...), წიმაჲ დაიჭირა, გადიყარა, თოვლს. შათოვა, ფირფლი, ძიმე წელი
(დიდთოვლობა), პაპყი, ახლადმოსული ძლიერი თოვა, ზოვი ადგების...
- სანამქრო – სადაც რო ნამქერს აკეთებს.
- კუმშა – გუნდა; კუმშის ყრა, კუმშა ვაყაროთ, კუმშა მაყარეს...
- ველ-ფევი დამძრა.
- თოვლი რო დნება ტყელთების, მაგას ჰქიან შლამი.
- შაფიმფლვა – თხელი ყინული რო მაეკიდება.
- თოვლი იგრე მოდის, როგორც აცხაო.
- მაჰტყელა, სიცივეც და ყინვაც მაჰლტყელა.
- ცოტა დასველდების, იმას დასძახიან ნამი.
- ბელტავს – როგორც ქათამი ჰპტკნა.
- თოვლმა მაიწმინდა.
- ყინულავს – ამ დროს ამბობენ – „გელი იგებს“

ქდვ ფერეიდნულ ლექსიკონში აისახა ის თავისებურებებიც, რომლებიც **შიდალია-
ლექტურ სხვაობას გვაძლევს.**

იდეურაფიული პრინციპით მასალის ჩაწერის დროს ეს სხვაობა კიდევ უფრო
საგრძნობი გახდა.

სოფელ თორელში ერთდროულად ჩავიწერეთ მასალა ორი რესპონდენტიდან,
რომელთაგანაც ერთი თორელელი იყო – აბოლყასემ აჰმადი, მეორე კი მარტყოფე-
ლი – მუხტარ დარჩაიშვილი. ამ მეთოდით ჩაწერამ თვალნათელი გახდა ლექსიკური
სხვაობა ამ ორი სოფლის მეტყველებას შორის. საუბრის დროს ორივე რესპონდენტი
შენიშნავდა სხვაობას და ცდილობდა მეორისთვის აეხსნა, დაესაბუთებინა ამა თუ იმ
ენობრივი ფორმის, ამა თუ იმ ტოპონიმის არსებობის სისწორე. მსჯელობა ხშირად
მთავრდებოდა ფრაზით: ხო, ჩენთან ასეა და ახლა არ ვიცი, რომელია წორე!”

ამკარაა, რომ მეტაენობრივი ცნობიერება ვლინდება მეტატექსტებში – გამონათ-
ქვამებში, რომლებიც მოლაპარაკის მსჯელობას შეიცავენ ენის შესახებ. მეტატექს-
ტები წარმოიშობიან მაშინ, როცა ენობრივი ნორმა ირღვევა მოსაუბრის ან თვით
მოლაპარაკის მიერ (იშვიათად მას თან ახლავს ენობრივი ნორმის დაცვისკენ მოწო-
ლება) აგრეთვე მაშინ, როცა ნორმა ვარირებს ან იცვლება. მაზანდარანელი ქართვე-
ლების სპარსულ მეტყველებაში, რომელთაც ქართული მთლიანად დავიწყებული
აქვთ, ფერეიდნელებმა სამი ქართული სიტყვა „აღმოაჩინეს“: ღელა, კაჭკაჭი და ყარო
(წყარო). ფერეიდნელებმა კარგად იცოდნენ, რომ ყარო არ იყო ფერეიდნულისთვის
სწორი ფორმა, მაგრამ თითქმის ყველა, ვინც ამ საკითხზე საუბრობდა, ცდილობდა
სალიტერატურო ქართულთან მიმართებით დაედგინა სისწორე და ამ საკითხზე საუბ-
რისას გვისვამდა კითხვას: „არ ვიცი ახლა რომელია წორე, ჩენ თუ ისინი?”

მეტაენობრივი ცნობიერების გააქტიურება კუნძულური დიალექტური პიროვნების მთავარი ნიშანი ჩანს.

ბირთვულ არეალთან ურთიერთობის შედეგად ფერეიდნელთა მეტყველებაში გაჩნდა სალიტერატურო ენიდან შესული ფორმები (ქალიშვილი // ყორი...); **სალიტერატურო ენიდან შესული და დიალექტის მორფონოლოგიურ „კანონიკაზე“ გაწყობილი ფორმები** (ბავშვიები < ბავშვები; გადიცვალა < გარდაიცვალა...).

დიალექტის მორფონოლოგიურ „კანონიკაზე“ გაწყობილი ფორმებისა და ფსევდოლიტერატურული ფორმების არსებობის „მიზეზია“ გამძაფრებული ენობრივი ცნობიერება, როცა სალიტერატურო ენასთან კავშირის შედეგად გაჩენილი ორი კოდიდან დიალექტური ენობრივი პიროვნება ირჩევს სალიტერატუროს, ცდილობს უსწორდეს ნორმას, ცვლის თავის ენობრივ კოდს. ხშირად მცდელობა მცდარი ფორმების დამკვიდრებას უწყობს ხელს. ასეთი ტიპის შემთხვევებს სამეცნიერო ლიტერატურაში ზეკომპენსაციას უწოდებენ. ზეკომპენსაციას ბიძგს აძლევს ზეკომპეტენცია – ის წარმოშობს ჰიპერდიალექტი ზმებს (ფსევდოდიალექტი ზმებს).

ტრადიციული დიალექტოლოგია არ ითვალისწინებს დიალექტში ასეთი ზეკომპენსაციური მონაცემის გამოყოფას და არ აღიარებს მას დიალექტური სტრატის აღწერისას რელევანტურად.

ლექსიკონის მარკირების განსაკუთრებული სისტემა საშუალებას გვაძლევს ახალი, სალიტერატურო ქართულის გავლენით გაჩენილი ლექსიკა გამოვყოთ საერთო ლექსიკიდან. ლექსიკონის რედაქტორში გამოყოფილია სპეციალური ველი ილუსტრაციის რეგიონალური ვარიაციულობის მოსანიშნად (რომელიც სპეციფიკური ფორმის ჩაწერის ადგილზე მიუთითებს).

გრამატიკული მარკირების სისტემაში კი დავამატეთ სპეციალური ნიშნები ფსევდოლიტერატურული (Pseudo) და ინოვაციური (New) ფორმებისთვის.

ეს მანასიათებლები საშუალებას გვაძლევს 400 წლის წინანდელი ფერეიდნული დიალექტური მონაცემიდან გამოვარჩიოთ მცდარი – ფსევდოლიტერატურული ფორმები (საკვე = საკვები; – ანკისდები = ანკესები) დიალექტური და ინოვაციური ფორმებისაგან.

ხშირად ამ ტიპის შეცდომებს ამკვიდრებენ ის ფერეიდნელები, რომლებსაც სხვებთან შედარებით უფრო მეტი კავშირი აქვთ სალიტერატურო ქართულთან და მათი გავლენით, მათი ავტორიტეტით ეს ფორმები მკვიდრდება და მათი გამოყენების შემთხვევებიც დავადასტურეთ. საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი წყარო ასეთი ფორმების დამკვიდრებისა სწორედ ყველაზე ავტორიტეტული ფერეიდნელი, მუხტარ დარჩიაშვილი ჩანს..

ქართული დიალექტური კორპუსი მაქსიმალურ ინფორმაციას იძლევა ფერეიდნული დიალექტური კუნძულისა და რეინტეგრაციის შემდგომ მისი რღვევის პროცესების შესახებ. ის ახდენს ფერეიდნული კოლექტიური და ინდივიდუალური ენობრივი მსოფლხატის რეპრეზენტაციას, მუდმივად შევსებადი კორპუსი საშუალებას გვაძლევს დიალექტების განვითარების პროცესს დინამიკაში დავაკვიროდეთ.

თავი XIV

ონომასტიკა

1. ტოპონიმები

1.1. ფერეიდნული ტოპონიმის შესწავლის ისტორიიდან

ცნობილი ფაქტია, რომ კომპაქტურად მცხოვრები გადასახლებულები ახალ გეოგრაფიულ არეალში ჩასახლების დროს ცდილობენ „ადაღინონ“ მშობლიური გარემო (თუნდაც მხოლოდ ენობრივად) და ამისთვის, პირველ ყოვლისა, ადგილთა სახელდებას იწყებენ: ქმნიან ახალ სახელწოდებებს იმ ადგილებისთვის, რომლებიც არ არის სახელდებული ან მათთვის არ არის სახელწოდება ცნობილი ან ქმნიან არსებული უცხოენოვანი სახელწოდებების პარალელურ ვარიანტებს საკუთარ ენაზე. ფერეიდნის ტოპონიმკაც დიალექტური კუნძულისთვის დამახასიათებელი კლასიკური პრინციპით ჩამოყალიბდა. ქართველთა მიერ შერქმეული ადგილის სახელების პარალელურად გვხვდება ოფიციალური, ადმინისტრაციული სახელები, რომლებსაც ისინი, ფაქტობრივად, არ იყენებენ საუბარში. რეგიონის ქართულ ტოპონიმკურ მასალაში სხვადასხვა ფენა იკვეთება (გადატანილია ქართული ტოპონიმი, გადატანილია ტოპონიმის წარმოების მოდელი და სხვ.) როგორც ირკვევა, ისტორიულ სამშობლოსთან კონტაქტებიც ახდენდა გავლენას ტოპონიმკური ინვენტარის ჩამოყალიბების დინამიკაზე.

სამყაროს ტოპონიმკური სურათის, როგორც ენობრივი სურათის ნაწილის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მასში აღბეჭდილია ადამიანთა ეთნოკულტურული გამოცდილება და ცოდნის სხვადასხვა სახე, მათ შორის ყოფითი, კულტურული და ისტორიულ-სოციალური. ტოპონიმკა მნიშვნელოვანი წყაროა აქ მცხოვრები ადამიანების ისტორიის, ბედის გასაგებად. ტოპონიმსაც თავისი ცხოვრება აქვს: იბადება, იცვლის ფორმას, „ბერდება“ და ქრება, ტოპონიმის სიცოცხლის ხანგრძლივობა უამრავ ფაქტორზე დამოკიდებული.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტოპონიმკური სურათის შესწავლა იქ, სადაც მასობრივი მიგრაციული ტალღების შედეგად შექმნილი დასახლებებია.

ბუნებრივია, ფერეიდნელი ქართველების ოთხასწლოვანი ცხოვრების ისტორია სპარსეთის მიწაზე ტოპონიმიაშიც აისახა.

მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან ფერეიდნელმა ქართველებმა თავად დაიწყეს ფერეიდნული ტოპონიმების მოძიება და მოგროვება. მათ შორის იყო იმ დროს ფერეიდნის მარტყოფში მცხოვრები (ამჟამად იგი თავისი ოჯახით ქალაქ ისპაჰანში ცხოვრობს) ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი). მის მიერ შეკრებილი მარტყოფის ტოპონიმთა უმეტესობა წარმოდგენილი იყო საქართველოში ტაბახმელაში გამართულ საზღვარგარეთ არსებული სათვისტომოების კონგრესზე 1997 წელს.

2002 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებულში (II) დაიბეჭდა თედო უთურგაიძის, დარეჯან ჩხუბიანიშვილისა და ჯემშიდ გიუნაშვილის სტატია „ზემო მარტყოფის მიკროტოპონიმების შესწავლისათვის“. სწორედ ამ სტატიით იწყება ფერეიდნის მიკროტოპონიმების მეცნიერული კვლევა.

სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ მიკროტოპონიმების ანალიზის დროს ეყრდნობიან ძირითადად რეზო დავითაშვილის მიერ შეკრებილ მარტყოფის მიკროტოპონიმებს. სტატიას ერთვის ტოპონიმთა ჩამონათვალი (148 ერთეული) [ჩხუბიანიშვილი 2012: 151]. ტოპონიმების წარმოდგენის შემდეგ ავტორები სვამენ ორ კითხვას: 1. სად და რა პარალელი ეძებნება წარმოდგენილ ტოპონიმებს და 2. რა არის სპეციფიკური ამ კუთხისათვის? [უთურგაიძე და სხვ. 2002].

კვლევის შედეგად მათი შეფასებით ზემო მარტყოფის მიკროტოპონიმების წარმოების ყველა მოდელი პარალელს პოულობს კახეთ-საინგილოსა და საქართველოს სხვა რეგიონების მასალასთან. სპეციფიკურად კი ჩათვლილია ის ერთეულები, რომლებიც, შექმნილია ამ კუთხეში მომხდარი მოვლენების, ისტორიული გადმოცემების, ლეგენდების, რელიეფის თავისებურების თუ სხვა მოვლენათა გათვალისწინების საფუძველზე, თუმცა იქვე იმეორებენ, რომ ტოპონიმთა წარმოების წესები უგამონაკლისოდ არის ქართული. ავტორები აღნიშნავენ, რომ არ გვხვდება ტოპონიმთა წარმოების წესების უმეტესობის შემთხვევები. ასევე არც **-ურ, უ-რა (უ-ლა), ეულ** და სხვა მაწარმოებლები.“

ფერეიდნულ ტოპონიმებს ეხება ასევე მურად კემულარიასა და სულხან ქურდოშვილის (ფერეიდნული ქართველი, სოფელ თორელში მცხოვრები), სტატია „ფერეიდნის ტოპონიმებიდან“, რომელშიც წარმოდგენილია 200-მდე ერთეული, მასალა მოიცავს არა მხოლოდ მარტყოფის ადრე გამოქვეყნებულ ერთეულთა დიდ ნაწილს, არამედ თორელისა და ახჩის ტოპონიმებსაც.

ფერეიდნული ქართველები დღესაც ინტერესდებიან ფერეიდნული ტოპონიმების შეკრებით. 2017 წელს გამოვიდა რუჰოლა სეფიანის (ლადო სეფიაშვილის) წიგნი „ირანის ქართველების მშობლიური მხარე“ (სპარსულ ენაზე), რომელშიც განხილულია ფერეიდნის ტოპონიმები.

2008 წლიდან ჩვენ რამდენჯერმე ვიყავით ფერეიდანში და, შეძლებისდაგვარად, ჩავიწერეთ საკმაოდ დიდი მასალა ყველა ქართულ დასახლებაში.

1.2. ტოპონიმები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში

მიგრანტთა ისტორიის, თავდაპირველი საცხოვრისის გასარკვევად და დასაზუსტებლად გეოგრაფიული სახელების შესწავლა და ანალიზი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. ტოპონიმის შესწავლა აუცილებელია იმისთვის, რომ უკეთ დავინახოთ და შევიგრძნოთ იძულებით გადასახლებულ ქართველთა ისტორია, ყოფა, დავინახოთ ახალი საცხოვრებელი ადგილების ათვისების, დამკვიდრებისა თუ ახალი რეალობის მიღების გზის რთული და წინააღმდეგობებით სავსე პროცესები.

თავის ნაშრომში „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეტიმოლოგიური პრობლემები“ ივანე ჯავახიშვილი ამიერ და იმიერკავკასიის გეოგრაფიული სახელების ანალიზს გვთავაზობს და აღნიშნავს, რომ „ისტორიული საქართველოს მიწა-წყლის ოდინდელი მოსახლეობის ეროვნული ვინაობის გამოსარკვევად ერთ საუკეთესო საშუალებათაგანად უნდა გეოგრაფიული სახელების ანალიზი იყოს მიჩნეული“ [ჯავახიშვილი 1998: 42].

იგივე შეიძლება გავიმეოროთ ჩვენც ფერეიდნული ტოპონიმების შესწავლის პროცესში: საქართველოდან იძულებით გადასახლებულთა ახალ საცხოვრისში დადასტურებული გეოგრაფიული სახელების ანალიზი საუკეთესო საშუალებაა აქ მცხოვრები ქართველების „ეროვნული ვინაობის გასარკვევად“.

მიგრანტების მიერ დარქმეული სახელები ხშირად მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტების უტყუარი მოწმეები არიან, თითქოს უჩინო და არაფრით გამოჩნეული ტოპონიმები კი თავისი ფორმითა თუ შინაარსით საყურადღებო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. მეხსიერებით წაღებული ცოდნა და ინფორმაცია, პარალელები, ერთგვარი წარმოება ტოპონიმისა, ერთგვარი ხედვა სივრცის, რელიეფის შეფასების ერთგვაროვანი უნარი სწორედ ერთი „ეროვნული ვინაობის“ გამომხატველია.

იძულებით გადასახლებულთა დამკვიდრება ახალ ადგილზე, ბუნებრივია, დაკავშირებულია უამრავ სირთულესა და წინააღმდეგობასთან, საუბარია არაა მხოლოდ ფიზიკურ, მატერიალურ პრობლემებზე, არამედ სულიერ, ემოციურ მდგომარეობაზე. ადამიანი თავისი წარსულით, რომელიც მისი მეხსიერების, მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, ცდილობს ახალ რეალობაში მოქცევას, დამკვიდრებას და გარემოს გაათავისუფლებს. ეს არის სწორედ ერთ-ერთი მიზეზი მშობლიური ტოპონიმების დუბლირებისა ახალ საცხოვრისში.

ისტორიული ტექსტების კვალდაკვალ ტოპონიმია შეიძლება აღმოჩნდეს საიმედო წყარო ინფორმაციისა იმ ადამიანთა ისტორიული ბედის შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ ამ ტერიტორიაზე.

ფერეიდნის მაკროტოპონიმის ერთი ნაწილი ქართული წარმოშობის ტოპონიმები, ე.წ. „სეხნია ტოპონიმებია“, რომელთა არსებობა ფერეიდანში სავარაუდოდ მოსახავს იმ არეალს, რომლიდანაც გადაასახლეს ქართველები სპარსეთში. ამ ტიპის ტოპონიმებს მეხსიერებით წაღებულ სახელებს ვუწოდებთ: ვაშლოვანი, მარტყოფი // ახორა // აკურა, შავსოფელი, თორელი, რუისპირი...

„სენია“ ტოპონიმების გვერდით იქმნება ახალი ტოპონიმებიც იმ სტრუქტურული მოდელების მიხედვით, რომლებიც მათი მშობლიური რეგიონისა თუ ზოგადად, საქართველოს სხვა კუთხეებისთვის არის დამახასიათებელი.

ფერეიდნული ტოპონიმების კვლევა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან რეგიონი პოლიეთნიკურია: ქართული დასახლებების გარშემო გვხვდება სომხების, თურქების, ლურების, ბახტიარების სოფლები. დღეს ვეღარ ვისაუბრებთ მხოლოდ ქართველებით დასახლებულ სოფელზე, დაბასა თუ ქალაქზე, ფაქტობრივად, ყველგან შეგვხვდება სხვა ეროვნების მაცხოვრებელიც.

როგორც ისტორიული წყაროებიდან დასტურდება, ქართველების ჩამოსახლების დროს ამ რეგიონში უკვე სახლობდნენ სომხები (გადასახლების წლები – 1603-1605), ბახტიარები, ლურები. სწორედ მათ მეზობლად მოუხდათ ქართველებს დამკვიდრება და ადაპტირება ახალ გარემოსთან. ეს მეზობლობა აისახა ფერეიდნის ტოპონიმებში. მისი ერთი ნაწილი არ არის ქართული წარმომავლობისა და, სავარაუდოდ, უნდა უკავშირდებოდეს მეზობელ ეთნიკურ ჯგუფებს. ზოგიერთ ოიკონიმს რამდენიმე სახელი აქვს ერთდროულად. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ თორელი, – ამ ქართულ დასახლებას ასევე აქვს თურქული დასახელება – **დომბექმარი** და სპარსული – **მიანდაში**. რა თქმა უნდა, ოფიციალურ-ადმინისტრაციული სახელწოდება სპარსულია – **მიანდაში**, უფრო სწორად ბოინ-მიანდაში – ორი ქართული დასახლება, თორელი და ბოინი, გაერთიანებულია ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად და დღეს მას უკვე ქალაქის სტატუსი აქვს. ასევეა: **მარტყოფი – ფერეიდუნშაპრი; ნინოწმინდა – ქუდუბანაქი, რუისპირი – აფუსი** და ა. შ. დღეს, ბუნებრივია, სპარსული წარმომავლობის ტოპოერთეულები ოფიციალური, ადმინისტრაციული სახელწოდებებია. ასევე შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ქართული ტოპონიმების გასპარსულების პროცესს: სოფელი ვაშლოვანი იწოდება სიბაქად. **ვაშლოვანი – სიბაქი** (სიბ – სპარს. ვაშლი). საინტერესოა, რომ სპარსულად ნათარგმნი ტოპონიმის ხელახალი გააზრების საფუძველზე ბოლო დროს გაჩნდა ახალი ხალხური ეტიმოლოგიაც: **სიბაქი (ი)** – სპარსულად ოცდაათი ბეგი, დიდებული.

ის, რომ მაკროტოპონიმთა დიდი ნაწილი სინონიმური ხასიათისაა და ერთ დასახლებულ პუნქტს რამდენიმე სახელწოდება აქვს, გამოწვეულია ამ რეგიონის ისტორიული თავისებურებით. საუკუნეების წინ ფერეიდანში გადასახლებული და ხანგრძლივ იზოლაციაში მოქცეული ქართველები განიცდიდნენ ძლიერ ენობრივ გავლენას. ამავე დროს მოქმედებდა თვითგამიჯვნის ასევე ძლიერი ტენდენცია, რომელიც უძალიანდებოდა უცხო ენის ექსპანსიას. ქართული ტოპონიმებისა და, ზოგადად, ტოპონიმების წარმოებაში ქართული მოდელების შენარჩუნება ამ ჭიდილის ერთ-ერთი ნათელი გამოვლინებაა.

1.3. ფერეიდნის რეგიონის მაკროტოპონიმები

დღეს ქართული სოფლები ფერეიდნის რეგიონში განლაგებულია ფერეიდუნშაპრისა და ფარიდანის შაპრესტანებში (რაიონი). ზოგჯერ ცალკე ოლქად გამოყოფენ ბოინ-მიანდაშოს. პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს რეგიონის დასახელება, სადაც ქართველები ცხოვრობენ. ამ რეგიონის სახელად წყაროებში სხვადასხვა პერიოდში გვხვდება: **ფერია; ფერიეთი, ფრეოდანი, ფერეიდანი, ფარიდანი, ფერიდუნი, ფარაიდანი.**

ფერეიდანი, როგორც ჩანს, ოთხ **ნაწილად (ნაპაიად) იყოფოდა**. ამ ოთხიდან ერთს ერქვა **ნაპაია გორჯი**. ეს ტოპონიმი სპარსულია და ქართულად ნიშნავს ქართველების უბანს. პირველად სახელწოდება **ნაპაია გორჯი** გვხვდება ლალო აღნიაშვილის წიგნში: „ფერეიდანი დიდი მოზრდილი ადგილია, – განიყოფება ოთხ ნაწილად. თითო მათგანს ეწოდება სახელად ნაპაია. ნაპაია გორჯი, ნაპაია თოჰმაჰლუ, ნაპაია ვარზალ და ნაპაია ჩადეგუნ“ [ლ. აღნიაშვილი, 1896: 253; 189]. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ლალო აღნიაშვილის მიერ შედგენილ **ნაპაია გორჯის** რუკაზე მონიშნულია როგორც ქართული, ისე სხვა ეთნიკური ჯგუფებით დასახლებული სოფლები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ტოპონიმმა **ნაპაია გორჯიმ** შემოგვინახა ადრინდელი საზღვრები ქართველთა განსახლებისა ფერეიდანში. რუკას თავზე აწერია: „გურჯი ანუ ქართველთა ნაპაია“ [აღნიაშვილი 1896: 309].

ქართველების უბანზე ინფორმაციას გვაწვდის სეიფოლა იოსელიანი 1922 წელს [გიგინეიშვილი და სხვ., 1961: 153]. ამბაკო ჭველიძე, რომელიც 1927 წელს იყო ფერეიდანში, აღნიშნავს, რომ „ქართველების უბანს ეწოდება „გურჯი მაჰალე“, თუმცა სპარსულ ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებში ამ სახელს ადარ ახსენებენ. ისინი შედიან ბახტიარების საერთო აღწერაში, როგორც მაჰმადიანები, მათი ვინაობის აღუნიშნავად“ [ჭველიძე 1935: 64].

თვალი რომ გავადევნოთ 1872 წლიდან დღემდე ფერეიდნის ქართული სოფლების ჩამონათვალს, ვნახავთ, რომ მათი რიცხვი საკმაოდ დიდია:

ფერეიდუნშაპრი – იგივე **ქვემო ახორა** (ახორა ფაინი), **ზემო ახორა** (ახორა ბალა), იგივე **სოფელი**, **ზემო** და **ქვემო მარტყოფი**, **ზემო** და **ქვემო აკურა**; **აფუსი // აფუსი // აფრუზი**, იგივე **რუისპირი**; **თორელი // თოლელი** იგივე **მიანდაშთი**, **თელავი**, **დომბექამარი**, **ქამარი**; **ბოინი // ბუინი**, **დამქესანა**, **ჩულრუთი**, **ახჩა**, **სიბაქი** – იგივე **ვაშლოვანი**, **ჯაყჯაყი**; **შაიურდი // შაპიურთა // შავურდი // შავურთი // შაპურდი**; ასევე დასახელებულია: **დეესური // დეჰსური**; **ნინოწმინდა // ქულუბანაქი // ქულგუნაქი**; **შანათი // შანათი**; **დარბენდი // დარბანდი**; **სარდაბი**; **ბადიგანი**; **ალაგოლი**; **უზუნ ბულაყი**; **ხამის ლიანი**; **აგჭალა**; **გიორგიწმინდა**; **ხუნგი**; **თონეთი**; **ყარაბალი**; **კუთხე**; **გალმა სოფელი**; **ხევის პირი**; **მელაანი**; **მუკუზანი**; **მაჩნანი**; **მეჯრუხევი**; **ნორიო**.

როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავს, „იშვიათი არაა გეოგრაფიული სახელების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე მოსახლეობის გადასახლების გამო, როგორც ამას ნათლად ვხედავთ შაჰ-აბასის მიერ კახეთიდან ირანში გადასახლებულ ქართველთა

მაგალითზე“. ამის მაგალითად მეცნიერს მოჰყავს ფერეიდანში ქართული სოფლების სახელები: ნინოწმინდა, ჩუყურეთი, მარტყოფი, რაც მისი თქმით, მიგრაციული ტალღების შედეგია“ [შანიძე 1981: 441].

ამ ტიპის სახელები მიეკუთვნება იმ ჯგუფს, რომელშიც ერთიანდება მიგრანტთა მიერ წაღებული და მენსიერებით შემორჩენილი ტოპონიმები.

„წაღებულ“ ტოპონიმებზე საუბრობს 1885 წელს სპარსეთში მოღვაწე მღვდელი ევსევი ცაბაძე:

„რომელი სოფლიდამაც წამოუყვანიათ ეს უბედურები საქართველოდამ, სადაც დაუბინავებიათ, თავიანთ სოფლების სახელები დაურქმევიათ იმ ალაგებისათვის. ამისთვის თურმე ხშირად შეხვდებით იმ ალაგებში **მარტყოფის, ნინო წმიდის, მეჯრუხევის, ნორიოს** და სხვა სოფლების სახელებს“ [ცაბაძე 1885: 7].

ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეჯრუხევი (მეჯვრისხევი – შიდა ქართლის სოფელი) არსად არც ერთ წყაროში არ გვხვდება, გარდა ამ წერილისა. ნორიოს ასხენებს ათამ ინიკაშვილი და აღნიაშვილი ვერ ადასტურებს ამ ფაქტს ადგილზე. ამდენად, აღნიაშვილის ჩასვლამდე 9 წლით ადრე ნორიოსა და მეჯრუხევის დასახლება ქართულ სოფლების სახელებად ირანში, საგულისხმო ფაქტია.

დღეისთვის ქართული სოფლების მხოლოდ ცხრა სახელწოდებაა შემორჩენილი, ესენია: **აფუსი (რუისპირი), ბონ-მიანდაშთი (ბონი, თორელი), ახჩა, დაშქესანა, ფერეიდუნშაპირი (ახორა; მარტყოფი), ნეკზად აბადი (ჯაყჯაყი), სიბაქი (ვაშლოვანი), ჩულრუთი**. ქართველები ასევე მოსახლეობენ სოფელ ხუნგში, რომელიც ადრე სომხების დასახლება იყო. 1946 წლის რეპატრიაციის შემდეგ სომხები აქ აღარ სახლობენ.

ფერია // ფერეიდან

პირველი ტოპონიმი, რომელიც ქართულ წყაროებში გვხვდება, არის რეგიონის სახელი **ფერია**, იგივე **არაყის ფერია**²³⁵, მაკროტოპონიმი, რომელიც ქართველ ისტორიკოსებთან გვხვდება სპარსეთში იძულებით ჩასახლებულ ქართველთა საცხოვრისის სახელად:

„შაბაზ ყეენმა კახეთი წაახდინა და აჰყარა და **ფერიას** გადაასახლა (წიგნი ქორონიკონნი, 1614)“ [ჟორდანიას 1897: 441]; „წავიდნენ, შეეყარნენ აზატ-ხანს **ქვეყანასა არაყისასა ფერიას**“ [ორბელიანი 1981: 209].

იმ ფაქტს, რომ ადრე ფერეიდანს ფერიას უწოდებდნენ, ადასტურებს ლალო აღნიაშვილიც, პირველი ქართველი, რომელმაც ფერეიდნელთა მონახულების მიზნით 1894 წელს იმოგზაურა სპარსეთში. იგი წერს: „მთელ ამ პროვინციას, სადაც მოსახლეობენ ქართველები, ეძახიან ფერეიდანს და ზოგნი ფერიასაც...“ [აღნიაშვილი 1896: 188].

235. Araq -ძველი ქართული ტრადიციით არაყი. ფერეიდანი ადრე შედიოდა არაყის რეგიონში.

ლადო აღნიაშვილის განმარტებაც ნათელყოფს, რომ მე-18 საუკუნისთვის ცოცხალი ტოპონიმი ფერია მე-19 საუკუნის ბოლოსთვის საქართველოში იკარგება და ადგილს უთმობს ფერეიდანს.

ქართულ პრესაში სწორედ მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან აქტიურდება ფერეიდნელი ქართველების თემა. ამას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო 1871 წელს ფერეიდნიდან საქართველოში პირველი ფერეიდნელი ქართველის ათამ ონიკაშვილის ჩამოსვლამ.

ფერეიდნის ქართული სოფლების დასახელება 1872 წლიდან გვხვდება ქართულ პრესასა და პუბლიცისტიკაში, თუმცა პირველ პუბლიცისტურ წერილებში არსად არაა ნახსენები არც **ფერია**, არც **ფერეიდანი**, **ფერიდუნი** თუ **ფერიდანი**. მათ ნაცვლად გვხვდება: სპარსეთში მცხოვრები ქართველების სოფლები, უფრო კონკრეტულად, ისპაჰანის მახლობლად მდებარე ქართული სოფლები.

1877 წლის „დროების“ 186-ე ნომერში გადმობეჭდილია ინფორმაცია ეჩმიადინის სომხურ ჟურნალ „არარატიდან“. სტატიაში არის ცნობები გადასახლებული ქართველების შესახებ: „სულ 2000 ოჯახი ქართველები ცხოვრობენ **ფრეიდანის** მაზრის სხვა-და-სხვა სოფლებში, ყველა ესენი თითქმის ნამდვილ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ; ხასიათითა და ჩვეულებით ქართველები არიან, მხოლოდ სარწმუნოება მაჰმადის მიუღიათ“.

ყურადღებას იქცევს ამ სტატიაში ტოპონიმი **ფრეიდანი** (სრული გახმოვანებით **ფერეიდანი**), რომელიც, სავარაუდოდ, პირველად ჩნდება ქართულ პრესაში და ამის შემდეგ თანდათან შემოდის მიმოქცევაში.

ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში ისევ იბეჭდება სპარსელი ქართველების თემაზე სტატია. ისევ მითითებულია წყაროდ ეჩმიადინის სომხური ჟურნალი „არარატი“. ამ სტატიაში ფერეიდანი ორი ფონეტიკური ვარიანტითაა წარმოდგენილი: **ფრეჰოდანი** და **ფრეიდანი**.

ზაქარია ჭიჭინაძე 1895 წელს აქვეყნებს ნაშრომს: „ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი“, რომელშიც ქართველებით დასახლებულ რეგიონს უწოდებს **ფრეოდანს**.

ლადო აღნიაშვილი თავის წიგნში ამ რეგიონს ფერეიდანად მოიხსენიებს, თუმცა სულ რამდენჯერმე ასსენებს მას.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი საყურადღებო ფაქტი. ცნობილი ირანის-სტი იური მარი თეირანიდან თავის მამას, ნიკო მარს, 1925 წლის 4 მაისით დათარიღებულ წერილში სწერდა, რომ აპირებდა ქართველების სოფლებში ასვლას. ის ამ რეგიონს უწოდებს ფერიდუნს // ფერეიდანს: „У грузин в Феридуне, или как армяне говорят в Ферейдане буду (ვიქნები ქართველებთან **ფერიდუნში**, ან როგორც სომხები ამბობენ – **ფერეიდანში**)“ [მარი 1962:55]. როგორც ვხედავთ, იური მარმა გამიჯნა ერთმანეთისგან ეს ორი სახელწოდება იმის მიხედვით, თუ ვინ იყენებს მას: ფერეიდანი, როგორც სომხები უწოდებენ ამ მხარეს, და ფერიდუნი, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო გავრცელებული ფორმა უნდა ყოფილიყო იმ დროისთვის.

სავარაუდოდ, ქართულ პრესაშიც სწორედ სომხურიდან თარგმნილი სტატიის შემდეგ დაბეჭდილ ტოპონიმი **ფერეიდანი**. სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაში ამ დროისთვის დაკარგულია ცოდნა **ფერიას** შესახებ და მის ადგილს **ფერეიდანი** ადვილად იკავებს.

გორჯი ნაჰაია

ეს ტოპონიმი სპარსულია და ქართულად ნიშნავს ქართველების უბანს. პირველად ეს ტერმინი გვხვდება ლადო აღნიაშვილის წიგნში: „ფერეიდანი დიდი მოზრდილი ადგილია, – განიყოფება ოთხ ნაწილად. თითო მათგანს ეწოდება სახელად ნაჰაია. ნაჰაია გორჯი, ნაჰაია თოჰმაჰლუ, ნაჰაია ვარზალ და ნაჰაია ჩადეგუნ“ [აღნიაშვილი 1896: 189]. როგორც ვხედავთ, **ნაჰაია გორჯი** ქართული დასახლებების სახელია.

თუ ლადო აღნიაშვილის მიერ შექმნილ ნაჰაია გორჯის რუკას გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ ეს ტერმინი მოიცავს როგორც ქართულ, ისე სხვა ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ სოფლებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ტოპონიმმა ნაჰაია გორჯიმ შემოგვინახა ადრინდელი საზღვრები ფერეიდანში ქართველთა განსახლებისა.

1872 წლის პუბლიკაციაში ყურადღებას იქცევს ჰიდრონიმი ყულევას წყალი:

„ისპაჰანიდამ ჩრდილოეთ დასავლეთისაკენ ხუთი დღის სავალზედ, ყულევას წყლის პირას მდებარეობს ექვსი სოფელი, რომელთა მცხოვრებნი ქართველთა ჩამოშავლობისანი არიან და თითონაც ქართველად იწოდებიან [ყიფიანი 1872: 1].

სამწუხაროდ, ეს ჰიდრონიმი დღეისათვის დაკარგულია. ის არ დასტურდება შემდგომ პუბლიკაციებში, ვერ დავადასტურებთ ვერც ფერეიდანში ჩვენი ყოფნის დროს.

ქართული დასახლებები ფერეიდანში

როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთ ქართული დასახლება ფერეიდანში რამდენიმე სახელითაა ცნობილი. მათ სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელი ჰქონდათ. ზოგიერთ მათგანს გარკვეულ პერიოდში პარალელურად ორი ან მეტი სახელითაც მოიხსენიებენ. ეს ბუნებრივიცაა, უცხო გარემოში ქართველებისგან შექმნილ ტოპონიმს, განსაკუთრებით ოიკონიმებს, ხშირად ქართული და სპარსული სახელდება აქვს, – ერთი ოფიციალური და მეორე – „შინაური“. ხშირ შემთხვევაში სინონიმური ტოპონიმები აქ მცხოვრები ქართული ეთნიკური ჯგუფების ისტორიის ანარეკლია.

ფერეიდუნშაჰრი // მარტყოფი // სოფელი // ახორა // აკურა

ამ მხრივ გამოსაყოფია ქართულ დასახლებათა შორის ერთ-ერთი, დღეს უკვე ქალაქის სტატუსის მქონე დასახლება, რომელსაც ოფიციალურად **ფერეიდუნშაჰრი** ჰქვია. იქ მცხოვრები ქართველები მას **სოფელს** უწოდებენ და საკუთარ თავს სოფლიველებს. რამდენიმე ქართული სოფელი: თორელი, ბოინი, დაშქესანა, ახჩა მარ-

ტყოფად მოიხსენიებს მას. ძველი ცნობებით ის ორ ნაწილად იყოფოდა: **ზემო ახორა** და **ქვემო ახორა**, იგივე **ზემო მარტყოფი** და **ქვემო მარტყოფი**.

ამავე დასახლებას უნდა უკავშირდებოდეს საქართველოში ჩამოსული პირველი ფერეიდნელის ათამ ონიკაშვილის ინფორმაციის მიხედვით დასახელებული ტოპონიმები: **ზემო აკურა** და **ქვემო აკურა**.

ფერეიდნის დიდი ქართული დასახლება რამდენიმე სახელით მოიხსენიება: **ფერეიდუნშაპრი // მარტყოფი // სოფელი // ახორა // აკურა**. აქედან მისი ადმინისტრაციული სახელწოდებაა **ფერეიდუნშაპრი**.

ფერეიდუნშაპრი

ეს ქალაქი ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია აფუსის მთით, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან საზღვრავს ყაბლესა და ღეზის მთები, აღმოსავლეთიდან კი მაჰავერის ბორცვი აკრავს [ჭიპაშვილი 1972: 89].

ფერეიდუნშაპრი გასული საუკუნის 60-იან წლებში შექმნილი ტოპონიმია. 1965 წელს ეს ორი დასახლება: **ქვემო ახორა (ახორა ფაინი)** და **ზემო მარტყოფი (ახორა ბალა)** გაერთიანდა და მას ოფიციალურად ეწოდა **ფერეიდუნშაპრი**. ოფიციალური სახელის დარქმევისას განიხილებოდა სამი შესაძლო ვარიანტი: გორჯი შაპრი (ქართველების ქალაქი), გოლე შაპრი (ყვაილების ქალაქი) და ფერეიდუნშაპრი. არჩევანი მესამე სახელწოდებაზე შეჩერდა.

ამ ქალაქის თანამედროვე დასახელება ხშირად გაუგებრობის მიზეზი ხდება: ზოგიერთი ფერეიდანსა და ფერეიდუნშაპრს აიგივებს ერთმანეთთან, რაც ხშირად დანარჩენი სოფლების ქართული მაცნოვრებლების გულისწყრომას იწვევს. მსგავსი გაიგივება მათ მოუსმენიათ ქართული სატელევიზიო არხების საშუალებითაც, რომლებსაც ისინი მუდამ უსმენენ. ჩვენც ხშირად მოგვისმენია საყვედური იმის გამო, რომ ფერეიდუნშაპრი და ფერეიდანი ზოგჯერ ერთი დასახლების სახელად არის მიჩნეული. ეს უხერხულობა შენიშნული აქვთ უცხოელ მკვლევრებსაც, რომლებმაც ფერეიდანში მოისმინეს ადგილობრივებისაგან მათი წუხილი ამ შეცდომის გამო²³⁶.

ზემო ახორა, სხვაგვარად ახორა ბალა // ქვემო ახორა, სხვაგვარად ახორა ფაინი

ასე უწოდებდნენ ფერეიდუნშაპრის ნაწილებს, სანამ გაერთიანდებოდა და ქალაქის სტატუსს მიიღებდა. **ზემო მარტყოფი (ახორე ბალა // ზემო ახორა)** ყველაზე დიდი დასახლება იყო არა მხოლოდ ქართულ სოფლებს შორის, არამედ მთლიანად, ფერეიდნის ყველა დასახლებას შორის. აქ იყო დაახლოებით 1000 კომლი. ყველა საუბრობდა ქართულად [ამჟროვი 1944]. ქვემო ახორაში // ახორა ფაინში კი მეოცე საუკუნის ოციან წლებში უკვე სპარსული მეტყველება დასტურდება.

236. Mateusz, B. Vostryakova, M. <http://www.kaukaz.pl/gruzini-w-iranie/mateusz-bajek-iranscy-gruzini.pdf>

1877 წ. გაზეთი „დროება“	ზემო ახორი	ქვემო ახორა
ლადო აღნიაშვილი	ზემო (ბალა) ახორა	ქვემო (ფან)ახორა
სეიფოლა იოსელიანი 1922	ახორა-ბალა	ახორა-ფაინი
ალი რაზმარა 1954	ახორე ბალა	ახორე ფაინი
აშუროვი 1944	ზემო ახორა	ქვემო ახორა

სამეცნიერო ლიტერატურაში **ახორა** // **ახორეს** ორგვარ ეტომოლოგიას ვხვდებით: **გიორგი ჭიპაშვილი** ირანელი გენერლის **რაზმარას** ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს: „*მარტყოფი ფერეიდანის მთისძირის ჭიშკარს წარმოადგენს. იგი უკიდურეს მთებში მდებარეობს და ახორეს სახელწოდებაც აქედან მიუღია. სიტყვა ახორე ეტიმოლოგიურად ახერიდან მომდინარეობს. „ახერ“ სპარსულია და ქართულად ბოლოს, კიდეს ნიშნავს*“ [ჭიპაშვილი 1972: 89].

ასეთსავე განმარტებას ვხვდებით **მარიამ კუტალაძის** საკანდიდატო დისერტაციაში „ფერეიდანი და ფერეიდნელები“. ავტორი მას სპარსულ სიტყვად მიიჩნევს: ახორე – ბოლო, კიდურა ნაწილი. „*ეს სიტყვა სპარსულია, ასე დაარქვეს მას ალბათ იმიტომ, რომ ეს სოფელი ფერეიდანის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ახორე ე.ი. ბოლო, კიდურ ნაწილს ნიშნავს*“ [კუტალაძე 1990: 82].

ლადო აღნიაშვილს ამ სიტყვის სხვაგვარი განმარტება აქვს თავის წიგნში: „ახორა [კი] არაბული სიტყვაა და ნიშნავს ბაგას“ [აღნიაშვილი 1896: 190].

ამავე მნიშვნელობითაა ახორი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში: „ახორი (მსურ Aa.) ქართული არ არის, ბ ა გ ა ს ჰქვიაან ZA. (უჰმ.) ცხენის ბაგა B. ცხენის ბაგა Cab. ბაგა CqD.“

ახორი შესულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: ახორი (ახორისა) – ცხენის ბაგა (საბა); 2. სახლს მოშენებული (ან მოლობილი) სადგომი, სადაც ზამთარში საქონელს აბამენ, – ბოსელი.

ეს სიტყვა დასტურდება ქართული ენის დიალექტებში, მათ შორის ჯავახურ დიალექტშიც: **ახორი** პირუტყვის სადგომი, ბოსელი.

ახორას ეტომოლოგიაზე განხვავებული ვერსიები შეგვხვდა ბაბაკ რეზვანის ნაშრომში. მკვლევარი განიხილავს ფერეიდნის ქართული ქალაქებისა და სოფლების დასახელებებს კავკასიის ადგილის სახელებთან მიმართებით. ახორას ერთ-ერთი ვერსიით უკავშირებს მდინარე ახორიანს, რომლის ნაპირებზეც განლაგებულია ძველი ქალაქი **ანი** (ანისი), თანამედროვე სომხეთისა და თურქეთის საზღვარზე. მას ეს საუკეთესო ეტიმოლოგიურ ახსნად მიაჩნია ახორასთვის, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ადგილობრივებს სჯერათ, რომ ეს ტოპონიმი წარმოდგება სპარსული სიტყვიდან **ახარე** (Akhare) (ბოლო პუნქტი, ბოლო ნაწილი) ან **ა(ბ) ხორედან** (A (b) khore) (სასმელი წყალი); სტატიის ავტორი უშვებს კიდევ ერთ ვერსიას: **თუ ხორრე** (to Khorre (or Farre)), რაც ღვთაებრივ კურთხევას ნიშნავს [Rezvani 2008:608].

ჩვენი აზრით, არც ერთი ამ ეტიმოლოგიური ძიებიდან არ უნდა იყოს სარწმუნო. ყველასთვის ცნობილია, რომ სახელთა ეტიმოლოგია ძალზე საფრთხილო საქმეა

და არ არის შედეგიანი მხოლოდ გარეგნული, ფორმობრივი მსგავსების საფუძველზე მსჯელობა.

ვფიქრობთ, ტოპონიმ **ახორას** კვალი საქართველომდე მოდის.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა საინტერესო ცნობამ. საქართველოში ჩამოსული პირველი ფერეიდნელი ქართველის, ათამ ონიკაშვილის, ინფორმაციაზე დაყრდნობით ზაქარია ჭიჭინაძე ქართული სოფლების ჩამოთვლისას ახსენებს **ზემო აკურასსა და ქვემო აკურასს** ცალკე და **მარტყოფს** ცალკე დასახლებად მოიხსენიებს. იგი მცხოვრებ ქართველთა რაოდენობასაც მიუთითებს:

მარტყოფი – 1200 კომლი;.... ზემო აკურა – 30 კომლი; ქვემო აკურა – 20 კომლი“ [ჭიჭინაძე 1895: 22].

ნათელია, რომ აქ **მარტყოფი**, **ზემო აკურა** და **ქვემო აკურა** სხვადასხვა ოიკონიმად არის მიჩნეული, თუმცა ლაღო აღნიაშვილმა, რომელიც 1894 წელს ჩავიდა ფერეიდანში და მოინახულა ქართული სოფლები, ზემო და ქვემო აკურას არსებობა იქ ვერ დაადასტურა.

როგორც ლაღო აღნიაშვილი წერს, **აკურა** მცდარი ფორმა უნდა ყოფილიყო **ახორასი**:

„ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძეს დამყარებული აქვს ეს თავისი ცნობები რასაკვირველია ბ-ნ ონიკაშვილის სიტყვებზედ, და რომ ბ-ნ ონიკაშვილს სრული სისწორით არ უამბნია, ამაზე მე დავარწმუნებ მკითხველს შემდეგის მოსაზრებიდან: ორივე ეს სახელი ერთი და იმავე სოფლები საა. ზემო მარტყოფს სპარსელები ეძახიან ზემო (ბაღა) ახორასს და ქვემო მარტყოფს ქვემო (ფან) ახორასს. აქედან სიტყვა ახორა დაუახლოებია სიტყვასთან აკურა და გამოსულა ორი სოფლის ადგილას ოთხი სოფელი: ზემო მარტყოფი, ზემო აკურა, ქვემო მარტყოფი, ქვემო აკურა. ახორა კი არაბული სიტყვაა და ჰნიშნავს ბაგას“ [აღნიაშვილი 1896: 190].

მართლაც, ზემო და ქვემო **აკურა** გარდა ამ შემთხვევისა, სხვა წყაროში არსად გვხვდება, ადენად, ლაღო აღნიაშვილს სრული საფუძველი ჰქონდა შეენიშნა, რომ ათამ ონიკაშვილის ინფორმაცია მცდარი იყო. მისი აზრით, **ახორა** // **ახურა** ათამ ონიკაშვილის წარმოთქმით გაგებულ იქნა მცდარად და, სავარაუდოდ, შეცდომის მიზეზიც ეს გახდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზაქარია ჭიჭინაძე არ ითვალისწინებს ლაღო აღნიაშვილის შენიშვნას, ტოპონიმები **ზემო და ქვემო აკურა** უცვლელად გადმოაქვს მომდევნო გამოცემებშიც. 1906 და 1907 წელს ხელმეორედ გამოცემულ წიგნებში იგი იმავე თანმიმდევრობით გვაძლევს სოფლების ჩამონათვალს. უცვლელადაა შეტანილი **ზემო აკურა** და **ქვემო აკურა** წლების შემდეგაც, 1922 წელს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გაზეთ ტრიბუნაში დაბეჭდილ სტატიისში. აქაც **ზემო აკურა**, **ქვემო აკურა** და **მარტყოფი** ცალკე დასახლებებად მოიაზრება.

აკურას შესახებ საუბრობს ამბაკო ჭელიძეც:

„ათამ ონიკაშვილს სოფლის სახელებიც კი აურევია. მას მოხსენებული აქვს ერთი მარტყოფი და ამავე დროს ასახელებს „ქვემო და ზემო აკურას. ეს „აკურა“ გადა-

მახინჯებულა და, შესაძლოა, ბეჭდვის დროს დაუშვეს ეს შეცდომა. ნამდვილად კი „აკურა“ ახორა – იგივე მარტყოფი. ა. ონიკაშვილს არა აქვს აგრეთვე მოხსენებული ისეთი დიდი და ნამდვილი ქართული სოფლები, როგორცაა ჯაყჯაყი, ნინოწმინდა და სიბაქი. სამაგიეროდ, მას აქვს სრულიად სხვა სახელები – მელაანი, მუკუზანი და მაჩხაანი, რომლებიც არც აღნიაშვილს აქვს მოხსენებული, და არც სხვებს უხსენებიათ შემდგომ“ [ჭელიძე 1935: 167].

ჩვენი აზრით, ათამ ონიკაშვილის მიერ ნახსენები აკურა არ უნდა იყოს შეცდომის შედეგი, ვფიქრობთ, ზემო და ქვემო ახორა და ზემო და ქვემო აკურა ერთი და იმავე დასახლებების სინონიმური სახელწოდებები იყო ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებისათვის ფერეიდანში ზუსტად ისევე, როგორც ეს საქართველოში დასტურდება ძველ წყაროებში.

ქართული ისტორიული ლოკუმენტების შესწავლამ ძალზე საყურადღებო სურათი გვიჩვენა და ჩვენი ვერსია გაამყარა. ამ ლოკუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვილაპარაკოთ შუა საუკუნეების საქართველოში აკურას სახელწოდებით არსებულ რამდენიმე სოფელზე:

1. სოფელი აკურა, რომელიც დღესაც არსებობს დღევანდელი თელავის რაიონში. თუ ისქანდერ მუნშის ცნობებს დავყრდნობით, შაჰ-აბასს ერთ-ერთი ლაშქრობის დროს საქართველოზე სწორედ ამ სოფლის გზაზე გაუვლია, გრემთან მისულა და დაბინავებულა. შუა საუკუნეების ლოკუმენტებში ამ სოფლის სახელად აკურას პარალელურად გვხვდება ახურა: „აკურა – 1798 – თქვენ მაღალღირსებას, წმინდას დავით გარესჯის მონასტრის არქიმანდრიტს თეოდოსის, მე, ბასილაშვილმან მღვდელმა დავით ჩემი შვილებით თავი შემოგწირე და თქვენც... მამული მიბოძეთ და დამასახლეთ ახურას...“ [ქორდანია 1903: 167-168].

აკურის ბოლო 1792 ღმერთმან... საქართველოს მეფის ჭირი მოსცეს – დავით გარესჯის მონასტრის წინამძღუარს არქიმანდრიტს იოაკიმს... მოეხსენება მათს სიმაღლეს კალაურელთაგან რამთენი ძვირი შეგვამთხვივეს მონასტრის მამულისათვის ახურას ბოლოს სავნავ ზე... [ქსმ, VIII, 1985: 146].

„...ახურის ბოლოს, ალაზანში გამოღმა პირზედ, ვინც თარფი გააკეთოს, რადგან წმინდის დავით გარესჯის მამული არის, წინამძღვრის თეოდოსის შეკითხვით უნდა ჩაუდგას...“ [ქრონიკები 1903: 166].

ლოკუმენტები საკმაოდ ბევრია, პირველი დათარიღებულია 1597 წლით, 1708, 1710, 1748, 1871, 1786... წლებით დათარიღებული საბუთები: „აკურა 1711 – ჯანდიერი შვილები, ვაჩნაძენი და ახურელნი სავნავს მიწებზედ შეცილდნენ... აკურის ჯევი რომ მღრივეს ჯევის შეეყრების, ჩავლით ალაზნამდის, აკურელთ დარჩა“ [სიტ., I, 2010: 27].

2. აკურისი მდებარეობდა ქვემო ქართლში, ნასოფლარი: „აკურისი – 1654...ესე წყალობის წიგნი... გიბოძეთ ჩუენ მეფეთ-მეფემან შენ, ბარათაშვილის პაპუნასა ყმას აკურელს ამბალაშვილს ზურაბასა... და აკურის თქუენისავე მეზობლის საჩინოსა და

თაყაინთ საკერძოდამე გამრეკლური მამული თურქისტანიშვილის ბაგრატიანთვის ებოდა...“ [საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში [სიტ., I, 2010: 29].

3. აკრიანი, სოფელ მარტყოფის ძველი სახელწოდება, ეს სოფელი მდებარეობდა 5-6 კილომეტრის დაშორებით ახლანდელი მარტყოფიდან და ლეკიანობის გამო მოსახლეობა ბარისკენ ჩამოსახლდა.

ცნობილია, რომ შაჰ-აბასის დროს ქართველები აუყრიათ იმ ტერიტორიიდანაც, სადაც მდებარეობს მარტყოფი (იგივე აკრიანი) და, სავარაუდოდ, აქვე უნდა იყოს ნასოფლარი აკურისი.

შუა საუკუნეების წყაროების მიხედვით აკურა და ახურა // ახორა სინონიმური სახელწოდებებია ერთი და იმავე დასახელებისა საქართველოში.

ვფიქრობთ, სწორედ აკურას // აკურისის მოსახლეობა უნდა ყოფილიყო გადასახლებულთა შორის. ამდენად დასახლების ორი სახელით მოხსენიება: აკურა // ახურა ქართული ტრადიციის გამოძახილი ჩანს. ამ სინონიმური წყვილიდან მეტად გამძლე აღმოჩნდა ახურა // ახორა (უ:ო მონაცვლეობა ფერეიდნულისთვის ბუნებრივია, შდრ. გურჯი ფერეიდნულში სპარსულის გავლენით გამოითქმის როგორც გორჯი; უთო – ოთო და ა.შ.)

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფერეიდნის ქართული სოფლების ჩამონათვალში აკურა სულაც არაა შეცდომის შედეგი. ეს იმ ცოდნის გამოძახილია, რაც ათამ ონიკაშვილს ჰქონდა თავისი ბავშვობიდან, მაგრამ შემდეგ ქართული დასახლების სინონიმური სახელწოდებებიდან ერთი დაიკარგა და დარჩა ახორა. ახორას შენარჩუნებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ის გაიგივდა არაბულ ან თურქული წარმოშობის სიტყვასთან: ახორა – ბოლო, კიდე; ახორა – ბაგა. ქართველებისთვის ეს ტოპონიმი უკვე უცხოენოვანად (სპარსულად) გაიაზრებოდა. სწორედ ამიტომ საზგასმით აღნიშნავდა სეიფოლა იოსელიანი: „მარტყოფი, რომელსაც სპარსელნი ახორას ეძახიან“.

მარტყოფი // სოფელი

როგორი უცნაურიც უნდა იყოს, ასე უწოდებენ ამ დასახლებას არა თავად მარტყოფის მცხოვრებნი, არამედ, სხვა სოფლის მკვიდრნი: თორელები, ახჩელები (ახჩაველები), ბონელები და დაშქესნელები. თავად მარტყოფელები ამ დასახლებას სოფელს უწოდებენ, საკუთარ თავს კი – სოფლიველებს.

მარტყოფი [ზემო და ქვემო მარტყოფი] ფერეიდანში არსებული ქართული სოფლების აბსოლუტურად ყველა ჩამონათვალში ფიგურირებს, რომლებიც კი ოდესმე ვინმეს შეუქმნია:

1877 წ. გაზეთი „დროება“	ზემო მარტყოფი	ქვემო მარტყოფი	
ზაქარია ჭიჭინაძე 1895			მარტყოფი
ლადო აღინაშვილი 1896	ზემო მარტყოფი	ქვემო მარტყოფი	
გოგებაშვილი 1912	ზემო მარტყოფი	ქვემო მარტყოფი	

სეიფოლა იოსელიანი 1922	ზემო მარტყოფი	ქომო მარტყოფი	მარტყოფი
იური მარი 1925	ზემო მარტყოფი	ქვემო მარტყოფი	
ამბაკო ჭელიძე 1927	ზემო მარტყოფი	ქვემო მარტყოფი	
ირაკლი კანდელაკი 1944	ზემო მარტყოფი	ქვემო მარტყოფი	

დღეს ფერეიდნის მარტყოფის ხსენებაზე ყველას აგონდება საქართველოს მარტყოფი და, როგორც წესი, მათ ერთმანეთთან აკავშირებს. ბევრი ფიქრობს, რომ ფერეიდნის მარტყოფის მცხოვრებნი საქართველოს მარტყოფიდან უნდა იყვნენ გადასახლებულები, თუმცა, როგორც ვთქვით, არ არსებობს არანაირი წყარო, რომელიც ამ ვერსიას დაადასტურებდა ან უარყოფდა. რასაკვირველია, თვით ის ფაქტი, რომ ქართულ დასახლებას მარტყოფი ჰქვია, მრავლისმეტყველია.

როგორც ცნობილია, მე-17 – მე-18 საუკუნეებში ლეკიანობისგან შეწუხებულმა საქართველოს მარტყოფმა, რომელიც ღვთაების მონასტრის მისაღლომებთან იყო გაშენებული, ნელ-ნელა ბარისაკენ გადაიწია 3-4 კილომეტრით. ასე გაჩნდა ახალი დასახლება, რომელსაც თავად მარტყოფელები სოფელს // სოფლისუბანს უწოდებენ, აქაურ მაცხოვრებლებს კი სოფლელებს // სოფლისუბნელებს ეძახიან [სახლთხუციშვილი 1997: 29].

ვფიქრობთ, საგულისხმო ტენდენცია ჩანს, რომელმაც თავი იჩინა სპარსეთშიც კი, გადასახლებულმა ქართველებმა იქაც ახლად დაარსებულ დასახლებას სოფელი უწოდეს, თავს კი **სოფლიველად** მოიხსენიებენ:

ჩონ ირანჩი, ქერეღდანჩი, ჩონ მარტყოფია, სოფელ დავდახით [ქდკ, ირანა იოსელიანი].

საინტერესოა თავად ფერეიდნელის შეფასება და ახსნა იმისა, რატომ აქვს ამ დასახლებას ორი სახელი:

„სოფელი და მარტყოფი რათი ჰქიან ფერიდუნ შაჰრს? იმისთი, რო ჩუღრუთელე-ბი და სიბაქელნი და ჯაღჯაყელნი სოფლეველებს გოდახიან, დაშქეშნელნი და ბოინელ – თოღელები და ახჩაველნი მარტყოფელებს გოდახიან ან ღოვდახიან...მე მგონია, მარტყოფი სწორ იყოს, იმისთი რო იდახიან, პირველად მარტო კაცი მოსულა და მარტო ყოფილა, მერე დამეტებულან“ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ის ფაქტი, რომ სოფელს უწოდებს ამ დასახლებას ჩუღრუთის, ჯაყჯაყისა და სიბაქის მოსახლეობა, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ეს სამი სოფელი მარტყოფის განაყოფია, ხოლო დანარჩენები – აფუსისა.

იქვე რესპონდენტი გვთავაზობს მარტყოფის ხალხურ ეტიმოლოგიას:

„ეხლა რათი მარტყოფელებს გოობნებიან. იდახიან, მინც პირველად მისულა სოფელჩი, მარტო ყოფილა. იმაზე ღოორქომეყე მარტყოფი და სავბარი ცოტად ჰცოღდნია. იმაშინ სოფელიც ნიშნავს ცოტა მოჭბარს და როგორც კახელი თავისებური, როგორც სოფლეველი ან მარტყოფელი ან ფერიდუნ შაჰრელი“ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

რა თქმა უნდა, ეს ხალხური ეტიმოლოგიაა და როგორც ხშირად ხდება, საკმაოდ დაცილებულია მეცნიერულ ასხნას.

სავარაუდოდ, მარტყოფი იყო ერთი დიდი დასახლების საერთო სახელწოდება. იგი იყოფოდა პატარა დასახლებებად, რომელთაგან თითოეულს ჰქონდა თავისი სახელი, უბნები, რომელთაგანაც ყველაზე დიდი იყო **ზემო ახორა** და **ქვემო ახორა** – პარალელური სახელდებით **ზემო აკურა** და **ქვემო აკურა**, დროთა განმავლობაში **ახორამ** განიმტკიცა პოზიციები და შეავიწროვა **აკურა**, რომელიც ბოლოს საერთოდ დაიკარგა. ყველა მარტყოფელი თავს სოფელს უწოდებდა, დანარჩენი ქართული სოფლების მოსახლენი კი (იგულისხმება დაშქესანა, ახნა ბოინი, თორელი), ბუნებრივია, მას **მარტყოფად** მოიხსენიებენ.

ფერეიდნელები რომ დასახლებული ადგილების ჩამოთვლის დროს არ მივხანვენი უბნების სახელებს სოფლის სახელისგან, ფაქტია, და ჩვენთვისაც ხშირად ერთნაირად ჩამოუთვლიათ სოფლისა და მისი უბნის სახელები.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ამბაკო ჭელიძისადმი მიწერილი წერილი გიგო ჩუბინაშვილისა, რომელიც შუა აზიაში მყოფი ფერეიდნელი ქართველისაგან ჩაწერილ სოფლების სახელებს ჩამოთვლის. ამ ჩამონათვალში ერთმანეთის მიყოლებითაა დასახლებული, როგორც სოფლის სახელები, ისე მისი უბნები: 1) **მარტყოფი (დიდი სოფელი)** 2) **ორი სოფელი ქვემო და ზემო კახორა** 3) **სიბაქი** 4) **ჯალჯალი** 5) **ბოინი** 6) **აფუსი** 7) **ციხე** 8) **ცივი წყარო** 9) **ლაჩინაანთ მაზრა** 10) **გუგუნაან მაზრა** 11) **სარდალია წყალი** 12) **ქაშუმანთ მაზრა** 13) **ბახშიანთ მაზრა** 14) **ონიკაანთ მაზრა** 15) **დიზები** [ჩუბინაშვილი 25810].

აქაც მარტყოფი ცალკე დიდ სოფლადაა გამოყოფილი და ქვემო და ზემო **კახორა** (!) ცალკეა, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია, მართლაც დიდი სოფლის უბნები ყოფილიყო ზემო და ქვემო **ახორა** თუ **აკურა**.

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ, როგორც ჩანს, მარტყოფს რამდენიმე ახალი მიგრაციული ტალღაც დაემატა მომდევნო პერიოდში, რის შედეგად მარტყოფსაც გამოეყო მოსახლეობა, დასახლდა ცალკე სოფელ ჩულრუთს, ჯაყჯაყსა და სიბაქს. ახლაც ამ სოფლების ქართველი მაცხოვრებლები თავს მარტყოფის განაყარად მიიჩნევენ.

აფუსი // **რუისპირი** მთიანი ადგილია, დღეს ქალაქის სტატუსი აქვს.

ლადო აღნიაშვილი აღნიშნავს, რომ „აქუსს წინად ორი სხვა სახელი რქმევია. ჯერ ყოფილა ამის ადგილს დეი (სოფელი) რუისპირი, შემდეგ დეი (სოფელი) რუსთავი, მაგრამ დღეს ნიშანად ამ სოფელის ოღესმე არსებობისა, ორი სახლის ნანგრევი-ლა დარჩენილი შიგ სოფლის პირში... დღეს განახლებულ სოფელს მიუღია სახელწოდება აქუსისა...“ [აღნიაშვილი 1896: 189].

აფუსიც, ისევე, როგორც მარტყოფი, ქართული სოფლების ყველა ჩამონათვალში ფიგურირებს, მათ შორის მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს სომხური ჟურნალებიდან გადმოთარგმნილ სტატიებშიც. გვხვდება სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით: **აფრუზი** [დროება 1877, N186]; **აფუს** [დროება 1877]; **აფური** [ტრიბუნა 1922]; **ჰაფუსი** (Гафуз) [Ашуров 1943].

როგორც ფერეიდნელები აღნიშნავენ ჩვენთან საუბარში, აფუსი იყო პირველი სოფელი, სადაც დასახლდნენ ისპაჰანიდან ამოსული ქართველები და მხოლოდ შემდეგ გადავიდნენ სხვა სოფლებში:

„ჰა, მამაგონდა, ესეებია პირველად **აფუსში** ყოფილან, აფუსი ხო იცი, რა არი?

მე წავიკვლი აფუსში, სადაც რუისპირს ეძახიან ეხლა. ექა და წავიკვლი ვიყავ ერთ ბებრებთან, ბერკაცებთანა და დავსხედით და, ლაპარაკი ამისხნა ქართველებზე და ესე და როგო მოსულან და როგორ მოხდა ესე აფუსში. აფუსში ასლან ხანი როგორ მოვიდა. ემან თქო, ეს ქართველები რო ჩამოიდენ ნეჯაჰაბადში იყენ და ესე მოიდენ, ასლან ხანი შაჰბასმამ დასო ექა ფერეიდანის, ფერეიდანის რა? უფროსზე, უფროსად და ასლან ხანს ხუთი ძმა ჰყვანდა და ასლან ხანმამ მაჰმადიანობა მიიღო, დანარჩენ ოთხ ძმამ ეშუღლა, რათ შენ მაჰმადიანი გახდი, ესე უკან გომოიდგენ ემას, დიდ ძმა მოკლან, რატომ შენ ქრისტიანობა გოოში, მოხელ მაჰმადიანობა და ემემ მოიდა ასლან ხანმამ თავი თითანა ჰყვანდა, ერთ ჯგუფი ჰყვანდა ხომ ტომი და ესეში, მოიდა-წავიდა აფუსში, აფუსში მოიდა ოთხი ძმამ გომოიდგა, აფუსში არ ვიცი როგორ, ეხლა შაჰ აბასმამ მეეშელა როგორ, ემ ძმებმამ ვერ მოკლენ, ასლან ხანი ვერ მოკლენ და სამში და კიდევ სამში უძცროსი ძმებმამ მაჰმადიანობა მიიღენ, დარჩა ერთი, ყველაზე პატარა, ხანჯან ერქვა. ხანჯანა ყველაზე უფრო მაგარი კაცი იყო და არ უნდოდა მაჰმადიანობა მიიღოს ხო. ემამ მოვიდა დაშქესანაში. დაშქესანაში მოვიდა და ერთ რაქთენ, ერთ დაახლოვებით ერთ სამოცი წელის უკან, მერე, მერე მაჰმადიანობა მიიღო ხანჯანამ. ხანჯანამ ჩამოვიდა ჩონ პირველი თაობას ემე'რი, ჩონ პაპა. ეს სამორო რო არი ელა ზედ უწერია მორთეზა ყული ბეიქ, ქარსულად სახელი გამოოცლია, თავი სახელი ყოფილა ხანჯანა, ეს ყოფილა [ქდკ, შაჰინა მუღიანი].

ერთი ვერსიით, აფუსი ყოფილა პირველი სოფელი, საიდანაც გადასახლდნენ ქართველები დანარჩენ სოფლებში, მეორე ვერსიით კი საუბარია მხოლოდ თორელზე, ბოინზე, დაშქესანასა და ახჩაზე. რაც შეეხება დანარჩენ სოფლებს: ჯაყვჯაყს, ჩულურუთსა და ვაშლოვანს (სიბაქს), როგორც აღვნიშნეთ, ისინი მარტყოფიდან არიან გადასახლებულები:

პირველად ექ სოფელი არ ყოფილა [იგულისხმება სოფელი ახჩა], პირველად აფუსში ყოფილა, აფუსის ქართველი ყოფილა აღან ქარსულად... ერთი ამეფსაყე ორი ემე ყოფილა, ორი ქამილი არ ვიცი თარიფა... ჰა! ჰა, ჩხუბობა, გამაძვარდნიანე ერთი ამეფსაყენა ემეს მოოკლაყე, ერთი არ ვიცი, ოთხი-ხუთი ძმა ყოფილან. ანსები ანქით ამათ გადმირიკვენე ემ ჰარაზე მოჭვლენან ქოით ახჩიაში ემეს გააკეთებენ, სახლეფსლა და ემელა დავარდებიანლა. ეგრე შაიქნების. აგენა არ ყოფილა, ამ აფუსში რო [...], გამოუვარდებიწყე ერთ ოთხ-ხუთი ძმეები, ანქით გადმოკლენ, [...] ექა, ექ თავითინ ემეს გააკეთებენლა და ეგ ეგრელა ნელა-ნელადლა აი დამეტლა და აღამიანები და შაიქნა სოფელი. ამ დიდეფს, დიდეფსაყენ ეგრე მე გამიგია, ეგრე შაქნილა [ქდკ, ქერიმ აღა დარვიში].

ჩვენ არაერთხელ შევნიშნეთ, რომ ძალიან ძნელია აბსოლუტური სიზუსტით ამტკიცო ამა თუ იმ ტოპონიმის სისწორე, რადგან გარდა ჩაწერის თუ მოსმენის შეცდომისა, ფერეიდნელ ქართველთა იქ ცხოვრების პერიოდში იქ სტუმრად ჩასული

ქართველების არა ერთ გავლენას წავაწყდით კვლევის პერიოდში. ეს გავლენა უმეტესად უწყინარი „კარნახის“ სახეს ატარებს, როცა სტუმარი აკუსტიკური მსგავსების საფუძველზე „აზუსტებს“ ფერეიდანში გაგონილ ტოპონიმს და აკავშირებს მას საქართველოს რომელიმე ადგილთან. ამის კლასიკურ მაგალითად გამოდგება ლადო აღნიაშვილის მცირე ჩანაწერი. მის ჩასვლამდე ფერეიდნის ქართველებთან ჩასულა ვინმე ალექსი თუ ზაქარო (ამ ორ სახელს ასახელებდნენ), რომელსაც ქართული კარგად არა სცოდნია, მას ფერეიდნელებისთვის ათასი დაპირება მიუცია, და, რაც მთავარია, მათი სოფლის სახელები მიუმსგავსებია მისთვის ნაცნობ სიტყვებისთვის და თავისი კორექტივები შეუთავაზებია მათთვის. მთავარი ის არის, რომ ფერეიდნელები, რომლებიც თავიანთი ისტორიული სამშობლოდან მოსულს აბსოლუტური ნდობით შეხვედრიან, გულწრფელად იმეორებდნენ ლადო აღნიაშვილთან სოფლების დამახინჯებულ სახელებს და ამით სიამაყით უსვამდნენ ხაზს იმ ცოდნას, რაც მათ დედასამშობლოსთან აკავშირებდა. აღნიაშვილი ამ ფაქტს ასე გადმოგვცემს:

[*ზაქაროს*] „გამოუძებნია ყველა იმათი სოფლის სახელებისათვის თითო რამ შესაფერი სიტყვა და დაურწმუნებია, რომ ეს სოფელი არის ეხლა იქ და თქვენ იქიდან ხართ გადმოსახლებულებიო. მაგალითად, **აქუსი აუზსა** ნიშნავსო, იქ არის ეხლაც ეს სოფელი და აქუსელები იქიდან ხართ გადმოსახლებულებიო. **ტაშქესანა – დაოშქესანიდან** არი, **შაიურდი – ნოღანიდან, თოღური – თელავიდან** და სხვა და სხვა. ისე გაუვრცელებია ეს თავისი მითქმა-მოთქმა და ისე დაუჯერებია ეს გულ-უბრყვილო ხალხი, რომ, როდესაც მე ვკითხულობდი რომელიმე სოფელში, თუ საიდან არის მაგ თქვენი სოფლის სახელი? საიდან ხართ თქვენ თითონ გადმოსახლებული? ვის რა გაგიგონიათ თქვენი ძველები სავანა-მეთქი? ისინი იმ ალექსოს ლაპარაკს მომიყვებოდნენ და ნამდვილი იმათი კი აღარა მესმოდა-რა“ [აღნიაშვილი 1896:214].

აფუსში დაახლოებით 100-ზე მეტი წელია, რაც ქართულად აღარ საუბრობენ, თუმცა სოფელი დღესაც ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული.

	აფუსი	აქუსი	აქრუზი	ჰაფუსი	რუისპირი	როისპირი	რუსთავი
გაზეთი დროება“1872	✓						
გაზეთი დროება 1877, N186			✓				
გაზეთი დროება 1877, N187	✓						
ზაქარია ჭიჭინაძე 1895	✓						
ლადო აღნიაშვილი 1896	✓				✓		✓
იაკობ გოგებაშვილი 1912	✓						
სეიფოლა იოსელიანი 1922	✓	✓					
იური მარი 1925	✓	✓					
ამბაკო ჭელიძე 1927	✓					✓	
ალი რაზმარა 1954	✓						
აშუროვი 1944				✓			
კანდელაკი 1944					✓		
ფერეიდნელი ქართველები	✓	✓			✓		

საგულისხმოა, რომ საქართველოს რომელიმე კუთხესთან ან სოფელთან საკუთარი წარმომავლობის დაკავშირების სურვილი დღესაც დიდია ფერეიდნელებში. ამიტომ ხშირად მოგვმართავენ თხოვნით, დავუდგინოთ წინაპართა ადრინდელი საცხოვრისი და გვარი. ამით ხშირად სარგებლობენ ჩვენი არაპროფესიონალი თანამემამულენი და ზუსტად ისე, როგორც 150 წლის წინ ის ვინმე ალექსი // ზაქარო, ათას არაზუსტ, დაუსაბუთებელ და უსაფუძვლო ვერსიას აწვდიან მათ. ეს ვერსიები კი ახალი მითების საფუძველი ხდება.

თორელი // თოლელი // მიანდაში // თელავი // ღომბეჭამარი // ქამარი. ქართველებთან ერთად ცხოვრობენ სპარსელები. დღეს ამ დასახლებას ქალაქის სტატუსი აქვს.

ღაღო აღნიაშვილი ფერეიდანში ვიზიტისას პირველად ამ სოფელში შევიდა, როცა სოფლის სახელი იკითხა, მიუგეს, რომ ეს ღომბეჭამარი იყო. მას, რა თქმა უნდა, არ ეცნო სახელი, რადგან მხოლოდ **თოლელი** ეწერა წიგნაკში და ამდენად ვერც მიხვდა, რომ თორელში იყო, სანამ შემთხვევით არ მოისმინა ქართული საუბარი.

თოლელი გვხვდება იმ შვიდი სოფლის ჩამონათვალშიც, რომელიც ეკუთვნის ნიკოლოზ ყიფიანს და შექმნილია 1872 წელს ათამ ონიკაშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით. 1877 წლის N186 ნომრის საგაზეთო სტატიიაში კი ვხვდებით სპარსული წარმოშობის ოიკონიმს – **მიუნდემტს**, იქვე ნახსენებია თელავი: „მიუნდემტი ანუ თელავი“, 1877 წლის N187 ნომერში დაბეჭდილ სტატიიაში – მხოლოდ **თელავი**. ღაღო აღნიაშვილი მას **თოლერს** უწოდებს.

დღეს სოფლის სახელწოდებად გვხვდება **თორელი**. აქაური ქართველები საკუთარი წარმომავლობის სახელადაც **თორელს** ასახელებენ (სხვა სოფლის მკვიდრნი მათ ზოგჯერ ნარიანი მრავლობითის ფორმით მოიხსენიებენ: თორელნი – თორელის მკვიდრნი). ჩვენს კითხვაზე, სოფლის რომელი სახელწოდება არის მათთვის ბუნებრივი, თორელის მცხოვრებმა **აბოლყასემ აჰმადიმ** დაუფიქრებლად გვიპასუხა: „ჩვენთან მხოლოდ ვამბობთ თორელი“. ეს ფორმა დამკვიდრდა დღეისათვის ქართულ სამეცნიერო სივრცეშიც.

უნდა ითქვას, რომ ქართულ დიალექტურ კორპუსში ჩვენ მიერ ახლად ჩაწერილ ტექსტებში, სხვადასხვა მთქმელთან ორივე ფორმა თანაბრად გვხვდება: **თოლელი // თოლილი და თორელი**. ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე მთქმელი იყენებს ორივე ფორმას:

„**თოლელი** ვიყავ, რამეს ვწერდი...“ [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი, მარტყოფი].

„**ბოინი, თოლილი** მიკრულნია“ [მუხტარ დარჩიაშვილი].

„**თოლილია, ბუინია, აფუსია, დაშქესანია**“ [ესქანდერ სეფიაშვილი, ნაჯაფაბადი].

„**ხო, ეს არი თორელის, ჩონ ქართველების მინდორის ბალახები**“ [აბოლყასემ აჰმადი, თორელი].

„**ეს თორელ-ბოინელთ ლექსია**“ [ჰეიდარ დარჩიაშვილი, მარტყოფი – თეირანი].

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეგვხვდება ამ ძირის შემცველი ტოპონიმები: ერწო-თიანეთში ყოფილა სოფელი **თორიულთკარი**. დღეს იგი უკვალოდ არის გამქრალი [ბელოშვილი 1980: 6]; თიანეთში დღესაცაა სოფელი **თვალუვი**.

თოლელს ხშირად **თელავადაც** მოიხსენიებენ. ლალო აღნიაშვილმა ეს დააბრალა გაუგებრობას, რომელიც იქ ადრე საქართველოდან ჩასული ვინმე ალექსის თუ, როგორც ზოგიერთი იხსენებდა, ზაქაროს არასწორ საუბარს მოჰყვა (იხ. ზემოთ) არ არის ცნობილი აღნიაშვილის მიერ 1894 წელს ნახსენები ზაქარო როდის სტუმრობდა ფერეიდანს, არის თუ არა თორელის თელავად მოხსენიება მის სტუმრობასთან დაკავშირებული? დღეს მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება, 1877 წელს ქართულ გაზეთში დაბეჭდილ სტატიებში ეს დასახლება უკვე თელავად მოიხსენიება. ოკონი-მის ეს პარალელური სახელი საკმაოდ მყარი აღმოჩნდა, ის გვხვდება სეიფოლა იოსელიანის ჩამონათვალშიც კი 1922 წელს:

„ქართველი სოფლები თითხმეტი: მარტყოფი, ქომო მარტყოფი, სიბაქი... თოლელი, თელავს თოლელს დაუძახით...“; „აფუსი და თელავი და ბონინი კარგი სოფლებია...“; „თელავი უწინ ქონიარე ხალხი ჰყოლია...“; „თელავს კარგი მამულები აქ...“ [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ზაქარია ჭიჭინაძეც **თელავს** უწოდებს ამ დასახლებას. ამბაკო ჭელიძეც ორივე სახელს გვთავაზობს: თოლელი და **თელავი**.

როგორც ჩანს, თორელის ყველა მკვიდრისთვის ამ დასახლების თელავად მოხსენიება არ იყო მისაღები. ქართულ ლიალექტურ კორპუსის ტექსტებში გვაქვს ერთი საინტერესო პასაჟი, რომელიც ამას ადასტურებს:

„თოლელში ვიყავ, რამეს ვწერდი და თოლილის მაგერ თელავი დავწერე. ამ მოხუც კაცმა, რო ბერ კაცი იყოს, მითხრა: შენ თელავს ნუ დაწერ, დაწერე ემას, რო მე გეტყვი!“ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

როგორც ჩანს, ფერეიდანში ჩასული ვიზიტორის (თუ ვიზიტორების) გავლენით გაჩენილი **თელავი** იმთავითვე იყო მიუღებელი თვით ამ სოფლის მკვიდრთათვის, ხოლო მარტყოფის წრის სოფლების წარმომადგენელი მეზობლები რამდენადმე დისტანცირებული იყვნენ სოფლის ისტორიულ სახელწოდებასთან და არ აკავშირებდნენ მასთან კოლექტიური მეხსიერების ღრმა ფესვები.

თოლელის ვარიაციებს ამგვარად წარმოადგენენ წყაროები:

	თოლელი // თოლე- რი	თო- ლი- ლი	თო- რელი	ფო- რე- ლი	თე- ლავი	მიან- დამ- თი	მიუნ- დემ- ტი	დომბე- ქამარი	ქა- მარი
გაზეთი „დროება“ 1872	√								
გაზეთი დროება 1877, N186					√		√		
გაზეთი დროება 1877, N187					√				
ზაქარია ჭიჭინაძე					√				

ლადო აღნიაშვილი	√ (თოლუ- რი)							√	
სეიფოლა იოსელიანი	√				√				
იური მარი								√	√
ამბაკო ჭელიძე	√				√			√	
აშუროვი						√		√(დომ- ბაქამა- რი)	
კანდელაკი				√					
ფერეიდნელი ქართვე- ლები	√	√	√		√	√			√

ბონი დღეს გაერთიანებულია თორელთან, ქალაქის სტატუსის მქონე დასახლებაა და ოფიციალურად იწოდება ბონი-მიანდაშთად. ცხოვრობენ ქართველები, ლურები და სპარსელები.

	ბონი	ბოფნი	ბუინი	ბოლნისი
გაზეთი „დროება“ 1872	√			
ზაქარია ჭიჭინაძე	√			
ლადო აღნიაშვილი	√			
სეიფოლა იოსელიანი	√			
იური მარი	√	√		
ამბაკო ჭელიძე	√			
ალი რაზმარა	√			
აშუროვი			√	
კანდელაკი				√
ფერეიდნელი ქართველები	√		√	

დაშქესანაში ცხოვრობენ ქართველები, თურქები და სპარსელები. ამ სოფლის სახელი სხვადასხვაგვარად გვხვდება: **ტაშქესანა, დაშქენტი // ტაშქენტი**. სეიფოლა იოსელიანი მას **დაშქესანას** უწოდებს. ასევე მოიხსენიებენ დღეს ამ სოფელს ფერეიდნის ქართველები.

ამ სახელწოდების ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: „დაშქესანა თურქული სახელია, ნიშნავს „ქვას მტრეველს“ [ქდკ, მუხტარ დარჩიაშვილი].

ტოპონიმი სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება: ტაშქესანა [ციფიანი, 1972, აღნიაშვილი 1896, იური მარი 1936]. ტაშქენაში [გოგებაშვილი 1912], ტაშქეშინა [ჭიჭინაძე 1895]; დაშქესანი [ჭელიძე 1935, რაზმარა 1954, აშუროვი 1944].

ფერეიდნულ ტექსტებში ტოპონიმ დაშქესანას გვერდით გვხვდება აგრეთვე **დაშქენა**:

მე აღარ გამამივია, დაშქენაჩი რო ჩავალ, ადრეულად ვიბნა [არია ხოსროშვილი].

ისპაჰანის საბჭოთა საკონსულოს თანამშრომლის, ზემოთ უკვე ნახსენები აშუ-როვის ცნობით, დაშქესანაში თავიდან ცხოვრობდნენ ქართველები და სომხები. მათ საერთო ეკლესია ჰქონიათ. ქართველების გამაჰმადიანების შემდეგ სომხებს დაუტო-ვებით ეს სოფელი და სხვაგან გადასულან, მათ ადგილას კი მეზობელი სოფლიდან, ხამიშლიდან თათრები გადმოუსახლებიათ.

როგორც ვთქვით, სოფლის სახელწოდება სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება:

	ტაშქე-შანა	დამ-ქენ-ტი	ტაშ-კენტი	ტაშქე-ნაში	ტაშკე-შინა	დამქე-სანა	ტაშქე-სანა	დამ-ქეს-ანი
გაზეთი „დროება“ 1872	✓							
გაზეთი დროება 1877, N186		✓						
გაზეთი დროება 1877, N187			✓					
ზაქარია ჭიჭინაძე				✓				
ლადო აღნიაშვილი							✓	
იაკობ გოგებაშვილი					✓			
სეიფულა იოსელიანი						✓		
იური მარი						✓	✓	
ამბაკო ჭელიძე								✓
ალი რაზმარა								✓
აშუროვი								✓
ფერეიდნელი ქართველები						✓		

ახნაში მოსახლეობენ თურქები, სპარსელები და ქართველები. ახნა, იგივე აღჩა, გვხვდება ყველა წყაროში დაწყებული 1972 წელს გამოქვეყნებული სტატიიდან. ახ-ჩა თურქული სიტყვაა და ნიშნავს თეთრ მდინარეს. საქართველოში, კერძოდ, ჯავა-ხეთში ყოფილა სოფელი ახნია. ამავე სახელწოდების სოფელი გვხვდება ისტორიუ-ლი ჰერეთის ტერიტორიაზე, დღევანდელ საინგილოშიც.

	ახნა	აჩნა	ახრაი	აღჩა	ახნალი
გაზეთი „დროება“ 1872	✓				
გაზეთი დროება 1877, N186	✓				
გაზეთი დროება 1877, N187	✓				
ზაქარია ჭიჭინაძე	✓				
ლადო აღნიაშვილი	✓				
იაკობ გოგებაშვილი		✓			
სეიფულა იოსელიანი	✓				
იური მარი			✓		
ამბაკო ჭელიძე	✓				
ალი რაზმარა				✓	

ამუროვი	✓				✓
კანდელაკი	✓				
ფერეიდნელი ქართველები	✓			✓	

ვაშლოვანი // სიბაქი მდებარეობს მარტყოფის სამხრეთ-დასავლეთით 8 კილომეტრის დაშორებით. ცხოვრობენ ქართველები და ლურები.

ამ სოფლის სახელად გვხვდება როგორც **ვაშლოვანი**, ისე **სიბაქი**. თავდაპირველი სახელწოდება უნდა ყოფილიყო ვაშლოვანი, სიბაქი – მისი სპარსული შესატყვისი, მოგვიანებით უნდა დამკვიდრებულიყო (სიბ – სპარსულად ვაშლი).

როგორც ფერეიდნელი ქართველები ამბობენ, **ვაშლოვანი (სიბაქი), ჩუღურეთი და ჯაყვჯაყი** მარტყოფის განაყარი სოფლებია, თუმცა ზოგიერთის აზრით, ეს მხოლოდ ჩუღურეთს ეხება, დანარჩენ სოფლებს კი – არა: „ეხლა ერთლა ვთქო ჩუღურეთელები და სოფლიველები ერთჯურად ლაპარაკობენ, ერთჯურადა ფიქრობენ. რასთინ რო? – ათას ათი წელს ემისყე წინა ჩუღურეთელები სოფელჩი იყნეს, ექითყე გადმოიდეს ჩუღურეთსა. სიბაქელები ჩუღურეთელებისაით და სოფლელებისაით არა ლაპარაკობენ, სხოჯურად ფიქრობენ“ [ქღკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].

არც **ვაშლოვანი** და არც **სიბაქი** არ არის ნახსენები პირველ საგაზეთო სტატიებში (ყიფიანი 1872, 1877-1); ამ სოფელს საერთოდ არ ახსენებს გოგებაშვილი; სეიფოლა იოსელიანის ჩამონათვალში ის იხსენიება როგორც **სიბაქი**. ასევე **სიბაქად** მოიხსენიებს მას იური მარი, ამბაკო ჭელიძესთან გვხვდება როგორც **სიბაქი**, ისე **ვაშლოვანი**; ირაკლი კანდელაკთან – **ვაშლოვანი... საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომლის, ამუროვის, ცნობილ მოხსენებაში ნახსენებია სიბაქი**.

დღეს ორივე სახელწოდებას შეხვდებით ფერეიდნელების მეტყველებაში, თუმცა უპირატესობას ბოლო დროს ანიჭებენ **სიბაქს**. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ **სიბაქი** ამ სოფლის ოფიციალური სახელია.

ბოლო დროს გაჩნდა **სიბაქის** ხალხური ეტიმოლოგიაც. ფერეიდნელი ქართველი, ესქანდერ სეფიაშვილი ცდილობდა აეხსნა ჩვენთვის, რომ სიბაქს ვაშლოვანთან საერთო არ ჰქონდა და თავისი ახსნა შემოგვთავაზა:

„იცვი, როგორ არი? – სიბაქია, პარსულათ სიბ ოზდათია. იმიშინა ჩემ მეშიდე პაპა, მეშიდე პაპა, ქარიმ ბაქ, ხო! და მეცხრავე მირზა ბაქ. სახელის უკან ბაქი ძქონდაყე, ხო! ემათაცა ერთ ემე'რი რო გუამბიანყე, ოზდათი ბავი დყოლიაყე. პარსულათ შაიქნების სი ბაქ. იანი ოზდათი ბაქი დყოლია. –ვაშლისა, ვაშლი არ არი! ოცდაათი ბავი, ოცდაათი ბერკაცი იგრე დყოლია. მაძხე! ვითხრა ხო! ჩემ მეხუთე, მეშიდე და მერვე პაპას სახელს უკან ბაქი აყე. ურუჯყურბევს არა აქ, ონიკას არა აქ, თავის ბიჭია ქერიმ ბაქ, მირზა ბაქ, ემ ორს ბავი აქყე. არა, ვაშლთან ხელი არა აქ!“

ჩვენი გაკვირვების შემდეგ მან შეარბილა კატეგორიული ტონი და გვითხრა შემრიგებლურად: ემასაც ამბობენ, ეხლა იმასაც ამბობენ [ქღკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].

ეს ვერსია მოვისმინეთ მუხტარ დარჩიაშვილისგანაც:

„სიბაქი, ჩემ აზრით, ოცდაათი ბავი ჰყოლია და ბავი თურქულად როგორც ხანი, როგორც გუბერნატური“ [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

	ვაშლოვანი	სიბაქი
ზაქარია ჭიჭინაძე	√	
ლადო აღნიაშვილი		√
სეიფოლა იოსელიანი		√
იური მარი		√
ამბაკო ჭელიძე	√	√
ალი რაზმარა		√
აშუროვი		√
კანდელაკი	√	
ფერეიდნელი ქართველები	√	√

ჩუღრუთი დაშორებულია მარტყოფიდან 15 კილომეტრით. მოსახლეობენ ქართველები, ლურები და თურქები.

– ეხლა ვნახოთ ჩუღრუთელები რო სოფლეველებია, რაზე ჩუღრუთელნი შაიქნეს. პირველად თავით სოფელი ჩუყურადარი და თურქულ სახელია, ნიშნავს დაბალ, დაცემულ ალაგს [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ბაბაკ რეზვანის თქმით, მას ასევე ეძახიან **ჩოღრუთს**. ამ სოფელს ადრე უწოდებდნენ ჩოღურ(ი)თა, რაც ავტორის აზრით, ნიშნავს (ან ნიშნავდა) დაბალ მთას ადგილობრივ ქართულ დიალექტზე [Rezvani 2009: 609].

	ჩუღრუთი	ჩუგრუ-თი	ჩუყურე-თი	ჩუღურე-თი	ჩუგიურ-თი	ჩუღურე-თი
ლადო აღნიაშვილი	√					
იაკობ გოგებაშვილი		√				
სეიფოლა იოსელიანი			√	√		
იური მარი	√(ჭუღრუ-თი)					
ამბაკო ჭელიძე	√			√		
ალი რაზმარა					√	
აშუროვი						√
კანდელაკი	√					
ფერეიდნელი ქართველები	√			√		

ჯაყჯაყში ცხოვრობენ თურქები, ქართველები და ლურები. მისი სპარსული, ოფიციალური სახელია ნეჰზად აბადი (Nehzad abad).

ჯაყჯაყი ვაშლოვანიდან (სიბაქიდან) 13 კილომეტრით არის დაშორებული: „ცამეტ კილომეტრი ვაშლოვანსაყე რო წახიდე, მერე იქ ჯაყჯაყია, ქართველებისა“ [ქღკ, ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

ეს სოფელიც მარტყოფის განაყარად მიიჩნევა: „სიბაქი და ჯაყჯაყი და ჩულურეთი სულ მარტყოფსაყე გადასულან, იქ დასახლებულან [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

თავად ფერეიდნელები სოფლის სახელწოდების ასეთ ეტიმოლოგიას გვაწვდიან:

„...ექ რო ეს ჩადებდი, რო კილტე ემე ქნა, ეს ეგრე რო უნდოდა ჳმა მადსცეს, უნდოდა აჳყაყაყო, მიდზილო-მადზილო, ეგ ხმას აძლევადა, ჳალჳყაყებდა ესე და ეს ჳალჳყაყი ექ ხმა იმ სოფელისა ემაზე დაარქეს მეორე ჳაყჯაყი, მეორეთ ემას ნიშნავს, რო შენ ექ მიხოლ, ექ მიხოლ, მაინც ექ სოფელი არი და არა ძხედავ. ექ მიდგები ემ ნახეე სოფელს დაინახავ, ამ ჳარა გვერძე რო მიდგები, იმ ნახევარს დაინახავ. ჳუსტად პირდაპირ ერთგან, მაღალ-დაბალჩივ არი, მიხოულ-მოხოულ-ჩი, მიჳყაყებულ-მოჳყაყებულს ვეძახით. – ჳაყჯაყს ვეძახით იმ ადგილს. ეს იმაზეგა ძქიან იმ სოფელს ჳაყჯაყი [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

	ჯაყჯაყი	ჯალჯალი
ზაქარია ჳიჳინაძე	✓	
ლადო აღნიაშვილი		✓
იაკობ გოგებაშვილი	✓	
სეიფოლა იოსელიანი	✓	
იური მარი	✓	
ამბაკო ჳელიძე	✓	
ალი რაზმარა	✓	
აშუროვი	✓	
კანდელაკი	✓	
ფერეიდნელი ქართველები	✓	

გარდა ამ დასახლებებისა, სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ავტორს დასახლებული აქვს რამდენიმე ქართული სოფელი, რომელთა კვალი დღეს გამქრალია, ჳოგი მათგანი საერთოდ არ არსებობს, ჳოგან კი ქართული მოსახლეობა აღარაა.

სოფლები, რომლებშიც დღეს ქართველთა კვალი აღარ დასტურდება

შავსოფელი // შაურდი // შაიურდი // შაპიურთი // შავურდი // შავურთი // შაპურდი

ეს სახელწოდება 1877 წლის გაზეთ „დროებაში“ (N186) გვხვდება პირველად. ენმიაძინის სომხური ჟურნალიდან გადმობეჭდილი კორესპონდენციაში, რომელიც თავის მხრივ თეირანიდან იყო მიღებული, საყურადღებო ინფორმაციას ვაწყდებით: „სულ 2000 ოჯახი ქართველები ცხოვრობენ ფრეიდანის მაზრის სხვადასხვა სოფლებში... ამით სოფლებს ჰქვიათ სახელად: აფრუზი, დაშკენტი, მიუნდუშტი ანუ თელავი, **შაპიურთი**, ახნა, ზემო და ქვემო ახორა ანუ მარტყოფი და სხვ.“

ლადო აღნიაშვილი ახსენებს ამ სოფელს, როგორც **შაიურდს**: ამ სოფელში მცხოვრებნი, მისი თქმით, თათრული ენით (თურქულად) საუბრობენ [აღნიაშვილი 1896:193].

სეიფოლა იოსელიანი ასევე ახსენებს ქართული სოფლების ჩამონათვალში ამ სახელს: დიალექტურ ტექსტებში ამ სოფელს მოიხსენიებს როგორც შაიურდს, ხოლო გაზეთ ბახტრიონში დაბეჭდილ სტატიაში გვხვდება **შავურხრდი** [ასლანიშვილი 1922].

ამბაკო ჭელიძე ამ სოფელს **შავსოფელად** მოიხსენიებს და იქვე ფრჩხილებში უთითებს, რომ ეს **შაურდია**, აშუროვი – **შავურთს**, ბოლო დროს გამოქვეყნებულ სტატიებში კი გვხვდება **შაპიორდი** [მიმინოშვილი 2001: 8].

ფერეიდნელი სომეხი ავტორი, ლევონ მინასიანი ამ სოფელს ქართულ სოფლად მიიჩნევს და **შაპურდს** უწოდებს [მინასიანი 2001: 219].

დეესური // დევსური // დეჰსური

ლადო აღნიაშვილის წიგნში ქართულ სოფელთა ჩამონათვალში გვხვდება **დეესური** [აღნიაშვილი 1896: 192], შემდგომ კი, ამ სოფლებზე საუბრისას მისი ფონეტიკური ვარიანტი **დევსური**: „შაანათში სპარსული ენაა, **ქვემო მარტყოფში** სპარსული და ლურული, **შაიურდში** – თათრული (თურქული), და **დევსურსა** და **ქედუბანაქში**, ანუ **ნინოწმინდაში** – ქურთული“ [აღნიაშვილი 1896: 192].

ტექსტში, რომელიც აკაკი შანიძის მიერ არის ჩაწერილი სეიფოლა იოსელიანისგან, ასევე გვხვდება სოფელი **დეჰსური** ქართულ სოფელთა რიგში: ემეებს ქართველი სოფლებს დაძახიან. სხუებიც არი, რო ემას ეკუთრების“ [ქართული დიალექტოლოგია 1961: 153; ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

1922 წელს ჟურნალ „ბახტრიონში“ დაბეჭდილ სეიფოლა იოსელიანის ინტერვიუში ეს სოფელი ჩამონათვალში გამოტოვებულია [ასლანიშვილი 1922].

ნინოწმინდა // ქედუბანაქი // ქედუნაქი

ლადო აღნიაშვილია პირველი, რომელიც ამ სოფლის დასახელებას გვაწვდის, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ „ნინოწმინდა ჰკარგავს თავის სახელს და ბევრ ქართველსაც კი ქედუბანაქი უფრო ემარჯვება, ვიდრე ნინოწმინდა და ხშირად ლაპარაკში ნინოწმინდის სახელს თუ ქედუბანაქიც ზედვე არ დაურთე, ვერც კი გაიგებენ“ [აღნიაშვილი 1896: 186].

როგორც ჩანს, 1894 წლისთვის აქ, ამ სოფელში, არათუ აღარ იციან ქართული და

ქურთულად საუბრობენ [აღნიშვილი 1896: 186], არამედ სოფლის ქართულ სახელსაც ივიწყებენ.

იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს ფერეიდნის და ფერეიდნელი ქართველების შესახებ მცირე მიმოხილვა: „პატარა საქართველო სპარსეთში“, ასევე ახსენებს ამ სოფელს და იქ მოსახლე კომლების რაოდენობასაც კი უთითებს [გოგებაშვილი 1982: 370].

ოიკონიმი **ნინოწმინდა** მაინც რჩება ფერეიდნელ ქართველთა მეხსიერებაში გარკვეული პერიოდი. ის დასტურდება სეიფოლა იოსელიანთან და ამბაკო ჭელიძესთან: ნინოწმინდას დაძახიან **ქუღუნავს** [სეიფოლა იოსელიანი]; ამბაკო ჭელიძე ასახელებს იქ მოსახლე კომლების რაოდენობას – 400 სულს და აღნიშნავს, რომ სოფლის მცხოვრებლები ქართულს ივიწყებენ.

შაანათი

გვხვდება მხოლოდ ლალო აღნიშვილთან, ავტორის თქმით, შაანათში ნახევარი ქართველები არიან, ნახევარი თათრები, მარტო ქართველები 100 კომლი. აქ სალაპარაკო ენა მხოლოდ სპარსულია.

დარბანდი

ამბაკო ჭელიძესთან გვხვდება. ის ბახტიარების სოფელია და იმ დროისთვის 40 სული ქართველი ცხოვრობდა.

სარდაბი

მხოლოდ ამბაკო ჭელიძესთან გვხვდება. ავტორი მას ბახტიარების სოფლად მიიჩნევს და წერს, რომ 40 სული ქართველიც ცხოვრობდა.

ბადიგანი

ეს სოფელიც ამბაკო ჭელიძესთან გვხვდება. ავტორი მასაც ბახტიარების სოფლად მიიჩნევს და წერს, რომ აქ იმ დროისთვის 25 სული ქართველი ცხოვრობდა.

ალაგოლი

სეიფოლა იოსელიანი ალაგოლს ფერეიდნის ქართულ სოფელთა ჩამონათვალში ახსენებს, თუმცა იქვე განმარტავს, რომ იმ დროისთვის ის ფაქტობრივად დაკარგული ჰქონდათ ქართველებს. „ცალაგოლი ქართველებისა იყო, ქურთებმა წაართეს. ეხლა ორ-სამ კომლი ქართველია იქა, რაქთენ კომლიცა ქურთია“ [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

უზუნ ბულაყი

იური მარის ჩანაწერებში ვხვდებით ფერეიდნული სოფლის ამ დასახელებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იური მარმა ეს ნაშრომი ფერეიდანზე შექმნა ფერეიდნელი ჯარისკაცის, ვინმე მათაყიას, მეტყველებაზე დაყრდნობით.

სამის ლიანი

ამ სოფელსაც მხოლოდ იური მარი ახსენებს სხვა ქართული სოფლების ჩამონათვალში. როგორც ჩანს, იმ დროისთვის შესაძლებელია რამდენიმე ქართული ოჯახი მართლაც ცხოვრობდა ამ სოფელში, თუმცა დღეს ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს. ამ სოფელში ქართული მოსახლეობის არსებობა ვერც ფერეიდნელმა ქართველებმა დაგვიდასტურეს.

აეჭალა

1944 წელს ფერეიდნის ქართულ სოფლებში იმყოფებოდა ცნობილი ქართველი კინორეჟისორი ირაკლი კანდელაკი, რომელმაც ფერეიდნელთა ცხოვრებაზე გადაიღო ფილმი „ფერეიდნელი ქართველები“. მასვე ეკუთვნის რამდენიმე პუბლიკაცია ფერეიდნელი ქართველების შესახებ. თავის სტატიებში ის სხვა ქართულ სოფლებს შორის ასახელებს სოფელ **აეჭალას**. საინტერესოა, რომ ეს სოფელი სხვების ჩამონათვალში არ **ჩანს**.

ირაკლი კანდელაკი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ისპაჰანში ექსპედიციის წევრებს შეხვდა პოლიციელი, რომელიც ფერეიდნელი ქართველი აღმოჩნდა სოფელ აეჭალიდან. უკვე ფერეიდანში ყოფნისას ირაკლი კანდელაკი თავად სტუმრობდა ამ სოფელს [კანდელაკი 1958: 11-13].

გიორგიწმინდა

ამ სოფელს ასახელებს ირაკლი კანდელაკი სხვა სტატიებში [კანდელაკი 1960: 9].

ხუნგი

ეს სოფელი წყაროებში მიჩნეული იყო როგორც სომხური, ასე გვიტხრეს ჩვენც ფერეიდანში ყოფნის დროს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. სომხების წასვლის შემდეგ რამდენიმე ქართულმა ოჯახმა იყიდა იქ სახლი და მიწის ნაკვეთი. ჩვენც მხოლოდ ამ სოფლის ეკლესიის ნანგრევებთან მივედით 2008 წელს და სოფელში შესვლა არც გვიფიქრია. ხუნგს ქართულ სოფლად იხსენიებენ 2001 წელს ფერეიდანში ჩასული ექსპედიციის წევრები ოთარ მიმინოშვილი და ნომადი ბართაია. როგორც ოთარ მიმინოშვილი წერს, „*ხუნგ ში ბატონი ამბაკო ჭელიძის სტუმრობაც ახსოვთ, მისი დაპირებებიც*“ [მიმინოშვილი 2001: 17]. ამბაკო და სარა ჭელიძეები სოფელ ხუნგს არსად ახსენებენ. როგორც ჩანს, ეს ოჯახი, სადაც მისი სტუმრობა ახსოვდათ, სხვა სოფლიდან იყო საცხოვრებლად გადასული ხუნგში.

იაკობ გოგებაშვილს სხვა ჩვენთვის ნაცნობ სოფლებს შორის ქართულ სოფლად ნახსენები აქვს: **თონეთი, ყარაბალი, კუთხე, გაღმა სოფელი, ხევის პირი**. გარდა ათამ ონიკაშვილისა, რომელიც 1871 წელს ჩამოვიდა საქართველოში სპარსეთიდან, იაკობ გოგებაშვილის ინფორმაციები სხვა ფერეიდნელი ქართველებიც უნდა ყოფილიყვნენ. გარდა ამისა, იაკობ გოგებაშვილს ხშირად სტუმრობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში სპარსეთში მოღვაწე ქართველი არქიმანდრიტი

ევსევი ცაბაძე, რომლის რამდენიმე ინფორმაცია სპარსელი ქართველების შესახებ პრესაშიც იყო დაბეჭდილი.

ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელიც ასევე ეყრდნობოდა ათამ ონიკაშვილის, ევსევი ცაბაძის, რაფიელ (ბართლომე) ნებიერიძის, ასევე სომხურ გაზეთში დაბეჭდილ ინფორმაციებს, გარდა ყველასთვის ცნობილი ქართული სოფლებისა, დასახელებული აქვს **მელაანი, მუკუზანი, მაჩხანი** (ასეა!).

მეჯრუხევი

ამ სოფელს ახსენებს 1907 წელს ევსევი ცაბაძე [ცაბაძე 1907].

ფერეიდნის რამდენიმე დასახლების სახელი განხილულია ბაბაკ რეზვანის მიერ. ეს ტოპონიმები მოძებნილი აქვს იმ რეგიონში, სადაც ქართველები არ ცხოვრობენ. იგი რამდენიმე მათგანს ქართულ ახსნას უძებნის. მისი თქმით, ფერეიდნის ჩრდილო დასავლეთ ნაწილს უწოდებენ **ქარჩემბოს**. ეს ის ადგილია, სადაც მდებარეობს ქართული სოფელი **შაჰვერდი** და რამდენიმე სომხურ-თურქულენოვანი სოფელი. ტოპონიმში **ქარჩემბო** ავტორი გამოყოფს **ქართ** ძირს და ასე აღადგენს: *ქართჩემო ან *ქართჩემობა (ჩემი ქართველი // ჩემი ქართველობა). ავტორი ამის დასტურად ახსენებს ფერეიდნელ ქართველთა თვითწოდებას „ჩემ ძოლი“, რომელიც გამოიყენება როგორც პირველადი მარკირება საკუთარ ჯგუფთან იდენტიფიკაციისას. ამ რაიონში ბევრი ტოპონიმია, რომლებიც, მისი თქმით, შეიძლება აიხსნას მხოლოდ ქართული ენით. **ბალტაქი (Baltaq)**, ასევე წარმოითქმის როგორც **ბალთახი (Baltakh)** – რაც შეიძლება ნიშნავდეს: ბალთა ხე, ბალთა ხევი, ბალთა ტყე. ამ სამი შესაძლებლობიდან ავტორი უპირატესობას ანიჭებს ბალთა ხევს და უკავშირებს საქართველოში, თბილისსა და თიანეთს შორის მდებარე სოფელს, რომლის სახელიცაა ბალების ხევი [Rezvani 2009: 610].

შემდეგი ტოპონიმები, რომლებსაც რეზვანი განიხილავს: **აზნავოლე (Aznavole /Aznavule and Aznaule)** – უკავშირებს ტოპონიმ ზნაურს და ამოსავლად მიანიხნია ქართული სიტყვა აზნაური; **რაჭა (Racha)** – მდებარეობს ფერეიდნის ქართული რაიონიდან დასავლეთით. ეს სოფელი დღეს ქართული არ არის, თუმცა, ავტორის თქმით, ფერეიდნელი ქართველების სამშობლოა საქართველოს რეგიონი რაჭა. ამის ერთ-ერთ არგუმენტად ასახელებს იმას, რომ სტანდარტული სპარსული წარმოთქმით ის უნდა წარმოითქოდეს როგორც რაჩეჰ (**Racheh**), თუმცა ბახტიარები და ქართველები მას უწოდებენ **რაჭას; ბალტიჯე (Beltije)** – საწყის ფორმად, საიდანაც მიღებულია ეს ტოპონიმი, მიიჩნევს: 1. ბალეთ-ჩი. – ბალეთი – ბლების ქვეყანა; 2. ბელთ ტური; **ენალუჯი (Enaluje)** – ენალურჯი [Rezvani 2009: 610].

ავტორის თქმით, ფაქტია, რომ ძალიან ძნელია და თითქმის შეუძლებელი ამ ტოპონიმების ახსნა სხვა ენობრივი მასალის დახმარებით, გარდა ქართულისა.

მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა ქართული ელემენტის დადასტურება არაქართველენოვანი რეგიონის ონომასტიკურ მასალაში, თუმცა აკადემიური სიზუსტით და შესაბამისი მეთოდოლოგიური აპარატით. ბაბაკ რეზვანის მცდელობა, ახსნას ამ რეგიონის ზოგიერთი ტოპონიმი ქართული წარმომავლობით, ხალხური ეტიმოლოგიის დონეზე თუ შეიძლება იქნეს განხილული. სავარაუდოდ, ეს მოსაზრებები მისი

ქართველი კოლეგებისა და ინფორმატორების არაკვალიფიციური გავლენის შედეგი უნდა იყოს და ისინი უფრო ნაივური ეტიმოლოგიების შთაბეჭდილებას ტოვებენ. თუმცა ეს მასალა იძლევა დაფიქრების საბაბს და აღვივებს მომავალი კვლევის ინტერესს.

1.4. მიკროტოპონიმია

1.4.1. გეოგრაფიული სახელების სახელდების თავისებურებისათვის

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მიკროტოპონიმები მაკროტოპონიმებთან შედარებით არ გამოირჩევა სიმყარით. გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ისინი შეიძლება დროთა განმავლობაში უფრო ხშირად იცვლებოდეს, ვიდრე მაკროტოპონიმები.

მიჩნეულია, რომ მიგრანტთა მიერ ახალ საცხოვრისში გეოგრაფიული ადგილებისათვის დარქმეული სახელების ნაწილი შესაძლებელია იყოს დუპლეტური, ე.წ. სეხნია ტოპონიმები, წაღებული ძველი საცხოვრებელი ადგილიდან.

მართლაც, ფერეიდანში რამდენიმე ოიკონიმზე შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ისინი „სქართველოდან მესხიერებით წაღებული“ ტოპონიმებია. უცილობელი ჩანს, რომ მართყოფი, ვაშლოვანი სწორედ ამ ტიპის ტოპონიმთა ჯგუფს განეკუთვნება. რაც შეეხება მიკროტოპონიმებს, ამ შემთხვევაში, გაძნელება ამის კატეგორიული მტკიცება.

ვფიქრობთ, აქ დუპლეტების (სეხნია ტოპონიმების) ან მსგავსი ტოპონიმების არსებობის მიზეზი უმრავლეს შემთხვევაში არის მსგავსი გეოგრაფიული გარემო, რომელიც მშობლიური ლინგვოკულტურული მოდელის მიხედვით აღიქმება და სახელდებაც ამ მოდელის მიხედვით ხდება. გეოგრაფიული გარემოს ამგვარი ენობრივი „ათვისება“ სწორედ ენობრივი (და, შესაბამისად, ეთნიკური) ვინაობის ერთ-ერთი გამოხატულებაა. მაგალითად, სივრცის ხედვის, შეფასების ერთნაირი კრიტერიუმები: **ქვემო, ზემო, გაღმა, პირიქითი, იქით** და ა. შ.; ერთნაირია ტოპონიმის სტრუქტურის შექმნის პრინციპი და ა. შ.

ფერეიდანში, პირველ ყოვლისა, თვალში გვხვდება **სხვადასხვა სიძველის ტოპონიმური შრეები, რომლთაგან თითოეული გარკვეული ინფორმაციის შემცველია**: ამ ტოპონიმებში შემორჩენილია ძველი ქართული სახელები: **თანდილას** წყარო, **გიორგის** მაზრა, **სულიკას** ყიშლაყი და ა. შ., რომლებიც დღეს აღარ არსებობს. ტოპონიმებში დარჩენილია ყოფითი, რიტუალური, ისტორიული ფაქტების კვალი. ერთი სიტყვით, ტოპონიმური სივრცე მუზეუმს ჰგავს, რომლის ექსპონატებიდან თითოეულს თავისი სათქმელი აქვს. ის სხვადასხვა კუთხით, რაკურსით დანახული სამყაროა.

საუკუნეების წინ ფერეიდანში გადასახლებულ ქართველთა ხანგრძლივმა იზოლაციამ ქართული ბირთვული არეალიდან გააძლიერა დომინანტი ენის გავლენა. ასევე გააძლიერა ქართული ენის შინაგანი ტენდენციებიც, რომლითაც ის, ფაქტობრივად, უპირისპირდებოდა ასეთ ზეწოლას.

ტოპონიმების წარმოებისას დასტურდება თითქმის ყველა ის ენობრივი მოდელი, რომლებიც დამახასიათებელია ქართული ენის სხვა ქვესისტემებისათვისაც, ამათგან ზოგი განსაკუთრებით ფართოდაა გამოყენებული.

წარმომავლობის მიხედვით ტოპონიმები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ:

1. საკუთრივ ქართული ტოპონიმები (ნაქერალის გორა, ქალების ქობი, გქელმიწები)
2. უცხოენოვანი სტრუქტურისა და სემანტიკის ტოპონიმები (მათ შორის სპარსული, თურქული...) ბულაყი – ადგილის სახელი ვაშლოვანში; ყალა, მაზრა – ადგილის სახელები მარტყოფში.
3. ქართულ-სპარსული სიტყვებით გაფორმებული ტოპონიმები ყელის რა // ყელის რანი ადგილის სახელი აფუსში (სპ. რან – გზა);

ადგილი და მისი სუბსტიტუტები, კონცეპტები: მთა, გორა, მინდორი, დასახლება და სხვ, რაც ასახავს ადამიანის ცოდნას გეოგრაფიული სივრცის დაყოფაზე სხვადასხვა ბუნებრივ კატეგორიად (ნატურფაქტებად) და ხელოვნურ ობიექტებად (არტეფაქტებად).

სამეცნიერო ლიტერატურაში ზემოთ აღნიშნული კონცეპტებს – ინდიკატორებსაც უწოდებენ. ამ ტერმინის დამკვიდრება მიეწერება ფრანგ ტოპონიმისტს პაულ ლუბელს [მაკალათია 1972: 77].

ტოპონიმოკაში ამ ტერმინით აღნიშნავენ სიტყვათშეერთებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელების შემადგენელ ისეთ საზღვრულ სიტყვებს, რომლებიც მეორდება სხვადასხვა სიხშირით. დამოუკიდებლად კი წარმოადგენს რომელიმე ბუნებრივი ადგილის ამსახველ გეოგრაფიულ ტერმინს [მაკალათია 1972: 77].

ინდიკატორი გეოგრაფიული ტერმინია, რომელიც მიუთითებს, თუ რომელ ტოპონიმოკურ ტიპს მიეკუთვნება ტოპონიმი [Подолская 1978: 133].

ფერეიდნულში ტოპონიმოკურ ინდიკატორებად გვხვდება:

თა (მთა); წერი (წვერი); გორა, ტინი - ტინები; მაზრა; ჯევი; ლელე; წყარო; გოლი; წისქილი, ღურბელი; რუვი; ქობი; ბაღი - ბაღები; ბაღა; ხული; ბუღე - ბუღები; გურაბი (გვირაბი); დიხები; მზვარე; მიწა - მიწები; ჭავრობი; ჩივანი; გერდი; ბანდი; ყელი; საქვები; ცხენი; ფევი; გზა; რა[ხ](ი) (=გზა); ბულაყი; ყალა; ოზო; მაჰლა; ძირი; მაგარი; ქუჩა; ტივი; რუვი; ნავეები; წერები; გუნაი; გასავალი; ბურჯი; ქერი; ქელი; ხიდი; კარი; წყალი.

ინდიკატორები	რისი სახელწოდებაა	დასახლება	ტოპონიმი
თა (მთა)	გორა	მარტყოფი	წინა თა, მამაგულას თა
თა (მთა)	გორა	თორელი	შა(ვ)მთა
წერი (წვერი)	გორა	მარტყოფი	აღილის წერი, დიდწერი, ზელინგიას წერი, მაღალწერი, შეშას წერი, წივას წერი, ჭას წერი, ხალილის წერი
გორა	გორა, ადგილის სახელი	მარტყოფი	ავღანის გორა, ბარათაღას გორა, თათამვილის გორა, ლამაზის გორა // ნამაზის გორა, მანდილიან გორა, მეველეს გორა, მელის გორა, ტელიარის გორა, ტინიანთ გორა, ფიძფარიან გორა, შავგორა

გორა	გორა	აფუსი	დიდგორა
გორა	გორა	თორელი	შავკორეები
ტინი (ტინები)	ადგილის სახელი, გორა	მარტყოფი	ემმაკტინი, გახრეტელ ტინი
მაზრა	მამულის სახელი	მარტყოფი	გიორგის მაზრა // გუირგის მაზრა // გორგის მაზრა, გუგუნან(თ) მაზრა, ბათუ(ვ)ან(თ) მაზრა, დათანთ მაზრა, თავაზიან მაზრა, იქით მაზრა, ლაჩი-ნანთ მაზრა, მიქელანთ მაზრა, ცივ-წყაროს მაზრა, ამირას მაზრა.
მაზრა	მამულის სახელი	აფუსი	გელის მაზრა
ვევი	ადგილის სახელი	მარტყოფი	დიდვევი, მიღმავევი
ვევი	ადგილის სახელი	დამქესანა	მორა ვევი
ლელე	მამულის სახელი	მარტყოფი	პირთ ლელე // ფირთ ლელე, ქოთანლე-ლე, ქუვიან ლელე, ყაშიმას ლელე, ყო-ლიას ლელე, ჩულურ ლელე, ჭას ლელე.
ლელე	მამულის სახელი	თორელი	ქომოთ ლელე
წყარო	ადგილის სახელი	მარტყოფი	მუდამ წყარო // მოდამ წყარო, ადა-შიანთ წყარო, წელას წყარო.
წყარო	გორა	მარტყოფი	თეთრი წყარო
წყარო	წყარო	მარტყოფი	თანდილას წყარო
წყარო	ადგილის სახელი	თორელი	თეთრი წყარო
გოლი	ადგილის სახელი	თორელი	კარაზანას გოლი, გოგიან გოლი
გოლი	ადგილის სახელი	აფუსი	ბაყარა გოლი
წისქილი	წისქვილი	მარტყოფი	თალლას წისქილი
რუვი	ადგილის სახელი	მარტყოფი	წისქილის რუვი
რუვი	უბნის სახელი	მარტყოფი	დიდრუვი
რუვი	ადგილის სახელი	თორელი	ახალ რუვი
რუვი	ადგილის სახელი	აფუსი	ქოვით რუვი
ქობი	მთა, გორა	მარტყოფი	დათის ქობი, დოიქმულ ქობი, ნერ-გისის ქობი, სულიკას ქობი, ქალეზის ქობი, ჯინჯაღას ქობი, ბავუკას ქობი

ბალი // ბალები	ადგილის სახელი	მარტყოფი	ბერიანთ ბალი, ლელიანთ ბალი, პაპას ბალი, ჩუღრიანთ ბალები
ხული	ადგილის სახელი	ჩუღრუთი	ბერიანთ ხული
ბუღე (ბუღები)	ადგილის სახელი	მარტყოფი	გელის ბუღები
გურაბი (გვირაბი)	ადგილის სახელი	მარტყოფი	თავზიანთ გურაბი, გომარგის გურაბი, სეფიანთ გურაბი
ღიზები ²³⁷	მაძულის სახელი	მარტყოფი	გუგუნანთ ღიზები
მზვარე	ადგილის სახელი	მარტყოფი	გუგუნანთ მზვარე (გუგუნანთ მზვარეს მიწა)
მიწები // მიწა	ადგილის სახელი	მარტყოფი	სასახლეს მიწა
მიწები // მიწა	ადგილის სახელი	თორელი	გძელ მიწები (გძელმიწები), მოკლე მიწები
ჭავრობი (= ჭაობი)	გორა	მარტყოფი	დაქცეველ ჭავრობი, ღიდ ჭავრობი
ჩივანი	ადგილის	თორელი	ღიდი ჩივანი, ბაიბა ჩივანი
გერდი	ადგილი	აფუსი	ვარაზ გერდი, ვარას გერდი
ბანდი	მაზრა, სამოვარი	მარტყოფი	ვარდ ბანდი
ყელი	ადგილი	აფუსი	ყელის რახ, შავყელის რახ
ყელი	ადგილი სახელი	მარტყოფი	ვარდის, შავყელის
საქვები	ლეღე	მარტყოფი	თავის საქვები
ცხენი	გორა // ქვა	მარტყოფი	თამზიას ცხენი
ფევი	ადგილის	თორელი	თას ფევი
გზა	ადგილის	თორელი	მექეს გზა, რიგნის გზა // რიგნის გზა
რა[ხ](ი) (=გზა)	ადგილის სახელი	აფუსი	ყელის რა[ხ](ი)
ბულაყი	ადგილის	ვაშლოვანი	ყანდი, ბულაყი, ყარდა ბულაყი, მირზალის ბულაყი, შავბულაყი
ყალა ²³⁸	ადგილის	ვაშლოვანი	ოღლიანთ ყალა
ყალა	ადგილის სახელი	მარტყოფი	სარბალიას ყალა
ოზო	გორა	მარტყოფი	რამაზუნას ოზო
მაჰლა	ადგილის სახელი	მარტყოფი	სეფიანთ მაჰლა, თავაზიანთ მაჰლა
ძირი	გორა	მარტყოფი	სოფლის ძირი
მაგარი	გორა	მარტყოფი	ოქროს მაგარი, ტარულას მაგარი
ქუჩა	ადგილის სახელი	თორელი	ქარვანსარას ქუჩა
ტივი	გორა	მარტყოფი	ქარის ტივი
რუვი	ადგილის სახელი	მარტყოფი	წისქილის რუვი

237. ცალკე ტოპონიმადაც გვხვდება მარტყოფში

238. ცალკე ტოპონიმიცაა ყალა – უბანი მარტყოფში

რუვი	ადგილის სა- ხელი	აფუხი	დიდრუვი
ნავეები	აფუხისსახელი	მარტყოფი	ყიბლას ნავეები
წერები	მთა	მარტყოფი	ყიბლას წერები
გუნაი	გორაკი	მარტყოფსა და ჩუღურუს შორის	ყირმიზ გუნაი
გასავალი	გორა	მარტყოფი	ყრალ გასავალი
ბურჯი	გორა	მარტყოფი	შავ ბურჯი
ქერი	ადგილის სა- ხელი	მარტყოფი	შეჩას ქერი
ქელი	ადგილის სა- ხელი	მარტყოფი	ჩაჩას ქელი
ხიდი	გორა	მარტყოფი	ცივის ხიდი
წყალი	ადგილის სა- ხელი	მარტყოფი	წმინდა წყალი
კარი	ადგილის სა- ხელი	თორელი	მაღალანთ კარი

პიდრონიმები

	ინდიკატორი	რისი სახელწოდებაა	დასახლება	პიდრონიმები
1.	წყარო	წყარო	მარტყოფი	ადშიანთ წყარო, ბათუანთ წყარო, ბაღერას წყარო, ბანშიას წყარო, ბებიას წყარო, ბულბულის წყარო, გელაზი წყარო, გუგუნანთ წყარო, დიზების წყარო, ცივწყარო, ზარდიგარის წყარო, თათარას წყარო, თანდილას წყარო, თეთრის წყარო, კაკაღბიძის წყარო, კაკბის წყარო, კუვის წყარო, ლაბგარის წყარო, ლაშე წყარო, მათან წყარო, მაჩის წყარო, მეაბონების წყარო, მეგობრების წყარო, მენადირების წყარო, მუღამ წყარო, ნაქერალის წყარო, ქაშის წყარო, ყართიან წყარო, ყორბიჭის წყარო, შავწყარო, ჩამბარა წყარო, ცივწყარო, ხუციანთ წყარო, ჯგეირანის წყარო, ჰაჯი ჰაყვერდის წყარო
	წყარო	წყარო	თორელი	ჭოჭყვიან წყარო, ღარის წყარო, ტინიანთ წყარო, ტამაშალ წყარო, ჩივანის წყარო, რაშილას წყარო, მოსტაფას წყარო, თეთრი წყარო
	წყარო	წყარო	აფუხი	ჩარუადარი წყარო
2.	რუვი	მდინარე	თორელი	ქომოთ რუვი, ზემოთ რუვი, ზეზე რუვი, ზაქარიას რუვი, დიდ ჩივანის რუვი, ახალრუვი

3.	გოლი	შეგუბებული წყალი	მარტყოფი	ბულბულოს გოლი
	გოლი	შეგუბებული წყალი	თორელი	დიდ გოლი
4.	ლელე	ლელე	მარტყოფი	დათას ლელე, დიდთანდრიზი ლელე, დიდ ლე- ლე, ზარდაჩაის ლელე.
5.	ვევი	ხევი	მარტყოფი	გაღმა ვევი, დიდთანდრიზი ვევი, დიდ ვევი.
	ვევი	ხევი	თორელი	დიდ ვევი
6.	ჭავრობი	ჭაობი	მარტყოფი	დიდ ჭავრობი

1.4.2. ფერეიდნის ტოპონიმები წარმოებისა და შინაარსის თვალსაზრისით

წარმოების თვალსაზრისით შეიძლება შეგვხვდეს:

- ძირეული, უაფიქსო ტოპონიმები: **ასკილი**, **გოშა** (მარტყოფი)
- წარმოქმნილი ტოპონიმები: ა). აფიქსური წარმოების (ნაგუდი, საჯღოძი; ხირხატები; ბ). კომპოზიტიური: დიდწერი; ქალების ქობი; შავწყარო
- საკუთარი სახელებისგან ნაწარმოები ტოპონიმები ა). ადამიანის საკუთარი სახელებისგან **თანდილას** წყარო, **გიორგის** მაზრა, **სულიკას** ყიშლაყი ბ). შტოგვარებისგან **გუგუნანთ** მაზრა, **ბათუანთ** მაზრა.

რთულ ტოპონიმებში დავაფიქსირეთ 50-მდე ტოპონიმური ინდიკატორი (ტოპონიმის საზღვრული წევრი), რომელთა შორის ყველაზე ხშირად გამოყენებულია: გორა, წერი (წვერი), მაზრა, ქობი, ლელე, გზა, ბულაყი, ოზო, მაჰლა, ძირი, ქუჩა, კარი, ბურჯი, ქერი, ქელი, ხიდი...

ავღანის გორა, ბარათალას გორა, მელის გორა, შავგორეები, დიდგორა (აფუსი), შავგორეები (თორელი)...

ადილის წერი, წივას წერი (მარტყოფი).

ქალების ქობი, დათის ქობი, ბავუკას ქობი (მარტყოფი).

პირთ ლელე, ქოთანთ ლელე (მარტყოფი), ქომოთ ლელე (თორელი).

გელის მაზრა (აფუსი), გუგუნანთ მაზრა (მარტყოფი).

ჰიდრონიმებში მხოლოდ ერთი მარტივი ტოპონიმი დასტურდება: ჩქრიალა წყაროს სახელი მარტყოფში (ფერეიდუნშაჰრში).

ყველა დანარჩენ შემთხვევაში გვაქვს კომპოზიტიური წარმოების ჰიდრონიმები, ატრიბუტული და მართულ მსახვრელიანი ტოპონიმები. გამოიყოფა შემდეგი ტოპონინდიკატორები: წყარო; რუვი; გოლი, ლელე, ხევი, ჭავრობა (ჭაობი).

- თაღერას წყარო, ბებიას წყარო (მარტყოფი); ქომოთ რუვი, ზაქარიას რუვი (თორელი)
- ბულბულის გოლი (მარტყოფი); დიდგოლი (თორელი); დათას ლელე (მარტყოფი), დიდლელე (თორელი); გაღმა ვევი (მარტყოფი); დიდვევი (თორელი); დიდჭავრობი (მარტყოფი).

ძირეული, უაფიქსო ტოპონიმები:

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ის მარტივი სახელები, რომლებიც ტოპონიმებად გვევლინება, ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის კუთვნილებაა. ისინი ნაკლებად განიცდიან ფუძისეულ ცვლილებებს და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან გეოგრაფიულ სახელთა უძველესი ისტორიის შესახებ. ძველ ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურულ ძეგლებში ტოპონიმთა ნაწილი მარტივი ფუძითაა წარმოდგენილი და ასეთი ტოპონიმის სემანტიკური მხარე ზოგჯერ დაბნელებულია [შავშეთი 2011: 303].

უაფიქსო ტოპონიმები, ანუ მარტივი სახელები:

მარტივი უაფიქსო:

ასკილი – ადგილის სახელი მარტყოფში (ფერეიდუნშაპრში). *ასკილი სადაც არი, ასკილი რომელია, იცი ხო?; ასკილი, ასკილიც მე მგონია, რო ელა ქარსულ სახელი იყოს.*

ბიბია – გორა მარტყოფში (ფერეიდუნშაპრში).

ბურჯალია – ადგილის სახელი სიბაქში. *ენაყრი მინდორი გოქ და ბურჯალია იყო, მოუვნითყე, წელსდა წყალი რო არ იყო, რო უნდოღისყე, ჩონ კაცმა წაიდეს, უნდოღისყე, რო ერთ რა ჭურჭელი ააქსოს და წყალი წაიღოს.*

გომა – გორა მარტყოფში (ფერეიდუნშაპრში). *ეს ერთ შორანს თაშქილს მიჰცემავს და შაჰკარავენ ჩუგულიას თავ ზეგ ა ამ გომასა და ჩუგულიას გორა და, ნაქერაღის გორასა და აღუნის გორასა და თათაშულის გორასა და ემებსა.*

ღუმბაძე – გორა ახჩაში (ფერეიდუნშაპრში).

რეზო დავითაშვილი თავის ჩამონათვალში ასახელებს ამ ტოპონიმს, ამასვე იმეორებს დარეჯან ჩხუბიანიშვილი რეზო დავითაშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

საინტერესოა, რომ თორელში დასტურდება შტო-გვარი **ღუმბანი**.

როგორც ვხედავთ, მარტივი, უაფიქსო სახელები არცთუ ისე ბევრია. მას საგრძობლად ჭარბობს აფიქსური წარმოებით მიღებული ტოპონიმები, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტოპონიმების დიდი წილს შეადგენს რთული, სიტყვაშეერთებით მიღებული და მართულმსაზღვრელიანი ტოპონიმები.

წარმოქმნილი ტოპონიმები:

ფერეიდანში მატოპონიმებელი აფიქსებია: -ა; -ებ // -ეებ; -ანთ // -ან; -ილ; -ულ; უნა; -იან; ნა-არ; ნა-ალ...

1. აფიქსური წარმოების:

პრეფიქსული წარმოება:

პრეფიქსული წარმოებით მიღებული ტოპონიმები ფერეიდუნულ დიალექტში ოდენ **სა-** და **ნა-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი და ისიც მხოლოდ მარტყოფში (ფერეიდუნშაპრში).

ოდენ ნა- პრეფიქსი:

ნაგული (მარტყოფი)

ნაქცევი (მარტყოფი)

ნატუსი (მარტყოფი)

ოღენ სა- პრეფიქსი:

საჯდომი – გორა მარტყოფში

სახტომი – გორა მარტყოფში

ბუნებრივია, ამ ტიპის სახელებთან იგულისხმება საზღვრული წევრი.

სუფიქსური წარმოება:

-იან სუფიქსი:

ეშმაკიანი – მარტყოფი

კახურდიანი – მარტყოფი

ლოდიანი – მარტყოფი

ფიქლიანი – მარტყოფი

უზბაშიანი – თორელი

ხოჯიანი – თორელი

-ა სუფიქსი

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -ა სუფიქსს გეოგრაფიულ სახელებში მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელი ფუნქციაც უჩანს. ეს სუფიქსი შეიძლება დაერთოს ნებისმიერი წარმოების საზოგადო სახელს, რომელსაც ამ გზით გამოჰყოფს, გამიჯნავს საზოგადო სახელით სისტემისაგან და აქცევს საკუთარ სახელად – ტოპონიმად [მაკალათია 1987: 106-108].

-ა სუფიქსიანი ტოპონიმები ფერეიდნულში:

ჯანგა – თორელი

ჩქრიალა – მარტყოფი

დემანა – მარტყოფი

მაკმულა – მარტყოფი

გოშა – მარტყოფი

მოზდარა – მარტყოფი

თათარა – მარტყოფი

-ებ როგორც მატოპონიმებელი სუფიქსი:

უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ფერეიდნის ქართველებით დასახლებულს სოფლებშიც -ებ სუფიქსი ტოპონიმთა მწარმოებელი აფიქსია.

ამასთან -ებ სუფიქსიანი სახელები შეიძლება იყოს მარტივი ან რთული.

მარტივი -ებ სუფიქსიანი ტოპონიმები:

ფერეიდნის ქართულ სოფლებში უფრო მეტია მარტივი წარმოების ტოპონიმები -ებ სუფიქსით, ვიდრე რთული.

მარტყოფსა და მის გარშემო სოფლებში -ებ სუფიქსი აქტიურია:

ხირნატები // ხირნატეები // ხირნატი // ხირნატი მიწა. ადგილის სახელი ფერეიდნულსაპრში, თორელში. *ხირნატი არი იქით, ანქ გძელმიწები რაა, გძელმიწები. და გძელმიწებია და მერე ხირნატები.*

ფერდულები – გორა მარტყოფში (ფერეიდუნშაპრში).

-**ებ სუფიქსი გვხვდება** მაშინაც, როცა ის მეორეული სიტყვაწარმოების აფიქსია. მაგ., **სასახლები** – იგივეა რაც **სასახლეს მიწები**. ადგილის სახელი მარტყოფში (ფერეიდუნშაპრში); **სათავები** – ადგილის სახელი მარტყოფში (ფერეიდუნშაპრში). **სათავები** – ძალა ადგილებზე არი.

მიწროები

დაგლეჯილები – გორა მარტყოფში (ფერეიდუნშაპრში);

ლაფერდანიები – ადგილის სახელი თორელში. *მიწას რო ქარდუნ, დაქარდვა ხო იცი რა არი, ეს ერთ ბანზე რუვი გაღის, ზირჯულიც აქ იმას, ერთ მოკლე რუვიც ებმის დიდ ლაფერდანიებია, ლაფერდანიებია, ლაკარტანიები;*

დანგრეულები – **დანგრეელები** იგივეა რაც **ხარაბა**. ადგილის სახელი მარტყოფში (ფერეიდუნშაპრში).

-**ებ სუფიქსიანი სახელები რთულ ტოპონიმებშიც გვხვდება:**

მარტყოფი:

ყიბლას ნავეები – ადგილი, სადაც ჩამოდის ზვაკი. *ყიბლას ნავეებში ჩამოდის ზოვი;* **ყიბლას წერები** – მთის სახელია ფერეიდუნშაპრში. *ვინც მიდის და ნამაზს რო კითხოვს, უნდა ეგრე დაიდგე, ეგრე რო ღებები, ემას ყიბლა წერებს კეძახით. მაქას ხარაზე;*

სასახლეს მიწები – იგივეა რაც **სასახლები**. ადგილის სახელია ფერეიდუნშაპრში. *ეს ექ რო დღებებს, ექ რო დღებებს, სასახლე, აი ესები სასახლეს მიწებია, აი ეს ჩონ რომ დავცქერით ა ესები სასახლეს მიწებია.*

სომხურ ტინები – ადგილის სახელია ფერეიდანში. *აი, თუ კარგა ავა ის ძალაწერითა, გავა ზელინგიას წერითა გოხოვს იქით, გახეტილი არი და შავა სომხურ ტინებში; აი, სვარცხელი, კბილანა, ისი. ის სომხურ ტინთუკანია და ჩამოაღა. მე რა ვიცი, იქითღა გადადსჭვრეტ სომხეფს, იქით სომხური სოფლებია;*

მაგარ ტინები – ადგილის სახელი მარტყოფში (ფერეიდუნშაპრში). *სალომის სადაცღა მაგარ ტინებში დაღავდეს თხები, იმ ღამით ადგებიან და შატყობინებენ ერთმანერთს; მისულიყო მაგარ ტინეფთან, მისწოლიყო და წაიღისყე წყრან.*

გძელმიწები – ადგილის სახელი მარტყოფში (ფერეიდუნშაპრში), თორელში. *ნაკვეთი რომ სიგრძე ბევრი აქ. გძელმიწებია და მერე ხირხატები /მარტყოფი (ფერეიდუნშაპრი)/; ანქ იყო მოკლე მიწა, ექ იყო გძელ მიწები /თორელი/.*

მარტყოფსა და მის განაყარ სოფლებში ზოგჯერ პარალელურად გვხვდება -ებ დაბოლოება:

კუთხე მიწები – მარტყოფი

ყიბლას ნავეები – მარტყოფი

ყანღლიანები – მარტყოფი

თორელშიც უფრო ხშირად გვხვდება -ებ დაბოლოება, ნაკლებად -ებ:

წაკრულები, წითლები, ლაკარტანიები, **მოკლე მიწები**, ხოშავის ტინები, ხილის ჯრობები, წრილ მიწები, წითელ მიწები, შავგორები...

-ებ სუფიქსიანი სახელები გამოხატავენ სიმრავლეს, მრავლობითობას – ძირითადად ამ ფუნქციით გვხვდება -ებ სუფიქსი ტოპონიმების მაწარმოებლად, თუმცა ზოგჯერ -ებ სუფიქსი შეიძლება თემის ნიშანი იყოს:

გასაბიჯები – გორა მარტყოფში (ფერეიდუნშაჰრში).

გვხვდება სიტყვათშეერთებით მიღებული ტოპონიმები: ატრიბუტულ მსაზღვრელიანი ტოპონიმები, მართულ მსაზღველიანი ტოპონიმები, რომლებიც ინდიკატორთა ცხრილშია წარმოდგენილი.

სინონიმური ტოპონიმები

სამეცნიერო ლიტერატურაში სინონიმურ ტოპონიმად მიჩნეულია ისეთი ორი ან რამდენიმე გეოგრაფიული სახელი, რომლებიც ტოპონიმური მნიშვნელობით ერთმანეთს ემთხვევიან მთლიანად ან ნაწილობრივ. ფორმით კი (მორფოლოგიური აგებულებით, ლექსიკური შედგენილობით ან სინტაქსური შეხამებით) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან [მაკალათია 1987: 113].

„სინონიმური წყვილები ერთი და იმავე გეოგრაფიული ობიექტების სახელებია... შესაბამისად, იდენტურია მათი სამისამართო ფუნქციაც – ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ობიექტზე მითითება [მაკალათია 1987: 113-114].

ა). ლექსიკური სინონიმური ტოპონიმები:

ლექსიკურ სინონიმურ ტოპონიმებში გამოიყოფა პარალელური ფორმები – ქართული და სპარსული:

- ვაშლოვანი – სიბაქი
- რუისპირი – აფუსი
- ნინოწმინდა – ქულუბანაქი
- მარტყოფი – ფერეიდუნშაჰრი
- თოლელი – მიანდაშთი
- შავსოფელი – შავურდი და ა.შ.

ამ ტიპის სახელებში სოფლების ქართული სახელდება, სამწუხაროდ, ნელ-ნელა ქრება და უფრო მეტად მყარდება სპარსული შესატყვისის პოზიცია, ამას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ სპარსული სახელწოდებები ოფიციალურ ადმინისტრაციულია, შესაბამისად, მეტი სიხშირით გამოიყენება. რაც შეეხება ქართულ, მხოლოდ მეხსიერებით შენახულ სახელს, ის ნელ-ნელა თმობს პოზიციებს, განსაკუთრებით ახალგაზრდების მეტყველებაში.

ბ). მორფოლოგიური სინონიმური ტოპონიმები:

მორფოლოგიური სინონიმური ტოპონიმები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მარტივი და რთული ფორმით; მაწარმოებელთა დართვა-დაურთველობით, მაწარმოებელთა მონაცვლეობით, მაწარმებელთა ფონეტიკური ვარიაციებით:

მარტივი და რთული ფორმები:

ასკილი // ასკილის ლელე

მაწარმებელთა მონაცვლეობით:

თოლეელი // თორელი // თოლილი

მაწარმებელთა ფონეტიკური ვარიაციებით:

ლაკარტენები – ლაკარტანები

ზოგიერთი ტოპონიმი დღეს ფერეიდანში გამქრალია ან შეცვლილია სპარსული სახელწოდებით. მაგალითად, ძველ წყაროებში ფერეიდანში დასტურდება ქართული სოფელი „შავსოფელი“, რომელსაც დღეს შაიურდი ჰქვია, ამ სოფელში დღეს ქართული მოსახლეობა აღარაა.

შავსოფელი დასტურდება თბილისის ერთ-ერთი უბნის სახელწოდებად. ამ სახელის დარქმევა უკავშირდება კრწანისის ბრძოლის ისტორიის ერთ ფრაგმენტს.

„შავსოფელი“ ერქვა ასევე კავთისხევსაც, იმიტომ, რომ დაღესტნელი ყაჩაღები აოხრებდნენ ხშირად [მაკალათია 1960: 12].

ფერთა სახელები ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებში:

ფერეიდნის ქართულ ტოპონიმებში ყველაზე ხშირად გვხვდება ფერებიდან **შავი** შემდეგ **თეთრი** და **წითელი**:

შავგორა – გორა მარტყოფში (ფერეიდუნშაჰრში). ერთ გორა გოქ შავი, დანი, ის თავის მიწა და ის ქუები რო ყრია იქა, შავებია. იმას დავძახით.

შავბურჯი – გორა მარტყოფში (ფერეიდუნშაჰრში).

შავბულაყი – სოფელი ფერეიდანში.

შავგორეები – ადგილის სახელია თორელში. შავგორეები – შავი ქვებია. შავ, დამწორ ქვები, იქ ცხვარს ღრუბლიანში აძოვებენ, ტალახი არ იცის /თორელი/.

შავყელი – გორა მარტყოფში (ფერეიდუნშაჰრში).

შავყელის რა – ადგილის სახელი აფუსში.

შავწყარო – წყაროს სახელი მარტყოფში (ფერეიდუნშაჰრში).

თეთრი წყარო – ადგილის სახელი თორელში. თეთრი წყარო. წითლები, ხინჭები, ჩველივები, ზეზე რუვი, ესები ჩუენა სასეინიანები.

თეთრი წყარო – გორა მარტყოფში (ფერეიდუნშაჰრში).

წითლები – ადგილის სახელი თორელში.

ეთნოტოპონიმები, სოციალური ხასიათის ტოპონიმები:

ტოპონიმთა ერთი ნაწილი ეთნოლოგიური ხასიათისაა. ამ ტიპის ტოპონიმებში ასახულია ყოფა-ცხოვრების აღმნიშვნელი, კულტურის, ისტორიის თავისებურებანი. ისინი წარმოაჩენენ ყოფით, სამეურნეო მოვლენებს; საძოვრებს, სამეურნეო ადგილებს, სათიბებს, მამულებს, სამეზობლო ურთიერთობებს, ნათესაობას, გვარს.

გვხვდება ისტორიული და საკრალური ტოპონიმები, რომლებშიც შემონახულია ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრების, მტერთან ბრძოლისა და მასთან დაკავშირებული სასწაულების ისტორია.

რამდენიმე ტოპონიმი დაკავშირებულია ფერეიდნელთათვის მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებთან – ფერეიდნელების ბრძოლასთან ავღანელთა წინააღმდეგ 1722 წელს.

სეფიანთა დინასტიის დასასრულს სპარსეთს ავღანელები შემოესივნენ და, ფაქტობრივად, მთელი ირანი დაიპყრეს. ისპაჰანს იცავდა ქართველთა ლაშქარიც. სამწუხაროდ, ამ ბრძოლაში 400 ქართველი მეომარი დაეცა. ისპაჰანის ალების შემდეგ ავღანელები ფერეიდნისკენ დაიძრნენ. დაბანაკდნენ და ქართველებს შიკრიკი გაუგზავნეს, დანებება მოსთხოვეს. მათ წინ სამი გორა იყო: **ავღანის, ნაქერალასა და თათაშვილის.**

ქართველებმა უარი შეუთვალეს. ბრძოლა სამი დღე გაგრძელდა, ქართველებს სათავეში ედგა იოსებ გუგუნაშვილი. ქართველების უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ ავღანელების რაოდენობა არ იკლებდა, ახლა-ახალი რაზმი ემატებოდა და მაშინ, როცა ქართველებს გადაეწურათ ყოველგვარი იმედი, ამადლობის გორასთან თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი გამოჩნდა და წინ წარუძღვა მათ. ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. ფერეიდანი აღმოჩნდა ერთადერთი ადგილი სპარსეთში, სადაც ავღანელებმა ფეხი ვერ მოიკიდეს.

ფერეიდნელები დღესაც სიამაყით ჰყვებიან ამ ამბავს. ამ ბრძოლაში გამოირჩეოდა იოსებ იოსელიანი, უჩა ონიკაშვილი, იოსებ გუგუნაშვილი... [ონიკაშვილი 2004: 27].

ფერეიდნელებშივე გავრცელებული ვერსიით ნადირ შაჰმა შეძლო ავღანელებისგან სპარსეთის გათავისუფლება და ქართველებს გმირობა დაუფასა – არც რელიგიის შეცვლას აიძულებდა და არც ქართულად ლაპარაკს უშლიდა. მის დროს ქართველებს ერთგვარი ავტონომიური უფლებები ენიჭებოდათ ფერეიდნის მხარეში [ონიკაშვილი 2004: 27].

აი, ეს ტოპონიმები, რომლებიც დაკავშირებულია ავღანელებთან ბრძოლის გმირულ ისტორიასთან:

1). თათაშვილის გორა

თათაშვილის გორა ფერეიდნელ ქართველთა კოლექტიური მეხსიერების ერთ-ერთი სიმბოლოდ ქცეული ტოპონიმია.

პირველად მას ახსენებს ამბაკო ჭელიძე თავის წიგნში: ქართველებს ავღანელების წინააღმდეგ 1722 წელს ქართველი გლეხი თათაშვილი გაძლოდა წინ. ისინი ერთ გორაზე გამაგრებულან, გაუმარჯვიათ და „ამ გორას ახლაც „**თათაშვილის**“ გორა ეწოდება“ [ჭელიძე 1935: 89].

საინტერესოა, რომ ამბაკო ჭელიძის წიგნში დაცული ცნობა გლეხ თათაშვილის შესახებ სხვაგან არსად გვხვდება, ვერ დავადასტურეთ ვერც ჩვენ ფერეიდანში მუშაობის დროს. ამდენად უნიკალურია და ძალიან საინტერესო, თავად გვარი თათაშვილი ფერეიდნელ ქართველთა შორის არ დასტურდება.

ეს ტოპონიმი სხვადასხვა ვარიაციით გვხვდება: **თათაშვილი, თათაშილი, თათაშული.**

„ერთიცა გოქ, რო თათაშვილის გორა უნდა იყოს. ჩონ დავძახით თათაშვილის გორა“ [ქღკ, რეზო მიქელაძე].

ამ ტოპონიმის საინტერესო ასხნას გვთავაზობს მუხტარ დარჩიაშვილი:

პირველათ მიჰდეს ფერეიდანჩიგა [ავღანელები], თათაშვილის გორაზე, თათაშვილი, ეს ბატარ თა არი და დიდ თა კი არ არი, ეს თაო ამ დიდ თას შვილიაო [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

სწორედ ამ გორაზე გაიმართა ბრძოლა ავღანელების წინააღმდეგ, რომელთა შემოტევასაც ვერ გაუძლეს დიდმა ქალაქებმა და დასახლებებმა, დაეცა ისპაჰანიც, სწორედ მის დაცვას შეეწირა იქაურ ქართველთა ცნობით 400 ქართველი:

„*ოთხი ლაშქარი ყოფილა შაჰ სულტან ჰოსეინე საჩავისა და ერთი ემეხსაყე ქართველები ყოფილან, რო ოთხასნი ყოფილან და თავით სეფაჰსალარიცა, როსტამ ხანე გორჯი ყოფილა, რო ემ ოთხ ლაშქარჩიგა, ჟაყათ ელანს ქართველები იშუღლებენ და სუნიც დაწყებებიან...*“ [ქღკ, რეზა ხუციშვილი].

ისპაჰანის დამცველ ქართველთა დაღვრილი სისხლი ფერეიდნელებს უფლებას არ აძლევდა დამარცხებაზე ეფიქრათ.

ეს ბრძოლა მართლაც ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა, რამაც სპარსეთში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია და საბოლოოდ ავღანელები განდევნილი იყვნენ სპარსეთიდან.

ამ გორას დღესაც **თათაშვილის გორას** უწოდებენ. ეს ადგილი ფერეიდნელი ქართველებისათვის საკმაოდ ძვირფასია და მას უკავშირდება მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი, ქართველების გამარჯვება ავღანელებზე. მასპინძელ ქართველებს ყველა სტუმარი აჰყავთ ამ გორაზე და სიამაყით უყვებიან როგორ შეძლეს ქართველებმა იმის გაკეთება, რაც შეუძლებელი გახდა სპარსეთის დიდი ქალაქის დამცველთათვის.

ავღანელებთან ბრძოლას, რომელიც 1722 წელს გაიმართა, უკავშირებენ რამდენიმე სხვა ტოპონიმსაც:

2). ნამაზის გორა იგივე ლამაზი გორა, აფღანის (ალუნის) გორა:

ნამაზის გორას იმისთვის ეძახიან, რო ავღანები მოიდეს, აი, იქ, აი, ის გორა რო ჩანს პირდაპირ, – ეხლა ნისლი ზედ არი და ნახევარი ჩანს, ავღანები მოიდეს იქ, მაინც ვერ შამოიდეს სოფელჩი. სოფელსაყე გვირაბები გათხარეს და მოიდეს **ნამაზის გორამდი**. ლამითლა, რო ეძინაყე მათ, ამოხიდე და ამოიდეს ლამით ცინკი-ცუნკი დააყენეს ხმალებითაო.

დილითაც ქართველებმა დეიბნესყე და და დააბრუნესყე და რო დააბრუნესყე, ე იმ გორაზე დაქუჩდეს. დაბალ, ვაკე გორა არი. დაქუჩდეს და იქ ნამაზი იკითხეს, ილოცულეს, რო ჩონ ავღანელები არ შემოუშითყეო სოფელჩიგაო, იმისთვის ეძახიან **ნამაზის გორას და ლამაზის გორაც**. ლამაზი გორა იმისთვის, რო დაბალია და დადსჭვრეტავს ეს ცოტა ბეურ ველი კი არ აქ, ბევრ მიწა-წყალი კი არ აქ ფერეიდანჩი და მაინც ეს რო არი, ექით ჩანს [ქღკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ ამ ტოპონიმს ყველა არ აკავშირებს ავღანელებთან ბრძოლასთან. მაგალითად, რეზო მიქელაძე ამ სახელწოდების სხვა ეტიმოლოგიას გვთავაზობს. ის ფიქრობს, რომ ამ გზაზე ხშირად ლოცულობდნენ მგზავრები და სახელიც აქედან მიიღო:

*ეს ნამაზის გორაზე ეხლა ბალები გოქ ზედა. ბალებია, ქართველის ბალები. ერთი ბაღტა გორა'რი და არ ვიცი ეხლა, ნამაზის გორა რათ დოორქომეყ. წინა იქა, რო ჩონ მამულწყალი არი, იმის ანქით-ექითა, იმ გორას ანქით-ექითა, უკანა და წინა გერდებზე და ეს ემეები, რო რადათები და ჰაჲ, საღომოს, რო მოსულან, მევორე სოფელჩი რო შამოდენ და მზე მოსულაღა, რო ჩადღეს და ნამაზი უნდოღა ქნას, სადილის ნამაზი და ის, რო გზაჩი არი, და იმაში ნამაზი უქნიაყე და იმისთი დოორქომეყ **ნამაზის გორა**. და სხო გორა მე აღარ მაგონდების [ქლკ, რეზო მიქელაძე].*

ამ მთას აფღანის გორასაც უწოდებენ:

*ჩონ სოფელი ვერ დაიჭირესყე. მარტო აფღანი რო გადმოიღა, ირანი დაიჭირა და თავრობა დაიჭირა, ამოიღა და ჩონ სოფელი არ დაიჭირა. **აფღანის გორა** ეხლა გოქ, რო მოდდ იქამდი. იმის შემდე ნადერი მოიღა. ნადერი მოდდა და თქო: აფღანი რო გადმოიდ, ირანი დაიჭირა, ადვილი დარჩაო? რო თქეს ეს ბატარა კუთხე ჭერეიღანჩიგ არი, ქართველები ცხოვრობენო, ის სოფელი არ დაიჭირა – მარტყოფიო, მათხოვ უფროსები'დ ამათა იჯგარა გადასავადი, რაც მთავრობას გოდოუჯადით, იმისთვინ, რო ტერი ქენ ცოლ-შვილჩი არ შემოუშით. ნადერ შაჰმა ისი აჩუქაყე [ქლკ, მაჰმად ბათუაშვილი].*

ევროპელ მეცნიერთა ნაშრომებშიც გვხვდება ეს ტოპონიმი ოვღანის გორა // ავღანების გორა (Owghanis Gora or Afshanebis Gora (the Hill of Afghans) [Rezavani 2008: 64].

იმავე მთის სახელად გვხვდება **აღუნის გორა**:

*ესე, ერთ-ორ ემ ქართველები სახელზედა, – ეს გორა. ერთი – **აღუნის გორა**. აღუნის გორა წინაც მე მიბნია, რო აფყანები რო მოსულან და ქართველეფს დოო-ვოცაყეყე, მოოკლავ, დოოწყეტიყე და იქ სანგარები გოქ, აღილები გოოკეთებიყე [ქლკ, რეზა მიქელაძე].*

ქერიმ-ხანის წინააღმდეგ ბრძოლა და მასთან დაკავშირებული ტოპონიმი – სიხე, სიხე მთა // ციხე მთა

სიხე ერთ ალაგსა ჰქიან, რო ქერიმ ხანთან შუღლი ჰქონდათ და ქართველები დაცივდეს.

ნადირ შაჰის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოვიდა ქერიმ ხანი, რომლმაც ქართველებს ფაქტობრივად, გაუუქმა ის პრივილეგიები, რომლებიც ნადირ შაჰისგან ჰქონდათ. ყველაზე დიდი გადასახადები ირანში

გლახებისათვის სწორედ ქარიმ ხანის დროს იყო შემოღებული, ამას ემატებოდა ჯახზე არამუსლიმებისთვის დაწესებული სულადობრივი გადასახადი. რაც მეტი იყო ოჯახის წევრი, უფრო მეტი გადასახადი უწევდა ოჯახს. ამან მთლიანად განადგურა ქრისტიანულ-სომხური მოსახლეობა [ონიკაშვილი 2004: 39]. ქართველები არ დაემორჩილნენ ქერიმ ხანს. ქართველების სოფელს ახორას (მარტყოფს) ქერიმ ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში შემოუერთდა ოთხი სომხური სოფლის მოსახლეობა. **სანგიბარანი, ხუნგი, შაჰგულაღი, მილაგერდი** [მინასიანი 2001: 79]. მეამბოხეებს გვერდით დაუდგა სანგიბარანის მეზობელი სოფლის ქეთავანის მოსახლეობაც [მინასიანი 2001: 84].

ეს იყო უთანასწორო ბრძოლა. ქერიმ ხანი საკმაოდ ძლიერი იყო. ამბოხებულებს მხარდამჭერები არ ჰყავდათ. „რელიგიური ბარიერი უკვე დიდ როლს თამაშობდა. მათ იცოდნენ, რომ თუ რომელიმე მუსულმანური ტომის წარმომადგენელს მათი დახმარება დასჭირდებოდა, ქართველები მას მეგობრობის ხელს უწვდენდნენ. მაგრამ ახლა სხვა მომენტი იყო. ანგარიშგასაწვევი იყო ის, რომ მუსულმანი მუსულმანის წინააღმდეგ არ გაილაშქრებდა ქრისტიანის გულიათვის. აი ამიტომ ერთიან ქართველთა თათბირზე უფროსი თაობის წარმომადგენლები დაჟინებით ითხოვდნენ კომპრომისზე წასვლას და ხარკის გადახდას, ხოლო ახალგაზრდა მეომრები თვლიდნენ, რომ დამცირებას ვერ შეეგუებოდნენ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გაუწევდნენ წინააღმდეგობას მტერს“ [ონიკაშვილი 2004: 41-42].

აჯანყებულთა მეთაური იყო ურუჯყურბეგი. მან მტრის ბანაკისკენ დასაზვერად გაგზავნა რამაზ ონიკაშვილი და თავაზოჰი, იგივე თამაზაშვილი. რომელიც კარგი მსროლელი იყო. მას დიდი უღვაშების გამო სიბილუას ეძახდნენ.

„თავაზიანთ რო ყოფილა ერთი სიბილუა... ემებს ეტყისყე, რო დაჰყე ყეინსა, ყალიანი გომოოტანია და ეზიდების, და თითან კი ჰადჰია და ვესრი აამ სარყალიანსა ვგლეჯავო!

რავთენები ეტყიან, რო: ნუ იქემ საქმეს და ეს საქმე ყრალია და, სუნი დაძწყდებით და ყრალა შადქნების და ყეინი იტყის, რო მე მაყრიდა და ეს არ დოოყურებსყე. და ესრის და ამ სარყალიანს ადგლეჯავს! სარყალიანს რო ადგლეჯავს, ყეინი წამოტყავაუნდების და იტყის, რო: ეს მე მაყრიდაო და სარყალიანს მაჰჰხტაო! შომოოდეჰითლა და რაჰმს ნუ უზამტყე, რაც რო ქართველია, დაწყითეტყეო“ [ქლკ, რეზა ხუციშვილი].

უთანასწორო ბრძოლაში ქართველები დიდხანს უწევდნენ წინააღმდეგობას ქერიმ ხანის ლაშქარს, გამაგრდნენ ციხეზე // ციხე მთაზე, იქიდან ლოდებს აგორებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ქერიმ ხანის ლაშქარმა შეძლო და ღამით ავიდა მთაზე. ქალები და ბავშვები კლდიდან ცვიოდნენ. მათი რაოდენობა ისეთი დიდი იყო, რომ ბოლოს გადაცვენილები ეცემოდნენ თანამომძეების ცხედრებს და ცოცხლად რჩებოდნენ.

ქერიმ ხანმა სასტიკად დასაჯა ურუჯყურბეგი. იგი ზარბაზნის მიაკრეს. ურუჯყურბეგის ბოლო სურვილი იყო ზარბაზნის ლულა საქართველოსკენ მიებრუნებინათ. ქერიმ ხანმა შეუსრულა სურვილი.

ზოგიერთი ვერსიით, ურუჯყურბეგი კი არა, ზარბაზნის ლულაზე უჩა ონიკაშვილი გაუკრავთ²³⁹ [ონიკაშვილი 2004: 44].

ქერიმხანის ერთ-ერთმა სარდალმა სართიფმა ქალები და ბავშვები გააპარა, გზა მისცა, რომ მეზობელ მთებში შეხიზნულიყვნენ. ამ მთებს მის პატივსაცემად ახლაც **სართაფის მთებს** ეძახიან... [ონიკაშვილი 2004: 44].

ამის შემდეგ ყველამ მუსულმანობა მიიღო, ქერიმ ხანმა ფერეიდანში ულამაზესი ეკლესიები მიწასთან გაასწორა [ონიკაშვილი 2004: 85].

რა იყო ქერიმ ხანის ასეთი სისასტიკის მიზეზი? ქართული წყაროებით, ეს სიბილუა თავაზობის საქციელმა გამოიწვია.

სომხური წყაროთი კი ციხიდან ლოდების გადმოგორებისას ერთი ლოდი მოხვდა ქერიმ ხანის დისშვილს და ადგილზევე მოკლა. ეს სომხებს დაბრალდათ და ამის გამო ყველა ისპაჰანში გაასახლა, სადაც ნაწილი დაიღუპა, მეორე ნაწილი კი ისევ გამოიქცა უკან ფერეიდანში [მინასიანი 2004: 82].

ამბაკო ჭელიძეც ადასტურებს, რომ ფერეიდნელი ქართველები ქერიმ ხანთან დამარცხების შემდეგ გამუსლიმდნენ.

ამბაკო ჭელიძე თავის მოხსენებაში „სპარსელი ქართველები“ წერს ქერიმ ხანის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ: „ქერიმ ხანის მოახლოება რო გაუგიათ ქართველებს, ყველა სოფლებიდან მოგროვილან დიდიანპატარიანა, შეიარაღებულან და თავი მარტყოფში მოუყრიათ ვიწრო ხეობაში საომრად უფრო მოხდენილს ადგილზე [ჭელიძე 25.806: 47].

ფერეიდნელი ქართველებისთვის ბრძოლა ქერიმ ხანის წინააღმდეგ ახალი კოლექტიური მეხსიერების უმნიშვნელოვანეს ეპიზოდად იქცა, თუმცა ხაზგასმით მიუთითებენ, რომ ეს ბრძოლა, რომელიც ციხე მთაზე მოხდა, მხოლოდ ახორელების (და მათთან ერთად 4 სომხური სოფლის) ბრძოლა იყო. რაც შეეხება დაშქესანას, არია ხოსროვის მონაყოლით, ბონისის, თორელისა და დაშქესანას მოსახლეობა ქერიმ ხანს მანამდე შეებრძოლა. ისინი დამარცხდნენ და მხოლოდ ამის მერე გაემართა ქერიმ ხანი ახორასკენ:

„როცა ქერემ ხანმა მეფე გახდა, ქერემ ხანი ცდილობდა რო მთელი კუთხეები დაინარჩუნოს და ჩამოიდა ფერეიდანის ქომოთ არი შაჰრეკორდ. იქა, შაჰრეკორდის ველზე ძალიან დიდი ჯარი იქა დაასვენა. და მერე ხო იყო ერთი მაუწყებელი ზაქი

239. სახელი უჩა ფერეიდანში უცნობია. მისი კოლხური წარმომავლობის გამო არცაა მოსალოდნელი, რომ ის ოდესმე ასე გავრცელებული ყოფილიყო ფერეიდანში, რომ ახლადშექმნილ კოლექტიურ მეხსიერებაში აღბეჭდილიყო. ვფიქრობთ, უჩა ურუჯყურბეგის „გაქართულებული“, სულ ახლახან შექმნილი ისეთივე „მსგავსებითი“ ვერსიაა, როგორიც ეს სხვა გვარ-სახელებთან გვაქვს ფერეიდანში.

ხანი, ქერიმ ხანის ნათესავი იყო. აქ წინ მოდიოდა, აქ ესე რო მოდიოდა ფერეიდანისკენ, აქ მინდვრებზე შემოვიდნენ და დალახეს ჩვენი ნათესი... ჩვენი წინაპარმა მთელი მოიარა ცხენით იმ რაიონში, მთელი ბოინ, თორელ აფუსში და სუყველა ქართველებს შეატყობინა და ყველა ერთად შეკრიბა და დაღა ზაქი ხანის წინა. ზაქი ხანი დაამარცხა... დაედევნეს შაჰრექორდამდი, რო ყოლა დაიჭრონ. არ იცოდნენ, რომ ქერიმ ხანის მთავარი ჯარი იქ შაჰრექორდის ახლოს ველზე ისვენებდნენ... ქართველებმა უკან დაიხიეს. ქერიმ ხანის ჯარმა მოვიდა ფერეიდანში. აქ რო მოვიდა, ჩვენი წინაპრები, უფროსები ვინც იყვნენ, ამ ომში მონაწილეობა ჰქონდათ, ყველა დაიჭრა და აქა ყველა თოფით ჩამოვიდეს და უფროსები ყველა თოკით მოკლეს და ისეთ ზარბაზანით ხოცეს უფროსები... მერე ისვენებდნენ, ქეიფი ჩაატარეს, ყალიანი რო გაჩაღებული ძქონდათ ამის წინ დადებულნი, იქიდან, მარტყოფიდან რომ გაიგეს, რომ ეს ქართველები ესეთი ამბავი მოხდა, ქართველები ყველა გაწყვიტეს, ერთმა გამოვიდა მარტყოფიდან დაესროლა ყალიანის თავი. რო მიხდენ, რო ვილაცამ თოფი ესროლა, წავიდნენ, მიაგნეს მარტყოფსა. მანამდე არ იცოდნენ, რო იქაც მარტყოფელები ცხოვრობენ. ქართველებთან იქა ჩხუბი დაღა და ქართველებმა უკან დაიხიენ. ოჯახიანად ყველა ავიდა ციხეში. ხოდა ალყა შემოარტყეს ციხესა და მთასა, რო ციხე ერქვა. ხოდა ბეური ქართველები იქა გაწყვიტეს, ბეურნი დახოცეს იქა. ხოდა მერე დამარცხდნენ ქართველები და ომი დამთავრდა და წავიდნენ, დავრჩით ესე, უპატრონოები. მარტყოფელები კი მუსლიმები იყვნენ მაშინაც... [ქღკ, არია ხოსროვი].

ეს ფაქტები ადასტურებენ, რომ ქერიმ ხანის წინააღმდეგ შეტაკება მხოლოდ ერთხელ არ მომხდარა. მართალია, ციხე მთაზე გამართული ბრძოლა ახორელებისა და მისი განაყარი სოფლების ისტორიის ნაწილია, მაგრამ ეს ტრაგედია ფერეიდანში მცხოვრებ ყველა ქართველს შეეხო და მათ ცხოვრებაზე მტკივნეულად აისახა.

ფერეიდნელი ქართველებისთვის ქერიმ ხანის წინააღმდეგ ბრძოლა დღესაც მტკივნეულად გასახსენებელია. ეს ამბავი თაობიდან თაობას გადაეცემოდა და გარკვეული ცვლილებებით გვხვდება.

ზოგიერთი ფერეიდნელი ქართველის მონაყოლით, ქართველები მუსლიმები იყვნენ, ქერიმ ხანს ისინი ქრისტიანები ეგონა და ამიტომ დასაჯა მკაცრად. ბოლოს კი ბავშვის ხელში ყურანი შეამჩნია და ძალიან ინანა:

„...დილობასან რო მზემა ინათა, მზემ ამოიდა და განათდა, ეხლა კი ქარიმხან თითან მუსულმანი'ყო. ეგონა, რო ესეები ქართველები ანუ ქრისტიანებია, და დილობასან, – ეს სომხურანი მამა-დედანი როგო არი? – ერთ ილიასაყე [ყურანი] ჩადვარდა, დაიხედა და თქო: ესეები ხო ქართველები'ყო და მუსულმან მაჰმადიანები, რათ გაძწყვიტიყეო?“ [ქღკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].

ციხე მთა მტკივნეული ისტორიის გახსენებაა ფერეიდნელთათვის. სიხე წმინდა ადგილია. ფერეიდანში ჩასულს აუცილებლად გაჩვენებენ იმ ადგილებს, სადაც უამ-

რავი ფერეიდნელი ქართველი ჩაიხოცა ქერიმ ხანთან უთანასწორო ბრძოლაში. მათ შორის იყვნენ ქალები და ბავშვები²⁴⁰.

საკრალური მნიშვნელობის ტოპონიმები

თამზიას ცხენი // თამზიას ქუა

ჩონ მარტყოფის თავჩიგა ერთ ქუა'რი, თამზიას ცხენს ვეძახით (ქღკ ლექსიკონი).

ეს ტოპონიმიც ავღანელებთან ბრძოლასთანაა დაკავშირებული. ქართველები დამარცხებისგან იხსნა სწორედ ამ გადახსნილი ქვიდან გადმოსულმა მხედარმა.

ყადიმადა გუამბიანყე ჩონ დიდალებმა, ჩონ პაპებმა, რო აყყანესტანმა ჰამლა ქნა და ექ ერთ გორა არი ელა, აღუნის აღვინის გორას დადძახიან, აფყანესტანის გორაო. მოსულან თა ექნობამდინა და ძრიალ ემე უღონებიაყე ქართველები. და ექ ემ ქემოთა, ერთ დიდ ქუა არი, იმ ქუასაყე ესენი შადტირებდენ ფარვარდეგარსა და გული გადტეხიაყე. და ექითყე გამოსულა ერთი კაცი და ერთ ცხენი, იგეთ ემე უქნია იმითი, შექასტი მუუცია, რო გოორეკიალა ეს ემე ქართველებსაყე და დოოსხნია ეს ემე აფყანებსაყე. თამზიას ცხენი... თამზიას ქუა. შამს აანთებენ და ჩაის გააკეთებენ იქა და ხალღს ენთელადი აქა ეს ეგეთ ემემზადსავით არი და იმამ გამოდდა და იგრე მუეშელა ქართველებსა და ქასაყე ცხენი გამოდდა და ფარვარდეგარის ემეთა და მოუჯე ზადთა, ჰა [ქღკ, ზეინაბხათუნ ლაჩინანი].

როგორც საქართველოში ჩამოსახლებულმა ფერეიდნელმა ქართველმა რამანა ონიკაშვილმა აგვიხსნა, თაზი არაბულად ცხენს ნიშნავს და ამიტომ დაერქვა თამზიას ცხენიო:

თამზია ნიშნავს თაზი, არაბული ცხენი. არაბული ცხენი გამოიდა და... [ქღკ, რამანა ონიკაშვილი].

ვფიქრობთ, ეს ხალხური ეტიმოლოგიაა და ტოპონიმის სახელწოდება არ არის დაკავშირებული არაბული წარმომავლობის თაზ ძირთან. თამზია საკრალური ტოპონიმი, ფერეიდნელებს სჯერათ, რომ გახლეჩილი ქვიდან გადმოსულმა წმინდანმა იხსნა ისინი და ხმალომლებულმა განდევნა მტერი, შესაბამისად, აქ მსაზღვრელად უნდა იყოს თავმზიანი, რაც შარავანდედიანს, ანგელოზს აღნიშნავდა.

იმ ადგილს, სადაც თავმზიას ქვაა, თამზიანს უწოდებენ.

240. ნიკოლოზ ნახუცრიშვილი თავის ნაშრომში „ქართულენადაკარგული დასახლებები ფერეიდანში“, რომელიც ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა, გვაწვდის ცნობებს ქერიმხანთან ბრძოლის შემდეგ ფერეიდნიდან გაქცეული ქართველების შთამომავლების შესახებ, რომლებიც ირანის სხვა რეგიონში დასახლდნენ.

ყოველი თვის ივნისის თვეში აქ სალოცავად აღიოდნენ ქართველები.

ასევე საკრალური ტოპონიმია **ამაღლობის ქვა**. ქართულ დიალექტურ კორპუსში არის ამ ქვასთან დაკავშირებული სასწაულები აღწერილი. რასაკვირველია, მისი მნიშვნელობა ფერეიდნელთა შორის დაკარგულია.

პაპას ბაღი გოქ, იქა ი პაპას ბაღი და ეს თამზიას ცხენი და ამაღლობას ქუა და ის ქალებს ქობი [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

ამაღლობას ეძახიან, რო ექავ ამაღლობას რო დაიჭერდის, ამ ქუასთან წავიდოდის, ამაღლობა დღეს მიდიოდეს იქა [ქდკ, ზეინაბ ონიკაშვილი].

როგორც ჩანს, ამაღლობის ქუა და თამზიას ქუა ერთი უნდა იყოს.

იქვეა **ქალების ქობი**, სადაც ქალები დღესაც მიდიან და ლოცულობენ, ბევრს სჯე-რა, რომ უშვილობას შველის იქ ლოცვა.

თები ჩონ ერთი გოქ ამოღლობაზე, ამოღლობას თავზე, რო ქალების – ქალაბი ქოფს დავძახით [ქდკ, რეზა მიქელანი].

ცამმეტი დღე რო ახალ წელსაყე გადვაყე, სინზღას დავძახით, წადიანყე ახან-ძლები ქალების ქობჩი, აიხუვიანყე, წითელ-ყითელი, ყველაფერია, ადღიანყე, ყვე-ლაფერია, ჯეილი, ბერი, სუ. გაიშალისყე. კარგი იყო, რო რა ვიცი. პაპას ბაღი იყო იქა. პაპას ბაღი – ძევი შივა, ვენახი შივა. იქ ქალების ქობჩივა დიდ ქობია, ძალიან დიდი. ტაშს უკრევიდან, შუშპრობდიანყე, ერთ დასტა იქით დადვისყე, ხო. ერთ დასტა ქალი და ზოლი ერთ დასტა ექით წადიანყე ეგრე დასცხიანყე, იკითხიანყე და... ეგრე, გადიან და გამოდიან“ [ქდკ, სედიყა ასლანი ყალანი].

პაპას ბაღი, ქალების ქობი და ამაღლების ქუა // თამზიას ცხენი ფერეიდნელთა ყოფის ყველაზე ძველი, იქ ყოფნის პირველი წლების ტოპონიმი უნდა იყოს.

ტოპონიმი **ამაღლობის გორა** რომ რელიგიური მნიშვნელობის უნდა იყოს, ამას მოწმობს სომხური წყაროც. ფერეიდანში მცხოვრები სომხები ამ მთას **ხორქარის** (ქვის ჯვარი) მთას უწოდებენ [მინასიანი 2001: 84].

ის, რომ ამ ადგილებში ივლისის თვეში ბოლო დრომდე სალოცავად აღიოდნენ ფერეიდნელები, იმაზე მიუთითებს, რომ მათი წინაპრების საუფლო დღესასწაული ამაღლება იყო, რომელსაც სწორედ ამ დროს მაის-ივნისში ზეიმობენ ქრისტიანები.

1.5. მიგრაცია და ტოპონიმიკა

ფერეიდნული ტოპონიმიკის კვლევა მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ კანონზომიერებებს ავლენს სინამდვილის იმ საინტერესო ჭრილის სხვადასხვა კუთხით დასანახად და აღსაწერად, რომელსაც **მიგრაცია და ტოპონიმიკა** შეიძლება დავარქვათ.

საქართველოში ბუნებრივი მიგრაცია (ურბანიზაცია, მთიდან ბარად მოსახლეობის „ჩამოწოლა“ და სხვ.) ყოველთვის იყო და საკმაოდ კარგადაც არის შესწავლილი. მე-20 საუკუნე კი ერთ დიდ მიგრაციულ „წყალიდიობად“ იქცა ქვეყნისთვის, რომელსაც საუკუნის დასაწყისიდან 2008 წლამდე რამდენიმე დიდმა მიგრაციულმა

ტალღამ გადაუარა. ყველა სხვა შედეგთან ერთად, ეს პროცესი ლინგვოკულტურული სურათის მასშტაბური ცვლილებებისა თუ ტრანსფორმაციების დაკვირვების საშუალებას იძლევა.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ტოპონიმები ლინგვოკულტურული მსოფლხატის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. ამასთან, ისინი ტერიტორიული იდენტობის ნიშნულებს წარმოქმნიან და ენობრივი „მეხსიერების“ ყველაზე გამძლე ელემენტებს წარმოადგენენ.

მიგრანტ მოსახლეობაში „ტოპონიმიური მეხსიერების“ განცდა საკმაოდ მგრძობიარეა. მიგრირებული კოლექტივის პირველი ნაბიჯები სწორედ ახალი საცხოვრისი სივრცის ტოპონიმიური „ათვისებით“ იწყება.

მიგრაციის სახისა და ტიპის მიხედვით განსხვავება მნიშვნელოვანად აისახება მიგრირებული კოლექტივის „ტოპონიმიკურ კომპეტენციაზე“. კონტაქტური, არაიზოლირებული ჩასახლების დროს ეს კომპეტენცია შეუფერხებლად ივსება დამხვედური კოდის მატარებლებთან კონტაქტში და საკუთარი სახელდებები შედარებით უმნიშვნელო და მკვეთრად მოტივირებულია.

მასობრივი, კომპაქტური, იზოლირებული ჩასახლების დროს ახალმოსახლეებს ექმნებათ მეტად უჩვეულო მდგომარეობა, ერთგვარი ლინგვისტური გაუცხოება გარემომცველ სამყაროსთან, მისი სივრცული დანაწევრებისა და სახელდების თვალსაზრისით.

საკუთარი სახელით გარემოს სახელდება ადამიანის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნილებაა. თითქოსდა ამ გზით „ათვისებული“ სამყარო უფრო შინაურია, უფრო „სახლია“ მისთვის, ხოლო ახალი საცხოვრისის სივრცული დაუკონკრეტებლობა მიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული შთაბეჭდილებაა. მაგალითად, 1935 წელს მესხეთიდან ლავოდეხში გადასახლებული ერთი ქალბატონი იგონებს, რომ 15 წლისა გათხოვდა და ე.წ. გემიური გადასახლების ნაკადში მოჰყვა ქმართან ერთად. ღამით ჩავიდნენ დანიშნულების ადგილას. ყველაზე მძიმე მისთვის იყო მეორე დღე – როცა ოთხივ მხარეს გაჰყურებდა უცნობ სივრცეს და არ იცოდა, საიდან მოვიდა. მას შემდეგ ძალიან დიდხანს გაჰყვა ეს ჩვევა, რომ ქმარს დაჰკითხოდა და დაეზუსტებინა – რომელი მხრიდან მოვედითო.

მიგრაციის კერებში მასალის მოპოვებისას რესპონდენტს აუცილებლად ვეკითხებოდით „მშობლიური“ – გადმოსახლების ადგილისა და ჩასახლების პუნქტის შემოგარენის ტოპონიმების შესახებ. როგორც წესი „იქაურ“ – 60 წლის წინ დატოვებულ ლანდშაფტს ისინი გაცილებით კარგად იხსენებენ და თითოეული გოჯი მიწის სახელს მეხსიერებაზე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აღადგენენ. უდიდესი სინაზით და სიზუსტით ჩამოთვლიან და აქუსტიკულაციის საშუალებით ცდილობენ წარმოგადგინონ ამ ადგილების ერთმანეთის მიმართ სივრცული მიმართება. ახასიათებენ ამ მიწებს სამეურნეო, ბუნებრივი და სხვ. ფუნქციური თვალსაზრისით. ფაქტობრივად, მათ მეხსიერებაში მთლიანადაა სახელდებული გადმოსახლებამდე გარემომცველი სივრცე. რაც შეეხება მათი ახალი საცხოვრისის ლანდშაფტს, მისი ნომინაციური დანაწევრება ეტაპობრივად უწევთ.

მაგალითად, მესხეთში 1944 წელს ჩამოსახლებულ იმერლებსა და მთიულებს ბევრ სოფელში დახვდათ მხოლოდ ოფიციალური სახელწოდებები – ადმინისტრაციული და სამეურნეო დანიშნულების ობიექტების სახელები (სოფელი, სამოვარი, სათიბი, სამთო და სატყეო სავარგულები და ა. შ.). ეს ის ობიექტები იყო, რომელთა სახელები ადგილობრივ ადმინისტრაციულ და სამეურნეო დოკუმენტაციაში აისახებოდა.

შედარებით დაუნაწევრებელი იყო შიდა სოფელი, აგრეთვე შორეული სავარგულების სხვადასხვა ნაწილები. ამათ ახალი ცხოვრების პროცესში გაჩენილი ახალი ორიენტირებითა და მოტივაციებით ნელ-ნელა გამოანაწევრებდნენ და ასე ნელ-ნელა „იშინაურებდნენ“ სივრცეს. მაგ., ერთმა მთიულმა მთქმელმა, რომელიც 11 წლის ასაკში გადმოსახლეს ატენის ხეობის ერთ-ერთი სოფლიდან (სადაც მისი მამა-პაპა დაახლოებით 100 წლის წინ უნდა იყოს ფასანაურიდან გადასული), ზედმიწევნით ზუსტად აღგვიწერა მშობლიური სოფელი. იმ სოფელში კი, რომელშიც 60 წელია ცხოვრობს, სულ რამდენიმე სახელწოდება გაიხსენა: „სახლა“ – მანდ ერთი სახლი ცალკე იდგა და იმიტომ დავარქვითო. ჩაკითხვაზე, – საქონელი რომ დაკარგოთ, როგორ უნდა მოძებნოთ, რაიმე ორიენტირი არა გაქვთ? – გვიპასუხა: ასფალტს ზევით და ასფალტს ქვევით – მეტი რა უნდა იყოსო (ახალციხე, ფერსა).

ზარხმაში ასევე 60 წლის წინ ღებიდან გადმოსახლებულმა ქალბატონმა გვითხრა, რომ ტყეში წასულმა მიგრანტმა მამაკაცებმა ერთი ადგილი თავისი ღებელი მეზობლის ნაკვეთს მიამსგავსეს და დაარქვეს „ადიგელას ჭარი“. ასევე მსგავსების გამო ჰქვია ერთ ადგილს ზუღალა.

ახალციხეში, სვირში „კაციჭამია ხევი“ დაარქვეს ხევს, სადაც სამოციან წლებში კაცი გადავარდა და მოკვდა (ვინმე მანჩხაშვილი სიმონი).

„ტატიანას ნაძვი“ – ქალი დაგორდა და იმ ნაძვმა დააკავა.

„ღამწვარი“ – ხე დაიწვა ტყეში და იმ ადგილს დაერქვა.

როგორც აღვნიშნეთ, სხვა ვითარებაა კონტაქტური განსახლების დროს – ძველი სახელები შემორჩა იმ სოფლებში, რომლებშიც ადგილობრივი მეზობლები ახლოს იყვნენ. მაგ., ახალციხის რაიონის სოფელ სვირის მცხოვრებნი ამბობენ, რომ ტატანისელებმა ასწავლეს ბევრი ადგილის სახელი.

როგორც ვთქვით, ტოპონიმებით სივრცის „მოშინაურება“ ადამიანის ერთ-ერთი ძველი და მთავარი თვისებაა. ასევე ძველია და მნიშვნელოვანი მისი მისწრაფება ეტიმოლოგიზაციისაკენ. ეს მოტივაციის შებრუნებული მოვლენაა. ადამიანს უნდა ჰქონდეს მოტივი სახელრქმევისას. როცა მოტივაცია აღარ ჩანს, ჩნდება მისი ძიების სურვილი. ამ დროს „იბადება“ ხოლმე ხალხური ეტიმოლოგიები. დიდი მიგრაციების დროს ხშირია დაბნელებული და ახალი ენობრივი კოლექტივისთვის უცხო სახელის მიმართ გარკვეული შიში.

ასპინძის რაიონში ჩამოსახლებულმა აჭარლებმა, მაგალითად, არაფრით არ ისურვეს ისტორიული სახელების დატოვება და გელსუნდას „გულსუნდა დაარქვეს, ვარნეთს კი „ივერია“. ამით ახალ ტოპონიმურ მეხსიერებას დაუდეს საფუძველი და ძველი, არაგამჭვირვალე, ერთგვარი შიშისმოძგვრელი სახელისგან „გაითავისუფლეს“

თავიც და მომავალი საცხოვრისი სივრცეც. ამით მათ სრულფასოვანი სივრცული იდენტობა უზრუნველყვეს როგორც ახალი ცხოვრების დაწყებისთვის, ისე მომავალი თაობებისთვის....

დიალექტური ენობრივი კოლექტივის სივრცულ მიჯაჭვულობაზე გურომ რამიშვილიც წერდა და ამ მოვლენაში ის სწორედ სამყაროს ობიექტური (სოციალურ-ეკონომიური) და ენობრივი ხატების მთლიანობას გულისხმობდა. მიგრირებულ კოლექტივში დრამატულად ირღვევა კულტურულ-სივრცული მთლიანობის ეს დამაშვიდებელი განცდა და მისი ადღენის პროცესი საკმაოდ მტკივნეული და ძალიან ხანგრძლივია.

მიგრაციულ არეალში მოპოვებული მასალის ზერეულად გადახედვაც კი ნათლად აჩვენებს, რომ სივრცული სახელდების „სიმჭიდროვე“ განსხვავებულია მიგრაციისა და განსახლების ტიპის მიხედვით განსხვავებულ კოლექტივებში. ავტოქტონი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიაზე სახელდების გარეშე დარჩენილი სივრცე თითქმის არ გვხვდება, მიგრაციულ რეგიონებში კი – სახელდება ფრაგმენტულია და ეს ფრაგმენტულობა ძალიან დიდხანს რჩება დაუძლეველი. ასეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, მაგალითად, ლაგოდენის იმერლებით დასახლებული სოფლებში მოპოვებული მასალიდან. ლაგოდენში იმერელთა პირველი ნაკადი 1906 წლიდან ჩანს. ისინი თითქმის გაუკაცრიელებულ სოფლებში ჩამოსახლდნენ. სამწუხაროდ, ამ ტერიტორიის ტოპონიმიკურ მასალას ჩვენ ვერ მივაკვლიეთ უნივერსიტეტის ტოპ. ლაბორატორიაში. ჩვენი ხანმოკლე ექსპედიციის დროს კი აშკარად დარჩა შთაბეჭდილება, რომ აქ ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის მიკროტოპონიმიური „ანარეკლი“ საკმაოდ მკრთალი და ფრაგმენტულია. შთაბეჭდილება მეცნიერება არ არის! მაგრამ ის მეცნიერული ექსპერტიზისა და ანალიზის ბიძგად ნამდვილად შეიძლება გამოდგეს. ჩვენი აზრით, სივრცული სახელდების სიმჭიდროვე შეიძლება ისეთივე მახასიათებლად იქნეს განხილული, როგორცაა ნომინაციური სიმჭიდროვე ენობრივი კონცეპტის განხილვისას.

საინტერესო სურათია ამ მხრივ ფერეიდნულ სამეტყველო არეალში.

ფერეიდნის ტოპონიმიკა საკმაოდ კარგად არის დოკუმენტირებული. ტოპონიმიკური ინვენტარი საკმაოდ კარგად არის დოკუმენტირებული ჩვენს მასალაშიც, რომელიც სრულად არის წარმოდგენილი ამ წიგნში.

ფერეიდნელთა მიერ შექმნილ სამყაროს ენობრივ სურათში ამ კომპონენტის ადგილი, როგორც ლინგოკულტურული და სოციოლინგვისტური ფენომენისა, ჯერჯერობით ღრმა კვლევის ობიექტი არ გამხდარა. არადა, როგორც ეს ზოგადად ახასიათებს იზოლირებულ ენობრივ (დიალექტურ) კუნძულებს, ტოპონიმიკური ლექსიკა აქ სრულიად გააზრებული იდენტიფიკატორია და თითქმის ანაცვლებს ტერიტორიულ იდენტიფიკაციას. ამიტომაც არის, რომ ეროვნულ ფასეულობათა ტრანსლაციის „პედაგოგიკა“ საგანგებო მეთოდებს ეძიებს ამ მასალის დოკუმენტირებისა და გადაცემისათვის. ამის მაგალითია ალექსანდრე დავითაშვილის (ალი ჰოსეინ რაჰიმი) ზემოთ უკვე ნახსენები ცნობილი სიმღერა, რომელშიც ის ქართულ სახელწოდებებს ჩამოთვლის და თვითონვე ამბობს – ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ახალგაზრდებს

ესმოდეთ და დაიმახსოვრონ ქართული სახელები... ან ჰეიდარ დარჩიაშვილის მონათხრობი, ერთმა ავადმყოფმა მოხუცმა ქალმა როგორ ჩააწერინა ლექსი – და თან სთხოვა – სადაც სამ ქართველს ერთად ნახავ, ეს უთხარი, რომ არ დაავიწყდეთ სოფლების ქართული სახელები [იხ. ზემოთ].

წარმოდგენილი მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ დღეს ფერეიდნის რამდენიმე სოფლის და აგრეთვე ქალაქ ფერეიდუნშაჰრის (მარტყოფის) ტერიტორია მთლიანად არის დანაწევრებული (სახელებით ათვისებული) მისი მცხოვრებლების მიერ და ეს სახელება თითქმის მთლიანად ქართულია. როგორც თავის დროზე დარეჯან ჩხუბიანიშვილი ამბობდა, საკმაოდ რთულია პარალელური ოფიციალური სახელწოდებების ან სხვაენოვანი დასახელებების სისტემური შესწავლა, მაგრამ ჩვენ უკვე ხელთ გვაქვს მასალა, რომელიც არა მარტო ზედმიწევნით ასახავს ამ სივრცის სახელების ქართულ ნომენკლატურას, არამედ აჩვენებს ე.წ. „ლინგვისტური პიროვნების“ – სამყაროს ლინგვოკულტურული სურათის ცენტრალური ფიგურის „ტოპონიმიკურ კომპეტენციას“. ეს მასალა ადასტურებს, რომ ფერეიდნის ქართველ მოსახლეობას ათვისებული და გათავისებული აქვს ირანში მისი წინაპრების მიერ შექმნილი „პატარა საქართველოს“ თითოეული გოჯი და ამ სახელებით ახდენს ტერიტორიული კომპონენტის გააქტიურებას თავისი იდენტობის შელახულ ფორმულაში.

2. ანთროპონიმები

2.1. ფერეიდნული გვარები

როგორც აღვნიშნეთ, ფერეიდნელი ქართველები ერთი ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილებას გამოხატავენ ტერმინით **ჩემ ძოლი** (ჩემი ძვალი), ნათესაური (გვაროვნული) კუთვნილების აღსანიშნად გვხვდება ტერმინი **ჩამილი**:

სახელი ჩემი ჰაჯი ნაზემა. ჩამილი ჩემი ხოსრაშვილი... [ქლკ, ნაზემა ხოსრაშვილი].

ჩემი სახელი ზოჰრა, ჩამილი ფანიაშვილი [ქლკ, ზოჰრა ფანიაშვილი].

ნავრუ ზზე, სადაც რო ერთი ჩამილს ერთი დიდი ჰყავყე, ეს ერთი ჩამილი წავლენ დილობას იმის სახლში და იმას ეტყვიან, რო: შენ ნავრუ ზი მობარექისა იყოს! [ქლკ, კოლა ონიკაშვილი].

ტერმინი **გვარი** ახალი შესულია ფერეიდნელთა მეტყველებაში, ამიტომ ის ზოგჯერ პარალელური ფორმებითაცაა წარმოდგენილი:

ე, ამ თავაძე ელემ ყოდრათას გვარი ყოფილა [ქლკ, იოსებ ხუციშვილი].

ჩამილი, გვარი ყადლიჯანიაყე და გოლნია, ესეები საფარები არიან, ფერეიდანი თურქებია. ეგრე ვთქო, რაფიები არიან, – ხომსრელებია, ქართველებია, ბალე, ყანიებია ხანი დეჰაქელებია. ბეურნი შაქნილან ქართველები. ჯანიები არიან, ქართულად ლაპარაკობენ [ქლკ, ესქანდერ სეფიანი, ალექსანდრე სეფიაშვილი].

ფერეიდნელ ქართველთა ერთ ნაწილს საერთოდ არ ესმის ტერმინ **გვარის** მნიშვნელობა. ხშირად, მასალის ჩაწერის დროს, როცა გვარს ვეკითხებოდით რესპონდენტს, ის ვერ იგებდა და ჩვენი მასპინძელი განუმარტავდა ხოლმე.

ფერეიდანში ყველა მოგიყვებათ, რომ მარტყოფში 19 (ზოგი თვალსაზრისით – 21) გვარი იყო და დღეს მარტყოფსა და მის განაყარ სოფლებში მათი შთამომავლები ცხოვრობენ. ზოგიერთის თქმით, 19 კლანი (თუ შტო-გვარი) ისპაჰანიდან ნაჯაფაბადის გავლით ავიდა მარტყოფში და იქიდან გადანაწილდა ფერეიდნის ტერიტორიაზე. სხვა ცნობით, აფუსში ავიდნენ ქართველები და იქიდან გადავიდნენ სხვა სოფლებში, თუმცა, ყველა შემთხვევაში, 19 გვარის ისტორია მხოლოდ მარტყოფის მოსახლეობას ეხება [Rezvani 2009: 62].

„მამულები გოყოფეყე და ჰარ კომლის ოთხსაბელა არი. იმაში ცხრამმეტი ჭამილი ხალდი, ქართველი ხალდი შასულა ეს სოფელჩი. ემ ცხრამმეტი ჭამილს ცხრამმეტიც მაზრა ჰქონია, ცხრამმეტი – წისქილი. ჰარ დანგ სათი ერთ მაზრა დოოდებიაყე და ჰარ დანგ სათინაცა – ერთი წისქილი“ [ქღკ, კოლა ონიკაშვილი].

„პირველადა, რო გვარები არიან და მოსულან ექა, სამას ოთხმოცი წელია, რო ახლა დოოხლოების ერთი წელია მეტი, და ორი წელი მეტია, ესენი რო მოსულან ექა, ცხრამეტნი ყოფილან. ჩონი მამული რო გაყოფილა, ცხრამეტგან გაყოფილა. ცხრამეტი იცით რაგდენია? – ათი და ცხრა. გაყოფილა, ეხლა ამ მამულზევა გაყოფილა, ცხრამეტი ადგილია სოფელჩიგა, ცხრამეტიცა – მაზრა. მაზრა იცით რა არი? მაზრაცა – ეგ როს რო თითოს თავისის გოლი აქ და გოლბანდს გომოლოშოფთყე და სარწყავზე წავალთყე, ამას გოლეფს შაკრავთყე. ეს სოფელია თავის მამულით. ეს სოფელია თავის მამულით. ცხრამეტიცა მაზრა ჰქონია, რო ჰარ თითო მაზრასა, ერთსა ჰქიან ყალსაღბალია, ერთსა ჰქიან გოსთუგანი, ერთსა ჰქიან მაზრაცა-ზი, ერთსა ჰქიან სილინა, ერთსა ჰქიან დემანა. ერთსა ჰქიან ლაჩინას მაზრა, ერთსა ჰქიან გუგუნანთ დიზები, ანქა თერთმეტი დიზიც ანქ არი. ესეები რო ჩამოვთოლითყე, შაქნებიაყე იმაშინა ცხრამეტი“ [ქღკ, რეჰიმა ონიკაძე].

ესქანდერ სეფიაშვილი, ოდნავ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს. მისი თქმით, 19 ქართული გვარი გადარჩენილა ქერიმ ხანთან ბრძოლაში²⁴¹ დამარცხების შემდეგ.

[ქერიმ ხანთან ბრძოლის შემდეგ] ცხრამეტილა კაცილა დავარდნილიყო, ოც ერთი ეკლო, ცხრამეტი. ცხრამეტილა იყო და ემ ქარიმ ხანმაცლა ძრიად ყრალალა მოდლა და იმის უკან თქო, რო ხო ალაქია რო [...] და გაძწყითეყე, სულა გაძწყითეყე და მოკდეს, ჩაფუჭდესო, ეს ცხრამეტილა ერთი საბელი, ეს ცხრამეტი კაცი რო დავარდა, ჰართითო, თითოსლა ერთ საბელალა მისცადა, თქო, რო ეს იმაჩილაო, რო ქალაქილა გაგწყითელაო და ანგლა ემე დადგც ხო ემე ზლაო, და დაცივდესლა და ცხრამეტილა ჭამილილა, ცხრამეტი [ქღკ, ესქანდერ სეფიაშვილი].

241. ეს ბრძოლა უნდა გამართულიყო მე-18 საუკუნის შუა წლებში.

ფერეიდნელი ქართველების მონათხრობში არსებულ ერთგვარ წინააღმდეგობას არიგებს სომხური წყარო. ფერეიდნელი სომხების ინფორმაციით, სოფელ ახორას მცხოვრებლებთან ერთად ქერიმ ხანის წინააღმდეგ ქართველების მხარდამხარ იბრძოდა ოთხი სომხური სოფელიც. დამარცხების შემდეგ ქერიმ ხანმა ყველა, ვინც ამბობებულთაგან გადარჩა, ისპაჰანში გადაასახლა, იქ გადასახლებულებმა ვერ გაძლეს და გარკვეული პერიოდის შემდეგ უკან დაბრუნდნენ:

„ქერიმ ხანმა ფერეიდნიდან ბევრი ტყვე წაიყვანა ისპაჰანში... [მინასიანი 2001: 82]... მაგრამ დიდი სიცხის გამო დიდი ნაწილი დაიღუპა, მეორე ნაწილი კი დააბრუნეს ფერიაში“ [მინასიანი 2001: 79].

ლევონ მინასიანი საუბრობს ქართველების მხარეს მებრძოლი სომხების გადასახლებაზე და უკან, ფერეიდანში დაბრუნების შესახებ, სვარაუდოა, რომ იგივე ბედი ეწეოდნენ ქართველებსაც. ეს ინფორმაცია აზუსტებს ესქანდერ სეფიაშვილის ვერსიას, რომ 19 გვარი გადარჩა ქერიმ ხანთან ბრძოლის შემდეგ და ასევე ამართლებს იმ ფაქტსაც, რომ ეს 19 გვარი ისპაჰანიდანაა ამოსული, ოღონდ ეს უნდა მომხდარიყო მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებში და არა მეჩვიდმეტე საუკუნეში.

მარტყოფის წრის სოფლებში გარდა ამ ცხრამეტი გვარისა, ყველა დანარჩენი, ფერეიდნელების თქმით, გაქართველებულებია. დღეს ისინი ქართული თემის განუყოფელი ნაწილი არიან²⁴².

ლალო აღნიაშვილი იყო პირველი, რომელმაც ფერეიდნული გვარები (შტო-გვარები) ჩაიწერა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ის ასახელებს 20 ქართულ გვარს (შტო-გვარი) და მათ სამ განაყოფს, თუმცა არ უთითებს, რომელ სოფლებში ჩაიწერა ეს გვარები, უმრავლესობა, სვარაუდოდ, ფერეიდნის მარტყოფშია ჩაწერილი 1894 წელს: *აღიაანი, ბათუანი, ბასილაანი, ბურციანი, გორგინაანი, გუგუნაანი, გულიანი, დარიშპანიანი, ელარზანი, ვარდიანი, ზეკოკიანიანი, თამაზანი*²⁴³, *თარვერდანი, ლაჩინაანი, ლობიტანი, (იოსებანი), მათიანი, მამუკაანი, მარტიანი, ონიკაანი, სამადაანი, სეფიანი, სულიკაანი, ფოცხვერანი, ქვესიანი, ქურდაანი, შოშიანი, ხადიკოიანი, ხადიკაანი, ხუციკაანი.*

მათი განაყოფი – სამ ახალი გვარი: შეითანიანი – ქურდიანთ გვარის განაყოფი; ასლანიანი – აღიანთ გვარის განაყოფი და ისპანიანი.

იაკობ გოგებაშვილი 17 გვარს ჩამოთვლის, თუმცა სოფლებს არც ის მიუთითებს: ხუციშვილი, ონიკაშვილი, ხატიშვილი, დავითაშვილი, დარჩიაშვილი, თავაზიშვილი, მასიტაშვილი, გოგიჩაშვილი, მაყაშვილი, მელაშვილი, ტარიელაშვილი, სულიკაშვილი, ველიშვილი, ჯორჯიაშვილი, ივანიშვილი, სიტოშვილი, ისოშვილი და სხვანი.

ქართულ პრესაში მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება ფერეიდნული გვარები:

242. ამის შესახებ ვრცელდა საუბარი ზევით.

243. სვარაუდოდ, თავაზიანებს გულისხმობს.

გაზეთ „ისარში“ დაბეჭდილ სტატიაში ნახსენებია აფუსელი რეიმ ხან ჭავჭავაძე, ქვემო მარტყოფელი მადსადე ხანი და მირზა ხანი მასიტაშვილები [ისარი 1907 N85].

მესიდაშვილი, მობინაშვილი, ასიაშვილი, გულიაშვილი („განათლება“ 1908 N5-6); იოსელიანი, სუციშვილი, ბათუაშვილი, ბაბუნაშვილი, გუგუნაშვილი, მაყაშვილი, ბახშიაშვილი, ონიკაშვილი, გულიანი, მიქცაძე, გოგორაშვილი და სხ. [„ბახტრიონი“ 1922, N18].

ფერეიდნში სხვადსხვა დროს ჩასული ქართველი მოგზაურები თუ მკვლევრები ასახელებენ შემდეგ ფერეიდნულ გვარებს: ონიკაშვილი, იოსელიანი, პაპიაშვილი - თავაქოლი (ამბაკო ჭელიძე 1927); სუციშვილი, დავითაშვილი, იოსელიანი, პაპიაშვილი, ლაფერაშვილი, სააკაშვილი, ამირანაშვილი, ლურსმანაშვილი (ირაკლი კანდელაკი 1944); ლომიჭანი, სუციანი, იოსელიანი, გელოვანი, ტუხანი, ჩაფიანი, ასპანანი, კაზიანი (აშუროვი 1943); ბათუანთი, გუგნანთი, ლაჩინანთი, სეფანთი, სუციანთი, მიქელანთი.... (დარეჯან ჩხუბიანიშვილი 1998); თავაზოი // თავაზაშვილი; ხადიკაშვილი, სუციშვილი, ზუბიტაშვილი // მოყადასი, მულიანი // მულაშვილი, ასლანი, ზამუნაშვილი (მიმინოშვილი 2001); ასლანიშვილი, ასპანაშვილი, ბათუაშვილი, გუგუნაშვილი, გოგიჩაიშვილი, ზამუნაშვილი, ზუბიტაშვილი, თავაზაშვილი, იოსელიანი, ლაჩნაშვილი, მულიაშვილი, მირმანაშვილი, მიქელაძე, ონიკაშვილი პავლიაშვილი, სეფიაშვილი, ჩხუბიაშვილი, ხადიკაშვილი, სუციანიშვილი [ბართაია 2003: 88].

თავად ფერეიდნელი ქართველები ქართული გვარების გაცილებით დიდ სიას გვთავაზობენ:

მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი) დარჩიაშვილი:

გუგუნანი, თავაზიანი, თარვერდიანი, ლაჩინანი, ბათვანი, ასპანანი, რაჰიმდინები რო ონიქაზიებიანი არიან, სეფიანი, ქაზუმანი, რო სუციანებია, დავუთანი, რო რაჰიმანი იწერებიან, აზიმანი, ველიანი, მოყადასი, აბრარიანი, ყალანი, მასიტანი, დარჩიანი, გოგიჩანი, ჰაშემი, იასელიანი. ნაგელიანი, მირმანანი, სეფიანი, მიქელანი, თიღვანი, ჯადიდიანი, ჰაშემი, თარვერდიანი, სეფიანი; სეფიანები ასლანიც არიან, ასლანი, რავდენი გვარები ერთმანერთი დარეულა – ბახშიანი ჯავანბახში ან ვარიები და რავდენი სხო ფამილები რო მოსულან სოფელჩი და სუთვენი; ჩონებურად ამბობენ და მე ვიძახი, მინც სადაჟრი ჩონებურად რო ამბოფს, ქართველია [ქლკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი):

სეფიაშვილები, ასლაშვილები, მიქელაძე // მიქელანი, დავითაშვილები არიან, ონიკაშვილები, მოლიაშვილები, გუგუნაშვილები // გოგჩანები // გოგორჩანები // გოგორაშვილი // გუგუნაშვილები, იასელიაშვილი // იოსელიანი, დარჩიაშვილი // ბახშიაშვილი // ბახშიანი, სუციშვილი, ფანიაშვილი // ფანაიები, ბათუაშვილი, გოგინაშვილი, თავაზიანი, ლაჩინანი, ხატიკაშვილი // ხატიკანი, ასპანანი // აბრარ-

დები, ზუპიტაშვილი // მოყადასი, ველიანი [თათები], ყალანიები // ყალაშვილები // ყალაბეგიშვილი, ბერიანი (გათაგებულან), მასიტანი, ნაგელიანი, ჰოსეინები (თათები), რაჰიფები (თათები), ჯადიდეები (თათები), მირმანანი (თათები), ზამანდები (თათები); ყვერიანები (თათები), ხადიგანები (თათები), ჩიანი (ნახირელებია), ჩიანი (ნახირელებია), გურჩიანი (ნახირელებია)²⁴⁴.

მუხტარ დარჩიაშვილი გვაძლევს ზოგიერთი ქართული გვარის შესატყვის თანამედროვე, ოფიციალურ სპარსულ გვარსაც: *დაგუთანი, რო რაჰიმიანი იწერებიან... ქაზუმანი რო ხუციანები... რაჰიმიანები რო ონიქაზიებიანი არიან.*

სოფელ თორელში აბოლყოსემ აჰმადისაგან ჩავიწერეთ საინტერესო მასალა თორელში გავრცელებული შტო-გვარების შესახებ.

ქოქონი, დუმბანი, ხანჯანანი, ხალიბავანი, ყოზანი, მეთქიანი, ცუნცულანი, მამულანი, მახამანანი, მელანი, სერანი, ჩინჩინა, კოტონი, ჭაკოლანი, ყვეკლანი, ნაფეტანი, ტანტალანი, კუტიანი, კუნტალანი, ქოქონი, კოიანი, კაკანი, ჩაყილანი, ბაკუანი, ბუბუანი, ბურიანი, წივწივანი, ხისხისანი, ტურიანანი, გერიანი, კადაშანი, დოდონი, გალუანი, კაკრინა, წარუკა, – ესეები ყო, რო მე დამიწერავ. ყარაშანიც ექა ხო ჩენ ექა გყოვ ერთ რამდენი ოჯახი არიან, ალი ყარაშანია, თურქეებია, ეხლა არ ვიცი, როგორია, ეხლა ჩენ ველი არა გუაქ, მე მინდა ქართულები ერთად ვიყოთ, ეხლა ერთმანეთი არა დავაბნივით, არ დავაბაიტავით. ჩონ ექ რო ვცხოვრობთ, ყველა ქართულებია და მთელი სოფლები, მარტყოფი, ახჩადა, დაშქესანა და ჩორრუთი [ასეა!], სიბაქი, ჯაყჯაყი, თორელი, ბონი, აფუსი, ყვეკლანი ერთი ვართ [ქდკ, აბოლყოსემ აჰმადი].

ბაბაკ რეზვანიმ ასევე აფუსსა და ბონ მინდაშთში დაადასტურა ქართული გვარები, რომლებიც არც ფერეიდუნშაჰრშია და არც ჩრდილო დასავლეთ ფერეიდანში. ეს გვარებია: აფუსში – შიშანი და გულანი და ბონ-მინდაშთში – ჰაჰიანი და ლომიდან [Rezvani 2008: 31-32].

ფაქტია, რომ ყველა შემთხვევაში მართლაც საუბარია შტო-გვარებზე. გვარის დაბოლოებად შვილი და ძე, ბოლო პერიოდში, საქართველოსთან დაახლოების შემდეგ გაჩნდა, როგორც ეთნიკური კუთვნილების ერთ-ერთი ნიშანი.

ჰოსეინ (სოსო) მიქელანი საუბრობს შტო-გვარების გვარად გადაქცევის შესახებ:

„1934 წლამდე ირანში გვარი არ იხმარებოდა. ჩენი გვარი მიქელანიც მაშინ შემოიღეს. მანამდე ყოველი პიროვნების ვინაობა: სახელით, მამის სახელით და პაპის სახელით განისაზღვრებოდა. მაშინ ჩენი სოფელი უბნებად და მისი სამეურნეო მიწები მაზრებად იყო დაყოფილი. იყო დავუთანთ, ხუციანთ, მიქელანთ, სეფიანთ, გუგუნანთ, ლაჩინანთ, ასფანიანთ, უსტიანთ, მასიტანთ და სხვა უბნები

244. ესქანდერ სეფიაშვილი მხოლოდ მარტყოფისა და მისი განაყარის სოფლებზე საუბრობს.

და მაზრები. ამ უბნების მიხედვით გვარები აურჩევიათ. ჩვენი უბნის სახელი იყო მიქელანი და გვარიც მიქელანი მივიღეთ. ახლა არ ვიცით, საქართველოში რომელ საგვარეულოს ვეკუთვნით. მითუმეტეს, ახლანან გავიგე, რომ საქართველოში მიქელაძეების გარდა მიქელაშვილებიც ცხოვრობენ“ [შაიშმელაშვილი 2019].

2.1.1. შტო-გვარები ფერეიდნულში

ღაღო აღნიაშვილმა ჯერ კიდევ 1894 წელს დაადასტურა შტო-გვარების დაყოფისა და ახალი განაყოფების წარმოქმნის პროცესი, რომელიც ისეთივე ბუნებრივი იყო, როგორც საქართველოში, სანამ გვარების ჩამოყალიბება დაიწყებოდა.

ქართული ენის დიალექტებში გვარის განაყოფის მნიშვნელობით სხვადასხვა ტერმინი გვხვდება. გვარი იყოფა: ძირობად, ბუღობად, მამობად, ბიძაშვილობად, და მისთანებად. გვხვდება ტერმინები: ნათესავი, განათესი, ჩვენები // ჩვენიანი, ჩვენებანთი, განაყრები, განაყოფი, გამრიგო, ნატამალი, მოღგმა, ერთი ტაძარი, ერთი ნამრავლი // ნამზრავლი, ჯიში, ჯილაგი, ერთი მოჭრა, შტო...“ [ჯორბენაძე 1993:40].

ფერეიდნულ დიალექტში ყურადღებას იქცევს როგორც ქართული, ისე სპარსული ტერმინები:

სახლი²⁴⁵ // ოჯახი:

ოჯახის მნიშვნელობით დავადასტურეთ ტერმინი სახლი:

ჩემ ძმებმა სუნივენთლა – ემ ორ ემემ სახლმა გამოიღეს ანქა. და ბევრ სახლიცა ბათუანთაყე გამოიღა, ამა ჩონყე ემ ორ სახლსაყე ერთიც ექ აღარ დავარდა, ჭაყად ძელა მარტო ექ ვიყავ [ქღკ, თუბა შაჰმამადი].

ღათანი ასლანიები არიან და სახლიცა რაჰიმ იყო და გადვიდეს ახლა ასლანია კიდევაც და ლიტრაჰამიანთას დაძახიანყე [ქღკ, რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

ამის პარალელურად გვხვდება ტერმინი ოჯახი:

ოჯად // ოჯახი – კერია ოჯახი:

თუ ათი კაცი გყავ სახნი, ოჯაღი ათი, იმას უნდა დიდ ფეთაქი ექონდეს, არა? [ქღკ, მუსტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ძე ვამბობ ამაშინ ერთი რამთენი ოჯახი გყოვ ექა. ექაურ ქართველები არ ყოფულან, სხვა ქალაქეფსაყე მოსულან. ჩონ ქართველსაყე დოოსწავლიაყე [ქღკ, მუსტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ნათესავის მნიშვნელობით გვხვდება ხიში. *xiši* სპარსული *xiš*. ნათესავი:

მასლან, ემ ხიშებმა, რო ძმეები იყნეს, თითომ ერთ ბატკანი წინ დოოკლეს [ფერეიდნული ლექსიკონი 2018].

ქლანიანთას ქორწილია და ეხლაც ხო ქართვეფსლა და ემეს იქმენყე და ქართვეფს მიდცემენ, წაიღებენ, მიაწვდიან და გაიკითხვენ იმ ქართვეფსლა, ხიშები აღბათა, მასლან, იმეფს ეტყიანყე [ქღკ, თაჰერა იოსელიანი].

245. ნათესაობის ლექსიკა პროფესიულ კვლევას საჭიროებს.

თაჰერა იოსელიანთან საუბრისას გვეხმარებოდა ფერეიდნელი ქართველი, ანდრო ნაგელიანი, რომელმაც დააზუსტა რესპოდენტის ნათქვამი: უფრო **ნათესავებია და მეზობლები ქორწილში** [ქდკ, ამინ (ანდრო) ნაგელიანი].

ეს **ხიშები** – ამუანი რო მყუანდა და ზანდაია და ესები, ემეებმა სუ მაწივესლა და ბაღეები დამიდვესლა. იგეთ ქორწილები გოქონდისყე ყადიმადა [ქდკ, ნარგის აბასი].

რო წუგუყუანისყე მამამთილიანთ **ხიშებსლა** ვემძრახოთყე, მაზლეფსა. მაზლეფსა, ჩემ მაზლეფსა და მაზლის ბიჭეფსა და დედაკაცეფს უნდათ ეგრე დევემზრახოთყე, ეს ჩონ აბრუ იყო [ქდკ, ნარგის აბასი].

იმ მამამთილიანთ **ხიშსა** უნდა სუ, სუ ემძრახოთ [ქდკ, ნარგის აბასი].

შემაადგიანყე ერთ ლამბაქ ბრინჯი და ეს ჰალუა და ესები და მააკითხიან და, მასლან, **ხიშებ** დოურიგიან [ქდკ, აქბარ ასლანი].

ნესპათი ქონდაყე, ნათესაობა, ნესპათი დქონდაყე, **ხიშები** იყნევით ერთმანერთის [ქდკ, ამინ (ანდრო) ნაგელიანი].

იმამინაცლა ის **ხიშებილა** მოდუნ სუფრა ჩაგდებუნდა და რაძლა რო გოოკეთე-ბიყეფლა, მიდცემენყე [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

ფერეიდნულ დიალექტში ასევე გვხვდება სპარსული წარმოშობის ტერმინი **ჰამ-ჯენსი** – ერთი ჯიშის, მისიანი:

„მივიდეს ახლო, შირმა უთხრა ადამიზადსა, რო: ქენაო რას ეგდენ აღონებყე ჩემ **ჰამჯენსებსაო?**“ [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

პაპანი // **პაპანები** დედის მხარეს, დედულეთს აღნიშნავს:

ამის **პაპანებია**, მეუღლეს **პაპანები** იქ იყნენ. ეხლა აღარ არიან, ცოტადლა არიან [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ჩემ ზანდაიამ თქისყე, გადმოდი, **პაპანი** ვართ [ქდკ, თაჰერა იოსელიანი].

დღეს, როგორც სალიტერატურო ქართულის გავლენის შედეგი, ფერეიდნულში ბევრის მეტყველებაში დამკვიდრდა ტერმინი **ნათესავი**:

ოთხასის წლის ჩამოსული ვარ, ეს ეხლა ჩამოსულა და დაკარგული ვართ ოთხასი წლისა, ეხლა მინახავ, როგო არ მოვიდე, ვნახო, აბა, ეს ვინ არი, ჩემი ძოლია, ჩემ ბიძაშვილია, ჩემ **ნათესავია**, ჩემ გუარია [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

როგორც, აღვნიშნეთ, ფერეიდნულში აქტიურად გამოიყენება შტო-გვარები.

შტო-გვართა სახელდება ხდება:

ა). ოჯახის უფროსის სახელის მიხედვით: **უსუფანი**.

ბ). წარმომავლობის მიხედვით: **ისპანიაანი**.

გ). ეთნიკური კუთვნილების მიხედვით: **ქურთიაანი** – „თუ პირველი ქართველი ცოლისაგან შვილი არ უჩნდებოდა და ქურთს მოიყვანდა ცოლად, დამატებითი სახელი რჩებოდა შთამომავლობას. მის სახელს იტყოდნენ და განმარტავდნენ დაზუსტების თვალსაზრისით „ქურთიაანთ ესა და ეს პიროვნებაო“ [ონიკაშვილი 2004: 23].

დ). საქმიანობის მიხედვით: **ნაჯარიანი** – ჩონ გუეუბნებიან ნაჯარიანი, ნაჯარი, ჩემ პაპა რო ნაჯარი იყო [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

ვ). მეტსახელის მიხედვით: **ფატარანი, კლანჭიანი ჯიგარანი, ლიტრაჰამიანი...** [ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

ფერეიდნულ დიალექტში შტო-გვარის სახელები სხვა ქართული დიალექტების დარად მრავლობითი რიცხვის მორფემებით იწარმოება. ძირითადად გამოყენებულია: -ნ // -თ სუფიქსიანი წარმოება. გვხვდება -იან სუფიქსით გართულებული ანთროპონიმული ფუძეები.

2.1.2. მეტსახელები (ზოგადი)

„მეტსახელი, საკუთრივ ანთროპონიმის პარალელურად, ხშირად იწვევს ამ უკანასკნელის (ანთროპონიმის) გატოლებას გვარის პოზიციასთან, შემდეგ კი ერთგვარ კონკურენციას უწევს ამ წყვილს“ [გოდერძიშვილი 2012: 227].

საქართველოში ხშირად გვხვდება მეტსახელები, მეტგვარები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ბარი (ქართლი, კახეთი). ფერეიდანში მეტსახელის შერქმევა ჩვეულებრივი ამბავია. ადგილობრივები ამბობენ, რომ ეს მოვლენა ჩულრუთში, მარტყოფის ერთ-ერთ განაყოფ სოფელში, განსაკუთრებითაა გავრცელებული, თუმცა, ის სხვა სოფლებისთვისაც არანაკლებ არის დამახასიათებელი.

ჩულრუთელები ამბობენ, არ არსებობს ფერეიდანში ქართველი, რომელსაც არ აქვს შერქმეული სახელი, განსაკუთრებით „ერჩიან“ ვაშლოვნელებს (სიბაქელებს):

ვაშლოვანები დუგურბიან, არ მოდიან ჩონთან არ მოგობრობენ, სახელ დავარქომთ. მინმე არ შამოსულა ემ სოფელჩი, რო უსახელო გაიდეს, ზედმეტი სახელი [ქდკ, ჰამიდ რეზა ასლანი].

ემ ჩულრეთიჩი... მინმე არ გადმოიდა ექა ქართველი, რო ზედმეტი სახელი არ დაარქონ. ეგეთი რამე არ ძქნდა [მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ფერეიდნულ დიალექტში მეტსახელის მნიშვნელობით გვხვდება ტერმინები: **ზედმეტი სახელი, ლაყაბი** (არაბ.).

ტერმინი **ლაყაბი** დასტურდება ჯერ კიდევ სეიფოლა იოსელიანის ტექსტში:

სამსამოსელთენას ბიჭმა, რო ერქო ჩერად-ალი-ხანი, – ლაყაბი ჰქონდა სარდარე ამრაფი, – ესე გამიამხანავდა [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ალაზი მისწერეს სარდარი აშჯაყთან – ესეც ლაყაბია. ჰოქუმათი იყო ისპაანისა – ორი სარდარები რო ვთქი, ცუმათი ბიძა იყო, რო რა უნდაყე ცუ თქენი ბიჭებსაო ქართველები საყეო, რო წელს გოსმისო, რო ზაფხულსაყე თა ექამდი აღონებენყე და ფულს ართმენყეო [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ამ ტერმინის მნიშვნელობას აკონკრეტებს მუხტარ დარჩიაშვილი:

ეხლა ანს ლაყაბი რას ნიშნავს: – ზედმეტი სახელები არიან ჩემი პაპა, ემის წერილი რო ყოფილა, ენა ტკბილი ჰქონია, მინც შოუძახებდა, ეჭბებოდა, ჯონუ. ჯონ პარსული, არა? ჯონუ! ჯონუ და ჯონუ და ემაზე დეერქო ჯუნუ, ჯუნუ, მაღაყაფე. თუ ფერეიდანჩი შახიდე და თქო: მუხტარი მინდაო, რავდენ მუხტარი ხო არი ჩონ

მარტყოფნი, არა? და თქო, რო უსტა ჯუნიათიო, ზუსტად წაგიყუანენ ფერეიდანჩი ჩონ სახლჩი. უსტა ჯუნიათი ყოლომ რე ზას ბიჭი მოხტარიო, ზუსტად გეტყვიან და წაგიყუანენ ჩემ სახლჩი, მარტყოფნი [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ეს მაგალითი ნათელს ხდის, რომ აქ ლაყაბი // ზედმეტსახელი ეპონიმის მნიშვნელობით გვევლინება და შტო-გვარის ჩამოყალიბებას უდებს სათავეს.

მეტსახელის მნიშვნელობით არაბული წარმომავლობის ტერმინი **ლაყაბი** დასტურდება აჭარულ დიალექტშიც ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტით ლაღაბი [ჯორბენაძე 1993: 40,41].

გვარის დაყოფის და განაყოფების გაჩენის პროცესი დღესაც გრძელდება და შეგვიძლია თვალი გავადევნოთ მეტგვარების, წარმოქმნის პროცესს.

2.1.3. მეტგვარები // საოჯახო მეტსახელები

რეზო დავითაშვილისგან ჩავიწერეთ საოჯახო მეტსახელები და მათი წარმომავლობის ისტორიები²⁴⁶:

ფატარანი // ბატარანი, საგუნდენი, ყორეყორენი, ნაიბიანი, ღუმანი, ჭიბტანი, ჩაღლიანი, კურდღელანი, ხეზიანი, ქაზიანი, ვაჯანი, ელახორი, პარკიანი, ლაქიანი, ლაჯაყულანიც, ჩილკევიანი // ჩილუანი, პანწულიანი, ჩიჩიანი, კირკილიანი, კირკილიც, მელაჭერიანი, მელაკაჭუნანი. კლანჭიანი, საბზალბევიანი, ჯიგარანი, დამგულიანი, ბოლოკონი, გონდონი, სანაღენი, შუშუნანი, შიფიანი, მათანი, ბარქორიანი, ბასტაკანანი, ბასტაკანი, ლაზახანანი, დადვერდი, დადვერდიანი, ჰაჯიაყვერდიანი. კაჭკაჭანი, ჯანგიანი, ხანდულანი, ქუჩიანი, თუხანი, ტურანი, ოფოფანი, აშილანი, ბარანტოიანი, ღურბელანი, ფალასი გორზიანი, შეიღანი, პარაკანანი, ზადიანი, ზაღულიანი, გულიანი, დანგიანი, ღედვანი, გურჯიანი, ზურაფანიანიც ყელიანი, ჭუჭყუნანი. ხარატიანი ღერვიშიანი, ჩირაღიანი, თავლაჩიანი. მოსაკიანი, ქალათიანი, ახშიანი, საკინძენი. კონტოლანი ბუმაზალანი, თეთრფეჯანი, ალიბობოლი, კუხრიანი, კოხრიანები, დაკერნალარნი, შავტრაკანი, ციცას ძაღლანი, ციკნისყურანი. სულეიმანანი, სულიკონიც.

აღნიშნულია, რომ მეტსახელების დარქმევა ხდება სხვადასხვა ნიშნით, მათ შორისაა თვისება, გარეგნული ნიშანი, სოციალური სტატუსი, და სხვ. შესაძლებელია მთელი ოჯახი ერთი ნიშნის მიხედვით იყოს სახელდებული ან ოჯახის ერთი წევრის მეტსახელი იქცეს ეპონიმად და შემდგომში ასე მოხდეს მისი მთელი მონაგარის მოხსენიება.

საოჯახო მეტსახელებიც // მეტგვარებიც შეიძლება დავყოთ მათი წარმომავლობის მიხედვით:

ოჯახის უფროსის მეტსახელი ხდება ეპონიმი:

246. სრული ტექსტი იხილე ქართულ დიალექტურ კორპუსში.

ნაჯვარიანი – ჩემ პაპა, ჩემ პაპა ნაჯვარი²⁴⁷ იყო და გუთანი და კევრი, კილობანი, რაც რო ჯოხის ემეები იყო, აკეთებდა. ამის გვარობაზელა ჩონ გუქუბნებიან ნაჯვარიანი, ნაჯვარი, ჩემ პაპა რო ნაჯვარი იყო... [ქდკ, აბოლყასემ აპმადი].

სახელდება ხდება გარეგნული ნიშნის მიხედვით:

ბოლოკონი – ესენი შავნ იყნეს, აი, სახელი შავი, როგორ შავ ბოლოკო და იმაზე ერქოყე **ბოლოკონი**.

კაჭკაჭანი – **კაჭკაჭანი** – ჩემ მეუღლეს დედინთ ბიძანია; დედაკაც მაღალ იყო, მარტო გადიოდეს-გამოდდიოდეს, კული დქონდეს. **კაჭკაჭანი** [ალი რე ზა რაპიმი (რე-ზო დავითაშვილი)].

დუმანი – სუქანი კაცები იყნეს, სუქანი ხალღი და დუმა პირიტყის ემე არი, ცხორის, ცხორის დუმა, ჰა და იმაზე დლორქმენ **დუმანი**.

დათან – თავით ზედმეტი გუარი **დათიანია**, **დათან**. დათან დადძახიანყე დიდ ემები აყე, დათსავითა დიდები არიან [ალი რე ზა რაპიმი (რე ზო დავითაშვილი)].

თვისების მიხედვით:

ჯანგანი – ჯანგი პარსულ სიტყვა არი, მოშულარი, მოშულარი ნიშნავს.

ჯიგარანი – მოყვარე ხალღ ეტყიან ჯიგარანი.

ჩვევის მიხედვით:

ელახორი – ემე ხო ესე ჩაიდანსა და თეფშები და თეფში რო გატყდისყე, იმიშინ ფული არ იყო და ხალღიც ხო საწყალ, არა დქონდა. ეს თეფში რო გოოტყდისყე, მაიტანისყე, ერთი უსტა იყო, რო ემეეფს აკრეგდა ერთმანეთ ზეგა. კერცხი და ნაცარი და ეგეთ რამეები გააკეთისყე და უკანა ჩაყრის და დლოფაქისყე ემე... კოწიწი, ტალახი გააკეთისყე და შუა [...] მიაკრისყე თეფში ერთმანეთ ზეგა. ეხლა ერთმაც წაილო და მისცა, თქო უსტას: გამიკეთეო, არა მაქს [...] ზედ ჩაი დავასხა და დავ-ლილო და თქო: ხო. მეორე დღეს წაიდა, თქო: უსტა, გააკეთე-თქო? ხო. მესამე დღეს წაიდა, თქო: გამიკეთავ უსტა-თქო? ჰა, ხო, გაგიკეთავო. მეოთხესა ხო. ელა ხო, ელა, ხო, – იმას დაარქეს ელახო. ელახორი. აი, მე რო მოალ, მეტყი, ელა ხო, გაგიკეთებო, ხო, მეტყი, სუ უნდა თქო, ელა ხო, იმაზე დაარქეს **ელახორი**.

ყორეყორენიც, ყორე-ყორე იცი რა არი? – ქუას დააწყობენყე, ქუას ეგრე მაღლა დააწყობენ და წავლენყე. ერთგან რო ლოცვას ადგილა არი, თავით გზაზე რო მიდ-ლიხარ, და ახლა ველ უნდა გაქნევ, იმ ლოცვას ადგილ დაინახავ, იქ ერთ ქუეფს ააწყ-ყოფ ერთმანეთ ზეგა ეგრე, რო სხუებიც თუ გაიგონ ექეფჩი, ლოცვას ადგილ არი, ყორე-ყორე ზე. ინსენიც წაილის, ყორეყორეები გააკეთის, რო ლოცვას არ წაიდენ.

საქმიანობის მიხედვით:

ციკნისყურანი – ციკნის ყურა ბალახია და ერთ ემესცა დქიან – მეციკნედ იყ-ვენ. ციკანი, ციკან ბატკანი დქიან, – აძოონ.

247. დურგალი

ხშირად რომელიმე გვარისთვის დამახასიათებელი თვისების მიხედვით ჩნდება მეტაფორული გამოთქმებიც, მაგალითად, ფანიაშვილები მრისხანე ხალხადაა მიჩნეული და დიდი წვიმის ღრუბელს დაარქვეს ამ გვარის სახელი:

ფანიაშვილის ღრუბელი – ფანიაშვილები ეგეთ გაბრაზული კაცები და ძლიერ კაცებზეც არიან და კაი კაცები, კაი ხალხია და რო გაბრაზებულნი არიან, ერთ ღრუბელი მარტყოფში ამოაყე და გაწვიმიწყე. წნიკ ღრუბელია და გაწვიმდების ბეჭერს. ეს რო ამოა, იტყვიან: ამოიდაო, ის ღრუბელი რო ამუა, წიმაც მოაყე, გაბრაზებულის, ითოლეფს, წიმა მოა [ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

2.1.4. მეტსახელები // კონკრეტული ადამიანებისათვის შერქმეული ზედმეტი სახელები

ზოგჯერ მეტსახელებად იქცევა მეტაფორული გამოთქმები, ისეთები, როგორებიცაა: შავმელა, წითელი კოჭი და სხვ. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ზოგადი, გარკვეულ თვისებაზე აქცენტირებული გამოთქმა ზუსტად მიესადაგება კონკრეტულ ადამიანს.

ფალნიან გელი ელ ეს არი, რო ელ ემან რო თქო, რო: წაიყვანაყე ბანქიო, **ფალნიან გელს** დაიძახიან. ფალნი იცი რა არი? რომელსაც ვირ დაარქმევდენ, გელიო, ემას დაარქეს ფალნიან გელიო. მერე ბიჭს, რო ეხლა თქო, რო შაიყვანაყე ბანქიო, რო ხაში ასყიდინოსო. პირველად ელ იმას **ფალნიან გელი** ერქო. და რა ვითხრა? რაგდენი ვითხრა?

ბეწიან გოგრაო – ბეწიან გოგრა ხო იცი, რა არი? გოგრას ბეწი აქ? **ბეწიან გოგრაო**. ერთ ცოტა გაფხეკილ თავი ექონდა შენსავით, ეგეთი, ბეწი არ აქო და ერთ-ერთი არ მაეკიდებდა.

გაპარმებული გარმაქიო – გარმაქი იცი, რა არი? საზამთროსავით არი, საზამთრო და როგორც რო რბილიდა იყოს და არ გამოდგების. და ერ ცოტა მუცელიცა ექონდა, დაბალიცა ექონდა, **გაპარმებულ გარმაქიო**. რომელიც რო არ შაიჭმების, გაფუჭებული [მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ძელ სასწორი – ჰა, ამ ერთსა ვკითხე, შენ მინა ხარ, ბაღე, ერთ ეს იყო. ამას ვკითხე, შენ მინა ხარ-მეთქი? თქო: მერე როგორ გამიცნოფო. თქი: აბა, თქი-მეთქი. თქო: მე დეჰაყელი ვარ. – დეჰაყელი ხარო? ვთქი: ძელი ხარ თუ ახალი-მეთქი? **ძელ სასწორს** ეძახოდეს თავის მამას, და რო არც ვიცნობდი, თქო: მე დიაყელი ვარო, სხო ქალაქისგან მოსულეები იყნენ. თავის მამას ძელ სასწორს ეძახოდეს. და ვთქი: ძელი ხარ თუ ახალი-მეთქი. მოკდა სიცილით: შენ მინა ხარო? შენ მინა ხარო! სასწორიდა რა არი? შეეგუანაყე თავის სახე და თავის საქმეები ესები, სახელის დარქმა იციან, ზედმეტი სახელები [მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

სამეცნიერო ლიტერატურაში მეტსახელები კლასიფიცირდება შემდეგი ფუნქციის მიხედვით:

- დაცინვითი მეტსახელები
- სახუმარო მეტსახელები
- მოფერებითი მეტსახელები
- პატივისცემის გამომხატველი მეტსახელები
- ნეიტრალური მეტსახელები [გოდერძიშვილი 2012: 260].

ფერეიდნულის მასალას რომ გადავხედოთ, ნათელი ხდება, რომ ჭარბობს სახუმარო მეტსახელები შერქმეული გარკვეული თვისების, ნიშნის თუ ისტორიის მიხედვით.

გვარების ცხრილი

ცხრილში წარმოვადგენთ გვარებს ექვსი წყაროს მიხედვით, ეს მასალა ჩაწერილია სხვადასხვა პერიოდში – მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, მეოცის დასაწყისში, მეოცე საუკუნის შუა წლებსა და ოცდამეერთე საუკუნეში. ეს ცხრილი ადასტურებს, რომ ფერეიდნული გვარების ჩამოყალიბებული და სისტემური სურათი არ ჩანს. ეს სურათი ყალიბდება, ფაქტობრივად, ჩვენ თვალწინ და ის მოიცავს როგორც ძველ, ისე ახლადშეძენილ ეპონიმებს, ძირითადად, მეტგვარებს, რომლებიც საქართველოსთან დაახლოების შემდეგ გვარებად ყალიბდებიან. ახალი გვარების გაჩენა უკავშირდება ქართულ თემთან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების შემომატებას და, უბრალოდ, საქართველოდან ჩასულებიდან აკუსტიკური მსგავსების საფუძველზე ქართული გვარების „მინიჭებას“. ამაზე ზემოთ უკვე იყო საუბარი.

აღნიშნული 1897 წელი	იაკობ გოგებაშვილი (მეოცე საუკუნის დასაწყისი)	აშუროვი 1943	კანდელაკი 1944	მუხტარ დარჩიაშვილი XXI საუკუნე	ესქანდერ სეფიანი XXI საუკუნე
აღიანი					
ბათუანი					ბათუაშვილი
ბასილანი					
ბურციანი					
გორგინანი					გორგინაშვილი
გუგუნანი				გუგუნანი	გუგუნაშვილი
გულიანი					
დარისპანიანი					
ელარზანი					
ვარდიანი					
ზეკოკიანიანი					

თამაზიანი	თავაზიშვილი			თავაზიანი	თავაზიანი
თარგერ- დაანი				თარგერდანი	
ლაჩინაანი				ლაჩინანი	ლაჩინანი
ლობიტაანი- (იოსებაანი)		ლომი- ტანი			
მათიაანი					
მაშუკაანი					
მარტიანი					
ონიკაანი	ონიკაშვილი			ბათვანი, რაჰიმინები რო ონიქასიებიანი არიან	ონიკაშვილი
სამადაანი					
სეფიანი				სეფიანი	სეფიაშვილი
სულიკაანი	სულიკაშვილი				
ფოცხვე- რაანი					
ქეციაანი					
ქურდაანი					
შოშიანი					
ხადიკოიანი					
ხადიკაანი	ხატიაშვილი				ხატიკაშვილი // ხატიკანი
ხუციცანი	ხუციშვილი	ხუციანი	ხუციშვი- ლი	ქაზუმანი, რო ხუცი- ნებია	ხუციშვილი // ხუციანი
					მიქელაძე // მიქე- ლანი
	ღვითაშვილი		ღვითაშ- ვილი	ღვუთანი, რო რაჰ- მინი იწერებიან	ღვითაშვილი
				აზიმანი	
	ველიშვილი			ველიანი	ველიანი (თათე- ბია)
				მოყადასი	ზუპიტაშვილი // მოყადასი
				აბრარიანი	
				ყალანი	ყალანები // ყა- ლაშვილები // ყალაბეგიშვილი
	მასიტაშვილი			მასიტანი	მასიტანი

	დარჩიაშვილი			დარჩიანი	დარჩიაშვილი // ბახჩიაშვილი // ბახშიანი
	გოგინაშვილი			გოგინანი	გუგუნაშვილი // გოგინანი // გოგინანი // გოგინაშვილი
				ჰაშვილი	
		იოსე- ლიანი	იოსელიანი	იასელიანი	იასელაშვილი // იოსელიანი
				ნაგელიანი	ნაგელიანი (თა- თებია)
				ასლანი	ასლანიშვილი
	გოგინაშვილი				
	მელაშვილი				
	ტარიელაშვილი				
	ჯორჯიაშვილი				
	ივანიშვილი				
	სიტაშვილი				
	ისოშვილი				
					ჰოსენი (თა- თებია)
					რაჰიფი (თა- თებია)
					ჯადილი (თა- თებია)
					მირმანი (თა- თებია)
					ზამანი (თა- თებია)
		ასპანი			ასპანი
		გელ- კანი			
		ტუხანი			
		ჩაფანი			
		კაზანი			
				ასლაშვილი	
				მოლიაშვილი // მო- ლიანი	

				ყვევრიანები (თათუ-ბია)	
				ხადიგანები (თათუ-ბია)	
				ფანიაშვილი // ფა-ნაიები	
				გურჩიანი (ნახირე-ლებია)	
				ჩიანი (ნახირელებია)	
				ბერიანები (გათავე-ბულან)	
			პაპიაშვი-ლი		
			ლაფერაშ-ვილი		
			საკაშვი-ლი		
			ამირანაშ-ვილი		
			ლურსმა-ნაშვილი		

თავი XV

ფერეიდნული ლექსიკის ზოგადი დახასიათება

ფერეიდნული ლექსიკის შესწავლისას ჩვენი მიზანი იყო საკუთრივ დიალექტური ლექსიკის, შიდადიალექტური ლექსიკური სხვაობების, სალიტერატურო ენასთან საერთო ლექსიკისა და სპარსულ-ქართული პარალელიზმების წარმოჩენა. ამ პრინციპით გამოვლენილი და აღნუსხული ლექსიკა დაედო საფუძვლად ქდკ-ს ფერეიდნულ კორპუსულ ლექსიკონს, რომლის შევსებული მეორე გამოცემის საკითხი უკვე დგას დღის წესრიგში. ლექსიკონის შედგენის პრინციპები დეტალურად არის აღწერილი ლექსიკონის წინასწიტყვაობაში [ბერიძე და სხვ. 2018]. ლექსიკონი ასახავს ლექსიკის ყველა ფენას. მასალა მოპოვებულია საგანგებო კითხვარებისა და სიტუაციური ამოცანების გამოყენებით. ფერეიდნული ლექსიკის კვლევის მთავარი შედეგი სწორედ ლექსიკონია, აქ კი მხოლოდ ძირითადი ლექსიკური ჯგუფების ზოგად აღწერას წარმოვადგენთ.

ფერეიდნული დიალექტური ლექსიკის თავისებურებას განაპირობებს ამ დიალექტის მატარებელი ეთნიკური ჯგუფის ისტორია, საცხოვრებელი ადგილის თავისებურებანი და უცხოენოვანი გარემო. საყურადღებოა ლექსიკის ის ნაწილი, რომელიც არქაულ ფენას მიეკუთვნება. ფერეიდნულთა მეტყველებაში ხშირია არქაული ფორმების გამოყენება. ამას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ ლალო აღნიაშვილმა, შემდგომ კი ამ თავისებურებაზე მიუთითებს ყველა მეცნიერი, რომლებსაც უკვლევიათ ეს დიალექტი. აი, ამ ტიპის ლექსიკის ზოგიერთი ნიმუში:

მოდი, ჩემ გერძე, შენ სასთოულით მოდი ექა და მოჯე [ქდკ, ნარგის აბასი].

შათა რო იძახის, ერთ ესეთი სასთოული, იმას შათას ეძახის, რო ზედ გაათხე-ლუფს და მიაკრავს [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ხილის ჩაყრას რო გაათავებენ, მაღწყობენ ნიჭის აკრეფას – ნიჭი რაქთენი მოუვიდლო? – სუყელა მისცემს ფულს, თითო თავის ყოვაზე. ფული რო აიკრეფის, საუზმოს შაიტანენ [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

ჩემ მამამთილი. ჩემ მარჯაკალი ჩემ დიდ მაზლი იყო [ქდკ, ნარგის აბასი].

გერივაჯ ყეინის ყორმა თავასოთობა ქნა და ყეინმა გერივაჯ აპატივა თავის ყორ-სა [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

არქაული ლექსიკური ერთეულების დიდი ნაწილი დაცულია ქართული ენის სხვა-დასხვა დიალექტშიც: სასთოული (ბალიში – სამცხ-ჯავახური...); ნიჭი (საჩუქარი – სამცხ-ჯავახ...), მარჯაკალი (მაჭანკალი, შუამავალი – მთიულური (არნ. ჩიქობავა); გერივ, გერივაც (კიდევ, კიდევაც – თუშური (არნ. ჩიქობავა) და სხვ.

ფერეიდნულ დიალექტში შექმნილი ლექსიკა: გამწყრომი – მძლოლი, დამჩოვი – მასწავლებელი...

ძირი სპარსულია, დერივაციული ელემენტები – ქართული: დაფიადება (სპ. piyāde) – ჩამოსმა, გაჩერება; მარიზობა (სპ. mariz) – ავადმყოფობა. *ჩემ მამასაც იმაში ერთი მარიზობა ჰქონდა, სარათანი [ქდკ, რეზა მიქელანი].*

ფერეიდნულშიც, ისევე, როგორც ყველა ქართულ დიალექტში, ხშირია სიტყვის მნიშვნელობის დავიწროება: მაგალითად, ჭურჭელი აქ კოკაზე პატარა, კონკრეტული სახეობის წყლის ჭურჭელია: *ტალახით კეთდების, ჯერ კოკა არი, მერე ჭურჭელი, წყალს ჩაასხმენ [მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].*

ჩონ კაცმა წაიღეს, უნდოდი სეყ, რო ერთ რა ჭურჭელი აუსოს და წყალი წაიღოს [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ჩვეულებრივი მოვლენებია:

ლექსემათა მნიშვნელობის გადაწევა: მალლა – მეტი, კიდევ მეტი

–ათი კაცმა თხუთმეტ კაცმა მალლა წერა-კითხვა არ იცოდოან [ქდკ, ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)].

მალლა აიღე, დაიღე მალლა, ყურძენიც აიღე [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

ლექსემის გამოყენების არის დავიწროება: ცურავი გველი (თავად ცურაობა ჩანაცვლებულია ნახესხობით – მალავნობა, მცურავი – მალავნი)

ემამ დაიწკირტიალა და ერთი რაგდიღე ცურავი ყელსაყე ამოავლო [ქდკ, ჰაიათ იოსელიანი].

მათხოვა თქო: მე არც მალავნიაო, მალავნი იცი, რა არი? რომელიც წყალზე ცურვა იცისო. ჩონ ვიტყითყე, მალავნობა იციო? [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ბუნებრივია, რომ ფერეიდნული ლექსიკის მნიშვნელოვან წილს შეადგენს **ნასესხები ლექსიკა**.

ირანიზმების უხვი გამოყენება ფერეიდნულთა მეტყველების დამახასიათებელი მოვლენაა. გარდა სპარსელებისა, მათ მეზობლად სახლობენ სომხები, თურქები, ლორები, ბახთარები. შესაბამისად, მათ ლექსიკაში ასახულია ეს რეალობაც ნასესხობების სახით.

ირანიზმები:

სპარსული ლექსიკა (ზოგ შემთხვევაში არაბული, სპარსულის გზით): **ბაღე** – დიახ; **თა** – რომ, მღე; **ფაიზი** – შემოდგომა; **თაუსტანი** – ზაფხული.

თაუსტანი, გაზაფხული რო შაქნებისყე თაჩნი, პრასა არო ხო? წავალტყე თაჩნი-გა პრასობა. ერთ დიდ გუნებსა დაუგლეჯავტყე და დააკრავტყე ზურგ ზე და ჩამოდტან-ტყე [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ფაიზი მოიდა, ხეს ფოთლები დადცივდა [ქდკ, შაჰინა მულიანი].

გვხვდება კომპოზიტიური ფორმები, რომელთა ერთი წევრი ქართულია, ერთი სპარსული: **ჩაფაჟარაზე** – მარცხნივ (ჩაფა – სპ. მარცხენა).

ხშირად, როგორც აღვნიშნეთ, სპარსული სიტყვა მოქცეულია ქართულ ყალიბში: ლულაქეში – მიღების გამყვანი; ლულაქეშობა – მიღების გაყვანა; ქეშავარზი – გლეხი, მიწათმოქმედი; ქეშავარზობა – მიწათმოქმედება.

დიდალეფსაცა ელ ეს ქეშავარზობა იქა და, ელ ეგეთ თაჰრები. ქი ჰქონდაყე [ქდკ, ფათემა შაჰამადი].

ხშირია კალკირებული ლექსები:

კალკირებულია ანალიზური ფორმები, სპარსულის მსგავსად გამოყენებულია მასდარები: ქონა, დაჭერა, დადგომა, ზიდვა, კეთება, დაცხება და ა. შ.: ზანგი დადცხე – ზარი დარეკე (ზანგი – სპ. ზარი); ხეჯალათობას ეზიდებოდა – რცხვენოდა (ხეჯალათი – სპ. სირცხვილი); აღდილა დაიჭირეს – დანიშნეს (სპარსულის გზით შესული არაბ. აღდ – შეუღლება).

ზოგ შემთხვევაში კალკირებისას ორივე კომპონენტი თარგმნილია: ქორწილზე დადგეს – ქორწილი გამართეს. ქორწილი დავიჭირით – ქორწილი გადავიხადით.

გარდა ირანიზმებისა, ზოგიერთ სოფელში გვხვდება ნასესხობები თურქულიდან, სომხურიდან...

თურქიზმები: აღილი – ფარეხი; ალაჯი– სიგრძის საზომი ერთეული; კადა – ძმა (ბონი); სავლათი – საჩუქარი; საჯი – მრგვალი ფორმის რკინის დიდი ტაფა.

არმენიზმები: წირანი – ჭერამი (სოფ. ახნა, სადაც სომხური მოსახლეობაც ცხოვრობდა ადრე).

ნამაღ აღილილ არი! – იცი რაო? ოო, აღილი, სადაც ცხვრებ შადრეკენ, კარგიაო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ნაკლული სემანტიკური ველი // ლაკუნარული სივრცე:

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ერთი დიდი „ცარიელი“ ლექსიკური უბანი დიალექტში: ფერეიდანში არ იციან მნიშვნელობები უამრავი სიტყვისა, როგორებიცაა: ნაკადული, მოხერხება, კარგი, პატარა და სხვ. არ ფლობენ ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკის დიდ ნაწილს.

ჯერ კიდევ ლაღო აღნიშვილმა გამოყო ქართული ლექსიკის ის ნაწილი, რომელიც ფერეიდნელთა მეტყველებაში ვერ დაადასტურა: **გამარჯობა, ცუდი, მტრობა, ბატონი, ბუმბული, საზამთრო** [აღნიშვილი 1896: 21]).

რეინტეგრაციის პროცესების შედეგად ფერეიდნელთა მეტყველებაში დაიწყო ნაკლული ლექსიკური სივრცის შევსება. დღეს ქართული სალიტერატურო ენიდან ახლადშესულ სიტყვებად შეიძლება ჩავთვალოთ: გამარჯობა, ნახვამდის, უკაცრავად, ქალბატონი, ბატონი და სხვა მრავალი. ბრუნდება ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: კარგი; მარგალიტი; შავი მიწა²⁴⁸; მოხერხება.

248. ამ ფორმების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

ფერეიდნულში მკვიდრდება ქართული სალიტერატურო ფორმები. ძირითადად ეს ეხება ყოფით ლექსიკას, მისალმებისა და მობოდიშების ფორმულებს, თავაზიანობის ეტიკეტის ღაცვას:

მაპატიეთ, იონჯას ხო ვთიბავთ, არა? [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ისიო ყეენტანაცლაო მუხას არა ძჭამსო – რკო, ბოლიში – ყეენტანაცაო რკოს აღარა ძჭამსო [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ერთიც არი მოსტანადია, ქალბატონო, ჩემ, ჩონ ბაუშსა, ჩემ ბიჭსა გოოკეთებია [ქდკ, ჰამიდ რეზა ასლანი].

– ბატონო, შენ ჯოხი გინდა თუ ქუა? – მე ჯოხი [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

„კაცო, როგორც ჩვენი ძმა ხარ. ტანადობით ხო ქართუელი [ქდკ ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

მე ვმუშაობდი კალატოზადა, ექ ლიანდაგი იყო, რო მოტარებლები გავლენ-გამოვლენყე [ქდკ ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

ზოგჯერ სალიტერატურო ფორმების გამოყენების კონტექსტები არაზუსტია:

ღელამიწა და მამულები, მამულები, წყალიდა, ემ ცხრამეტსა გოოყოყე [ქდკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)]

ამათა არა, ამათა პარსულია, გვარებ გომოურთომყე. ფაყათ ფერეიდუნშაჰრისა და ფერეიდანის ქართველეფსა თავინთ გვარი საქართველოდ [ქართულად] არი [ქდკ, ესქანდერ სეფიანი (ალექსანდრე სეფიაშვილი)].

გვხვდება სალიტერატურო ენიდან შესული და დიალექტის მორფონოლოგიურ „კანონიკაზე“ გაწყობილი ფორმები:

ბავშვიები იყენეს [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი].

ექ ლიანდაგი იყო, რო მოტარებლები გავლენ-გამოვლენყე [ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)].

გადიცვალა! [ალიჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)].

ზოგიერთი შემთხვევა ინდივიდუალურია და ჯერჯერობით დასტურდება მხოლოდ ერთი მოსაუბრის მეტყველებაში, მუხტარ დარჩიაშვილი „აქართულებდა – ქართულ ჟღერადობას აძლევდა“ სიტყვებს ფ ბერის პ ბერით ჩანაცვლებით: *ფანიაშვილი – პანიაშვილი, ასფალტს – ასპალტით: მექეს პირდაპირ ხო ჩვენა ვლოცულობთ, იქ ერთ ღურბელი, როღესაც ღურბელი, ის ღურბელი, ამოღის, პანიაშვილების [ფანი შვილების, ფსევდოლიტერატურული ფორმა] ღურბელიაო და ეს იწიმეფსო [მუხტარ დარჩიაშვილი]; გ ზაზე იგრე ცხელაო, რო ასპალტ ზეგაო [ასფალტ ზეგაო, ფსევდოლიტერატურული ფორმა] რო დადცემია ეს მზეო, ტყუილ წყალები გოოკეთებია, რო გაძხედავ, როგორც წყალები იყოს [მუხტარ დარჩიაშვილი]; იბო! იბო! [ფსევდოლიტერატურული ფორმა = იფო (უფრო) დიდები! [მუხტარ დარჩიაშვილი]. თვით ამ მოვლენის ნაივური „ლინგვისტური ანალიზი“ რამდენიმე მთქმელთან დადასტურდა, როცა ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქართული ენა სპარსულისგან განსხვავდება მკვეთრი ბგერების არსებობით („ ტ, წ, ჭ... მაგათ არაყენ“).*

ამის პარალელურად შეინიშნება ფსევდოლიტერატურული ფორმები: მასწავლე

(მოსწავლე); მაგირი (უნაგირი) საკვე – (საკვები); დაანგრიავეს (დაანგრიეს); დამშავება (დაშავება, დანაშაული).

საკვე – არც ერთი ესები ადამიანის **საკვე** არ არი [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ერთ ჯგუფი რამეები გაქ, ატყობს, რო ის **საკვე** არ მოგიხდა შენ ან მე [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ესეთი დაშავება არი, **დამშავება** აქს და საქმეები გაუკეთებია, რო უნა დაიჭირონ როგორც ჯასუს [= ჯაშუს] რო ეძახიან და უნდა თავი მაახნონ [ქდკ, ჰოსეინ ყალანი].

ფორმა არასწორი „ლინგვისტური“ ანალიზის შედეგად არის მიღებული – **საკვებ-ში** -ებ მრავლობითის ნიშნადაა გაგებული და მხლოლობითის ფორმად **საკვეა** გამოწვევებული.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს ფორმები ფერეიდანში მომდევნო ჩასვლის დროს დავადასტურეთ უკვე საკმაოდ დიდი ჯგუფის მეტყველებაშიც. ასევეა: **საშუა-ლი** < საშუალება **საუკანე** – საუკუნე; **თბელი** – თბოლი; **სამინაირი** – სამნაირი; **უმი** – ომი; **მოყვარელები** – მოყვარეები; **დაანგრიავეს** – დაანგრიეს; **მაგირი** – უნაგირი; **სამშაბლო** – სამშობლო და ა. შ.

ხშირია ბარბარიზმების გამოყენების შემთხვევებიც:

მოლადა კერცხი იყიდისყე, რიალზეგა, ერთ კაპეიკზე, რიალზე; დათთან ვინ ჩავა ტუმარაჩი, მეშოჩიგაო ? შეილება? [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ასეთი მაგალითები ბევრია და რეინტეგრაციის არა მარტო მიმართულებას აჩვენებს, არამედ მის ტემპზეც გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას. როგორც აღვნიშნეთ, „პრიმიტიული ლინგვისტური ანალიზი“ ხდება ფსევდოლიტერატურული ფორმების გაჩენის მიზეზი. ასეთი ანალიზისადმი მიდრეკილება გაცილებით ძლიერია იზოლირებულ პოპულაციაში და მას კიდევ უფრო აძლიერებს რეინტეგრაციული პროცესები.

ვფიქრობთ, განხილული ფაქტორები გათვალისწინებული უნდა იყოს ფერეიდნელთათვის ქართული ენის სწავლების დროს, ისე რომ მათ ვასწავლოთ სალიტერატურო ქართული, მაგრამ შევუნარჩუნოთ დიალექტური სივრცეც (მათმა დიდმა ნაწილმა ხომ დიალექტიც არ იცის).

ცალკეა გამოსაყოფი უცხოენოვანი ლექსიკა, რომელიც ქართულშიც იმავე ენიდანაა შემოსული და დამკვიდრებული. ლექსიკის ეს ჯგუფი განსაკუთრებით საინტერესოა. ფერეიდნელების არასაკმარისი ენობრივი კომპეტენცია იმითაც გამოიხატება, რომ ისინი არ იცნობენ ამ საერთო ლექსიკას. ამ ჯგუფის სიტყვებს ისინი უცხო ენისად მიიჩნევენ და ქართულ შესატყვისს ეძებენ.

ფერეიდნელი ქართველი მოჯთაბა ხუციშვილი საქართველოში ყოფნის დროს სასურსათო მალაზიაში შევიდა მურაბის საყიდლად და დიდხანს უხსნიდა გამყიდველს, რა უნდოდა, რადგან არ იცოდა, რომ სპარსული „მორაბა“ ქართულადაც „მურაბა“ იყო: ხილს რომ დავჭრით, შაქარს დავაყრით და მოხარშავთო... გამყიდველი მიხვდა: მურაბა გინდათო? – ეს ხომ მეც ვიცოდით! – შეიცხადა მოჯთაბამ.

მურაბა ჯგუფში შედის ნასესხები სიტყვები: ფაქიზი, ოჯახი, ქალაქი, ჰალვა, ფანჯარა და ა.შ.

როცა მუხტარ ღარჩიაშვილმა თავისი მასალის ჩაწერა დაიწყო და ლექსიკის კლასიფიკაცია სცადა, სწორედ მოჯთაბას ამ ეპიზოდის გავლენით ამ საერთო სიტყვებს „მურაბა სიტყვები“ დაარქვა. ამის შემდეგ ჩვენც ვიყენებდით ამ სიტყვას, როგორც საკლასიფიკაციო ტერმინს.

შიდადიალექტური ლექსიკური სხვაობა

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ფერეიდნული მეტყველება არ არის ერთგვაროვანი. ეს განსაკუთრებით ეხება ლექსიკას. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზოგჯერ გვხვდება განსხვავებები სოფლების მიხედვითაც.

სალიტერატურო ენასთან საერთო ლექსიკა

ამ ფონზე ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია არა მხოლოდ განსხვავებების, არამედ სოფლების მიხედვით იმ ლექსიკის აღწერა, რომელიც საერთოა ქართულ ენასთან, რადგან ძირეული და საერთო ლექსიკის წარმოჩენა მით უფრო სოფლების მიხედვით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც კვლევის პროცესში ქართულ დიალექტებთან მათ მიმართების საკითხს, ისე ძველ ქართულ ლექსიკასთან პარალელების ძიებას.

დიალექტური და სალიტერატურო პარალელური ფორმები

დღეს ფერეიდნული ქართველების მეტყველებაში შეიძლება პარალელურად შეგვხვდეს: ნამა // კარგი; ყრალი // ცუდი; ბაიტა // პატარა; ცუდი // უსაქმო; ბერი // მოხუცი; ყორი // ქალიშვილი; ჩაფუჭდა, ცხონდა // გადიცვალა.

სპარსულ-ქართული პარალელური ფორმები

სპარსულ ენასთან ინტერფერენციის შედეგად გაჩნდა სინონიმური პარალელიზმები. როცა დიალექტური ფორმა და უცხოენოვანი ფორმა გვაქვს პარალელურად დამოწმებული: ჭავრობი (ქართ), მარლა (სპ) – მოუ’რი (ქურთ); თარიფი (სპ), უბნობა (ქართ); ბეგარი (სპ), უსაქმო – უსაქმური, ზენდეგი (სპ) – სიცოცხლე (ქართ), დუნია (სპ) – ქვეყანა (ქართ).

დღეს ფერეიდნულთა მეტყველების ტიპური მახასიათებელია მსგავსი პარალელიზმების არსებობა:

ზენდეგი ვქნათ და სიცოცხლე.

ქეშავარზობას იქს, – გლეხობას.

სარვაზობა აათავა, ჯარისკაცობა.

სოფელის ზემინი... ემები, მიწები.

მეორე, სალიტერატურო ფორმა, ფაქტობრივად, მათ მეტყველებაში ჩნდება როგორც განმარტება სალიტერატურო ქართულზე მოსაუბრე ადამიანისათვის და შემდეგ მკვიდრდება მეტყველებაში, მსგავსი პარალელიზმები დასტურდება საქართველოში დიდი ხნის წინ ჩამოსახლებული ფერეიდნელების მეტყველებაშიც.

ლექსიკური პარალელიზმი უმეტესად ერთ-ერთი ფორმის დამკვიდრებით მთავრდება. ფერეიდნულში დადასტურებული ორენოვანი პარალელიზმები ასიმილაციის გარდამავალ პროცესს აჩვენებს ქართული ფორმიდან – უცხოენოვანისკენ. რაც შეეხება დიალექტურ და სალიტერატურო ან უცხოენოვან და სალიტერატურო პარალელიზმს, ეს ინტეგრაციის პროცესის მაჩვენებელია და რამაც შეიძლება სერიოზულად შეაფერხოს ასიმილაცია.

ცალკეა გამოსაყოფი **მრავალკომპონენტნიანი ერთეულები** – სხვადასხვა ტიპის მყარი და თავისუფალი შესიტყვებები. ეს ერთეულებიც შეტანილია ლექსიკონში სათანადო მარკირებით: ტროპული ლექსიკა: ფრაზეოლოგიზმები, წყევლისა და ლოცვის ფორმულები:

- გამწონდე! – იხარო [ასე მხოლოდ ბიჭს ლოცავენ].
- საუბარში ფეხიშველა შამორბენა – უტაქტოდ ჩარევა;
- შენ მე გზა მიქცივე (დამაბნიე)
- თოლი ოუქნივა (წარბი აუზიდა)
- გულის ბოძო (დალოცვა)

თავისუფალი შესიტყვებები: ანდაზის დაჭერა – ზომის აღება; ზანგის დაცხობა – ზარის დარეკვა.

ფერეიდნულში შემონახულია ერთი საინტერესო გამოთქმა: „**თუნოთაბორშიც წასულიყავიო**“.

ვახტანგ ონიკაშვილი წერს, რომ თუნოთაბორი ფერეიდნულში გაიგივებული იყო ჯანდაბასთან. აქ ცხოვრობდნენ საქართველოდან აყრილი ქართველები. კლიმატი იმდენად ცუდი იყო, რომ თუნოთაბორიდან შაჰ-აბასის სიკვდილის შემდეგ ქართველები დაიძრნენ ხორასნისკენ, იქიდან კი ავღანეთში გადავიდნენ [ონიკაშვილი 2004: 8].

ქართული დიალექტური კორპუსის ტექსტებში დადასტურებულია ეს გამოთქმა. რეზო დავითაშვილი გვიხსნის მის მნიშვნელობას:

„– მოდიო და არ მუალო, წადი, ნუ მოხლო თუნოთაბორში გინდოდესო. თუნოთაბორი არი რადონი, რო იქ ქართველები ყოფილან. და იმათ ერთი ჭირი, მარი ზობა აყე, რო ეს ცხირი, ეს პირი ერთ ექეფზი ერთ რამე შოოჭამსყე. თითან ქარსელები მას ეძახიან – ჯოზამ, ჯოზამს ეძახიან. და თითან ქართველები იქაც ყოფილან“ [ქდკ, ალი რეზა დავითაშვილი (რეზო დავითაშვილი)].

მეტაფორული გამოთქმები

საყურადღებოა მეტაფორიზაციის პრინციპები ფერეიდნულთა მეტყველებაში. მათი შექმნის მოტივაცია ძალიან ჰგავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადასტურებული წარმოების პრინციპებს.

სახელდება ხდება:

- გარეგნული ნიშნის მიხედვით
- თვისების მიხედვით

- სოციუმში თავისი ადგილის, სტატუსის მიხედვით
- ბედის, იღბლიანობის ნიშნით....

ზოგიერთ მეტსახელს ვხვდებით ქართულშიც: **შაგმელა – ცბიერი**; ზოგს შეესაბამება მსგავსი ქართული ვარიანტი, მაგალითად: **მოკლე კიბე** – იგივეა რაც ქართულში „ღაბალი ღობე“;

ზოგჯერ ჩვენთვის ნაცნობ მეტაფორულ გამოთქმას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს შეცვლილი ან ემოციური მიმართება იცოს განსხვავებული. მაგ., თუ **წითელ კოჭს** ქართულ დიალექტებში უარყოფითი ელფერი აქვს, ფერეიდნულში ის გამორჩეულსა და განსაკუთრებით საყვარელს, გულთან ახლოს მყოფს ნიშნავს. წითელკოჭი – გამორჩეული („აი, ჩემი ყმაწილია წითელი კოჭი, ეს ბევრი მიყორს...“).

გატეხული ქასაქალი²⁴⁹ – სხვებისგან დაჩაგრული ადამიანი:

ადამიანი რო ბეური თავჩი დცემს, მინც მოა, ჩააკრავს თავჩი.

სომეხის კალო – ადამიანი, რომელიც ყველა სიტუაციას ცდილობს მოერგოს: საიტყენაც ქარი მოიდა, სომეხი შუა კალოზე ჩაფყრის და აანიავებს.

მეაბანოს ვირი – *კურტნის მუშა*: ადამიანი, მინაც მოა, შააჯგების, კვირა დღე-შიგა სუმიდამ იყო და დასენება არა დქონდეს. ადამიანი ნიშნავს, რო მეაბანოს ვირი იყო, დასენება აღარა აქ, დღე და ღამე სუ საქმეს ეზიდებიან.

სულუკან ძაღლი – *უპატრონო*: ეს საიტყენაც რო მირბის, უპატრონო იყო.

შინაურ ბატკანი – ადამიანი რო დავარდებოდეს სახლჩიგა, თეთრი დავარდებოდა. ბატკანი რო გაილოდეს მინდორჩიგა, მზე დადწომდა თაის ძატყლი იგეთი იყო, რო მზე წაიღებდა, თეთრი იყო, ბამბასავითა. ეს ადამიანიც რო სახლჩი იყო და ეს ადამინი რო გარეთ არ გაილოდა, ადამიანი რო გარეთ არ გაილოდა, თეთრი იყო, თეთრი იყო. თოვლსავითა.

დედაკაცურ აბანო – ხმაურიანი ადგილი:

საქმე რო, დედაკაცურ აბანოსყე ბევრი ხმა გამოლიოდა. ეხლა რო ჳმა დგა, ბევრი ჳმა რო გაიდეს გარეთა, დედაკაცური აბანო'რო ბეური ჳმა გამოლიოდეს.

კდარ კუვა – *უსაქმური*: ადამიანი რო არა მუშაობს, თამბალია, კუვასავით დასწვენია, არა საქმეს არ გაარივებს.

დამწორ კუკუნა – *მინმეს რო არსადა ადგილი არა დქონდეს, არმინ არ დეეხმაროს.*

დალი კოტი – ადამიანი რო სუყელგან დადის, ერთგან არ დადგების.

თოლთეთრა – ადამიანი რაღაც რო ეტყვი, არ მეეკიდების. ადამიანი, რაღაც რო შენ ებნები, საუბარი არ ადსწურო, არ ადკივდების.

საჯის პური – ახლა მე დამამიწყდა საჯი მოიტანო, რომელ ჳარას რო ვქნითყე პური დავკრათყე, პირი არ ეტყობის, ადამიანს დნიშნავს, რო ჩემთან მოა, ემ საუბარს იტყვის, წავა სხოსთან, სხო საუბარს იტყვის, ეს საჯის პურია.

249. ეს მასალა მოაგროვა ფერეიდნელმა ქართველმა აბოლყასემ აჰმადიმ. მასალა სრულად მოგვეყავს, რათა კარგად გამოჩნდეს დიალექტური ენობრივი პიროვნების, როგორც ენობრივი მსოფლსატის ცენტრალური ფიგურის ენობრივი პორტრეტის ეს ერთი შტრიხი.

კოლგამჭმარი – ეს ადამიანი, სადაც წავა ჩახმების, აი ზღავს (ასეა!) პირზეგაც რო წაიღეს, ზღვა ჩადვების. ემას შანსი არა აქ.

კულურ თხა – ადამიანსა დგავ, სადაც რო მზეს თავის მატყლი ბეწები გოოყუთ-რავებია და როგორც უნა ჩანდეს, თეთრი თხასავით, ადამიანია და სუყელგან ჩნანს (ასეა!), ღამითაც რო გამოიღეს გარეთა, ეტყობის სუ თეთრი.

შიარ ტილი – ადამიანი, რო შეიძლება ერთ კვირასა, ერთ წელს არცრა არ შეჭამოს, როგორც სამოროს ადგომულიყოს, მოდიოდეს, არცრა თაითავ ზე არ ენახვოს.

ცეცხლის წერი – ადამიანი რო სუყელგან ესწრობის. ადამიანი სუყელგან, სადაც საქმე არის, თაის თავს მასწრებს.

მოკლე კიბე – დაბალი ღობე: მინაც რა საუბარი აქ და მერმის ვერ მეერევის და ემ ადამიანს მეერევის, მოკლე კიბე ერი. მინაც მოა, ჩადკრავს თავჩივა. რა საქმეც აქ ემას ეტყის, გადგ ზანის. მოკლე კიბეს მონახავს.

ყორყორი – ყორყორი არის, რო საქმე არცრა არ იცის. ადამიანი მეტობა ყორყორია, არცრა არ იცის.

წარე მამალი – ადამიანი რო მალე გაბრაზდების, მალე შუღლის ემეს დაიწყობს, შუღლს დაიწყობს, ეწყინების.

ჯარის ნეზი – დეეცემის ადგილსალა, ველარ გაჩუჩუნდების.

თავალებული – ადამიანია, რო დეადმიწას აღარ უჭრეტავს. თავალებული ადამიანი მე ვარ, არც მინ ცოცხალი არ არი, თავალებული მე ვარ.

კუკუას იწითებს – თავის თავს ატკობს, ჩემ თავს დავატკობ, აი, როგორი ნამა ადამიანი ვარ.

როგორც აღვნიშნეთ, აქ მხოლოდ ზოგადი მიმოხილვით შემოვიფარგლეთ. ფერეიდნული ლექსიკის თავისებურებები ასახულია ქდკ-ს ტექსტურ ბაზასა და მასზე დაყრდნობით შექმნილ ონლაინ- და ბეჭდურ ლექსიკონებში.

თავი XVI

ფერეიდნული მითები

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, კუნძულურ კოლექტივებში ხშირია გარკვეულ მოვლენათა მითოლოგიზება. ასე იყო მითოლოგიზებული მაგალითად, სამშობლოში დაბრუნება – ცისარტყელის ქვეშ გავლის გზით, სეიფოლა იოსელიანისა და სტალინის „შეხვედრის“ ამბავი ამ მითის გაგრძელება იყო და ა.შ.

ასეთივე მითების შექმნა ცისარტყელის „აქეთა მხარესაც“ დაიწყო.

ორ ნაპირზე დარჩენილი ქართველობა ადვილად, გადაუმოწმებლად იჯერებდა ყველაფერს, რაც მათ ემოციურ დამოკიდებულებას ერთმანეთის მიმართ და ურთიერთსწრაფვას დამატებით მუხტს შემატებდა. ასეთი მითები მხოლოდ დიდი სიყვარულისა და სიბოლს გამოხატულებას, მაგრამ მეცნიერება ფაქტებისადმი ერთგულება და ის გვაკვალდებულებს, ზოგიერთ მათგანს ნათელი მოვფინოთ.

„ფერეიდანის მიწას ვხნავ“...

1999 წელს ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ გამოქვეყნდა დარეჯან ჩხუბიანიშვილის წერილი „სამშობლოს მონატრული ვარ...“.

წერილში წარმოდგენილი იყო დარეჯან ჩხუბიანიშვილისა და თედო უთურგაიძის ანგარიში ირანში პირველი სამეცნიერო ექსპედიციის შესახებ [ჩხუბიანიშვილი 1999].

ანგარიშს წამძღვარებული აქვს ლექსი:

*ფერეიდანის მიწას ვხნავ აგერ სამასი წელია,
აგერ სამასი წელია,
გამკმარი ფიქრი დავთესე, ვმელი ხორბალი ერია.
სამშობლოს მონატრული ვარ აგერ სამასი წელია,
აგერ სამასი წელია.*

(ფერეიდანში გავონილი)

ქალბატონი დარეჯან ჩხუბიანიშვილი სწორედ ამ ლექსის ისტორიით იწყებს თხრობას და ამბობს: „ეს ლექსი ფერეიდანში, მარტყოფის მანლობლად ჩავიწერეთ დარჩიაშვილების, დავითაშვილების საზაფხულო სახლში, ბაღში.“

ამ ლექსის გამოქვეყნებას „ბურჯი ეროვნებისას“ ფურცლებზე დიდი ემოციით შეხვდა მკითხველი და და ჩვენთვისაც ის ფერეიდნელთა სამასწლიანი სევედის დაუვიწყარი სიმბოლო გახდა. მაშინ მხოლოდ „ქართულ დიალექტოლოგიაში“ დაბეჭდილი მცირე ტექსტებით და ქალბატონი დარეჯანისა და მისი კოლეგების მიერ თანდათან გამომზეურებული მცირე მასალით ვიცნობდით ფერეიდნულ დიალექტს და აზრადაც არ მოგვსვლია, ტექსტის დიალექტურ ავთენტურობაში ეჭვი შეგვეტანა.

როცა 2008 წელს ფერეიდანს ვეწვიეთ დიალექტური მასალის ჩასაწერად, პირველი კითხვა რაც გაჩნდა: ნუთუ ის ლექსი მართლაც ფერეიდნულის ნიმუშია? ფერეიდნელის მიერ დაწერილი?

მიუხედავად იმისა, რომ აქ დასახელებულ ორ ოჯახში – დარჩიაშვილებთან და დავითაშვილებთან ჩვენ ვსტუმრობდით არა მარტო დასახელებულ სააგარაკე „ბაღჩი“, მარტყოფში, არამედ თეირანსა და ისპაჰანშიც, სადაც ისინი ძირითადად ცხოვრობენ, ეს ლექსი მათგან არც 2008 წელს და არც შემდეგ არ გაგვიკონია, თუმცა, ბუნებრივია, ჩვენ მას ვეძებდით და სპეციალურად „გასწენებდით“ ჩვენს მასპინძლებს სტრიქონებს, როგორც ეს ხშირად გაგვიკეთებია სხვადასხვა ლინგვისტური, ეთნოგრაფიული ან ფოლკლორული მასალის გამოსავლენად. ფაქტია, რომ ქალბატონი დარეჯანის მიერ დასახელებულ მუხტარ დარჩიაშვილს და რეზო დავითაშვილს ეს ლექსი არ შეეძლოთ ჩაეწერიანებინათ, რადგან არც მათ და არც მათი ოჯახის წევრებმა მის შესახებ არაფერი იცოდნენ. შესაძლოა, ეს ლექსი ქალბატონმა დარეჯანმა ჩაიწერა სხვა სტუმრისგან, რომელსაც არ ასახელებს ხსენებულ პუბლიკაციაში – ასე გადავწყვიტეთ მაშინ.

მეორე, რაც გაკვირვებას იწვევდა ჩვენში ის იყო, რომ ადგილზე დიალექტის გაცნობამ გაგვიჩინა ეჭვი, რომ ლექსი არ იყო ფერეიდნული დიალექტის მატარებლის მიერ შექმნილი. ვფიქრობდით იმასაც, რომ ავტორი შესაძლოა საქართველოში რეპატრირებული ფერეიდნელი ყოფილიყო. ქალბატონი დარეჯანი ლექსს ფერეიდნული ფოლკლორის ნიმუშად მიიჩნევდა და ჩვენც განვაგრძობდით მის ძებნას ჩვენს მომდევნო ექსპედიციებშიც. საბოლოოდ მივედით იმ აზრამდე, რომ ლექსი ფერეიდნულ გარემოში არის მეორეული, ის სამშობლოსთან კულტურული კონტაქტების განახლების შემდეგ არის მათ „რეპერტუარში“ მოხვედრილი.

დავიწყეთ ძიება ქართულ ტექსტებში და აღმოჩნდა, რომ მართლაც ეს განსაკუთრებული ქართველი პოეტის, ლალო სულაბერიძის ლექსი, ერთ-ერთი იმ 19 ლექსიდან რომელიც მას დაუწერია ფერეიდნის თემაზე და გაუერთიანებია ლექსების ციკლში „ფერეიდნული ელეგიები“:

„სამასი წელია

ფერეიდანის მიწას ვხნავ, აგერ სამასი წელია.

აგერ სამასი წელია ბედი ამგვარი მწერია.

გამხმარი ფიქრი ჩავთესე, ხმელი ხორბალიც ერია.

ამობიბინდა, ჯგეჯილის თავთავი გადამერია.

ფიქრების ამომწვანების, ვაჰ, სული გადამერია.

მაინც ვხნავ ფერეიდანის მიწას სამასი წელია“ [სულაბერიძე 2013].

ეს ლექსი, როგორც ფერეიდნელთა ხალხური მეტყველების ნიმუში, მოხვდა ლექსების კრებულში „ფერეიდნელის ოროველა“ როგორც ფერეიდნელთაგან თქმული, ოღონდ ცოტა სახეცვლილი:

„ფერეიდანის მიწას ვხნავ,
აგერ ოთხასი წელია,
აგერ ოთხასი წელია.
გამხმარი ფიქრი ჩავთესე,
ხმელი ხორბალი ერია.
სამშობლოს მონატრული ვარ
აგერ ოთხასი წელია,
აგერ ოთხასი წელია“ [კოტეტიშვილი 2003].

როგორც ირკვევა, კრებულისთვის ლექსები ვახუშტი კოტეტიშვილს ჯემშიდ გიუნაშვილმა მიაწოდა [კოტეტიშვილი 2004: 6; კუჭუხიძე 2003: 7].

ამ ლექსზე კომპოზიტორმა რეზო ლალიძემ დაწერა სიმღერა: „ფერეიდანის მიწას ვხნავ“ [ლალიძე 1975].

შესაძლებელია, ლექსი რაღაც გზით (ნაჩუქარი წიგნები, პირადი კონტაქტები, რადიო...) მოხვდა ფერეიდნელებთან და იმ დროისათვის გააქტიურდა კონკრეტულ ეპიზოდში. მოსალოდნელი იყო მისი კიდევ უფრო დამკვიდრება ფერეიდნელთა მესიერებაში – როგორც ეს მოხდა „სულიკოს“ „მერანის“, „შავლეგოსა“ და სხვ. შემთხვევებში, მაგრამ ეს რომ ასე არ მოხდა, ამას ჩვენი მომღვეწო წლების ექსპედიციები და საგანგებო უშედეგო ძიებაც ადასტურებს.

ძნელი სათქმელია, რა გახდა ამ უცნაური შეცდომის პირველსაწყისი და საფუძველი, მაგრამ დოკუმენტირების ყველა წესის უგულებელყოფით სამეცნიერო სივრცეში ფერეიდნული ფოლკლორის ნიმუშად შემოტანილი ეს თითქოსდა უწყინარი ლექსი საკმაოდ ციტირებადი გახდა, შეცდომათა ახალ და ახალ ტალღებს დაულო სათავე და საერთაშორისო პუბლიკაციებშიც კი შეაღწია. ამის ნიმუშია 2008 წელს ჟურნალში „ირანი და კავკასია“ ინგლისურ ენაზე დაბეჭდილი სტატია „Ideal Scheme“ or „Passing over the Rainbow“: Transmission of the Georgian Cultural Identity among the Fereydani Gorjis“, რომლის ავტორიც ამბობს, რომ ეს ლექსი მას თავად აქვს ჩაწერილი, როგორც ფერეიდნული ფოლკლორის ნიმუში. სტატიაში მოყვანილია ლექსის თარგმანიც:

I till the land of Fereydan
Nearly for four hundred years.
I planted a dry thought;
Dry wheat is our nation.
I mutter about it even in my dreams,
My God, keep my nation alive!

/„ფერეიდანის მიწას ვხნავ
აგერ ოთხასი წელია
გამხმარი ფიქრი ღვთესე,
გამხმარი ხორბალი ჩვენი ერია.
სიზმარშიც ამას ვბუტბუტებ:
ღმერთო, ჩემი ერი დაიფარე!“/

როგორც ხედავთ, თარგმანიც ისეთივე „თავისუფალია“, როგორც ლიტერატურული ტექსტის გაფოლკლორების ცდა – აქ მარტო იმის აღნიშვნა კმარა, რომ სტრიქონში: „ხმელი ხორბალი ერია“ ავტორს სიტყვა „ერია“ ერად (ერი / ხალხი, Nation) აქვს თარგმნილი [Khalvashi 2008: 38].

როგორც ვხედავთ, ლაღო სულაბერიძის ლექსს გაფერეიდნულება არ ეწერა.

ეს ვერც სათანადო სიტყვებში ვ -ს ჩასმით გახდა შესაძლებელი და ვერც ინგლისურად თარგმნით.

ლექსი ფერეიდნული დიალექტისთვის სრულიად უცხო ლექსიკითა და მეტრიკითაა დაწერილი. მისი ფოლკლორულ ნიმუშად განხილვა და, მით უფრო, მასზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი ეთნოლინგვისტური დასკვნების გაკეთება გაუმართლებელია.

ასე იტყოდა ქართველი

მეორე მითი ისევ პოეზიის სფეროდანაა და ის გაცილებით ძველია.

ის სეიფოლა იოსელიანის სახელით ცნობილ ლექსს, „ასე იტყოდა ქართველი...“ ეხება:

ამონაკენსი

ასე ამბობდა სპარსეთში ქართველი:

– რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ,

მე არ გავხდები სპარსელი.

მასხოვს, რომ მე ვარ ქართველი,

მით მიყვარს ქართველთ სახელი.

ეს ლექსი, დაბეჭდილა გაზეთ ტრიბუნაში (1923 წ., N568) სათაურით „ამონაკენსი [სიღამონიძე 1965].

წლების მანძილზე ამ ლექსს კითხულობდნენ და მასზე შექმნილ სიმღერას მღეროდნენ საქართველოში.

აღსანიშნავია, ლექსი არ ჩაუწერიათ ქართველ ენათმეცნიერებს, რომლებიც სეიფოლა იოსელიანიდან ლინგვისტურ მასალას იწერდნენ და, ბუნებრივია, არც გამოუქვეყნებიათ მის სხვა ტექსტებთან ერთად. ლექსი ძალიან შორს არის ფერეიდ-

ნული დიალექტისგან და არ სჭირდება დიდი ლინგვისტიკური ანალიზი იმას, რომ ის ფერეიდნელის დაწერილი არ არის.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ (N3) სეიფოლას სხვა ლექსია დაბეჭდილი და მასთან შედარება კიდევ უფრო ნათელს ხდის, რომ ეს ლექსები ერთი ადამიანის დაწერილი არ არის.

მიუხედავად ამისა, მითი სეიფოლას ავტორობის შესახებ იმდენად მკვიდრი აღმონდა, რომ 30 წლის შემდეგ მას ლამის „თვითმხილველი“ მოწმეც კი გამოუჩნდა. 1960 წლის „სახალხო განათლების“ 24 თებერვლის (N9) ნომერში დაიბეჭდა თბილისის 58-ე საშუალო სკოლის პედაგოგის მ. რეხვიაშვილის წერილი: **ს. იოსელიანის ლექსის სრული ტექსტისათვის.**

იმის საჩვენებლად, როგორ „აგორდა“ ერთი მცდარი საავტორო მითი და რა გავრძელება მოჰყვა მას, მთლიანად მოვიყვანთ ამ წერილს:

გაზეთ „სახალხო განათლების“ 10 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ვ. სიღამონიძის წერილი სათაურით „ერთი ქართული ხალხური სიმღერის შესახებ“.

როგორც წერილის ავტორი ასკვნის, ცნობილი ხალხური სიმღერა „ამას ამბობდა ქართველი, სპარსეთში გადახვეწილი“ ეკუთვნის ფერეიდნელ ქართველს სეიფოლა იოსელიანს, მაგრამ, როგორც ირკვევა, არც ს. იოსელიანის ლექსი და არც ხალხური სიმღერა სრულყოფილი არ უნდა იყოს.

აღნიშნული ლექსი (სიმღერა) 1947 წლიდან ხშირად მომისმენია მასწავლებელ გ. დადიანის ოჯახში. როცა ვ. სიღამონიძის წერილი წავიკითხე, დავინტერესდი და მივმართე გ. დადიანს. მან არ დაიზარა და მთლიანად ჩამაწერინა მის ოჯახში ს. იოსელიანის ავტორობით ცნობილი ლექსი სათაურით „ასე ამბობდა ქართველი“. აი ისიც:

*„ასე ამბობდა სპარსეთში
დატყვევებული ქართველი:
—რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ,
მე არ გავხდები სპარსელი.
ხეზე დამკიდონ, ქვეშ ცეცხლი
